ნიკო ნიკოლაძე

თხზულებანი

ტომი მერვე

(1880-1883 წწ.)

საგამომცემლო ცენტრი
ქუთაისი
2003

სარედაქციო კოლეგია:

დ. გამეზარდაშვილი
(მთავარი რედაქტორი),
ნ. ტაბიძე,
გ. ჯავახიშვილი,
ს. ჯორბენაძე

სპეცრედაქტორი
ზურაბ გამეზარდაშვილი
გამომცემლობის რედაქტორი
ელგუჯა თავბერიძე

დიდი ქართველი მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის—ნიკო ნიკოლაძის „თხზულებანის“ VIII ტომი უკანასკნელი წიგნია, რომელიც გამოსაცემად მოამზადა პროფესორმა დავით გამეზარდაშვილმა.

განსვენებულმა მეცნიერმა დიდი ამაგი დასდო ნიკო ნიკოლაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მოკვლევის, თავმოყრის, შესწავლისა და გამოცემის საქმეს. იგი იყო აღნიშნული გამოცემის მთავარი რედაქტორი და სულისჩამდგმელი. სამწუხაროა, რომ მკვლევარს არ დასცალდა ბოლომდე მიეყვანა საქმე, რომელსაც მრავალი წელი შესალია.

ნიკო ნიკოლაძის „თხზულებანის“ მომდევნო ტომები გამოიცემა პროფ. დავით გამეზარდაშვილის მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე.

წიგნი მკითხველთა ფართო წრისათვისაა განკუთვნილი.

I. პოლიტიკური მიმოხილვა

თბილისი, 31 იანვარი, 1880 წ.

თუმცა „Journal de S.-Petersbourg" დაწვრილებით უარყოფდა თავის სტატიას „Herold'a", რომლითაც იტყობინებოდა სპარსეთში ინგლისის გავლენის გაძლიერების შესახებ და მიუთითებდა სპარსეთის მთავრობის უცვლელ მეგობრულ ურთიერთობაზე ჩვენთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლონდონიდან 29 იანვრის თარიღით მიღებულ გუშინდელ დეპეშაში მაინც ნათქვამია: ინგლისმა თავის წარმომადგენელს დაავალა აცნობოს შაჰის მთავრობას, რომ ის თავისუფლდება 1857 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობისაგან—არ დაიკავოს ჰერათი. არც მეტი, არც ნაკლები, ეს იმას მოწმობს, რომ ინგლისის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, და არცთუ წარუმატებლად, დაუახლოვდეს სპარსეთს და ისარგებლოს კიდეც მისი ძალებით, რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის თუ არა, ავღანეთში თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მაინც. ყოველ შემთხვევაში, ასე შეგვიძლია ვიფიქროთ, თუ გავიხსენებთ ჰერათიდან მიღებულ 24 იანვრის დეპეშას, რომლითაც გასაგები გახდა იქაური სახალხო კრების გადაწყვეტილება, რომ ინგლისელებსა და სპარსელებს იარაღით გაუწიონ წინააღმდეგობა და როგორმე გამაგრდნენ რუსული ექსპედიციის დამთავრებამდე. ასევე უნდა ვიფიქროთ ღაზნიდან 28 იანვრის თარიღით მიღებული დეპეშის მიხედვითაც. როგორც ამ დეპეშიდან ჩანს, ავღანელებსაც გადაუწყვეტიათ ბრძოლის განახლება. უნდა დავასკვნათ, რომ ინგლისის მიერ სპარსელებისათვის ჰერათის დათმობა არის ნიშანი ინგლისელების მეტად შევიწროებული მდგომარეობისა ავღანეთში, ვინა-

იდან წინათ ისინი საზეიმოდ აცხადებდნენ, რომ რუსეთის მოძრაობა მერვისაკენ სიგნალი იქნებოდა ინგლისის ჯარებისათვის ჰერათის დასაკავებლად. ამასობაში, დაპირებული მუქარის ნაცვლად, ახალტეკინის ექსპედიციის უფროსად გენერალ სკობელევის დანიშვნას და, ამასთანავე, მერვისაკენ ჩვენს გაბედულ მოძრაობას ინგლისელებმა სპარსელებისათვის ჰერათის გადაცემით უპასუხეს, რაც ცხადია, იმას ადასტურებს, რომ ინგლისელებს ამ პირობებში სრულიად არ ძალუძთ ჰერათისაკენ ჯარების დაძვრა. აი, მდგომარეობა, რომელიც, ლორდ ბიკონსფილდის ნების გაუთვალისწინებლად, მომავლისათვის გადადებს რუსეთისა და ინგლისის ერთმანეთთან შეჯახებას.

2. ფოთის ნავსადგურის ისტორია

- I -

თბილისი, 1 თებერვალი, 1880 წ.

შეუძლებელია სიხარული არ მოჰგვაროს ადამიანს ისეთმა ბედნიერმა შემთხვევამ, როგორიცაა ბ. ბ. ფალკენჰაგენისა და ბახმეტიევის დავა, ვინაიდან, ბოლოს და ბოლოს, შესაძლებელი გახდა იმ მიზეზის გაგება, რომელიც, მიუხედავად მთავრობის დიდი დახმარებისა, აქამდე შეუძლებელს ხდიდა ქალაქ ფოთში ნავსადგურის აგებას, ეს კონკრეტული შემთხვევა, რომელიც გამოკვლეულია არა ოფიციალური ანგარიშებისა და საკონტროლო შემოწმებების მიხედვით, არამედ მოიჯარადრისა და მისი რწმუნებულის საკუთარი ცნობებით, ნათელს ჰფენს დიდი სახელმწიფო ღონისძიებების წამოწყების არსებულ წესებს. ეს გარემოება საფუძველს იძლევა განზოგადებებისათვის, რისი ცოდნაც ადმინისტრაციას ბევრ რამეს გაუადვილებს. უფრო ნაყოფიერი იქნება საზოგადოებრივი საჭიროებისათვის სახაზინო ფულის ხარჯვაზე მეთვალყურეობა.

ფოთის ნავსადგურის საკითხში ბ. ბ. ბახმეტიევის, ფალკენჰაგენის და ჟარინცევის როლი საზოგადოებრიობისათვის უკვე ცნობილია მთელი თავისი სიგრძე-სიგანით. ამიტომ ახლა უშედეგოა იმის გამოკვლევა, მიღებული აქვს თუ არა ბატონ ფალკენჰიაგენს შემოსავალი ზუსტად 1 158 000 მანეთის რაოდენობით, ან მიღებული აქვს თუ არა ბატონ ბახმეტიევს ამ თანხიდან 400 ათასი მანეთი, ანდა მე-4 პარაგრაფის საფუძველზე, ფალკენჰაგენთან დადებული პირობის შესაბამისად, წმინდა მოგებიდან კუთვნილი 10%, ე. ი. 115 000 მანეთი არც ესაა მნიშვნელოვანი, თვითონ ჟარინცევი ხარჯავდა ფულს, თუ მხოლოდ თვალს ადევნებდა მათი ინტერესებისათვის როგორ ხარჯავდა ამ თანხას მოიჯარადრე ბ. ვოლოხოვი. მაგრამ ბ. ბახმეტიევი, მიუხედავად თავისი ნიჭიერებისა, მოიჯარადრის ფირმის წარმომადგენელი იყო და ხაზინის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდა, თითქოს თვით იყო მოიჯარადრე ფალკენჰაგენებისა, ზუსტად ასევე მოქმედებდა ბ. ჟარინცევიც; მოქმედებდნენ და იმოქმედებენ სხვა პირებიც, რომლებიც ჯერ კიდევ არ წადავებიან თავის უფროსს—ფალკენჰაგენს, ამიტომაც, ხმაამოუღებლივ ეხმარებიან რა მას ფოთის ნავსადგურის საქმის გაჩარხვაში, ახლანდელი და მომავალი ყველა

ხარჯთაღრიცხვიდან, მთავრობის აგენტების მიერ დაშვებული ყველა შეცდომიდან და უყურადღებობიდან, უნდათ მიიღონ რაც შეიძლება დიდი სამკალი. ისინი მხოლოდ ერთზე ზრუნავენ—მოსამკელი იყოს რაც შეიძლება მეტი. რასაკვირველია, ისინი სრულიადაც არ ფიქრობენ არც ცილისწამებაზე, არც პატიოსნებაზე, არც საზოგადოებრივ აზრზე, არც სამშობლოს ინტერესებზე, რომლისთვისაც სახელი უნდა გაეთქვათ თავიანთი სამსახურით, გენერალ პოლიაკოვის მაგალითისამებრ, და სანაცვლოდ მიეღოთ ჩინები, ჯვრები და მაღალი წარჩინებანი. ამ თვალსაზრისით ბ. ბახმეტიევი, ფალკენჰაგენი, ჟარინცევი და ყველა სხვა პირი, რომლებიც იჯარის საქმეებით არიან დაინტერესებულნი, მაგრამ ჯერ კიდევ არ გაუმჟღავნებიათ თავიანთი სახელები, წარმოადგენენ—არც მეტი, არც ნაკლები—ერთ მხარეს; საინჟინრო სამმართველო და მათ მიერ მოიჯარადრის სამეთვალყურეოდ შერჩეული აგენტები—მეორე მხარეა, ხაზინა კი, როგორც ყოველთვის, დაზარალებული პირია.

მთავრობის აგენტები, ალბათ, საზოგადოებრივი აზრის წინაშე არ გამოვლენ თავის მართლებითა და განმარტებებით, მით უფრო, რომ კავკასიასთან და კავკასიის პრესასთან მათ არავითარი საქმე არა აქვთ. როგორც გოგოლი ამბობდა,—შვაბიაში მათ საკუთარი მეფე ჰყავთ.

რედაქციის მიერ შეკრებილი ცნობებით, ამგვარი დამოუკიდებელი სანავსადგურო ადმინისტრაციის შექმნა შემდეგნაირად მოხდა. დავიწყოთ სულ თავიდან.

ფოთში ნავსადგურის აგების აზრი წარმოიშვა 1828 წელს, ფოთის ციხე-სიმაგრის შემოერთებისთანავე, და ამისათვის იქ გაგზავნეს მაშინ ცნობილი ინჟინრები პოტიე და ბ.ბ. მელნიკოვი, ჩადაევი და სხვა., რომელთაც დაევალათ ნავსადგურის პროექტის შედგენა. პროექტი შემუშავდა 1830 წელს, მაგრამ მისი განხორციელება ვერ მოხერხდა იმიტომ, რომ თვით ქალაქი ფოთი, გენერალ გოლოვინის წარდგინებით, ჩვენმა ჯარებმა დატოვეს მავნე კლიმატის შედეგად, იქ ცხოვრების შეუძლებლობის გამო. ნავსადგურის დაწესებულებები და ჯარი გადაიყვანეს რედუტ კალეში, სადაც კლიმატური პირობები უფრო უარესია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნავსადგურმა იარსება მანამდე, სანამ იგი თურქებმა არ გაანადგურეს ყირიმის ომის' დროს. ამიტომ ამ ომის დამთავ-

რების შემდეგ მთავრობას სრულიადაც აღარ შეუწუხებია თავი შავი ზღვის უდაბურ სანაპიროზე სანავსადგურო პუნქტის ამოსარჩევად და თავისი არჩევანი ფოთზე შეაჩერა. იგი ითვალისწინებდა მდინარე რიონზე ნაოსნობის გახსნას და ამის შედეგად ადგილობრივი ნაწარმის უფრო მოხერხებულ გასაღებას ახლად გახსნილი ნავსადგურის მეშვეობით.

იმთავითვე გაირკვა, რომ, თუ ხელოვნური ნავსადგური არ აშენდებოდა, ფოთი ვერ გახდებოდა სანავსადგურო ქალაქი და, ამიტომაც, გზათა მიმოსვლის ინჟინერმა ბოგუშევიჩმა შესასვლელი რიონის სამხრეთ ტოტთან თავიდანვე დააპროექტა; პროექტი ითვალისწინებდა ხის გამჭოლი რღვეულების გამოყენებას. ეს იმ დროს სიახლე იყო და, არსებული ცნობების მიხედვით, დიდი სარგებლობა მოუტანა ნაოსნობის გაუმჯობესებას იტალიის პატარა მდინარეების შესართავებში.

სახსრების უქონლობის გამო ეს პროექტი არ განხორციელებულა და ფოთში არაფერი გაუკეთებიათ 1861 წლამდე. ამ წელს სამხედრო ინჟინრების ყოფილმა უფროსმა გენერალმა კესლერმა გამოითხოვა განსაკუთრებული თანხა ფოთში ნავსადგურის ასაგებად საჭირო საძიებო სამუშაოებისათვის და ამ ამოცანის შესრულება ინჟინერ-კაპიტან შავროვს დააკისრა.

ამ ძიებების დროს მდ. რიონის ჩრდილოეთის ტოტის წინ იპოვეს დიდი ღრმა ქვაბული, რომლის გამოყენებაც შეიძლებოდა მდინარე რიონის ჩამონატანისათვის გზის მისაცემად, ამ მიზნით სიიაფისა და სხვა მასალების უქონლობის გამო შეჩერდნენ ხის ბოძებზე, რომლითაც უნდა აშენებულიყო გამჭოლი მისადგომები. ამგვარი კონსტრუქციის სასარგებლო მოქმედების შესახებ მდ. ადურის შესართავთან, ბაიონის ახლოს, სადაც ისინი აშენებულ იქნა ნაპოლეონ III განკარგულებით, მიღებული იყო მეტად სანუგეშო ცნობები გენერალ კესლერის მიერ საზღვარგარეთ მივლინებული ინჟინერ-კაპიტან დომატევიჩისაგან.

ხის გამჭოლი მისადგომების პროექტი განიხილეს თბილისსა და პეტერბურგში და დაამტკიცეს, მიუხედავად იმისა, რომ ეჭვს ინვევდა შავ ზღვაში საზღვაო ნაგებობისათვის ხის გამოყენების შესაძლებლობა, ფოთში ხის გამოუყენებლობა მაშინ ახირებულ აზრად გვეჩვენებოდა, რადგან სულინში წარმატებით მოქმედებდა საერთაშორისო კომისიის მიერ აგებული ხის მისადგომები, ხოლო

ოდესის ყურეში კი ხის სანაპიროები იყო გამოყენებული. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ფოთში ზღვის დიდი სიღრმისა და მდინარე რიონიდან შემდინარე მტკნარი წყლის შედარებით სიმცირის გამო მორების ძირში და მორებს იქით ყოველთვის დაგუბდებოდა მარილიანი წყალი. ამიტომ, როცა ხარაჩოების გასაკეთებლად ბარი გადალახეს, აღმოჩნდა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ ყველა მორი ძირში გამოხრული იყო, რის გამოც ისინი პირველივე ქარიშხალმა ნაპირზე გამორიყა. ამგვარმა ვითარებამ ხის მისადგომების ასაგებად დაწყებული სამუშაოების შეჩერება გამოიწვია. დარჩა მხოლოდ დღემდე უვნებელი ხით მოფენილი სანაპიროების ერთი ნაწილი, რომელიც რიონის მტკნარ წყალში,—ხიდსა და ჩრდილოეთ განტოტების ბარს შუაა.

ხის მისადგომების ასაგები სამუშაოების შეჩერებამ გამოიწვია ნავსადგურის ახალი პროექტის შედგენის საჭიროება, რაც ხელმძღვანელ პირთა გარდაუვალი ცვალებადობით გამოწვეულ ახალ მოსაზრებათა გამო მეტად სამძიმო აღმოჩნდა, გენერალმა კესლერმა თავისი პოსტი 1865 წელს დატოვა. მისი ადგილი გენერალმა ფონ-მილერმა დაიკავა; იგი ყოველნაირად უწყობდა ხელს ამ საქმეს, მაგრამ მალე გარდაიცვალა. ინჟინრების ახალ უფროსს გენერალ რერბერგს (1866) თავისი შეხედულებები და რწმენა ჰქონდა. შემდგომი პროექტების შედგენისას საჭირო გახდა მის აზრებთან შეგუება. ამ პროექტის შედგენაზე მონაწილეობისათვის ყოფილი მშენებლის, პოლკოვნიკ შავროვის გარდა, მოწვეულ იქნენ სხვა პირებიც, როგორც, მაგალითად, კაპიტანი ზიგერ-კორნი. მათ ხელმძღვანელობდა ინჟინრების უფროსი—საუკეთესო პროექტის შემუშავების მიზნით.

„Le mieux est l'ennemi du bien",[2]—ამბობს ანდაზა და, მართლაც, 1866 წლიდან 1872 წლის ჩათვლით ფოთის ნავსადგურის 18 პროექტი შედგა. ამ პროექტებიდან ზოგი განსახილველად აღწევდა ინჟინრების უფროსთან, ზოგი პეტერბურგში ეგზავნებოდა მთავარ საინჟინრო სამმართველოს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ახლების შედგენამ და მომავალი პროექტების ლოდინმა სავსებით დაამუხრუჭა სამუშაოების წარმოება: ის, რაც დღეს მტკიცდებოდა, ხვალ შეცვლილი და უარყოფილი იყო.

ამ დროს, არეულ-დარეულობაში, ქუთაისის ყოფილი გუბერნატორის გრაფ ლევაშოვის განკარგულებით, რომელიც ფოთი-

თბილისის გზის მშენებლობას ხელმძღვანელობდა, აგებულ იქნა (ახლა დანგრეულია) სარკინიგზო საზღვაო ნავმისადგომი—ჟეტე, ე.ი. უბრალო რკინისძელებიანი ნავმისადგომი, გაჩნდა აზრი ყველა სხვა ვარაუდებისათვის თავის განებების შესახებ და გადაწყდა, რომ ეს ნაგებობა გარდაიქმნას ნავმისადგომად, კავკასიის სპეციალისტების შეუთანხმებლობის გამო როგორც სუპერარბიტრი, მონვეულ იქნა საზღვაო სამშენებლო ნაწილის ყოფილი უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ბარონი ტიზენჰაუზენი; იგი ყველა პროექტს გაეცნო, არც ერთი არ მოიწონა და თვით შეადგინა სამი სხვადასხვა პროექტი, რომელთაგან თავისი გრანდიოზულობითა და შეუსაბამობით გამოირჩეოდა ერთი, სახელდობრ, პალიასტომის გარდაქმნა კაპარჭინოში ნავმისადგომებს შორის აგებული შესასვლელის გასარეცხ აუზად. ამასთანავე, ბარონმა აუცილებლად ჩათვალა სამმართველოს გადახალისება, მისი აზრით, მარტო მშენებელს არ შეუძლია სამეურნეო და ტექნიკურ სამუშაოთა გაძღოლა, ამიტომ აუცილებელია ორი სანავსადგურო სამმართველოს შექმნა. ერთი—ტექნიკური ნაწილის ხელმძღვანელობისათვის და მეორე—სამეურნეო საქმეების წარმართვისათვის,—სამეურნეო კომისიის სახელწოდებით.

ამრიგად, სუპერ-არბიტრის მონვევას გადაწყვეტილების მიღება არ მოჰყოლია. სამუშაოთა წარმოება მეტად გართულდა, ვინაიდან ინჟინრების უფროსმა სამეურნეო კომისიას დაავალა ტექნიკურ ძიებათა წარმოება ფოთში—საბოლოო პროექტის შესადგენად. გამოვიდა, რომ მშენებელი არაფერს აკეთებდა, ხოლო სამეურნეო კომისია ტექნიკაზე ამახვილებდა ყურადღებას და, თავისი არსებობის მანძილზე, სანავსადგურო მეურნეობის მიღებაც კი ვერ მოასწრო. ამ სამუშაოების დეზორგანიზაციის დროს პეტერბურგში გადაწყდა სამეურნეო სამუშაოების შეწყვეტა და ყოფილ მშენებელს დაევალა ნავსადგურის საბოლოო პროექტის შედგენა სამეურნეო კომისიის საძიებო სამუშაოების მიხედვით. ეს პროექტი შემუშავდა მთავარ საინჟინრო სამმართველოში და მოწონებულ იქნა. რჩებოდა მხოლოდ დაფინანსების საკითხი და მოიჯარადრის შერჩევა. ამ დროს (1871-1872 წ.წ.) სცენაზე გამოჩნდა ნამდვილი მოიჯარადრე—ფოთის ნავსადგურის შემქმნელი ბატ. ფალკენჰაგენი. ძნელი სათქმელია, მას პროექტი არ მოეწონა თუ მშენებელი არ ვარგოდა, მაგრამ მან სასარგებლო საქ-

მედ მიიჩნია ნავსადგურის ახალი პროექტის შედგენა. მაგრამ, როგორც მოიჯარადრისათვის, უხერხული იყო პროექტის შემდგენლის როლში გამოსვლა, ეს მას მომავალში, რაიმე გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, შუამდგომლობის აღძვრის უფლებას უკარგავდა. ამიტომაც, ამ მიზნით, მან მოიწვია ბატ. ჟარინცევი, რომელიც გაზეთ „კავკაზში"[3] დაბეჭდილ თავის კორესპონდენციაში ამ პერიოდს არ ეხება და თხრობას იწყებს 1873 წლიდან, როცა, ყოფილი მშენებლის ბატ. შავროვის წასვლის შემდეგ, ის სამუშაოთა მწარმოებლად დაინიშნა, ხოლო ნავსადგურის მშენებლობას განაგებდა პოლკოვნიკი ბურგმეისტერი. ბატ. ჟარინცევის ბატ. ფალკენჰაგენთან დამოკიდებულების დასახასიათებლად მეტად სასარგებლო იქნება გავეცნოთ მათ მაშინდელ შეთანხმებას.

ბატ. ჟარინცევის (ფალკენჰაგენის) პროექტი მიიღო მთავარმა საინჟინრო სამმართველომ, თუმცა, როგორც ეს განმარტებულია შარშანდელი წლის გაზეთ „კავკაზის" ფურცლებზე, ბატ. შავროვის წერილში, გზათა მიმოსვლის სამინისტროში ორი საკონკურსო პროექტის განხილვისას, ბატ. შავროვის პროექტი ცნობილ იქნა საუკეთესოდ, მაგრამ მთავარი საინჟინრო სამმართველო უფრო მეტად მზრუნველობდა სახაზინო ინტერესებს და უპირატესობა მიანიჭა ბატ. ჟარინცევის პროექტს, რომელიც, პირველ პროექტთან შედარებით, 400. 000 მანეთით იაფი იყო; უმთავრესად, რიონის ჩრდილოეთ ტოტის გადაღობვის გამორიცხვის ხარჯზე. ასეთი მომჭირნეობისათვის ჟარინცევი დაინიშნა სამუშაოთა მწარმოებლად, ხოლო ბატონ ბურგმეისტერს, რომელიც ნავსადგურის მშენებლად დაინიშნა, პოლკოვნიკის ჩინი უბოძეს.

მაგრამ ყველაფერ ამას, რასაკვირველია, სერიოზული მნიშვნელობა არა აქვს და ეს ფაქტი გავიხსენეთ მხოლოდ ფოთის ნავსადგურის აგებაში მთავარ საინჟინრო სამმართველოს მონაწილეობის დასახასიათებლად. მნიშვნელოვანი სხვა რამ იყო, კერძოდ: მთავარმა საინჟინრო სამმართველომ იშუამდგომლა კავკასიის მეფისნაცვლის წინაშე იმის შესახებ, რომ ვინაიდან ფოთში წარუმატებლად წარმოებს მუშაობა და უნაყოფოა ასეთ მშენებლობაზე ფულის ხარჯვა—უფრო სასარგებლო იქნებოდა კავკასიის არმიის ინჟინერთა უფროსს ჩამორთმეოდა მშენებლობის უშუალოდ წარმოების უფლება და მეთვალყურეობა გადასცემო-

და მთავარ საინჟინრო სამმართველოს, ვინაიდან მეფისნაცვალი მთავარ ამოცანად ისახავდა სამუშაოთა წარმატებას და ნავსადგურის უმოკლეს ვადაში დამთავრებას, ეს აზრი, რასაკვირველია, არავითარ სიძნელეებს არ წაწყდომია და მან მხარი დაუჭირა მთავარ საინჟინრო სამმართველოს. ამრიგად, ფოთის ნავსადგურის მშენებლობის დაჩქარების მიზნით კავკასიის სამეფისნაცვალოში შეიქმნა პეტერბურგისაგან დამოუკიდებელი ცალკე სამმართველო „raison d'etre"[4].

პირველი წარმატებული ნაბიჯი გახლდათ მთავარი საინჟინრო სამმართველოს გადაწყვეტილება—იჯარის სანარდოდ გაცემა გარკვეული, ერთხელ განსაზღვრული თანხის ოდენობით. ეს სურვილი გამოწვეული იყო ადრინდელი ვითარებით, საქმე ისაა, რომ ვერაფრით ვერ განისაზღვრა ფოთის ნავსადგურის ასაგებად საჭირო საბოლოო თანხის რაოდენობა. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ნავსადგურის ნარდად აგება თითქმის შეუძლებელია. მივიდოდნენ რა ამ გადაწყვეტილებამდე, როგორც ეს მიღებულია საერთოდ მოიჯარადრეებთან, რომლებიც იკისრებდნენ ცალკეული სამუშაოების შესრულებას: ქვების ჩაყრას, ბეტონის მასივების ჩაწყობას, სამმართველო, როცა კი მოისურვებდა, და რა მიმართულებითაც ეს საჭირო იქნებოდა, თავის პირობებს უკარნახებდა მთავრობას.

სხვათა შორის, ასეთივე იყო წინადადება ინჟინერ კოტარისა და კომპანიისა, რომელიც აგებდა სუეცის არხს და რომელმაც საჯარო ვაჭრობაზე მიავლინა თავისი წარმომადგენელი—ინჟინერი იანიცკი, სანარდო იჯარის აღება შეიძლებოდა მხოლოდ გარკვეული განზრახვით, ვთქვათ, პროექტის უსასრულო გადაკეთება ახალი თანხების დამატებით მისაღებად, მოიჯარადრისათვის ფულის გადახდა სამუშაოების შეჩერებისათვის, პროექტის დამატებისათვის, შეცვლისათვის და სხვადასხვა. გენერალ ფალკენჰაგენის ოცდათხუთმეტი წლის გამოცდილება ამ მხრივ თავდები იყო, რომ ის კარგად ისარგებლებდა შექმნილი ვითარებით, და, როგორც ეს კიდეც დაამტკიცა კ. ბახმეტიევმა, მისმა ყოფილმა პატრონმა გენერალმა ფალკენჰაგენმა ისარგებლა გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ეს საკადრისი და საერთოდ მიღებულია.

ვინაიდან ბატ. ჟარინცევის პროექტის მიღება განპირობებული იყო, უპირველეს ყოვლისა, ნავსადგურის მშენებლის და ფოთში

არსებული წესების შეცვლის მოთხოვნილებით, ბუნებრივია, რომ მისი ტექნიკური მხარე მეორე პლანზე აღმოჩნდა,—ეკონომია კი, რისთვისაც დაჯილდოვდნენ კიდეც ამ მიმართულებით მოქმედი პირები, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობოდა ზოგიერთი შესაძლებელი სამუშაოების საერთოდ არჩატარებას ან უყურადღებოდ დატოვებას, ყოველივე ამის გამოსწორება, მიღებული წესების საფუძველზე, არ იქნებოდა ძნელი დამატებითი ხარჯთაღრიცხვისა და შედარებითი გამოანგარიშების მეშვეობით, მაგრამ მოიჯარადრისათვის სამუშაოთა ბითუმად გადაცემა ნორმალური წესების დაცვის საშუალებას არ იძლეოდა, რის შედეგადაც აუცილებელი შეიქნა ბედისწერაზე დამოკიდებული გამონაკლისი შემთხვევის ლოდინი.

ზღვაზე ასეთ შემთხვევას არ უნდა ელოდე. ზღვაზე ქარიშხალი არცთუ იშვიათად იცის და შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს გადააყირავოს კიდეც ამოშენებული ბეტონის ჯებირი და შეიქნას ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც, რასაკვირველია, ხაზინის ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელი გახდება მოიჯარადრისათვის სოლიდური თანხის დამატება, რაც განპირობებული იქნება პროექტის ტექნიკური პირობების შინაარსის შეცვლით.

რამდენადაც ეს შემთხვევა გამოწვეული იყო ღვთის ნებით, ინჟინრების ხელოვნებისა და გენერალ ფალკენჰაგენის ოცდათხუთმეტი წლის გამოცდილების განსაზღვრა ახლა ყოვლად შეუძლებელია.

ფოთში ბეტონის ჯებირის დანგრევას პრესა ზოგადად გამოეხმაურა და ჩვენთვის ცნობილი არაა, რითი ხსნის ამას ინჟინერი ან როგორ გამოიკვლია და განსაზღვრა ეს პეტერბურგში მთავარმა საინჟინრო სამმართველომ. ჯებირი აშენდა ბეტონის მასივებზე სწორად აგებული კედლებისაგან, რომელიც იდგა არა თვით ზღვის ქვიშიან ფსკერზე, არამედ მსხვილი ქვის ნაყარზე. ასეთი კედლის გადაყირავება ან მისი წყობის ისე განცალკევება, რომ კედელი ჩამოინგრეს, ცხადია, მხოლოდ ორ შემთხვევაშია შესაძლებელი: ან ქვის ნაყარი უნდა იყოს რაოდენობრივად მცირე, ანდა თვით ქვების არასაკმარისი ზომის გამო. კიდევ უფრო ცხადია, რომ ახლა უკვე არავითარ კომისიას, არავითარ ექსპერტიზას აღარ ძალუძს განსაზღვროს, იყო თუ არა იქ დაყრილი საკმარისი ქვის რაოდენობა და ჰქონდათ თუ არა მათ საჭირო ზომა,

ჩვენ იძულებული ვართ დავიჯეროთ, რომ ეს ყველაფერი იქ საკმარისი იყო, ვინაიდან ნავსადგურის მშენებლისა და მისი სამმართველოს მიერ დადასტურებულ იმ ქვითრებში, რომლებიც სამუშაოთა მწარმოებლის მიერაა გაცემული მოიჯარადრეზე, აღნიშნულია, რომ ქვა დაყრილია სახელდობრ იმდენი, რამდენიც საჭიროა და ისეთი ზომისა, რაც გათვალისწინებულია ზუსტად განსაზღვრული სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებით; ეს ხარჯთაღრიცხვა განიხილეს და მოიწონეს ისეთმა ცნობილმა სპეციალისტებმა, როგორებიც არიან გენერალი ტილო—ახლანდელი საზღვაო სამშენებლო ნაწილის მმართველი და შინაგან საქმეთა სამინისტროს სამშენებლო ნაწილის მმართველი—გენერალი ბოგდანოვსკი.

ყოველ შემთხვევაში, სანარდო კონტრაქტის მიხედვით გენერალი ფალკენჰაგენი პასუხს აგებდა მთელი წლის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოზე და საბოლოო ანგარიშსაც მას უსწორებდნენ, მაგრამ დანგრეული ჯებირის შესწორებაზე პასუხისგება მოუხდა ხაზინას, რომელსაც წინასწარ დაკისრებული ჰქონდა გადაკეთება და დამატება ყველა ჯერ კიდევ აუგებელი ჯებირებისა. ამრიგად, 2. 000. 000 მანეთი, ე.ი. სანარდო იჯარით გათვალისწინებული თანხა, ისე დაიხარჯა, რომ ნავსადგურის ზომა ერთი კვადრატული გოჯითაც არ გადიდებულა. მთავარმა საინჟინრო სამმართველომ და ნავსადგურის მშენებლის სამმართველომ, რასაკვირველია, ისარგებლეს გენერალ ფალკენჰაგენის ოცდათხუთმეტი წლის გამოცდილებით და დამატებით გამოითხოვეს 1. 900. 000 მანეთი, რაც იმას ნიშნავს, რომ თითქმის გაორმაგეს თავდაპირველი სანარდო იჯარის თანხა.

ბევრია ეს თუ ცოტა, a priori განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ ბახმეტიევის ჩვენებით, მოიჯარადრეს ამ თანხიდან, თავისი რწმუნებულის მეშვეობით, სამუშაოებზე უნდა დაეხარჯა 50%-დან 65%-მდე. ბატ. ჟარინცევის ჩვენებით, იგივე მოიჯარადრემ საჭიროდ ჩათვალა სამუშაოების შესასრულებლად დაეტოვებინა ამ თანხის 25%, როგორც ეს გამოანგარიშებული იყო ქვითრებით. თვით მოიჯარადრე, გენერალი ფალკენჰაგენი, ყოველივე ამას არ უარყოფს, მაგრამ ასეთი მსჯელობა უქმად მიაჩნია, ვინაიდან იგი მოხელე არ არის და ვალდებული არაა ხარჯოს ფულები იმაზე, რაც წინასწარ გაითვალისწინა მთავრობამ. როგორც ჩანს, ამავე

აზრისა იყო სამუშაოების კონტროლიორიც, ვინაიდან რვა წლის განმავალობაში პრესაში მცირე ცნობაც კი არ ყოფილა იმის შესახებ, თუ როგორ არასწორად აყოვნებდა მოიჯარადრე ფულებს თავისი საჭიროებისათვის. პირიქით, „კავკაზში" დაიბეჭდა ბატ. ბახმეტიევის ვრცელი სტატიები, სადაც იგი უარყოფს არაკეთილგანმზრახველთა მიერ საზოგადოებაში გავრცელებულ უსაფუძვლო ხმებს, რომ თითქოს ფოთში მოიჯარადრე ნავსადგურის სამშენებლო სამუშაოებს ცუდად და არასწორად წარმართავდეს.

ამასთან ერთად, ახლა ძნელი გასარკვევია საკითხი__ბევრი მიეცა თუ ცოტა მოიჯარადრეს...

ამიტომ ჩვენ ყველაზე მეტად გვაინტერესებს არა გენერალ ფალკენჰაგენის შემოსავალი და ამ შემოსავლის განაწილება საქმით დაინტერესებულ პირთა შორის. გენერალმა ფალკენჰაგენმა მიიღო და მიიღებს ზედმეტ ფულს სავსებით ლეგალურად და სრული უფლება აქვს განაწყენებული იყოს, თუ ეჭვს შეიტანენ მის კეთილსინდისიერებაში... ჩვენ გვაინტერესებს საკითხი, თუ როგორ აიღო თავის თავზე მთავარმა საინჟინრო სამმართველომ ნავსადგურის მშენებლობის რაც შეიძლება მალე დამთავრება და ისიც მათ მიერ განსაზღვრული თანხით; როგორ განსაზღვრა ეს სასხრები ისე, რომ ეძლევა ორნახევარჯერ მეტი თანხა, ვიდრე ეკუთვნის, ხოლო სამუშაოები კი ორჯერ უფრო ნაკლები ტემპით მიმდინარეობს?

ამ გაუგებარი შემთხვევების ასახსნელად ჩვენ სამ ფაქტზე მივუთითებთ, სახელდობრ, საოცარია, როგორ გაიზარდა კუბური საჟენი ღორღის ფასი 15-დან 40 მანეთამდე, მგონი 44 მანეთამდეც კი; უცნაურია აგრეთვე, რომ თეკლათის ცემენტი გადაიქცა პორტლენდის ცემენტად, შემდეგ კი—ტეილის კირად... ასევე გაუგებარია, როგორ ვერავინ მოიფიქრა, რომ მოლოს დაწევაზე წინასწარ გათვალისწინებული თანხა ამ რაოდენობას ვერ მიაღწევდა.

II

ფოთში სამუშაოს დაწყებისთანავე გენერალმა კესლერმა, რომელიც მაშინ სამხედრო ინჟინერთა უფროსად მუშაობდა და კარგად ესმოდა იმ მხარის მოთხოვნილება, შექმნა ქიმიური ლაბორატორია ადგილობრივი კირის ანალიზური გამოკვლევის მიზნით.

საზღვარგარეთიდან კირის გამოწერის ნაცვლად იგი ცდილობდა მიეღწია ამიერკავკასიაში კარგი ცემენტის მიღებისათვის, რაც ასე აუცილებელი იყო როგორც საზღვაო ნაგებობათათვის, ისე საირიგაციო სამუშაოების საწარმოებლად. სამეცნიერო კვლევისათვის მოიწვიეს ბატ. ფალკენჰაგენის ახლანდელი კონკურენტი ტექნიკოსი ა.პ. ბახმეტიევი, რომელიც მაშინ ის-ის იყო იწყებდა თავის სამსახურებრივ მოღვაწეობას. შესანიშნავი გულმოდგინებითა და კეთილსინდისიერებით აგროვებდა ბატ. ბახმეტიევი კირის ყველა ჯიშის ნიმუშს, აწარმოებდა მათ ქიმიურ ანალიზს, გამოსწვავდა მათ სხვადასხვა პირობებში, სხვადასხვა პროპორციით ურევდა ქვიშასა და წყალს, ნიმუშებს სძირავდა წყალში, იწერდა ყველა ცვლილებას და ყველაზე უფრო შედეგიან ცდას ნერგავდა პრაქტიკაში, ე.ი. ფართო მასშტაბით აწარმოებდა ცდებს და ცემენტის ნიმუშებს საფაბრიკო წესით ამზადებდა.

ხუთი წლის განმავლობაში ჩატარებული ამგვარი შესანიშნავი მეცნიერულ-პრაქტიკული გამოკვლევებით ბატ. ბახმეტიევმა მიაღწია სოფელ თეკლათის მიდამოების კირის ჯიშებისაგან ჩინებული ცემენტის მიღებას. რასაკვირველია, საჭირო იყო ბევრი შრომა, ენერგია, რომ ცემენტის დასამზადებლად შერჩეული ყოფილიყო საუკეთესო მასალა და მიეღწიათ თეკლათში ცემენტის ქარხნის მოწყობის ნებართვისათვის, ვინაიდან გენერალ ფონ-მილერის სიკვდილის შემდეგ მსგავს წინადადებას არავინ თანაუგრძნობდა. მიუხედავად ამისა, მისმა უმაღლესობამ მეფისნაცვალმა, რომ იცოდა, თუ რა სარგებლობის მოტანა შეეძლო ამ წარმოებას მხარისათვის, ნება დართო თეკლათში აეგოთ ცემენტის ქარხანა, რომლის წლიური წარმადობა იქნებოდა ერთ მილიონ ფუთამდე ცემენტი. ეს ქარხანა, მრავალ სიძნელეთა გადალახვის შემდეგ, დამთავრდა ბ. ბ. ჟარინცევისა და ბახმეტიევის პროექტის მიღების დროისათვის; არაა საჭირო ამ განმარტებისას შევეხოთ სიძნელეებს. სათანადო კონტრაქტის დადებით ქარხანამ ფოთის სამუშაოებისათვის იკისრა 600 ტონა ცემენტის მიწოდება—ფუთისა 40 კაპიკად, გადატანა გათვალისწინებული იყო გრუნტიანი გზით, მიუხედავად იმისა, რომ აგებულ იქნა განასაკუთრებული რკინიგზის შტო ცივიდან თეკლათის ქარხნამდე; ეს შტო წელიწადნახევარში ვერ შეუერთდა ფოთი-თბილისის რკინიგზას, რომელიც ამ დროისათვის დიდი ხნის დამთავრებული იყო. თეკლა-

თის ცემენტის ქარხანა 160 ათასი მანეთი დაჯდა და, ამრიგად, ამ დანახარჯის სავსებით დაფარვა იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ერთი ფუთი თეკლათის ცემენტის ფასი მიაღწევდა 80 კაპ, ანუ პორტლენდის ცემენტის ფასს და, ამასთანავე, თუ მომზადდებოდა და გაიგზავნებოდა ფოთის სამუშაოებისათვის 400 ათასი ფუთი ცემენტი; შემდეგ, ადგილზე, თეკლათში, შესაძლებელი იქნებოდა ერთი ფუთი ცემენტის გაყიდვა 30-35 კაპიკად, ე.ი. იმ ფასად, რა ფასადაც ხდება პორტლენდის ცემენტის შეძენა ინგლისის ქარხნებში. თეკლათის ცემენტის ხსნარების ნიმუშები წარდგენილი იყო მოსკოვის პოლიტექნიკურ გამოფენაზე, სადაც მან ქების ფურცელი დაიმსახურა, ხოლო პეტერბურგის სამანუფაქტურო გამოფენაზე მას ოქროს მედალი მიანიჭეს. ამგვარად, თეკლათის ცემენტის კარგი თვისებები ეჭვს აღარ იწვევდა და თითქოს მისი რეპუტაციაც განმტკიცდა, მაგრამ საბოლოოდ პირუკუ გამოვიდა; ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო თეკლათში ცემენტის შემდგომი დამზადების შეწყვეტას და თვით ქარხნის დახურვას,__ამის ახსნა მხოლოდ ასე შეიძლება:

გასაგებია, რომ მოიჯარადრისათვის მეტად არახელსაყრელია მასალის ნატურით მიღება, გაცილებით სასიამოვნოა იგი თვით დაამზადოს, რისთვისაც იგი ხაზინიდან მიიღებს ფულს და მასალების შესყიდვისას ეკონომიას გასწევს. ამის საფუძველზე, ჰქონდა რა სურვილი აეღო იჯარა ცემენტიდან ბეტონის მასივების დასამზადებლად, ბატ. ფალკენჰაგენს, რა თქმა უნდა, არ უნდა ეფიქრა, რომ ცემენტს სახაზინო ქარხანა მიაწოდებდა, ამიტომ მას უნდა მოესაზრებინა როგორმე ისე მიეღო ფული, რომ ცემენტი ეყიდა საკუთარი სურვილის მიხედვით. ამ ჩანაფიქრს, უპირველეს ყოვლისა, აფერხებდა გამოფენაზე თეკლათის ცემენტის მაღალი შეფასება, აგრეთვე კონტრაქტი, რომელიც დაიდო კავკასიის საოლქო საფინანსო სამმართველოს მიერ ბახმეტიევთან თეკლათის ცემენტის 600 ათასი ფუთის მიწოდების თაობაზე. ჩვენ არ შეგვიძლია მივუთითოთ ფაქტებზე, რომ ბატ. ფალკენჰაგენს საჯაროდ გადაედგას რაიმე ნაბიჯი ორივე წინააღმდეგობის მოსასპობად, მიუხედავად ამისა, წინააღმდეგობები მოისპო იდუმალი და უჩინარი ღონისძიებებით.

უპირველეს ყოვლისა, პეტერბურგში ბ.ბ. შავროვისა და ჟარინ-ცევის პროექტების განხილვისას ხმები გავრცელდა, რომ თეკ-ლათის ცემენტი და მასზე გაცემული ჯილდოები მოხერხებული ოინი იყო ბ-ების შავროვისა და ბახმეტიევისა, რომლებმაც ძალი-ან მოქნილად შეცვალეს თეკლათის ცემენტი პორტლენდური ცე-მენტით და, რომ თეკლათსა და ფოთში ვერავინ იპოვის იმ ნიმუ-შების მსგავსს, რომლებშიაც მიღებულია ოქროს მედალი და ქების ფურცელი. ეს ხმები იმდენად დამაჯერებლი იყო და ისე დაჟინებით ვრცელდებოდა, რომ გენერალი ტოტლებენი იძულებული შეიქნა შეემოწმებინა საქმის ვითარება, რაც მას შესანიშნავ შესაძლებ-ლობას აძლევდა ნავსადგურის სამუშაოებიდან ჩამოეცილებინა დამნაშავენი. შესამოწმებლად შეარჩიეს ცემენტის ცნობილი სპე-ციალისტი, ინჟინერ-კაპიტანი შულიაჩენკო; იგი დაუყოვნებლივ ფარულად გაიგზავნა პეტერბურგიდან თეკლათსა და ფოთში ერ-თადერთი მიზნით—ნამდვილად დარწმუნებულიყო, არის თუ არა თეკლათში ცემენტი თუ მისი არსებობა ფიქციაა. კაპიტანმა შუ-ლიაჩენკომ, როგორც ჭეშმარიტმა მეცნიერმა, თავისი ამოცანა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო: მაშინვე გაემგზავრა კავკასი-აში; პირდაპირ თეკლათში ჩავიდა და, ყოველგვარი გაფრთხილე-ბის გარეშე ჩამოუარა ყველა ღუმელს, რომლებშიაც ცემენტის გამოწვა ხდებოდა, აიღო სინჯები, ჩაატარა ცდები და თეკლათის ცემენტის ღირსებაზე ბრწყინვალე დასკვნამდე მივიდა. შემდეგ ჩამოვიდა ფოთში და ნახა ბეტონის მრავალნაირი ნიმუში; მათი მიხედვითაც შეიძლებოდა თეკლათის ცემენტის თანდათანობით გაუმჯობესების ისტორიის გაცნობა და ზუსტად ასევე, მის მიერ ხილულ ნიმუშების მიხედვით, მივიდა დასკვნამდე, რომ თეკლათ-ში დამზადებული ცემენტი კარგი თვისებისაა. ასეთმა პატიოსან-მა მოხსენებამ ინტრიგები მაინც ვერ შეაჩერა: მან ეჭვები კი არ გაფანტა, არამედ უფრო ფრთხილი გახადა დამოკიდებულება თეკ-ლათის ცემენტისადმი. მისი მოწინააღმდეგენი ასე მსჯელობდნენ: ცემენტი კარგია, უდავოდ კარგია, მაგრამ ეს ხომ ახალი ცემენ-ტია, რომლის თვისებები ჯერ კიდევ არაა ცნობილი პრაქტიკაში. თეკლათის ცემენტისაგან დამზადებული ბეტონიდან ყველაზე ძველი ნიმუშები თუმცა ჯერ არ გაფუჭებულა, მაგრამ მათ მხო-ლოდ ექვსი წელი დაჰყვეს ზღვაში. პრაქტიკაში კი ცნობილია მა-გალითები, როცა უცნობი ცემენტისაგან დამზადებული ბეტო-

ნის ცუდი თვისებები მხოლოდ რვა წლის შემდეგ გამომჟღავ-ნებულა__ამიტომ მთავარმა საინჟინრო სამმართველომ სასარ-გებლოდ ცნო, შემდგომი შეცდომების თავიდან ასაცილებლად, თეკლათში ცემენტის დასამზადებელი რაოდენობის შემცირება და მისი გამოყენება მხოლოდ ჯებირის გარე ნაწილისათვის, ხოლო სხვა დანარჩენი სამუშაოებისათვის შეიძინოს პორტლენდის ცე-მენტი. მართალია, იგი ძვირი ჯდება, მაგრამ, სამაგიეროდ, საი-მედოა.

მაგრამ ამ სწორ დასკვნას განხორციელება არ ეწერა; როცა ფალკენჰაგენმა სანარდო სამუშაოები მიიღო, თითქოს ჯიბრზე, სწორედ მაშინ დაადეს ბაჟი საზღვარგარეთიდან შემოტანილ ცე-მენტს და ამ გარემოებამ თუ სხვა ღრმააზროვანმა საფუძველმა, როგორიც შეიძლება იყოს ვთქვათ, ხაზინის ინტერესების დაცვა, აიძულა მთავარი საინჟინრო სამმართველო უარი ეთქვა პორ-ტლენდურ ცემენტზე და შეეცვალა იგი ტეილის კირით. ხელშე-სახები შეიქნა ხაზინის სარგებლობა__პორტლენდური ცემენტის ერთ ფუთზე 80 კაპიკის ნაცვლად ხაზინამ 57 კაპიკი დააწესა ტე-ილის კირის ერთ ფუთზე. მოიჯარადრის სარგებლობა შემდეგში არანაკლებ ცხადი გახდა: მაშინდელი კურსისა და ფრახტის მიხედ-ვით, ტეილის ერთი ფუთი კირი, ფოთში გადატვირთვით, 23-27 კაპიკი ჯდებოდა და ეს მაშინ, როცა ხარჯთაღრიცხვით გათვა-ლისწინებული იყო 57 კაპიკი.

რა დაემართა თეკლათის ცემენტს?__იკითხავს მკითხველი. არაფერი! ბატონ ბახმეტიევის მიერ თავის დროზე დამზადებული ცემენტის წყალობით მოიჯარადრე ფალკენჰაგენმა შეძლო ნავ-სადგურის სამუშაოების დროულად დაწყება; ჩრდილოეთის ჯებირის სათავე, თეკლათის ცემენტის მაღალი ღირსების გამო, მონოლითურად იყო აშენებული თითქმის წყალში. მისი ღირსება აღიარებულია მთავარ საინჟინრო სამმართველოსა და სამშე-ნებლო ადმინისტრაციის მიერ ფოთში, მაგრამ მხოლოდ მას შემ-დეგ, როცა წინანდელი წესები უკვე აღარ არსებობდა. თეკლათის ცემენტმა ასე მოათავა თავისი სამსახური, მაგრამ თეკლათის ქარხანა კიდევ მოელის თავის რიგს, ვინაიდან იქ ცემენტის წარ-მოება შეჩერებულია.

III

თბილისი, 5 თებერვალი, 1880 წ.

როცა ბატ. ბახმეტიევის ცემენტისაგან პირველი ბეტონის დასამაზადებლად საჭირო შეიქნა ქვა, ფოთში მისი შოვნა ძალიან გაჭირდა და ამიტომ კენჭების შემოტანა მოუხდათ რედუტ-კალედან; ამნაირი კენჭებით სავსეა ზღვის სანაპირო რედუტიდან მოყოლებული თვით ანაპამდე, რომელსაც ბ-ნი ბახმეტიევი უწოდებდა ხრეშს. ამ კენჭების კუბიკური საჟენის გადატანისათვის 15 მანეთს იხდიდნენ. მას ეზიდებოდნენ ნავსადგურის ასაგებად საჭირო სამეურნეო სამუშაოების დროს და ეს ფასი ფიქსირებული იყო ყველა ხარჯთაღრიცხვასა და იმ საბუთში, რომლებსაც თბილისსა და პეტერბურგს უდგენდნენ სამეურნეო სამუშაოების წარმოების პერიოდში.

როცა მოიჯარადრისათვის ნავსადგურის სამუშაოების გადაცემა გადაწყდა და, აგრეთვე, როცა ბატონ ჟარინცევის პროექტი განიხილეს, როგორღაც გავრცელდა აზრი, რომ ყოფილ მშენებელს სრულიად არაფერი ესმოდა თავისი საქმისა. ეს გაუგებრობა იქამდე მივიდა, რომ იგი წინადადებას იძლევა ბეტონისათვის გამოყენებულ იქნეს ზღვის წყლისაგან გაპრიალებული კენჭები, რომელთა დამაგრება ბეტონის მასაში ფრიად ძნელია. შავი ზღვა კი ძლიერი ქარიშხლებით გამოირჩევა. ასეთი შეცდომის ასაცილებლად მომავალი მშენებლის თუ სამუშაოთა მომავალი მწარმოებლის ან შეიძლება პროექტის ერთ-ერთი დამამტკიცებლის მიერ ნავარაუდევია ბეტონის მოსამზადებლად ზღვის კენჭების ნაცვლად თეკლათის ქვის სამტეხლოდან კირიანი ღორღის გამოყენება. ჩანს, იმ დროს ფიქრობდნენ, რომ ცემენტი არამცთუ მხოლოდ მექანიკურად, არამედ ქიმიურადაც შეუერთდება კირიან ღორღს და ამიტომ ბეტონს ვერავითარი ღელვა ველარ დაამსხვრევს, ვინაიდან ის იქნება მონოლითური. ამ სწორი დასკვნის საფუძველზე უპირატესობა მიეცა დამსხვრეულ ღორღს, რომლის კუბური საჟენი ღირს არა 15 მანეთი, არამედ—44. ძვირია, მაგრამ რა გაეწყობა!

მოიჯარადრემ ფოთში მუშაობა დაიწყო თეკლათის ქვის სამტეხლოდან ქვის გადმოზიდვით. ვინაიდან ზღვაში ჩასაშვებ მსხვილ ქვას ნაკლები ფასი ჰქონდა, ვიდრე ბეტონის მოსამზა-

დებელ წვრილ ქვას, ამიტომ, ცხადია, ქვას, ადგილზე არ ახარისხებდნენ; არ ახარისხებდნენ მას მიღების დროსაც. განა ეს აუცილებელი იყო? მთელი ნვრილი ქვა მოიჯარადრეს აუცილებლად სჭირდება ბეტონისათვის, ის კი მსხვილ ქვაზე უფრო ძვირია; აქედან გამომდინარე, მოიჯარადრე დაინტერესებულია არა წვრილი ქვის გამორჩევითა და გადაყრით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ზღვისთვის მსხვილი ქვის შერჩევით. საამისოდ კი მეთვალყურეობის განევა ყოველთვის შეიძლება დატვირთვისას. ამრიგად, თეკლათის ქვის სამტეხლოდან ქვის გადაზიდვა ხდებოდა განურჩევლად, მაგრამ იტვირთებოდა, რასაკვირველია, ზუსტად ისე, როგორც ეს აღნიშნული იყო ქვითრებში.

ყველაფერი თავის რიგზე მიდიოდა და მუშავდებოდა ახალი მოსაზრებები. ნატეხი კირქვის შერევით დამზადებული ბეტონის შეფარდებითი წონა არცთუ ისე დიდი აღმოჩნდა იმის გამო, რომ თეკლათის კირქვის შეფარდებითი ნონა მცირეა, და ამიტომ ბეტონის შეფარდებითი წონის გაზრდისათვის საჭირო შეიქმნა არევა გრანიტისა და სხვა მაგარი ჯიშის ქვის ნატეხებისა, რომელთაგან შედგება ზღვის კენჭები. საამისო ნებართვის გამოთხოვა მოუხდათ მთავარი საინჟინრო სამმართველოდან. მოიჯარადრე ბეტონის შემადგენლობაში ზღვის კენჭების გამოყენებაზე კირქვის ნატეხების სანაცვლოდ არავითარ ფინანსურ დამატებას არ მოითხოვდა... ასეთი ნებართვის შედეგად, დანაზოგი მოიჯარადრის სასარგებლოდ თითოეულ საჟენზე 29 მანეთს უდრიდა, ხოლო თითოეულ ათას საჟენზე—29, 000 მანეთს. სამუშაოებში გამოსაყენებელი ბეტონის რაოდენობაზე კი დანაზოგი ასეულ ათასებს აღწევდა. რასაკვირველია, გასაოცარია, რომ ხაზინის ასეთი დიდი ზარალი შეუმჩნეველი დარჩა სამშენებლო სამმართველოს, მით უფრო, რომ თვით ბატონი პოლკოვნიკი ბურგმაისტერი, როცა ის სამუშაოთა ინსპექტორად მუშაობდა, რევიზიას უკეთებდა მშენებლობასა და მეურნეობას და იცოდა, რომ ერთ კუბურ საჟენ კენჭში იხდიდნენ 15 მანეთს. როცა ის დანიშნეს სამეურნეო კომისიის თავმჯდომარედ, თვითონ იხდიდა ერთ კუბურ საჟენ კენჭში 15 მანეთს და ამიტომაც მას შეეძლო შეენიშნა იმავე ერთ კუბურ საჟენ კენჭში 44 მანეთის გადახდის უსაფუძვლობა.

გადავიდეთ მესამე, უკანასკნელ და ყველაზე დამახასიათებელ მაგალითზე—ჯებირის დაწევაზე, რაც ძალიან შორსმჭვრეტელუ-

რად იყო გათვალისწინებული და რამაც დიდი ხეირი მისცა მოიჯარადრეს, როგორც გვარწმუნებს ბახმეტიევი,—ათას-ათასი მანეთი ვერცხლით,—ჯებირის ყოველ ერთ სიგრძივ საჟენზე,—პირველიდან სამას საჟენამდე. მშვენიერია! საცოდავო მოიჯარადრეე! იმის გაგება, თუ საიდან გაჩნდა ხაზინის ინტერესებში მოიჯარადრის სასარგებლოდ ასეთი კონტრიბუცია, არცთუ ისე ძნელია. ეს იმით აიხსნება, რომ მუშაობის დროს ბედნიერი შემთხვევის გამო თავი მოუყარეს ღრმა ცოდნისა და 35 წლის გამოცდილების მქონე სწავლულთა წარმომადგენლებს (ბ-ებს ჟარინცევს, ბურგმეისტერსა და ფალკენჰაგენს), მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამუშაოები ძალზე არაშორსმჭვრეტელურად არის დაპროექტებული, ხოლო ჯებირის შესაძლებელი დაწევა განსაზღვრეს მხოლოდ მიახლოებით. არავითარი ცდები ან გამოკვლევები არ ჩატარებულა, დაწევის გაანგარიშებანი არ გაკეთებულა. ცნობილი იყო მხოლოდ, რომ შავი ზღვა ყველაზე ცუდი ზღვაა და ზემდეტ დანიშნულებათა მარაგი ვნებას არ მოიტანს. ამიტომაც ქვის ნაყარის დაწევა ისე განსაზღვრეს, რომ ის, როგორც ამბობენ, დაპროექტებულთან შედარებით 3 1/2 ფუტზე უფრო ნაკლებს უნდა დაწეულიყო. მაშასადამე, ნაყარზე აგებული ბეტონის კედელი (ჯებირი), სინამდვილეში, 3 1/2 ფუტით ნაკლებია, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ხარჯთაღრიცხვით, ამასთანავე, ვინაიდან მოიჯარადრემ სამუშაოები ნარდად აიღო, ამ აუარებელ, მათ მიერ შეუსრულებელ სამუშაოებს თვლიან, პავლე ივანეს ძე ჩიჩიკოვის ენით რომ ვთქვათ, არა მოჩვენებითად, არამედ—ნამდვილად არსებულად და ამ სახით კისრულობენ მოიჯარადრეს გადაუხადონ ხაზინის ფულები... ეს არაჩვეულებრივი მოწყალება ხაზინას ასეული ათასი მანეთი უღირს და იგი ჯერჯერობით მოტივირებული არ არის არავითარი გონივრული არგუმენტით. შეუძლებელია, რასაკვირველია, რომ არ გაოცდე... იმ პირებმა, რომლებმაც დადეს და დაამტკიცეს სანარდო კონტრაქტი, დაივიწყეს, რომ ჯებირის დაწევა განსაზღვრულია მხოლოდ მიახლოებით და ამიტომ დაწევა მოსალოდნელია ბევრად მეტი ან ბევრად ნაკლები. გვეჩვენებოდა, რომ შეუძლებელია წინასწარ გათვალისწინება ორივე მხარისათვის სამართლიან გადაწყვეტილებისა ჯებირის დაწევის ოდენობაზე სინამდვილესთან შესაბამისად... მაგრამ, თურმე, გამოცდილი ადამიანებიც შეშინდნენ მიე-

ცათ მოიჯარადრისათვის შუამდგომლობა ფინანსური დახმარების გადიდებაზე და ასეთი სიძნელეებიდან უფრო პრაქტიკულ გამოსავლად მიიჩნიეს დანიშნონ maximum შესაძლებელი ხარჯებისა, რათა მოიჯარადრემ მეტი აღარ მოითხოვოს, მაგრამ გენერალმა ფალკენჰაგენმა, ეყრდნობოდა რა თავის 35 წლის გამოცდილებას, მაინც გამოძებნა საბაბი მოეთხოვა ფულის მომატება. როგორც ბატონი ბახმეტიევი მიუთითებს, იგი მნიშვნელოვან მომატებას მოითხოვს იმის გამო, რაც, როგორც ცნობილია, ყველამ გადაიტანა და უნდა გადაეტანა ფოთის სამუშაოებსაც, თუმცა განგებას არ შეუმკია იგი წამების გვირგვინით. თურქები ფოთში არ შემოსულან და ნავსადგურის მშენებლობაც არ შეჩერებულა, ამიტომ არავითარ დანაკარგებსა და ზარალს ფოთში ადგილი არ ჰქონია.

მაგრამ ამას თავი დავანებოთ, საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია და შეხედულებები იმდენად მრავალმხრივი, რომ მათი განხილვა და გამორკვევა ერთბაშად შეუძლებელია. ეს არ შეესაბამება ჩვენს ამოცანასაც: ჩვენ შევუდექით ამ სტატიის წერას საკუთრივ იმისათვის, რომ გადავწყვიტოთ პოლიტიკურ-ეკონომიური, ადმინისტრაციულ-იურიდიული ამოცანები, რომელთა მეშვეობითაც ყოფილი მოიჯარადრე მდიდრდება, ხოლო მდიდარი ხაზინა კი კოტრდება, თუმცა ყველა ზომას ღებულობს, რომ განიხილოს უკანასკნელი წვრილმანიც კი. ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ ყველა სახაზინო დაწესებულება განმსჭვალულია ერთი აზრით, შეპყრობილია ერთი სიტყვით, რომელიც ყოველთვის ენაზე ადგათ და არ შორდება ოფიციალურ ქაღალდებს, სახელდობრ: ხაზინის ინტერესების დაცვა. ამიტომ ამგვარი ვითარების ახსნა ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ იმით, რომ...

პრაქტიკოსმა ადამიანებმა ჩვენში შექმნეს მთელი მეცნიერება, რომელსაც საკონცესიო მაგია ეწოდება და რომლის ძალითაც შეუძლებელიც შესაძლებელი ხდება.

ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ დავინახავთ, რომ საქმისაგან განზე მდგარი ადამიანები ზოგჯერ გაჰყვირიან: „ყარაულო, შეიპყარი ქურდი!“ შემდეგ მათ უნდა შეიგნონ, რომ ამაოდ გაჰყვიროდნენ, შეურაცხყოფა მიაყენეს უდანაშაულო კაცს და აწყენინეს უფროსებს. ჩვენც თვითონაც ვფიქრობთ—ვფრთხილობდით—ხომ არ ვაწყენინეთ გენერალ ფალკენჰაგენს, რომელიც პატიოსნად ღებულობდა ქვითრების მიხედვით ყველაფერს, რაც გათვალისწინებულია მთავარი საინჟინრო სამმართველოს მიერ

დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით და ღებულობდა მთავრობის აგენტების მეთვალყურეობითა და კონტროლით, რომელთაც ნავსადგურის მშენებელთან მთელი სამმართველოც კი ჩამოაყალიბეს. ლეგალური თვალთახედვით გენერალი ფალკენჰაგენი არ იცნობს საცნობარო ფასებში დაშვებულ შეცდომებს და გადამეტებას მასალების რაოდენობაში, რომელიც დამტკიცებულია ხარჯთაღრიცხვის მიხედვით. ზუსტად ასევე არ იცის მან, თუ აგენტები—სამუშაოთა მწარმოებლები და მშენებლები—რატომ არ ხედავდნენ, რას აკეთებდა და რას არ აკეთებდა ის. და ამიტომაც ლეგალური, იურიდიული თვალთახედვით, გენერალ ფალკენჰაგენს სრული უფლება აქვს ჩათვალოს თავი შეურაცხყოფილად, თუ კავკასიის ადმინისტრაციას, რომელიც რეალურად აფასებს რა ღრმად პატივცემული მოიჯარადრის მოღვაწეობასა და მისი 35 წლის გამოცდილებას,—არ სურს დაუშვას მისი შემდგომი მომსახურება და აღარ აძლევს იჯარებს ფოთის ნავსადგურის ანგარიშსწორების დამთავრებამდე. ნავსადგურის მშენებლობის სამუშაოები ძალიან კარგ მდგომარეობაშია..... ანგარიშსწორება მოიჯარადრესთან, ე. ი. მის მიერ ფულის მიღება, წარმოებს სწორად; მოიჯარადრის მიმართ არავითარი პრეტენზიები არაა წაყენებული არც მთავარი საინჟინრო სამმართველოს, არც ნავსადგურის საამშენებლო სამმართველოს მხრიდან..... და ყველა ამის საფუძველზე გენერალ ფალკენჰაგენს სრული უფლება ჰქონდა დაებეჭდა თავისი წერილი ბატ. ბახმეტიევის საპასუხოდ; ამ წერილით იგი სრულიადაც არ ფიქრობს უარყოს, რომ ხარჯავდა სამუშაოებზე 50%-ზე ნაკლებს,—ეს მისი კომერციული საქმეა—გვარწმუნებს იგი და რომელ სასამართლოშიაც არ უნდა წარადგინოს მთავარ საინჟინრო სამმართველოსთან დადებული თავისი კონტრაქტი,—სასამართლო კანონიერად ჩათვლის ფალკენჰ აგენისათვის კუთვნილ ყოველგვარ ეკონომიას, რომელიც გაკეთდა კონტრაქტებისა და ქვითრების საფუძველზე და, რომელიც მიღებულია ფოთის ნავსადგურის მშენებლებისა და მწარმოებლებისაგან. თუ ამ დოკუმენტებში მაინც არის, როგორც ჩანს, არახელსაყრელი და შეუსაბამო ხარჯები ხაზინის ანგარიშზე, სასამართლო ამ ზარალის ამოღებას ხაზინას დაავალებს არა მოიჯარადრისაგან, არამედ იმ პიროვნებებისა და დაწესებულებებისაგან, რომელთაც ხაზინის რწმუნება ჰქონდათ და რომელთაც არ დაიცვეს მისი ინტერესები.

ამიტომ ხაზინის გაკოტრების ყველა იურიდიული საქმე ფოთში ჯებირის მშენებლობის ბითუმად წარმოებული სამუშაოების შესახებ შეიძლებოდა საზოგადოებრივი აზრის განსჯის საგნად გამხდარიყო და, როგორც ყური მოვკარით, მისთვის სერიოზული ყურადღება მიექცია კავკასიის ადმინისტრაციას; დარღვეული რომ არ ყოფილიყო ურთიერთხელშეწყობის სამი ფაქტორი—უფლების მიმცემი, სამეთვალყურეო და ამ საშემსრულებლო—გარდა აღფრთოვანებისა, რა უნდა გამოეწვია ჩვენში ფოთის ნავსადგურის გრანდიოზულ მშენებლობას? ჩვენ არ გვეცოდინებოდა, რომ ამ გრანდიოზულობის მისაღწევად საკმარისი იყო ხაზინის მიერ დახარჯული ფინანსების 1/4 და, ამიტომაც, აქ გრანდიოზულობა, ასე ვთქვათ, ორნაირია; თვით სამუშაოებისა და სახაზინო რესურსების განადგურებისა,—ასეთი აზრი კი აფუჭებს მთელ შთაბეჭდილებას... საზოგადოებრივი აზრი იძულებულია დაფიქრდეს..... მიუხედავად მოიჯარადრის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა მხილებისა, ლეგალურად მაინც რატომ უნდა გრძელდებოდეს იგივე.....

IV

„კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო",—ამბობს ბრძნული რუსული ანდაზა, და ჩვენ მოგვიხდება ერთხელ კიდევ დავრწმუნდეთ მის სისწორეში. ვფიქრობდით, ფოთის ნავსადგურის ისტორია წინა სტატიაში დაგვემთავრებინა, მაგრამ ისეთი გაუთვალისწინებელი რამ მოხდა, რომ კიდევ გვიხდება დავწეროთ სტატია ზოგიერთი ხარვეზის შესავსებად.

სიტყვამ მოიტანა და გავიხსენოთ ლათინული ანდაზა თუ აფორიზმები, რომელიც გამოსახულია ჰოლანდიური თუმნიანის ყველაზე საპატიო ადგილზე, სახელდობრ: „Concordia res pariv crescunt discordia macima dilabantun"[5]

ეს ბრძნული ანდაზა ზუსტად ეხება ფოთის ნავსადგურს. რა შეიძლება იყოს ზღვის კენჭებზე, ფხვნილსა თუ დამსხვრეულ ღორღზე უფრო მცირე?! მიუხედავად ამისა, ამ წვრილმანი საგნებისაგან, ბ. ბახმეტიევის ენერგიით, გენერალ ფალკენჰაგენისათვის შეიქმნა კოლოსალური შემოსავალი, 1. 158. 000 მანეთი მშენებლობაზე დახარჯული 1. 900, 000 მანეთიდან. ეს თანხა სხვანაირად

ვერ დარჩებოდა, მისი გამომუშავების სისტემა შესაბამისობაში რომ არ ყოფილიყო ყველა მეცნიერულ-ფინანსურ მოსაზრებებთან, როგორიცაა_ხარჯთაღრიცხვები, პროექტები, სანარდო სამუშაოების წარმოება და თვით ასეთთა შესრულების წესი.

მეორე მხრივ, ბატონ ფალკენჰაგენის მიერ თავისი პირადი ხარჯებისათვის მიღებულმა დიდმა შემოსავალმა, 1.150. 000 მანეთმა, და, ამასთანავე, ბატონ ბახმეტიევთან მისმა უთანხმოებამ, რაც არღვევს არსებულ ჰარმონიას უფლების დამრთველ სამეთვალყურეო და შემსრულებელ ფაქტორთა შორის ფოთის ნავსადგურის მშენებლობაზე,_ერთი ხელისმოსმით გაანადგურა ბატონ ფალკენჰაგენის 35 წლის გამოცდილების მთელი პრესტიჟი და დაჩრდილა მისი ინსტრუქციებით წარმოებული სამუშაოების საერთო მოწონება. უზარმაზარი შემოსავალი _1. 150. 000 მანეთიც კი მირაჟად იქცევა, თუ გავითვალისწინებთ ყოფილი მეგობრების აზრს.

ბატონი ბახმეტიევი ანგარიშობს, რომ ბატონ ფალკენჰაგენს გადასცა 1. 150. 000 მანეთი პირადი ხარჯებისათვის, ხოლო ბატონი ფალკენჰაგენი არ უარყოფს, რომ სამუშაოებიდან 1. 158. 000 მანეთით ისარგებლა. იგი აცხადებს, რომ ამ თანხიდან მას ბევრად ნაკლები დარჩა, რადგანაც მან ბატონ ბახმეტიევს 400 ათასი მანეთი გადაუხადა, საწინდრისათვის დახარჯა პროცენტები 300 ათასი მანეთის რაოდენობით და სხვა ხარჯებიც გასწია; ერთი სიტყვით, ბატონ ბახმეტიევთან უთანხმოების გამო ბატონი ფალკენჰაგენი არარაობად აქცევს ისეთ კოლოსალურ თანხას, როგორიცაა 1. 158. 000 მანეთი.

თავის მხრივ, ბატონი ბახმეტიევი მოიხსენიებს 390 ათასს, რომელიც მიიღო მან სამუშაოების საწარმოებლად, იმოწმებს თავისი კონტრაქტის მე-4 პარაგრაფს და ამით აცამტვერებს ბატონ ფალკენჰაგენის მიერ დასახელებულ დიდ თანხას.

ბატონი ჟარინცევიც სარგებლობს საერთო უთანხმოებით (მისი არსებობა კინაღამ სავსებით დაგვავიწყდა) და ხედავს რა არენაზე დიდ გლადიატორებს_ ბ_ნებს ბახმეტიევსა და ფალკენჰაგენს, აცხადებს, რომ მასაც არაფერი აუღია მოიჯარადრისაგან, გარდა ხელფასისა.

მაგრამ ამ მიეთმოეთზე უფრო მნიშვნელოვანია ის საფრთხე, რომელიც ბ. ბახმეტიევმა ასტრონომიული სიზუსტით გამოიან-

გარიშა. ამ გაანგარიშებით ბატონმა ფალკენჰაგენმა კუთვნილი თანხიდან, ავანსების სახით, იმოდენა ფული მიიღო, რომ დარჩენილი თანხით ნავსადგურის სამუშაოების დამთავრება ნამდვილად უაზრობაა. მეორე მხრივ, აწარმოა რა სამუშაოები მხოლოდ თავისი 35-წლიანი გამოცდილების საფუძველზე, ისე რომ ადგილობრივ პირობებს არ იცნობდა, ბ. ფალკენჰაგენმა მთლიანად დახარჯა სამუშაოთათვის დამზადებული კენჭები და ამიტომაც საშუალება აღარ აქვს, დროულად დაამზადოს ბეტონის მასივები და კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადაში დაამთავროს სამუშაოები.

ამიერკავკასიის უფროსობისთვის, რასაკვირველია, ძნელი არ არის ბატონ ბახმეტიევის გაანგარიშების შემოწმება და, თუ იგი სწორი აღმოჩნდება, მაშინ წამოიჭრება საკითხი—რა ეშველება უიღბლო სანავსადგურო ქალაქ ფოთს, რომელსაც უკვე 26 წელია ჰპირდებიან ბრწყინვალე მომავალს; ის კი, ბატონ ფალკენჰაგენის მილიონიანი მოგების წყალობით, არა და არ ჩანს?

თვითონ ბატ. ფალკენჰაგენი არ უარყოფს ბატ. ბახმეტიევის გაანგარიშებას, მაგრამ ერთმა მისმა თანამოსაგრემ ფოთიდან გამოგზავნა კორესპონდენცია ჯებირის დამთავრების დაჩქარების მიზნით ღამ-ღამობით მუშაობის წარმოების შესახებ. ეს კორესპონდენცია სრულიად მიუკერძოებლად დავბეჭდეთ „ობზორში“; მაგრამ მისთვის არ მიგვიცია დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან, ცხადია, რომ, თუ ისედაც ვერ ხერხდება დროულად ბეტონის მასივების დამზადება, უგუნურება იქნებოდა ორმაგად დაგვეტვირთვა წარმოება. ყოველივე ამის შედეგად იმას მივიღებდით, რომ წარმოებული გათვალისწინებულზე ორჯერ ადრე შეჩერდებოდა... მაგრამ მთავრობასა და კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციას, რომელმაც დიდი ენერგია და ფული დახარჯეს ფოთის ნავსადგურის სასწრაფოდ დამთავრებაზე, რასაკვირველია, საშუალება არა აქვთ გულხელდაკრეფილი უყურონ ამიერკავკასიის სავაჭრო-ეკონომიური ცხოვრების განვითარების სახელმწიფო მანქანის დაღუპვას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა ეს სიძნელე სახიფათოა უფრო ფორმალურად, ვიდრე რეალური თვალსაზრისით, ლეგალობა, რომელიც სანარდო მოიჯარადრის ყველა მოქმედებას ფარავს, სრულიადაც არ გამორიცხავს ხაზინის უფლებებს; ფაქტიური კონ-

ტროლის შემწეობით, რასაკვირველია, ძნელი არ არის განსაზღ-ვრო მოიჯარადრის ნამდვილი ხარჯები და აგრეთვე ყველა ის შეღავათი, რომელიც მას აღმოუჩინეს როგორც მთავარმა საინჟინ-რო სამმართველომ, ისე მშენებლობის სამმართველომაც.

ასეთი კონტროლის აუცილებლობა უკვე განაპირობებს ფოთის ნავსადგურის მშენებლობის სამმართველოსთან და კავკასიის უფ-როსობისთვის საერთო საფუძველზე დამორჩილებას. ამ შემთხვე-ვაში თავს იჩენს ჩვენს პრესაში დიდი ხნის წინათ აღძრული სა-კითხი კომერციული ნავსადგურის მშენებლობის სამხედრო სამ-მართველოსთვის დამორჩილების შესახებ, რაც მტკიცდება კი-დეც ფოთის ნავსადგურის მთელი ისტორიით. ამიტომ ისმის სა-კითხი ამ სახელმწიფო სამუშაოს გზათა სამინისტროსათვის გა-დაცემის შესახებ, რომლის გამგებლობაშიც არის მთელი იმპერი-ის საზღვაო და სანავსადგურო ნაგებობები, ასეთი გადაცემა გან-საკუთრებით სასარგებლო იქნებოდა იმიტომ, რომ ბატ. ჟარინ-ცევის პროექტის განსაკუთრებული უპირატესობა__ეკონო-მია__ახლა უკვე ფაქტიურად გარკვეულია და ამიტომ ამ პროექ-ტის გადასინჯვა მეტად სასარგებლოა, მით უფრო, რომ ნავსად-გური ნატურაში უკვე გამოსახულია და მისი მოცულობის ნაკ-ლოვანებაც ნათელია.

შიგა აუზი კი, ურომლისოდაც სავაჭრო მოძრაობა მეტად გაძნე-ლებული იქნება ნავსადგურის მცირე მოცულობის გამო, ჯერ კი-დევ არაა დაწყებული. მაშასადამე, სანავსადგურო სამუშაობის გზათა სამინისტროსათვის გადაცემა და სანარდო მოიჯარადრის გაუმართლებელი ლოდინის შეცვლა იძლევა იმის სრულ შე-საძლებლობას, რომ შეივსოს ფოთის ნავსადგურის პროექტი ისე, რათა აღმოიფხვრას ყველა უზუსტობა, გამოწვეული სხვადასხვა პირეგნების ინტრიგების გამო, რომელთაც ადგილი ჰქონდა საბოლოო პროექტის დამტკიცების შემდეგ.

ამიტომ არ შეიძლება არ ვცნოთ ბატ. ბახმეტიევის მიერ გამო-თქმული აზრის საფუძვლიანობა (თუნდაც ის გამოთქმული იყო კონკურენტისადმი არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულების გა-მო) სანავსადგურო სამუშაოების ამიერკავკასიის რკინიგზის სამ-მართველოსათვის გადაცემის შესახებ, რადგან ეს უწყება სხვაზე უფრო მეტადაა დაინტერესებული წარმატებით დამთავრდეს ნავ-სადგურის მშენებლობა.

ეს ის აზრია, რომელიც ჩვენ ბევრჯერ გამოვთქვით ჩვენი გაზეთის ფურცლებზე: ნავსადგურს ისე უნდა ვუყუროთ, როგორც რკინიგზის დებარკადერს, რომელიც ქვეყნის შუა ადგილიდან დაიძვრის ზღვისაკენ. ეს აზრი იმიტომ მოგვწონს, რომ ის შესაძლებლობას იძლევა საბოლოოდ გავმართოთ მომავალი ნავსადგური ფოთში. ეს წამოწყება—შეერთებულია თბილისი-ბაქოს ნებადართულ რკინიგზის მშენებლობასთან—ნაწილი გახდება მთელი მშენებლობისა, რის შემდეგაც ფოთის ნავსადგურის მშენებლობის დასამთავრებელი თანხა, შესაბამისი მის ნამდვილ მნიშვნელობასთან, ანაზღაურდებოდა რკინიგზის აქციების გარკვეული რაოდენობის გამოშვებით. ეს კი გაათავისუფლებდა სახელმწიფო ბიუჯეტს ყოველწლიური მილიონობით მანეთის ხარჯისაგან, რაც არცთუ ისე იოლია.

3. ისევ ფოთის ნავსადგურის შესახებ

თბილისი, 23 თებერვალი, 1880 წ.

გუშინ, 23 თებერვალს, რუსული ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში შედგა მეტად საინტერესო საუბარი ბატ. ჟარინცევის რეფერატის („მასალები ფოთის ნავსადგურის ისტორიისათვის") გამო. რაღა თქმა უნდა, ეს მასალები გამოგონილია და ამ ქვეყანაზე გაჩნდა მხოლოდ ბ-ების ფალკენჰაგენისა და ბახმეტიევის ურთიერთმხილების შედეგად ფოთის ნავსადგურის მშენებლობის დროს კოლოსალური დატაცების გამო. ბატონი ჟარინცევის რეფერატის მთავარი მიზანი იყო, ასე ვთქვათ, თავგზა აებნია საზოგადოებრივი აზრისათვის და ყურადღება ფოთის ნავსადგურის მშენებლობის დროს ჩადენილი ბოროტმოქმედებებიდან გადაეტანა ჯებირის მშენებლობის ტექნიკურ შესრულებაზე, რაც ამდენ ხანს გულმოდგინედ იყო დაფარული საქმეში ჩაუხედავ ადამიანთათვის. მაგრამ მოიჯარადრის ბანაკში არსებული უთანხმოების შედეგად ამგვარი გულახდილობა საჭირო აღარ არის, ოღონდ იმავე გარემოებამ, პირიქით, ძალზე რელიეფურად დაჩრდილა ფალკენჰაგენის 35 წლის გამოცდილების სასიკეთო გავლენა და წინა პლანზე წამოწია თვით ბ. ჟარინცევის ტექნიკური ნიჭი და ცოდნა. უნდა გვახსოვდეს რა უბადრუკი როლის შესრულება მოუხდა ბ. ჟარინცევს ბახმეტიევისა და ფალკენჰაგენის ბრძოლაში, მიუხედავად იმისა, რომ მას ორჯერ მიეცა შესაძლებლობა ყოფილიყო მოიჯარადრის მოღვაწეობის მეთვალყურე.

გასაგებია, რომ ასეთ პირობებში მასალები ფოთის ნავსადგურის ისტორიისათვის წარმოადგენს მხოლოდ მასალას ბატ. ჟარინცევის განსადიდებლად და უნდა შევთანხმდეთ, რომ ისინი რედიჟირებულია საკონცესიო ხელოვნების ყველა წესის მიხედვით. ყოველი ფაქტი დამოწმებულია რიცხვით, ნომრით, მიწერ-მოწერისა და წარდგენების დროის აღნიშვნით, მაგრამ გასაგებია, რომ ყველაფერის დამოწმება შეუძლებელი იყო და ამიტომაც ზოგიერთი უყურადღებოდაა დატოვებული, ზოგი მხედველობაში არაა მიღებული, ხოლო ზოგი საერთოდ მივიწყებულია; მხოლოდ მეოთხე ხარისხის დამოწმება შეიქნა ხელსაყრელი ჟარინცევისათვის და მას აცნობენ დიდად პატივცემულ საზოგადოებას, როგორც

ბატ. ჟარინცევისა და კომპანიის სამსახურებრივ და ტექნიკურ დამსახურებას.

ამ მიზნით შესაბამისად ბატ. ჟარინცევის რეფერატი იყოფა სამ ნაწილად.

პირველ ნაწილში გამოცემულია ნავსადგურის ყოფილი მშენებლის ბატ. შავროვის შეცდომების ისტორია, ბატონ ჟარინცევისა და კომპანიის მიერ რუსეთის სასიკეთოდ გაკეთებული შესწორებანი და აგრეთვე ის შედეგი, რომელიც ამხილეს ბ-ნებმა ბახმეტიევმა და ფალკენჰაგენმა.

სხვათა შორის, როდესაც ბატონი ჟარინცევი ყოფილი მშენებლის სახელს ასე შეურაცხყოფს ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩაფიქრებული აქვს საკუთარი განდიდებისათვის ააგოს პიედესტალი, მაგრამ მისი ორმაგი Jiasca, დაწყებული მთავრობის ზედამხედველისა და მეთვალყურის თანამდებობიდან მეიჯარადრემდე, ვფიქრობთ, გარკვევით ადასტურებს, რომ სხვათა შეცდომებიდან (თუ იყო ასეთი და თუნდაც ძალიან დიდი) ჩვენს დროში ჯერ კიდევ არ შეიძლება შეიქმნა მაღალი რეპუტაცია.

ბატონ ჟარინცევის მიერ შეგროვებული მასალების დეტალურ განხილვას ჩვენ არ შევუდგებით—ეს ყოფილი მშენებლის საქმეა. ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ საკითხის საერთო მდგომარეობა—მხილება იმ ბოროტმოქმედთა, რომლებიც აფერხებენ ფოთში ნავსადგურის მშენებლობას.

მეორე ნაწილში ბატ. ჟარინცევი ამტკიცებს ფოთის ნავსადგურის მისეული პროექტის უპირატესობას ბატ. შავროვის პროექტთან შედარებით; ეს მტკიცებანი ამჯერადაც ისე ოსტატურად არის დაჯგუფებული, როგორც პირველ ნაწილში, ბატ. ჟარინცევმა თავისი პროექტის მთელი ღირსება დაასაბუთა იმით, რომ ნავსადგური აგებულია არა ჩრდილოეთის ტოტის შესართავის წინ, არამედ ამ უკანასკნელის ჩრდილოეთ ნაპირთან; ჟარინცევს ავიწყდება, რომ ეს აზრი ეკუთვნის ბატ. ფალკენჰაგენს და მთავარი განსხვავება ამ ორი პროექტის მოხაზულობებს შორის ის არის, რომ იგი ცალკე შინაგანი ჯებირით ნავსადგურის წინა ნაწილს ტიხრავს, რითაც ნავსადგურის შიგნით ღებულობს ხელოვნურ რიფს; ეს კი სუსხიან დარში ხელს შეუშლიდა ყოველნაირი ხომალდის წინა ნავსადგურის დარჩენილ ნაწილში შესვლას. ამასთა-

ნავე, ძალზე რეალური ხდება საფრთხე, რომ სამხრეთ და შიგა ჯებირს შორის წარმოქმნილი ზღვის ტალღებით ხელი შეეშალოს საჭის სწორ მოქმედებას და რასაც შეიძლება მოჰყვეს მისი ჯებირზე დაჯახება ან ნაპირზე გარიყვა. გარდა ამისა, იგივე ტალღები გამოინვეედა ღუზაჩაშვებული ხომალდის განუწყვეტელ რყევას. ყველაფერი ამის შესახებ ბატ. ჟარინცევს ხმა არ ამოუღია, ლაპარაკობდა მხოლოდ თავისი პროექტის უპირატესობაზე და ერთი სიტყვაც კი არ წამოსცდენია იმის შესახებ, რომ შინაგანი ჯებირი ბატ. ჟარინცევის პროექტის ნაკლი იყო, რამაც აიძულა ყოფილი მშენებელი ბატ. შავროვი ჯერ იგი მიეღებინებინა მთავარ საინჟინრო სამმართველოსთვის, შემდეგ კი მიემართა სამხედრო მინისტრისათვის და გამოეთხოვა ნებართვა, გადაესინჯა მიღებული პროექტი გზათა მიმოსვლის სამინისტროში.

ამ გადასინჯვის შედეგებს ბატონი ჟარინცევი გადმოსცემს არა ნამდვილი საბუთების, არამედ მთავარი საინჟინრო სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენების მიხედვით კავკასიის კომიტეტში, ე. ი. ისტორიკოსის მოქნილობა იმით გამოიხატება, რომ იგი ფაქტებს თვითონ კი არ ატანს ძალას, არამედ კმაყოფილდება მათი იმ ვერსიის გადმოცემით, რომელიც ეკუთვნის მთავარ საინჟინრო სამმართველოს. ეს კი ის უწყებაა, რომელიც დაინტერესებული იყო დაემტკიცებინა, რომ ის არ შემცდარა, როცა ბატონ ჟარინცევის პროექტი აირჩია.

ჟარინცევის რეფერატის მესამე ნაწილი ყველაზე უფრო საინტერესოა; მასში მოცემულია ჯებირის ასაგები სამუშაოების აღწერა, რაც ამდენ ხანს უცნობი იყო. ამ ნაწილის გადმოცემისას ბ. ჟარინცევმა რამდენადმე ისარგებლა ბატ. ხლესტაკოვის[7] უტიფრობით, ვინაიდან მისი განცხადება, რომ ყველაფერი კეთდებოდა პირადად მის მიერ, სიცრუეა არა მარტო იმიტომ, რომ ნავსადგურში მშენებელთა მთელი ლეგიონია, არამედ იმიტომაც, რომ არსებობს ბატ. ბახმეტიევი, რომელიც იყო ნამდვილი ორგანიზატორი და ინიციატორი ნავსადგურის სამუშაოებისა, რაზედაც წინათ ბატონი ჟარინცევიც საქვეყნოდ აცხადებდა და თვლიდა, რომ თვითონ იმის ღირსიც კი არ არის, თასმები შეუკრას ბახმეტიევს წაღებზე. ამიტომ ისტორია, ალბათ, თავის ადგილს მიაკუთვნებს ბბ. ბურგმეისტერის, პეტერსენის, მეიერისა და რაკინტის მოღვაწეობას. იმედია, არ დაივიწყებს არც ბატ. ბახმეტიევს, რომელ-

მაც ძალიან ბევრი იშრომა ბატ. ფალკენჰაგენის 35 წლიანი გამოცდილებისათვის. ყველა ესენი, პრეტენდენტები არიან ფოთის ნავსადგურის მომავალ შემქმნელთა დიდებისა. ამიტომ ამ დიდების მონოპოლია მხოლოდ ბატონ ჟარინცევს რომ მიეკუთვნოს—ოდნავადაც ვერ იქნება სამართლიანი.

თვით სამუშაოებით განსაკუთრებული დაინტერესების გარდა, რომელიც გამოიხატა ნახაზებისა და ფოტოგრაფიების სიუხვით, გუშინდელი სხდომა კიდევ უფრო საინტერესო იყო, როგორც მომავალზე მითითება. ბატ. ჟარინცევის გაანგარიშებით, ბატ. ფალკენჰაგენს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია თავისი სამუშაოების ვადაში დამთავრება; განსაკუთრებით ძნელი იქნება მინის თხრა, რომლის შესრულება შესაძლებელი იქნება მხოლოდ 1883 წლისათვის, ისიც იმ შემთხვევაში, თუ იმუშავებს ორი ძლიერი მიწახაპია. ეს პერსპექტივა იმედს გვიკარგავს ვიხილოთ ფოთის ნავსადგურის მშენებლობის დამთავრება ოთხ წელზე უფრო ადრე; ამგვარი ვითარება გვაიძულებს დავფიქრდეთ, როგორ ხდება, რომ მთავრობის ყველა ენერგიული ღონისძიება, მისი ყველა მსხვერპლი პარალიზდება მოიჯარადრის ცუღლუტობით?! იგი ხომ ვალდებულია ზუსტად დაიცვას კონტრაქტი და სამუშაოების ვადაში დაუმთავრებლობისათვის პასუხი აგოს გირაოებით. ნუთუ მოიჯარადრის ხელმოკლეობა აუცილებლად უნდა გამოიხატოს ისეთივე ხმამაღალი და მოულოდნელი ყვირილით, როგორიც ძმები ჯანჯულაზოვების გაკოტრებას მოჰყვა? ან ნუთუ შეუძლებელია მოსალოდნელი გაკოტრების გათვალისწინება და მისი თავიდან აცილება? აი, საკითხი, რომლის ახსნა-განმარტებასაც ვთხოვდით ბატონ ტექნიკოსებს მთელი ამიერკავკასიის საკეთილდღეოდ. ჩვენს მხარეს უზარმაზარი ზარალი ადგება ფოთის ნავსადგურის მშენებლობის გაჭიანურების გამო.

სხდომა, სხვათა შორის, კომიკური ეპიზოდით დასრულდა. როცა ბატ. ჟარინცევმა თავისი პროექტის უპირატესობა დაამტკიცა და დადგა დრო მის მიერ გამოთქმული აზრების განხილვისა, სხდომის თავმჯდომარემ გერსევანოვმა სხდომაზე დამსწრე გზათა მიმოსვლის ინჟინერს ბატ. გოლოვაჩევს—ოდესაში ნავსადგურის მშენებლობის მონაწილეს—სთხოვა გამოეთქვა თავისი აზრი პროექტის შესახებ. ბატ. გოლოვაჩევმა ამ თხოვნას უპასუხა

კითხვით—სად იქნება ბოლოს და ბოლოს ნავსადგური? წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ის ხედავს, რომ აღძრულია საკითხი ჯებირის აგების შესახებ, იქმნება წინა ნავსადგური, მაგრამ შიდა ჯებირით გადატიხრული ნავსადგური იმდენად მცირეა, რომ საეჭვოა მან დააკმაყოფილოს ფოთის სავაჭრო მოძრაობა. ამაზე ბატ. ჟარინცევმა უპასუხა, რომ შიდა ჯებირი, ალბათ, გაუქმდება, რასაც მოჰყვება აუზის ამოთხრა და მისი შეერთება მდინარესთან.

—ესე იგი, თქვენ, როგორც ჩანს, გადახვალთ პოლკოვნიკ შავროვის პროექტზე,—შეეპასუხა ბატ. პალაბანი. მაგრამ მისთვის არ უპასუხნიათ და ბატონმა თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

4. ჰერათი

თბილისი, 8 თებერვალი, 1880 წ.

ამ ბოლო დროს ჰერათის სახელი მუდმივად გვხვდება დეპეშებსა და პოლიტიკურ ცნობებში. მდგომარეობის გათვალისწინებისას შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჰერათი თავდაპირველად შეიძლება დიპლომატიური ინტრიგებისა და კომბინაციების სარბიელი გახდეს და შემდეგ კი, შეიძლება, ეს სარბიელი რუსეთსა და ინგლისს შორის სამხედრო მოქმედების ასპარეზადაც კი გადაიქცეს, თუ ეს უკანასკნელი ხელს არ აიღებს რუსეთის მიმართ შემტევ და გამომწვევ პოლიტიკაზე და, ინდოეთის უშიშროების უზრუნველყოფის საბაბით, ისე როგორც ახლა, გაბედულად დაიწყებს წინსვლას ჩვენი შუა აზიის სამფლობელოებისაკენ. ამიტომ სასარგებლოდ მიგვაჩნია გავიხსენოთ ზოგიერთი გეოგრაფიული და ისტორიული ცნობა ჰერათზე, რომელიც ახლო მეზობელია ჩვენი კასპიისპირეთის პროვინციებისა.

ჰერათი, ძველი არიანა, შედგება ჰერათის, გურიანის, საბზორის, ბაკუის, კერხუისა და ობეს ოლქებისაგან, სადაც 300 ათასი კაცი ცხოვრობს. ჰერათზე დამოკიდებული არიან: გეზარეს ტომი (კოლენოსა და მურღაბის ოლქები), რომლის რაოდენობა 145 ათას სულს უდრის, და ფირუზ-კუხის ტომი, რომელიც 60 ათას სულს არ აღემატება. სახანოს დედაქალაქი—ჰერათი—გეოგრაფიულად გზაჯვარედინზე მდებარეობს. აქ თავს იყრიან გზები სპარსეთიდან, თურქმენეთიდან, ბუხარიდან და მიემართებიან ავღანისტანსა და შემდეგ—ინდოეთში.

ჰერათის კლიმატი ზომიერია, ნიადაგი განთქმულია თავისი ნოყიერებით, რაც განპირობებულია უხვი რწყვით, ამ მიზნით გამოყენებულია მდინარე გერირუდი. ჰერათში ორივე სქესის 45 ათასი მცხოვრებია. ნადირ-შაჰის მეფობის დროს იგი სპარსეთის შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ, ვინაიდან მისი სიკვდილის შემდეგ სპარსეთის ძლიერება სწრაფად ეცემოდა, არა ნმიდა სპარსული ტომებით დასახლებული ჰერათი ხან ჩამოშორდებოდა სპარსეთს, ხან კვლავ მის ხელში გადადიოდა. უკანასკნელ წლებში (1837-1838) მუჰამედ-შაჰს უნდოდა იგი სპარსეთისათვის დაებრუნებინა და საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯარით დაიძრა იმ დროისათვის კარგად დაცული ამ ციხე-სიმაგრისაკენ; მის გარშემო მი-

წაყრილზე აღმართული იყო ქვის კედლები და გარშემო შემოვ-ლებული ჰქონდა წყაროს წყლით სავსე თხრილი. ციხესიმაგრე ოთხკუთხედის ფორმისა იყო, ეჭირა $1^2/_3$ კვადრატული ვერსის ფართობი და ჰქონდა ხუთი ჭიშკარი.

იმ ხანებში ჰერათში 60 ათასი კაცი ცხოვრობდა. მუჰამედ-შაჰს ლაშქრობაში თან ახლდა ჩვენი წარმომადგენელი გრაფი სიმონი-ჩი და გენერალური შტაბის კაპიტანი ბლარემბერგი.

თავდაპირველად შაჰი დაკმაყოფილდა ორი ჭიშკრის ბლოკა-დით; ამით კი, ინდოეთიდან საგანგებოდ წარმოგზავნილი ინგლი-სელი ოფიცრის—პოტინჯერის ხელმძღვანელობით, ავღანელებს საშუალება მიეცათ ციხესიმაგრის გარნიზონის გამაგრებისა და საჭირო სურსათ-სანოვაგის შეზიდვისა.

სპარსელების მოქმედება თავდაპირველად წარუმატებლად წა-რიმართა, მაგრამ ბლარემბერგის ჩასვლის შემდეგ შედგა ალყის ახალი გეგმა; ააფეთქეს ნაღმები, რის შედეგადაც დაინგრა კოშ-კის ერთი ნაწილი და ამოივსო თხრილი. ამ მოქმედების დროს თე-ირანიდან ჩამოვიდა ინგლისელთა წარმომადგენელი მაკ-ნეილი, რომელიც ცდილობდა როგორმე გადაეფიქრებინა შაჰისთვის ჰერათის დაპყრობა. მაკ-ნეილმა ვერ მოასწრო ჩანაფიქრის გან-ხორციელება, მაგრამ გამოითხოვა ალყაშემორტყმულ ქალაქში შესვლის უფლება და შაჰს დაჰპირდა, რომ ჰერათელებს დაარ-წმუნებდა მორჩილების გამოცხადების აუცილებლობაში და თან წამოიყვანდა ავღანელების წინამძღოლს იარ-მუჰამედ-ხანს. მაკ-ნეილმა ქალაქში 24 საათს დაჰყო, ინახულა პოტინჯერი და, რო-გორც ავღანელები გვარწმუნებენ, ურჩევდა იარ-მუჰამედ-ხანს, წინააღმდეგობა გაეწია ბოლომდე და გადასცა მას რამდენიმე ათა-სი სუვერენი. ავღანელებმა მიიღეს მაკ-ნეილის რჩევა, მაგრამ სპარსელები ისეთი წარმატებით მოქმედებდნენ, რომ ალყაშემორ-ტყმულ ქალაქს უკვე აღარ შეეძლო წინააღმდეგობა და სურსათ-სანოვაგის ნაკლებობის გამო იარაღი უნდა დაეყარა. მაშინ და-სახსნელად გამოჩნდა ინდოეთიდან წარმოგზავნილი პოლკოვნი-კი სტოდარტი, რომელმაც სპარსეთის შაჰს გადასცა ბრიტანეთის მთავრობის ულტიმატუმი იმის შესახებ, რომ სპარსეთის მიერ ჰერათის შეერთება განხილული იქნებოდა, როგორც ინგლისი-სათვის ომის გამოცხადება. და ვინაიდან ინგლისელთა ათიათა-

სიანი კორპუსი მზად იყო ინდოეთიდან ავღანეთში შესასვლელად, ცხადია, სპარსელები უარაფროთ უნდა წასულიყვნენ ჰერათიდან. 1839 წლის შემოდგომის დასაწყისში იგი ტოდლის მეთაურობით ინდოეთის ჯარმა დაიკავა; ტოდლი იქ მანამდე მბრძანებლობდა, სანამ ინგლისელთათვის ასე წარმატებულმა ავღანეთის ექსპედიციამ ბოლო არ მოუღო ამ ამბებს.

ინგლისელების წასვლის შემდეგ ჰერათი რამდენიმე ხანს დამოუკიდებელი სამფლობელო იყო ყომრან-მირზასა და იარ-მუჰამედ-ხანის მმართველობით. 1852 წელს სპარსელებმა დაიკავეს ჰერათის ციხესიმაგრე. მაშინ ინგლისელთა წარმომადგენელმა მოსთხოვა შაჰს ქალაქის დატოვება და მიაღწია კონვენციას, რითაც სპარსეთს მსგავსი საქმიანობა ეკრძალებოდა მომავალშიც; შემდეგ, 1856 წელს, დოსტ-მუჰამედ-შაჰმა ქაბულელმა მოიწადინა მისი დამორჩილება, რასაც შედეგად მოჰყვა სპარსეთის ჯარების მიერ ჰერათის დაკავება, ყოველივე ამას კი—ომი სპარსელებსა და ინგლისელებს შორის, რომელიც სპარსელების დამარცხებით დამთავრდა. ინგლისელებმა ინდოეთიდან ბენდერ-ბუშირში გადასხეს ჯარი და მიაღწიეს შირაზამდე, სადაც მოხდა სპარსელებისთვის წარუმატებელი შეტაკება. ამის შედეგად, 1857 წელს დაიდო კონვენცია, რის შესახებაც ახლა გაზეთები ლაპარაკობენ.

ამ ომის შემდეგ სპარსულ ენაზე გამოიცა გაზეთ „შემთხვევითი ამბების ღღიურის“ რედაქტორის ხაჯი-მირზა-ჯაბარის მეტად საინტერესო ბროშურა „ჰერათის დაკავების (1858 წ.) წინა მიზეზები“, რომელიც, მისი თქმით, დაწერილია სატახტო ქალაქის (თეირანის) მცხოვრებთა დაჟინებითი მოთხოვნით. ეს ბროშურა თბილისში თარგმნეს რუსულად და იგი შეგვიძლია ჩავთვალოთ სპარსელების მაშინდელი პოზიციის გამომხატველად.

1838 წლის ომის შესახებ ამ ბროშურიდან ამოვწერთ შემდეგს:

ბრიტანეთის მთავრობის პოლიტიკას წარმატება ჰქონდა და მუჰამედ-შაჰს, მიუხედავად ვეებერთელა ხარჯებისა (დაახლოებით 5 კურური, ანუ 7.500.000 მან.) და უამრავი სპარსელის გაღატაკებისა, მაინც უნდა შეესრულებინა დიდი ბრიტანეთის მოთხოვნა და გაბრუნებულიყო ჰერათის კედლებიდან იმ დროს, როცა ქალაქი მზად იყო დაცემულიყო სპარსული იარაღის წინაშე. ამის შემდეგ სპარსეთის მთავრობას მხოლოდ უმდიდრესი საჩუქრებითა და

სხვადასხვა მოწყალებით შეეძლო შეეჩერებინა თავშეუკავებელი ავღანელები განუწყვეტელი ძარცვა-ყაჩაღობისაგან.

1856 წლის ლაშქრობის შესახებ, სხვათა შორის, ბროშურაში წერია:

ემირ დოსტ-მუჰამედ-ხანის მტრული წამოწყებების შემდეგ სპარსეთის მთავრობა სერიოზულად შეუდგა მზადებას ჰერათის დასაკავებლად. ამ მიზნით ის თანდათან აგზავნიდა იქ ჯარს თავისი რაზმების შესავსებად და ავღანელთა თავდასხმების მოსაგერიებლად. როცა ჯარს საბოლოოდ მოუყარეს თავი, კიდეც დაიკავეს ჰერათი. ავღანელებმა სრული მორჩილება გამოაცხადეს და დაიწყეს მონანიება, რის შედეგადაც მათ პატიება უწყალობეს. ეს ლაშქრობა სპარსელებს 4 კურორი დაუჯდათ.

დასასრულ, ჩვენ არ შეგვიძლია არ შევიგნოთ ის, რასაც ამბობენ ჰერათზე, რომ იგი სპარსელებისათვის ყოველთვის უბედურების წყაროა. ეს აზრი იმაზე მიგვითითებს, რომ სპარსეთის სიმდიდრე თითქოს როგორღაც გადადიოდა ჰერათელების საკუთრებაში და, გარდა ამისა, მთლიანად ეს ოლქი გადაიქცა სპარსელთა ჯარების სასაფლაოდ; აღარაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ, ჰერათელების დანაშაულებრივი მოქმედებების შედეგად ხორასნის ოლქი სამანამდე და დიმგანამდე ყოველთვის იყო საგანგებოდ აღელვებული სპარსეთის წინააღმდეგ.

1862 წელს ინგლისის მიერ ნაქეზებული დოსტ-მუჰამედ-ხანი (დიდი ბრიტანეთი მას ყოველწლიურად ერთ მილიონ მანეთს უხდიდა ჯარების შესანახად), მიადგა ჰერათის ციხე-სიმაგრეს და 1863 წელს აიღო კიდეც. ამ დროიდან იგი ავღანეთის ნაწილია და, ამრიგად, უკვე მემკვიდრეობით გადავიდა ყოფილი ემირის შირ-ალის ხელში; მან კი, როგორც ცნობილია, გადასცა იგი თავის შვილს იაკუბ-ხანს, რომელიც 1871 წელს მამის წინააღმდეგ გამოვიდა. ეს შუღლი და მტრობა ინგლისის ჩარევით შერიგებით დამთავრდა, მაგრამ იაკუბ-ხანმა 1874 წელს ისევ აღმართა ამბოხების დროშა. მაშინ შირ-ალიმ შეიტყუა შვილი ქაბულში და ციხეში ჩასვა, სადაც იგი დამწყვდეული იყო შირ-ალის რუსეთში გამგზავრებამდე. ახლა იაკუბ-ხანი ინდოეთშია ინგლისელთა ტყვეობაში.

როცა ინგლისი დარწმუნდა, რომ შირ-ალი მისი ინტერესების კარგი დამცველი იქნებოდა, 1870 წელს მან ექსპედიცია გაგზავნა გენერალ გოლდსმიტის მეთაურობით, რომელსაც ავღანეთი უნდა გაემიჯნა სპარსეთისაგან. მაგრამ, მიუხედავად სამწლიანი მოღვაწეობისა, ექსპედიციამ ეს არამცთუ ვერ მოახერხა, უმცირესი სარგებლობაც კი ვერ მოუტანა სასაზღვრო საკითხების გადაწყვეტის საქმეში. მაგრამ ამის შესახებ ინგლისი, ალბათ, ყველაზე ნაკლებ ფიქრობდა; როგორც ჩანს, მას უფრო აინტერესებდა ამ ქვეყნის გაცნობა და შესწავლა თავისი მომავალი გეგმებისათვის.

ჩვენ ზემომოყვანილი ფაქტები გავიხსენეთ საკუთრივ იმისათვის, რათა ვაჩვენოთ, რომ ინგლისი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა არა მარტო დიპლომატიურად, არამედ იარაღითაც სპარსეთის მიერ ჰერათის დაკავებას. ამიტომაც განსაკუთრებით განსაცვიფრებელია მოწყალება—სპარსეთის მიერ ჰერათის დაკავება, რაზედაც, სხვათა შორის, ლორდმა ბიკონსფილდმა უარი თქვა პარლამენტის წინაშე. ამ გარემოებას მაინც არ შეუძლია საზღვრებზე დიპლომატიურ და სამხედრო კომბინაციათა მსვლელობის შეჩერება.

ინგლისის მთავრობამ მიიღო კუნძული კვიპროსი მცირე აზიის პროტექტორატისათვის; ეს მეტად სამძიმოა თურქებისათვის, ვინაიდან ინგლისელებმა კვიპროსის საშინაო ცხოვრება და პოლიტიკაც უშუალოდ დაუქვემდებარეს ინგლისის სამინისტროს კონტროლს. ამით ძალიან კმაყოფილია ინგლისის მთავრობა, რომელიც მუდმივ საბაბს ეძებს წარმოაჩინოს თავისი ძლიერება და მიაღწიოს განსაკუთრებულ უპირატესობებს თურქეთის ექსპლუატაციის საქმეში.

ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ლორდ ბიკონსფილდს დიდი სურვილი აქვს სპარსეთიც ოსმალეთსავით ვასალურ მდგომარეობაში ჩააყენოს. სპარსეთისათვის ჰერათის გადაცემა არ შეიძლება იყოს სავსებით უდავო, მაგრამ, რასაკვირველია, სპარსეთმა ზოგი რამ უნდა დათმოს, რითაც ისარგებლებს ინგლისი და ისევე დაამყარებს პროტექტორატს სპარსეთის შაჰზეც, როგორც ეს დამყარებული აქვს თურქეთის სულთანზე.

5. ქართული თეატრი

ჩვენს დროში, ველურის გარდა, ალბათ, ვერავინ გაბედავს იმ განუზომელი სარგებლობის უარყოფას, რომელიც მოაქვს თეატრს საზოგადოებრივი პროგრესისათვის. ყველა ხალხს, ყოველ ადამიანს აქვს სულიერი ცხოვრების მოთხოვნილება და არაფერს არ შეუძლია მისცეს ისეთი უხვი საკვები მის გონებასა და გულს, როგორც თეატრს. რა თქმა უნდა, ხალხის ინტელექტუალურ ცხოვრებაში მეცნიერებასა და ლიტერატურას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ თეატრის გავლენა მასზე შეუდარებლად დიდია და სრული. თეატრი ყოველთვის უფრო ენერგიულად მოქმედებს ადამიანის ყოველგვარ ნიჭზე და მთლიანად იპყრობს მის სულიერ სამყაროს. თეატრი—ეს თვით ცხოვრებაა ყოველი მისი ნიუანსით და, როცა ადამიანი თეატრშია, ცხოვრებას უშუალოდ ეცნობა, რადგან იგი იმ ცხოვრებით ცხოვრობს, რომელსაც უყურებს, განიცდის და ფიქრობს ყველაფერზე, რაც სცენაზე ხდება. იგი, ასე ვთქვათ, მსახიობის მდგომარეობაში იყენებს თავს. ყოველი გრძნობა, ტანჯვა და აზრი სცენიდან უშუალოდ, ცოცხალი სახით მიდის მასთან და მაყურებელი, რა ფლეგმატური და ცოცხალ-მკვდარიც უნდა იყოს, უნდა თუ არა, მაინც იძულებულია იცხოვროს, იგრძნოს და იაზროვნოს.

თეატრის ამგვარი ნაყოფიერი ზემოქმედება ხალხზე კიდევ უფრო იზრდება ჩვენში, საქართველოში, რადგან გონებრივი და ზნეობრივი განვითარების ყველა სხვა სტიმული თითქმის დაკნინებულია.

გარკვეული დროიდან გონებრივი განვითარება საქართველოში შეჩერდა. ამგვარი გონებრივი უძრაობისა და აპათიის გამო უმძიმესი სურათი მივიღეთ. აზრის ასეთ უმოძრაო მთვლემარებაში თითქმის შეუძლებელი იყო იმის შემჩნევა, შეეძლოღა მას გამოღვიძება და წინსვლა შემეცნების გზაზე, ლიტერატურა ყველა თავისი წარმომადგენლით ოდესღაც ძლიერ გამოცოცხლებას რომ იწვევდა ხალხში და ზოგიერთ ოპტიმისტს მომავლის იმედებს უღვიძებდა, უეცრად მოდუნდა, დაკარგა პრესტიჟი და ნელ-ნელა დაიწყო დაქვეითება.

ქართული ლიტერატურის იმ ქომაგთა ერთგულება და მგზნებარება, მისი თავგამოდებული და გულწრფელი მსახურნი რომ

იყვნენ და ცდილობდნენ მამაცურად, ვაჟკაცურად დაეცვათ სამშობლოს ინტერესები, მნიშვნელოვნად დაცხრა და მათი ტალანტი, უძრაობისა და სულიერი საკვების უქონლობის გამო, თვალნათლივ კვდება... ლიტერატურა, რომელიც გადაიქცა პირადი წვრილმანი კინკლაობის იარაღად, ნელ-ნელა ჩაჩუმდა და ბოლოს მძორის სუნი კი აუვიდა...

რაც შეეხება მეცნიერებას, საკუთრივ ქართულ მეცნიერებას, დიდად სამწუხაროა, მაგრამ მასზე ლაპარაკი სასაცილოც კია. რომელ დარგში გამოჩნდნენ ან ახლა რომელ დარგში იღვწიან, დამოუკიდებელი მოღვაწენი? სულს სევდა იპყრობს, როცა ამ თემაზე ერთი წუთით მაინც დაფიქრდები...

ასევე ცოტა დამამშვიდებელი რამის თქმა შეიძლება ხალხის განვითარების სხვა წყაროებზეც, რომლებიც ჯერჯერობით ჩანასახის მდგომარეობაში არიან.

აი, ასეთ მდგომარეობაში იმყოფება ქართული საზოგადოება და უეცრად თითქოსდა მიწიდან ამოიზარდა ჩვენში თეატრი. ადვილი წარმოსადგენია ის აღტაცება, რომლითაც ქართველები საკუთარი სცენის დაარსებას შეხვდნენ. ქართულმა საზოგადოებამ, აქ მის მიმართ სამართლიანი უნდა ვიყოთ, მაშინვე იგრძნო, რომ ახალი ცხოვრების სიომ დაჰბერა და საქართველოს ყველა კუთხემ და ჩვენი საზოგადების ყველა ფენამ ამ სიახლის მიმართ გულწრფელი სიმპათია გამოამჟღავნეს. წარმოდგენა რომ შეგვექმნას იმ ცოცხალ და ბავშვურად აღტაცებულ სიხარულზე, როგორითაც ქართველები თავიანთი თეატრის მიმართ არიან გამსჭვალულნი, უნდა დავესწროთ ქართულ წარმოდგენებს, განსაკუთრებით რომელიმე პოპულარული მსახიობის ბენეფისს. არა მგონია სადმე სხვაგან, თვით სატახტო ქალაქშიც კი, რომელიმე მსახიობს შეეძლოს ისე მოიწონოს თავი ხალხის მიერ გამოვლენილი სიმპათიით, როგორც ჩვენი თეატრის მსახიობს. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ უმეტეს შემთხვევაში ბილეთებს ყიდულობენ წარმოდგენის გამართვამდე ერთი კვირით ადრე, თანაც ყიდულობენ ნამდვილ ღირებულებასთან შედარებით ხუთჯერ, ათჯერ უფრო ძვირად; ან ის რად ღირს, რომ თვით ხალხმა მოაწყო ორგანიზებული ხელმოწერა ფულის შესაგროვებლად, რათა მსახიობებისათვის საკმაოდ ძვირფასი საჩუქრები ეყიდათ. ეს კიდევ არაფერი. აქ მთავარია ის შეგრძნება, ის ზნეობრივი განწყობილება,

რომელიც ხალხს ეუფლება წარმოდგენის მსვლელობის დროს. ჩვეულებრივ ადამიანი თავს თეატრში ისე გრძნობს, თითქოს სტუმრად იყოს, უცხო ადამიანები გარკვეული თვალსაზრისით მის თავისუფლებას ზღუდავენ. ქართულ თეატრში კი ყველაფერი პირიქითაა. ყველა ისე გრძნობს თავს, თითქოს თავის უახლოეს, ინტიმურ მეგობართან იყოს და განიცდის იმ კმაყოფილებასა და ნეტარებას, რასაც ახლობელი ადამიანის გვერდით ყოფნა გვანიჭებს. უბრალოება, ზოგჯერ ფამილარობაც კი და რაღაცნაირი სასიამოვნო აღგზნება,—აი, ასეთია ქართული ნარმოდგენების დამახასიათებელი მომენტები... მსახიობის წარმატებასა და წარუმატებლობას ჩვენი ხალხი განიცდის როგორც პირად წარმატებასა და წარუმატებლობას და მსახიობის ყოველ სიტყვას, ყოველ ჟესტს თან სდევს მოწონება ან გაკიცხვა.

მაგრამ კიდევ უფრო საოცარია ხალხის დამოკიდებულება დასისადმი თეატრის გარეთ. საკმარისია იყო მსახიობი და ყველა კარი საქართველოში—მე არ ვამბობ ყველა გული—მისთვის ღიაა. ჩვენმა არისტოკრატიამაც კი, რომლის უმეტესი ნაწილი ტრადიციული ნოდებრივი ცრურწმენების ერთგულია, მანაც კი ყველაფერი დაივიწყა მსახიობისათვის. მე, რა თქმა უნდა, არავითარი სურვილი არა მაქვს იმის მტკიცებისა, რომ საქართველოს ხსნა თეატრშია და, რადგან ხალხი მის მიმართ თანაგრძნობითაა განწყობილი, საქართველოს ბედი მის ხელშია. სრულიადაც არა. მე შორსა ვარ ვითარების ამგვარი გაზვიადებისაგან და ძალზე ხშირად, როცა თეატრში ვარ, ჩემს თავს ასეთ კითხვებს ვაძლევ: არის კი ქართული თეატრი იმ მოთხოვნილების შედეგი, რომელიც გაცნობიერებული აქვს ქართველ საზოგადოებას? დაკავშირებულია კი თეატრი ორგანულად ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობასთან, თუ ეს შემთხვევითი მოვლენაა, სადაც თავს იჩენს სცენისმოყვარული ორი, სამი კაცის ახირებულობა და ისევე ჩქარა შეიძლება გაქრეს, როგორც მოგვევლინა?

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ვერასოდეს ვერ ვბედავდი და, კაცმა რომ თქვას, დღეს ამის გაკეთება, ალბათ, შეუძლებელიცაა. ქართული თეატრის აღმოცენება სულ ახალი საქმეა და, მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა, ჯერჯერობით ფესვები ღრმად მაინც არა აქვს გადგმული. როგორ მოიკიდებს იგი ფეხს ჩვენში და როგორ დამკვიდრდება, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ახლა კი ჩვენ დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ საქართველოში თეატრის მყარად დამკვიდრება და მისი მომავალი წარმატება იმდენადვეა დამოკიდებული საზოგადოების მხარდაჭერაზე, რამდენადაც იმ ადამიანების გულმოდგინებასა და ნიჭზე, ვის ხელშიც მისი ორგანიზაცია და მმართველობაა თავმოყრილი. როგორც ცნობილია, ჩვენი თეატრი შეიქმნა, ასე ვთქვათ, თავისთავად: გამოჩნდა რამდენიმე სცენისმოყვარული კაცი და ქალი, რომელთაც წარმატებით ითამაშეს რამდენიმე სპექტაკლი და ამ წარმატების შედეგად გადაწყვიტეს გაერთიანდნენ ერთ ჯგუფად და შექმნან მუდმივი დასი. თქვეს და აღასრულეს კიდეც. შეიკრიბნენ, იმსჯელეს და მიმართეს უკვე არსებულ თეატრალურ კომიტეტს თხოვნით, რომ სურთ ხორცი შეასხან დიდი ხნის სასურველ საქმეს. კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც ახლა შედიან ბატონები ილია ჭავჭავაძე, დავით ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, ნიკოლოზ ავალოვი, ივანე მაჩაბელი, დავით სარაჯევი და გიორგი თუმანოვი, მაშინ შედგებოდა ორი თუ სამი კაცისაგან. ჩვენმა სცენისმოყვარულებმა სთხოვეს მ. თუმანოვს, ქართული დასის ახლანდელ რეჟისორს, ეკისრა ქართული დასის ჩამოყალიბების საქმე და ამ უკანასკნელმა, სიმართლე უნდა ითქვას, არც ძალ-ღონე დაიშურა, არც ენერგია და მცირე ხნის შემდეგ, ჩვენი სცენისმოყვარულები ერთ მუდმივ დასად გაერთიანდნენ. ხელშეკრულებას, რის საფუძველზეც შეესხა ხორცი ამ საქმეს, წმინდა ამხანაგური, არტელური სახე აქვს. თეატრის ადმინისტრაციულ საქმეებს წყვეტს მსახიობთა საერთო კრება ხმის უმრავლესობით. დასის საერთო კრებაზევე წყდება, აგრეთვე, დასის ახალი ნევრის მიღების, რეჟისორის, ადმინისტრატორის, მოლარის, სამეურნეო კონტროლისა და რევიზიის დანიშვნის საკითხები.

დასის შემოსავლის წყაროები შემდეგია: პირველ ყოვლისა, ესაა ის 300 მანეთი, რომელიც თეატრს შესწირა ქართულმა სათავადაზნაურო ბანკმა და ის 800 მანეთი, სცენისმოყვარულებმა ამ ორი წლის წინათ რომ შეაგროვეს. ეს თანხა, რომელიც 4000 მანეთამდე აღწევს, სპეციალურად სცენის მოსაწყობადაა გათვალისწინებული: გარდერობის, ავეჯისა და ბუტაფორიული საგნებისათვის. სპექტაკლების შემოსავლიდან, უპირველეს ყოვლისა, გამორიცხება ის თანხა, რაც თეატრის შენობაზე, მუსიკაზე, პარიკმა-

ხერსა და სხვა წვრილმანებზე იხარჯება. გამორიცხვის შემდეგ დარჩენილ თანხას კი დასი შემდეგნაირად იყოფს: ყოველ მსახიობს დარიგებული აქვს გარკვეული რაოდენობის მარკები მსახიობის დამსახურებისა და თამაშის ხარისხის მიხედვით. მარკის ფასი ისაზღვრება საერთო შემოსავლის ოდენობიდან. ქართულ დასში სულ 105 მარკაა და სპექტაკლებიდან სუფთა თვიური შემოსავლის დაჯამების შემდეგ მიღებული თანხა თანაბრად ნაწილდება მარკების მიხედვით. თუ, მაგალითად, მთელი შემოსავალი შეადგენს 525 მანეთს, მაშინ ყოველი მარკა ღირს 5 მანეთი და მსახიობი, რომელსაც ვთქვათ, 10 მარკა აქვს, თვეში მიიღებს 50 მანეთს.

აი, ამგვარია ჩვენს მსახიობებს შორის შემოსავლის განაწილების სისტემა. ადგილის უქონლობა შესაძლებლობას არ გვაძლევს უფრო დაწვრილებით შევეხო ჩვენში თეატრის დაარსების საქმეს და ეს არცაა საჭირო, მკითხველს შეუძლია ამაზე ზემონათქვამიდანაც შეიქმნას საერთო წარმოდგენა. ჯერჯერობით კი მე აუცილებლად მიმაჩნია ორიოდე სიტყვის თქმა ჩვენს თეატრალურ კომიტეტზე, რომელიც, მსგავსად არეოპაგისა, წარმოადგენს თეატრალური საქმეების უმაღლეს სასამართლოს.

როგორც ზემოთ ვთქვით, კომიტეტი არსებობდა მუდმივი დასის შექმნამდეც და ჰქონდა საკუთარი ხელშეკრულებაც. ამ ხელშეკრულების თანახმად, კომიტეტის წევრები ვალდებული არიან, პირველ ყოვლისა, ჰყავდეთ მუდმივი ქართული დასი, რომელიც შეძლებს თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში წარმოდგენების გამართვას; მეორე, თეატრალური რეკვიზიტი, რომელიც კომიტეტის განკარგულებაშია, მიაქირავონ თეატრს; ასესხონ მას ფული და დააჯილდოვონ საუკეთესო დრამატურგები. სანაცვლოდ დასი ვალდებულია: პირველი, პიესები დაიდგას კომიტეტის თანხმობით; მეორე, დასმა კომიტეტს გადაუხადოს გარკვეული პროცენტი საერთო თვიური შემოსავლიდან, თუ შემოსავალი 1500 მანეთს გადააჭარბებს; მესამე, დასმა კომიტეტს სრული ანგარიში წარუდგინოს თავის შემოსავალსა და გასავალზე; და ბოლოს, დასმა უნდა სცნოს კომიტეტის სასამართლოს ავტორიტეტულობა.

როგორც ხედავთ, ამ ხელშეკრულების მიხედვით ჩვენი ახალგაზრდა თეატრის წარმატება და ხანგრძლივი სიცოცხლე უმთავ-

რესად დამოკიდებულია თავის მოვალეობისადმი კომიტეტის კეთილსინდისიერ და ყურადღებიან დამოკიდებულებაზე. თუ ამ კომიტეტის ყველა წევრს გულწრფელად აქვს შეგნებული თეატრის სარგებლიანობა ჩვენი საზოგადოებისათვის და სურს მას მართლა გაუწიოს სამსახური, ის, რა თქმა უნდა, თავის მოღვაწეობას იმ ვიწრო ჩარჩოებით არ შეზღუდავს, ზემომოტანილი ხელშეკრულება რომ ითვალისწინებს. ჩემის აზრით, მთავარი ამოცანა მელპომენეს ჩვენებური მსახურებისა ის კი არ არის, რომ თეატრს ფული ასესხოს და გამოართვას მას ზედმეტი შემოსავლიდან პროცენტები, არამედ ის, რომ გაწვრთნას და დააოსტატოს ჩვენი ახალგაზრდა მსახიობები, მისცეს მათს ბუნებრივ ნიჭს სათანადო ვარჯიშისა და განვითარების საშუალება. ჩვენს დასში იმდენი გამორჩეული ტალანტია, რამდენიც იშვიათად თუ ჰყოლია ოდესმე რომელიმე ახალდაბადებულ თეატრს. მაგრამ რა უნდა უყოს კაცმა ტალანტს, თუ იგი ჭეშმარიტი გზისაკენ არ არის მიმართული? სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს თეატრალური სკოლა და ჩვენი მსახიობები თავიანთი პირადი და, ამავე დროს, სცენის საკმაოდ მცირე ცოდნის ამარა არიან მიტოვებული. არც ერთ მათგანს არ შეუძლია სცენაზე სწორად შემოსვლა და სცენიდან გასვლა, არ იცის, სად და როგორ უნდა დადგეს, როგორ იჯდეს, როგორ იაროს. მოძრაობები და ჟესტები მათ იმდენად მოუქნელი და ტლანქი აქვთ, რომ თამაშის—რაც ზოგჯერ საკმაოდ ხელოვნურია—საერთო შთაბეჭდილებას ზიანს აყენებს, მსახიობთა შორის ბევრი იმდენად ახალბედაა, თავის საქმეში იმდენად გამოუცდელია, რომ თამაშის დროს არ ესმის, ვინ უნდა განასახიეროს, თავის როლს სრულიად შეუგნებლად ასრულებს და მხოლოდ საკუთარი მხატვრული ალღოთი ხელმძღვანელობს. ასეთი თამაში შეიძლება რამდენიმე ეპიზოდში ბრწყინვალეც კი იყოს, მაგრამ შეუძლებელია ამ გზით სერიოზული როლი ბოლომდე გაიტანო. იგივე უნდა ითქვას გრიმზეც, მსახიობის ჩაცმულობასა და სცენის მოწყობაზეც. ყოველივე ამაში ჩანს სცენის უცოდინარობა და ჭკვიანი, გამოცდილი პირის უყოლობა. სწორედ ესაა მიზეზი უმეტეს შემთხვევაში ქართული წარმოდგენის წარუმატებლობისა. რაც შეეხება პიესების გააზრებულ შერჩევას, თარგმნილი იქნება იგი თუ ორიგი-

ნალური, ამავე დროს, ჩვენი ახალგაზრდა დასის ძალების შესაფერისი, რომელიც ასევე უნდა აკმაყოფილებდეს ქართველი ხალხის ესთეტიკურ მოთხოვნილებებს, ეს საქმე კომიტეტის პირდაპირი მოვალეობა უნდა იყოს. საერთოდ, ქართული რეპერტუარი უკიდურესად ღარიბია და ქართული დრამატული ლიტერატურის გამდიდრება უნდა იყოს იმათი ამოცანა, ვისაც ცოტათი მაინც ესმის ეროვნული თეატრის დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ზოგიერთ იმ პირს, ვინც კომიტეტის შემადგენლობაში შედის, ბრწყინვალე ლიტერატურული წარსული აქვს და, თუ ისინი დასისათვის ფულის სესხებითა და სპექტაკლის გამართვის დღეს დირექტორის ლოჟაში შეხმატკბილებული კრებების მოწყობით არ შემოიფარგლებიან, ჩვენი სცენა, ალბათ, სწრაფად მიაღწევს წარმატებას და ხალხი, დაინახავს რა ბოლოს და ბოლოს მეტად თუ ნაკლებად ხეირიან პიესას, კიდევ უფრო მეტად შეიყვარებს თეატრს.

6. ჩვენი ურთიერთობა სპარსეთთან

თბილისი, 14 თებერვალი, 1880 წ.

უკანასკნელ დღეებში მიღებული ცენტრალური გაზეთები განსაკუთრებული ყურადღებით იხილავენ დიდი ბრიტანეთის მთავრობის წინადადებას, რომლითაც ინგლისი ნებას რთავს სპარსეთს, არ შეასრულოს 1857 წლის ხელშეკრულება და თავისი ჯარებით დაიკავოს ჰერათი, თუ ამას იგი თვითონ მოისურვებს.

ეს ცნობა საზეიმოდ უარყო პარლამენტის წინაშე ლორდმა ბიკონსფილდმა, მაგრამ ეს ასეც იყო მოსალოდნელი, ამიტომაც ჩვენს პრესას არა სჯერა ამ უარყოფისა. მივდივართ დასკვნამდე, რომ სპარსეთისათვის ჰერათის ფაქტიური დათმობა არის დამამტკიცებელი საბუთი სპარსეთსა და ინგლისს შორის მომხდარი შეთანხმებისა, რაც მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ. სავსებით გასაგებია ინგლისის მისწრაფება, რომელიც მცირე აზიაზე პროტექტორატის განხორციელების შემდეგ ცდილობს თავისი გავლენის ქვეშ იყოლიოს სპარსეთიც; ეს ლორდ ბიკონსფილდის მისწრაფებათა ბუნებრივი განვითარებაცაა, მან განაცხადა, რომ ინგლისი მუსლიმანურ სახელმწიფოთა მფარველია და უნდა იდგეს მუსლიმანური სამყაროს სათავეშიო და ა. შ. მაგრამ ჩვენ ვეჭვობთ, რომ სპარსეთ-ინგლისის კავშირი გულწრფელი იყოს, ვინაიდან ეს დიამეტრალურად ეწინააღმდეგება თვით სპარსეთის ინტერესებს.

უკანასკნელი ომი სპარსეთთან ჩვენ 1827 წელს გვქონდა[8]. მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტმა განვლო და ჩვენი სპარსეთთან მეგობრობა არ დარღვეულა. ამ დროის განმავლობაში სპარსეთმა ორჯერ იომა ინგლისელებთან ჰერათის დასაუფლებლად და რამდენიმეჯერ გაილაშქრა თურქმენების წინააღმდეგ მათი თავდასხმების შესასუსტებლად სპარსეთის სასაზღვრო პროვინციებში. ამ ლაშქრობებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლაშქრობა პრინც ჰამზა-მირზას მეთაურობით; იგი მარცხით დამთავრდა 1860 წლის ივლისში. ეს ლაშქრობა დაწვრილებით აღწერა ფრანგმა ბლოკვილმა. იგი სპარსელთა არმიის ოფიცერი იყო და ტყვედ ჩაუვარდა თურქმენებს, რომლებთანაც ძალიან დიდხანს მოუხდა ყოფნა.

გასაგებია, რომ სპარსეთის სასაზღვრო პროვინციების თურქმენთა თვდასხმებისაგან დასაცავად იქ მშვიდობა და წესრიგი მხოლოდ ჩვენმა ჯარებმა უნდა დაამყარონ, სწორედ ისე, როგორც ეს მოხდა სპარსეთის ზღვისპირა პროვინციებში, სადაც შესაძლებელი გახდა კასპიის ესკადრის შექმნა და დაფუძნება საზღვაო სადგურისა ასტრაბადში, ამის გამო, სპარსეთის საზღვრების უსაფრთხოება, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს რუსეთთან მეგობრულ ურთიერთობას, ამიტომ ინგლისთან დადებული ვერავითარი შეთანხმება ვერ გადაწონის იმ სარგებლობას, რომელსაც სპარსეთი რუსეთთან მეგობრობით მიიღებს. ინგლისთან მეგობრობა უფრო პლატონური თვისებისაა, რადგან, მიუხედავად მისი შუამდგომლობისა, სპარსეთმა ვერ შეძლო ოსმალეთთან მოეგვარებინა თავისი სასაზღვრო გაუგებრობანიც კი კოტურის ოლქის ირგვლივ. ეს საკითხი ჯერ კიდევ ყირიმის ომის დროს აღიძრა და მის მოსაგვარებლად შედგა განსაკუთრებული საერთაშორისო კომისია, რომელშიც ინგლისმა წევრად ბატონი ვილიამსი წარგზავნა. ყველაფერი ეს უნაყოფო აღმოჩნდა. თურქეთი ოცი წელი ფლობდა კოტურს და იგი სპარსეთს მხოლოდ რუსეთის მოთხოვნით დაუთმო სტეფანსკის ხელშეკრულებისა' და ბერლინის ტრაქტატის მიხედვით. ამის წყალობით სპარსეთმა გასულ წელს ბოლოს და ბოლოს დაიკავა კოტურის ოლქი ყოველგვარი სამხედრო მოქმედებების გარეშე, მშვიდობიანად. ხოლო, როცა ინგლისი ჰერათის დასაკავებლად მოუწოდებს სპარსეთს, იგულისხმება, რომ ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ მეტად სერიოზული ომის შემდეგ.

თუ მრავალწლიანი მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის მოსაზრებიდან გადავალთ თავად ბისმარკის მშვიდობისა და ომის შესაძლებლობათა განსაზღვრის მეთოდიკაზე, მაშინ არა გვგონია სპარსეთისათვის ოდნავ სასარგებლო და, მაშასადამე, ოდნავ შესაძლებელი მაინც იყოს რუსეთთან მტრული განწყობილება, თუნდაც ინგლისთან კავშირის გამოყენებით და ისეთი ფართო დახმარების შემთხვევაში, როგორიც ინგლისმა თურქეთს აღმოუჩინა რუსეთთან უკანასკნელი ომის დროს. თუმცა პოლიტიკური და სამხედრო პირობები აქ რამდენადმე სხვანაირია. სპარსეთს არა აქვს ისეთი მოხერხებული საზღვაო საზღვრები და მიმოს-

ვლის საშუალებები ევროპასთან, როგორიც თურქეთს. ინგლისის ფლოტი სპარსეთისათვის არაა სასარგებლო; ინგლისის ჯარები ავღანეთშიაც რომ დარჩნენ და ან კიდეც წაიწიონ ჰერათისაკენ, მაინც მეტისმეტად შორს იქნებიან სპარსეთის დედაქალაქისა და მისი ჩრდილო პროვინციებიდან, რომლებიც უფრო ახლოა კავკასიის სამეფისნაცვლოსთან. აქ ყოველთვის საბრძოლო მდგომარეობაშია ორასათასიანი არმია და კასპიის ზღვის ნაპირებთან განლაგებულია რუსეთის ესკადრა. რა თქმა უნდა, ძალზე სასარგებლოა, გქონდეს მეზობლად ამისთანა ძალა და უზრუნველყოფდე ახლო მდებარე პროვინციების უსაფრთხოებას, მაგრამ უკიდურესად არამომგებიანი და სპარსული დიპლომატიის ტრადიციებიდან გადახვევა იქნებოდა ომის დაწყება ახალი პროვინციების დასაპყრობად ისე, რომ ამას შესწირვოდა რუსეთთან მოსაზღვრე რაიონების მოსახლეობის რეალური ინტერესები. მით უმეტეს, რომ სწორედ ამ რაიონებშია თავმოყრილი მთავარი სავაჭრო ცენტრები და უზარმაზარი სიმდიდრე.

ყველაფერი ეს ჩვენი მეგობარი მეზობლებისათვის ისევე ცნობილია, როგორც ჩვენთვის. ამიტომ რუსეთისა და სპარსეთის ურთიერთ ინტერესებზე დაფუძნებული მეგობრობა საეჭვოა შეარყიოს ჰერათის დაკავების ნებართვამ, თანაც იმ დროს, როცა ავღანეთში, როგორც ცნობილია, სამხედრო მოქმედების მდგომარეობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ინგლისის ჯარებმა დაიკავონ ჰერათი.

7. აჯამეთის ტყე

თბილისი, 16 თებერვალი, 1880 წ.

ქუთაისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, რკინიგზის გასწვრივ, ვეებერთელა აჯამეთის ტყეს ვრცელი ფართობი უჭირავს; იგი ყოველი მხრიდან შემორტყმულია მჭიდროდ დასახლებული სოფლებით, რომელთა მცხოვრებლები ოდითგანვე ცხოვრობენ მარტოოდენ ამ ტყის პროდუქტებით. ძველად ეს ტყე სახელმწიფოს ეკუთვნოდა. ვორონცოვის დროიდან ტყის ერთი ნაწილი ფრანგ ქვეშევრდომს გამბას გამოუყვეს, რათა ამ კუთხეში სასოფლო-სამეურნეო მრეწველობა ევროპული ყაიდის მიხედვით განევითარებინა, თავისთავად ცხადია, რომ გამბას არავითარი ახალი სასოფლო-სამეურნეო წამოწყება არ დაუნერგავს. ის მხოლოდ შემოსავალს ღებულობდა გარემომცველი სოფლების მცხოვრებლებისაგან და გარდაიცვალა ამ საქმიანობაში. სიკვდილის შემდეგ ტყეს მისი მემკვიდრეები ამუშავებდნენ, სანამ საჯარო ვაჭრობით არ გაიყიდა. ტყე ცნობილმა მდიდარმა მოსკოველმა ბატ. ანანოვმა იყიდა, რომელიც დღემდე ფლობს მას და ამუშავებს.

ტყის მეორე ნაწილი, რომელიც სახაზინო საკუთრებად დარჩა, — 1886 წელს მთავრობამ საკუთრებაში გადასცა თავად დ. ი. სვიატოპოლკ-მირსკის, რომელიც იმ დროს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი იყო...

ახლა, სავსებით სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ წასვლასთან დაკავშირებით, თავადმა დ. ი. სვიატოპოლკ-მირსკიმ გადაწყვიტა გაყიდოს თავისი ტყე და ეძებს შესაფერის მყიდველს.

რა თქმა უნდა, ჩვენს დროში, არცთუ ისე იოლია მოიძებნოს ადამიანი, რომელიც გაიღებს ნახევარ მილიონ მანეთს, — ამიტომაც ხსენებული თავადის ტყე ჯერ კიდევ არ გაყიდულა და არც არავითარი საფუძველი არსებობს საიმისოდ, რომ მალე გაიყიდოს...

ეს მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია, და კიდეც უნდა ეცადოს, შეიძინოს ტყის ეს ნაწილი თავის საკუთრებად. ცნობილია, თუ რამდენად გართულდა აქ მოსახლეობის ცხოვრება იმის შედეგად, რომ აჯამეთის ტყე გადავიდა კერძო ადამიანების ბბ. ანანოვის, სვიატოპოლკ-მირსკის, გრუზინსკისა და სხვათა ხელში. სამშენებლო მასალების

მიწოდება ქუთაისის გუბერნიისათვის არახელსაყრელია სიძვირის გამო. ერთი საუენი შეშა წინათ ქუთაისში 3 მანეთად იყიდებოდა, ახლა კი 35 მანეთი ღირს—ადგილობრივ მცხოვრებთ დიდი ხარჯების გაუღებლად არ შეუძლიათ აწარმოონ არამც თუ მშენებლობა, არამედ უბრალო შემოღობვა და შენობების გათბობაც კი... ასეთი მდგომარეობის სიმძიმეს ყველა გრძნობს. თავისთავად ტყე უდიდესი ღირებულებაა და მისი გონიერი ექსპლუატაციით, შეიძლება, ერთი მხრივ, დაიბრუნო მასზე დახარჯული თანხა, ხოლო, მეორე მხრივ, შეუმსუბუქო მდგომარეობა ყველას, ვისაც სჭირდება სამშენებლო მასალა და შეშა. ამიტომ ძალიან გონიერი ნაბიჯი იქნებოდა შეერთებული ძალით ტყის ყიდვა თავად მირსკისაგან.

—მაგრამ საიდან მოვიტანოთ ნახევარი მილიონი მანეთი?—შემეკითხება მკითხველი.

რასაკვირველია, ამხელა თანხას იოლად ვერ იშოვი, მაგრამ, თუ ოდნავ დავფიქრდებით, მისი გამონახვა არც ისე ძნელი უნდა იყოს.

ჩვენი სამინათმოქმედო ბანკების სათავეში მდგომი ადამიანები, თუ ნამდვილად ახსოვთ მათი დაწესებულების აზრი და დანიშნულება და სერიოზულად მიილტვიან მისი განხორციელებისაკენ, ადვილად მოიფიქრებენ, რომ თავად დ. ი. სვიატოპოლკ-მირსკის ტყის შესასყიდად ნაღდი ფული საჭირო იქნება არა უმეტეს 150-200 ათასი მანეთისა; დანარჩენი თანხის მოპოვება შეიძლება ტყის დაგირავებით სამინათმოქმედო ბანკში, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველწლიური შემოსავალი საკმარისი იქნება არა მარტო ხარჯების, არამედ ბანკის პროცენტების დასაფარავადაც... რაც შეეხება 200 ათას მანეთ ნაღდ ფულს, მისი დაგროვება მაინც და მაინც ძნელი არ უნდა იყოს—მისი მიღება შეიძლება კერძო პირთა და სოფლის საზოგადოებათა შენატანებით, რომელთაგან შეიძლებოდა სააქციო კომპანიის მსგავსის შექმნა.

ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომელთაც კარგად იციან აჯამეთის ტყის ფასი და სარგებლიანობა, შეეძლოთ ერთმანეთში გაენაწილებინათ 200-300 მანეთიანი აქციები. და ნუთუ მთელი ქუთაისის გუბერნიაში არ მოიძებნება ათასი კაცი, რომელნიც შეძლებენ 200 მანეთის დაბანდებას უეჭველად სარგებლიან საქმეში? ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ თვითონ თავადი დ. ი. მირსკი სიამოვნებით დათანხმდებოდა ნაღდი ფულის სანაცვლოდ მიეღო

ასეთი კომპანიის აქციების საკმაო რაოდენობა; თვით თბილისის გუბერნიაშიც მოიძებნებოდა ბევრი, რომელნიც მონაწილეობას მიიღებლდნენ ამ საქმეში. საჭიროა მხოლოდ საქმის გონივრად დაწყება—უნდა აღიწეროს მთლიანად მამული და მისი ყველა შემოსავალი, დინჯად უნდა დაანგარიშება ბანკისა და მმართველის ხარჯებს, და ბოლოს, ეს ყველაფერი უნდა ვაჩვენოთ ხალხს და ვთხოვოთ დახმარება ამ საქმეში, რომელიც ასე სასარგებლო იქნება როგორც მოსახლეობის, ისე აქციონერთათვის.

სამიწათმოქმედო ბანკების მმართველთ ჰგონიათ, რომ ჩვენი გაზეთი მათდამი მტრულადაა განწყობილი. დაე, მათ ერთხელ მაინც სცადონ სათავეში ჩაუდგნენ ისეთ საქმეს, რომელიც ნამდვილად გააუმჯობესებს მასების ეკონომიკურ მდგომარეობას და თან შესაბამისი იქნება ჩვენი სამიწათმოქმედო ბანკების ძირითადი დანიშნულებისა—ხელი შეუწყონ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მაშინ ისინი თვალნათლივ დაინახავენ, რა შემართებით ამოუდგება მათ გვერდში ჩვენი გაზეთი. ისინი დარწმუნდებოდნენ, რომ მათი სახით ჩვენ ვებრძვით მხოლოდ საქმისადმი აპათიურ დამოკიდებულებას და მათს დაუძლეველ ვნებას, ყველაზე გრანდიოზული საქმეც კი დაიყვანონ გირავნობის ფურცლებზე მექანიკურ ხელმოწერასა და ყოველ 20 რიცხვში მეტისმეტად დიდი ჯამაგირის აღებამდე.

ვნახოთ, ამჯერად თუ აღმოჩნდებიან ისინი იმ მდგომარეობის სიმაღლეზე, რომელზედაც ისე აფოფხდნენ, რომ არც კი იკითხეს, რა მოვალეობას აკისრებდათ მათ ეს მდგომარეობა...

8. აჯამეთის საკითხი

- I

აჯამეთის საკითხის შესახებ დღეს „ტიფლისსკი ვესტნიკში“[10] წავიკითხეთ ახალი სტატია, რომლის გაცნობაც საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი მკითხველისათვის.

აი, ეს სტატიაც:

„ობზორის“ რედაქციის მიერ შემოთავაზებული პროექტი აჯამეთის ტყის გამოსყიდვის შესახებ 200.000 მანეთიანი სააქციო კაპიტალის შედგენის გზით და თვით ტყის დაგირავება ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების სამინათმოქმედო ბანკებში პირდაპირ მიუთითებს ზემოხსენებული ბანკების მმართველების მხრიდან მსგავსი ოპერაციებით ხელმძღვანელობის შესაძლებლობაზე.

„მაგრამ, ვფიქრობთ, „ობზორი“ ძალიან ცდება, თუ ჰგონია, რომ ჩვენი სამინათმოქმედო ბანკების ხელმძღვანელებს ასეთი სამოქალაქო გმირობის ჩადენის უნარი აქვთ.

„ობზორის“ რედაქციამ უნდა იცოდეს, თუ რამდენად გამოსადეგნი არიან მსგავსი წამოწყების განსახორციელებლად მის მიერ ჩამოთვლილი პირები. პირველი სიტყვა, რომელიც უნდა წამოსცდენოდათ ჩვენი სათავადაზნაურო ბანკების მოთავეებს—ეს არის სამინათმოქმედო ბანკების მმართველთა არაკომპეტენტურობა, აიღონ საბანკო ოპერაციების გზით აჯამეთის ტყის გამოსყიდვის ინიციატივა. ამასთანავე, დარწმუნებული ვართ, სამინათმოქმედო ბანკის თითოეულმა მმართველთაგანმა მიუთითა თავისი ბანკის წესდებაზე, სადაც არ არის მუხლი, რომელიც მმართველს აკისრებდეს საზოგადო მოღვაწეობას თავისი ბანკის გარეთ.

ვფიქრობთ, უნაყოფოა იმაზე მეტი მოითხოვო ადამიანებისაგან, რისი მოცემაც შეუძლიათ მათ სინამდვილეში. საჭიროც აღარ იყო აჯამეთის ტყის—ამ ოდინდელი სახალხო ქონების—გამოსყიდვის პროექტით მიმართვა იმ ადამიანებისადმი, რომელთაც ყველაზე ნაკლებად შეეძლოთ ამ საქმეში დახმარების აღმოჩენა

აჯამეთის ტყის მნიშვნელობა იმდენად დიდია ქვემო იმერეთის მთელი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებისათვის, რომ გაიგებენ თუ არა ოკრიბის, სიმონეთის, არგვეთის, ლომსიანთხევის და საკუთრივ ქვემო იმერეთის მოსახლენი ამ ტყის ერთობლივი

ძალით გამოსყიდვის შესაძლებლობის შესახებ, დაუყოვნებლივ შეკრებენ იმდენ თანხას, რამდენიც საჭირო იქნება. ამიტომ სრულიად ზედმეტია სამიწათმოქმედო ბანკების შუამავლობაცა და სააქციო კაპიტალის კანონიერი გზით შექმნაც.

ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება, რომ ქუთაისის გუბერნიის ადგილობრივ ინტელიგენციაში მოიძებნებიან ადამიანები, რომელთაც ეყოფათ იმდენი მოქალაქეობრივი მამაცობა, ენერგია და პრაქტიკულობა, რომ შეასრულონ ეს საქები წამოწყება: ოღონდ კი ხელი მოჰკიდონ ამ საქმეს".

„ტიფლისსკი ვესტნიკი" ჩვენ ტყუილუბრალოდ მიგვათვლის სამიწათმოქმედო ბანკების მეთაურთა მომხრეებს. ყველა, ყველა, მაგრამ, ვფიქრობთ, შეუძლებელია ჩვენი გაზეთი დაადანაშაულო ბ.ბ. ჭავჭავაძისა და ღოლობერიძის მიმართ გამოჩენილ ნაზ გრძნობებში. ჩვენს სტატიაში მეტისმეტად მკაფიოდაც კი იყო ეჭვი გამოთქმული, რომ ეს ბატონები ვერ აღმოჩნდებოდნენ თავიანთი მდგომარეობის სიმაღლეზე. ჩვენ დავსახეთ ამოცანა და მივუთითეთ, რომ მისი შესრულება თავს უნდა ედოთ ჩვენი სამიწათმოქმედო ბანკების მოთავეებს, მაგრამ იქვე დავუმატეთ, რომ ისინი ამას, ალბათ, არ გააკეთებდნენ.

რადგან დასმულია საკითხი, ჩვენ სიამოვნებით დავეთანხმებით „ტიფლისსკი ვესტნიკს", რომ ადამიანებს, რომელთაც გამოეპარათ ასეთი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საქმე, მისი არც ხელში აღება შეუძლიათ და არც ადგილობრივი მოსახლეობის სასარგებლოდ აღსრულება.

ულაპარაკოდ ვეთანხმებით რა ამაში „ტიფლისსკი ვესტნიკს," მთელი არსებით ვწუხვართ, რომ არ შეგვიძლია ასევე დავეთანხმოთ ციტირებული სტატიის დასკვნით სტრიქონებს. ეჭვი არ გვეპარება, რომ „ქუთაისის გუბერნიის ადგილობრივ ინტელიგენციაში" მართლაც არიან ადამიანები, რომელთაც უყვართ თავიანთი ხალხი და ისურვებენ მათ ყოველნაირ სიკეთეს, მაგრამ დიდი ხანია დავიღალეთ იმ ჭეშმარიტების გამეორებით, რომ მხოლოდ პლატონური ' სიყვარული და უნაყოფო „კეთილდღეობის მოსურნეობა" არავის აძლევს უფლებას, იწოდებოდეს „ინტელიგენტად".

ჩვენს უბედურ ქვეყანაში ისეთი ეგოისტები, როგორებიც არიან ბანკის მმართველები, სერიოზულ საზოგადოებრივ როლს ას-

რულებენ, მიუხედავად იმისა, რომ სავსებით უუნარონი არიან და თითის განძრევაც კი არ უნდათ საერთო საქმის სასარგებლოდ; ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ახალგაზრდა ადამიანები, რომელთაც ჯერ არ შეჰყრიათ ეგოიზმის სენი, გულხელდაკრეფილნი სხედან და თავს არიდებენ თანამედროვე ცხოვრების პრობლემებს. მათ არ სურთ „წვრილმან საქმეებში ჩარევა" და ელოდებიან იმ დროს, როცა შესაძლებელი იქნება „სარგებლობის ერთბაშად მოტანა". ამასობაში კი ადგილობრივი საზოგადოება, ხედავს რა ეგოისტების ხარბ საქმიანობას საპირისპიროდ ნამდვილ ხალხისმოყვარეთა უმოქმედობისა, იძულებულია პირველნი აირჩიოს ყველა საზოგადოებრივ თანადებობაზე მხოლოდ იმიტომ, რომ „ცოტა რაღაცას მაინც გააკეთებენ".

ჩვენს ადგილობრივ ცხოვრებაში მთელი სიმპათიები, რა თქმა უნდა, მიმართულია ჩვენი „ინტელიგენციისადმი", რომელთა შორის ცოტა როდია ჩვენი საუკეთესო პირადი მეგობარი. მაგრამ ეს მდგომარეობა სრულიადაც არ გვიშლის ხელს გავუმეოროთ მათ: „დროა, დიდი ხანია დროა, მუყაითად ხელი მოჰკიდოთ მიმდინარე საკითხებსა და ჩვენი ცხოვრების ამოცანებს; დროა ამ ამოცანების საფუძვლიანი გადაწყვეტით დაიკავოთ ხალხში ინტელიგენციის ღირსი მდგომარეობა, დაიმსახუროთ ხალხის ნდობა და მათი საქმე და ბედი ხელიდან გამოსტაცოთ ეგოისტებს, რომელნიც შენიღბული არიან გესლიანი ფრაზებითა და ხალხისმოყვარის მანტიით მხოლოდ იმისათვის, რომ შესაძლებლობა ჰქონდეთ იზრუნონ ნათესავებზე და ჩაეფლონ ნეტარებასა და განცხრომაში!

დაე, ინტელიგენციამ მოჰკიდოს ბოლოსა და ბოლოს ხელი საქმეს და ჩვენ მთელი არსებით მივესალმებით და მხარს დავუჭერთ მის პირველ პრაქტიკულ ნაბიჯებს. მაგრამ, ვიმედოვნებთ, არავინ გვისაყვედურებს ჩვენი პირველი განცხადებისათვის—ვინც კი ხელს მოჰკიდებს ისეთი საერთო სასარგებლო წამოწყების რეალიზაციას, როგორიცაა აჯამეთის ტყის გამოსყიდვა, ჩვენი გაზეთი მხარს დაუჭერს მას მთელი თავისი ძალებით, თუნდაც ეს იყოს თვით ნ. ბ. ღოლობერიძე. არის ისეთი საქმეები და ამოცანები, რომელთათვისაც სირცხვილი არაა ხელი გაუწოდო გამოუსწორებელ ეგოისტსაც კი.

ქართული გაზეთი „დროება“[9] თავის როლს ერთგულად ასრულებს—კუდში მისდიოს ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებას და მცდარად იაზროვნოს. მას დღის წესრიგში უნდა დაესვა საჭირბოროტო საკითხი—აჯამეთის ტყის გამოსყიდვა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ,—მაგრამ, რადგანაც ეს საკითხი ადგილობრივმა პრესამ უკვე დააყენა, „დროებას“ ხელი უნდა შეეწყო ამ საკითხის დამაკმაყოფილებლად გადაჭრისათვის და არ უნდა წამოეყენებინა ისეთი ფანტასტიკური წინადადება, რომლის განუხორციელებლობა ყრმათათვისაც კი ნათელია. ის, რა თქმა უნდა, შეჩერდა ამ უკანასკნელზე...

„დროებამ“, როგორც იქნა, ხმა ამოიღო ამ საკითხზე და აღიარა მისი სერიოზული მნიშვნელობა; შემდეგ კი შეაჯამა რა ძლივ-ძლივობით „ობზორისა“[6] და „ტიფლისსკი ვესტნიკის“[10] აზრები, საკითხის გადაწყვეტა მოინდომა საკუთარი ჭკუით, რომლის ძალაც ყველასათვის საკმაოდ ნათელია. აი, მისი დასკვნაც:

„ჩვენის აზრით, ერთიცა და მეორეც შემცდარნი არიან. აქციონული კომპანიის შედგენა ძნელია და არც მოეთხოვება ეს ჩვენ საადგილმამულო ბანკების გამგეობათ; ამათ ისიც ვაკმაროთ, იმისთვისაც დიდი მადლობა შევსწიროთ, თუ თავიანთი პირდაპირი მოვალეობა კარგათ შეასრულეს. ამას გარდა, ჩვენში ადვილია განა საააქციო მამულის მართვა და გაძღოლა?

რაიცა შეეხება „თფილისის მოამბის“ აზრს, რასაკვირველია, კარგი იქნებოდა, რომ მართლა ეს მამული თვითონ ხალხს შეესყიდა. მაგრამ ვინ მისცა ახლა ჩვენ სოფლის ხალხს იმდენი საშუალება, რომ ნახევარი მილიონი ფული ამოიღოს ჯიბიდამ და ტყის პატრონს ჩააბაროს?

ამიტომაც, ჩვენის აზრით, ყველაზე უკეთესი ის იქნება, რომ რამდენიც შეუძლიან ხალხმა გამოიღოს და რაც დააკლდება, ხაზინამ მოუმართოს ხელი. ჩვენ გვგონია, რომ თუ აჯამეთის ისტორიას მოვიგონებთ მთავრობას მოვალეობაცა აქვს, რომ გაუადვილოს ხალხს ხელახლად დაბრუნება იმ ქონებისა, რომელიც ადრე თითქმის იმის საკუთრებას შეადგენდა.

როგორ, რა პირობით დაეხმარება ხაზინა ხალხს „გამოსყიდვის მოწყობის“ საშუალებით, ნაღდი ფულის სესხებით, თუ სხვა

რამ ღონისძიებით—ამის განხილვაში ჩვენ ახლა ვერ შევალთ. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ მთავრობას შეუძლიან და ის უნდა დაეხმაროს ხალხს, რომ ამას მოითხოვს თვითონ იმისა და ხალხის პირდაპირი ინტერესიც.

ყველაზე უფრო სანატრელი და სასურველი კი ის არის, რომ აჯამეთის ტყე ვისმე კერძო პირს ანუ უცხო ქვეყნის სააქციო კომპანიას არ ჩაუვარდეს ხელში".

უპირველეს ყოვლისა, მკითხველთა ყურადღება უნდა შევაჩეროთ „ობზორის" აზრების დამახინჯებაზე. ჩვენ არც კი გვიფიქრია ვამტკიცოთ, რომ სააქციო საზოგადოების მოწყობა თავს ედო ჩვენი სამინათმოქმედო ბანკების გამგეობას. გასაგებია, რომ მათი წესდებები, რომელთა გადაწერა ქვაკუთხედი გახდა ბ. ბ. ჭავჭავაძისა და ღოღობერიძის კვარცხლბეკისა, გამგეობებს ოდნავადაც არ აძლევს ასეთი ოპერაციების წარმოების უფლებას. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობდით, რომ ამ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდონ ჩვენი სამინათმოქმედო ბანკების თავკაცებმა, ისეთმა ადამიანებმა, რომელთაც საკმაო თავისუფალი დრო და ავტორიტეტი აქვთ ახალი, განსაკუთრებული სააქციო საზოგადოების შესაქმნელად. ისინი ისე ბევრს ყოყოჩობდნენ წესდებების „შემუშავების" და ბანკების „შექმნის" ხელოვნებით, რომ, როგორც ჩანს, მათთვის ძნელი არ უნდა იყოს ორგანიზაცია გაუკეთონ ხალხისთვის ასეთ საჭირო საქმეს...

„ტიფლისსკი ვესტნიკის" აზრი სავსებით მართალია: აუცილებელია, რომ გამოსყიდვა ადგილობრივი მოსახლეობის სასარგებლოდ მოხდეს. მაგრამ „ტიფლისსკი ვესტნიკმა" ვერ მოისაზრა, რომ მოსახლეობას არ შეუძლია მართოს გამოსყიდული მამული და როგორც გამოსყიდვისათვის, ისე გამოსასყიდი ფულის შესაკრებადა და შემდეგ მამულის გამგებლობისათვისაც, აუცილებლად საჭიროა რაიმე დაწესებულების დაარსება, რომელიც ცენტრალიზებას გაუკეთებდა ცალკეულ გლეხთა საზოგადოებების ანაბრებს. ჩვენი თანამედროვე ცხოვრების პირობებში სხვა გამოსავლი არ არის, გარდა სააქციო საზოგადოების დაარსებისა, რომელშიც გლეხთა ოჯახები და საზოგადოებანი სხვა პირებთან თანასწორად შეიქმნებოდნენ აქციონერები. ჩვენში რომ ერობები[2] ყოფილიყვნენ, ისინი, რასაკვირველია, ხელს მოჰკი-

დებდნენ გამოსყიდვის საქმეს და სათანადო ორგანოებიც ეყოლებოდათ ამ საქმის მოსაგვარებლად. მაგრამ ერობები ჯერჯერობით არ არსებობენ; ამიტომაა აუცილებელი სააქციო საზოგადოების დაარსება, რომელიც ერობის დაარსების შემდეგ შეძლებს გადასცეს მამული ამ უკანასკნელს.

მაგრამ, სანამ გადაწყდება ჩვენი დავა—ვინ უნდა იკისროს გამოსყიდვა.. თავადი მირსკი მიჰყიდის თავის ტყეს ბატ. ანანოვს ან სხვა რომელიმე კაპიტალისტს, რომელიც გამოსყიდვაზე სიტყვის გაგონებასაც აღარ მოისურვებს. ქვემო იმერეთის მოსახლეობა ძველებურად ტყის მფლობელის მოხარკედ დარჩება.

გაზეთ „დროების" საცოდავი ნინადადებების შესახებ არც კი გვინდა ვილაპარაკოთ. ვინც იცის, რომ გამოსასყიდი დამოწმებანი კანონის მიხედვით განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ ნადელების გამოსასყიდად და სავარგულებისათვის, რომლებიც შესულია გლეხის ნადელში... ისეთმა პუბლიცისტებმა, როგორიცაა თავადი ი. გ. ჭავჭავაძე, რომელიც მომრიგებელ მოსამართლედ მსახურობდა და დაუსრულებლად წერდა სტატიებს გლეხთა საქმეებზე, სირცხვილია, არ იცოდეს ეს; ხოლო იცოდე და მაინც თავგზას ურევდე მკითხველებს—ეს ორჯერ უფრო სირცხვილია. არანაკლებ სირცხვილია მთავრობას დააკისრო გამოსყიდვის საქმე...

ვიმეორებთ, გამოსავლის ძებნა შეიძლება, მაგრამ ცოტად თუ ბევრად საზრიანი კაცი დაგვეთანხმება, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია—სააქციო საზოგადოების დაარსება..200.000 მანეთის კაპიტალით და მამულის დაგირავება სამინათმოქმედო ბანკში დანარჩენ თანხაზე. თუ თქვენ, უპირველეს ყოვლისა, გინდათ გამოსყიდვის საქმე მოაწყოთ, ძალაუნებურად უნდა შეჩერდეთ ამ ღონისძიებაზე. თუ თქვენ მაინც გინდათ აჩვენოთ, რომ შეგიძლიათ გამოსავლის მოძებნა, რასაკვირველია, გამოძებნით ღონისძიებებს გამოსასყიდი დამოწმებების გამოსათხოვად. მაგრამ რა ხეირია ამაში, როცა გუბერნიის წვრილი ჩინოვნიკებიც კი პირში დაგცინებენ, როგორც კი ახსენებთ ასეთ „ღონისძიებებს"?

9. 1855 - 1880 წლებში

თბილისი, 18 თებერვალი, 1880 წ.

ოცდახუთი წლის წინათ დაიწყო ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მეფის ზეობა რუსეთის ისტორიაში. დაიწყო იგი რუსეთის მძიმე სამხედრო წარუმატებლობათა დროში, რამაც გამოამჟღავნა წინანდელი რეჟიმის სრული უბადრუკობა. განახლების საჭიროებას გრძნობდა მთელი ქვეყანა, ხალხი ეძებდა გამოსავალს... საბედნიეროდ, ასეთ წუთებში თვითმპყრობელური ხელისუფლება აღმოჩნდა ახალგაზრდა ხელმწიფის ხელში, რომელიც ჰუმანური იდეებით აღზარდა ჩვენმა ცნობილმა პოეტმა—რომანტიკოსმა ვ. ა. ჟუკოვსკიმ. ალექსანდრე პირველის მსგავსად ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ თავისი მეფობა დაიწყო რეფორმებით, რამაც ქვეყანას მისცა პროგრესის გზაზე მოძრაობისათვის დიდი ხნის ნანატრი ბიძგი. მისი მეფობის პირველ წლებში რუსი ხალხის მეგობრებში მგზნებარე იმედები აღიძრა. ასე განსაჯეთ, დიდი პროგრესისტები ა. ი. გერცენი და ნ. გ. ჩერნიშევსკიც კი გატაცებულნი იყვნენ ამ იმედებით. გადაწყვეტილება ბატონყმობის გაუქმების შესახებ, ბეჭდვითი სიტყვისათვის დიდი თავისუფლების მიცემა, ხალხისთვის საზოგადოებრივი თვითმმართველობის უფლების მინიჭება, სასამართლოსა და ადმინისტრაციის გარდაქმნა—აი, ამ იმედების საფუძველი, აი, ახალი მეფის პირველი ნაბიჯები.

იმედების ნაწილი უკვე დიდი ხანია განხორციელდა; ახალი მეფის პროგრამის ბევრი პუნქტი ცოტად თუ ბევრად დიდი ხანია რეალობად იქცა. რუსული პუბლიცისტიკის საუკეთესო წარმომადგენლებმა უკვე ღირსეულად შეაფასეს მნიშვნელობა ამ შესანიშნავი გარდაქმნებისა, რომლებმაც უეჭველად უკეთესობისაკენ შეცვალეს რუსეთის ეკონომიკური ცხოვრებისა და საზოგადოებრივი ყოფის მრავალი მხარე. მაგრამ მხოლოდ ისტორია შეძლებს ჩამოთვლილი გარდაქმნებისათვის სათანადო ადგილის მიჩენას. ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ახლოს ვართ მათთან და არ შეგვიძლია შევისწავლოთ მათი შედეგები. მაგრამ ახლაც შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ამ გარდაქმნების წყალობით ახლან-

დელი მეფობა შეიძლება დავაყენოთ რუსეთისთვის უბედნიერესი მეფეების ეპოქის გვერდით ორი უკანასკნელი საუკუნის მანძილზე, ვგულისხმობთ პეტრე პირველის, ეკატერინე მეორისა და ალექსანდრე პირველის ეპოქებს.

ავიდა თუ არა ტახტზე, ხელმწიფემ მთელ ქვეყანას დაუსაბუთა თავისი გარდაქმნების აუცილებლობა. მან ისტორიული სიტყვებით მიმართა რუსეთს: „რეფორმების საჭიროება საგრძნობია, ის ზემოდან უნდა დავიწყოთ, თუ ჩვენ არ გვინდა, რომ იგი ქვემოდან დაიწყოს". ამ წინასწარმეტყველურ სიტყვებში იგრძნობა რუსეთის მდგომარეობის ღრმა გაგება. ეს სიტყვები იმსახურებენ დაუვიწყარ მცნებად იქცნენ მსოფლიოს ყველა გვირგვინოსნისათვის...

თავისთავად ცხადია, რომ ზემოდან განხორციელებულ რეფორმებს აუცილებლად უნდა ჰქონოდათ მკაცრად თანამიმდევრული ხასიათი, რაც საერთოდ დამახასიათებელია მსგავსი გარდაქმნებისათვის. ზემოდან დაწყებული ყოველგვარი რეფორმა, უპირველეს ყოვლისა, ეხება დაბალ ფენებს და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საფეხურებს. მხოლოდ ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ შეიძლება გადაიდგას ნაბიჯი სახელმწიფოებრივი იერარქიის უმაღლესი საფეხურებისაკენ, მათი თანდათანობითი განახლებით.

ახლანდელი რეფორმები ტარდებოდა ზუსტად ასეთი თანამიმდევრობით და უპირისპირდებოდა რეფორმებს ქვემოდან, რომელიც, როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი სტრუქტურების მსხვრევას პირველად ზემო ფენებიდან იწყებს. ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს თანამიმდევრულობა მრავალმხრივ სასარგებლოა სახელმწიფოს მშვიდობიანი განვითარებისათვის. მაგრამ მასში არის ერთი მხარე, რომელიც განსაკუთრებით საყურადღებოა.

სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყოველ პერიოდში თავისთავად გროვდება მრავალი უხერხულობა, რომელთაგან განთავისუფლებაც სასურველი და აუცილებელია საზოგადოებისათვის. ასეთი უხერხულობანი განსაკუთრებით მრავლად იქმნება საზოგადოებრივი უმოძრაობის პერიოდში. უხერხულობათა სიუხვე ბოლოს და ბოლოს ყოველთვის წარმოქმნის საზოგადოებაში მოუთმენელ და დესტრუქციულ მისწრაფებებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია იმპერატორ ალექსანდრე მეორის გამეფების

წინარე პერიოდი, რომელშიაც დაგროვილი დიდი რაოდენობის უხერხულობათა მთლიანად თავიდან მოცილება შეუძლებელი იყო თანამიმდევრული გარდაქმნის გზით. ცხოვრების ერთი სფეროს განახლება მეორის ხელშეუხებლად, კიდევ უფრო მეტად გამოავლენს იმ უხერხულობებს, რომელთა თავიდან მოცილების ჯერი კიდევ არ დამდგარა. იქნებ ამ გარემოებით აიხსნას ის უცნაური ვითარება, რომ რუსეთის ისტორიაში განხორციელებულმა ვერც ერთმა სასიკეთო რეფორმამ ვერ შეძლო მთლიანად აღმოეფხვრა საზოგადოების წიაღში წინარეფორმამდელი პერიოდით ჩასახული ყველა დესტრუქციული მისწრაფება.

რუსეთის სახელმწიფოებრივი განვითარების ისტორიულ გზაზე, ზემოდან რეფორმების მეშვეობით, რამდენიმეჯერ უკვე გამოიკვეთა ეს მოვლენა. იგი ვერ აიცილეს თავიდან ვერც იმპერატორებმა ეკატერინე მეორემ და ალექსანდრე პირველმა, რომლებმაც თავიანთი მეფობის პირველი პერიოდის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთეს საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის რუსეთში, მათი მეფობის მეორე ნახევარი, პირველისაგან განსხვავებით, აღინიშნა შედარებითი უმოძრაობით და, თავის მხრივ, მრავალი უხერხულობა წარმოქმნა. ეს უხერხულობანი კი მნიშვნელოვნად ისპობოდა ალექსანდრე პირველისა და ალექსანდრე მეორის მეფობის დასაწყისში, ისე როგორც ტახტზე ეკატერინე მეორის ასვლა აღინიშა მთელი რიგი რეფორმებითა და სერიოზული გარდაქმნებით.

ასეთ უხერხულობათ და მით გამოწვეული მოუთმენელი მისწრაფებებისათვის შეიძლებოდა ისტორიის ეკლები გვეწოდებინა, რომელთა გარეშე შეუძლებელი იქნებოდა გარდაქმნების ყვავილების გახარება. ამ ეკლების განეიტრალება და გაქრობაც მხოლოდ ყვავილებით შეიძლება, რაც მეტი იქნება ყვავილი, მით მეტად გაუძნელდება ეკალს დღის სინათლეზე თავის ამოყოფა.

აი, რატომ შევჩერდით ზემოთ ხელმწიფე იმპერატორის სიტყვებზე, რომლებიც, ჩვენი აზრით, გასაღებია მისი ყველა სასიკეთო რეფორმის ახსნა-განმარტებისათვის და იმის საუკეთესო დასტურია, თუ როგორ ღრმად აქვს შეგნებული მას როგორც თვით სახელმწიფოს მდგომარეობა, ისე მონარქის ინტერესები და დანიშნულება.

ვდღესასწაულობთ რა ბრწყინვალე დევიზით დაწყებული მეფობის 25 წლისთავს, რომლის დროსაც ბევრი რამ გაკეთდა ქვეყნის სასარგებლოდ, გვახსენდება რა ჩვენი სამშობლოს მიერ განვლილი გზა რეფორმების პერიოდში—ჩვენი სტატია გვინდა დავამთავროთ გულითადი სურვილით, რომ ღრმა აზრი მეფე-გამათავისუფლებლის სიტყვებისა ყოველთვის ყოფილიყოს რუსი მონარქების პოლიტიკის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი, რომ ჩვენს ისტორიაში ნამდვილი მეფობით დაწყებული განთავისუფლების ერა გაგრძელებულიყოს დიდხანს და შეეტანოს რუსეთის ისტორიაში მრავალი ბრწყინვალე ფურცელი.

10. პოლიტიკური მიმოხილვა

თბილისი, 20 თებერვალი, 1880 წ.

მაშინ, როცა უცხო სახელმწიფოებისა და საზღვარგარეთული პრესის წარმომადგენლები მისასალმებელ მილოცვებს უგზავნიან ჩვენს მთავრობას 5 თებერვლის წარუმატებელი თავდასხმის გამო, ევროპული პოლიტიკური ბეჭდვითი სიტყვის ორი ცნობილი გამოცემა, გაზეთი „Politische Correspondenz", ვენის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური ორგანო, და „Norddeutsche Allgemeine Zeitung", არანაკლებ სპეციალური ორგანო გერმანიის კანცლერისა,—ბეჭდავენ სტატიებს, საიდანაც ნათელი ხდება, რომ მშვიდობას საშიშროება ემუქრება. თავადმა ბისმარკმა, როგორც ამას ვენის პოლიტიკური კორესპონდენცია იტყობინება, საფრანგეთის მთავრობისაგან ფორმალურად მოითხოვა ვალდებულება, რომ იგი არ დადებს კავშირს რუსეთთან. ჩრდილოეთ გერმანიის საყოველთაო გაზეთი კი, ძველთაგან მომდინარე ჩვეულებით, ცდილობს მომავალი კომპლიკაციისათვის პასუხისმგებლობა თავზე მოახვიოს რუსეთსა და საფრანგეთს... ლონდონის გაზეთის „daily News" ამასწინანდელ მხილებასთან დაკავშირებით ცნობებს გერმანიის, ავსტრიისა და ინგლისის წინასწარ გამზადებული კავშირის შესახებ განსაკუთრებით სერიოზული მნიშვნელობა აქვს... გაზაფხული ცუდი ნიშნებით გვიახლოვდება...

რასაკვირველია, უნდა გვახსოვდეს, რომ ახლა გერმანიის წარმომადგენლობა იხილავს უაღრესად საჩოთირო კანონპროექტს გერმანიის საბრძოლო ძალების მაქსიმუმამდე გაზრდის შესახებ. იმპერიის კანცლერს, ეფექტების შეთხზვის ხელოვნებაში გამობრძმედილს, შეეძლო მსგავსი მუქარა შეეთხზა იმ მიზნით, რომ მის მიერ შემუშავებული კანონპროექტი დაუბრკოლებლივ მიეღო პარლამენტს. მაგრამ ევროპის პარლამენტების ისტორიაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე მთავრობას გაებედა თავისი მიზნების მისაღწევად აბუჩად აეგდო მეზობელი სახელმწიფოები, როგორც აშკარა მტრები, მსგავსი განცხადებებისათვის მიუმართავთ მხოლოდ დიპლომატიური დაძაბულობის უკანასკნელ წუთებში, თითქმის ომის გამოცხადების წინა დღეს.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენმა საშინაო ამბებმა უკანასკნელ წლებში მცდარი წარმოდგენა შეუქმნეს ჩვენს მეზობლებს რუსეთის ძალისა და მთავრობის მდგომარეობის შესახებ. ისინი, ალბათ, ფიქრობენ, რომ ჩვენს პოლიტიკას არ მოეპოვება საკმაო საშუალებები დაიცვას რუსეთის საგარეო ინტერესები.

...მხოლოდ მსგავს, ოღონდ კიდევ უფრო გაზვიადებულ წარმოდგენას შეეძლო წარმოექმნა ჩვენს მეზობლებში ის გამომწვევი ყოყოჩობა, რაც ხშირად ადგილს პოულობს ავსტრიისა და გერმანიის ზნეობრივი აზრის ჩამოყალიბებული ავტორიტეტული პერიოდული ორგანოების გვერდებზე.

საგარეო საქმეთა მინისტრებს, ცხადია, ჩვენ ვერ დავაჯერებთ იმაში, რომ ისინი ცდებიან რუსეთის მთავრობის მდგომარეობისა და ძალების შეფასებაში. მაგრამ აღვნიშნავთ რა ჩვენზე მათი მცდარი წარმოდგენის ფაქტს, გულწრფელად ვწუხვართ მათი ასეთი დასანანი შეცდომის გამო. როგორც ცნობილია, „პრავიტელსტვენნი ვესტნიკისა“14 და ყველა ჩვენი ოფიციალური გამოცემის ცნობებიდან რუსი რევოლუციონერები შეადგენენ უნიადაგო და უმნიშვნელო ადამიანთა პატარა ჯგუფს, რომელსაც რუსი ხალხი მყისვე გაუსწორდება, ამიტომ მეტისმეტად საოცარია, რომ უცხოეთის მთავრობებმა უკანასკნელი დროის განსაკუთრებული ზომები გააზვიადეს...

როგორც არ უნდა იყოს, ჩვენს პოლიტიკურ ჰორიზონტზე ავბედითი ღრუბელი ჩამოწვა. ასეთ მდგომარეობაში, სამშობლოს ერთგულ შვილს შეიძლება ვუსურვოთ ისეთი დროის მალე დადგომა, როცა მთავრობის ძალები, საშინაო ბრძოლისაგან თავისუფალნი, შეძლებენ მხოლოდ რუსეთის ძირითადი მტრების წინააღმდეგ ბრძოლას, რათა დაიცვან და აამაღლონ მისი პრესტიჟი მეტოქე სახელმწიფოთა შორის.

11. კავკასიის უნივერსიტეტი

თბილისი, 21 თებერვალი, 1880 წ.

თბილისის ქალაქის სათათბირომ ინიციატივა აიღო—რისთვისაც მთელი კავკასია მას მადლობას გადაუხდის—პრაქტიკულ ნიადაგზე დააყენოს კავკასიის უნივერსიტეტის დაარსების საკითხი. მან დაადგინა, უნვერსიტეტის დაარსების შემთხვევაში დაუთმოს მას მიწის სათანადო ფართობი და ქალაქის ხაზინიდან გამოუყოს ვერცხლის ასი ათასი მანეთი. თბილისის სათათბიროს გამოეხმაურა ქუთაისის საქალაქო მმართველობაც; კავკასიის უნივერსიტეტის გახსნის შემთხვევაში ქუთაისის სათათბირომ გადაწყვიტა ამ საქმისათვის გაიღოს თავისი წვლილი—20.000 მანეთი. ქუთაისში არსებულ მიხაილოვის(?) სამინათმოქმედო ბანკსაც შეაქვს თავისი წვლილი—20000 მანეთი. ეს გულისხმიერება იმის ბრწყინვალე დადასტურებაა, რომ ჩვენ შეგნებული გვაქვს კავკასიის უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობა. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ჩვენ რომ ერობები[2] გვქონოდა, დარწმუნებული ვართ, არ დარჩებოდა არც ერთი, არც სოფლის, არც საგუბერნიო და არც სამაზრო ერობა, რომ არ მიმხრობოდა თბილისის საქალაქო სათათბიროს. ვიმედოვნებთ, რომ ქალაქები, რომლებმაც მიიღეს თვითმმართველობა, მიბაძავენ თბილისისა და ქუთაისის მაგალითს.

მაშასადამე, ახლა თავიანთი სიტყვა უნდა თქვან სასწავლო უწყებამ და მთავრობამ, რომლებიც, ვიმედოვნებთ, უარს არ იტყვიან სათანადო ყურადღება მიაქციონ ჩვენ მიერ დიდი ხნის წინათ შეგნებულ საჭიროებას მხარის უნივერსიტეტის დაარსების შესახებ.

ჩვენ შორსა ვართ იმისაგან, რომ ხელახლა გავიმეოროთ ჩვენი საბუთები და მოსაზრებანი უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ. ამაზე არცთუ ისე ცოტა იწერებოდა „ობზორში“[4] 1878 წელს; არავითარი სურვილი არა გვაქვს ვამტკიცოთ ტრუიზმები, მაგრამ უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ უნივერსიტეტის მოწინააღმდეგეების ერთადერთ შემოდავებას, რაც გაზეთ „კავკაზის“[3] რამდენიმე სტატიაში გამოვლინდა შარშან.

მოწინააღმდეგეებმა დაასკვნეს, რომ თითქოს ამიერკავკასიაში არსებული გიმნაზიები მეტად უმნიშვნელო კონტინგენტს უშვებენ სიმწიფის მოწმობებით, რის გამოც კავკასიის უნივერსიტეტი შეიძლება უსტუდენტებოდ დარჩეს.

ამ მოსაზრებების წამოყენებით კავკასიის უნივერსიტეტის დაარსების მოწინააღმდეგენი, ცხადია, არც კი ეჭვობდნენ, რომ მათ მოჰყავდათ თავიანთი მოსაზრების მცდარობის დამადასტურებელი საუკეთესო საბუთი. უკვე მარტო ის, რომ უნივერსიტეტის წინააღმდეგ არავითარი სხვა საბუთი არ არის წამოყენებული, ძლევამოსილი დასაბუთებაა უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობისა. მაგრამ თვით ეს საბუთი არსებითად უნივერსიტეტის დაარსების წინააღმდეგ კი არ მეტყველებს, არამედ, პირიქით, მის სასარგებლოდ ლაპარაკობს. ბავშვთა აღზრდა თანამედროვე გიმნაზიებში—სახუმარო საქმე როდია! ყოველი ოჯახის თავს ეს გარემოება მეტად სამძიმო მსხვერპლის გაღებას აკისრებს; თითოეული გიმნაზიელი მის მშობლებს მეტად ძვირი უჯდება.

არც ერთი პიროვნება, თუ ოდნავ მაინც რაიმე საშუალება აქვს, ამ ხარჯს არ გაექცევა, თუკი მას ექნება იმედი, რომ მეტად მნიშვნელოვანი ხარჯის გაღებით მისი ვაჟი უმაღლეს განათლებას მიიღებს, რაც ყველა დანახარჯს აანაზღაურებდა თავის დროზე, მაგრამ რა აზრი აქვს 9-10 წლის განმავლობაში გიმნაზიაზე ფულის ხარჯვას, როცა წინასწარ იცი, რომ შვილის უნივერსიტეტში გასაგზავნი საშუალება აღარ გექნება? გიმნაზიის დამთავრება ხომ კარიერის გაკეთებისათვის არავითარ საშუალებას არ იძლევა და არ ამზადებს ადამიანს ყოველდღიური ცხოვრებისათვის. თუ კურსდამთავრებულს ბედმა არ გაუღიმა და ვერ მოხვდა მოსწავლეთა იმ განსაზღვრულ რიცხვში, რომლებიც სახაზინო ხარჯზე იგზავნებიან უნივერსიტეტში, ან თუ მშობლებს არა აქვთ შეძლება 4-5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად უზრუნველყონ ისინი 400-500 მანეთით, რათა სატახტო ქალაქებში იცხოვრონ საკუთარი სახსრებით, მაშინ სტუდენტმა უნდა დაიწყოს სადმე გადამწერლად მუშაობა და სწიოს საერთო ჭაპანი კანტონისტებთან. ნუთუ ამ პერსპექტივამ უნდა აღუძრას სურვილი როგორც ბავშვებს, ისე მათ მშობლებს, თანამედროვე გიმნაზიის მეცნიერებათა სიმძიმის გადატანისა?

გახსენით თბილისში უნივერსიტეტი და თქვენ დაინახავთ, რომ მარტო ეს გარემოება მისცემს სათანადო ბიძგს როგორც მშობლებს, ისე მოსწავლეებს და მაშინ რაოდენობა გიმნაზიელებისა, რომლებიც თავს არიდებენ გიმნაზიის კურსის დამთავრებას, მინიმუმამდე შემცირდება; ადგილობრივი საზოგადოება კი ეცდება გაზარდოს არსებულ გიმნაზიათა რიცხვი იმ საფუძვლიანი იმედით, რომ სტუდენტებისათვის თბილისში ცხოვრება შეუდარებლად უფრო იაფი ეღირება, ვიდრე რუსულ საუნივერსიტეტო ქალაქებში მათი გაგზავნა. ქუთაისის, ერევნის, ბაქოს გუბერნიების თითქმის ყოველ მცხოვრებს, რომ აღარაფერი ვთქვათ თბილისის გუბერნიის მოსახლეობაზე, მოეძებნება თბილისში ნათესავი ან ნაცნობი, რომელთანაც უნივერსიტეტის სტუდენტი გამოძებნის ბინასა და მხარდაჭერას უფასოდ ან ძალიან მცირე თანხის საფასურად.

ჩვენ უკვე აღარ ვლაპარაკობთ რუსული გიმნაზიების იმ კურსდამთავრებულებზე, რომელნიც ადგილობრივი კლიმატური პირობების გამო, ამჯობინებენ კავკასიის უნივერსიტეტში შესვლას. ახლაც კი ჩვენს გიმნაზიებში არცთუ ისე ცოტანი არიან ასეთი ყმაწვილები, მაშ, რატომ არ უნდა მოველოდეთ მათ უხვ ნაკადს თბილისის უნივერსიტეტში?

ახლა ხომ ცხადია, რომ უნივერსიტეტის მოწინააღმდეგეებმა უნდა გამოძებნონ უფრო საფუძვლიანი საბუთები!..

12. ჩვენი დამოუკიდებლება

თბილისი, 23 თებერვალი, 1880 წ.

ჩვენ გვსაყვედურობენ საერთოდ არასაკმაო დამოუკიდებლობის გამო და ამით ხსნიან მთელ ჩვენს უმწეობას პრაქტიკული ცხოვრების სიძნელეებთან ბრძოლაში,—მაგრამ ეს სულაც არაა სწორი. არის ადამიანური მოღვაწეობის მთელი სფერო, სადაც ჩვენს დამოუკიდებლობას საზღვრები არა აქვს—ესაა გაბედული შეხედულებებისა და დამოუკიდებელი დასკვნების სფერო. ჩვენ სრულიადაც არ ვიზღუდავთ თავს მეცნიერების მიერ დადგენილი ჭეშმარიტებებით, არც ფაქტებით, არც ლოგიკით. ყოველივე ეს ჩვენთვის არ არსებობს, როგორც კი შევიგრძნობთ საქმისადმი დამოუკიდებლად მიდგომის საჭიროებას: გამოვარჩევთ ორიგინალობით, ჩვენი გონების თვითმყოფადობით. ამ ბედკრულ სისუსტეს ვავლენთ ჩვენ არა მარტო კერძო ცხოვრებაში, კერძო ურთიერთობაში, სადაც ყოველგვარ ორიგინალობას მხოლოდ საკუთარი დანაკარგები მოჰყვება, არამედ—საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროშიც. თვით იმ პირებს შორისაც, რომელთაც ხაზინიდან ეძლევათ სახსრები, რათა შეისწავლონ ის, რასაც ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების განვითარებისათვის სერიოზული მნიშვნელობა აქვს.

ეს აზრი დაგვებადა მაშინ, როცა გაზეთებში წავიკითხეთ ცნობები ბ. ორბინსკის გამოკვლევათა შედეგებზე რუსეთსა და ამერიკას შორის პურით ვაჭრობაში კონკურენციის შესახებ. ეს გამოკვლევები მან უკვე წარუდგინა ფინანსთა სამინისტროს, რომელმაც, თუ არ ვცდებით, უკვე მიავლინა იგი უცხო ქვეყნებსა და რუსეთის სხვადასხვა კუთხეში.

„ბ. ორბინსკიმ,—წერს „სოვრემენ იზვესტია“,[5] მთელი ჩრდილოეთი ამერიკა გადასერა, შეკრიბა აუარებელი მასალა, რომლის საფუძველზეც ჩამოაყალიბა თავისი აზრი ხსენებულ მოხსენებაში. მთელი ჩვენი უბედურება ის არის, რომ პურით ვაჭრობამ ამერიკაში თვალთმაქცობის ხასიათი მიიღო: ყველა თავისუფალი კაპიტალი დაბანდებულ იქნა ამ საქმეში, მთელი მუშახელი დაკავებულია მხოლოდ პურის მოყვანით, რის შედეგადაც იქ შეინიშნება საფაბრიკო მრეწველობის მნიშვნელოვანი დაცემა. მუ-

შახელის ფასი ამერიკის დასავლეთ შტატებში აღწევს უკიდურეს ზღვრებს: ზაფხულში მუშის დღიური ხელფასი 6-8 დოლარს უდრის, ანუ 10-15 მანეთს. მიუხედავად ამისა, ამერიკელი პურის მწარმოებლები აუარებელ კაპიტალს აგროვებენ და მდიდრდებიან. მაშასადამე, საჭიროა, რომ ჩავკლათ ეს კონკურენცია, რომელიც მეტისმეტად სახიფათოა ჩვენთვის მომავალში; ჩვენ კურსი უნდა ავიღოთ ევროპის ბაზრებზე პურის ფასის შემცირებაზე. ეს შემცირება აუცილებლად გამოიწვევს ამერიკის პურის წარმოების დაცემას, პურის მწარმოებელთა კურსის შეზღუდვას და ამერიკის თავისუფალი კაპიტალის დაბანდებას საფაბრიკო მრეწველობაში, რისთვისაც, ასე ვთქვათ, მოწოდებულია ჩრდილოეთი ამერიკა".

ამგვარად, ბატ. ორბინსკის მოხსენებიდან გამომდინარე, უბრალო ენით რომ ვთქვათ, ამერიკაში, თურმე, ძალიან ბევრი პურია იმიტომ, რომ ამ პურით ბევრს ვაჭრობენ, ე. ი. ეს ისეთი დასკვნაა, როგორიც ჯერ კიდევ არავის გაუკეთებია! პურით ვაჭრობის სურვილი იმდენად დიდია, რომ ზაფხულის პერიოდში მუშის ხელფასი 10 მანეთიდან 15 მანეთამდე აღწევს დღე-ღამეში და მაინც ამერიკელი პურით მრეწველნი დიდი კაპიტალის მფლობელნი ხდებიან. რომ ჩავკლათ ისინი, ანუ სარგებლობა გამოვაცალოთ, ჩვენ, რუსები, უნდა წავიდეთ პურის ფასის შემცირებაზე ევროპის ბაზრებზე, სადაც ვასაღებთ ნაწარმს საწარმოო ღირებულებაზე ისედაც უფრო დაბალ ფასებში, ე. ი. საკუთარი გაღატაკების ფასად. მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა ბატ. ორბინსკი გამგზავრებულიყო ამერიკაში, რომ დაევიწყებინა, როგორც ეს, ისე მეორე არანაკლებ სერიოზული ვითარება: საზღვარგარეთ პურის დიდი რაოდენობით გატანა არყევს რუსეთის ბედნიერების საფუძვლებს. იგი ართმევს მუშას, გადასახადების გადამხდელ მოსახლეობას იაფ საჭმელს, ხოლო უხარისხო პურის მეშვეობით მეტისმეტად იზრდება ავადმყოფობა და სიკვდილიანობა უბრალო ხალხში. იმის დასახასიათებლად, თუ რა მდიდარი ბელელია რუსეთი ევროპისათვის და თუ რა „აუცილებელია" პურის გაიაფებაზე კურსის აღება ევროპის ბაზრებზე, მოვიყვანთ ორ ამონაწერს.

აი, პირველი ამონაწერი („სმოლენსკი ვესტნიკი,"[1] №5, 1880);

---

[1] *2½ მილიონი კი არა, არამედ 1.100.000.*

რედაქცია.

„1878 წელს ჩვენ ჭვავის კარგი მოსავალი მივიღეთ. ჩვენი გლეხები პურს მცირე რაოდენობით ყიდულობდნენ. 1879 წლის გაზაფხულზე ყველაზე უკეთესი ჭვავის ყიდვა შეიძლებოდა 7 მანეთად. ბევრ გლეხს არამცთუ ახალ მოსავლამდე გაჰყვა პური, მორჩა კიდეც. წელს ჩვენი მოსავალი შარშანდელზე ბევრად ცუდი იყო, მიუხედავად ამისა, 1880 წელსაც ვერ ჩავთვლით უმოსავლო წელინადად. მე წელს შარშანდელთან შედარებით 1/4 უფრო ნაკლები ჭვავი ავიღე; 1878 წელს ერთი სამეურნეო დესეტინიდან 12 პარკი ჭვავი ავიღე, ხოლო 1879 წელს—9 პარკი. გლეხები ამბობენ, რომ მათ მოიწიეს ჭვავის 1/3-დი.

აქამდე აქაური გლეხობა უძლებდა, რადგან თავისი პური ჰქონდა, მაგრამ ახლა გლეხობა პურის ნაკლებობას განიცდის, საჭიროა ყიდვა. მხოლოდ გლეხების მცირე რაოდენობამ შეიძინა პურის მარაგი, სანამ ჯერ კიდევ იაფობა იყო. უმრავლესობა უკანასკნელ ლუკმას ჭამს. ძალზე იშვიათად, რომ გლეხი წინდაწინ ყიდულობდეს პურს, რადგან ძალზე ცოტასა აქვს სასყიდელი „გროში“. გლეხი ბოლო ლუკმის დამთავრებას ელოდება და მაშინლა მოიფხანს კეფას, როცა სრულებით აღარ ექნება პური. გლეხი სულ იმედოვნებს, რომ „პური ჩვენი არსობისა“ გაიაფდება, სტეპიდან შემოზიდავენ, თუ არა და დაინახავს მეფე, რომ გლეხი მძიმე მდგომარეობაშია და აკრძალავს გერმანელებთან პურით ვაჭრობას, აკრძალავს პურისაგან არყის გამოხდას.

ახლა ჩვენი გლეხებიც ამოძრავდნენ პურის სასყიდლად, მაგრამ კარგი პური აღარ იშოვება. გლეხებს პურის ყიდვა უხდებათ გადამყიდველებისაგან. „ხომ არ არის პური არსობისა გასაყიდი?“—არის,—პარკი ათ მანეთად, ჭვავი კი სარეველიანია, მიწიანია. ტყუილუბრალოდ კი არ ყიდულობდნენ დახარისხებულ ჩაის. ახლა გლეხი ყველაფერს შეჭამს.

პურის ფასი უზომოდ იზრდება, ხარკის ამოღების დღეც კარზე მოგვადგა.

ადგილობრივი ჭვავი აღარ არის. შემოვზიდოთ? მაგრამ საიდან? პური არსობისა გერმანელებთან წავიდა, ფორტებში დაგროვდა“.

აი, სხვა ამონაწერი „რუსსკი კურიერის“[7] უკანაკნელი ნომრებიდან:

„უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში შედგა რამდენიმე ოფიციალური კომისია სმოლენსკისა და ჩერნიგოვის უღარიბესი მაზრების გამოკვლევის მიზნით. სწორედ ამ კომისიების მიერაა დამოწმებული „გლეხთა გადასახადები პირდაპირ საკუთარი კვების ანგარიშიდან". ასე, მაგალითად, ჩერნიგოვის გუბერნიის მგლინისა და სურაჟის მაზრებს, ცნობილთ თავიანთი სიღატაკით,—მაინც ყოველწლიურად შეაქვთ რაღაც გარკვეული თანხა მათზე დარიცხული გადასახადებიდან და ბეგრიდან. შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული კომისიის გამოკვლევების თანახმად კი, თურმე, ამ მაზრებში „პური თითქმის სრულიად მიუწვდომელია გლეხებისათვის". პური მათთვის ჩვეულებრივი კვების პროდუქტი კი არ არის, არამედ საშუალებაა იმისა, რომ „შიმშილით სიკვდილისაგან დაიხსნან თავი". „უვარგისი" ან კიდევ „პირდაპირ მავნებელი მინარევი" პურში აღწევს 50-დან 75%-მდე, მაგრამ ასეთი პურიც კი ხანდახან ზედიზედ ორი-სამი დღე არ მოეპოვებათ გლეხებს. ზუსტად ასეთივე მდგომარეობა დაადასტურა მეორე ოფიციალურმა კომისიამ, რომელმაც გამოიკვლია სმოლენსკის გუბერნიის დუხოვშჩინსკისა და სხვა მაზრები".

ასეთი შედეგები მივიღეთ საზღვარგარეთ იაფ ფასებში დიდი რაოდენობით პურის გატანით, ხოლო ჩვენმა რუსმა მეცნიერმა მთელი ამერიკა შემოიარა და იქ სხვა ვერაფერი დაინახა, გარდა იმისა, რომ აუცილებელ საჭიროებად ცნო პურის კიდევ უფრო მეტად გაიაფება... ბოლოს და ბოლოს რისი გულისათვის უნდა გავაღატაკოთ ასე შეუწყნარებლად ჩვენი თავი?

ნუთუ სიტყვა კონკურენციით უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენი საშინაო ეკონომიკური ცხოვრების ყველა მოვლენის დროს? ხოლო, თუ ეს მაინცდამაინც ასეა, მაშინ ყველა შემთხვევაში უნდა ვიცოდეთ, რომ კონკურენცია, ვისთანაც არ უნდა იყოს და რაშიაც არ უნდა იყოს, პური იქნება ეს, ცხიმი, მანუფაქტურა თუ სხვა რამ, შეიძლება მხოლოდ წარმოების გაიაფებით ან მუშაობიდან უკეთესი შედეგების მიღებით. ამერიკაში მოსავლის აღების დროს მუშები დღიურად 10-15 მანეთს ღებულობენ და მაინც პურით მოვაჭრენი დიდ მოგებაში არიან... ჩვენთან კი მუშები 10-15 მანეთს თვიურად იღებენ, მაგრამ მწარმოებელი მაინც ვერ ინაზღაურებს ხარჯებს და ყოველთვის გაჭირვებულია. მიზეზი

ევროპის ბაზრებზე არსებული სიძვირე კი არ არის, არამედ—ჩვენი ნიადაგის მცირე მწარმოებლურობა, რაც შედეგია მისი უხარისხო დამუშავებისა, გვალვებისა და წვიმებისა. ეს უკანასკნელი ხომ სწორედ იქ და იმ დროს უნდა დაგვატყდნენ თავს, როცა ყველაზე მეტად ჭირს. ჩვენი სიღარიბის გამო ჩვენში არ არსებობს არც ირიგაცია, არც დრენაჟი და არც საჭირო მანქანები. აი, ესაა ერთადერთი მიზეზი, რის გამოც არ შეგვიძლია, და არც უნდა ვეცადოთ, კონკურენცია გავუწიოთ ამერიკას.

რუსეთის შიგნით პურის ფასი ახლა უფრო ძვირია, ვიდრე იმ სანავსადგურო ქალაქებში, საიდანაც პური საზღვარგარეთ გაიქვთ. ვკითხულობთ, რატომაა რუსეთის სახალხო მეურნეობისათვის უფრო მომგებიანი პურის საზღვარგარეთ იაფად გაყიდვა და რატომ არ შეიძლება პური თუნდაც იმავე ფასებში გაიყიდოს რუსეთში? ამას, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, ხელს უშლის ჩვენი რკინიგზის ქსელი, რომელიც უმთავრესად გაყვანილია ჩვენი ნედლეულის ევროპაში გასატანად, ე. ი. ბატ. ორბინსკის იდეის მიხედვით. მოკლედ, სავაჭრო-ეკონომიკური კრიზისი, რომელსაც ჩვენ განვიცდით, საუკეთესო პასუხია ბ. ორბინსკის დასკვნებზე, ორბინსკისა, რომელმაც სახაზინო ფულით მთელი ამერიკა შემოიარა.

13. საღღეისო საკითხები

თბილისი, 24 თებერვალი, 1880 წ.

მალე, მას შემდეგ, რაც ქუთაისში მოკლეს ასათიანი, „ობზორის“[6] რედაქციამ გადაწყვიტა თავისი გაზეთის ფურცლებზე ადგილი დაეთმო ამ მკვლელობასთან დაკავშირებული ყველა სტატიისათვის, რომლებიც ყოველი მხრიდან ასე ბლომად მოგვაყარეს და რომლებითაც აივსო ჩვენი რედაქციის საფოსტო ყუთი.

ასეთი გადაწყვეტილების მოტივები ნაწილობრივ ცნობილია ჩვენი მკითხველისათვის... რედაქციამ შეასრულა დაპირება და თვენახევრის განმავლობაში განუწყვეტლივ ბეჭდავდა ვეებერთელა წერილებს ავტორების სრული ხელმოწერით... მთელი ამ ხნის განმავლობაში რედაქცია მკითხველებთან ერთად დინჯად ელოდა, რომ პოლემიკის მონაწილენი თავს დააღწევდნენ ქაოსს: პირად კინკლაობას, ბუნდოვან, შეთითხნილ აზრებს, მომხდარი ფაქტისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, დადგებოდნენ გონიერების ნიადაგზე და ასეთი არჩევანით დაეხმარებოდნენ საზოგადოებრივ სამსჯავროს სამართლიანი, მტკიცე განაჩენის გამოტანაში, დაეხმარებოდნენ, აგრეთვე, მკვლელობის მიზეზის გამოკვლევაში, რაც აქამდე ცნობილი არ არის არც პრესის და არც ხალხისათვის.

რედაქციას სჯეროდა და ელოდა. მაგრამ შემდგომ თვალნათლივ დავინახეთ, რა გულუბრყვილო იყო ეს მოლოდინი. არცთუ ისე დასაჯერებელი ყოფილა ჩვენი საზოგადოების ნიჭიერება; მას არ შეძლებია თავისივე ინტერესების შეცნობა.

ვაჯამებთ რა ყველაფერს, რაც დაიბეჭდა ასათიანის მკვლელობის შესახებ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩიხში მოვექეცით. შეჯამებული მასალა არაფერს იძლევა. გახსნილი არაა საქმის არც ერთი არსებითი მხარე, მხილებული არ არის დანაშაულის არც ერთი ძირითადი მიზეზი. უფრო მეტიც, ჩვენ საერთოდ ვერ ვამჩნევთ, რომ მოკამათეებს რაიმე მიდრეკილება ჰქონდეთ იმ თვალსაზრისისაკენ, რომელიც შეაძლებინებდა მათ მიეცათ საზოგადოებისათვის ის, რასაც ეს უკანასკნელი ელოდა მათგან... მოკამათეების მომაბეზრებელი უხვსიტყვაობიდან მკითხველს არაფერი რჩება, გარდა არაფრისმთქმელი ზოგადი ფაქტებისა, დაუდას-

ტურებელი ინსინუაციებისა... უამრავი უსუსური სიტყვებიდან და მკვახე გინებიდან, შეცბუნებული მკითხველის წინაშე, რიგრიგობით ამოტივტივდებიან ფიგურები რომელიღაც სიდედრისა, საპატარძლო, სასიძოსი, ვიღაცის ძმისა, უტიფრად რომ ჩასჭიდებია თავისი მოძღვრისა და დამრიგებლის ხუჭუჭა ნვერს... შემდეგ... შემდეგ—მეტი აღარაფერი. მოკამათეებს, ცხადია, არ ესმოდათ რა მოეთხოვებოდათ მათ. ორივე მოკამათე მხარე გამალებით ილტვოდა, სამწუხაროდ, საზოგადოებრივი წყობის ორი მსხვერპლის გამართლებისა ან ჩირქის მოცხებისაკენ. კამათით გატაცებულთ დაავიწყდათ, რომ „de mortuis aut bene, aut nihie"[18] და რომ მათ მიმართ მხოლოდ სიბრალულს უნდა ვგრძნობდეთ, რომ ყველა მათგანის კიდევ ერთი ბნელი მხარის გამომჟღავნება ვერ გააქარწყლებს საზოგადოების ეჭვებს, ვერ დაეხმარება მის უცოდინარობას, არ მისცემს მას იარაღს ბოროტების საფუძველშივე ამოსაძირკვლად, იმ ბოროტებისა, რომელმაც გამოიწვია დანაშაული და რომელიც ძლიერი და საშინელი ბოროტებაა მხოლოდ იმიტომ, რომ შენიღბულია და სიბნელითაა გარემოცული...

ვიმეორებთ: ჩვენი იმედები დამყარებული ამ საქმისადმი დაინტერესებულ პირთა გონიერ დამოკიდებულებაზე, გაქრა და ჩვენ ვწყვეტთ ასათიანის მკვლელობის შესახებ რედაქციის კონტროლისაგან თავისუფალი სტატიების ბეჭდვას, ვწყვეტ ღრმა მწუხარებით, რადგან მკვლელობის სამწუხარო ფაქტის გვერდით, რომელმაც გვაიძულა მიგვემართა საზოგადოებრივი ძალებისათვის და დაგვეთმო მისთვის ჩვენი გაზეთის ფურცლები, გამოკვეთა მეორე უდავო და არანაკლებ სამწუხარო ფაქტი: საზოგადოების მხრიდან თავის დანიშნულების სრული შეუგნებლობა და დაუსჯელობა ყოველგვარი ბოროტებისა. როგორც პირდაპირი შედეგი ამ შეუგნებლობისა...

14. „ჩემი შენ გვითხარი, გული მოგიკალი“

თბილისი, 25 თებერვალი, 1880წ.

ბ-ნი ჟარინცევის ინფორმაციის თაობაზე რუსული ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში მივიღეთ ჩვენი პატივცემული თანამშრომლის ნ. ა. შავროვის წერილი, რომელსაც სიამოვნებით ვუთმობთ ადგილს ჩვენი მოწინავე სტატიების განყოფილებაში, რადგან ამ წერილში არ არის გამოთქმა, არ არის სიტყვა, რომელშიაც არ ვეთანხმებოდეთ ავტორს, ჩვენ ნ.ა. შავროვის პანეგირისტები არა ვართ, იგი ყველაზე ნაკლებ საჭიროებს ჩვენს ხოტბას, მაგრამ განა საკვირველი არ არის, რომ სწორედ იმ დროს, როცა თვით მისი მოწინააღმდეგენიც კი სამართლიანად შენიშნავენ მის უზადო პატიოსნებას, ადამიანები, რომლებიც ყელთამდე არიან ჩაფლული ანგარების სიბინძურეში, გააფთრებით ცდილობენ ჩრდილი მიაყენონ მას, რათა თვითონ გამართლდნენ? ჯერ კიდევ სულ ახლახან ბ-ნი პეტერსენი 1880 წ. 6 თებერვალს (№1416) „ნოვოე ვრემიაში“[7] წერდა, რომ „ბ-ნი შავროვი, რომელმაც სიღარიბეში დაიწყო მშენებლობა, კიდევ უფრო ღარიბი წავიდა იქიდან, 21/2 მილიონი ხაზინის ფული დახარჯა (ზუსტი ციფრი არა მაქვს)[8] როგორც ჩანს, ყველა ინჟინერს არა აქვს უფლება ჩაქოლოს ასეთი მშენებელი.

საკითხავია, რა კავშირი აქვს ბ-ნ შავროვს ფოთის პორტის მდგომარეობასა და ბედთან? ბ-ნი შავროვის როლი ფოთში დიდი ხანია დამთავრდა, რვა წელი იყო ფოთის პორტი ბ-ნი ბახმეტიევის, ჟარინცევის, ბურგმეისტერისა და ფალკენჰაგენის ხელში. ბ-ნი შავროვი განდევნილ იქნა ფოთიდან და მის მოწინააღმდეგეებს ყოველნაირი საშუალება ჰქონდათ გამოესწორებინათ ბ-ნი შავროვის მოჩვენებითი თუ ნამდვილი შეცდომები. ახლა როდესაც თვითონ მათ ბრწყინვალედ აჩვენეს, რომ არაფერი გაუკეთებიათ და არც არაფრის გაკეთება შეუძლიათ, ბ-ნ შავროვს დაესხნენ თავს, რათა თავიანთი უძლურების პასუხისმგებლობა მას მოახვიონ...განა საკვირველი არ არის ეს? განა ეს ბრძოლა ქარის წისქვილებთან მარტოდმარტო შერკინებას არა ჰგავს?

არა, მკითხველო, ეს სულაც არ არის უნაყოფო ბრძოლა. მას ფრიად და ფრიად კანონიერი საფუძველი აქვს. რაც უფრო აშკა-

რად იკვეთება საზოგადოების თვალში პორტის ახლანდელ მშენებელთა მოღვაწეობის უნაყოფობა, რაც უფრო მეტად კარგავენ ისინი ავტორიტეტს, მით უფრო მძლავრად იზრდება მათ წინაშე, როგორც საყვედური, აჩრდილი ნ. ა. შავროვისა. საზოგადოება ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო რწმუნდება, რომ ამაოდ სწამებდნენ ცილს შავროვს, ამაოდ უტეხდნენ სახელს მის პროექტს, ამაოდ გაჰყვიროდნენ მისი ხარჯების უსაზღვროებაზე, რადგან თვითონვე არიან იძულებულნი დაუბრუნდნენ ამ პროექტებს და თავიანთი უზარმაზარი ხარჯებით გაამართლონ წინანდელი. ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც ახლოს იცნობდა ნ. ა. შავროვს და კარგად იცოდა საქმის ნამდვილი არსი, კვლავ სიმპათიითაა განწყობილი შავროვისადმი, როგორც იმ ადამიანისადმი, გულწრფელად რომ უნდოდა თავისი ქვეყნის სარგებლობა და მის მიერ დაწყებულ საქმეში მთელი სული ჩააქსოვა. და რაც უფრო აშკარა ხდება მოიჯარადრეთა რვაწლიანი მუშაობის ამაოება, მით უფრო აშკარად იკვეთება საზოგადოებაში სიმპათიები ბ-ნი შავროვისადმი. მის მოწინააღმდეგეებს არ შეიძლება არ ეგრძნოთ ეს. როგორც ჩანს, ამით აიხსნება მათი უადგილო თავდასხმა ბ-ნ შავროვზე, რომელსაც ისინი მთელი რვა წლის მანძილზე გასრესილ და დასამარებულ კაცად აცხადებდნენ...

აი, თვით ნ. ა. შავროვის წერილიც:

„მოწყალეო ხელმწიფენო, თქვენს გაზეთს მოვმართავ, რათა გაირკვეს ფრიად უცნაური გაუგებრობა. აგერ უკვე რვა წელია, რაც მე ფოთის პორტის მშენებლობა მივატოვე, მივატოვე საინჟინრო სამსახურიც კი. მთელი ამ ხნის მანძილზე არც არაფერი მილაპარაკია და არც დამიწერია ფოთის პორტზე, გარდა ერთი შემთხვევისა, როცა ბ-ნმა ფალკენჰაგენმა რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის ხელშემწყობ საზოგადოებაში თავს უფლება მისცა მასხარად აეგდო ჩემი წარსული მუშაობა. მე გაზეთ „კავკაზში“ დავბეჭდე წერილი, უარმყოფელი თვით ბ-ნი ფალკენჰაგენის ინსინუაციებისა, რომელნიც სათავეს იღებდნენ ბ-ნი ჟარინცევისაგან. იმ დროს ჩემი წერილი ყოველგვარი რეაგირების გარეშე დარჩა, რადგან, როგორც ახლა ირკვევა, ფოთის მაშინდელ სამუშაოებზე არსებობდა ურთიერთშეთანხმება მოიჯარეებსა და სახელმწიფო კონტროლს შორის, რის გამოც საჭიროდ არ ჩათვა-

ლეს საზოგადოებრივი აზრის შეშფოთება, რასაც გამოიწვევდა შინაური სიბინძურის გამოაშკარავება. მაგრამ საქმის საკეთილ-დღეოდ ეს ჰარმონია დაირღვა ბ-ნი ფალკენჰანგენისა და ბახმეტიევის დავის გამო, ხოლო შემდეგ გაზეთ „კავკაზში" გამოქვეყნებული წერილისა და მომდევნო მხილებების საშუალებით გამოირკვა, რომ ქ. ფოთის სამშენებლო სამუშაოებზე ხდებოდა კოლოსალური და ლეგალური მძარცველობა, რამაც საბოლოოდ 1.158.000 მანეთი შეადგინა. გასაგებია, რომ რადგან მე მოიჯარადრესთან არ ვმსახურობდი და აგრეთვე არ ვიყავი მთავრობის კონტროლის განმახორციელებელი აგენტი, ამ მტაცებლობასთან არავითარი კავშირი არა მაქვს ისევე, როგორც თქვენ და ჩვენი საზოგადოების სხვა ნებისმიერ წევრს, ბ-ნო რედაქტორო? მაგრამ მთავრობის კონტროლის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, შემდეგ მოიჯარადრის სამსახურში გადასულმა და ახლა იქედანაც გამოძევებულმა ბ-ნმა ჟარინცევმა, იმის მაგიერ, რომ ფოთის პორტის მშენებლობაზე ჩადენილი ცოდვები მოინანიოს, მთელი კომპანია გააჩაღა თითქოსდა ჩემი უნიჭობისა და შეცდომების წინააღმდეგ, რის შედეგადაც ჩემს სახელს იხსენიებს თავისი და სახელმწიფო ფულის ქურდობაში სხვა ხელშემწყობთა სახელების გვერდით. ამ დღეებში მე და ჩემი soi=disiant შეცდომები მთელი ტექნიკური საზოგადოებისა და შემდეგ გაზეთ „კავკაზის" გუშინდელი ნომრის სპეციალური სტატიის საგნად ვიქეცით. რა თქმა უნდა, აქ, კავკასიაში, მე ყველა საკმაოდ კარგად მიცნობს და ამიტომ არ მიმაკუთვნებენ პორტის მშენებლობის იმ მოღვაწეებს, რომლებიც აქ 1873 წლიდან მუშაობენ, მაგრამ რუსეთში, სადაც საკითხი არც ისე გარკვეულია და სადაც სხვადასხვა ჟარინცევებისა და პეტერსენების სურვილები საკმაოდ ბუნდოვანია, ამ სტატიებსა და საუბრებს რომ გაეცნობიან, ადვილად იფიქრებენ, რომ ყველა არეულობა და ხაზინის ქურდობა ფოთში ჩემგან დაშვებული შეცდომებისაგან მომდინარეობდეს, რამეთუ მათზე საკითხი სწორედ მაშინაა აღძრული, როცა გამოაშკარავდა მძარცველობა პორტის სამუშაოებზე.

სწორედ ამ ამბის თავიდან ასაცილებლად ვწერ ამ წერილს. მე სიტყვასიტყვით არ გამოვეკიდები ბ-ნი ჟარინცევის ისტორიის გაბათილებას, რადგან ეს არც საზოგადოებისთვისაა საინტერე-

სო და არც დროულია, მაგრამ შევეცდები მოვძებნო და მოგაწოდოთ ისტორიული ჩანაწერი ფოთის პორტის მშენებლობაზე, რომელიც ჩემის განკარგულებით შეადგინა ბ-ნმა ჟარინცევმა 1866 წელს და რომელიც, ინჟინერთა ყოფილი უფროსის, თავისი გონიერებისა და პატიოსნების გამო ყველასაგან ღრმად პატივცემული გენერალ ფონ-მილერის საკუთარი ხელით ჩასწორებული, მაჩუქა ბ-ნმა ჟარინცევმა. ერთმანეთს რომ შეადაროთ ჟარინცევის მიერ 1866 და 1880 წლებში დაწერილი ფოთის პორტის ისტორია, დაინახავთ, რომ თუ ორივეჯერ არა, უკიდურეს შემთხვევაში, ერთხელ მაინც დაწერა მან სიცრუე.

მე სულაც არ ვიხსნი პასუხისმგებლობას გარკვეული შეცდომების გამო, რომელნიც გარდუვალია იმ კაცისათვის, პირველად რომ მოვიდა შავი ზღვის ყველასათვის უცნობ სანაპიროზე და დაიწყო მშენებლობა ტყით დაბურულ უკაცრიელ ჭაობში. მაგრამ მე მაინც მაქვს უფლება განვაცხადო: რაოდენ მნიშვნელოვანიც უნდა ყოფილოყო ეს შეცდომები, ისინი მაინც ვერ უტოლდებიან იმ თანხას, რომელიც გადაეცა მოიჯარადრეს პირადი სარგებლობისათვის ჩემი სამუშაოდან დათხოვნის შემდეგ, და ასევე ჩემს მაგივრად ისეთი მცოდნე და გამოცდილი ინჟინრების დანიშვნის შემდეგ, როგორებიც არიან ბ-ნი ჟარინცევი, ბურგმეისტერი, პეტერსენი და სხვები. მე არა მაქვს ზუსტი ციფრები, მაგრამ რამდენადაც მახსოვს, ჩემს განკარგულებაში 1863 წლიდან 1873 წლამდე იყო და დაიხარჯა 1.100.000 მანეთი სხვადასხვა პროექტებისა და ჩანაფიქრების საფუძველზე წარმოებულ საპორტო სამუშაოებზე. ამ ფულითაა აგებული თეკლათის ცემენტის ქარხანა, ფოთის მექანიკური, სახერხი და ჩამომსხმელი ქარხნები, შეძენილია ორი ორთქლის მინის სათხრელი, 13 და 35 ცხენის ძალისა, თავისი გადამზადი კარჭაპებით, დაგროვილია დიდი მატერიალური ქონება და აგებულია ბევრი შენობა. ყველა ხარჯს აშკარად ვაწარმოებდი, ჩემს შემდეგ გადაუხდელი არ დარჩენილა არც ერთი ხელწერილი ანდა არასწორად გადახდილი რაიმე თანხა და მთელი ჩემი მუშაობის მანძილზე არავითარი საჩივარი ან სასამართლო პროცესი არავისთან მქონია. დღეს თუ თეკლათის ქარხანი მიტოვებულია, ფოთის მექანიკური ქარხანა გადამწვარია, მინის სათხრელები და კარჭაპები აუქციონითაა გაყიდული, ხოლო მთელი ქო-

ნების ნაწილი განადგურებულია და ნაწილი მოიჯარადრეების საკუთრებაშია გადასული, ხაზინის ქონების ასეთ გაფლანგვაში შეუძლებელია მე ჩავითვალო დამნაშავედ, რადგან ამ ქონების გამგებლობა მთლიანად ბ-ნ ბურგმეისტერსა და ბ-ნ ჟარინცევს ეკისრებოდათ, ჯერ როგორც სამეურნეო კომისიის წევრებს და შემდეგ როგორც ფოთის პორტის მშენებლებს. ზემონათქვამიდან, მონყალეო ხელმწიფევ, თქვენ ხედავთ, რომ ჩემს მიერ ჩატარებულ და ბ-ნ ბურგმეისტერის, ფალკენჰაგენის, ჟარინცევისა და K°-ს მიერ ჩატარებულ სამუშაოებს შორის არავითარი კავშირი არ არის და, თუ ჩემი პროექტები მაინც ცუდი და უხარისხოდ შედგენილი იყო, აქედან ვერავითარ დასკვნას გადაჭრით ვერ გამოიტანთ, თვით დამატებითი ხარჯების 1.900.000 მან. შედგენით და საბითუმო იჯარის 2. 060. 000 მანეთად ღირებულების შემთხვევაშიაც კი. პირიქით, მე ვფიქრობ, რომ თუ ბატონმა ჟარინცევმა შეძლო, როგორც თვით აცხადებს და ცდილობს დაგვარწმუნოს, ზოგიერთი ჩემი შეცდომის გამოსწორება, საოცარზე საოცარია, რატომ უვლის იგი გვერდს ჩემს მთავარ შეცდომას: ხარჯთაღრიცხვის მიხედვით სამუშაო ხარჯების არასწორ განაწილებას. თუ მუშაობა ყაირათიანად წარმოებდა, ცხადია, მას არ უნდა მივეყვანეთ იმ შედეგებამდე, რომლებიც აუცილებლად მივიღეთ სამუშაოებში იმ შეცდომების გამოსწორების დროს, რომლებიც მოიჯარადრეს ბარდებოდა ბითუმად. მაგრამ კიდევ რომ დავუშვათ, თითქოს ბ-ნ ჟარინცევსა და K°-ს შეცდომები არ მოსვლიათ, უაზრობაა საზოგადოება აიძულო იფიქროს, რომ მოიჯარადრემ ზედმეტად 1.158.000 მანეთი მხოლოდ იმიტომ მიიღო, რომ რვა წლით ადრე ფოთში ცხოვრობდა ბ-ნი შავროვი, რომელიც ხშირად ცდებოდა, ძალიან ცუდ გეგმებს ადგენდა და ამიტომ ჯერ ბ-ნმა ჟარინცევმა და შემდეგ სხვებმა ბ-ნ ფალკენჰ-აგენს ისეთი ქვითარი გამოუწერეს, რომელთა მიხედვითაც მან ზედმეტად აიღო 1.158.000 მანეთი.

ჩემი კავშირი პორტის სამუშაოებთან დიდი ხანია გადაწყვეტილია, რადგან 1872 წელს მივატოვე პორტის მშენებლობისა და ამასთან ერთად, ინჟინრის სამსახური. დღეს პორტი ახალ ადგილზე შენდება, ახალი პროექტით და ახალი ადამიანების მიერ, რომლებთანაც არასოდეს მქონია და არც მინდა მქონდეს რაიმე სა-

ერთო. ანგარიში არ წარმოებულა იმ მხრიდან, რაც მე პორტი მივატოვე და თუ მათი მოღვაწეობის გამოაშკარავების დასაწყისით ვიმსჯელებთ, საბოლოო ანგარიში ახალი და ჩემზე უფრო გამოცდილი ხალხის მოღვაწეობისა სულ სხვა შედეგს მოგცემთ და გვიჩვენებს ჩემს მოღვაწეობას სრულიადაც არა იმ მხრივ, როგორც ბ-ნი ჟარინცევი ცდილობს წარმოგვიდგინოს გაზეთ „კავკაზის“ საშუალებით, უთუოდ იმ მიზნით, რათა რაც შეიძლება ფართოდ გახმაურდეს მისი ნააზრევი.

ნ. შავროვი“

15. საქართველოს თეატრალური კომიტეტი

- I

ჩვენ უკვე გაუწყეთ ბ-ნ დ. ი. ყიფიანის გამოსვლა საქართველოს თეატრალური კომიტეტიდან მის გამო, რომ ეს უკანასკნელი არ იყო თანახმა თავის წრეში ახალი ადამიანის, თ-დ მ.პ. ბებუთოვის მიღებისა. ახლა უნდა დავუმატოთ, რომ ამ კომიტეტსა და ქართულ დასს შორის წარმოიშვა ფრიად სერიოზული დაცვა, რაც ქართული სცენის აღმავლობას საფრთხით ემუქრება.

საქმე ისაა, რომ, საერთოდ კომიტეტის საკმაოდ არადამაკმაყოფილებელი შემადგენლობა უკვე დიდი ხანია იწვევდა გაუგებრობასა და უკმაყოფილებას ქართველ სცენისმოყვარეთა შორის. ყიფიანის კომიტეტიდან გამოსვლამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, ყველას უკვირდა, რომ სათეატრო კომიტეტში თავმოყრილია უმეტესად საზოგადოებისათვის სავსებით უცნობი ხალხი, რომელთაც სრულიად არაფრით მოუპოვებიათ უფლება რაიმე საქმის სათავეში დგომისა. კომიტეტის სამი წევრის—დ.ი. ყიფიანის, ი.გ. ჭავჭავაძისა და დ.გ. ერისთავის გარდა, დანარჩენები მხოლოდ თავიანთი უფერულობით გამოირჩეოდნენ. ამ კომიტეტის წევრები იყვნენ, მაგალითად, ბ-ები ი. ბაქრაძე, ნ. ავალოვი, ი. მაჩაბელი. გ. თუმანოვი. ყველა მათგანი უდავოდ შესაძლებელია, რომ პატივსაცემი ადამიანი იყოს, ძალიან ნიჭიერიც, მუყაითიც, მაგრამ დამეთანხმებით, რომ მათ საზოგადოება არ იცნობს და მის თვალში მათ არავითარი ავტორიტეტი არა აქვთ. ამიტომ არც მათ გადაწყვეტილებებს და არც მათ აზრებს არავითარი წონა არა აქვს იმ ხალხის თვალში, რომელნიც რაღაცით დაკავშირებული არიან ქართულ თეატრთან. ამის გამო მათ მიერ გამოთქმულ ყოველ აზრს, მათ ყოველ გადაწყვეტილებას უნდა აღეძრა დიდი დავა და კინკლაობა...სინამდვილეში ასეც მოხდა.

განა უცნაური არ არის, მაგალითად, რომ ქართული დასი, რომელსაც უნდა ემოქმედა კომიტეტის მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით, ბედავს თვითონ გააკონტროლოს და უხელმძღვანელოს კომიტეტს? განა ნორმალურია ასეთი მოვლენა, დასაშვებია ამგვარი ქაოსი? მხოლოდ კომიტეტის წევრების ავტორიტეტის უქონლობას შეეძლო წარმოეშვა დასის ასეთი პრეტენზია. კომიტეტი რომ ავტორიტეტული პირებისაგან შემდგარიყო, რო-

მელთაც საკმაო ლიტერატურული განათლება ექნებოდათ და ქართველ საზოგადოებაში სახელითა და გავლენით ისარგებლებდნენ, დასის მსახიობებს არასოდეს მოუვიდოდათ აზრად მსჯავრი დაედოთ მისთვის და თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ მისი წევრები. ასეთი ფამილარობა, რაც დასსა და კომიტეტს შორის დამყარდა, უკვე ბევრს ლაპარაკობს ამ უკანასკნელის არადამაკმაყოფილებელ შემადგენლობაზე.

ჩვენ არაერთხელ მიგვითითებია ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების აღმაშფოთებელ ბოროტებაზე—ყოველი ჩვენგანი გამალებული ისწრაფვის მოკალათდეს რაიმე თანამდებობაზე და არავის ადარდებს, მზადაა თუ არა საქმისათვის, შეუძლია თუ არა მისი შესრულება, აქვს თუ არა ნიჭი და ღონე მის გასაძღოლად". არის ვაკანსია? რატომ არ უნდა დავიკავო?!"—აი ჩვენი საყოველთაო დევიზი. ჩვენ ყოველგან მივძერებით, საქმე კი ოდნავადაც არ გვაღელვებს. ყველგან და ყოველთვის მხოლოდ საკუთარი თავი გვახსოვს. ჩვენში ხშირად ერთი და იგივე კაცი, რომელსაც სერიოზულად არასოდეს არაფერი შეუსწავლია, ისეთ თანამდებობას იკავებს, რომლის შესრულების ძალაც არ გააჩნია, დღეს ის მოსამართლეა, ხვალ—პედაგოგი, ზეგ—ფინანსისტი, შემდეგ—ორატორი, ტექნიკოსი, რედაქტორი და ა.შ. მზადაა მეანობაც კი დაიწყოს, არჩევითი რომ იყოს ეს თანამდებობა. აი, რატომ მოხვდა ჩვენს თეატრალურ კომიტეტში სათეატრო და ლიტერატურულ საქმეში ისეთივე გამოცდილების ხალხი, როგორც მე და თქვენ ვართ, ჩემო მკითხველო, გამოცდილნი მკითხაობაში.

გასაგებია, რომ კომიტეტში მთელი წლის მანძილზე ჯდომის შემდეგ, მათ შეეძლოთ მხოლოდ აერიათ და სახელი გაეტეხათ როგორც საკუთარი თავის, ისე საქმისათვის. ითმენდა საზოგადოება, ითმენდნენ მსახიობებიც, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მოთმინების ფიალა აივსო, საზოგადოებამ ჩივილი დაიწყო, ხოლო მსახიობებმა გადაწყვიტეს გადაეგდოთ კომიტეტის უღელი.

როცა ეს უკანასკნელი მიხვდა, რომ მსახიობები არ უნდა იყვნენ კომიტეტის გადაწყვეტილებების მსაჯულნი, დაუფიქრებლად გადაწყვიტა—დაეთხოვა დასი, ხელფასი კი მხოლოდ იმათთვის მიეცა, რომლებიც არ წასულან კომიტეტის წინააღმდეგ. როგორ დამთავრდება ეს საქმე, მარტო ღმერთმა უწყის.

ამ საქმეს აქვს ერთი მხარე, რომელიც სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს. ფულადი დახმარების მისაღებად, რომელიც სამინათმოქმედო ბანკის მოგებიდან გაიცემა, საჭირო იყო თეატრალური ამხანაგობის შექმნა, რომლის წევრებადაც ანაზდად აღმოჩნდნენ ახლანდელი კომიტეტის უფრო ნაკლებად ცნობილი წევრები. ამდენად, მათი დათხოვნა უაზრობაა თვით ამხანაგობის რეორგანიზაციის გარეშე, რომელმაც თავს იდო გაცემული თანხის ხელშეუხებლობა...მაგრამ ვინაიდან ბ-ნი დ. ი. ყიფიანი ჩამოშორდა მათ, უნებლიეთ საჭირო შეიქნა განახლდეს როგორც ამხანაგობის, ისე კომიტეტის შემადგენლობა.

ჩვენი რჩევაა: „ღირსებასა“ და „დათმობების“ მართებულობაზე უნაყოფო კამათის ნაცვლად ბევრად უმჯობესია განახლდეს კომიტეტის შემადგენლობა, გამოყვანილ იქნან იქიდან, რეჟისორი, ავტორები, ყველა უცნობი წევრი და შედგეს იგი იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ როგორც ლიტერატურული განათლება, ისე სახელი საზოგადოებაში. დაე, კომიტეტში შევიდეს სამი, თუნდაც ხუთი ადამიანი, მაგრამ სამაგიეროდ ისინი უნდა იყვნენ ავტორიტეტული პიროვნებები.

მაშინ დასი არა მარტო იურიდიულად, არამედ ზნეობრივადაც უსიტყვოდ დაემორჩილება კომიტეტის ყველა გადაწყვეტილებას და ჩვენი საზოგადოება აღარ შეიქნება მოწმე არავითარი სკანდალისა, რომელიც ჭორებსა და აყალმაყალში შთანთქმით ემუქრება ასეთ სასარგებლო საქმეს.

II

საქართველოს თეატრალურმა კომიტეტმა აუცილებლად ცნო გამოეხმაუროს „ტიფლისსკი ვესტნიკში“ [10] მოთავსებულ სტატიას და შემდეგი წერილით მიმართავს გაზეთ „დროების“[11] რედაქტორს:

„დღევანდელს“ თბილისის მოამბის“ ნომერში დაბეჭდილია სტატია, რომ პატივცემული დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი გამობრძანდა ქართული სათეატრო კომიტეტიდანაო იმ მიზეზის გამო, რომ მისგან წარმოდგენილი თ. მიხეილ ბებუთოვი კომიტეტმა თავის წევრად არ ჩარიცხაო.

რადგანაც ქართული სათეატრო კომიტეტი არ არსებობს და არის მხოლოდ ქართული სათეატრო ამხანაგობა და ხსენებული

გაზეთის ცნობა უსათუოდ ამ ამხანაგობას შეეხება, ამისათვის გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ შემდეგი გადაწყვეტილება ამხანაგობისა: მართალია; ბატ. დ. ი. ყიფიანმა წარმოადგინა ამხანაგობაში მისაღებად თ. მიხეილ ბებუთოვი; მართალია, წარმოდგენილება დ.ი. ყიფიანისა არ შეინყნარა ამხანაგობამ და ისიც მართალია, რომ დ.ი. ყიფიანმა სიტყვით გამოაცხადა ამხანაგობიდან გავდივარო. ვიდრე თვითონ პატივცემული დ.ი. ყიფიანი არ მოიწადინებს, რომ სამწუხარო გარემოება საზოგადოებისაგან გარჩეულ იქნას და ამ წადილს ბეჭდვით არ გამოჰ სთქვამს, იმ დრომდე ქართული სათეატრო ამხანაგობა არ მიაქცევს არავითარ ყურადღებას იმ ჭორებს, რომელსაც, იმედია, ჩვენი გაზეთები ამ საგანზედ გამართავენ. ხოლო როცა თვითონ ბატ. ყიფიანი მოიწადინებს, რომ ამ საქმის გარემოებამ საზოგადოების ყურამდე მიაღწიოს, მაშინ ამხანაგობა მოვალედ ჩასთვლის თავის თავს ყოველიფერი ჯეროვანის საბუთებით აცნობოს საზოგადოებასა თქვენის, ბატონო რედაქტორო, პატივცემულის გაზეთის შემწეობით".

ხელს აწერენ: თავ. ი. ჭავჭავაძე, ნ. ავალოვი, თავ. დ. ერისთავი, ი. მაჩაბელი, დ. სარაჯევი, გ. თუმანოვი, ი. ბაქრაძე.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია გამოვასწოროთ ერთი შეცდომა, რომელიც ჩვენს გუშინდელ სტატიაში გაიპარა. კომიტეტის უცნობ წევრთა სახელების ჩამოთვლისას გამოგვრჩა ბატ. დ. სარაჯევი.

ეს წერილი საუკეთესოდ ახასიათებს მთელ კომიტეტს და მის მეთაურს თავად ი. ჭავჭავაძეს. აქ ყველაფერია: ხრიკები იმის შესახებ, რომ ეს კომიტეტი კი არაა, არამედ ამხანაგობა (თითქოს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს მის სახელს); აშკარად ჩანს ყოველგვარი კატეგორიული განმარტებებისაგან თავის არიდების სურვილი, დ.ი. ყიფიანისადმი მიმართული მუქარა და ინსინუაციებიც ადგილობრივ გაზეთებზე. არ არის მხოლოდ მთავარი—საქმის ვითარების გაცნობა საზოგადოებისათვის. მიჩუმათდით, ბატონებო, მიჩუმათდით; ვნახოთ როგორ იხსნით ნაკისრებ საქმეს სასეირო კრახისაგან.

თვით წერილი „ამხანაგობისა" გვიჩვენებს, რომ თითქმის ყველა ცნობა ამ საქმის შესახებ უთუოდ ზუსტი უნდა იყოს. ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებს არავითარი საფუძველი არა აქვთ ამ საქმეზე გაავრცელონ „ჭორები და მითქმა-მოთქმანი" და თუ, ამხანა-

გობა ადგილობრივი გაზეთების თეატრალური საქმეებისადმი მიძღვნილ წერილებს თვლის ასეთად, მაშინ ის ერთხელ კიდევ ამჟღავნებს თავის უვიცობას ბეჭდვითი სიტყვის მოვალეობაზე. მაგრამ ჭორები განზე გადავდოთ. აუცილებელია საზოგადოებას სერიოზულად განვუმარტოთ შემდეგი საკითხები:

1. რა უფლება ჰქონდათ ბ.დ. სარაჯევის, ი. მაჩაბელის, ნ. ავალოვის, ი. ბაქრაძის და გ. თუმანოვის მსგავს არარაობებს თავიანთი თავისაგან ჩამოეყალიბებინათ საქართველოს თეატრალური საქმის უზენაესი ქურუმების სინედრიონი?

2. რა გააკეთა „ამხანაგობამ" თეატრალური საქმის სასარგებლოდ, რა დამსახურებით აღნიშნა მან თავისი მოღვაწეობა და, სახელდობრ, რაში მდგომარეობდა ის?

3. რა უფლებით გაბედა „ამხანაგობამ" ქართული დასის დაშლა და რომელ ძალებს ითვალისწინებდა იგი ახალი დასის შესაქმნელად?

აი, ფრიად სერიოზული კითხვები, რომლებზედაც „ამხანაგობამ" პასუხი უნდა გასცეს ქართველი საზოგადოების წინაშე.

რაც შეეხება ისეთ წვრილმან საკითხს, როგორიცაა დ.ი. ყიფიანის წინადადება კომიტეტის წევრად მ.პ. ბებუთოვის არჩევის შესახებ, ჩვენ სრულიადაც არ ვიზიარებთ არც პატივცემული დ.ი. ყიფიანის აზრს და არც „ტიფლისსკი ვესტნიკის" გამოხმაურებას, თუ ნამდვილად დადასტურებულია მ.პ. ბებუთოვის კარგი რეჟისორობა, მაშინ საჭირო იყო მისი არა კომიტეტის წევრად მინვევა, არამედ რეჟისორად დამტკიცება. ეს კი სრულიადაც არ გვეჩვენება საიმისო მიზეზად, რომ დ.ი. ყიფიანს დაეტოვებინა კომიტეტი, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რადგან გვაქვს საამისო საფუძველი, რომ ამ შემთხვევაში ბატ. ყიფიანისათვის ეს მხოლოდ საბაბი იყო, რათა დაშორებოდა იმ ხალხს, რომელთანაც მას ნამდვილად არ შეეძლო სარგებლობა მოეტანა თეატრალური საქმისათვის.

საერთოდ კი სასურველი იყო, რომ ქართული დასის შემადგენლობიდან ვინმეს გაეცნო საზოგადოებისათვის ის გარემოებანი, რამაც განხეთქილება გამოიწვია დასსა და „ამხანაგობას" შორის. ეგების მაშინ მაინც მოიხსნან „ამხანაგობის" წევრებმა ოლიმპიური დუმილის ის მანტია, რომელშიაც ასე თეატრალურად გახვეულან და რომელიც ასე ცუდადაა შეხამებული მათი როლის სიცარიელესა და შინაარსთან.

დღეს დ.ი. ყიფიანისაგან მივიღეთ წერილი, რომელსაც მთლიანად ვბეჭდავთ:

„მონყალეო ხელმწიფევ, ნიკოლოზ იაკობის ძევ!

„ობზორსა“ და „ტიფლისსკი ვესტნიკში“ მოთავსებული სტატიების გამო. ჩემმა ყოფილმა ამხანაგებმა თეატრალური კომიტეტიდან გაზეთ „დროების“ გუშინდელ ნომერში მოათავსეს კოლექტიური წერილი, რომლითაც მაფრთხილებენ, რომ, თუ მე განვიზრახავ საქმის ვითარება განვუმარტო საზოგადოებას, ისინი შემედავებიან სათანადო საბუთებით შეიარაღებულნი.

მეტისმეტად გაოცებული და შეწუხებული ვარ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ სტატიას ხელს აწერს თავ. ი.გ. ჭავჭავაძე, რომელსაც, როგორ მე მგონია, არ შეუძლია რაიმე ანტიქართულ საქმეში გაერიოს, ამიტომაც, გულწრფელი პატივისცემა მაქვს მისი; იგივე შეიძლებოდა მეთქვა კიდევ ერთის ან ორის შესახებ, მაგრამ საქმე ისაა, რომ აქ ჯიუტობენ სწორედ ისინი, რომელთაც მართებდათ მომხდარი ფაქტის უსიტყვოდ აღიარება.

ჩემი წერილის მიზანი მხოლოდ ამ ფაქტის განსაზღვრაა.

გასული წლის დასაწყისში ქართულ სცენისმოყვარულებმა გადაწყვიტეს რაიმე სოლიდური საფუძველი ჩაეყარათ მუდმივი დასის არსებობისათვის, რისთვისაც თავიანთი წრიდან გამოჰყვეს სამი-ოთხი კაცი, ხოლო მე მთხოვეს თავმჯდომარეობა, რათა ერთად მიგვეღო ზომები დასის ჩამოყალიბებისათვის.

ხუთივემ დავიწყეთ განსჯა-განმგებლობა, როგორც კომიტეტმა და მრავალი თათბირის შემდეგ, ბოლოს, შევთანხმდით, რომ ჩვენ როგორც კომიტეტს ფეხქვეშ არ გვქონდა და არც შეიძლებოდა გვქონოდა არავითარი ლეგალური საფუძველი, საჭირო კი იყო დრამატული საზოგადოების შექმნა. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ მიღებული წესის წესდების დამტკიცებამდე ჩვენი კომიტეტის პერსონალს შეესრულებინა ამხანაგობის ფუნქციები.

თქვენ მიერ შედგენილი წესდების პროექტი[20], როგორც გახსოვთ, განხილული იქნა საზოგადოების შექმნის მსურველთა საკმაოდ მრავალრიცხოვან კრებებზე, მონონებულ იქნა მაისში და მაშინვე გადაეცა გადასაწერად, რათა შემდეგ ხელი მოეწერათ და წარედგინათ.

პირველ ივნისს მე თბილისიდან გავემგზავრე, მაგრამ შემდეგ ყოველთვიურად ორი-სამი დღით მაინც ჩამოვდიოდი აქ საქმეებზე. სხვათა შორის, ჩვენი ამხანაგობის საქმეებისათვისაც. რამდენჯერაც მოვიკითხე წესდება იმდენჯერ დამარწმუნეს, რომ ის ოდნავ შესწორებული, გადაწერილი და ხელმოწერილია და იმ პირებისათვისაა გადაცემული, რომელთაც მისი წარდგინების რწმუნება აქვთ.

ამხანაგობის ბოლო თათბირზე ჩემს მუდმივ კითხვაზე:—„სად არის წესდება?"—მიპასუხეს: თქვენ წარმოიდგინეთ, წესდება დაიკარგა, მაგრამ შემორჩენილია შავი პირი, რომლის მიხედვითაც შეიძლება მისი აღდგენა..

ამ ცნობამ როგორღაც მკაფიოდ წამოჭრა ჩემ წინაშე ის წვრილმანი მიზეზები, რომლებიც, როგორც მე მეჩვენება, ხელს უშლიდა ჩვენი საქმის წარმატებით მსვლელობას.

სხვათა შორის, ისიც გავიხსენე, რომ სექტემბერსა თუ ოქტომბერში ჩემმა ოთხმა ამხანაგმა ჩემს დაუკითხავად კიდევ ოთხი ახალი ადამიანი შემოიყვანა ამხანაგობაში, რითაც, ჩემის აზრით, საქმე მნიშვნელოვნად წინ არ წასულა და აი, მე მოვისაზრე კიდევ ერთი კანდიდატურის წამოყენება, ეს გახლდათ თავ. მიხ. ბებუთოვი, რომელიც ახლოს იცნობს სცენას, ჭეშმარიტად თანაუგრძნობს ადგილობრივ თეატრს და თავისი უმწიკვლო წესიერებით შეძლებდა, ჩემის ღრმა რწმენით, ჩვენთვის მნიშვნელოვანი სარგებლობის მოტანას, თუნდაც დრამატული საზოგადოების შექმნამდე.

მაგრამ ჩემი წინადადება უარყოფილ იქნა უმრავლესობით —შვიდიდან ექვსი ხმით.

ყოველივე ამის შემდეგ კიდევ მე მემუქრებიან რაღაც დამამტკიცებელ საბუთებით!

დიმიტრი ყიფიანი".

27 თებერვალი, 1880 წ.

ამ წერილის გარდა, ჩვენ ახლახან მივიღეთ წერილი დასის ყოფილი რეჟისორის თავ. გ. მ. თუმანოვისაგან:

„მოწყალეო ხელმწიფევ, დღეს გაზეთ „ობზორს" მთელი ჩემი მოღვაწეობა ქართულ თეატრში არარაობამდე დაჰყავს. ეს ხდება მაშინ, როცა იგივე გაზეთი ორი კვირის წინათ ასე წერდა ჩემზე:

„მათ (ქართული თეატრალური ამხანაგობის წევრებმა) საშუალება მისცეს თავ. გ. თუმანოვს ეკისრა და ეზრუნა ახალი საქმის ორგანიზაციაზე; სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ იგი არ ზოგავდა ძალებს, არც ენერგიას და რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენი სცენისმოყვარულები შემჭიდროვდნენ ერთ მუდმივ დასად“ („ობზორი“, 13 თებერვალი).

მკითხველმა განსაჯოს, როდის ცდებოდით და როდის ამბობდით სიმართლეს?

რაც შეეხება კითხვას, თუ რას აკეთებდა და რას გააკეთებს ქართული თეატრალური ამხანაგობა, პასუხის გაცემა ზედმეტად მიმაჩნია, ვინაიდან ამ საკითხებზე მე უკვე ვისაუბრე ჩემს ბროშურაში „ქართული თეატრის საქმე“*, რომლის მეორე ნაწილი მომდევნო თვეში გამოვა.

თავ. გ. მ. თუმანოვი“.

ჩვენ პირველნი ვაღიარებდით, და ახლაც სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ თავ. თუმანოვი ახლანდელი დასის ნამდვილი ორგანიზატორია. მაგრამ ერთია იყო სასარგებლო ადამიანი დასისათვის და სულ სხვა—უფლება გქონდეს იყო კომიტეტის წევრი. უფრო მეტიც—დასისათვის თავად თუმანოვზე უფრო მეტად სასარგებლო არიან მსახიობები აბაშიძე ანდა გაბუნია; ორივენი უსათუოდ დაჯილდოებული არიან ბრწყინვალე ტალანტით, მაგრამ თეატრალური კომიტეტის წევრებად ისინი არავითარ შემთხვევაში არ გამოდგებოდნენ. ჩვენ ვოცნებობთ კომიტეტის ისეთ შემადგენლობაზე, რომელსაც საკმარისი პრესტიჟი ექნებოდა დასისა და საზოგადოების თვალში, ხოლო ახლანდელი კომიტეტის წევრები ფიქრობენ, რომ იგი უნდა შედგებოდეს ყველა „utilite“-თი თეატრიდან, მაშ რატომ არ შეიძლება მის შემადგენლობაში შეყვანილი იქნენ სუფლიორი, მემანქანე და დალაქი? ეს უკანასკნელნი გამოუსადეგარი არიან?

დაე, მკითხველი ნუ იფიქრებს, რომ ამ უკანასკნელი შედარებით ჩვენ შეურაცხყოფას ვაყენებთ თავ. თუმანოვს. ყოველთვის ვფიქრობდით, რომ მან უდიდესი საქმე გააკეთა იმით, რომ შეამჭიდროვა დასი, დაძლია რა წვრილმანი, მაგრამ ძნელად გადასალახავი აქტიორული თავმოყვარეობა. ამისთვის იგი პატივისა და ხოტბის

* ეს ბროშურა შარშან ზაფხულს გამოვიდა. მისი შეძენა შეიძლება ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

ღირსია, მაგრამ კომიტეტი უნდა შედგებოდეს უფრო ავტორიტეტული პირებისაგან. ასეთია ჩვენი აზრი, რომელშიც წინააღმდეგობანი იმდენივეა, რამდენიც იყო ჩვენს გამოხმაურებაში, როცა განვაცხადეთ, რომ თავ. მ.ნ. ბებუთოვი მართლაც არ უნდა შეეყვანათ კომიტეტის შემადგენლობაში, თუნდაც დამტკიცებულიყო მისი ჩინებული რეჟისორობა.

თავ. თუმანოვის ბროშურაში სრულიადაც არ მოიპოვება იმის პასუხი, თუ რა გააკეთა ამხანაგობამ თეატრალური საქმის სასარგებლოდ. ბროშურა მოგვითხრობს მხოლოდ მისი ავტორის განზრახვებსა და მოღვაწეობაზე და არა ამხანაგობის სხვა წევრების უმნიშვნელო როლის შესახებ.

ადგილობრივ საზოგადოებაში გაუთავებული მითქმა-მოთქმისა და კინკლაობის გამო, რაც გამოწვეულია ქართული თეატრის საქმეებით, საჭიროდ მივიჩნიეთ გავაცნოთ საზოგადოებას ის დოკუმენტი, რამაც განხეთქილება შეიტანა ქართულ დასსა და თეატრალურ კომიტეტს შორის. ჩვენ ვბეჭდავთ ქართული დასის მემორანდუმს, როგორც ამ დაპირისპირების დამახასიათებელ მასალას. „ობზორის" მკითხველები, ჩვენი განმარტების გარეშეც, იოლად გაიგებენ, რომ ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, თითქოს დასის განცხადებანი და მოთხოვნილებანი მთლიანად საფუძვლიანად მიგვაჩნდეს. მათგან მხოლოდ ზოგიერთს შეიძლება გავუწიოთ ანგარიში. მაგრამ, ვიმეორებთ, მარტო ის, რომ მსახიობებს შესაძლებლობა მიეცათ ასეთი მემორანდუმის წარდგინებისა, ამტკიცებს სრულ უსუსურობას კომიტეტისას, რომელმაც დასის თვალში ყოველგვარი ავტორიტეტი დაკარგა.

აი, ეს დოკუმენტიც:

„1880 წლის 22 თებერვალს, ჩვენ ქართული დრამატული დასის მსახიობები, შევიკრიბენით და ერთობლივად მივიღეთ შემდგომი გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს თეატრალურ კომიტეტს უნდა მოხსენდეს რეჟისორ თავ. გ. თუმანოვის საშუალებით:

1. ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, კომიტეტის ზოგიერთი წევრის შეცვლა სხვებით—უფრო სასარგებლო და შესაფერისი ადამიანებით, მაგალითად, უნდა განთავისუფლდნენ: ი. ბაქრაძე, ნ. ავალოვი და ივ. მაჩაბელი. მათ ნაცვლად არჩეულ უნდა იქნან: თავ. რაფიელ ერისთავი, მიხ. ბებუთოვი და აკაკი წერეთელი, ამასთანავე, კომიტეტიდან უნდა გამოვიდეს რეჟისორი თავ. თუმანოვი.

2. ჩვენ ვთხოვთ დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანს კვლავ იკისროს კომიტეტის თავმჯდომარეობა.
3. კომიტეტს უნდა დაეკალოს რეპერტუარის შერჩევა.
4. ყოველი წარმოდგენისა და რეპეტიციის დროს აუცილებელია დასწრება კომიტეტის ორი წევრისა, რომელთაც შეეძლებათ პიესის სცენაზე ხორცშესხმულად აუცილებელი ყველა მოთხოვნების დაკმაყოფილება.
5. დასში შესაძლებელი უთანხმოებისას უნდა მოეწყოს მთელი კომიტეტის სხდომა.
6. დასის თვიური ანგარიში, ე.ი. მთელი შემოსავალი და გასავალი, უნდა განიხილოს კომიტეტმა დასის ყველა წევრის თანდასწრებით.
7. კომიტეტის ყოველ სხდომას უნდა ესწრებოდეს დასის ერთი წევრი.
8. რეჟისორი თავ. გ. თუმანოვი ვალდებულია დარჩეს წინანდელი უფლებებით, გარდა ამ გადაწყვეტილების მე-3-4 მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
9. მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე ბენეფისები უნდა გაუმართონ: ვასო აბაშიძეს და მარიამ აბაშიძის (საფაროვას), ზ. მაჩაბელს, შიშნიევს, მარიამ ყიფიანს, კორინთელს, ცაგარელსა და ყიფშიძეს (სუფლიორს)".

ხელს აწერს დასის ყველა წევრი, ორის გარდა.

კომიტეტმა არც კი ინება ამ განცხადების მოსმენა. მან დიქტატორულად დაადგინა, გაწყვიტოს დასთან ყოველგვარი კავშირი და უარი თქვას იმ ვალდებულებებზე, რომლითაც დაკავშირებული იყო მასთან. ხოლო იმისათვის, რომ დასს კომიტეტის გარეშე არ შეძლებოდა სპექტაკლის გამართვა, ჩამოართვა მას გარდერობი და ბიბლიოთეკა.

შემდეგ კომიტეტმა წინადადება მისცა თითოეულ მსახიობს დადოს ხელშეკრულება ანტეპრენიორულ საწყისებზე, იმიტომ, რომ ახლანდელმა თეატრალურმა არტელმა შეწყვიტოს არსებობა. ეს იმას ნიშნავს, რომ მოქმედებდე არა მსახიობთა გონებისა და საღი აზრის, არამედ—მის მშიერი კუჭის გათვალისწინებით; განიცდიან რა გაჭირვებას, ისინი წავლენ კაპიტულაციაზე და დაემორჩილებიან კომიტეტს. ადვილი შესაძლებელია, რომ შიმშილისა და

სიცივისაგან შეწუხებულნი, ისინი მართლაც მივიდნენ ამ სამწუხარო გადაწყვეტილებამდე, მაგრამ, ნუთუ მათი კაპიტულაციის შედეგად კომიტეტის არარაობები გადაიქცევიან ღირსეული კომიტეტის ღირსეულ წევრებად? თქვენ შეგიძლიათ მბრძანებლობდეთ, მაგრამ მართვა თქვენ არ შეგიძლიათ, ვინაიდან თქვენ თვითონ, კომიტეტის ბატონო წევრებო, არავითარი მონაცემები არა გაქვთ საიმისოდ, რათა გავლენა მოახდინოთ დასზე და ქართულ საზოგადოებაზე.

16. გაზეთ „დროების“ მდგომარეობა

გუშინ „ტიფლისსკი ვესტნიკმა“[10] დაბეჭდა მოწინავე სტატია ქართული თეატრალური კომიტეტის თაობაზე და შეეხო ჩვენს ცნობას კომიტეტიდან პატივცემული დ. ი. ყიფიანის გამოსვლის შესახებ. ამ მოწინავეში, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ამასთანავე, არ შეიძლება სინანული არ გამოვთქვათ, რომ გაზეთ „დროების“ ერთი რედაქტორთაგანი დასახელებული კომიტეტის წევრია და ამ ვითარებას შეუძლია ხელი შეუშალოს ერთადერთ ქართულ გაზეთს, იყოს სრულიად მიუკერძოებელი მსაჯული ამ სამწუხარო მოვლენისა. გამოდის, რომ ადგილობრივმა რუსულმა პრესამ თავზე უნდა აიღოს ქართული დასის ინტერესების დაცვა. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ „ობზორი“ არანაკლები ინტერესით მოეკიდება ამ აუხსნელსა და ჯერჯერობით ბუნდოვან ფაქტს“.

ქართულმა გაზეთმა „დროებამ“[11] ძალიან კარგად იცის, რომ ეს სტრიქონები ზუსტად შეეხო მისი ახალი რედაქციის აქილევსის ქუსლს, ამიტომ საჭიროდ მიიჩნია ეპასუხა ასევე მოწინავე სტატიით, რომელშიაც ვპოულობთ ამ ბედშავი გაზეთის პოლემიკური ხერხების შემდეგ მარგალიტებს:

„ამავე ლოგიკით ჩვენ შეგვეძლო მივბრუნებულიყავით „თფ. მოამბის“ რედაქციისაკენ და გვეთქვა იმისთვის შემდეგი:

„სამწუხაროა, რომ „თფ. მოამბის“ ერთი თანამშრომელთაგანი ერთობ დაახლოვებით გარეულია ამ საქმეში, რომ პატივცემულ დ. ი. ყიფიანისაგან კომიტეტის წევრად წარდგენილი პირი თ. მ. პ. ბებუთოვი იყო რეჟისორად და ფეხზე დამყენებლად იმ „მოამბის“ რედაქციის ერთის წევრისა, რომ კომიტეტმა უარჰყო აგრეთვე მეორე წინადადება ბატ. დ. ი. ყიფიანისა იმის შესახებ, რომ „თფ. მოამბის“ რედაქციის ერთს წევრთაგანს კომიტეტისაგან მისცემოდა პიესის დაწერისათვის პრემია (100 მან.). ეს გარემოება დაუშლის „თფ. მოამბის“ რედაქციას სრულის მიუდგომლობით შეეხოს ამ სამწუხარო მოვლენას.

ჩვენ ესე ვსთქვათ, ხომ ისეთივე სრული საფუძველი გვექნება, როგორც „თფ. მოამბეს“ ჰქონდა, როცა სთქვა, რომ „დროების“ რედაქციის ერთი წევრთაგანი თეატრის კომიტეტის წევრად არის და ამის წყალობით ამ გაზეთს მიუდგომლად ლაპარაკი არ შეუძლიანო.

სრული უფლება გვაქვს, მაგრამ არ ვამბობთ და არც ვიტყვით იმას, რადგან, თუმცა მართალია, რომ ჩვენი რედაქციის ერთი კი არა ორი წევრია კომიტეტის წევრად, მაგრამ ეს გარემოება გაზეთს სრულიად არ დაუშლის მიუდგომლად და დაუფარავად გამოსთქვას თავის გულწრფელი აზრი ამ საგნის შესახებ.

საზოგადოთ კარგი იქნება, რომ „თფ. მოამბემ" არ მიიღოს „აბზორისეური" კილო და ნაღმა-უკუღმა არ წამოისროლოს ხოლმე მოუფიქრებელი სიტყვები ყოველთვის, როდესაც „დროების" ახლანდელ რედაქციაზედ და იმის ვითომ პიროვნულ ინტერესების დამტკიცებაზედ დაიწყებს ლაპარაკს, თუ რომელსამე გაზეთს აქვს უფლება სთქვას, და სთქვას თამამად, რომ ის არ მისდევს არავითარ პიროვნულ ინტერესებს, რომ ის, თავის შეძლების-დაგვარად მხოლოდ საზოგადოებას ემსახურება და ყოველთვინ და მუდამ ეს საზოგადო ინტერესი აქვს მხედველობაში, ვამბობთ, თუ რომელსამე გაზეთს ამის თქმის უფლება აქვს, „დროებას", მეტი თუ არა, ნაკლები უფლება არ აქვს იგივე სთქვას თავის მოღვაწეობის შესახებ"...

საცოდავ „დროებას" არ ესმის, რომ გაზეთის დამოუკიდებლობა, და მისი განდგომა ყოველგვარი უცხო გავლენისაგან, დასტურდება არა მსგავსი დეკლამატორული თვითქებით, არამედ მთელი რიგი უდავო ფაქტებით, გაზეთის დროული და სავსებით დამოუკიდებელი მიმართებით საქართველოს ცხოვრების ყველა მორიგ საკითხებთან.

ამასთანავე, ბრმათათვისაც კი ნათელია, რომ „დროება"—„ივერიის"[22] გაერთიანებული რედაქციების მიერ გამოცემული გაზეთის პირველი ნომრიდანვე ბბ. მესხი და ჭავჭავაძე მხოლოდ მაშინ გამოეხმაურებიან რაიმე მორიგ პრობლემას, როცა „ტიფლისსკი ვესტნიკსა" და „ობზორს" უკვე გამოთქმული აქვთ თავიანთი აზრი.

იმ იშვიათ შემთხვევებშიაც კი, როცა ის ეხმაურება ადგილობრივი რუსული პრესის მიერ დასმულ საკითხებს, ცხადად ავლენს, რომ ეხება მათ არა როგორც ლიტერატურული ორგანო, არამედ როგორც თავ. ჭავჭავაძისა და კომპანიის პარტიის იარაღი. ჩვენ უცნაურად და მიუღებლად არ მოგვეჩვენებოდა საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება, ამ პარტიას რომ ჰქონდეს რაიმე

დოქტრინა, სისტემა, პოლიტიკა და მის განხორციელებას ცდილობდეს. მას რომ რაიმე ამის მსგავსი ჰქონოდა, ჩვენ პირველნი ვიქნებოდით აღფრთოვანებული ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში იდეური ბრძოლებისა და პარტიულ შეჯახებათა პერიოდის დადგომით. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ჩვენი ბანკებისა და კომიტეტების საქმოსნების პარტიას მხოლოდ ერთი სისტემა აქვს—დუმილი. ის სისტემატურად არიდებს თავს საჯაროობას, იდეურ ბრძოლებს, საზოგადოებას და ცდილობს გაზეთი იქონიოს მხოლოდ იმისათვის, რომ არაფერი სწერონ პარტიის საქმეების შესახებ, აი, ამაშია მთელი ბოროტება. იგი მიზანს მიაღწევდა, თბილისში რომ არ არსებობდეს რუსული გაზეთები, ისინი ძალაუნებურად დაკავებულნი არიან დიდი და მცირე ქართული საქმეებით, რომლებთანაც რუს მკითხველს ოდნავადაც არაფერი ესაქმება. დაე, გაზეთმა „დროებამ" შეიგნოს ბოლოს და ბოლოს ამ მდგომარეობის არაბუნებრივობა, დაე, მან რეალურად დაარღვიოს სიჩუმე, რომელსაც ასე იცავენ „დროებისა" და „ივერიის" შეერთებული რედაქციები და მაშინ აღარავინ დააბრალებს მას ფაქტების სისტემატურ მიჩუმათებას.

ჩვენ ამ მდგომარეობაზე სრულიადაც არ მივუთითებთ იმის გამო, თითქოს გაზეთ „დროებისადმი" მტრულად ვიყოთ განწყობილი; პირიქით, გულწრფელად გვსურს მისი კეთილდღეობა. როგორიც არ უნდა იყოს ის, როგორადაც არ უნდა გვლანძღავდეს პირადად ჩვენ, როგორ სტატიებსაც არ უნდა ბეჭდავდეს ჩვენს შესახებ, მაინც არ შეგვიძლია დავივიწყოთ, რომ ის ერთადერთი ქართული გაზეთია, რომ მხოლოდ მისი წყალობით შეიძლება საქართველოს მილიონიანი მოსახლეობა თანამედროვე გონებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მონაწილე გახდეს. სრულიად გულწრფელად და ალალი გულით ვაცხადებთ, რომ ჩვენ მეტისმეტად ვწუხვართ, როცა ვხედავთ, თუ როგორ სულ უფრო და უფრო ჰქრება ქართველი საზოგადოების ნდობა არა მარტო ამ ერთადერთი ქართული გაზეთისადმი, არამედ საერთოდ, ბეჭდვითი სიტყვისადმიც. დაე, „დროებამ" გაიხსენოს, რომ ერთადერთი მიზეზი, რამაც „ტიფლისსკი ვესტნიკი"[8] აგონიამდე მიიყვანა, არის ის გარემოება, რომ ეს უკანასკნელი სომხური საზოგადოებრივი

ცხოვრებისადმი ატარებდა იგივე ტაქტიკას, რომელსაც ახლა გაზეთი „დროება“ იყენებს. სისტემატურად დუმდა რა უსიამოვნო მოვლენების შესახებ, სამაგიეროდ იგი უსასრულოდ ბერავდა სომხური საზოგადოებრივი ცხოვრების არანაკლებ სისტემატურ სასიამოვნო იმედების გამოშუქებას, რითაც „ტიფლისსკი ვესტნიკმა“ მხოლოდ საკუთარი თავის დაკრედიტირებას მიაღწია როგორც სომხების, ისე სხვა ეროვნების ადამიანთა თვალში. მლიქვნელთა, მიმჩუმათებელთა და ხელის შემწყობთა შეყვარება შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ერთმანეთთან შეცდომებითა და ცოდვებით და შემდეგ ინსტინქტურად არიდებენ თავს საზოგადოებას. ბეჭდვითი სიტყვა ასეთ როლს ისე უნდა უფრთხოდეს, როგორც ცეცხლს, ვინაიდან მხოლოდ ეჭვიც კი, რომ ის მონაწილეა ამგვარი „შეთქმულებისა“, ძირს სცემს მის პრესტიჟს. „დროებას“ უნდა ახსოვდეს ეს, მან უნდა იცოდეს, რომ, როგორც ერთადერთი ქართული გაზეთი, ვალდებულია თვალისჩინივით უფრთხილდებოდეს საკუთარ ავტორიტეტს, რისთვისაც აუცილებელია მაღლა დადგეს ყოველგვარ კერძო ინტერესებზე, პატივმოყვარეობასა და ეშმაკურ ხერხებზე.

მაგრამ გაზეთ „დროების“ რედაქციამ შეიძლება ეჭვი შეიტანოს ჩვენი სიტყვების გულწრფელობაში. საკუთარი საზომით თუ იმსჯელებს, ის, რასაკვირველია, იფიქრებს, რომ ჩვენ რაიმე ჯავრი გვჭირს მისი. მაგრამ ვეცდებით გადავარწმუნოთ იგი მისაწვდომი და გასაგები არგუმენტებით.

„დროების“ მიერ ჩვენზე მრავალგზის გამოთქმულ უარყოფით შეხედულებას იოტისოდენადაც კი არ შეუძლია ქართულ საზოგადოებაში ჩვენს შესახებ შექმნილი აზრი გამოცვალოს იმიტომ, რომ, ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ საზოგადოებრივი აზრი არ ითვალისწინებს ცალკეულ შეხედულებებს, ვისაც უნდა ეკუთვნოდეს ისინი. მოღვაწეების შესახებ საზოგადოება მსჯელობს მხოლოდ მათი სიტყვისა და საქმის მიხედვით და არა რეცენზენტთა შეხედულებებისამებრ. რაც შეეხება ჩვენს პოლემიკას „დროებასთან“, სრული საფუძველი გვაქვს კმაყოფილი ვიყოთ; გაზეთი „დროება“ ყველა ძირითად საკითხში თავს არიდებს ჩვენთან საფუძვლიან კამათს: იგი დიდი ხანია გვპირდება სერიოზულად გვიპასუხოს ჩვენს სტატიაზე სა-

სამართლო საქმეებში ბეჭდვითი სიტყვის როლის შესახებ, მაგრამ აქამდე სიტყვა არ შეუსრულებია; მან უპასუხოდ დატოვა ჩვენი შენიშვნები და მის გამოხმაურებაზე ბატ. ნ. ღოღობერიძის „კეთილგონიერების“ შესახებ და ახლა კი სავსებით მიჩქმალა ჩვენი მკაცრი პასუხი „გამოსასყიდი მოწმობების“ თაობაზე, რომელთა გამოყენება სურს მას აჯამეთის ტყის გამოსასყიდად. გაზეთი, რომელმაც ამდენი საწყენი აბი გადაყლაპა ორი თვის განმავლობაში, არ შეიძლება ჩვენთვის საშიში იყოს. ამიტომ მას შეუძლია დაგვიჯეროს: ამ მცირე შენიშვნაში ჩამოყალიბებული რჩევები ნაკარნახევია არა მტრობით, არამედ კეთილი ნებით.

17. ჰარტმანის საქმე

თბილისი, 27 თებერვალი, 1880 წ.

საერთაშორისო დეპეშათა სააგენტომ ამ დღეებში გვაცნობა საფრანგეთის მთავრობის კაბინეტის გადაწყვეტილება—არ დათმოს ჰარტმანი, რომელსაც ბრალად ედება კურსკის რკინიგზაზე მეფის ვაგონის აფეთქების მცდელობა.

პარიზის ოფიციალური გაზეთების ცნობებში ამ საკითხის შესახებ გამოხატული პოზიცია საკითხის სხვანაირი გადაწყვეტის საფუძველს იძლეოდა. მართლაც, ეს გაზეთები იტყობინებოდნენ, რომ, თუ დადასტურდებოდა ჰარტმანის მონაწილეობა კურსკის რკინიგზაზე მომხდარ აფეთქებაში, საფრანგეთის მთავრობა დათანხმდებოდა მის გადაცემაზე. მაგრამ ჰარტმანის საქმის თავდაპირველი მსვლელობის ახლოს გაცნობის შედეგად მივდივართ დასკვნამდე, რომ საფრანგეთის ოფიციოზებს ჩვენ შეცდომაში შევყავართ.

ახლა ირკვევა, რომ საკითხის არსი მდგომარეობს არა დაპატიმრებული ჰარტმანის აფეთქების საქმეში მონაწილეობის დაუმტკიცებლობაში, არამედ—გარკვეული პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტაში—რამდენად აუცილებელია პოლიტიკური მკვლელების გაცემა?

თუ საფრანგეთის კაბინეტის უარს შევადარებთ 1872 წელს შვეიცარიის მთავრობის მიერ ცნობილი ნეჩაევის რუსეთისათვის გადაცემას, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ უკანასკნელ შემთხვევაში საკითხი ისე იყო დასმული, რომ, საერთაშორისო სამართლის თანახმად, არ შეიძლებოდა დამნაშავის გადაუცემლობა. გავიხსენოთ ეს მნიშვნელოვანი პრეცედენტი.

ნეჩაევი ერია სტუდენტ ივანოვის მკვლელობაში, რომელიც ეჭვმიტანილი იყო ჯაშუშობაში. ამ დანაშაულის სხვა მონაწილეებს ასამართლებდნენ პეტერბურგის სასამართლო პალატაში წოდებრივი მსაჯულების მონაწილეობით; მათ ბრალად ედებოდათ ამ მკვლელობასა და აგრეთვე რაღაც უკანონო ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის, რომლის მიზანიც იყო ადრე თუ გვიან არსებული წესრიგის დამხობა. ნეჩაევმა თავს უშველა შვეიცარიაში გაქცევით. რუსეთის მთავრობამ მოიძია ნეჩაევის ადგილსამყო-

ფელი და მოითხოვა მისი დაბრუნება. ამასთანავე, ამტკიცებდა, რომ ივანოვის მკვლელობა პოლიტიკური დანაშაული კი არ იყო, არამედ საერთო სამართლის საწინააღმდეგო ქმედება. შვეიცარიის მთავრობამ ამ შეხედულების უარსაყოფად წამოაყენა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ამ მკვლელობის პოლიტიკური ხასიათი უკვე გათვალისწინებული იყო ამ ფაქტით, რომ ეს საქმე გადაეცა იმ სპეციალურ სასამართლოს, რომელიც ჩვეულებრივ იხილავს ხოლმე პოლიტიკურ დანაშაულობებს. მაშინ ჩვენმა მთავრობამ, სცნო რა ამ არგუმენტის სამართლიანობა, ნეჩაევის გასამართლება იკისრა ჩვეულებრივ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მეშვეობით—მხოლოდ სტუდენტ ივანოვის მკვლელობის ბრალდებით. ჩვენი მთავრობის ასეთი განცხადების შემდეგ შვეიცარიის მთავრობა დაუყონებლივ დათანხმდა ნეჩაევის გადაცემას, რის შემდეგაც იგი გაასამართლეს არა პეტერბურგში, არამდე მოსკოვში (იმ საოლქო სასამართლოს რაიონში, სადაც მოხდა ივანოვის მკვლელობა), არა სასამართლო პალატაში, არამედ საოლქო სასამართლოში, არა წოდებრივი მსაჯულების მონაწილეობით, როგორც ეს ხდებოდა წინათ სახელმწიფო დამნაშავეების გასამართლების დროს, არამედ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, როგორც ეს მიღებულია რუსეთში სისხლის სამართლის დამნაშავეთა გასამართლებისას. მხოლოდ ივანოვის მკვლელობის ბრალდებით მოსკოვის საოლქო სასამართლოსათვის გადაცემული ნეჩაევი ნაფიც მსაჯულთა მიერ ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა კატორღა.

თუ ამ საქმეს შევადარებთ ჰარტმანის გადმოცემის საკითხს, დავინახავთ, რომ... ჩვენს მთავრობას, მოსთხოვა რა საფრანგეთს ჰარტმანის გადმოცემა, არ შეეძლო დაევიწყებინა ნეჩაევის პრეცედენტი.

ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანოს, პეტერბურგის გაზეთ „Journal de st-Petershourg"-ის განცხადებებიდან აშკარაა, რომ ჩვენი დიპლომატია მოითხოვს რა ჰარტმანის გადმოცემას, ცდილობს მიაღწიოს არა იმდენად ამ დამნაშავის გადმოცემას, არამედ უფრო მეტად ევროპის მიერ საერთაშორისო სამართლის ახალი პრინციპის აღიარებას. იგი ასე შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო: თუ დამტკიცებულია პიროვნების მონაწილეობა

პოლიტიკური მკვლელობის ორგანიზაციებში, იგი პირველი მოთხოვნისთანავე უნდა გადაეცეს დაზარალებულ სახელმწიფოს. მხოლოდ ამ აზრით შეიძლება „Journal de st-Petersbourg"-ის სტატიის გაგება, რომელიც დაპირისპირებია პარიზის ოფიციოზის „La Paix"-ის ერთობ პლატონურ აღშფოთებას და კონკრეტულად სვამს საკითხს—შეძლებს თუ არა საფრანგეთის მთავრობა, ნამდვილად დაამტკიცოს თავისი ზიზღი პოლიტიკური მკვლელობების მიმართ, რომელიც უნდა გამოიხატოს პოლიტიკური მკვლელის ჰარტმანის რუსეთისათვის გადაცემაში.

ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო დამახასიათებელია თავის დროზე ჩვენ მიერ „ობზორში"[6] გადმობეჭდილი იმავე გაზეთის განცხადება იმის შესახებ, რომ რუსეთის მთავრობა, ახსოვს რა ამასწინანდელი პრეცედენტი, თავს არ იტყუებს იმედით, რომ ის შეძლებს ევროპის სახელმწიფოების დარწმუნებას პოლიტიკური ხასიათის მკვლელობისათვის კარების გადაკეტვის აუცილებლობაში; მას სურს ამ შემთხვევით კიდევ ერთხელ გაიმეოროს, ხომ არ დამდგარა ევროპული დიპლომატიისათვის ის ჟამი, როცა იგი ასეთი საკითხის გადაწყვეტისას უნდა გაემიჯნოს თავის ადრინდელ შეხედულებებს.

ვეთანხმებით რა ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს ასეთ ოფიციალურ განცხადებას, ჰარტმანის საქმეს ვუყურებდით და ვუყურებთ არა როგორც ერთეულ ფაქტს ან კერძო საქმეს, არამედ როგორც დამახასიათებელ ნიშანს იმ ცდისას, რამაც ახალი პრინციპებით უნდა შეცვალოს ძველთაგან დაწესებული საერთაშორისო სამართლის წესები, რომელთა ყოველგვარი ცვლილება ყველა განათლებული ადამიანის სრულ ყურადღებას უნდა იმსახურებდეს.

საფრანგეთის კაბინეტის გადაწყვეტილებამ გვიჩვენა, რომ ფსიქოლოგიური მომენტი, რომელსაც ჩვენი მთავრობა ელოდება, ჯერ კიდევ არ დამდგარა, ევროპის სახელმწიფოები ჯერ კიდევ არ დარწმუნებულან პოლიტიკურ დამნაშავეთა გადაცემის საკითხში თავიანთი ძირითადი შეხედულების გადახედვის აუცილებლობაში. ჩვენმა მთავრობამ, როგორც ეს ჩანს „Journal de st-Petersbourg"-ის მოწინავე სტატიიდან, გაითვალისწინა ამგვარი გარემოება, მაგრამ იმავე სტატიიდან ცნობილია, რომ მას არ ეშინია წარუმპ-

ტებლობისა და განზრახული აქვს ისარგებლოს ყოველი შესაფერი შემთხვევით იმისათვის, რათა დაარწმუნოს ევროპული დიპლომატია საერთაშორისო სამართლის ამ ნაწილის გადახალისების აუცილებლობაში.

თუ საფრანგეთის მთავრობა, დავუშვათ, დარწმუნდა,—როგორც შვეიცარიის მთავრობა ნეჩაევის საქმეში,—რომ ჰარტმანი ჩვეულებრივი მკვლელია და მას გადასცემს საერთო სასამართლოს, ამ შემთხვევაში საქმე სრულ შესაბამისობაში იქნებოდა მოქმედი საერთაშორისო სამართლის ზოგად საფუძვლებთან, მაგრამ სრულიადაც არ დააკმაყოფილებდა ჩვენს მთავრობას, რადგან მისი ამოცანაა შეცვალოს ევროპული სახელმწიფოების დიპლომატიის შეხედულებათა საფუძვლები ამ საგანზე. ამ მნიშვნელოვან ინციდენტზე სათანადო შეხედულების ჩამოსაყალიბებლად ჩვენ აუცილებლად უნდა დაველოდოთ საფრანგეთის კაბინეტის მიერ წარმოდგენილ დეტალურ მოტივებს და ჩვენი მთავრობის შემდგომ განცხადებებსა და ნაბიჯებს.

18. ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲖᲔ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲛᲢᲠᲔᲑᲘ

„მიჩუმათება“ და „სიცრუე“,—აი დევიზი „დროებისა“," და „ივერიის“[22] ერთობლივი რედაქციებისა, დღეს შესაძლებლობა გვაქვს წარმოვადგინოთ კიდევ ერთი რელიეფურად დამამტკიცებელი საბუთი უდღეური ქართული პრესის ამ ახალი მიმართულების დასახასიათებლად. მაგრამ წინასწარ აუცილებელია გავაკეთოთ ერთი არცთუ ზედმეტი შენიშვნა.

ორი გაზეთის პოლემიკა, რომლებიც სხვადასხვა ენებზე გამოდიან, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება კეთილსინდისიერად ჩაითვალოს, როცა თითოეული მათგანი პატიოსნად აცნობს თავის მკითხველებს მონინააღმდეგე მხარის ტექსტს, თუ მთლიანად არა, ყოველ შემთხვევაში, მის ძირითად დებულებებსა და მოსაზრებებს მაინც. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა და არავითარ მტკიცებას არ უნდა საჭიროებდეს.

ამ წესის შესაბამისად, ჩვენ ყოველთვის თითქმის სიტყვა-სიტყვით ვთარგმნიდით იმ ცალკეულ ადგილებსა და სტატიებს ქართული გაზეთიდან, რომელთა წინააღმდეგაც ვკამათობდით. „დროებას“ კი, „ობზორთან““ პოლემიკაში, ერთხელაც არ დაუცავს ეს წესი. ის სისტემატურად უმალავდა თავის მკითხველებს არა მარტო ჩვენი სტატიების ტექსტებს, არამედ მათ არგუმენტაციასაც, და ასევე სისტემატურად ამახინჯებდა მათს ძირითად აზრსაც კი.

ჩვენთვის პირადად, და ყველა იმათთვის, რომლებიც ერთდროულად ადევნებდნენ თვალ-ყურს ორივე გამოცემას, ასეთი ვითარება დიდად საზეიმო მტკიცებაა გაერთიანებული რედაქციების გონებრივი სიღატაკისა; ისინი იძულებული არიან ხსნა ეძებონ ჩვენი მოსაზრებების გადასხვაფერებასა და მიჩქმალვაში. „დროება“ ჩქმალავს ყოველ ისეთ შემთხვევას ჩვენთან კამათში, როცა მას ჩვენი მოსაზრება უნდა უკუეგდო საკუთარი არგუმენტებით. მაგრამ „დროება“ თავის დასამშვიდებლად და ისეთი მკითხველების დასარწმუნებლად, რომლებმაც რუსული ენა არ იციან, დროდადრო ბეჭდავს უბადრუკ, აშკარად ყალბ მასალებს და ეს მიაჩნია თავისი თავმოყვარეობის სამკურნალო მალამოდ. იმის დასადასტურებლად, თუ რამდენად უბადრუკი და უმწეოა ამგვარი საქციელი, ერთ „მასალას“ სიტყვა-სიტყვით ვთარგმნით. აი, ისიც:

„ჩვენი სანაგვე გოდორი, ანუ ბატ. ნიკოლაძის „აბზორი“, გადაიქცა ისეთ საბუდრად, სადაც ყველა, ვისაც კი „დროებისაგან“ თავის-თავი შეურაცხ-ყოფილად მიაჩნია, მირბის და იმის ქვეშ იფარავს თავს. ამ „აბზორის“ რედაქციისაგან „ხელ-დასმულებში“ უპირატესი და განსაკუთრებული ადგილი უჭირავსთ ჩვენ პროვინციალურ ადმინისტრაციის წვრიმალ წევრებსა. როგორც კი ჩვენს გაზეთში რამე დაიბეჭდებოდა ან იმათ უთავო მოქმედებაზედ, ანუ სულ უმოქმედობაზედ, ან სხვა რაიმე იმათი ნაკლულოვანება,—იმ წამსვე „აბზორის“ რედაქციას, ანუ ზემოხსენებულ გოდორს, მიმართავენ ხოლმე და საბრალოს ხმით, ხელებ მაღლა აპყრობილნი შეჰყვირიან:

—„გვიშველეთ, შეგვიფარეთ, დაგვიფარეთ, „დროება“ გვდევნისო!“

და უფ. ნიკოლაძე იმ წამსვე ასწევს თავის გოდორს და ამ დევნილთა თავს შეაფარვინებს...

შორს რომ არ წავიდეთ ამ უკანასკნელ დროს ხუთი მაგალითი მოხდა ამისი; მოიგონეთ ორპირის პოლიციის პრისტავი, კახის ნაიბი (იგივე პოლიციის პრისტავი), ზუგდიდის ნაჩალნიკი და იმისივე ერთი ჩინოვნიკთაგანი და ფოთი-თბილისის რკინის გზის გამგეობა, რომელიც ჯერ თავის მფარველობის ქვეშ მიიღო, „დროებისაგან“ ვითომ დაიცვა და მერე კი გამოაგდო თავის საბუდარიდამ და თვითონ უარესად შეამკო.

ახლა ჯერი მიადგა თ.ვ.ე. ერისთავს, გორის უეზდის I განყოფილების მიროვოი პოსრედნიკს, რომელმაც გუშინ-წინ მიიღო თავ-შესაფარავი ადგილი უფ. ნიკოლაძის გოდორში.

მაგრამ ეს ბრწყინვალე თავადი უბრალოდ და წყნარად კი არ შეძვრა; არა, რად ეკადრებოდა? შემოგვიკურთხა კარგა ლაზათიანად, როგორც იმის ბრწყინვალებას ეკადრებოდა, შემოგვყვირა: „დროების“ რედაქცია ყველა სისულელეს ადგილს აძლევს თავის გაზეთშიო, ოღონდ კი შეავსოს ფურცლებიო; არც ცოცხალს დაზოგავს, არც მკვდარსო, ტყუილი იქნება თუ მართალი, იმისთვის სულ ერთიაო,—ესე მოგვახსენა და შეძვრა.

ჰხედავთ, რა მხნე ყოფილა მისი ბრწყინვალება! იმისთანა საგანზედაც კი მაგრად ლაპარაკობს, რომელიც სრულებით მისი

ჭკუის საქმე არ არის, რომელიც არც ნებიერ ცხოვრების უპირატესობას, შრომაზე და თავის მოვალეობის პატიოსნად შესრულებაზედ.*

მაგრამ ამ გვარი მხნეობა, როგორიც არის გაზეთის ღირსებაზე მსჯელობა, იმისთანა კაცს, რომელსაც ცხოვრების დანიშნულებად ქეიფიანად დროს-გატარება მიაჩნია, ეპატიება. მაგრამ ტყუილის თქმა კი არ ეპატიება: ცოცხალი ტყუილია, ვითომც თქვენთან, ბრწყინვალეო პოსრედნიკო, ამილახვრიანთ ჩაფრებზე არ უჩივლიათ კასპის მცხოვრებთა. იჩივლეს და მარტო კასპელებმა კი არა, სოფ. ჭალის გლეხებმაც; და მარტო თქვენთან კი არა, გორის უეზდის უფროსის თანაშემწესთანაც, თქვენ__რომ იჩივლეს, ეს, რასაკვირველია, ჩვენზე უკეთ თქვენც იცი და, გვიკვირს, ტყუილის თქმას რად ჰკადრულობთ. და თუ თქვენ ამაში გაჯიუტდებით, ფაქტითაც შეგვიძლია დაგიმტკიცოთ.

და თუ ეს მართალია, რომ იჩივლეს, მაშასადამე, ისიც მართალი უნდა იყოს, რომ ადგილობრივი გლეხები შეწუხებულნი ყოფილან ამილახვრიანთ ტყის მცველებისა და იმათგან ახლად-დადგენილ წესებისაგან; მაშ თქვენ კიდევ ერთს ტყუილს ბრძანებთ, თქვენს წერილებში, რომ „რამდენათაც მე ვიცი, აქაური გლეხები ძალიან კმაყოფილნი არიან ამილახვრიანთ დადგენილის წესითაო, რადგან ახლა უფრო ზომიერის ტაქტით სარგებლობენ იმათის ტყიდამაო". ეს რომ თქვენი ცოცხალი ტყუილი გახლავსთ, ამის უფრო ცხადათ დასამტკიცებლად ყველასათვის საკმაო იქნება იმ წერილისაც წაკითხვა, რომელსაც ლეხურის ხეობის გლეხ-კაცი გვწერს და რომელიც ხვალინდელ ჩვენ გაზეთის ნომერში იქნება დაბეჭდილი.

ჯერჯერობით ეს იკმაროს გორის უეზდის I განყოფილების მიროვოი პოსრედნიკმა, თ. ვანო ერისთავმა და, თუ შემდეგში კიდევ ხმა ამოუღია ამ საგანზე და არ გამტყდარა, მაშინ ჩვენ მოვიყვანთ სხვა საბუთებს იმის ბრწყინვალე ტყუილების დასამტკიცებლად..."

და ყველაფერი ეს ეხება „ობზორის" რედაქტორისადმი მოწერილ წერილებს, რომლებიც მივიღეთ უარსაყოფად ჩვენ მიერ „დროებიდან ნასესხები ცნობისა". თითქოს ჩვენ ნაკლებ ადგილს

* ბოლო ფრაზა ნიკოლაძეს არ უთარგმნია. აქ აზრი არ არის და არც მისი თარგმნა იქნებაო,__ასე მიუთითებს.

ვუთმობდეთ ჩვენი საკუთარი კორესპონდენტების ცნობების ან საკუთარი აზრების უარმყოფელთ! დააკვირდით იმასაც, რომ „დროება“ გულმოდგინედ დუმს და იმ შემთხვევების შესახებ, როცა „ობზორი“ იცავდა „დროების“ კორესპონდენტებს, თუნდაც მაგალითად, წინააღმდეგ ზაქათლის ნაიბისა, რომელზეც ლაპარაკია ახლახან გადმოთარგმნილ უბადრუკ სტატიაში.

ორიდან ერთია: ან „დროება“ ნამდვილად ვერ ხვდება ასეთი საქციელის მთელ საზიზღრობას და სერიოზულად დაჯერებულია თავის სიმართლეში,—ასეთ შემთხვევაში ის ამჟღავნებს აშკარა კრეტინიზმთან მიახლოებულ გულუბრყვილობას,—ანდა მას ესმის რაშიაც არის საქმე, მაგრამ ფიქრობს გზა აუბნიოს თავის მკითხველებს, თვლის რა მათ კრეტინიზმთან მიახლოებულ გულუბრყვილოებად. ასეთ საქციელს ჩვენ სხვა ახსნას ვერ ვუძებნით და ბედნიერად ჩავთვლიდით თავს, თუ თვით „დროების“ რედაქცია მოუძებნის რაიმე სხვა გადაწყვეტას ამ უბრალო დილემას.

ღვთის გულისათვის, ბატონებო, უფრო ხშირად მოგვაწოდეთ ასეთი მასალები, უფრო ხშირად გაგვიმასპინძლდით თქვენი გონებრივი მოღვაწეობის ამგვარი პროდუქტებით, უფრო ხშირად გვაგრძნობინეთ ასეთი დარტყმები! აღიარეთ, რომ თქვენ უნდა შეასრულოთ ჩვენი ეს თხოვნა. ჩვენი ცხოვრების იმ სამწუხარო წლებში, როცა იძულებული ვიყავით მხარდამხარ გვევლო, ბრალდებებითა და საყვედურებით აგვავსეს თქვენი მოუსაზრებლობისა და შეცდომებისათვის. თქვენთან მეგობრობისას კინაღამ სული შეგვიხუთა თქვენი სისულელეების გაჯერებულმა ატმოსფერომ... დაგვეხმარეთ ახლა თქვენი მტრობით, რათა უფრო თვალნათლივ გამოიხატოს იმ ცნობილი წამოძახილის ზედგამოჭრილობა ჩვენზე, რომელსაც თქვენ გვერდით ყოფნისას ასე ხშირად შევახსენებდით ხოლმე საკუთარ თავს:

—ღმერთო, დაგვიხსენი მეგობრებისაგან, მტრებს კი ჩვენ თვითონ გავუსწორდებით!

19. ცრუპენტელები პრესაში

თბილისი, 29 თებერვალი, 1880 წ.

ჩვენს მკითხველ საზოგადოებაში თუმცა ხშირად ისმის შეძახილები „პოლემიკის" წინააღმდეგ, მაგრამ საეჭვოა, რომ ყოველთვის გვმართებდეს შეჩერება ამ შეძახილის გამო, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ პრესისა და მკითხველი საზოგადოების ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვენ კამათის წამოწყებას. გარდა იმისა, რომ საერთოდ ყველა გაზეთის ყველაზე საინტერესო ნაწილი სწორედ პოლემიკის განყოფილებაა, მხოლოდ პოლემიკას შეუძლია დააფუძნოს საზოგადოებაში სათანადო შეხედულება პრესის მოვალეობაზე და მხოლოდ მას შესწევს ძალა, დროთა განმავლობაში პრესის ისეთი ჩვევების ჩამოყალიბებისა, რომლებიც ღირსია მკითხველი საზოგადოებისა და შეესაბამება მის განვითარებასა და მოთხოვნილებას. უპოლემიკოდ პრესას ხავსი მოეკიდებოდა და მთელ მის არსებას სენი შეიპყრობდა. აი, რატომ მიგვაჩნია აუცილებლად, მიუხედავად მთელი ჩვენი მძულვარებისა წარსულის განმეორებისადმი, დროდადრო გამოვააშკარაოთ და გავაშიშვლოთ ადგილობრივი პრესის ისეთი ხერხები, რომელთაც, რადგან დამკვიდრდნენ, უკვე ძალაც შესწევთ საიმისოდ, რათა მთლიანად გააცამტვერონ ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობა ჩვენს მხარეში. უმადური და ბინძურია ეს სამუშაო, მაგრამ, რას იზამ? ხელს თუ არ გაისვრი, სუფთად ვერ იქნები...

ცნობილია, თუ რა იმედს ამყარებდნენ ქართული პრესის „აღორძინებაზე", რომელიც უნდა განხორციელებულიყო ორი რედაქციის—„დროებისა"[1] და „ივერიის"[22] —შეერთებით. ორივე ეს გამოცემა ცალ-ცალკე სულს ღაფავდა და დღითიდღე უძლურდებოდა ქართული საზოგადოების სავსებით ბუნებრივი გულგრილობის გამო. გარდაუვალი სიკვდილისათვის განწირული ეს გამოცემები ერთ მთელად შედუღაბდნენ, ოღონდ მათ დაავიწყდათ, რომ ორი მკვდრის შეერთება უფრო დააჩქარებს ხრწნის პროცესს, და მართლაც, ჩვენ ყველა თვალნათლივ ვხედავთ ამ კანონის გარდუვალობას. ორივე რედაქციამ გადასდო ერთმანეთს საკუთრივ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი დაავადება...

უაღრესად საინტერესოა ამ პათოლოგიური კურიოზისათვის თვალის გადევნება. ერთდება ორი რედაქცია, რომელთაგან თითოეული ცალ-ცალკე, თუ სინამდვილეში არა, ყოველ შემთხვევაში, გულუბრყვილო ადამიანთა თვალში მაინც, ისეთ მისწრაფებებს ატარებდა თავის თავში, რომლებიც ძირფესვიანად ეწინააღმდეგებოდნენ მეორეს. ერთი რედაქცია საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხთა თაობაზე მიჩუმათების პოლიტიკას მისდევდა, ხოლო უკვე ყველასათვის დიდი ხნის წინ გადაწყვეტილ და არქივში ჩაბარებულ საკითხებს დოქტრინასავით გადაღეჭავდა ხოლმე. მეორის საყვარელი ჩვევა იყო ანგარიშმიუცემელი და აბდაუბდა ყბედობა ყველაფრის შესახებ, რაც კი თავში მოუვიდოდა, ოღონდ მასზე ყოველგვარი წარმოდგენის გარეშე. ერთს შეცდომაში შეჰყავდა თავისი მკითხველები იმ პრობლემების მიჩუმათების გამო, რაც მკითხველისთვის უნდა გაეცნო; მეორე კი მხოლოდ თავგზას უბნევდა, რადგან იმავე საგნებზე ყოველგვარ სისულელეს, უაზრობასა და სიცრუეს ბოდავდა. არაფერი გარკვეული, ნათელი და დადებითი არც მსოფლმხედველობის, არც ცოდნის, არც შეხედულებათა და დოქტრინათა სისტემის მხრივ არ ახასიათებდა არც ერთ რედაქციას. მაშ, რამ გამოიწვია მათი შედუღაბება? მხოლოდ იმან, რომ ერთი მხრივ, რომელიც მუდამ სისულელეს ბოდავდა, დათანხმდა გაჩუმებულიყო ზოგიერთ საგანზე, ხოლო მეორე, მუდამ რომ მრავალმნიშვნელოვნად სდუმდა, ასევე დათანხმდა პერიოდულად შეეთხზა სიცრუე და უაზრობა სხვა დანარჩენ სიუჟეტებზე. მაგრამ თვით ამ შეერთებას უნდა დაეჩქარებინა ორივე რედაქციის ლპობის პროცესი. სოლიდურად მდუმარე „ივერიას“ ახლა უხდებოდა პასუხისგება „დროების“ რედაქციის მოურიდებელი ტყუილების გამო, ხოლო უმიზნოდ მატყუარა „დროებამ“ კი პასუხი უნდა აგოს „ივერიის“ სისტემატურ და წინასწარგანზრახულ მიჩუმათების პოლიტიკაზე. გასაგებია, რომ ასეთი შედუღაბების შედეგად ორივე მიცვალებულის მდგომარეობა მხოლოდ და მხოლოდ მკვეთრად გაუარესდა.

მართლაცდა, რა უნდა გვექნა, მაგალითად, ი.გ. ჭავჭავაძისათვის, რომელიც მოხერხებულად იცავდა თავს ყოველგვარი შემთხვევითობისაგან, ცხოვრებისა თუ ლიტერატურის მიმდინარე საკითხებზე განსჯისგან სისტემატური თავის არიდების მეშვეობით.

ჩვენ შეგვეძლო გვეკითხა მისი გამოცემისათვის: რატომ არ ეხებით, ვთქვათ, ამა და ამ საკითხს და პასუხად მივიღებდით—არ მიგვაჩნია მნიშვნელოვნად ან საჭიროდ და ამიტომ არ ვეხებითო. ან თუ „დროებას“ შევუჩნდებოდით მისი ხშირი მარცხისა და უაზრობათა გამო, გამუდმებით წავაწყდებოდით მკითხველთა წინააღმდეგობას: გსიამოვნებთ, ამ საბრალო გაზეთს რომ ახრჩობთ? რას იზამ, ყველაფერი ეს ხომ მას თავისი სისულელით მოსდის; სათანადო თანამშრომლები არ ჰყავს და ბ-ნი მესხი კი იმას აკეთებს, რაც შეუძლია. თუ ის დანაშაულს სჩადის, ეს გულწრფელი, ყოველგვარ ქვენა აზრს მოკლებული დანაშაულია. ის ხომ ასეთი „გულკეთილია“! მაგრამ ახლა, როცა ორთავე გამოცემა შეერთდა და ორთავე რედაქტორი პასუხისმგებელია ერთმანეთის საქციელზე, ერთის ადრე უმტკივნეულო ტყუილი ახლა ბოროტ ხასიათს იძენს, რადგან ყველასათვის კარგადაა ცნობილი მეორის გაქნილობა. ეს ვითარება, ამასთანავე, სახელს უტეხს უკანასკნელს, რადგან იგი ვერ სწვდება ამ ვითარების მნიშვნელობას.

ბ-ნი მესხისადმი ნდობა იმდენად მტკიცეა მკითხველ საზოგადოებაში, რომ მისი პასუხისგებაში მიცემა რაღაც საცოდავი გამოხდომებისა და გაზეთის უაზრობისათვის სწორედ იგივე იქნებოდა, რაც პოლემიკა გაზეთ „ტრუდის“[23] რედაქტორთან;, ბ-ნ ტერ-მელიქსედეკიანთან. განათლება და გონებრივი განვითარება ორთავეს სამართლიანად აყენებს ერთსა და იმავე საფეხურზე. მაგრამ სხვა საქმეა ბ-ნი ჭავჭავაძე, „კაცია-ადამიანის“ ავტორი, „საქართველოს მოამბის“[24] ყოფილი რედაქტორი. ამ ლიტერატორს ჰმართებს იცოდეს ის, რაც იბეჭდება მის გაზეთში. ჩვენ ნეტარებით ვეძებთ შემთხვევას, რათა სწორედ მის პასუხისმგებლობას დავაკისროთ ჩვენი ლიტერატურის მომავალი ისტორიის წინაშე, იმ საბრალო ხერხთა მთელი სისაძაგლე, რომელიც გაზეთ „დროებაში“ დამკვიდრდა. იგი ჩვენ გაგვიგებს, რადგან ოდესღაც იცოდა, რომ ნამდვილი მწერლები, კალამს რომ მოჰკიდებენ ხელს, წუთიერი გამარჯვებისაკენ კი არ უნდა ისწრაფვოდნენ ტყუილებითა და უაზრო შეხლა-შემოხლის გზით, არამედ ისეთ უაპელაციო მსჯავრთა დადგენისაკენ, რომელთა უეჭველი სიმართლეც რატიფიცირებული იქნება ლიტერატურის ისტორიის მიუკერძოებლობით. ჩვენთვის სასიამოვნო იქნება, დავამტკიცოთ, რომ პრაქტიკული ცხოვრების საჭიროებებმა აიძულა ბ-ნი ჭავჭავაძე დაევიწყებინა ეს ჭეშმარიტება და დაიყვანა იგი ერთ სა-

ფეხურზე იმ ხალხთან, რომლებიც იძულებულნი არიან იცრუონ, თუმცა შეგნებული აქვთ, რომ ხვალ ეს სიცრუე გამომჟღავნდება, ამიტომ ერთი ტყუილიდან მეორე, კიდევ უფრო უბადრუკი ტყუილით მოუწევთ თავის დახსნა...

ჩვენ საკმაოდ გამოვააშკარავეთ გაზეთ „დროების" არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება ჭეშმარიტებასთან, ამიტომ ახალი საბუთების მოყვანა აუცილებელი აღარც კია. მაგრამ საბუთთა სიჭარბე არასოდეს არაფერს ვნებს. ამიტომ გვსურს გადმოვთარგმნოთ კიდევ ერთი გამოხდომა ამ გაზეთისა, რომელიც ჯერჯერობით ჯიუტად სდუმს ჩვენი სტატიების გამო, მისი უბადრუკი აზრებისა და ილეთების წინააღმდეგ რომაა მიმართული. ახალი გამოხდომა ყველა ადრინდელზე ბრწყინვალეა. აი, როგორ „ოსტატურად" აბნევს „დროება" თავის მკითხველებს:

„საუბედუროთ, ეს გაცვეთილი ჭეშმარიტება ავიწყდებათ ჩვენ ორ რუსულ გაზეთებს „თფილისის მოამბესა" და „აბზორს" და ამიტომაც არის, რომ პირველი ამათაგანი დიდი ხანია „მკვდართა შორის" ჩაირიცხა და მეორის ბატ. ნიკოლაძის გაზეთის სიტყვას სწორედ იმდენი ძალა და მნიშვნელობა აქვს საზოგადოების თვალში, რამდენიც ფინია ძაღლის დაუდგრომელ და უვნებელ ყეფასა და ქაქანს.

ერთი მითხარით, თქვენი ჭირიმე, ან რა ძალა და გავლენა უნდა ჰქონდეს იმისთანა გაზეთს, რომელიც ერთსა და იმავე საგანზე დღეს იძახის თეთრიაო და ხვალ—შავიაო, რომელსაც ერთი და იგივე პირი დღეს ცამდის აჰყავს, აქებს, ადიდებს იმას და ხვალ კი ქვესკნელში აძვრენს, აძაგებს, სულელს, ბრიყვს, უპატიოსნოს ეძახის?

ორმოცი მაგალითი მაინც მოგვიყვანია „აბზორის" მხრით ამ გვარის მოქმედებისა; მაგრამ ამ დღეებში ერთი ჩინებული მაგალითი კიდევ, და იმედია არა უკანასკნელად, წარმოგვიდგენია: ამას წინათ უფ. ნიკოლაძემ სწორედ მეშვიდე ცამდინ აიყვანა ერთი თავის თანამშრომელთაგანი ბატ. უთურგაული; ასეთიაო, ისეთიაო, შესანიშნავი კრიტიკოსიაო, ამისთანა ნიჭი ამ უკანასკნელ წლებში არ გამოჩენილა ჩვენშიო და სხვ. და სხვ. გუშინ წინ კი იგივე ბატ. ნიკოლაძე ამავე თვის თანამშრომელს ბატ. უთურგაულზე ამბობს, რომ იმის პირიდან „საბრალო სიტყვებისა და თავხედურ

ლანძღვას“ მეტი არა გამოვიდა-რაო, „არ ესმოდა, რას ვთხოულობდით“ იმისგანაო, თავის დანიშნულება რა არის არ იცისო და სხვა და სხვ. (ნახე „აბზორის №430 წინა სტატია).

რა ძალა და გავლენა უნდა ჰქონდეს იმისთანა გაზეთს, რომელიც ყველას და ყველაფერს თავის კუდაბზიკურ თავმოყვარეობით უყურებს და შესჩერებია; რომელიც არავის და არაფერს ზოგავს, ოღონდ კი თავის სულელური აზრი დაიცვას და სულელთაგან სახელი დაიმსახუროს.

ყველაზე გასაკვირველი და სასაცილო ამაში კიდევ ის არის, რომ ამისთანა გაზეთი სხვას აძლევს დარიგებას, სხვებს ასწავლის ლიტერატურულ წესებს და ზრდილობას; ასე უნდა მოიქცეთ, ამას მოითხოვს ლიტერატურული პატიოსნება—მოდი ნუ გაგეცინება! ერთად დასდევით ცეცხლი და წყალი... აფსუსი არ არის, რომ იმისთანა კარგი სიტყვა, როგორც „ლიტერატურული პატიოსნება“ ნიკოლაძის კალმის წვერიდან გამოდიოდეს და ჭუჭყიან „აბზორის“ თაბახზე იბეჭდებოდეს!“

იმის შესახებ, თუ რა ძალა და მნიშვნელობა აქვთ გაზეთ „ობზორის““ სიტყვებს საზოგადოების თვალში, ჩვენ კი არა, მკითხველმა საზოგადოებამ უნდა განსაჯოს. მაგრამ, თუ გაზეთის ამ ძალასა და მნიშვნელობას სხვაგვარად გაიგებენ? როგორც თ-დი ი. გ. ჭავჭავაძე მიიჩნევს, მაშინ საზოგადოებამ შეიძლება დიდი ნდობა გამოუცხადოს ყველა მის განცხადებას და წერილს! ნუთუ იგი გონებრივად იმდენად დაქვეითდა, რომ მსგავსი განცხადებებითღა ინუგეშებს თავს? თუმცა, დაე, ასე იყოს. ამისგან არც არავის დასცხება და არც არავის შესცივა.

მაგრამ ბ-ნი ჭავჭავაძის გონებრივი დაქვეითების მეორე მაგალითია მისი გაზეთის მოწინავეს მტკიცება იმის თაობაზე, თითქოს ჩვენ საკუთარ თავს ვეწინააღმდეგებით. ბ-ნების ს. მესხის, ი. მაჩაბლის, გ. თუმანოვისა და სხვათა მსგავს სოლისთავა ხალხს ეპატიება ასეთი გაუფერულება. მათი ტვინი ისე მოაწყო ღმერთმა, რომ, თუ ორი აზრი ერთნაირი ფრაზებით არაა გადმოცემული, იმ წამსვე მათ შორის წინააღმდეგობა უნდა დაინახონ. მათთვის აზრთა კავშირის საიდუმლოება მიუღწეველია. სამი დღის წინ „ობზორის“ მკითხველებმა იხილეს ასეთი სოლისთავობის თვალსაჩინო მაგალითი ბ-ნი თუმანოვის ჩვენდამი მომართულ წერილში: „თქვენ მე სასარგებლოდ მიმიჩნევდით მიცვალებულთა

შედულაბების საქმეში, ახლა კი ულირსად ჩამთვალეთ კომიტეტის წევრობისათვის". რა უნდა ვქნათ? როგორც ჩანს, უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ, როგორც არსებობენ ისეთი ყუთები, რომელშიაც ერთ ნივთზე მეტს ვერ ჩატევ, ასევე არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომელთა თავებშიც ერთბაშად ორ აზრს ვერაფრით ვერ ჩატენი. ჩაუჯდებათ ტვინში ერთი ფრაზა და სხვა ყველაფერი წინააღმდეგობაა. ამას წინათ კი ასეთი სოლისთავობის ნიმუშად წარმოგიდგინეთ ბ-ნი მაჩაბელი, მეორე ეგზემპლარი ზუსტად სოლისთავობისა. მაგრამ ერთია ბ-ები მაჩაბელი და თუმანოვი და სხვაა თ-დი ი.გ. ჭავჭავაძე. ახლა როგორღა გაბედავს იგი თქვას, თითქოს ჩვენ თავსვე ვეწინააღმდეგებოდეთ ბ-ნი უთურგაულის შეფასებაში?

„ობზორის" მკითხველებმა იციან, რომ №430 მოწინავე სტატია, რომელსაც თ-დი ჭავჭავაძის ორგანო ასახელებს, ლაპარაკობდა არა -ბნ უთურგაულზე, არამედ იმ პოლემიკაზე, რომელიც მ. ასათიანის მკვლელობამ გამოიწვია. ჩვენ მოველოდით, რომ ეს პოლემიკა მკითხველს თვალწინ გადაუშლიდა ჩვენი სასულიერო სასწავლებლების უცხო თვალისათვის დაგმანულ სამყაროს. სამწუხაროდ, აქამდე დაბეჭდილმა სტატიებმა ვერ შეძლეს ამ ამოცანის გადაჭრა. ისინი ყელთამდე ჩაიფლნენ მ. ასათიანისა და მისი მკვლელობის პიროვნულ წვრილმანებში. ჩვენც სწორედ ამ ვითარებას გავუსვით ხაზი. ჩვენი შენიშვნა ეხებოდა არა ბ-ნი უთურგაულის სტატიებს, რომლებიც ასათიანის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებების მთელ წყებას აბათილებდნენ, არამედ საერთოდ, მთელ პოლემიკას, რომელშიაც ბ-ნ უთურგაულს პირწმინდად თავდაცვის პოზიცია ეჭირა. შესაძლოა იყო შესანიშნავი კრიტიკოსი, ასევე შესანიშნავი პუბლიცისტი, მაგრამ, ამავე დროს, მთელი სიცოცხლე მეორეხარისხოვან წვრილმანებზე იხარჯებოდე იმ დროს, როცა საქმის უმნიშვნელოვანესი მხარეები შეუმჩნეველი რჩება ჩრდილში. დაინახოთ ამ მსჯელობაში რაიმე წინააღმდეგობა, ეს იმას ნიშნავს, რომ დაემგვანო ბ-ებს მაჩაბელსა და თუმანოვს, რაც არა მგონია, სასურველი იყოს ბ-ნი ჭავჭავაძისათვის.

მაგრამ იგი ისეთი გულუბრყვილო სრულიადაც არაა, ვერ ხვდებოდეს, რომ აქ ერთი ბეწო წინააღმდეგობაც კი არაა. აქ სხვა, წმინდად ჭავჭავაძისეული ჩანაფიქრია. ბ-ნი უთურგაული ყელზე ადგას „ივერიას", რომელსაც, ალბათ, სიკვდილამდე არ დაავიწყდება

მისგან დათენებული შავი დღე. მაგრამ ბ-ნი უთურგაულის პატიოსან ბრძოლაში დასამარცხებლად „ივერიას“ ძალა არ ეყო, ამიტომაც გაჩუმდა, თავი ისე მოიკატუნა, თითქოს ის შავი დღე აღარ ახსოვდეს. თუმცა „ჯავრი“ ბ-ნი უთურგაულისა მაინც შერჩა და თანაც როგორი! ახლა, როდესაც „ობზორმა“ განაცხადა, რომ პოლემიკა, რომელშიაც, სხვათა შორის, მონაწილეობდა ბ-ნი უთურგაულიც, მიზანს ვერ აღწევსო, „ივერიამ“ გადაწყვიტა ესარგებლა ამ შემთხვევით, რათა სასიკვდილო დარტყმა მიეყენებინა ბ-ნი უთურგაულისთვის. და აი, წინა პლანზე გამოდის ავტორიტეტი ბ-ნი ნიკოლაძისა, სწორედ იმ ბ-ნი ნიკოლაძისა, რომლის „სიტყვათა ძალა და მნიშვნელობა“ სავსებით უმნიშვნელოა. ისმინეთ, „დროების“ მკითხველებო,—აცხადებს ბ-ნი ჭავჭავაძე,—ბ-ნმა ნიკოლაძემ გადაწყვიტა, რომ ბ-ნი უთურგაული კაპიკად არ ღირს! ხოლო ადამიანები, რომლებიც მსგავს ოინებს სჩადიან, კაბინეტის ჭორიკნების პატივს უფრო იმსახურებენ, ვიდრე სახალხო პუბლიცისტისას. აი, როგორ არწმუნებდა თავიანთ მკითხველებს, რომ ჩვენი „სიტყვის ძალა და მნიშვნელობა“ ნულის ტოლია, მაგრამ, ვიდრე ამაში მკითხველს დაარწმუნებდა, იქნებ უკეთესი ყოფილიყო ჯერ თვითონ დარწმუნებულიყო, რათა ისეთ სასაცილო მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყო, როგორშიც ახლა აღმოჩნდით!

ასეთი უბადრუკი შედეგის მისაღწევად დაიხარჯა ამდენი ტყუილი, აირ-დაირია ფაქტები, დამახინჯდა ჩვენი სტატიის აზრი, უხვად გადმოიფრქვა ისეთი ლანძღვა-გინება, როგორადაც ლაქიებიც კი აღარ იგინებიან და ყოველივე ამის გაკეთება მოუხდა თ-დ ი. გ. ჭავჭავაძეს. მართალი ყოფილა ძველი გამოთქმა: ღმერთი ვის დასჯასაც მოინდომებს, იმას აზროვნებას წაართმევსო!...

მაგრამ კმარა! მხოლოდ იმასღა შევნიშნავთ, რომ მოგვწყინდა ერთსა და იმავე საკითხზე უშედეგო წერა. გაზეთ „დროების“ ზნე ოდნავადაც არ შეცვლილა უკეთესობისაკენ. ამიტომ, მიჩვეული ვართ რა, ამაოდ არ შევყოვნდეთ ჩვენზე მინდობილ საქმეში, ვაცხადებთ, რომ თუ გაზეთი „დროება“ კვლავ არ გააცნობს თავის მკითხველებს ჩვენს მოსაზრებებს და თუ ჩვენთან სერიოზული და საქმიანი საუბრის ნაცვლად ერთხელ კიდევ გაბედავს უკანასკნელ გამოხდომათა მსგავს გამოხდომას, მაშინ ჩვენ კაპიტა-

ლურ საშუალებებს მივმართავთ ბ-ნი ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ამჯერად გადავწყვიტეთ ვაპატიოთ მას თავისი „გონებამახვილი“ გამოსვლა ჩვენი „კეთილშობილების“ მისამართით, მაგრამ, თუ კიდევ განმეორდება მსგავსი რამ, იძულებული შევიქნებით გულისტკივილით შევეხოთ ისეთ საზოგადო მოღვაწეთა „კეთილშობილებას“, როგორიცაა თ-დი ი.გ. ჭავჭავაძე და, მერე რამდენიც და როგორიც სურს, ისეთი მაგალითები მოიყვანოს ჩვენს ლიტერატურულ „არაკეთილსინდისიერებაზე“. მაშინ კი დარწმუნდება თ-დი ჭავჭავაძე, რომ ჩვენთან ბრძოლაში წვრილმანი ეშმაკობა და ინსინუაციები არ გამოდგება; ამისათვის ნამდვილი „ძალებია“ საჭირო. ჩანს, 1876 წელს მას მგრძნობელობა დაუჩლუნგდა. ჩვენ მზად ვართ აღვუდგინოთ იგი ფიზიკის კანონის უაღრესად ჯეროვანი მოშველიებით, რომლის თანახმადაც იმისათვის, რომ ყოველი ახალი დარტყმა საგრძნობი იყოს, წინას მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს სიძლიერით. თუ ამ კანონის შესახებ თ-დი ჭავჭავაძე „დროების“ სამეცნიერო მიმომხილველს შეეკითხება, შეიტყობს, რომ დარტყმის სიძლიერე 1/7 ნაწილით უნდა გაიზარდოს პირველთან შედარებით, რათა მისი შეგრძნება უფრო ძლიერი იყოს. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს მივაღწიოთ სწორედ ამ უკანასკნელ შედეგს, ამიტომ 1. 1/7 სიძლიერიდან პირდაპირ 1, 1/2-ზე გადავალთ. რადგან ბ-მა ჭავჭავაძემ ხმა ამოიღო ჩვენი ძალის სიდიდეზე, ალბათ, მისთვის დიდი პატივისცემა იქნება, თუ მასვე ვაქცევთ ჩვენი „ძალის საზომად“.

20. პირველი ნაბიჯი

თბილისი, 4 მარტი, 1880 წ.

უმაღლესი გამკარგულებელი კომისიის უფროსის პირველი ნაბიჯით გამოაშკარავებულია მთელი სისტემა, რომლის საშუალებითაც გრაფ. მ. ტ. ლორის-მელიქოვს განზრახული აქვს შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა: კაცობრიობის ისტორიაში ბოლო მოუღოს უმაგალითო მდგომარეობას. და არ შეიძლება არ აღიარო, რომ ეს ნაბიჯი, მიუხედავად თავმდაბლობისა, ბრწყინვალეა, ხოლო მის მიერ აღმოჩენილი სისტემა—ალბათ, მეტისმეტად ბედნიერ შედეგებს გვპირდება. „რუსეთის მშვიდობიანი განვითარების" მომხრე ყველა ადამიანისათვის ასეთი ხელსაყრელი დაგვირგვინება საქმისა უეჭველი ნუგეშია ხანგრძლივი მოდუნების შემდეგ...

აფეთქებამ ზამთრის სასახლეში წარმოუდგენლად გაამწვავა რუსეთის ისედაც დაძაბული საშინაო მდგომარეობა: ყველა მოუთმენლად ელოდა, რას გააკეთებდა მთავრობა, რა ღონისძიებებს მიმართავდა იგი. ყოველგვარი განსაკუთრებული ზომები, რისი მიღებაც კი შეიძლებოდა, მთავრობამ უკვე მიიღო დიდი ხნით ადრე, მაგრამ ყველა ეს ღონისძიება სუფთა პალიატური აღმოჩნდა, ამიტომ მიზანი მიუღწეველი დარჩა. შეიძლებოდა ამ ღონისძიების რამდენადმე უფრო მეტად გაძლიერება? ან იქნებ შესაძლებელი იყო ამ ბოროტების მოსასპობად რაიმე სხვა სისტემის გამოძებნა?—აი, კითხვები, რომლებიც ასე აეკვიატა რუსულ მინაზე მცხოვრებ ყველა მოაზროვნე ადამიანს.

უკვე დიდი ხანია შემჩნეულია, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეულ სახელმწიფო პოსტზე დასანიშნი კაცის შერჩევით სიმბოლურად ნათელი ხდება, რა გზა, რა სისტემა აირჩია მომავლისათვის მთავრობამ. ამის შედეგად და იმის გამო, რომ ერთსა და იმავე დროს პეტერბურგში თავი მოიყარა დროებითმა გენერალ-გუბერნატორმა, ძალაუნებურად ყველას ყურადღება შეჩერდა ბოროტებასთან ბრძოლის სრულიად სხვადასხვა სისტემის ორ წარმომადგენელზე... თითოეულ მათგანს ძალუძდა შესანიშნავი თანამიმდევრობით გაეტარებინა თავისი სისტემა...

ზამთრის სასახლეში აფეთქების შემდეგ ყველა გასაგები მღელვარებით ეკითხებოდა თავის თავს—ერთმანეთის საწინააღმდე-

გო სისტემის ამ ორი წარმომადგენლიდან რომელზე შეჩერდება უმაღლესი ხელისუფლება და რომელ მათგანს მიანდობს მეფე რუსეთის საშინაო პოლიტიკის წარმართვასო. ცნობილია, რომ მთელმა რუსეთმა თავისუფლად ამოისუნთქა, როცა ცნობილი გახდა არჩევანი. იგი შეჩერდა გრაფ. მ. ტ. ლორის-მელიქოვზე. თითქოს ყველას გულზე მოეშვა და იმედი ჩაესახა, რომ რუსეთი შეძლებდა ამ განსაცდელიდან თავის დაღწევას.

ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია გასროლა გრაფ ლორს-მელიქოვის მოსაკლავად. თუ ახლა რევოლუციონერები თავს ესხმიან გრაფ ლორის-მელიქოვს, ეს იმას ნიშნავს, რომ მის სისტემაში მათ დიდი საშიშროება იგრძნეს. მათი თვალსაზრისით, ეს სავსებით გასაგებია. არსებითად მათ ძალიან კარგად იციან, რომ მკაცრი პალიატიური ზომები მხოლოდ ზრდის მათ პრესტიჟს, აშორებს რა საზოგადოებას რევოლუციონერებთან ბრძოლისაგან. ფანატიკოსებისათვის მკაცრი ზომები იგივეა, რაც ცეცხლისათვის—ზეთი. მათთვის სულ სხვა საქმეა—საზოგადოებისაგან მათი იზოლირების გონიერი სისტემის შემუშავება, რაც გულისხმობს ამ საზოგადოების კანონიერ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. გრძნობენ რა ამ უკანასკნელ სისტემაში თავიანთი მნიშვნელობისა და ძალის შესუსტების უცილობელ ნიშანს, რევოლუციონერებს, გასაგებია, მთელი თავიანთი ბოლმა უნდა გადაეტანათ მათთვის დამღუპველი სისტემის თავმჯდომარის პიროვნებაზე. ეს მათ გააკეთეს კიდეც 20 თებერვალს...

მიუხედავად ამისა, გრაფი ლორის-მელიქოვი კვლავ თავისი გზით მიდის. მან პეტერბურგის სათათბიროს წინადადება მისცა აირჩიოს თავისი წრიდან 8 კაცი უმაღლესი განმკარგულებელი კომისიის წევრად. ეს წინადადება—მნიშვნელოვანი პრეცენდენტია ჩვენი საშინაო პოლიტიკის მომავალი მიმართულებისათვის. იგი მიუთითებს იმაზე, რომ გრაფმა მ. ტ. ლორის-მელიქოვმა მონახა სახელმწიფო ამოცანების გადაწყვეტაში საზოგადოების ჩაბმის გზა...

...ამ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლია მთელი რუსეთის პრესასთან ერთად, მიუხედავად მათი მიმართულებებისა, არ აღვნიშნოთ, რომ ამ პრეცენდენტს ვღებულობთ როგორც ჩვენი თანამედროვე ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას...

თავისთავად იგულისხმება, რომ აქ საქმე ეხება არა ჩვენს შეხედულებებს ან იმას, თუ რამდენად ვცნობთ თანდათანობითი ღონისძიებების სარგებლიანობას, არამედ უბრალოდ საჭიროა მომხდარი ფაქტის შეფასება. როგორადაც არ უნდა ვუყურებდეთ მომავალს, როგორი გულმოდგინებითაც არ უნდა ვისწრაფვოდეთ გადამწყვეტი ნაბიჯებისაკენ, მაინც არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ გადადგმული ნაბიჯი არაჩვეულებრივად საბედნიეროა.

უმაღლესი განმკარგულებელი კომისია, რომელსაც, როგორც ცნობილია, მხოლოდ სათათბირო ხმა აქვს, მხოლოდ რვა წევრის იმედზე ვერ დარჩება. ეჭვი გვეპარება, რომ გრაფი მ. ტ. ლორის-მელიქოვი, რომელიც ბოროტებას მხოლოდ პეტერბურგში კი არა, მთელ რუსეთის იმპერიაში ეძებს, გამოძებნის საშუალებებს, რომ კომისიის მუშაობაში ჩააბას რუსეთის სხვა ქალაქებისა და გუბერნიების საზოგადოებები.

რასაკვირველია, მთელი ჩვენი მსჯელობა შეიძლება უსაფუძვლო აღმოჩნდეს იმ შემთხვევაში, თუ გრაფ ლორის-მელიქოვის პირველი ნაბიჯის მნიშვნელობა არასწორად იქნება გაგებული და ასახული სატახტო ქალაქების გაზეთების მიერ. მაგრამ აქ საქმე ეხება არა ჩვენი მსჯელობის საფუძვლიანობასა თუ უსაფუძვლობას, არამედ იმ ფაქტის შეფასებას, რომელიც შემოგვთავაზა ცენტრალურმა პრესამ.

21. შკანასკნელი ქართული სპექტაკლი

(2 მარტი)

გუშინ არწრუნის თეატრში ქართულმა დასმა დაასრულა ზამთრის თეატრალური სეზონი ა. ცაგარლის კომედიით „რაც გინახავს, ველარ ნახავ". ჩვენ ამჟამად არ შევუდგებით ამ პიესის შეფასებას; იგი „ობზორმა"" პირველი წარმოდგენის დროს გაარჩია. მხოლოდ შევნიშნავთ, რომ ამჯერად შესრულება წინანდელზე უფრო კარგი და სრულყოფილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს სპექტაკლი დაიდგა თვით მსახიობების თაოსნობით, ყბადაღებული თეატრალური კომიტეტის ყოველგვარი ხელშეწყობის გარეშე, სპექტაკლმა ბრწყინვალედ ჩაიარა: სცენის მორთულობა, აქტიორთა კოსტუმები და გრიმი, ზუსტად ასევე როლების ცოდნა და თამაშის ხარისხი უზადო იყო, რაც აუდიტორიის დიდ მოწონებას იმსახურებდა.

რასაკვირველია, აქედან სრულიადაც არ უნდა გამოვიტანოთ ის დასკვნა, თითქოს ქართულ დასს შეუძლია გვერდი აუაროს კომიტეტს და ქართული თეატრის საქმე მხოლოდ საკუთარი ძალებით დააყენოს მყარ, საფუძვლიან ნიადაგზე. სრულიადაც არა. მაგრამ არც ის უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი დასის წარმატება, რომლითაც იგი დამსახურებულად სარგებლობდა მთელი ზამთრის სეზონის განმავლობაში, კომიტეტის დამსახურებაა. მიუხედავად ამისა, სწორედ დასის საჭიროებებისათვის კომიტეტის არსებული შემადგენლობის სარგებლიანობაში ეჭვის შეტანა გახდა შეფერხების თავდაპირველი მიზეზი, რამაც შემდეგ დასსა და კომიტეტს შორის შინა ომი და განხეთქილება გამოიწვია.

22. „ტიფლისსკი ვესტნიკი“

თბილისი, 6 მარტი, 1880 წ.

I

გუშინ გადმოვბეჭდეთ „ტიფლისსკი ვესტნიკის“[10] განცხადება იმის შესახებ, რომ ამ გაზეთის მეპაიეთა საერთო კრებამ აღარ აირჩია ახალი ადმინისტრატორი ნაცვლად ბატ. პიტოევისა, რომელმაც უარი განაცხადა გაზეთის საქმეების შემდგომ გაძღოლაზე, რითაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა გაზეთს. ამ განცხადების შესაბამისად დღეს „ტიფლისსკი ვესტნიკმა“ შეწყვიტა არსებობა.

მაგრამ დღეს ვწერთ გარდაცვლილი გაზეთის ლიტერატურულ ნეკროლოგს იმ მეტოქის გაბოროტებით, რომელიც თავისი განადგურებული მოწინააღმდეგის საფლავზე როკავს. ჩვენ იგი ხელს არ გვიშლიდა; მისი სიკვდილი არაფრით არ ამსუბუქებს და არც აუმჯობესებს ჩვენს მდგომარეობას. მას თავისი მკითხველი ჰყავდა, რომელსაც ჩვენ ვერ დავამშვიდებთ. მემკვიდრეობა მისი იმდენად სახარბიელო არაა, რომ ვინმემ გაიხაროს მისი სიკვდილით. აი, რატომ არ ვარიდებთ თავს ჩვენზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას—პატივი ვცეთ დაღუპულ თანამოკალმეს და მისი განვლილი ცხოვრებიდან გავითვალისწინოთ ის გაკვეთილები, რომლებიც გამოსადეგი იქნება პროვინციული ლიტერატურის სხვა ორგანოებისათვის.

„ტიფლისსკი ვესტნიკს“ აქვს თავისი ისტორია, რომელიც სავსეა ყველა სახის პერიპეტიებითა და ჭკუასასწავლი მოვლენებით. ჩვენი მხარის საზოგადოებრივი განვითარების საქმეს ოდესღაც მან მეტად მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია, რასაც ისტორია და ადგილობრივი რუსული ჟურნალისტიკა არასოდეს დაივიწყებს. მას სიამაყით შეუძლია გაიხსენოს თავისი წარსული, როცა მისი მეშვეობით ჩვენმა საზოგადოებამ არაერთი სერიოზული ნაბიჯი გადადგა წინ თავისი განვითარების გზაზე. ერთ დროს ამ გაზეთს თავისი განმასხვავებელი, სავსებით ორიგინალური და, ამასთანავე, არცთუ ისე ულაზათო ფიზიონომიაც კი ჰქონდა, რომელიც საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა. ბეჭდვითი სიტყვის ყველა ორგანოს როდი შეუძლია მიუთითოს თავის ასეთ ღირსებებზე, ეს კი ნათლად ადასტურებს, რომ შეწყვეტილი გამოცემის შესახებ ბევრი რამ არის სათქმელი.

„ტიფლისსკი ვესტნიკს“ როგორც ვთქვით, ჰქონდა თავისი ისტორია. აი, რამდენიმე სტრიქონი ამ ისტორიიდან: იგი 1873 წლის დასაწყისში დააარსა თავ. კ. ა. ბებუთოვმა; ამ ახალგაზრდა კაცს არ ჰქონია ლიტერატურული წარსული და ამ გამოცემით იგი პირველად წარუდგა მკითხველ საზოგადოებას. თავადი ბებუთოვი იყო მახვილი თვალის, გამბედავი და მკვირცხლი კაცი. იგი ფლობდა პროვინციული, ოღონდ „მამხილებელი“ მიმართულების გაზეთის გამომცემლის თითქმის ყველა აუცილებელ თვისებას. იგი აღიზარდა „ისკრასა“[25] და „რუსსკოე სლოვოზე“[26], იცნობდა „სოვრემენნიკსაც“[27], მაგრამ მისი ლიტერატურული განათლება ამაზე შორს არ მიდიოდა. მან უცხო ენებიც კი არ იცოდა, ამიტომ ევროპულ ლიტერატურულ საუნჯეთა დიდი ნაწილი მისთვის მიუწვდომელი დარჩა „ტიფლისსკი ვესტნიკის“ გამოცემის პირველი სამი წელი არცთუ განსაკუთრებით ბედნიერი ყოფილა.

ამ ხნის განმავლობაში გაზეთის ნომრები ივსებოდა ამონაჭრებით დედაქალაქის გაზეთებიდან და მხოლოდ იშვიათად თუ იბეჭდებოდა ძნელად მოსანელებელი კორესპონდენციები საქალაქო ცხოვრებაზე რედაქციის ასე თუ ისე გონებამახვილური და მკაცრი შენიშვნებით, რითაც განსაკუთრებით დაინტერესებულნი იყვნენ რედაქტორის ძმაკაცები და ნაცნობები. ზოგჯერ რედაქტორი ახერხებდა ადმინისტრაციული იერარქიის საკმაოდ მაღალ ჩინთა სასტიკად გაკრიტიკებას და მაშინ მისი შენიშვნები დიდ სენსაციას იწვევდა... მაგრამ ყველაფერი ეს მეტისმეტად კარჩაკეტილად ხდებოდა, მხოლოდ მკითხველთა უაღრესად განსაზღვრული წრისათვის; გაზეთი ეხებოდა მხოლოდ კერძო წვრილმანებს და არა საერთო ამოცანებს...

ასეთ შენიშვნებს, უდავოდ, რაღაც მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ უნდა იყოს ძირითადი და თითქმის ერთადერთი მხარე მთელი საქმისა. გასაგებია, რომ, მიუხედავად ადგილობრივი გაზეთის ასეთი „გაბედული“ სულისკვეთებისა, მან ვერ შეძლო დაემსახურებინა საყოველთაო სიმპათიები.

და მართლაც, მიუხედავად მსგავსი პატარ-პატარა შენიშვნების სიუხვისა, აგრეთვე ჩვენი ცნობილი ბულვარული ადამიანების —ადვოკატების, მევახშეების, მოიჯარადრეებისა და ა.შ. ენერგიული ლანძღვა-გინებისა, „ტიფლისსკი ვესტნიკმა“ თავი ვერ მო-

უყარა ვერც ხელისმომწერლებს და ვერც მკითხველებს, გამოცემის დაწყებისას მას 75-მდე ხელმომწერი ჰყავდა (უმთავრესად რედაქტორის ნათესავები და ნაცნობები), ხოლო გამოცემის მესამე წლისათვის (1875) ხელის მომწერთა რიცხვი 300-400 კაცს არ ასცილებია. საქმეში მედგარი თავ. ბებუთოვი არ შეუშინებია მისი გაზეთისადმი საზოგადოების ასეთ გულგრილ დამოკიდებულებას, ის მაინც სცემდა გაზეთს საკმაოდ აკურატულად და იშვიათად მიმართავდა ფორმულას—„შემდგომი ნომერი გამოვა ერთი კვირის შემდეგ". გაზეთის გამოცემაზე მან გაანიავა მთელი თავისი ქონება, ყელამდე ვალებითაც აივსო, მაგრამ გამოცემას მაინც აგრძელებდა იმ იმედით, რომ უკეთესი დღე დაუდგებოდა.

1875 წლის ბოლოსათვის გასაგები გახდა, რომ საქმის ამნაირად წარმართვა აშკარად შეუძლებელი იყო. მაშინ თავ. ბებუთოვმა თავის რედაქციაში სამუშაოდ მიიზიდა რამდენიმე ახალი თანამშრომელი, რომელთა შრომამ მართლაც დიდად გამოაცოცხლა გაზეთი.

გაზეთის გამოცოცხლების შესაბამისად დაუყოვნებლივ გაიზარდა საზოგადოების ინტერესი მის მიმართ, გაზეთით უეცრად დაინტერესდნენ, მის აზრებს ანგარიშს უწევდნენ, მისი გამოხმაურებით ხელმძღვანელობდნენ. „ტიფლისსკი ვესტნიკის" კითხვა მოდური და აუცილებელი გახდა. გაზეთის ასეთი გამოცოცხლებით გამხნევებულმა ადგილობრივ საზოგადოებაში გავლენის მქონე რამდენიმე პირმა გადაწყვიტა მხარი დაეჭირა რედაქციისათვის, რომლის მატერიალური უძლურება თბილისში არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა. შედგა „ნდობის ამხანაგობა", რომელმაც შეკრიბა 20.000 მანეთი. აქედან ნახევარი უნდა მოხმარებოდა გაზეთის ძველ ვალებს, მეორე ნახევარი კი—მოსალოდნელი დეფიციტის დაფარვას. თუ წინათ გაზეთი კვირაში სამჯერ გამოდიოდა, ამხანაგობის გადაწყვეტილებით იგი ყოველდღიურ გამოცემად უნდა გადაქცეულიყო.

ადგილობრივ საზოგადოებას ახსოვს განახლებულ „ტიფლისსკი ვესტნიკს"[1] რა წარმატებით მიჰყავდა საქმე და რა უდიდესი გავლენა მოიპოვა მან ჩვენს მხარეში. ადგილობრივი ხელისუფლება ყურადღებით უსმენდა მის ხმას, ხოლო საზოგადოებას კი მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდა. საზოგადოებრივი ცხოვრების არცთუ ისე ცოტა სერიოზული საკითხი იქნა დასმული დღის წეს-

რიგში და მათგან უმრავლესობა სწორედ „ტიფლისსკი ვესტნიკის“ მისწრაფებათა შესაბამისად გადაწყვეტილა. გაზეთის დასკვნები, რწმენა, თავისას აკეთებდა და ტყუილუბრალოდ არ იკარგებოდა.

მატერიალური წარმატება გამოიხატა იმით, რომ გაზეთი, რომელსაც 1875 წლის ბოლოს ოთხასზე მეტი ხელის მომწერი არ ჰყოლია, 1876 წლის მეორე ნახევარში 1600 ცალი იყიდებოდა, ხოლო 1877 წლის დასაწყისში სწრაფად გადააჭარბა ორი ათასს და ტირაჟი 3.200-მდე გაიზარდა.

შეიძლება გვითხრან, რომ, ჯერ ერთი, ეს იყო ომის დრო და, მეორეც, თავისი წარმატება „ტიფლისსკი ვესტნიკმა“ უნდა მიაწეროს 10.000 მანეთიან კაპიტალს, რომელიც შეიკრიბა 1875 წელს, მაგრამ ასე მსჯელობა იმათი საქმეა, რომლებიც საქმეს არ იცნობენ.

1877 წლის ბოლოს და 1878 წლის დასაწყისში ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა, მაგრამ „ტიფლისსკი ვესტნიკის“ ტირაჟი 3.200-დან 1.400-მდე თუ 1.500-მდე დაეცა. და თუ 1876 და 1877 წლებში ათი ათასი მანეთით შეიძლებოდა გაზეთის კარგად შენახვა, მაშ, რატომ ვერ მოხერხდა ეს 1878 წელს? აკი ამ წლის აპრილიდან დეკემბრის თვის ჩათვლით მისთვის 10.000 მანეთზე გაცილებით მეტი ახალი საწევრო შესატანი იქნა შეკრებილი? მეპაიეების მიერ 1878 და 1879 წლებში „ტიფლისსკი ვესტნიკის“ შესანახად შეკრებილი ყველა თანხა ხომ ორჯერ აღემატებოდა პირველად შეკრებილ თანხას. რატომ ვერ შეძლო ფულმა გაზეთის დახსნა მარცხისა და დაღუპვისაგან?

„ტიფლისსკი ვესტნიკის“ დაცემის ძირითადი მიზეზი მდგომარეობს ერთ უცვლელ კანონში, რომლის მნიშვნელობა ჩვენ განსაკუთრებით კარგად გვინდა განვუმარტოთ ჩვენს მკითხველებს. „ხელოვნება,—თქვა ერთხელ მიქელანჯელომ,—წარმოუდგენლად ეჭვიანია. მხოლოდ მას ერთს უნდა ეკუთვნოდე მთლიანად, სხვანაირად იგი თავის მადლს არ გინყალობებს“. იგივე შეიძლება ითქვას ლიტერატურაზეც. უნდა ვემსახუროთ მას ერთს—მთლიანად, თავდადებულად, იმისათვის, რათა ამ სამსახურმა კეთილი ნაყოფი გამოიღოს. ის მსახიობებიც კი, რომლებიც მთელი არსებით ერთგული არიან ხელოვნების ინტერესებისა და უცხო საქ-

მეში მხოლოდ დასაყრდენსა და მხარდაჭერას ეძებენ ძირითად საქმეში მეტი წარმატების მოსაპოვებლად, ბოლოს და ბოლოს რწმუნდებიან თავიანთი პოზიციის მცდარობაში. ამ სტრიქონების დამწერს ბევრი რამის თქმა შეეძლო თავისი პირადი გამოცდილებიდან ამ შენიშვნის ღრმა საფუძვლიანობის დასამტკიცებლად, მაგრამ საქმე ეს როდია. 1877 წლის გაზაფხულიდან მხოლოდ გამჭრიახი მკითხველისათვის, შემდეგ კი უკვე მთელი მკითხველი საზოგადოებისათვის ნათელი გახდა, რომ „ტიფლისსკი ვესტნიკს" ძალზე ცუდად ესმოდა მიქელანჯელოსეული კანონი.

II

თბილისი, 11 მარტი*.

ჩვენ შევჩერდით იმ აზრზე, რომ ლიტერატურული ორგანო ვალდებულია მთლიანად ემსახურებოდეს მხოლოდ წმინდა ლიტერატურულ მიზნებს, როგორც ცეცხლს, ისე უნდა ერიდებოდეს გარეშე ინტერესების სამსახურს. ვამტკიცებთ რა ამას, ცხადია, შორსა ვართ აზრისაგან, რომ ვაღიაროთ პრინციპი „ხელოვნება ხელოვნებისათვის", ყოველი სახის სერიოზული ლიტერატურის „ლიტერატურული მიზნებიდან" უმთავრესი ისაა, რომ მკითხველი საზოგადოება გახადო უკეთესი, კეთილი და უფრო ჭკვიანი, ვიდრე წინათ იყო და ამ გზით ხელი შეუწყო მისი მდგომარეობისა და ბედ-იღბლის გაუმჯობესებას. ასე ვხედავთ ლიტერატურის ამოცანასაც და მისი მოღვაწეობის პროგრამასაც.

იმ ქვეყნებში, სადაც ფართოდ არის განვითარებული საზოგადოებრივი ცხოვრება, სადაც უკვე არსებობენ ორგანიზებული პოლიტიკური პარტიები, ბეჭდვით სიტყვას შეუძლია შეასრულოს უმადური და შედარებით არამიმზიდველი როლი—გახდეს ამ პარტიების მისწრაფებათა და მაქინაციათა გამომსახველ ორგანოდ.

* ვაგრძელებთ რა ლიტერატურულ ნეკროლოგს „ტიფლისსკი ვესტნიკის" შესახებ, უნდა გამოვყოთ ერთი დიდი შეცდომა, რომელიც ჩვენს პირველ სტატიაში გაიპარა. 1875 წელს „ტიფლისსკი ვესტნიკის" ამხანაგობამ შეკრიბა არა 20.000 მანეთი, არამედ მხოლოდ 10.000 მანეთი და ამ უკანასკნელი თანხიდან საკუთრივ გაზეთის გასაძღოლად გამოყოფილი იქნა მხოლოდ 5.000 მანეთი. ეს შესწორება კიდევ უფრო კარგად ასაბუთებს ჩვენს აზრს. ორი წლის განმავლობაში—1876 და 1877 წლებში—გაზეთის საქმე ბრწყინვალედ მიდიოდა მხოლოდ ამ უმნიშვნელო თანხით, მაშინ, როცა შემდგომ ორ წელს (1878 და 1879 წლები) იმავე ამხანაგობის მიერ 10.000 მანეთის რაოდენობით აღმოჩენილმა დახმარებამ ვერ დაიხსნა გაზეთი დაცემისაგან, რადგან ვერ შეძლო მკითხველ საზოგადოებაში ადრინდელი ინტერესის თუნდაც მეასედი ნაწილის აღძვრა.

ასეთ ქვეყნებში გაზეთები და ჟურნალები, კარგავენ რა საგანმანათლებლო მუშაობის ფუნქციას, ხდებიან ამა თუ იმ პარტიის ადვოკატებად. იქ გაზეთი მით უფრო მოხერხებულად და ოსტატურად მიაფუჩეჩებს მისი პარტიისათვის არახელსაყრელ ვითარებებს და, პირიქით, უსასრულოდ ასახავს გამოსადეგ მოვლენათა მნიშვნელობას. ზუსტად ასეა ჩვენთან, რაც უფრო სასარგებლოდ და თავისი დანიშნულების შესაბამისად ითვლება, რაც უფრო მოხერხებული და გაქნილია ადვოკატი, მით უფრო სასარგებლოა ის კლიენტებისათვის; ამიტომ ეს უკანასკნელიც აფასებენ მათ და მომსახურებისათვის კარგად უხდიან ფულს. გაზეთებს საზღვარგარეთ აფასებენ და პატივს სცემენ პარტიისათვის მათი სარგებლიანობის შესაბამისად, მაგრამ, სამაგიეროდ, ეს გაზეთები პრეტენზიას აღარ აცხადებენ საგანმანათლებლო და სახელმძღვანელო მნიშვნელობაზე მკითხველი საზოგადოებისათვის. გაზეთი საზღვარგარეთ მოაზროვნე თავი კი არ არის, იგი ენაა, რომელიც გამოხატავს იმას, რაც მოფიქრებული და გადაწყვეტილია სხვა ხელმძღვანელების მიერ. ის მიმართავს არა გულუბრყვილო მკითხველებს, არა მათ საერთო მასას, არა მთელ საზოგადოებას, არამედ გარკვეულ წრეს დიდი ხნის წინათ შემოკრებილი ადამიანებისას, რომლებთაც სწამთ მისი პრინციპები; გაზეთის გამოცემა ხდება მტკიცე რწმენის ადამიანებისათვის და ამიტომაც ნიადაგ „ყურთამდე ღია კარებს ამტვრევს". რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ასეთ გაზეთს ყველა იმათთვის, ვინც არ ეკუთვნის მის პარტიას, ვინც მთლიანად არ იზიარებს მის პრინციპებსა და ინტერესებს? სრულიად არავითარი. არავის სჯერა მისი სიტყვებისა და განცხადებების გულწრფელობა და სიმართლე; ყველას ესმის, რომ ის დაინტერესებულია ჭეშმარიტების დაფარვაში, რომ ის ადვოკატობს, თვალთმაქცობს, ცრუობს. ამიტომ არავინ, გარდა საკუთარი პარტიის წევრებისა, ასეთ გაზეთს ხელშიაც კი არ აიღებს.

სულ სხვა მდგომარეობაა და გაზეთსაც სხვა მნიშვნელობა აქვს იმ ქვეყნებში, სადაც იგი მებრძოლ პარტიებზე მაღლა დგას და მათი ბრძოლების უმაღლეს არბიტრს წარმოადგენს; სხვა მნიშვნელობა აქვს გაზეთს ისეთ სახელმწიფოებში, როგორიც ჩვენია, სადაც ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული პოლიტიკური პარტიები

და სადაც ბეჭდვითი სიტყვა წმინდა საგანმანათლებლო მნიშვნელობისაა. აქ გაზეთი უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ ჭეშმარიტებას, მხოლოდ მკითხველთა განათლების საქმეს; ამიტომ მან უარი არ უნდა თქვას მრჩევლის, დამრიგებლის, განმანათლებლის, მოსამართლის როლზე, თვით დაუპატიჟებელი ადვოკატის როლზეც კი. ამასთანავე, საჭიროა შევნიშნოთ: რაც უფრო დიდი და გრანდიოზულია პარტიების ბრძოლებით აღძრული საკითხები და ინტერესები, მით უფრო საპატიოა ადვოკატის როლი მსგავს ბრძოლაში. მაგრამ, აბა, ერთი მიბრძანეთ, როგორ ზღაპრულად საბრძოლო უნდა იყოს და ასევე ზღაპრულად საძაგელი ადვოკატის როლი იმ ქვეყანაში, სადაც არ არის პოლიტიკური ცხოვრება და სადაც შეიმჩნევა მხოლოდ კერძო, წვრილმანი, პირადი შეტაკებები, რომლებიც უმეტესად არაფრად არა ღირს? შეიძლება გამართლება მოვუძებნოთ იმ გაზეთებს, რომლებიც ადვოკატობენ დიდ სახელმწიფოებრივ საკითხებში, ისეთ საკითხებში, რომლებიც წარმოიშობიან ინგლისში, გერმანიასა და საფრანგეთში. მაგრამ როგორ უნდა ვაპატიოთ ან გავამრავლოთ ის მწერალი ან ჟურნალისტი, რომელსაც არარაობამდე დაჰყავს ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობა, აქცევს რა მას დაინტერესებულ მხარედ ან ადვოკატად ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების არაფრისმთქმელი პატარ-პატარა საკითხების გადაჭრისა და ინტერესებისათვის ბრძოლაში?

„ტიფლისსკი ვესტნიკი“, მისდა საუბედუროდ, სწორედ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა. აღარ ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ იგი თავის გამოხმაურებებში ჩვენი ცხოვრების მორიგი მოვლენების შესახებ ხელმძღვანელობდა არა საერთო პრინციპებითა და მისწრაფებებით, არამედ—წინასწარ აკვიატებული დამოკიდებულებით პიროვნებებთან. აღარ ჩამოვთვლით სასიამოვნო პიროვნებებისადმი ხაზგასმული მიკერძოების, ხოლო უსიამოვნო ადამიანების მიმართ—აშკარა უსამართლო დამოკიდებულების ფაქტებს. ყველაფერი ეს წვრილმანია. არ შევეხებით, აგრეთვე, უფრო მნიშვნელოვან მომენტებსაც—სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას ცხოვრების ერთგვაროვანი მოვლენებისადმი ან ერთი და იმავე ხასიათის დაწესებულებებისადმი... ჩვენ გვსურს შეუდარებლად უფრო დიდ შეცდომებს შევეხოთ.

სურდა რა მკითხველ საზოგადოებაში თანაგრძნობა აღეძრა რომელიმე სიმპათიური საქმისადმი, „ტიფლისსკი ვესტნიკი“ სავსებით კარგავდა ამ საქმისადმი ობიექტური და სამართლიანი დამოკიდებულების უნარს. იგი მის შესახებ ლაპარაკს იწყებდა როგორც რეკლამისტი, რომელსაც ცამდე აჰყავს მისი კარგი თვისებები, და გულმოდგინედ მალავდა ყველა მის ნაკლოვანებასა და სუსტ მხარეს. ეს კიდეე ცოტაა. მან ეშმაკობაც კი დაიწყო მკითხველ საზოგადოებასთან—შეგნებულად ყალბად აშუქებდა რა სიუჟეტს. რასაკვირველია, გულუბრყვილო და უეშმაკო ადამიანები შეიძლება აჰყოლოდნენ ამ თამაშს, შეცდომა დაეშვათ, დაეჯერებინათ გაზეთისათვის. მაგრამ საზოგადოებაში მოიპოვებიან გამჭრიახი ადამიანებიც, რომლებიც თანდათანობით აუცილებლად გამოიცნობენ ამ თამაშს... არაფერი ისე არ აღელვებს ფხიზელ და დაინტერესებულ კაცს, როგორც იმის აღმოჩენა, რომ მასთან მზაკვრობდნენ, ატყუებდნენ, ვიღაცას უსამართლოდ ან მიკერძოებით ეპყრობოდნენ. თუ ერთხელ მაინც დამტკიცდა გაზეთის ასეთი მიკერძოება, მკითხველი საერთოდ ყოველგვარ ნდობას კარგავს მისადმი, თუნდაც ეჭვის შეტანის აღარავითარი საფუძველი აღარ ჰქონდეს. სწორედ ამგვარმა ვითარებამ დასცა თანდათანობით საზოგადოების თვალში „ტიფლისსკი ვესტნიკის“ ავტორიტეტი.

სავსებით ზედმეტად მიგვაჩნია, და ძალიანაც გაჭიანურდებოდა ყველა ის საკითხი და მოვლენა რომ ჩამოგვეთვალა, რომელთა მიმართაც „ტიფლისსკი ვესტნიკს“ ასეთი ტაქტიკა ჰქონდა აღებული. მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ: ჩვენ არ ვადანაშაულებთ „ტიფლისსკი ვესტნიკს“ უსინდისო საქციელში, არა, ამგვარი მცდარი ნაბიჯი მას შეეძლო გადაედგა იმ შემთხვევაშიც, თუ იფიქრებდა, რომ ამით სარგებლობას მოუტანდა საყვარელ საქმეს. ჩვენ აქ ვლაპარაკობთ არა გაზეთის მამოძრავებელი მოტივებისა და ხასიათის შესახებ,—არამედ—მხოლოდ შედეგებზე; ანგარებით ხდებოდა ეს თუ კეთილშობილური განზრახვით, —ამ საკითხს ჩვენ ვერ გადავწყვეტთ, მაგრამ „ტიფლისსკი ვესტნიკმა“ მკითხველ საზოგადოებას აღუძრა აზრი, რომ მას აქვს რაღაც ფარული მიზანი. მკითხველებში ამ აზრის გაჩენა ნიშნავს გაზეთის ზნეობრივი კრედიტის საბოლოო დაცემას.

იმის ნაცვლად, რომ „რაც შეიძლება სრულად აესახა თანამედროვე ცხოვრება“ და გონივრულად ეხელმძღვანელა მკითხველი საზოგადოებისათვის მისი განვითარების მომავალი ამოცანების გარკვევაში, „ტიფლისსკი ვესტნიკი“ სისტემატურად სდუმდა რედაქციისათვის უსიამოვნო მომენტებზე; სამაგიეროდ ცამდე აჰყავდა სასიამოვნო მხარეები. ადგილობრივ გამოცემათაგან ეს თვისება რომ მხოლოდ „ტიფლისსკი ვესტნიკს“ ახასიათებდეს, ამ საკითხზე ასე ვრცლად არ შევჩერდებოდით.

ჩვენ არაერთხელ მოგვეცა შესაძლებლობა შეგვენიშნა „ობზორში“[6], რომ, მაგალითად, ქართული გაზეთი „დროება“[1] ამავე გზას ადგას. აი, რატომ ჩავთვალეთ აუცილებლად გამოგვერკვია, რომ ეს გზა სიკეთემდე არ მიიყვანს არავის და მიგვეთითებინა იმაზეც, თუ რატომ ხდება ასე.

თავად ბებუთოვს ჰქონდა ჟურნალისტისათვის ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ღირსება: მას ჰქონდა ალღო, ამიტომ მალე შენიშნა, რომ ყალბი ტონი აიღო, რომ თვითონვე გადაიკეტა საზოგადოებისაკენ მიმავალი ნდობის გზა და ამ უკანასკნელმაც მტკიცედ შეაქცია ზურგი „ტიფლისსკი ვესტნიკს“. ამიტომ მანამდე შეძლო თავისი გაზეთიდან წასვლა, სანამ საზოგადოება მოახერხებდა თავის საკუთარ გრძნობებში გარკვევას. მისმა წასვლამ უფრო დააჩქარა უკვე მანამდე სასიკვდილოდ დაჭრილი გაზეთის დაცემა. მისი ნასვლის შემდეგ, როგორც ჩანს, გაზეთი ისეთი ადამიანების ხელში დარჩა, რომლებიც მომზადებულნი არ ყოფილან დამოუკიდებელი ჟურნალისტური მოღვაწეობისათვის.[28]

ქალაქში, სადაც არავინ გახსნის ლუდხანას, არავინ გამოაცხადებს თავს თერძად ან ზეინკლად ისე, თუ საამისოდ ხანგრძლივად და საფუძვლიანად არ მოემზადა, ცოტა ვინმეს მოეჩვენა უცნაურად, როცა ლიტერატორის როლს, რედაქტორის მოვალეობას ხელი მოჰკიდეს ისეთმა ადამიანებმა, რომელთა ლიტერატურასთან ნაცნობობა ამოიწურება საყავეებსა და ბულვარებში რამდენიმე ათეული ეფემერული ფურცლის ნაკითხვით. გაზეთი ერთ მთლიან მინიატურულ სახელმწიფოს წარმოადგენს. მისი გაძღოლისათვის აუცილებელია მრავალმხრივი, თითქმის ენციკლოპედური განათლება, რომ აღარაფერი ვთქვათ საჟურნალო მუშაობის წმინდა ტექნიკურ მომზადებაზე.

„ტიფლისსკი ვესტნიკის“ ხელმძღვანელობას კი ხელი მოჰკიდეს არა მარტო ამ მხრივ მოუმზადებედმა ადამიანებმა, არამედ ისეთმა პირებმა, რომელთაც არანაირად არ შეუძლიათ თუნდაც გავლენა მაინც მოახდინონ საზოგადოებაზე, გაზეთში, უბრალოდ, ჯანსაღი აზრის სიუხვით.

თავისთავად იგულისხმება, რომ ასეთ მდგომარეობაში გაზეთს შეცდომები შეცდომებზე უნდა დაეშვა, მარცხს მარცხი უნდა მოჰყოლოდა, რათა საბოლოო დაცემამდე მისულიყო და საზოგადოებასაც ისე გასციებოდა გული, რომ აღარავითარი მნიშვნელობა აღარ მიეცა, რას იტყოდა ან რას გააკეთებდა ასეთი გაზეთი.

ამ მდგომარეობაში რაც უფრო ფართოა გაზეთის მოღვაწეობა, რაც უფრო უხვია მისი საშუალებები, რაც უფრო მეტ საკითხზე უხდება მას აზრის გამოთქმა და რაც უფრო მეტი თავისუფლებით სარგებლობს, მით უფრო სწრაფად, უფრო გარკვევით ხდება ნათელი ყველასათვის მისი გონებრივი უმწეობა და მოუმზადებლობა, ე. ი. მით უფრო სწრაფად ხდება მისი დისკრედიტირება. აი, რატომაა, რომ „ტიფლისსკი ვესტნიკს“ ვერავითარმა ფულადმა სუბსიდიებმა ვერ უშველეს და არც შეეძლოთ, რომ ეშველათ.

23. საკრედიტო საქმეები

თბილისი, 7 მარტი.

„ობზორის“ 434-ე ნომერში მოვათავსეთ ბატ. მაკიევსკი-ზუბოკის სტატია კრედიტის მეტისმეტი სიძვირის შესახებ იმ პირებისათვის, რომელთაც არა აქვს ქონებრივი ცენზი, მიუხედავად ბანკებისა, ახლად გახსნილი საბანკო კანტორებისა, სათამასუქო დეპოების სიმრავლისა და ა. შ.

რედაქციისაგან დავამატეთ შენიშნვნა იმის შესახებ, რომ საბანკირო კანტორები მამულის გადარჩენას ვერ შეძლებენ, მაგრამ ამ მხრივ მაინც ვხედავთ დიდ პროგრესს, ვინაიდან ვადიანი სესხის საჯაროობისა და კანტორების სიუხვის გამო გაჭირვებულ და ღატაკ ადამიანებს მაინც შეუძლიათ ფულის მიღება სესხად შედარებით უკეთეს პირობებში,—სახელდობრ, 120%-ის ნაცვლად 30%-ის გადახდა მოუნევთ. ახლა ვეცდებით ჩვენი შენიშვნა ახალი დეტალური მასალებით შევავსოთ.

საერთოდ კაპიტალის ბრუნვა ნიშნავს მის ზრდას პროცენტებით მათემატიკის კანონების საფუძველზე, და, მაშასადამე, ამასთან ერთად მისთვის სხვა საქველმოქმედო და ჰუმანური ამოცანების გადაწყვეტის დავალება არცთუ მთლად სწორი იქნებოდა. ყველა ასეთი ამოცანა, რაც გულისხმობს ხელის შეწყობას ან უშუალო დახმარების გაწევას გაჭირვებული ადამიანებისათვის, უმრავლეს შემთხვევაში, წყდება ფულის დახარჯვით, ე. ი. კაპიტალის შეცირებით, რაც სხვა არაფერია, თუ არა კაპიტალის მატების დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოქმედება. ამიტომ სწორი არაა მოთხოვნა, რომ კერძო პირის მიერ საკუთარი კაპიტალის ვადიანი სესხით გაცემა სხვა რამ იყოს, თუ არა, გამსესხებლის ეგოისტური სურვილი—გამოიყენოს სხვისი შრომა საკუთარი კეთილდღეობის გადიდების მიზნით და ამიტომაც ფულის სესხება ანუ მევახშეობა, რა მსუბუქი და შესაწყნარებელი ფორმისაც არ უნდა იყოს იგი, ყოველთვის აიძულებს დებიტორს, იმუშაოს კრედიტორის სასარგებლოდ.

ეს მათემატიკური ფორმულებიდან გამომდინარე კანონია, რომლის მიხედვითაც გამოიანგარიშება რთული პროცენტები და, მაშასადამე, ცნობილია რა ეს კანონი და მისი უსულგულობა, საფუძველი არა გვაქვს ერთმანეთში ავურიოთ მევახშე და ქველ-

მოქმედი და პირველისაგან მოვითხოვოთ, რომ მან დაივიწყოს ძირითადი, საკუთარი გამდიდრების ეგოისტური მიზანი, რაც საფუძვლად უდევს მევახშეობას.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა: როდესაც საკუთარ ფულს სესხად აძლევ, უნდა უზრუნველყო დებიტორისათვის გასაცემი კაპიტალი და ის პროცენტები, რომელიც უნდა გადაიხადოს მან. ამას მივყავართ მეორე არანაკლებ უსულგულო კანონისაკენ: სახელდობრ, კრედიტი ეძლევა არა პიროვნებას, არამედ ქონებას; სულისა და გონების ყველა მშვენიერ თვისებას, რომელთა მეშვეობითაც ადამიანს შეუძლია ადამიანთა მთელი მოდგმის გაბედნიერება, კაპიკს მევახშისათვის ფასი არა აქვს, რადგან მას არ შეუძლია აუნაზღაუროს შესაძლო ზარალი. მან კაპიტალი ბრუნვაში უნდა გაუშვას ერთადერთი მიზნით—პროცენტების მეშვეობით ნამატი მიიღოს. სწორედ აქედან გამომდინარეობს ყველა ღარიბი ადამიანისათვის ის მძიმე კანონი, რომლის ძალითაც სულელი, უზნეო, მაგრამ მდიდარი ადამიანი ყოველთვის შეძლებს ვადიანი სესხისათვის გადაიხადოს ნაკლები პროცენტი, იოლად იშოვოს იმდენი ფული, რამდენსაც უზრუნველყოფს იგი თავისი ქონებრივი ცენზით მაშინ, როცა მაღალზნეობრივი და ყოველმხრივ განათლებული, მაგრამ ღარიბი საზოგადო მოღვაწე ვერ შოულობს სხვა კრედიტს, ახლო მეგობართა კრედიტის გარდა; ისინი კი ჩვეულებრივ ისეთივე ღარიბები არიან, როგორიც თვითონაა, ანდა, თუ იშოვის, ქველმოქმედთა დახმარებით. აქედან გამომდინარეობს კიდევ უფრო მძიმე კანონი ღარიბებისათვის: მისი ძალით, თუ მათ არ შეუძლიათ ქველმოქმედებით სარგებლობა ან არა ჰყავთ მძიმე განსაცდელის ჟამს ახლო მეგობრები, მაშინ იძულებული არიან კრედიტორისათვის მორცხვად მიმართონ მევახშეს, ფარისევლური და შესაბრალისი სიტყვებით შეეცადონ გული აუჩუყონ მას, რასაც, ჩვეულებრივ, შედეგად მოჰყვება ხოლმე მევახშის მიერ არაადამიანურად მაღალი პროცენტის დაწესება იმ მნიშვნელოვანი რისკის გამო, რასაც იგი ღატაკთან საქმის დაჭერით უქმნის თავის კაპიტალს, რომელიც განკუთვნილია ნამატის მოსაპოვებლად და არა გასანადგურებლად.

ყველაფერი ეს საძაგლობაა მორალური თვალსაზრისით; ყველაფერი ეს აფაშფოთებს სულს ადამიანისას, რომელიც ოცნებობს ამქვეყნად ადამიანთა ნეტარებაზე, მაგრამ ყოველივე ეს არსებობს

და იარსებებს როგორც უცილობელი, ზუსტი, უტყუარი მათემატიკური კანონი—სამუდამოდ ან მანამდე, სანამ იარსებებს თვით კაპიტალი და სანამ იგი არ შეიცვლება საკაცობრიო პროგრესის რაიმე სხვა იარაღით. მდიდრები ყოველთვის ცოტანი იყვნენ, ხოლო ღარიბები შეუდარებლად უფრო ბევრნი. ღარიბი ყოველთვის ძნელად იშოვის საარსებო საშუალებებს, ვინაიდან საამისოდ იგი ფიზიკურ და გონებრივ ძალებს ხარჯავს; მათი დღიური შრომა შეფასებულია მეტად დაბალი ხელფასით, რაც წარმოადგენს კიდეც ღარიბი კაცის ძირითად და ერთადერთ საბრუნავ კაპიტალს.

ყოველთვის ასე იყო და ასეც იქნება, რომ ღარიბების მიერ დღიური მუშაობით მიღებული ორი-სამი მანეთი ან 20-30 კაპიკი (იმ პროცენტების გამოკლებით, რასაც მევახშეს უხდიან კრედიტისათვის, თუკი სესხით სარგებლობდნენ, და ვაჭრებს—საქონლის გაყიდვის საკომისიოდ) განკუთვნილია გამოსაკვებად და არ შეადგენს დანაზოგს, რაც ასე ბუნებრივია კაპტალისტისათვის, რომელმაც ბრუნვაში მოაქცია ათასები და ახლა უშრომლად ღებულობს ყოველდღიურად, პროცენტების სახით, ათეულ და ასეულ მანეთს.

რა უმნიშვნელოც არ უნდა იყოს ის პროცენტი, რომელსაც ღარიბი იხდის თავისი ღარიბული ხელფასიდან, ამ მცირე პროცენტული გადასახადების ჯამია სწორედ ის ათეულობით ათასი მანეთი, რასაც მდიდარი ხალხი ანიავებს განცხრომასა და გარყვნილებაში.

ეკონომიკურ მეცნიერებასა და სტატისტიკას ჯერ კიდევ არ მიუღწევია ისეთი სრულყოფილებისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ღარიბების გადასახადებიდან და მდიდრების მფლანგველობიდან საერთო ბალანსის შედგენა, მაგრამ იმ საერთო კანონების მეშვეობით, რომელთა ძალითაც ბუნებაში არაფერი იკარგება და არაფრისაგან არ შეიძლება რაიმეს წარმოქმნა,—ყველასათვის ნათელია მათემატიკურად მტკიცებადი ჭეშმარიტება, რომ სიმდიდრეს მხოლოდ სიღარიბის ანგარიშზე შეუძლია არსებობა, თუმცა, ალბათ, პირიქით უნდა ყოფილიყო. ერთი შეხედვით, როცა გარშემო მყოფთ ვუყურებთ, თითქოს სიმდიდრე ამსუბუქებს ღარიბი ხალხის გაჭირვებას და ქველმოქმედების მეშვეობით, შეძლებისდაგვარად, სპობს მშრომელი კლასის სიღატაკეს.

ქველმოქმედებას არ გააჩნია შემოქმედებითი ძალა, იგი მხოლოდ შრომის თვისებაა; ამიტომ ყოველგვარი ქველმოქმედება მხოლოდ და მხოლოდ ნიღბავს სინამდვილეს, აკმაყოფილებს რა ხალხის სიღატაკის ყველაზე აშკარა გამოვლინებებს. ამ უბედურებიდან ხალხის დასახსნელად მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს: ჯერ შრომა ისწავლოს და მერე შესაძლებლობა მიეცეს, იშრომოს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კრედიტი წარმატების საფუძველია, მაგრამ უცნაური იქნებოდა გვეფიქრა, რომ ხალხის ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება მევახშეებსა და სპეკულანტურ ბანკებს შეეძლოთ.

როგორც ერთის, ისე მეორის ძირითადი მიზანია—გამდიდრება კაპიტალის მფლობელთა ან აქციონერთა, რომელთაც დაბანდებული აქვთ ძირითადი კაპიტალი, ხოლო გამდიდრება არ შეიძლება მიღწეული იქნეს დებიტორების მიერ შეტანილი პროცენტების გარეშე, ე. ი. გამდიდრება ხდება მშრომელი მოსახლეობის ხელფასის ანგარიშზე.

ურთიერთკრედიტი და მასზე დაფუძნებული წვრილი გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობანი, რომელთა მოსახლეობაში (ქალაქად და სოფლად) გავრცელებისათვის ასე ზრუნავს მთავრობა, წარმოადგენენ, რასაკვირველია, აქამდე ცნობილ კრედიტის საუკეთესო ფორმას ღარიბი, გაჭირვებული კლასისათვის.

ამ საკრედიტო დაწესებულებათა ძირითადი პრინციპია კაპიტალით სარგებლობის პროცენტების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა, ვინაიდან კაპიტალის ბრუნვიდან ყველა მოგება მიმართულია მსესხებელთა სარგებლობისაკენ. და თუ, სამწუხაროდ, ჩვენი მსხვილი საკრედიტო დაწესებულებანი, აქამდე ურთიერთკრედიტზე დაფუძნებული, თავის ოპერაციებსა და მოქმედებაში სრულიადაც არ დგანან სპეკულანტურ საკრედიტო დაწესებულებებზე მაღლა და უშვებენ ისეთ „მოვლენებს", როგორიცაა იუხანცევი, ამაში ბრალი მიუძღვის მთლიანად თვით ჩვენს საზოგადოებას, რომელმაც თანდათანობით ისწავლა ლამაზად ლაპარაკი ხალხის სამსახურისა და საზოგადოებრივი ინტერესების შესახებ, მაგრამ თვით ეს სამსახური კარგად ჯერ არ არის შესწავლილი, რისი შედეგიცაა ყველა ჩვენებული საბანკო უმსგავსოებანი, რომელთა შესახებაც ყოველდღიურად წერენ ჩვენი გაზეთები.

24. ჩვენი კავშირები ევროპაში

თბილისი, 15 მარტი, 1880 წ.

ერთ დროს ევროპა დაყოფილი იყო ერთნაირი ეროვნების მრავალ სახელმწიფოდ, რომლებიც სხვადასხვა სიდიდისა და წესწყობილებისა იყვნენ. ეს გარემოება სხვა ეროვნების მეზობლებს საშუალებას აძლევდათ ჩარეულიყვნენ სხვის საქმეებში და ყოველთვის ეპოვათ ხელის შემწყობნი და მოკავშირეები იმ ხალხში, რომელთა წინააღმდეგაც ამხედრებულიყვნენ უცხო ქვეყნის ძალები. ამ მხრივ განსაკუთრებით უბედური იყო იტალია თავისი აურაცხელი რესპუბლიკებითა და სამეფოებით, მაგრამ ასეთივე ბოროტება ნაწილობრივ არსებობდა საფრანგეთშიც და უფრო მეტად კი გერმანიაში; მისი იმპერატორები იყვნენ ჰაბსბურგები, რომლებმაც გერმანიის იმპერიას ბევრი სლავი, მადიარი და იტალიელი შემატეს. ახლა ყველა მთავარი ევროპული ეროვნება გაერთიანდა ცალკეულ სახელმწიფოდ, ავსტრიის გამოკლებით, სადაც კვლავ ეროვნებათა სიჭრელეა; ეს სიჭრელე უფრო მოიმატებს ბოსნიისა და ჰერცეგოვინის შეერთებით და კონსტანტინოპოლის მიმართულებით ავსტრია-უნგრეთის შემდგომი გაფართოების შედეგად.

ცნობილმა მაკიაველიმ, მოესწრო რა მრავალი მბრძანებლის მიერ იტალიის დაქუცმაცებით გამოწვეულ უბედურებას, ამ ეპოქის აღწერის გარდა, დაგვიტოვა პოლიტიკური დოქტრინაც —ღრმად მოფიქრებული კვინტენსენცია პოლიტიკური სიბრძნისა, მაგრამ მაინც ცალმხრივი, რომელიც მან შეიმუშავა მისი თანამედროვე ევროპის საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობის გავლენით. მას შემდეგ ევროპის სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მდგომარეობა სავსებით გამოიცვალა: ნაცვლად მრავალრიცხოვანი სუსტი მბრძანებლებისა, რომლებიც თავიანთი სახელმწიფოების ძალმოსილების შექმნას ცდილობდნენ დაქირავებული ჯარებით, უფრო გულმართალი მეზობლების დიპლომატიური მოტყუებით და ძლიერ სახელმწიფოებთან სასარგებლო კავშირით, დღეს ევროპის ხალხები ეროვნებათა მიხედვით დაჯგუფდნენ, შექმნეს სულ რამდენიმე სახელმწიფო, ოღონდ მეტად ძლიერი მთავრობებით, რომელთაც არ ესაჭიროებათ, როგორც ეს მაკიაველის ეპოქაში იყო, უცხო ადამიანების დაქირავება საშინაო წეს-

რიგის დასაცავად და თავისი ხალხის დასამორჩილებლად. ევროპის თანამედროვე სახელმწიფოებს თავიანთ განკარგულებაში ჰყავთ სახალხო არმიები, რომელნიც აღფრთოვანებული არიან წმინდა მოვალეობის შეგნებით—დაიცვან სამშობლოს უსაფრთხოება და სიმშვიდე; მათ ჰყავთ სახალხო ნარმომადგენლობანი, რომელნიც განიხილავენ ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიური ცხოვრების, სახელმწიფოს ყველა საშინაო და საგარეო მოთხოვნილებების ხარჯებთან დაკავშირებულ რთულ საკითხებს, ერთი სიტყვით, მთავრობებს სულ სხვა დამოკიდებულება აქვთ თავიანთ ხალხთან, ქვეყნის შეიარაღებულ ძალებთან და მის ეკონომიურ ცხოვრებასთან,—ამიტომაც ყოველგვარი დამოკიდებულება სხვათა კავშირებთან თუ საკუთარ მოკავშირეებთან, ბუნებრივია, სხვანაირი უნდა იყოს, ვიდრე ეს მაკიაველის დროს იყო.

ახლა ყველანი დარწმუნდნენ, და ეს ყოველდღიურად მეორდება ჩვენს პრესაში, რომ ყველაზე სანდო და აუცილებელია მთავრობისა და ხალხის კავშირი, ვინაიდან მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მშვიდად იქნას დაძლეული საშინაო გასაჭირი, ხოლო, საგარეო საფრთხის დროს, მთელი სახელმწიფო ერთ მუშტად შეიკრას მტრის მოსაგერიებლად. მიუხედავად ამისა, მაკიაველი ჯერ კიდევ ითვლება ევროპელი დიპლომატების მასწავლებლად და მისი მოძღვრება გამოყენებულია ყველა პოლიტიკური კომბინაციისა და პროექტის საფუძვლად.

აქედან, ბუნებრივია, რომ შეხედულებანი, მისწრაფებანი და მოლოდინი თანამედროვე დიპლომატებისა ხშირად შორდებიან სინამდვილეს და ნავარაუდევთან შედარებით სულ სხვა შედეგებს იმკიან.

მაკიაველის მოძღვრების მიხედვით, მოკავშირე შესაძლებელია მხოლოდ ის სახელმწიფო იყოს, რომელიც მეზობლად არ იმყოფება და ამდენად რომლის ინტერესებიც უშუალოდ არ დაუპირისპირდება ჩვენსას. მეზობლის კი ყოველთვის უნდა გვეშინოდეს და არ უნდა მივცეთ საშუალება ახლოდან გაეცნოს ჩვენს საშინაო საქმეებსა და წესებს. აქედან გამომდინარე, ევროპაში ჩვენი მოკავშირეობა შეეძლო ინგლისს, საფრანგეთს, ესპანეთსა და იტალიას; მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ ხდება. ესპანეთის შესახებ ვიტყვით: მას ჯერ კიდევ თავი ვერ გაურთმევია საშინაო პოლიტიკური მაუწყებლობისა და საგარეო წარუმატებლობისათ-

ვის და ამიტომაც მნიშვნელოვან როლს არ ასრულებს ევროპაში. იტალია იძულებული გახდა საღვთო კავშირით, დიპლომატიის ამ შესანიშნავი გამონაგონით, რომელმაც ნაპოლეონ პირველის დაცემის შემდეგ საფუძვლიანად არივ-დარია ევროპულ სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულება,—მიმხრობოდა საფრანგეთს და ჩაბმულიყო რუსეთთან ომში, ხოლო სევასტოპოლის კედლებთან სათავე დაედო ძლიერი ევროპული სახელმწიფოსათვის, რომელიც შედგებოდა ორი წინანდელი სამეფოსა და მრავალი დამოუკიდებელი საჰერცოგოებისა და სამფლობელოებისაგან.

იტალიის ინტერესები ჩვენსას არ უპირისპირდება, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენ გვაქვს მასთან ძალიან ცოტა საერთო მიზნები და პოლიტიკური ამოცანები, თუმცა მეზობლებთან ომის დროს იტალიასთან კავშირს შეეძლო ჩვენთვის სარგებლობის მოტანა, თუ ჩვენს მეზობლებს, რომელთაც ბევრი საერთო ამოცანა აქვთ, არ ექნებოდათ იტალიასთან დაკავშირების ჩვენზე მეტი შანსები. საფრანგეთი დიდი ხანია სარგებლობს რუსი ხალხის სიმპათიებით. მისი გამდიდრება და ძლიერების განვითარება არავითარ შემთხვევაში არ მოგვიტანს ზიანს, ვინაიდან კოლონიზაციისათვის საფრანგეთმა აირჩია აფრიკის ჩრდილოეთი, სადაც ჩვენ არა გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს არავითარი პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები და სადაც, ამ მიზეზის გამო, არასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს ჩვენი კოლონისტები ან ჩვენი ჯარები. აფრიკული მიწებისა და სახელმწიფოების დაუფლებასა და ექსპლუატაციაში საფრანგეთის მოქიშპე ინგლისია, რომელიც უკვე დაეუფლა ვეებერთელა მიწებს აფრიკის სამხრეთით, დასავლეთითა და აღმოსავლეთით და, მაშასადამე, საფრანგეთი ბუნებრივად ხდება ჩვენს მოკავშირედ ომის შემთხვევაში არა მარტო გერმანიასთან, არამედ ინგლისთანაც. თუმცა ინგილისი არა მარტო თავისი გეოგრაფიული მდგომარეობის გამო უნდა ყოფილიყო ჩვენი მეგობარი, არამედ თავისი სავაჭრო-ეკონომიური მოთხოვნილების გამოც (იგი ჩვენგან ყიდულობს ნედლეულს და ყიდის ფაბრიკატების უდიდეს რაოდენობას), მაგრამ იგი მაინც აშკარად მტრობს რუსეთს. მას საამისო მიზეზებიც აქვს, ვინაიდან რუსეთის ვაჭრობა, და შესაძლებელი მომავალი კონკურენცია, საფრთხეს უქმნის ინგლისის საუკეთესო სამფლობელოებს აზიის სამხრეთ ნაწილში და ხმელთაშუა ზღვის აუზის ნაპირებთან;

ამიტომ ინგლისი იძულებული ხდება შეუძლებელი იღონოს რუსეთის შეტევითი მოძრაობის, მისი პროგრესული განვითარებისა და საშინაო კეთილდღეობის შესაჩერებლად. ომები, ომები და ომები ვისთანაც გნებავთ და რაზედაც გნებავთ,—აი, რა მოუტანა ინგლისმა რუსეთს წარსულში და რა უნდა მოუტანოს მომავალში.

ჩვენი იმედები ინგლისთან დამოკიდებულების გაუმჯობესებაზე, მასთან კავშირზე ჰუმანურობის მაღალი იდეებისა და ურთიერთინტერესების სახელით სრულიად გაქარწყლდა ლორდი ბიკონსფილდის პოლიტიკით. კიდეც რომ შეიცვალოს რუსეთისადმი მტრულად განწყობილი ეს მოღვაწე, შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ამით არსებითად არაფერი შეიცვლება, ვინაიდან ინგლისის საგარეო პოლიტიკის წარმმართველები აზროვნებენ მხოლოდ ინგლისელი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, ინგლისის წარმატების საქმისათვის და არ იხელმძღვანელებენ არავითარი სხვა გრძნობებით.

ამრიგად, ევროპის სახელმწიფოებიდან, რომლებიც მაკიაველის მოძღვრებით, შეიძლება ყოფილიყვნენ ჩვენთვის საიმედო მოკავშირენი, არც ერთი მათგანი არ გამოდგება საამისოდ და, ამიტომაც რუსეთს მხოლოდ საკუთარი ძალების იმედი უნდა ჰქონდეს.

ამ შემთხვევაში კი საგარეო პოლიტიკის საუკეთესო სისტემა იქნებოდა არა მოკავშირეთა გამოძებნა და მათთან კავშირის დადება, არამედ საშინაო სანარმოო ძალთა განვითარებაზე ზრუნვა.

25. საკვირაო საუბრები

ყალბი ფულის მჭრელები,—კვირის გმირები.—სენაქერიმ არწრუნი.—ნამდვილი ფალსიფიკატორები.—სასახლეები და მათი სიმდიდრე. მათი წარმატება.—მათი შეხედულება პასუხისგებაში მიცემულ წვრილფეხობაზე. —ბრალდებულთა წარმოსახვითი სიტყვა,—ყალბი ფალსიფიკატორი.—საგამომძიებლო ნაწილის სისუსტე.—გამოძიების სიმტკიცის ნაკლებობა. —მძიმე დამნაშავენი თავს აღწევენ, წვრილფეხობას აპატიმრებენ.

„ობზორში“ უკვე საკმაოდ ბევრი დაიწერა და, ვფიქრობ, კიდევ მეტი დაიწერება ყალბი ფულის მჭრელების პროცესის შესახებ, მაგრამ რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ ამ მრავალმხრივი „საკვირაო საკითხის“ შესახებ, მისი ამოწურვა შეუძლებელია, მაინც დარჩება გაშუქების ღირსი სხვა მხარეებიც.

ვეცდები, დღეს ზოგიერთ მათგანს მაინც შევეხო.

ბრალდებულთა ერთ-ერთი დამცველის, ნაფიცი ვექილის სენაქერიმ არწრუნის უხვსიტყვაობიდან არაფერი სწვდებოდა არც მისი კლიენტების, არც საზოგადოების და არც, განსაკუთრებით, მსაჯულთა გულებს, მაგრამ ისე, რომ თვითონაც არ ფიქრობდა, უნებლიეთ წამოცდა ის „სხარტი სიტყვა“, რომელიც ერთი შტრიხით ასურათებს საქმის მთელ არსს და ანიჭებს მას სათანადო კოლორიტს. ჩანს, რომ ეს სიტყვა მართლაც უნებლიეთ „წამოცდა მის ენას“ და სწორედ ამიტომ აქვს მას ძალა და მარილი...

ილაპარაკა რა 46 ბრალდებულის შესახებ, რომლებმაც ერთობლივად „იშრომეს“ ყალბი საკრედიტო ქაღალდების ფაბრიკაციისა და ექსპედიციისათვის, ბატ. არწრუნმა მას „ბრბო“ უწოდა და არა ბანდა, როგორც ეს საბრალდებო აქტშია მოხსენებული.

ეს აზრი რომ გამოეთქვა პატივცემულ ა.ვ. სტეპანოვს ან სხვა რომელიმე დამცველს, მე თამამად დავდებდი არქიმანდრიტ ბადალიანცის თავს მოსაჭრელად, რომ მასში უნდა გვეძებნა რაღაც ღრმა აზრი და უბოროტესი წინასწარგანზრახულობა. მაგრამ არწრუნს ეს სიტყვა მხოლოდ და მხოლოდ წამოცდა. ის ხომ შორსაა ჩვენი ცხოვრების სამწუხარო მოვლენების „განზოგადებისაგან“. ის მიჩვეულია, თვით ისეთ შემთხვევაშიაც კი, რომლებიც მუდმივად მეორდებიან, დაინახოს მხოლოდ შემთხვევითი კაზუსები და მეტი არაფერი.

მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს მდგომარეობა, სიტყვა „ბრბო“ მაინც წარმოთქმულია. დიდება სენაქერიმ არწრუნს!..

„ბრბო“... და მართლაც, განა ბრბო არ არის?

ბატონებო, ყურადღება არ მიაქციოთ შემთხვევის მაცდუნებელ მხარეს, მიპყევით კუზმა პრუტკოვის [29] გონიერ რჩევას და „საქმეში ღრმად ჩაიხედეთ“. მერე რა, რომ შეიკრიბა 46 ან 466 ნვრილფეხა მტაცებელი, რომ მათ შეიძინეს ლითოგრაფიული და საგრავიურო წნეხები, ამოჭრეს სპილენძის დაფები, დაბეჭდეს საკრედიტო ქაღალდები და ბრუნვაშიაც კი გაუშვეს... ყველაფერი ეს გარეგნულად მაცთუნებელი მხარეა და მეტი არაფერი. საქმის არსი ისაა__თუ რას მიაღწიეს მათ? ადამიანზე საჭიროა იმსჯელო არა მისი განზრახვისა და მისწრაფების მიხედვით, არამედ__შედეგებით, მაგრამ სადაა ეს შედეგები?..

ისე უნიჭოდ გაასაღო ორი ასეული ყალბი საკრედიტო ბილეთი, რომ უკანვე დაგიბრუნდეს გამსაღებელს, გაანიავო ათი ათასი მანეთი იმისათვის, რომ ითაღლითო არცთუ დიდ თანხაზე, მთელი ორი-სამი წელი დაკარგო ზებუნებრივ შრომასა და საზიზღარ ხრიკებზე და, ბოლოს და ბოლოს თავი ამოჰყო საბრალდებო სკამზე? შეიძლება ამაზე მეტი უმწეობის წარმოდგენა? აბა, როგორ არ ვუწოდოთ „ბრბო“, სულელური და უბადრუკი ბრბო ასეთ ვიგინდარა, არამზადა ფალსიფიკატორებს!

სულ სხვაა ნამდვილი, მოხერხებული, ყოვლისშემძლე და მოუხელთებელი ბანდა, რომლის „შრომის“ შედეგები დიამეტრალურად საპირისპიროა და შეუძლია ისეთი „პატივისცემა“ აღგვიძრას გულში, რომ აუცილებლად ვუწოდებდით მას „ბრწყინვალე ბანდას“.

გინდათ ჩემთან ერთად, გაეცნოთ ამ შედეგებს?

მე თქვენ წაგიყვანდით თბილისის ქუჩებში და გიჩვენებდით სასახლეებს. გარედან__კარიატიდი, ტერასები, სარკიანი ფანჯრები, ბრწყინვალება, დახვეწილობა, ფუფუნება... შიგნიდან__ბრინჯაო, გვერდები პარკეტი და კვლავ ბრწყინვალება, დახვეწილი ფუფუნება... ასეული ათასების სურნელებაა ჰაერში... კიდევ მიდიხართ, ისევ სასახლე__მრავალსართულიანი, ვრცელი, ფასდაუდებელი და ისევ ათეული და ასეული ათასების სურნელება ჰაერში. შემდეგ ბაღები, სამრეწველო მაღაზიები, ნახავთ სახელმწიფოს მიერ გარანტირებული პროცენტიანი ქაღალდების მთელ გროვებს, აქციების დასტებს, ობლიგაციებსა და ნაღდ ფულს...

დამიჯერეთ, მკითხველო, რომ დიდი ნაწილი ამ სასახლეებისა, მაღაზიებისა, პროცენტიანი ქაღალდებისა და ნაღდი ფულისა სხვა არა არის რა, თუ არა ყალბი ასიგნაციების პროდუქტი... ეს კარიატიდები და სარკეები, ეს ბრინჯაო და ფუფუნება, ეს ხავერდი და პარკეტი—თავისი წარმოშობით დავალებულია იმავე ყალბი ასიგნაციებისაგან, რომლებიც მოხერხებულად და ოსტატურადაა დაბანდებული მიმოქცევაში...

მთელმა ქალაქმა იცის ამის შესახებ, იცის, ვინ რამდენი ასიგნაცია გაასაღა და სახელდობრ სად და როდის,—იცის, ვინ რამდენი მოგება მიიღო და რამდენად წარმატებით მოახდინა მისი კონსოლიდება. ეს ცოტაა... ისიც იცის, ვინც ახლა უარს არ იტყოდა ძველის გახსენებაზე, თუ ამის შემთხვევა მიეცემოდა და საშიშიც არ იქნებოდა... და სასახლეები მაინც დგანან, ბრწყინავენ სინათლით, ფუფუნებით. მათი მფლობელნი კი ჩვენს შორის დასეირნობენ, გარემოცულნი დიდებით, ყველასაგან „პატივცემულნი", ყველას შურს მათი...

ამ დღეებში სასამართლოს სხდომათა დარბაზში მე შევამჩნიე იმათგან ორი-სამი, რასაკვირველია, ხალხში და არა საბრალდებო სკამზე. მე დიდი სიამოვნებით მივცემდი ჩემს საკვირაო საუბრებს, წინანდელსა და მომავალსაც მას, ვინც დამეხმარებოდა დამეხატა ზეთის საღებავებით, შთამომავლობის გასაკვირად, ამ ბატონების სახეების გამომეტყველება იმ მომენტში, როცა ისინი ბრალდებულთ უყურებდნენ! ასეთ მზერას, ასეთ გამომეტყველებას ვერ დახატავდნენ ტიციანი და რემბრანდტი. აქ იყო ყველაფერი: საცოდავი მიმბაძველებისადმი ზიზღი იცვლებოდა მასწავლებლის ამაყი თვითკმაყოფილებით; დაცინვა მოჰყვებოდა ზეცისადმი შენირულ მადლობას... მათ სახეებზე რიგრიგობით ხან გამარჯვების ზეიმი გამოიხატებოდა და ხან—საცოდავი შიში უკვე განვლილი საფრთხისა. ნეტავი ჩაგვეხედა მაშინ მათ სულში!..

მე არ ვიცი, რას გრძნობდნენ და რას ფიქრობდნენ ეს ვართანოვები, კარაევები, ჯანიბეკოვები და ძმანნი მათნი. მაგრამ საჭირო არაა იყო გულთამხილველი იმისათვის, რათა მოიფიქრო, რომ ისინი ჰგავდნენ ფინანსისტებს, რომლებმაც ყალბი ასიგნაციები სასახლეებად აქციეს... მათ ადგილზე, მე ბატ. არწრუნის მსგავს დამცველებს ნებას არ მივცემდი დაექანცათ მოსამართლენი და საზოგადოება უმიზნო და უაზრო წვრილმანებზე დაუსრულებელი

დავით; პირდაპირ მივმართავდი სასამართლოს და, მივუთითებდი რა ფალსიფიკატორებზე, რომლებიც სარგებლობენ სახელითა და პატივისცემით, ვიტყოდი შემდეგს:

ბატონო მოსამართლენო! ამ ბატონების წარმატებამ მიგვიყვანა ჩვენ დანაშაულებრივ აზრამდე, რამაც დაგვსვა კიდეც ბრალდებულთა სკამზე. ჩვენ ჩავცვივდით და, რასაკვირველია, გაგვსრესენ. მაგრამ, თუ, ბევრ სხვათა მსგავსად, საკუთარი ხელებით ჯაფის გაწევის ნაცვლად ლონდონში ვიყიდდით მხატვრულად გაფორმებულ ყალბ საკრედიტო ქაღალდებს და საბაჟოს საშუალებით დაინტერესებული პროტექტორების სახელზე გამოვინერდით მას იმის სანაცვლოდ, რომ გაგვესაღებინა ასიგნაციები ბულვარზე, ხელფასის სახით დავურიგებდით შარაგზებზე მომუშავე მუშებს, დღეს აქ კი არ ვიქნებოდით, არამედ თეატრში, პატივისცემით გარემოცულნი...

უნდა ვიფიქროთ, რომ ბრალდებულნი ამ სიტყვით თავს ვერ დაიხსნიდნენ; მაგრამ ისიც ხომ ნათელია, რომ ვერც ბბ. მელეგის, ხლებნიკოვის, არწრუნისა და სხვათა სიტყვები ვერ დაიხსნის მათ...

თუ როგორი იქნებოდა ასეთი აზრით აგებული სიტყვა, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი ანეკდოტიდან, რომელიც ჩემი ფელეტონის სიუჟეტს ეხება.

მე ვიცნობ ერთ მდიდარ კაცს, რომელიც გამდიდრდა... რით? თქვენ როგორ ფიქრობთ? მისმინეთ! პირობას გაძლევთ, რომ ამაზე უფრო გონებამახვილური, უფრო დამახასიათებელი თქვენ არასოდეს არაფერი გსმენიათ.

ამ ვაუბატონმა თავისთავზე გაავრცელა ხმა, თითქოს იგი ასაღებს ყალბ ასიგნაციებს. ყოველ შემხვედრს იგი ჯერ სასტიკად დააფიცებდა და მერე, როგორც დიდი საიდუმლოს, აუწყებდა, რომ ლონდონიდან ღებულობს ყალბი ბილეთების მთელ პარტიას და ასაღებს მას სადღაც სპარსეთის საზღვარზე. არტისტული მოხერხებით აცნობებდა ის ამ მოჩვენებით საიდუმლოებას ყველაზე ჭორიკნებს, ამიტომ ერთი თვეც კი არ გასულა და მთელმა ქალაქმა უკვე იცოდა, რომ ეს ვაუბატონი ნამდვილად ავრცელებდა ყალბ ასიგნაციებს. ამის წყალობით მან სახელი გაითქვა. მას ყველა თვალებში შესცქეროდა; ყველა განიმსჭვალა რწმენით, რომ ის ფინანსური საქმის გენიოსია და ყველამ გაუხსნა მას კრედი-

ტი—თითქმის განუსაზღვრელი. ნახევარი წლის შემდეგ ის უკვე ოთხასათასიან კაპიტალს ატრიალებდა. და ის ნამდვილად გამდიდრდა. მაგრამ რომ იცოდეთ, რამდენი შრომა დახარჯა მან, თუნდაც ორი-სამი ცალი ყალბი ბილეთის საშოვნელად, რათა თავისი დანაშაულის დამადასტურებელი საბუთი ჰქონოდა! მას ხომ არ შეეძლო მიემართა ნამდვილი გამსაღებლისათვის: იგი ამით გამოამჟღავნებდა, რომ ყალბი ფალსიფიკატორია და კიდეც დაკარგავდა მთელ თავის კრედიტს!..

დაუფიქრდით ამ ანეკდოტს და გულწრფელად თქვით, განა მართალი არ იყო ბ. არნრუნი, ბრალდებულთ რომ „ბრბო“ უწოდა?

აღარ გავაგრძელებ ამ მანერით წერას. მსხვილ, მოხერხებულ და წვრილ, ჩავარდნილ ფალსიფიკატორებს შორის პარალელის გავლება არცთუ ისე ძნელია, რომ საჭირო იყოს ამ ფელეტონში ამის გაკეთება. ჩემი მკითხველი, ვინც უნდა იყოს იგი, შეძლებს გაიხსენოს ყველა საჭირო მონაცემი და დამოუკიდებლად მოახერხებს ასეთი პარალელის გავლებას. მხოლოდ გაკვრით მივუთითეთ მასზე და ახლა გადავდივარ საკითხის მეორე მხარეზე.

მიაქციეთ ყურადღება პროცესის საგამომძიებლო ნაწილს? ძნელი მისაკვლევია სისხლის სამართლის ისეთი საქმე, რომელიც ასე სრულად და ყოველმხრივ შეიძლებოდა გახსნილიყო, როგორც საქმე გასაღებისა და, მით უფრო, საქმე ყალბი საკრედიტო ბილეთების ფაბრიკაციის შესახებ. აიღეთ მკვლელობა, ცეცხლის ნაკიდება, ძარცვა, ქურდობა და მსგავსი დანაშაულობანი. უმეტეს შემთხვევაში დამნაშავეები არავითარ კვალს არ ტოვებენ, გარდა გვამისა ან გატეხილი ბოქლომისა; ამიტომ ასეთი დანაშაულობანის ჩამდენთა მოძებნა და მხილება ძალიან ძნელია.

ყალბი ბილეთების ფაბრიკაციისა და გასაღების საქმეში კი არამცთუ ყველა კვალისა და მონაცემის მოძებნაა შესაძლებელი, არამედ ნაბიჯ-ნაბიჯ შეიძლება ამგვარ დამნაშავეთა თვალ-ყურის დევნება. მანქანები, წნეხები, ქვები და დაფები, ქაღალდები, ბილეთები,—ყველაფერი ეს სახელზეა. თითოეულს, რომელმაც ბილეთი მიიღო, შეუძლია მიუთითოს, ვინ მისცა, სად და როდის. ყოველ ბრალდებულს შეიძლება მოეძებნოს მისი დანაშაულის ნივთიერი თუ არანივთიერი მტკიცება, და ყველაფერი ეს ნამდვილად მიკვლეულ იქნა: ვეებერთელა მაგიდა სავსე იყო ამგვარი ნივთებით.

მაგრამ, რომ არ გამომტყდარიყვნენ ბრალდებულნი, სასამართლო ძიების დროს თავისი ჩვენებები რომ არ დაედასტურებინათ, რაღა დარჩებოდა მაშინ სასამართლოს? დარჩებოდა მხოლოდ მანქანები, წნეხები, ყალბი ბილეთები და სხვა არავითარი სამხილებელი მასალა. მთელი ბრალდება დაიშლებოდა როგორც ხუხულა.

რა არის ეს ბოლოს და ბოლოს? როგორ ხდება, რომ, ამ შემთხვევშიც კი, ასეთ უბრალო, უმნიშვნელო საქმეზე, გამოძიებამ ვერ შეძლო სასამართლოსთვის სერიოზულად და სოლიდურად დამუშავებული ბრალდების წარმოდგენა? თუ სასამართლო გამოიტანს საბრალდებო განაჩენს მხოლოდ იმის გამო, რომ სახეზეა დანაშაულის ნივთიერი მტკიცებანი? მაგრამ ვინ ჩაიდინა ეს დანაშაული —ალახმა უწყის. ამ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ორი დამბეზღებლის—დადაროვისა და პანოვის—ჩვენებით, გამოძიების მიერ მათი ჩვენებების სიზუსტის თითქმის შეუმოწმებლად.

ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს ერთ სერიოზულ გარემოებას. აბა, შეხედეთ, რა მოხერხებითა და გამბედაობით გააცამტვერა თითქმის ყველა ვექილმა საგამომძიებლო ნაწილის მთელი მუშაობა. ამ პროცესზე ვექილებმა შეძლეს გამოძიების განადგურება, მაგრამ „გვამი" მაინც რჩებოდა... ნივთიერი მტკიცებების უგულვებელყოფა შეუძლებელი იყო და აი, მოსამართლეთ უხდებათ გამორკვევა, ვინ აკეთებდა ამ ბილეთებს, ვინ მუშაობდა ამ მანქანებითა და წნეხებით...

ცხადია, ვექილები უკიდურესობამდე მივიდნენ. მათ ლამის იმის მტკიცება დაიწყეს, რომ ეს ყალბი ბილეთები გამომძიებლის გაკეთებულია; ხოლო მანქანები კი პროკურორმა შეიძინა. განა ეს იმის მაჩვენებელი არაა, რომ საგამომძიებლო ნაწილი ორივე ფეხით კოჭლობს?

ყალბი ფულისმომჭრელები წავლენ ციმბირში, ხოლო თან გაიყოლებენ არა იმდენად მონანიებას, რამდენადაც შურს თავისი უფრო ბედნიერი თანამოძმეებისადმი. ამ პროცესს დაივიწყებენ... დავიწყებას მიეცემა ვექილების სიტყვებიცა და ბეჭდვითი ორგანოების გამოხმაურებანიც... მაგრამ ჩვენი საგამომძიებლო ნაწილი ძველებურად სუსტი დარჩება და ძალზე გაუჭირდება თავისი

დანიშნულების შესრულება—აღმოაჩინოს ოდნავ მაინც სერიოზულად ჩაფიქრებული და ოსტატურად შესრულებული დანაშაულის ჩამდენი.

საკმარისია საგამომძიებლო ნაწილმა პროფესიულად შეასრულოს თავისი მოვალეობა, რომ მაშინვე აზრი მიეცემა სერიოზულ და მოხერხებულ დამნაშავეთა მხილებას. ასეთ შემთხვევაში კი რამდენი ნვრილფეხობა გადარჩებოდა ცთუნებისაგან? მაგრამ ჯერ კიდევ დაუსჯელნი რჩებიან მსხვილი მტაცებლები... ამიტომ მიმბაძველობის ნაკლებობა არ იქნება!..

26. რა გვაშლერებს? განა სასიმღეროდ გვცალია?

თბილისი, 20 მარტი, 1880 წ.

როგორც სათათბიროს ანგარიშებიდან ჩანს, ზურნა „სადღეისო ჭირვარამად“ იქცა თბილისის სათათბიროსათვის. თუ ხმოსანთა მსჯელობას ყურს დავუგდებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ თბილისი მთლიანად კეთილმოეწყო და მხოლოდ ზურნა და ზურნა არ ყოფნის საბოლოო სიკეთისათვის. 10 მარტის სათათბიროს სხდომაზე ზოგიერთმა ხმოსანმა გამოთქვა აზრი, რომ თბილისის სახალხო ჯანმრთელობას ვნება შეუძლია მოუტანოს ზურნის უქონლობამ; მაგრამ ხმა არავის ამოუღია თბილისში გაბატონებულ სიმყრალეზე ან ცუდ ქვაფენილზე, რასაც ჭეშმარიტად ვნება მოაქვს ჩვენი ქალაქის ჰიგიენისათვის. ზოგიერთნი კიდევ უფრო შორს მიდიან, ამტკიცებენ რა, რომ ზურნა ისე, როგორც იტალიური ოპერა, სახალხო განათლების ერთ-ერთი ელემენტია; სხვების აზრით კი თბილისის მცხოვრებს არა აქვს მხიარულების შესაძლებლობა, რისთვისაც მას გასაქანი სჭირდება და ა. შ.

არ უარვყოფთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ზურნას შეუძლია გაამხიარულოს საზოგადოება, როცა იგი გრძნობს ხალხური მუსიკის მოთხოვნილებას. მაგრამ ეს მოთხოვნილება ჩვეულებრივ თავს იჩენს ცხოვრების იმაზე უკეთეს პირობებში, ვიდრე ახლა იმყოფება თბილისის მოსახლეობა. ჩვენს ქალაქს ახლა ზურნა კი არ სჭირდება, მისთვის აუცილებელია გაიაფება სასიცოცხლოდ საჭირო პროდუქტებისა, რომლებიც ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო მიუწვდომელი და ზღაპრულად ძვირი ხდება ღარიბთა კლასისათვის. მას ახლა გართობის თავი არა აქვს. მოსახლეობას ძალ-ღონე გამოეცალა ოჯახის გამოსაკვებ საშუალებათა ძებნით. თბილისელი ღარიბის ჩვეულებრივი გამოსაკვები პროდუქტი—მწვანილიც კი, ურომლისოდაც მას არსებობა არ შეუძლია განსაკუთრებით დიდმარხვის დღეებში, ჩამოსული თუ ადგილობრივი კულაკების ხელშია და მიუწვდომელია უმრავლე-

სობისათვის. ქალაქის მკვიდრნი თავიანთ ღრმა პატივისცემას გამოუცხადებდნენ სათათბიროს, თუკი იგი იზრუნებდა არა ზურნისათვის, არამედ ბაზრების ამ ექსპლუატატორთაგან დაცვისათვის, ან თუ სათათბირო თავის ყურადღებას მიმართავდა ქვაფენილების დაგებისა და სხვა სამუშაოების შესრულებისაკენ, რომელთა გადადება მოუთმენელია. ცხადია, თბილისის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ოდნავადაც არ შემსუბუქებია ყოველდღიური ჯაფა იმისაგან, რომ სათათბიროს ორი სხდომა მიეძღვნა წყლის ნაყვას—სასარგებლოა თუ არა თბილისისათვის ზურნა...

27. საკვირაო საუბრები

საზოგადოებისა და ბავშვის პირველი ნაბიჯები.—დაღმართს აღმართი მოსდევს.—ჩვენი თვითმმართველობის საკითხები წარსულსა და უახლოეს მომავალში.—არჩევნების მანია—საარჩევნო ყუთი და წმ. ვიტტეს ცეკვა.—არჩევნების ბებია ქალები.—რა არის საზოგადოებისათვის მისი წარმომადგენელი.—ამორჩეულით მსჯელობენ ამომრჩეველზე.—ჩვენი არჩევნების მაგალითები.—გაკოტრებული, მევახშე, ფალსიფიკატორი ჩვენი საზოგადოების წარმომადგენელთა როლებში.—თამაში არჩევნებში.—საზოგადოებათა მზადება.–რა საიდუმლოება აქვს ასეთ მზადებას.—სურვილი.

საერთოდ ყველასათვის და განსაკუთრებით ისეთი განსხვავებული ყალიბის საზოგადოებისათვის, როგორიც ჩვენია—ძალზე ძნელია პირველი ნაბიჯების გადადგმა თვითმმართველობის გზაზე, რა შეზღუდულიც უნდა იყოს ეს უკანასკნელი. როგორც ბავშვი უნდა დაეცეს მრავალჯერ, რათა საიმედო და სწორი ნაბიჯების გადადგმა ისწავლოს, ისე საზოგადოებაც არაერთხელ ვარდება გამოუვალ მდგომარეობაში, განიცდის მარცხს, ვნება მოაქვს თავისთვის, სანამ ჩასწვდებოდეს საკუთარი თავის მართვის ბრძნულ მეცნიერებას. ეს საერთო ხვედრია ყველა განვითარებადი საზოგადოებისათვის, რომელიც საუკუნეობრივი ძილისა და აპათიის მდგომარეობიდან გამოდის.

მით უფრო ჩვენს საზოგადოებას არ შეეძლო ამ ხვედრის თავიდან აცილება; აკი ძლიერ ცოტა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მას ნება დაერთო თვიმმართველობისა. სიმართლე რომ ვთქვათ, თვით ეს თვითმმართველობა იმდენად უმწეო და უფერულია, რომ საზოგადოებისაგან მოსალოდნელიც არ იყო ძალების სრული დაძაბვა და უეცარი გაფურჩქვნა ყველა მისი გონებრივი და ზნეობრივი შესაძლებლობისა. აქამდე ჩვენი თვითმმართველობა განისაზღვრება მხოლოდ იმით, რომ ვირჩევთ სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოების ან საკრედიტო დაწესებულებების სამმართველოებსა და საბჭოებს. დიდი ხანი არ არის, რაც საქალაქო ხელისუფლების არჩევის უფლება მოგვანიჭეს... გასაგებია, რომ ასეთი უმწეობით საზოგადოების უმრავლესობაში შეუძლებელი გახდა წინანდელი აპათიის გადალახვა, უმცირესობაში კი შეუძლებელი შეიქნა საკუთარი თავისადმი მეტისმეტად მგზნებარე და-

მოკიდებულების გამოწვევა... და, აი, ჩვენ ვტკეპნით ერთ ადგილს, ვუშვებთ შეცდომებს და მარცხს მარცხზე განვიცდით...

ამასობაში კი, ყოველდღიურად, სულ უფრო და უფრო ფართოვდება__ან გაფართოვდება__საზოგადოების კომპეტენტურობის სფერო.

დროა, მგონი, შევიგნოთ, რომ საზოგადოებრივ წარმომადგენელთა უწყებების უფლებათა გაფართოებით, თვით ამ საზოგადოებას ევალება ზუსტად შეიგნოს თავისი მოწოდების მთელი სიმაღლე და აღმოჩნდეს ამ აღიარების ღირსი...

სრულიადაც არ მეპარება ეჭვი, რომ თანდათანობით და ძალიან მალე ჩვენი საზოგადოება შეძლებს ბრწყინვალედ დაამტკიცოს, რამდენად მტკიცედ დგას ასეთი აღიარების სიმაღლეზე. მიუხედავად ამისა, არ შემიძლია სინანული არ გამოვთქვა იმ მრავალი მარცხის გამო, რომელნიც აუცილებლად მოჰყვება მის პირველ ნაბიჯებს. როცა ბავშვი დაეცემა და ცხვირს გადაიყვლეფს, ყველამ კარგად იცის, რომ გავა დრო და იგი მტკიცე ნაბიჯით დაიწყებს სიარულს, ირბენს კიდეც... მაგრამ თვით ბავშვის დაცემის მომენტში მისი მომავალი წარმატებების განჭვრეტას არ შეუძლია მოსპოს ჩვენში თანადგომის ის გრძნობა, რომელიც გვეუფლება ატირებული ბავშვის დანახვისას.

მიგიქცევიათ ყურადღება საზოგადოებრივ თანამდებობებზე ჩვენი არჩევნების უმეტესობის უცნაურობისა და უმწიფრობისათვის? იკრიბებიან ამომრჩევლები__სათათბიროსი იქნება ეს, ბანკების, საქველმოქმედო თუ სამეცნიერო საზოგადოებათა,__ეს სულ ერთია; და ყოველგვარი განსჯის, პიროვნების შეფასების გარეშე, მისი მიზნების გაურკვევლად, თითქმის პირველსავე ადამიანს, რომელიც კი თვალში მოხვდებათ, ან რომელიც არჩევის სურვილს გამოაცხადებს, დაუბრკოლებლად ირჩევენ. ესმის თუ არა ვინმეს რომ არჩევნები მეტისმეტად სერიოზული საქმეა, რომ არჩევა ამორჩეულებს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს, რისგანაც თვით ამომრჩეველნი არ არიან თავისუფალი?..

საოცარი სენით დაავადდა ჩვენი საზოგადოება მას შემდეგ, რაც შემოიღეს საზოგადოებრივ თანამდებობაზე არჩევნები... საკმარისია ორფერიანი საბურველით დამშვენებული საარჩევნო ყუთის დადგმა მაგიდაზე, რომ ყველა დამსწრემ მოისურვოს კენჭი იყაროს... არჩევის სურვილმა უმრავლეს შემთხვევაში ფულის

მოხვეჭის სურვილსაც კი სძლია. ბევრჯერ გვინახავს ისეთი ცნობილი ძუნწები, პლიუშკინს[30] რომ გადააჭარბეს. ისინი ფულს ასიათასობით ხარჯავდნენ, ოღონდაც არჩეულნი ყოფილიყვნენ არაფრის მომცემ თანამდებობაზე! „თეთრი საარჩევნო კენჭის“ უმეტესობის მიღება უმრავლესობისათვის მეტისმეტად ტკბილი ნეტარებაა. ამ ცდუნებასთან დაპირისპირება ძალიან ცოტამ შეძლო. კენჭისმყრელთაგან არავინ ეკითხება საკუთარ თავს—ხომ არ მოითხოვს არჩევნები რაიმე წინასწარ მომზადებას, რაიმე სერიოზულ მონაცემებს? იქნებ საჭიროა ცოდნა, ენერგია, დრო თანამდებობასთან შერწყმული მოვალეობის შესასრულებლად? ამის შესახებ ამორჩეული არც კი ფიქრობს, თითქოს ეს მაგიური საარჩევნო ყუთი და ჯადოქრული თეთრი კენჭები ამორჩეულს მყისვე ართმევს ყველა ამ ღირსებას! ყველაზე დიდი საოცრება კი ისაა, რომ ასეთივე რწმენისანი არიან თვით ამომრჩევლებიც...

მე არაერთხელ მითქვამს: ჩვენში ინჟინრის ან ბებიაქალის თანამდებობაზეც რომ არჩევნები ტარდებოდეს, ეჭვიც არ მეპარება, საარჩევნო უბნის წინ ასეულობით ისეთ ადამიანს ვიხილავდით, რომელთაც არასოდეს ოდნავი წარმოდგენაც კი რომ არ ჰქონიათ არც ინჟინრის და არც ბებიაქალის ხელოვნებაზე. მაგრამ ეს გარემოება მათ ოდნავადაც არ დააბრკოლებდათ და ისინი ენერგიულად იბრძოდნენ არჩევნებში გამარჯვებისათვის.

მაგრამ ჯანდაბას ეს „რისაც გნებავთ, იმის კანდიდატები“ და „არჩევნების მანიაკები“. ისინი კენჭს იყრიან იმის მტკიცე რწმენით, რომ არჩევნებში გამარჯვება სხვა არაფერია, თუ არა პატივი და წარჩინება. იმის შესახებ კი, რომ ეს, უპირველეს ყოვლისა, შრომაა, მძიმე შრომა, არავინ ფიქრობს. მაგრამ განა გასაკვირი არაა, რომ თვით ამომრჩეველ საზოგადოებას არ უნდა თავის საქმეს სერიოზულად შეხედოს?

აკი ამორჩეული, უპირველეს ყოვლისა, წარმომადგენელია იმ საზოგადოებისა, რომელმაც იგი აირჩია. ამიტომაცაა, რომ ამორჩეულნი პიროვნების მიხედვით მსჯელობენ ამომრჩევ საზოგადოებაზე. როცა ამორჩეულნი უნიჭონი ან მოუმზადებელნი, მოუხერხებელნი ან მერყევნი არიან, საყვედურობენ არა მათ, არამედ იმ საზოგადოებას, რომელმაც აირჩია ისინი. ამის შედეგად, ალბათ, ყოველმა ამომრჩეველმა საზოგადოებამ თავის უმაღლეს მიზნად უნდა მიიჩნიოს ისეთი პიროვნებების არჩევა, რომელთა

გამო შემდეგში გაწითლება არ მოუხდება. მაგრამ რატომაა, რომ ჩვენთან, უმეტეს შემთხვევაში, არაფერი ამის მსგავსი არ ხდება? რატომაა, რომ ჩვენთან უფრო მეტად ირჩევენ არა მარტო უტყვ და უნიჭო პიროვნებებს, არამედ უეჭველად ულამაზოებსაც, თავიდან ფეხებამდე უმსგავსოთ...

შეიძლება მითხრათ, რომ ვაზვიადებ. მაშინ ნება მომეცით, შევეხო რამდენიმე უდავო ფაქტს. მე არ ჩამოვთვლი სახელებს, ვინაიდან ჩვენი საზოგადოების ყოველ წევრს შეუძლია ამ სამუშაოს შესრულება. მოვიყვან მხოლოდ ფაქტებს.

აიღეთ... დაწესებულება... და დაუკვირდით მათ მოთავეებს. თქვენ დაინახავთ, რომ მათ რიცხვში უეჭველად აღმოჩნდება რომელიმე ცნობილი მევახშე, რომელიც თავის თანამოსამსახურეებზე გასესხებულ ფულში 50 და 100 პროცენტს სარგებელს ღებულობს.

გადავიდეთ სხვა დაწესებულებაში... თქვენ აქ ხაზინადრის თანამდებობაზე ნახავთ ადამიანს, რომელსაც კომერციულ დავთრებში მრავალი სიყალბე ჩაუდენია, რაშიაც უმხელია კიდეც სამედიატორო სასამართლოს, ეს უმსგავსობა და მისი შედეგები კი ცნობილია მთელი ქალაქისათვის...

შეიარეთ, შემდეგ... საზოგადოებაში. თქვენ აქ ხაზინადრის თანამდებობაზე წაანყდებით ცნობილ გაკოტრებულ და გაბოროტებულ პიროვნებას, რომელმაც გააცრუა ყველა თავისი კრედიტორი და აიცილა სასჯელი.

აი, კიდევ დაწესებულება... აქ სათავეში დგას მთელი ქალაქისათვის ცნობილი...

კიდევ, თუ შეიხედავთ რომელიმე დაწესებულებაში თქვენ იქ ნახავთ ადამიანს, რომელიც მხილებულია თავისი სამსახურებრივი მოვალეობის არაკეთილსინდისიერ შესრულებაში... იგი მაინც წარდგენილია კენჭის საყრელად სხვა... საზოგადოებაში.

ასეთი ფაქტები ათეულობით შემიძლია ჩამოვთვალო. აღარ ვლაპარაკობ ისეთ შემთხვევებზე, როცა საზოგადოებრივ თანამდებობებზე ირჩევდნენ ცნობილ სულელებს, უმეცრებს, არარაობებს...

ახლა ვსვამ კითხვას, როგორ ავუხსნათ საკუთარ თავს ან სხვებს ასეთი არჩევნების შესაძლებლობა? განა ისინი, ვინც ირჩევდნენ, არ იცნობდნენ მათ, რომელთაც ირჩევდნენ? რასაკვირველია, იც-

ნობდნენ, რადგან ჩვენში ყველა იცნობს ერთიმეორეს და იცნობს ზედმიწევნით კარგად. როდესაც გაკოტრებულ ადამიანს ირჩევდნენ საზოგადოების ხაზინადრად, ეს მდგომარეობა კარგად იცოდნენ საზოგადოების წევრებმა. მაგრამ აზრი—„რას დავეძებ", „ჯანდაბას"—ყოველთვის იმარჯვებდა. თუმცა ზოგჯერ დასძენდნენ: „ჩვენ ხომ მოსაპარი არაფერი გვაქვს!" ან „ჩვენ რა უნდა გაგვიკეთოს ცუდი?" და თეთრი კენჭებით ივსებოდა მარჯვენა ყუთი...

დიახ, სხვა არაფრით შეიძლება ასეთი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობის ახსნა, თუ მას არ მივამსგავსებთ ბავშვების თამაშს საარჩევნო ყუთთან. როგორც არჩეულები, ისე ამომრჩევლები ჩვენთან არჩევნებს ეკიდებიან თამაშის თვალსაზრისით—პირველნი პატივმოყვარეობას იამებენ, მეორენი—უბრალოდ ერთობიან...

მაგრამ, ბატონებო, დროა შევიგნოთ, რომ აუცილებელია სამუდამოდ გამოვემშვიდობოთ მსგავს გულცივ დამოკიდებულებას მოქალაქის უფლებათაგან უმნიშვნელოვანესის—მისი წარმომადგენელის არჩევისადმი. სანამ საქმე ეხებოდა ხაზინადრის ან რომელიმე უმნიშვნელო საზოგადოების წარმომადგენლის... ან არა ნაკლებ უმნიშვნელო ამხანაგობის არჩევას...არცთუ ისე დიდი უბედურება იყო ჩვენი არჩევნების არადამაკმაყოფილებელი შეგნებულობა. სამწუხაროა და ამას ჩვენ მხოლოდ შემდეგ გავიგებთ, რომ წინდაუხედავად ტარდებოდა საბანკო თანამდებობებზე ჩვენი არჩევნები. შეუწყნარებელია, რომ ასე უგულოდ ვეკიდებოდით საქალაქო საზოგადოებრივ თანამდებობებზე არჩევნებს. მაგრამ ნამდვილად დანაშაული და სამარცხვინო იქნება, თუ ჩვენ ამ მხრივაც ჩვეულ სიჯიუტეს გამოვიჩენთ მომავალი... არჩევნების დროს, რომლის შესახებაც აუცილებელია წინასწარ ვიფიქროთ, რათა დამაკმაყოფილებლად მოვემზადოთ მისთვის...

რაში მდგომარეობს წინასწარი მზადების ეს მნიშვნელოვანი „საიდუმლო?—შეგვეკითხება ზოგიერთი მკითხველი. ნუთუ აუცილებელია, რომ თანამედროვე საზოგადოების თითოეულმა წევრმა ამ მზადების გულისათვის თავი მიანებოს ყოველგვარ საქმიანობას, თავისი მოვალეობის აღსრულებას და გაემგზავროს რომელიმე უნივერსიტეტში მეცნიერებათა კურსის მოსასმენად? ან

იქნებ საჭიროა საამისოდ სადმე სათათბიროს დარბაზში გაიხსნას რაიმე წრე, განსაკუთრებული მოსამზადებელი კურსი, იმის მსგავსი, რომელსაც ბუღალტერიის შესასწავლად ხსნის დღეს ბატ. ფოცხვეროვი? რომელი წიგნებით, რომელი სახელმძღვანელოებით შეიძლება ადამიანმა შეიძინოს ცოდნა, რომელიც ასე აუცილებელია ჩვენი საზოგადოებისათვის...

არა, ჩემო გულუბრყვილო მკითხველო, მე ასეთი მომზადების შესახებ არ ვლაპარაკობ. საზოგადოების მომზადების მთელი ძალა მისი გონიერი ორგანიზაცია, რათა თავისი საქმის სათავეში დააყენოს ისეთი ადამიანები, რომლებსაც შესწევთ უნარი სათანადო მიმართულება მისცენ მას. ყველა თანამდებობაზე ისეთი პიროვნების არჩევა, რომელიც შეეფერება მიზანს, ღირსეული, უნარიანი ადამიანების წინ წამოწევა—აი, საზოგადოებრივი მზადების ალფა და ომეგა, აი, რით განსხვავდება გონიერი საზოგადოება ცხვრის ფარისაგან, რომელთა წარმომადგენლები და გზის მაჩვენებლები არიან პირველივე შემხვედრი თხები.

ვისურვოთ, რომ ჩვენს საზოგადოებასაც ჰქონდეს ეს დიდი სიბრძნე, რაც ასე აუცილებელია მისთვის სწორედ ახლა, როცა მის გარშემო იხსნება ვრცელი და ნათელი ჰორიზონტები...

ღმერთმა ინებოს!..

28. „კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების“ სკოლები

ადგილობრივ პრესაში ისევ გამოჩნდა ცნობები „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების“ სკოლების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შესახებ.

როგორც ხედავთ, ეს ძალზე სამწუხარო მოვლენაა, რომელიც სერიოზულ ყურადღებასა და დამოკიდებულებას მოითხოვს. ადგილობრივი პრესის „პუბლიცისტები“, რომელთაგან არ ემარჯვებათ კერძო ფაქტების განზოგადება, ამ მოვლენის მიზეზებს ხედავენ არა იქ, სადაც ისინი ნამდვილად იმალებიან.

ასე, მაგალითად, მიზეზად ითვლება მასწავლებლების არადამაკმაყოფილებელი მომზადება და მათი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება თავიანთი მოვალეობებისადმი. შემდეგ მიუთითებენ ინდიფერენტულად განწყობილ ამ სკოლების ინსპექტორებზე და ა. შ.

მოყვანილი მიზეზები, უეჭველია, გავლენას ახდენენ საქმეზე.

უდავოა, რომ მასწავლებელი მთავარი ელემენტია სკოლაში აღზრდისა და სწავლების გონივრულად დაყენების საქმეში. რა ჭკვიანური „წესდებებიც“ უნდა იყოს შედგენილი, რა ინსტრუქციებიც უნდა იყოს გამოცემული, თუ მასწავლებელი კარგად არაა მომზადებული და არაკეთილსინდისიერია, მთელი ეს შესანიშნავი მითითებები ფარატინა ქაღალდად იქცევა. „საზოგადოების“ სკოლების ძალიან ბევრი მასწავლებელი ნამდვილად ცუდადაა მომზადებული, არაკეთილსინდისიერად ეპყრობა თავის მოვალეობებს, მთელი თვეობით არ დაიარება სკოლაში და არ ამეცადინებს მოსწავლეებს...

თითქმის იგივე უნდა ითქვას იმ პირების მიმართაც, რომლებიც დანიშნულნი არიან უშუალოდ ამ სკოლების გამგებლებად. სკოლების ინსპექტორების ცოდნაზე, ენერგიასა და კეთილსინდისიერებაზე ცოტა რამ როდია დამოკიდებული. კარგ ინსპექტორს შეუძლია ხშირად მიხედოს სკოლებს, გონიერად შეარჩიოს მასწავლებლები, დაითხოვოს არაკეთილსინდისიერნი, ხშირად მოიწვიოს ყრილობები და სხვ. ჩვენ გვესმის, რომ ყველა ამ ურთიერთობაში ინსპექტორის სისუსტე ეჭვს არ იწვევს.

მაგრამ, საიდან გამომდინარეობს, უმთავრესად ყველა ეს ნაკლოვანება? რა უნდა გაკეთდეს, რომ მსგავსი ნაკლოვანებანი აღმოიფხვრას, ყოველ შემთხვევაში, შეძლებისდაგვარად შესუსტდეს?

ადგილობრივი პრესა არც კი ფიქრობს ასეთი საკითხებით დაინტერესებაზე...

ჩვენი აზრით, ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია „საზოგადოების" სკოლათა ადმინისტრაციული ორგანიზაციის შეცვლა. გაუგებარია, რატომაა ამ სკოლებისათვის შექმნილი საგანგებო მმართველობა. თუ თავდაპირველად, თვით „საზოგადოების" ორგანიზაციისა და მათ მიერ სკოლების გახსნის დროს, საჭირო იყო სპეციალური დაწესებულება, ახლა ჩვენს მხარეში არავითარი წინააღმდეგობა არ არის მოსალოდნელი მათი სასწავლო უწყებისათვის გადასაცემად. ამით შეიძლება ნაწილობრივ შტატის შემცირებაც და, აქედან გამომდინარე, შემცირდება „საზოგადოების" ხარჯებიც...

ამას რომ ნამდვილად სასიკეთო გავლენის მოხდენა შეუძლია „საზოგადოების" სკოლებზე, ამის დამამტკიცებელ საბუთად შეიძლება გამოვიყენოთ ის გარემოება, რომ სასწავლო უწყების სკოლების საქმე უკეთ მიდის, მიუხედავად იმისა, რომ „საზოგადოების" სკოლების ფინანსური მდგომარეობა გაცილებით დამაკმაყოფილებელია, ვიდრე ჩვეულებრივი სახალხო სკოლებისა და პირველის მასწავლებლებიც მეტ ხელფასს ღებულობენ...

საქმის ასეთი გადაწყვეტა აუცილებელია თვით „საზოგადოებისა" და სახალხო განათლების საქმის ინტერესებისათვის; ეს უკვე იქიდანაც ჩანს, რომ ახლა, როგორც ეს ხდებოდა ყოველთვის, საზოგადოების საქმეს განაგებენ ადამიანები, რომლებიც შეიძლება ფრიად მომზადებული იყვნენ სამისიონერო მოღვაწეობისათვის, საზოგადოების „ყარაიაზის მამულის" მართვა-განმგებლობისათვის, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ისინი არ იცნობენ სახალხო სკოლების ორგანიზაციის საქმეს... ხოლო, ვინ არ იცის, რომ საჭიროა სათანადო მომზადება ამ საქმეზე სერიოზული მეთვალყურეობისათვის?

სიტყვამ მოიტანა და ისიც ვიკითხოთ: რით აიხსნება, რომ „...აღმდგენი საზოგადოება" აი, უკვე რამდენიმე წელია, არ აქვეყნებს თავისი მოღვაწეობის ანგარიშს?

29. „ობზორის“ მეორე პროცესი

თბილისი, 28 მარტი, 1880 წ.

1879 წლის პირველ იანვარს თბილისში გამოვიდა „ობზორის“‘ ნომერი, რომელშიც ყველაფერი როდი დაბეჭდილა ცენზურის ნებართვით! ნომრის ორი მთავარი სტატია, ფელეტონი და მოწინავე დაიბეჭდა ცენზორის ხელმოწერის გარეშე. შუადღეც არ იყო, რომ პოლიციამ ეს ნომერი დააკავა ფოსტაში, საგაზეთო კანტორაში და ჩამოართვა ყველა გამყიდველს. გაზეთის რედაქტორის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ დაიწყო სასამართლო წესით დევნა. საცენზურო კომიტეტმა საქმე პროკურორს გადასცა, მან კი—გამომძიებელს. რამდენიმეჯერ დაჰკითხეს რედაქტორი, დაჰკითხეს მესტამბე, ამწყობი, მოწმენი. ბოლოს, წინასწარი გამოძიება დამთავრდა 1879 წლის შემოდგომაზე. მას შემდეგ ნახევარმა წელმა განვლო, მაგრამ საბრალდებო აქტი აქამდე არ ჩანს.

„ობზორის“ ეს მეორე პროცესი ჩვენი დროის ლიტერატურულ მატიანეში შეიტანს არცთუ ისე ცოტა დამახასიათებელ დეტალს, ვიდრე ჩვენმა პირველმა პროცესმა შეიტანა. ჩვენ არ ველოდებით გამართლებას და არც ვიბრძოლებთ მის მისაღწევად. მაგრამ იმ აუარებელი მონაცემიდან, რომელთაც, ვიმედოვნებთ, წარვუდგენთ სასამართლოს, ადგილობრივი საზოგადოება და მთელი განათლებული რუსეთი დაინახავენ, რა პირობებში ნარმოებს საკატორლო მუშაობა—პროვინციაში ყოველდღიური პოლიტიკური გაზეთის გამოცემა.

ჩვენ მოუთმენლად ველოდებით ამ პროცესს იმიტომ, რომ ეს იქნება ჩვენი საუკეთესო გამართლება მკითხველი საზოგადოების წინაშე, რომელიც სამართლიანად წუხს „ობზორის“ უფერულობასა და სხვადასხვა ნაკლზე... ცხადია, ყველაზე მეტად ჩვენ ვწუხვართ ამ ნაკლოვანებებზე, მაგრამ, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მეორე პროცესის შემდეგ ადგილობრივ საზოგადოებას, გაეცნობა რა ჩვენი გაზეთის გამოცემის ტექნიკურ და მატერიალურ მხარეებს, ჩვენზე აღარ დაწყდება გული. ის დარწმუნდება, რომ ჩვენის მხრიდან ვაკეთებთ ყველაფერს, რისი გაკეთებაც შეუძლია ადამიანს...

აი, რატომაა, რომ გვწყინს და გვაოცებს ნელი ტემპი, რომლითაც საპროკურორო ზედამხედველობა ეკიდება საქმის წარმოებას. პროკურატურისათვის, რასაკვირველია, აჩქარებას აზრი არა აქვს: ის არაფერს კარგავს საქმის გაჭიანურებით. მაგრამ როგორია მდგომარეობა კერძო პირებისა, რომლებიც მთელი წლობით ირიცხებიან „სასამართლოსა და გამოძიების ქვეშ?“ მათთვის შეიძლება უფრო ხელსაყრელი იყოს თვით ყველაზე მკაცრი განაჩენიც კი, ვიდრე ასეთ არასასიამოვნო მდგომარეობაში ყოფნა.

ვიმედოვნებთ, ეს მდგომარეობა სამარადისო არ იქნება და ბოლოს და ბოლოს „ობზორის“ წინააღმდეგ აღძრული ექვსივე პროცესის ღია განხილვის ჯერიც დადგება.

30. გაზეთი „კავკაზი“ და კავკასიის გვირაბი

თბილისი, 29 მარტი, 1880 წ.

გაზეთი „კავკაზი“[3] მიმდინარე წლის №84-ის მოწინავე სტატიაში ყველასთვის ცნობილი უგზოობის გამო მიდის სრულიად მოულოდნელ დასკვნამდე, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ყოველნაირი ფაქტისაგან შეიძლება როგორიც გნებავთ ისეთი დასკვნის გაკეთება, „მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად,—წერს გაზეთი,—ისევე ძალაუნებურად გვებადება ჩვენ მიერ პრესაში არაერთხელ აღძრული აზრი ამიერკავკასიის ჩრდილოეთ კავკასიასთან რკინიგზით პირდაპირი დაკავშირების პროექტის შესახებ. ჩვენი ინჟინრების ყველა ღონისძიება, ზამთარში, გაზაფხულსა და შემოდგომაზე თავიდან აეცილებინათ საქართველოს სამხედრო გზაზე ზვავები და ნამქერები სხვადასხვანაირი ნაგებობების საშუალებით, განუხორციელებელი აღმოჩნდა ისეთი გრანდიოზული მოვლენის წინაშე, როგორიც იყო წლევანდელი ზამთარი. კავკასიის მთების ადგილმდებარეობისათვის ერთადერთი საიმედო და უზრუნველყოფილი საშუალებაა გვირაბის გათხრა“.

ჩვენი მხრიდან ასევე გვებადება აზრი, რომ გაზეთი „კავკაზი“ სრულიადაც არ იცნობს ჩვენს პრესაში არაერთხელ აღძრულ პროექტთა სხვადასხვა ვარიანტებს ამიერკავკასიის ჩრდილოეთ კავკასიასთან შეერთების შესახებ. ცნობილია, რომ ამიერკავკასიის ჩრდილოეთ კავკასიასთან შეერთების ძირითადად ორ პროექტს გვთავაზობდნენ. ერთი პირდაპირი—მთების გავლით ვლადიკავკაზიდან თბილისამდე, ანდა გორიდან (ფოთი-თბილისის გზაზე) სადგურ დარკოხამდე (როსტოვ-ვლადიკავკაზის გზაზე), მეორე იყო შემოვლითი—ვლადიკავკაზიდან, ან სადგურ პროხლადნაიადან, პეტროვსკზე გავლით, ბაქომდე. შემოვლით შეერთებას, რომელიც მოითხოვს ექვსასვერსიანი გზის გაყვანას ვაკე ადგილზე ორასვერსიანი სამთო გზის ნაცვლად, ძალიან დიდი უპირატესობა აქვს. მთებში რკინიგზის გაყვანას ძალზე დიდი დროც დასჭირდება და ძვირიც დაჯდება. ეს სასარგებლო გავლენას მოახდენს კავკასიისა და ამიერკავკასიის იმ მხარეებზე, რომელთაც ახლა მიმოსვლის არავითარი საშუალება არ გააჩნიათ. გარდა ამისა, ეს გზა საიმედო იქნება მთელი წლის განმავლობაში შეუწყვეტელი

მოძრაობისათვის. ყოველივე ამის შესახებ ბევრი დაიწერა, რაც, ალბათ, „კავკაზის“ რედაქციას არ წაუკითხავს. და ამიტომ იგი, ბუნებრივია, ერთადერთ ხსნას გვირაბის გათხრაში ხედავს.

„კავკაზის“ რედაქციას რომ ის წაეკითხა, რაც ამის შესახებ დაინერა, მას ეცოდინებოდა, რომ სამთო რკინიგზის ორივე პროექტით ნავარაუდევია ექვსვერსიანი სიგრძის გვირაბის გათხრა თავისი გამოსასვლელებით ზღვის დონიდან 6.000 ფუტის სიმაღლეზე. მეორე მხრივ, რედაქციას ეცოდინებოდა, რომ წლევანდელ ზამთარში ფოთი-თბილისის რკინიგზაზე მოძრაობა მხოლოდ ერთხელ შეწყდა ორი დღით და მეორეჯერ ხუთი დღით სურამის უღელტეხილზე, რომელიც ზღვის დონიდან 3.000 ფუტის სიმაღლეზე მდებარეობს.

აქედან გაზეთ „კავკაზის“ რედაქციას შეეძლო სათანადო დასკვნა გამოეტანა იმის თაობაზე, რომ გვირაბის ორივე მხარეს —ზღვის დონიდან 7.000-დან 3.000-მდე ფუტის სიმაღლეზე, ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის მდებარე სამთო რკინიგზის მნიშვნელოვან უბნებზე, თითქმის 80 ვერსის სიგრძეზე, ზამთარში ისეთივე დაბრკოლებებით წარიმართებოდა მოძრაობა, როგორც ეს ხდება ყოველთვის საქართველოს სამხედრო გზაზე ფასანაურიდან ლარსამდე ან სურამის უღელტეხილზე. ამიტომ ამგვარი რკინიგზის შესანახად გაცილებით დიდი ძალ-ღონის ხარჯვა იქნებოდა საჭირო, ვიდრე ამას საქართველოს სამხედრო გზა მოითხოვს; თოვლისათვის ცხადია, სულერთია სად ან რას ეფინება—გზატკეცილსა თუ რკინიგზას, მაგრამ რკინიგზის გასუფთავება გაცილებით ძნელია. ასეთ პირობებში რაღა აზრი ექნებოდა ექვსვერსიან გვირაბს, რომელიც ზამთარში სრულიად მიუწვდომელი იქნებოდა? გაზეთ „კავკაზის“ რედაქცია და მისი თანამოაზრენი ზამთარში ვლადიკავკაზიდან წამოსულნი ყბადაღებულ გვირაბში რომ მოხვდნენ, იქ მათ ორი კვირა მოუხდებათ ლოდინი და მერეღა ჩამოაღწევენ თბილისს, როგორც ეს დაემართა ამ ზამთარს ფოსტას საქართველოს სამხედრო გზის ჩაკეტვის გამო. ყოველივე ამის შემდეგ შეიძლებაღა ადამიანი ფიქრობდეს, რომ კავკასიის ექვსვერსიანი გვირაბი სერიოზულად უზრუნველყოფდა მიმოსვლის უსაფრთხოებასა და სისწრაფეს? მაგრამ იქნებ გაზეთ „კავკაზის“ რედაქცია ფიქრობს, რომ გამოსასვლე-

ლები კავკასიის გვირაბიდან გათვალისწინებულია 3.000 ფუტის სიმაღლეზე, როგორც ესაა სურამის უღელტეხილზე ან უფრო დაბლაც კი. მაგრამ მაშინ ხომ გვირაბი სიგრძით 60 ან 80 ვერსი გამოვიდოდა, ხოლო მისი გამოსასვლელები კი მაინც ნამქერით აივსებოდა ზუსტად ისევე, როგორც ეს ხდება იმავე სურამის უღელტეხილზე, მაგრამ, თუ შეძლეს ს. გოტარდის 15-ვერსიანი გვირაბის გათხრა, ჩვენც ხომ არ გავბედოთ და გაზეთ „კავკაზთან" ერთად, მოვითხოვოთ 80-ვერსიანი გვირაბის გაყვანა? რა გაეწყობა! ხოლო, სანამ ჩვენ უაზროდ გავანიავებთ ფულს და დავკარგავთ აურაცხელ დროს ზამთრის იძულებითი პიკნიკებისათვის კავკასიის ქედზე, დაე, ჩრდილოეთი კავკასია და აღმოსავლეთი ამიერკავკასია ყოველგვარი გზების გარეშე იყვნენ. დაე, რუსეთი კვლავ დარჩეს კავშირის გარეშე კასპიის ზღვასთან და ერთადერთ კარგ ნავსადგურ ქ. ბაქოსთან. ეს ხომ სავსებით შეესაბამება ჩვენს ინტერესებს შუა აზიასა და სპარსეთში...

31. დოქტორ არწრუნის ახალი გმირობა

ყური მოვკარით, რომ გაზეთ „მშაკის“[31] რედაქტორმა, „ფილოსოფიის დოქტორმა“, გრიგოლ არწრუნმა მიმდინარე წლის 5 მარტს თბილისის საოლქო სასამართლოს ახსნა-განმარტებით მიმართა, რადგან მას ბრალად ედებოდა ცენზურის უნებართვოდ სტატიების ბეჭდვა. ბ-ნი დოქტორი მოითხოვდა გაეთვალისწინებინათ ის გარემოება, რომ გაზეთი „მშაკი“ 1879 წლის №211-ზე ადრეც ბეჭდავდა კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი ნდობის შედეგად როგორც პატარ-პატარა შენიშვნებს, ისე მთლიან სტატიებს წინასწარი ნებართვის გარეშე. გარდა ამისა, 1878 წლის ზაფხულში, როცა ცენზორი მელიქ-მელრაბოვი კოჯორში ცხოვრობდა, მისი ნებართვით „მშაკი“ საერთოდ უცენზუროდ გამოდიოდა. ცენზორი საკორექტურო ანაბეჭდებს ხელს აწერდა გაზეთის გამოცემიდან მხოლოდ მეორე ან მესამე დღეს.

ბატონ მელიქ-მელრაბოვის გარდა, „მშაკს“ ასეთსავე ნდობას უცხადებდნენ განსვენებული მაქსიმოვიჩი (საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე), ხოლო შემდეგ—ბატ. ფურცელაძე, რომლებიც სომხური ენის უცოდინარობის გამო, წაუკითხავად აწერდნენ ხელს საკორექტურო ანაბეჭდებს.

იმით დაჯერებული, რომ საცენზურო კომიტეტი არ უჩივლებდა მას, ბატ. არწრუნს არ შემოუნახავს ცენზორ მელიქ-მელრაბოვის მინაწერები და შენიშვნები გაზეთის საცენზურო ანაბეჭდების არეებზე, რომლითაც ცენზორი „მშაკის“ რედაქტორს ანდობდა გაზეთის ხარვეზების საკუთარი შეხედულებისამებრ შევსებას. ამის დასამტკიცებლად ბატ. არწრუნი მოითხოვს მოწმეების გამოძახებას.

„მშაკის“ რედაქტორის ეს უბადრუკი საქციელი, რაც უმაგალითოა ჩვენი დროის ლიტერატურის ისტორიაში, სავსებით ამართლებს ბატ. არწრუნისადმი იმ ადამიანთაგან გამოვლენილ ულმობელ დამოკიდებულებას, რომელთაც შეუძლიათ პერიოდული ბეჭდვითი სიტყვის ბედ-იღბლის შემსუბუქება.

არა მარტო ჩვენთან, არამედ ყველგან, სადაც კი ცენზურა არსებობს, გარკვეული, გადაულახავი ვითარებების გამო: ცენზურა ხშირად იძულებულია თვით რედაქციებს გამოუცხადოს ნდობა და მათვე დაავალოს მათი გამოცემების ზოგიერთი ნაწილის სა-

ცენზურო გაკონტროლება. მაგალითად, ვთქვათ, აღმოსავლური ენების მცოდნე ცენზორს უკვდება მეუღლე, ავად უხდება ვაჟი ან თვითონაა მძიმე ავადმყოფი, მისი საცენზურო გაზეთი კი აუცილებლად უნდა გამოიცეს. ასეთ შემთხვევაში რა უნდა გააკეთოს კომიტეტის თავმჯდომარემ, რომელმაც არც აღმოსავლური ენები იცის და არც შესაფერი მოადგილე ჰყავს?

ავადმყოფ ცენზორს ზაფხულში სული ეხუთება თბილისურ სიცხეში, ექიმები მას რამდენიმე დღით კოჯორში აგზავნიან, მოადგილე კი არა ჰყავს. შესაფერისი ადამიანის გამოძებნისა და დამტკიცებისათვის კი საჭიროა რამდენიმე თვე. ცენზურა, გამომდინარე იმ აზრიდან, რომ რედაქტორები არც ყალთაბანდები არიან და არც მონაფეები, გამონაკლის შემთხვევაში ენდობა და საკუთარი პასუხისმგებლობის ნაწილს მათ აკისრებს. თუ რედაქტორები არაკეთილსინდისიერი აღმოჩნდებიან, მაშინ, რასაკვირველია, ცენზორს ნდობა ძვირად დაუჯდება.

შეგვიძლია მთელი რიგი მაგალითების ჩამოთვლა საამისოდ, რომ მსგავს მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს არა მხოლოდ კომიტეტი, რომელიც სულ სამი წევრისაგან შედგება, არამედ დედაქალაქის საცენზურო დაწესებულებებიც, რომელთაც მრავალი ცენზორი ჰყავთ. ასეთ შემთხვევაში ფაქტიურად ორი გამოსავალია—ან უნდა შეჩერდეს გამოცემა, ანდა ვენდოთ რედაქტორების დელიკატობასა და კეთილსინდისიერებას.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის პრაქტიკაში მსგავსი შემთხვევები ძალიან იშვიათად მომხდარა, მაგრამ ჩვენ გვახსოვს ცენზორ ბასტამოვის გარდაცვალების შემდეგ, როცა ჯერ მისი შემცვლელი გამოძებნილი არ იყო, განსვენებულმა ა.პ. მაქსიმოვიჩმა თავისი საკუთარი პასუხისმგებლობით გაუშვა ადგილობრივი გაზეთების რამდენიმე ნომერი, ოღონდ მანამდე რედაქტორებს ჩამოართვა პატიოსანი სიტყვა, რომ ამ ნომერში გასაკიცხი სამარცხვინო არაფერი იქნებოდა... და ამ ნდობას გავლენით ჩვენ ვიცნობთ რედაქტორებს, რომლებიც საკუთარ გაზეთებს ისეთ სიმკაცრით უკეთებენ ცენზურას, რომ ამ მხრივ თვით ბატ. გორძიევსკისაც კი აჭარბებენ.

ბატ არნრუნის გამოკლებით, ყველა თბილისელი რედაქტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ ყოფილა შემთხვევა რედაქციები

გამოსულიყვნენ ზომიერების ჩარჩოებიდან. არსებითად ხომ უცენზურობა, რომლისთვისაც ჩვენ თავგამოდებით ვიბრძვით, სხვა არაფერია, გარდა ნდობისა რედაქციებისადმი...

და აი, ადამიანი, რომელსაც აქვს ბედნიერება, ყოველ შემთხვევაში, მოხერხება, მიაღწიოს მდგომარეობას, რაზედაც სხვებს ოცნებაც კი არ შეუძლიათ, ბედავს ახლა სასამართლოში განცხადების შეტანას ცენზორების დასაბეზღებლად.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ყველაფერი ეს კეთდება სასჯელის წინაშე უსუსური შიშის გამო; მაქსიმალური სასჯელი კი არ აღემატება რაღაც უმნიშვნელო თანხას—50 მანეთს. ორი ქარვასლის მფლობელი, რომლის წლიური შემოსავალი 100.00 მანეთზე მეტს აღწევს, აკეთებს ამას 50 მანეთის გულისათვის. ამისთანა რამ სად გაგონილა, ო ღმერთო ჩემო!

პირობას ვიძლევით, რომ თბილისის გაზეთების ხელის მომწერთაგან ნებისმიერი ადამიანი—რომ აღარაფერი ვთქვათ რედაქციებზე—დოქტორ არწრუნის მაგივრად გადაიხდიდნენ ამ საცოდავ 50 მანეთს, თუკი ის საზოგადოებას ადრევე აცნობებდა, რომ მზადაა ჩაიდინოს ყველაფერი, ოღონდ თავისი სკივრიდან არ ამოიღოს 50 მანეთი.

ჩვენი საზოგადოება რომ მკაცრი იყოს თავისი წარმომადგენლის მიმართ, ასეთი „გმირობისათვის„ მან უკან უნდა მიახალოს ბატ. არწრუნს მისი გაზეთის ყველა ეგზემპლარი და სამუდამოდ უარი თქვას სოლიდარობაზე ისეთ პიროვნებასთან, რომელიც ადგილობრივი ბეჭდვითი სიტყვის ინტერესებს და ხელსაყრელ პირობებს სწირავს 50 მანეთიან ანგარიშს.

32. ინგლისის ახალი სამინისტრო

თბილისი, 30 მარტი, 1880 წ.

ტელეგრაფმა მოგვიტანა ცნობა, რომ 24 მარტს ინგლისის პარლამენტში აირჩიეს 412 ახალი დეპუტატი; მათგან 271 ლიბერალი და 141 კონსერვატორი. მაშასადამე, ლიბერალებმა 59 ახალი ადგილი მოიპოვეს პალატაში და ახლა მათ უმრავლესობა ჰყავთ ირლანდიის ავტონომისტების გარეშეც.

ამრიგად, ლორდ ბიკონსფილდს უნდოდა ახალი პარლამენტის არჩევით შეემოწმებინა, თუ რამდენად ენდობოდა ინგლისელი ხალხი მის პოლიტიკურ პროგრამას; იგი დარწმუნდა, რომ ბერლინის კონგრესის შემდეგ გამართული ოვაციების მიუხედავად, მისი რომანტიკული წამოწყებები უკვე აღარ სარგებლობს ინგლისის თანაგრძნობით.

ჰარინგტონის, გლადსტონისა და დერბის ახალი სამინისტრო ახლა კარგად არის დაკომპლექტებული და თავისი მოვალეობების აღსრულების დაწყებისთანავე ევროპაში უნდა დაიწყოს გაძლიერებული დიპლომატიური მოღვაწეობა, რადგან შეუძლებელია გამარჯვებული ოპოზიციის სამოქმედო პროგრამა იგივე დარჩეს, რაც იყო ლორდ ბიკონსფილდის დროს. მაშასადამე, ძველი მიწერ-მოწერა საელჩოებსა და უცხოურ სამინისტროებთან თუ ხელახლა არ გადაინერება, ყოველ შემთხვევაში, უნდა გასწორდეს ახალი სამინისტროს შეხედულებისამებრ.

თითქოს, უპირველეს ყოვლისა, ეს უნდა გაკეთებულიყო ჩვენთან, რუსეთში, რადგან არც ისე დიდი ხნის წინათ, სახელდობრ, სერბიის ომის დროს, ფრიად პატივცემული მისტერ გლადსტონი აღფრთოვანებულ სიტყვებს წარმოთქვამდა მიტინგებზე და ბეჭდავდა სიმართლით სავსე პოლიტიკურ ბროშურებს, სადაც გულწრფელად თანაუგრძნობდა ჩვენს სამშობლოსა და იმ როლს, რომელიც რუსეთმა იკისრა ბალკანეთის ქრისტიანთა განთავისუფლების საქმეში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან დიდი წინდაუხედაობა იქნებოდა, გვეფიქრა, თითქოს მისტერ გლადსტონის „თანაგრძნობა“ შეძლებდა რუსეთის ინგლისთან დაახლოებას. მისტერ გლადსტონის სიყვარული რუსეთისადმი იყო სუფთა პლატონური თვისებისა და

წარმოადგენდა მხოლოდ საშუალებას ლორდ ბიკონსფილდის მთავრობასთან საბრძოლველად. ახლა, როცა ეს ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა, მისტერ გლადსტონს რუსეთის პლატონური სიყვარული არაფერში გამოადგება. მოექცა რა ინგლისის მთავრობის სათავეში, მისტერ გლადსტონი, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს ინგლისელი და ყველაფერზე მაღლა უნდა დააყენოს თავისი ხალხის ინტერესები. ეს სრულიადაც არ არის ძნელი ფრიად პატივცემული მისტერ გლადსტონისათვის, ვინაიდან მას ოდნავადაც არასოდეს ჰყვარებია რუსეთი. იგი თავისი მტრების მიერ გამოთქმული ამგვარი ეჭვების უარყოფას მაშინაც კი ახერხებდა, როცა წარმოთქვამდა მგზნებარე სიტყვებს და ბეჭდავდა ბროშურებს რუსეთის სასარგებლოდ.

ინგლისში ახალი სამინისტროს შემადგენლობის დანიშვნის ალბათობას აძლიერებს უკანასკნელი ცნობები ავღანეთში გენერალ რობერტსის დამარცხების შესახებ, ამიტომ ინგლისთან ჩვენი დამოკიდებულება არსებითად არ შეიცვლება. რუსეთისა და ინგლისის ურთიერთდაპირისპირება და წინააღმდეგობა წინანდებურად რჩება, მაგრამ ინგლისის ახალ მთავრობასთან დიპლომატიური ბრძოლა რუსეთისათვის მეტად მძიმე იქნება.

ლორდი ბიკონსფილდი არასოდეს მალავდა და ყოველი მოხერხებული შემთხვევის დროს აცხადებდა, რომ ის მტერია რუსეთისა და მთელ თავის ძალ-ღონეს გამოიყენებს იმისათვის, რომ შეაჩეროს მისი შემდგომი განვითარება. ეს პოლიტიკური სისტემა იმდენად ნათელი იყო, რომ ჩვენს დიპლომატებს არავითარი ილუზიები არა რჩებოდათ. ფრიად პატივცემული მისტერ გლადსტონი, ალბათ, უარს იტყვის დამოკიდებულებისა და გამოთქმების ამგვარი უხეშობისა და კადნიერების სისტემაზე, რომელიც შექმნა ლორდმა ბიკონსფილდმა. რუსეთისადმი სიძულვილზე ახლა სიტყვის დაცდენაც კი არ შეიძლება, ვინაიდან მისადმი სიყვარული ნათლად გამოიხატა ინგლისის ახალი მთავრობის ბროშურებსა და წარმოთქმულ სიტყვებში. მაგრამ ინგლისის ინტერესები ამით სრულიადაც არ დაიჩრდილება და მათი დაკმაყოფილება მიღწეული იქნება მძლავრი შეტევით, ოღონდ ყოველი მოძრაობა შეინიღბება კომპრომისის ფორმით. ლორდ ბიკონსფილდის შეცდო-

მებს, ცხადია, არ შეუძლიათ მისტერ გლადსტონის ან მარკიზ გარინგტონის კომპრომეტირება, ამიტომ ამ შეცდომების აღიარებით, ხოლო შემდეგ იმ შედეგების მიღწევით, რისთვისაც იღვწოდა ლორდი ბიკონსფილდი, მაგრამ ვერ მიაღწია თავისი ზედმეტი პირდაპირობის გამო, ახალი მთავრობა შეეცადა თავისი ავტორიტეტის ამაღლებას. ამიტომაც ჩვენი დიპლომატებისათვის, რომლებიც ძალიან გულდამშვიდებით ეპყრობიან ინგლისს, იოლი არ იქნება ბრძოლა მისტერ გლადსტონის მეგობრობასა და სიყვარულთან...

33. პირველი ქართული ლექცია

„ყოველი ახალი წამოწყება, ყოველი პირველი ნაბიჯი მოითხოვს ლმობიერ დამოკიდებულებას,“—ამბობენ ჭკვიანი ადამიანები... ამას ვიმეორებთ ჩვენც, უბრალო მოკვდავნი! ეს წარმონათქვამი მეტად ბრძნულია და იგი არავისთვის არაა სადავო. მაგრამ მეტისმეტად ხშირად და საკუთარი თავის საზიანოდ ხომ არ ვიყენებთ ამ წესს ქართველები? უნდა წავახალისოთ პირველი ნაბიჯები, მაგრამ ვისი?—ბავშვებისა, ფიქრობს და ლაპარაკობს თითოეული ჩვენგანი. მაგრამ ვის შეუძლია ბავშვის წახალისება? რასაკვირველია, უფროსებს. ოღონდ ბავშვმა თვითონ არ იცის, რომ იგი წახალისებას იმსახურებს; ის არ თხოულობს წახალისებას. პირიქით, ის თავის პირველ ნაბიჯებს აკეთებს სიამაყით, რწმენით... იწყებს თუ არა კითხვას ან წერას, იგი საქმეს ხელს ჰკიდებს სრული სერიოზულობითა და გულისყურით, ბავშვს შექებისა და წახალისებისას თავი უფროსივით უჭირავს და სრულიადაც არ ფიქრობს, რომ ეს ქება და წახალისება მისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულების შედეგია. კაცმა რომ თქვას, სწორედ ეს ბავშვური სიამაყე იწვევს ასეთ მართებულ წახალისებას, ვინაიდან მასში იგრძნობა რაღაც ძალა, რომელმაც მომავალში სერიოზული შედეგები უნდა მოგვცეს.

მაგრამ რას უნდა მიგვანიშნებდეს ის გარემოება, რომ ადამიანები, რომელთაც ესმით რომ პირველი ნაბიჯები წახალისებას საჭიროებენ, მოითხოვენ, რომ მათ შემწყნარებლურად მოეკიდონ ყველა საქმეში, უფრო მეტიც, წახალისებასაც მოითხოვენ? ეს ხომ სრულ უძლურებას მოასწავებს? განა სიმართლე არაა, რომ რა კარგი საქმეც უნდა წამოვიწყოთ ჩვენ, ქართველებმა, სანამ ჯერ კიდევ ხელს მოვკიდებდეთ მას, უკვე გავყვირით: „ბატონებო, ეს პირველი ნაბიჯია, იყავით მოწყალენი და, თუ თქვენთვის ძვირფასია ეს საქმე, რადაც არ უნდა დაჯდეს, შეგვაქეთ, სხვანაირად თქვენ მას დაღუპავთ, თუ ვინმე გაბედავს და კრიტიკულად მიუდგება მას, ის ცუდის მოსურნეა, იგი მტერია როგორც ამ საქმისა, ისე მთელი ჩვენი საზოგადოებისა“ და ა. შ.

ჩვენ ხომ სწორედ ასეთი წინასიტყვაობით ჩავიფიქრებთ ხოლმე ყოველგვარ საქმეს, შევუდგებით მის აღსრულებას და მათვე ვამთავრებთ.

მაგრამ განა საქმისადმი ასეთი დამოკიდებულებით თავს არ ვირყვნით? განა ამით ჩვენივე თავი საფუძვლიან და ქრონიკულ უძლურებამდე არ მიგვყავს? ბუნებას აკი უამისოდაც არ დავუტოვებივართ საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების უნარით. ამას კიდევ ემატება ეს „შემწყნარებლობის მოთხოვნილება". თანდათანაბით, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, ეს თანდაყოლილი გულგრილობა გადასვლას იწყებს თავაშვებულებაში. საუბედუროდ, ჩვენ შორსა ვართ იმ შეგნებისაგან, რომ საჭიროა იყო მკაცრი და მომთხოვნი როგორც საკუთარი თავის, ისე ერთმანეთის მიმართ. და იგივე ითქმის ყოველი ჩვენი ნაბიჯის მიმართ, პირველი იქნება იგი თუ მეასე. აუცილებელია კრიტიკული მიდგომა ყველა წამოწყებისადმი, თუ ჩვენთვის ნამდვილად ძვირფასია ეს საქმე, თუ ჩვენ პირველ ნაბიჯებს ვადგამთ სამშობლოს სასარგებლოდ და არა თვითდარწმუნების ან ნერვებში სასიამოვნო ღიტინისათვის...

და, სერთოდ, საჭიროა გავარკვიოთ, ვინ დგამს პირველ ნაბიჯს. გასაგებია, რომ როცა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე პირველად გამოდის ყმაწვილი, მაშინ თავისთავად ცხადია: რომ მისი მკაცრად შეფასება, ისე როგორც უფროსი კაცისა, არ შეიძლება. იგულისხმება, რომ მას მოეთხოვება მხოლოდ ის, რისი მოცემაც შეუძლია მისი ასაკის ადამიანს, მაგრამ, თუ საზოგადოება მოიღებს ასეთსავე მოწყალებას ერთ-ერთი თავისი გამოჩენილი მოღვაწის, ანუ ისეთი ადამიანის მიმართ, რომელსაც ბევრი, ასე ვთქვათ, საზოგადოების წარმომადეგნელს უწოდებს, განა ამით არ დამცირდება როგორც ეს წარმომადგენელი, ისე საზოგადოება, რომლის წარმომადგენელიც ისაა?

სამწუხაროდ, ჩვენ ქართველები, შევეჩვიეთ მოვიქცეთ სახელდობრ ამნაირად. ყოველთვის მოვითხოვთ მოწყალებას ყველა საქციელის, ყოველგვარი წამოწყებისა და ცდის დროს და თითქმის ყველა ჩვენი მოღვაწეს მიმართ ვიყენებთ ისეთ წესებს, რომლებიც მხოლოდ ბავშვებს შეეფერებათ, ხოლო, თუ საკუთარ თავსა და ჩვენს წარმომადგენლებს ჩვენ თვითონვე ვთვლით ბავშვებად, განა გასაკვირი იქნება, რომ დანარჩენებმაც არაფრად ჩაგვაგდონ?

არა, დროა მოვიცილოთ ბავშვის სახვევები და ჩვენს საქმეებსა და მოღვაწეებს იმ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ღირსებითა და სერიოზულობით მოვექცეთ, რომელიც, საბედნიეროდ, დიდი ხანია, რაც ბავშვობის ასაკიდან გამოვიდა.

ყველა ამ მოსაზრების შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, რა განაწყენებული დავრჩებოდით შაბათს, პირველ ქართულ ლექციაზე, როცა მსმენელთ მივმართეთ კითხვით: „რას იტყვით, როგორ მოგეწონათ ლექცია?“ ჩვენ ყოველი მხრიდან თითქმის ერთადერთი პასუხი მივიღეთ: „არა უშავს რა, ეს ხომ პირველი ნაბიჯია, უთუოდ უნდა მოვიწონოთ.“

სახალხო ლექცია ქართულ ენაზე პირველი ნაბიჯია და ნამდვილად ისეთი სასიხარულო, რომ არ შეიძლება სულითა და გულით არ შეაქო იგი. ეს იდეა იმდენად შესანიშნავია, იმდენად სასიხარულოა ყოველი ქართველისათვის, იმდენად აღავსებს მას გულწრფელი მადლიერების გრძნობით ბატ. წერეთლისადმი, რომ ახლა როგორღაც ბანალურად გვეჩვენება ამის ხმამაღლა გაცხადება. სახელი და დიდება ბატ. წერეთელს ამ ნაბიჯისათვის, რომელიც ჩვენში აქამდე რატომღაც არავის გადაუდგამს. ეს ცდა, ისევე როგორც ყველა კარგი საქმე, ალაბათ, თავის გარშემო შემოიკრებს მრავალ მიმდევარს. ჩვენი აზრით, ეს იქნება ლექტორის მთავარი დამსახურება, შეუდარებლად უფრო ძვირფასი, ვიდრე ყველა ის ქება-დიდება, რომელიც მისი მისამართით შეიძლება დაიბეჭდოს ან სიტყვიერად წარმოითქვას.

განა მკრეხელობაა ჩაუფიქრდეთ საკითხს—როგორ გადადგა ბატ. წერეთელმა თავისი პირველი ნაბიჯი, ან შეიძლება თუ არა მოვითხოვოთ მისგან, რომ ამას შემდეგ მან მტკიცე ნაბიჯი გადადგას და არა უხეირო და წინდაუხედავი?

ჩვენ ვფიქრობთ, და „ობზორის“ მკითხველები ადვილად დაგვეთანხმებიან, რომ ყოველი უფროსი ადამიანისათვის, და, მაშასადამე, ბატ. წერეთლისათვისაც, მისი საქმეებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება ათასჯერ უმჯობესია და ღირსეული, ვიდრე შემწყნარებლური წახალისება. სინამდვილეში არაფერი არაა იმაზე იოლი, რომ ცდუნებამ აგიტანოს, მიიღო ეს შემწყნარებლური წამახალისებელი ტონი, თავზე ხელი გადაუსვა ლექტორს და დუმილით აუარო გვერდი მისი ლექციის ყველა ნაკლოვანებასა და შეცდომას. მაგრამ თვით ფრაზა „პირველი ქართული ლექცია“ გულისხმობს, რომ შემდეგაც წაიკითხავენ ლექციებს. ამიტომ დასაშვებია თუ არა მივიჩნიოთ რომ, როგორც ბატ. წერეთლის, ისე სხვათა ქართული ლექციები იმსახურებენ ბეჭდვითი სიტყვის ამგვარ ქედმაღლურ დამოკიდებულებას? პირადად ჩვენ, ასე სრულიადაც არ ვფიქრობთ.

სანამ შევეხებოდეთ ბატ. წერეთლის ლექციის არსს, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ ლექციის გარეგნულ მხარეზე. თვით წასაკითხი თემა შესანიშნავი იყო. საზოგადოება, გარდა იმისა, რომ ძალზე კარგად იყო განწყობილი ლექტორის მიმართ, ასევე მეტისმეტად იყო დაინტერესებული ლექციის საგნით, მაგრამ, მიუხედავად თავისი მდგომარეობის ყველა უპირატესობისა, ლექტორმა მაინც ვერ შეძლო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა. ლექციის კითხვისას არცერთხელ არ შეგვიმჩნევია, რომ ხალხში გაელვებულიყოს ის ელექტრული ნაპერწკალი, რომელიც აერთებს ხოლმე ასობით და ათასობით ცალკეულ პიროვნებას და ერთ მთელად აქცევს მათ. ღვთიური ნაპერწკლისა თუ იმ წმინდა ცეცხლის შესახებ, რომლებიც ამაღლებენ საზოგადოებას და სრულიად ახალ ჰორიზონტებს გადაშლიან მის წინაშე, ლაპარაკიც არა ღირს. ვიმეორებ, რომ ლექტორმა მსმენელთა ყურადღების მიპყრობაც კი ვერ შეძლო. მაგრამ რატომ მოხდა ასე? აი, რატომ, იმისათვის, რომ ერთმა ადამიანმა შეძლოს მსმენელთა მთელი მასის დაუფლება, ეს მასა უნდა გრძნობდეს გარკვეულ ძალას და ეს ძალა უნდა ფლობდეს მას. ასეთი შედეგის მისაღწევად კი ლექტორი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავს, ანუ საკუთარ აზრებს, უნდა ფლობდეს. ბატ. წერეთლის პიროვნებაში კი არაფერი ამის მსგავსი არ იგრძნობოდა. მისი საუბრის მანერა, ერთი აზრიდან მეორეზე გადასვლა, მისი არგუმენტაციები, ყველა მისი ხერხი, თვით რუკაზე მითითებაც კი, ერთი სიტყვით, ყველაფერი რაღაც არაჩვეულებრივ უძლურებას ასხივებდა... საზოგადოებამ ერთბაშად იგრძნო ეს. ამის გამო ის კეთილმოსურნეობა, რომლითაც გამსჭვალული იყო საზოგადოება ქართულ ენაზე პირველად წაკითხული ლექციისა და პირველი ქართველი ლექტორისადმი, თუმცა ბოლომდე იქნა შენარჩუნებული, მაგრამ, სამაგიეროდ, აღფრთოვანებაში არ გადასულა, რადგან აღფრთოვანება შეეძლო გამოეწვია მხოლოდ ოსტატურად ჩატარებულ ლექციას. ლექტორს კარგად ვერ გაურკვევია, რა არის საჯარო, პოპულარული ლექცია. მას ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონოდა ის გარემოება, რომ მის წინაშე იყო არა უნივერსიტეტის აუდიტორია, რომლისთვისაც მნიშვნელოვანი და საინტერესოა ყოველგვარი მეცნიერული წვრილმანები. ჩვენი საჯარო ლექციებისათვის უმთავრესად საჭიროა საერთო დასკვნები, საჭიროა მეცნიერული მო-

ნაცემების მხატვრული გაშუქება. მაგრამ ჩვენმა ლექტორმა არამცთუ მოსაზრებულად ვერ გამოიყენა თავისი მასალა, არამედ დაახლოებითაც კი ვერ გამოიანგარიშა ლექციისათვის განკუთვნილი დრო. როგორც წესი, საჯარო ლექცია ყველგან საათი და 15 წუთი, შესვენებით ორი საათი გრძელდება, ხოლო ბატ. წერეთლის ლექციის მხოლოდ პირველი ნახევარი თავისი შესვენებით მთელი სამი საათით გაგრძელდა, რის გამოც მეორე ნახევარი მთლიანად ამოღებულ იქნა, დასასრულის გარდა...

ახლა ორიოდე სიტყვა ვთქვათ ჩვენი საზოგადოების შესახებაც. ქართველ საზოგადოებას ერთი შესანიშნავი თვისება აქვს—გულისხმიერად მოეპყროს ყოველ კეთილსა და კარგ საქმეს. უნდა გენახათ, რა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა იგი ლექტორს. საზოგადოება მისი სახით მიესალმა პირველ ქართულ ლექციას. ასეთივე თანაგრძნობა გამოხატა საზოგადოებამ ლექციის დამთავრებისას (სამწუხაროდ მხოლოდ, რომ სურვილის საწინააღმდეგოდ, საზოგადოებას ეტყობოდა მოდუნება და, ასე გასინჯეთ, გულგატეხილობაც). ერთი სიტყვით, ქართულ საზოგადოებას შეუძლია უცებ შევიდეს აზარტში, მაგრამ, სამწუხაროდ, მას ასევე სწრაფად უტყდება გული. ერთი წუთის განმავლობაში ჩვენ შეგვიძლია ჩავიდინოთ ყოველგვარი გმირობა, მაგრამ, სამაგიროდ, ჩვენგან ნუ მოითხოვთ გამძლეობას: ერთი წუთით ავინთებით და მაშინვე ვწყნარდებით, თითქმის საქმე გაკეთდა, თითქოს ძალიან დავიქანცეთ. ამ შემთხვევაშიც, თუ გამოვალთ იმ აღფრთოვანებიდან, რომლითაც საზოგადოება შეხვდა პირველ ქართულ ლექციას, შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ ეს პირველი ლექცია არ იქნებოდა უკანასკნელი, რომ გამოჩნდებოდნენ ინიციატორები, რომლებიც მოაწყობდნენ მთელ რიგ ასეთი ტიპის საჯარო ლექციებს. მაგრამ განა საჭიროა იმის თქმაც, რომ ჯერჯერობით ამის შესახებ არავინ ფიქრობს? აღფრთოვანდნენ და დამშვიდნენ, თითქოს ეს საკმარისი იყოს...

ახლა გადავიდეთ თვით ლექციის შინაარსზე.

ბატ. წერეთლის ლექციის ძირითადი თემა იყო ის იდეა, რომ საქართველო სერიოზულ როლს ასრულებდა ძველი სამყაროს ცხოვრებაში და მნიშვნელოვან მონაწილეობას ღებულობდა იმ დროის საერთაშორისო ურთიერთობებში. ეს აზრი, ცხადია, არ მოითხოვდა არავითარ განსაკუთრებულ მტკიცებებს: საჭირო

იყო, ერთის მხრივ, ჩვენი სამშობლოს გეოგრაფიულ მდგომარეობაზე და, მეორეს მხრივ, მის სიცოცხლის უნარიანობაზე მითითება და მიზანი სავსებით მიღწეული იქნებოდა. იმ პირთათვის, რომლებიც იცნობენ ძველი მსოფლიოს ისტორიას, მტკიცებანი ზედმეტი იყო, ხოლო საზოგადოების უმრავლესობისათვის კი ისინი ნამდვილად დამქანცველი გამოდგა. მასას სჭირდება ცოცხალი და ზედაპირული ნარკვევის ფორმით შეხსენება ძველი საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტებისა. ესაა და ეს!

ბატ. წერეთელს ეს მხედველობიდან გამორჩა. მან მოინდომა პრობლემის სრული მონოგრაფიულობით წარდგენა და ეშინოდა თუნდაც ერთი წვრილმანი ფაქტის გამორჩენისა. ასეთი მონოგრაფიები კი შეიძლება აინტერესებდეს მხოლოდ უნივერსიტეტის აუდიტორიას, მაგრამ, თუ ბატ. წერეთლის ლექციას ამ უკანასკნელი თვალთახედვით შევხედავთ, ე.ი. თუ მას კრიტიკულად მივუდგებით, ვშიშობთ, რომ ხელში აღარაფერი შეგვრჩება...

მთავარი შენიშვნა, რაც თვალში ხვდება ადამიანს, ესაა ფაქტებისა და მათგან გამომდინარე დასკვნებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების სრული უქონლობა. ბატ. წერეთელი, როგორც ჩანს, ისტორიის დამუშავების საკითხში პოგოდინსა, ბუსლაევსა და მათ მსგავს ადამისდროინდელ მეიგავარაკეებზე შორს არ წასულა. მას თავგზა აუბნია გრიმების, ბოპის, მაქს-მიულერისა და სხვა ნოვატორთა პირველმა ნაბიჯებმა. იმისათვის, რომ ჰიპოთეზა გამოეთქვა, რომელიც ეწინააღმდეგება მეცნიერების ყველა მონაცემსა და საღ აზრსაც კი, მისთვის საკმარისი იყო, ვთქვათ, მხოლოდ დამთხვევა სიტყვებისა, ან მხოლოდ ერთი ქარაგმული მინიშნება, მაგალითად, ისტორიულ მეცნიერებაში, მგონი, საკმარისი სიცხადით არის გარკვეული საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ იყო მითრიდატე პონტოელი, სად ცხოვრობდა, საიდან იღებდა ძალებს, ვის ეყრდნობოდა და ა.შ. ვფიქრობ, დღესავით ნათელია, რომ მიუხედავად დროდადრო ქართველების მონაწილეობისა მის არმიაში, საქართველო მაინც არ იყო ის ქვეყანა, სადაც მას ჰქონდა დასაყრდენი, ბაზისი და საცხოვრებელი... მაგრამ ბატ. წერეთელი არ შეჩერებულა ამ მოსაზრებაზე. მისთვის საკმარისია რომელიღაც ხელნაწერიდან დამოწმებული კრიტიკულად დაუმუშავებელი გადაკრული სიტყვა იმის თაობაზე, რომ მითრიდატეს ვაჟს

თითქოს მახარე ერქვა, რომ მითრიდატე ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქართველთა მეფე იყო, ამიტომაც შეარქვა თავის შვილს ქართული მოსაფერებელი სახელი მახარე. მითრიდატეს ქართველობაზე თავისი თეორიის ასაგებად ბატ. წერეთელი იგონებს თქმულებას მეფის ვაჟის მიერ რომაელებისათვის მამის ცხედრის გადაცემის შესახებ და ამ თქმულებას ადარებს თანამედროვე სოფლის სიმღერას:

„აპრუწვით არის მახარა:
ტყეში ვენახი ჩაყარა,
მოვიდა დედას ახარა,
დედამ ნაცარი აყარა“

ბატ. წერეთელი გვარწმუნებს, რომ მას გაუგონია მეორე ვარიანტი ამ სიმღერისა, რომელშიაც ნაცვლად სიტყვებისა „ტყეში ვენახი ჩაყარა“ („გააშენა ვენახის ბაღი ტყეში)*, შემდეგი სიტყვებია: სამარე გაუთხარა მამას! მაგრამ რომ აღარაფერი ვთქვათ ამგვარი ვარიანტების უსასრულოდ თხზვის შესაძლებლობაზე და კიდეც რომ დავუშვათ სრული უეჭველობა უკანასკნელი რედაქციისა, შევეკითხოთ ქართული ენის ნებისმიერ მცოდნეს: განა თვით ფაქტურა ამ ლექსებისა, მათი ენა ცხადად არ გვიჩვენებს, რომ ეს სიმღერა შეთხზულია მეცხრამეტე ან მეთვრამეტე საუკუნეებში და არავითარ შემთხვევაში პომპეუსისა და მითრიდატეს ეპოქებში? მაგრამ ერთი მოგესმინათ, რა დასკვნები გააკეთა ბატ. წერეთელმა ასეთი შედარებისაგან. ქართველ ხალხს უსაზღვროდ „უყვარდა“ მითრიდატე, ხოლო ეს უკანასკნელი მთლიანად ქართველებს უნდა უმადლოდეს ყველაფერს და ღმერთმა უწყის კიდევ რა...

ზუსტად ასევე ქარაფშუტულად ეპყრობა ბატ. წერეთელი სიტყვებისა და სახელების თანხმიანობას. მისთვის სრულიად საკმარისია სულ მცირე მსგავსებაც კი საკუთარი სახელების ბგერებში, რომ გამოიტანოს აშკარად უაზრო დასკვნა. ვთქვათ, თუ იგი მცირე აზიაში მიაგნებს გეოგრაფიული პუნქტის ისეთ სახელწოდებას, როგორც ჩანს, ბერძნული წარმოშობისას, როგორიცაა, მაგალითად, „პანავრისი“. მისთვის ნათელია, რომ ეს სხვა არაფერია, თუ

* ცუდ გუნებაზეა მახარი: მან ვაზი გააშენა ტყეში და ამის შესახებ აცნობა თავის დედას, რომელსაც არ შეუქია იგი.

არა „თაფარავანი“, „ტბორი“, „ტბა“... ან ამოიკითხავს გზის სახელწოდებას—„პიკსილის“, ან XIV საუკუნის რომელიღაც მოგზაურის მიერ დაწერილ „პეხინს“, ბატ. წერეთლისათვის კვლავ ცხადია, რომ ეს ქართული სიტყვაა—„ფეხის-გზა“. მცირე აზიაში, სადაც არც ახლა არის, არც წინათ იყო რკინიგზები და შარაგზები, და სადაც გზათა დიდი ნაწილი მხოლოდ ფეხით სასიარულოდ გამოდგება, ძნელი არაა ბილიკის გამოძებნა, ბატ. წერეთელი აცხადებს რომ, „პიკსილისი“—ქართული სახელწოდებაა ადგილმდებარეობისა მცირე აზიაში. ან კიდევ, რომელიღაც ისტორიკოსი იხსენიებს ადგილმდგომარეობას—„მახელენ“. ცხადია, წერეთლის მიხედვით, ეს სახელი ქართული წარმოშობისაა—წარმომდგარი ქართული სიტყვის—„მოხელისაგან“. ბატ. წერეთელმა მცირე აზიაში მოგზაურობის დროს ნახა ქალაქი, სადაც მრავალი მოხელე ცხოვრობს; ისინი ოსტატურად ქსოვენ აბრეშუმის ქსოვილს. ცხადია, ამ ქალაქს ძველ დროში მახელენ-ს უნოდებდნენ. ბატ. წერეთელს მოჰყავს მთელი რიგი ასეთი დასკვნებისა და აცხადებს: „ამრიგად, შეიძლება დაიძებნოს ქართული ფუძე და წარმოშობა მცირე აზიის ყველა სახელწოდებასა და სახელში“. უნდა ვიგულისხოთ, რომ ეს შესაძლებელია არა მარტო მხოლოდ მცირე აზიის გეოგრაფიული სახელების მიმართ, არამედ—მთელი ქვეყნიერების მიმართაც. არის გერმანიაში ქალაქი „მეც“. ცხადი არ არის, რომ ესაა ქართული სიტყვა „მეც“, რუსულად რომ „ия“-ს ნიშნავს? ზემო იმერეთის მოსახლეობაში ძალზე გავრცელებულია ერთი ლეგენდა აღმოსავლეთის რომელიღაც მეფის შესახებ, რომელსაც ციხესიმაგრის აღება უნდოდა და ციხისთავის დაშინების მიზნით გაგზავნა დესპანი.

—ჩვენი მეფე მამაცი და შეუდრეკელია,—თქვა დესპანმა.

—მეც,—უპასუხა კომენდანტმა.

დასკვნა: „მეც“ აუგიათ ქართველებს და ქართველური ტომები ცხოვრობდნენ ლოტარინგიაში.

ამერიკაში არის ქალაქი ვაშინგტონი. ფონეტიკის წესების მიხედვით ბგერა „ი“ ხშირად გადადის ბგერა „უ“-ში და, პირიქით. ვიღებთ რა ამას მხედველობაში, შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ „ვაშინგტონი“ და „ვაუიგტოვე“, „ვაუივტოვე“ ერთი და იგივეა. გვაქვს ცნობილი ქართული ლეგენდა იმის შესახებ, რომ რომელიღაც ციხესიმაგრის აშენებისას მის საძირკველში ჩაატანეს ქვრივი ქალის ერთადერთი ვაჟი. სიტყვები „ვაუიგტოვე“,

„ვაუიგიტოვე“ ქართულ ენაზე ნიშნავს „დაგვიტოვე შენ შვილი“. განა ცხადი არ არის, რომ „ვაშინგტონი“—შეერთებული შტატების დედაქალაქი—ააშენეს ქართველებმა და რომ ქართველური ტომები ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ ამერიკაში?

აი, ბატ. წერეთლის ხერხების, მეთოდებისა და დასკვნების რელიეფური გამოსახულებანი!

ბატ. ვ. ლამანსკიმ თავის ცნობილ თხზულებებში „სლავები მცირე აზიაში, იტალიასა და ესპანეთში“ გამოიყენა სწორედ ასეთი კურიოზული მეთოდი სლავი ხალხების სასარგებლოდ. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ისტორიულ მეცნიერებასთან დამოკიდებულების ამგვარი მანერა სამუდამოდ დამარხული აღმოჩნდებოდა, ხოლო ბატ. ლამანსკი იქნებოდა მისი უკანასკნელი მოჰიკანი. ჩანს, შევცდით! ახლა ჩვენში ბატ. წერეთელი საქართველოს გულისათვის იმეორებს ბატ. ლამანსკის ბედშავ აზრებს.

აღარაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რამდენად ბავშვური და გულუბრყვილოა ასეთი ხერხები. შევნიშნავთ მხოლოდ ერთს. პირადად ჩვენ, რასაკვირველია, ეჭვი არ გვეპარება ძველი მსოფლიოს ცხოვრებაში საქართველოს სერიოზულ როლზე. ჩვენ ვიცნობთ ბატ. წერეთლის მსმენელთ, რომლებიც მის ლექციაზე მოვიდნენ ზუსტად რწმენით, ოღონდ ლექციის შემდეგ მათ აზრი შეეცვალათ, ისინი თავგზააბნეულები გამოვიდნენ ლექციიდან. თუ საჭიროა ამგვარი გაზვიადება, გვეუბნებოდნენ ისინი, ამგვარი ძალდატანება ფაქტებზე, რაიმე აზრის დასასაბუთებლად, მაშინ განა ცხადი არაა, რომ ეს აზრი სრულიად უსაფუძვლოა? და რომ მისი სერიოზულად დასაბუთება შეუძლებელია? ასეთი შედეგისათვის იღვწოდა ბატ. წერეთელი?

ჩვენ კი ვიცით რა, როგორი სოლიდური და უდავო საფუძველი აქვს ამ აზრს, ერთხელ კიდევ გამოვთქვამთ სინანულს, რომ ბატ. წერეთელმა ვერ შეძლო ერთ ნათელ მხატვრულ ორგანიზმად გამოესახა ყველა ასეთი სოლიდური საფუძველი და მოისურვა, ღმერთმა უწყის რატომ, გამოჰკიდებოდა არასერიოზულ, უსაფუძვლო, არაფრით დასაბუთებულ ჰიპოთეზებს, რომელთა შესადგენად და დასამტკიცებლად საჭიროა ფრიად რიგიანი ცოდნა, საღი აზრი და კრიტიციზმი.

დასასრულ, ვისურვებდით, რომ ბატ. წერეთელსა და სხვა ქართველ ლექტორებს შემდგომში უფრო მტკიცე და უნარიანი ნაბიჯები გადაედგათ.

34. ჩვენი სამიწათმოქმედო ბანკების შესლა-შემოსლა

- I

იმის გამო, რომ ქუთაისისა და თბილისის სათავადაზნაურო სამიწათმოქმედო ბანკებს შორის ატეხილმა პოლემიკამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია, აუცილებლად ვთვლით, ვიდრე ჩვენს აზრს გამოვთქვამდეთ ამ საქმის შესახებ, მკითხველებს გავაცნოთ ის სტატიები, რომლებიც იბეჭდებოდა ამ საკითხზე ქართულ გაზეთ „დროებაში“[1].

ორი ქვემომოტანილი სტატია მიმდინარე წელს დაიბეჭდა მოწინავეების სახით „დროების“ 35_ე და 38-ე ნომერებში. ამ სტატიებმა, რომლებიც თბილისის ბანკის ინტერესების გამომხატველია, გამოიწვია ქუთაისის ბანკის გრძელი პასუხი, რომელსაც აგრეთვე წარვუდგენთ ჩვენს მკითხველებს ხვალ ან ზეგ. აი, „დროების“ სტატიები:

„ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკს ნება დართო მთავრობამ იმოქმედოს ტფილისის გუბერნიაშიც, ესე იგი, ამ გუბერნიის მამულებიც დაიგირავოს ხოლმე და ფული სესხად აქაც გაჰ-სცეს. ქუთაისის ბანკს დღესა თუ ხვალ ეგ უსათუოდ უნდა მოეხდინა. უწინდელი სამოქმედო ასპარეზი, სახელდობრ ქუთაისის გუბერნია სამეგრელოთი და აფხაზეთით, ჯერ კიდევ კარგა ხანს, სხვადასხვა მიზეზისა გამო, ვერ გაასაღებდა იმოდენა კრედიტს, რამოდენაც ხსენებულს ბანკს შეეძლო გაეცა და უქმად დება კრედიტისა არ იყო სასარგებლო არც ქვეყნისათვის და არც ბანკისათვის__ამ გარემოებამ იძულებული ჰყო ქუთაისის ბანკი და ათხოვნინა, ტფილისის გუბერნიაზედაც განავრცოს თავისი მოქმედება და მთავრობამაც, როგორცა ვსთქვით, ნება დართო.

ამ სახით ერთსა და იმავე ადგილზედ დღეის ამას იქით იმოქმედებს ორი ბანკი ხან-გრძლივის კრედიტისა; ქუთაისის თავად-აზნაურებისა და ტფილისისა. კეთილს რასმეს მოასწავებს ეს ამბავი თუ არა? უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ამბავი კეთილის მომასწავებელია, თუმცა უარს არავყოფთ, რომ შესაძლოა ეგ ამბავი დიდის ბოროტის სათავეთაც გახდეს. ერთიცა და მეორეც იმაზეა დამოკიდებული, როგორ მოიქცევიან ეს ორი ბანკი შემდეგში. შეუძლებელია, რომ ორთა შუა ცილება არ მოხდეს და ცილებას ბევრი კარგი ნაყოფი გამოაქვს ხოლმე, როცა ცილებას სარჩუ-

ლად უდევს კეთილ-სინდისიანობა, როცა ცილება თვითონ საცილობელის საგნის განკარებაზეა თუ გაიაფებაზეა მიქცეული.

ხან-გრძლივის კრედიტის განკარგება თვითონ ბანკების გამგეობაზედ ისე არ არის დამოკიდებული, როგორც უმაღლესს მთავრობაზედ. ყოველივე ცვლილება ამ მხრით მოითხოვს საერთო სისტემის ცვლილებას, ერთხელ და ერთხელ მთავრობისაგან მიღებულისას და დამტკიცებულისას და ამიტომაც მრავალი მეცადინეობა რუსეთის ხან-გრძლივის კრედიტის ბანკებისა ჯერ დრომედ უქმად არის დარჩენილი. ამ სახით ჩვენს ბანკებს მარტო ერთად-ერთი ღონისძიებაღა აქვთ. თავისის ცილების სიკეთე გამოიჩინონ. ეგ ღონისძიება იმაშია, რომ კრედიტი, რამოდენადაც შეიძლება, იაფად დაუსვან მამულის პატრონებსა. იაფად დასმა კრედიტისა მარტო ერთის გზით შეიძლება და ეგ გზა მარტო გირაოს ფურცლის ფასის აღმატებაა, იმიტომ, რომ რამოდენადაც გირაოს ფურცლის ფასია დიდი, იმოდენად თავნიც დიდია და სარგებელი კი ერთი და იგივე რჩება. ამის გარდა, სხვა სიკეთე ხანგრძლივის ბანკების ცილებისაგან ჯერხანად საგულისხმო არ არის და ეგეც რომ შეჰსძლონ ჩვენმა ბანკებმა, დიდი საქმეა, დიდი სიკეთეა.

გირაო ფურცლის ფასის აღმატება ორ სხვა-და-სხვა გვარ მიზეზთაგან წარმოსდგება. ერთ გვარნი მიზეზნი ბანკის გამგეობის ხელთ არ არის, იგინი ბანკის გარედ არიან და საერთოდ ეკონომიურის მეტ-ნაკლებობისაგან იბადებიან. მეორენი კი ბანკის გამგეობაზედ არიან პირდაპირ დამოკიდებულნი.

ჩვენ, რასაკვირველია, მარტო იმას მივაქცევთ ყურადღებას, რაც ჩვენის ბანკების ხელთ არის, რაც პირ-და-პირ მათზეა დამოკიდებული, რომ ფული სიფრთხილით იყოს გაცემული და გირაოდ მიღებულმა მამულმა შეიძლოს ყოველს შემთხვევაში ააყენოს ვალი უნაკლულოდ და უზარალოდ. თუ ამ მხრით ბანკმა აბრუ არ გაიტეხა, მისი გირაოს ფურცლები, რომელთ თამასუქად და იმედად მარტო გირაოდ მიღებული მამულია, ფასი უსათუოდ აიწევს, თუ, რასაკვირველია, სხვა გარეშე მიზეზნიც შესწევენ და თუ გაიტეხა, გარეშე მიზეზნიც რომ ხელს უწყობდნენ, მათი ფასი უეჭველად დაიწევს, მაშასადამე, ცილება ამ ორის ბანკისა, თუ სიკეთე უნდათ, იმაში უნდა გამოჩნდეს, რომ მამულების ფასი დაფასების დროს ჭეშმარიტებით განსაზღვრონ ხოლმე.

ვინ არ იცის, რომ უმრავლესი ნაწილი მსესხებელთა იმის მონატრეა, მამული რაც შეიძლება ძვირად დააფასებინოს და ბევრი გამოიტანოს ბანკიდამ. ბანკს კიდევ ის ენატრება, რაც შეიძლება ბევრი სესხი გასცეს, რადგანაც მოგების რაოდენობა ამაზეა დამოკიდებული. ერთის მხრით ნატვრა ბანკისა, რომ ბევრი მსესხებელი იყოლიოს და მეორეს მხრით მსესხებელისა, რომ რაც შეიძლება ძვირად დააფასებინოს მამული, აი, ის ჩანგალი, რომელზედაც ცილება ზედ წააგებინებს თავს ბანკსაც და მსესხებელსაც.

აი, ეს არის ის ფართო მოედანი, რომელზედაც ცილებას შეიძლება მრავალი ბოროტი მოჰყვეს, თუ ეს ორი ბანკი ერთმანეთს ამ მოედანზედ გაეჯიბრებიან და შეეჭიდებიან, მოგვერდათ ის უნდა იხმარონ, რომ მსესხებლის ხშირად წინდაუხედავს ნატვრას დიდი ავალა მიჰსცეს და წააქეზონ, რადგანაც მარტო ამ ნატვრის წაქეზებით შეიძლება მსესხებელის მოპოვება და გადმობირება.

ამ წაქეზებისათვის ქუთაისის ბანკს უფრო დიდი უპირატესობა აქვს ტფილისის ბანკის წინაშე. შემდგომში ამ საუბედურო უპირატესობაზედ მოვილაპარაკებთ „დროება", 14 თებერვალი.

„ჩვენ ამას წინათ აღვნიშნეთ ის უკეთურების მოედანი, საცა ცილება ტფილისის საადგილ-მამულო ბანკისა და ქუთაისისა შეიძლება ერთმანეთს შეხვდნენ, თუ ამ ორივე ბანკის წინასწარი გამჭრიახობა დაძინებული იქნება. ისიც ვჰვსთქვათ, რომ ამ ცილებაში შეიძლება გამარჯვება დარჩეს ქუთაისის ბანკს. რადგანაც მას ერთი საუბედურო უპირატესობა აქვს ტფილისის ბანკის წინაშე, იმისთანა უპირატესობა, რომლის მეოხებითაც შესაძლოა თვითონ ბანკმა თავისი საკუთარი ნაწლავები დაიწყვიტოს.

ამ ჟამად სწორედ ამ უპირატესობაზედ გვინდა მოვილაპარაკოთ. ქუთაისის ბანკს საზოგადო კრებისაგან დამტკიცებულ ინსტრუქციაში აი, სხვათა შორის რა მუხლი უწერია ქალაქის მამულების დაფასების შესახებ. დამფასებელმა წმინდა შემოსავალი ქალაქის მამულისა უნდა განსაზღვროს და განსაზღვრული რაოდენობა შემოსავლისა ერთი თექვსმეტად და ორი მესამედათ აქციოს და ამ გვარად ქცეული შემოსავალი უნდა იყოს მამულის ნამდვილი ფასი. ამ სახით ქალაქის მამულს რომ წელიწადში ცხრა თუმანი ჰქონდეს წმინდა შემოსავალი, ქუთაისის ბანკს შეუძლიან დააფასოს ის მამული 1500 მან. ქუთაისის ბანკს წესდება ნებას

აძლევს 60% მიჰსცეს ამ რიგად გამოყვანილი ფასისა. მაშასადამე, ქუთაისის ბანკი იმისთანა ქალაქის მამულში, რომელსაც მარტო ცხრა თუმანი წმინდა შემოსავალი აღმოუჩნდება, ნება აქვს მისცეს 900 მან, რადგანაც ქუთაისის ბანკი მარტო 18%, 12 წლით აძლევს ამგვარს მამულებზედ სესხს, ყოველ წლიური ბანკში შესატანი სულ ერთიანად შეადგენს 94 მანეთს და 50 კაპ. ამ სახით მსესხებელმა ბანკის ვალის მოსაშორებლად დაგირავებული მამულის შემოსავლის გარდა კიდევ სხვათა ღონისძიება უნდა იხმაროს, რომ იქიდამ ოთხი და ათი შაური დააყაროს ვალის გადასახდელად და, თუ არ დააყარა, ბანკმა უნდა გაჰყიდოს მამული და იქედამ ააყენოს თავისი ფული. გაიყიდება ორმოც-და-ათ თუმნად ის მამული, რომელსაც მარტო ცხრა თუმანი აქვს შემოსავალი და გასავალი კი ცხრა თუმანი და ოთხი და ათი შაური? ვინ დააბანდებს ფულს ამისთანა მამულში?

ტფილისის ბანკს არ შეუძლიან ინსტრუქციის ძალით ზემოხსენებული მამული ორმოც-და-ათ თუმანზე მეტი დააფასოს, რადგანც აქ წმინდა შემოსავალი უნდა მარტო ერთი ათად იქცეს და არა თექვსმეტ და ორ მესამედად. წესდების ძალით ტფილისის ბანკის 60% აძლევს ამ რიგად გამოყვანილის ფასსაო. მაშასადამე, ტფილისის ბანკს შეუძლიან მისცეს მხოლოდ ორმოც-და-ათი თუმანი იმ მამულში, რომელშიაც ქუთაისის ბანკი ოთხმოც-და-ათს თუმანს მიჰსცემს. ეგ სესხი რომ 18 $^{7}/_{12}$ წლით იყოს მიცემული, ბანკში შესატანი წლის გარდასახადი შეადგენს სულ ერთიანად ხუთს თუმანს და ორ და ათს შაურს. ასე რომ, ვალის ამღებს კიდევ რჩება სამი თუმანი, შვიდი მანეთი და ათი შაური წლის შემოსავლიდამ, მის გარდა, რაც ბანკის ვალი ყოველ წლივ წაიღებს. აშკარაა, რომ ამ უკანასკნელს შემთხვევაში არც ერთი მსესხებელი თავის სახეიროდ არ დაინახავს მამული ხელიდამ გაუშვას და, თუ გაუშვებს, მაგ გვარად სუბუქად დატვირთულს მამულს მსყიდველი არ მოაკლდება. ვინ არ იყიდოს იმ მამულს ორმოც-და-ათ თუმნად, რომლის შემოსავალიც ორმოც-და-ათს თუმანს ვალსაც ისტუმრებს, და გარდა ამისა, 37 მან. 50 კაპ. ყოველ წლივ მოგება რჩება. რომ უფრო ცხადად დავინახოთ ამ შემთხვევაში ბოროტის მომასწავებელი უპირატესობა ქუთაისის ბანკისა ტფილისის ბანკის წინაშე, წარმოგიდგენთ ციფრების სქემას. ავიღოთ, მაგალითად, ისევ ის ქალაქის მამული, რომელსაც აქვს წმინდა შემოსავალი ცხრა თუმანი და ერთი და იგივე 18 $^{7}/_{12}$ წელი სესხის ვადად.

ქუთაისის ბანკი

ფასი	სესხი	წლის შემოსატანი
1500	900	94,50კაპ.

ტფილისის ბანკი

ფასი	სესხი	წლის შემოსატანი
900	500	52.50 კაპ.

ამისთანა უპირატესობა, რასაკვირველია, წაიტყუებს წინდაუხედავს მსესხებელს, რომლის ნატვრაც ის არის, რომ რაც შეიძლება ცოტა მამულზედ ბევრი მიიღოს ბანკიდამ და რომელსაც წინადვე გადაწყვეტილი აქვს, თუ გაჭირდა მამულზედაც ხელს ავიღებო, რადგანაც თითქმის სრული ფასი მაქვს ბანკიდამვე მიღებულიო. ქუთაისის ბანკს, რასაკვირველია, ჩვენს ტფილისში ბევრი მუშტარი აუჩნდება, თუ მაგ უპირატესობით შეეჭიდა ტფილისის ბანკსა, რასაკვირველია, მუშტარს ჩამოაცლის და თვითონ გადაიბირებს. და ეგ უპირატესობა ხეირს დააყრის თუ არა თვითონ ბანკსა, მაგას დრო გამოაჩენს, თუ ეხლა ჭკუის გამჭრიახობა არ აჩენს.

ამ მხრით, ამბობენ, ქუთაისის ბანკმა მოქმედებაც დაიწყოო და ამ უპირატესობით ტფილისის ბანკს შეეცილა კიდეცო. ძალიან ვწუხვართ, რომ ცილების მოედანზედ ქუთაისის ბანკმა პირველ შემთხვევაშივე ამისთანა მიმართულება მიიღო. ურჩევთ, ტფილისის ბანკს, არ აჰყვეს ქუთაისის ბანკს ჭიდილში. იმისთანა კისრული არ იხმაროს, რომ თვითონ ქვეშ მოჰყვეს. ქუთაისის ბანკის საზოგადო კრებასაც ვურჩევთ, რომ პირველ შემთხვევაშივე ის მუხლი ინსტრუქციისა, რომლის ძალითაც ასე წინდაუხედავად შეუძლიანთ დააფასონ ქალაქის მამულები, შეჰსცვალონ იმ რიგად, როგორც ტფილისის ბანკის ინსტრუქციაშია.

ზემოთხსენებულ სქემიდამ აშკარად ჰსჩანს, რომ მაგ რიგად დაფასება შეუძლებელია, ბოროტ-მოქმედებას ფართო გზას უხსნის და არც ერთს სიკეთეს კი არ უქადის. ბანკის საქმეში წუთიერი გამარჯვება კი არ არის სანატრელი, ხანგრძლივად და მკვიდრად ფეხზედ დგომაა. ესეც კია, რომ არც ერთი გონიერი მოჭიდავე იმისთანა ხერხს არ იხმარებს, რომ თვითონვე ქვეშ მოჰყვეს" („დროება", 17 თებერვალი).

II

გაზეთ „დროების“ სტატიების საპასუხოდ, რომლებიც გადმობეჭდილია ჩვენს მიერ, იმავე გაზეთის უკანასკნელ ნომრებში დაიბეჭდა სტატიები შემდეგი სათაურით: „რომელი წესი მამულის დაფასებისა სჯობია, ტფილისის ბანკისა თუ ქუთაისისა?“ ამ სტატიებს ხელს აწერენ ქუთაისის სამიწათმოქმედო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ნ. ღოღობერიძე და გამგეობის წევრები: თავ. ერისთავი და მ. ფაღავა. მთლიანად ვბეჭდავთ მათ:

„მდგომარე წლის თებერვლის თვეში „დროებაში“ დაბეჭდილი იყო ორი მოწინავე სტატია შესახებ გავრცელებისა და ქუთაისის ბანკის მოქმედებისა. ტფილისის გაზეთებში ქუთაისის ბანკზედ ეს ერთი სტატია დაიბეჭდა, რომელშიაც ავტორი წესიერათ და კეთილ-სვინდისიანათ ცდილობს ახსნას ზოგიერთი კითხვები, რომელნიც ხსენებულს ბანკს შეეხება. იმაში არ იპოვება არავითარი ჭორი და ცილის წამება, რომლითაც ზოგიერთნი მწერალნი აღიჭურვებიან ხოლმე, როცა ქუთაისის ბანკისაკენ გამოილაშქრებენ. ამის გამო ეს სტატია ჩვენ დიდის სიამოვნებით წავიკითხეთ და იმგვარივე სიამოვნებით ვაპირებთ ავტორისაგან აღძრულს საგანზედ მოვილაპარაკოთ.

პირველს სტატიაში, №35 დაბეჭდილში, ავტორი თანაუგრძნობს ქუთაისის ბანკის მოქმედების გავრცელებას. ის ამტკიცებს, რომ ეს გავრცელება მოქმედებისა ტფილისის გუბერნიაში ქუთაისის ბანკისათვის აუცილებელი იყოო. შემდეგ ავტორი ამბობს, რომ საადგილმამულო ბანკის, ტფილისის და ქუთაისისა, მოქმედება ერთსა და იმავე ასპარეზზედ ქვეყნისათვის სასარგებლო იქნებაო, თუ ორივე ბანკმა კეთილსინდისიერად იმოქმედაო, ე.ი. თუ ისინი ეცადნენ მსესხებლებს შეუმსუბუქონ სესხის პირობებიო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. თუ იმათ ერთი-ერთ შორის ცილება და სხვადასხვა ურიგო საშუალებით ეცადნენ ერთიმეორის მსესხებლები გადაიბირონ, ზემოხსენებული მოქმედება მავნებელი და დამღუპველი იქნება ორთავე ბანკისა, და მაშასადამე, ჩვენი ქვეყნებისათვისაც საზარალო დარჩებაო.

ჩვენ სრულიად თანახმა ვართ აღწერილის აზრისა, ავტორი ნამდვილ სიმართლეს აღიარებს, როცა ამტკიცებს აუცილებლობას ქუთაისის ბანკის ასპარეზის გავრცელებისა. დღიდამ ამ ბანკის გახსნისა 3 წელიწადზე მეტი დრო გავიდა და ამ დროის განმავ-

ლობაში აღნიშნულმა ბანკმა ძლივს გასცა ერთი მილიონი გრძელვადიანი სესხი, მაშინ, როდესაც მას შეუძლიან ოთხ მილიონზედ მეტი გასცეს. ცხადი იყო, რომ ამოდენა ფულს ბანკი დიდხანს ვერ გასცემდა ქუთაისის გუბერნიაში და აფხაზეთში. ამასთანავე, ამბობენ, რომ კავკასიის აქეთა მხარის პრიკაზი მალე დაიხურებაო, ხოლო ტფილისის სააზნაურო ბანკს თითქმის სრულიად გაცემული აქვსო ის რაოდენობა ფულისა, რომლის გაცემა ძველი წესდების ძალით მას შეეძლო. ამგვარად, ერთის მხრით, დიდ ძალი კრედიტი გამცდარი იყო და მეორეს მხრით, ტფილისის გუბერნიის მცხოვრებნი, ჩვენი მოძმენი და მეზობელნი, საჭიროებდნენ ამ კრედიტსა. ცხადი იყო, ორთავე მხარისათვის სასარგებლო იქნებოდა, რომ ქუთაისის ბანკს სესხის გაცემა დაეწყო ტფილისის გუბერნიაში.

ზემოხსენებულნი გარემოებანი ჰქონდა მხედველობაში საზოგადო კრებას ქუთაისის ბანკისას, როცა 1879 წლის მაისის თვეში გადასწყვიტა ბანკის მოქმედება გავრცელებულ იყო ტფილისის გუბერნიაში. ამ განჩინებას მმართველობამ კიდეც ნება დართო და, მაშასადამე, ეხლა ქუთაისის ბანკს შეუძლიან გასცეს სესხი ტფილისის გუბერნიაშიც.

ზემოხსენებულიდამ ცხადად ჩანს, რომ ქუთაისის ბანკმა გაავრცელოს თავის მოქმედება არა იმ განძრახვით, რომ ამით ტფილისის ბანკს კონკურენცია გაუმართოს. ჩვენ, როგორც გამგებელნი ქუთაისის ბანკისა, ყველას ვეუბნებოდით და ახლა საქვეყნოთ აღვიარებთ შემდეგსა:

ჩვენი ბანკი სააქციონერო ბანკი არ არის, ე.ი. ის არ ეკუთვნის კაპიტალისტებს, რომელნიც ფიქრობენ მხოლოდ თავის ჯიბის გავსებას, და არა მსესხებლების სარგებლობას, ჩვენ მუდამ გვახსოვს ის დედა აზრი, რომლითაც ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობა ხელმძღვანელობდა, როცა კეთილშობილურად და გულუხვად თავისი დიდძალი ფული ბანკის დასაარსებელად შესწირა. მას განზრახვა ჰქონდა დაეფუძნებინა ბანკი მტკიცე და სამუდამო საფუძველზედ, რამოდენათაც ადამიანისათვის შესაძლებელია ამ გვარი სურვილი შეასრულოს.

თავად-აზნაურობის თავდაპირველი სურვილი იმაში მდგომარეობდა, რომ რაც შესაძლებელი იყო, იაფი კრედიტი მიენიჭებინა ჩვენი მხარისათვის, რომელსაც ფული ასე დიდად ეჭივრება. მო-

გებაზედ თავად-აზნაურობა ისე არ ფიქრობდა, როგორც ზემოხსენებულზედ, რასაკვირველია, რაც მეტი მოგება ბანკს დარჩება, ქვეყნისათვის უკეთესი იქნება, რადგანაც თავად-აზნაურობამ ეს მოგება საზოგადო საჭიროებას შესწირა; მის განზრახვაში არასოდეს არ ყოფილა, რომ მოგების გამოკიდებით ბანკის დაზარალება და შერყევა შესაძლო ყოფილიყოს. განვიმეორებთ, რომ ჩვენ იმ გზას ვადგივართ, რომელიც ჩვენი ბანკის დამფუძნებელთაგან ნაჩვენები და განკვლეულია. ნამდვილად ვიცით, რომ ჩვენი ბანკის ზედამხედველი კომიტეტიც ამ აზრის არის და, ამასთანავე, დარწმუნებული ვართ, რომ წევრნი ქუთაისის ბანკის საზოგადოებისა ახლაც იმავე აზრს ადგიან.

სიფრთხილე სესხის გაცემაში—ჩვენი დევიზია—ღმერთმა დაგვიფაროს იმ გვარი თავხედობისაგან, რომ გავბედოთ და ვსთქვათ, ვითომც შეუცდომელნი ვიყოთ. ამის თქმას ვერასოდეს ვერ გავბედავთ, რადგანაც ვიცით, რომ, როგორც ჩვეულებრივი მომაკვდავნი, ადვილად შესაძლებელია, შევსცდეთ. ჩვენ მხოლოდ ვაღიარებთ, რომ რაც ჩვენს ცოდნაზედ, გამოცდილებაზედ და გამჭრიახობაზედ დამოკიდებულია, ვცდილობთ ამ აზრით ბანკს არა ვაზარალოთ-რა. დასამტკიცებლად ჩვენი ბანკის სიფრთხილისა, მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ, თუმცა მას ერთ მილიონზედ მეტი ფული აქვს გაცემული და 400 უძრავ მამულზედ მეტი დაგირავებული, მაგრამ ჯერ ღვთის მადლით, თავის მსესხებლებზე ერთი კაპიკი არ დაკარგვია და არც ერთი მამული არ შერჩენია. ჩვენ ბანკს შეეძლო გაცემულზედ მეტი ფული გაესესხებინა წინდაუხედავათ და უადგილო გამბედავობით რომ ემოქმედებინა. მაგალითებრ, თუმცა ქუთაისის ბანკს ნება აქვს ფული აფხაზეთში გაასესხოს, და კიდეც იქაურნი მამულის მეპატრონენი თხოულობდნენ ფულის მისესხებას, მაგრამ ომიანობის არეულობის მიზეზისა გამო მან ვერ გაბედა ამ მხარეში ფულის გაცემა. მინამ ეს მხარე არ დაეწყობა, იქ მკვიდრი წესიერება და მეურნეობა არ დამყარდება, ჩვენი ბანკი იქ ფულის გაცემას ვერ გაბედავს. ამ გვარსავე სიფრთხილეს მიზდევს საზოგადო კრება ჩვენის ბანკისა. წარსულს კრებაში ზოგიერთი წევრის აზრი იყო, რომ ჩვენს ბანკს გაევრცელებინა თავის მოქმედობა მთელს კავკასიის აქეთა მხარეში, მაგრამ საზოგადო კრებამ, მიიღო მხედველობაში, რომ ჩვენ კარგად არ ვიცნობთ აღმოსავლეთის ნაწილს ხსენებულის მხარი-

სას, რომელზედაც სხვა ტომის ხალხი სცხოვრობს, რომ იქ მიწის მფლობელობა კარგად არ არის გარკვეული, რომ ქუთაისის ბანკისათვის ძალიან ძნელია იქაური უძრავ მამულებზედ ნამდვილი ცნობები შეკრიბოს და რომ ამ მიზეზებისა გამო ადვილად შეესაძლებელია ბანკმა სარგებლობის მაგიერ ზარალი ნახოს, ამისათვის კრებამ უარჰყო წინადადება, რომ ბანკის აღნიშნულს მხარეში მოქმედება გაევრცელებინოს და ნება დართო ფული გასცეს მხოლოდ ტფილისის გუბერნიაში, სადაც ზემოხსენებულნი პირობანი არ არსებობენ.

რაც შეეხება მსესხებლების შემსუბუქებას, ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ სესხის გაიაფება თავ-და-პირველი სურვილი იყო ბანკის დამფუძნებელთა. მით უმეტეს ეს შეადგენს სამართლიანს სურვილს თვით მსესხებლებისა, რომელნიც ურთი-ერთს თავდებობას კისრულობენ, და რომელნიც, ამასთანავე, ბანკის საზოგადოებისა წევრნი არიან. ჩვენ ყოველ ღონისძიებას ვხმარობთ, რაც კი ჩვენს მეცადინეობაზედ არის დამოკიდებული, სესხის პირობები შევამსუბუქოთ.

მაგრამ საკმაოა ჩვენს მოქმედებაზედ ვილაპარაკოთ. ჩვენ არ გვეკუთვნის, ამაზედ საუბარი თვითონ გავავრცელოთ, თვით საქმემ უნდა გამოაჩინოს და ჩვენი ბანკის საზოგადოებამ დაინახოს, რამდენად მარჯვედ და გულ-მოდგინეთ ვაწარმოებთ ჩვენს საქმეს, რომელიც მან ჩვენ გვარწმუნა და მოგვანდო. ჩვენ მხოლოდ მისთვის საჭიროდ დავინახეთ ზემოხსენებულზე მოგველაპარაკა, რომ ვაპირებთ ახალ გამოჩენილს ასპარეზზედაც იმ გვარათვე ვიმოქმედოთ, როგორც ძველზე. ჩვენ მისთვის არ მივისწრაფით ტფილისისაკენ, რომ ურიგო კონკურენციით ჩვენსკენ მსესხებლები გამოვიბიროთ და მამულის ძვირათ დაფასებით იქ ბევრი ფული გავსცეთ. ერთის სიტყვით, ჩვენ არაოდეს არ ვიკადრებთ იმ გვარს საშუალებას, რომელსაც სხვა ქვეყნებში სააქციონერო ბანკები ხმარობენ ხოლმე მისთვის, რომ ერთი მეორეს მსესხველი ხელიდამ გამოგლიჯონ. არასოდეს არ დავივიწყებთ, რომ ორივე ბანკი, ტფილისისა და ქუთაისისა, ერთსა და იმავე ხალხსა ეკუთვნის და ორთავეს ერთი და იგვიე მიზანი აქვს. ჩვენ სწორედ ვაპირებთ გავუმართოთ ტფილისის ბანკს იმგვარი კეთილშობილური ცილება და კონკურენცია, რომელზედაც ლაპარაკობს პატივ-ცემული ავტორი ზემოხსენებულის სტატიისა და

რომელიც ორივე ბანკს განამხნევებს და იმერთ-ამერთათვის სასარგებლო დარჩება. მაგალითებრ, ჩვენ ვფიქრობთ ვიყოლიოთ ტფილისში ჩვენი საკუთარი მოხელე, აგენტი, რომელიც მსესხებელს ფულს მისცემს, მათ ბანკში შესატანს სარგებელს გამოართმევს და, ამასთანავე, გვინდა, თუ ეს შესაძლო დარჩა, საქმე ისე მოვაწყოთ, რომ ტფილისის გუბერნიის მსესხებლებისათვის ქუთაისში ჩამოსვლა საჭირო არ დარჩეს. თუ ღმერთმა წარმართა ჩვენი ბანკის საქმე, ბლომად გავეცით სესხი და მით ჩვენ ნაღდს მოგებას მოემატა ჩვენ ვფიქრობთ საზოგადო კრებას ჩვენი მოსაზრება წარვუდგინოთ სესხზედ სარგებლის შემცირების თაობაზედ. ვეცდებით აგრეთვე მთხოვნელებს ჩქარა საქმე გავუთავოთ, ფული მალე მივცეთ და ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ, რომ მათ სესხის გატანა გავუადვილოთ. დარწმუნებული ვართ, რომ პატივ-ცემულნი წევრნი ტფილისის ბანკის ზედამხედველი კომიტეტისა და გამგეობისა ამ გვარს ჩვენს მოქმედებაში არავითარს სათაკილო და მავნებელს ცილობას არ დაინახავენ.

როგორც ჩვენ შეტყობილი გვაქვს, ტფილისის ბანკი მთავრობის ნებართვას თხოულობს, რათა თავისი მოქმედება მთელს კავკასიის გადმოღმა მხარეებში გაავრცელოს. ჩვენის მხრით, ჩვენ მოხარულნი ვიქნებით, თუ ხსენებული სურვილი მალე აღსრულდა და ტფილისის ბანკმაც დაიწყო მოქმედება ქუთაისის გუბერნიაში. ტფილისის ბანკის მოქმედება ჩვენში სასარგებლო იქნება ჩვენთვის აი რომელი მხრით: მოგეხსენებათ, ერთი ჭკუა კარგი არისო და ორი კიდევ უკეთესიო; ამასთანავე, შემჩნეულია, რომ ხშირად ახლად მოსული კაცი უფრო ადვილად შეამჩნევს ზოგიერთს მხარეს რომელიმე საგნისას, მანამ ის კაცი, რომელსაც ეს საგანი მუდამ თვალ-წინ უძევს და მის გამო თვალი შეჩვეული აქვს. ტფილისის ბანკის მოხელე პირნი, ეჭვი არ არის, როცა ჩვენში მოქმედებას დაიწყებენ, აქაურს უძრავს ქონების მდგომარეობას დაუკვირდებიან და იქნებ თავის გამოკვლევით ბევრი იმ გვარი მხარე ამოაჩინონ, რომლის ცოდნა ჩვენთვის სასარგებლო დარჩება.

რაც შეეხება სესხის ბლომათ გაცემას, გვერწმუნეთ, ეს საგანი ჩვენ დიდათ არ გვაწუხებს. ჩვენს ზევით არა გვყავს იმ გვარი საზოგადოება, რომელიც გვაჩქარებდეს და თხოულობდეს ჩვენგან ბლომათ და სიჩქარით სესხის გაცემას და ამით მოგების გამრავ-

ლებას, ჩვენ მუდამ გვექმნება სახეში რჩევა, რომელიც პატივცემულმა დირექტორმა ფინანსის მინისტრის საკრედიტო კანცელარიისა* ციმსენმა მისცა ჩვენს ბანკს. როცა ჩვენი გამგეობის თავსმჯდომარე მას პეტერბურღში წარუდგა ნოემბრის თვეში წარსულის წლისა, ციმსმენმა უთხრა: ნუ აჰყვებით იმ საადგილ-მამულო ბანკებს, რომელთაც თავის დიდება და წარმატება მხოლოდ დიდ ძალას გამოცემულს გირაოს ფურცლებში მიაჩნიათ. ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკმა იმოქმედოს იმ გვარი სიფრთხილით და წინ-დახედვით, როგორც აქამდის მოქმედებდა. მერწმუნეთ, საბოლოოთ ეს სანანებელი არ დაგირჩებათ."

მართლა და სამი მილიონი და რამოდენიმე ასი ათასი მანეთი, რომელიც ამას იქით ქუთაისის ბანკს შეუძლიან, თავის წესდების ძალით, გაასესხოს, ისე დიდი ფული არ არის, რომ თავის დროზედ მისი გაცემისა იმედი დავკარგოთ და რომ ამისთვის ავჩქარდეთ და ჩვეულებრივს სიფრთხილეს გადვუდგეთ. როცა ტფილისის ბანკი გაავრცელებს თავის მოქმედებას მთელს კავკასიის აქეთა მხარეს, ამ მხარეში იმოდენა სესხის მთხოვნელები გამოჩნდებიან, რომ ღმერთმა ორთავე ბანკს მისცეს ღონის-ძიება, ისინი დააკმაყოფილონ".

* ამ კანცელარიასთან დამოკიდებულება აქვს ყოველს რუსეთის ბანკს.

35. ბატონ წერეთლის წერილის გამო

მცირეოდენი სურვილიც კი არა გვაქვს ჩავებათ იმგვარ პოლემიკაში, რომელსაც არც საზოგადოებრივი ინტერესი გააჩნია და არც ცხოვრების ყოველდღიურ საკითხებს ეხება. ასეთ პოლემიკად კი, როგორც ჩანს, უნდა ჩაითვალოს ჩვენი კამათი ბ-ნ წერეთელთან ფილოლოგიურ და ისტორიულ წერილმანებზე. ამიტომ გვინდა ამთავითვე შემოვფარგლოთ ჩვენი დავის საზღვრები ისეთ საკითხებით, რომელთაც რაიმე მნიშვნელობა ექნებათ ჩვენი ქვეყნის ახლანდელ და მომავალ, სერიოზულ და არასერიოზულ მკვლევართა მუშაობისათვის. კაცმა რომ თქვას, როგორიც უნდა ყოფილიყო ცალკეული პიროვნების შეცდომები ჩვენ მაინც არსებითად არაფერს ვიტყოდით „ობზორში"‘, მაგრამ, თუ ბ-ნ წერეთლის ლექციას მთელი ფელეტონი მივუძღვენით და, როგორც ჩანს, ახლა უმიზნო პოლემიკაშიაც კი ჩავერთეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ბ-ნი წერეთელი მიგვაჩნია იმ მუშაკთა ტიპურ წარმომადგენლად, რომელნიც გზიდან აუცდენიათ „სიახლოვისა" და „გაზვიადების" თამამ ცდებს, რაც ასე ხელენიფებათ მეცნიერების სერიოზულ მოღვაწეებს. მაგრამ მათ, სითამამის გარდა, უფრო მნიშვნელოვან საბუთთა და ფაქტთა მთელი მთებიც ჰქონდათ, რაც სრულიადაც არ მოეპოვებათ გრიმების, ბოპისა და მათ მსგავსთა ექსცენტრიულობის მიმბაძველებს. ჩვენი ვითომდა სწავლულები ამას ვერ ხვდებიან. მათ ჰგონიათ, რომ მართლა იციან ისტორია და ფილოლოგია, ხოლო შეცდომას თუ აღმოუჩენთ, იმ წამსვე გრიმსა და კრიტიკოსთა დილეტანტობაზე მიუთითებენ. საჭიროდ არ მიგვაჩნია ახლა აქ ამ ტიპის ყველა ჩვენი არქეოლოგი მოვიხსენიოთ. მკითხველმა კარგად იცის, რომ ასეთნი ჩვენში ბლომად არიან.

თუმცა ჩვენ არცთუ ისე კარგად ვერკვევით ძველი მსოფლიოს ლიტერატურასა და ისტორიაში, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ეს საგნები ბ-ნ წერეთელზე ნაკლებ არ ვიცით. აქედან გამომდინარე, იძულებულნი ვართ მისი მისამართით შევნიშნოთ, რომ ძველებური ფილისტერული მანერა საკუთარი თავის სწავლულად მოხსენიებისა, ხოლო კრიტიკოსთაგან თავის გამიჯვნა ისეთი სიტყვებით, როგორიცაა: "დილეტანტები", „ფელეტონისტები", „პირველი კურსის სტუდენტები" და „გიმნაზისტები" გვა-

რიანად მოძველდა. ახლა ამ სიტყვებით ვერავის აცდუნებ. თუ გაქვთ, მოიტანეთ საბუთები, თორემ სხვანაირად თქვენ, ვითომ-და სწავლულებს, არავინ დაგიჯერებთ.

ბ-ნი წერეთელი ამტკიცებს, თითქოს უსაფუძვლოა ჩვენი აზრი იმის თაობაზე, რომ მითრიდატეს მნიშვნელობა საკმაოდაა გამორ-კვეული ისტორიაში. მისთვის „ისტორიას ჯერ კიდევ არ უთქვამს საბოლოო სიტყვა არც მითრიდატეს პიროვნებაზე, არც მის დი-ნასტიასა და წარმოშობაზე და არც იმაზე, თუ, სახელდობრ, რა ძალებს ეყრდნობა მითრიდატე დიდი აღმოსავლეთში რომის ბატო-ნობის წინააღმდეგ". ბ-ნმა წერეთელმა შესანიშნავ ხელჩასაჭიდს მიაგნო სიტყვებით—„არ უთქვამს საბოლოო სიტყვა". ისტორიას არ წარმოუთქვამს „საბოლოო სიტყვა" არც ერთ ისტორიულ მოღ-ვაწეზე; თვით ნაპოლეონ პირველსა და ფრიდრიხ დიდზეც კი არაა ნათქვამი ასეთი სიტყვა. მაგრამ ისტორიამ იცის მითრიდატეს დი-ნასტიაც. წარმოშობაცა და სხვა ბევრი რამეც. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი არ იცის მხოლოდ ბ-მა წერეთელმა. რაოდენ ძნელიც უნდა იყოს ადამიანისათვის, რომელიც მრავალზე მრავალი წელი მონყვეტილია ასეთ საგნებს და არც რიგიანი ბიბლიოთეკა აქვს ხელთ ამგვარ კითხვებზე სწორი პასუხის გასაცემად, ჩვენ მაინც ვეტყვით ბ-ნ წერეთელს, რომ ისტორიამ მითრიდატეს დინასტი-აზე შემდეგი რამ იცის: ამ დინასტიის მამამთავრები იყვნენ აქე-მენესი და კაპადოკიელების მეფე ანაფას I, რომლის ვაჟმა—ფარ-ნასმა ცოლად შეირთო კამბიზის და, ათოსი, და პონტოს პირვე-ლი მბრძანებელი შეიქნა. ისტორიამ იცის, როგორ ებრძოდა ეს სამეფო სპარსეთის მონარქიას, როგორ ხდებოდა ის ხან სპარსე-თის სატრაპია და ხან დამოუკიდებელი სამეფო. ისტორიამ ისიც იცის, რომ მითრიდატე I (402-363 წ.ქ.წ.) მონაწილეობდა კიროს უმცროსის აჯანყებაში და, უკანდახევის დროს იბრძოდა „ათია-თასის" წინააღმდეგ; გარკვეულია ისიც, რომ მითრიდატე II-ს, მით-რიდატე პირველის შვილიშვილსა და მემკვიდრეს, რომელიც ქ. წ. 302 წ. გარდაიცვალა, ალექსანდრე მაკედონელმა ტახტი წა-ართვა, მაგრამ იგი ანტიგონეს ებრძოდა და საბოლოოდ, პონ-ტოს დამოუკიდებლობას მიაღწია, ხოლო მისი ვაჟი და მემკვიდ-რე მითრიდატ III (302-266 წ.ქ.წ.) ებრძოდა ლიზიმაქეს ინსიის ბრძოლის შემდეგ და დიდი სამფლობელოები შეიერთა კაბადო-კიასა და პაფლაგონიაში. ცნობილია მითრიდატე IV-ს (გარდ. 222

ნ.), მითრიდატე V-ს (გარდ. 184 ნ.), ფარნას I-ის საქმიანობა და, აღსანიშნავია, რომ ცნობილია მისი შვილის, მითრიდატე VI ევერგეტის (157-123 ნ.ქ.ნ.) ამბებიც, რაც შეეხება ამ უკანასკნელის შვილსა და მემკვიდრეს, მითრიდატე VII დიდს, რომელსაც ევპატორი შეერქვა, ისტორიამ კარგად იცის მისი ბავშვობა, ოჯახური მდგომარეობა, ყველა მისი ლაშქრობა, მისი ჯარის რიცხვი და შემადგენლობა, ბრძოლების ადგილი, დრო და ვითარება მისი სიკვდილისა და ა.შ. მან, იცის, რამდენი ცოლი და შვილი ჰყავდა მას, მათი სახელები და სხვ. რასაკვირველია, ეს ისტორიის საბოლოო სიტყვა არ არის, მაგრამ მანამ, სანამ ბ-ნი წერეთელი არ წარმოგვიდგენს ახალ, უფრო სერიოზულ ფაქტებს მითრიდატეს თაობაზე, ყველა ეს ცნობა მითრიდატეზე მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა იქნება. განა რა გვითხრა ბ-მა წერეთელმა თავის ლექციაში ისეთი, რაც მითრიდატეზე არსებულ ცნობებს შეავსებდა? იგი არწმუნებდა მსმენელებს, თითქოს ქართველებს „უსაზღვროდ უყვარდათ მითრიდატე", მაგრამ ასეთი სიყვარულის ფაქტები, გარდა სიმღერისა, არ მოუყვანია, სხვათა შორის, ისტორიიდან ისიც ვიცით, რომ კოლხეთის ხალხებმა ორჯერ სცადეს მისი უღლის გადაგდება, მაგრამ ორჯერვე საშინელი მარცხი განიცადეს, განსაკუთრებით სილასთან 85 ნ. ქ. ნ. დადებულ ზავამდე.

მთელი თეორიის მხოლოდ იმ საფუძველზე აგება, რომ მითრიდატეს ერთ-ერთ შვილს მაკარესი ერქვა, რომელიც ბ-მა წერეთელმა „მახარედ" წარმოუდგინა და თარგმნა რუსულად როგორც „Радуй меня", ნება თქვენია, მაგრამ ეს არა თუ დილეტანტს, არამედ გიმნაზიის 6 კლასის მოსწავლესაც კი არ ეპატიება. და განა ჩვენ მართალნი არ ვიყავით, როდესაც ვამტკიცებდით, რომ ბ-ნი წერეთლისათვის საკმარისია მხოლოდ სახელთა თანხმიერება, რომ დაავიწყდეს მეცნიერების ყოველგვარი მონაცემი და გამოიგონოს ჰიპოთეზა, რომელიც არც არაფერზეა დაფუძნებული და არც არავითარი სერიოზული ფაქტით არაა განმტკიცებული.

ჩვენ არა ვართ მეცნიერების უძრაობის მიმდევარნი. ძველ მემატიანეთა ცნობები უცილობელ ჭეშმარიტებად არ მიგვაჩნია და საესებით შესაძლებელია, რომ დროთა განმავლობაში მითრიდატეზე არსებული ცნობები გადაისინჯოს, დაემატოს რაიმე. მაგრამ ეს დამატება სერიოზულ მონაცემებს მოითხოვს—ახალი წარწერების, მონეტების, ნანგრევების და ა.შ. აღმოჩენას და არა ფან-

ტაზიას, რომელიც სახელთა თანხმიერებაზეა აგებული. და ყველა, ვისაც კი ოდნავი წარმოდგენა მაინც აქვს რაულინსონის, ლენორმანისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის სხვა რეფორმატორთა კვლევის ხერხებზე, უთუოდ დაგვეთანხმება, რომ ჩვენი ადგილობრივ მუცლით მეზღაპრეთა მცდელობანი სრულიად უადგილო და უთუოდ სასაცილოა.

ახლა, როდესაც გიჩვენეთ, თუ რამდენად ზუსტი და სერიოზულია ბ-ნი წერეთლის მონაცემები ისტორიაში, მისი წერილის ფილოლოგიურ მხარეზე გადავიდეთ:

ბ-ნმა წერეთელმა ჩვენთვის ერთ ფრიად არსებითი რამ დათმო; თავის წერილში მან განაცხადა, რომ ფილოლოგიურ თანხვედრათა ძიებას იმ მიზნით კი არ აწარმოებდა, რათა ეჩვენებინა ქართველ ტომთა უპირატესობა მცირე აზიაში, არამედ სურდა დაემტკიცებინა ქართული და ინდო-ევროპული ენების ურთიერთკავშირი. ვიმოწმებთ მსმენელებსა და მისი ლექციის პროგრამას და ვაცხადებთ, რომ ამ კავშირის თაობაზე ბ-ნ წერეთელს კრინტიც არ დაუძრავს, საერთოდ მსგავსი განზრახვაც არ ჰქონია. მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, განა ეპატიება თვით დილეტანტსაც კი ფილოლოგიაში ასეთი ბავშვური ხერხებით რაიმეს მტკიცება? ფილოლოგებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ქართული ენა ინდო-ევროპულ ენათა ჯგუფს ეკუთვნის, უამრავი დამაჯერებელი საბუთი აქვთ, რომლებიც ძალდატანებაზე არაა დაფუძნებული. ამაოდ გვიკითხავს ახლა ბ-ნი წერეთელი მეტად არასრულ და მცდარ ლექციას გრიმებისა და ლაიბნიცის მეთოდთა განსხვავებაზე. ბ-ნი წერეთლის განსწავლულობის ეს გამოვლინება ჩვენ კი არ გვაბრმავებს, პირიქით, მისი ფილოლოგიური ცოდნის დიდ ხარვეზებზე მიგვითითებს.

მაგალითად, შეცდომით ფიქრობს ბ-ნი წერეთელი, რომ ძირთა წარმოშობის მატერიალურობას შეუძლია დაამტკიცოს განსხვავებულ ენათა შორის კავშირი. ის რომ ფილოლოგიას იცნობდეს, ეცოდინებოდა, რომ სწორედ ეს თეორია უდევს საფუძვლად ფილოლოგიური მეცნიერების იმ მიმართულებას, რომელიც ასაბუთებს, რომ სხვადასხვა ენები სხვადასხვა ქვეყნებში შესაძლებელია აღმოცენებულიყვნენ ყოველგვარი კავშირის გარეშე, და მაინც ჰქონდათ ასობით და ათასობით ერთნაირი ძირი და თვით კონსტრუქციაც კი. ამ მიმართულების თვალსაზრისით ორი ისეთი

შორეული ენის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვების თანხმიერება, როგორებიცაა აზიაში—სპარსული და ამერიკაში—სიუსიუს ტომის ენა, იმას კი არ ამტკიცებენ, რომ სპარსელებსა და სიუსიუს ტომს ერთი წინაპარი ჰყავდათ, არამედ მიუთითებენ, რომ ადამიანის სიტყვები და ცნებები, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს ის, ყალიბდება ცნების მატერიალიზაციის მეშვეობით, გარემო ბუნების მოვლენათა უშუალო შთაბეჭდილებით. უფრო მეტიც: თვით მითურ თქმულებათა, ლეგენდების, ეპოსის და ა. შ. მსგავსებაც კი, ამ მიმართულების თვალსაზრისით, სრულიადაც არ ასაბუთებს ხალხებისა და ენების ურთიერთკავშირს. ნუთუ ბ-ნმა წერეთელმა, თავს რომ სერიოზულ მეცნიერად აცხადებს, არ იცის ეს და არ იცის ისიც, რომ ამ მიმართულებამ ბოლო ოცდახუთი წლის მანძილზე დიდ წარმატებას მიაღწია მეცნიერების სფეროში, რაც მის უახლოეს და საბოლოო გამარჯვებას წინასწარმეტყველებს?

ბ-ნი წერეთლის ასეთი უცოდინრობის საუკუთესო დადასტურებაა მისგან ცნებათა მატერიალურობასა და სიტყვათა ძირებზე დაყრდნობა. სინამდვილეში განა საჭიროებდა ჩვენი პოლემიკა ამ დამოწმებას? რად დასჭირდა ბ-ნ წერეთელს ამ თეორიაზე ხმის ამოღება და რა გამოირკვა ამ თეორიით ჩვენი ფელეტონის საწინააღმდეგოდ? მაგრამ ბ-ნ წერეთელს უკან არ დაუხევია ცდუნებისაგან, რათა თავისი განსაწავლულობა გამოეჩინა და თვითონვე მოგვცა ხელში იარაღი, რომელიც ძირშივე ჭრის ყველა მის უმწეო მცდელობასა და ძალდატანებას. ჩვენ კი არა, პირველმა მან ახსენა ის თეორია, რომლის მიხედვითაც უთუოდ უსაფუძვლოა თანხმიერებასა და ძირთა მსგავსებაზე, ან თვით ცნებათა მატერიალურ ძირებზე დაყრდნობით რაიმე დასკვნის გამოტანა ენათა კავშირისა და ხალხის ისტორიული წარსულის თაობაზე. აი, ზოგჯერ სადამდე მიჰყავს ადამიანი სწავლულად გამოჩენის სურვილს, როცა რეალურად იმის მონაცემებიც კი არ არსებობს, რათა დილეტანტად მაინც ირიცხებოდე.

იმედია, ახლა მაინც დაგვეთანხმებიან ბ-ნი წერეთელი და მასთან ერთად ჩვენი ადგილობრივი მეზღაპრენი, თავიანთი თავი რომ ფილოლოგებად, არქეოლოგებად და ისტორიკოსებადაც კი მიაჩნიათ, რომ ძველის აღდგენის რთულ სამუშაოს ხელი არ უნდა მოჰკიდო

კრიტიკულად შეუმონმებელი მატიანის ორი-სამი ნაწყვეტის, ამ-დენივე ლეგენდის, ან საკუთარ სახელთა თანხმიერების საფუძ-ველზე. არ შეიძლება იყო ისტორიკოსი, ფილოლოგი და არქეო-ლოგი სხვათა შორის, სამსახურებრივი საქმიანობისაგან თავისუ-ფალ დროს: ამისათვის საჭიროა სპეციალური და მრავალმხრივი მომზადება, ნედლი მასალის ბეჯითად დამუშავება... არც ისე ცო-ტა გვყავს ხალხი, რომელთაც თავიანთი ფილოლოგიური საქმია-ნობა ბოლოდან დაიწყეს, ე.ი. პირდაპირ სიახლესა და დასკვნებს წაეტანენ მაშინ, როცა ფილოლოგიური მეცნიერების ანბანი, რომ აღარაფერი ვქთვათ მის ფილოსოფიაზე, მათთვის უცნობია. ასეთ საქმიანობას შეუძლია მხოლოდ კურიოზამდე მიგვიყვანოს...

ჩვენ არ შევეცდებით მსგავს ფუძეთა გრძელი სიის დაწვრი-ლებით განხილვას, ბ-ნი წერეთლის წერილში რომაა მოყვანილი; ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ჩვენი მკითხველები ადვილად მიხვდებიან ამ ძირითად სიახლოვეთა მთელ მნიშვნელობასა და დამაჯერებლობას. ჩვენ შეგვეძლო, როგორც ჩანს, კიდევ უფრო გრძელი სია შემოგვეთავაზებინა აბსურდული სიახლოვისა, რო-მელიც სიტყვათა თანხმიერებაზეა დაფუძნებული და, გასაგებია, რომ ერთი და იმავე მატერიალური წარმოშობის სიტყვათა შეპი-რისპირებაში ყველაზე იოლი იქნებოდა ასეთი შერჩევა. მაგრამ ასეთი კამათი ჩვენ ბავშვობად მიგვაჩნია. ამიტომ ამ სფეროში ბ-ნი წერეთლის ვარჯიშს უყურადღებოდ ვტოვებთ.

ახლა შევეხოთ ბ-ნი წერეთლის გამოთქმებს ბ-ნი ბუსლაევის „ფელეტონური დაცინვის" თაობაზე. იძულებული ვართ გავახსე-ნოთ მკითხველს, რომ ბ-ნი წერეთელი ასე ახასიათებს „სოვრე-მენნიკის"[27] ოცი წლის წინანდელ შეფასებას, რომელმაც მოქალა-ქეობრივი უფლება მოიპოვა და აქსიომად იქცა ყველა თანამედ-როვე რუსი ფილოლოგისათვის. ეს შეფასება ბ-ნი წერეთლის მსგავს დილეტანტებს არ გამოუთქვამთ. იგი ეკუთვნით პროფე-სორებს ციპინსა და ჩერნიშევსკის, რომელთაც სააშკარაოზე გა-მოიტანეს ბ-ნი ბუსლაევის ხერხებისა და დასკვნების მთელი ექ-სცენტრულობა და შეუწყნარებლობა. მართალია, სხვა მხრივ ბუს-ლაევს არც ისე მცირე დამსახურება აქვს ფილოლოგიაში, მაგრამ თვით უეჭველ დამსახურებათა მთელი წყებაც კი არ ათავისუფ-ლებს მეცნიერს მსჯავრისაგან მსგავსი შეცდომებისა და ცრუ ფან-

დების გამო. სწორედ ამიტომ გაკიცხეს ბ-ნი ბუსლაევი, სრულიად საფუძვლიანად, ბ-ნმა ციპინმა და ბ-ნმა ჩერნიშევსკიმ. და არა მარტო I კურსის სტუდენტები, არამედ სრულიად ჩამოყალიბებული ფილოლოგები დაუმტკიცებენ ბ-ნ წერეთელს, რომ 1861 წლის ჟურნალ „სოვერმენნიკში" გამოთქმულ ყველა საყვედურს ბუსლაევისადმი სწორი საფუძველი ჰქონდა. ცხადია, მეცნიერებაში ბ-ნი ბუსლაევი უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ბ-ნი პოგოდინი და ბ-ნი ლამანსკი და მათზე უფრო სრულყოფილი კვლევის მეთოდებსაც ფლობდა, მაგრამ თავისი მეთოდების ექსცენტრულობის გამო, თავისი დასკვნების აბსურდულობისა და „სიახლოვის" უცნაურობის მეოხებით, ის მაინც მათ თანაბარ სიმაღლეზე დარჩა. ვინაიდან არ გვსურს შემოვიფარგლოთ ცარიელ სიტყვებზე აგებული მტკიცებით, ჩვენ ვეყრდნობით პროფ. ციპინის წერილს 1861 წ. №1 „სოვრემენნიკიდან" („ბუსლაევის გამოკვლევის გამო რუსეთის სიძველეებზე") და ნ.გ. ჩერნიშევსკის სხარტ პოლემიკურ წერილს იმავე წლის №7 „სოვრემენნიკში".

სწორედ ამ უკანასკნელ წერილში შეუძლია ბ-ნ წერეთელს მოძებნოს უამრავი რჩევა და მითითება, რომლებიც გამოადგებათ არა მარტო I კურსის სტუდენტებს, არამედ იმ პირებსაც, რომლებიც თავიანთ თავს სერიოზულ მეცნიერებად თვლიან...

დასასრულ, უნდა მივუთითოთ ბ-ნ წერეთელს პასუხის უცნაურობაზე. დავუშვათ, რომ ყველაფერი, რაც მან ჩვენდამი მომართულ წერილში დაწერა, საფუძვლიანი და უდავოა. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ უსაფუძვლოა ჩვენი აზრი მსჯელობის ზედმეტობაზე საჯარო ლექციის კითხვისას? განა ასეთი ლექციების მსმენელები შეიძლება დაინტერესდნენ მსგავსი წვრილმანებით, ან განა მათ შეუძლიათ განსაჯონ ბ-ნი წერეთლის გაცხარებული დავა ისტორიასა და ფილოლოგიასთან? თუ ჩვენს სნავლულს მიაჩნია, რომ საკმაო.მონაცემებს ფლობს მეცნიერების დადგენილი ცნებების გასაბათილებლად, დე, დაამუშაოს თავისთვის ეს მონაცემები და დაბეჭდოს სპეციალურ ჟურნალებში, აკადემიის შრომებში, ყრილობათა ოქმებსა და მისთანებში. მაგრამ განა ჩვენ უსამართლო ვიყავით, როცა მეტად თავშეკავებით შევნიშნეთ, რომ ფართო მასებში ასეთი დაუსაბუთებელი ჰიპოთეზების გადმოფრქვევა და განსჯა წყლის ნაყვას უდრის?

კიდევ ერთი, ამჯერად უკანასკნელი შენიშვნა, რომელიც წერეთელს შეუძლია მიიღოს ან არ მიიღოს, როგორც მას სურს.

ჩვენის აზრით, ბ-ნ წერეთელს ქართულ ლიტერატურაში გარკვეული ადგილი უჭირავს, სწორედ ისეთი, მის ტალანტსა და ცოდნას რომ შეესაბამება. ის მშვენიერი ბელეტრისტია; კარგად იცნობს ჩვენი ხალხის ცხოვრების ყოფით მხარეებს, მისი სცენები და თხზულებები ქართული ლიტერატურისათვის სასიხარულო მოვლენაა და ყოველივე ეს, უდავოდ, ავტორზე მეტხანს იცოცხლებს. მაგრამ ბ-ნი წერეთელი მხოლოდ ამით არ კმაყოფილდება. მას სურს იყოს პუბლიცისტიც, მეცნიერიც, კრიტიკოსიც, მიუხედაუად იმისა, რომ არც გონებრივი მონაცემები, არც ცოდნა და არც გამოცდილება არ აძლევს საშუალებას ოდნავ დამაკმაყოფილებლად მაინც შეისრულოს ეს სურვილები. მან მიატოვა ბელეტრისტიკა და აგერ უკვე ექვს წელზე მეტია უნაყოფოდ ეტანება ყველასა და ყველაფერს. ქართველმა მკითხველებმა იციან, თუ რა სამწუხაროა ეს ყველა იმისთვის, ვინც ჩვენსავით პატივს სცემს მწერლის ნიჭსა და შრომისმოყვარეობას. გულწრფელი სინანულით შევნიშნავთ, რომ ყველასა და ყველაფრისაკენ მისწრაფებამ ბ-ნი წერეთელი იმდენად ააცდინა გზიდან, რომ თავის უკანასკნელი დროის ბელეტრისტულ ნაწარმოებებშიც დაკარგა ადრე მისთვის ასე დამახასიათებელი საღის და ნატიფი დაკვირვების უნარი... ცხოვრებაში არცთუ ისე იშვიათია, როცა ადამიანები ეტანებიან თავიანთი ნიჭისათვის აშკარად საწინააღმდეგო სამუშაოს. ვის არ გაუგია ანეკდოტი, ცნობილმა მხატვარმა ორას ვერნემ და კიდევ უფრო ცნობილმა პოეტმა ვიქტორ ჰიუგომ, რომლებიც ერთი მხატვრული გამოცემის თანამშრომლებად იყვნენ მიწვეულნი, რედაქტორს თუ როგორ გამოუგზავნეს... პირველმა—პოემა, მეორემ კი—სურათი? ისინი ხომ დიდხანს და სერიოზულად ცდილობდნენ თავიანთი „მე"-დან შეექმნათ ის, რაც ბუნებამ წინასწარ არ გაითვალისწინა. ბ-ნი წერეთელიც სწორედ ასე ატანს ძალას თავის ტალანტსა და გონებას და ცდილობს აღზარდოს თავისი თავი ფილოსოფოსად ან პუბლიცისტად. დროა დარწმუნდეს, რომ მსგავსი ძალდატანება ვერანაირ სიკეთეს ვერ მოუტანს და რომ იგი მუდამ მარცხით მთავრდება.

სჯობია შეჩერდეს, სანამ დაფიქრებისა და უკან დაბრუნების დრო ჯერ კიდევ აქვს.

36. ხიზნების საკითხი

თბილისი, 1880 წ. 7 აპრილი

ხიზანთა საქმე ჯერ კიდევ ერთ-ერთი ყველაზე უფრო არსებითი და საჭირბოროტო საკითხია, რომლის გადაწყვეტასაც მოუთმენლად ელის ადგილობრივი მოსახლეობა. ჩვენ უკვე აღვნიშნავდით, რომ თბილისის გუბერნატორის ინიციატივით შედგა საგანგებო მიზანდასახულობის კომისია, რათა გამოიკვლიოს ხიზანთა მდგომარეობა და გლეხთა ამ ფენას, რომლის სამინათმოქმედო ურთიერთობაც გათვალისწინებული არ იყო რუსეთის კანონმდებლობის მიერ, გამოუძებნოს რაიმე დამაკმაყოფილებელი სისტემა. ვიმედოვნებთ, რომ ადმინისტრაცია, რომელმაც ხელი მოჰკიდა ხალხის ცხოვრების ასეთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, ქართველი გლეხობის მთელი კლასის ბედს, იმოქმედებს მსგავსი შემთხვევისათვის საჭირო წინდახედულობით და არც ერთ ნაბიჯს არ გადადგამს ისე, თუ წინასწარ არ გაეცნობა მისთვის საჭირო საქმის ყველა მხარეს. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ დღემდე საქართველოში არავინ დაინტერესებულა ხიზანთა მდგომარეობით და, თუ ვინმე დაინტერესდა კიდეც, სრულიად შემთხვევით, აქაიქ, რის გამოც მასალა, რომლითაც სავალდებულოა ხელმძღვანელობდეს ადმინისტრაცია, მცირეა და სრულიად არასაკმარისი. ერთადერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ოდნავ რომ ნათელყოფს ხიზანთა გამოუვალ მდგომარეობას, გახლავთ 1871 წლის „თბილისის გუბერნიის აღწერილობის მასალათა კრებულში" (I ნაკვეთი) მოთავსებული წერილი, რომელიც უკვე გადმოვბეჭდეთ „ობზორში"[6]. თუმცაღა ჩვენ გვეგონა, რომ ადგილობრივი პრესა ამოცანად დაისახავდა, წარმოედგინა ის ცნობები და სხვადასხვა წვრილმანები, ურომლისოდაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შეუძლებელია სწორად გადაწყდეს ხიზანთა ბედი.

მართალია, გაზეთმა „დროებამ"[7] ამ საკითხს ორი წერილი მიუძღვნა, თან მკითხველისადმი მიმართვაც დაურთო ამ სტატიათა გაგრძელების დაბეჭდვის თაობაზე, მაგრამ დღემდე პირობა არ შეუსრულებია. საქმე კი ვერ იტანს გაჯანჯლებას, კომისია განაგრძობს მუშაობას და ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება რაიმე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს. ამის შემდეგ კი „დროების" ცნობები დაემგვანება სიკვდილის შემდეგ ზიარებას.

ერთ-ერთ თავის მონინავე სტატიაში ეს გაზეთი, ხიზანთა საკითხის ნათელსაყოფად, ცდილობს გამოარკვიოს მიწით სარგებლობის ამ ფორმის წარმომავლობა და, ემილ დე ლეველეს მსგავს სხვადასხვა ეკონომისტთა მითითებებისა და ანალოგიების გზით, მიდის იმ დასკვნამდე, რომ ხიზნობა ისევე, როგორც ბატონყმობა, წარმოიშვა სათემო და ტომის საკუთრების კერძო საკუთრებად გარდაქმნის გზით, რის შედეგადაც საერთო მიწის მიმსაკუთრებლებს მუშახელი დასჭირდათ, ხოლო უმიწოდ დარჩენილებს—სამუშაო და მიწა. სწორედ აქედან დაიწყო პირველთაგან ამ უკანასკნელთა დაქვემდებარების პროცესი. „დროებას“ ასეთი დასკვნა გამოაქვს: ხიზნები არიან ის ადამიანები, რომლებიც უმიწოდ დარჩნენ და შეიქმნენ მოიჯარადრენი და ფერმერები.

გუშინდელ „დროებაში“ დაბეჭდილ მეორე მონინავე სტატიაში ავტორი, თ-დი ვეზიროვი, ამტკიცებს: „გორის მაზრის თავადაზნაურთა კრებამ გამოაცხადა ერთის ხმით, რომ ხიზანი არის მოიჯარადრე (არენდატორი) მამულისა და მას არა აქვს არავითარი ისტორიული მნიშვნელობა და დამოკიდებულება არც მამულთან, არც მამულის პატრონთან. ამიტომაც კრებამ ითხოვა შუამავლობა მის უმაღლესობის მთავარ-მართებლის წინაშე, რათა მიენიჭოს ამ ეკონომიურ წყობას უფრო შესაფერი იურიდიული წესი, ე. ი. დაარსდეს საერთო მომრიგებელ წესდებულების მფარველობის ქვეშ, როგორც წინად“.

შემდეგ თ-დი ვეზიროვი გამოთქვამს სურვილს, რომ, მისი აზრით, ეს სწორი და კანონიერი მოსაზრება ხიზანთა საქმესთან დაკავშირებით მიიღოს ადმინისტრაციამ...

„დროების“ რედაქციამ ამ სტატიას სარედაქციო შენიშვნა დაურთო, სადაც ნათქვამია, რომ იგი ეთანხმება თ-დი ვეზიროვის დებულებებს, რომლებიც, სიტყვამ მოიტანა და, არაფრით განსხვავდებიან თვით „დროების“ დებულებებისაგან: ამ გაზეთის ზემოაღნიშნული სარედაქციო წერილი, გორის მაზრის თავადაზნაურობაც და თ-დი ვეზიროვიც ერთსა და იმავე დასკვნამდე მივიდნენ—ხიზნები მიწათმფლობელთა მეიჯარადრენი არიან...

თ-დ ვეზიროვს თავის დასკვნათა დასასაბუთებლად შემდეგი ცნობები მოაქვს: „ეხლანდელი ხიზნობა არის ადგილობრივი აგრარული გარემოებიდან წარმომდგარი ეკონომიური მდგომა-

რეობა; უფრო გავრცელებით გამოთქმული იმას ნიშნავს, რომ მცხოვრებთაგანთა უნაყოფო და შევიწროებული ადგილებისა, როგორითაც ოსები, მთიელები და იმერლები არიან, დაიწყეს ეკონომიური ცვლილებების მიზეზით მოძრაობა, რადგანაც თავიანთ სამშობლო ადგილებში ნაჭერი სახელმწიფო, საბატონო გინა საკუთარი მამულები აღარ აძლევდნენ შრომის ფასის სარგებლობას. ამიტომაც მათ გადასცეს, ვინ გასყიდვით, ვინ იჯარით თავიანთი ნაჭერი მამულები, და მიმართეს იმ ახლო მდებარე ადგილებს, სადაც სიუხვე და სიკეთე მამულისა მათ უქადდა მომავალ კეთილ ცხოვრებას და შრომის უკეთ დაჯილდოებას.

ეს აგრარული გარემოებიდან წამომდგარი მოძრაობა დაიწყო ბატონყმობის გადავარდნის ბევრით წინათ და მომდინარეობს ამ ჟამამდე. შესანიშნავი მხოლოდ ის არის, რომ ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ ოსებმა უფრო მეტი მოძრაობა გამოიჩინეს და მოკლე ხნის განმავლობაში აავსეს სოფლებით ქართლის უდაბნო ტყეები. მათს უსვინდისო მამულის მოხმარებაზე, უზომო ტყის აოხრებაზე არა ღირს კაცმა უბრალოდ ილაპარაკოს.

უპირველესი პირობა ხიზანის დასახლებისა იყო და არის, ერთის მხრით, მამულის პატრონის სურვილი უცხო კაცის თავის საკუთრებაზე დასახლებისა, და, მეორე მხრით, თავისუფალი კისრულობა იმა პირობებისა, რაიცა გლეხ კაცს ვალად სდებენ სვინდისიანად და სიამოვნებით აღასრულოს ყოველივე წინადვე გადაწყვეტილი მოთხოვნილება ნაცვლად თავისუფალი მამულის მოხმარებისა.

მამულის მდებარეობისა და მიწის ნაყოფიერების დაგვარად იცვლება ხიზნის ვალდებულება. ერთგან ვხედავთ, რომ გარდა დღიურზე გადაწყვეტილი ორი კოდი ჭირნახულისა, ხიზანი იხდის დიდის სიამოვნებით კვირაში ერთხელ ბეგარას მუშით და ურმით; უხნავს მებატონეს, უთესავს, უმკის, ულეწავს კიდეც და ძღვენსაც მიართმევს. მეორედგან კიდევ ვხედავთ, რომ ორი კოდის მაგიერათ აძლევს მხოლოდ ერთ კოდს ღალას და მცირე ბეგარას. მესამედგან კი—არც ღალას იხდის, არც ბეგარას; მხოლოდ მცირე გადაწყვეტილი ფული (მახტა) და ორიოდ ძღვენი არის მისი ვალდებულება. ამ გვარი მაგალითი შეიძლება ბევრი მოვთვალოთ, სულ განსხვავებული ერთი მეორისაგან.

რაც შეეხება სახლ-კარობის ვადას და აყრას, ვიდრე ცირკულიარი გამოვიდოდა, რომელიც აღუკრძალავს ხიზნების აყრას, პირობაც სხვადასხვა იყო. ბევრს მებატონეს ეყენა ვადით და ვადის გასვლის შემდეგ; უკეთუ ორივე მხარეს სურდათ, სდებდნენ ახალს ანუ იმავე პირობას, და თუ ერთ-ერთს მათგანს აღარ სურდა ამდენი ურთიერთი დამოკიდებულება, ხიზანი იყრებოდა და სახლ-კარი, უკეთუ საკუთრება იყო, თან მიჰქონდა. იყვნენ მებატონენიც, რომლებიც აყენებდნენ უვადოთ, მხოლოდ იმ პირობით, რომ, უკეთუ დადებულს ვალდებულებას არ აღასრულებს, მამულის პატრონს ნება ჰქონდა ხიზანი აეყარა, როცა სურდა, მხოლოდ კალოობის გათავებამდინ ვერ აყრიდა.

რა თქმა უნდა, რომ გლეხ კაცსაც ვერავინ ვერ დაუშლიდა აყრას და მაშინ აიყრებოდა, როდესაც აღარა სურდა, ან ხელს არ აძლევდა იმ მამულზე ცხოვრება.

ვრაცხ საჭიროდ დაუმატო, რომ გარდა უჩინო ნაწილისა, ხიზნებად მყოფთა ოსებთა და იმერლებს ეხლაც კიდევ უჭირავთ თავიანთ სამშობლო ადგილებში მამულები და აქვთ ორი და სამი ოჯახობა სხვადასხვა ალაგას.

ყოველივე ესე ნათქვამი გვიმტკიცებს, რომ ხიზანს არა რაიმე პირისპირი დამოკიდებულება არა აქვს მებატონესთან. იგი არის თავისუფალი მხმარებელი (ეკსპლუატატორი) მიწის ნაყოფიერებისა, რომლისთვის იგი ფასს აძლევს. მაშასადამე, ხიზანი არის ნამდვილი მოიჯარადრე (арендатор) სხვისადმი კუთვნილის მამულისა, როგორითაც ინგლისში პატარა ფერმერი, გერმანიაში პატარა მოიჯარადრე (klein pachter) და სხვ.“

თავის სტატიას თ-დი ვეზიროვი იმ რწმენით ამთავრებს, რომ ხიზნები შეუდარებლად უფრო მეტი კეთილდღეობით სარგებლობენ, ვიდრე სხვა გლეხები, ამ აზრის დასამტკიცებლად, იგი იმოწმებს ისეთ ავტორიტეტს, როგორიცაა ეკონომისტი ვილი როშფორი.

რამდენად სარწმუნოა თ-დ ვეზიროვისა და გაზეთ „დროების“ მტკიცება იმის თაობაზე, რომ ხიზნები, არც მეტი, არც ნაკლები, ჩვეულებრივი მოიჯარადრენი არიან, დე, ყველამ თვითონ განსაჯოს, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს თვალსაზრისი მცდარია. მოიჯარადრე თავისუფალი ადამიანია, რომელსაც შეუძლია წავიდეს, ან დაითხოვონ იჯარით აღებული მამულიდან; ხიზნები კი,

თუ მუდამ არა, უმეტეს შემთხვევაში მაინც, ოდითგანვე ფლობდნენ იმ მიწას, რომელსაც დღესაც ფლობენ. თუმცა, მართალია, რომ ბევრი მათგანი ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს, მაგრამ უმეტესობა მაინც მკვიდრ ცხოვრებას ეწეოდა, ერთ ადგილზე გაიჩენდა მეურნეობას და უკვე აღარ ტოვებდა ამ ადგილს, რადგან მასთან დაკავშირებული იყო არა მარტო მატერიალურად, არამედ მორალურადაც; აქ ცხოვრობდა მისი ნათესაობა, აქ იყვნენ დასაფლავებული მისი წინაპრები და მახლობლები. ეს დამკვიდრებული ხიზნები იმდენად შეესისხლხორცნენ დაკავებულ ადგილებს, რომ მათ ვერც კი გამოარჩევთ მკვიდრი მცხოვრებლებისაგან. ეს კიდევ ცოტაა, ისინი გლეხთა განთავისუფლებამდე, და შემდეგაც, მთლიანად ისეთ დამოკიდებულებაში იყვნენ მემამულეებთან, როგორც მათი ყმები. ხიზნებს რომ მოიჯარადრე უწოდო და საერთო კანონები მიუყენო, ეს ნიშნავს, რომ გარკვეული ხალხის მთელი კლასი მემამულეებს დაუმორჩილო. ხიზანი თითქმის იგივეა, რაც მოხელე, ისეთივე უფლებით ძველთაგანვე მისგან დაკავებულ მიწაზე. თ-დმა ვეზიროვმა ერთი ფრაზა წარმოთქვა, რომელსაც, მისგან შეუმჩნევლად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ საკითხისათვის და, რაც მთავარია, მისი შეხედულების ცდომილებას ამტკიცებს. იგი ამბობს, რომ ამ ცოტა ხნის წინ ოსეთიდან მოსული ხიზნები იტაცებენ და ძარცვავენ ქართლის ტყეებსა და მიწებს. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მომენტია. გასაგებია, რომ, თუ ეს მოსულნი დარწმუნებული იქნებიან, რომ მათ მიერ დაკავებული მიწები და ტყეები მათვე დარჩებათ, ისინი მართალია, ეცდებიან ყველანაირი სარგებელი მიიღონ დაკავებული მიწიდან, მაგრამ აზრადაც არ გაივლებენ მის განადგურებასა და გაჩანაგებას. გორის მაზრაში არიან ხიზნები, რომელთაც შესანიშნავი მეურნეობა აქვთ. ეს ის ხიზნები არიან, რომლებიც სხვა გლეხების მსგავსი უფლებებით სარგებლობენ და სწამთ, რომ მამულს მათ არ წაარმთმევენ. იქვე, მათ გვერდით ცხოვრობენ ხიზნები, რომლებსაც დღეს თუ არა ხვალ გამოაგდებენ თავიანთი მამულიდან და ამიტომ ობობასავით წოვენ მიწას მთელ ბარაქას. ახლა განსაჯეთ, რამდენად ჰუმანური, კანონიერი და სასარგებლოა სახელმწიფოსათვის თავისუფალ მოიჯარადრეებად ჩაითვალოს ხიზნები და დედიშობილა გაუშვას ისინი?..

37. ჩვენი დამოკიდებულება ინგლისისადმი

თბილისი, 1880 წ. აპრილის 9

ამ დღეებში მოწმენი გავხდით ერთი ინგლისელის პატრიოტული გულისწყრომისა. იგი ჩიოდა, რომ ახლა ინგლისში აღარ არიან გაბედული და ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწენი, რის გამოც ინგლისის პოლიტიკა რუსეთთან დამოკიდებულებაში გაცილებით სუსტიაო. მისი აზრით, ინგლისს მკვეთრად უნდა განეცხადებინა თავისი მოთხოვნები რუსეთისადმი და ომისაც არ უნდა შეშინებოდა, რადგან სასაცილოცაა, რომ ინგლისს რუსეთთან ბრძოლისა ეშინოდეს, ჩვენი საუკუნის დასაწყისში აკი მან მარტოდმარტომ გადაიტანა ომი ნაპოლეონ I-ის მეთაურობით დარაზმულ მთელს ევროპასთან. ინგლისმა დაამთავრა ეს ომი ნაპოლეონის გადასახლებით წმ. ელენეს კუნძულზე და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური და ეკონომიური გაძლიერებით.

ეს თვალსაზრისი მეტისმეტად პატრიოტული თვალსაზრისია, ინგლისური შოვინიზმია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვინაიდან ინგლისური პრესის მრავალი ორგანო და ინგლისელი ხალხის მრავალი წარმომადგენელი ამ რწმენისაა, უნდა შევეცადოთ, გავერკვეთ, თუ რამდენად მისაღებია ახლა ის, რაც ხდებოდა ჩვენი საუკუნის დასაწყისში.

რუსეთსა და ინგლისს შორის ომს, ამ სამწუხარო ისტორიულ გარდუვალობას, როგორადაც არ უნდა ცდილობდეს მის თავიდან აცილებას რუსეთის მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკა, მაინც ვერ ავცდებით. ამ ომის მიზეზი არც ნაციონალური შუღლია, არც დიპლომატიური მეტოქეობა და არც არაფერი ამის მსგავსი. მიზეზი უნდა ვეძებოთ ორივე სახელმწიფოს—რუსეთისა და ინგლისის—ბუნებრივ ზრდაში. ამ ზრდის შეჩერება კი არავის ძალუძს, შესაბამისად გარდუვალია დაპირისპირება და ომიც, თუნდაც ინგლისელთადმი პირადი სიმპათიებიც არსებობდნენ და მთელი ქვეყნის დიპლომატებიც ზებუნებრივი ძალით ცდილობდნენ გაუგებრობებისა და შეტაკებების საბაბის თავიდან აცილებას.

თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ადამიანებს შეუძლიათ ჩაიდინონ ყველაფერი, მაგრამ მათ არ ძალუძთ შეაჩერონ ან გადააკეთონ მთელი კაცობრიობის ისტორიული განვითარების

მსვლელობა. ამ უზარმაზარ არენაზე ცალკეული სახელმწიფოები ისევე, როგორც ყოველ სახელმწიფოში ცალკეული ადამიანები, ჩნდებიან, ვითარდებიან, ავადმყოფობენ, სრულ განვითარებას აღწევენ და ნელ-ნელა იწყებენ დასუსტებას, ადგილს სხვას უთმობენ. ასეთია ცხოვრების პროგრესიული განვითარების გარდუვალი კანონი და მისი ულმობლობის წინაშე ამაოა ყოველგვარი ფიქრი და მცდელობა. უნდა დაემორჩილოთ ამ კანონს ისევე, როგორც მიზიდულობისა და ბუნების სხვა კანონებს ვემორჩილებით, ვემორჩილებით უნებლიეთ და დამოუკიდებლად იმისა, გვესმის თუ არა მათი მნიშვნელობა, ვაღიარებთ თუ არ ვაღიარებთ მათ მოქმედებას.

ინგლისს არ შეუძლია შეაჩეროს თავისი წინსვლა აზიაში, სადაც უზარმაზარი ბაზრები აქვს, რომლებიც განაპირობებენ ინგლისის ფაბრიკა-ქარხნების, მაღაროების წარმოებას და, მაშასადამე, მთელი ინგლისელი ხალხის კეთილდღეობას. ამ წარმოებათა პროგრესული ზრდა, მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის შედეგად, და კაპიტალის გაზრდა იწვევს ბაზრის პროგრესული გაფართოების აუცილებლობას ინგლისის ნაწარმის გასაღებისათვის. ამ მიმართულებით ყოველგვარი შეჩერება აუცილებლად უნდა გამოიხატოს სავაჭრო-ეკონომიური კრიზისით და, მაშასადამე, ძირი უნდა გამოეთხაროს ინგლისელი ხალხის კეთილდღეობას. ამ მოვლენის შეცვლა არ შეუძლია არც ვიგების და არც ტორების სამინისტროს; არც პოლიტიკურ კავშირებს ევროპისა და აზიის ყველა სახელმწიფოს და, ამიტომ, რასაც უნდა წერდნენ ინგლისის გაზეთები, რასაც უნდა ამბობდნენ დიპლომატები, ინგლისის შეტევითი პოლიტიკა ახალი და ახალი ბაზრების მოსაპოვებლად შეადგენს კონსერვატორთა თუ ლიბერალთა პოლიტიკური პარტიების პროგრამების ალფასა და ომეგას. პოლიტიკური პარტიები და მათი წარმომადგენლები შეიძლება დაუსრულებლად იცვლებოდნენ ინგლისის მთავრობაში, მაგრამ ინგლისის სავაჭრო-სამრეწველო ინტერესები მაინც დაჟინებით მოითხოვენ სულ უფრო და უფრო დიდ და ახალ ბაზრებს. ყოველივე ეს აშკარაა და შეიძლება დადასტურდეს მათემატიკურადაც.

არცთუ ისე ნათელია მიზეზები, რომლებიც რუსული გავლენის გავრცელებასა და რუსეთის ტერიტორიის გაფართოებას წარმართავენ. შეუძლებელია ჩვენ, რუსებმა, გულახდილად არ ვაღი-

აროთ, რომ უმეტეს შემთხვევაში არამცთუ არ ვიცნობთ ჩვენს სამშობლოს, რაც ნაწილობრივ მისატევებელი იქნებოდა, არამედ ძალიან ხშირად მეტად დამახინჯებული წარმოდგენა გვაქვს რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ ინტერესებზე, ყველა კონცესიონერის წარმატება და მათგან გაყვანილი რკინიგზის ქსელი საუცხოო ილუსტრაციაა გამოთქმული აზრის დასადასტურებლად. თუ ავიღებთ საზღვაო-სავაჭრო მიმოსვლას, მრეწველობისა და სახელმწიფო მეურნეობის სხვა დარგებს, სხვადასხვა ჩანაწერების, მოხსენებებისა და წინადადებათა საშუალებით მათი შესწავლის შემდეგ საშინლად გაცბუნებული დავრჩებით. მართლაცდა, რა არის საჭირო რუსეთის ეკონომიკური განვითარებისათვის და საით მიემართება მთელი მისი საქმიანობა ამ მხრივ? მაგრამ ამ ხილული მხარის გვერდით, რომელიც ჩვენს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებას ისევე ზუსტად გამოხატავს, როგორც სუზდალის მხატვრობის [32] „საშინელი სამჯავრო"—ჩვენს საიქიო ცხოვრებას, რუსეთის სავაჭრო მრეწველობა და ნაოსნობა უხილავი გზებით მიემართება პროგრესისაკენ და ჩვენ ამას მაშინ ვგებულობთ, როცა ფაქტი იმდენად მნიშვნელოვანი შეიქმნება, რომ მისი არდანახვა შეუძლებელია. ასე მაგალითად, რუსეთის ვაჭრობის მოცულობა შუა აზიაში ჯერ სრულიად არაა ცნობილი, ვინაიდან ფინანსთა სამინისტრომ, 1868 წლიდან, სავსებით შეწყვიტა ამ მონაცემების ბეჭდვა „წელიწდეულში". რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ იქ ჩვენი ვაჭრობა შესუსტდა, პირიქით, ის, ალბათ, გაორმაგდა და გასამმაგდა კიდეც, მაგრამ საგარეო ვაჭრობიდან იგი შინაავაჭრობად იქცა და, ამდენად, არავითარ რეგისტრაციას აღარ ექვემდებარება. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია ციფრებით დავამტკიცოთ (თუმცა უამისოდაც ყველასათვის ნათელია), რომ ჩვენი მანუფაქტურის ევროპაში გაგზავნა არ შეგვიძლია, და, მაშასადამე, მისი გასაღებისათვის ერთადერთი ბაზარი არის აზია. ამ ბაზარზე ჩვენ ისევე ვერ ვიტყვით უარს, როგორც ინგლისი და ჩვენც არ ვუშვებთ ამ ბაზრებს ხელიდან, პირიქით, ვაფართოებთ კიდეც მას, შესაძლებელია შეუგნებლადაც კი, რადგან არა გვაქვს ვაჭრობის სამინისტრო, რომელიც გამოიკვლევდა შუა აზიის სავაჭრო-ეკონომიკურ მნიშვნელობას. მაგრამ შუა აზია, როგორც ახლად დაპყრობილი მხარე, სამხედრო სამინისტროს უწყებაში შე-

დის, რომლისთვისაც ბუნებრივია სხვადასხვა სამხედრო და სტრატეგიული ფაქტების წინა პლანზე წამოწევა, თუმცა აქ, ჩვენგან დამოუკიდებლად, საქმე ეხება ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას.

რუსეთისა და ინგლისის საქონლის შეჯახება უკვე მოხდა ჩინეთის, სპარსეთისა და შუა აზიის ბაზრებზე. პირველი ადგილის დათმობა ზრდილობის, კეთილგანწყობისა და სულგრძელობის გამო შეუძლებელია. საქონელი არ ეკუთვნის ერთ პიროვნებას და უამრავი ვაჭარი, რომელთაც პირადი მიზნები ამოძრავებთ, თავიანთი ნაციონალური ნაწარმის გასაღებას უწყობენ ხელს. ამას ისინი პატრიოტიზმის გამო კი არ სჩადიან, არამედ იმიტომ, რომ სხვაგვარად შეუძლებელია. ყოველგვარი მათი ურთიერთობა, ნათესაობა და ნაცნობობა, ყველა მათი მიზანი მომავალი კეთილდღეობის, მშობლიური სახელმწიფოს ინტერესებითაა განპირობებული. ინგლისური საქონლის შოვნა და ინგლისის კრედიტით სარგებლობა რუსისათვის ისევე ძნელია, როგორც ის, რომ ინგლისელმა იზრუნოს რუსეთის საქონლის გასაღებაზე. აქედან გამომდინარე, ინგლისელი ან რუსი ვაჭრების მფარველობა სწორედ ინგლისის და რუსეთის ვაჭრობის მფარველობაა. თავიანთი ქვეშევრდომების მფარველობაზე უარის თქმა არა მარტო უაზრობაა, შეურაცხმყოფელიცაა ორივე მთავრობის ღირსებისათვის და, ამდენად, ბუნებრივია, რაც უნდა წერონ და თქვან, რუსეთისა და ინგლისის საქონლის კონკურენციის კვალდაკვალ აზიაში გარდაუვლად დგება საკითხი საკუთარი ეროვნების ვაჭართა დაცვისა და შემდეგ კი ყველაფერი ის, რაც მოხდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ინგლისისა და რუსეთის მიერ ქრისტიანული მოსახლეობის მფარველობის შედეგად.

ყოველივე აქედან გამოგვყავს დასკვნა, რომელიც სტატიის დასაწყისშივე ვთქვით; რუსეთის ომი ინგლისთან გარდუვალია. იგი შეიძლება გადაიდოს, მაგრამ მისი თავიდან აცილება არავის ძალუძს.

38. წკიპურტები

სარედაქციო ფოსტის გამო.—ბ-ნ პაშინოს მოგონებათა თაობაზე. ბ-ნი ჟუკოვი და „პეტერბურგსკაია გაზეტა“—კონსერვატორი ჟურნალისტები. —„მოლვას“ თბილისელი კორესპონდენტი. გაზეთ „დროების“ ახალი გოდება.—ხიზნები და ფერმერები. „მშაკი“—დოქტორ არწრუნის პოზა.

სიტყვით ყველანი „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების“ თავდადებული მომხრენი ვართ, მაგრამ სინანულით უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს საზოგადოებაში იშვიათად თუ აქვს ვინმეს ნამდვილად შეგნებული ამ თავისუფლების აუცილებლობა და სარგებლიანობა. თითქმის ყოველ ჩვენგანს ახასიათებს სხვისი აზრის შეუწყნარებლობა, საწინააღმდეგო მოსაზრების შიში, სურვილი იმისა, რომ მხოლოდ ჩვენი ნათქვამი გაიმეორონ. ერთსულოვნად მოვითხოვთ „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას“, თავგამოდებით გვსურს მივაღწიოთ ცენზურის გაუქმებას, მაგრამ არც ერთი ჩვენგანი არ იქნებოდა წინააღმდეგი, სახელმწიფო ცენზურის მაგიერ საკუთარი, თავისთვის სასარგებლო ცენზურა დაეარსებინა...

ამ აზრმა გამიელვა გონებაში იმ საჩივრებისა და საყვედურების მოსმენისას, რომელსაც „ობზორის“‘ მკითხველები გამოთქვამენ გაზეთის ფურცლებზე სარედაქციო ფოსტის ხშირი გამომზეურების გამო. ჩვენდამი მოწერილი წერილები ხომ არცთუ იშვიათად ეწინააღმდეგება და უარყოფს კიდეც რედაქციისა და „ობზორის“ კორესპონდენტთა ცნობებს ან შეხედულებებს.

—-მოგვიტევეთ,—გვეუბნებიან ისინი,—თქვენ თავს უფლებას აძლევთ ჯერ დაბეჭდოთ სტატიები და შემდეგ თქვენვე უარყოთ ისინი თქვენსავე გაზეთში, ლანძღოთ მათი ავტორები!.. რას ჰგავს ეს? ვის დავუჯეროთ?

სწორედ ამ უკანასკნელ შეკითხვაშია ჩვენი სისტემის „საიდუმლოების“ გასაღები. ჩვენი მიზანია, რომ თქვენ, მკითხველო, მხოლოდ საკუთარი თავისა გჯეროდეთ. სრულიადაც არა გვსურს, რომ თქვენს თვალში მისნის, უცოდველი მსაჯულის, ყოვლისმცოდნისა ან ყოვლისმხილველის სახელი გაგვივარდეს, ამგვარი იდეალი ჩვენ არ გვაცდუნებს, რადგან მიზნად არ დაგვისახავს მივაღწიოთ თქვენს ბრმა ნდობას ჩვენი სიტყვებისა და აზრებისად-

მი. მხოლოდ ერთი რამ გვსურს—გაიძულოთ, რომ ხშირად და მეტი იფიქროთ, კრიტიკულად განსაჯოთ ყოველგვარი ინფორმაცია, რათა მალე მიეჩვიოთ საკუთარ ფეხზე დგომასა და საკუთარი გონებით მოქმედებას, ხოლო, თუ ამგვარ შედეგებს მივაღწევთ, რაღას უნდა ნიშნავდეს ჩვენთვის, თუ თქვენ დაინახავთ ან გაიფიქრებთ, რომ დავმარცხდით, შევცდით, მცდარი აზრი წარმოვთქვით ან საერთოდ მტყუანი ვიყავით? მეტისმეტად წვრილმანი ადამიანი უნდა იყო, რომ ასეთი „საშიშროებისა" გეშინოდეს ან მასზე ფიქრობდე. პირადად ჩვენ კი სავსებით ვიზიარებთ სენ-ჟიუსტისა და მისი მეგობრების აზრს, რომელიც ღირსახსოვარ ეპოქაში წარმოითქვა: „ოღონდ საზოგადოება ფეხზე დავაყენოთ და დაე, თვით ჩვენი ხსოვნაც კი დაწყევლონ!"

აი, რატომ ვბეჭდავთ, და კვლავაც დავბეჭდავთ, ყოველგვარ უარყოფით წერილებს სარედაქციო ფოსტიდან და, თუ რატომ არ ვეკამათებით მათ ავტორებს ჩვენი სიმართლის დასამტკიცებლად, უნარიანი, გულმართალი და დაინტერესებული მკითხველი თვითონვე მიხვდება. იგი გაერკვევა, ვინაა მტყუანი, ვინ—მართალი, დანარჩენები კი, სულერთია, მაინც ვერაფერს გაიგებენ, რამდენიც არ უნდა წერო მათთვის. და განა, არსებითად, სულ ერთი არ არის, რას იფიქრებენ ან რას ირწმუნებენ ისინი? ეშმაკსაც წაუღია მათი თავი!

★

ვიმედოვნებ, რომ ეს განმარტება ნათელს ფენს საკითხს, აგრერიგად რომ აინტერესებთ ჩვენს მკითხველებს,—რატომ დავბეჭდეთ ჯერ ბ-ნ პაშინოს მოგონებები, ხოლო შემდეგ ბ-ნი ჟუკოვის წერილები სწორედ ამ მოგონებათა ავტორის წინააღმდეგ? ჩვენი აზრით, ბ-ნ პაშინოს მოგონებები სრულიადაც არ იმსახურებენ ბ-ნი ჟუკოვის მკაცრ და სალანძღავ კრიტიკას. რასაკვირველია, ნაწილობრივ მართალია, რომ ბ-ნი პაშინო თავის მოგონებებში შემოიფარგლა მხოლოდ ზედაპირული აღწერილობით იმ მოღვაწეთა გარეგნობისა, რომელთა შესახებაც წერს. იგი ნაკლებად ეხება მათ ნამდვილ ხასიათს, მათი პიროვნების არსს... მაგრამ საკითხავია, განა ბევრი „მოგონებები" გვაქვს რუსულ ლიტერატურაში, რომლებიც ამ მხრივ არ სცოდავენ? განა უფრო დამაკმაყოფილებელია ბ-ნი ი. ი. პანაევის ლიტერატურული მო-

გონებები, რომლებიც 1860-1861 წწ. „სოვრემენნიკში“ დაიბეჭდა? რასაკვირველია, სასურველია, რომ ლიტერატურულ მოღვაწეებზე შეძლებისდაგვარად ღრმა შინაარსიანი მოგონებები იწერებოდეს, თუმცა ამ სფეროში ხშირად არანაკლებ საინტერესოა ხოლმე წვრილმანებიც...

აი, რატომ მგონია, რომ მკაცრი რიგორისტული მიდგომა ასეთი მოგონებებისადმი არ ივარგებს.

მაგრამ ბ-ნი ჟუკოვი ნამდვილად ცდება, როცა ამტკიცებს, თითქოს ბ-ნი პაშინო შეურაცხყოფდეს პატივცემული მოღვაწეების ხსოვნას... „ობზორში“ არასოდეს დაიბეჭდებოდა ასეთი პრეტენზიის მქონე ერთი სტრიქონიც კი, მხოლოდ გონებაზე ძალდატანების შედეგად შეიძლება შევნიშნოთ უპატივცემულობა იმ მისტიფიკაციის გაკიცხვისას, რომელიც ორი ქალის მიერ ბ-ნი პაშინოსათვის მოწყობილ იქნა მხატვარ ი-ს ბინაში. ხოლო რამდენად მცდარია ბ-ნი ჟუკოვის მიერ მოგონებების შეფასება, კარგად ჩანს „პეტერბურგსკაია გაზეტას“[33] ერთი ამონაწერიდან. ამ გაზეთმა ბ-ნი პაშინოს იმავე თხზულებაში დაინახა დიამეტრალურად საწინააღმდეგო ვითარება, სახელდობრ მისწრაფება—„აღადგინოს დამხობილი კერპები“. გავეცნოთ ამ ამონაწერს აღნიშნული გაზეთიდან.

აი, რას წერს ეს კატკოვისეული გაზეთი ბ-ნი პაშინოს ფელეტონის გამო: „Exoriente lux“[34], არც ისე დიდი ხნის წინ წამოიძახა ერთმა პირმოთნე გაზეთმა.

„ამ უხამს და უხეშ პირმოთნეობას აქამდე მხოლოდ ერთი აღმოსავლელი კაცი—ვინმე ბ-ნი ნიკოლაძე გამოეხმაურა, სხვათა შორის, მეტად ბობოქარი კაცია: ორი წელი ებრძოდა ცენზორს, ამ დღეებში კი დუელი ჰქონდა ქართველ რედაქტორთან და ჰაერში ისროლა.* თავზე ხელაღებული კაცი არ შეიძლება თავზე ხელაღებული ლიბერალი არ იყოს, და, აი ესეც მიზეზი იმისა, თუ... რატომ მოჩანს აღმოსავლეთიდან ლიბერალიზმის კაშკაშა სინათლე. თოვლის ზვავების გამო თბილისთან ორი კვირის კავშირის შეწყვეტის შემდეგ, როგორც იქნა, მივიღე თბილისის გაზეთების მთე-

---

* სიტყვამ მოიტანა და უნდა გითხრათ ამ ცნობის შესახებ, დედაქალაქის მთელი პრესა რომ მოიარა „ნოვოსტის“[35] ჭორიკნობის წყალობით: ეს „ჰაერში გასროლა“ პირწმინდა ზღაპარია, „ნოვოსტის“ კორესპონდენტის მოცლილი ფანტაზიის მიერ შეთითხნილი.

ლი დასტა, უფრო ზუსტად თბილისის კი არა, ბ-ნი ნიკოლაძის გაზეთებისა, რომლებიც ქართველებს, სომხებს, ოსებს, ჩერქეზებს, გურულებს და კავკასიის ყველა ტომებს ლიბერალიზმის გაკვეთილებს უტარებს. მასწავლებლის როლში გვევლინება ძველი ნაცნობი პ.ი. პაშინო, რომელიც გადმოგვცემს თავის მოგონებებს ჩერნიშევსკიზე, დობროლუბოვზე, მიხაილოვზე, სერნო-სოლოვიოვზე, შელგუნოვზე და 60-იანი წლების სხვა საშიშ თუ უვნებელ ლიბერალებზე, რომელთაც ბევრი უკვე აღარ თვლის კერპებად, რადგან კარგად გაიხსენეს ცნება: „არა შეიქმნა კერპი შენი". ცნობილია, რომ ბ-ნი პაშინო წარმოუდგენლად ბევრს „თხზავს" და მოიკოჭლებს. ვფიქრობ, რომ მთხზველნი, რომელნიც ნამდვილად კოჭლობენ პირდაპირი თუ არაპირდაპირი მნიშვნელობით, მეკანდელეებადაც კი ვერ გამოდგებიან ლიბერალური განათლებისა და განათლების ხაზით, დამხობილი კერპების აღდგენის ფრონტზე".

„პეტერბურგსკაია გაზეტას", რომელიც „ბერეგს"[36] უწევს კონკურენციას, ცხადია, შეუძლია ამტკიცოს ის, რაც გაეხარდება. მაგრამ ამ შემთხვევაში ის ზუსტად ისევე ხდება, როგორც პატივცემული ბ-ნი ჟუკოვი. თუნდაც ამის გამოც აღარ გვმართებს მცდელობა დამხობილი კერპების აღსადგენად, რადგან ისინი „დამხობილნი არიან" მხოლოდ და მხოლოდ „პეტერბურგსკაია გაზეტას" არეულ წარმოდგენაში. ფიზიკური სიკვდილი ან გაძევება რომ სპობდეს მწერლის მნიშვნელობას, მაშინ, ცხადია, მართლაც ბედნიერი იქნებოდნენ „პეტერბურგსკაია გაზეტას" მესვეურნი... სიტყვამ მოიტანა და საინტერესოა ვიცოდეთ მაინც, ვინ შეცვალა „დამხობილი კერპები?" დიაკოვ-ნეზლობინმა ხომ არა, ახლახან რომ გამოწერეს კურსკის საპყრობილედან, რათა „ბერეგის" თანამშრომლად ექციათ? მაგრამ განა თვით „პეტერბურგსკაია გაზეტა" არ აცხადებდა კონსერვატორ ჟურნალისტთა სახელით, რომ ასეთი ჯურის ადამიანთა მიღება ჩვენს რიგებში უბრალოდ სირცხვილიაო?

„გულახდილად ვიტყვი,—ამბობს „პეტერბურგსკაია გაზეტას" მწერალი,—რომ დიდ შეცდომას ვუშვებთ, როდესაც „საფუძვლების" დასაცავად სიტყვა ისეთ პირებს ეძლევათ, რომელთაც უთუოდ ჩამორთმეული აქვთ ყოველგვარი საქვეყნო სიტყვა, როგორც საქვეყნოდ სახელგატეხილებს (აქედან შეგვიძლია დავასკვნათ,

რომ „პეტერბურგსკაია გაზეტას“ დასაშვებად მიაჩნია კონსერვატორ პუბლიცისტებში ჰყავდეს ისეთი თანამშრომლები, რომლებიც სახელგატეხილნი არიან, მაგრამ არა საქვეყნოდ). რაში გვჭირდება ეს რენეგატები, ეს მონანიე უძღები შვილები და მაგდალინელები, როდესაც უმაგათოდაც იყვნენ საზოგადოებაში წესრიგის ალალმართალი და პირდაპირი დამცველები? ახლა ეს „დამცველები“ იძულებული შეიქმნებიან დაყარონ იარაღი, რამეთუ არა მარტო ლიტერატურულ, არამედ ჩვეულებრივ ბრძოლაშიც კი არავინ გაჰყვება მხარდამხარ იმ ადამიანს, რომელიც ეს-ესაა გაათავისუფლეს საპყრობილიდან, სადაც საზიზღარი საქმისათვის იჯდა“ (ვინაიდან, „პეტერბურგსკაია გაზეტას“ თქმით, ბ-ნი დიაკოვ-ნეზლობინი თაღლითობისათვის იჯდა, ამ სიტყვებით გაზეთი აღიარებს, რომ საპატიმროში შეიძლება იჯდე პატიოსანი სიტყვისათვისაც).

შემდეგ „პეტერბურგსკაია გაზეტა“, რომელსაც, როგორც ჩანს, „ბერეგის“ კონკურენციისა და მისი თანამშრომლის ბ-ნი დიაკოვ-ნეზლობინისა ეშინია,—აცხადებს, რომ იგი ეკუთვნის იმ პირთა რიცხვს, რომლებმაც „აითვისეს საპყრობილის ზნეობა, საპყრობილის ენა და პირდაპირ საპყრობილიდან მიძვრებიან კათედრისაკენ. არიან ასეთი მქადაგებლებიც, მაგრამ ისინი გამოდგებიან მხოლოდ კომუნარებისა და რევოლუციური პარტიებისათვის. როშფორები და ბლანკები პირდაპირ ციხეში ხდებიან სახალხო მქადაგებლებად, ანარქიის მაცნეებად. წესრიგის დაცვისა და გამტკიცების უფლება კი მხოლოდ იმ ადამიანებს აქვთ, რომელთაც არასდროს დაურღვევიათ იგი. ერთი სიტყვით, წესრიგის დამცველთა და კონსერვატორ ჟურნალისტთა ბანაკში ასეთი რანგის სუბიექტი, როგორიც ნეზლობინ-დიაკოვია, ახლა ყველაზე მავნე კაცი იქნებოდა“.

საქმეც ისაა, რომ როშფორი და ბლანკი ციხეში ყალთაბანდობისათვის არ მსხდარან და სწორედ ამით განსხვავდებიან „სახალხო მქადაგებლები“ კონსერვატორი ჟურნალისტებისაგან...

★

ახლა გადავიდეთ „მოლვაზე“[37], რომელმაც თბილისში საკუთარი კორესპონდენტი შეიძინა.

ეს კორესპონდენტი დედაქალაქის გაზეთს შემდეგნაირად აცნობებს ადგილობრივი პრესის მდგომარეობას:

„ადგილობრივ პრესაში ყველაზე დიდ სიახლედ უნდა მივიჩნიოთ ბუნებრივი სიკვდილი თბილისის ყოველდღიური რუსული გაზეთის „ტიფლისსკი ვესტნიკისა“. ჩვენი მხარის რუსულ დამოუკიდებელ ორგანოთაგან ყველაზე უძველესმა გაზეთმა შეწყვიტა არსებობა, როგორც რედაქციამ განმარტა (სად და როდის?), მატერიალური სახსრების უქონლობის გამო. გაზეთ „ობზორს“ კი ამ გაზეთის სიკვდილის მიზეზად მისი ლიტერატურული უბადრუკობაც მიაჩნია. არ შეიძლება სამართლიანად არ მივიჩნიოთ „ობზორის“ შეფასება, ვინაიდან ერთ დროს თ-დი ბებუთოვის რედაქტორობით გამომავალი „ტიფლისსკი ვესტნიკი“, ადგილობრივი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის ორგანო, უკანასკნელ წელს (და არა უკანასკნელ წლებში?) ისეთ პირთა ხელში ჩავარდა, რომლებიც მას მხოლოდ სამსახურსა და კომერციას შორის დარჩენილ თავისუფალ დროს სწირავდნენ და სწირავდნენ მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი ნვრილმანი თავმოყვარეობისა და პირადი ინტერესების დაკმაყოფილების გამო. ვშიშობ, რომ ამავე მიზეზებით მალე დაიხურება „ობზორიც“, რომელიც, მიუხედავად თავისი ფრიად ბუნდოვანი ლიბერალიზმისა, მაინც მოსწონს ნახევრადგანათლებულ ადგილობრივ საზოგადოებას, რადგან იგი გააფთრებით და უსამართლოდ ესხმის თავს საზოგადოების უპატიოსნეს და ჭეშმარიტად ინტელიგენტ მოღვაწეებს. მართალია, ამ საზოგადოებას და თვით ჩინოსნებსაც კი მოსწონთ „ობზორი“, მაგრამ მისი კითხვა და მფარველობა ზედმეტად მიაჩნიათ.

ასეთ უბადრუკ მდგომარეობაში ჩავარდნენ ის ორგანოები, რომლებიც ორი-სამი წლის წინ თავიანთ თანამშრომლებად თვლიდნენ ისეთ ცნობილ რუს ლიტერატურულ მოღვაწეებს, როგორებიც არიან ენგელჰგარდტი, მ. ანტონოვიჩი და გლებ უსპენსკი. სხვა ვერაფრით აიხსნება ეს სამწუხარო ფაქტი, თუ არა იმით, რომ მათ ვერ გაუძლეს გარემოს დაწოლას“.

არ მესმის, როგორ მოხდა, რომ, თუ „ობზორმა“ შეძლო „მოსწონებოდა ადგილობრივ ნახევრადგანათლებულ საზოგადოებას“, რომელიც მის „მიმართულებასაც ინონებდა“, ახლა აღარ იკითხება და აღარც მფარველობს იგივე ნახევრადგანათლებული საზოგადოება; მაგრამ სამაგიეროდ ძალიან კარგად მესმის, რომ „მოლვას“ კორესპონდენტი უთუოდ ეკუთვნის იმ „უპატიოსნეს

და ჭეშმარიტად ინტელიგენტ“ მოღვაწეთა რიცხვს, რომელთაც „გააფთრებით“ და, რა თქმა უნდა, „უსამართლოდაც“, თავს ესხმის „ობზორი“. თუმცა კვლავ ვერაფრით ვერ ჩავწვდი, ამ უპატიოსნესმა და ჭეშმარიტმა ინტელიგენტმა კაცმა როგორ ვერ შეძლო თუნდაც მხოლოდ ერთი კორესპონდენციის წიგნიერად შედგენა. აზრების უმეტესობა ხომ ისევ „ობზორიდანაა“ მოპარული! უპატიოსნესმა და მეტად ინტელიგენტმა კორესპონდენტმა უნდა იცოდეს, რომ უსინდისობა და არაინტელიგენტური საქციელია გაზეთის იმ თანამშრომელთა დასახელება, რომელთა ვინაობაც ჯერ არ გაუმხელია რედაქციას ან ოფიციალურ უწყისში არ არის შეტანილი... უპატიოსნესსა და ჭეშმარიტად ინტელიგენტ კორესპონდენტს არც იმის არცოდნა ეკადრება, რომ ენგელჰარდტი, რომლის სახელისთვისაც მას მხოლოდ ყური მოუკრავს ოღონდ ვერ გაუხსენებია საიდან, „ცნობილი რუსი ლიტერატურული მოღვაწე“ და „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“[38] ავტორი კი არ არის, არამედ ცნობილი ფრანგი პოლიტიკოსია...

მართლაც, „საცოდავია იმ ორგანოთა მდგომარეობა“, რომელნიც მოკლებულნი არიან ასეთ უპატიოსნეს და ჭეშმარიტ ინტელიგენტ კორესპონდენტებს, მაგრამ რას იზამ... დაე, ამ კორესპოდენტებმა თავიანთი პატიოსნება და ინტელიგენტობა „მოლვაში“ გამოავლინონ, სადაც მათ არ იცნობენ. აქ კი ვერც რედაქციასა და ვერც მკითხველს ვერ გააცურებენ, როგორი „უპატიოსნესისა“ და „ჭეშმარიტი ინტელიგენტის“ ეპითეტებიც უნდა მიისაკუთრონ.

სიტყვამ მოიტანა და, რა კოლოსი ეს „ობზორია,“ ასე მარტოდმარტო, მკითხველის ყოველგვარი მხარდაჭერისა და თვით თანამშრომელთა გარეშეც კი რომ ესხმის თავს, თანაც მეტად „გააფთრებით“ და „უსამართლოდ“, „უპატიოსნეს და ჭეშმარიტ ინტელიგენტ“ მოღვაწეებს, ხოლო ამ უკანასკნელთ დუმილისა ან „მოლვაში“ დამალვის გარდა, ვერაფერი მოუხერხებიათ? არა, ბატონებო, სავსებით შესაძლებელია, თქვენ პატიოსანი იყოთ, მაგრამ პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ ინტელიგენტები ნამდვილად არა ხართ!

★

ახლა ადგილობრივი ბეჭდვითი სიტყვის რიგია.

დღეს, ოთხშაბათს, 9 აპრილს, ერთდროულად შემოგვიტია ორმა

ადგილობრივმა გაზეთმა, ქართულმა „დროებამ“[30] და სომხურმა „მშაკმა“[31]. ორივე წუწუნებს, რომ „ობზორმა“ ამ საწყლებს „ცილი დასწამა“.

ამჯერად გაზეთ „დროებაში“ საქმე ეხება ჩვენს მოწინავე წერილს ხიზნების საკითხზე, რომელშიც შევნიშნავდით, რომ „დროებაც“, გორის მაზრის თავადაზნაურობაც და თ-დი ვეზიროვიც არსებითად ერთნაირ დასკვნამდე მივიდნენ ხიზანთა თაობაზე; სახელდობრ, მათი აზრით, ხიზნები მემამულის მიწის თავისუფალი მოიჯარადრეები არიან. იმის გასარკვევად, მართლა ცილისმწამებლები ვართ თუ არა, გავიხსენოთ სწორედ ის მოწინავე საბრალო გაზეთისა, რომელმაც მოგვცა საბაბი „შევთითხნოთ“ ცილისწამება და „დროებას“ მოვახვიოთ თავს.

ქართული გაზეთის დასახელებული მოწინავე წერილის ავტორი, რომლის სურვილიც იყო დაეკავშირებინა ხიზნობა კერძო და საზოგადოებრივი სექტორის წარმოშობასთან მიწების ტომობრივი მფლობელობიდან, სტატიის დასაწყისშივე მოგვითხრობს იმის თაობაზე, რომ ადრე მიწით ერთობლივად სარგებლობდნენ მთელი ტომები და საზოგადოებები. დროთა განმავლობაში, ისტორიულ ვითარებათა და კოლიზიათა გამო საერთო მიწა თანდათან გადავიდა კერძო პირთა ხელში, რის გამოც მოსახლეობა ორ კატეგორიად გაიყო; ერთ მხარეზე აღმოჩნდნენ ის პირები, რომელთაც შეიძინეს მიწა და პირადი საკუთრება, მაგრამ ამ მიწის დასამუშავებლად მუშახელი სჭირდებოდათ, მეორე მხარეზე კი—უმიწოდ დარჩენილი ადამიანები, რომელთაც ეს მიწა სჭირდებოდათ და თავიანთი თავი მუშა ძალად შერაცხეს. ორ ნაწილად გათიშვამ წარმოშვა ბატონყმური უფლებები და მიწისმფლობელობის ის ფორმა, რომელსაც ფერმერობის, ხიზნობისა და მიწის დაქირავების სხვადასხვა ფორმებს უწოდებენ.

ჩვენ გაზეთ „დროების“ ნათქვამის მოკლე, მაგრამ სწორი, რეზიუმე მოვიტანეთ, თავად სტატია კი მეტად ბუნდოვნად და გაუგებრადაა დაწერილი. მისი აზრი ისაა, რომ ხიზნები, მრავალ ფერმერთა მსგავსად, საერთო მფლობელობის მიწების მისაკუთრების შემდეგ უმიწოდ დარჩნენ, რის გამოც იძულებული გახდნენ მემამულეთა მიერ მისაკუთრებული მიწის მოიჯარადრეებად ქცეულიყვნენ.

ისმის კითხვა: სადაა აქ ცილისწამება? ან იქნებ „დროების“ რედაქციას თვითონ არ ესმის მის მიერ დაბეჭდილ სტატიათა აზრი? მაგრამ დამეთანხმებით, რომ შეუძლებელია მკითხველს დაავალო ზუსტად ისე ვერ გაიგოს წერილის აზრი, როგორც ვერ გაიგო „დროების“ რედაქციამ. ცხადია, ჩვენ ვერ ვიკისრებთ ზეადამიანურ შრომას, განვუმარტოთ „დროების“ პუბლიცისტებს მათივე სტატიების აზრი და შინაარსი, მაგრამ რჩევას კი მივცემთ, ვიდრე ცილისწამებლებს გვიწოდებდნენ, გადაეკითხათ საკუთარი სტატიები.

ჩვენს მკითხველებს კი უნდა წარმოვუდგინოთ საქმის არსი: ხიზნობას და იჯარასა თუ ფერმერობას შორის უზარმაზარი განსხვავებაა. ხიზნები მიწაზე უვადოდ სახლდებოდნენ და ამიტომ მიცემული მიწების წართმევა მათთვის აღარ შეიძლებოდა. ისინი ხდებოდნენ, ასე ვთქვათ, ამ მიწის სამუდამო თანამოზიარენი. თვით გადასახადებიც კი, განკუთვნილი მიწისმფლობელთათვის, ვერც გაიზრდებოდა, ვერც შეიცვლებოდა. ქართველი თავადაზნაურობა კი ცდილობს, რომ ხიზნები ახლა უბრალო ან თავისუფალ მოიჯარადრეებად გამოაცხადოს და დაუმორჩილოს ისინი საყოველთაო სამოქალაქო სამართალს. თუ თავადაზნაურობის ამგვარი მცდელობა შეწყნარებული იქნება, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის ასობით და ათასობით ხიზანთა ოჯახები სრულ პროლეტარებად იქცევიან და მიწისმფლობელთა თვითნებობის ანაბარა დარჩებიან. როგორც კი ხიზნებზე ჩამოვარდა ლაპარაკი პრესაში, „დროება“ ვალდებული იყო გამოეკვლია ეს განსხვავება ხიზნებსა და მოიჯარადრეებს ან ფერმერებს შორის, მაგრამ, რადგან მას ამ განსხვავებაზე კრინტიც არ დაუძრავს, რადგან მან ხიზნობა და ფერმერობა ერთ სასწორზე შეაგდო, ამიტომ მისი, გორის თავადაზნაურებისა და თ-დ ვეზიროვის შეხედულებათა შორის არსებითი განსხვავების მონახვა ჩვენს ძალებს აღემატება. ჩვენთვის „დროება“ თავადაზნაურების ინტერესების ისეთივე დამცველია, გლეხთა და საზოგადოების ინტერესთა საზიანოდ, როგორებიც არიან გორის მემამულეები და თ-დი ვეზიროვი.

თუ ჩვენი შეხედულება შეუსაბამოა, შეეცადეთ, „დროების“ მტირალა ქალწულნო,—განუმარტოთ მკითხველებს, სახელდობრ, რითი გამოიხატება თქვენი შეხედულების განსხვავება თავადაზ-

ნაურთა მისწრაფებისაგან და სადაა მიმალული ეს განსხვავება თქვენს სტატიებში, თორემ ისეთი უაზრო სიტყვით, როგორიცაა „ცილისწამება“, ვერავის ვერაფერში ვერ დაარწმუნებთ.

★

„მშაკი“ აღშფოთებულია ცენზორეპის დაბეზღების თაობაზე, მაგრამ, ცხადია, აღშფოთებულია არა დამბეზღებელზე, არამედ მასზე, ვინც მაბეზღარას ყური აუნია. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენში, თურმე, ესეც ცილისწამება ყოფილა! მოვუსმინოთ, რას წერს დოქტორი არწრუნი:

„ცნობილია, რომ კავკასიის საცენზურო კომიტეტმა პროცესი დაიწყო „მშაკის“ რედაქტორის გრიგოლ არწრუნის წინააღმდეგ. საქმე დანიშნულია საოლქო სასამართლოში 23 მაისს. ჩვენი ორი ადგილობრივი გამოცემა—რუსული „ობზორი“ და სომხური „მეგუ“, რომელთაც თავიანთი არსებობის მიზნად დაისახეს „მშაკზე“ თავდასხმა, საამისოდ კი ათასგვარ ბინძურ და მდაბალ საშუალებებს მიმართავენ, სასამართლოს გამოძიებასა და გადაწყვეტილებას კი არ უცდიან, რომელსაც შეუძლია დაანახოს ყველას, ვინ არის მართალი და ვინ—მტყუანი. ამასთანავე, სავსებით არ იცნობენ თვით საქმეს, თავს ნებას აძლევენ უტიფრად და ურცხვად გაამტყუნონ გრიგოლ არწრუნი, ავრცელებენ რა მასზე ყველაზე ბინძურ ინსინუაციას (?!). რამდენად უზნეოა ასეთი საქციელი, ეს საზოგადოებამ განსაჯოს, ჩვენ კი დინჯად დაველოდებით სასამართლოს განჩინებას, რადგან ჩვენი ღირსების შელახვად მიგვაჩნია რაიმე პოლემიკა ისეთ ორგანოებთან, რომლებიც მხოლოდ იმით არიან დაკავებული, რომ სხვებს ესვრიან ტალახს, ამახინჯებენ ფაქტებს, ამცირებენ პატიოსან ადამიანთა ღირსებას, რათა ხელმომწერნი მიიზიდონ და თავიანთი სიბინძურე დამალონ. რომელი ჩვენგანი მიმართავს მდაბიურ ანგარებას, დე, კვლავ საზოგადოებამ განსაჯოს; ეს ჩვენი უკანასკნელი სიტყვაა, საქმის წვრილმან მხარეებს კი სასამართლოს მოვახსენებთ, რადგან ჩვენი ღირსების დამამცირებლად მიგვაჩნია რაიმე ახსნა-განმარტება მივცეთ ისეთ ლიტერატურულ პამპულებს, როგორებიც არიან ბატონები ნიკოლაძე და სიმონიანცი“—

შენიშნეთ თუ არა, რომ ბ-ნი არწრუნი ვერ უარყოფს თვით ფაქტს მის მიერ განცხადების შეტანისა, რომლის ზუსტი შინაარ-

სიც „ობზორში“ იგი გადმობეჭდილი. იგი ხსნას ეძებს „ღირსების დაცვასა“ და „საზოგადოებრივი აზრის სამსჯავროში“. დიახ, ამას ცდილობს გრიგოლ არწრუნი, თბილისის პრესის კვაზიმოდო! ჩვენ უკვე შევუკვეთეთ მხატვარ ხოდოროვიჩს „ზურნას“ პირველივე ნომრისათვის ბ-ნი არწრუნის მთლიანი პორტრეტი წარწერით: „თავის ღირსებაში გახვეული კვაზიმოდო“. მხატვარს ვთხოვეთ დახატოს დოქტორი არწრუნი აპოლონ ბელვედერელის პოზაში, რომელიც თავის სიშიშვლეს კლასიკური ლეღვის ფოთლის ნაცვლად ორი ოცდახუთმანეთიანით იფარავს...

მაგრამ ბ-ნი არწრუნი პირდაპირ გვერეკება თავისი პროცესისაკენ, სადაც ჩვენ, ცხადია, გასართობად აუცილებლად წავალთ. იგი ამბობს, რომ ჩვენ არ ვიცით, ვინ არის მართალი და ვინ არის მტყუანი. ჩვენ კი არც გვინდა, რომ ვიცოდეთ: რაც უფრო მართალია ბ-ნი არწრუნი ცენზურის წინაშე, მით უფრო სამარცხვინოა, რომ ცენზორები დააბეზღა. ამ აზრის დასადასტურებლად სრულიადაც არ არის საჭირო სასამართლოს განაჩენს დაველოდოთ, რომელიც, ცხადია, საქმის სრულიად სხვა მხარეებს განიხილავს. ჩვენ მხოლოდ ის გვაინტერესებს, შეიტანა თუ არა ბ-ნმა არწრუნმა სასამართლოში ის განცხადება, რომლის თაობაზეც ვწერდით „ობზორში“. კატეგორიულად გვიპასუხეთ ამ კითხვაზე, თუ შეგიძლიათ! და თუ არ შეგიძლიათ დაბეზღების ფაქტის უარყოფა, მაშინ თქვენი გამოწყობა „ღირსების“ საბურველში ჩირადაც არ ღირს. ჩვენ არა მარტო ის ვიცით, რას ნიშნავს ეს საბურველი, კიდევ უფრო უკეთ გვეხერხება, როგორ ჩამოვგლიჯოთ იგი. თქვენ ხომ დაგვპირდით, აგერ ერთი თვის წინათ, რომ არ უპასუხებდით „ობზორს“, მაგრამ მაინც შეეპასუხეთ და მუდამაც შეეპასუხებით, როცა კი მოვინდომებთ. არა, სჯობს, არ დაიფიცოთ და არც პირობა დადოთ.

ასევე ამაოდ ქაქანებს ბ-ნი არწრუნი „სახეში ტალახის სროლაზე“. მართლაც არსებობენ ადამიანები, რომელთაც სხვა რამ არც შეიძლება რომ ესროლო, მაგრამ ჩვენთვის ეს საჩივარი ისევე სასაცილოა, როგორც ჩხავილი მოხეტიალე კატის, რომელსაც დრუნჩი ეს-ესაა თავისგანვე ნაბილწულში ნააყოფინეს... მსგავსი ოპერაციის მონათვლა „ტალახის სახეში შესხმად“ მხოლოდ ბ-ნი არწრუნის მსგავს ადამიანებს შეუძლიათ, რომელთაც არ ესმით,

რომ საკუთარი თავის განდიდება „პატიოსან მოღვაწედ“ შეუწყნარებელია. პატიოსანი მოღვაწის რეპუტაცია—შეიგნეთ ეს ბ-ნო არწრუნო—ჰაიდელბერგის დოქტორის დიპლომია, მას ვერც ფულით იყიდით და ვერც თვითნებურად მიითვისებთ.

რაც შეეხება „პამპულის“ მსგავს სიტყვებს, ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ გადავაჩვევთ ბ-ნ არწრუნს ასეთი უხამსი გამოთქმების ხმარებას, რადგან სერიოზულად ვუცხადებთ, რომ, თუ ერთხელ კიდევ გაბედავს იგი მსგავსი საზიზღრობის წარმოთქმას, მაშინ მაბეზღარათა შორის ამ უვულგარულესი ეგზემპლარის ყურებს შავი დღე დაადგებათ.

39. ჩვენი დამოკიდებულება ავსტრია-უნგრეთისადმი

თბილისი, 1880 წ., აპრილის 9

ბალკანეთის ქრისტიანთა განთავისუფლებისათვის ყოველგვარი მხსვერპლის გაღების შემდეგ, როგორც ცნობილია, ბერლინის ტრაქტატის თანახმად, ამ პრობლემის საბოლოო მოწესრიგებაზე ზრუნვა მივანდეთ ავსტრია-უნგრეთის მთავრობას, რომელმაც დიდი ხნის თათბირის შემდეგ სამი იმპერატორისადმი პატივისცემის ნიშნად იკისრა ამ მძიმე ტვირთის ზიდვა. სინამდვილეში კი ეშმაკი არც ისე საშიში გამოდგა, როგორც ბერლინის კონგრესზე შეკრებილი დიპლომატები გვიხატავდნენ. ავსტრია-უნგრეთმა, ცოტა რომ მიმოიხედა და შეაფასა ბოსნიისა და ჰერცოგოვინის მშვიდობიანი და დამორჩილებით მიღებული ყველა სარგებელი, მთელი ევროპის დავალების კეთილსინდისიერად განხორციელებისათვის მზადაა ევროპული უმცირესობის კონცერტის წინააღმდეგ წავიდეს რუსეთის პირველი მეგობრის, თავადი ბისმარკის, მითითებით. Ostreich-Oesterreich -ის მაგივრად, თავისი დედაქალაქით კონსტანტინოპოლში, თანაბრად ელაქუცება გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და ინგლისის მადას და ამიტომ ყველა დიპლომატს შეუძლია ამაში დაინახოს მხოლოდ ევროპის საერთო ინტერესები, რომლებიც ამ უკანასკნელს რუსეთის დაუკმაყოფილებელი პატივმოყვარეობისაგან იცავს. მაგრამ, რასაკვირველია, ამ საკითხს ჩვენში ამგვარად და ამ კუთხიდან არ უყურებენ.

„აღდგომის შემდეგ, როცა განახლდება ავსტრია-უნგრეთის პარლამენტის მუშაობა,—წერენ „ნოვოე ვრემიაში" 10, —გრაფი ტააფეს უკანასკნელი გადაწყვეტილება უნდა გაირკვეს და ჩვენ შევიტყობთ, გადაწყვეტენ თუ არა ავსტრიელები ახალი ბაზრის დაპყრობას. ამის შეტყობა საკმაოდ საინტერესოა, რადგან ავსტრია შეიძლება არ დაკმაყოფილდეს მხოლოდ ახალი ბაზრით, არამედ „დამოუკიდებელ მიზეზთა გამო", სალონიკამდე მივიდეს და ამით კვლავ განაახლოს თითქმის უკვე არქივს ჩაბარებული აღმოსავლეთის ყველა საქმე".

ცხადია, შეუძლებელია ამ აზრს არ დაეთანხმოთ. რაც უნდა დიდი იყოს რუსეთის მშვიდობისმოყვარეობა და თავმდაბლობა, რაც დამტკიცდა გრაფი შუვალოვის მოღვაწეობით ბერლინის კონ-

გრესზე, და თვით ბერლინის ტრაქტატით, რუსეთს მაინც არ შეუძლია უღალატოს თავის ტრადიციულ ისტორიულ ამოცანას—უარი თქვას ბალკანეთის ნახევარკუნძულის ერთმორწმუნე და მონათესავე სლავთა მფარველობაზე. ამიტომ მათი გადაცემა ავსტრია-უნგრეთის მთავრობის ხელში ადმინისტრაციული მონესრიგებისათვის თ-დი ბისმარკის უზენაესი ხელმძღვანელობით შეუსაბამო იქნება როგორც რუსეთის ღირსების, ისე მისი ინტერესებისათვის. რუსეთს ისევე არა აქვს უფლება უარი თქვას თავის სლავურ წარმოშობაზე, როგორც ერთიანი გერმანია ვერ იტყვის უარს თავის გერმანულ მოვალეობაზე—უყვარდეს ყველა გერმანელი უმეტეს თავისი ღვთისა, სადაც უნდა ცხოვრობდეს ის. სხვაგვარად რომ მოიქცეს, რუსეთი ხელს შეუწყობს თავის მტრების გეგმებს, რომელთაც სურთ მისი გამოცალკავება იმ სლავებისგან, ჩვენი ერთადერთი მოკავშირენი რომ არიან ევროპაში. ამის გამო ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვაღიარებთ „ნოვოე ვრემიას" უკანასკნელი განმარტების სამართლიანობას, რომელიც იმავე წერილშია ნათქვამი, საიდანაც წინა ამონაწერი მოვიტანეთ:

„ავსტრიის პოლიტიკის ასე თუ ისე შემობრუნება მეტად მნიშვნელოვანია იმ ინტერესთა თვალსაზრისით, რომლებიც ჩვენ მჭიდროდ გვაკავშირებენ ამ სახელმწიფოსთან. ჩვენ შეგვეძლო და კიდეც უნდა გვეცხოვრა მშვიდობიანად ამ ქვეყანასთან; შეგვეძლო გვეპოვა საერთო შეხების წერტილი პარალელური და მშვიდობიანი მოქმედებისათვის, ჩვენი საერთო ამოცანების მტკიცე განვითარების თვალსაზრისით, რომლებიც ახლა, შესაძლებელია უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მოითხოვენ გარკვეულობას, სიცხადესა და მეგობრულ მხარდაჭერას."

ცხადია, ცუდი მშვიდობა კარგ ომს სჯობია და ამიტომ ჩვენი მთავარი ინტერესი, სავაჭრო-ეკონომიური კეთილდღეობის ინტერესი, მოითხოვს, ურთიერთშეთანხმებით თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი ომი, რომელიც ანადგურებს ხალხის სიმდიდრეს თვით ბრწყინვალე საომარი მოქმედებების დროსაც კი, მაგრამ, საუბედუროდ, ომი ისევე, როგორც პირადი დავა, მხოლოდ ერთ მხარეზე არ არის დამოკიდებული და ამიტომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მშვიდობისმოყვარეობასა და თავმდაბლობას დაეცვა რომელიმე სახელმწიფო გარეშე ომებისაგან. ეს ორი საუკეთესო თვისება, მშვიდობისმოყვარეობაცა და თავმდაბლობაც პოლიტიკასა

და პირად ცხოვრებაში, არცთუ ისე იშვიათად, მიიჩნევა მოწინააღმდეგის სისუსტედ.—ეს გარემოება კი მეორე მხარეში უფრო დაჟინებული მოქმედების სურვილს იწვევს. სწორედ აქედან მიიღო საწყისი სახელმწიფოს უსაფრთხოების აღიარებულმა პრინციპმა: „ვისაც მშვიდობა სურს, ის უნდა ემზადებოდეს ომისათვის“.

ჩვენი ურთიერთობა ავსტრია-უნგრეთთან გრაფი ტაააფეს მინისტრობის დროიდან არ დაწყებულა, იგი რამდენიმე საუკუნით ადრეც არსებობდა. ამ ურთიერთობის ისტორიიდან ნათელი ხდება, რომ ავსტრიის საკუთარი ინტერესები არათუ ეთანხმებოდა, არამედ მუდამ ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ინტერესებს,—სხვაგვარად, ცხადია, არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩვენი ყოველგვარი კავშირი ავსტრიასთან, თუნადც ავსტრია-უნგრეთთანაც, მუდამ რუსეთის ინტერესთა საწინააღმდეგო იყო. ამ კავშირთა საფუძველი არ შეიძლებოდა ყოფილიყო რაიმე ურთიერთსაჭიროების დაკმაყოფილება; ამგვარ როლს უმთავრესად ასრულებდა წმინდა საგარეო პირობები, უმეტესად შეთხზული გაქნილი დიპლომატების მიერ, რომელნიც ახერხებდნენ დაერწმუნებინათ რუსეთი, რომ ის ბევრს მოიგებს, თუ სამსახურს გაუწევს ავსტრიის ინტერესებს. ღირს მოვიგონოთ ყველა ჩვენი ომი ავსტრიასთან ერთად თურქეთის წინააღმდეგ: როგორც დასაწყისი, ასევე ბოლო ლასის, მინიხის, სუვოროვისა და სხვათა ყველა გმირობისა ყოველთვის გაუგებრობით დასრულდა; ავსტრია, რომელიც დასახმარებლად მოუწოდებდა ხოლმე რუსეთს, ბოლოს თვითონვე შეშინდებოდა მისი წარმატების გამო და, ფარულად თუ აშკარად, ხრიკებს აწყობდა მის წინააღმდეგ, საბოლოოდ კი რუსეთის მოწინააღმდეგეების მხარეზე გადადიოდა. ღირსახსოვარი 1849 წლის უნგრეთის კამპანია, როცა ჩვენ ვიბრძოდით უნგრელებთან, მაგრამ ვმტრობდით ავსტრიელებს, ისტორიული უმადურობით დამთავრდა ყირიმის ომის დროს; იგი წარმოადგენს უახლეს და დამახასიათებელ ილუსტრაციას რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის მეგობრობისას. რადგან მთელი არსებით ვუსურვებთ ჩვენს სამშობლოს კეთილდღეობას, სწორედ ამიტომ ნაკლებ ვუსურვებთ მას ავსტრია-უნგრეთთან კავშირს. დე, ამ უკანასკნელის კავშირი გერმანიასთან, რადგან ის უკვე ჩამოყალიბებულია და დაფუძნებულია საერთო გარე მისწრაფებებსა და შინამოქმედებაზე, დარჩეს უცვლელი და ემსახუროს ჩვენს დიპლომატებს როგორც შუქურა, რომელიც კონსტანტინოპოლისაკენ მიმვალ გზას უნათებს ავსტრია-უნგრეთ-გერმანიას, რაც, ცხადია, სრულიადაც არ შეესატყვისება რუსეთის ინტერესებს.

40. სადღეისო საკითხები

თბილისი, 1880 წ. 11 აპრილი

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ევროპის პოლიტიკური ცხოვრების ნორმალური მსვლელობა საფრანგეთის რევოლუციამ დაარღვია, რომელმაც სამეფო ტახტზე დასვა ერთ-ერთი უდიდესი დამპყობთაგან ნაპოლეონ I. უზურპატორმა, როგორც მაშინ საფრანგეთის იმპერატორს უნოდებდნენ, შექმნა ახალი დინასტია, შეძლო გამტკიცებულიყო და გაემაგრებინა ტახტი თავისი შთამომავლობისათვის მხოლოდ იარაღით, სამხედრო დიდებითა და ახალი იმპერიის პირველობის მეშვეობით ყველა სხვა ევროპულ სახელმწიფოთა შორის. გენიალურმა მხედარმთავარმა, რომელიც ეყრდნობოდა ფრანგების სიყვარულს ომისა და გარეგნული ბრწყინვალებისადმი, უდიდესი და უმძლავრესი არმია შექმნა და, გერგილიანად ისარგებლა რა სხვადასხვა დინასტიებისა და ევროპის ერების ინტერესთა სხვადასხვაობით, მეტისმეტად სწრაფად დაუმორჩილა მთელი დასავლეთ ევროპა, გარდა რუსეთისა, არა მარტო თავის გავლენას, არამედ—თავის უღელსაც. მხოლოდ ერთადერთ ინგლისს არ უღიარებია ნაპოლეონ I-ის უზენაესობა; იგი არაჩვეულებრივი თავგამოდებით უქმნიდა მას მტრებს კონტინენტის სახელმწიფოთა შორის და განუწყვეტელი ომებით ცდილობდა საფრანგეთის დაუძლურებას, თვითონ კი უმნიშვნელო ზარალსაც არ განიცდიდა. ევროპისაგან ოკეანით გამოყოფილი ინგლისი მშვიდად და სიამოვნებით აკვირდებოდა ომებისაგან კონტინენტის სიმდიდრის განადგურებას, წარმოების შეჩერებასა და ვაჭრობის შეფერხებას,—ყოველივე ეს ინგლისური მანუფაქტურის უაღრესად გაზრდილ მოთხოვნილებას ქმნიდა, აფართოებდა მისი ვაჭრობის არეს, აძლიერებდა კაპიტალის მოზღვავებას, რომელსაც ინგლისი სუბსიდიის სახით სიამოვნებით აძლევდა მათ, ვინც იბრძოდა მისი ინტერესებისათვის ნაპოლეონ I-ის წინააღმდეგ. იმ დროს ორთქლი ჯერ კიდევ არ იყო გამოყენებული ნაოსნობაში და ძლიერი სავაჭრო თუ სამხედრო ფლოტის ორგანიზაცია მოკლე დროში შეუძლებელი გახლდათ. ინგლისს ყველაზე ძლიერი სამხედრო და სავაჭრო ფლოტი ჰყავდა და სავსებით უვნებელი იყო მტრის ყოველგვარი თავდასხმისაგან, როგორც ამ ფლოტის, ისე იზოლირებული მდგომარეობის გამო. მიუხედავად

მთელი თავისი ენერგიისა და გენიალობისა, ნაპოლეონ I-ს არ შეეძლო საწინააღმდეგო რამ დაემტკიცებინა და მთელი თავისი გრანდიოზული საზღვაო მზადება ტულონში ინგლისში დესანტის გადასასხმელად—თვითონვე შეწყვიტა ავსტრიასთან ომის დაწყების გამო; მაგრამ, ალბათ, არა მარტო ამის გამო, შეწყვიტა უფრო იმიტომ, რომ შეუძლებელი გახლდათ წინასწარ ზუსტი გაანგარიშება ისეთი რთული ღონისძიებისა, როგორიცაა მრავალრიცხოვანი სამხედრო დესანტის გადასხმა იალქნიანი გემებით. იმ დროიდან დღემდე—ინგლისი სავსებით მშვიდადაა მტრის შემოსევისაგან თავისი უსაფრთხოების გამო.

მაგრამ ახლა სხვა დროა. ნაოსნობასა და სამხედრო საქმეში ტექნიკური წარმატება ახალ დესანტს ისევე უქვემდებარებენ ოპერაციის საერთო გეგმას, როგორც სხვა სამხედრო მოძრაობას ხმელეთზე. ახლა ინგლისს აღარ შეუძლია სრულიად უვნებლად ჩათვალოს თავი, მით უმეტეს, რომ მისი არმიის რაოდენობა შესამჩნევად არ გაზრდილა მაშინ, როცა კონტინენტის ყველა სახელმწიფო ამჟამად ითვლის არა ათეულ, არამედ ასეულ ათასობით ჯარისკაცს და, გარდა ამისა, ყველამ, თვით კონტინენტურმა ავსტრიამაც კი, უზარმაზარი სამხედრო ფლოტები შექმნეს, რომელთაგანაც, მაგალითად, საფრანგეთისა, რიცხობრივად ძალიან ახლოს დგას ინგლისურ ფლოტთან. ევროპის ის პოლიტიკური წყობილება, რომელიც ინგლისს მუდმივი მოკავშირეებით ამარაგებდა კონტინენტზე, ახლა შეიცავლა სხვა წყობილებით, რომელიც არც გერმანიას, არც საფრანგეთს, არც იტალიას და თვით ავსტრია-უნგრეთსაც კი უფლებას არ აძლევს ემსახურონ ინგლისს, რომელსაც ახლა ყველა ეს სახელმწიფო კონკურენციას უწევს ვაჭრობასა და მრეწველობაში. ყოველივე ამის გარდა, ინგლისს გაუძლიერდა შიდა მტერი—ირლანდია და მოემატა ძლიერი მეტოქე ჩრდილოეთი ამერიკის შტატების სახით, მაგრამ ყველაზე საწყენი ინგლისური პატრიოტიზმისათვის ისაა, რომ სუეცის არხის გაყვანამ ბოლო მოუღო ბრიტანეთის სავაჭრო ბატონობას ინდოეთსა და შორეულ აღმოსავლეთში. ახლა ინდოეთი საფრანგეთთან, იტალიასა და თვით რუსეთთანაც კი უფრო ახლოს მდებარეობს, ვიდრე ინგლისთან, ამ სახელმწიფოთა მონოპოლიური ექსპლუატაციის სარგებელი, რომელიც ინგლისის ხელში ხვდებოდა ინდოეთში კეთილი იმედის კონცხის გავლით ცურვი-

სას, ახლა უნდა განაწილდეს იმ ევროპულ სახელმწიფოთა შორის, რომელნიც ხმელთაშუა ზღვის აუზს ესაზღვრებიან. მათი ჩამოშორება ინდოეთსა და შორეულ აღმოსავლეთში ვაჭრობისაგან უკვე შეუძლებელია. მაშასადამე, ინგლისი განწირულია ელოდოს პროგრესულად გაზრდილ კონკურენციას იქ, სადაც ადრე ერთპიროვნულად მეფობდა და, არად აგდებდ რა ჰუმანურ მოსაზრებებს, თავის ქვეშევრდომებსა და უფრო სუსტ ხალხებს დაუნდობლად სძარცვავდა და ზარბაზნებით ახვევდა თავის საკუთარ საქონელს.

ყოველივე ამის შემდეგ ყირიმის ომმა[1], რომელიც ინგლისმა ნამოიწყო მხოლოდ იმ მიზნით, რათა ჩვენი სახელოვანი შავი ზღვის ფლოტი გაენადგურებინა, შედეგად ის გამოიღო, რომ რუსეთს აეკრძალა შავიზღვისპირეთში სამხედრო ფლოტის აგება და არსენალების მოწყობა, მაგრამ, რუსეთის ყველა მტრისდა გასაოცრად, ამ სამარცხვინო შედეგმა, რომელმაც ჩვენს შინაურ ცხოვრებაში დიდი რეფორმები გამოიწვია, არა თუ დაასუსტა, არამედ უფრო გააძლიერა ჩვენი ქვეყანა: საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს რუსეთმა ამაყად განაცხადა უარი პარიზის ტრაქტატის დადგენილებათა შემდგომ შესრულებაზე, კერძოდ, შავ ზღვაზე საზღვაო-სამხედრო ძალების ჩამოყალიბების შეზღუდვაზე. ეს განცხადება მიიღეს სახელმწიფოებმა, რომელთაც ხელი მოაწერეს პარიზის ტრაქტატს და ხელოვნურ დაბრკოლებებზე შავ ზღვაზე რუსეთის ნარმატებისათვის, ლორდი პალმერსტონისა და ლუი ნაპოლეონ III-ის გონებამახვილობამ რომ შექმნა, წარმატებით იქნა აცილებული თავიდან.

მაგრამ რუსეთის შესასუსტებლად მოფიქრებულ ყირიმის ომს კიდევ უფრო უსიამოვნო შედეგები მოჰყვა ინგლისისათვის, რადგან რუსეთმა, პარიზის ტრაქტატის თანახმად, გახსნა რა საზღვარი ზღვიდან, იძულებული შეიქნა ეზრუნა ამ ზღვის მოსაზღვრე ოლქების მტკიცედ დამორჩილებაზე. სევასტოპოლის ომიდან 10 წლის შემდეგ კავკასია საბოლოოდ იქნა დაპყრობილი, ხოლო ყველა დაუმორჩილებელი ტომი, რომლებსაც არ სურდათ რუსეთის გამგებლობის მიღება, თურქეთში გადასახლდა. კავკასიის სამეფისნაცვლო საიმედო ბაზა შეიქმნა ჩვენი მომავალი მოქმედებისათვის თურქეთში. ამის შემდეგ დაპყრობილ იქნა კასპიის აღმოსავლეთი სანაპიროც, თანადათანობით წარმოებდა შუა აზიის სამ-

ფლობელოთა დამორჩილებაც, რომლებიც რუსეთს ავღანეთისაგან ყოფდნენ. ადრე ინგლისს სურდა ნეიტრალური გაეხადა ეს სამფლობელოები, რათა მომავალში თავიდან აეცილებინა რუსეთთან ყოველგვარი შეტაკება. მაგრამ ლორდ ბიკონსფილდის ავანტურისტულ-რომანული პოლიტიკა სწორედ რუსეთს გამოადგა: ინგლისელებმა ინდოეთის რაღაც მეცნიერული საზღვრის შეთხზვა მოიფიქრეს და შეიჭრნენ კიდეც ავღანეთში, სადაც აგერ უკვე მეორე წელია უშედეგოდ იბრძვიან. ყოველ შემთხვევაში, ახლა რუსეთი ინდოეთის მოსაზღვრე სახელმწიფოა და, თუ გემებისა და ჯავშნოსნების წყალობით, რომლებიც ევროპის ყველა სახელმწიფომ ააგო, დიდი ბრიტანეთი ხელმისაწვდომი შეიქნა ისეთი კონტინენტური სახელმწიფოებისათვის, როგორებიც არიან საფრანგეთი და გერმანია, ინგლისის ძლიერების დამასუსტებელი უმოკლესი და უიაფესი გზა მაინც რუსეთის ლაშქრობაა ინდოეთში. რკინისა და ფიცრის კედლები (სამხედრო-სავაჭრო ფლოტის გემები) ასეთი დარტყმისას ვერ დაიცავენ ინგლისს. ისინი სრულიად უსარგებლოა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისას ჩრდილო ინდოეთსა და ავღანეთში. ამგვარად, ახლა ინგლისი აღარაა ისე მიუწვდომელი, როგორიც იგი იყო ნაპოლეონ I-ის დროს; პირიქით, თავისი სამფლობელოებისა და კოლონიების დაქსაქსულობის გამო ევროპის სხვა სახელმწიფოებზეც უფრო მეტად შეუძლია მას დაკარგოს თავისი მონაპოვარი კონტინენტურ სახელმწიფოებსა და განსაკუთრებით რუსეთთან სერიოზულ ომში.

ამის გამო ინგლისის ახალ მთავრობას უეჭველად მოუხდება რუსეთთან თავისი დამოკიდებულების მკვეთრი შემოტრიალება. მხოლოდ ნაზი მეგობრობით, გერმანიის მაგალითზე შეუძლია ინგლისს გულში ჩაიკრას რუსეთი და არ გაუშვას წინ თავის ინტერესთა მისაღწევად. აი, ეს მეგობრობაა სწორედ ის შავი წერტილი ჩვენს შუააზიურ საქმეთა ჰორიზონტზე, რომელიც ლორდი ბიკონსფილდის გულახდილობის გამო, თანამიმდევრულად დამტკიცდა რუსეთთან აშკარა მტრობის ფაქტებით, უკანაკსნელ ხანებში რომ სრული თვალსაჩინოებით გამოაშკარავდა.

41. ბ-ნი ბახმეტიევი მაცდუნებლის თანაედებობაზე

ფოთის ნავსადგურის ჰორიზონტზე, რომელმაც რამდენადმე გარკვეული სახე მიიღო ბ-ნი ფალკენჰაგენის, ბახმეტიევისა და ჟარინცევის მეცადინეობათა წყალობით, ახალი მნათობი გამოჩნდა „ნოვოე ვრემიას“" (№1416) ფელეტონისტის, ელოკვენციისა და ჰიდრავლიკის პროფესორის ბ-ნ პეტერსენის სახით, ესაა კაცი, რომელმაც ძლიერ გაითქვა სახელი აზრთა სიღრმითა და მჭევრმეტყველებით, როცა „ნოვოე ვრემიაში“ გააცამტვერა ბ-ნ დანილოვისა და ბლიუმის პროექტები და, ამასთანავე, თქვენ წარმოიდგინეთ, აღმოაჩინა, რომ, თუ კასპიის ზღვის დონე 6 საჟენით აიწევს, მაშინ შავი ზღვის დონემ ამდენივე საჟენით უნდა დაიწიოს.

სწორედ ამ პროფესორმა ვერ აიტანა ბ-ნი ბახმეტიევისაგან სიცრუის მხილება და როგორც უშიშარი, უნაკლო რაინდი, ანგარიშმიუცემლად გაიჭრა წმინდა სიმართლის დასაცავად, ასე რომ შელახეს და დაამცირეს სხვადასხვა პირებმა, გარდა ბ-ნის პეტერსენის, ბურგმეისტერისა და ფალკენჰაგენისა, ეს უკანასკნელი ხომ მეტად გაანაწყენა ბ-ნმა ბახმეტიევმა, მან კი მთელი თავისი ტექნიკური კომპეტენტურობა პეტრეს ნავსადგურის მშენებლობის დროს გამოავლინა. მაგრამ სიმართლესაც შეიძლება გაუწიო დათვური სამსახური. სიმართლის დაცვა მხოლოდ ფაქტების სერიოზული შესწავლის შედეგად შეიძლება, მათი მიუკერძოებელი განსჯით და არა წვრილმანი პირადი ანგარიშების გასწორებით; ამ უკანასკნელ შემთხვევაში ვერავინ, თვით ჭეშმარიტებისათვის მებრძოლი ელოკვენციისა და ჰიდრავლიკის პროფესორიც კი, ვერ დაიმსახურებს საპატიო ადგილს საზოგადო მოღვაწეთა შორის; იგი იმ კატეგორიის პირებში უნდა ვიგულვოთ, რომელთა წინააღმდეგაც თვითონვე ილაშქრებს თავისი წვრილმანი ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

მაგრამ ჭეშმარიტება მაინც ჭეშმარიტებად რჩება და ბოლოს ყოველთვის ნათელი ხდება, ფეხქვეშ თელავენ თუ პირადი მიზნებისათვის იცავენ მას. ამიტომ, მიუხედავად ბ-ნი პეტერსენის ჭკუისა, გონიერებისა და განსწავლულობისა, ჭეშმარიტების გასარკვევად კეთილშობილურ აღშფოთებით დაწერილ მის ღვარძლიან ფელეტონში სხვა არაფერია, გარდა ფაქტების არევ-

დარევისა და საღი აზრის ნაკლებობისა. აქედან ნათელი ხდება, რომ ელოკვენციისა და ჰიდრავლიკის პროფესორს ჭეშმარიტებისადმი სიყვარული კი არ ამოძრავებდა, არამედ სულ სხვა ინტერესები, რომელნიც არცთუ ისე ძნელი ამოსაკითხავია მის მგზნებარე მჭევრმეტყველებაში.

ბ-ნმა პეტერსენმა ჭეშმარიტების დასაცავად თავს იდო გაეგმართლებინა ნავსადგურის სამუშაოებზე სახელმწიფოებრივი კონტროლი ბ-ნი ბურგმეისტერისა, რომლის თანაშემწეც და ხელისშემწყობიც ოდესღაც თვითონ გახლდათ, რადგან ბ-ნი პეტერსენის კალმის ძალა მეტად ხშირად იყო საჭირო მნიშვნელოვანი საკითხებისა და მოიჯარადრის მიმართ გამოყენებულ ღონისძიებათა აღსაწერად, მაგრამ, რაოდენ ძლიერიც უნდა იყოს ბ-ნი პეტერსენის კალმის ძალა, ისეთი უიმედო საქმე, როგორიცა სახელმწიფო ფულის ლეგალური ფლანგვა, ხარჯთაღრიცხვა, კვიტანციებისა და სამუშაოების წარმოებაზე მთავრობის კონტროლის აგენტთა დაფინანსების გზით ვერ გამართლდება ვერც ჭეშმარიტებასა და ვერც საღ აზრზე დაყრდნობით. ამიტომ მის დასაცავად, ერთადერთი გამოსავალი არის პრინციპი, რომელიც იურისკონსულტმა შესთავაზა პავლე ივანეს ძე ჩიჩიკოვს:ᲗᲐ „აურიეთ, აურიეთ და აურიეთ!“

ამ საქმის აღსასრულებლად ელოკვენციისა და ჰიდრავლიკის პროფესორს დასჭირდა, პირველ ყოვლისა, შემამსუბუქებელი გარემოებანი. ხარვეზი,—პატიოსან ბ-ნ ბურგმეისტერსა და მის თანაშემწეს ბ-ნ პეტერსენს შორის, თავისი მახინჯი შედეგებითურთ, ანუ ფულის ლეგალური გაფლანგვით, უნდა ამოვსებულიყო, მაგრამ რით? ნაკლებ ნიჭიერი ადამიანისათვის ამის გარკვევა ძნელი იქნებოდა, მაგრამ ყოველმხრივი ნიჭით შემკულ ჰიდრავლიკის პროფესორს ეს იოლად მოეჩვენა. მან ბ-ნ ბახმეტიევს მაცდუნებლის მოვალეობა დააკისრა, რომელმაც თავისი მლიქვნელური სიტყვებით ააღელვა მთავრობის ინსპექცია, თანაც მაშინ ბ-ნი პეტერსენიც იქვე იდგა და გული სტკიოდა ასეთი უსამართლობის შემხედვარეს. ხოლო შურისძიების ფარული წყურვილი და განსაკუთრებით კეთილშობილური სურვილი რუსეთის დღეგრძელობისა გამოიხატა პორტის მშენებლობის შეფერხებითა და იმ შედეგებით, რომლებიც კვლავ აიძულებენ ბ-ნ პეტერსენს სტკიო-

დეს გული და „ნოვოე ვრემიას“ ფელეტონებში გადმოაფრქვიოს თავისი ბოღმა. მძიმეა ხვედრი პრომეთესი!—აი, რას შეიძლება შევადაროთ ელოკვენციისა და ჰიდრავლიკის ფრიად პატივცემული პროფესორის მდგომარეობა.

უწმინდურ სულთან, მაცდუნებელთან რევერანსები რა საჭიროა, მით უფრო, თუ იგი ყრმათა შესაცდენად ირჯება. ამის შემდეგ ეს უკანასკნელნი ვეღარ ხედავენ და აღარ ესმით, რა ხდება მათ ირგვლივ და, იმის ნაცვლად, რომ მტაცებლობა შეაჩერონ, თავად ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ მასში რუსეთის სადიდებლად. ამ შემთხვევაში ცდილობენ თანაუგრძნონ მას რუსეთის დიდებისათვის, ბ-ნი პეტერსენის მსგავს ჭეშმარიტების ქომაგებს, ერთიღა დარჩენიათ: დაადგინონ, საიდან გაჩნდა მაცდუნებელი; ვინ იყვნენ მისი დედიკო და მამიკო, რომელი დაწყევლილი ჭუჭრუტანიდან შემოძვრა ეს უწმინდური, ბ-ნი პეტერსენის კალმის მთელი ძალმოსილება რომ არარაობად აქცია!

ცხადია, მაცდუნებლის გვარტომობა ფრიად ბუნდოვანია, რის გამოც მჭევრმეტყველებისა და ჰიდრავლიკის პროფესორი ბ-ნი პეტერსენი კარგს ვერაფერს იტყოდა ამის თაობაზე. მაგრამ საიდან მოვიდა მაცდუნებელი ბახმეტიევი, საიდან შემოიპარა, რათა წარმდგარიყო უმანკო ყრმათა წინაშე და მათი ადმინისტრაციული ძილი დაეფრთხო? ბ-ნმა ფელეტონისტმა დაადგინა, რომ ბ-ნი ბახმეტიევი თითქმის ბიჭუნა იყო, ფოთში რომ გამოიწერა პორტის ყოფილმა მშენებელმა პოლკოვნიკმა შავროვმა და, აი, სწორედ ამ ვაუბატონს მოხვდა ყველაზე მეტად და ახიცაა მასზე! ნუ გააჭაჭანებ სამუშაოზე მაცდუნებელს!

მაგრამ რისთვის დაგვჭირდა მაცდუნებელი და მისი ბიოგრაფია? რატომაა ჰიდრავლიკისა და მჭევრმეტყველების ფრიად პატივცემული პროფესორის მთელი ფელეტონი სავსე სისულელეებით, რომლებიც ნავსადგურის ყოფილ მშენებელ პოლკოვნიკ შავროვს მიეწერება?

იმისათვის, რომ ჰიდრავლიკის პროფესორს ბ-ნ პეტერსენს მართლა სჯერა გამოქვეყნებული „ჭეშმარიტება“ იმის თაობაზე, რომ, თუ კასპიის ზღვის დონე 6 საჟენით აიწევს, მაშინ შავი ზღვის დონემ ამდენითვე უნდა დაიწიოს, უთუოდ აქედან გამომდინარე დაასკვნის იგი, რომ ცხოვრებაშიც ასეა: ერთის აწევას მეორის დაწევა უნდა მოჰყვეს. ამიტომ, რადგანაც მას სურს „ასწიოს“ ფო-

თის ნავსადგურის ახლანდელი მშენებელი პოლკოვნიკი ბურგმეისტერი, რაც შეიძლება დაბლა უნდა „დასნიოს“ მეორე პოლკოვნიკი, ასევე ფოთის ნავსადგურის მშენებელი, მაგრამ ამჯერად ყოფილი ბ-ნი შავროვი. ამ უკანასკნელის დაბლა დაშვებას მოჰყვება ბურგმეისტერის ამაღლება. ამ დროს კი, ალბათ, არ დაივიწყებენ არც ბ-ნ პეტერსენს.

დავამტკიცოთ ეს თვით ბ-ნი პეტერსენის სიტყვებით:

„თვით ბ-ნი შავროვი, მშენებლობა რომ დაიწყო, ღარიბი იყო, თუმცა წასვლამდე 1 1/2 მილიონი ხაზინის ფული დახარჯა (ზუსტი ციფრები არ გამაჩნია), მაგრამ კიდევ უფრო ღარიბი წავიდა აქედან,—წერს ბ-ნი პეტერსენი. ახლანდელი მშენებელი პოლკოვნიკი ვ.ა. ბურმაისტერი, ყოველგვარ სახსარს მოკლებული ადამიანია, ე.ი. გარდა ხელფასისა (7.000 მანეთამდე წელიწადში), სხვა არაფერი გააჩნია. იგი უკვე 7 წელია, რაც მუშაობს და მის ხელში გაიარა 4 მილიონმა მანეთმა სახაზინო ფულმა. რასაკვირველია, არც მის თანაშემწეებს შეიძლება ჰქონდეთ რაიმე. მაგრამ განა ამგვარი უანგარობა წაადგება რაიმეში რუსეთს?“

ამრიგად, აშკარაა, რომ ბ-ნ პეტერსენს, ბ-ნი ბურგმეისტერის ფრიად შესანიშნავ თანაშემწეს, ასევე არაფერი გააჩნია, მაშასადამე, ბ-ნი ბურგმეისტერის უანგარობა იცავს ბ-ნ პეტერსენს ყოველგვარი ეჭვისაგან... მაგრამ განა წაადგება ეს რუსეთს, ვკითხოთ თვით ჰიდრავლიკისა და მჭევრმეტყველების პროფესორს, ან რისთვის დასჭირდა მას ამის ყვირილი „ნოვოე ვრემიას“ ფელეტონის საშუალებით? ჩვენში ხომ არავის მოგონებია ბ-ნი პეტერსენი, როცა დაიწყო ფოთის ისტორიისა და ამგვარი დაუჯერებელი ექსპლუატაციის მიზეზთა გამოკვლევა, რომელიც ნავსადგურის უზადო ინსპექციის უმანკო ხელით აღსრულდა, ხარჯთაღრიცხვებს რომ ადგენდა და ფალკენჰაგენს ქვითრებს უწერდა, რის გამოც იგი თავისუფლად იღებდა ფულს? არავის ახსოვდა ბ-ნი პეტერსენი და მან თვითონ, ვითომდა ამ ფაქტის გამომჟღავნებით აღშფოთებულმა, მთელი თავისი უტიფრობა მიმართა ბ-ნი შავროვისა და მისგან გამოწერილი ბ-ნი ბახმეტიევის წინააღმდეგ. მაგრამ, ამასთანავე, ერთი სიტყვაც არ წამოცდენია ბ-ნი ფალკენჰაგენის გამომძალველობაზე და მხოლოდ და მხოლოდ ბ-ნი ბურგმეისტერის განდიდებას მიჰყო ხელი. და თანაც რა ეშმაკურად?1

„მეორეს მხრივ, სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ, თუ ინგლისური ხუთსართულიანი ქარხანა, რომელიც ორთქლით მუშაობს და მთის მდინარე ცივის ნაპირზეა აგებული, სადაც მიწის ყოველი საჟენი 50 კაპიკი ღირს ვერცხლით, წარმოადგენდა ბ-ნი შავროვის საინჟინრო ტალანტის შესანიშნავ ნიმუშს, ქვის სამტეხლოს ადგილი ბ-ნმა ბახმეტიევმა შეარჩია მშვენიერი გაანგარიშებით. იგი ადგილის სარგებლიანობაზე უფრო ნაკლებ იმედს ამყარებდა, ვიდრე კომისიის წევრებთან დამყარებულ მეგობრობაზე, რომლებიც უკანასკნელ წელს ეხმარებოდნენ თუ მხოლოდ თვალყურს ადევნებდნენ მშენებლის ფანტაზიებს, ძნელი სათქმელია, მაგრამ აქ მისი ანგარიში ბრწყინვალედ გამართლდა, კომისიამ მემკვიდრეობა შავროვს მიაკუთვნა, ხოლო ბახმეტიევის შანსები ამით უფრო გაიზარდა“.

ოჰ, ბ-ნო ჰიდრავლიკის პროფესორო, ეს რა დაგიწერიათ? ეს ხომ უაზრობაა! რა კავშირია ან რა დასკვნა შეიძლება გამოიტანოს მკითხველმა ხუთსართულიანი ქარხნისა და საჟენი მიწის 50 კაპიკი ღირებულების დაპირისპირებიდან? ერთიც და მეორეც ხომ პირნმინდა მონაჩმახია; არც ქარხნაა ხუთსართულიანი და არც თეკლათის მიწის საჟენი ღირს 50 კაპიკი, მით უმეტეს, მაშინ სულ არ ღირდა, რად არის აქ მიტმასნილი ბ-ნი შავროვის ტალანტი, მაგრამ ერთხელაც არ აღნიშნავთ, რომ სამეურნეო კომისია თვით უმწიკვლო ბ-ნი ბურგმეისტერია; რომ მეგობრობა სამეურნეო კომისიის წევრებთან, რომელიც დაამყარა თვით მაცდუნებელმა ბახმეტიევმა, არის მეგობრობა ბ-ნ ბურგმეისტერთან, რომ, თუ ბ-ნმა ბახმეტიევმა უსინდისობა ჩაიდინა, როცა ქვის სამტეხლო შეიძინა, შეიძინა იგი ბ-ნი ბურგმეისტერის დახმარებით, რომლის წარდგენითაც გენერალმა რ-მ ყველაფერი ისე მოაწყო, როგორც სთხოვდნენ. ნუთუ ბ-ნ პეტერსენს არ ესმის, რომ ყოველივე ამაში ბ-ნ შავროვს კი არ მიუძღვის ბრალი, რომელმაც მდინარე ცივზე ქარხანა ააშენა, ვერც მაცდუნებელ ბ-ნ ბახმეტიევს დავდებთ ბრალს, რომელმაც იგი იჯარით აიღო, დამნაშავეა უმწიკლო ბ-ნი ბურგმეისტერი, რომლის განდიდებისათვისაც დაიწერა მოტანილი ამონაწერი.

საბრალო ბ-ნი პეტერსენი!

მოვიტანოთ მეორე ამონაწერი, რომელიც ბ-ნი პეტერსენის ცოდნისა და განსწავლულობის სიღრმეს ამჟღავნებს:

„ფოთის ნავსადგურის აშენების იდეა დაიბადა არა ტექნიკური ან კომერციული მოსაზრების გამო, არამედ—ფელეტონურ-პოლიტიკურ საფუძველზე შუა აზიისაკენ გზის გაყვანის პატრიოტული აზრით შეპყრობილი ბ-ნი შავროვი, რომელზედაც ჯერ კიდევ პეტრე პირველი მიუთითებდა, მივიდა ფოთის ნავსადგურის აშენების იდეამდე. ამ მიზნით ჯერ კიდევ 1865 წელს მან მოახერხა, დაერწმუნებინა ყველა მდ. რიონის ჩრდილოეთ ტოტის შესართავთან ნავსადგურის აუცილებლობაში, ხოლო ამ აუცილებლობის განხორციელებისათვის სულ რაღაც—150-200 ათასი მანეთი უნდა დახარჯულიყო“.

დავუმატოთ ამას შემდეგი ამონაწერიც:

„რუსი დეკაბრისტის შთამომავლის (ბ-ნი ბახმეტიევის) აღმოსავლურმა სახემ, უწვერულვაშობამ და გრძელი ხიფთანის უქონლობამ შეაშფოთა ნავსადგურის მშენებელი, მაგრამ ამ ტიპური სახის პატრონს, მიუხედავდა წვერის უქონლობისა, დიდი და უეჭველი ტალანტი აღმოაჩნდა! საერთოდ, ამ ახალგაზრდას მიხვედრის უნარი ახასიათებდა. ხოლო ისეთი უმნიშვნელო მოვლენის ამოცნობა, როგორც ბ-ნი შავროვი გახლდათ, დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენდა“.

ჰიდრავლიკის ფრიად პატივცემული პროფესორი, როგორც ჩანს, დაიბნა. ბ-ნი შავროვი მისთვის უმნიშვნელო ვინმეა, მაგრამ როგორღა შეძლო ფელეტონურ-პოლიტიკურ ოცნებებს გამოდევნებულმა ამ უმნიშვნელო ვინმემ ადვილად დაერწმუნებინა კავკასიის ადმინისტრაცია და პეტერბურგის სამინისტროები, რომ აუცილებლია ფოთში ნავსადგურის აგება?! ბ-ნ პეტერსენს მართებს მოიგონოს რეპეტილოვის [40] რჩევა: „იცრუე, მაგრამ იცოდე საზღვარი“. არ შეიძლება ისტორიულად დამუშავებულ სახელმწიფო საკითხს, დაწყებულს 1804 წლიდან, ფელეტონურ-პოლიტიკური ოცნება უწოდო, თუნდაც ისეთი ადამიანის გასამახსარავებლად, როგორიც იყო ბ-ნი შავროვი. თუ საკუთარ თავს არა, საზოგადოებას მაინც უნდა სცე პატივი, როცა დედაქალაქის პრესაში კორესპონდენციას აგზავნი, თანაც სიმართლის უსამართლო დამცველთა მხილებისას თვითონ უნდა იყო პატიოსანი და განზრახ არ უნდა იცრუო, განგებ არ უნდა აურ-დაურიო ყველაფერი; უაზროდ არაფერი უნდა შეთხზა უპატიოსნო აზრის დასამტკიცებლად. ბ-ნი პეტერსენის სტატიიდან ჩვენ მიერ მოტანილ

ამონაწერში ბ-ნი ბურგმეისტერი არფერშია დამნაშავე, ხოლო, თუ მაინც შეიძლება მისი რაიმეში დადანაშაულება, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ბ-ნი ბახმეტიევის პირმოთნე სიტყვებს უგდებდა ყურს.

მაგრამ არ შეიძლება არ გაგელიმოთ, როცა ჰიდრავლიკისა და მჭევრმეტყველების ფრიად პატივცემული პროფესორის ყველა ჯამბაზობას გაეცნობით. აგზნებულ პროფესორს არ ესმის, რომ თავისდა უნებლიეთ ბ-ნ შავროვს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, თუკი მისი ფელეტონურ-პოლიტიკური საუბრების შედეგად უაპელაციოდ გადაწყდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი. ასეთი გატაცება ეწინააღმდეგება თვით ბ-ნი პეტერსენის მიერ გამოგონილ კანონსაც: თუ კასპიის ზღვის დონე 6 საჟენით აიწევს, ამდენითვე დაიწევს დონე შავი ზღვისა! შეუძლებელია ბ-ნი შავროვის დაბლა დანევა, თუ არ ასწიეთ ბ-ნი ბურმაისტერი შესაბამის სიმაღლეზე ისე, რომ პირველი კვლავ თავის სიმაღლეზე დარჩეს. ეს კი ნიშნავს, ერთდროულად ანივ-დაწიო ერთ-ერთი ზღვის დონე, რაც სრულიად დაუშვებელია თვით ბ-ნი პეტერსენის მჭევრმეტყველური და ჰიდრავლიკური ტალანტისათვისაც კი.

საბრალო ბ-ნი პეტერსენი?

ყველასათვის გასაგებია, რომ, რა მაცდუნებელიც უნდა ყოფილიყო ბ-ნი ბახმეტიევის საუბარი, მას არავითარი ჯადოსნური საშუალება არ ჰქონდა ხელთ მთავრობის ისნპექციის მისაძინებლად; როგორც მოიჯარადრე ფალკენჰაგენის რწმუნებულს, ბახმეტიევს ხელთ ეპყრა კონტრაქტი ხაზინასთან და ფული, რომელიც ბ-ნი ბურგმეისტერის მიერ ხელმოწერილი ქვითრებით მიიღო. აი, ყველა ის საშუალება, რითაც შეეძლო ემოქმედა ბ-ნ ბახმეტიევს, როგორც მოიჯარადრეთა სხვა რწმუნებულებსაც და, მაშასადამე, ფოთის ნავსადგურის ეს შემთხვევაც სრულიადაც არ სცილდება ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებს. თუ გაიხსნა სახაზინო ფულის დიდი დატაცების საქმე, იგი მოხდა ლეგალურად და, მაშასადამე, ეს სრულიადაც არ არის ქურდობა, ჩადენილი კარის გატეხვით ან უამისოდ,—ეს გახლავთ სამეურნეო-ადმინისტრაციული ამოცანის იოლი აღსრულების გზა. საქმეს აწარმოებს მოიჯარადრე ან მისი რწმუნებული, მაგრამ ხარჯთაღრიცხვის ზუსტი წარმოებისათვის ისინი პასუხს არ აგებენ, ყოველივე ეს მთავრობის ინსპექციას ევალება, რაც სახელმწიფოს მეტად ძვირი დაუჯდა, რადგან (პეტერსენის სიტყვით თუ ვიმსჯელებთ) ერ-

თი პოლკოვნიკი ბურგმეისტერი 7 წლის მანძილზე იღებდა 7.000 მან. ჯამაგირს, რაც ხაზინას საბოლოოდ 49000 მან. დაუჯდა, ანუ 5%-მდე ფალკენჰაგენის მიერ გამომუშავებული თანხისა, ისეთი დახელოვნებული თანაშემწის მეშვეობით, როგორიც ბ-ნი ბახმეტიევია. ნუთუ მართლა საკმარისი აღმოჩნდა ბ-ნ ბახმეტიევს ეთქვა ინსპექტორებისათვის:

„ნუ იქნებით ჩინოვნიკები. ქაღალდები და ფორმა კი არაა მთავარი, არამედ ნავსადგური. ხელს ნუ გვიშლით ფორმალიზმით,—ფართოდ გაახილეთ თვალი და მოგვეხმარეთ კიდეც, სამაგიეროდ რუსეთი მადლიერი დაგრჩება ნავსადგურისათვის, რომელიც მას ასე სჭირდება!“

და ეს ახირებული სიტყვები საკმარისი შეიქნა, რომ დიდად პატიოსან ახალგაზრდასა და უმნიკვლო მოხუცს, თავიანთ თანაშემწეებთან ერთად, ვერაფერი გაეგოთ, რა ხდება მოიჯარადრესთან სამუშაოზე. დროზე მაინც მიეცათ თავიანთი რწმუნებულისათვის ქვითრები და მხარიც დაეჭირათ მისთვის, ვიდრე ყოველივე ეს ჭარბი სახაზინო ფულის აღებაში არ გადაიზრდებოდა. შჩედრინის სიტყვით რომ ვთქვათ, ბ-ნო ჰიდრავლიკის პროფესორო, ვისი გაკვირვება გსურთ ასეთი ფუყე სიბრძნით?

ბ-ნი ბახმეტიევისაგან მაცდუნებლის შექმნა, რომელმაც სახელმწიფო ინსპექციის ადმინისტრაციული ძილი შეაშფოთა, ისეთივე სისულელეა, როგორც მისი წარმოშობის ბ-ნი შავროვის მიერ თეკლათში ქარხნის აშენებასთან დაკავშირება, ან ბ-ნი ბურგმეისტერის მიერ ქვითრის გაცემასთან დაკავშირება, ასეთი ხელოვნური აბდაუბდა, რომელსაც ფაქტებთან არავითარი კავშირი არ გააჩნია, შეიძლება მოჩმახო ან მოუაზრებლობის, ანდა უპატიოსნო განზრახვის გამო. საზოგადოებრივი აზრის წინაშე ბ-ნი ბახმეტიევის მიერ წარმოდგენილმა მხილებამ, დამტკიცებულმა ბ-ნი ფალკენჰაგენისა და ჟარინცევის მიერ—საკმაოდ მკაფიოდ დახატა ყველა იმ პირისა და თვით ინსპექციის მდგომარეობა, რომელნიც ზედმეტ ფულს თხოულობდნენ ფოთის ნავსადგურის მშენებლობისათვის, ეს ფული გამოთხოვილია ლეგალურად, ქვითრებით და მიღებულია ბ-ნი ფალკენჰაგენის პირადი ხარჯებისათვის ბ-ნი ბახმეტიევისა და ბურგმეისტერის შემწეობით. ამიტომ ბ-ნ ფალკენჰაგენს არავითარი იურიდიული პასუხისმგებლობა არ

ეკისრება სახაზინო ფულის უმართებულოდ მითვისების გამო ისე-ვე, როგორც არ მიეცემა პასუხისმგებაში ტყუილის გამო, თუ მას მთავარი სამხედრო-საინჟინრო სამმართველოდან კიდევ რამდე-ნიმე ათასს გამოუყოფენ, ვითმოდა ომის დროს მიყენებული ზა-რალისათვის, რაც სინამდვილეში არასდროს მომხდარა და რაც უკვე გამოაცხადეს პრესაში როგორც ბ-ნმა ბახმეტიევმა, ისე ბ-ნმა ფალკენჰაგენმა. მაგრამ ისმის კითხვა: რატომღა უნდა დაი-წეროს ყოველივე ამის გასამართლებლად ფელეტონი „ნოვოე ვრე-მიასათვის"? სიმართლეზე წერა და პირადი პატიოსნება სხვა-დასხვა რამაა. საქმეზე კადნიერად ლაპარაკი და საქმის თქმა, ჩანს, ერთი და იგივე არ არის. ბ-ნი პეტერსენის მიერ საკუთარი თავის ცდუნება და მისი, როგორც მეცნიერის, ავტორიტეტი ასევე სხვა-დასხვა რიგის ცნებებია, და თუ ბ-ნი პეტერსენი ამაყობს, რომ მოღვაწეობდა უმწიკვლო ბ-ნ ბურგმეისტერთან, რომელსაც არა-ფერი გააჩნია და შესაბამისად მის თანაშემწეებსაც ასევე არაფე-რი არ უნდა გააჩნდეთ, ეს არ ნიშნავს ჭეშმარიტებისადმი პატიო-სან დამოკიდებულებას, იგი უაზრო მონაჩმახია, რომლითაც, მო-უსაზრებლობითა თუ სხვა რამ უფრო ბინძური განზრახვით, ააჭ-რელა ბ-ნმა პეტერსენმა თავისი ფელეტონი, თანაც ბოლოს მოგ-ვაგონა აგურის კიკო...

არა, ბ-ნო პეტერსენ!—სჯობს ამაზე ნუ ვისაუბრებთ.

42. ბ-ნი გრიგორიევის შეცვლის გამო

თბილისი, 1880 წ. 17 აპრილი

ტელეგრაფმა უკვე გვაუწყა, რომ ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოს უფროსი ბ-ნი გრიგორიევი დაითხოვეს თავისი თანამდებობიდან. მის თანამდებობაზე კი დაინიშნა რიაზანის გუბერნატორი ბ-ნი აბაზი, რომელიც ამის გამო სენატორადაც დაინიშნა. დედაქალაქის პრესამ ამ მოვლენის თაობაზე გუშინ და დღეს ზოგი დამატებითი ცნობაც გადმოგვცა, რომელთაც, როგორც ჩანს, არანაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ რუსული პოლიტიკური ბეჭდვითი სიტყვის ბედისათვის. ასე მაგალითად, „ნოვოე ვრემია“" (№1477) დაწვრილებით აღწერს ბ-ნი გრიგორიევის გამოთხოვებას თავის ხელქვეითებთან. როგორც ყოველთვის ხდება მსგავს შემთხვევაში, და როგორც ჩანს „ნოვოე ვრემიას“ ანგარიშიდანაც, ორივე მხარე ერთმანეთის კმაყოფილი დარჩენილა. ბ-ნმა გრიგორიევმა დაუდასტურა ბ-ნ ცენზორებს ერთგული სამსახური, შემდეგ გაკვრით აღნიშნა, რომ თითქმის არავითარი ცვლილება არ მოუხდენია საცენზურო უწყების პირად შემადგენლობაში... ბ-ნმა ცენზორებმა, თავიანთი მხრივ, უპასუხეს, რომ ძალიან წუხან ბ-ნი გრიგორიევის მიერ პოსტის დატოვების გამო...

ჩვენ სულაც არ გვეპარება ეჭვი ამ ორმხრივი გულახდილობის ჭეშმარიტებაში, მაგრამ, მეორე მხრივ, აუცილებელია შევნიშნოთ, რომ მსგავსი საზეიმო გამოთხოვებანი წარმოადგენენ მხოლოდ საქმის ერთ მხარეს, რის გამო აუცილებელი ხდება იმ მეორე მხარის გაშუქება, რომელიც ჩრდილში დარჩა. თუ განვლილი ათი წლის მანძილზე რუსული ბეჭვდითი სიტყვის სრულუფლებიანი მმართველები, როგორც ჩანს, სრული თანხმობით ცხოვრობდნენ, მაშინ სავსებით უადგილო იქნება ჩვენი შეკითხვა:—როგორილა იყო ამ ხანებში ბეჭდვითი სიტყვის ბედი და რამდენად განვითარდა, აყვავდა და გამტკიცდა ეს საქმე, რომელიც ამ ბატონთა მზრუნველობასა და მეთვალყურეობას ებარა?

სწორედ ეს გვაფიქრებინებს ერთგვარი მნიშვნელობა მივანიჭოთ ბ-ნი გრიგორიევის შეცვლას და თანაც ისეთი ადამიანით, რომელსაც აქამდე არავითარი კავშირი არ ჰქონია საცენზურო უწყებასთან და, ამასთანავე, ვაღიაროთ, რომ ამ ფაქტში ვხედავთ

უმაღლესი მმართველობის აშკარა უკმაყოფილებას რუსეთის ბეჭდვითი საქმის თანამედროვე ვითარების გამო... სინამდვილეში ცნობილია, რომ უმაღლესი კომისიის ჩამოყალიბების შემდეგ დედაქალაქის ბეჭდვით სიტყვას, ადრინდელთან შედარებით, უფრო ბედნიერი დღე გაუთენდა. ის უაზრო სიჩუმე, რომელიც რუსულ პრესაში გამეფდა 1879 წლის საბედისწერო ამბების შემდეგ, ამა წლის თებერვლიდან შეცვალა რუსეთის თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის ასე თუ ისე საფუძვლიანმა განსჯამ. ყველას ეგონა, რომ ბეჭდვით საქმეში „ახალმა სიომ" დაჰბერა. და უცებ ბეჭდვითი საქმის მთავარმა სამმართველომ, რომელიც, როგორც ჩანს, განზე დგას ყოველგვარი „ახალ სიოსაგან", თანდათან მიმართა რამდენიმე ადრინდელ ხერხს ბეჭდვითი სიტყვის მოსათვინიერებლად. „რუსსკაია პრავდასა" [41] და „რუსსკი კურიერის"[17] გაფრთხილებამ, „გოლოსის"[42] დასჯამ და სხვ. გააოცა მთელი რუსეთი. მართლაც და საოცარია, რომ რუსეთის უზენაესი მმართველობა, ერთი მხრივ, მოუწოდებდა საზოგადოებას,—ინვევდა მას, ხელი გაემართა მთავრობისათვის საქმის გარკვევაში, ხოლო, მეორე მხრივ,—ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველო სჯის პრესას ასეთი გარკვევის მცირეოდენი მცდელობისათვისაც კი. სწორად ორგანიზებულ და გონივრულად წარმართულ სახელმწიფოში შეუძლებელია მსგავსი განხეთქილების დაშვება ერთი და იმავე მთავრობის ორგანოებს შორის. ამიტომ ბ-ნი გრიგორიევის შეცვლა თავლსაჩინოდ ადასტურებს, რომ უზენაეს მმართველობას აღარ სურს შენარჩუნება იმ სისტემისა, რომელსაც აქამდე ემორჩილებოდა რუსული პრესა.

„ნოვოე ვრემიას" გადმოცემით, თავის სიტყვაში ბ-ნმა გრიგორიევმა თქვა, რომ მას „არასოდეს უძებნია პოპულარობა და ასეთი საქციელი არც მიაჩნია კეთილსინდისიერად". ბ-ნი გრიგორიევის ეს აზრი ჩვენს ძველ მოღვაწეთა უმეტესობის აზრს ემთხვევა. მართლაც, რა უნდა იყოს იმაზე მეტი საძაგლობა, ვიდრე პოპულარობის ძებნა მეცნიერის, პუბლიცისტის, ორატორისა და სხვა ასეთთაგან. მაგრამ სახელმწიფო მოღვაწე ვალდებულია კიდეც ეძიოს პოპულარობა, რადგან ყველა არაპოპულარული მოხელე, ყველა არაპოპულარული სახელმწიფო მოღვაწე არა მარტო ვერ ეხმარება სახელმწიფოს, არამედ მეტისმეტად აუძლურებს მას თავისი არაპოპულარობის სიმძიმით. კეთილმონყობილ სახელმწი-

ფოებში მოხელეები, რომელთაც ვერ მოუხერხებიათ საკუთარი სინდისის შერიგება „პოპულარობის“ მოთხოვნილებებისათვის, თავიანთ უწმინდეს მოვალეობად თვლიან გადადგნენ თანამდებობიდან, რათა მძიმე ტვირთად არ დააწვნენ მთავრობას, რომელიც მუდამ პოპულარული უნდა იყოს, თუ არ სურს გაუთავებელი ბრძოლა თავისსავე საზოგადოებასთან, რომლის ავტორიტეტულ წარმომადგენლადაც იგი უნდა ითვლებოდეს... პუბლიცისტს, ხმოსანს, პარლამენტის დეპუტატს, ადვოკატს, პროფესორს შეუძლიათ ამაყად იარონ თავიანთი აზრებით და დუელშიაც გამოიწვიონ თანამედროვე საზოგადოება მომავალი ეპოქის საზოგადოების სახელით... მაგრამ მსახურთ იმ მთავრობისა, რომელიც თავისი თანამედროვე საზოგადოების წარმომადგენელი და ნების გამომხატველია, უფლება არა აქვთ განაცხადონ, რომ სწორედ ამ საზოგადოების წინააღმდეგ მიდიან, ასეთი უტაქტო განცხადებით ისინი თავიანთი მთავრობის მტრებს უფლებას აძლევენ ამტკიცონ, რომ საბოლოოდ გაწყვეტილია კავშირი მთავრობასა და საზოგადოებას შორის...

ბ-ნი გრიგორიევი, რომელსაც „არასოდეს უძებნია პოპულარობა“, კერძო ცხოვრების წიაღში წავიდა. მაგრამ რუსული ლიტერატურის ისტორია მოიგონებს მას მისი სრულუფლებიანობის ჟამს, სრულიადაც არა ისეთი სასიამოვნო და საქებარი გამოთქმებით, როგორც ამას „ნოვოე ვრემია“ გადმოგვცემს. 70-იანი წლების ლიტერატურას ვერაფერი კარგით ვერ მოიგონებს ისტორია. უფრო სამართლიანი იქნება, თუ მას დააყენებენ ჩვენი ბეჭდვითი საქმის მხოლოდ და მხოლოდ ერთი პერიოდის, სახელდობრ, 40-იანი წ.წ. დასასრულისა და 50 წ.წ. დასაწყისის გვერდით, როცა:

„Годины мрака и печали,
Как люди русские малчали"...

მაგრამ ბ-ნი გრიგორიევის საქმიანობაში რუსეთის განვითარების მოსურნეთათვის დამამშვიდებელი მხარეც არსებობს. მართალია, ეს მხარე უარყოფითია, მაგრამ მისი ჭკუის სასწავლი მნიშვნელობა ამით სრულიადაც არ მცირდება. ჩვენ მას გაკვრით შევეხებით.

განვლილი ათი წლის მანძილზე რუსული პერიოდული პრესა წარმოუდგენელ შევიწროებას განიცდიდა. ყველა გამოცემა, სულ

ოდნავ მაინც რომ იყო შემჩნეული „მავნე მიმართულებაში“, დაიხურა და ასეთი „მიმართულების“ მწერალთაგან ვერავინ იპოვა საშუალება აემაღლებინა ხმა თანამედროვე ლიტერატურაში. რუსეთის აზროვნებას გაძლიერებით დარაჯობდნენ. რუსული ბეჭდვითი სიტყვიდან განდევნილი იყო „თავისუფალი სული“. შედეგი? რაც უფრო იჩაგრებოდა რუსული ბეჭვითი სიტყვა, რაც უფრო მტრულად ეკიდებოდა მას საცენზურო უწყება, მით უფრო და უფრო ძლიერად მჟღავნდებოდა საზოგადოებაში მთავრობის საწინააღმდეგო გააფთრებული გამოსვლები!.. ბ-ნი გრიგორიევის მოღვაწეობამ თვალსაჩინოდ დაადასტურა, რომ ბეჭდვითი სიტყვა არც კვებავს და არც იწვევს საზოგადოებრივ მღელვარებას და რომ შეუძლებელია ბეჭდვითი სიტყვის ჩაგვრის მეშვეობით მივაღწიოთ შინაგან მშვიდობასა და წესრიგს... უეჭველია ის, რომ სწორედ სიტყვის თავისუფლებაში იმალება ის „დამცველი სარქველი“, რომელიც ამშვიდებს უკმაყოფილების ყოველგვარ ელემენტს, აძლევს რა მას ლეგალურად გამოსვლის უფლებას...

ვიმედოვნებთ, რომ ეს გამოცდილება უყურადღებოდ არ დარჩება მომავალში მაინც...

გვინდა ნარკვევი დავამთავროთ ჩვენი მდგომარეობისათვის სავსებით მართებული ერთი სურვილით...

ბ-ნმა გრიგორიევმა თავისი საქმიანობა დაგვამახსოვრა განუსაზღვრელი რაოდენობის ცირკულარების გამოცემით, რომლებითაც აუკრძალა პრესას შეხებოდა მრავალ საზოგადოებრივ საკითხს. დედაქალაქებისათვის ასეთი ცირკულარები, ცხადია, არ არის მოუხერხებელი. ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოს ახალ უფროსს ყოველთვის შეეძლება მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნა მისცეს თავის უახლოეს თანამშრომელს. მაგრამ პროვინციისათვის კვლავ ძალაში რჩება ისეთი ცირკულარებიც კი, რომლებიც თვით ბ-ნ გრიგორიევსაც დაავიწყდა და, რომლებიც მუდამ ირღვეოდნენ დედაქალაქის პრესაში და მის რისხვასა და სასჯელს არ იწვევდნენ. მოდით, ვინატროთ, რომ ბეჭდვითი სიტყვის მთავარი სამმართველოს ახალმა უფროსმა გადახედოს ყველა ამ ცირკულარს და ახალი განსაკუთრებული ცირკულარით დაადგინოს—რომელი მათგანი უქმდება და რომელი რჩება ძალაში...

43. ჩვენი დამოკიდებულება საფრანგეთისადმი

თბილისი, 1880 წ. 23 აპრილი

დასავლეთ ევროპულ სახელმწიფოთაგან საფრანგეთი ისეთ პოლიტიკურ და გეოგრაფიულ პირობებშია, რომ რუსეთთან მეგობრობა, რომელიც ურთიერთ ინტერესებზეა დაფუძნებული, აუცილებელია მისი უშფოთველი და მშვიდობიანი განვითარებისათვის. საფრანგეთის განადგურება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1870-1871 წ.წ. ნაპოლეონ III-ის მიერ დინასტიური მოსაზრებით გამოცხადებული ყირიმის ომის[1] მომდევნო ხანაში და პარიზის ტრაქტატის შემდეგ, რომელიც ექს-იმპერატორის მლიქვნელებმა შეთხზეს რუსეთის დასამცირებლად, მისი გავლენის მოსასპობად ხმელთაშუა ზღვის აუზში, სადაც სწორედ რუსეთს შეუძლია საფრანგეთთან კავშირში გადაწყვიტოს მსოფლიო საკითხი თურქეთისა და მცირე აზიის თაობაზე, ინგლისმა რომ საკუთარი პოლიტიკური მიზნების შესასრულებლად აქცია. ჩვენში ინტელიგენციის ფენა და დიდგვაროვანი თავადაზნაურობა (აქამდე რომ ცუდად ფლობენ მშობლიურ ენას და რომელსაც ფრანგულს ამჯობინებენ) გულწრფელ სიმპათიას იჩენენ საფრანგეთისა და ყოველივე ფრანგულისადმი, რადგან ჯერ კიდევ ცოცხალია ის ხალხი, რომელთაც სწავლა ფრანგ გადიებთან,—ფრანგული წიგნებით დაიწყეს და ყველაფერ ფრანგულს სრულყოფილების იდეალად და ბრმად მიბაძვის საგნად თვლიან. უბრალო ხალხშიც კი, რომლებიც ფრანგებს 1812 წელთან...[43] დაკავშირებით იგონებენ, გამუდმებით მოისმენთ, რომ, გადმოცემის თანახმად, ფრანგი კეთილი ადამიანია! ყირიმის ომში, მცირე შესვენებების დროს, ჩვენი ჯარისკაცები ფრანგებთან ერთად კრეფდნენ ბრძოლის ველზე დახოცილებს, ხოლო საფრანგეთ-პრუსიის ომის პერიოდში, ცხადია, ყველას ახსოვს ის დიდი თანაგრძნობა, რომელსაც ფრანგების გამარჯვების მაუწყებელი ტელეგრამები იწვევდნენ ხალხთა მასებში და ის მწუხარებაც, მათ წარუმატებლობის გამო რომ იგრძნობოდა ჩვენს ხალხში. ამგვარად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთში დიდი სიმპათიები აქვთ ფრანგებისადმი და, რომ ჩვენი ხალხი ინსტიქტურად მისდევს საფრანგეთისადმი მეგობრობას. არ ვიცით, იგივე ითქმის თუ არა ფრანგებზე. პირიქით, შეიძლება მივუთითო მუდმივ მეცადინეობაზე—გაამწარონ

რუსეთი, რაც დამახასიათებელია ზოგიერთი ფრანგული გაზეთისათვის. ეს გაზეთები განუწყვეტლივ მტრობენ რუსეთს პოლონეთის საკითხთან დაკავშირებით და იმ ომების გამო, რომელიც ჩვენ გვქონდა საფრანგეთთან ჩვენი კეთილი მეგობრების პრუსიისა და ავსტრიის (ახლა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის) ინტერესებიდან გამომდინარე და ა.შ. მაგრამ, კარგად რომ ჩავხედოთ ამ მოვლენათა მიზეზებს, დავინახავთ: ისინი გამოხატავენ არა საფრანგეთისა და რუსეთის განწყობილებასა და ინტერესებს, არამედ ემსახურებიან გარკვეული ხროვის, გარკვეული პარტიის წვრილმან, შემთხვევით მიზნებს, რომელთაც ცოტა რამე აქვთ საერთო საფრანგეთის კეთილდღეობასთან. კათოლიკურ საფრანგეთს არ შეეძლო, მაგალითად, კლერიკალების ენით არ ეღაღადა კათოლიკობის დევნის გამო რუსეთში, არ აღშფოთებულიყო პოლონეთის უბედური ხვედრით, დაევიწყებინა რეჩ-პოსპოლიტას ის ნაწილები, რომლებიც გაყოფის დროს ავსტრიასა და პრუსიას შეხვდა. კლერიკალებს არ შეეძლო ასე არ ეღაღადათ, როგორც ღაღადებენ ხოლმე კათოლიკობის დევნის გამო ყველგან, თვით საფრანგეთშიც კი. იგივე შეიძლება ითქვას საფრანგეთის პრესის გამოხდომებზეც, რომლებიც უმეტესად რუსეთის არცოდნის გამო ხდება.

არც ერთი ჩვენი ომი საფრანგეთთან არ ყოფილა გამოწვეული არავითარი უშუალო პოლიტიკური ან ეკონომიკური ინტერესებით; ყველა ასეთი ომი იყო ხელოვნური, მმართველობის საჭესთან მდგარ ადამიანთა მიერ მოგონილი, განპირობებული დინასტიური მიზნებით ან უბრალოდ შელახული თავმოყვარეობის დაკმაყოფილების წადილით, როგორც მაგალითად ყირიმის კამპანია. საფრანგეთთან ყველა ომს რუსეთისათვის საშუალება რომ მიეცა სამხედრო ორგანიზაციის გაძლიერებისა და ამ უკანასკნელის მეშვეობით საშინაო ძლიერების გამტკიცებისა, მაშინ საზავო ხელშეკრულების დადებისას საფრანგეთისაგან არაფერს მივიღებდით, ხოლო თვით საფრანგეთი კი არა თუ არაფერს მიიღებდა, არამედ დიდ მსხვერპლსაც გაიღებდა ფულისა და ადამიანების სახით, საფრანგეთს არაფერი მიუღია ჩვენგან არა იმიტომ, რომ გავიმარჯვეთ, არამედ საკუთრივ იმის გამო, რომ თავისი გეოგრაფიული და პოლიტიკური მდგომარეობით მას არ შეუძლია რაიმე მიიღოს რუსეთისაგან, ხოლო რუსეთსაც, თავის მხრივ, სნო-

რედ ასევე არაფრის მიღება არ შეუძლია საფრანგეთისაგან, გარდა ფრანგული რომანებისა და articles de pariz[4], რისი შეძენაც შეიძლება არა ომით, არამედ—მეგობრული სავაჭრო ურთიერთობით, ამიტომ ჩვენ გულწრფელად გვჯერა ფრეისინეს უკანასკნელი ცირკულარისა უცხოელი წარმომადგენლებისადმი, სადაც იგი აცხადებს, რომ საფრანგეთის მთავრობა აფასებს რუსეთთან მეგობრობას. ჩვენის მხრივ კი გამოვთქვამთ რწმენას: საფრანეთთან მეგობრობა სწორედ ახლაა სასურველი რუსეთისათვის, როცა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, უკანასკნელი ომის მსხვერპლთა სისხლით რომ არის გაჟღენთილი, მშვიდობიანად ვრცელდება ავსტრია-უნგრეთის ბატონობა სლავურ მოსახლეობაში კონსტანტინოპოლის მიმართულებით.

ჩვენი მეგობრების—გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის აზრით, რომელსაც ეთანხმებოდა ინგლისის ექს-პრემიერმინისტრი, ლორდი ბიკონსფილდიც, თავისი თავი რომ რუსეთის აშკარა მტრად გამოახცადა, ავსტრია-უნგრეთის ასეთი მშვიდობიანი შეტევა ბალკანეთზე მთელი ევროპის მშვიდობიანობის საწინდარია. ევროპის მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად თითქოს მხოლოდ ის არის დაუშვებელი, რომ შავ ზღვაში შესასვლელი ეჭიროს რუსეთს ან მის მეგობარ სახელმწიფოს, რომელსაც რუსეთი სავსებით ენდობოდა და მთელ თავის საზღვაო საზღვარს 2000 ვერსის მანძილზე უსაფრთხოდ ჩათვლიდა მტერთა შემოსევისაგან. რუსეთის მშვიდობიანობისათვის კი შეუძლებელია ამ საზღვრის დატოვება ისეთ არანორმალურ მდგომარეობაში, როგორშიც ახლაა, ყოველივე ამის შედეგი ის იქნება, რომ ყოველი ახალი ომი დაახლოებით 20 წლის შემდეგაც, დამთავრდება რუსეთის მიერ გაშენებული შავი ზღვის სანაპიროს განადგურებით და სახელმწიფოსა თუ კერძო პირთა მიერ გაწეული სამშენებლო ხარჯების გაჩანაგებით. ისეთ ძლიერ სახელმწიფოსაც კი, როგორიცაა რუსეთი, შეუძლებელია ჰქონდეს 2.000 ვერსის სიგრძის აქილევსის ქუსლი და თავს იდოს შავი ზღვის სანაპიროს როგორც კერძო, ისე მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა, სადაც, გემთა შეუფერხებელი ცურვისა და სუეცის არხის სიახლოვის წყალობით, შესაძლებელია ფართოდ განვითარდეს რუსეთის სავაჭრო-საზღვაო მიმოსვლა, ურომლისოდაც რუსეთს გაუჭირდება ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა. შავ ზღვასთან დაკავშირებული

ამ პრობლემის გადასაჭრელად ინგლისთან, გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთთან რაიმენაირი შეთანხმება, ჩანს, შეუძლებელია, რადგან ეს მათ ინტერესებს უპირისპირდება. რუსეთზე არანაკლებ მხოლოდ საფრანგეთია დაინტერესებული, არ დაუშვას ანგლო-გერმანული ბატონობა ხმელთაშუა ზღვის აუზში და, მაშასადამე, მხოლოდ საფრანგეთი შეიძლება იყოს რუსეთის ერთგული მოკავშირე ყველა საკითხში, რომელიც ხმელთაშუა ზღვის აუზში ბატონობას ეხება. ე.ი. ევროპული პოლიტიკის ყველა იმ საკითხში, რუსეთის უშუალო ინტერესს რომ შეადგენს.

1870-1871 წლებში გატეხილმა და განადგურებულმა საფრანგეთმა უკვე მოასწრო თავისი საშინაო კეთილდღეობის ამაღლება, რასაც ჯერ კიდევ დიდხანს ვერ მიაღწევს გამარჯვებული გერმანია, რომლის წარმოდგენითაც იგი ღვთისგანაა გამოგზავნილი იმ მძვინვარე ხალხის გასანადგურებლად, პარიზში რომ საკუთარი ბაბილონი შექმნა, უფრო მდიდრული და გარყვნილი, ვიდრე ბიბლიური. მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში საფრანგეთის არაპირდაპირი გადასახადი 261 მილიონ ფრანკს, ანუ 90 მილიონ მანეთს აჭარბებდა და ეს მაშინ, როცა საფრანგეთს ხელახლა უნდა შეექმნა მატერიალური ბაზა თავისი მილიონნიანი არმიისათვის, აეშენებინა და შეეიარაღებინა სიმაგრეები გერმანიის საზღვარზე, რაც ყოველ წელს კოლოსალურ ხარჯებს მოითხოვდა. ამის გამო წინდახედულ თ-დ ბისმარკს უსარგებლოდ არ ჩაუთვლია გაეძლიერებინა გერმანული ჯარის რიცხვი 1 $^1/_2$ მილიონი ხიშტით, მაგრამ რკინის კანცლერის ორგანიზატორული ტალანტი უნაყოფო აღმოჩნდა მის მიერ შექმნილი იმპერიის კეთილდღეობისათვის, ხოლო სამუშაოდან მოწყვეტილმა ამ ახალმა მასამ ვერც წარმოება გააძლიერა და ვერც სიმდიდრე შემატა გერმანიას. საფრანგეთი აყვავდა, გერმანია განიცდის ეკონომიკურ სიძნელეებს და ეს იმ დროს, როცა საფრანგეთში არ აქცევენ ყურადღებას კომუნართა გამოხდომებს, გერმანიაში იძულებულნი არიან გამოსცენ რეპრესიულ კანონთა წყება სოციალისტთა წინააღმდეგ. რესპუბლიკის, და მასთან ერთად, საშინაო წესრიგისა და საგარეო მნიშვნელობის განმტკიცებამ ათი წლის უმოქმედობის შემდეგ კვლავ ჩააყენა საფრანგეთი მოწინავე სახელმწიფოთა რიგებში, რომლებიც თავიანთ საბჭოებში ევროპის ბედს

წყვეტენ. ცხადია, ამიერიდან ევროპული და კოლონიური პოლიტიკის არც ერთი საკითხი არ გადაწყდება საფრანგეთთან შეუთანხმებლად, რომელიც უკვე დიდ შრომას ეწევა ჩრდილო აფრიკის ექსპლუატაციისათვის. ხმელთაშუა ზღვის აუზში ბატონობა—ფრანგთა ოცნება—წარმოადგენს საფუძველს სამხრეთი საფრანგეთის ეკონომიური კეთილდღეობისას ისევე, როგორც შავი ზღვის სანაპიროს განვითარება არის კავკასიისა და სამხრეთი რუსეთის ეკონომიური ძლიერების საყრდენი.

საფრანგეთი მუდამ ოცნებობდა, ხმელთაშუა ზღვა საფრანგეთის ტბად ექცია; პირველ ყოვლისა, ჩამოეშორებინა ინგლისელები, რომლებიც გამაგრდნენ კვიპროსზე, მალტასა და სუეცის არხში და ახლა თავიანთი თავი განსაკუთრებით მტკიცედ გაბატონებულად მიაჩნიათ იქ. რუსეთის სავაჭრო ფლოტის გამოჩენა შეიძლება შეიქმნეს შესანიშნავი იარაღი ამ მიდამოებში ინგლისის მნიშვნელობის შესუსტებისათვის და ამ მხრივ, ჩვენი ინტერესები სავსებით ემთხვევა საფრანგეთის ინტერესებს, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, როცა ინგლისელთა ერთდროული გაძლიერების შემდეგ ხმელთაშუა ზღვაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და ადრიატიკის სანაპიროებზე შეიძლება გამოჩნდეს საფრანგეთის ახალი კონკურენტი—გერმანიის ფლოტი, რომელმაც უკვე მოასწრო საკმაოდ მძლავრი განვითარება ჩრდილოეთ გერმანიაში.

44. ერევნისმოედნელი კატკოვი

დაე, წერონ და ილაპარაკონ, რომ „ობზორს“[6] და ბ-ნ ნიკოლაძეს უპოლემიკოდ ცხოვრება არ შეუძლიათ; დაე, ამტკიცონ, რომ ეს გაზეთიც და ეს მწერალიც პოლემიკაში ესწრაფვიან არა მოწინააღმდეგის აზრის გარკვევას ან უარყოფას, არამედ მისი პიროვნების დამცირებას. არის ხოლმე ვითარება, როდესაც შეუძლებელი ხდება პოლემიკაში ჩაურევლობა, ხოლო, რაკიღა დავა წარმოიშვა, პოლემისტი იძულებული ხდება ანტაგონისტის გონებრივი უძლურება დაამტკიცოს. თუ „დროება“ [11] შეძლებს მიგვითითოს ისეთ პოლემისტზე, რომელიც ამტკიცებს, რომ მისი მოწინააღმდეგე ჭკვიანია და სწორად აზროვნებს, ჩვენ მზად ვართ ვაღიაროთ ჩვენი „ცოდვები“, რომლებიც ერევნისმოედნელმა პუბლიცისტებმა მოგვახვიეს თავს. მაგრამ პოლემიკის დროს, როგორც წესი, ყველა ცდილობს დაამტკიცოს, რომ მისი მოწინააღმდეგენი სისულელეს როშავენ. ჩვენი ბრალი არ არის, თუ იმავეს მტკიცება „დროების“ მწერალთა მიმართაც გვიხდება, ჩვენ ხომ სულაც არ ვაცხადებთ პრეტენზიას იმის გამო, რომ ისინიც მთელი ამ ხნის მანძილზე სწორედ ამასვე ამტკიცებდნენ ჩვენი მისამართით.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მწერალს პოლემიკის დაწყება უხდება ისეთ მოწინააღმდეგეებთანაც კი, რომლებთანაც, უბრალოდ, საშინლად მობეზრდა კინკლაობა. ასეთ შემთხვევებს განსაკუთრებით მაშინ შეხვდებით, როდესაც ეს მოწინააღმდეგენი, სარგებლობენ რა საერთო გაუგებრობით ან პანიკით, ისეთი პრინციპებით იწყებენ მოქმედებას, რომლებიც ძირფესვიანად ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი სამართლის ჯანსაღ და ჭეშმარიტ წარმოდგენებს. ასეთ წუთებში ყველაზე უფრო მოსახერხებელია მკითხველი საზოგადოების შეცდომაში შეყვანა; ეს კიდევ არაფერი, შეიძლება მისი გახრწნაც. ჩვენ არ ვამბობთ, რომ „დროება“ სისტემატურად მიილტვის ამ დანაშაულებრივი მიზნისაკენ. არა, რასაკვირველია, არა! სხვაზე უფრო მეტად ისევ ჩვენ გვჯერა მისი ზრახვების სისპეტაკისა, მაგრამ თავისი მოუსაზრებლობის, გამოუცდელობისა და ახლომხედველობის გამო მან დაკარგა ჭკუა და ახლა ძალ-ღონეს არ ზოგავს, რათა იგივე დამართოს მკითხველ საზოგადოებასაც. ჩვენ ვალდებულნი ვართ

ხელი შევუშალოთ „დროებას“. კარგად ვიცით, რომ იგი გაგ-ვიბრაზდება ამ მცდელობის გამო და ახალი უხამსი ლანძღვა-გინებითა და ცილისწამებით აიკლებს „ობზორსაც“ და ბ-ნ ნიკ-ლაძესაც, მაგრამ უკვე მიჩვეულნი ვართ ყოველივე ამას. ოლონდ ესეც ვიცით: დადგება ჟამი, როცა „დროება“ გულში მადლობასაც კი გვეტყვის, რადგან დროულად შევაჩერეთ იგი იმ მოლიპულ გზა-ზე, რომლითაც ბ-ნ კატკოვს უნდა ჩაჰკვროდა გულში.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ტრადიციის თანახმად, ვალდებული ვართ „ობზორის“ მკითხველებს გავაცნოთ დღევანდელი „დროების“ (1880 წ. 25 აპრილი, №86) მოწინავე სტატიის იმ ნაწი-ლის სიტყვასიტყვითი თარგმანი, რომელზედაც საუბარი გვქონ-და ამ რეპლიკაში.

ლაპარაკობს რა იმ საფრთხეზე, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქ-რება კალიის შემოსევისაგან და აღნიშნავს რა მიღებული ზომების უსარგებლობას, „დროება“ ასე მსჯელობს:

„სამეურნეო საზოგადოება ერთ გამორკვეულ და ენერგიულ ღონისძიების პოვნაზე ვერ დადგა; ბაასობდა, სულ ბაასობდა და ყარაიაზზე ლაპარაკობდა; ინსპექტორ აგრონომები ქაღალდებსა სწერდნენ და აბარებდნენ თავის მიმდობლებს; ჯარი გავიდა მინ-დვრებში, მაგრამ ცოტა, მაგალითად მთელ გუბერნიაზე სულ 4000 კაცი; ხალხიც გადის, მაგრამ შიმშილისაგან შეწუხებული ცოლ-შვილის და თავის-თავის სარჩო პურის საშოვრად დღიურათ სა-მუშაო უნდა იშოვოს სოფელს გარეთ და ამის გამოც უპუროთ მინდორში 20 ვერსზე ვერ გასულა.

რა ღონისძიებაა მაშ?

ფული და პური ხალხისათვის, ჯარი და ერთი ისეთი ძლიერი უფლება, რომელიც ვეტლანკის ჭირის დროს იყო.

ხალხი უნდა გამოვიდეს, საცა შარშან კალიას თესლი დაუყარა და, მაშასადამე, შარშანდელ დაზიანებულ გლეხებს პური არა აქვთ; თესლის მოსაკრეფათ თითო-ორიოდ ადგილს აძლევენ ფულსა და არა ყველგან. 4000 ჯარის კაცმა რა უნდა გააწყოს მთელ გუბერ-ნიაში.

ჭირის მოსასპობლათ ერთ პატარა მაზრაში ვეტლანკაში და იმის ახლო-მახლო ადგილისთვის დიდი ღონისძიება იხმარა მმართვე-ლობამ და მოერია კიდეც ჭირსა. გაზეთების ვალდებულებაა აღი-არაოს საჭიროება იმ გვარისავე ღონისძიებისა ჩვენს მხარეში, რო-

მელშიაც ოთხი გუბერნია დაჭერილია კალიისაგან, რომელსაც შიმშილი მოჰყვება და შიმშილს მოჰყვება ესრედ წოდებული „შიმშილის ჭირი“, რომელიც იგივე ვეტლანკის ჭირია, იმ განსხვავებით, რომ მთელს ოთხს გუბერნიას მოედება ერთსა-და-იმავე დროსა.

ერთი ძლიერი, დიდის უფლებით აღჭურვილი ძალა საჭიროა, რომელიც ჰმართავდეს და ერთის განზრახვით აერთებდეს ეხლანდელს მომუშავე ძალას, რომელიც გაფანტული ამაოდ და უბრალოდ იღვწის ოთხს გუბერნიაში.

ნუ გავკიცხავთ, ნურც ხალხს, ვითამც არ სურდეს მუშაობა, ნურც უეზდის ანუ გუბერნიის ადმინისტრაციას, რომ ენერგიული შრომა არ ეტყობა.

საჭიროა ერთი მმართველი ძლიერი უფლება საკუთრად კალიის გაულეტისა და შიმშილის მოსპობისათვის მთელის კავკასიის ყველა გუბერნიებში.

საჭიროა, უპირველესად, რომ ეს უფლება უეჭველად სანდო, უანგარო, გამჭრიახე და ენერგიულს კაცს მიენდოს, საქმის გამკეთებელს და არა ქაღალდების მწერალ-მჩხრეკელს.

ორი კვირა ვადა დარჩენია.

მაგრამ ჩვენ მოხსენებულმა უფლებამ თუ ამ ორ-სამ კვირაში ვერა გააწყო-რა, მერმის წლევანდელისაზე დიდ სამუშაო საქმე დაგვრჩება წლევანდელ კალიისაგან.

ვგონებთ ეს წინადადება ღირსი იყოს დიდის ყურადღებისა“.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს წინადადება დიდი ყურადღების ღირსია, მაგრამ ოღონდ სხვა კუთხიდან.

დიქტატურის თაობაზე ამგვარი ვიშვიში მოგვაგონებს მხოლოდ და მხოლოდ ბ-ნ კატკოვს, რითაც თვალნათლივ დასტურდება ჯერ კიდევ 1878 წლის „ობზორში“ ჩვენ მიერ თქმული აზრის საფუძვლიანობა იმის თაობაზე, რომ „დროებისა“ [11] და „მშაკის“[31] ლიბერალების სინამდვილეში ნამცეცა და გონებაშეზღუდული კატკოვები არიან. მართლაცდა, განა დასაშვებია პუბლიცისტებისათვის, თუნდაც ისინი ერევნის მოედნიდან იყვნენ, ცხოვრებისეული გასაჭირიდან ხსნა ეძებონ არა ადმინისტრაციის ბრძნულ, წინდახედულ ორგანიზირებასა და სერიოზულ, შორსმჭვრეტელურ კანონებსა და წესებში, არამედ ცალკეულ პიროვნებებში, როგო-

რებიც უნდა იყვნენ ისინი? ჩვენ გვესმის, რომ ბ-ნი კატკოვის მსგავს პუბლიცისტებს, რომლებიც ყველა ამქვეყნიურ სიკეთეს საზოგადოების თვითმოქმედებისაგან კი არა, ამა თუ იმ თანამდებობის პირის თადარიგიანობისა და მოქნილობისაგან ელიან, შეუძლიათ კვლავ შემოგვთავაზონ მსგავსი ზომები. ჩვენ გვესმის, რომ თვით ადმინისტრაციასაც—გამონაკლის შემთხვევაში—შეუძლია სასარგებლოდ ჩათვალოს ასეთი არანორმალური ზომები... მაგრამ ერთ რაიმეს ვერც ვერავინ გაიგებს და ვერც ახსნის: როგორ ათავსებენ ერთმანეთთან ეს საზოგადოების თვითმმართველობის მეგობრები ასეთ დრაკონულ ღონისძიებებსა და თავიანთ საყვარელ პრინციპებს... გასაგებია ისიც, რომ ერევნის მოედნელ ლიბერალებს შესაძლოა თავგზა აებნეთ იმ მძიმე ვითარებაში, რომელიც ხალხის თვითმმართველობის პირველ საფეხურზე გვხვდება და ასეთი გაუთვალისწინებელი და თავსატეხი შემთხვევების დროს შესაძლოა ნებისმიერი რამ წარმოშონ ისე, რომ აღარც თავიანთი პრინციპები გაახსენდეთ და აღარც ხალხის ბედი. მაგრამ ჩაიდინო ამგვარი რამ კალიების გამო, ანუ იმ ჭირის გამო, რომელმაც არაერთხელ გაანადგურა ჩვენი მხარე და რომლის შესახებაც ყველა მოაზროვნე კაცს ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია უნდა ჰქონდეს გარკვეული წარმოდგენა, გამოგიტყდებით, ყოვლად გაუგებარია.

შეუზღუდველი საგანგებო ხელისუფლების შექმნის მოთხოვნა სავსებით დასაშვებია იმ ქვეყნებში, სადაც ფართო საზოგადოებრივი თუ სამაზრო თვითმმართველობა ავიწროებს ადმინისტრაციის უფლებებს, სადაც ესა თუ ის კანონი არ აძლევს მას გასაქანს, სადაც ერობას მინიჭებული აქვს მოქმედების ფართო ასპარეზი, სწორედ ის ასპარეზი, რომელიც საჭიროებს მმართველობის ზეგავლენას. მაგრამ ასეთ საგნებზე ფიქრი ჩვენთან, კავკასიაში, სადაც უმაღლესი ადმინისტრაცია ფლობს ყველა უფლებას, იმ უფლების ჩათვლით, რასაც ქ. ვეტლიანკაში ფლობდა ბ-ნი ლორის_მელიქოვი, სადაც მის მოღვაწეობას არ ზღუდავდა არავითარი ერობა და საზოგადოებრივი დაწესებულებები,—ეს, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, აბსურდია.

მოდით, ვცადოთ, იქნებ შევაგნებინოთ ყოველივე ეს „დროებას“ ყველასათვის გასაგები საბუთებით. ნუთუ ერევნისმოედნელმა პუბლიცისტებმა არ იციან, რომ, კანონის თანახმად, ჩვენს ადმი-

ნისტრაციას აქვს ყველა აუცილებელი და არა აუცილებელი ძალა-უფლება, რომელიც საჭიროა კალიის წინააღმდეგ საბრძოლველად? გვითხარით, კიდევ რა განსაკუთრებულ ძალა-უფლებას მოითხოვს ადმინისტრაციისათვის „დროება"? სამხედრო ან საველე სასამართლოზე გადაცემის უფლებას ხომ არა?... მაგრამ ვინ უნდა გადაეცეს სასამართლოს? კალია ვერ განისჯება ვერც სამხედრო, ვერც სამოქალაქო და ვერც თვით სასულიერო სასამართლოს მიერ. შეუძლებელია არა თუ მისი ჩამოხრჩობა, არამედ თვით წმინდა რიფსიმეს მონასტერში გადაცემაც კი ცოდვათა მოსანანიებლად. იქნებ გამავრცელებლები ჰყავს მას, რომელთა წინააღმდეგაც საჭიროა „კანონის მთელი სიმკაცრით" ამოქმედება? შავი ჭირი, თუ შეგნებულად არა, შეიძლება შემთხვევით გაავრცელოს კარანტინიდან გამოქცეულმა ადამიანმა. მაგრამ შავი ჭირის ასეთ გამავრცელებელს თვით საზოგადო სისხლის სამართლის კანონი და სასამართლოც უმკაცრესად სჯის. ოღონდ ვის, სად და როგორ შეუძლია გაავრცელოს კალია და ვინ ან რატომ შეიყვანს მას მისგან დაუზიანებელ ადგილას? ალბათ, მხოლოდ ქარი და წვიმა... მაგრამ ამგვარ გამავრცელებელთა დასჯა ხომ არც ერთ დიქტატორს არ შეუძლია, თუნდაც ასეთ დიქტატორულ ძალაუფლებას ფლობდეს ჩვენში ყველაზე მკაცრი და შეუწყნარებელი ს.ს. მესხი.

ან იქნებ „დროებას" სწყურია არა სისხლი და სასჯელი, არამედ, უბრალოდ, ძალაუფლების კონცენტრაცია, მით უმეტეს, რომ ახლა ესეც მოდაშია ბ-ნ კატკოვებთან? „ძალა-უფლების კონცენტრაცია" რეკომენდირებულია კატკოვის ტიპის პუბლიცისტების მიერ სწორედ „კონცენტრირებული" ბოროტების წინააღმდეგ. კალია კი, როგორც ცნობილია, მეტისმეტად დეცენტრალიზებულია, ხოლო გაზეთი „დროებისათვის" მეტად ძნელი შეიქნება დადგენა იმისა, რომ გორის მაზრის კალიის მატლსა და ელისავეტოპოლის მსხლის შორის არსებობს რაღაც დანაშაულებრივი, საიდუმლო კავშირურთიერთობა.

ან იქნებ „დროებამ" არ იცის, რომ საქმეში „სამხედრო ძალის" ჩარევა სრულიადაც არ მოითხოვს ექსტრაორდინალური ზომების მიღებას? თუ „დროებამ" არ იცის, რომ კანონი უფლებას ანიჭებს ნებისმიერ გუბერნატორსა და მაზრის უფროსს გამოითხოვოს ჯარი მხედართმთავართაგან, ხოლო ეს უკანასკნელნი ვალ-

დებული არიან სრული დახმარება აღმოუჩინონ სამოქალაქო ხელისუფლებას, დაუმორჩილონ მათ მოთხოვნებსა და მითითებებს თავიანთი ცოდნა კანონებისა, რომელთა კალთის ქვეშ იფურჩქნება მათი ძალაუფლება. იქნებ გაზეთმა თეორიულად არ იცოდეს ეს, მაგრამ პრაქტიკით ხომ მაინც უნდა დარწმუნებულიყო, რომ ჩვენს ადმინისტრაციას აქვს უფლება ჯარი სამუშაოდ გაგზავნოს!? განა ცოტა ფული აქვს ადმინისტრაციას? საკმარისი ფული აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველ წუთს შეუძლია გამოითხოვოს სულ ახალი და ახალი თანხები. მაშ, რა ახალ კანონებსა და ახალ უფლებებზედა ოცნებობს ეს ღრმადმოაზროვნე გაზეთი? დე, თვითონ მან გაგვიმხილოს ეს სიბრძნე. გულახდილად გამოგიტყდებით, რომ ჩვენ არც გვესმის და არც ძალა შეგვწევს მისი გაგებისა.

—მაშ, რა ვქნათ თქვენი აზრით?—იქედნურად შეგვეკითხება „დროება". თუ არ მოგწონთ ჩვენი გზა, თქვენი შემოგვთავაზეთ!

ჩვენი მოწოდება არაა საკანონმდებლო შემოქმედებითი როლის შესრულება და სრულიადაც არა ვგრძნობთ მიდრეკილებას შევთხზათ „კანონები კალიის შესაძლო გამოჩენისათვის", თუმცა მათი შექმნა ძნელი არაა. მიგვაჩნია, რომ სავსებით საკმარისი იქნებოდა ადმინისტრაციის უმდაბლესი ორგანოებისათვის შეგვეთხზა და სახელმძღვანელოდ გამოგვეცა სერიოზული დარიგებები მსგავსი შემთხვევებისათვის, რათა ყოველივე ის, რაც ადამიანს შეუძლია გააკეთოს, დროულად შესრულდეს ხალხის ცხოვრების რთულ მომენტებში. გამოცდილებით ვიცით, რომ იმ დროს, როცა ზოგიერთი მაზრის მმართველი წინდახედულად ამზადებდა ჩალას, ცოცხსა თუ სხვა იარაღს კალიის გასანადგურებლად, ზოგს არავითარი ასეთი ზომა არ მიუღია. საკმარისია მიუთითო მაზრის ყველა გამგეობას, თუ რა უნდა მოამზადონ მათ, როგორ უნდა აიძულონ ადგილობრივი მოსახლეობა და როგორ უნდა ისარგებლონ ჯარით, რომ სწორად წარიმართოს კალიასთან ბრძოლის საქმე, როგორც ეს უკვე მიმდინარეობს ზოგ ადგილას. საკმარისი იყო ორი-სამი მაზრის უფროსის დასჯა, რომელთაც ჩვენი მმართველობის მითითება არ აასრულეს, რომ დანარჩენებს მთელი თავიანთი სიცოცხლე სულმოუთქმელად ეხელმძღვანელათ მით. ამაზე მეტს ვერ გააკეთებს და ვერც შეძლებს ვერც ერთი დიქტატორი, რაოდენ დიდი ჭკუის კოლოფიც უნდა იყოს. აქედან გამომდი-

ნარე, ასეთი დიქტატორის რეკომენდაცია სხვა არაფერია, თუ არა ცრუმორწმუნეობისა და კერპთაყვანისიმცემლობის არსებითად გაუგებარი გადმონაშთი ისეთი ლიბერალების მხრიდან, როგორებიც არიან ჩვენი მეგობრები „დროებიდან“.

მაგრამ ეს შემთხვევა სასარგებლო მაინც იქნება გაზეთი „დროებისათვის“ და მიხვდებიან კი ერევნისმოედნელი პუბლიცისტები „პრინციპთა“ გადავიწყების მთელ უცნაურობას იმ პირთაგან, რომელთაც, ვითომდა, მტკიცედ უნდა დაეცვათ ის?

კიდევ ერთი შეკითხვა: რატომ არ მოსდიოდა „დროებას“ ადრე ასეთი უხეში შეცდომები და არ მიედ-მოედებოდა ასეთ სისულელეებს? განა ასეთ შედეგებს ელოდა საბრალო ქართველი საზოგადოება ორი რედაქციის შეერთებისაგან? და განა თ-დ ი. გ. ჭავჭავაძის ლიბერალურ რეპუტაციას არ ეჩოთირება ასეთი ქადაგება მისი თანამშრომლებისაგან, რომლებიც, ცხადია, პატიოსანი და კეთილგანწყობილი ადამიანები არიან, მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველ მათგანს უთუოდ ჭირდება მტკიცე აღვირი, რათა არ ჩაეფლონ „კატკოვიზმის“ ჭაობში.

45. ცვლილება სამინისტროში

თბილისი, 1880 წ-ის 27 აპრილი

ცნობას, რომელიც „პრავიტელსტვენნი ვესტნიკმა“[14] გვაუწყა სახალხო განათლების მინისტრის გრაფ დიმიტრი ალექსანდრეს ძე ტოლსტოის გადაყენების შესახებ სინოდის ობერ-პროკურორისა და მინისტრის თანამდებობებიდან, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ დიდი გამოხმაურება ექნება მთელს რუსეთში.

გრაფმა დ. ტოლსტოიმ თავისი პოსტი დაიკავა 1866 წელს, სულ მალე კარაკოზოვის 4 აპრილის თავდასხმიდან. მანამდე იგი ცნობილი იყო მაღალი წრის კლერიკალთა მხოლოდ ვიწრო წრისათვის თავისი ტენდენციური თხზულების „Le catholicisme“ მეშვეობით და კიდევ უფრო მეტად თავისი პირადი მეგობრებითა და განუყრელი მეგობრული კავშირით მაღალი წრის დიდი თანამდებობის პირებთან... მდგომარეობამ, რომელიც მან შექმნა როგორც თავის სამინისტროში, ისე მთელს კაბინეტში, მალე გამოავლინა მასში უაღრესად თავისებური ადამიანი. იგი დაუღალავად სდევნიდა დრომოჭმული პოლიტიკური კლერიკალიზმიდან განსაკუთრებულ და ცალმხრივ მიზნებს, საფრანგეთიდან რომ იყო გადმონერგილი მისთვის შეუფერებელ რუსულ ნიადაგზე. საოცარი საქმეა: იეზუიტებისა გრაფ ფალუსა და მონტალამბერის დოქტრინების ეს მამხილებელი იმდენად გაიჟღინთა მის მიერვე უარყოფილი ცრუ მეცნიერებითა და ცრუ დოქტრინებით, რომ ჩვენში, რუსეთში, შექმნა მთელი სკოლა და, სიმართლე რომ ვთქვათ, შეუძლია პრეტენზიაც განაცხადოს რუსეთის გრაფ ფალუს წოდებაზე...

ის დრო, როდესაც გრაფ. დ. ა. ტოლსტოის უხდებოდა რუსეთის განათლების სისტემის მართვა, ძალიან უწყობდა ხელს ასეთი ცდუნებების დროებით წარმატებას; გავიხსენოთ ისიც, რომ ამ ცდუნებათა თავგამოდებული მქადაგებელი საზოგადოებაში იყო ისეთი ლირიკოს-დიალექტიკოსი, როგორც ბ-ნი კატკოვია, რომელიც იმავე დასკვნამდე მივიდა არა ფრანგული კლერიკალიზმის გზით, არამედ გერმანული ფილოსოფიური პიეტიზმის მეშვეობით. მართლაც, ჩვენში მანამდე არნახული პირველი პოლიტიკური დანაშაულობების შემდეგ ადვილი იყო ამ მოვლენის მცდა-

რი ახსნა, როგორც „პრესისა და განათლების სისტემის მიმართულების“ პირდაპირი შედეგისა. უყურადღებოდ დარჩა უფრო საზოგადო და ღრმად ფესვგადგმული ჭეშმარიტი მიზეზები. და რადგანაც ასე ადვილად აიხსნა ეს გარემოება, მისი გაბათილება მხოლოდ ცხოვრებას შეეძლო...

ამიტომ გასაგებია, რომ გრაფი ტოლსტოის ენერგიულმა ღონისძიებებმა—საწინააღმდეგო მხრით წარემართა სახალხო განათლების საქმე და ესარგებლა სასწავლო დაწესებულებებით, როგორც „ზნეკეთილი ტენდენციების“ დამამკვიდრებელი საშუალებით საზოგადოებაში,—ფართო გასაქანი პოვეს. ამ მიუღწეველი მიზნის მისაღწევად ყველა საშუალებას მიმართავდნენ. ძველი წესების ნგრევა წარმოებდა წმინდა რევოლუციური ენერგიითა და დაუნდობლობით... და ყოველ ახალ წელს მრავალი ახალი წესი შემოჰქონდა სახალხო განათლების სისტემაში.

გრაფი ტოლსტოის არც ერთი სურვილი არ დაბრკოლებულა: ყველა მისი პროექტი გადიოდა, ყველა მისი წინასწარნავარაუდევი სრულდებოდა. თოთხმეტი წლის მანძილზე იგი იყო განათლების საქმის სრულუფლებიანი გამგებელი. მის მიერ რეორგანიზებული საშუალო სასწავლებლებიდან ახალგაზრდების შვიდი ისეთი თაობა გამოვიდა, რომელთაც სხვა არავითარი გავლენა არ განუცდიათ, გარდა სახალხო განათლების სამინისტროს სასწავლებელთა გავლენისა. ქედუხრელობისა და თავისუფალი აზროვნების სული გაძევებული იყო ყველა ამ სასწავლებლიდან, მათში გამეფებული იყო წარმოუდგენლად მკაცრი დისციპლინა. დიახ, გრაფმა ტოლსტოიმ ყველაფერს მიაღწია, გარდა ყველაზე მთავარისა: ის შედეგები, რომელსაც ის ესწრაფვოდა, სინამდვილეში ვერ განახორციელა.

ჩვენ „ობზორში“ არაერთხელ შეგვინიშნავს, რომ ყოველი თავდასხმა დაწოლას ახდენს კაცობრიობის აზროვნებაზე და ყოველგვარი სურვილი იმისა, რომ პრესასა და განათლების სისტემას მათთვის შეუსაბამო მიზნები დაუსახო, მიგვიყვანს სასურველი მიზნის დიამეტრალურად საწინააღმდეგო შედეგამდე. რუსეთის პოლიტიკურმა ისტორიამ ამ უკანასკნელი 14 წლის მანძილზე თვალსაჩინოდ დაამტკიცა ამ უძველესი ჭეშმარიტების საფუძვლიანობა. რაც უფრო იხედნებოდა პრესა, რაც უფრო მეტ დაწოლას

განიცდიდნენ სკოლები, სასწავლებლები, უნივერსიტეტები, მით უფრო კოლოსალური ხდებოდა შეთქმულებები, უფრო საშინელ სახეს იღებდნენ თავდასხმები. და ორი-სამი პოლიტიკური დამნაშავის მაგიერ, რომლებიც 1866 წლამდე რუსეთში ბოგინობდნენ, ყოველწლიურად ასობით და ათასობით ასეთი დამნაშავენი ჩნდებოდნენ ისე, რომ ახლა მათი რიცხვი, როგორც დედაქალაქის გაზეთები წერენ, აღარც კი დაითვლება.

როგორც ჩანს, ამ გარემოებას უნდა დაერწმუნებინა სერიოზულად მოაზროვნე ადამიანები, რომ პანაცეა, ბ-ნი კატკოვის მიერ ასეთი აზარტით რეკომენდებული და გრაფ. დ. ა. ტოლსტოისაგან ცხოვრებაში ასეთივე აზარტით გატარებული, სრულიადაც არაა დამაკმაყოფილებელი ბოროტებასთან საბრძოლველად. და რადგან ამ რწმენამ გაიმარჯვა, გრაფ დ. ა. ტოლსტოის მინისტრობის დღეებიც უკვე დათვლილი იყო.

გრაფ ტოლსტოის შემცვლელი სინოდის ობერ-პროკურორის თანამდებობაზე კ. პ. პობედონოსცევი საკმაოდ ცნობილია მკითხველი საზოგადოებისათვის, როგორც ერთ-ერთი კეთილსინდისიერი და განათლებული რუსი იურისტი, როგორც საქმისადმი ლეგალური და ლიბერალური დამოკიდებულების ადამიანი. ხოლო გრაფ ტოლსტოის მემკვიდრის შესახებ სახალხო განათლების მინისტრის თანამდებობაზე, ანუ ა. ა. საბუროვზე, რომელიც დიდი ხანია დერპტის სამოსწავლო ოლქის მზრუნველია, (ჩვენთვის ცნობილია, რომ ის არ გამოირჩევა რაიმე განსაკუთრებული თვისებით თავისი წინამორბედისაგან... მასზე ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ქება გვსმენია...

მაგრამ საქმე მარტო ის კი არაა, თუ როგორები იქნებიან მემკვიდრენი, არამედ ის, რომ გრაფი დ. ა. ტოლსტოი პირადი ცხოვრების წიაღში ჩაიძირა. მისი მნიშვნელობა, როგორც სახალხო განათლების მინისტრისა, რასაკვირველია, ძალზე დიდი იყო. ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იგი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისითაც, როგორც თვალსაჩინო წარმომადგენელი რეაქციული შეხედულებებისა და ინიციატორი რეპრესიული ზომებისა. ამ თვალსაზრისით მისმა წასვლამ შეიძლება კეთილი ზეგავლენა მოახდინოს ჩვენი საშინაო პოლიტიკის მომავალ მიმართულებაზე.

46. ომი ჩინეთთან

თბილისი, 1880 წ. 29 აპრილი

ოდესღაც მოხუცი კრილოვი ჩინეთთან ომზე ლაპარაკობდა, როგორც უდიდეს შეუსაბამობაზე, რომელზეც შეეძლოთ ემსჯელათ მხოლოდ მოწოდებით დიპლომატებს, რომელთათვისაც მნიშვნელობა არა აქვს რაზე ილაპარაკებენ, ოღონდ იდავონ. ახლა 24 აპრილის დეპეშა გვატყობინებს, რომ ჩინეთის მთავრობამ უარყო კულჯინის შეთანხმება და მოითხოვს იპიის ოლქის აუცილებლად უკან დაბრუნებას, თან ვარაუდობს, რომ, უარის შემთხვევაში დაიკავებს ამ ოლქს. და რადგანაც აპირებს იაპონიასთან სათანადო სამხედრო ტრაქტატის დადებას, ჩინეთის მთავრობა ჩრდილოეთისაკენ აგზავნის საბრძოლო მარაგს, ხოლო პრინცმა ლიმ განკარგულება გასცა ჩინეთის არმიასა და ფლოტში უცხოელების გაწვევის შესახებ... მაშასადამე, ეჭვი აღარაა: ჩინეთს სურს რუსეთთან ომი და ამისათვის ისარგებლებს არა მარტო ევროპული მეცნიერებით, არამედ ევროპის ცოცხალი ძალითაც... ჩინეთის მთავრობის ასეთმა გაბედულებამ, ცხადია, უნდა გამოიწვიოს საწინააღმდეგო სამხედრო, გამაფრთხილებელი ზომები რუსეთის მხრიდან. ჩვენ ადრე შევატყობინეთ მკითხველებს ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილება—თავი მოუყაროს ობსერვაციულ კორპუსს თურქმენეთთან, ჩინეთის საზღვარზე და წყნარ ოკეანეში შექმნას თხუთმეტი სამხედრო გემისაგან შემდგარი ესკადრა ადმირალ ბუტაკოვის მეთაურობით.

დიდი ხანია ჩინეთის მთავრობა გააფთრებულ ომს აწარმოებს ჩვენი საზღვრების მახლობლად და უაზრო გააფთრებისა და სისხლისღვრის შემდეგ დაიპყრეს კიდეც ჩვენი მიწები. ჩვენ გვქონდა შემთხვევაცა და საკმაო დროც შეგვესწავლა ჩინეთის სამხედრო ხელოვნება და ჩვენი მომავალი მოწინააღმდეგის სტრატეგიული მოსაზრებანი. მთელი მისი სტრატეგია იმით გამოიხატება, რომ ცენტრალური მთავრობა მუდმივად აგზავნის ჯარის შესავსებად მებრძოლებს, რომლებიც უდისციპლინობისა და ხელფასის დროულად გადაუხდელობის გამო, საკუთარი სიცოცხლის საფრთხის ფასად, ყაჩაღების ბანდებს ქმნიან. ეს ბანდები კი ყვე-

ლაფერს ანადგურებენ, რაც წინ ხვდებათ. ამგვარად, დროთა განმავლობაში მოსული და გაქცეული ჯარისკაცების რიცხვი ისე მატულობს, რომ გასაძარცვავიც აღარაფერი რჩება და მაშინ დაცარიელებული მხარე ხელს მიჰყოფს გამარჯვების ბაირაღებსა და ბოგდიხანის ჯარების ნარჩენებს, რომელთა მხედართმთავარი და მისი ხელქვეითი სამხედრო მეთაურები ჯილდოდ იღებენ გარკვეული ხარისხის ბურთულებს, ხდებიან წარჩინებული სახელმწიფო მოხელენი, საყოველთაოდ ცნობილნი და დასაყრდენნი ჩინეთის ძლიერებისა. მაშასადამე, ჩინელთა მთელი სამხედრო მეცნიერება და სტრატეგია გვაგონებს კალიის სამხედრო მეცნიერებასა და სტრატეგიას. როგორც ცნობილია, კალია ჩნდება, ვითარდება, ძლიერდება, ნადგურდება და შემდეგ მის ნარჩენებს ზეიმით ფლავენ იმ მინაში, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა. ამ შედარებაში ჩანს ჩინეთთან ჩვენი მომავალი ომის სახე: ჩვენ ვერც ომის დაწყებას გავიგებთ და ვერც დამთავრებას. გამონაკლისი იქნება ის შემთხვევა, თუ ჩვენ თავდაცვითი ომის მაგიერ, რომელიც სრულიადაც არ გაგვიძნელდება, გადავალთ შეტევაზე. მაშინ, ცხადია, შეგვიძლია დავიპყროთ მდიდარი და ფართო მიწები, რომლებიც არამარტო არ ესაჭიროება რუსეთს, არამედ მათი დაპყრობა მეტად მავნებელიც კი იქნება, რადგანაც მთავრობის ბიუჯეტის ახალ დაძაბვას მოითხოვს. ამიტომ ჩინეთთან შეტეევითი ომი, ყოველ შემთხვევაში ახლანდელი პოლიტიკური და ეკონომიური პირობების დროს, არ იქნება, ხოლო თავდაცვითი ომი ჩვენთვისაც ისევე ოდნავ შესამჩნევი იქნება, როგორც ჩინელებისათვის.

ნათქვამის დასამტკიცებლად მოვიტანთ ამონაწერს ვერნის კორესპონდენციიდან, რომელიც დღეს მიღებულ „ტურკესტანსკიე ვედომოსტის“ 51-ე ნომერშია დაბეჭდილი:

„ნოემბერში, შიხოს მხრიდან, ძინ-ციან-ციანის რეზიდენციიდან, მიღებული ცნობა იტყობინება:

ტარბაგატაელი ხებეი-ამბან-ში, როგორც ამბობენ, დანიშნული იმისათვის, რომ ჩაიბაროს ჩინელებისათვის დათმობილი კულჯი, ახლა შიხოში ცხოვრობს, სადაც ის მივიდა ტარბაგატიდან (ჩუგუჩაკიდან) 15 სექტემბერს. ში ელოდება შიხოში რუსეთის მთავრობის კულჯელ წარმომადგენელს, რათა მოელაპარაკოს.

ჩინელ მეომრებს აქამდე არ აძლევენ ხელფასს. პური შიხოში ცოტაა და 100 ჯიკი 4 ლანი ღირს (ლანი—2 მან. ვერცხლით). პური მოაქვთ ულანჟუდან სუნდუხოზებსა და ჩოპეიზებს (რუქაზე ჩაპეიზი), სადაც პურის თესვასა და მკას ჯარი აწარმოებს. მოსავალი მცირეა...

ამჟამად შიხოში 10 ყაზარმაა, სადაც 4000-დან 5000-მდე სამხედრო პირი ეტევა. შიხოსა და ჯინხოს შორის გზაზე, ქურთაში, თაიჩუეზსა და თუთოში პიკეტი დგას; ყოველ მათგანში 100-დან 200-მდე ჯარისკაცია. მოპიკეტეთა შენობები ნაუცბათევადაა აგებული. პიკეტების დანიშნულებაა, დაიცვან მგზავრები მძარცველებისაგან.

—ჯიხოში ძიან-ძიუნიდან 400 სოლონი ჩამოვიდა. თაკიანზაში 200 კაციანი ჯარი დგას. ეს ჯარისკაცები არაფერს აკეთებენ და გამოიყენებიან მხოლოდ სხვადასხვა პირთა და ტრანსპორტის ბადრაგისათვის, უმეტესად ჩინელ დეზერტირთაგან დასაცავად.

ჩინეთში მომსახურე შიხოში მყოფ სიბინელთა პირად წერილებში მეორდება ის ფაქტი, რომ ჯარისკაცებს ჯამაგირს არ აძლევენ; თანაც დადის ხმები, რომ მთვარის მე-9 და მე-100 მოქცევისას სიბინელებს დაითხოვენ სამსახურიდან, შინ გაისტუმრებენ თავიანთ სუბუნებში და რომ ჩინეთის ჯარებს ამ წელს არ შეუძლიათ კულჯაში ჩამოსვლა და თაკიანგაში რჩებიან გამოსაზამთრებლად, კულჯაში მხოლოდ მომავალ წელს ჩამოვლენო.

სასაზღვრო ხაზთან მომხდარ შემთხვევათაგან ორს აღვნიშნავთ:

5 ნოემბერს, დილით, ჩვენი ციგერტინის პიკეტის საზღვართან, ჯინხოდან მომავალ გზაზე გამოვარდა უაღვირო ცხენი ნამანგანური უნაგირით. პიკეტის მოხელეებმა ეს ცხენი მიიჩნიეს ერთ-ერთი მექარავნე ვაჭრის საკუთრებად, რომელიც წინადღეს კულჯიდან შიხოსაკენ მიემართებოდა პიკეტის გავლით სახელმწიფო მრჩეველ შიშმარიოვთან ერთად.* ეს ქარავანი შედგებოდა 82 ეტლიანი ვაჭრისაგან, 179 ცხენისა და 3 ვირისაგან. პიკეტის მეთაურმა იფიქრა, რომ ქარავანი დუნგანებმა გაძარცვეს და მაშინვე გაგზავნა ცხენოსანი ბადრაგი, რათა შეეტყო მომხდარი ამბავი, გამოირკვა, რომ მთებიდან გამოსვლისას, პიკეტიდან 20

* რუსეთის ყოფილი კონსული ურგაში; გაგზავნილი იყო საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან ჩინელებისათვის კულჯას გადაცემის საკითხზე.

ვერსის მოშორებით, ქარავანს, რომელიც გაჭიმული იყო 2 ვერსის მანძილზე ბ-ნ შიშმაროვისა და მისი ბადრაგების წინ, 20 დუნგანი დაესხა, რომლებმაც დატვირთული ცხენი წაართვეს და მთაში წაასხეს, ხიშტით თავში დაიჭრა ერთი ჩინელი, მეორე—მხარში დაიჭრა ტყვიით. ამ შეტაკებისას ცხენებიდან გადმოვარდა სამი ვაჭარი, რომლებიც ყაჩაღთა სროლისაგან შეშინებულნი, გაიქცნენ; სწორედ ერთ-ერთი მათგანის ცხენი მოვიდა პიკეტში. ეს ცნობა მიღებულია სამი სხვადასხვა პირისაგან, რომლებიც ჯინხოდან კულჯაში მიდიოდნენ და გზაში შემოხვდათ ცხენოსანი ბადრაგი.

ამაზე ცოტა ადრე სემირეჩინსკის მაზრის ქ. ვერნიდან ადმინისტრაციის მიერ შიხოში მივლინებულმა თარჯიმანმა, ურიადნიკმა ბეხიროვმა, რომელსაც ძიან-ძიუნში უნდა მოეტანა პაკეტი სანკტ-პეტერბურგში მყოფი ჩინელი ელჩის ჩუნ-ხაუსაგან, კულჯაში რომ ბრუნდებოდა, განუცხადა ნაწილის უფროსს, რომ მგზავრობის დროს ციტერტინის პიკეტსა და ქ. ჯიხოს შორის თავს დაესხა დუნგანის მძარცველების ხროვა. ბადრაგმა, რომელიც ბახირევს ახლდა, თავდაცვის დროს მძარცველებს ცხენი წაართვა“.

47. ნავსადგომთან და „ბერეგის“ გასწვრივ

თბილისი, 1880 წ. 1 მაისი

ინგლისის სამინისტროს პრემიერმა კეთილშობილმა ლორდმა ბიკონსფილდმა თავი რომ გამოიჩინა ბერლინის კონგრესზე და მთელი ინგლისელი ხალხისაგან მეფური შეხვედრა ხვდა წილად, როდესაც ბერლინიდან დაბრუნდა, სადაც ბერლინის ტრაქტატსა და სხვა წინასწარ ოქმებზე ხელმოწერის შემდეგ შეჩერდა რუსეთის წინსვლა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე,—დღეს საბოლოოდ დაკარგა ერის ნდობა და ევროპის კონცერტის მოქმედი ძალებიდან კერძო ცხოვრების წიაღში გადავიდა, ანუ როგორც იტყვიან, ნავთსაყუდელს მიაღწია. რომანულ ავანტურებს ინგლისის პოლიტიკაში, რომლებსაც თითქმის ყოველ თვე თხზავდა ღრმად პატივცემული ლორდი ბიკონსფილდი, შეუძლებელია სათანადო გავლენა არ მოეხდინა ინგლისელებზე, რომლებიც თავიანთ ინტერესებს ყოველთვის მშვიდად განსჯიან. როგორადაც უნდა გაეთქვა სახელი კონსტანტინოპოლისაკენ წარმატებით მიმავალი რუსეთის შეჩერებით, მისი ჩამოშორებით ბალკანეთის სლავთა ბედის უშუალო განგებისაგან,—რომლის უფლებაც მან თურქეთზე გამარჯვების შემდეგ მოიპოვა,—რაოდენ დიდიც უნდა ყოფილიყო ინგლისის მშვიდობიანი და უსისხლო მონაპოვარი ხმელთაშუა ზღვის აუზში, მცირე აზიასა თუ ავღანეთში,—ყოველივე ამის გადატანა, გასტუმრება და გადახდა მოუხდა ინგლისელ მშრომელს. ინდოეთის ბიუჯეტმა ვერ აიტანა გამანადგურებელი ომი ავღანეთთან, ხოლო ინგლისის გენერალთა თითქმის უდანაკარგო გამარჯვებებმა, როგორც შედეგებიდან ჩანს, მაინც ვერ განამტკიცეს ინგლისელთა მდგომარეობა ავღანეთში და ვერ იხსნეს ისინი საპატიო moduj vivendi[45] მიღწევისათვის აბდურახმანხანთან მშვიდობიანი მოლაპარაკების, ოქროსა და დათმობათა მთელი სერიის აუცილებლობისაგან, რასაც ვერ მიაღწევდნენ მხოლოდ იარაღის მეშვეობით. ცხადია, ადვილი იყო ინგლისის მთელ მსოფლიოზე გაბატონების ფანტასტიკური გეგმების შედგენა, აგრეთვე ყველა მუსლიმანური სახელმწიფოს დამორჩილებისა ინგლისისათვის; ეს უკანასკნელი, ლორდი ბიკონსფილდის აზრით, მოულოდნელად მუსლიმანური სახელმწიფო აღმოჩნდა და კიდეც დაამტკიცა ეს თავისი როლით ქრისტიანთა სასტი-

კი განადგურებისას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ბატაკში და ბულგარეთის, სერბიის, ჰერცოგოვინისა და ბოსნიის ასობით ქალაქსა თუ სხვა ადგილებში დაღვრილი სისხლი კიდევ დიდხანს შერჩება ლაქად ლორდ ბიკონსფილდისა და მის ხელისშემწყობთა სახელებს, თუმცა ინგლისის ძლიერება და კეთილდღეობა ამით სრულიადაც არ გამტკიცებულა და სხვა სახელმწიფოთა მიმართ ინგლისის ეგოისტურმა, სახიფათო პოლიტიკამ სათანადო გაშუქებაც პოვა მის მომავალ ყველა წარმატებათა საზიანოდ.

ჩვენს გაზეთში არცთუ ისე ცოტა დაიწერა პოლიტიკაში იმგვარი რომანულობის უსაფუძვლობის განმარტებისათვის, რითაც გატაცებული იყო ლორდი ბიკონსფილდი მაშინ, როცა არც ერთი ჭეშმარიტად დიდი პოლიტიკური მოღვაწე არასოდეს არაფერს თხზავდა, არამედ სწავლობდა საკუთარი და უცხო ქვეყნების თანამედროვე ვითარებას და ცდილობდა მხოლოდ იმ მოძრაობას ჩასდგომოდა სათავეში, რომელსაც ბუნებრივად იწვევდა ისტორიული ცხოვრების მსვლელობა, საშინაო თუ საერთაშორისო ურთიერთობა. ჩვენ საკუთარი ფანტაზიით პარალელიც კი გავავლეთ ევროპის რუკის შემცვლელ ნაპოლეონ I-სა და ლორდ ბიკონსფილდს შორის, რომელსაც ბევრად უფრო ნაკლები მორალური და მატერიალური ძალები გააჩნდა, ვიდრე დიდ დამპყრობელს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ფიქრობდა მთელი ძველი სამყაროს რუკის შეცვლას, რასაკვირველია, აქედან დასკვნის გამოსატანად წინასწარმეტყველება საჭირო არაა: ლორდ ბიკონსფილდის ტრიუმფი ნაპოლეონ I-ის რეჟიმზე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, რადგან ლორდი ბიკონსფილდი არ ყოფილა მთელი ევროპის სრულუფლებიანი განმგებელი; იგი ევროპის მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი კონსტიტუციური სახელმწიფოს პასუხისმგებელი მინისტრი გახლდათ—და, მაშასადამე, ყველა მისი მოქმედება ან მოქმედების მავნებლობა თუ სარგებლიანობა ანალიზისა და კრიტიკის ქარცეცხლში გადიოდა იმ პიროვნებათაგან, რომელთაც ნებისმიერ დროს შეეძლოთ შეეცვალათ ლორდი ბიკონსფილდი თანამდებობაზე და საერთოდ ჩამოეშორებინათ იგი პოლიტიკური ასპარეზიდან.

პოლიტიკაში ომები და ავანტიურები იაფი არ ჯდება: ხარჯები უნდა გაისტუმროს და გადაიხადოს ხალხმა; და რაკიღა, გადასახადთა ზრდასთან ერთად, ყოველი ომი იწვევს საერთაშორისო

ურთიერთობათა აწეწ-დაწეწვას, ინგლისი, თავისი ახლანდელი სავაჭრო-სამრეწველო განვითარებით, ყველა სხვა სახელმწიფოებზე მეტად გრძნობს ომის შედეგებს. რაც გამოიხატება ხალხის გაღარიბებასა და მოთხოვნილების დაქვეითებაში მანუფაქტურაზე, რომლის გასაღებაც ინგლისის კეთილდღეობის საფუძველია. ამიტომ რაოდენ ბრნყინვალეც უნდა იყოს ინგლისის პრემიერის დიპლომატიური ტრიუმფი და ინგლისის პოლიტიკური წინამძღოლობა, იგი ძვირად უჯდება ინგლისელ ხალხს, თუნდაც ამის შედეგად ნადგურდებოდნენ ინგლისის მოქიშპე სხვა სახელმწიფოები, რომლებიც მასთან საქონელბრუნვას აწარმოებენ. ოცნებით გატაცება და შიმშილით სიკვდილი ინგლისელი ხალხის ტრადიცია არაა, ამიტომ მას არ შეუძლია სახელმწიფოს საჭესთან ისეთი იდეალისტის ატანა, რომელსაც მცდარად ესმის მომავალი დიდება და ინგლისის დღევანდელ კეთილდღეობას განუსჯელად სწირავს მას მსხვერპლად. ბიკონსფილდის სამინისტრო გაკიცხულია ინგლისის ამომრჩეველთა ყველა ფენის მიერ და მისტერ გლადსტონიც ასევე ერთსულოვნადაა მიწვეული თავისი წინამორბედის ფინანსური და ეკონომიკური შეცდომების გამოსასწორებლად.

მაგრამ „ბერეგის“[31] მსჯელობის თანახმად, ყველა ეს ბუნებრივი განმარტება ცოტა სხვაგვარად ჟღერს:

„ტაქტიკამ, რომელსაც იცავდა ვენის, ბერლინისა და პარიზის პრესა ლორდ ბიკონსფილდის მიმართ როგორც ინგლისის არჩევნების წინ, ისე მის შემდეგაც,—წერს ხსენებული გაზეთის 37-ე ნომერი,—ძალიან დიდი ზიანი მოუტანა ამ სახელმწიფო კაცს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ სწორედ ამ გარემოებას ვთვლიდით მისი დამარცხების ერთ-ერთ მიზეზად და ამიტომ არ გვსურდა მსგავსი შეცდომის დაშვება გლადსტონის რუსეთის კანდიდატად წამოყენების შემთხვევაში. ჩვენის მხრივ ამით ხელს შევუშლიდით მას და, ამასთანავე, ეს სინამდვილეს არც შეესაბამებოდა“.

ამიტომ:

„ინგლისში საარჩევნო ბრძოლის განმავლობაში, ჩვენ („ბერეგი“) ვინარჩუნებდით ისეთ მდგომარეობას, რომელიც, ჩვენის აზრით, ყველაზე უფრო ეთანხმება რუსეთის ინტერესებს. არ ვნანობთ, რომ ეს აზრი გამოვთქვით და კატეგორიულად ვარიდებდით თავს ჩვენი მსჯელობით ჩავრეულიყავით ინგლისის ამომრჩევლებსა და იმ ადამიანების საქმეებში, რომლებიც მათ ხმას ელა-

ციცებოდნენ. ჩვენ არ მოგვსვლია დიდი მარცხი, მაგრამ იგი ვერ აგვცდებოდა, თუ ამ დიდი ერის ბუნებას შევეხებოდით და თავს ისე დავიჭერდით, თითქოს გვსურს ზომაზე მეტად ჩავერიოთ მათ შინაურ საქმეებში. ინგლისელ ამომრჩევლებს თავიანთი თავმოყვარეობა აქვთ, რომლის შეურაცხყოფაც არ შეიძლება. სამწუხაროდ, კონტინენტური პრესა მუდამ არ ითვალისწინებს ამას და თავისი მეტად ამპარტავნული, გაუფრთხილებელი სიტყვით ხშირად არცთუ ისე სასიამოვნო შედეგს აღწევს".

ამგვარად, ინგლისში სამინისტრო შეიცვალა გაზ. „ბერეგის" რედაქციის პოლიტიკური ტაქტისა და ზომიერების წყალობით... არ არის ცუდი, სწორედაც რომ არ არის ცუდი გაზეთისათვის, რომელიც, როგორც იტყვიან, სულ რამდენიმე დღეა არსებობს!.. ცხადია, ჩვენ გვჯერა, ან უკეთ რომ ვთქვათ, გვსურს გვჯეროდეს „ბერეგის" ნათქვამისა, მაგრამ ერთი რამ გვაფერხებს: კიდევ კარგი, რომ ინგლისის ამომრჩევლებს არ წაუკითხავთ „ბერეგი" და მისმა ნააზრევმა, ხლესტაკოვის[7] აპლომბით რომაა დაწერილი, მხოლოდ რუსი დილენტანტი დიპლომატები შეაშფოთა, მაგრამ ინგლისში კი ვერაფრით შეაღწია და, მაშასადმე, არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება ზომაზე მეტად ჩარევად მის შინაურ საქმეებში. თუ გაზეთი „ბერეგი" ბეჭდვით სიტყვას ბოროტად გამოიყენებს რუსეთში, შეუძლია ზომაზე მეტად ჩაერიოს ჩვენს შინაურ საქმეებში, მაგრამ ინგლისი ამისაგან დაზღვეულია, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც რუსული ენის არცოდნის გამო.

48. თვით პანაცეაც კი არა!..

თბილისი, 1880 წ. 2 მაისი

თბილისის საქალაქო საბჭოს სხდომათა უკანასკნელი ოქმების კითხვისას უნებლიეთ გაგონდება ის ბედნიერი დრო, როდესაც საბჭოს თანამედროვე ორატორთა ოცნებას წარმოადგენდა სინამდვილეში არსებული ფაქტი; როცა აუტანელი სიმყრალე, მაიდანსა და მის ირგვლივ რომ ბატონობდა, აშკარად მიგანიშნებდათ სასაკლაოთა არსებობას ღარიბებით მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში. თუმცაღა თბილისის ყველა მცხოვრები სარგებლობდა ახლა ესოდენ სასურველი უპირატესობით—თავი მოეწამლა ავთვისებიანი მიაზმით გაჟღენთილი ჰაერით, რომელიც აუცილებლად თან სდევს სისხლისა და სხვა ორგანული ნარჩენების ხრწნას. შეუძლებელი იყო გოგირდის აბანოებთან ან ავლაბარში ისე მოხვედრა, რომ პარუმბეგოვის სასაკლაოს არომატი არ შეგესუნთქათ. როცა ჩამოყალიბდა სანიტარული რაზმები და გამოირკვა, რომ შეუძლებელია გამონაკლისის დაშვება საერთო კანონიდან და თბილისში ხელოვნურად შექმნა სპეციალური რეზერვუარისა მცხოვრებთა მოსაწამლავად, მაშინ პარუმბეგოვის სასაკლაოს შესანიშნავ შენობაში, რომელიც საუკეთესო ნიმუშია ქალაქის ინტერესთა უგულვებელყოფისა, და უფრო მეტად კი მერაბოვის სახლში, იმდენი აღმოჩნდა დამპალი და გახრწნილი ნარჩენები, რომ იქ შესულ საღ, შეუჩვეველ ადამიანს თავბრუ ეხვეოდა მავნე, მყრალი ჰაერისაგან. მიაზმის ამ ბუდის გაწმენდა დიდ ჯაფას მოითხოვდა, რადგან საჭირო შეიქნა მიწის სქელი ფენის მოთხრა, რომელიც საფუძვლიანად იყო გაჟღენთილი სისხლითა და სხვა ორგანული სითხით და აუტანლად ყარდა. კედლებიდან ჩამოყარეს ბათქაში, დაწვეს ხის ნაწილები და ახლით შეცვალეს, მახლობლად მცხოვრები ადამიანები ლოცვა-კურთხევას არ იშურებდნენ ამ სამუშაოთა მწარმოებლებისადმი, მაგრამ საბჭოში არც მაშინ ეძინათ: მაშინაც, როგორც ახლა, ბბ-ნის ღამბაროვის, ალადატოვისა და სხვათა მთელი ძალები იქითკენ იყო მიმართული, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ სასაკლაოს გადატანისათვის ქალაქგარეთ და დაერწმუნებინათ მთავრობა მათი ძველ ადგილზე შენარჩუნების აუცილებლობაში, რა არის, ახლო-მახლო მცხოვრებლებს არ მოჰკლებოდათ სიამოვნება სიმყრალის სუნთქვისა და შესაბამისად, ტიფითა და სხვა ავადმყოფობებით დაავადებისა.

საკუთარ თვალს არ უჯერებ, როდესაც კითხულობ, როგორ იბრძვიან ავადმყოფობათა გასავრცელებლად ქალაქის მოსახლეობაში ბ-ნი ღამბაროვის მსგავსი განათლებული და ცნობილი ორატორები... ნუთუ ასე ძნელი გასაგებია განათლებული ადამიანისათვის, რომ წყალსაწრეტებისა და წყალგაყვანილობის უქონლობის გამო შეუძლებელია სუფთად შეინახო საქონლის დასაკლავი ადგილები? საქმეს ვერ უშველის ვერც ვერავითარი ჯარიმები ან კონტრაქტები, ეს ადგილები მუდამ იქნება სხვადასხვა დაავადების წარმომშობი ბაქტერიების მძლავრი გამავრცელებელი. ამიტომ ამ ბოროტების მოსპობა შეიძლება მხოლოდ სასაკლაოს ქალაქგარეთ გადატანით, როგორც ეს კანონით არის დადგენილი. ამ კანონის შეცვლის მომხრეთა ერთადერთი არგუმენტია ხორცის ფასის გაზრდა მისი შორიდან შემოზიდვის გამო... მაგრამ ეს არგუმენტი უნებლიე ღიმილს იწვევს და გვაიძულებს ვიფიქროთ რაღაც გაუგებრობაზე. საზიდში შებმულ ერთ ცხენს შეუძლია გადმოიტანოს 20 ფუთი, ანუ 800 გირვანქა ხორცი, ამიტომ ქალაქიდან სამი ვერსით დაშორებული სასაკლაოდან ხორცის გადმოტანის ყველაზე წარმოუდგენელი ღირებულების შემთხვევაშიც კი, სახელდობრ, 4 მანეთი ერთ ჯერზე, 1 გირვანქა ხორცის ფასი შეიძლება გაიზარდოს 1/2 კაპიკით. ეს ისეთი უმნიშვნელო თანხაა, რომ ყველა მცხოვრები სიამოვნებით გადაიხდის მას, ოღონდ შუაგულ ქალაქში სასაკლაოს არსებობასა და ამის გამო მყრალი ჰაერის სუნთქვას გადაურჩეს, მაგრამ სინამდვილეში საქმე ეხება არა ერთი გირვანქა ხორცის 1/2 კაპიკით გაძვირებას, არამედ უწინდელთან შედარებით ორჯერ და სამჯერ გაზრდილ ფასს, როგორც ეს დღესასწაულებზე ხდებოდა... მაგრამ, რადგანაც ფასების ასეთი მატება განპირობებულია ქალაქგარეთ გატანილი სასაკლაოებიდან ხორცის შემოზიდვით, მისი თავიდან აცილება შეიძლება, თუ სასაკლაოს გადავიტანთ, ვთქვათ, ერევნის მოედანზე, კომერციული ბანკის გვერდით. როგორც ჩანს, ჩვენმა ორატორებმა კარგად ვერ გაიანგარიშეს რამდენად შეიძლებოდა გადიდებულიყო ხორცის ფასი სასაკლაოების გადატანით და რამდენად გადიდდა იგი სხვა მიზეზთა გამო, რაზედაც საბჭოში ხმასაც კი არ იღებენ ჩვენი განათლებული ორატორები. ალბათ, ხორცის გაძვირების ეს ორი

მიზეზი არავის შეუდარებია ერთმანეთისათვის, არც ბალანსი გამოუყვანია ვინმეს, თორემ ასეთი რამ რომ გაკეთებულიყო, ორატორებისათვის უხერხულიც კი იქნებოდა წინააღმდეგობა არითმეტიკის საწყისი საფუძვლებისადმი და აღარც საბჭო დაკარგავდა იმის განსჯისათვის ამდენ დროს, რისი განსჯაც არ ღირდა...

ბოლოს და ბოლოს, ალბათ, სულ სხვაგვარად იქნებოდა საქმე, ქალაქის ინტერესთა დამცველებს თავიანთი ორატორული ძალები რომ მიემართათ ქალაქის თავის განცხადების განხილვისაკენ, რომელიც ხორცის ვაჭრობაში არსებულ მონოპოლიას შეეხებოდა. ჩვენი გაზეთის არსებობის პირველ წელს დიდი ძალ-ღონე დავხარჯეთ, რათა დაგვემტკიცებინა ეს ჭეშმარიტება, რომელიც თბილისის ბაზრებში საკვები პროდუქტებით ვაჭრობის უშუალო შესწავლით შევიძინეთ. მაგრამ ამან გამოიწვია განსვენებულ „ტიფლისსკი ვესტნიკში"[10] შეყრილი ხროვის ყიჟინა და ბ-ნი ღამბაროვის ფინანსურ-ეკონომიკურ სამეცნიერო სტატიათა რიგი, რომლებშიაც, სამწუხაროდ (როგორც ეს თავის დროს იქნა დამტკიცებული), მისი ახლანდელი ახირების მსგავსად სასაკლაოს ქარვასლის მახლობლად გადატანის თაობაზე სრულიად არ იგრძნობოდა არც არითმეტიკის და არც ეკონომიური მეცნიერების ელემენტარული ცოდნა. ამიტომ ჩვენთვის სასიხარულოა ბ-ნი მატინოვის მიერ გამოთქმული ჭეშმარიტება, რადგან, თუ მონოპოლიის არსებობას აღიარებ, ყველაფერი გაირკვევა და თბილისის ბაზრებისათვის დამახასიათებელ სიძვირესთან ბრძოლაც შესაძლებელი ხდება თვითმმართველობისათვის, თუ ჩვენი წარმომადგენლები ისარგებლებენ არიადნას ძაფით, რომელსაც თვით ქალაქის თავი აძლევთ ხელში და არ გაერთობიან უნაყოფო კინკლაობით ან თბილისის ადგილობრივ თავისებურებათა გამო საერთო კანონთა შეცვლაზე მსჯელობით. უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენი საბჭო დაემგვანება კრილოვის არაკის („კატა და მზარეული") მზარეულს, რომელიც, როგორც ამბობენ, ასეთი ზნეთსწავლით მთავრდება:

„А я бы повару иному
Велел на стенке зарубить,
Чтоб слов не тратить по пустому,
Где нужно власть употребить"...

49. „დროება“ თავადაზნაურობის შესახებ

თბილისი, 1880 წ. 7 მაისი

დღეს ჩვენში ყოველი მხრიდან ისმის ჩივილი თავადაზნაურობის გულგრილი დამოკიდებულების გამო კალიის გასანადგურებლად მიმართული სამუშაოებისადმი. სწორედ ამის გამო ქართულმა გაზეთმა „დროებამ“" ხალხისადმი თავადაზნაურთა დამოკიდებულების ძველ პატრიარქალურ ნანგრევებზე ფრიად ლირიკული გოდება წამოიწყო. ზედმეტად არ მიგვაჩნია გავაცნოთ „ობზორის“' მკითხველებს ეს მოთქმა, რომელშიც უფრო მეტად ყალბი ლირიზმია, ვიდრე არსებული ვითარების საღი და პუბლიცისტური შეფასება.

აი, როგორი საღებავებით ხატავს გაზეთი „დროება“ ჩვენი თავადაზნაურობის სამწუხარო სურათს თავის მოწინავე სტატიაში (№94).

„ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბატონი გუბერნატორი მიბრძანებულა გუბერნიის მარშლის დროებითს მოადგილესთან და შეუჩივლია, რომ ლამის კალიამ ქვეყანა პირ-ქვე დაამხოსო და ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა არავითარს შემწეობას არ გვიჩენსო. საჭირო ფიჩხის ტყიდან გამოტანასაც კი უშლიან თურმე. ამასვე იძახიან ერთხმად აქაური გაზეთები.

საკვირველია, ღმერთმა იცის, ჩვენის თავად-აზნაურობის საქმე! რამ დაჰსცა ესე ეს „კეთილ-შობილი“ წოდება! რამ ამოხადა სული მერე ისე, რომ საქვეყნო ჭირიც, საერთო უბედურებაც აინუნშიაც აღარ მოსდის? რას მივაწეროთ ასეთი გულ-გრილობა, ანუ უკეთ ვჰსთქვათ, უგულობა ჩვენის თავად-აზნაურობისა, რომელთ წინაპარათა არაფრად მიაჩნდათ ქვეყნისათვის თავის დადება, თავის გაწირვა! ნუ თუ მართლა ჩვენი თავად-აზნაურობა ეხლა ქვეყნის ხორც-მეტიღაა და სხვა არაფერი!... ქვეყანა იღუპება, კალიამ ლამის ქვეყანას სამარე გაუთხაროს და ჩვენი თავად-აზნაურობა კი ისე გაძუნწებულა სულით და გულით, რომ კალიის სახოცველად ფიჩხსაც აღარ იმეტებს, თურმე ფიჩხსაც! ვაი დროვ და დროსაგან სულამოხდილო ადამიანო! ცოდვა არ არის, რომ ამ უბედურების მოლოდინით გულ-აღტყინებული თავადი, ან აზნაური ეხლა ხალხში არა დგას, ხალხთან ერთად არ არის ჩაბმული და თავისის მაგალითით არ უკეთებს დაძმარებულს

გულს ამდენის ვაი-ვაგლახით დევნულს და ჩაგრულს გლეხობასა! ცოდვა არ არის, რომ ეს დაწინაურებული წოდება ქვეყნის ჭირის დროს ასე უსირცხვილოდ უკანა დგება და როცა ქვეყანა ყველასაგან საერთო ღვაწლსა და ჯაფას ითხოვს, იგი უკან იხევს და იმალება! რამ წაგვახდინა ასე? რამ ამოგვიშრო გული? რამ დაგვამცირა და მიწასთან გაგვასწორა ასე სამარცხვინოდ? ახლა რას ვფიქრობთ, რომ აგრე გულხელდაკრეფილები ვართ და არა ვშველით ხალხსა? ნუ თუ არ იცით, რომ კალიის თვალში თავად-აზნაური და გლეხი განურჩეველნი არიან, ერთსაც შეგჭამთ და მეორესაც, თავად-აზნაურობით ვერ დაიხსნით თავსა იმ პაწანა შემმუსვრელისაგან, რომელსაც კალიას ეძახიან".

შემდეგ „დროება",—ცრემლის ღვრისაგან რომ იღლება,—წარმოგვიდგენს თავადაზნაურობის, მისი გაგებით, იდეალურ ტიპს. სურათი „პატრიარქალური გემოვნებითაა" დახატული: ხალხი ანადგურებს კალიას, ცეცხლს აძლევს მას, თავადაზნაურობა კი „ხალხის სათავეში" დგას, აქეზებს მას, არწმუნებს, არ დაზოგოს ძალა და თან ხელმძღვანელობს, ცხადია, იგულისხმება, რომ ეს ნაქეზება და დარწმუნება მათრახით კი არ ხდება, არამედ მჭევრმეტყველური შთაგონებით... ყოველ შემთხვევაში, გაზეთი „დროების" მიერ მონაგონი იდეალი შორს არ წასულა იმ ბატონყმური სურათებისაგან, რომლებიც მოდაში იყო ჩვენს ლიტერატურაში კარამზინის სკოლის ბატონობის დროს...

მაგრამ, მიუხედავად ამ იდეალისა და გოდების გულუბრყვილობისა, „დროების" სტატიაში ჩვენ რამდენიმე სერიოზული, ყურადღების ღირსი მომენტიც შევნიშნეთ. მართლაც, სად იმალება ჩვენი თავადაზნაურობის დაქვეითების მიზეზები? „დროება" ამ საკითხს არ შეეხო და არც ცდილა მის გადაწყვეტას, მაგრამ მის მიერ ამ ფაქტის შემჩნევა და მკითხველისათვის გამხელაც კი დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს ამ გაზეთს.

ყველა წოდების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუდამ და ყველგან შეესაბამება იმ აქტიურ ამოცანას, რომლის გადაჭრაც ამ წოდების მოწოდებაა. ამიტომ სრულიად არაა გასაკვირი, რომ საქართველოს წარსულ ცხოვრებაში თავადაზნაურობა თვალსაჩინო და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, იგი იცავდა ხალხს გარეშე მტრებისაგან და იფარავდა შინაური არეულობისაგან. თა-

ვადაზნაურობა, რომელიც ომის დღეებში „სამხედრო წოდება“ იყო, ხოლო მშვიდობიანობის დროს—„პოლიციური“, უეჭველ და რეალურ სამსახურს უწევდა ხალხს, რის გამოც სარგებლობდა მისი ნდობით, სიყვარულითა და აგრეთვე მისი შემოსავლის, შრომისა და ქონების ნაწილით. ეს იყო საქმე საქმის წილ... მაგრამ ის დრო წავიდა, წავიდა დაუბრუნებლად... ახლა რას ვხედავთ? თავადაზნაურობა არავითარ სამსახურს აღარ უწევს ხალხს, სრულიად აღარავითარს. თავადაზნაურობას აღარ გააჩნია იმის საშუალება, რომ დაეხმაროს გლეხს იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს უკანასკნელი წელში წყდება იმ ადამიანთა უსაზღვროდ გაზრდილი მადის გამო, რომელნიც გლეხის ქონებას ჭამენ... გლეხთა თვითმმართველობის, სოფლის სამსჯავროსა და ადმინისტრაციის საქმეთა სამართლიანად წარმოების უფლება თავადზნაურობას ჩამორთმეული აქვს. იგი ვერ ჩაერევა ამ საქმეებში... თავადაზნაურობა ისევე უუფლებოა ერობის სიძნელეთა გარიგებაში, როგორც თვით გლეხობა... აქედან გამომდინარე, თავადაზნაურობას, როგორც ფენას, უკვე აღარ ძალუძს რაიმე როლი შეასრულოს ხალხის ცხოვრებაში. მხოლოდ მისი ცალკეული წევრები, თავიანთი პირადი ხასიათისა და თვისებების მეშვეობით თუ გააკეთებენ რაიმეს ხალხისათვის, ისიც იშვიათად და გამონაკლისის შემთხვევაში. მაგრამ ხალხისათვის ეს იგივეა, რაც ზღვაში წვეთი.

შემდეგ, თუ საქმეს წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით შევხედავთ, დავინახავთ, რომ იგივე თავადაზნაურობა, რომლის აქტიური საზოგადოებრივი როლიც გაუქმებულია, თავისი წინაპრების დამსახურებისათვის ხალხისაგან იღებს ნაშრომის მეოთხედს და იღებს ბრძოლის, დავისა და კინკლაობის საშუალებით.

ეკონომიკურ ინტერესთა წინააღმდეგობას კი მუდამ მივყავართ ფენების ერთმანეთის მიმართ გაგულგრილებამდე. რასაკვირველია, გულუბრყვილო და არაშორსმჭვრეტელ იდეალისტებს, რომლებიც გატაცებული არიან საყოველთაო მშვიდობიანობისა და ჰარმონიის ქადაგებით ერთი და იმავე ქვეყნის შვილთა შორის, შეუძლიათ თავიც მოიტყუონ და სხვაც მოატყუონ ამ მტრული ურთიერთობის უმნიშვნელო ფაქტად შერაცხვით. მაგრამ, ვაი რომ ცხოვრება გონებაშეზღუდულ ადამიანთა ოცნებების მიხედვით არ არის აწყობილი...

ცხადია, მოთქმა „ზნეობის დაცემასა“ და წუწუნი „დროთა ცვალებადობაზე“ შესანიშნავი და კეთილშობილური საქციელია, მაგრამ მოთქმითა და სიკეთისა ან თავგანწირვისაკენ ცრუ ლირიკული მოწოდებით, როგორც ამას „დროება“ სჩადის, ვითარება არ გამოსწორდება. ენერგიულად იმოქმედეთ თავადაზნაურობის გლეხობისადმი დამოკიდებულებაში უსამართლობის მოსპობისათვის, ეცადეთ არ გაუწიოთ ორივე წოდებას აქტიური, მწარმოებლური როლი, შეარიგეთ მათი ინტერესები და მხოლოდ მაშინ შეძლებთ იმ სამწუხარო ფაქტებისა და მოვლენების მოსპობას, რომლებიც ახლა თქვენს ესოდენ გულუბრყვილო და უნაყოფო ტირილს იწვევენ...

50. საზღვაისო საკითხები

თბილისი, 1880 წ. 14 მაისი

თაიროვის გონებამახვილობის საპნის ბუშტი, რომელიც ასე მონდომებით მოამზადა ამ პატივცემულმა რაინდმა, ბოლოს და ბოლოს გასკდა მრავალრიცხოვანი საზოგადოების თვალწინ ისე, რომ ვერავინ მოასწრო მისი ცისარტყელას ფერთა ათინათით დატკბობა. უფასო წარმოდგენის მოლოდინში მართლაც იმდენი ხალხი მოგროვდა, რამდენსაც იშვიათად თუ შეხვდებით ჩვენი რუსული დრამატული დასის მსახიობთა საბენეფისო სპექტაკლებზე. თვით ზოგმა უფროსმაც კი, რომელთაც არასოდეს ჰქონიათ მწვანე მინდორზე გამართული ჩვეულებრივი საკლუბო ბრძოლებისადმი პატივისცემა და საზოგადოებრივი ინტერესების ასპარეზზე ამაო ორთაბრძოლებს ამჯობინებენ, უღალატეს თავიანთ ჩვევებს და მიაშურეს მათზე მინდობილ საზოგადოებრივ პოსტს. ერთი სიტყვით, ყველაფერმა საზეიმო ელფერი მიიღო, სწორედ ისე, როგორც ეს დიდმარხვის დამთავრების დროსაა ხოლმე, რომელსაც განუყრელად თან სდევს მთვლემარე დიაკვნის მომაბეზრებელი პუტუნი, როცა საცაა უნდა დაიწყოს მხიარული საალდგომო ლიტანია შინნაზარდ მომღერალთა კეკლუცი მისამღერით... თვით მდივანმაც კი, რომელიც საბჭოსა და მთავრობის დადგენილებების კითხვის დროს ჩვეულებრივ სიტყვებს ყლაპავს, უცებ შეიცვალა ჩვევა და გასაგებად, ხმამაღლა, ყოველი სიტყვის გამოყოფით დაიწყო კითხვა. ერთადერთი ა. ლ. თაიროვი, ამ ზეიმის მიზეზი, „მშაკის“[3] პარლამენტარი, იჯდა გაბოროტებული, დამუნჯებული და უმოძრაო, როგორც ძველ პერუელთა ჭექა-ქუხილის ღვთაება თავისი ლითონის თავით...

რამ მოიყვანა ეს ჭრელი საზოგადოება საბჭოს სხდომათა დარბაზში? ეს ის შეკითხვაა, რომელსაც შეიძლება უპასუხო არა მარტო თვით დამსწრე საზოგადოების სასარგებლოდ, არამედ იმ ხმოსნების სასარგებლოდაც, რომელებიც ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, არ დადიან სხდომებზე.

როგორც უკვე ცნობილია „ობზორის“[4] მკითხველთათვის, წინა სხდომაზე ბ-ნმა თაიროვმა განაცხადა, რომ გაზეთ „მშაკში“[3] დაბეჭდილმა ინსინუაციამ შესაძლებელია ნდობა დააკარგვინოს მოქალაქეებს თბილისის თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს შემადგენლობისადმი. დაპირდნენ, აგრეთვე, სხდომის

მონაწილეებს, რომ გააცნობდნენ როგორც სათანადო სტატიას, ასევე—მის საბაბსაც. „მშაკის“ აზრის ფორმულირება სრულიადაც არაა ძნელი: იგი აგებულია უაზრო დებულებაზე, თითქოს ახლანდელი სიძვირის მიზეზი შეიძლება აიხსნას იმით, რომ საბაზრო ფასების აწევ-დაწევასთან დაკავშირებულ საქმესთან ახლოს მდგომი ზოგი თანამშრომელი თვითმმართველობისა ბოროტად იყენებს საზოგადოების ნიღაბს, თავს ნებას აძლევს არასწორად აწარმოოს ფასების წინასწარდაგეგმილი მომატების საქმე და თვით გარიგებაც კი ხორცით მოვაჭრეებთან, რომლებზეც პირდაპირ დამოკიდებულია ქალაქის თავის მიერ გახსნილი ტყავის ქარხნის წარმატებული მუშაობა. „მშაკისაგან“ ნასროლმა ბრალდებამ თავის მიზანს მიაღწია. ხმოსანთა უმეტესობამ გადაწვიტა საკითხის არსებითი განხილვა.

მაგრამ სურვილი ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის აღსრულებას. ამიტომ ჩვენი საბჭოს შემადგენლობის საქმისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების საკითხი, ერთი შეხედვით რა იოლიც უნდა იყოს იგი გადასაწყვეტად, კვლავ პრობლემად დარჩა საზოგადოებისათვის, და ეს იმიტომ, რომ „ინსინუაციის“ უარყოფა შეუძლებელია და სწორედ ესაა მისი საძაგლობა. თავმჯდომარე და საბჭოს წევრები დარბაზიდან გავიდნენ, რადგან უხერხულად მიიჩნიეს დასწრებოდნენ თავიანთი არაკეთილსინდისიერების საქმის გარჩევას, ამიტომ თავმჯდომარის სავარძელი ა.ს. ყორღანოვმა დაიკავა, რომელიც სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა ხმოსანთა კამათის ხელმძღვანელობისათვის.

ამ შემთხვევაში თავმჯდომარეს ევალებოდა ბ-ნი თაიროვის სურვილების რეზიუმირება და არა მისი განცხადებების დასკვნითი ნაწილის წაკითხვა. თავმჯდომარეს უნდა დაეპყრო კრების ყურადღება, უნდა წარემართა მისი კამათი და არ უნდა მიმხრობოდა საბჭოს იმ ორატორებს, რომელთა სიტყვების ფორმულირებაც ასეთი მარტივი ფორმით შეიძლება: „ყველაფერი ეს ისეთი სისულელეა, რომელსაც ყურადღება არ უნდა მიექცეს“...

როგორ მოიქცა ბ-ნი ყორღანოვი? სამწუხაროდ, ის მხოლოდ ბეჯითად იჯდა თავმჯდომარის მაგიდასთან, საკმაოდ ყურადღებით უსმინდა ყოველ მოკამათეს და დროდადრო წითლდებოდა. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ქალაქის თვითმმართველობის საქმეში ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის დოქტორის მიერ დაყენებული ბურუსი კვლავ ბურუსადვე დარჩა, ხოლო საბჭოს

ყველა რწმუნება, რომელიც ემყარება მის სრულ ნდობას მმართველობის ახლანდელი შემადგენლობისადმი, ბევრს შეუძლია მიაკუთვნოს ისეთ ფიცთა წყებას, რომელთაც, სასურველი იქნებოდა ყველასათვის უფრო გასაგები საფუძველი ჰქონოდათ.

ხოლო, რასაც სრულიად ვერ დაეთანხმები, ეს არის ფორმულის პირველი ნაწილი, რომელიც გამოხატავს საბჭოს დადგენილებას ბ-ნი თაიროვისაგან მისთვის განსასჯელად გადაცემული განცხადებისადმი თანაგრძნობას. მართლაც, შეუძლებელია არ შეიბრალო ის ხმოსნები, რომელთაც ესმით ბრალდების მთელი უსაფუძვლობა მათ მიერ არჩეული აღმასრულებელი ორგანოს პატიოსნების მიმართ და ღირსეულად ვერ დაიცვეს ეს ღირსება ისეთ მსახიობთა ლანძღვა-გინებისაგან, როგორებიც არიან ჰაიდელბერგელი „ფილოსოფისი" და... ამასთანავე, დაცვა შეიძლება თავისთავადაც გამოსულიყო, კრებას რომ სერიოზულად ეზრუნა თავმჯდომარის სავარძელის დამკავებლის შერჩევაზე და გათავისუფლებული ადგილი პირდაპირ არ მიეჩეჩებინა პირველივე შემხვედრი ბობოლა ჯირკისათვის...

რას აკეთებდა მთელი ამ ხნის განმავლობაში ბ-ნი თაიროვი... იგი იჯდა და ჯიუტად სდუმდა; თავისი გაშეშებული მზერა იმ ადგილისაკენ მიემართა, სადაც მისი ორეული—ბ-ნი ყორღანოვი დაესვათ. მაგრამ მეტი რაღა გამოსავალი ჰქონდა, მან ხომ ასეთი დომხალი შექმნა... რა გამოსავალი ჰქონდა იმ ადამიანს, რომელსაც საბჭოს არც ერთ სხდომაზე არ აღუძრავს ისეთი საკითხი, რომელიც მისი ინტერესებიდან არ მომდინარეობდეს, მას, რომელიც საზოგადოებრივ თვითმმართველობას ისე უყურებს, როგორც საკუთარი მიზნების უშუალო თუ არა, პირდაპირ დამაკმაყოფილებელს მაინც? მთელი ამ ხნის მანძილზე, ვიდრე სხდომა ფასების მომატების საკითხს განიხილავდა, ბ-ნი თაიროვს კრინტიც არ დაუძრავს, ოდნავადაც არ შერხეულა და უცებ... საინტენდანტო უწყების ეს მოჯარადრე აშანშალებს განცხადებას, ვითომდა მოქალაქეობრივი გულისწყრომით აღსავსეს იმ პირთა მიმართ, რომლებიც თითქოს საინტენდანტო იჯარას იღებენ! აშკარაა, თუ როგორ უნდა მოქცეოდა სხდომა მსგავს განცხადებას. მხოლოდ ბ-ნი თაიროვის გულმა და, ალბათ, გულის პერანგმა იციან, თუ რა არის მიზეზი ასეთი მოქალაქეობრივი აღტკინებისა. ჩვენ კი ჯერჯერობით არ გვსურს შევეხოთ მისი კოლოსალური ფიგურის ამ მყუდრო ადგილებს...

51. გიუსტავ ფლობერი

ახალი სტილით 8 მაისს რუანას მახლობლად, საფრანგეთში, გარდაიცვალა ჩვენი დროის ერთ-ერთი უშესანიშნავესი მწერალი გიუსტავ ფლობერი, აღიარებული და უცილობელი მეთაური ფრანგული ბელეტრისტიკის რეალისტური სკოლისა. განსვენებული რომანისტი არ იყო რთული ბიოგრაფიის კაცი. ყოველგვარი პერიპეტიებს მოკლებული ცხოვრება საზოგადოებისაგან მოწყვეტილმა მწერალმა განმარტოებულ შრომაში გაატარა. მან მამისაგან—სახელგანთქმული ქირურგისაგან—საფუძვლიანი განათლება და საკმაოდ დიდი ქონება მიიღო, რამაც საშუალება მისცა განმარტოებულიყო თავის მამულში, რუანას მახლობლად და წლების მანძილზე უშფოთველად ემუშავა ყოველ თავის ნაწარმოებზე. უაღრესად ორიგინალური, გამჭრიახი და განვითარებული გონების პატრონი ავადმყოფი პუნქტუალობით ესწრაფვოდა გაეანალიზებინა და წყაროებისათვის შეედარებინა ყოველი ფრაზა, რომელსაც მისი კალამი შთაბერავდა აზრს. იგი მუშაობდა ისე, როგორც ჩვენს დროში მოკვდავთაგან თითო-ოროლა ბედნიერი: სოფლურ სიმყუდროვეში, უცილობელ სიმარტოვეში გულდასმით გამოჰყავდა თითოეული ფრაზა, შემდეგ საათობით ბოლთას სცემდა კაბინეტში, უკვირდებოდა, ყურს უგდებდა, ასწორებდა, ცვლიდა, ადგილს უნაცვლებდა მანამ, სანამ ფრაზის გარეგნული ელფერი და მისი მუსიკალობა აზრის ტოლფასი არ გახდებოდა. და მხოლოდ ფრაზის საბოლოო გამშვენიერების შემდეგ, მეორე დღეს აგრძელებდა მუშაობას. ასეთი მძიმე შრომით მიაღწია მან სტილის სიმკვეთრეს, გამონათქვამის სისხარტესა და სიძლიერეს, რაც თავგამოდებულ სტილისტთა გაოცებასაც კი იწვევდა, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ სტილმა როდი განსაზღვრა ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც მოიპოვა ფლობერმა ფრანგულ ლიტერატურაში ოცდაათი წლის მანძილზე შექმნილი მხოლოდ და მხოლოდ ოთხი ნაწარმოებით.

ამ ნაწარმოებთაგან უმნიშვნელოვანესი ადგილი, უდავოა, ფლობერის პირველ რომანს „მადამ ბოვარს“ უჭირავს, რომელმაც მაშინვე ჩააყენა ახალგაზრდა ავტორი ფრანგ ბელეტრისტთა მეწინავე რიგებში, თხრობის უბრალოებამ, რომელიც განუმეორებელ სრულყოფამდეა აყვანილი, გრძნობათა სითბომ და შთა-

ბეჭდილებათა სიძლიერემ, რასაც თვით ფაქტები განაპირობებდნენ, თითქოსდა ავტორის სურვილისაგან დამოუკიდებლად,—და ბოლოს, ფლობერის მიერ აღმოჩენილმა სრულიად ახალმა სამყარომ, ამ რომანს ფრანგულ ლიტერატურაში ისეთივე ადგილი დაუმკვიდრა, როგორიც რუსეთში გოგოლის „მკვდარ სულებს" ერგო.

ამგვარი ცოცხალი და ზოგადი ტიპები, ცხოვრებიდან ამოკრეფილი ამგვარი სიტუაციები, ყოველდღიური, მაგრამ სხვების მიერ დაუნახავი სცენები, ფლობერამდე არავის დაუხატავს.

ასევე, ფლობერამდე არავინ შეხებია ადამიანური სულის იმ შეგრძნებებს, რომლებიც სანიმუშო-ოსტატობით იქნა გაანალიზებული და აღწერილი „მადამ ბოვარში". ჩვენ აღარაფერს ვამბობთ ამ ანალიზის ფილოსოფიურ ან სოციალურ მნიშვნელობაზე, რადგან ამ მხრივ ფლობერს ჰყავდა წინამორბედი, რომლებიც ტოლს არ უდებდნენ მას: აბატი პრევო („მანონ ლესკოში") და ჟორჟ სანდი (მთელ რიგ რომანებსა და მოთხრობებში).

„მადამ ბოვარის" წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, სხვათა შორის, თვით ავტორის მოლოდინსაც. მაგრამ ფლობერს თავბრუ არ დახვევია, იგი შეუდგა მეორე რომანს, კიდევ უფრო მეტად კოლოსალურსა და მის მიერ უფრო მეტი კეთილსინდისიერებით დაწერილს. ჩვენ არ მივიჩნევთ საჭიროდ „ობზორის"[6] მკითხველებისთვის ფლობერის პირველი რომანის დაწვრილებით გაცნობას. რაც შეეხება მეორეს, მასზე ვრცლად შევჩერდებით, რადგან ჩვენი საზოგადოებისათვის იგი საერთოდ უცნობია და, ამავე დროს, უდიდესი მნიშვნელობა შეუძლია იქონიოს ქართული და სომხური ლიტერატურის განვითარების საქმეში.

„მადამ ბოვარში" ნარმოდგენილი უბრალო, ყოველდღიური, თანამედროვე ცხოვრების შემდეგ ფლობერმა გრანდიოზული ამოცანა დაისახა მიზნად—სცადა მხატვრულად აღედგინა, შეძლებისდაგვარად სავსე და, ამასთან, ზუსტი სურათებით, გარდასული იდუმალი სამყარო, რომელსაც აწმყოსთან არაფერი ჰქონდა საერთო. ამ მიზნით თავის მეორე რომან „სალამბოში" მან ნარმოგვიდგინა ძველი კართაგენის ცხოვრების პანორამა. მთელი ათი ნლის მანძილზე იქექებოდა ფლობერი ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში, რათა შეესწავლა ყველაფერი, რაც კი შემორჩა კართაგენის ცხოვრებიდან და რაც კი ოდესმე დაეწერათ მასზე. მან მოი-

არა მთელი ის მხარე, რომელიც ძველად ეჭირა ამ სამეფოს, დაათვალიერა და დაწვრილებით შეისწავლა ნანგრევები, ადგილმდებარეობა და ხედები, ხოლო, როცა ათი წლის დაუღალავი შრომით შეძენილ ცოდნას წაახმარა წარმოსახვა და ჰიპოთეზა, ოღონდ მხოლოდ იმ დოზით, როგორც ეს დასაშვებია ზუსტ მეცნიერებაში, ფლობერმა წარმოგვიდგინა საოცრად ცხოვრებისეული და უტყუარი სურათი კართაგენის ცხოვრებიდან, სარწმუნო, როგორც არქეოლოგიური რელიქვია და წარმტაცი, როგორც ჯადოსნური პანორამა. ადგილმდებარეობა, გარემო, მცხოვრებთა ყოფა, ადათ-ჩვევები, მსოფლმხედველობა, ცრურწმენანი, ვნებანი, შეგრძნებანი, ერთი სიტყვით, მთელი ცხოვრება არნახული სიძლიერითაა გადმოცემული. „სალამბოს“ წაკითხვის შემდეგ მკითხველს ისეთი წარმოდგენა ექმნება, თითქოს მთელი წლების მანძილზე კართაგენელთა გვერდით ეცხოვროს...

თუმცა ამგვარი ცდის მნიშვნელობა საფრანგეთისაგან მაინც მეორეხარისხოვანია—იქ იგი ადამიანთა მეცნიერულ-არქეოლოგიურ ინტერესს აკმაყოფილებს. ჩვენთან კი, კავკასიაში, ფლობერის მეთოდთა კეთილსინდისიერი შესწავლა და მისი გონივრულად გამოყენება ჩვენი წინაპრების ცხოვრების გამოსახატავად წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას ადგილობრივი ლიტერატურის წარმატებითი განვითარებისა და თვით თანამედროვე ცხოვრების მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევისათვის. ცნობილია, რომ „სალამბომ“ შექმნა ძველი დროის ყოფა-ცხოვრების აღმწერთა მთელი სკოლა, სკოლა, რომლის წარმომადგენელთაგან რუსი საზოგადოებისათვის ყველაზე უკეთ ცნობილია გეორგ ებერსი, „ფარაონის ქალიშვილის“ ავტორი, სასურველია, ჩვენი ავტორები, რომლებიც ხელს ჰკიდებენ ვითომდა ისტორიულ მოთხრობებსა და დრამებს, საქმეს „სალამბოს“ საფუძვლიანი შესწავლისა და ფლობერის მეთოდის გაცნობის შემდეგ შეუდგნენ.

რაც შეეხება ამ ავტორის დანარჩენ ნაწარმოებებს, „სანტიმენტალურ აღზრდასა“ და „წმ. ანტუანის ცდუნებას“, მათ უდიდესი ლიტერატურული მნიშვნელობა აქვთ, ოღონდ უმალ წვრილმანებში, ვიდრე მთლიანობაში. მათ ვერ დაჩრდილეს ფლობერის პირველი ორი ნაშრომის დიდება.

გიუსტავ ფლობერის პირადი წარმატებისათვის, მისი პიროვნების პოპულარობის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ მას—ნოვატორს ბელეტრისტიკაში—ერთი უბედურება სჭირდა—პოლიტიკური კონსერვატიზმი. მართალია, არასოდეს თავი არ გამოუდვია ხელისუფლების ამა თუ იმ ფორმის დასაცავად, მაგრამ იგი ახლო მეგობარი იყო ნაპოლეონ III-ისა და მისი მეუღლის, ხშირი სტუმარი გახლდათ ტიუილერისა, და ამის გამო ბონაპარტისტად თვლიდნენ. ახალგაზრდობამ და მკითხველი საზოგადოების უმრავლესობამ, რომლებიც აღტაცებული იყვნენ მისი ნაწერებით, თაყვანს სცემდნენ მის იდეებს, არ აპატიეს ფლობერს ნაპოლეონ მესამესთან მეგობრობა. ამით აიხსნება საზოგადოების უმეტესობის მისდამი გულცივობა... მწერლის დაკრძალვას 300-მდე გამცილებელი ძლივს დაესწრო ისეთ რესპუბლიკურ და ინტელიგენტურ ქალაქში, როგორიცაა რუანა, სამაგიეროდ ბონაპარტისტთაგან თითქმის ყველამ მიაგნო უკანასკნელი პატივი.

როგორც ადამიანი, ფლობერი გულწრფელობის, გულთბილობის, ანტიკური პირდაპირობისა და მეგობრებისადმი თავგანწირვის განსახიერება გახლდათ. მისი ხასიათის დასახატავად საკმარისია ერთი მაგალითი: ფლობერის საკუთარი წლიური შემოსავალი 30.000 მანეთს შეადგენდა, რამდენიმე წლის წინათ, უკვე ღრმად მოხუცებულმა შეიტყო, რომ ერთ-ერთ მის ნათესავს საქმეები აეწეწა და სიღატაკე ელოდა.

—ეჰ,—თქვა ფლობერმა,—ჩემი ქონება ჩემი სიკვდილის შემდეგ ხომ მაინც ნათესავებს უნდა დარჩეთ. რამდენიმე წლით ადრე მოხდება ეს თუ გვიან, განა, სულერთი არ არის? ბარემ ახლავე მივსცემ!

და მან მთელი ქონება ნათესავს გადაულოცა. თვითონ კი ყოველგვარი საარსებო სახსრების გარეშე დარჩა.

ამგვარ მწერალსა და ადამიანს ი.ს. ტურგენევი შუამდგომლობდა გამბეტასთან, რათა ფლობერისათვის ბიბლიოთეკარის ადგილი გამოეძებნათ, იქნებ ამით მაინც დაეღწია თავი სიბერის წლებში სიღატაკისათვის.

გამბეტმა, როგორც ცნობილია, ეს თხოვნა არ შეუსრულა ბ-ნ ტურგენევს იმის გამო, რომ ფლობერი ბონაპარატისტობდა.

ჭკვიანურად მოიქცეოდა რესპუბლიკელთა ბელადი, რომ ესარგებლა ამ ბედნიერი შემთხვევით და რესპუბლიკელთა მხარეზე გადაებირებინა ერთ-ერთი უკეთილშობილესი, ორიგინალური და უნიჭიერესი პიროვნება, როგორიც კი ჰყოლია საფრანგეთს XIX საუკუნეში. თქმა არ უნდა, ყოველი პარტია უნდა ცდილობდეს, თავის რიგებში მიიზიდოს ისეთი ადამიანები, რომლებითაც ამაყობს და კვლავაც იამაყებს მთელი ერი...

52. ისევ კავკასიის უნივერსიტეტის თაობაზე

თბილისი, 1880 წ. 16 მაისი.

ქუთაისის (მიხაილოვსკის) სამინათმოქმედო ბანკის დამაარსებელს რეალური საქმით პირველად როდი გამოუხატავთ გულთბილი დამოკიდებულება ყოველგვარი პატიოსანი მოწოდებისადმი; მათ სიამოვნებითა და გულუხვად არაერთხელ გაუღიათ სოლიდური თანხა თავიანთი საკრედიტო დაწესებულებების მოგებიდან ყველა „ქვეყნისათვის სასარგებლო ღონისძიებების" დასაფინანსებლად. ისინი მრავალჯერ ამოუდგნენ მხარში საქველმოქმედო დაწესებულებებს ფულადი დახმარებით; ასევე დიდად შეუწყვეს ხელი ჩვენი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებას მოსწავლეთა სისტემატური დახმარებით. მაგრამ არც მათ და არც ქუთაისის თავადაზნაურობას არასოდეს არ გაუკეთებიათ ისეთი მნიშვნელოვანი საქმე, როგორც ახლა—მათ მიერ შეწირულმა ორმოცი ათასმა მანეთმა კავკასიის უნივერსიტეტის გახსნისათვის სულ სხვა სიმაღლეზე დააყენა ეს ადამიანები. ქუთაისის თავადაზნაურობამ არა მარტო მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია ჩვენში უნივერსიტეტის დაარსების საქმეს, არამედ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სერიოზულად დაეხმარა ჩვენს საზოგადოებრივ განვითარებას, აღმოაჩინა და დაამტკიცა, რომ ცივილიზატორული მნიშვნელობის საკითხებში ყველა, თვით ჩვენი მოსახლეობის ჩამორჩენილი ელემენტებიც კი, ერთსულოვნად მზად არიან აიტანონ ყოველგვარი სიმძიმე და მსხვერპლი. მან დაამტკიცა, რომ საკმარისია ჩვენს ხალხს მივცეთ ინიციატივა ნამდვილი და თვალსაჩინო პროგრესისაკენ და ამ საქმის ინიციატორი არა თუ უაზრო წინააღმდეგობას არ წააწყდება „ბრბოსაგან", არამედ ყველგან იგრძნობს მხარდაჭერასა და დახმარებას.

შეუძლებელია ამ უაღრესად სასიხარულო ფაქტთან ერთად არ აღვნიშნოთ არანაკლებ მნიშვნელოვანი აქტი, რითაც ახლახან გაგვახარა ქართველმა არისტოკრატიამ, სახელდობრ, გორის მაზრის თავადაზნაურობამ. მან წინაპართა ტრადიციას უღალატა და სულგრძელად განაცხადა უარი თავადაზნაურობის საუკუნეობრივ პრივილეგიაზე. თვითონ, თავისი ნებით, მთავრობისაგან ყოველგვარი შეპატიჟების გარეშე, იკისრა შეწირულების გაღებას გა-

ნათლების სასარგებლოდ, სკოლების გასახსნელად და გასაძღოლად. ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ თავადაზნაურობის პანეგირისტი, არ ვართ ჩვეული არც მისი უარყოფითი მხარეების დამალვას, ნაკლებად გვითქვამს მათთვის ქათინაურები, მაგრამ ამ შემთხვევაში, როცა მან თავისი წოდებისათვის დამახასიათებელი ცრურწმენები დათრგუნა, რითაც აღადგინა წინაპართა ჭეშმარიტი ტრადიცია და დადგა თავის ხალხის მისწრაფებების მხარდამხარ, რათა გააუმჯობესოს სამშობლოს ბედი მისი ენერგიის კეთილად განვითარების მეშვეობით, შეუძლებელია მას დიდი პატივისცემით არ მოეკიდო. ოღონდ ასევე შეუძლებელია სინანული არ გამოთქვა იმის გამო, რომ მასაში, რომელსაც ასეთი კეთილშობილური ინსტინქტები და მისწრაფებები ჰქონია, არ მოიპოვებიან მოწოდების სიმაღლეზე მდგარი მისი ღირსი ხელმძღვანელები და ინიციატორები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთსულოვნება და ურთიერთთანხმობა ამ არსებითად გაუნათლებელი თავადაზნაურობის მასისა. იგი იმდენად ორგანულად განიმსჭვალა განათლების აუცილებლობისა და სარგებლიანობის შეგნებით, რომ აღარ დარჩა ადგილი რუტინისა და რეტროგრადული ელემენტისათვის. იგი არავითარ საშუალებას არ ერიდება და თავის ჯიბეს მძიმე მოვალეობასა და მსხვერპლს აკისრებს, ამასთანავე, თვით ფლანგვაში დახელოვნებული იაფფასიანი პოპულარობის მაძიებელნიც კი ვერ ბედავენ ჩაუნერგონ ვიწრო და ანგარებიანი აზრები, ვერ ბედავენ ეგოიზმისა და რუტონის ჩანგზე სიმღერას. სწორედ ეს გარემოება ყველაზე თვალსაჩინოდ ადასტურებს ამ მასის მომზადებას ყოველი ღირსეული და გონივრული წამოწყების სასარგებლოდ. ამ თვისების არდანახვა მათში, ამ ფაქტის უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობის არგაგება, მხოლოდ ბრმებს შეუძლიათ, ამ ფაქტის უგულველყოფა და მისი კეთილისმოქმედი შედეგების დაუნახაობა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ ისეთ „ხელმძღვანელებსა“ და „ინიციატორებს“ შეუძლიათ, რომლებიც მარტო საკანცელარიო კირკიტისათვის და ბლანკების გადასაწერად არიან მომზადებული...

...და მაშინ, როცა ჩვენი ინტელიგენცია ტროტუარებს ტკეპნის თბილისსა და ქუთაისში, როცა ჩვენს ცრუ საზოგადო მოღვაწეებს

სძინავთ საზოგადო კრებებზე თბილისში ან ინტრიგების ქსელს ხლართავენ არჩევნებში გასამარჯვებლად, უსწავლელი თავადაზნაურობა ორი-სამი დღით ჩამოდის ყრუ ხეობებიდან, მიყრუებული ადგილებიდან და ასეთ უანგარო მზადყოფნას, ასეთ სულგრძელ გულშემატკივრობას იჩენს... განა გაკვეთილი არ არის ეს ყველასათვის?

შეუპირისპირეთ ამ ფაქტებს ჩვენი ქალაქელების საქმეები. გაიხსენეთ თუნდაც თბილისის კომერციული ბანკის აქციონერები ან თბილისის ურთიერთკრედიტის საზოგადოების წევრები, განა მოაგონდათ მათ თავიანთ საკრედიტო დაწესებულებათა მოგების განაწილებისას კავკასიის უნივერსიტეტი? განა ამ საქმისათვის მათ ერთი გროში მაინც გაიმეტეს? ცხადია, არა, მიუხედავად იმისა, რომ შარშან მათ მიერ მიღებული დივიდენდი ცოტა არ იყო. კომერციულმა ბანკმა 16% გასცა, ხოლო ურთიერთკრედიტმა—13%-ზე მეტი (მხედველობაში რომ არ მივიღოთ ნამატი, რომლიდანაც, დადგენილების თანახმად, ყოველ წევრს 20%-მდე დივიდენდი ერგო). განა წვრილ აზნაურებზე მეტად უჭირავთ ჩვენს ქალაქელებს დივიდენდები და ცხოვრების სახსარი? განა ნაკლებ მნიშვნელოვანია მათთვის ახალგაზრდობის განათლება და უნივერსიტეტი? სამწუხაროდ, ჩვენ აქ საქმე გვაქვს ვიწრო, არაშორსმჭვრეტელ, ბრმა ეგოიზმთან, იქ კი—უანგარო მისწრაფებასთან ქვეყნისა და საერთო კეთილდღეობისაკენ...

მაგრამ დავანებოთ თავი ამ შედარებებს და ორიოდე სიტყვა ვთქვათ დასკვნით საკითხზე—კავკასიის უნივერსიტეტის ბედის თაობაზე.

მისი გახსნისათვის, გარდა მიწისა, რომელიც ქ. თბილისის მიერ უფასოდ არის გამოყოფილი, ახლა გვაქვს კიდევ 160.000 მანეთი, საიდანაც 100.000 მანეთი შეწირულია თბილისის მიერ, 40.000 ქუთაისის სამიწათმოქმედო ბანკისაგან და 20. 000 ქ. ქუთაისისაგან. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს შემოწირულებანი მთლიანად ნებაყოფლობითია, ჯერჯერობით სახელმწიფო ხაზინას არავითარი ინიციატივა არ გამოუჩენია, ასევე ჯერ არ ამოქმედებულა კერძო ინიციატივა. არ უნდა დაგვავიწყდეს, აგრეთვე, ისიც, რომ მთელი ეს თანხა შეწირულ იქნა იმ ეპოქაში, რომელიც ყველაზე მძიმე და ძნელი იყო ამიერკავკასიის ცხოვრებაში. საერთო

შიმშილობამ, მოუსავლიანობამ, საქონლის მასობრივად გაწყდომამ, სიძვირემ, კალიის შემოსევამ არცთუ ისე მოსახერხებელი ვითარება შექმნეს ამგვარი შემოწირულებებისათვის. მიუხედავად ამისა, საკმარისია უმაღლესმა სასწავლო უწყებამ ინიციატივა აიღოს და დახმარებისათვის მოუწოდოს ქვეყნის ცოცხალ ძალებს, რომ შემოწირულებათა რიცხვი, სულ ცოტა, გაორმაგდება...

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ ახლა ჯერი მთავრობაზეა და თბილისისა და ქუთაისის სამიწათმოქმედო ბანკების შემოწირულებათა შემდეგ უნივერსიტეტის დაარსების ინიციატივა მთლიანად მას ეკისრება. ვიმედოვნებთ, რომ მთავრობა გაითვალისწინებს ქვეყნის ინტერესებს და ამ საქმეს სათანადო მსვლელობას მისცემს.

53. თბილისის საბჭოს სისუსტენი

თბილისი, 1880 წ. 18 მაისი

გ. გ. ევანგულოვმა საბჭოში წაკითხულ ამასწინანდელ მოხსენებაში დაადანაშაულა ჩვენი ადგილობრივი პრესა მისი მეტისმეტად შარიანი და მკაცრი დამოკიდებულების გამო თვითმმართველობისადმი. ამ სიმკაცრეს, რომელსაც მან „მიკერძოება" უწოდა, დაუპირისპირა ამავე პრესის რბილი დამოკიდებულება ადმინისტრაციისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისადმი. საფუძვლიანიც რომ იყოს გამოთქმული ბრალდება, სავსებით მართალიც რომ იყოს დასახელებული ყველა ფაქტი, მაშინაც კი ვერ დავინახავდით მათში ვერავითარ უბედურებას და მივიჩნევდით, რომ პრესა კარგ საქმეს აკეთებს, როცა თვითმმართველობას ამათრახებს და ადმინისტრაციას არ ეხება. მართლაც განა თვითმმართველობის ყველა წამოწყების წარმატება მის წარმომადგენელთა საქმიანობის საჯარო განხილვაზე, ამომრჩეველთა და მთელი საზოგადოებისათვის მათი საქმიანობის წარმატება-წარუმატებლობის განმარტებაზე არ არის დამოკიდებული? რამდენადაც მკაცრია კრიტიკა, იმდენად უფრო მძაფრდება ვნებები, უფრო მეტი შუქი ეფინება საქმეს, უფრო ფრთხილი და წინდახედული ხდებიან მოღვაწეები და საბოლოოდ კი საქმით ინტერესდება მთელი საზოგადოება. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ თვითმმართველობის ინტერესები სრულიადაც არაა შერწყმული ახლანდელ ხმოსანთა და საბჭოს წევრების ინტერესებთან. როდესაც პრესა ამათრახებს თვითმმართველობის წარმომადგენელთა მარცხს, ამით იგი საზოგადოებას ასწავლის, რომ მომავალში უფრო ღირსეული მოღვაწეები აირჩიოს, მოუწოდებს დაკვირვებას არჩევნების დროს... მხოლოდ ამის საშუალებით შეგვიძლია დროთა განმავლობაში წარმომადგენლობითი კრების ისეთი შემადგენლობის არჩევა, რომელიც სავსებით ღირსეული იქნება ჭეშმარიტი თვითმმართველობის საქმისა. პრესის გაჩუმება, ნაკლის მიჩქმალვა, უთანხმოების დაფარვა და ა.შ. უდრის საზოგადოებრივი ინტერესების ღალატს ახლანდელ ხმოსანთა ინტერესების სასარგებლოდ.

პრესა სწორედ იმიტომაა მკაცრი თვითმმართველობის წარმომადგენელთა მიმართ, რომ გულმხურვალედ სურს თვითმმართვე-

ლობის ნარმატება და ღრმად სწამს მისი ბრწყინვალე მომავალი. სულ სხვა საქმეა მისი დამოკიდებულება ადმინისტრაციის მოხელეებისადმი. თუ ჩვენი ადგილობრივი პრესა შეძლებისდაგვარად დაუღალავად აღწერს ადმინისტრაციულ მოხელეთა უარყოფით მხარეებსა და ბოროტმოქმედებას იმ ფარგლებში, რის უფლებაც მას საცენზურო წესდებამ მიანიჭა, ამ შემთხვევაში მას სურს გააუმჯობესოს ჩვენი ადმინისტრაციული წესები და ადათები. მაგრამ საკმარისია თვალი გადავავლოთ უცხოეთის პრესის დამოკიდებულებას თავისი ადმინისტრაციისადმი, რათა მივხვდეთ, რომ პრესას სრული უფლება აქვს საერთოდ გვერდი აუაროს ადმინისტარციას. მაგალითად, ასე მოიქცა ფრანგული ლიბერალური პრესა ნაპოლეონ III-ის მმართველობის დღეებში, როცა მას სრული უფლება ჰქონდა ჭკუის სწავლებისა და დარიგების მიცემისა. როშფორები და პრევო-პარადოლები, ვერმორელები და მილერები კი არ განსჯიდნენ ფრანგ ადმინისტრატორთა საქციელს, არამედ დასცინოდნენ, აბიაბრუებდნენ მათ, რათა მიეღწიათ ნაპოლეონ III-ის მომხრეებისა და მისი სისტემის დისკრედიტაციისათვის. ისინი არასოდეს უთითებდნენ მოსალოდნელ სიძნელეებსა და შეცდომებზე, არ იძლეოდნენ რჩევას, არამედ იქედნურად ელოდნენ გამოუსწორებელი შეცდომის დაშვებას და, როცა დარწმუნდებოდნენ, რომ მთავრობამ ღრმად შესტოპა და უკან დაბრუნება აღარ შეუძლია, სარკასტულად დასცინოდნენ ადმინისტრაციას, რომელიც გაბრაზების გამო შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. პრესის მიზანიც ეს იყო. ჩვენში, რასაკვირველია, მსგავსი რამ ნარმოუდგენელია, რადგან ჩვენს პრესას სულითა და გულით სურს დაეხმაროს ადმინისტრაციას მოსალოდნელ სიძნელეთა და შეცდომათა თავიდან აცილებაში და, რამდენადაც ეს მისთვის შესაძლებელია დამსჯელი ან წინასწარი საცენზურო პირობებით, ხელი მოუმართოს მთავრობას ნაკლოვანებათა ან ბოროტებათა აღმოჩენასა და დათრგუნვაში...

მაშასადამე, გასაგებია, რომ ამ ორ ვითარებას შორის პარალელის გავლება, ცოტა არ იყოს, უცნაურიც კია. სავსებით უსაფუძვლოა პრესას მოსთხოვო, რომ ის ერთნაირად ეპყრობოდეს თვითმმართველობის ორგანოებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ასეთი მოთხოვნა კიდევ უფრო უსაფუძვლო აღმოჩნდება, თუ გავიხსენებთ, რომ ადმინისტრაციასთან დამოკი-

დებულებაში ჩვენი პრესა გარკვეულ პირობათა ზეგავლენის ქვეშ იმყოფება. ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ ადმინისტრაციას მისი ამოცანებისა და ნაკლის გარკვევაში, ოღონდ იმ ფარგლებში, რამდენის ნებასაც თვით მოგვცემს. ძალით ვერც ვერავის შეაყვარებ თავს და ვერც სასარგებლო ვერ იქნები, მაგრამ, თუ საშუალება არა გვაქვს სასარგებლო ვიყოთ ადმინისტრაციისათვის ისე, როგორც ეს თავად გვსურს, იმის საშუალება ხომ მაინც გვაქვს, სასარგებლონი ვიყოთ თვითმმართველობისათვის? ამ უფლებაზე ხელს ვერ ავიღებთ.

ვთქვათ, ექიმს ორი ავადმყოფი ჰყავს, ერთნაირად რომ საჭიროებს დახმარებას; მაგრამ ერთ მათგანს ექიმის ახლოს მიკარებაც არ სურს, მეორეს კი წინააღმდეგობის გაწევის ძალა არ შესწევს, თუმცა ფრიად იღრიჯება წამლის მიღებისას. ნუთუ მე, ექიმმა, უარი უნდა განვაცხადო მეორე ავადმყოფის გასინჯვაზე მხოლოდ იმიტომ, რომ პირველმა ცხვირწინ მომიხურა კარი?

მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ადგილობრივ პრესაში არცთუ იშვიათად ადმინისტრაციაზეც ისეთივე მკაცრი და მკვეთრი წერილები იბეჭდება, როგორიც თვითმმართველობაზე.

თუ ჩვენს საზოგადო მოღვაწეებს უფლება აქვთ უკმაყოფილება გამოთქვან პრესის მათდამი დამოკიდებულებაზე, ჭეშმარიტება მოითხოვს ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ არც ჩვენი ადმინისტრატორები წვანან მხართეძოზე. საბედნიეროდ, ჩვენ შეგვიძლია სიამაყით განვაცხადოთ, რომ ადგილობრივი პრესა აკრიტიკებს არა მარტო დაბალ თვითმმართველობით უწყებებს. ვთქვათ, ამ წელიწადს „ობზორში“ დაიბეჭდა საფუძვლიანი და არცთუ ისე რბილი წერილები ჩვენი ადმინისტრაციის თითქმის ყველა მთავარ უწყებაზე. არც სამხედრო-საინჟინრო მმართველობას, არც გზათა მიმოსვლის გამგეობას, არც ფოსტის, არც სასამართლოს, არც საგუბერნიო და არც პოლიციურ უწყებებს უფლება არა აქვთ თქვან, რომ ჩვენი გაზეთი ელოლიავებოდა მათ, ან უფრო რბილად ექცეოდა, ვიდრე ქალაქის თვითმმართველობას. მოვიგონოთ სტატიები ბათუმელ მუშებზე, საქართველოს სამხედრო გზაზე, ბაქოს ტრაქტზე, სასამართლო გამოძიებასა და მსჯავრდადებაზე, მოვიგონოთ კორესპონდენციები და შენიშვნები გუბერნიის საოლ-

ქო და საქალაქო ადმინისტრაციაზე და დავრწმუნდებით, რომ ჩვენი პრესა ყოველივე ამას ორივე მხარის მისამართით ერთი საზომით უდგებოდა.

ყველა ეს მაგალითი მეტყველებს არა „ობზორისა“ და საერთოდ ადგილობრივი პრესის ღირსებაზე, რომელთაც ამ მხრივ თავიანთი პირდაპირი ვალი შეასრულეს, არამედ ჩვენი უმაღლესი ადმინისტრაციის ღირსებაზე, რომელიც, როგორც უჩვენოდაც მრავალჯერ იყო აღნიშნული დედაქალაქის პრესაში, შედარებით მეტ თავისუფლებას აძლევს ადგილობრივ პრესას იმსჯელოს მის ნაკლსა და შეცდომებზე, ვიდრე სხვა პროვინციული და თვით ცენტრალური ადმინისტრაციები რუსეთისა. და თუ ჩვენი უმაღლესი ადმინისტრაცია უშვებს თავისი ნაკლის ასეთ მხილებას, განა საკვირველი არ არის, რომ თვითმმართველობის წარმომადგენელი ბ-ნი ხმოსნები ემდურებიან საჯაროობას და მასზე სავსებით რუტინულ შეხედულებას გამოთქვამენ?

54. აფხაზთა ეკონომიკური მდგომარეობა

თბილისი, 1880 წ. 19 მაისი

მთიელთა სახალხო მღელვარებისა და უკმაყოფილების გამომწვევი მთავარი მიზეზი ყოველთვის მიწის საკითხი იყო. ვერც ერთი მათგანი ვერ ურიგდება იმ აზრს, რომ იმ მიწის მეპატრონე, რომელიც მას მემკვიდრეობით ერგო ან პირადად შეიძინა, თვითონ აღარ არის. იმისათვის, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ამ უკმაყოფილებასა და მღელვარებას, აუცილებელია ვაღიაროთ მთიელთა საკუთრების უფლება მათ მიერ დაკავებული მიწების გარკვეულ ნაწილზე და რაც შეიძლება მალე დავუმტკიცოთ მათ ეს ნაკვეთები. შესაძლებელია გარკვეულად შევზღუდოთ მიწით სარგებლობისა და მფლობელობის უფლება, მაგრამ ამ უფლების მთიელისათვის მთლიანად ჩამორთმევა დიდი სასჯელი იქნებოდა მისთვის, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ეს უკანასკნელი ხედავს, რომ მისი კუთვნილი მიწის დიდი ნაწილი ისეთი პირების ხელში გადადის, რომლებიც ვითომდა ნიადაგის კულტივირებისა და ადგილის ასენიზაციის მიზეზით მიწის მიღების შემდეგ გროშის ფასად ჰყიდიან სხვაზე, ის სხვა კიდევ სხვაზე და ა.შ., ანდა აძლევენ ძველსავე მფლობელს ყველაზე მძიმე პირობებით.

უკანასკნელ ომამდე აფხაზეთში ხშირად ხდებოდა მღელვარებანი იმის გამო, რომ ადგილობრივ მოსახლეობას აგრარული საკითხის გადაწყვეტამდე აკრძალული ჰქონდა გაეწმინდა თავისი მამულის მომიჯნავე ნაკვეთი, მოეჭრა ხის ტოტებიც კი გათბობისათვის. აფხაზეთსა და ბათუმის მაზრაში დიდი ხანია ნაკვეთები გამოუყვეს მათ, ვისაც იქ არასდროს ჰქონია მიწა. და ეს იმ დროს, როცა მთიელები ისევ ძველებურად შევიწროებული დარჩნენ.

მართლაცდა რა უნდა ქნან იმ აფხაზებმა, რომლებიც ჩვენი მთავრობის ნებართვით თურქეთიდან სამშობლოში დაბრუნდნენ? მართალია, მათ კვლავ იხილეს ნანატრი სამშობლო... მაგრამ მეტი არაფერი. აგერ უკვე რამდენიმე თვეა, რაც ისინი აფხაზეთში დაბრუნდნენ. ამ ხნის განმავლობაში ისინი ცხოვრობენ ნათესავებთან, ნაცნობებთან, რომელთაც თურქეთში გადასახლება არ მოისურვეს, დავუშვათ, რომ აფხაზეთში ძალზე განვითარებულია

სტუმართმოყვარეობა, მაგრამ რამდენიმე თვის მანძილზე რომ 5-7 და ზოგჯერ 10 სულსაც უმასპინძლო, ამის არავითარი საშუალება არ არსებობს. სხვათა შორის, თურქეთიდან ყოველთვიურად მოდიან ეს უბედური აფხაზები და თავშესაფარს ეძებენ სნორედ იმათთან, ვინც აფხაზეთში დარჩა. ზოგმა მათგანმა უსახსრობის გამო ცოლ-შვილიც კი გაყიდა, რათა ერთხელ კიდევ ენახა თავისი სამშობლო. უკან დაბრუნებული აფხაზების რიცხვი 3000 კაცია. ალბათ, ზაფხულის დასასრულს მათი რიცხვი გაორმაგდება, სად წავიყვანოთ ისინი? თუ აფხაზები სამშობლოში დაბრუნების უფლებას ჩქარა მიიღებენ, აუცილებელია ასევე დაუყოვნებლივ მივცეთ მათ მიწის ნაკვეთები, რათა საშუალება ჰქონდეთ, სასწრაფოდ ააგონ რამენაირი საცხოვრებელი და მოამზადონ ნაკვეთები დასათესად. ბევრი ამტკიცებს, რომ მათ უფლებას მისცემენ „დროებით" დაიკავონ სახნავ-სათესი მინდვრები, მაგრამ განა ამ ხალხს აქვს რაიმე სახსარი, რომ ერთი ადგილიდან მეორეზე გადავიდეს, მიატოვოს ნათესები, საცხოვრებელი სახლები და ისევ თავიდან დაიწყოს ცხოვრების მოწყობა? მათთვის აუცილებელია მკვიდრი ცხოვრება და მიწის გარკვეული ნაწილის ფლობა საკუთრების უფლებით. თავისუფლად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ აქ დარჩენილი აფხაზები ბოლოს და ბოლოს მოთმინებიდან გამოვლენ და ახლო მომავალში თავიანთ სტუმრებს წინადადებას მისცემენ—დატოვეთ ჩვენი სახლი, რისთვის უნდა შევინახოთ ამდენი მუქთამჭამელიო... და მაშინ უბედური სტუმრები, რომელთაც არა აქვთ არც ჭერი, არც საჭმელი და არც ტანსაცმელი, ნებით და უნებლიეთ შიმშილის ან რაიმე საშინელი ეპიდემიის მსხვერპლნი შეიქმნებიან. აფხაზეთში ახლაც კი მძვინვარებს საშინელი სიკვდილიანობა, ყოველდღიურად რომ ამცირებს აფხაზეთის მოსახლეობის რიცხვს. ამიტომ სოხუმის განყოფილების ადმინისტრაცია სამინათმოქმედო კომისიამ ყველა საშუალებას უნდა მიმართოს, რათა შეძლებისდაგვარად შეუმსუბუქოს მდგომარეობა ამ უბედურ ხალხს და მისცეს მიწა; დიდ იმედს ამყარებს ეს ხალხი კავკასიის მთიელთა სამმართველოს უფროსის გენერალ კომაროვის ჩამოსვლაზე. ღმერთმა ქნას, რომ მათი იმედები გამართლდეს.

რაც შეეხება სახალხო მმართველობას, მიზანშეწონილად უნდა ვცნოთ ძველი ფორმის დროებით დატოვება, რომელიც ხალხის

წარმომადგენელთა მონაწილეობით მოქმედებდა. სასამართლო რეფორმის ასე სწრაფად განხორციელება ახლად დაპყრობილ მიწებზე, რომელიც მთიელებითაა დასახლებული, სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს და აი, რატომ: უნდა ვიცოდეთ, რომ მთიელებში დანაშაულის უმეტესობა ხდება უკიდერესი სიღარიბის გამო. არსებობს, აგრეთვე, ადამიანთა მთელი ფენა, რომელთაც „უსახლკაროებს" უწოდებენ. მათ არც სახლი აქვთ და არც კარი. მთიელის დაჭერა დანაშაულზე თვით მაშინაც კი ძნელია, როცა ყველა დარწმუნებულია, რომ მან წაუკიდა ცეცხლი, იქურდა, მოკლა და სხვ. შეიძლება სამართალში მისცე იგი, როგორც ეჭვმიტანილი, მაგრამ შეუძლებელია მისთვის დანაშაულის დამტკიცება, რადგან მას ყოველთვის ალიბი აქვს. ის დაუმტკიცებს სასამართლოს, რომ იმ ღამეს, როცა გარკვეულ ადგილას მოხდა დანაშაული, იგი სრულიად სხვა ადგილას იმყოფებოდა, მისი მოწმეებიც, 10,20,40 კაციც კი, ერთხმად დაადასტურებენ ბრალდებულის სიმართლეს. დაადასტურებენ, რადგან ყოველმა მათგანმა იცის, რომ დღეს თუ არა ხვალ მაინც თვითონაც ჩავარდება მართლმსაჯულების ხელში და დასჭირდება ადრინდელი ბრალდებულის დამოწმება თავისი სიტყვების გასამართლებლად. გარდა ამისა, ღმერთმა დაიფაროს, თუ ვინმე უარს იტყვის ბრალდებულის მოწმეობაზე, ასეთ შემთხვევაში იგი მუდმივი შურისძიების ობიექტადაა განწირული როგორც თვით დამნაშავის, ისე მისი ოჯახისა და თვით მისი მეგობრებისაგანაც კი! რომელიმე მათგანი ან, შესაძლებელია, ყველა ერთად გადაწვავენ მის სახლს, მოკლავენ ან გაძარცვავენ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენება არ მისცა ბრალდებულის სასარგებლოდ. ხშირად მოწმეები დებენ ფიცს, აძლევენ ჩვენებას და მერეღა ეკითხებიან ერთმანეთს—რა დააშავა მათმა ამხანაგმა. ყოველივე ეს იმის გამოისობით ხდება, რომ ისინი წინასწარ ღებულობენ ინსტურქციას ბრალდებულისაგან, როგორი ჩვენება უნდა მისცენ; „ჰო" უნდა თქვან თუ „არა", უარყონ თუ დაადასტურონ მომხდარი ამბავი.

გამოუცდელი კაცი, რომელიც მთიელთა ცხოვრების პირობებს არ იცნობს, ადვილი შესაძლებელია, სრულიად დაიბნეს სასამართლო საქმის წარმოების დროს; მეტიც, ასი საქმიდან შეიძლება მხოლოდ ერთი საქმის სწორად წარმართვა მოხერხდეს. ზოგჯერ მოხდება, რომ მოწმეს ტყუილსა და არასწორ ჩვენებაში დაიჭე-

რენ, მაგრამ ხომ არ გგონიათ, რომ მას შერცხვება და დაიბნევა, სრულიადაც არა. თავისი შეცდომის გამოსასწორებლად იგი მოჰყვება რაღაც ადამისდროინდელ უაზრო ისტორიას, ათი საათი ილაპარაკებს და საქმეს იმგვარად აწეწავს, რომ არავითარი ძალა აღარ შეგრჩებათ მისი გარჩევისათვის, ასეთ შემთხვევაში თარჯიმნებიც არანაკლებ ოსტატურად იქცევიან... ამიტომ ხალხის წარმომადგენელთა გარეშე ასეთ პირობებში ვერანაირი სასამართლო ვერ იარსებებს. ისინი კარგად ფლობენ ამ ილეთებს და უფრო ადვილად განმარტავენ საქმის არსს, მით უმეტეს, თუ რაიმე წახალისებას მიიღებენ უფროსისაგან. როცა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ვერ შეძლო აფხაზეთში სხვადასხვა დანაშაულის აღკვეთა, მაშინ თვით საპატიო წოდების წარმომადგენელმა აფხაზებმა შექმნეს ისეთი წესები, რომელთა წყალობითაც მთელ აფხაზეთში თითქმის მართლა აღიკვეთა დანაშაული. მართლაც საოცარია მთიელთა მოქნილობა და მოსაზრების უნარი. როგორ მიაღწიეს მათ ამას? უპირველეს ყოვლისა, ზედამხედველებად და სოფლის თანამდებობის პირებად ირჩევენ თვითონ ქურდებსა და თაღლითებს, რომლებიც, რასაკვირველია, თავიანთი მაზრის ყველა ყაჩაღს იცნობენ. ასეთ გარემოში ძნელია დამნაშავემ თავისი დანაშაულის კვალი დაფაროს. შემდეგ ერთი სოფლის საპატიო ადამიანები მიდიან მეორე სოფლის საქმის გასარჩევად და პირიქით. და ბოლოს, ორი დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში დამნაშავეს რუსეთში ასახლებენ საზოგადოებისა და უფროსებთან შეთანხმებით, ხოლო მათი ქონება ხმარდება სოფლის ხელმძღვანელობის დასაჩუქრებას და ა.შ.

ხალხის კეთილდღეობისა და ადმინისტრაციის შრომის შემსუბუქებისათვის მუდამ მნიშვნელოვანი საყრდენი იყო კეთილმოწყობილი გზები და მოსახლეობის შემჭიდროვება; ამიტომ ახლავე უნდა შევუდგეთ გზების გაყვანას თვით მოსახლეობის გეგმით.

პირველ ხანებში აუცილებელია მოსახლეობა განთავისუფლდეს ყოველგვარი გადასახადისა და ბეგარისაგან. განსაკუთრებით კი ახლად შეძენილი მიწების მეპატრონეები, უკიდურეს შემთხვევაში უნდა შემოწმდეს წინა მმართველობისაგან შემოღებული ბეგარა და შემდეგ დაწესდეს ბაჟი ძველი წესის მიხედვით ან შემცირდეს იგი, გაზრდით კი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიზარ-

დოს. ყველასათვის ცნობილია, როგორ განადგურდნენ მთიელები უკანასკნელი ომის დროს. აქედან გამომდინარე, ყველანაირმა ფულადმა გადასახადებმა შეიძლება ძალიან დააზარალოს ისინი არა მარტო ეკონომიურად, არამედ ფსიქოლოგიურადაც.

აფხაზეთის ეკონომიური წინსვლის უფრო უკეთ ორგანიზებისათვის გვმართებდა შეგვეკრიბა ადამიანები, რომელნიც კარგად იცნობენ ხალხის მმართველობას და აქამდე პატიოსნად ემსახურებოდნენ თავიანთ სამშობლოს; უფრო მეტიც, ხალხის ყოველნაირი უკმაყოფილება, დავა და გაუგებრობა უნდა ამოიძირკვოს ადგილზევე რაც შეიძლება სწრაფად, ამიტომ, ვისაც ეს ეხება, უნდა გაერკვეს ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობაში, პატივისცემით მოექცეს მის ზნესა და ადათს, არ წააქეზოს პრივილეგირებული ფენა დაბალი ფენის წინააღმდეგ და პირიქით. წოდების ყოველნაირი ასეთი წაქეზება დაკავშირებულია მმართველობის ნდობისა და პატივისცემის დაკარგვასთან. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადმინისტრაციის ღონისძიებით გამოწვეული უკმაყოფილების შემთხვევაში, ყველა წოდება, თვით ერთიმეორის მტერიც კი, ჩანს, ადვილად პოულობს საერთო ენას და მოქმედებს შესანიშნავი ერთსულოვნებით, ენერგიითა და სიმტკიცით...

დასასრულ უნდა ვთქვა, რომ მთიელები სრულიადაც არ არიან ხელიდან წასული ხალხი. ისინი მეტად ნიჭიერი არიან და ადვილად ითვისებენ ყველა ხელობას, განსაკუთრებულია მათი ენერგია და თანამიმდევრობა ყველა მნიშვნელოვან საქმეში. თუ მათ ბევრ ზნესა და ადათს აწონ-დაწონვა და შეზღუდვა სჭირდება, ეს უნდა გავაკეთოთ, ოღონდ ადათთა შესაზღუდად მიღებული ზომები არ უნდა იყოს სასტიკი და ნაჩქარევი. საერთოდ, მთიელები ღირსი არიან იმისა, რომ ვიზრუნოთ მათ კულტურაზე.

55. შუადღის ძებნა მე-14 საათზე

თბილისი, 1880 წ. 21 მაისი

ლორდთა პალატაში პაექრობის დროს სეფე სიტყვის საპასუხოდ წარმოთქმულ მოხსენებაში ლორდმა გრენვილმა განაცხადა, რომ აუცილებელია ევროპულ სახელმწიფოთა ერთობლივი ზემოქმედება პორტაზე. საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა მარკიზმა სალისბიურიმ მიუთითა ყველა იმ სიძნელეზე, რომლებიც მუდამ თან სდევს ევროპის გაერთიანებას და, ამასთან ერთად, იმედი გამოთქვა, რომ „მთავრობა არ მიიღებს რუსეთის მეგობრულ პოლიტიკას". ინგლისის საგარეო საქმეთა ყოფილი ხელმძღვანელის ამ განცხადებას, გაზეთ „ ბერეგის"[37] აზრით, ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. „ჩვენ არ ვფიქრობთ,—განაგრძობს დასახელებული გაზეთი,—თითქოს მარკიზ სალისბიურის შეეძლო მხედველობიდან გამორჩენოდა ის გარემოება, რომ ინგლისის მიერ რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის მხარდაჭერა უკანასკნელ ხანებში კონსერვატორული სამინისტროს პროგრამაში შევიდა. ამიტომ უნებლიეთ დგება საკითხი: მისი რომელი განცხადებაა უფრო გულწრფელი—ის, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს გამოუთქვამს, თუ ეს, რომელიც ახლა წარმოთქვა, როგორც ლორდთა პალატის წევრმა".

ჩვენის მხრივ კი შეუძლებელია გაოცება არ გამოვხატოთ დედაქალაქის ზოგიერთი გაზეთის პოზიციის გამო, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ ინგლისის ინტერესები მათთვის უფრო აშკარაა და გასაგებია, ვიდრე თვით ინგლისელთათვის. ამიტომ ქადაგებენ ისინი ინგლისის მეგობრობის აუცილებლობას რუსეთთან და ინგლისის მთავრობის ყოველ ნაბიჯში, რომელიც აშკარად არ ამჟღავნებს რუსეთისადმი მტრობას ან ცინიკური გულახდილობით არ ააშკარავებს რუსეთისა და რუსი ხალხის ინტერესების აბუჩად აგდებას, ხედავენ ჩვენი სიახლოვის ნიშნებს დიდ ბრიტანეთთან, მზად არიან აღმოაჩინონ სურვილი ჩვენი მათთან დამეგობრებისა. ვიმეორებთ, რომ ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ ასეთ შეხედულებას ინგლისისადმი რუსეთის დამოკიდებულების თაობაზე. ამიტომ თითქმის მეათეჯერ უნდა გავიმეოროთ ერთი ანბანური ჭეშმარიტება: ვიგები და ტორები ადვილი შესაძლებელია ასჯერ შეიცვალონ ბრიტანეთის მთავ-

რობის საჭესთან, მაგრამ ინგლისის ინტერესები ამით ოდნავადაც არ შეიცვლება და მისი უდიდებულესობის ბრიტანეთის დედოფლის კონსერვატორული თუ ლიბერალური მთავრობების მთელი ძალისხმევა მუდამ ერთი მიზნისაკენ იქნება მიმართული: რაც შეიძლება უკეთესად დააკმაყოფილოს ქვეყნის ინტერესები. ამას გვიდასტურებს თავად ინგლისის ისტორია—ყოველთვის კეთდება ის, რაც სასარგებლო იყო ქვეყნისათვის და არავითარი ყურადღება არ ექცეოდა არც მორალსა და არც გუშინდელ თუ გუშინწინდელ პოლიტიკურ დეკლარაციებს.

რუსეთისა და ინგლისის ინტერესები მუდამ საპირისპირო იყო, რის გამოც ყოველგვარი მეგობრობა და ურთიერთშეთახმება ინგლისთან მეტად ძვირად უჯდება რუსეთს. ნათქვამის დასადასტურებლად შეგვეძლო გაგვეხსენებინა ჩვენი შეთანხმება ნაპოლეონ I-ის წინააღმდეგ და ამის შედეგად შემუშავებული ტრაქტატი, რომლის წყალობითაც პირწმინდად განადგურდა ჩვენი საავაჭრო ნაოსნობა ჩრდილო რუსეთსა და ბალტიის ზღვაში. ჩვენს ეპოქაში ეს მუდმივი წინააღმდეგობა უფრო თვალსაჩინოდ გამოიკვეთა. ორივე დაპირისპირებული სახელმწიფოს პროგრესულმა განვითარებამ გამოიწვია მათი გეოგრაფიული დაახლოება, რამაც სრულიად გამორიცხა მათივე პოლიტიკური დაახლოება. საკითხი—ფლობდეს თუ არა ინგლისი ინდოეთის იმპერიას, იმაზეა დამოკიდებული, თუ ვის მიენიჭება სავაჭრო და პოლიტიკური პირველობა მცირე აზიაში: ინგლისის თუ რუსეთს. საკითხის ასე დაყენების შემთხვევაში, გარდა დიპლომატიურისა, სხვა რა მეგობრობა შეიძლება არსებობდეს ორ მოქიშპე იმპერიას შორის? ასეთი მეგობრობა კი ღმერთმა აშოროს ყველას და, მით უმეტეს, გულკეთილ რუს ხალხს. ყოველი რუსი, თავისი რბილი ხასიათის გამო, ყოველთვის შეგიძლია ამუშაო საკუთარი თავის საზიანოდ და ამიტომ მტერთან „მეგობრობა“ ყოველთვის უფრო მეტად სახიფათო და საზიანოა მისთვის, ვიდრე აშკარა მტრობა. ყველა ჩვენი თანამედროვე ინტერესი გამოიხატება შინასამრეწველო ძალების შეწყობილად განვითარებაში. საამისოდ კი ინგლისთან მეგობრობა არცთუ ხელს შეგვიწყობს, არამედ, პირიქით, მხოლოდ და მხოლოდ ხელს შეგვიშლის, მაგრამ, თუ ჩვენ ამ მეგობრობას არავითარ მნიშვნელობას არ მივანიჭებთ და ენერგიულად ვიზრუნებთ რუსეთის ინტერესების დაკმაყოფილებაზე მცირე აზია-

ში, განსაკუთრებით ინგლისის გავლენის სფეროების გვერდით, ამით ვაიძულებთ ბრიტანეთის სამინისტროს, ვისგანაც უნდა შედგებოდეს იგი, დაგვეხმაროს მეგობრული რჩევებითა და ყოველგვარი ავანსითაც კი, ოღონდ შეაჩეროს ჩვენი ენერგიული მოქმედება, ოღონდ გვაიძულოს შევჩერდეთ. ავღანეთთან ინგლისის ნარუმატებელი და გამანადგურებელი ომის შემდეგ ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისათვის სავსებით გასაგებია, რომ ინგლისის სამხედრო ლაშქრობა ბრიტანეთის ინდოეთიდან რუსეთის წინააღმდეგ, როგორც ამაზე ლორდი ბიკონსფილდი ოცნებობდა, წარმოადგენს რუსულ nonsens-ს. ამის შემდეგ რაღა დარჩენია ინგლისს, გარდა მეგობრობისა რუსეთის ინტერესების საზიანოდ? ჩვენი პოლიტიკოსები კი კანიდან ძვრებიან, რომ რუსული თვალსაზრისით დაამტკიცონ ამ მეგობრობის აუცილებლობა ინგლისისათვის, განა ეს მართლაც საკვირველი არ არის? ყოველივე ამის გამო არ შეგვიძლია გავიზიაროთ „ბერეგის“ ქვემომოტანილი თვალსაზრისი:

„ახლა მარკიზ სალისბიურის შეუძლია უფრო თავისუფლად განახორციელოს თავისი მოსაზრებანი, ვიდრე უწინ, როცა თავისი ოფიციალური მდგომარეობა აიძულებდა ორაზროვანი როლი შეესრულებინა. პალატაში რუსეთისადმი მტრული გამოსვლით პატივცემულმა ლორდმა მხოლოდ ყოფილი კონსერვატორული სამინისტროს პოლიტიკური პრინციპი გამოხატა. არა გვგონია, რომ დღევანდელ ლიბერალურ სამინისტროს რაიმე მნიშვნელობა მიენიჭებინოს მარკიზ სალისბიურის ახლანდელი განცხადებისათვის“.

მაგრამ, გაზეთ „ბერეგისაგან“ განსხვავებით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ოპოზიციის ვალდებულება—წინააღმდეგობა გაუწიოს არსებულ სამინისტროს, აიძულებს მარკიზს იქადაგოს ინგლისისათვის უკიდურესად საზიანო მიმართულება და, ამდენად, ფრიად სასარგებლო რუსეთისათვის. ინგლისთან მეგობრობა შეიძლება მხოლოდ ისეთივე პირობებით, როგორითაც ნაპოლეონ I-ს დავუზავდით, ე.ი. ყველა ჩვენი ანგარიშის გასწორებისა და ყველა ჩვენი ინტერესების დაკმაყოფილების შემდეგ.

56. სალღეისო საკითხები

თბილისი, 1880 წ. 22 მაისი

გუშინდელ მოწინავეში ნახსენები იყო მარკიზ სალისბურის განცხადება. ახლა ვბეჭდავთ თვით ამ განცხადებას „მოსკოვსკიე ვედომოსტის"[46] მიხედვით:

„ბერლინიდან დაბრუნებისთანავე ლორდმა ლორდთა პალატაში განმარტა ავსტრიის არმიის მიერ ბოსნიისა და ჰერცოგოვინის დაკავების მნიშვნელობა: „პოეტები და ენტუზიასტები,—ამტკიცებდა მარკიზი,—მიუთითებდნენ ბერძნებზე, როგორც სულთანის შთამომავლებზე, მაგრამ ლორდ ბიკონსფილდის სიბრძნემ ამ საქმეს სულ სხვა მიმართულება მისცა. ავსტრიელთა გამოჩენა ახალ ბაზარზე მიუთითებს მათი სახელმწიფოს ძლიერებაზე არა მარტო თავისთავად, არამედ მოკავშირეების მხრივაც. იგი ახლა მიადგა კონსტანტინოპოლს და, თუმცა ყველამ ვიცით, რომ ავსტრიის პოლიტიკა არ აჩქარდება, მაგრამ მისი ძლიერება მაინც საწინდარია იმისა, რომ, თუ ვერაგული ინტერესების წყალობით თურქეთის იმპერია დაიშალა—რუსეთი მაინც ვერ შეძლებს ბოსფორზე გაბატონებას".

სალისბიურის სიტყვა გაგებულ იქნა როგორც მინიშნება, თითქოს ბოსნიას უნდა მოჰყვეს სალონიკი და შეიძლება თვით კონსტანტინოპოლიც კი.

რასაკვირველია, ახლა ლორდ ბიკონსფილდის სიბრძნეზე ილაპარაკებს მხოლოდ ინგლისური ოპოზიცია, მაგრამ მიუკერძოებელი მკვლევარები ლორდ ბიკონსფილდის მისწრაფებაში—შეექმნა Ostrich დედაქალაქით კონსტანტინოპოლში—ვერაფერს დაინახავენ ორიგინალურს, რადგან ეს გახლავთ გერმანული შოვინიზმის ძველთაძველი გეგმა, რომელსაც დიდად თანაუგრძნობს თ-დი ბისმარკი. მან არაერთხელ გამოხატა საჯაროდ თავისი სიმპათია ამ გეგმისადმი და განამტკიცა იგი ავსტრია-უნგრეთთან კავშირით, რაც რამდენადმე მოგვაგონებს ნაპოლეონ III-ისა და ლორდ პალმერსტონის entente cordial-ს.

ისე, როგორც ყირიმის ომში' შემსრულებელ მექანიზმს საფრანგეთი წარმოადგენდა, ხოლო მამოძრავებელ ძალას—ინგლისი, რომელიც შავი ზღვის ფლოტის განადგურებაზე ოცნებობდა, აქაც, ბერლინის კონგრესზე, შემსრულებელი ლორდი ბიკონ-

სფილდი იყო, ავსტრია-უნგრეთი რომ ახალ ბაზრამდე გააფართოვა, ხოლო მოქმედ ძალად უთუოდ პატიოსანი მაკლერი დარჩა, რომელიც ოცნებობდა Ostrich-ზე. თ-დი ბისმარკის გაუმაძღარი გერმანული პატრიოტიზმი უკვე აღარ კმაყოფილდება მხოლოდ გერმანიის ერთიანობით, არამედ სურს შემოიერთოს ყველა ავსტრიელი გერმანელი და გაბატონდეს ადრიატიკის ზღვაზე გერმანული ტრიესტის საშუალებით, მიუხედავად იმისა, რომ ამ პორტში მხოლოდ სლავები და იტალიელები ცხოვრობენ. მაგრამ ეს სულაც არაა დაბრკოლება: თ-დი ბისმარკის აზრით, რომელიც გერმანულ შოვინისტთა შეხედულებებს იზიარებს, გერმანელთა სამშობლო არის იქ, სადაც გერმანული ენა ისმის; მაშასადამე, საკმარისია ტრიესტში ორი გერმანელი გაიგზავნოს და იქ ქუჩაში გერმანულად დაილაპარაკონ, რომ ტრიესტი გერმანელთა მშობლიურ ქალაქად იქცეს.

ცხადია, ჩვენ, რუსებს, შეგვიძლია დამშვიდებით ვუცქიროთ ყოველივე ამას; მაგრამ ასეთი ვერ იქნება ჩვენი დამოკიდებულება ავსტრია-გერმანელ დამპყრობთადმი, რომელთაც კონსტანტინოპოლის მითვისება სურთ. მიუხედავად ინგლისური დიპლომატიის შორსმჭვრეტელობისა და სიბრძნისა, ისტორიამ ამ შემთხვევაში იგი იმ კატის მდგომარეობაში ჩააყენა, რომლის თათებითაც მაიმუნმა ნაკვერჩხლიდან ნაბლი ამოიღო. ინგლისელებმა უკვე მთელ ევროპას შეაწყინეს თავი ბოსფორზე ინგლისური ინტერესების მნიშვნელობის ქადაგებით. ამასობაში კი ასეთ ტერიტორიათა ავსტრია-გერმანელთა მფარველობაში გადაცემით ინგლისი აჩქარებს აღსასრულის მოახლოებას. ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის აუზიდან რუსეთის მოწყვეტით ისინი უნებლიეთ გვიბიძგებენ ჩვენი შუაზიური საქმეების მოგვარებისაკენ, რაც ინგლისის ინდოეთში ბატონობას რეალურ საფრთხეს უქმნის, ეს, ერთის მხრივ. ხოლო, მეორე მხრივ, გერმანული მრეწველობის გაბატონება, რომელსაც თან სდევს სამხედროთა აქტიურობა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის პოლიტიკური დაპყრობა, სასიკვდილო განაჩენია სულთანის მემკვიდრეობაზე მეოცნებე ინგლისელი კაპიტალისტებისა და მეწარმეთათვის, რადგან ისინი ბოსფორში ემსახურებოდნენ იმ ინტერესებს, რომელთაც მხარს უჭერდნენ და აღვივებდნენ ლორდი პალმერსტონი და ბიკონსფილდი, ამ უკანასკნელთა ოცნება—თურქეთისაგან შეექმნათ მუდმივ მოქმედი

არმია რუსეთის ე.წ. განზრახვათა საწინააღმდეგოდ, დამთავრდა, როგორც ცნობილია, ინგლისელ კაპიტალისტთა გაღატაკებით, რომლებიც ფულს აჩეჩებდნენ სულთანს საბრძოლი და საზღვაო არმიების შექმნისათვის, ყოველივე ამას, როგორც ჩანს, გაცილებით სერიოზული შედეგები ექნება, ვინაიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ყველაზე დაუნდობელი და თანამიმდევრული გერმანული ექსპლუატაციის გაბატონება ადგილსაც აღარ დაუტოვებს ინგლისელ საქმოსნებს. საბოლოოდ კი მივიღებთ შედეგს, რომელიც ყველაზე ნაკლებაა სასურველი ინგლისისათვის: ჩამოართმევს მას ყველაზე დიდ ბაზარს ევროპაში.

ყოველივე ამის გამო რუსეთის მეგობრობა ინგლისთან სასურველია მხოლოდ ინგლისის ინტერესების დაცვისათვის ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და შუა აზიაში, რაც, ჩანს, სრულიად არ ემთხვევა რუსეთის ინტერესებს. ჩვენში რატომღაც ავიწყდებათ, რომ რუსეთი სრულიადაც არ არის ლიპე-დეტმოლის საჰერცოგო, რომლისთვისაც აუცილებლად საჭირო იყო მეგობრული კავშირი მეზობლებთან ურთიერთდაცვისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ახლანდელი გაგებით, ვისაც მშვიდობა სურს, ომისათვის უნდა ემზადოს. მაშასადამე, იმისათვის, რომ რუსეთმა მშვიდობიანად იცხოვროს თავის მეზობლებთან, სრულიადაც არაა საჭირო რაიმე დიპლომატიური ღონისძიება ან პოლიტიკური კომპრომისი:

უნდა ვიყოთ ძლიერი და მომზადებული ომისათვის. მაგრამ ვიმეორებთ, რომ ამის მიღწევა შეიძლება არა მარტო საბრძოლო მომზადებით, არამედ, უმთავრესად, ჩვენი ეკონომიური კეთილდღეობის განვითარებით. აი, სწორედ ამ პუნქტს უნდა მიაქციონ ყურადღება ჩვენი პრესის დაპლომატიურმა ორგანოებმა, ინგლისთან მეგობრობაზე ზრუნვა კი დიდი ბრიტანეთის მომავალ მინისტრებს მიანდონ.

57. სადღეისო საკითხები

თბილისი, 1880 წ. 25 მაისი

ბერლინის ტრაქტატი, რომელსაც წინ უსწრებდა კონგრესი, თავის დროზე გახლდათ ცენტრი, საითკენაც მიპყრობილი იყო მთელი ცივილიზებული ქვეყნიერების ყურადღება, რადგან, საერთო რწმენით, ნათლად უნდა გამოჩენილიყო ბერლინიდან როგორც ფრიად განათლებული დიპლომატების სხდომის გარდაუვალი შედეგი; მას ყოველი მხრიდან უნდა გაენათებინა აღმოსავლეთის საკითხთა გადაჭრის სირთულენი და ყველა ბნელი ადგილი ევროპის თანამედროვე ეკონომიკური ცხოვრებისა. საერთაშორისო დეპეშათა სააგენტოები გვაუწყებდნენ, რომელ საათზე ხვდებოდნენ ერთმანეთს ფრიად განათლებული დიპლომატები, რომელ საათზე სხდებოდნენ სასაუბროდ მაგიდასთან, ან, როგორც ოფიციალურად წერდნენ,–„მოსალაპარაკებლად“, რომელ საათზე იღლებოდნენ და წყვეტდნენ თავიანთ დისპუტებს მთელი ევროპის ბედის შესახებ. ევროპისა და ჩვენი გაზეთების კორესპონდენტები ამასაც არ სჯერდებოდნენ: ისინი აღწერდნენ არა მარტო დიპლომატთა მიერ მირთმეულ კერძებს, ტანსაცმელს, სიარულის მანერას, არამედ მათი ყოველდღიური ცხოვრების ყველაზე უფრო ინტიმურ დეტალებსაც კი. ყოველი სიტყვა, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო, ნათქვამი კონგრესის რომელიმე წარმომადგენლის მიერ, მაშინვე მიჰქონდა ტელეგრაფს ყველა იმ ქვეყანაში, სადაც კი ამისთანა რამ არსებობს; ხოლო პრესა, როგორც კი ხელთ იგდებდა დიპლომატიურ სიბრძნის ამგვარ ობოლ მარგალიტებს, წამსვე მოაყოლებდა მას დაუსრელებელ კომენტარებს, მოსაზრებებს, მითითებებს, დასკვნებს.

მიუხედავად ამისა, მიუხედავად ასეთი საერთო ყურადღებისა კონგრესის საქმიანობისადმი, მათი ტალანტის, სიბრძნისა და წინდახედულობისადმი, დიპლომატები უნებლიეთ აღიარებენ, რომ ბერლინის კონგრესმა და ტრაქტატმა მართლაც წარმატებით გადაჭრა ყველა პრობლემა, გარდა აღმოსავლეთის საკითხისა, რის გამოც შეიკრიბა ეს კონგრესი და შეითხზა ტრაქტატი. აქედან ძნელი არაა დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთის საკითხი, ანუ თურქეთის ბატონობა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, სრულიადაც არ

არის არსებითი ევროპის სახელმწიფრთა წარმომადგენლობისათვის. იგი, როგორც არაერთხელ აღინიშნა, მხოლოდ იმის საბაბი იყო, რომ რუსეთის სამხედრო წარმატებებით შეშინებულ ყოველ მათგანს შეძლებოდა მისი წინსვლის შეჩერება და სულთნის მემკვიდრეობიდან რაიმე მოგების გამოცინცვლა.

ამგვარად, გარდა რუსეთისა, რომელსაც მაშინ ხელთ ეპყრა ბალკანეთის მთელი ნახევარკუნძული, პირველი კლასის სახელმწიფოთა მიერ წარგზავნილი ყველა რწმუნებული მხოლოდ თურქეთის ინტერესებზე ლაპარაკობდა, სინამდვილეში კი საკუთარ მიზნებს ემსახურებოდა; ვთქვათ, განცხადება, თურქეთს მთლიანობა აუცილებლად უნდა შევუნარჩუნოთო, სინამდვილეში დაუმთავრებელი იყო და გულისხმობდა—რუსეთმა უნდა გააკეთოს ეს ჩვენი სარგებლობისთვისო; ამის გამო თურქეთმა, რომლის ბედიც წყდებოდა კონგრესზე, როგორც იტყვიან, ხელი ჩაიქნა და წინასწარვე დათანხმდა ყველაფერზე, რასაც გადაწყვეტდნენ დიპლომატები იმ მოსაზრებით, რომ ისინი ამას თავიანთთვის აკეთებენ და საკუთრივ თურქეთს ამ ამბავთან არავითარი საქმე არა აქვს. ხალხის ცხოვრება ისტორიულად ვითარდება და არა დიპლომატთა გარიგებით, როგორც ჩანს, თურქებმა ეს სხვებზე უკეთ იციან. მას შემდეგ, რაც ევროპული დიპლომატია ბოსფორის ნაპირებზე განმტკიცდა და კონსტანტინოპოლი ევროპის ერთიმეორისაგან საკმაოდ დაშორებული სახელმწიფოების დიპლომატიური ბრძოლის ცენტრად აქცია, თურქებს დრო არ დაუკარგავთ. მათ აითვისეს ევროპულ წარმომადგენელთა დიპლომატიური გამჭრიახობა, დაუმატეს მას აზიური ეშმაკობა, არაკეთილსინდისიერებაც და საკმაოდ გააუმჯობესეს საკუთარი დიპლომატიის ხარისხი. სწორედ მისი წყალობით ბოლო ორმოცდაათი წლის მანძილზე თურქები დიპლომატიური გამჭრიახობით ყოველთვის იმარჯვებდნენ ევროპელ წარმომადგენლებზე, ცალ-ცალკე მოდიოდნენ ეს ოსტატები თუ საერთო ძალითა და კოლექტიურად მოქმედებდნენ.

რამდენი ხანია გვესმის მოსაზრება თურქეთის იმპერიის შემდგომი არსებობის შეუძლებლობის შესახებ,—და ეს ფაქტიურად სწორია,—მაგრამ თურქეთი მაინც არსებობს და კვლავ en echel უჭირავს თავისი ევროპელი მფარველები და მეტოქეები. ეს ფაქ-

ტი აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ თურქული დიპლომატიის მოქნილობით, რომელმაც იცის ევროპულ სახელმწიფოთა ინტერესების წინააღმდეგობა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ახერხებს მათ შორის ქიშპის ჩამოგდებას ისე, რომ თვითონ მხოლოდ დიპლომატიურ ტურნირებს ესწრება, სადაც ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლები რიგრიგობით ეკინკლავებიან ერთმანეთს.

მაგრამ ასეთი სანახაობა თუ დროსტარება, მიუხედავად მთელი მისი მშვენიერებისა, ვერავის ინტერესებს ვერ აკმაყოფილებს, არც თურქებისას და არც ევროპელებისას, რის გამოც აღმოსავლეთის საკითხი ისევ ძველებურად გაურკვეველი რჩება და ძველებურადვე ემუქრება მთელი ევროპის სიმშვიდეს, როგორც ემუქრებოდა თურქეთის უკანასკნელ ომამდე, ბერლინის კონგრესამდე და ბერლინისავე ტრაქტატამდე. თვით ომიც კი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ფაქტიურად, ბერლინის ტრაქტატით არ დამთავრებულა, იგი დღემდე გრძელდება. ავსტრია-უნგრეთის, ბოსნიისა და ჰერცოგოვინის მშვიდობიან აღებას თან ახლდა ფრიად სერიოზული სამხედრო მოქმედებანი. საზღვრის გავლების საკითხი თურქეთსა და საბერძნეთს შორის ამ უკანასკნელს აიძულებს სავსებით მზად იყოს ომისათვის. ვერ მოხერხდა ჩერნოგორიის გამიჯვნა ბერლინელ დიპლომატთა მითითებით. ამან გამოიწვია შეიარაღებული შეჯახება, სეპარატისტული შეთანხმება ჩერნოგორიასა და თურქეთს შორის, ე.ი. ბერლინის ტრაქტატის ნაწილობრივი შეცვლა, რაზედაც ევროპელი დიპლომატები სასწრაფოდ დათანხმდნენ; დათანხმდნენ თვით კოლექტიურად მოქმედებაზეც კი. ეს, თავის მხრივ, იწვევს ბერლინის ტრაქტატის დარღვევის დიპლომატიური წესით ლეგალიზების აუცილებლობას; როგორც გაზეთები გვაუწყებენ, ამას უკვე მოჰყვა ყველა ევროპული სახელმწიფოს შეთანხმება, ისევ ბერლინში მოიწვიონ ახალი კონგრესი, რომელსაც დაარქმევენ ბერლინის დამატებით კონგრესს. ამას კი, ცხადია, მოჰყვება ბერლინის დამატებითი ტრაქტატი, რომელიც მომავალში, ალბათ, მრავალ ახალ დამატებას მოითხოვს და ა.შ.

მომავალს მივანდოთ გადაწყვიტოს ნაყოფიერება ბერლინის როგორც პირველი, ისე ყველა მომდევნო დამატებითი კონგრესისა და ტრაქტატისა, ჩვენ კი უკვე ველარ დავმალავთ ბერლინის

კონგრესის ნამდვილ შედეგებს, რომლებიც, მიუხედავად მოტივთა სხვადასხვაობისა, ერთი აშკარა ფაქტით გამოიხატება—რუსეთის გეოგრაფიული გამოყოფით თურქეთის სულთნის ევროპული ტერიტორიებისაგან. დამოუკიდებელი რუმინეთი შავი ზღვის სანაპიროებიდან ავსტრია-უნგრეთის სამფლობელოებამდე წარმოადგენს პირველ დაბრკოლებას; მეორე რიგში დგანან დამოუკიდებელი ბულგარეთი და სერბია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალი გზა არ შეცვლილა, იგი ისევ იმავე მიმართულებით მოდის, როგორც თ-დმა პასკევიჩმა მიუთითა—ვენაზე გავლით.

58. როშფორის წერილი და დუელი

ჩვენი მკითხველისათვის ცნობილია, რომ ამა წლის 11 (23) მაისს საფრანგეთის უკიდურეს რესპუბლიკელებს განზრახული ჰქონდათ მოეწყოთ დემონსტრაცია კომუნის მონაწილეთა მოსაგონებლად, რომელნიც 1871 წლის მაისში დაიღუპნენ. საფრანგეთის მთავრობამ წინასწარ გამოაცხადა, რომ არ დაუშვებს ამ მანიფესტაციას და შეკრების მონაწილეთა წინააღმდეგ მკაცრ ზომებს მიიღებს. პარიზის ყველა პერიოდული ორგანო და რადიკალური პარტია დაემორჩილა ამ გაფრთხილებას, გარდა რამდენიმე ათეული არცთუ დიდი სახელის მქონე და არცთუ იმდენად უფლებამოსილი პიროვნებისა. შინაგან საქმეთა მინისტრის მითითებით პოლიციის პრეფექტმა ანდრიემ გაფანტა ეს ბრბო და ჩაშალა მანიფესტაცია. ამ ინციდენტმა უდავოდ დიდი პოლიტიკური მოვლენის მნიშვნელობა მიიღო.

პარიზის მუნიციპალურმა საბჭომ (დუმამ), რომლის წევრებიც მანიფესტაციაში არ მონაწილეობდნენ, დაგმო პოლიციის პრეფექტის საქციელი და თავისი პოზიცია დაასაბუთა იმით, რომ თავისუფალ ქვეყანაში, რომელსაც საყოველთაო ხმის მიცემის უფლება აქვს, ხალხის წარმომადგენლობაზე აღმოცენებულ სახელმწიფოს არ უნდა ეშინოდეს არავითარი დემონსტრაციისა და არც მისი მნიშვნელობის გაბერვაა საჭირო. რამდენიმე ათეული ან ასეული მოქალაქე უნდა წასულიყო სასაფლაოზე, მიეტანა გვირგვინები საფლავებზე და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი. ეს დემონსტრაცია ხელს არ შეუშლიდა მათ, კვლავ უმცირესობაში დარჩენილიყვნენ. ასეთივე აზრისა გახლდნენ პარლამენტის ის დეპუტატები, რომელთაც მინისტრს ამის თაობაზე შეკითხვით მიმართეს. პარლამენტმა, კლემანსოს პროტესტი რომ მოისმინა, ხმის დიდი უმეტესობით (300 ხმა 30-ის წინააღმდეგ) მხარი დაუჭირა მინისტრსა და მთავრობას.

საქმე შეიძლება დამთავრებულადაც ჩათვლილიყო, თუ არა როშფორი, რომელიც ამ საქმეში პარლამენტის დებატების შემდეგ ჩაერია. ამ დროისათვის იგი ერთი იმ მრავალთაგანი იყო, რომელნიც გაძევებული გახლდნენ საფრანგეთიდან და რომელთაც არ შეეხოთ ამნისტია, რომელიც, როგორც ცნობილია, საგანგებოდ ისე შეადგინა გამბეტამ, რომ მისით ვერ ესარგებლა

როშფორს, ერთადერთ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომლის ნიჭის, გამბედაობის და გავლენისა არცთუ უსაფუძვლოდ ეშინოდა გამბეტას. 29 მაისს გაზეთში გამოქვეყნდა როშფორის წერილი პოლიციის პრეფექტის ანდრიეს მისამართით:

„ჟენევა, 1880 წ., 27 მაისი

მოწყალეო ხელმწიფევ! პარიზიდან ჩამომიყვანეს ვაჟი, რომელსაც ერთი ჭრილობა თავში მიაყენეს, მეორე—მუცელში. დაჭრეს წინა კვირას, იმ დროს, როცა ბასტილიის მოედანზე მდებარე თავისი ბინიდან გამოდიოდა.

პარიზში იგი იმიტომაა, რომ მოემზადოს გამოცდებისათვის ბაკალავრის ხარისხის მისაღებად. არავითარი გვირგვინი მას ხელში არა სჭერია. მკვლელობის განზრახვით თავდასხმა, რომელიც მას მოუწყვეს, მოახდინა მეოთხე ბრიგადის პოლიციელმა, რომელიც 307-ე ნომერ ბალთას ატარებს. ამასთანავე, ეს პოლიციელი მისი მეთვალყურეც ყოფილა, ვინაიდან მსჯავრდადებულთა ვაჟები დაჯილდოებული არიან იმ სულელთა შეშინების ნიჭით, რომელნიც ჩვენს ქვეყანას მართავენ.

მაშასადამე, არამზადამ, რომელმაც ის დაჭრა, იცოდა, რომ ის, ვისაც თავს დაესხა, ჩემი შვილია. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ არსებობს განკარგულება მისი აკუწვისა, რათა შური იძიონ მამაზე, რომელიც თქვენს მტარვალებს ხელიდან დაუსხლტა.

მე არავითარი სურვილი არა მაქვს სამართლიანობა ვეძებო ისეთი მთავრობის გამგებლობისას, რომელმაც საშუალება მისცა თქვენს კაცს, კეხლინს, დაუსჯელად მოეკლა ადამიანი უეჭველად უპატიოსნო დუელში. ეს რომ ასე არ იყოს, მკვლელი ასეთი გულმოდგინებით არ შეეცდებოდა სასამართლოს მასალების გამოაშკარავებას.

მე მხოლოდ ჩემს მოვალეობად მივიჩნიე გაგაფრთხილოთ, რომ მთელ პასუხისმგებლობას ჩემს ვაჟზე მკვლელობის განზრახვით თავდასხმისათვის წინასწარ მოფიქრებული გეგმით თქვენ გაკისრებთ, როგორც კი ჩამოვალ პარიზში, აუცილებლად მექნება პატივი თქვენი გასილაქებისა.

ამნისტია, თქვენ რომ ასე გაშინებთ, დღეს თუ ხვალ უთუოდ განხორციელდება და მაშინ თქვენს ყურებს ცუდი დღე დაადგებათ ხმლის ასეთი უპასუხისმგებლო ქნევის გამო.

აქამდე მეგონა, რომ თქვენ ამნისტიის წინააღდმეგი იყავით მხოლოდ თქვენი ბოროტების ან სისულელის მიზეზით.

ახლა გასაგებია, რომ თქვენ ამას კეთილგონივრული სიფრთხილის კარნახით სჩადიოდით".

პარიზის გაზეთების სიტყვით, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ წერილმა ისეთი შემაძრწუნებელი ეფექტი მოახდინა პარლამენტსა და ხალხზე, რომ მისი მასშტაბისა და მნიშვნელობის წარმოდგენა გაჭირდება. თავდაპირველად მინისტრი და პრეფექტი ამტკიცებდნენ, რომ ყველაფერი ეს სიცრუეა, მაგრამ შემდეგ, როცა აუცილებელი გახდა ინციდენტის გამოძიება, დადასტურდა, რომ ახალგაზრდა როშფორმა მართლაც ორ ადგილას იგემა მახვილის დარტყმა: ერთი თავში (ვითომდა სიბრტყით), ხოლო მეორე—მუცელში, რის გამოც ბევრი სისხლი დაკარგა.

ამ საქმის შემდგომი მსვლელობის შესახებ ასეთ ცნობებს ვხვდებით პარიზის გაზეთებში.*

ზემოთ მოტანილ წერილში როშფორმა გაკვრით მოიხსენია კეხლინის სამარცხვინო დუელი.

ამ უკანასკნელის დუელი ლიბენბერგთან მართლაც შედგა გასული წლის 1 (13) ოქტომბერს. მიზეზი კერძო ხასიათისა იყო—კეხლინის ფრიად უხეში საყვედური ლიბენბერგისადმი ამ უკანასკნელის არადელიკატური საქციელის გამო მისი (კეხლინის) ოჯახის მიმართ, რაც შეეხება საქმის არსებით მხარეს, იგი მხოლოდ მაშინ გამომზეურდა, როცა პრესაში გამოქვეყნდა სხვადასხვა კომენტარი. ლიბენბერგი მოკვდა ჭრილობისაგან. ვარაუდობენ. რომ დუელი არასწორად, ღირსების კანონთა უგულვებელყოფით იქნა ჩატარებული.

პარიზის პოლიციის პრეფექტმა ანდრიემ, კეხლინის ქვისლმა, ამ დუელის საქმე როგორღაც მიჩქმალა. როშფორი მანამდეც რამდენიმეჯერ მოითხოვდა პრესაში, რომ ეს ბნელი საქმე სასამართლოს განეხილა, თავს ესხმოდა ანდრიესაც და კეხლინსაც; ორთავე დიდხანს დუმდა. ხოლო თავის უკანასკნელ წერილში შვილის თაობაზე როშფორმა განაცხადა, რომ არ შეუძლია იმ მთავრობას ენდოს, რომელმაც ანდრიეს მოყვარეს საშუალება მისცა უპატიოსნო ორთაბრძოლაში მოეკლა ადამიანი, როგორც ვიცით, კეხლინმა თავი შეურაცხყოფილად ჩათვალა და როშფორს შემდეგი წერილი მისწერა:

* ვსარგებლობთ ამ ცნობათა „ნოვოე ვრემიას" რედაქციისეული თარგმანით.

„ტრუა. 1880 წ. 29 მაისი. მოწყალეო ხელმწიფევ, 29 მაისს გაზეთში წავიკითხე თქვენი წერილი პოლიციის პრეფექტისადმი, სადაც თავს უფლებას აძლევთ შეურაცხყოფა მომაყენოთ. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს თქვენს სისულელეს. გარდა ამისა, წერილი შეიცავს ცილისწამებასაც, რაც უკვე სისაძაგლეა. ახლა, როცა გონებამახვილი კაცის რეპუტაცია დაკარგეთ, ხომ არ ცდილობთ არამზადის რეპუტაციის შეძენას? თუ თქვენი მიზანი ეს არაა, მაშინ ინებეთ და მიუთითეთ ჩემს მეგობარ ბ-ნ ალბერტ დიუბრიუჟოს, რომელიც პარიზში, ბონაპარტის ქუჩაზე, 47 ნომერში ცხოვრობს, პარიზსა ან ჟენევაში მცხოვრები ორი პიროვნება, რომლებთანაც შეძლებდნენ მოლაპარაკებას ჩემი სეკუნდანტები. მათ მიერ დანიშნულ დღესა და საათზე მე ჟენევაში ვიქნები.

ჟორჟ კეხლინი“.

როშფორმა ბ-ნ კეხლინს ასე უპასუხა:

„მოწყალეო ხელმწიფევ, გვერდს ვუვლი რა საკითხს, ვარ თუ არა მახვილგონიერი, მოგახსენებთ: თქვენი წერილის შინაარსი საუკეთესო დასტურია იმისა, რომ თქვენ გონებამახვილობის არაფერი გცხიათ. აღნიშნული წერილი იმასაც მოწმობს, რომ თქვენი ქვისლი ბ-ნი ანდრიე, რომელიც მეტისმეტად მშიშარაა საიმისოდ, რათა იკისროს პასუხისმგებლობა ჩემს შვილზე მკვლელობის განზრახვით თავდასხმის გამო, მიგზავნის Coupejarrets (მკვლელებს) დავალებით, შეცვალონ იგი ჩემთან დუელში. დიდი ხანია უნდა მიმხვდარიყავით, რომ თქვენ საჯაროდ უნდა განიწმინდოთ ყველა პატიოსანი ადამიანის მიერ აღიარებული თქვენი დანაშაულისაგან. მე შემეძლო, აგრეთვე, მანამდე მეცდევინებინა თქვენთვის, სანამ ბ-ნი ანდრიე არ მომცემდა იმ განმარტებას, ვალდებული რომ არის მისცეს მამას, რომლის შვილის მოკვლაც სურდა. მაგრამ თქვენც და თქვენი ქვისლიც, ის__დუელისადმი, ხოლო თქვენ__სასამართლოსადმი, ისეთ ნაკლებ მისწრაფებას ამჟღავნებდა, რომ ასე ამ საქმეს ვერასოდეს დავამთავრებდით. მე დაუყოვნებლივ მივწერ ჩემს ორ მეგობარს, რომლებიც თქვენს მეგობრებს მოელაპარაკებიან.

ანრი როშფორი

ჟენევა, 1880 წ. 30 მაისი“.

სეკუნდანტებმა ორთაბრძოლის ასეთი პირობები დათქვეს: დუელი უნდა შემდგარიყო ხმლით და გაგრძელდებოდა მანამ, სანამ ერთ-ერთი მხარის ექიმი, რომელიც ამავე მხარის სეკუნდანტებისგან იქნებოდა მოხმობილი, არ განაცხადებდა, რომ მის კლიენტს აღარ შეუძლია ბრძოლის გაგრძელება. შესვენება შესაძლებელი იყო ორივე მხარის მოთხოვნილებისამებრ.

პირობები შეადგინეს პარიზში, 1880 წ. 31 მაისს. ხელს აწერენ: შოფური, დიუბრიუჟო, ლოკრუა და კლემანსო.

დუელი დაინიშნა 3 ივნისისათვის. წინა დღეს ორივე მხარე სრულიად მშვიდად გამოიყურებოდა: როშფორი ესწრებოდა წარმოდგენას დედამინის ირგვლივ მოგზაურობაზე და ბავშვივით მხიარულობდა. რაც შეეხება კეხლინს, მანაც ძალზე მხიარულად გააატარა დრო თავის სეკუნდანტებსა და მეგობრებთან ერთად. ორივე მხარემ გამოავლინა ერთნაირი ვაჟკაცობა.

ორთაბრძოლა უნდა შემდგარიყო დილის 6 საათზე. შეთანხმების თანახმად, დუელის ადგილი საიდუმლოდ უნდა შეენახათ. პოლიციისათვის თვალის ასახვევად ხმა დაარხიეს, თითქოს დუელი რევოლვერებით დილის 11 საათზე უნდა გამართულიყო.

დილით ადრე, 5 საათზე, ორივე მხარე გამოვიდა ჟენევიდან. ორთაბრძოლა გაიმართა შვიდის თხუთმეტ წუთზე. როშფორს ხმალი გაუვარდა ხელიდან, რის შემდეგაც კეხლინის მახვილი მისწვდა მას და საკმაოდ მძიმე ჭრილობა მიაყენა გულსა და ნეკნებს შორის.

როშფორს რომ ხელიდან ხმალი გაუვარდა, შეჰყვირა: „მე განიარაღებული ვარ და, მგონი, დავიჭერი!“

მაშინვე გაუხსნეს პერანგის საკინძე და ჭრილობიდან სისხლმაც ითქრიალა, ორივე ექიმმა ჭრილობის დათვალიერების შემდეგ განაცხადა, რომ დუელის წესების თანახმად ორთაბრძოლა ველარ გაგრძელდებოდა.

სისხლის დაკარგვით დასუსტებულმა, სიკვდილივით გაფითრებულმა როშფორმა გრძნობა დაკარგა; მისმა სეკუნდანტებმა ინგლისელი ექიმის დახმარებით იგი მახლობელ სახლში გადაიყვანეს, სადაც პირველად შეუხვიეს ჭრილობა. ექიმის აზრით, თუმცა ჭრილობა საშიშთა რიგს მიეკუთვნებოდა, მაგრამ სასიკვდილო არ იყო.

დაჭრილი ჟენევაში წაიყვანეს. მან შეძლო კარეტამდე მისვლა, გზაში როშფორს რამდენიმე თავისი მეგობარი შეხვდა, რომლებიც ალალბედზე იყვნენ წამოსული, რადგან დუელის ადგილი გახმაურებული არ იყო. დილის 10 საათისათვის, ოტელში დაბრუნებისთანავე, როშფორს მეორედ გადაუხვიეს ჭრილობა. მან ორი კვერცხი მიირთვა და ლოგინში ჩაწვა.

ჟენევის პოლიცია უკან მიჰყვებოდა ეკიპაჟებს, მაგრამ ვაადის კანტონის საზღვარზე აღარ გადასულა.

კეხლინის ეკიპაჟის მეეტლე, რომელმაც ეს არ იცოდა, იყო ჟენევის საიდუმლო პოლიციის აგენტი; მას არაფრის გაკეთება არ შეეძლო, რადგან დუელი ვაადის ტერიტორიაზე გაიმართა.

მოხდა უაღრესად კომიკური ამბავი, ვაადის პოლიციამ, რომელიც ჟენევის პოლიციამ გააფრთხილა, რომ მის ტერიტორიაზე უნდა მომხდარიყო სისხლისმღვრელი ბრძოლა და შესაძლოა მკვლელობაც კი, მხოლოდ მაშინ მოისაზრა შემთხვევის ადგილისაკენ წასვლა, როცა მონინააღმდეგეებმა უკვე გადააჯვარედინეს ხმლები. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ შვეიცარიელი პანდორი, მსგავსად ოფენბახის კარაბინერისა, დუელის ადგილზე ძალიან გვიან მივიდა. ჟანდარმებს კეხლინის ეკიპაჟი მაშინ შემოხვდათ, როცა ის უკვე ლოზანის გზას ადგა. კეხლინსა და ერთ-ერთ ჟანდარმს შორის დაახლოებით ასეთი საუბარი გაიმართა:

ჟანდარმი: ხომ არაფერს გვეტყვით დუელზე, ჩვენს უბანში რომ უნდა გამართულიყო?

კეხლინი: დუელზე? ღმერთო ჩემო! რომელ დუელზე? (თავის სეკუნდანტებს მიუბრუნდა)—ხომ არაფერი გაგიგიათ დუელზე?

სეკუნდანტები: არავითარი დუელის ამბავი არ ვიცით.

ჟანდარმი: მაშასადამე, თქვენამდე არ მოუღწევია ამბავს, რომ დუელი მოხდა...

კეხლინი: მეგობრებო, მერწმუნეთ, მე და ამ ბატონებს რომ გვცოდნოდა, რა სისხლისმღვრელი ბრძოლის თეატრად უნდა ქცეულიყო ეს თქვენი მშვიდობიანი ყანები, მაშინვე იქით გავეშურებოდით და შევეცდებოდით ჩაგვეშალა დუელი.

მაშინ პანდორმა მხედრულად აუღო ხელი, დეზი ჰკრა ცხენს და დუელის ადგილის საძებნელად გაეშურა.

სადგურ კოპეში, სადაც კეხლინი საფრანგეთში უკანდასაბრუნებლად ჩაჯდა მატარებელში, კვლავ უნდოდათ მისი დაკავება,

მაგრამ მან დაარწმუნა ვაადელი აგენტები, რომ ისინი ცდებოდნენ. როშფორის სეკუნდანტებიც დაიკავა პოლიციამ, მაგრამ ვერაფერი დაუმტკიცეს და იძულებულნი გახდნენ გაეთავისუფლებინათ.

ოქმი დუელის შემდეგ დაიწერა. 1880 წ. 31 მაისის ოქმში შეტანილი პირობების თანახმად, ორთაბრძოლა შედგა 1880 წ. 3 ივნისს (22 მაისს) კოპეს მახლობლად ვაადის კანტონში. პირველი შეტაკებისთანავე ბ-ნი ანრი როშფორი მკერდში დაიჭრა. ექიმმა განაცხადა, რომ ბ-ნი ანრი როშფორს ძალა აღარ შესწევდა ბრძოლის გასაგრძელებლად.

ხელი მოაწერეს კეხლინისა და როშფორის სეკუნდანტებმა. ჰავასის სააგენტომ 3 ივნისს (22 მაისს) ჟენევიდან პარიზის გაზეთებს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: როგორც კი ბ-ნი როშფორი ჟენევაში თავის ბინაში დაბრუნდა, ექიმმა ჟულიარმა პირველად შეუხვია ჭრილობა ფენოლის სიმჟავით. ჭრილობა პატარაა, მაგრამ ღრმა. დუელის ადგილას სისხლი ბლომად დაიკარგა. ხმალმა შეაღწია მუცლის ზედა არეში. მოწინააღმდეგენი და სეკუნდანტები ისე წავიდ-წამოვიდნენ, რომ სიტყვა არ უთქვამთ ერთმანეთისათვის, კატასტროფა არაა მოსალოდნელი, თუ არ წარმოიშვა რაიმე მოულოდნელი კომპლიკაცია. დღეს, ნასადილევს, დაჭრილმა კარგად დაისვენა.

კლემანსომ პარიზში შემდეგი დეპეშა გაგზავნა: ჭრილობა სერიოზულია, მაგრამ საშიშროება არაა მოსალოდნელი.

Rappel-ის რედაქციამ თვით როშფორს უდეპეშა და მიიღო შემდეგი პასუხი: ჟენევა, 9 სთ, და 8 წთ. ჭრილობიდან ბევრმა სისხლმა იდინა, მაგრამ იგი საშიში არაა. ანრი.

როშფორის სეკუნდანტი კლემანსო მეორე დღეს დეპუტატთა პალატაში ამბობდა, ჭრილობა საშიში არ არის და მისი მალე გამოჯანსაღება უეჭველიაო, ხმლის დარტყმას არ დაუზიანებია მუცლის ფარი, რადგან კეხლინმა თავისი მახვილი მაშინვე ამოაძრო, როცა მოწინააღმდეგეს ხელთათმანიანი ხელიდან ხმალი გაუვარდა. ჭრილობა რომ კიდევ ერთი მილიმეტრით ღრმა ყოფილიყო, სასიკვდილო იქნებოდა.

კეხლინი ოცდაათიოდე წლისაა, გადამდგარი ოფიცერი, მაღალი, საკმაოდ მსუქანი, მხარბეჭიანი და ღონიერი ქერა მამაკაცი, პატარა ულვაშებით; იგი ოსტატურად ხმარობს ხმალს. კეხლინი

განაგებს ერთ მნიშვნელოვან ფაბრიკას ტრუაში. როშფორი და მისი სეკუნდანტები ცნობილი პიროვნებები არიან. კეხლინის სეკუნდანტი დიუბრიუჟო, კავალერიის გადამდგარი უნტერ-ოფიცერი, მეტად ახალგაზრდა და გამხდარი ქერა კაცია, მეტისმეტად გულკეთილი გამომეტყველებით, იგი ნადოს სტამბის თანამონაწილეა ბონაპარტეს ქუჩაზე. შოფური ისევე, როგორც დიუბრიუჟო, კეხლინის პოლკელი მეგობარია, ნამდვილი უნტერის ტიპი: დიდი ულვაშებით, ჭაღარაშერეული თმით, მეომრის ფიზიონომიით.

როშფორისა და კეხლინის დუელს კინაღამ მოჰყვა როშფორის ვაჟის დუელი Caulois-ის ერთ-ერთ კორესპონდენტთან. როშფორის ვაჟმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი ამ გაზეთში დაბეჭდილი რამდენიმე სტატიის გამო. შეიტყო რა, რომ ლაჟენ-ვილარი, Caulois-ის თანამშრომელი, გავლით იმყოფებოდა ჟენევაში, როშფორის ვაჟმა მიუგზავნა მას ოლივიე პენი და ლეპელტე, რათა დუელში გამოეწვია. ვილარი შინ არ დახვდათ, ამიტომ მათ თავიანთი ბარათები და მისამართი დატოვეს. როცა ლაჟენ-ვილარს ბარათები გადასცეს, იგი მიხვდა, რაშიც იყო საქმე და იმ ღამეს არამცთუ სასადილოდ, საერთოდ აღარ დაბრუნებულა ოტელში. როშფორის ვაჟის სეკუნდანტები სამჯერ კიდევ მივიდნენ ოტელში და, როცა დარწმუნდნენ, რომ ლაჟენ-ვილარი განზრახ არ ბრუნდებოდა შინ, შეადგინეს სათანადო ოქმი.

როგორც ამბობენ, იმავე ღამით, მოგვიანებით, როშფორის ვაჟი ქუჩაში მაინც შეხვდა ლაჟენს და ორჯერ გაარტყა სახეში. როცა ეს ამბავი Caulois-ის მთავარმა რედაქტორმა მეიერმა შეიტყო და უფროს როშფორს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„მე არ შემფერის გავარჩიოთ ბ-ნი ლაჟენ-ვილარის საქციელი, რომელიც, სხვათა შორის, უკვე აღარ არის Caulois-ის თანამშრომელი (იგი Figaro-ში გადავიდა და ჟენევაში მოხვდა, როგორც ამ გაზეთის კორესპონდენტი), მაგრამ მე თავს ვიღებ მთელ პასუხისმგებლობას სტატიაზე, თუ ბ-ნმა ლაჟენ-ვილარმა მართლა უარი განაცხადა ამაზე.

ჩვიდმეტი წლის ბიჭთან დუელი, რასაკვირველია, ჩემი საქმე არ არის. ამიტომ მე ამ საქმეს უბრალოდ ვიღებ მხედველობაში და მთლიანად თქვენს განკარგულებაში ვიქნები“.

59. პუშკინის როლი და ადგილი

თბილისი, 1880 წ. 5 იუნისი

„გოლოსმა“[42] გვაუწყა, რომ ხვალ, 6 ივნისს, მოსკოვში შედგება „უდიდესი რუსი პოეტის“ პუშკინის ძეგლის გახსნა. როგორც დედაქალაქის, ისე პროვინციის რუსულმა პერიოდულმა პრესამ უკვე დიდი ხანია მისთვის დამახასიათებელი ლირიზმით ხოტბა აღავლინა „ევგენი ონეგინის“ ავტორის მიმართ. ამ პათეტიკური სტატიებისა და მოწოდებების თვალიერებისას მკითხველი უნებლიედ გადადის თავისი ახალგაზრდობის იმ სევდიან მოგონებებში, როცა გიმნაზიაში ზელენეცკის ლიტერატურის ისტორიის მჭლე კურსის ზუთხვა უხდებოდა. მართლაც, განა სასაცილო არ არის, რომ თანამედროვე პრესაში ენას ვიბრტყელებთ იმ პოეტის მნიშვნელობასა და დამსახურებაზე, რომელსაც სრულიად სამართლიანად „სახალხოს“ უწოდებენ და ციტატები მოგვაქვს იმ ლექსებიდან, რომლებიც ბავშვობიდანვე ზეპირად იცოდა მთელმა წიგნიერმა რუსეთმა? პუშკინი რომ დიდი პოეტია, მან რომ ბევრი რამ გააკეთა რუსული ლიტერატურისათვის და რომ რუსული ლიტერატურა დავალებულია მისგან საუცხოო თხზულებების გამო—ყველაფერი ეს გასაგებია და უდავოა იმათთვის, ვისაც კითხვა და აზროვნება შეუძლია. თუ პუშკინის თხზულებათა გამო ზოგჯერ მაინც რაღაც შეუთანხმებლობაა, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ დგება საკითხი: მართლა ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვთ პუშკინის თხზულებებს ჩვენი თანამედროვე ლიტერატურისათვის, როგორც 20-30-იანი წლების რუსული ლიტერატურისათვის ჰქონდათ, თუ არა. ამ გარემოებაზე შემთხვევით არ ჩამოგვიგდია ლაპარაკი. მხედველობაში გვქონდა რეაქციული მიმართულების ჩვენი ზოგიერთი ჟურნალისტის აშკარა არაკეთილსინდისიერება, რომლებიც ცდილობენ ისარგებლონ პუშკინისადმი ახლანდელი ოვაციებით, რათა ერთხელ კიდევ დაამცირონ უახლესი რუსული ლიტერატურა.

ბატონი „პატრიოტები“ ერთმანეთს ეჯიბრებიან, რათა თანამედროვე მკითხველ საზოგადოებას შეახსენონ, როგორ „უარყოფდნენ“ პუშკინის მნიშვნელობას და დასცინოდნენ მის ნაწერებს რუსული ლიტერატურის პროგრესული წარმომადგენლები. მხედველობაში აქვთ პისარევი და „პისარევშჩინა“. ჩვენ აღარ შევჩერდებით ამ ილეთის არადელიკატურობაზე საკუთრივ პისარევის

მისამართით, რომელიც სრულიადაც არ ხდიდა სადავოდ პუშკინის ისტორიულ მნიშვნელობას, არამედ მხოლოდ ამტკიცებდა, რომ პუშკინის ნაწარმოებები თანამედროვეობის თვალსაზრისით შეუსაბამო და არადამაკმაყოფილებელია. მხოლოდ ერთს ვიკითხავთ—განა კეთილსინდისიერი საქციელია, რუსული ლიტერატურის მთელ პროგრესულ ნაწილს პასუხი აგებინო პისარევის სიტყვებისათვის? რუსული ლიტერატურის ამ ნაწილს ჰყავს გაცილებით უფრო ავტორიტეტული და სერიოზული წარმომადგენლები, ვიდრე „დელოსა"[47] და „რუსსკოე სლოვოს"[26] ნიჭიერი, მაგრამ ტენდენციური კრიტიკოსია. თუ ჩვენ გადავხედავთ მათ თხზულებებს, დავინახავთ მხოლოდ და მხოლოდ პროგრესული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ შეხედულებებს, დავინახავთ, რომ ისინი პუშკინს დიდი პატივისცემით ექცეოდნენ. დავიმოწმოთ თუნდაც ნ.გ. ჩერნიშევსკის მთელი რიგი სტატიებისა პუშკინზე,* რომლებშიაც დიდ პოეტს შიკუთვნებული აქვს საკადრისი ადგილი მისი უდიდესი დამსახურებისათვის. ამ სტატიათა დასაწყისში ჩერნიშევსკი პირდაპირ აცხადებს, რომ წინაპართა მნიშვნელობისა და დამსახურების უარყოფა, მათი სახელისადმი დაუფიქრებელი მოპყრობა შეუძლია მხოლოდ ისეთ ადამიანს, რომელსაც ან თვით არასოდეს არაფერი გაუკეთებია, ან სრულიად არაფრის გაკეთება არ ძალუძს; ხოლო სერიოზული მოღვაწენი, რომლებიც წინ წავიდნენ, არასოდეს დაივიწყებენ წინაპართა დამსახურებას, თვით იმ შემთხვევაშიც კი, როცა მათთან კამათი უხდებათ. რუსულ ლიტერატურაში გოგოლის პერიოდზე დაწერილ იმავე კრიტიკოსის სტატიებში, და ცალკე გამოცემულ მის ბროშურაში „ალექსანდრე სერგის ძე პუშკინი", არაერთხელაა ლაპარაკი პუშკინის დიდ მნიშვნელობაზე, თანაც ისე გულმხურვალედ, ისე გულახდილად, ისეთი აღტაცებით, როგორადაც ძნელად თუ მოახერხებს ამას ჩვენი რეაქციული პრესა. დღეს კი რუსული ლიტერატურის თანამედროვე, უფრო მოწინავე ნაწილი ამ შემთხვევაში სავსებით იზიარებს პროგრესული მიმართულების მთავარი წარმომადგენლის შეხედულებას. ეს ჩანს იქიდან, რომ ზეიმის ორგანიზატორებად, პუშკინის ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით, გვევლინებიან არა ურა-პატრიოტები, არამედ ჩვენი პრესის უფრო მოწინავე წარმომადგენლები.

---

* „სოვრემენიკი" 1855, 1856 წ.წ., ოთხი ერცელი კრიტიკული სტატია ბ-ნ ანენკოვის მიერ გამოცემული პუშკინის თხზულებათა კრებულის გამო.

მაშ, ასე, ერთის მხრივ—რიტორიკის სახელმძღვანელოებიდან ამოწერილი უშინაარსო ფრაზები პუშკინის დიდ მნიშვნელობაზე, მეორე მხრივ—მოხერხებული შემთხვევით სარგებლობის ცდა, რათა ბრბოს თვალში სახელი გაუტეხო ჩვენი ლიტერატურის პროგრესულ ფრთას,—აი, ყველაფერი ის, რაც აქამდე მოგვცა ჩვენი პერიოდული გამოცემების უმეტესმა ნაწილმა. სინამდვილეში კი დღევანდელი ზეიმი მოაზროვნე ადამიანს ბევრად უფრო სერიოზულ პრობლემებს აღუძრავს და ჩვენს მოვალეობად მივიჩნევთ შევახსენოთ ეს მკითხველს.

უდიდესი რუსი სახალხო პოეტი უდავოდ ბუნებისაგან იყო დაჯილდოებული გამორჩეული ნიჭითა და გონიერებით, რაც არ არის ყველა პოეტისა და მწერლის წილხვედრი. უაღრესად გამჭრიახი და მახვილი გონება, სიბეჯითე შრომაში, მგზნებარე დამოკიდებულება ყველაფრისადმი, რასაც კი ხელს მოჰკიდებდა, განზოგადების უნარი,—ერთი სიტყვით, პოეტისა და მოაზროვნისათვის აუცილებელი ყველა თვისება პუშკინს ჭარბად ჰქონდა. რუს მგოსანთაგან არც მანამ და არც მის შემდეგ ასე არავინ ყოფილა განდობილი

„В гармонии стиха божественны я тайны"... მის თანამედროვე რუს მწერალთაგან თითქმის არავის ჰქონია ასეთი ბრწყინვალე ტალანტი და ასეთი სერიოზული წარმოდგენა მწერლის დანიშნულებაზე. საკმარისია წაიკითხოთ სულ ათიოდე სტრიქონი მისი ნებისმიერი თხზულებისა, რათა გაიგოთ, რომ პუშკინში განხორციელებული იყო სინთეზი უკლებლივ ყველა იმ ელემენტისა, რაც აუცილებელია იმისათვის, რათა პოეტმა და მოაზროვნემ შეძლოს წარუშლელი კვალის დატოვება არა მარტო ლიტერატურული მეტყველების სისტემაზე, არა მარტო პოეზიის სინატიფეზე, არამედ და, უმთავრესად, საზოგადოებრივ ყოფიერებასა და ქვეყნის სახელმწიფოებრივ განვითარებაზე. მაგრამ, რატომ მოიპოვა პუშკინმა ასეთი დიდი მნიშვნელობა მხოლოდ თავისი ხალხის ლიტერატურულ ცხოვრებაში და სრულიად არავითარი როლი არ შეუსრულებია პოლიტიკურ სფეროში?

ჩვენი აზრის ნათელსაყოფად გავიხსენოთ თუნდაც ვიქტორ ჰიუგო, რომლის ტალანტსა და ლიტერატურულ მნიშვნელობასთან პუშკინს ბევრი რამ აქვს საერთო. ვიქტორ ჰიუგო უდავოდ ისევე ძვირფასია ფრანგებისათვის, როგორც პუშკინი რუსეთი-

სათვის თუნდაც იმით, რომ ღვთაებრივ ენას დაუახლოვა თავისი სამშობლოს ლიტერატურული ენა და მანამდე არსმენილი ჰარმონია მიანიჭა მშობლიურ პოეზიას. მაგრამ კიდევ უფრო მეტად ძვირფასია ჰიუგო ფრანგებისათვის იმიტომ, რომ მან შეძლო მთელი თავისი ძლევამოსილი ტალანტი და აზროვნების შემოქმედებითი ძალა საფრანგეთის სოციალური განვითარებისათვის მიეძღვნა. ვიქტორ ჰიუგოს სიცოცხლის მანძილზე საფრანგეთის ცხოვრებაში არ ყოფილა ისეთი საზოგადოებრივი საკითხი, ისეთი სოციალური მოვლენა, ისეთი ფესვგამდგარი ბოროტება, რომელსაც არ გამოხმაურებოდა პოეტის ხან მტირალი, ხან მძვინვარე და ხანაც სიხარულით ფრთაშესხმული მუზა. და საფრანგეთს, რომელიც მისი გენიით ამაყობს, გაცილებით მეტი უფლება აქვს იამაყოს საკუთარი თავით, რადგან მან მისცა ამ გენიოსს ღირსეული და შესაფერისი ასპარეზი...

ჩვენ არ შევურაცხყოფთ გენიალური რუსი პოეტის აჩრდილს, თუ ვიტყვით, რომ სულ სხვაგვარი იყო მისი ხვედრი ჩვენში. თუ ასეთი ამაღლებული თვალსაზრისით შევხედავთ პუშკინის მნიშვნელობას რუსეთის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, ყველა დაგვეთანხმება, რომ ამ სფეროში პუშკინის როლი სრულიად უმნიშვნელო და შეუმჩნეველი იყო; უმნიშვნელო იყო დიდი პოეტის ტალანტსა და განათლებულ გონებასთან შედარებით. მისმა თხზულებებმა რუსულ საზოგადოებას კითხვის წყურვილი და ლიტერატურისადმი სიყვარული განუვითარეს, ხოლო ამ წყურვილმა და სიყვარულმა მხოლოდ გარკვეული დროის მანძილზე გააძლიერეს ქვეყნის განათლების საქმე, გამოიწვიეს მოთხოვნილება მისი გაუმჯობესებისა და ცვლილებებისა. მაგრამ პირდაპირი და უშუალო ზემოქმედება თავისი ხალხის ბედისა და ყოფიერების გაუმჯობესებაზე პუშკინს არ მოუხდენია, მიუხედავად თავისი ტალანტისა და იმისა, რომ იგი მთელი თავით მაღლა იდგა თავის თანამედროვეებზე.

პუშკინს შესანიშნავად ესმოდა თავისი თავის ჭეშმარიტი ფასი, როცა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, 1836 წლის ბოლოს, დაწერა ცნობილი ლექსი „ძეგლი“.

Слух обо мне пройдет по всей Руси великой,)
И назовет меня всях сущий в ней язик:

И гордый внук славян и фин и нине дикой
Тунгуз, и друг степей калмык.

И долго буду тем народу я любезен,
Что чувства добрыя я лирой пробуждал,
Что прелестью живой стихов я был полезен
И милость к падшим призывал.

პუშკინს ესმოდა, რომ რუსეთის პოლიტიკური განვითარების სასარგებლოდ აქტიური მოღვაწეობისათვის მას მხოლოდ ერთი როლი დარჩა შესასრულებელი—„მოუწოდოს დაცემულთა შეწყალებისაკენ". მაგრამ კითხვას—შეძლებდა თუ არა მისი გენია უფრო დიდი როლის შესრულებას ამ ასპარეზზე—გვერდი არ უნდა ავუაროთ.

ჩვენ ყველანი რატომღაც დარწმუნებული ვართ, რომ ვიცნობთ პუშკინს, თითქოს რუსეთმა იხილა თავისი შეუდარებელი პოეტის შესაძლებლობების სრული აყვავება. რა დიდი შეცდომაა! ტალანტის ძალასა და ბრწყინვალებაზე მხოლოდ მაშინ შეგვექმნება რეალური წარმოდგენა, როდესაც დავინახავთ ადამიანს დიდი და სერიოზული სამუშაოს შესრულებისას, მართლაც რომ შეესაბამება გენიოსის ძალებს. გოლიათის ნამდვილ ძალას ვერ შევიცნობთ მანამდე, სანამ იგი ბურთის თამაშით ერთობა. ასეთ დროს ჩვენ, ალბათ, გავიფიქრებთ, რომ იგი ჩვეულებრივი კაცი არ გახლავთ... მაგრამ, აბა, მიეცით მას ღირსეული ამოცანა, რომელიც მისი ძალისა და ნიჭიერების სრულ დაძაბვას მოითხოვს. ასეთ შემთხვევაში ეჭვი არაა, ჩვენ მთელი სისავსით შევიგრძნობთ, რა ძალაა ჩვენს წინაშე. თუმცა პუშკინის მიმართ შესაძლებელია არც შემოვიფარგლოთ ასეთი განყენებული ხერხით იმ დადებითი მონაცემების გამო, რომლითაც აღსავსეა მისი თხზულებები.

პუშკინმა მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ მიმართა თანამედროვეობის მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებს, ოღონდ, სამწუხაროდ, ეს მოხდა მისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში, მას შემდეგ, რაც რამდენიმე მარცხმა ფრთები შეაკვეცა პოეტის აღმაფრენას, ხოლო თანამედროვე საზოგადოების აპათიამ აიძულა კონსერვატორთა ბანაკს მიჰკედლებოდა. ჩვენ არ შევეხებით ამ საკითხებისადმი მიძღვნილი ლექსების არსს, რადგან „ობზორის"

მკითხველებს თვითონაც შეუძლიათ მათი ამ კუთხით შეფასება, მაგრამ, თუ გვერდს ავუვლით ამ ლექსების შინაარსს და ჩავუკვირდებით მხოლოდ მათს ფორმასა და გამოხატვის სიძლიერეს, ყველა დაგვეთანხმება, რომ პუშკინის ლექსები, რომლებიც დღესაც ითვლებიან რუსული პოეზიის მიუნვდომელ ნიმუშებად, არასოდეს ამაღლებულან ასეთ უნიკალურ გამომსახველობით სიძლიერემდე. რუს პოეტთაგან, აბა, რომელი ამაღლებულა, მაგალითად, ამ სტროფების ფრიად მეტყველ სახეებამდე და ეღერადობამდე, რომლის შინაარსსაც არ გვინდა შევეხოთ:

"Иль мало нас? Или от Пермы до Тавриды,
От финских хладних скал до пламенной Колхиды,
От потрясенного Кремля
До стен недвижного Китая,
Стальной щетиною сверкая,
Не встанет русская земля?
Так высылайте-жеь нам, литии,
Своих озлобленных сынов:
Есть место им в полях Росии,
Среди не чутдых им гробов."[48]

სამწუხაროდ, იმ სფეროში, რომელზედაც ჩვენ ვსაუბრობთ, პუშკინს შეეძლო მხოლოდ ასეთი ცალმხრივი სიუჟეტები შეეთხზა. მაგრამ დარწმუნებული ვართ, იმ პირობებს, რომლებშიაც მაშინ იმყოფებოდა რუსული ლიტერატურა, საშუალება რომ მიეცათ პუშკინისათვის, იგი შეეხებოდა რუსეთის ცხოვრების უფრო სერიოზულ საკითხებსაც, და დღეს მისი მნიშვნელობა რუსეთისათვის გაცილებით დიდი იქნებოდა თვით ლექსის ფორმის თვალსაზრისითაც კი, აღარაფერი რომ არ ვთქვათ მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის სხვა მხარეებზე ქვეყნის განვითარების ისტორიაში.

დიდი ხანია დროა შევიგნოთ, რომ „გამოჩენილ ადამიანთა" როლი მათი სამშობლოს ცხოვრებაში სრულიადაც არ განისაზღვრება მხოლოდ ამ პიროვნების ტალანტით, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პირობებსაც, რომელშიაც ის ცხოვრობს და რომელსაც უქმნის მას მისი თანამედროვეობა. გენიალურმა რუსმა პოეტმა, თავის

მხრივ, გააკეთა ყველაფერი, რაც შეეძლო და ჩვენ უფლება არა გვაქვს კიდევ რაღაც მოვთხოვოთ მას. მაგრამ სულ სხვა საკითხია და პოეტის ხსოვნას ოდნავადაც არ შეურაცხყოფს, თუ ვიკითხავთ: განა პუშკინმა გააკეთა ყველაფერი ის, რასაც მისი ტალანტისაგან ელოდნენ თანამემამულენი? თუ თანამედროვე პირობებმა არ მისცეს მას ამის საშუალება, თუ იგი იძულებული ხდებოდა თავისი გონებისა და ტალანტის დიდი ძალა წვრილმანებზე ეხარჯა, რომელთა არარაობაც კიდევ უფრო რელიეფურად იკვეთება მისი გენიის გრანდიოზულობის ფონზე, მაშინ საყვედური პოეტის სიმპათიურ პიროვნებას კი არ ეკუთვნის, არამედ მთელ რუსეთს, მის მაშინდელ მდგომარეობას... რაც შეეხება თვითონ პუშკინს, მან შესანიშნავად ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი ამ საკითხზე, როცა წერდა:

„Беда стране, где раб и льстец
Одни приближены к Престолу,
А небом избранный певец
Молчит, потупя очи долу!“[49]

ეს ვითარება პუშკინის შემდეგაც არ გამქრალა. პუშკინის ნაადრევი სიკვდილიდან ოცდახუთი წლის შემდეგ კრიტიკოსი, რომელიც სტატიის შესავალში მოვიხსენიეთ, სრული საფუძვლიანობით მიგვითითებდა „ცხოვრების სიცარიელეზე“, როგორც პუშკინისა და ლერმონტოვის სიკვდილის მიზეზზე. გარემო ცხოვრებას რომ არ გაეწირა ეს დიდი ადამიანები უმოქმედობისა და ფუჭი არსებობისათვის,—წერდა დასახელებული კრიტიკოსი,—ისინი ამ სიცარიელიდან, მათ რომ სულს უყინავდა, ერთადერთ გამოსავალს არ მოძებნიდნენ თითქმის უაზრო დუელებში. სხვა ადგილას იგივე კრიტიკოსი, როდესაც მიუთითებს რუსი პოეტის მნიშვნელობაზე, რომელიც იძულებული იყო ეწერა წვრილმანებზე და გვერდი აევლო იმისათვის, რაც მის გულსა და გონებას ამოძრავებდა, ღრმა სულიერი ტკივილით ასახელებს სევდას, რომელმაც ნაადრევად ჩაიყვანა სამარეში არა მარტო პუშკინი, არამედ რუსული ლიტერატურის თითქმის ყველა საუკეთესო წარმომადგენელი. მეტად მძიმეა,—ხმამაღლა თქვა მან,—უბრძანო საკუთარ თავს; წერე ლავროვსა და შოპენჰაუ-

ერზე, კერისა და ბუსლაევზე, ძალა დაატანე თავს ამ აბდაუბდისათვის, რომელიც სხვა არაფრისთვისაა საჭირო, თუ არა ძილის გასაფრთხობად, და იცოდე, რომ ზოგიერთები ახლა მხოლოდ ამისთვის გცემენ პატივს!..

ვესალმები რა დიდი პოეტის ძეგლის გახსნას, იმედი მაქვს, რომ ცხრა მთას იქით აღარაა ის დრო, როცა ეს დამამცირებელი მდგომარეობა, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში უკეთესობისაკენ მოტრიალდა, საბოლოოდ გაქრება, უკეთეს წესწყობილებას დაუთმობს გზას, როცა ერის მშვენებას და საამაყო მწერლებს აღარ დასჭირდებათ.

„Молчать, потупя очи долу!“

60. საკვირაო საუბრები

როშფორის დუელი.—როშფორის კალმის ძალა.—როგორ ახდენს იგი გავლენას პარლამენტსა და ბირჟაზე.—მისი ცხოვრების ტრაგიკული პერიპეტიები.—ბრძოლა ნაპოლეონ III-სთან.—როგორ უარყოფენ რადიკალები როშფორთან სოლიდარობას.—„ის სახელს გაუტეხს საქმეს“.—ვაის გავეყარე, ვუის შეეყარე.—როშფორის ნერვიულობა.—მისი სიმამაცე და გულჩვილობა.—ალბერტ ვოლფის აზრი როშფორზე.—შრისხანება და მწუხარება როშფორის ცხოვრებაში,—რატომ არაა იგი კეთილგონიერი და რა იქნებოდა, ასეთი რომ ყოფილიყო?—ბურჟუაზიულ ნატურათა უტოპიური ოცნებანი.—მიწის მარილი.

როშფორის ბოლო დუელმა კვლავ მთელი ევროპის ყურადღების ცენტრში მოაქცია ეს შესანიშნავი მწერალი, რომლის პიროვნებაც მტკიცედ ჩაეწნა საფრანგეთის თანამედროვე ისტორიას. პერიოდულ პრესაში მას კვლავ უძღვნიან უამრავ სტატიას, რომელთა ავტორები კვლავ და კვლავ განიხილავენ ამ გენიალური პამფლეტისტის ხასიათსა და საქციელს. სტატიათა ამ გროვაში საკმაოდაა ისეთი წერილებიც, რომლებიც გადმოგვცემენ როშფორის ლიტერატურული საქმიანობის ყველასათვის საინტერესო მხარეებს. ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, თუ ამ მომენტებს ჩვენც შევეხებით...

მართლაც, ვინ არის როშფორი? შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი ლუი ბლანის მსგავსად წარმომადგენელია რომელიმე გარკვეული მოძღვრებისა, რომელსაც გაბატონების იმედი აქვს? იქნებ გამბეტასავით რომელიმე უკვე ჩამოყალიბებული პარტიის წარმომადგენელია, რომელსაც შეუძლია მცირე დროში ქვეყნის მმართველობის საჭე იგდოს ხელთ? შესაძლებელია, იგი, მსგავსად ბროლისა, მრავალრიცხოვან მეგობართა და მიმდევართა ძალებს ეყრდნობა? მაგრამ ყველა, ვინც ოდნავ მაინც იცნობს თანამედროვე საფრანგეთის შინაურ ცხოვრებას, უარყოფითად უპასუხებს ამ კითხვებს. რა გაეწყობა, ასეთ შემთხვევაში ჩვენ თვითონ უნდა შევეცადოთ ჩავწვდეთ, როგორ მოახერხა ამ მარტოხელა კაცმა დიდი გავლენა მოეხდინა თავისი ქვეყნის ბედსა და თანამედროვეთა აზროვნებაზე?

★

ნაპოლეონის დროს ერთმა შორსმჭვრეტელმა ადამიანმა, ცნობილმა ჰერცოგმა მორნიმ, ჯერ კიდევ „ფარანის“[50] დაარსებამდე დიდი ხნით ადრე, როცა როშფორის პირველ ორ-სამ პატარა სტატიას გაეცნო, წინასწარ განჭვრიტა ამ დამწყები მწერლის არაჩვეულებრივი ძალა და წინასწარმეტყველურად შესძახა:

—ამ ადამიანს შეუძლია სრულიად მარტოდმარტომ ააფეთქოს მთელი მთავრობა(Cet homme est capable de fair sauter, a lui tout seul, tout un gouvernement)!

შემდეგდროინდელმა ამბებმა აშკარად დაგვანახვა, თუ რაოდენ დიდი სიმართლე იყო ამ წინასწარმეტყველურ სიტყვებში...

★

რაში მდგომარეობს ეს, როგორც ჩანს, ზებუნებრივი ძალა? რით უნდა ავხსნათ, რომ ამ მწერლის კალმით შექმნილ ყოველ სტრიქონს ელექტრული დენის ძალა აქვს, რომელიც მთელ საფრანგეთს აცახცახებს და ფეხზე აყენებს თითქმის ყველა მის მოღვაწეს? რატომ მიაპყრობს ყურს მისი წერილების ყოველ ფრაზას ისე, თითქოს მოახლოვებული ჭექა-ქუხილიაო, ყველაზე უფრო პოპულარული და ძლიერი პარლამენტი იმ პარლამენტთა შორის, აქამდე რომ ჰყოლია საფრანგეთს? რატომ ხდება ფასების აწევ-დაწევა ფრანგულ და შესაბამისად ევროპის ყველა ბირჟაზე მისი კალმის ერთი მოსმით? როგორ მოხდა, რომ როშფორმა, სრულიად მარტოდმარტომ, თავისი კალმით მიაღწია ისეთ შედეგებს, რომლებიც ითვლებოდნენ სრულიად მიუღწევლად საფრანგეთის ყველა „ღრმად მოაზროვნე“, „მეცნიერ“, „გამოცდილ“ და „მნიშვნელოვან“ მოღვაწეთა მიერ?

ეს კითხები უნებლიეთ აღეძვრის ყველას, ვინც კი როშფორს გაიხსენებს.

★

მეორეს მხრივ, თანამედროვე ევროპაში, ალბათ, არ მოიძებნება ადამიანი, რომლის ცხოვრებაც ასეთი ტრაგიკული პერიპეტიებისაგან შედგებოდეს. სრულიად უცნობმა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც „არავის აღუჭურვია არავითარი უფლებით“, არაფრისმაქნისმა ფელეტონისტმა“ პირდაპირ და აშკარად ესროლა

სახეში ხელთათმანი ევროპის მპყრობელთა შორის უძლიერესს და დაუნდობელ ბრძოლაში გამოიწვია. კარგად მახსოვს ეს მომენტი, დღესაც კი თვალწინ მიდგანან მაშინდელ „მოწინავე" ადამიანთა სახეები, გაფითრებული გაოცებისა და საშინელის მოლოდინისაგან. ყველა ეს ლიბერალები თუ რადიკალები, ეს ედმონდ აბუები თუ ჟიულ ფავრები, ეს ჟიულ ფერები და ფრანცისკო სარსები ერთმანეთს აღარ აცლიდნენ, ისე გაიძახოდნენ:

—რა სისულელეა, რა ბავშვობაა! ის მხოლოდ იმას მიაღწევს, რომ გაამძვინვარებს მას („ის", ანუ როშფორი, „მას", ე. ი. ნაპოლეონ III). რა ხეირია ამ უნაყოფო და სულელურ ბრძოლაში ჩაბმა იმ მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც საბოლოოდ განმტკიცდა. ძალა აკი აღმართსაც ხნავს!

ყოველივე ეს იწერებოდა და იბეჭდებოდა ყველანაირ ყაიდაზე, გარდა ამისა, რაღას არ ლაპარაკობდნენ რადიკალურად განწყობილ რესპუბლიკელთა წრეებში! რა ქედმაღლურად უყურებდნენ როშფორს და როგორ დასცინოდნენ მის სისულელეს! მაგრამ ყოველივე ეს არაფერია იმ სამარცხვინო სიმხდალესთან შედარებით, რომელსაც რადიკალთა გამოჩენილი წარმომადგენლები იჩენდნენ, როდესაც როშფორს საჯაროდ უცხადებდნენ უარს ყოველგვარ სოლიდარობაზე; იმ ეპოქის პრესა გააფთრებით ეძგერა მას, რადგან მოღალატედ მიიჩნია იგი, იმ „თავისებური" ხერხების გამო, რომლითაც ებრძოდა მეორე იმპერიას.

პარიზის ახალგაზრდობამ მაინც დაუჭირა მხარი გამბედავ კაცს და ყველასათვის მოულოდნელად როშფორი ნაპოლეონის პარლამენტის დეპუტატად იქნა არჩეული. რესპუბლიკელები აქაც განზე გაუდგნენ მას თავდაუჭერელი გამოხდომების გამო, მაგრამ როშფორმა თავისი არ დაიშალა და საბოლოოდ მაინც მოახერხა, როგორც ამბობენ, „ეჟვანი შეება" მოხეტიალე კატისათვის, ანუ შეძლო ყველასათვის თვალნათლივ ეჩვენებინა, რომ იმპერატორი არც ისე ძლიერი და დაუმარცხებელია, როგორც აქამდე ეგონათ.

★

რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, 1870 წ. 4 ოქტომბერს, პარიზელებმა როშფორი ხელში აყვანილი გამოიყვანეს ციხიდან, რათა დროებითი მთავრობის წევრად დაესვათ. პატიმარი, რომე-

ლიც მოულოდნელად მმართველად მოგვევლინა, მალე დარწმუნდა, რომ საჭურისებთან შეუძლებელია ისეთი საერთო საქმის კეთება, რომელიც ენერგიასა და გაბედულებას მოითხოვს. როშფორი თავმდაბლად ჩამოშორდა მათ. შემდეგ თავისი უცნაური ბედის გამო ორ ცეცხლშუა__კომუნასა და ბურჟუაზიულ რესპუბლიკას შორის მოქცეული როშფორი თავისი მკაცრი ლოგიკით შეუბრალებლად ამხელდა როგორც ერთი, ისე მეორე მხარის შეცდომებსა და დანაშაულს. კომუნამ მისი დაპატიმრების ბრძანება გასცა. სისხლით დამთვრალ კომუნარებს რომ ემალებოდა, როშფორი ხელში ჩაუვარდა გამძვინვარებულ ვერსალელებს, რომლებმაც მას კალედონიის კატორღა მიუსაჯეს. ავადმყოფმა, თითქმის მომაკვდავმა როშფორმა, რომელსაც თან ბროლის არგუსები მიუჩინეს სადარაჯოდ, მაინც მოახერხა გაქცევა. და ახლა, როდესაც „რადიკალები" მოვიდნენ საფრანგეთის მმართველობის სათავეში, განზრახ ისე შეადგინეს ამნისტია, რომ რესპუბლიკის საზღვრებში შესვლა ვერ შეძლოს იმ ადამიანმა, რომელმაც, საყოველთაო აზრით, ყველაზე მეტი გააკეთა იმპერიის დასამხობად და რესპუბლიკის დასამყარებლად. განა ეს ისტორიული უბედურება არ არის?

★

ისმის კითხვა: სინამდვილეში ვინ იყო „უფრო უჭკუო" და ვინ უფრო „შროსმჭვრეტელი",__როშფორი თუ ის „ჭკუის კოლოფები", როშფორისგან თავი შორს რომ ეჭირათ? ვინ უფრო მეტი გააკეთა? ვინ უფრო ნათლად ჭვრეტდა მომავალს და გონივრულად წონიდა აწმყოს?

და კიდევ ერთი კითხვა: ახლა რიღასი ეშინიათ ამ „ჭკუის კოლოფებს", რატომ უკეტავენ როშფორს ასე გულმოდგინედ საფრანგეთის კარს?

რისი ეშინიათ? მართლა მათი კონკურენტი ხომ არ არის როშფორი, პრეზიდენტის ან მინისტრის თანამდებობას ხომ არ ართმევს მათ, ან იმათ ჯამაგირსა და შემოსავალზე ხომ არ აცხადებს პრეტენზიას? განა ისეთი ადამიანები, როგორიც როშფორია, მმართველობას უმიზნებენ? განა თვით მათი ტემპერამენტი არ გვიჩვენებს, რომ დიდი ჯამაგირისა და პატივისცემის „წყნარი ნავსაყუდლისაკენ" არ მიაქანებს მათ უძლეველი განგება?

„ჭკუის კოლოფებს“ შესანიშნავად ესმის ეს, მაგრამ, ამასთანავე, აღიარებენ, რომ ამგვარი ადამიანებისათვის დამახასიათებელი მკაცრი ლოგიკა და სრულყოფის წყურვილი არცთუ ისე მცირე საზრუნავსა და მღელვარებას უმზადებს მათ. ბურჟუაზიულ ნატურათა საჭურისულ სულს, უმთავრესად და პირველ ყოვლისა, სწყურია მოსვენება და სიმშვიდე. რა ესაქმებათ იმასთან, რომ სამშობლოს ბედი არასახარბიელოა, რომ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი პროგრესისათვის, რომ საჭიროა წინსვლა და წინსვლა. ყველაფერი ეს ხომ მოითხოვს „საქმიანობას“, „შრომას“. ბურჟუაზიის „ჭკუის კოლოფებმა“ კი „თავისას“ მიაღწიეს. მოიპოვეს სახელი და დიდებაც კი, იშოვეს თბილი ადგილები და მთლიანად უზრუნველყოფილნი არიან. რაღა უნდა ისურვონ მეტი? მათთვის ის ადამიანი, ვინც არ კმაყოფილდება მიღწეულით და იღვწის სამშობლოს შემდგომი წარმატებისათვის, იგი ბუნტისთავი და საზოგადოებრივი სიმშვიდის მტერია, და მხოლოდ მიღწეული შედეგების „კომპრომენტაციას ახდენს“. უპირველესად სწორედ ეს თვითშენახვის ინსტინქტი წარმოადგენს „ჭკუის კოლოფთა“ მტრული დამოკიდებულების საფუძველს „დაუდგრომელ გონებასთან“.

სად ვეძებოთ პასუხი შეკითხვაზე—რა ძალა ამოძრავებს ისეთ ადამიანებს, რომელნიც სულ წინ მიისწრაფვიან და არ წყალობენ ჩასუქებულ ბურჟუათათვის ასე სანატრელ სიმშვიდეს?

ჩვენი დროის ერთმა შესანიშნავმა იუმორისტმა ალბერტ ვოლფმა, რომლის პიროვნებაშიაც ერთმანეთს ერწყმის გერმანელი ლირიკოსი, პარიზელი ქრონიკიორი, პრუსიელი პროგრესისტი და ფრანგი რეტროგრადი, შესანიშნავად აღწერა ამ დღეებში როშფორის ხასიათის ზოგიერთი ნიშანი. თორმეტი-ცამეტი წლის წინ ვოლფი და როშფორი დიდხანს თანამშრომლობდნენ“ „Figaro“-ში.

„შეუძლებელია როშფორის ხასიათის გაგება,–წერს ალბერტ ვოლფი,–თუ მასთან ახლოს არ გიცხოვრია. განრისხების მომენტში იგი ანგარიშს აღარავისა და აღარაფერს აღარ უნევს. და ეს ადამიანი, რომელიც ჩვეულებრივ არაჩვეულებრივად მახვილგონიერია, ასეთ წუთებში თითქმის მთლიანად კარგავს გონებას. რა აღარ შეიძლება დასწამოს მან მოწინააღმდეგეს, შეურაცხყოს და დაამციროს მისი ღირსება. იგი ბრმად მიიწევს წინ, არაფერს ერი-

დება, იარაღად იყენებს ყველაფერს, რაც კი გონებაში გაუელვებს ან ხელში მოხვდება. წერისას არაფერზე არ ფიქრობს, არც არავითარი შედეგისა არ ეშინია, ამიტომ მისი შეჩერება თავდასხმისას შეუძლებელია. იგი დაუფიქრებლად დებს სასწორზე საკუთარ სიცოცხლეს მონინააღმდეგის რეპუტაციის საზიანოდ.

ასეთი იყო იგი მუდამ: მას წინასწარ არასოდეს არ გაუანალიზებია თავისი საქციელის შესაძლო შედეგები".

★

არ დაგავიწყდეთ, რომ ამას წერს არა მეგობარი, არამედ მოსისხლე მტერი და წერს გაზეთში, რომელიც მუდამ ებრძოდა როშფორს.

ვნახოთ რას წერს შემდეგ ვოლფი.

„რაც შეეხება როშფორის პირად მამაცობას, იგი არავისზე ნაკლები არაა, ოღონდ ეგ არის, რომ მისი მამაცობა არაა დინჯი და მოფიქრებული პოზიციის შედეგი. იგი იმდენად ნერვიულია, რომ ვერასოდეს ვერ შეძლებს იყოს აუღელვებელი. შესაძლებელია, მას შემდეგ როშფორს ხასიათი შეეცვალა, მაგრამ ეს ძალზე საეჭვოა. იგი დუელში ისევე იბრძვის, როგორც წერს: განრისხებისას ანგარიშს არ უწევს თავისი სიტყვების მნიშვნელობას და ოდნავადაც არ ითვალისწინებს მოსალოდნელი საფრთხის მასშტაბს, მაგრამ, თუ იგი პირადი საფრთხით არ არის აღგზნებული, ნერვიულობა სჭარბობს სიმამაცეს და როშფორი საშინელ „დაძაბულობას" ამჟღავნებს. უნდა იცნობდე როშფორს, რომ ზუსტად გაიგო მისი ცხოვრების ყველა ფაზა. ვიდრე ამ ამოუცნობი ტემპერამენტის სუსტ მხარეებს შევეხებოდე, მსურს ვისაუბრო მის უეჭველ სიმამაცეზე.

მაგალითად, მას ბრალად სდებენ, რომ ცუდად გახდა ვიქტორ ნუარეს დასაფლავებაზე. მე კარგად მესმის ეს შემთხვევა: როშფორს შეეძლო ებრძოლა თვით პრინც პიერ ბონაპარტესთანაც კი, თუნდაც ქვემეხებით; მაგრამ, ამ შემთხვევაში, უზარმაზარი პასუხისმგებლობისა და გაუგებრობის ბურუსში გახვეულს, ნერვებმა უღალატეს. პირდაპირ მიდის ხიფათისაკენ, თუ წინასწარ შეიცნო იგი, მაგრამ მოულოდნელობის ვითარებაში მისი სულიერი სიმშვიდე უკვალოდ ქრება. ვიქტორ ნუარეს დაკრძალვის დროს როშფორის გულის შეღონება პირველი შემთხვევა არ ყოფილა მის

ცხოვრებაში. ერთხელ როშფორი სეკუნდანტი იყო ორელიან შოლისა, რომელიც პოლ კასანიაკს ებრძოდა. როცა მკერდში დაჭრილი შოლი დაბარბაცდა და დაეცა, როშფორს ნერვებმა უღალატეს და გულაჩვილებულმა სეკუნდანტმა პარიზისკენ მოკურცხლა, მიატოვა რა დაჭრილი მხოლოდ მეორე სეკუნდანტის ამარა...

...აი, როგორია ეს კაცი; სიგიჟემდე მამაცი, როცა აგზნებულია და პირადადაა საფრთხეში და ქალწულივით მგრძნობიარე, როცა საშიშროება სხვას ემუქრება ან შემთხვევა მოულოდნელია. დარწმუნებული ვარ, როშფორი რომ სამხედრო პირი ყოფილიყო, მისგან ცუდი მხედართმთავარი დადგებოდა, მაგრამ თავს დავდებ, რომ იგი ბრწყინვალე მეომარი იქნებოდა".

ასე წერს ალბერტ ვოლფი. არსებითად აქ არასწორია მხოლოდ ის, თითქოს როშფორზე გავლენას ახდენს „გაუთვალისწინებელი გარემოებანი". მის ცხოვრებაში ათასი ასეთი შემთხვევა მომხდარა, პირადად მას რომ ეხებოდა, მაგრამ გული არც ერთხელ არ შეღონებია. უნდა იცნობდე ნერვიული ადამიანის ფსიქოლოგიას, რომ ეს გაიგო. არავინ უფრთხილდება ისე სხვის სიცოცხლეს, როგორც ის ადამიანი, რომელიც ყოველ წუთს მზადაა საკუთარ თავზე მიიღოს ბედის ნებისმიერი დარტყმა, მაშინ, როცა ზოგიერთი, გულცივად რომ აგზავნის სხვას სასიკვდილოდ, თვალისჩინივით უფრთხილდება საკუთარ ტყავს. სწორედ ამაშია პირველთა ძალა და უკანასკნელთა—უძლურება.

აქვე მომყავს ალბერტ ვოლფის სტატიის დასკვნითი ნაწილი, რომელიც შეძრავს ყველას, ვისაც ამის ნიჭი ჯერ კიდევ შერჩენია.

„...არავითარი პრეტენზია არ მაქვს ჩემი შეგონებებით გადავაკეთო როშფორის ხასიათი. ახლა ის ორმოცდაცხრა წლისაა, მაგრამ ასეთივე იყო იგი ოცდახუთი წლის ასაკშიც. გაძევების სიმწარე დაემატა ტემპერატენტს. ირგვლივ მხოლოდ ის მესმის, როშფორი საშიში კაციაო. მე კი მგონია, რომ ის უმთავრესად საკუთარი თავისთვისაა საშიში. დააკვირდით, როგორ მოიწყო ცხოვრება. ცოტა მეტი კეთილგონიერება რომ გამოეჩინა, შეეძლო უკეთ ეცხოვრა! მე არ მესმის, რა საშიშროება გვემუქრება როშფორისაგან, მაგრამ, სამაგიეროდ, შესანიშნავად ვხედავ, რა მძიმე განსაცდელის წინაშე დგას თვითონ. ამას რომ ვამბობ, არ ვგულისხმობ მხოლოდ დუელებს, რომლებიც უთუოდ კიდევ მოელის.

მას, ალბათ, მოუშუშდება გუშინ მიღებული ჭრილობები, რასაც მე გულმხურვალედ ვუსურვებდი, მაგრამ საეჭვოა, როდისმე განიკურნოს გაძევებული კაცის სევდისაგან, ხანგრძლივ პატიმრობათა ტანჯვისაგან. ყოველივე ამით ხომ სწორედ მოხეტიალე ადამიანები არიან შეპყრობილი, მუდამ ციხესა და თავისუფლებას შორის რომ ირწევიან; ალბათ, ვერც მომავალი ცხოვრების ტრაგიკულ პერიპეტიებს ასცდება, თვითონვე რომ შეუქმნა თავის თავს იმ კაცმა, რომელმაც პირველი ნაბიჯები ჩემს თვალწინ გადადგა და რომელსაც გაცილებით უფრო იოლი და სახარბიელო მომავალი ელოდა, რომელზედაც კი შეიძლება იოცნებოს მწერალმა ან პოლიტიკურმა მოღვაწემ. ასე რომ მე, მისი ახალგაზრდობის ამხანაგი, რომელსაც გულში ბოროტად არ შემინახავს მისგან მოყენებული დაუზოგავი დარტყმების ხსოვნა, ვგრძნობ, რომ აღსავსე ვარ მისდამი არა იმ ვულგარული სიბრალულით, რომელიც ჩვეულებრივ დაჭრილთა მიმართ გააჩნიათ ხოლმე, არამედ ულრმესი თანაგრძნობით მისი ცხოვრებისადმი, რომელიც აღსავსეა მრისხანებითა და მწუხარებით".

დიახ, ეს „მრისხანებითა და მწუხარებით" აღსავსე ცხოვრება ყველაზე მეტად, ცხადია, თვით როშფორისთვისაა სახიფათო, ამიტომ ბურჟუაზიული ბუნების ადამიანი ადვილად დაეთანხმება ვოლფს, რომ „არაკეთილგონიერების" გამო როშფორმა ვერ შეძლო გაეკეთებინა სახარბიელო, იმედიანი და იოლი კარიერა, რაც მას ასე ადვილად შეეძლო. კარიერას მან ამჯობინა რისხვითა და მწუხარებით დასევდიანებულიყო და გადასახლებაში გაელია ცხოვრების დღენი.

ეს კი ასეა, მაგრამ, ღვთის გულისათვის, ამიხსენით, როგორ არ გაგვეცინოს ამ ქვეყანაზე ყველაზე უფრო გულუბრყვილო უტოპისტ ბურჟუებზე. მათ სურთ, მიუწვდომელს მისწვდნენ. მათ სურთ, ერთსა და იმავე პიროვნებაში ხედავდნენ ერთმანეთთან სრულიად შეუთავსებელ და ურთიერთგამომრიცხველ თვისებებს. მათ უნდათ, რომ ნერვიული ადამიანი, რომლის ძალაც სწორედ ნერვიულობაშია, ამასთანავე, აღუშფოთებელი, დინჯი და აპათიურიც იყოს. მათ სურთ, ადამიანი, მამაცურად რომ ელტვის ხიფათს, გაურბოდეს საშიშროებას, რომ მგრძნობიარე სული გულგრილად ეკიდებოდეს სიკეთესა და ბოროტებას, რომ ის არ

მრისხანებდეს, როცა ბოროტების ზეიმს ხედავს და არ ნაღვლობდეს დამარცხებულ სიკეთეზე... წაართვით როშფორს მიდრეკილება რისხვისა და სევდიანობისაკენ, რაღა დარჩება მისგან? წარმოდგენაც კი ჭირს. ან დააჯილდოვეთ ეს ადამიანი ამ სანაქებო „კეთილგონიერებით“ და თქვენ წინაშე აღმოჩნდება ჩვეულებრივი, ფრთხილი ბურჟუა და არა ის კაცი, ვინც ასე დიდ ზეგავლენას ახდენს თავისი სამშობლოს ცხოვრებაზე...

მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია ბურჟუათა „უტოპიურობა“; მათი ოცნებაა ალმოდებული ყინული, ცივი ცეცხლი, მშრალი წვიმა, მწარე შაქარი და ტკბილი ნაღველი. რაღა გვეთქმის?

ამასობაში კი სწორედ ეს ნევროზულობა, ეს ქალწულებრივი გრძნობიერება, რომელსაც ზოგჯერ სიგიჟემდე მიჰყავს როშფორი, არის კიდეც მისი ძლიერებისა და მნიშვნელობის საფუძველი. ალბათ, სწორედ ასეც უნდა ვუპასუხოთ სტატიის შესავალში ჩემს მიერ დასმულ შეკითხვას—რით უნდა აიხსნას როშფორის გავლენის საიდუმლოება? აი, ეს საიდუმლოებაც:

ჩვენი დროის საყოველთაო „კეთილგონიერებამ“, იოლი და სახარბიელო კარიერის გაკეთებისაკენ ფრთხილმა და წინდახედულმა სწრაფვამ, ნებსით თუ უნებლიეთ ყველას დაუჩლუნგა ძარღვები. ჩვენ ყველანი მივეჩვიეთ ცხოვრების სიმახინჯეებს და ამიტომ ისინი აღარც მრისხანებას აღვიძებენ ჩვენში და აღარც მწუხარებას.

К добру и злу позорно равнодушны,
Ничем не жертву ни злобе, ни любви,

თითის განძრევაც კი აღარ გვსურს საერთო კეთილდღეობისათვის, არამცთუ რაიმე სერიოზულის მსხვერპლად გაღება. და როცა ასეთ საზოგადოებაში იბადება არაჩვეულებრივი ადამიანი, ქალწულივით მგრძნობიარე და ვეფხვივით მამაცი, როცა ის არად აგდებს კარიერასა და, შესაბამისად, კეთილგონიერებასა და ანგარიშიანობას და თამამად დგება თუნდაც ყველაზე დიდი საფრთხის წინაშე, მაშინ თვით ყველაზე ბურჟუაზიული სულიც კი უნებლიეთ განიმსჭვალება ხოლმე დაუოკებელი პატივისცემით მისი გმირობისადმი და ასევე უნებლიეთ, თვითონაც რომ არ სურს

და უფიქრია, ქედს უხრის, ქუდს უხდის მის სიმამაცესა და თავგანწირვას. ჩვენ ვლანძღავთ, ცილს ვწამებთ, ვარცხვენთ და ვწყევლით მას, მაგრამ მაინც ვემორჩილებით მის უხილავ ძალას და ისიც, როგორც ანდამატი, მიგვიყოლიებს მომავლისაკენ. კაცობრიობა დიდადაა დავალებული ასეთი ადამიანებისაგან. სწორედ მათ უწოდებენ ხოლმე „მიწის მარილს“.

მერედა რა, თუ ეს მარილი ტკბილი არ არის, ან სად და ვის უნახავს ტკბილი მარილი?

61. მუშების გაქცევა

თბილისი, 1880 წ. 1 ივნისი

გუშინ, 31 მაისს, თბილისის გუბერნიის გორის მაზრა გადაიქცა ჩვენს ქვეყანაში იმ მუშათა უჩვეულო მოძრაობის არენად, რომლებიც გამოძახებული იყვნენ კალიის გასანდგურებლად.

მუშახელის ნაკლებობის გამო ადგილობრივმა ადმინისტრაციამ გადაუდებელ აუცილებლობად ცნო გამოეძახებინა მუშები ქუთაისის გუბერნიიდან. ამის გამო ამ გუბერნიის რკინიგზის ხაზის მახლობელ—შორაპნის, ქუთაისის და სენაკის მაზრებში—თითოეულში—მოგროვდა 1000 მუშა და ორშაბათს, 26 მაისს, ეს 3000 კაცი გაიგზავნა ქუთაისიდან, სადგურ ახალსენაკიდან და ყვირილიდან. სამაზრო მმართველობის განკარგულების მიხედვით, მუშათა მოგროვების დროს გამოაცხადეს, რომ თითოეული მუშა დღიურად მიიღებდა 2 1/2 გირვანქა ფქვილს, ძროხის ხორცსა და მცირე ხელფასს. ორშაბათიდან, 26 მაისიდან ხუთშაბათამდე, 29 მაისამდე, მუშები ჯახირობდნენ რკინიგზის ვაგონებში, რადგან 4 დღის განმავლობაში ვერ მოხერხდა მათი გადაყვანა დანიშნულების ადგილას. მატარებლები მთელი დღეობით იდგნენ სადგურებში (მაგ., ბეჟათუბანში) მაშინ, როცა მუშებს სრულიად არ ჰქონდათ საჭმელი. მრავალმა მგზავრმა, ამ დღეებში რომ ჩამოვიდა თბილისში, ზუსტად იგივე მოგვითხრო ამ მუშების არაადამიანური მდგომარეობის შესახებ. მხოლოდ ოთხშაბათს, 28 მაისს, მუშებს პირველად მისცეს „ულუფად“ 2 1/2 გირვანქა პური. შემდეგ სამუშაოდ ჩაიყვანეს სოფ. აღაიანში, სადაც ზედამხედველებისა და პრისტავების ჩაგონების გამო, იმედი ჰქონდათ, რომ მზამზარეული საჭმელ-სასმელი დახვდებოდათ, მაგრამ ადგილზე მისვლისას ნათელი გახდა, რომ მათ აქაც შიმშილი ელოდათ.

შეიძლება დაახლოებით მაინც წარმოიდგინოთ, თუ როგორი კვნესა აღმოხდათ მაშინ მათ!

პარასკევს, 30 მაისს, დილაადრიან, სენაკის მაზრის მუშებმა (მეგრელებმა) შესძახეს „ვაშა“ და შინისაკენ მოუსვეს. მეორე დღეს, შაბათს, ისინი უკვე გომში იყვნენ, სადაც მათი შეჩერება მოინდომეს. პარასკევს, დაახლოებით შუადღისას, იგივე მოიმოქ-

მედეს იმერელებმაც. მთელი გზა მოიფინა ავადმყოფი და არაქათგამოცლილი ადამიანებით, რომელთაც ვერ შეძლეს დასწეოდნენ თავიანთ უფრო ამტან ამხანაგებს.

ადგილზე დარჩნენ მხოლოდ მეთაურები, რომლებიც ჩვენ რომის სენატორთა მდგომარეობაში ვიხილეთ,—ხელებს რომ ასავსავებდნენ და ჩლუნგი აპათიით უცდიდნენ ადგილობრივ ადმიანისტრაციას.

ამ ამბის შესახებ მეტი არაფერია ცნობილი, რადგან იგი გაუგებრობის ბნელეთშია დანთქმული.

62. სახალხო სკოლის არსებითი საჭიროება

თბილისი, 1880 წ. 11 ივნისი

დგება იმ ადამიანთა დასვენების დღეები, რომელნიც სახალხო განათლების მძიმე და უმადურ ჭაპანს ეწევიან. მასწავლებელი სწორედ ამ თვეებში იკრებს ფიზიკურ ძალებს მომავალი უჩინარი, მაგრამ მეტად სერიოზული მუშაობისათვის. ამ მუშაობას ჩვენ „უჩინარი" ვუწოდეთ, რადგან ვის აინტერესებს, როგორ მიდის სკოლის საქმე, ვთქვათ, მთიანი ოსეთის რომელიმე მიყრუებულ ადგილას ან სადღაც აფხაზეთში? ვინაა დაინტერესებული იმ მასწავლებლის შრომით, რომელიც ანბანს ასწავლის სკოლაში? შეძლებს კი იგი გამოძებნოს ესა თუ ის მეთოდი, როგორც სხვებზე უფრო მიზანშეწონილი? ვინ წაეშველება მასწავლებელს, უმეტესად გაჭირვებით მცხოვრებს, ხშირად კი ზნეობრივი ძალისა და სიმხნევის მოკრეფაში სრულიად გაღატაკებულს? სულიერი ძალა ხომ ისევე აუცილებელია ადამიანისათვის, როგორც ფიზიკური?! საზღვარგარეთ ამისათვის არსებობს მასწავლებელთა ყრილობები, სადაც მას საშუალება აქვს გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები და, ამასთანავე, მოისმინოს სხვების შეხედულებებიც. უეჭველია, ამგვარი ვითარება მასწავლებელს ზნეობრივად საესებით ამშვიდებს, რადგან მისი მოღვაწეობა, როგორც სასკოლო-პრაქტიკული, ისე თეორიულიც, უკვალოდ და უაზროდ კი არ იკარგება, რომელიმე სამმართველოს არქივში კი არ იმარხება, არამედ ხმარდება ყველაზე ძნელი—სახალხო განათლების საქმის სრულყოფას. თქმულის დასტურად სავსებით გამოგვადგება გერმანია, სადაც მასწავლებელთა ყრილობებმა დისტერვეგის თაოსნობის წყალობით ნამდვილი სასწაულები მოახდინა. გერმანიაში ეს ყრილობები მხოლოდ პედაგოგიური სამყაროს მოთხოვნილებად არ ქცეულა. იგი მთელი საზოგადოების სასურველ ზეიმადაც გადაიქცა, იმ საზოგადეობისა, რომელმაც სახალხო მასწავლებლის საპატიო შრომისადმი თავისი ყურადღებით დაამტკიცა, თუ რა სიფაქიზით ეკიდება იგი ახალგაზრდობის აღზრდას. შრომა კი, როგორც ცნობილია, მაშინ უფრო სასიამოვნო და სიანტერესო პროცესია, როცა იცი, რომ შენს ღვაწლს აფასებენ, როცა ხედავ, რომ შენს ნებსით თუ უნებლიე შეცდომების გამოსწორებაში გეხმარებიან.

მრავალეროვანი ჩვენი ქვეყანა ყველაზე უფრო ფართო ასპარეზს წარმოადგენს პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, მით უფრო, რომ სახალხო განათლების საქმე ამ ბოლო ათი წლის მანძილზე სპეციალისტ მასწავლებელთა ხელშია, ე.ი. საოსტატო სემინარიის კურსდამთავრებულთა ან იმ ადამიანთა ხელში, ვინც სასულიერო სემინარიებთან არსებული პედაგოგიური კურსები მოისმინა. ტვერის ოლქში ყოველწლიურად ორი-სამი თვით მაინც იკრიბებიან ყველა სტანციის სკოლების მასწავლებლები, რომელთაც სხვადასხვა საგნებსა და დიდაქტიკას უკითხავენ. ამის გამო თითქმის ყველა სოფლის სკოლას ჰყავს თუ სპეციალისტი მასწავლებელი არა, ყოველ შემთხვევაში, ისეთი მაინც, რომელმაც მოისმინა პედაგოგიკის კურსი და აქვს მასზე პრაქტიკული და თეორიული წარმოდგენა; ყოველი მათგანი თავის პრაქტიკაში ხვდება ჩვენი სახალხო განათლების სისტემის უარყოფით მხარეებს, —სახელმძღვანელოთა და მხარის ინტერესებთან შეთანხმებული საკითხავი წიგნების უქონლობას.

ჩვენი ადგილობრივი სკოლების მასწავლებელთაგან ვის არ მოსვლია აზრად იმ მასალის უვარგისობა ჩვენი ყმაწვილებისათვის, უშინსკის „როდნოე სლოვო" რომ გვთავაზობს? მასწავლებელთა უმეტესობამ, ალბათ, ჯერ კიდევ სემინარიაში ყოფნისას, როცა ათასგვარი სახელმძღვანელოს შტუდირებას ახდენდა, უთუოდ მაშინვე დაისახა მიზნად პრაქტიკული დამუშავება ამა თუ იმ საგნის სახელმძღვანელოსი, მაგრამ რუსულ პედაგოგიურ ლიტერატურაში დღემდე არ არსებობს არამცთუ რიგიანი, არამედ ასე თუ ისე ასატანი სახელმძღვანელო მაინც, რომელიც შეესაბამებოდა კავკასიის სკოლებს.

კავკასიაში დღემდე არ გამოდის არავითარი პედაგოგიური ჟურნალი, რომელიც ხელს შეუწყობდა ჩვენს სკოლების სწავლების მეთოდის გაუმჯობესებას. მაშასადამე, არ არსებობს სახალხო სკოლის მასწავლებლებს შორის ურთიერთობა პედაგოგიურ პერიოდულ ორგანოთა უქონლობის გამო, რომლებიც ყველგან შუამავლებს წარმოადგენენ საერთოდ სწავლა_განათლებისა და აღზრდის სფეროში. ბუნებრივია, რუსეთის პედაგოგიური ორგანოები ვერ გამოდგებიან კავკასიის მასწავლებელთა დამაკავ-

შირებელ რგოლად, ვინაიდან ის, რაც ჩვენი სკოლებისთვისაა აუ-
ცილებელი, რუსეთის სკოლისათვის შეიძლება არც გამოდგეს და,
პირიქით. ამასობაში კი, ვინ იცის, რამდენი მასალა დაუგროვდა
თითოეულ მასწავლებელს; მასალა, რომელსაც შეუძლია სრული-
ად ახალი შუქი მოჰფინოს კავკასიის სახალხო სკოლებში გაბატო-
ნებული სწავლების სისტემასა და ხერხებს; ჩვენი პედაგოგიური
წრის რამდენი ახალგაზრდა მასწავლებელი შეუდგებოდა ენერ-
გიულად თავის საქმიანობას და, სადღაც მიყრუებულ სოფლებში
გადახვეწილი, არ იჩქარებდა რაც შეიძლება მალე დაბრუნებას
ხალხმრავალ ქალაქში, არ გაცვლიდა თავის პროფესიას გადამ-
წერლის ან მოურავის ხელობაზე. ხშირად ვხედავთ სოფლის მას-
წავლებლებს, რომლებიც დღესასწაულებზე ჩამოდიან ჩვენთან და
შემდეგ თვეობით რჩებიან აქ; ეს იმიტომ, რომ სკოლა მათთვის
სახელოსნოდ იქცა, სადაც მან სათანადო ცოდნით, ე.ი. გარკვეუ-
ლი საზომით უნდა მოამზადოს მოსწავლეები. განსაზღვრულ
დროს მოწმდება მისი საქმიანობა, რაც გამოიხატება სკოლაში რე-
ვიზიის 2-3 საათით მისვლით, რომელიც მასწავლებლისადმი დი-
დი ყურადღების ნიშნად, თუკი იგი საკმაოდ კარგად ასწავლის შედ-
გენილი პროგრამისა და ინსტრუქციის მიხედვით, ხელს ჩამოარ-
თმევს მას. მერე კი იჯექი უბადრუკ პროვინციაში, სადაც არა
გვაქვს არავითარი საერთო იმ ადამიანებთან, რომლებისთვისაც
ორი სიტყვა მაინც შეგეძლო გეთქვა შენს საქმიანობაზე ან
გეთხოვა რჩევა, მოგესმინა რაიმე ახალი. ამის ნაცვლად მოსჯილი
გაქვს იკითხო თითქმის ერთადერთი „ნაროდნაია შკოლა კავკა-
ზია“ და „ტვერსკიე ვედომოსტი“. აი, რატომ უნდა მივისწრაფო-
დეთ ჩვენი ქვეყნის სახალხო სკოლის უკეთესად ამუშავებისაკენ,
აი, რატომაა საჭირო, რაც შეიძლება სწრაფად განხორციელდეს
პედაგოიგური ორგანოს დაარსება ქართულ და რუსულ ენებზე.
ამასთან, კარგი იქნებოდა ადგილობრივი, საგუბრენიო და მთელი
ჩვენი ქვეყნის პედაგოგიური ყრილობის მოწვევა. უკანასკნელი,
როგორც მთელი მხარის ინტერესების დამცველი, საუკეთესო და-
დასტურება იქნება იმისა, რომ ადამიანებს, რომელთა ხელშიცაა
სახალხო განათლების საქმე, ესმით სახალხო სკოლის ქვეყნის
ცხოვრებაში ორგანულ მოვლენად ქცევის მნიშვნელობა. ამ საქ-

მის განხორციელებას ვერ შეძლებენ ცალკეული პიროვნებები, ამისათვის უნდა იღვწოდეს მასწავლებელთა ის წრე, რომელსაც მიღებული აქვს სპეციალური პედაგოგიური განათლება, ეს უკანასკნელი გარემოება მისცემს მას საშუალებას, შეგნებულად მიუდგეს საქმის შინაგან და გარეგნულ მხარეებს, გამოყოს მისგან ყველა საერთო ნიშანი და, ამგვარად, გამოიმუშაოს ჩვენი ქვეყნის თაობათა აღზრდის სწორი სისტემა. საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და სავსებით ღირსია იმისა, რომ მის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს ყველა პედაგოგმა, ვისთვისაც ოდნავ მაინც ძვირფასია ჩვენი სამშობლოს ბედი.

63. ბერლინის პირველი დამატებითი კონფერენცია

თბილისი, 1880 წ. 12 იუნისი.

ახალი სტილით 4 ივნისს შედგა ბერლინის პირველი დამატებითი კონფერენციის პირველი სხდომა, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ბერლინის ტრაქტატის არადამაკმაყოფილებლობას. დიდი ხანია იგრძნობოდა ამ დოკუმენტის გადახედვისა და შესწორების აუცილებლობა. ბერლინის დამატებითი კონფერენცია, მიუხედავად ევროპული კონცერტის დიპლომატიურ წარმომადგენელთა ურთიერთდამთმობლობისა, ღრმააზროვან შეხედულებათა და მოსაზრებებისა, ითვალისწინებს მხოლოდ სამართლიან მოთხოვნილებებსა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ხალხთა ცხოვრების ისტორიული განვითარების მიმდინარეობას; თავიანთი უფლებები მათ მოიპოვეს სისხლით, რომელიც თურქეთთან ჩვენ უკანასკნელ ომში დაიღვარა და ახლა ეს უფლებები უნდა განმტკიცდეს, თუნდაც ასეთი რამ არ ეთანხმებოდეს ინგლისის სავაჭრო ინტერესებს ან გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის დამპყრობლურ გეგმებს. როგორც ცნობილია, ბერლინის კონგრესი ყველაზე ნაკლებ ზრუნავდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მოსახლე ქრისტიანულ ტომთა ადამიანური უფლების მტკიცედ დასაცავად. და კონგრესის მთელი ყურადღება რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. რათა გამარჯვებულ სახელმწიფოებს ესარგებლათ ომის ნაყოფით. ეს მცდელობა იმდენად ძლიერი იყო, რომ ამასობაში კიდეც დააავინყდათ ინგლისის მთავრობის ტრადიციული პრობერძნული პოლიტიკა. ლორდი ბიკონსფილდი, რომელმაც აიძულა საბერძნეთი უარი ეთქვა თურქეთთან ომზე და ნება არ მისცა ქრისტიანულ საბერძნეთს კავშირი დაემყარებინა სხვა ავჯანყებულ ქრისტიანებთან, დაჰპირდა მას, რომ საერთო საქმის ამ ღალატისათვის ზავის დადების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას გამოიჩენდა მისი ინტერესების მიმართ, მაგრამ რუსეთის საწინააღმდეგო საქმიანობამ სრულიად შთანთქა ინგლისის წარმომადგენლის ყურადღება. საბერძნეთს თითქმის არაფერი მიუღია. ბერლინის ტრაქტატი, რომელიც აკანონებდა თურქეთსა და საბერძნეთს შორის საზღვრის მოწესრიგებას ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, აქამდე არ შესრულებულა და არც შესრულდება მათ შორის სამხედრო შეჯიბრების გარეშე. თუ ხელთ გვექნება

ორი სახელმწიფოს ტოპოგრაფიული რუკა, მათ შორის საზღვრის გავლებაზე იოლი არაფერია. დიპლომატიური წარმომადგენლებისათვის კიდევ უფრო ადვილია გაავლონ ისეთი საზღვარი, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს, როგორც ევროპის, ისე გამიჯნული სახელმწიფოების ინტერესებს, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა, დაწესებული საზღვრის მიხედვით, ერთ-ერთ სახელმწიფოს, მსგავსად თურქეთისა, მოუწევს მეორეს დაუთმოს თავისი მიწები, არა სამხედრო წარმატებისა ან რაღაც საერთო ინტერესებისათვის, არამედ მესამე სახელმწიფოსადმი ვალდებულების გამო, მაშინ საკითხი, როგორც იტყვიან, უკიდურესად მძაფრდება, საბერძნეთს არ უომია თურქეთთან და ამიტომ არავითარი საჩუქარი არ დაუმსახურებია. მაშასადამე, თუ ბერლინის კონგრესზე სამართლიანად ცნეს საბერძნეთის დასაჩუქრება, მის მიერ ინგლისისადმი გამოჩენილი მორჩილების გამო, ეს სხვა არაფერია, თუ არა უკიდურესი უსამართლობა თურქეთის მიმართ, რომელიც კიდევ უფრო ბეჯითად ასრულებდა ინგლისის რჩევა-დარიგებებს". ამგვარმა მორჩილებამ თურქეთი რუსეთთან განხეთქილებამდე მიიყვანა, რაც დიდი ტერიტორიის დაკარგვად დაუჯდა. ახლა რომ საბერძნეთსაც დაუთმოს მიწები, რომელმაც თურქეთთან ომის გამოცხადებაც კი ვერ გაბედა, ამას უკვე დანაშაულებრივ სისუსტედ ჩათვლის ყოველი თურქი. ამის გამო დიპლომატთა წრეში, რომლებიც ბერლინის ტრაქტატის შესასწორებლად პირველად შეიკრიბნენ, გაურკვევლობაა იმის გამო, თუ როგორ დაიცვან ტექნიკური კომისიის წევრების უსაფრთხოება, რომელთაც დაეკისრებათ თურქეთსა და საბერძნეთს შორის ბერლინში დადგენილი საზღვრის ფაქტიური გავლება.

„გოლისის"[42] ბერლინელ კორესპონდენტს ეს საკითხი ყველაზე რთულ საკითხად მიაჩნია მათ შორის, რომელთა განხილვაც კონფერენციას ევალება. მართლაც გასარკვევია: აუცილებელია თუ არა ტექნიკური კომისიის გუშაგთა განსაკუთრებული დაცვის აღჭურვა სულთნის ჯარიდან, რათა მისი მფარველობის ქვეშ კომისიას არც რაიმე დაბრკოლება შეხვდეს და არც ადგილობრივ მუსულმანთა თავდასხმისა შეეშინდეს. თუ აღმოჩნდა, რომ საჭიროა ევროპული ბადრაგი, მაშინ საკითხი დადგები იმ ჯარისკაცთა ეროვნების შესახებ, რომლებიც ამ ბადრაგში შევლენ. ეს კი ძალზე რთული და საჩოთირო საკითხია, რაც შეურიგებელ აზ-

რთა სხვადასხვაობას იწვევს და რომელიც შეუძლებელს ხდის არა მარტო ტექნიკური კომისიის, არამედ თვით კონფერენციის მუშაობასაც. საქმის ასეთი განვითარება იმდენად რეალურია, რომ გულწრფელად უნდა ვისურვოთ, რათა პორტამ კონსტანტინოპოლის კარზე ამჟამად უფრო გავლენიანი ელჩების თხოვნას ანგარიში გაუწიოს და მისცეს კომისიას მცველთა დამაკმაყოფილებელი რაოდენობა სულთნის ჯარიდან.

მაგრამ, თუ პორტა არ დაუთმობს ამ გავლენიან ელჩებს, მაშინ ვილას გააგზავნის ბერლინის კონგრესის პირველი დამატებითი განყოფილება თურქეთ-საბერძნეთის საზღვრის გასავლებად?

დამატებითი კონფერენციის დადგენილება საბერძნეთისათვის უდავოდ ქმნის ტერიტორიული პრეტენზიების იურიდიულ ნიადაგს, მაგრამ ხომ არ დაკმაყოფილდება ეს პრეტენზია ისევე, როგორც კვიპროსის მეფე ლუზინიანის ბიძაშვილის პროტესტი? მან ინგლისის მთავრობას მოსთხოვა დაუბრუნოს კუნძულ კვიპროსზე მისი კუთვნილი მამულები ან აუნაზღაუროს ზარალი ამ მიწების დაკარგვის გამო.

იურიდიული საფუძველი თურქეთსაც აქვს, რათა უფრო საფუძვლიანი უარი თქვას საბერძნეთის ყველა მოთხოვნაზე, რომლებიც ომის შედეგებიდან კი არ მომდინარეობენ, არამედ—უცხოელ დიპლომატთა მისდამი დამოკიდებულებიდან. ყოველივე ამის გამო თურქეთისა და საბერძნეთის საზღვრის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა ბერლინის ამჟამინდელი კონფერენციის დროს და მის შემდეგაც იმავე მდგომარეობაში დარჩება, როგორშიც იყო ბერლინის კონგრესის დროს.

5 საკვირაო საუბარი

საქართველოს საქმეები.—რაც უფრო მაღლა დგას, მით უფრო დაბალია,—ინტელიგენცია, საზოგადოება და ხალხი.—სად ვეძებოთ მიზეზი?—კუდად ქცეული თავი.—ხელმძღვანელის ორი ტიპი.—მისწრაფება უნიჭობისაკენ.—განა მართლა არა გვყავს ხალხი?—ნიჭიერების ჩახშობა.—თუ წვრილფეხობას მოძებნი, უფრო დიდი გამოჩნდები.—საშიშროება.—დროა გამოეუხიზლდეთ.—ადვილი იქნება თუ არა საქმის გამოსწორება ათი წლის შემდეგ?

გასულმა თვემ თანამედროვე საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში რამდენიმე ისეთი არასახარბიელო მოვლენა გამოამჟღავნა, რომლებიც საგანგებო მსჯელობას იმსახურებენ. ისე, დიდი ხანია მომბეზრდა ასეთ თემებზე წერა, რადგან ძალზე მოსაწყენია, მუდამ ერთსა და იმავეს გამეორება, მაგრამ ამას როგორმე გაუძლებდა კაცი. განსაკუთრებით სავალალო ისაა, როცა ხედავ: რა ამაოა ყოველივე ეს. მაგრამ რა ქნას გულშემატკივარმა ადამიანმა? როდესაც ვინმე გიყვარს, ცხადია, მისი შეცდომებისა და მარცხისადმი გულგრილი ვერ დარჩები თვით მაშინაც კი, როცა კარგად იცი, რომ შენი შეგონებებისაგან ხეირს არ უნდა ელოდე, რომ ტყუილად არ უნდა დაიხარჯო იქ, „სადაც ძალის გამოყენებაა საჭირო“. მაგრამ მე მაინც ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ვთქვა ორიოდე სიტყვა თუნდაც მხოლოდ საკუთარი სინდისის წინაშე... ამჯერად ძალიან ვეცდები ადრე ნათქვამი მაინც არ გავიმეორო.

★

როგორც ჩანს, ქართველთა ცხოვრებაში ყველაფერი უკუღმა ხდება. თუ დააკვირდებით ინტელიგენციას, თქვენ შეამჩნევთ უამრავ ახალგაზრდას, წლიდან წლამდე მხოლოდ ქვაფენილს რომ ტკეპნის და ხმამაღალი სიტყვების რახარუხით ტკბება, თითქოსდა პროფორმისათვის. ისიც, კი ვინც რაიმეს აკეთებს, აკეთებს უგულოდ, ჩინოვნიკივით მექანიკურად, თითქოს მხოლოდ იმიტომ, რომ თავი დაიცვას ვინმეს თავდასხმისაგან გაზეთებში ან საერთოდ კრებებზე. მძორისა და საფლავის სუნი სდის საქმისადმი მათ დამოკიდებულებას...

ხოლო, თუ ქართველი საზოგადოების, ანუ მისი საშუალო წოდების, მასებს დააკვირდებით, დაინახავთ, რომ ეს საკუთარ ინიციატივას მოკლებული ადამიანები მაინც სიხარულითა და აღტაცებითაც კი ეხმაურებიან ყოველ კეთილ წამოწყებას. ქართული თეატრი ყალიბდება, ახალი საზოგადოება არსდება, რომელიმე სკოლა იხსნება თუ საჯარო ლექცია იკითხება, ქართველი საზოგადოება თავპირისმტვრევით მიქრის ახალი საქმისაკენ, აღფრთოვანებული ტაშს უკრავს მას და გულუხვად ხსნის თავის გაფხეკილ საფულეს ამ საქმის დასახმარებლად, მაგრამ უხეირობა, უნიჭობა, ინიციატორთა საქმის უშინაარსობა მალე უგრილებს გულს და, იმდენგაცრუებული, კვლავ აპათიაში ვარდება, ოღონდ რაიმენ ახალ წამოწყებამდე.

დააკვირდით საერთოდ ქართველ ხალხს—გლეხებს, სოფლის სასულიერო წოდებას, წვრილ ვაჭრებს, უმიწაწყლო აზნაურებს და დაინახავთ: ისინი თავგადადებული მუშაობენ, არაფერზე უარს არ ამბობენ, ოღონდ კი თავი დაიხსნან სავალალო მდგომარეობიდან; გავიხსენოთ ისიც, როგორ უშურველად იხდიან ისინი ფულს სოფლის სკოლებისათვის, რა ხალისით აგებენ სამარაგო საწყობებს, რა შესანიშნავად და გონივრულად აწარმოებენ საქმეს საბანკო ამხანაგობასთან და როგორ თანდათან შეისყიდიან და გამოისყიდიან ხოლმე მემამულეთა მიწებს, რომლებიც უამითოდ კულაკთა მფლობელობაში გადასასვლელად არის განწირული. ამასთან, მათ არაფერი აქვთ წინასწარ ორგანიზებული, გარკვეული და დაგეგმილი. მხოლოდ ხალხის ინსტინქტი, მხოლოდ მასის ჯანსაღი აზროვნება ხელმძღვანელობს ამ არსებითად გაუნათლებელ ხალხს, არსაიდან რომ არ ელის ხელმძღვანელობასა და დახმარებას...

ამგვარად, რამდენადაც უფრო დაბლა ჩავდივართ ქართული სამყაროს საზოგადოებრივი იერარქიის კიბეზე, იმდენად უფრო მეტ ძალას და ენერგიას, სიმტკიცესა და გონიერებას ვხედავთ საქმეში მაშინ, როცა საშუალო წოდების ზედა ფენებში მხოლოდ და მხოლოდ სურვილი მოჩანს, ხოლო ინტელიგენციის უმაღლეს სფეროებში არაფერია, გარდა უძლურებისა და ცარიელი სიტყვებისა...

ხომ ცხადია, რომ სწორედ ქართველი ინტელიგენციის ამ „მაღალ სფეროში" უნდა ვეძებოთ ასეთი ანომალიის მიზეზები?

ბოლოს და ბოლოს, რა არის ინტელიგენცია, რა როლს უნდა ასრულებდეს იგი ხალხის ცხოვრებაში? ყველგან და ყოველთვის ინტელიგენციას უწოდებენ ამა თუ იმ ერის საუკეთესო, ცოცხალი, უკეთილშობილესი და განათლებული ძალების შენაერთს, რომელიც იღვწის იმ მიზნით, რათა ამ ერის დანარჩენი ფენები აზიაროს მეცნიერებისა და ცივილიზაციის ყველა სიკეთეს.

თუ თანდაყოლილი ნიჭიერება და გარემოებათა ბედნიერი დამთხვევა საშუალებას მისცემს ახალგაზრდა კაცს, გაეცნოს მეცნიერებათა მონაპოვრებს, ანუ მისწვდეს ყოველივე იმას, რაც კი მეცნიერებას გაუკეთებია ან შეუძლია გააკეთოს ხალხის კეთილდღეობისათვის. მაშინ, ცხადია, რომ სწორედ ამ ახალგაზრდას აწევს უცილო მოვალეობა, მთელი ძალ-ღონით ეცადოს დაეხმაროს თავის ხალხს ყოფიერებისა და ზნის გაუმჯობესებაში. წაიყვანოს თავისი ერი იქით, საითაც მეცნიერება მიუთითებს. ასეთი ვალდებულების აღსრულებლად წარმოუდგენელიც კია ინტელიგენციის არსებობა. განათლებული კაცი, რომელიც შეისისხლხორცებს ხალხურ ცრურწმენებსა და სიყალბეებს, ცხადია, ველარ შეძლებს საზოგადოების გონებრივი წარმმართველის როლის შესრულებას. იგი მოგვევლინება ბნელი ბრბოს ბრწყინვალედ ჩაცმულ ნევრად, რომელიც ასჯერ მეტად იმსახურებს ზიზღსა და სიბრალულს, ვიდრე ამავე ბრბოს ყველაზე უფრო ბნელი წარმომადგენელი.

თუ ამ თვალსაზრისით შეხედავთ ქართველთა ე.წ. ინტელიგენციას, სამწუხაროდ, ვერც ერთ მის წარმომადგენელში ვერ შენიშნავთ ზემოთქმული ჭეშმარიტების შეგნების მცირეოდენ ნიშანსაც კი, ხოლო მის მთავარ წარმომადგენლებში დაინახავთ სრულიად საწინააღმდეგო მისწრაფებებს. ჩემი აზრით, სწორედ ამ თვისებებში უნდა ვეძიოთ ჩვენი თანამედროვე ქართული საზოგადოებრივი საქმეების უმეტესობათა არადამაკმაყოფილებელი მსვლელობის ახსნა.

არსებობს ორგვარი ხერხი ამა თუ იმ საზოგადოების სათავეში დასადგომად და მისი ბედის სამართავად. პირველია მოქმედებით საკუთარი გეგმისა და იდეის გამომუშავება და მათი დაყვანა უმეტესობის აზროვნებამდე სერიოზული იდეური ბრძოლის გზით, რაც აზრთა შეჯახებაზეა დაფუძნებული. ასეთი ბრძოლის კეთი-

ლად დამთავრების შემდეგ გამარჯვებული მიმართულების პოზიცია არა მარტო მყარია, არამედ კეთილადაც მოქმედებს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ასეთი მიმართულების მეთაურს გამარჯვების შემდეგ უკვე აღარავითარი განსაკუთრებული დანიშნულება აღარა აქვს. რაკი მისი აზროვნება, მიზანი, სისტემა და ტაქტიკა საყოველთაო საკუთრებადაა ქცეული, შესაძლებელია ნებისმიერმა ინტელიგენტმა უფრო მოხერხებულად წარმართოს უკვე დაწყებული საქმე. ერთი სიტყვით, ამა თუ იმ მიმართულების გამარჯვება წინ სწევს მთელ საზოგადოებას, ვინაიდან მის აზროვნებასა და განწყობილებაში მხოლოდ პროგრესის საშუალებითაა შესაძლებელი ასეთი გამარჯვების მიღწევა. იმ იდეების საყოველთაო საკუთრებად ქცევა, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ რამდენიმე ინტელიგენტის არსებაში თუ იყო მიჩქმალული. მხოლოდ ამ შემთხვევაში განახორციელებს ინტელიგენცია თავის მისიას, წინ წასწევს მასას, მის შეგნებამდე დაიყვანს რა იმ იდეებს, რომელნიც ადრე უცხო იყო მისთვის.

მეორე ხერხი შეუდარებლად უფრო მარტივი და ხელმისაწვდომია. საკმარისია იმ შემთხვევების დროს, რომელნიც საზოგადოების ყურადღებას იმსახურებენ, დაეყრდნო ადამიანთა უმეტესობის განწყობილებას, საკმარისია მიხვდე მათ სურვილებს და შეძლო მათი ერთ ფორმულაში ჩამოყალიბება, რომ საზოგადოება სიამოვნებით დაგაყენებს თავის მეთაურად. მაგრამ ეს ხომ ჩამორჩენილი საზოგადოების ხელში სრულიად უმნიშვნელო ფიგურად ქცევას ნიშნავს, ეს ხომ ფლუგერის როლია, რომელიც მხოლოდ უმრავლესობის განწყობილებას გამოხატავს და განა ასეთი ადამიანი მართავს საზოგადოებას? პირიქით, სწორედ საზოგადოება მართავს ამგვარ „ხელმძღვანელს". განაღა უნდა გაგვიკვირდეს, რომ ასეთი „წინამძღოლი" წარამარა იძულებული ხდება, ბრბოს მუდმივ ცვალებადი განწყობილების გათვალისწინებით დღეს გვიმტკიცოს ის, რასაც ერთი წლის წინ უარყოფდა და, პირიქით? რა თქმა უნდა, ამგვარ „ინტელიგენციას" უკვე აღარავითარი გავლენა აღარა აქვს მასაზე, რადგან აქ როლებია შეცვლილი: მას თვითონ კი აღარ მიჰყავს საზოგადოება, არამედ საზოგადოება მიათრევს მას ყველგან, საითაც კი გაიწევენ მისი ბნელი ინსტინქტები...

★

განათლებულ მსოფლიოს, ალბათ, არასოდეს დაავიწყდება ლედრიუ-როლენის მწუხარე და გულწრფელი ფრაზა, რომელიც მან 1849 წლის 13 ივნისს უბადრუკი წამოწყების ასევე უბადრუკი დასასრულის შემდეგ თქვა. როგორც ცნობილია, ამ დღეს მაშინდელი საფრანგეთის რესპუბლიკურმა პარტიამ გადმოისროლა ყოვლად უნაყოფო და სულელური მანიფესტაცია, რომლის უაზრობაც შეუძლებელია არ დაენახა ოდნავ მოაზროვნე ადამიანს მაინც, როგორიც უდავოდ იყო ლედრიუ-როლენი. როცა ამ ყველასა და ყველაფრის შემარცხვენელი ფაქტიდან რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ ლედრიუ-როლენს ჰკითხეს, როგორ აღმოჩნდა იგი ასეთი უაზრო წამოწყების სათავეში, რომელმაც იმსხვერპლა ისიც და მისი პარტიაც, მან მწუხარედ წამოიძახა:

—მე მათი წინამძღოლი ვიყავი და ამიტომ უკან უნდა მივყოლოდი მათ! ამაშია მთელი საიდუმლოება ასეთი წინამძღოლობის სისტემისა: ისინი მუდამ და მარადის უკან მისდევდნენ ბრბოს, რათა არ დაკარგონ საცოდავი უფლება იწოდებოდნენ „მეთაურად". ისინი ვალდებული არიან, თავიანთ ამხანაგთა მასის კუდებად იქცნენ.

მაგრამ მეთაურს ჭკუა, გამოცდილება, ცოდნა და მტკიცე ხასიათი იმიტომ ესაჭიროება, რათა იზრუნოს და იმოქმედოს იმათ მაგიერ, ვინც, საუბედუროდ, მოკლებულია ამ უნარს. ის სათავეში უნდა დადგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანამემამულეებზე უფრო გამჭრიახი, დაკვირვებული, მოხერხებულია და იცის, როდის უნდა დაძრას ისინი წინ, ხოლო, როცა საჭიროა, ადგილზე შეაჩეროს. თუ ძალაუფლება, რომელსაც მას ვითარება ანიჭებს, ფრთხილად აქვს შენახული ჯიბეში, თუ ბრბოდან ამოტივტივებული ხეპრე დოღრიალასი ეშინია და ყველა გარემომცველი ადამიანების უმწიფარი აზრები კანონია მისთვის, მაშინ წინამძღოლის როლი ზედმეტია ამ ადამიანისთვის. გამოდის, რომ ის იღვწის მხოლოდ პატივისათვის, ცდილობს თავისი პერსონის განდიდებას და ეძებს მხოლოდ პირად გამარჯვებას.

საკითხავია, ვინ შეიძლება დათანხმდეს ასეთი როლის შესრულებაზე, გარდა იმ ადამიანისა, რომელსაც, როგორც ჩანს, საკმაო ძალა არ შესწევს, რომ რეალურად იდგეს თავის თანამედროვეთა სათავეში საყოველთაოდ აღიარებული გონებრივი უპირა-

ტესობის გამო? ეს ადამიანები, თუ ერთხელ მაინც მოხვდებიან ისეთ მდგომარეობაში, რომლის ღირსნიც სრულიადაც არ არიან, ყველანაირ საშუალებას მიმართავენ, რათა შეინარჩუნონ იგი.

წინამძღოლის სავარძელში დაუმსახურებლად აღმოჩენილი ადამიანის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ იგი ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, რათა ჩამოიშოროს ყველა ნიჭიერი, დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანი, ირგვლივ შემოიკრიბოს უნიჭოები, რომლებიც უსიტყვოდ შეასრულებენ „მეთაურის“ ნება-სურვილს და სრულიად უპასუხისმგებლოდ გაიყოფენ, მასთან შეთანხმებით, წინამორბედის ფლიუგერულ როლს, ასეთ „წინამძღოლებს“ ისე ეშინიათ და ისე გაურბიან ნიჭიერ ადამიანებს, როგორც ეშმაკი—საკმეველს. ნიჭიერი ხალხის რაღაც საქმით დასაინტერესებლად საჭიროა მუშაობა, დაბეჯითება, აზრის თანამიმდევრობა, ხასიათის სიმტკიცე, მათ არ შეიძლება მხოლოდ უბრძანო: „გააკეთეთ ესა და ეს“, საჭიროა იქვე დაასაბუთო —რატომ უნდა გაკეთდეს სწორედ ეს და არა სხვა რამ. ხოლო გონებაჩლუნგებთან კი, რომელთა უჭკუო თავებში არასოდეს დაიბადება რაიმე წინააღმდეგობა, ეჭვი ან შეკითხვა, შეიძლება შემოიფარგლო მითითებებითა და ბრძანებებით.

უყოყმანოდ ვიტყვი, რომ სწორედ ასეთ ვითარებას ვხედავ თანამედროვე ქართველ ინტელიგენციაში, სადაც წინამძღოლის როლი წილად ხვდა ი.გ. ჭავჭავაძეს; ეს კი, როგორც ჩანს, არ შეესაბამება არც მის ძალასა და არც მის ბურჟუაზიულ ხასიათს...მეუბნებიან: ჩვენ არა გვყავს ხალხი და უნებლიეთ ვკმაყოფილდებით უნიჭო ადამიანებითო, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს მხოლოდ სიტყვებია და თანაც აშკარად ყალბი. ქართველ საზოგადოებაში მრავალი უდავოდ ნიჭიერი პიროვნებაა, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე ამიერკავკასიის სხვა რომელიმე ერში. რამდენი უნიჭიერესი და უპატიოსნესი ადამიანი ჭკნება და იღუპება პროვინციაში, სასამართლოს წვრილ მოხელედ, სოფლის სკოლებისა და პროგიმნაზიის მასწავლებლად და ა.შ. წინამძღოლის მოვალეობაა ფარნით ხელში მოძებნოს ასეთი ხალხი და მიიზიდოს ისინი ლიტერატურულ და საზოგადოებრივ დაწესებულებებში სამუშაოდ. მაგრამ ეძებს მათ უფალი ჭავჭავაძე? პირადად მე რამდენიმე ათეულ ასეთ ნიჭიერ კაცს ვიცნობ, რომლებმაც თბილისში ყველა დაწესებულება მოიარეს, ყველა კარზე დააკა-

კუნეს, მაგრამ ბოლოს იძულებულნი შეიქნენ მიყრუებულ ადგილებში გადახვეწილიყვნენ, რათა გამოეკვებათ საკუთარი თავი და ოჯახი. მთელი თავით მაღლა იდგნენ ისინი იმ უნიჭოებზე, რომლებიც გარს შემოჰხვევია საქართველოს ინტელიგენციის წინამძღოლს, რისთვის მფარველობს იგი პირველთა საზიანოდ მხოლოდ ამ მეორეთს და მფარველობს იმდენადაც კი, რომ თავის ბანკში ახალ-ახალ თანამდებობებს ქმნის მათ გამოსაკვებად? რით უნდა აიხსნას ასეთი სისტემატური მიდრეკილება უნიჭო ადამიანებისაკენ და ასევე სისტემატური უკუგდება ნიჭიერებისა, თუ არა ჩემი ჰიპოთეზით?

ბ-ნი ჭავჭავაძე უკვდავი არ არის, მაგრამ საქმე, რომელსაც ახლა ის ხელმძღვანელობს, მრავალ თაობას გადასნვდება. რატომ არ ფიქრობს იგი, რომ შეუძლებელია მხოლოდ საკუთარ პიროვნებაზე ააშენო სამშობლოს მომავალი? მე მას დიდი ხნის სიცოცხლესა და კეთილდღეობას ვუსურვებ, მაგრამ რატომ არ ფიქრობს, რომ შეიძლება ისიც გაქრეს ან ბოლოს და ბოლოს ავად გახდეს... რას მოიმოქმედებენ მაშინ ის არარაობანი, რომლებიც ახლა გარს ახვევია და რომლებიც მას ძალიან უყვარს? ერთადერთი პრინციპი, რომელიც შეიძლება მან ამ ხალხს უანდერძოს, არის ბრბოს გულისმოგება. ამის გარდა, მას ხომ სხვა არაფერი შეუქმნია ჩვენში, არც არავითარი გეგმა, არც ადამიანები. ყოველივე იმის გაკეთება, რაც სამშობლოს სიკეთისთვისაა განკუთვნილი, მარტო საკუთარ თავს რომ დააკისრო, ცხადია, არაა კეთილგონივრული საქციელი. მაგრამ ათასჯერ უფრო არაკეთილგონივრულია მეორე თვისება ამგვარი ადამიანებისა: მათი ავადმყოფური სურვილი—გამოჩნდნენ დიადნი, რის მიღწევასაც ისინი თავის გარშემო მხოლოდ ქონდრისკაცების შემოკრებით ფიქრობენ. მაგრამ ეს ოპტიკური სიცრუე, მერწმუნეთ, ვერავის დააბრმავებს. წინილებში მამალიც გამოირჩევა სიმაღლით, მაგრამ ამისთვის მას გიგანტად არავინ თვლის.

თუ თქვენ შეძლებთ ტოლებში თავის გამოჩენას, ეძებთ უფროს ადამიანთა საზოგადოებას, ცდილობთ არ დაიკარგოთ მათში და, თუ თქვენი გონებრივი ან ზნეობრივი ძალებით მოიპოვებთ მათ პატივისცემასა და ნდობას, მხოლოდ მაშინ იქნებით სათანადო ადგილზე, მანამდე კი, სანამ ეს ვერ მოგიხერხებიათ, ვერავითარი ეშმაკური ხლართები ვერ მოგიმატებენ დიდებას, თქვენი სამშობლოს ბედს კი არცთუ ისე მცირე ზიანს მიაყენებენ...

არა მსურს მუქი ფერებით შევღებო ჩემ მიერ ნაუცბადევად დახატული სურათი. შემოვიფარგლები იმით, რომ ვკითხავ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს ინტერესები: ნუთუ სამშობლოს ბედსა და მომავალს მათ გულში იმდენად უნიშვნელო ადგილი უჭირავს, რომ აუღელვებელად და უპროტესტოდ შეუძლიათ უყურონ თანდათანობით დაკნინებას ქართველი ინტელიგენციისა, რომელიც შეუბრალებლად იჭყლიტება უნიჭოთა ვიწრო, პირადი ინტერესების მოძალებისაკენ, იმ უნიჭოთა, რომელთა ირგვლივ შემოკრებაც ინება თ-დმა ჭავჭავაძემ?

ჩემ მიერ დასმული კითხვა ოდნავადაც არ გახლავთ რიტორიკული. ბ-ნმა ჭავჭავაძემ და მისმა უნიჭოთა იშვიათმა პლეადამ მოახერხეს ხელთ ეგდოთ თითქმის ყველა მნიშვნელოვანი წამოწყება. მათ ხელშია ბანკი, გაზეთი, ჟურნალი, თეატრი, სკოლა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ერთი სიტყვით, თითქმის ყველაფერი. განა დრო არ არის დავფიქრდეთ, სად იმალება ამ წამოწყებათა უძლურების მიზეზები, რომელთა ნიადაგიც ასე ნოყიერია, ხოლო შედეგი—ასე მწირი?

★

დასაწყისშივეა საჭირო მითითება სწორედ პირველ ნაბიჯთა შეცდომებსა და მოუხერხებლობაზე, რადგან თუ საფუძველშივე ხელი არ ახლე, ათი წლის შემდეგ ვეღარანაირი გაუმჯობესებული მანქანით ვერ ამოგლეჯ. ის, რაც დღეს შეიძლება გამოსწორდეს განსაკუთრებული ძალდატანების გარეშე, რამდენიმე წლის შემდეგ რუტინის ძალასა და მნიშვნელობას შეიძენს. ამიტომ ის არარაობანი, რომელნიც ახლა შეიძლება პიედესტალიდან ჩამოყაროს ფელეტონის მსუბუქმა სუსხმაც კი, შემდეგში შესაძლებელია წარმოგვიდგნენ „დაკანონებული (ღმერთმა უწყის, რის საფუძველზე!) რეპუტაციით“ დაე, ამ არარაობებმა და მათმა მეთაურმა ასეთი საკითხების ხელშეუხებლობა გამოაცხადონ. ეს მათ ხელს აძლევს, რადგან მხოლოდ ამგვარ „სიჩუმეში“ შეძლეს მათ მიეღნიათ გამარჯვებისათვის. მაგრამ ასეთი „მყუდროება“, მხოლოდ არარაობებისათვის რომაა ხელსაყრელი, საზიანოა საერთო ინტერესებისათვის, ჩვენი ქვეყნისათვის, რომელიც უკვე კარგა ხანია დროა, გავიხსენოთ ყველამ, ვისაც მამული უყვარს...

65. „თვითვე იგვემს თავსა თვისსა“

ჩემს უკანასკნელ „საკვირაო საუბარს“ სათანადო შთაბეჭდილება მოუხდენია იმ უნიჭოთა სინედრიონზე, რომელიც თავის თავს „ქართველ ინტელიგენციას“ უწოდებს. ამის შედეგად დღეს გაზეთი „დროება“[2] ჩემს წინააღმდეგ გამოვიდა ერთდროულად ორი სტატიით და თანაც რა სტატიებით: მოწინავეთი და ფელეტონით! ამ განუმეორებელი სტატიების ტონი და შინაარსი ნათელი დასტურია იმისა, რომ ჩემი წერილი მიზანში მოხვდა. სხვაგვარად მათი ავტორები ასე სწრაფად არ დაემსგავსებოდნენ აცუნდრუკებულ, უაზროდ გაანჩხლებულ ხბორებს, კუდაპრეხილნი, სასოწარკვეთით რომ ისვრიან უძლურების წიხლებს.

სინედრიონის უზენაესი ქურუმი თ-დი ი.გ. ჭავჭავაძე არენაზე არ გამოჩენილა. ის ან მეტისმეტადაა დაკავებული თავისი dolcebarniente[51], ანდა ძალიან ფრთხილია საიმისოდ, რათა ბრძოლაში ჩაებას. ცხადია, ბევრად უფრო მოსახერხებელია—თუნდაც არცთუ ისე საკადრისი—ომში ჩააბა შენი უმეცარი საჭურვლისმტვირთველნი, თუ მათ წინასწარ ააფარებ ნიღაბს სახეზე.

თავისთავად იგულისხმება, რომ ეს უმეცარი საჭურველმტვირთველნი ერთი სიტყვითაც არ შეეხნენ ჩემი სტატიის არსს და არც არავითარი საბუთი არ მოუტანიათ მის გასაბათილებლად. რა თქმა უნდა, მათ ეს აზრადაც არ მოსვლიათ. ამ ადამიანებმა ჩემს წინააღმდეგ გამოიყენეს უკიდურესობამდე ნათრევი ხერხები სინედრიონისა: ცილისწამება, ინსინუაცია, თავიანთი საკუთარი ნაკლის ჩემზე მოწერა და მისთანები. ეს მათი გულისა და გონების საქმეა. ამის გამო მათზე გაბრაზება შეუძლებელია. ქალიშვილთა შორის თვით უმშვენიერესსაც კი შეუძლია მოგცეს მხოლოდ ის, რაც აქვს და მეტი—არაფერი. მაშასადამე, უცნაური სულაც არ არის, რომ მჯღაბნელთა შორის ყველაზე სულელნი გაძლევენ მხოლოდ იმას, რაც ბლომადა აქვთ: სიცრუესა და ინსინუაციას.

სერიოზულად ელაპარაკო იმ ადამიანებს, რომელთაც არ რცხვენიათ პრესაში ყვირილისა, რომელთაც შეუძლიათ დაბეჭდონ ყველაფერი, რაც კი ენაზე მოადგებათ იმ იმედით, რომ ჩემთან შეხვედრის შემთხვევაში ფსევდონიმი იხსნის მათ ყურების დაგლეჯის საშიშროებისაგან—სასაცილო იქნებოდა. მაგრამ არ მინდა ულმობლად მოვექცე ამ ბატონებს, ამიტომ ვაცხადებ: მათ

ყურებს ჩემგან არავითარი საშიშროება არ ელის. დანყნარდით, შვილნო ჩემნო, თქვენ ჯერ კიდევ შორსა ხართ, უჰ, როგორ შორსა ხართ იმ ასაკისაგან, როცა ადამიანს გარკვეული საქციელის გამო შეიძლება ყურებიც დააგლიჯო.

მაშ ასე, ნუ გეშინიათ. მოიკრიფეთ ვაჟკაცობა და განაგრძეთ. რაც უფრო მეტ ცილს დამწამებთ და რაც უფრო მეტად მიმართავთ ინსინუაციებს, მით უფრო მეტ სიამოვნებას მომანიჭებთ პირადად მე და ასევე მეტ სარგებლობას მოუტანთ იმ საქმეს, რომელზედაც ვფიქრობ. ამით თქვენ ბრწყინვალედ დაუმტკიცებთ ყველას, ვისაც თვალი და ყური ასხია, რომ მთელს თქვენს სინედრიონს, თვით იმასაც კი, ვინც თქვენ გიბიძგათ ამ გმირობისაკენ; არც საბუთი, არც რაიმე მონაცემები და არც არავითარი სერიოზული მიზეზი საამისოდ არ გააჩნია, რის გამოც ყოველი თქვენი ბრნყინვალე გმირობა წარუშლელ ლაქად ედება თქვენსავე საქმეს, ამიტომ, მოიღეთ მოწყალება უფრო ხშირად!

შემოვიფარგლები მიუკერძოებელი მოწმის ან იმ დარტყმების აღმრიცხველის როლით, რომელსაც თქვენ თქვენი საკუთარი თავისა და ერთმანეთისათვის არ იშურებთ. შეისმინეთ; შვილებო, და ჭკუა ისწავლეთ, რომ შემდგომში ასეთ ხათაბალაში არ გაებათ და მერე, დაახლოებით ათი-თხუთმეტი ნლის შემდეგ, თუ შეძლებთ, გამოდით ბრძოლის ველზე.

ახლა კი უყურეთ. მონინავე ნერილში ბ-ნი ს. მესხი* იცავს თ-დ ჭავჭავაძეს მხოლოდ იმით, რომ სულში მიძვრება და ასე ლამობს აუხსნას მკითხველებს ის მოტივები, რომელთაც თითქოს დამაწერინეს ფელეტონი. რასაკვირველია, მას შეეძლო ჩემს სულში მოეძებნა და ეპოვნა თავისი საკუთარი მდაბალი სული მისთვის გასაგები სურვილებითა და განზრახვებითა. დაბლიდან, ანუ ფელეტონის განყოფილებიდან, მას ბანს აძლევს თ-დი ი. მაჩაბელი. ხოლო ინსინუაციებისა და ვარაუდების ჯვარედინი ცეცხლი ერთი მიზნისკენაა მიმართული,—გააბათილონ ჩემი დებულება იმის შესახებ, რომ თ-დი ი. ჭავჭავაძე თავის ირგვლივ იკრებს არაფრისმაქნის, მაგრამ მორჩილ საჭურველთმტვირთველებს.

---

* თუ „დროებამ" თავს უფლება მისცა ჩემი ხელმოუწერელი ფელეტონი ბ-ნი ნიკოლაძისათვის მიეწერა, მაშინ მეც არანაკლები უფლება მაქვს „დროების" სტატიათა ავტორები თავიანთი ნამდვილი გვარებით მოვიხსენიო.

შესანიშნავია.

მაგრამ განა იგივე ბ-ნი ს. მესხი იმავე გაზეთ „დროებაში“"ერთი წლის წინ სწორედ იმავე აზრს არ ამტკიცებდა იმავე თ-დი ი. მაჩაბლის მისამართით?

მოგაგონებთ ორივე საჭურველთმტვირთველის მიერ მივიწყებულ ამ ისტორიას. ამისათვის უნდა გადავშალოთ 1879 წ. 13 სექტემბრის (№193) გაზეთი „დროება“ და მის პირველ გვერდზე, პირველ სამ სვეტში, ვნახოთ ბ-ნ ს. მესხის სტატია, რომელიც სიტყვასიტყვით შემდეგს გვაუწყებს:

„ჩვენ გვითხრეს, რომ იმ სასწავლებლის ინსპექტორად, რომელიც „თფილისის გუბერნიის ღარიბ თავადაზნაურთა შვილების შესაწევნელად“ დაარსებულის საზოგადოებისაგან არის გახსნილი, უფ. შიუკოვის მაგივრად, ამ საზოგადოების კომიტეტს დაუნიშნავს უფ. ივ. მაჩაბელი.

უფ. მაჩაბელს გარდა, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ამ თანამდებობას თხოულობდა აგრეთვე ადრინდელი პანსიონის პატრონი ქუთაისში უფ. ალექსი ჭიჭინაძე.

ჩვენ გვიკვირს და ვერც გაგვიგია—თუ ხსენებულმა კომიტეტმა რატომ მისცა უფ. ივ. მაჩაბელს ამ შემთხვევაში უპირატესობა უფ. ალ. ჭიჭინაძეზედ. რამდენადაც ჩვენ ვიცით, უფ. მაჩაბელს არსად და არასოდეს არ გამოუჩენია ჯერ თავის პედაგოგიური ცოდნა და ნიჭი. არსად და არაფრით არ დაუმტკიცებია, იმას, რომ ყმაწვილების აღზრდის საქმის კისვრა შეუძლია, არავის არ უნახავს, არავინ არ იცის, რომ იმას უყვარს ეს საგანი და შეუძლიან შეასრულოს თავის მძიმე მოვალეობა.

სრულებით ამის წინააღმდეგი ითქმის საზოგადოების კომიტეტისაგან დაწუნებულს უფ. ა. ჭიჭინაძეზედ: იმის ქუთაისის პანსიონი, როგორც სწავლის, აგრეთვე ადმინისტრაციულის მხრით, ერთი ჩინებულთაგანი პანსიონი იყო, ოთხი-ხუთი წელიწადია, რაც ის ამ საქმეს ადგია; ყველა, ვისაც იმის პანსიონი და იმისაგან მომზადებული ყმაწვილები უნახავს, იტყვის, რომ იმას უყვარს თავისი საქმე, კარგათ შეუსწავლია ყმაწვილების აღზრდის მეცნიერება, და რაც ყოველ პედაგოგისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, იმას მოუხერხებია ისე წაყვანა ამ აღზრდისა, ისე დაჭერა შეგირდებთან თავისა, რომ ყველა შეგირდს უყვარს.

არც ერთი ეს თვისება არ გამოუჩენია ჯერ უფ. მაჩაბელს, ვინ იტყვის, იქნება უფ. მაჩაბელი ნიჭიერი ყმაწვილიც არის, კარგათ ნასწავლიც და კარგი მშრომელიც, მაგრამ ეს არ კმარა პედაგოგისათვის. საჭიროა თვითონ პედაგოგიის მეცნიერების ცოდნა, საჭიროა გამოცდილება, საჭიროა ცოდნა ყმაწვილების მოპყრობისა და სხვა ბევრი ისეთი რამე, რომელიც უფ. მაჩაბელს წინ არ მიუძღვის.

მაშ რისთვის დანიშნეს ის, რისთვის მისცეს იმას უპირატესობა გამოცდილ და დახელოვნებულ პედაგოგის წინაშე?

ბოროტი ენები ამბობენ და ამტკიცებენ, რომ კომიტეტი ამ შემთხვევაში სრულებით არავითარი პედაგოგიური მოსაზრებით არ ხელმძღვანელობდაო, აქ სხვა რამ მიზეზი იყოვო; და ეს მიზეზი ის არისო, რომ კომიტეტის წევრებმა იცოდნენო, რომ უფ. ივ. მაჩაბელი „სასიამოვნო კანდიდატია“ „ივერიის რედაქტორის უფ. ილია ჭავჭავაძისა, იცოდნენო, რომ ამ პატივცემული ჟურნალის პატივცემულ რედაქტორს ჰსურს, აქ, თფილისში, თავის გვერდით ჰყავდეს თანამშრომელი და სხვა. ერთის სიტყვით, ამბობენ, რომ ეს ხათრის საქმეა.

ამის შემდეგ როგორ უნდა ვინაღვლოთ უბედური ბედი იმ შეგირდებისა, რომელთაც რომელიმე კაცის ხათრისა და მეგობრობისათვის უნიშნავენ მასწავლებლებსა და ხელმძღვანელებს“...

ასე წერდა სულ რაღაც ცხრა თვის წინ ერთ-ერთი ახლანდელი საჭურველთმტვირთველთაგანი ბ-ნი მესხი თავის დღევანდელ თანამებრძოლ ბ-ნ ივ. მაჩაბელზე და მათ საერთო უფალზე ბ-ნ ილია ჭავჭავაძეზე. მან ვერც კი მოასწრო იმ ფეხსაცმლის გაცვეთა, რომელიც ამ სტრიქონების წერის დროს ეცვა, სამაგიეროდ მოასწრო აზრის შეცვლა. ამიტომ ჩემს საყვედურს, რომელიც სიტყვა-სიტყვით ჰგავს მის ზემომოყვანილ აზრს ბ-ნ ი. ჭავჭავაძეზე, დღეს იგი „ქართველი ინტელიგენციისადმი“ სიბრალულის გრძნობას მიაწერს. ეტყობა, ჩემზე ის საკუთარი თავის მიხედვით მსჯელობს, როგორც ჩანს, თავისი ორი სტატიიდან ერთ-ერთი (სექტემბრის ამდღევანდელი) მას მსგავსმა საცოდავმა გრძნობამ შთააგონა.

„შვილებო, შვილებო, რა სახიფათო ასაკში ხართ!“—ვიტყვი ხემნიცერივით და დავამატებ: ახლა თვითონაც ხედავთ, რომ გამოუცდელ უმწიფართ არ მართებთ მახვილის ხელში აღება და მო-

წინააღმდეგესთან შებრძოლება. იმედია, ხედავთ და გრძნობთ, რომ აბჯარი თქვენს ტანზე არ არის მორგებული, რომ მოწინააღმდეგის ერთი ხელის მოქნევით შიგ გულში დაჭერით ერთმანეთი საკუთარი იარაღითვე. ასევე შეამჩნევდით, რომ თქვენი სასაცილო ტურნირი შესანიშნავი ილუსტრაცია გამოდგა იმ სტატიისა, რომლის წინააღმდეგადაც თქვენ კინაღამ ამხედრდით".

★

ახლა მეორე ნიმუშს გიჩვენებთ იმისას, თუ როგორ შეიძლება შემოტრიალდეს გამოუცდელი და სუსტი მებრძოლის იარაღი არა მარტო თანამებრძოლის, არამედ თვით მისსავე წინააღმდეგ.

ბ-ნი მესხი ჩემს სტატიას განმარტავს, როგორც ბ-ნი ნიკოლაძის განაწყენების შედეგს იმ ქართველი ინტელიგენციის მიმართ, რომელმაც თითქოს მას ზურგი შეაქცია.

არ ვიცი, ვისი შეცდომაში შეყვანა სურს ბ-ნ მესხს ამის მტკიცებით, ნუთუ ქართველი ახალგაზრდობისა, რომელმაც თვითონაც კარგად იცის, ვის შეაქცია ზურგი, მაგრამ, თუ იგი იმ სინედრიონზე ლაპარაკობს, რომელსაც ირონიულად „ქართველი ინტელიგენცია" ვუწოდეთ და რომელმაც ერთხელაც კი ვერ შეძლო მიეზიდა მისივე საზოგადოების წევრები, ძალით შეთრეული ოცი მაყურებლის გარდა, მე თვითონვე მადლობას შევწირავდი ღმერთს მათთან ჩემი უთანხმოების გამო. ამიტომ მე არ მიკვირს, რომ ბ-ნი მესხი პირველად არ იჭყლეტს გონებას რაიმე პრინციპულით ახსნას მის მიერვე შეთხზული ვოლტ-ფასი. მე ვიცი და ამას ყველა ხედავს, რომ მთელი ინტელიგენცია ან მისი რომელიმე ნაწილი კი არა, არამედ მხოლოდ ბ-ნი ს. მესხი გადავიდა ბ-ნი ჭავჭავაძის მხარეზე. ამაზე კი სრულიადაც არ ვწუხვართ. ბ-ნი მესხის მსგავს ადამიანთა დაკარგვა რომ სატირლად ღირდეს, მე საკუთარ თავშივე ვპოვებდი საკმაო ნუგეშს: ალბათ, მოვა დრო, როცა მეც მექნება საშუალება ასეთ ბატონთა გადმობირებისა. ამის საიდუმლოება დიდი ხანია ამოცნობილია და გამოცდილი. ოღონდ მთელი უბედურება ისაა, რომ ამის გაკეთების არავითარი სურვილი არა მაქვს და არცაა საჭირო.

ამგვარად, მშვიდობიანად დავეხსნებით საჭურველთმტვირთველებს და ვიმედოვნებ, რომ ბოლოს და ბოლოს თვით რაინდი ჩაიცვამს აბჯარს და თავისი მაგალითით ასწავლის მსახურებს მოწინააღმდეგესთან ლიტერატურული ბრძოლის ხელოვნებას.

66. სადღეისო საკითხი

თბილისი, 1880 წ. 19 ივნისი

როდესაც განსვენებულმა იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა თურქეთს პირველად უწოდა „ავადმყოფი ადამიანი", რომლის მემკვიდრეობაზე ფიქრია საჭირო, ევროპული დიპლომატია აფორიაქდა, ხოლო ევროპის კონტინენტის სახელმწიფოთა ბედის ყველა განმგებელს თავზარი დაეცა. როგორ შეიძლება თურქეთი იყოს უიმედო ავადმყოფის მდგომარეობაში, როცა იგი, მათი აზრით, რუსეთის დამპყრობლური მისწრაფებების საწინააღმდეგო და გამიზნულ საყრდენს წარმოადგენს! სამი ევროპული სახელმწიფო—ინგლისი, საფრანგეთი და იტალია ერთდროულად აღსდგენ რუსეთის წინააღმდეგ, რათა ეჩვენებინათ თურქეთის ძალა და მნიშვნელობა, მისი სიცოცხლისუნარიანობა და ის უდიდესი როლი, რასაც მას ევროპის პოლიტიკოსები და დიპლომატები აკისრებენ. პარიზის კონგრესზე თურქეთი უკვე ევროპის დიდი სახელმწიფოს სახით გამოცხადდა, ხოლო მისმა მისწრაფებამ მომავალი ადმინისტრაციის გაუმჯობესების თაობაზე ბევრი ჭეშმარიტად დაარწმუნა იმ ბრწყინვალე მომავალში, რომელიც ელის ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და მასზე გაბატონებულ თურქულ რასას. ყველაფერი თურქული მაშინ მოდაში იყო, განსაკუთრებით კი თურქებისთვის სესხის მიცემა, რაც ძირითადად სამხედრო მიზნებს ხმარდებოდა და მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ სინამდვილეში ამ თანხების მხოლოდ ნაწილი დაიხარჯა არმიისა და ფლოტის ჩამოსაყალიბებლად, ფულის დიდი ნაწილი უბარაქოდ გაიფანტა სულთნის სასახლეების მშენებლობისა და ჰარამხანების ფუფუნებით მოწყობისათვის.

მიუხედავად ამისა, საზღვარგარეთ ყველა დარწმუნებული იყო თურქეთის აღორძინებაში, მის მომავალ უძლეველობაში. მხოლოდ რუსეთი, პარიზის ტრაქტატზე ხელმოწერის პირველი დღიდანვე, განუწყვეტლივ მიუთითებდა ევროპის სახელმწიფოთა მესვეურებს თურქეთის ნამდვილ მდგომარეობასა, ანუ ბალკანეთის ნახევარკუნძულის ხალხთა პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე, რომლებიც, თურქეთის დიპლომატთა სიტყვით, აღორძინებას განიცდიდნენ. ოცი წლის შემდეგ ყოველგვარ ადამიანურ უფლებებს მოკლებული ამ საბრალო ხალხის ცხოვრება აუტანე-

ლი გახდა და გამოიწვია ხშირი აჯანყებები ჰერცოგოვინაში, ბოსნიასა და ბულგარეთში. ხოლო თურქეთის ბაშიბუზუკების არაადამიანურმა საქციელმა და ჩვენი ცივილიზებული ევროპელების ჩუმმა თანხმობამ შეადუღაბა ყველა უკმაყოფილო და აჯანყებულთა დასაცავად აამხედრა ჩერნიგოველები და სერბები, რომელთაც რუსი ხალხისაგან დიდი თანაგრძნობა და აქტიური დახმარება მიიღეს სერბიაში მოხალისეთა გაგზავნის სახით. თურქეთისათვის, რომელსაც უკვე მრავალრიცხოვანი და კარგად ორგანიზებული არმია ჰყავდა, ძნელი არ აღმოჩნდა დაეძლია ცუდად შეიარაღებული და ომს გადაჩვეული სერბიის მილიციის პოლკები; ამგვარმა ვითარებამ კი, როგორც ცნობილია, გამოიწვია რუსეთის უშუალო ჩარევა თურქეთის საქმეებში.

თურქეთის მთავრობამ ჩვენი ულტიმატუმი მიიღო, ოღონდ რუსეთთან ომი, დიპლომატების აზრით, იმდენი ხნით გადასდო, რამდენიც ეყოფოდა დიდი ომის შემთხვევაში არმიის კარგად შეიარაღებისათვის. თურქეთს უნდა დაეცვა როგორც საკუთარი, ისე მთელი ევროპის პატივმოყვარეობა. დიპლომატები არც ამის შემდეგ გაჩერებულან უმოქმედოდ; რუსეთის მოთხოვნის თანახმად, კონსტანტინოპოლში ჩატარდა კონფერენცია თითქოსდა იმ განზრახვით, რომ გაერკვია გაუგებრობა თურქეთსა და რუსეთს შორის, რომელიც თხოულობდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქრისტიანთა ადამიანური უფლებების დაცვას. რადგან ასეთი მოთხოვნილების შესრულება არ სურდა, დიპლომატიამ მიმართა გრანდიოზულ ფარსს: იმის ნაცვლად, რომ რამდენადმე მაინც შეემსუბუქებინა ცხოვრება ქრისტიანი ქვეშევრდომებისათვის, როგორც ამას რუსეთი მოითხოვდა, სულთანმა ყველა თავის ქვეშევრდომს, განურჩევლად რწმენისა და წარმოშობისა, ისეთი დიდი პოლიტიკური თავისუფლება მიანიჭა, რომლითაც სარგებლობენ საფრანგეთის რესპუბლიკისა და ბელგიის მოქალაქენი.

ბრწყინვალე კონსტიტუცია, რომელიც დიდმა პორტამ გამოაქვეყნა, დაუყოვნებლივ შევიდა ძალაში და უაზრო გახადა კონფერენციის შემდგომი მუშაობა კონსტანტინოპოლში. თურქეთის პარლამენტმა დაიწყო მუშაობა, გამოჩნდნენ ოპოზიციის ორატორებიც კი და ა.შ., მაგრამ მთავრობის პირობა, ცხადია, შესაძლებელია იქ, სადაც საამისოდ ოდნავი პირობები მაინც არსებობს. უსამართლობა და უუფლებობა, რომელიც სულთნის სამფლობე-

ლოში სუფევდა, ძალზე ცუდ ნიადაგს წარმოადგენდა ოტომანთა იმპერიის წარმომადგენელთა ლეგალური კონსტიტუციური მოქმედებისათვის. უფროსობის ბრძანებით შეკრებილ დეპუტატებს მხოლოდ მათი ბრძანების უსიტყვოდ ასრულება შეეძლოთ მალე პარლამენტის ყველა უფასო სხდომა ისეთ უაზრო კომედიად იქცა, რომ ბოლოს იმათაც კი მოაბეზრა თავი, ვინც ის მოიგონა. პარლამენტი დაითხოვეს და, თუ არარსებული ოტომანური ეროვნების წარმომადგენელ დეპუტატებს სინანულის გრძნობა გაუჩნდათ, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ასე უაზროდ და უსარგებლოდ შეყარეს ისინი.

ბერლინის ტრაქტატი არ შეხებია თურქეთის შინამმართველობას, რომელიც თითქოსდა რეფორმების ჩატარებას აპირებდა, ამიტომ თურქეთის პარლამენტის საკითხი ბერლინში არ აღძრულა. მხოლოდ ახლა, როდესაც ბერლინის ტრაქტატის ძალით ავსტრია-უნგრეთმა დაიპყრო თურქეთის ორი დიდი პროვინცია და მშვიდობიანი გზით ისე ახლოს მივიდა კონსტანტინოპოლთან, როგორც ვერასდროს მივიდოდა თავისი ძლევამოსილი არმიის დახმარებით,—ინგლისის პარლამენტში ლორდმა კემპბელმა ლორდთა პალატის ყურადღება გაამახვილა თურქეთის პარლამენტის დაუყოვნებლივ მოწვევის აუცილებლობაზე. უნებლიეთ ისმის კითხვა: ვის და რატომ დასჭირდა განეახლებინა ეს ბედუკულმართი ფარსი? რა წარმომადგენლობა უნდა არსებობდეს პირადი უსაფრთხოების გარეშე და ადმინისტრაციის სრული თვითნებობის დროს? ინგლისის დიპლომატია უეჭველად დარწმუნდა, რომ მარტო ერთი სულთნის მეშვეობით ვერაფერს გახდებოდა და საჭირო იყო სხვა იარაღი, რომლის დახმარებითაც თვით სულთანიც ზედმეტი შეიქნებოდა. ცხადია, ეს გეგმა ცუდი არაა ახლანდელი ვითარებისათვის, როცა ჩვენი გამარჯვებისა და ავსტრია-უნგრეთის მშვიდობიანი წინსვლის შემდეგ სულთნის მპყრობელობა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე თითქმის ფიქტიური გახდა და, მაშასადამე, დგება მემკვიდრეობის გაყოფის დრო. უკანასკნელი საკითხი, რასაკვირველია, ყველაზე მეტად რუსეთს აინტერესებს: ჩვენ ვერ დავუშვებთ ბოსფორის გადასვლას მოქიშპე სახელმწიფოთა ხელში, რადგან იგი გაანადგურებს არა მარტო რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების მომავალს ხმელთა-

შუა ზღვის აუზში, არამედ ხელს შეუშლის მთელი შავი ზღვის უსაფრთხოებისა და კეთილმოწყობის შესაძლებლობას დაახლოებით 2000 ვერსის მანძილზე. ასეთი საზღვრის ღიად დატოვებამ მოქიშპე სახელმწიფოებისათის მომავალში შესაძლებელია დიდი მსხვერპლი მოიტანოს, როგორც ეს გვიჩვენა ყირიმისა და თურქეთის უკანასკნელმა ომებმა, ამიტომ სულთნის მემკვიდრეობით რუსეთი უფრო მეტადაა დაინტერესებული, ვიდრე ევროპის სხვა სახელმწიფოები. აღადგენს თუ არა ინგლისი თურქეთის პარალმენტს ავსტრია-უნგრეთის დახმარებით, ეს სრულიადაც არ შეცვლის არც თურქეთის ახლანდელ მდგომარეობას და არც რუსეთის მისდამი დამოკიდებულებას; რაც შეეხებათ დიპლომატებს, ვფიქრობ, მათ კარგი საშუალება მიეცემათ წარმოთქვან კარგი სიტყვები და დაწერონ რამდენიმე საქმიანი მემორანდუმი.

67. საკვირაო საუბრები

რუსეთის ინტელიგენციის ზეიმი.—გიგანტები და ბრბო.—თხუთმეტი წლის წინ და ახლა.—რას ფიქრობს განათლებული რუსი ხალხი და რა ითქვა ზეიმზე.–ნიადაგი შერიგებისა და ერთსულოვნებისათვის.—მცირე რამ გონებრივ ცენტრზე.—„დაცემულთა შეწყალება“.—ამნისტია საფრანგეთში—კომუნართა „დანაშაულის“ კოლოსალურობა და საფრანგეთის პარლამენტის გულმოწყალება.—რით აიხსნება ეს გულმოწყალება?

„პუშკინის ზეიმი“, რომელიც დიდებულად ჩატარდა, და, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს „რუსი ინტელიგენციის დღესასწაული“, ჩვენის აზრით, ღირსეული გაგრძელებაა იმ იმედის მომცემი საზოგადოებრივი მოძრაობისა, რომელიც შარშან დაიწყო პეტერბურგსა და მოსკოვში ტურგენევის ცნობილი ოვაციებით. დიდი პოეტის ძეგლის გახსნა და ამ ზეიმის ოფიციალური ცერემონიალი, დაახლოებით ისეთივე, როგორიც ჰქონდა ი.ს. ტურგენევს, შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ჩარჩო, ფორმა, რომელშიაც გადმოიღვარა დიდი ხნის დაგუბებული ენერგია და ოდითგანვე დაგროვილი გრძნობები. აქ, მთელი რუსეთის წინაშე, კვლავ გამოჩნდნენ „დაუოკებელი“ და უკეთილშობილესი მისწრაფებები რუსული აზრის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლებისა, რომელთაც მაშინვე მონახეს პირდაპირი გზა თანამედროვე საზოგადოების გულისა და გონებისაკენ...

არაერთხელ მიმითითებია „ობზორში“[6] ამ მოძრაობის მცირე გამოვლინებების იმ გამამხნევებელ მომენტებზე, რომელნიც, შეიძლება ითქვას—გაცილებით კარგად მოჩანს ჩვენი მშვენიერი შორეთიდან, ვიდრე მისი აღმოცენების ადგილზე. გაუხარელ წყვდიადში, ტყვიასავით მძიმედ რომ დასწოლია ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას, ეს გამოვლინებები ჩემთვის იყო შორეული იმედის სხივი იმ მომავალი „ნათელი დღეებისა,“ როდესაც ნამდვილად:

Покажем Русь, что есть в ней люди
Что есть грядущее у ней!.. [52]

ისე კი, კაცმა რომ თქვას, განა აუცილებელი არ იყო ასეთი „გამოვლინებანი“, რომ იმედი არ დაგვეკარგა და სულიერად არ დავცემულიყავით? განა საკმარისი არ იყო ჩაგვეხედა წარსულში და

მოგვეგონებინა წინაპართა საქმეები, რათა მტკიცედ გვერწმუნა, რომ ნასვენ, ბარაქიან მიწაზე მათ მიერ დათესილი ახალი ცხოვრების თესლი უკვალოდ არ გაქრება და უხვ მოსავალს მოგვცემს? განა მთელი ერის გონებრივი ცხოვრება განწირულია შემთხვევითობისა და მერყეობისათვის? განა საზოგადოებაში ერთხელ დაბადებული ჯანსაღი აზრი აღიგვება პირისაგან მიწისა რაიმე ძალის დაწოლით? დიდი ხანია ცნობილია, რომ ადამიანის აზროვნებას ლურსმნის თვისება აქვს: რაც მეტს ურტყამ, მით უფრო მძლავრად ეჭედება იგი შთამომავლობისა და თანამედროვეთა ტვინში, მით უფრო შეუძლებელია ხელი შეუშალო მის შეჭრას მასებში...

მართლაც, ჩვენს წარსულს არ შემოუნახავს თითქმის არავითარი მაგალითი ასეთი ძლიერი და უძლეველი საზოგადოებრივი მოძრაობისა. აქამდე, რუსულ საზოგადოებრიობასთან ერთად, მოქმედებდნეენ ან აზროვნებდნენ მისი ასე თუ ისე ნდობით აღჭურვილი წარმომადგენლები, ამიტომ ამ საუკუნის რუსეთის ცხოვრების ისტორიკოსი მხოლოდ დიდი წვალებით თუ გამოძებნის დროთა განმავლობაში თვით ამ საზოგადოების უფერული მონაწილეობის დამადასტურებელ ცნობებს ცხოვრების მსვლელობაში. ამ თვალსაზრისით, ცხადია, არც ცდებოდა, როცა წერდა:

"Да! Были личности!.. Не пропадет народ,
Обретший их во временя крутыя!
Мудренными путями Бог ведет
Тебя, многострадальная Россия!
Попробуй, усумнись в твоих богатырях
Доисторического века,
Когда и в наши дни выносят на плечах
Все поколенье два-три человека!"

მაგრამ დროება შეიცვალა. ახლა რუსეთის საზოგადოებაში ვეღარ ვხედავთ მოაზროვნეებს, რომელნიც მთელი საზოგადოების გონებრივი ცხოვრების „სინთეზირებას“ ახდენდნენ და აძლევდნენ მას საჭირო ბიძგსა და მიმართულებას. ასეთი გიგანტები

თანამედროვე რუსულ აზროვნებას აღარ ჰყავს. სპენსერის თქმით, მან დიფერენციაცია განიცადა. სამაგიეროდ ახლა პირველად არ ვამჩნევთ რუსეთის ცხოვრების საზოგადოებრივ არენაზე ბერძნულ ტრაგედიაში მოქმედი ხოროს მსგავს მასას. უდავოა, რომ ამგვარი ხოროს ყოველი ცალკეული წევრი არარაობაა ძველ გიგანტებთან შედარებით, მაგრამ თვით მრავალრიცხოვნება ამ ხოროსი, მათი სურვილი მტკიცედ შეკავშირებულ ჯგუფში დგომისა და მათი შეხმატკბილებული სიმღერა მაინც დამამშვიდებელი მოვლენაა... იზრდება ახალი ძალა. „გოლიათი იღვიძებს“ [53], ვიტყოდი მე, უკვე ნათქვამი რომ არ იყოს და დროულადაც უფრო ხმამაღლა და ავტორიტეტული ხმით, ვიდრე მე გამაჩნია...

დიახ, დაბადებიდან ბრმა უნდა იყო, რომ ვერ ხედავდე ახალი ცხოვრების ამ მოკრძალებული გამოვლინების უზარმაზარ საზოგადოებრივ მნიშვნელობას. დღეს იდეა, რომელიც სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის წინ მხოლოდ რამდენიმე გამორჩეული ადამიანის საკუთრება იყო, უკვე შეიჭრა საზოგადოებრივი მასების შეგნებაში და მოძრაობაში მოჰყავს იგი. ეს მასები უკვე ყოველდღიური ცხოვრების უმნიშვნელო შემთხვევებისა თუ მოვლენების გამოც ავლენენ თავს. ისინი ეძებენ სივრცესა და თავისუფლებას თავიანთი ჭარბი, დიდხანს მიძინებული ძალებისათვის და სარგებლობენ ყველა საბაბით თავიანთი აქამდე შებორკილი დამოუკიდებლობის გამოსავლინებლად...

უცნაური იქნებოდა დაგვესვა ასეთი კითხვა—რა სჯობია: ძველი მდგომარეობა, როცა მთელი თაობის ნაცვლად აზროვნებდა და მოქმედებდა ორი-სამი კაცი, თუ ახლანდელი, როცა ასპარეზზე გამოდიან არცთუ კარგად დისციპლინირებული მასები? ეს კითხვა მეტისმეტად უქმია. მაგრამ არ შეიძლება არ ვისარგებლოთ შემთხვევით და არ გავიხსენოთ, ძალთა როგორ ეკონომიას, დროისა და შრომის რა კონცენტრაციას მივაღწევდით ამ ორივე მხარის შერწყმით და რამდენად გაზრდიდა იგი როგორც ერთის, ისე მეორის ძალასა და გავლენას.

პუშკინის ზეიმზე, მიუხედავად შესანიშნავი სიტყვებისა და განცხადედების სიუხვისა, მიუხედავად უამრავი მოღვაწის თავმოყრისა, არ წარმოთქმულა არც ერთი ისეთი სიტყვა, რომელიც მძლავრად გადაიქუხებდა მთელი რუსეთის ველებზე და ყველა განათლებული ხალხის საკუთრებად იქცეოდა. ჩავეკითხოთ ჩვენს

თავსა და ერთმანეთს: რისი იმედი გვაქვს, რას მივესწრაფვით, რა გვნადია, რა გვიშლის ხელს ყოველდღიურ ცხოვრებაში და შეადარეთ ყოველივე ეს იმას, რაც გამოთქმული იყო მოსკოვსა და პეტერბურგში „ინტელიგენციის ზეიმზე". განა ისინი ერთმანეთს ემთხვევა? განა ჩვენი აზრები და მისწრაფებები ოდნავ მაინც გამოიხატა თუნდაც ერთ რომელიმე მოხსენებაში? ბევრი შესანიშნავი რამ ითქვა ამ ზეიმზე, ეს უდავოა. ალბათ, ყველა ჩვენგანი შეუერთდება მოწოდებას „დაცემულის აღდგენისაკენ", ერთსულოვნებისაკენ, შერიგებისაკენ და ა.შ. მაგრამ ვინ გამამტყუნებს „ობზორის" მკითხველთაგან, თუ ვიტყვი, რომ მხოლოდ ამგვარი პრობლემები როდი აღელვებს ჩვენი დროის განათლებულ ადამიანებს? რატომ მოხდა, რომ ხალხის მეორეხარისხოვანმა მისწრაფებებმა გამოხმაურება პოვეს დღესასწაულზე, ხოლო უმნიშვნელოვანეს და უპირველეს საკითხებზე ხმა არავის ამოუღია მაშინ, როცა საჭირო იყო სწორედ ამ პრობლემებზე ელაპარაკათ მთელი განათლებული რუსეთისათვის?

ვფიქრობ, ეს იმიტომ მოხდა, რომ რუსეთის ინტელიგენცია, რომელმაც თავისი ენერგია და თავგანწირვის უნარი მრავალჯერ გამოავლინა, ამჟამად თავისი განვითარების გარდამავალ ფაზაში იმყოფება. იგი დაიბადა, მოძრაობს, მოქმედებს, მაგრამ გამტკიცება და ორგანიზება ჯერ კიდევ ვერ მოასწრო. მასში ძალზე ძლიერია ცხოვრების ძველი ფორმებით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და თავდავიწყებული მისწრაფებაა უკეთესი მომავლისაკენ. როგორც ჩანს, საჭიროა გარკვეული დრო, რათა ეს მასა ერთ დისციპლინირებულ მთელად შეკავშირდეს და გარკვეული მიზნისაკენ გასწიოს ისე, „როგორც ერთმა ადამიანმა"...

ეჭვი არ მეპარება, რომ შორს არაა ეს დრო. უკაცობა, ახლა რომ განიცდის რუსეთი (ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ადამიანებს, რომლებსაც მთელი თაობები გამოჰყავთ სამოქმედოდ), შეუძლებელია დაუსრულებლად გაგრძელდეს. ეს უმეტესად აიხსნება დროის ფაქტორით, რომელსაც ათვალწუნებული ჰყავს ახალი ძალები... მაგრამ ჩვენი მიწა დიდია და ვრცელი და მოღვაწეთა მრავალი გუნდიდან ბოლოს და ბოლოს გამოვლენ ადამიანები, რომლებიც ღირსნი იქნებიან საერთო საქმის ხელმძღვანელობისა და

რომლებიც შეძლებენ საყოველთაო მისწრაფებათა სინთეზირებას. მაშინ თქვენ დაინახავთ, რა წარმატებითა და სისწრაფით წავა საქმე, ახლა რომ შეუმჩნეველად და დუნედ მიედინება.

რაც შეეხება ერთსულოვნებისა და შეთანხმებისაკენ მოწოდებებს, განა საჭიროა კიდევ მივუთითოთ მათ ცალმხრივობაზე? ჩანს, ეს სრულიად ზედმეტი შრომაა, ვინაიდან ასეთი ცალმხრივობა თავად გვხვდება თვალში. მაგრამ, მეორეს მხრივ, ჩვენს პრესაში პუშკინის ზეიმის შესახებ იმდენი „თავისთავად" აღმოცენებული აზრი გამოითქვა, რომ რატომ არ უნდა ვთქვათ ესეც, მით უმეტეს, რომ მას თითქოს განგებ ყველამ გვერდი აუარა.

არავითარ მოწოდებასა თუ შეგონებას არ შეუძლია შექმნას თანხმობა, თუ თვით საზოგადოების ცხოვრებაში არ არსებობს საერთო ცენტრი და საერთო საქმე, რომელიც აწონასწორებს ადამიანურ ძალებს. შერიგებასა და ერთსულოვნებაზე ღაღადს სჯობია შევქმნათ ასეთი ცენტრი და ასეთი საქმე, რასაც ბუნებრივად მოჰყვება საზოგადოების ყველა ძალის შეჯგუფება ყოველგვარი მოწოდებების გარეშე, გამომდინარე მხოლოდ მიზიდულობის კანონიდან. ორატორები, რომლებიც ასეთი შედეგების აუცილებლობას გვთავაზობენ, უფრო მიზანშეწონილად გამოიყენებდნენ თავიანთ ტალანტს, თუ სააშკარაოზე გამოიტანდნენ იმ მიზეზის შექმნის აუცილებლობას, რომელიც მათთვის სასურველ შედეგს წარმოშობდა. მათ მართებთ ლაპარაკი გონებრივ ცენტრზე, რომლის ირგვლივ შეუძლიათ დაჯგუფდნენ რუსეთის ინტელექტუალურ ძალთა წარმომადგენლები ქვეყნის გონებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების მიზანშეწონილი წარმართვისათვის და ენერგიის იმ უწესრიგო ფლანგვის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ასე დამახასიათებელია ჩვენი ეპოქისათვის. აი, ერთადერთი საფუძველი, რომელსაც შეუძლია მოარიგოს და შეარიგოს ყველა და ყველაფერი...

★

ალბათ, ძალიან არ დავშორდებით პუშკინის ზეიმზე წარმოთქმულ მოწოდებებს „დაცემულის შებრალების" თაობაზე, თუ ახლა გადავალთ განვლილი ნახევარი თვის უმთავრეს მოვლენაზე,—ამნისტიაზე, რომელსაც ასე მჭევრმეტყველურად იცავდა საფრანგეთის პარალმენტში მესამე რესპუბლიკის მოქნილი და მოხერხებული ორგანიზატორი გამბეტა.

თბილისში ჯერ კიდევ არ მიგვიღია გამბეტას სიტყვის სრული ტექსტი, მაგრამ მისი ანალიტიკური ანგარიშიდან, დღევანდელ „ობზორში“ რომ დაიბეჭდა, მკითხველებს შეუძლიათ გარკვეული წარმოდგენა შეიქმნან იმ ზომების მნიშვნელობაზე, რომელსაც საფრანგეთის მთავრობა გვთავაზობს. მე ვთქვი „გარკვეული“, რადგან საქმეზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად საჭიროა სხვა მონაცემებიც, რომლებზედაც ახლა მინდა რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ.

უნდა გვახსოვდეს, რომ გამბეტა და ფრეისინე მოითხოვენ ამნისტიას არა რაიმე უმნიშვნელო შეთქმულებისა და სამართალდარღვევისათვის; ო, არა! მას შემდეგ, რაც დედამიწა არსებობს, ქვეყნად არავის ახსოვს ისეთი თავზეხელაღებული და გააფთრებული ბრძოლა, რომელიც პარიზში დაიწყო 1871 წ. 6 (18) მარტს. იმავე წლის მაისის ბოლო დღეებში სისხლში ჩაიხრჩო 35.000 პარიზელი. ასობით ათასი შესანიშნავად შეიარაღებული მშრომელი, რომელთაც ბრწყინვალე არტილერია ჰქონდათ, სამოცდაათი დღის განმავლობაში თითქმის ყოველდღიურად აწარმოებდა ნამდვილ ბრძოლას და უძლებდა მაკ-მაგონის ასიათასიანი არმიის დაწოლას. იმ დღეებში ქალაქი პარიზი რომელიმე დინასტიის ან მმართველის წინააღმდეგ კი არ აღმდგარა, არამედ აღსდგა საფრანგეთის თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომლებიც სულ ახლახან ეყრდნობოდნენ მილიონობით ამომრჩეველთა ხმას. არა მყვირალა პროკლამაციებით, არა საიდუმლო ხრიკებითა და ხერხებით, არა ბნელ სარდაფებში ჩურჩულით, პარიზელმა კომუნარებმა თავიანთი „დანაშაულებრივი თავისუფლება“ გამოხატეს ოფიციალური ხელისუფლებისა და საფრანგეთის მთელი არმიის წინააღმდეგ აშკარა აჯანყებით. მათ დახვრიტეს გენერლები, არქიეპისკოპოსები, მღვდლები, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეები და „კანონიერი მთავრობის“ სხვა მომხრეთა მთელი ბრბო. ეს კიდევ არაფერი. ბრძოლით დამთვრალმა და ჩიხში მომწყვდეულმა კომუნარებმა ხელი აღმართეს საფრანგეთის ეროვნულ სიმდიდრეზედაც, დაწვეს რატუშა, ტიულრის სასახლე და სხვა ბევრი საზოგადოებრივი შენობა, ცეცხლს მისცეს ძვირფასი კოლექციები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გროვდებოდა. ყველაფერი ეს სამუდამოდ დაიღუპა მეცნიერებისა და ხელოვნებისათვის.

ვინ იფიქრებდა, რომ სულ ათი წელიც არ გაივლიდა ყველა ამ დანაშაულიდან, რომლის მსგავსიც არ ახსოვს კაცობრიობას, და იგივე საფრანგეთი, რომელიც ასე არაადამიანურად და შეუბრალებლად გაუსწორდა უბედური, დამარცხებული მოსახლეობის ნაწილს—მართლმსაჯულებისა და გამოძიების გარეშე, ვინაობის გამოურკვევლად დახვრიტა ტყვედ წამოყვანილი ათიათასობით აჯანყებული,–-ახლა ყოვლისმიმტევებელ სიტყვას წარმოთქვამს კატორღაში გადასახლებულ ამ ტყვეთა მისამართით. იქნებ მხოლოდ იმიტომ, რომ თავის დროზე არ ჰქონდა საშუალება ყველასა და ყველაფრის დასჯისა? შეიძლება წარმოიდგინოთ ენით უთქმელი ძალა და თვითდაჯერება მთავრობისა, რომელმაც ასეთი ყოვლისმიმტევებელი სიტყვა წარმოთქვა მსგავს ბრალდებულთა საქმის გამო?

რით შეიძლება აიხსნას ასეთი შემობრუნება, თუ არა გრევის მთავრობის ჭეშმარიტი ძლიერებით, რომელსაც არ ეშინია ათიათასობით „თავზეხელაღებულთა“ შემოტევისა, თანაც უკიდურესობამდე რომ არიან გააფთრებული ათწლიანი კატორღის ან გაძევების ტანჯვითა და გვემით? მეორეს მხრივ, რით აიხსნება საზოგადოებრივი აზრის ასეთი აშკარა შემობრუნება, ასეთი სიმპათიური დამოკიდებულება საფრანგეთის ამნისტიისადმი, როგორც თვით საფრანგეთსა და ევროპაში, ისე უცხოეთის მთავრობათა მაღალ სფეროებში?

როგორც ჩანს, უბრალოდ იმით, რომ ამნისტია ეხება პოლიტიკურ დანაშაულობებს, ხოლო ეს დანაშაულებანი თავიანთი ხასიათით შეფარდებითია. ის, რაც 1871 წელს დანაშაულად ითვლებოდა, 1880 წლის საფრანგეთში შეიძლება გამოჩნდეს, როგორც მოვალეობის კეთილსინდისიერი აღსრულება, ხოლო საზღვარგარეთ—გონების აშკარა ცდომილება. ამით აიხსნება, რომ ფრანგ ბურჟუათა სწორედ იმ ბრბომ, რომელმაც 1871 წ. 27 მაისს კინაღამ გაგლიჯა ვერსალის ქუჩებში დატყვევებული და ბორკილდადებული როშფორი, 1880 წ. ივნისში დაჟინებით მოითხოვა საყოველთაო ამნისტია იმ ჭრილობის გამო, რომელიც კეხლინმა იმავე როშფორს მიაყენა.

დიახ, დრონი იცვლებიან. და როგორც ამაღლებულიდან სასაცილომდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია, ამაზე მეტი არაა არც სასჯელიდან პატივისცემამდე, განსაკუთრებით საფრანგეთში.

68. ახალი საშიშროებანი

თბილისი, 1880 წ. 24 ივნისი

ევროპის საზავო კონგრესმა, რომელმაც ბერლინში დამატებითი სხდომა ჩაატარა, ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია. მას სურდა თურქეთის დაცვა რუსეთის თავდასხმისაგან და ამიტომ წინ ვერ აღუდგა სერბიის, რუმინეთისა და ბულგარეთის დამოუკიდებლობას, რამაც თურქეთს ბალკანეთის ქედიდან ჩრდილოეთამდე კაი ძალი ტერიტორია ჩამოაჭრა. ხოლო შემდეგ ბოსნია და ჰერცოგოვინა ავსტრია-უნგრეთს გადასცა; შექმნა აღმოსავლეთი რუმელია, და ბოლოს, თურქეთის ტერიტორიის სისტემატური ხელყოფა დააგვირგვინა საბერძნეთის ახალი საზღვრის გატარებითა და ელინთა სამეფოსათვის თესალიისა და ეფირის გადაცემით... ამგვარად, სულთანს დარჩა თითქმის მხოლოდ კონსტანტინოპოლი თავისი შემოგარენით და აქაც კი იგი ვერაა დამოუკიდებელი მპყრობელი, რადგან ბერლინის ტრაქტატის შემდეგ კონსტანტინოპოლში ჩამოყალიბდა ევროპელ ელჩთა თავისებური საბჭო, რომელიც ევროპული დიპლომატიისაგან გამოწერილი რეცეპტების საფუძველზე მუდმივად „ზრუნავს“ თურქეთის კეთილდღეობაზე. ელჩები ცდილობენ მოაგვარონ თურქეთის ფინანსები, აჩუქონ რეფორმები მცირე აზიას, შექმნან ჟანდარმერია. ერთი სიტყვით, ისე ფუსფუსებენ ავადმყოფი ადამიანის სანოლთან, თითქოსდა იგი უკვე მიცვალებული იყოს. ყოველივე ამან—მიუხედავად მუსლიმანთა დიდი მორჩილებისა განგებისადმი—აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა სულთანი; იმისათვის, რომ შეინარჩუნოს დამოუკიდებელი მმართველისა და მუსლიმანთა სულიერი წინამძღოლის ღირსება, მან ან უნდა დატოვოს კონსტანტინოპოლი და გადასახლდეს აზიაში, ანდა უკანასკნელად სცადოს ევროპის სახელმწიფოთა პატივისცემის აღდგენა საკუთარი თავის მიმართ, რითაც აიძულებს მათ, შეანელონ თავიანთი მზრუნველობა თურქეთისადმი. გუშინ ტელეგრაფმა გადმოსცა, რომ თითქოს სულთანმა მეორე გზა აირჩია. პორტამ პროტესტი განაცხადა ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ, სულთანმა კი ხელი მოაწერა პროკლამაციას, რომელიც მთელი ქვეყნის მუსლიმანებს მოუწოდებს აღდგნენ ისლამის დასაცავად იმ საფრთხისაგან, რომელიც მაჰმადის რჯულსა და ხალიფათა ტახტს ემუქრება ქრისტიანული სახელმწიფოებისაგან...

თუ ამ ცნობაში იოტისოდენა ჭეშმარიტება მაინცაა, გასაგები ხდება, რა უკიდურესობამდე უნდა ყოფილიყო მისული სულთანი ევროპულ დიპლომატთა „მშვიდობისმოყვარეობისგან", რომ ასეთი სახიფათო გადაწყვეტილება მიეღო. მთელი მუსლიმანური სამყაროს საბრძოლველად გამოწვევა ქრისტიანობის წინააღმდეგ, ანუ ევროპაში თურქული აგრესიის დასაწყისთან დაბრუნება, ცხადია, არაა ძნელი: მუსლიმანური ფანატიზმი ახლაც ის ძალაა, რაც მაშინ იყო, მაგრამ, თუ აზიაში მართლა დაიწყება მუსლიმანთა მოძრაობა, მისი შედეგების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იქნება. საეჭვოა, რომ ამ მოძრაობამ განამტკიცოს სულთნის ძლიერება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და შეძლოს ფადიშაჰის რეზიდენციის გამაგრება ბოსფორის ნაპირებზე, მაგრამ, თუ ევროპის მატერიკს მოეშვება და აზიაში დაიმკვიდრებს მეუფებას, თურქეთს უდავოდ შეუძლია სათავეში ჩაუდგეს კოლოსალურ ძალას, რისი მეშვეობითაც მოახერხებს მძაფრი ომების წამოწყებას მეზობელ ქრისტიანულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. მაშინ შესაძლებელი გახდება მისი ხელი მისწვდეს თვით ინგლისის ინდურ კოლონიას, სადაც მუსლიმანური ელემენტის მობილიზაციის შემთხვევაში ინგლისი ვეღარაფერს გააწყობს. მართლაც შესაძლებელია, ინგლისს სწორედ ინდოეთში მიეზღოს სამაგიერო თავისი ინტრიგებისათვის კონსტანტინოპოლში, თავისი ანგარებიანი მეგობრობისათვის, რაიც ცხადია, ერთ-ერთი მთავარი მიზეზია თურქეთის ახლანდელი უძლურებისა.

მაგრამ ამის შემდეგ თურქეთის ერთადერთ ქრისტიან მეზობლად დარჩება რუსეთი, თავისი ამიერკავკასიის სამფლობელოებით და, მაშასადამე, მუსლიმანური სამყაროს ბრძოლა ქრისტიანების წინააღმდეგ, უმეტესად რუსეთს დააწვება მხრებზე. შესაბამისად, კავკასია იქცევა მომავალ სამხედრო ლაშქრობათა არენად. ამგვარად, თუ სულთნის პროკლამაციები შეძლებენ გამოაღვიძონ მუსლიმანთა ფანატიზმი აზიაში და გამოიწვიონ ამ სამყაროს შეჯახება ქრისტიანულთან, მაშინ კვლავ რუსეთს მოუხდება მთელი ევროპის დაცვა ამ უბედურებისაგან, როგორც ეს მოხდა თათართა შემოსევების დროს. უზარმაზარ ტერიტორიაზე—ჩინეთის საზღვრებიდან შავ ზღვამდე, რუსეთი იქნება პირველი წინაღობა დიდი თუ მცირე მუსლიმანური სახელმწიფოებისათვის. რასაკვირველია, ეს უაღრესად მძიმე ამოცანაა. ამიტომ მის გა-

დასაწყვეტად წინასწარ უნდა მოვემზადოთ, რადგან რუსეთი ვერ მიიღებს დახმარებას არა მარტო მოქიშპე ევროპული სახელმწიფოებისაგან, არამედ ევროპაში თავისი ერთადერთი მოკავშირეების__მოძმე სლავებისაგანაც კი. ევროპამ რუსეთს მძიმე მდგომარეობის ყველა პირობა შეუქმნა, რასაც იგი მომავალშიაც ეცდება, მით უმეტეს, რომ თვით უმძლავრესი შეტაკებაც კი მუსლიმანებისა ქრისტიანებთან არაფრით არ ემუქრება მას გეოგრაფიული მდებარეობის გამო.

რაოდენ მნიშვნელოვანი და საპატიოც უნდა იყოს ასეთი როლის შესრულება საერთო საკაცობრიო ისტორიაში, ჩვენ მაინც არ გვსურს იგი არც საერთოდ რუსეთისა და მით უმეტეს არც ჩვენი ამიერკავკასიის პროვინციებისათვის. ამის გამო, რასაკვირველია, ჩვენი სურვილია ყველა მუსლიმანისადმი მიმართვის მიზეზი, სახელდობრ, თესალიისა და ეფირის დათმობა საბერძნეთისათვის, რომელიც არც თურქეთს ებრძოდა და არც არავითარი სამსახური არ გაუწევია ევროპისათვის, შეიცვალოს ბერლინის მეორე დამატებით კონფერენციაზე. პირველმა აკი უკვე მოათავა თავისი საქმე და მიაღწია ისეთ ბრწყინვალე შედეგს, რომელსაც შეუძლია წარმოშვას მსოფლიო ომი ისლამის მხარდასაჭერად, რაც, თავის დროზე, კაცობრიობას სისხლის მდინარეებად და ბარბაროსობის მთელ საუკუნეებად დაუჯდა.

69. ლოგიკა სემინარიაში

გუშინ „მესტნი ობზორის“[54] განყოფილებაში მკითხველები უთუოდ წაიკითხავდნენ ცნობას თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობის გადაწყვეტილების შესახებ—მიმდინარე წელს კურსდამთავრებულ საუკეთესო მოსწავლეებს ჩამოერთმევათ უფლება იმპერიის უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში სწავლის გაგრძელებისა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ სემინარიის უნიჭიერესი მოწაფეების ასეთი შერისხვა განპირობებული იყო სასულიერო აკადემიებში ვაკანსიების უქონლობის ანდა მათი შესანახი საშუალებების ნაკლებობით და არა იმით, რომ ამ მოსწავლეთა უბედურების ნამდვილი მიზეზი თითქოს მათი „სისუსტე და არასაკმაო მომზადებაა“. სემინარიის გამგეობას არ შეშინებია ამ ამბის მიტანა წმინდა სინოდის ყურამდე, არც კარგი ატესტატები აუფარებია თავდასაცავად, პირიქით, თვინიერად წარმოთქვა აღსარება უზენაესი გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ სემინარიის მასწავლებელთა ექვსწლიანმა შრომამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია, რომ ამ ვრცელი დროის მანძილზე მათ ვერ შეძლეს მოემზადებინათ ვერც ერთი ახალგაზრდა, რომელიც შეძლებდა მისაღები გამოცდები დაეჭირა სასულიერო აკადემიაში. სემინარიის გამგეობა თავისი უძლურებისა და სისუსტის დასამტკიცებლად უკეთესს ვერაფერს მოიგონებდა: „ვერ მოესწრო“... „ვერ შეძლო მოემზადებინა“... ხოლო ამავე ექვსი წლის განმავლობაში სემინარიაში თითქოს ყველაფერი რიგზე იყო მოსწავლეებიც ჩვეულებრივ დადიოდნენ კლასში, აღმზრდელებიც დღეში ოთხ გაკვეთილს ატარებდნენ, თან ჯამაგირსაც იღებდნენ და ჯილდოებსაც, მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, საბოლოოდ მოსწავლეები იმდენად სუსტნი აღმოჩნდნენ, რომ შერცხვათ მათი გამოჩენისა აკადემიის მისაღებ გამოცდებზე რუსეთის სემინარიების სხვა მოსწავლეთა გვერდით.

ყველაფერი ეს უცნაურია, მაგრამ ამ შემთხვევაში რაღა საჭირო იყო თორმეტ კურსდამთავრებულთაგან რვა სემინარისტისათვის პირველი ხარისხის დიპლომი მიგვეცა და ნიშნებად ხუთი ან ოთხი დაგვეწერა? ეს ნიშნები და ეს ხარისხები ხომ სასულიერო აკადემიაში შესასვლელად მოეთხოვებათ?

ადამიანური ლოგიკის თანახმად (და არა იმ ლოგიკისა, რომელსაც სემინარიაში იზუთხავენ), თავისთავად დგება შემდეგი დი-

ლემა: ორში ერთი ან პირველი ხარისხის დიპლომიანმა სემინარისტებმა მართლა გამოიჩინეს ამ ხარისხის შესაბამისი წარმატება (მაშინ სემინარიის გამგეობა ცილს სწამებს მათ, სინოდს რომ უცხადებს—სუსტნი არიან და აკადემიაში სწავლის გაგრძელება არ დაუმსახურებიათო), ანდა ეს სემინარისტები მართლა სუსტები და მოუმზადებლები არიან და, ამ შემთხვევაშიც ისევ გამგეობას შეჰყავს შეცდომაში როგორც მშობლები და მთელი საზოგადოება, ასევე მთავრობის დაწესებულებებიც, რადგან სუსტ კურსდამთავრებულებს „ფრიად" და „კარგ" შეფასებას აძლევს მეცნიერებასა და ყოფაქცევაში. აქედან გამომდინარე, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში სემინარიის გამგეობა ვერ მოიქცა გულწრფელად, ე.ი. დაარღვია მოსეს მეცხრე მცნება.

წმინდა სინოდი გამგეობისაგან მოითხოვს ამ „სისუსტის" მიზეზთა ახსნას. არ ვიცით, რა პასუხს გასცემს გამგეობა, მაგრამ, როგორიც უნდა იყოს იგი, ფაქტი თავად მეტყველებს თავის თავზე. ექვსი წელი და არც ერთი მომზადებული მოსწავლე—აი, როგორია სემინარიის მასწავლებელთა ექვსწლიანი შრომის ბალანსი.

ამ შემთხვევაში გამგეობას ალბათ, არ გაუჭირდება პასუხის გაცემა, საკუთარი თავის გასამართლებლად გამოდგება „ადგილობრივ მკვიდრთა უნიჭობაც", „გამგეობის ძველი შემადგენლობის დაუდევრობაც", „აზიელთა სიჯიუტეც", „გამგეობის ახლანდელი შემადგენლობისადმი უსიყვარულობაც"—ერთი სიტყვით, ყველაფერი. ყველა გზას გამგეობა გამართლებისაკენ მიჰყავს. მაგრამ საზოგადოების გონებიდან ვერავითარი თავის გამართლება ვერ ამოშლის ნამდვილი „უძლურების" ფაქტს თვით ბატონი მოძღვრებისა. მათი წყალობით რამდენიმე ნიჭიერმა ახალგაზრდამ სასწავლებელსა და სემინარიაში თორმეტი წლის მეცადინეობის შემდეგ არ იცის, რა გზას დაადგეს. ისინი ხომ სასულიერო აკადემიისათვის მოუმზადებლად გამოაცხადეს? სოფლის სკოლებს თავიანთი სპეციალური მასწავლებლები ჰყავთ, ეკლესიის კარიც დაკეტილია მათთვის, რადგან ისინი არც ამისთვის არიან მზად, ვინაიდან, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, არ იციან ქართული სასულიერო წიგნების კითხვა. მათ მხოლოდ ერთი რამ დარჩენიათ: წავიდნენ სოფლის მწერლებად. სხვა გამოსავალი არა აქვთ.

და განა საკვირველი იქნება, რომ ამ თორმეტმა უბედურმა სემინარისტმა სოფელ-სოფელ იაროს და გამგეობის უცნაურ საქმეებზე იღაღადოს? ხოლო ამასობაში ღირსეული მასწავლებლები თავისუფალ დროს, რომელიც მათ რჩებათ საყვარელი „პოლიტიკური საუბრებისგან“ ხალხთა ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე“, სულ უფრო მეტად გააბოროტებენ აღსაზრდელთა ახალ თაობებს, რომლებსაც, ალბათ, ასევე ჩამოართმევენ განათლების ყველა უფლებას...

წინასწარ მოფიქრებული განზრახვით ვნებენ ეს ცრუ პედაგოგები რუსეთის ინტერესებს საქართველოში, თუ ამ მავნე შედეგს თავიანთი უგუნურების გამო აღწევენ?—ალბათ, უაზრო კითხვაა, ვინაიდან, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში უდავოა თვით ფაქტის დანაშაულებრივი ხასიათი. დროა აღიკვეთოს ეს ბოროტება, თუ არ გვინდა, რომ მომავალში მის სამწუხარო შედეგებს შევეჯახოთ.

70. საკვირაო საუბარი

სიკვდილი სიკვდილამდე.—ვ. ი. ჟელიხოვსკი და მისი დრო.—მისი დებიუტები.—მასწავლებელთა ავტორიტეტი.–მღელვარე და მგზნებარე ნატურები. —ჟელიხოვსკის მცდელობა და შეძახილი: „ჩვენ ვულკანზე ვცეკვავთ!—ამ ილეთის ჩემეული შეფასება.—სცენა „ვესტნიკის“ რედაქციაში.—ბრმა ბედისწერა ზოგჯერ სამართლიანია.—ლიმეირაკი და როშფორის აზრი მის სიღარიბეზე.—როგორ ამთავრებს და რითი მიდის ზოგიერთი სწავლული.

ვ. ი. ჟელიხოვსკის უცნაურობამდე ორიგინალური ფიგურა, ოდესლაც (არცთუ ისე დიდი ხნის წინ) რომ იპყრობდა არა მარტო თბილისის, არამედ მთელი ამიერკავკასიის ყურადღებას, შეუმჩნეველად წავიდა ამ დღეებში სცენიდან... საფლავში. ამ სიკვდილმა—იგი გარდაიცვალა ქალაქის საავადმყოფოში—იმ პირისა, რომელიც ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩვენი განათლების სისტემაში, ცოტა ვინმე თუ გააკვირვა და გააოცა. ამისათვის ყველა წინასწარ იყო მზად. არ ივარგებს ჟელიხოვსკის შედარება მუხასთან, რომელსაც ზოგჯერ ძირფესვიანად მოთხრის ხოლმე ყოვლის შემმუსვრელი ქარიშხალი. თანდათან, ძლივს შესამჩნევი ნაბიჯებით ჩამოდიოდა იგი ადრინდელი სიმაღლიდან და ლერწამივით ირწეოდა დაუდგრომელი ნიავის ოდნავი შემობერვისგანაც კი... რა საჭირო იყო ქარიშხალი?! იგი თავის სიკვდილზე ბევრად ადრე მოკვდა...

რასაკვირველია, „მე იმის ცხედარს არ შევურაცხვყოფ“. იგი უკვე ისტორიის კუთვნილებად იქცა, ამიტომ ცოდვად არ ჩამეთვლება, თუ შევეცდები ზოგიერთი ჭკუის სასწავლებელი ამბავი შემეხსენებინა თქვენთვის მისი მშფოთვარე ცხოვრებიდან.

თუმცა არსებითად არავითარი ცუდის თქმა არა მაქვს განზრახული, მაგრამ, რაკი სიტყვამ მოიტანა, უნდა აღვნიშნო: არ არსებობს ამ კლასიკურ აფორიზმზე უფრო სულელური აზრი:—„de mortuis aut bene aut nihil“.

თუ მიცვალებულზე არაფერი არ უნდა ვილაპარაკოთ და ვწეროთ, გარდა კარგისა, მაშინ მთელი ისტორია ერთ დიდ სიცრუედ და პირმოთნეობად გადაქცეულა, რადგან ისტორიას აკი მხოლოდ მიცვალებულებზე უხდება ლაპარაკი. და განა უხერხული არ იქნებოდა ან მხოლოდ კარგი, ანდა საერთოდ არაფერი გვეთქვა ისეთ

მიცვალებულებზე, როგორებიც იყვნენ ნერონი და კალიგულა, ნაპოლეონ III და აბდულ აზიზი? არა, ბატონებო, ათასჯერ უფრო ჭკვიანური და სამართლიანია ვოლტერის აფორიზმი: „O, de doit aux morts que la vérite“—„მკვდრებზე ისევე, როგორც ცოცხლებზე, უნდა ვილაპარაკოთ მხოლოდ სიმართლე“.

ეს საკითხი იმ საერთო საკითხთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც ღირსნი არიან სწორად დაყენებისა. სულ ახლახან დედაქალაქის გაზეთებში ჩემზე არაერთი უაზრო საყვედური გამოითქვა, როგორ ფიქრობთ, რისთვის? თურმე, მე ფრიად არადელიკატურად დავსხმივარ თავს ისეთ მოღვაწეებს, როგორებიც იყვნენ ბ-ნი გრიგორიევი, ტოლსტოი და მისთანანი. აი, კლასიკური ნიმუში კლასიკური სისულელისა—მკვდრებზე მხოლოდ კარგი უნდა ილაპარაკოო. ყოველგვარი დელიკატურობა და დელიკატესები საჭიროა მაშინ, როცა უმანკო ქალიშვილების წრეში ტრიალებ, ანდა როცა კერძო საქმიანობას ეწევი; ხოლო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების პუბლიცისტისა და ისტორიკოსისათვის კი ასეთი დელიკატესები ისევე შეუფერებელია, როგორც ღალატი საკუთარი მოვალეობისადმი. მისთვის საუბარი ნებისმიერ პიროვნებაზე, ცოცხალია ის, მკვდარი თუ სცენიდან გასული, საზოგადოებრივი იდეებისა და მისწრაფებების განსჯის მარჯვე საბაბი უნდა იყოს. მხოლოდ მათი მეშვეობით შეუძლია მას ეკამათოს ან დაამარცხოს მისთვის საწინააღმდეგო მიმართულებანი;

მეორეს მხრივ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ საეჭვოა ჩვენი დროის კრიტიკოსი ან პუბლიცისტი ვალდებული იყოს დელიკატურობა გამოიჩინოს იმ პირებისადმი, რომლებიც სიცოცხლეში ოდნავადაც არ ზოგავდნენ მათ. მართლაც, ვიდრე ეს ხალხი ძალ-ღონით იყო აღსავსე და ძალაუფლება ჰქონდა, იმდენს აკეთებდა, რომ აიძულებდა პრესის მუშაკებს მდუმარების ცხრაკლიტული დაედოთ პირზე. სანამ ისინი ცოცხლები იყვნენ, მათზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა, როგორც ცოცხლებსა და ძლიერთა ამა ქვეყნისაზე. ახლა კი, როცა ძალაუფლება დაკარგეს, თვითონაც და მათი მეგობრებიც მოითხოვენ გავჩუმდეთ, არ მოვიხსენიოთ ისინი, როგორც მიცვალებულები. ასეთ ვითარებაში როდისღა შეძლოს კრიტიკამ და ისტორიამ თავისი მოვალეობის აღსრულება? ბოლოს და ბოლოს, როდისღა მიეგება ჭეშმარიტებას თავისი ღირსი პატივი და როდისღა შეიტყობს საზოგადოება ჭეშმარიტებას იმ მოღვაწეებზე, რომლებიც ასე თუ ისე გავლენას ახდენენ მის ბედზე?

აი, რატომ მგონია, რომ, როგორც მკვდრებზე, ისევე ცოცხლებზე უნდა ილაპარაკო მხოლოდ სიმართლე.

მაგრამ დავუბრუნდები განსვენებულ ვ. ი. ჟელიხოვსკის და გადმოგცემთ ჩემს მოგონებას მასზე:

1876 წელს, როდესაც ბედმა მასთან შემახვედრა, ის უკვე თავისი მოღვაწეობის პერიგეაში იმყოფებოდა, თუმცა ოლქის ინსპექტორის საკმაოდ დიდი თანამდებობა ჯერ კიდევ ეჭირა. მას არ მოსწონებია ჩემი სტატიები, რომლებიც იმდროინდელ „ტიფლისსკი ვესტნიკში“[10] დაიბეჭდა ჩვენი სწავლების სისტემაში არეულ-დარეულობის შესახებ. მან დიდი პროტესტი გამოთქვა იმ წერილების გამო და ამტკიცებდა ამ საქმის გახმაურების მავნებლობას. ჟელიხოვსკი ამბობდა, რომ გაზეთს გიმნაზიელებიც კითხულობენ და ყოველგვარ პატივისცემას კარგავენ მასწავლებლებისა და გამგეობისადმიო; ერთი სიტყვით, იმ დროიდან დღემდე გაბატონებულ სიმღერას გვიმღეროდა მასწავლებელთა ავტორიტეტის აუცილებელი დაცვის თაობაზე. ჩვენ მისი პროტესტი მით უფრო სიამოვნებით დავბეჭდეთ, რომ პედაგოგიური სამყაროს მაღალ ფენებში ჩვენს საწინააღმდეგოდ მზადდებოდა კიდევ უფრო ვერაგული ფარული პროტესტი მთავრობის გამოსაწვევად... ბ-ნი ჟელიხოვსკის პროტესტს კი კვლავ მე ვუპასუხე „ტიფლისსკი ვესტნიკში“ მშვიდი, დოქტრინული სტატიით სასწავლო საქმეში „ავტორიტეტისა“ და „გახმაურების“ მნიშვნელობის შესახებ. საკმაოდ რთული სიტუაცია შეიქმნა, რადგან საკითხი მთავრობის უმაღლეს სფეროშიაც კატეგორიულად იყო დაყენებული, ამიტომ უგუნურება იქნებოდა მხოლოდ დინჯი ანალიზის იმედი გვქონოდა. საჭირო იყო მკვეთრი და შეუბრალებელი დარტყმა. მსხვერპლად ბ-ნი ჟელიხოვსკის ამორჩევა მომიხდა და იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ მასწავლებლებისა და გამგეობის ავტორიტეტს ქმნის ან არღვევს მხოლოდ მათი მოღვაწეობა და არა პრესა, მე მოვაგონე მკითხველებს ის დრო, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა არც „ტიფლისსკი ვესტნიკი“ და არც რაიმე მხილება პრესაში, მაგრამ 1868 წ. დასაწყისში თბილისის გიმნაზიის მოსწავლეებმა ცემით სიკვდილის პირამდე მიიყვანეს დირექტორი ვ. ი. ჟელიხოვსკი.

ეჭვგარეშეა, ეს მაგალითი გაცილებით უფრო დამაჯერებელი გამოდგა, ვიდრე ჩემი სტატიის სილოგიზმები და დასკვნები.

მიუხედავად ამისა, ბ-ნ ჟელიხოვსკის „ტიფლისსკი ვესტნიკში“ სიარული არ შეუწყვეტია და ცდილობდა სიტყვიერად დავერწმუნებინეთ. ჩვენ წინაშე ის თავს იდებდა თავისი უფროსებისა და უწყებისათვის იმ დროს, როცა ოფიციალურად „მოღალატედ“ თვლიდნენ, მას თითქოს მათი სამყაროს საიდუმლო ცნობები მოჰქონდა. ღმერთო ჩემო, რამდენს ვხარხარებდით მე და კ. ა. ბებუთოვი ამ ეჭვიანობის გამო!..

პირადად მე მას უფრო „მღელვარე“ ადამიანად ვთვლიდი, ვიდრე „მგზნებარედ“. სამწუხაროდ, ჩვენში ამ ცნებებს თითქმის არ განასხვავებენ, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ზღვარი გავავლო მათ შორის.

მგზნებარე ნიშნავს ადამიანში გარკვეული ენერგიის სიჭარბეს, რომელიც შთანთქავს და იმორჩილებს მთელ მის არსებას, სულსა და გულს არა მხოლოდ წამიერად, არამედ მთელი სიცოცხლის მანძილზე. იგი განპირობებულია არა მარტო ადამიანის ბუნებით, არამედ ასევე სიყრმის შთაბეჭდილებებითაც, რომელთაც ერთხელ და სამუდამოდ მისცეს მიმართულება მის ძალასა და გრძნობას. ვთქვათ, ის ადამიანები, ბავშვობაში რომ მონობის სურათებს აუღელვებია, განსაკუთრებულ ნერვიულ განცდას იძენენ, რომელიც შემდეგშიაც ორგანულად აცახცახებს მათ ყოველგვარი მონური დამოკიდებულების ხილვისას, რაშიაც უნდა გამოიხატებოდეს იგი. მათთვის ერთი გადაკრული სიტყვა, ერთი ოდნავ შესამჩნევი შტრიხი საკმარისია, რომ მთელი სისრულითა და დაუყოვნებლივ აღსდგეს მათ წინაშე საძულველი წყობის მთლიანი სურათი. ასეთ ადამიანებს ხასიათის გამოცვლა უკვე აღარ შეუძლიათ. მათი ორგანიზმი ზუსტად ისეთსავე თვისებას იძენს, როგორსაც ბავშვობიდანვე ალკოჰოლის დიდი დოზებით მიღებას ჩვეული ადამიანები. ცნობილია, რომ ასეთი პირისათვის საკმარისია ღვინის ერთი ყლუპი, რომ მაშინვე უგრძნობლად დათვრეს...

„მღელვარე“ ნატურებს, განსხვავებით მგზნებარეთაგან, ხასიათის არავითარი სიმტკიცე არ გააჩნიათ. ისინი ყველაფერს განიცდიან, ყველაფერზე ღელავენ და მზად არიან თანაბარი გულმხურვალებით ემსახურონ დღეს ღმერთსა და ხვალ—მამონას, სიამოვნებით ვიფიქრებდი, რომ ისინი მუდამ გულწრფელი არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს გულწრფელობა მეტისმეტად ცვალებადია. მათ არამცთუ არავითარი სიმტკიცე, არამედ საქმია-

ნობისთვის საჭირო ენერგიის მუდმივობაც არ ახასიათებთ. ამგვარ სუბიექტებს ამოძრავებთ არა რაიმესადმი მყარად ფესვგადგმული სიძულვილი, არა მისწრაფება გარკვეული მიზნისაკენ, არამედ ისეთი დროებითი, უკიდურესად ცვალებადი ვითარებებით ოპერირება, როგორიც შეიძლება იყოს ბრბოს განწყობილება ან ქარის მიმართულება, მოდის შეცვლა ან უკანასკნელი მუჯლუგუნის შთაბეჭდილება და ა.შ. დაუსრულებლად. აი, რატომ ხდება, რომ ამ კატეგორიის ადამიანები, მიუხედავად მთელი თავიანთი მღელვარებისა, მაინც ასე ხშირად ღალატობენ საკუთარ კერპებს და თანაბარი ერთგულებით ემსახურებიან სხვა ღმერთებსაც.

შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ როგორი უკუღმართობის ან თავსამტვრევი ნახტომებისათვის არიან განწირული ასეთი პიროვნებები იმ საზოგადოებაში, რომელზედაც ნათქვამია:

„Не жди, чтобы цвела страна,
Где царство силы, не рассудка,
Где все зависим иль от сна,
Иль от сварения желудка!“

ბ-ნმა ჟელიხოვსკიმ ჩვენში მოღვაწეობა 1857 წ. დაიწყო. იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ჩამოვიდა თბილისში, როგორც ახალი პედაგოგიური იდეების მატარებელი, რომელიც ერთობ სიმპათიურ კონტრასტს ქმნიდა მაშინდელ სასწავლო დანესებულებებში გაბატონებულ წარღვნამდელ სქოლასტიკურ წესებთან. ისიც მალე შეამჩნიეს და დააწინაურეს. ბავშვებისადმი სიყვარული რომ მისი ხასიათის უპირველესი თვისება ყოფილიყო, ყველაფერი კარგად წარიმართებოდა; იგი დიდ სამსახურს გაუწევდა სწავლების საქმეს და მკვიდრად დაიკავებდა იმ მდგომარეობას სასწავლო სამყაროში, რომელზედაც ოცნებობდა. მისდა საუბედუროდ, დადგა 1863 წელი თავისი პერიპეტიებით.

მერყევმა პედაგოგმა თავისი საქმე დაივიწყა და მთელი არსებით ჩაეფლო ახალ საქმეში. იგი პოლიტიკამ გაიტაცა, რომელიც აკრძალული ხილი უნდა იყოს ყველა პედაგოგისათვის. იმის მაგივრად, რომ ბავშვებისათვის აზროვნება ესწავლებინა და დახმარებოდა მათ დამოუკიდებლობის გამომუშავებაში, ჟელიხოვსკიმ მიზნად

დაისახა ჩაეტენა მათთვის თავში სპეციალურად შერჩეული და დამახინჯებული მზა დებულებები და ცნებები. ამითაც არ დაკმაყოფილდა, შეეცადა გამოსულიყო თავისი სფეროდან, რათა თავისკენ მიეზიდა უფროსების ყურადღება. იგი დღე და ღამეს ასნორებდა, რათა დაერწმუნებინა უფროსები, რომ მისი ეს შრომა უპირველესი მნიშვნელობისაა ამიერკავკასიის გარეგნული მშვიდობიანობის თვალსაზრისითაც კი!!! ბ-ნი ჟელიხოვსკი მონდომებით ნერგავდა კავკასიის ყამირ მიწაზე მისთვის უჩვეულო ქიმერებს, რომელსაც მაშინ ბ-ნი კატკოვი „აწარმოებდა", თან გაძლიერებით ბერავდა ჩვენი ადგილობრივი ცხოვრების ყოველგვარ უმნიშვნელო წვრილმანსაც კი, რათა ერთი შეხედვით მაინც დაემგვანებინა იგი ჩვენთვის უცხო არასასურველი მოვლენებისათვის, ჩვენში რეაქციის ხანგრძლივი და მძიმე წლების მანძილზე იგი იყო მოლაყბე, რომელიც მოჩვენებით საფრთხობელებით აშინებდა ხალხს... საჭირო შეიქნა ათასი მაგალითი, რათა ყველას თვალნათლივ დაენახა რა ამაო და ყალბი იყო ყველა ეს საფრთხობელა...

ბ-ნი ჟელიხოვსკი წელებზე ფეხს იდგამდა, რათა ჩვენს მხარეში შეექმნა ის ურთიერთობები და გამოეწვია ის შეჯახებები, რომლებიც სხვა ოლქებისთვის იყო დამახასიათებელი, და რომელიც „საზოგადოების მხსნელთა" როლის მაძიებლებს უმართავდა ხელს. ამ ყაიდის ხალხი მეტისმეტად საინტერესოა, ხოლო როლი, რომელსაც ისინი ასრულებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ღირსია ზუსტად განსაზღვრისა. მათზე არაერთხელ დამიწერია, ამიტომ ახლა მხოლოდ რამდენიმე სტრიქონს ამოვწერ იმ სტატიიდან, რომელიც ამ ხუთიოდე წლის წინ დაიბეჭდა „ტიფლისსკი ვესტნიკში" (იხ. „ტიფლისსკი ვესტნიკი", 1875 წ., №108, გვ. 3, სვეტი 2) აი, ეს სტრიქონებიც:

„მუდამ ჩვენს ზნეობრივ მოვალეობად მიგვაჩნდა დაგვეგმო და გამოგვეაშკარავებინა ის ადამიანები, რომლებიც პირადი, იაფფასიანი ანგარების გამო, პატრიოტიზმის ნიღბით რასობრივ სიძულვილს აღვივებენ კავკასიაში ადგილობრივ მოსახლეობასა და რუს ხალხს შორის. ადამიანებმა, რომლებსაც არ გააჩნიათ არც ტალანტი, არც ცოდნა და არც ენერგია, იოლი ხერხი გამონახეს თავიანთი ეგოისტური მიზნების მისაღწევად; ისინი აიფარებენ რა ამა თუ იმ ეროვნების ერთგულების მლიქვნელურ ნიღაბს, ცდი-

ლობენ ამ გზით დაიმსახურონ იმ ხალხის სიმპათია და მხარდაჭერა, რომელთა სულის ყველაზე სათუთ სიმებსაც ეხებიან ისინი თავიანთი ბინძური ხელებით. ასეთი ადამიანები მიმკერძოებლისა და მჩაგვრელის არასაპატიო იარლიყს ჰკიდებენ რუსი ხალხის ხასიათს, მის ჭეშმარიტად საქმიან მშრომელთა ღირსებას... ადგილობრივ საზოგადოებაში კი ისინი არ იწვევენ ანტიპათიას თავისი პიროვნებისადმი, რადგან თვითონ ყოველთვის ჩრდილში რჩებიან, კუთხეს ამოფარებულნი. ანტიპათია მიმართულია საერთოდ რუსი მოღვაწეებისადმი, რომელთაგან ბევრმა საკუთარ მდგომარეობას მხოლოდ საკუთარი ნიჭითა და დამსახურებით მიაღწია და სრულიადაც არ არიან დამნაშავენი ამ ბნელი ადამიანების ბუხჰალტრულ თუ კატკოვურ გამოხდომებში. ჩამოვხსნათ ამ უბადრუკ სიკოფანტებს ცრუ პატრიოტის ნიღაბი, დავინახოთ ნიღბის ქვეშ ამ ბატონთა ნამდვილი ბინძური განზარხვა, საყოველთაო სიძულვილის სამსჯავროზე გამოვიყვანოთ ადამიანები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის მშვიდობიან განვითარებას თავიანთ იაფფასიან ანგარებას სწირავენ.—ყოველივე ეს მიგვაჩნდა და კვლავაც მიგვაჩნია ჩვენს უწმინდეს მოვალეობად“...

სამართლიანობა მაიძულებს დავუმატო, რომ ბ-ნმა ჟელიხოვსკიმ ვითარებისა და მიმართულების ცვლილებისთანავე შეიგნო ასეთ ილეთთა უსარგებლობა, რომელთა თანამონაწილეც იგი იყო... არასოდეს დამავიწყდება ის სცენა, რომელიც ერთხელ გათამაშდა „ვესტნიკის“ რედაქციაში, თითქმის შუაღამისას, 1876 წლის ბოლოს.

ჯერ კიდევ წინა დღეებში ბ-ნი ჟელიხოვსკი თავს სდებს ჩვენთან თავისი უფროსებისათვის. და აი, უცებ შემორბის რედაქციაში მკვდარივით გაფითრებული (ალბათ, კუბოში უფრო ფერიანი იწვა!), თვალებს საზარლად აცეცებს... სასონარკვეთილია, სასტიკი წყევლა ამოდის პირიდან... ჩვენ მივხვდით, რომ ის უკვე განწირულია, წირვაგამოსული...

—რაშია საქმე, რა მოხდა?—ვკითხე მე.

პასუხად კი მივიღე ცრემლების თქეში. ჟელიხოვსკი ბავშვივით ტიროდა, დასტიროდა თავის გაბზარულ ცხოვრებას, დაუფასებელ შრომას...

—განა არ ვბეჯითობდი, არ ვცდილობდი,—მესმოდა ქვითინში,—ახლა ვიღას ვერწმუნო, რას ვემსახურო?

ძალიან შემეცოდა საბრალო, მაგრამ, ცხადია კიდევაც რომ მდომოდა მისი დამშვიდება, არ შემეძლო. თ-დმა ბებუთოვმა კი უცვლელი ცივი ტონით, მე რომ მაშინ მის გულქვაობას მივაწერე, შემდეგი ფრაზა წარმოთქვა:

—ახლა მაინც მიხვდები, რამდენად უსამართლო იყავით, დღევანდელობის წინააღმდეგ რომ იბრძოდით. თქვენ მუდამ თვითნებობას იცავდით, ახლა საკუთარ ტყავზე იგემეთ მთელი მისი სიტკბოება.

იშვიათად, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში თუ მოგვანიჭებს ბედი აშკარად ბოროტი საქმეებისა და მისწრაფებების მარცხის ასეთი გასაოცარი მაგალითების ხილვას, სამწუხაროდ, ცხოვრებაში ხშირად არ სრულდება მეტაფორა, რომლის მიხედვითაც „მახვილის ხელში ამღები მახვილითვე უნდა დაიღუპოს". პირიქით, უმეტესად მახვილის ამღები სხვებს ღუპავს და არა თავის თავს. და, როდესაც ბედის განჩინებით, მასების შეგნების განვითარების შედეგად, ზოგი ანტიპათიური მისწრაფება მარცხით მთავრდება, ძნელია და, ალბათ, არცაა საჭირო ჩაიხშო მადლიერების გრძნობა ბედისწერისადმი, ასე იშვიათად რომ არის ხოლმე სამართლიანი.

★

როცა ამ თორმეტიოდე წლის წინ საფრანგეთში გარდაიცვალა უნიჭიერესი ჟურნალისტი პოლენ-ლიმეირაკი, მაშინდელ პრესაში, ყოველდღე რომ უმღეროდა ნაპოლეონის რეჟიმს და თავგამოდებით იცავდა ყველა მის სისაძაგლეს, ოფიციალურმა გაზეთებმა გაავრცელეს ჭორი, თითქოსდა ის ნაპოლეონ III-ის დაქირავებული მსახური კი არ იყო, არამედ საკუთარი რწმენით, ე. ი. უანგაროდ ემსახურებოდა მას და ამის დამადასტურებლად ასახელებდნენ იმ გარემოებას, რომ იგი სილარიბეში გარდაიცვალა და ოჯახი უსახსროდ დატოვაო.

ამ ჭორის გამო როშფორმა თავის „ფანარში"[50] შენიშნა: თუ ეს ცნობა მართალია, მაშინ ლიმეირაკს ვეღარაფერი გაამართლებსო. მართლაც, კიდევ დასაშვებია, რომ ისეთ საძაგლობას, როგორიცაა ნაპოლეონის რეჟიმი, ადამიანები თავის გატანისა და ოჯახის უზრუნველყოფისათვის ემსახურონ, მაგრამ ემსახურო მას უანგაროდ და გახრწნა საზოგადოება მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნებისათვის, თქვენი ნებაა,—წერს როშფორი,—მაგრამ ეს დანაშაულსა და სისულელეს აღემატება.

მსგავსი რამის გამეორება ბ-ნ ჟელიხოვსკიზე უსამართლობა იქნებოდა, რადგან მისი კარიერა შუაგზაზე ჩაიშალა და არავინ იცის, რა მდგომარეობაში დატოვებდა ის ოჯახს, უფლება რომ მიეცათ ძველი გზით სიარულისა. მისი ამხანაგების მაგალითიდან კი ვხედავთ, რომ მათ მოასწრეს თავიანთი ოჯახებისათვის დაეტოვებინათ ან თან წაეღოთ საუკუნო განსასვენებელში საკმაოდ დიდი გროვა პროცენტიანი ქაღალდებისა, რომლებიც ჭარბად უზრუნველყოფდნენ მათ მოხუცებულობის წლებში...

71. სემინარიის კურსელები

სემინარიის მასწავლებლის ბ-ნი ბოგოიავლენსკისაგან მივიღეთ შემდეგი „წერილი რედაქტორთან“:

„მოწყალეო ბატონებო, ამ სტრიქონებს გწერთ თქვენი გაზეთის 538-ე ნომერში დაბეჭდილი სტატიის გამო, რომელსაც სათაურად ეწოდება „ლოგიკა სემინარიაში“. ამ წერილში თქვენ საყვედურობთ თბილისის სემინარიის მასწავლებელთა მთელ კორპორაციას იმისათვის, რომ იგი არალოგიკურად იქცევა, რადგან მიმდინარე წელს სასულიერო აკადემიაში არავის აგზავნის თავის კურსდამთავრებელთაგან იმ დროს, როდესაც შესაძლებლად მიიჩნია რვა მათგანისათვის სტუდენტური ატესტატი მიეცა; ეს კიდევ არაფერი, თქვენ მიგაჩნიათ, რომ ამ შემთხვევაში სემინარიის გამგეობამ „დაარღვია მოსეს მეცხრე მცნება“ და, თბილისის სემინარიის მასწავლებლები შემდეგშიაც ასე მოიქცევიან, გააბოროტებენ აღსაზრდელთა სულ ახალ-ახალ თაობებს, რომელთაც „ჩამორთმეული აქვთ განათლების ყოველგვარი უფლება“. ყოველივე ამით კი სემინარია დიდად დააზიანებს „რუსეთის ინტერესებს კავკასიაში“.

როგორც იმ კორპორაციის წევრი, რომელსაც თქვენ თქვენს სტატიაში ასე გულმოდგინეთ ანადგურებთ, ჩემს მოვალეობად მივიჩნევ რამდენიმე სიტყვა ვთქვა ამის გამო, რათა თქვენი მკითხველები შეცდომის მსხვერპლნი არ გახდნენ ჩვენსავით.

ის ფაქტი, რომ მიმდინარე წელს თბილისის სემინარიაში სტუდენტის წოდება 8 აღზრდილმა მიიღო, სწორია და დაბეჯითებით მეტყველებს სწავლების წარმატებაზე: სასტუდენტო ატესტატის მიღება სემინარიელთა 67%-ის მიერ უმნიშვნელო მოვლენა არ არის. სავსებით დასაშვებია, რომ აქედან 2-3 მართლა ჩააბარებდა მისაღებ გამოცდებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის გარემოება, რომ სემინარიის გამგეობა ვერ ბედავს თვით ყველაზე ღირებულებს მაინც მისცეს რეკომენდაცია აკადემიაში გამოცდების დასაჭერად—არ უნდა მოგეჩვენოთ არაბუნებრივად. აკადემიის მისაღებ გამოცდაზე კონკურენტები არიან საუკეთესო ახალგაზრდები რუსეთის ყველა სემინარიიდან. ამის გამო საოცარი აღარ უნდა იყოს, რომ ნებისმიერი სემინარიის გამგეობა თავისი პასუხისმგებლობით გაუშვებს მხოლოდ იმ აღსაზრდელებს, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩევიან ნიჭიერებითა და ცოდნით.

ასეთ რჩეულთა რაოდენობა რუსეთის სემინარიებში არასდროს ყოფილა ასიდან ერთ პროცენტზე მეტი. მიმდინარე წელს ასეთ მოსწავლედ გამგეობა თვლიდა აღსაზრდელ გიორგი მახვილაძეს, მაგრამ სუსტი ჯანმრთელობის მიზეზით მან სემინარიის რექტორის წინადადებაზე, გაეგრძელებინა სწავლა აკადემიაში, უარი განაცხადა. ვინაიდან გამგეობას ასეთი მოსწავლე სხვა აღარ ეგულება, ამიტომ მას სხვა გზა არ დარჩენია, გარდა იმისა, რომ აცნობოს ეს ამბავი წმინდა სინოდს. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ამ კლასის სხვა აღსაზრდელები „სუსტები“ არიან და არ შეუძლიათ აკადემიაში გამოცდის დაჭერა.

გამგეობა ამ გზით მხოლოდ სხვა კურსელთა მიერ გამოცდების ჩაბარება-ჩაუბარებლობის პასუხისმგებლობას იცილებს თავიდან, ითვალისწინებს რა ყველა იმ შემთხვევითობას, რომელზედაც ხშირად დამოკიდებულია გამოცდის დასასრული. ასეთი შემთხვევითობა ბევრია: მაგალითად, მოსწავლეს თავისი ცოდნის იმედი აქვს, რომელიც მან აკადემიის გამოცდამდე ორი-სამი წლით ადრე მიიღო და არ ცდილობს არდადეგებზე მის შევსებასა და განახლებას, ან არაა დარწმუნებული თავის ძალებში და გამოცდის დროს კარგავს სულის სიმტკიცეს, დაბოლოს, არა აქვს სწრაფი აზროვნების უნარი და ა.შ. ამ და სხვა შემთხვევების გამო გამოსაცდელმა შესაძლებელია გამოცდა არადამაკმაყოფილებლად ჩააბაროს, მიუხედავად იმისა, რომ სწავლის განმავლობაში გამოცდებზე ბრწყინვალედ გადიოდა.

თქვენ, ალბათ, იტყვით, რომ ეს ზედმეტი სიფრთხილეა, რომ კარგი საქმისათვის შეიძლება რისკიც გასწიო... მაგრამ რისკის გაწევა იმ დროს, როცა სახელმწიფო ფულთან გაქვს საქმე, არამცთუ საქებარი არაა, არამედ შესაძლებელია თან მოიყოლოს საყვედური და ფულადი ჯარიმაც კი.

კიდევ უფრო ნაკლებ საყვედურს იმსახურებს სემინარია იმის გამო, რომ იგი „აღსაზრდელებს ართმევს განათლების ყველა უფლებას“. თვით სიტყვა „ყველას“ ნაცვლად რომ მარტო „უფლებას ართმევს“ დავწეროთ, მაშინაც კი წმინდა უაზრობა გამოვა. სტუდენტობა კურსდამთავრებულს მხოლოდ იმის უფლებას აძლევს, რომ გამოცხადდეს აკადემიის გამოცდაზე და არა იმისას, რომ სახელმწიფო ხარჯით წავიდეს იქ; ეს უკანასკნელი არის უპირატესობა და არა უფლება.

ასეთია სინამდვილეში ის ფაქტი, რომელზედაც თქვენს სტატიაშია ლაპარაკი. თუ ჩემი შემოწმება გსურთ, შეგიძლიათ მოიკითხოთ სემინარიის წესდების ნებისიმერ გამოცემაში (დაწყებული 1871 წლიდან), § 106, პ. 6, რომლისთვისაც, ვფიქრობ, ადრე უნდა მიგემართათ, ვიდრე ლაფში ამოსვრიდით მთელ დაწესებულებას და საზოგადოებას მისდამი ნდობას შეურყევდით.

დასასრულ, თავს ნებას მივცემ, გამოვთქვა იმედი, რომ უარს არ მეტყვით თქვენს გაზეთში ჩემი წერილის დაბეჭდვაზე, რადგან არა მგონია, რომ საზოგადოების შეცდომაში შეყვანა გსურდეთ.

ა. ბოგოიავლენსკი".

მთელი ეს „ახსნა-განმარტება" სრულიადაც არ აბათილებს ჩვენგან მოწოდებულ ფაქტებს, პირიქით, იგი მტკიცდება ბ-ნი ბოგოიავლენსკის წერილით. ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია, დავასაბუთოთ ჩვენი მოსაზრება და მივცეთ რამდენიმე შეკითხვა ბ-ნ ბოგოიავლენსკის:

1. თბილისის სემინარიის დაარსების დღიდან თუ ყოფილა ერთი გამოშვება მაინც, როდესაც სემინარიამ არავინ სცნო ღირსად აკადემიაში გასაგზავნად და არც არავინ გაუგზავნია იქ?

2. ოცდაათი წლის მანძილზე იყო თუ არა სემინარიის პრაქტიკაში ერთი შემთხვევა მაინც, რომ აკადემიაში გაგზავნილ სტუდენტს გამოცდა ვერ დაეჭიროს და უკან დაბრუნებულიყოს თბილისში?

თუ, როგორც ჩვენ ვამტკიცებთ, ასეთი შემთხვევები არასდროს ყოფილა, მაშინ რით უნდა აიხსნას, რომ სწორედ მიმდინარე წელს სემინარიელები ასეთი მოუმზადებელი და არასაიმედონი აღმოჩნდნენ?

ჩვენ ვამბობთ, რომ, თუ სემინარიის გამგეობა მართლა ისე მოქმედებდა, როგორც ამას ბოგოიავლენსკი აღწერს, კეთილგონიერების საზღვრებს გასცილებია, ვინაიდან ყველას ეს „ვაითუ" და ბ-ნი ბოგოიავლენსკის მთელი შიში შეიძლება სავსებით მიესადაგოს ყველა პირველი თანრიგის „გენიოსს" და ამ ლოგიკით ძალით სრული უარის თქმა მოგვიწევს აკადემიაში სემინარიელთა გაგზავნაზე.

ვიმეორებთ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამგეობა ხელმძღვანელობდა კარგი სურვილებით, როგორც ეს ბ-ნი ბოგოიავლენსკის წერილშია ნათქვამი, იგი მაინც უსაფუძვლოდ და არალოგიკურად მოიქცა, მაშ, რაღა იქნებოდა მაშინ, გამგეობას სხვა რიგის განზრახვით რომ ეხელმძღვანელა...

ბ-ნ ბოგოიავლენსკის პასუხის შემდეგ ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით ამ საინტერესო შეკითხვას. ახლა კი „განათლების უფლებაზე" ვიტყვით, რომ, გარდა აკადემიაში სნავლის გაგრძელების უფლებისა, მათ სხვა არავითარ უფლებას არ აძლევს სემინარიის სტუდენტის ხარისხი. მას შეუძლია სამსახური დაიწყოს თოთხმეტი კლასის უფლების ძალით, რაც ხელს არ უშლის ოცდაათი წელი იჯდეს გადამწერის თანამდებობაზე ან შეუძლია მასწავლებლის თანამდებობა დაიკავოს სოფლის სკოლასა და სასულიერო სასწავლებელში. სოფლის სკოლის მასწავლებლის მდგომარეობა ცნობილია. რაც შეეხება სასულიერო სასწავლებლებს, როგორც „ობზორის"" დღევანდელი მოწინავე სტატიიდან ჩანს, ბ-ნი სინიავსკები იქ მისასვლელ გზას უღობავენ ჩვენი სემინარიის კურსდამთავრებულებს...

72. გამოუსწორებელნი

თბილისი, 1880 წ. 30 ივნისი

ა. ი. პოპოვიცკის შესანიშნავი გამოცემის „ცერკოვნო ობშჩესტვენნი ვესტნიკის“[55] №72-ში, რომლისადმიც ჩვენი სიმპათია კარგადაა ცნობილი „ობზორის“[6] მკითხველისათვის, გაოცებითა და აღშფოთებით წავიკითხეთ თბილისიდან გაგზავნილი ბულგარინის ყაიდის სტატია „სასულიერო სასწავლებელთა ზედამხედველობის არჩევნები“. პატივცემული რედაქცია კეთილსინდისიერად აცხადებს უარს ამ სტატიასთან სოლიდარობაზე თავის სარედაქციო შენიშვნაში, რომლის სრულ ტექსტსაც ქვემოთ მოვიტანთ. მიუხედავად ამისა, სტატია დაბეჭდილია და მისი საზიზღარი ინსინუაცია სათანადო შეფასებას მოითხოვს. ჩვენ მით უფრო ხალისით ვკიდებთ ხელს ამ საქმეს, რომ იგი შესაძლებლობას გვაძლევს კიდევ ერთხელ შევეხოთ ჩვენი სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების ცხოვრების მეტად საინტერესო მხარეებს...

ანონიმურმა კორესპონდენტმა თავისი დასმენის ამოსავალ წერტილად ამოირჩია ის გარემოება, რომ მიმდინარე წლის გაზაფხულზე საქართველოს საეგზარხოსოს სასულიერო სასწავლებლებში ზედამხედველის სამი ვაკანსია გაიხსნა: ქუთაისში, თბილისსა და ოზურგეთში, და რომ საქართველოს სასულიერო წოდების წარმომადგენლებმა გაბედეს და ამ ვაკანსიაზე ის ქართველები აირჩიეს, რომელთაც დამთავრებული ჰქონდათ სასულიერო აკადემიების კურსი. თავისთავად იგულისხმება, რომ არჩევნების ასეთ შედეგს არ შეიძლება იმედი არ გაეცრუებინა მათთვის, ვისთვისაც ეს ვაკანსიები ძიების საგანსა და ნანატრ მიზანს წარმოადგენდა. ირკვევა, რომ ეს ვაკანსიები განკუთვნილი იყო იმათთვის, ვინც არის—

...„Стае пришельцев,
На долю счастья и чинов
Прибывших к нам по воле рока“...

და აი, ერთ-ერთმა მათგანმა რედაქციას გაუგზავნა საზიზღარი ცილისწამება ქართველ სასულიერო პირთა ვერაგული ჩანაფიქრის შესახებ ყველა რუსის წინააღმდეგ.

მაგრამ, საინტერესოა, ვის აბეზღებს იგი და რის გამო? კანონმა სასულიერო წოდების დეპუტატებს მიანდო ზედამხედველთა არჩევნები და ქვეყნად, ამ კანონის არსისა და აზრის თანახმად, არავითარ ძალას არა აქვს უფლება სულში ჩაუძვრეს ამომრჩევლებს და თავს დაესხას მათი არჩევანის დამოუკიდებლობას, რომლის ერთადერთ საფუძვლად ჩვენი კანონი ითვალისწინებს ამომრჩევლის თავისუფალი სინდისის განაჩენს. არც კანონსა და არც მთავრობას უფლება არა აქვთ მიმართონ ამომრჩეველს შეკითხვით, თუ რატომ ამოირჩია სწორედ ეს პიროვნება და არა რომელიმე სხვა. არჩევნების მოტივებს არავინ არ უნდა შეეხოს. ასეთია არჩევნების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის არსი ყველგან, როგორც ჩვენში, რუსეთში, ისე ყველა განათლებულ ქვეყანაში.

რომელი კანონის ძალით ან რა ზნეობრივი საფუძვლით, ბედავენ ჩვენი იეზუიტების გამოუსწორებელი გადმონაშთები ოჩაკოვისდროინდელი ინკვიზიტორული ილეთების აღდგენას? რატომ უძვრებიან სულში თავისუფალ ამომრჩევლებს და რატომ ატანენ ძალას მათ სინდისსა და უფლებას? თან რუსულ ღირსებას ეფარებიან, კი ვერ ხვდებიან, რომ ამით თავიანთ დანაშაულს კიდევ უფრო ამძიმებენ. რუსეთის მოქალაქის სახელის ღირსი არ არის ის, ვინც რუსეთის კანონებს ამახინჯებს, როგორც კი ეს კანონები არასასურველ ზეგავლენას ახდენენ მათ პირად ინტერესებზე. რუსეთისა და რუსი მოქალაქის ინტერესებზე არ უნდა ილაპარაკოს იმან, ვინც თავისი ყოველი ნაბიჯითა და სიტყვით არცხვენს რუსეთის ინტერესთა შორის ყველაზე უდიდესს—კანონისადმი პატივისცემას, ვინაიდან ქვეყნად არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს იმაზე დიდი ღალატი, ვიდრე საკუთარი ქვეყნის საზოგადოებრივი სამართლისა და კანონის ღალატია.

თუმცა მოვუსმინოთ ავტორს:

„კენჭის ყრის ასეთმა შედეგმა,—წერს ის,—ძალზე განაცვიფრა ყველა რუსი, ვისაც კი რაიმე ურთიერთობა ჰქონდა თბილისის სასწავლებლებთან. ყველაფრიდან ჩანს, რომ ზედამხედველის არჩევისას საქართველოს სასულიერო წოდებას სრულიად არ ჰქონია მხედველობაში სასწავლებლის ზედამხედველობისათვის ამა თუ იმ კანდიდატის ვარგისიანობა—უვარგისობა. ბატონი დეპუტატები, წაქეზებული ქართული პრესის ვიგინდარა ავტორებით,

რომელთაგან უმრავლესობა თავის დროზე სემინარიიდან იქნა გაძევებული ცუდი ყოფაქცევის ან სიზარმაცის გამო, ზედამხვედველის არჩევნების დროს ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივთა მიმართ სიმპათიით და რუსებისადმი ანტიპათიით: „ეს ჩვენია", ჩაუგდე თეთრი კენჭი, „ეს რუსია"—ჩაუგდე შავი, კენჭისყრის შედეგთა სხვაგვარი ახსნა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს".

დედაქალაქის პრესის ვიგინდარა ავტორს, რომელსაც ეკუთვნის „ცერკოვნი ობშჩესტვენნი ვესტნიკის" მიერ უარყოფილი ეს სიტყვები, ცხადია, ახლა შეუძლია თავმოყვარეობა დაიმშვიდოს ასეთი ახსნა-განმარტებით არჩევნებზე მარცხის გამო. კი ბატონო, რამდენიც უნდა, იმდენი იმშვიდოს თავი; მაგრამ ცილისწამება მის გამშავებელ ამომრჩევლებზე სრულიადაც არ ნიშნავს და არ მიუთითებს ამ ცილისწამების ჭეშმარიტებაზე.

დეპუტატებს მართლაც მხოლოდ „ეს ჩვენია" და „ეს რუსიას" მოსაზრებით რომ ეხელმძღვანელათ, არც ეს იქნებოდა დიდი უბედურება. პირველ ყოვლისა, ეს მათი უდავო უფლება იყო და, მეორეც, ამას ექნებოდა საკმაოდ რაციონალური საფუძველი, რაც მხედველობიდან არ გამორჩენია „ცერკოვნი ობშჩესტვენნი ვესტნიკის" რედაქციას. მესამე საფუძველს ჩვენ შემდეგ გაგაცნობთ, ახლა კი მკითხველს წარმოვუდგენთ „ცერკოვნი ობშჩესტვენნი ვესტნიკის" მეორე სარედაქციო შენიშვნას (ტექსტის თვალსაზრისი):

„არ ვიცით,—წერს ამ გაზეთის რედაქცია,—რამდენად მიუკერძოებლად და სწორად აფასებს ჩვენი კორესპონდენტი იმ პირებს, რომელთაც ადგილობრივი სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველობისათვის იყარეს კენჭი, მაგრამ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ ადგილობრივ სასულიერო პირთა არჩევანი იმ სასწავლებლის ზედამხედველისა, სადაც მათი შვილები სწავლობენ, სავსებით ბუნებრივად მიგვაჩნია. რატომ? ადგილობრივ სასულიერო პირებს ძალზე უჭირთ ურთიერთობა უფროსებთან ენის უცოდინარობის გამო, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ შემდეგშიაც არჩევნები სწორედ ასეთი მიმართულებით წარიმართება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა რუსი კანდიდატი ძალზე ღირსეული იქნება, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი მის მიერ ადგილობრივი ენის თუნდაც ელემენტარული ცოდნა, ალბათ, მუდამ მიიღება მხედველობაში".

ვფიქრობ, გასაგებია, რომ ასეთ თანამდებობებზე არჩევნების დროს ამომრჩევლებს არამცთუ უფლება აქვთ, არამედ ვალდებული არიან კიდეც ყურადღება მიაქციონ კანდიდატთა „ჩვენებურობასა“ თუ „უცხოობას“. მესამე დებულება კიდევ უფრო ამტკიცებს პირველი ორის ძალას.

როგორც სასულიერო ფენის დეპუტატები, ისე საერთოდ ყველა ადგილობრივი ამომრჩეველი, უდაბნოში არ ცხოვრობს, ისინი ყოველდღიურად აკვირდებიან ცხოვრების მოვლენებს თავიანთ ირგვლივ. გარდა ამისა, მათ ჰყავთ უამრავი ნათესავი და ნაცნობები, რომელთა საქმიანობასაც მუდმივად ადევნებენ თვალყურს...

...განა ჩვენ მიერ გარჩეული სტატიის ავტორმა, და მისმა მეგობრებმა და დამრიგებლებმა,—ბ-ნი კუვშინსკის, ვერსკისა და ძმათა მათთა არ მოიწონეს, დაადგინეს და განახორციელეს კიდეც წესი, რომლის მიხედვითაც ქართველ აკადემიელებს არ აძლევენ საქართველოს სასულიერო სემინარიაში მასწავლებლის ადგილს? ასე რომ, თქვენ ხომ პირველებმა გამოიყენეთ პრინციპი „ჩვენიანისა“ და „უცხოსი“? მაშ, ახლა ვიღას ემდურით?! დაემდურეთ მხოლოდ საკუთარ თავს, მოწყალეო ბატონებო!

საწყალი და არათანამიმდევრული ავტორი ამჟღავნებს არა მარტო მსგავს წინააღმდეგობებს, არამედ გარკვეულ არაკეთილსინდისიერებასა და მიკერძოებას კონკურენტ კანდიდატთა შეფასებაში. ეს იმდენად აშკარაა, რომ თვით „ცერკოვნი ობშჩესტვენნი ვესტნიკის“ რედაქციამაც კი, რომელიც სრულიად არ იცნობს ადგილობრივ მოღვაწეებს, ეჭვი შეიტანა თავისი კორესპონდენტის „მიუკერძოებლობაში“.

მაგალითად, ცილისმწამებელი წერს:

„ადგილობრივმა მკვიდრმა ლომოურმა შარშან დაამთავრა რა კიევის აკადემია, დღემდე ერთი დღეც კი არ უმუშავნია მასწავლებლად არც ერთ სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებაში. აქედან გამომდინარე, არც ეს კანდიდატი იმსახურებს ზედამხედველად არჩევის უფლებას, ვინაიდან მას არაფრით გამოუჩენია თავი“.

ამ სიცრუის უტიფრობა გაორმაგდება, როცა ვიტყვით და აქვე დავასაბუთებთ, რომ ავტორს განზრახ შეცდომაში შეჰყავს რედაქციაცა და მკითხველიც, რადგან წინასწარ იცის, რომ ისინი ვერ შეამოწმებენ ამ ცნობებს. ბ-ნი ლომოური კიევის აკადემიის

დამთავრების შემდეგ თავიდანვე მასწავლებლობას და ინსპექტორის თანამდებობასაც ასრულებს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის სწავლის მსურველთა დამხმარე სკოლაში. თბილისის სასულიერო წოდება უკვე ათ წელზე მეტია იცნობს მის ხასიათს და ნიჭს: გარდა ამისა, ბ-ნ ლომოურს მოპოვებული აქვს საპატიო სახელი ქართულ ლიტერატურაში. განა ბუნებრივი არ არის, რომ ყველა კეთილსინდისიერი ამომრჩეველი, ქართველი იქნება ის, რუსი თუ ჩინელი, თეთრ კენჭს ჩაუგდებდა ასეთ კანდიდატს და უპირატესობას მიანიჭებდა მას ვიღაც ბ-ნ სინიავსკის, იერიხონსკის, კანო-გალილეისკის, ტიბერდიანსკისა და სხვათა წინაშე, რომლებიც ჩვენთან ერთი წელიც არაა, რაც ჩამოვიდნენ მხოლოდ და მხოლოდ კარიერის გასაკეთებლად? ვინ იცნობს მათ? ნუთუ ქართველი ამომრჩევლები მხოლოდ იმისათვის არიან ვალდებული თვალდახუჭულად აირჩიონ ისინი, რომ ეს ბატონები პალესტინურ ფსევდონიმებს ატარებენ? ეს ხომ არა სურთ ჩვენს მამხილებლებს?

დედაქალაქის პრესის ვიგინდარა ავტორი მეტად მაღალფარდოვან ხოტბას ასხამს „რუსების" კანდიდატ ბ-ნ სინიავსკის, რომელმაც მხოლოდ ორი ხმა მიიღო და ისიც მოწყალების გულისთვის.

ვიგინდარა ასე წარმოგვიდგენს მას:

„ეს არის ახალგაზრდა ენერგიული კაცი. მან მხოლოდ შარშან დაამთავრა პეტერბურგის აკადემია. მიუხედავად თავისი სამსახურის მცირე დროისა თბილისის სასულიერო სასწავლებელში, მას შესანიშნავი მხრით ახასიათებენ; რამდენიმე თვის განმავლობაში სინიავსკი იშვიათი გულმოდგინებით ასრულებდა ჯერ თბილისის სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწის როლს, ხოლო შემდეგ ამავე სასწავლებლის ზედამხედველისას. ამ მოკლე ხანში მან მოასწრო მრავალი სიკეთე გაეკეთებინა სასწავლებლისათვის, განსაკუთრებით ეკონომიური და აღმზრდელობითი თვალსაზრისით".

ამ რეკომენდაციის კომიზმი განსაკუთრებით გრანდიოზული გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ, როგორც სტატიიდან ჩანს, იგი დაწერა თვითონ ბ-ნმა სინიავსკიმ, რომლის „ენერგიულობაც" სულ ახლახანს ვიხილეთ და თანაც მეტად კომიკური მხრით. „ობზორის"" მკითხველებს, ალბათ, არ დავიწყნიათ სასწავლებლის ამ

კეთილმოქმედის საქმეთა მხილება ჩვენს შენიშვნებში აღსაზრდელთა გარიცხვისა და აღმზრდელთადმი უჯიათი დამოკიდებულების გამო. გარდა ამისა, მათ არ დაავიწყდებოდათ არც ის, რომ ბ-ნ სინიავსკის თბილისის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლობისა და ზედამხედველობის თანაშემწედ მოღვაწეობის დროს თითიც არ გაუნძრევია იმ საარაკო უწესობისა და ბოროტების წინააღმდეგ, რაც იქ მეფობდა, სანამ ყოველივე ეს „ობზორმა" არ ამხილა, რასაც ზედამხედველ სტახოვსკის დაუყოვნებელი მოხსნა მოჰყვა. თუ ბ-ნ სინიავსკის ყოველივე ეს დაავიწყდა, ამომრჩეველი დეპუტატები ვალდებული იყვნენ შეეხსენებინათ მისთვის ასეთი უჯიათი და გულგრილი დამოკიდებულება სასწავლებლის საქმეებისადმი სწორედ იმ მომენტში, როცა არჩევნები მიმდინარეობდა.

იერიხონსკისა და ადგილობრივ კანდიდატთა შორის ის განსხვავებაა,–დაე, შეიგნოს ეს ბ-ნმა სინიავსკიმ,—რომ ბ-ნი ლომოური, როცა იგი ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად აირჩიეს, სპეციალურად არც ცდილა და არც მიუღია ეს თანამდებობა ისევე, როგორც არ უძებნია და არ მიუღია თბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველობა, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელ თანამდებობაზე მას მეტი დამოუკიდებლობა და აღიარება ექნებოდა, ვიდრე იქ, სადაც ახლაა არჩეული, იგი, განსხვავებით თქვენგან, კარიერის გაკეთების წყურვილით კი არ ხელმძღვანელობს, არამედ საქმის სიყვარულით, ამიტომ რა თანამდებობაზედაც უნდა იყოს იგი, ყველგან დიდ სარგებლობას მოუტანს საქმეს. ამას ვერ ვიტყვით მის ისეთ კონკურენტებზე, როგორიცაა, ვთქვი, ბ-ნი სინაისკი. საუკეთესოდ გვიხასიათებს მათ აღნიშნული სტატიის ის ადგილი, რომელიც უშუალოდ მოსდევს ბ-ნი სინიავსკის მიერ მხოლოდ ორი საარჩევნო კენჭის მიღების ცნობას.

„ასეთ მოვლენას შეიძლება მხოლოდ აზიაში შეხვდეთ. ამის შემდეგ რომელი რუსი დათანხმდება, თბილისის სასულიერო სასწავლებელში სამსახურზე? ცხადია, არავინ; გარდა ბ-ნი სინიავსკისა, ამ სასწავლებელში კიდევ ორი მასწავლებელია აკადემიური განათლებით. ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამ მასწავლებლებს საქართველოში რუსების წინააღმდეგ მომხდარი სკანდალის შემდეგ, რომელმაც გამოამჟღავნა ქართველთა უკიდურესობამდე მტრული

დამოკიდებულება რუსი მასწავლებლებისადმი, განუზრახავთ სთხოვონ გამგეობას იმავე თანამდებობაზე გადაყვანა რუსეთში. ამგვარად, საქართველოს საეგზარხოსოს სასულიერო სასწავლებელს, როგორც იქნა, ეღირსა აკადემიური განათლების მქონე მასწავლებლები და უკვე უნდა გამოეთხოვოს მათ...

ზუსტად ასეთი მტრული დამოკიდებულება საქართველოს სამღვდელოებისა რუსი აკადემისტებისადმი იგრძნობა საქართველოს საეგზარხოსოს სხვა სასულიერო სასწავლებლებშიც. ქუთაისის სასწავლებლის ზედამხედველად, ნაცვლად მხეცურად მოკლული ასათიანისა, არჩეულია ადგილობრივი ფხაკაძე (იმერელი), რომელსაც თავი არაფრით გამოუჩენია პედაგოგიურ სარბიელზე. ქუთაისის სასწავლებელში, ისევე როგორც თბილისში, არის რამდენიმე რუსი მასწავლებელი აკადემიური განათლებით, მაგრამ მათ კეთილგონიერულად უარი განაცხადეს ქუთაისის სასწავლებლის ზედამხედველის თანამდებობისათვის კენჭისყრაზე, ხოლო ზოგიერთი მათგანი, როგორც შევიტყვეთ, საერთოდ რუსეთში აპირებს გადასვლას".

ბ-ნი სინიავსკის მსგავსი ადამიანები, მათივე აღიარების თანახმად, მხოლოდ ერთი წლის წინათ მოვიდნენ ჩვენთან. მათ არავინ იცნობს, არაფრით გამოუჩენიათ თავი სამღვდელოების დეპუტატთა თვალში, რომელთაც, როგორც ჩანს, არ ჰქონდათ საშუალება თვალ-ყური ედევნებინათ მათი მასწავლებლობისათვის და, მიუხედავად ამისა, მათ სურთ, რომ დაუყოვნებლივ იქნენ არჩეულნი ქართველთა ბავშვების ზედამხედველებად... არ აგვირჩევთ და,—ამბობენ ისინი,—ბედის ანაბარა მიგატოვებთ და რუსეთში გადავალთო...

გზაც იქით გქონიათ, არავინ გამოგეტირებათ, ბატონებო! თუ თქვენ მხოლოდ იმიტომ ასწავლით ბავშვებს, რომ ზედამხედველის ადგილი მიიღოთ და თანაც შრომისა და გულმოდგინების იმედი კი არა გაქვთ, არამედ ჩამომავლობის, წაბრძანდით საითაც გნებავთ. ოღონდ იცოდეთ, რომ არც რუსეთში მიგიღებენ უკეთესად. იქაც საჭიროა შრომა და გულმოდგინება იმისათვის, რათა თქვენი პატივმოყვარული ოცნებები განახორციელოთ. იქ ხომ მხოლოდ „რუსის" სახელით შორს ვერ წახვალთ...

აი, როგორი ფერებით წარმოგვიდგენენ თავიანთ თავს კარიერისტები, ბინძური და ხარბი ადამიანები, რომელთა ცხოველური მადაც რუსული ინტერესებისადმი ყალბი ერთგულებით იფარება. ისინი ბედავენ მსჯელობას ქართველთა არა მარტო ანტიპათიაზე რუსების მიმართ, არამედ თვით მტრულ დამოკიდებულებაზეც კი! მოჭარბებული და გაცრუებული მადის გავლენით მათთვის არ არსებობს არც გამოცდილება, არც ისტორია, არც სიმართლე. ისინი ბედავენ მოატყუონ რუსეთი და მოღალატეობაც კი დასწამონ ქართველებს, რომელთა საუკუნეობრივი სიყვარული და მეგობრობა რუსეთისადმი საუკეთესო ქართველ ვაჟკაცთა სისხლითაა დადასტურებული. ეს სუბიექტები თავიანთი ბინძური და უღირსი ხელებით ცდილობენ შეეხონ რუსი ხალხის თავმოყვარეობის მგრძნობიარე სიმებს და ჩაუნერგოს მას უნდობლობა და სიძულვილი იმ ხალხისადმი, რომელიც რუსეთის მიმართ მხოლოდ უკეთილშობილესი გრძნობებითაა განმსჭვალული. ქართველთა ყველაზე უფრო ბუნებრივ და გონივრულ მოქმედებას, რომელიც განპირობებულია მათთვის დავალებული საქმის ინტერესებით, ეს ადამიანები ხსნიან, როგორც მუდმივად მტრულ დამოკიდებულებას „ყველა რუსისადმი“ მაშინ, როდესაც ეს მოქმედება მიმართულია მხოლოდ უღირსი კარიერისტების წინააღმდეგ, რომლებიც რუსის სახელს ლაფში სვრიან. თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ რუსეთის არც ერთ გუბერნიაში არ სარგებლობენ ისეთი პატივისცემითა და სიყვარულით რუსეთის ღირსეული წარმომადგენლები, როგორც ჩვენთან, საქართველოში. პუშკინები და გრიბოედოვები, პოლონსკები და ტოლსტოები საკმარისად ადასტურებენ, რომ ქართველები ხელგაშლით ხვდებიან ყველა წესიერ რუსს, იციან მისი სიყვარული და პატივისცემა. და თუ იგივე ქართველები ზიზღით აქცევენ ზურგს იეზუიტური საქციელის ინტრიგანებს, რომლებიც ცდილობენ მხოლოდ „რუსის“ სახელით აინაზღაურონ პატიოსნებისა და ნიჭიერების ნაკლებობა, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქართველები ავკარგიანი ხალხია, რომელთაც იციან ჭეშმარიტისა და ყალბის გარჩევა და არ ტყუვდებიან არც არავითარი ეტიკეტებით, არც ფსევდონიმებითა და არც ხოტბებით, რომელსაც ასე გულუხვად აღუვლენენ ერთმანეთს და საკუთარ თავებს დედაქალაქის პრესის ვიგინდარა ავტორები.

ვიმედოვნებთ, „ცერკოვნი ობშჩესტვენნი ვესტნიკის“ რედაქცია ჩვენი განმარტებიდან საბოლოოდ დარწმუნდება, რომ მან თავის გაზეთში შეიკედლა მისთვის შეუფერებელი მკბენარი და შემდგომში შეძლებს თავი დაიზღვიოს ისეთი უღირსი „კორესპონდენტებისაგან“, რომლებიც მხოლოდ პირადი, იაფფასიანი ინტერესების დასაკმაყოფილებლად იღვწიან.

73. კვლავ ვ. ი. ჟელიხოვსკის თაობაზე

დღეს „კავკაზში“[3] დაბეჭდილია ვ. ბ. ჟელიხოვსკაიას გრძნობით სავსე სტატია სათაურით „№541 ობზორის“ ფელეტონის პასუხად“, რომელიც ეძღვნება ვ. ი. ჟელიხოვსკის. კეთილშობილური, მეტისმეტად გულში ჩამწვდომი სიფიცხე, რომელსაც ქ-ნი ჟელიხოვსკაია მიმართავს თავისი განსვენებული მეუღლის დასაცავად ჩემი მოსაზრებებისაგან, მავალდებულებს განვმარტო ჩემი ფელეტონის ის ადგილები, რომელთაც ქ-ნ ჟელიხოვსკაიას მისცეს საბაბი „ქარაგმებად“ ჩაეთვალა ისინი. მე არ მიყვარს და არც მახასიათებს „ქარაგმული“ ლაპარაკი, რომელიც ასე ახლოა ინსინუაციასთან. მხოლოდ იშვიათად შეიძლება მაიძულოს ვითარებამ გაკვრით მივუთითო ცნობილ ფაქტზე და თავი ავარიდო მის დაწვრილებით გადმოცემას. ახლა შევეცდები გამოვასწორო ეს უნებლიე მარცხი, რომელიც სავსებით შესაძლებელია ჩემი უკანასკნელი ფელეტონის საგნის არსით აიხსნას.

მაგრამ, პირველ ყოვლისა, უნდა ამოვწერო ვ.პ. ჟელიხოვსკაიას სტატიის შემდეგი ადგილი:

„სრულიად სამართლიანად შენიშნავს „ობზორი“[4], რომ მიცვალებულებზე მხოლოდ სიმართლე უნდა ითქვას. დიახ, მიცვალებულებს პირფერობა არ სჭირდებათ, მაგრამ ცოცხლებს, რომლებმაც მიზნად დაისახეს მათზე წერა, პირველ ყოვლისა, მართებთ უარი თქვან ყველა პირად ანგარიშზე—ცუდზეც და კარგზეც“.

ვილასთან არ მქონია პირადი ანგარიში, მაგრამ განსვენებულ ჟელიხოვსკისთან ჩემს სიცოცხლეში იოტისოდენაც კი–არაფერი, და არც შეიძლება, რომ მქონოდა. მთელი ჩემი ურთიერთობა მასთან, პრესასა თუ პირად ცხოვრებაში, დაფუძნებული იყო მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივ საქმეზე. ამ საქმეში კი მე შეიძლება მტყუანიც ვყოფილიყავი და მართალიც,—ეს სხვა საქმეა,—მაგრამ პირად ინტერესებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. საზოგადოებრივი საქმის თვალსაზრისით მე შემეძლო სულითა და გულით მყვარებოდა ან მძულებოდა ბ-ნი ჟელიხოვსკი,—ესეც სხვა საკითხია,—მაგრამ არც ამ სიძულვილსა და სიყვარულში არ იქნებოდა არავითარი პირადული მომენტი. ჩემსა და ჟელიხოვსკის შორის ვერასოდეს იარსებებდა ვერც პირადი მეტოქეობა და ვერც პირადი კეთილმეგობრობა; ასაკობრივი განსხვავება, მდგომარე-

ობა, სამოქმედო ასპარეზი—სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ,—მშვენივრად ადასტურებენ ამ გარემოებას. სხვა მხრივ, შესაძლებელია მართალიც იყოს ქ-ნი ჟელიხოვსკაია, როცა წერს:

„ჩანს, ახლაც გსურთ განაგრძოთ მისი დაცინვა და არ მოასვენოთ იმ ადამიანის ნეშტი, რომელსაც ბოროტი განზრახვით ცუდი არავისთვის გაუკეთებია, თუმცა სხვებისგან, და მათ შორის თქვენგანაც, იმდენი მიიღო, რომ მისმა მგრძნობიარე და ნერვიულმა არსებამ, რომელიც ბავშვობიდანვე გაჭირვებისა და მწუხარებისგან იყო ზედმეტად გადატვირთული და ახალგაზრდობიდანვე შეირყა აუტანელი შრომისაგან, თავისი დიდი ოჯახის კეთილდღეობის გამო რომ იტვირთა, ველარ აიტანა მისი სიმძიმე და გატყდა“.

დიახ, ვიმეორებ, იქნებ მართალიცაა ქ-ნი ჟელიხოვსკაია, ამ საყვედურს რომ გამოთქვამს. იქნებ „სხვებმა“ და, მათ შორის მეც, მართლა ბევრი ბოროტება ვაგემეთ ბ-ნ ჟელიხოვსკის, იმდენად ბევრი, რომ მისმა არსებამ ველარ გაუძლო და გატყდა. არ ვიცი, რა მიზანს ემსახურებოდნენ „სხვები“, მაგრამ შემიძლია დავარწმუნო ქ-ნი ჟელიხოვსკაია, რომ მე ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ „დიდი ოჯახის გულისათვის“ ვმოქმედებდი, ოღონდ არა პირადად ჩემი, არამედ ჩემი სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა დიდი ოჯახისათვის, რომელთაც, ჩემის აზრით, მცდარად წარმართავენ... თუ ბ-ნ ჟელიხოვსკის დისციპლინასა და წესრიგზე ზრუნვა აიძულებდა, რომ ბევრი ბოროტება გაეკეთებინა ბავშვებისათვის, რომელთა კარიერაც და მომავალიც შეუბრალებლად ეწირებოდა დისციპლინას, მიეყენებინა დარტყმა ბ-ნი ლავრენკოს პიროვნებისა და ოჯახისათვის, მაშინ გასაგები უნდა იყოს, რომ იმავე სწავლების საქმეზე ზრუნვას შეეძლო მეც იძულებული გავეხადე შევბრძოლებოდი და აშკარად მიმეყენებინა ბოროტება მათთვის, ვისაც, ჩემის აზრით, უკუღმართად ესმოდა ეს საქმე ან არასწორად მართავდა მას. შეიძლება მე ვცდებოდი, აქედან გამომდინარე, თქვენ შეგიძლიათ ადვილად დაამტკიცოთ ჩემი შეცდომა, მაგრამ განა გასაგები არ უნდა იყოს, რომ ყოველივე ამაში იმდენივეა პირადული, არაგულწრფელი და არაკეთილსინდისიერი, რამდენიც ქ-ნ ჟელიხოვსკაიას კეთილშობილურ სურვილში, დაეცვა მისთვის ძვირფასი და პატივსაცემი ადამიანის ხსოვნა შეუსაცხყოფისაგან.

ყოველ შემთხვევაში, ქ-ნი ჟელიხოვსკაია ერთ რამეში მაინც დამეთანხმება: ჩემი მოსაზრებების უსაფუძველობის შემთხვევაშიც კი მე ჭეშმარიტებას ვემსახურები იმით, რომ ვიწვევ პოლემიკას ჩემი აზრის უარყოფის მიზნით და ამით ხელს ვუწყობ საზოგადოებაში სწორი შეხედულების ჩამოყალიბებას ბ-ნი ჟელიხოვსკის პიროვნებასა და საქმიანობაზე. ჩემთვის სულ ერთია, როგორი იქნება ბ-ნი ჟელიხოვსკის სიკვდილის შემდგომი ამ ანალიზის საბოლოო შედეგი... ე.ი. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს ხალხის წარმოდგენაში გმირად დაიხატება იგი თუ ბოროტმოქმედად. ვფიქრობ, თვით ის გარემოება, რომ მასზე სიკვდილის შემდეგ ვლაპარაკობ, ნათლად ადასტურებს: ჩემთვის მთავარია მხოლოდ საქმე. ბ-ნი ჟელიხოვსკისა და მისი ხსოვნის პირადი მტრები და მეტოქეები საბოლოოდ შეარიგა იმ სამარემ, რომელმაც უვნებელი და უსაფრთხო გახადა იგი მათთვის. მაგრამ ჩემთვის, ანუ იმ ადამიანისათვის, რომელსაც იგი გზაზე არასოდეს გადაღობებია და არც შეეძლო გადაღობებოდა, ეს სამარე თითქოს სულაც არ არსებობს. მე ბ-ნ ჟელიხოვსკიში მუდამ ვხედავდი არა პირადად ჟელიხოვსკის, არამედ იმ ხერხების, მისწრაფებების, იდეებისა და საქმიანობის გარკვეულ სინთეზს, რომელიც განათლების სფეროში, სამწუხაროდ, ბ-ნ ჟელიხოვსკიზე გაცილებით მეტ ხანს იცოცხლებს. აი, რატომ ველოდები ასე მშვიდად პოლემიკის შედეგებს, საიდანაც, ალბათ, განათლების სფეროც მიიღებს თავის კუთვნილს.

ყოველივე ამის გამო, და აგრეთვე ქ-ნ ჟელიხოვსკაიას წერილის გათვალისწინებით, საჭიროდ მიმაჩნია მეტი გარკვეულობით მივუთითო იმ ფაქტებზე, რომლებიც საბაბს აძლევენ როგორც თბილისის ახალგაზრდობას, ისე საზოგადოებრივ აზრსა და პირადად მეც, შევხედოთ ბ-ნ ჟელიხოვსკის იმ პრიზმიდან, რომელიც ასე აღაშფოთებს და აღელვებს ქ-ნ ჟელიხოვსკაიას გულს.

აღარ წამოვჭრი საკითხს იმის თაობაზე, მართლა „ბავშვებისადმი ჭეშმარიტი სიყვარულით“ იყო თუ არა გამსჭვალული განსვენებული. მე ჩემი ვარაუდი უკვე გამოვხატე ამ საკითხთან დაკავშირებით, ქ-ნი ჟელიხოვსკაია კი საწინააღმდეგოს ამტკიცებს. ეს პირადი შეფასების საქმეა. მაგრამ, ნება მომეცით, განვავითარო ჩემი აზრი, რომელსაც ადრეც ვეხებოდი თითქმის ყველა იმ შემთხვევაში, როცა პედაგოგიურ საკითხებზე ვწერდი.

როგორც სულიერ მოძღვარსა და ექიმს, ასევე პედაგოგსაც არ უნდა ამოძრავებდეს სხვა არაფერი, გარდა უშუალოდ თავისი უპირველესი მიზნისა,—ასწავლოს ბავშვებს, გაანათლოს ისინი ისე, რომ მათგან დამოუკიდებელი ადამიანები ჩამოყალიბდნენ, რომელთაც მომავალში შეეძლებათ იცხოვრონ და იაზროვნონ საკუთარი გონებით. ბავშვებთან ურთიერთობაში სხვა მიზნებისაკენ სწრაფვა, ცდა იმისა, რომ სკოლა გადააქციო დაშტამპული ადამიანების ფაბრიკაციის საშუალებად, ცალმხრივად გამსჭვალო ისინი გარკვეული იდეებით, თუნდაც უშესანიშნავესით, ნიშნავს იმას, რომ ფაქტიურად სრულიად მოსპო და გაანადგურო სკოლა. სამწუხაროდ, ბ-ნ ჟელიხოვსკი სწორედ ასეთი მცდარი და ავისმომასწავებელი მიმართულების უმთავრესი წარმომადგენელი იყო, რაც მაიძულებდა თავს დავსხმოდი მას ადრეც და ახლაც. დამეთანხმებით, რომ, რამდენადაც უფრო მცდარი და ცალმხრივი იყო იდეები, რომლებითაც ასე უმოწყალოდ იშტამპებოდა ბავშვების გონება, იმდენად უფრო მწვავე უნდა ყოფილიყო ჩემი თავდასხმა. სწორედ ასეთი უკიდურესი ცალმხრივობითა და მცდარობით გამოირჩეოდნენ ის იდეები და ის მიმართულება, რომლებსაც ბ-ნი ჟელიხოვსკი ატარებდა სკოლაში. უფრო მეტიც, სისტემა, რომელსაც ის იყენებდა, დამოუკიდებელი ადამიანების ნაცვლად ზრდიდა უაზრო ყბედებსა და თუთიყუშებს, რომელთაც მხოლოდ რაღაც უაზრო ფრაზების დამახსოვრება ძალუძდათ. ჩემს თვალში ეს ფრაზები თავიანთი შინაარსით კიდევ უფრო სულელური და მავნებელია.

სხვათა შორის, ქ-ნი ჟელიხოვსკაია წერს:

„პირველი დარტყმა, რომელმაც იგი წელში მოხარა (დიახ, როგორც თქვენც შენიშნეთ სამართლიანად, იგი სიკვდილამდე დიდი ხნით ადრე მოიხარა), იყო დაუმსახურებელი შეურაცხყოფა (1868 წ. გიმნაზიის ჯანყის დროს) იმ ახალგაზრდობის მხრიდან, რომელთა სიკეთისათვისაც იგი მთელი თავისი სიცოცხლე იბრძოდა“.

მე შემთხვევით არ გამისვია ხაზი სიტყვისათვის „ჯანყი“,—იგი დამეხმარება საქმის სხვა მხარის გარკვევაში. ისეთი ნათელი და საღი გონების ქალისაგან, როგორიცაა ამ შემთხვევაში ჩემი ანტაგონისტი, ამ „საშინელი“ სიტყვა „ჯანყის“ ასეთი იოლი ხმარება მიგვანიშნებს მის ერთგვარ ნათესაობაზე ბ-ნ ჟელიხოვსკის-

თან. განსვენებულს აწამებდა მანია ყველგან და ყველაფერში „ჯანყისა“ და „შეთქმულების“ დანახვისა. 1868 წ. გიმნაზიაში მომხდარი ამბები მკაცრად იქნა გამოძიებული. ჩვენი უმაღლესი მმართველობის ყველა მაშინდელი წარმომადგენელი, შეძრწუნებული ამ მოვლენით, უმკაცრესი ყურადღებით მოეპყრა მას. გამოძიებამ, რა თქმა უნდა, ვერ აღმოაჩინა არამცთუ „ჯანყის“, არამედ ელემენტარული გაერთიანების რაიმე ნიშანიც კი. გამოირკვა, რომ ბავშვებმა მხოლოდ თავიანთი განაწყენება გამოხატეს. მაგრამ თორმეტი წლის შემდეგაც კი ეს მოვლენა საღდება, როგორც „ჯანყი“, ე.ი. მოქმედება, რომელიც სიკვდილით ან კატორღით ისჯება!

სწორედ ასე უყურებდა ბ-ნი ჟელიხოვსკი სასკოლო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენას. მე დაუსაბუთებლად არაფერს ვიტყვი, რომ ქ-ნმა ჟელიხოვსკაიამ ჩემს სიტყვებში „ნართაული“ არ დაინახოს. საკმარისი იყო ბ-ნი ჟელიხოვსკის გიმნაზიაში რომელიმე მასწავლებელს მეორისათვის ერთი-ორი თუნდაც ისეთი ლიბერალური სიტყვა ეთქვა, როგორებიც იმ დროს ჟურნალ-გაზეთებში ცენზორის ნებართვით ხშირად იბეჭდებოდა, რომ ბ-ნი ჟელიხოვსკი მაშინვე შეთხზავდა მთელ მოხსენებას იმ „საფრთხეზე“, რომელიც თითქოსდა მთელ ამიერკავკასიას ემუქრებოდა. საქმის კურსში მყოფი ყველა პირისათვის ცნობილია საბრალო ლავრენკოს ბედი, რომლის მთელი მომავალიც ერთი ასეთი ფრაზის გამო დაიმსხვრა. ამ ამბის ხსოვნა დღესაც ცოცხლობს მთელი თბილისისა და ამიერკავკასიის საზოგადოების მეხსიერებაში. ხოლო 1868 წ. შემთხვევა, რომელსაც „ჯანყი“ ეწოდა, გამოწვეული იყო სწორედ ბ-ნი ჟელიხოვსკის ამ მოქმედებით. ცნობილია, რომ ბავშვებს ძალიან უყვარდათ ბ-ნი ლავრენკო. იგი თავისი მოღვაწეობის მთელ მანძილზე გიმნაზიელების იდეალი იყო. სასტიკმა დარტყმამ, რომელიც მას ბ-ნმა ჟელიხოვსკიმ მიაყენა, იმდენად გაამძვინვარა აღსაზრდელები ამ უკანასკნელის მიმართ, რომ პირველივე საბაბმა გამოიწვია სამწუხარო ფაქტი—ბავშვებმა სცემეს თავიანთ დირექტორს.

მაგრამ ბ-ნმა ჟელიხოვსკიმ ამ შემთხვევაზე ბევრად უფრო ადრე აიმხედრა საზოგადოება. ბ-ნ ლავრენკოს წინააღმდეგ მის მიერ გამოყენებული ხერხები ახალი არ იყო. ასეთი ხერხები, თუმცა უფრო ფრთხილი ფორმით, გამოიყენა მან 1863 და 1864 წლებში

მომიჯნავე სკოლის უფროსის ბ-ნ დომბროვსკის წინააღმდეგ, რომლის ვითომდა „არასანდოობაზეც“ მან არა ერთხელ და ორჯერ მიუთითა სადაც ჯერ არს. ფრიად შესაძლებელია, რომ ის ამას გულწრფელად სჩადიოდა, მაგრამ საზოგადოების პირველ შთაბეჭდილებას ვერავინ შეცვლის. საერთოდ ცნობილია, რომ ყველა ხალხში, ნებისმიერ ეპოქაში და ნებისმიერ ქვეყანაში მსგავს მოღვაწეებს საზოგადოებრივი აზრი გადაულახავი უნდობლობით ეპყრობა, ერთი სიტყვით, ზნეობრივი ავტორიტეტი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია პედაგოგი, ბ-ნმა ჟელიხოვსკიმ სამუდამოდ დაკარგა. მთელი მისი შემდგომი მოღვაწეობა, თუნდაც მგზნებარე და საფუძველიანიც კი, სხვა არაფერი იყო, თუ არა უნაყოფო და უიმედო ბრძოლა საყოველთაო გულგრილობასა და ეჭვიანობასთან, ხოლო, როდესაც მე ვამბობდი, რომ მას შეეძლო განათლების სისტემაში შეექმნა-მეთქი მტკიცე მდგომარეობა, ვგულისხმობდი საქმის ზნეობრივ მხარეს და არა იერარქიულს, როგორც ამას ქ-ნი ჟელიხოვსკაია გულისხმობს, როცა ჩემს გულუბრყვილობას დასცინის.

მაგრამ ვნახოთ, როგორ განვითარდა მოვლენები: როგორც ჩანს, ბ-ნ ჟელიხოვსკის ეცოტავა ამ ორი კედლის აღმართვა ჩვენ თვალწინ, რომელმაც საბოლოოდ დაუხშო მას კარი მოსწავლეთა და საზოგადოების გულებისაკენ. მან მოისურვა ისეთი ცრუპედაგოგიური იდეების გატარება, რომლებიც საშინელ ზიანს აყენებდნენ განათლების საქმეს და ამასთან ერთად, შეურაცხყოფდნენ მთელი ადგილობრივი საზოგადოების ღირსებასა და კანონიერ თავმოყვარეობას. ბ-ნ ჟელიხოვსკის,—ვფიქრობ, ამაში მისი მეუღლეც დამეთანხმება,—საერთოდ არ გააჩნდა არავითარი ტაქტის გრძნობა. ტაქტი კი აუცილებლად საჭიროა მმართველობის ყველა წარმომადგენლისათვის. ეს აუცილებლობა მით უფრო იზრდება, რამდენადაც უფრო მნიშვნელოვანია და თვალსაჩინო ამ წარმომადგენლის როლი. რაღა უნდა ითქვას მაშინ, როდესაც საქმე ეხება მთავრობის წარმომადგენელს სხვა ეროვნებით დასახლებულ ქვეყანაში. აქ გაბატონებული ხალხის წარმომადგენლები გაორმაგებული დელიკატურობით უნდა ექცეოდნენ არაგაბატონებულებს, რათა არ შეულახონ ისედაც გამახვილებული თავმოყვარეობა. ცნობილია, რომ არავის არა აქვს ისე იოლად მოწყლადი თავმოყვარეობა, როგორც ვიღაცაზე დამოკიდებულ

ხალხს. ტოლი ტოლს დაცინვასაც აპატიებს, ხუმრობასაც და პირდაპირ შეურაცხყოფასაც კი. მაგრამ დამოკიდებული პიროვნება ყოველივე ამას უმძიმეს წყენად მიიღებს... ბ-ნ ჟელიხოვსკის ეს არ ესმოდა. მას ბევრი რამ უთქვამს ადგილობრივებზე არა მარტო უტაქტოდ, არამედ სრულიად უსამართლოდაც, დასცინოდა რა ვითომდა მათ გონებაშეზღუდულობას და ა.შ. მე არ დავსწრებივარ მის საჯარო ლექციებს, მაგრამ ჩვენს საზოგადოებას დღესაც ახსოვს ადგილობრივთა თავის ქალის უაზრო და სრულიად არამეცნიერული შედარების ამბავი. ასეთივე დაუშვებელი უტაქტობითა და კიდევ უფრო მეტი უსაფუძვლობით ეკიდებოდა იგი ადგილობრივი ენის როლისა და მნიშვნელობის საკითხს პედაგოგიკაში. მისი წყალობით ეს ენები განდევნეს არა მარტო სოფლის სკოლებიდან, რომლებიც ვერ იარსებებენ უმისოდ, არამედ ამოაგდეს გიმნაზიის კურსიდანაც, რამაც, როგორც ყველა ამჩნევს, დამღუპველად იმოქმედა რამდენადმე ასატან მთარგმნელთა არსებობაზე ადგილობრივ დაწესებულებებსა და სასამართლოებში. მართალია, ათი წლის შემდეგ, 1877 წ., ბ-ნმა ჟელიხოვსკიმ ეს შეცდომა მოინანია თავის ცნობილ მოხსენებაში სოფლის მეურნეობის საზოგადოების იუბილეზე, მაგრამ უკვე გვიან იყო—ბოროტება აღსრულებული გახლდათ.

აი, უმთავრესი საბუთები, რომლებიც განაპირობებენ როგორც ჩემს, ისე საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულებას ბ-ნი ჟელიხოვსკისადმი. მე გულით გამეხარდება, თუ ქ-ნი ჟელიხოვსკაია, რომელიც, ცხადია, ჩემზე უკეთ იცნობდა თავისი ქმრის საქმიანობას, ფაქტებით გააბათილებს ყველა ამ საბუთს, რომლებიც მე არ შემითხზავს. ყოველ შემთხვევაში, იგი დამეთანხმება, რომ ჩემ მიერ ფორმულირებული საყვედურები ერთგვარად გაუადვილებს მას თავისი ქმრის ხსოვნის დაცვას.

რაც შეეხება ქ-ნი ჟელიხოვსკაიას წერილის იმ ნაწილს, სადაც იგი იმათ ამათრახებს, ვინც მის ქმარს თავის დროზე კვანტი გამოუდო და უსამართლოდ მოექცა, ეს მე არ მეხება. აწეწილი ურთიერთობებისა და ინტრიგების ამ სამყაროში მე შეუდარებლად უფრო ნაკლებ ვარ გარკვეული, ვიდრე ქ-ნი ჟელიხოვსკაია. მზად ვარ ვირწმუნო, რომ ბ-ნი ჟელიხოვსკის პირადი მტრები და მოქიშპეები უსამართლონი იყვნენ და არაღირსეულად იქცეოდნენ.

მაგრამ მთავარი, რაც მე მინდოდა დამედგინა, არის ის, რომ თვით ბ-ნი ჟელიხოვსკი ზემოაღწერილი თავისი საქციელითა და შეცდომებით თვითონვე უმსუბუქებდა მათ საქმეს.

დასასრულ, არ შემიძლია დუმილით ავუარო გვერდი ქ-ნ ჟელიხოვსკაიას ერთ საყვედურს. იგი წერს:

„ბ-ნო ნიკოლაძე! თქვენ რომ თავის დროზე გარჯილიყავით, თუნდაც სწორედ 1876 წელს, როცა განსვენებული ვ.ი. ჟელიხოვსკი გაიცანით, და როგორც ახლა, მაშინაც ასე შეპარვით გემხილებინათ მთელი ის სიცრუე, მას რომ თავს მოახვიეს დღესაც ცოცხალმა მისმა „კეთილის მსურველებმა“—თითქოს კავკასიის სასწავლო ოლქის მთელ ტყუილსა და მართალს „ტიფლისსკი ვესტნიკის“ რედაქციას ვ.ი. ჟელიხოვსკი აწვდიდა, ალბათ, აღარ გექნებოდათ საბაბი 29 ივნისის თქვენი ფელეტონის დაწერისა“.

მხოლოდ ძლიერ სულიერ ტკივილს, რომელიც მე მესმის და პატივსაც ვცემ, შეეძლო იძულებული გაეხადა ქ-ნი ჟელიხოვსკაია ბრალი დაედო ჩემთვის ქმრის სიკვდილში. პრესაში დაუბეჭდავი და მხოლოდ ჭორად გავრცელებული ეჭვის წინააღმდეგ სასაცილო იქნებოდა ოფიციალური უარყოფის დაწერა, რომელსაც ცილისწამებით დაუინტერესებელნიც კი არ დაუჯერებდნენ. მაგრამ პირად ცხოვრებაში როგორც მე, ისე თ-დი ბებუთოვი ყველაფერს ვაკეთებდით, რომ დაგვემტკიცებინა ამ ეჭვების უსაფუძვლობა. ნუთუ ქ-ნ ჟელიხოვსკაიას დაავიწყდა, რომ, როგორც კი ბ-ნმა ჟელიხოვსკიამ გადაკვრით მთხოვა წერილობითი დასტური იმის შესახებ, რომ ჩემი წერილებისათვის ცნობებს ის კი არ მაწვდიდა, არამედ სულ სხვა წყაროებიდან ვიღებდი, მე მას სიამოვნებით მივეცი ასეთი ხელწერილი, რომელმაც ის მაინც ვერ იხსნა კრიზისისაგან. აქედან გამომდინარე, შემპარავი ტონითაც რომ დამენერა, განსვენებულს დაბეჭდილი განცხადებები უფრო მეტ სარგებლობას ვერ მოუტანდნენ.

ქ-ნი ჟელიხოვსკაიას პასუხის სხვა მხარეებზე საჭიროდ არ მიმაჩნია შეჩერება, რადგან ისინი ან უმნიშვნელო წვრილმანებია, ან ჩემი საქმისაგან შორს მდგომი გარემოებანი.

74. საღღეისო საკითხები

თბილისი, 1880 წ. 4 ივლისი

როდესაც 1 ივლისის №542 „ობზორის“ მოწინავე სტატიას ვწერდით (მხედველობაში გვაქვს წერილი „გამოუსწორებელნი“) ხელთ არ გვქონდა ისეთი საბუთები, რომლებიც ფაქტიურად გააბათილებდნენ ბ-ნი სინიავსკის მსგავს ვაჟბატონთა ზოგიერთ ინსინუაციას. ამიტომ ისინი მაშინ უპასუხოდ დავტოვეთ. ასეთი ინსინუაცია იყო „ცერკოვნი ობშჩესტვენნი ვესტნიკის“[35] კორესპონდენტის ის სტრიქონები, რომლებიც ეხებოდა ქუთაისის სასულიერო სანავლებლის ზედამხედველის არჩევის საკითხს.

ამ საკითხთან დაკავშირებით სწორედ გუშინ მივიღეთ ქვემომოყვანილი წერილი იმერეთის სამღვდელოების ყოფილი თავმჯდომარის, ბლაღოჩინი მღვდელის დ. ღამბაშიძისა. წერილს ვბეჭდავთ შეუმოკლებლად, გადაუკეთებლად, უკომენტაროდ. იგი თავისთავად შეიცავს საკმაო მონაცემებს, რათა გამოვააშკარაოთ მთელი უაზრობა ცილისწამებისა, რომლითაც სავსეა „ცერკოვნი ობშჩესტვენნი ვესტნიკის“ ანონიმური კორესპონდენცია.

არ ვიცით, რას იტყვიან ბნელეთის მოციქულები ამგვარი მხილების პასუხად, მაგრამ, ვფიქრობ, ესენი საკუთარ ტაქტიკას არ უღალატებენ. ვერ გაბედავენ მხოლოდ ფაქტების საფუძველზე აშკარა დაპირისპირებასა და ბრძოლას.

მათთვის ძალიან კარგადაა ცნობილი დონ-ბაზილიოს ხერხი: ცილი დასწამეთ თქვენს მტრებს, ყველაფერიც რომ უარყონ, სახელს მაინც გაუტეხთ. ახლა ისინი ჩუმად არიან. ეტყობა, ახალ ცილისწამებებსა და „დანოსებს“ თხზავენ, მანამდე კი თავს იმკვდარუნებენ, როგორც ეს სჩვევიათ ზოგიერთი ჯიშის მწერებს...

აი, მღვდელ ღამბაშიძის წერილი:

„წერილი რედაქტორთან

მოწყალეო ხელმწიფევ, ამ დღეებში „ცერკოვნო_ობშჩესტვენნი ვესტნიკის“ 72-ე ნომერში წავიკითხე კორესპონდენცია თბილისიდან, სათაურით „სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის არჩევა საქართველოს საეგზარხოზოში“. ცერკოვნო-ობშჩესტვენნი ვესტნიკში“ ამაზე ბინძური და საძაგელი არაფერი წამიკითხავს დღიდან ბ-ნ პონოვიცკის მიერ მისი დაარსებისა, რომლის პატიოსანი მიმართულებაც ცნობილია მთელი იმპერიის

სამღვდელოებისათვის. ეს კორესპონდენცია აღსავსეა საზიზღარი ინსინუაციებით მთელი საქართველოს ეპარქიასა და, განსაკუთრებით იმერეთის სამღვდელოებაზე, რომელსაც ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის არჩევნების გამო ბრალი ედება რუსების მტრობაში. ამ ბრალდების დასტურად ანონიმ კორესპონდენტს მიაჩნია არჩევნების შედეგები: სამი სასწავლებლის ზედამხედველებად არჩეულ იქნენ ის ადგილობრივი კანდიდატები, რომელთაც განათლება სასულიერო აკადემიაში აქვთ მიღებული, ხოლო ბ-ები სინიავსკი, ფავერსკი და გოლგოთსკი—არა. ამის გამო კორესპონდენტი ურჩევს ბ-ნ სინიავსკებს, ფავერსკებსა და გოლგოთსკებს მიატოვონ კავკასია და გადასახლდნენ რუსეთში, რადგან არჩევნებში მათ დამარცხებას სხვა არაფრით ხსნის, გარდა ქართველების რუსებისადმი მტრობისა.

არაფერს ვიტყვი იმ უფლებებზე, რომელსაც სასწავლო წესდება ანიჭებს სამღვდელოებას, ვინაიდან დღეს ეს მგონი პირველი კლასის მოსწავლემაც კი იცის. არ შევეხები არც ზოგიერთი პიროვნების დაჟინებულ ცდებს, რომლებსაც სამღვდელოებისათვის ამ უფლებების ჩამორთმევა სურდათ, რათა ბ-ნ სინიავსკებს, ფავერსკებს, გოლგოთსკებს და ძმათა მათთა საშუალება ჰქონოდათ ყოველგვარი კენჭისყრის გარეშე გამხდარიყვნენ სასწავლებლების ზედამხედველები და უკონტროლოდ ეხარჯათ სამღვდელოების ფული.

მაგრამ იმისათვის, რომ თვალსაჩინოდ დავინახოთ „ცერკოვნო-ობშჩესტვენი ვესტნიკის“ კორესპონდენტის ნებსითი თუ უნებლიე შეცდომა და აშკარა გახდეს მისი ინსინუაციების სრული უსაფუძვლობა, რაც ყველას დაანახებს ქართველი სამღვდელოების ერთნაირ დამოკიდებულებას ქართველებისა და რუსებისადმი, შეგახსენებთ ერთ ფაქტს:

ამა წლის 1 აპრილს მოწვეული იქნა იმერეთის სამღვდელოების ყრილობა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის ასარჩევად. ზედამხედველის ადგილზე პრეტენზიას აცხადებდა სამი ადგილობრივი მკვიდრი, სამივე აკადემიური განათლებით. განსვენებული ასათიანის შემდეგ ზედამხედველის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ბ-ნი გროზდოვი (რუსი), ბ-ნი ასათიანის ყოფილი თანაშემწე. სამღვდელოების დეპუტატები ბ-ნ გროზ-

დოვს კარგად იცნობდნენ და ამიტომ სთხოვეს მას მიეღო ზედამხედველი თანამდებობა, მაგრამ, სამწუხაროდ, მან უარი განაცხადა ოჯახური მდგომარეობის გამო. ამის შემდეგ სამღვდელოებამ იმავე სასწავლებლის მეორე რუს მასწავლებელს, ბ-ნ პოპოვს მიმართა, რომელმაც, სასწავლებელში ხანმოკლე სამსახურის მიუხედავად, განსაკუთრებული სიმპათია და პატივისცემა დაიმსახურა როგორც მასწავლებელთა შორის, ისე სამღვდელოების დეპუტატებშიც, მაგრამ შეთავაზებულ წინადადებაზე, სამწუხაროდ, მაინც უარი განაცხადა, სამშობლოში რაღაც თანამდებობაზე მალე გადასვლის მიზეზით. დეპუტატებმა ჩემი მეშვეობით თხოვნით მიმართეს მის უსამღვდელოესობას გაბრიელს, იმერეთის ეპისკოპოსს, რომ მას მაინც დაეთანხმებინა ბ-ნი პოპოვი, დაეკავებინა ზედამხედველის თანამდებობა, მაგრამ ვერც ამან გამოიღო სასურველი შედეგი—ბ-ნი პოპოვი კენჭისყრაზე მაინც არ დაგვეთანხმა. ბ-ნმა ფხაკაძემ, რომელიც ბოლოს ავირჩიეთ კიდეც ამ თანამდებობაზე, უარი განაცხადა პოპოვის წინააღმდეგ კენჭისყრაზე, რადგან მას ანიჭებდა უპირატესობას. მთელი ამ ისტორიის შემდეგ კენჭი იყარა სამმა ქართველმა, რომელთაგან არჩეულია ბ-ნი ფხაკაძე. ჩემს ნათქვამს ადასტურებენ ოქმები, რომლებიც ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის არჩევისათვის უკანასკნელ ყრილობაზე მოწვეულმა დეპუტატებმა შეადგინეს.

ახლა ვიკითხოთ, სად, და სახელდობრ რაში, გამომჟღავნდა ქართველების მტრული დამოკიდებულება რუსებისადმი, რომლის შესახებაც მოგვითხრობს „ცერკოვნო-ობშჩესტვენი ვესტნიკის“ კორესპონდენტი? ნუთუ სამღვდელოება მტრულად უყურებს „თავისიანებსაც“, მან ხომ „თავისივე“ კანდიდატები გააშავა?

გურიის (ოზურგეთის) ეპარქიის სამღვდელოებას, რამდენადაც ვიცი, ჯერ არავითარი მსჯელობა არ ჰქონია ზედამხედველობის არჩევაზე, ამიტომ რაზე ამყარებს თავის ცრუ მსჯელობას ბ-ნი კორესპონდენტი, ღმერთმა უწყის.

მრავალ ასეთ ცილისწამებას თხზავენ საქართველოზე და ავრცელებენ რუსებს შორის ისეთი ადამიანები, როგორიცაა ზემოდასახელებული გაზეთის კორესპონდენტი. ეს კაცუნები ჯერჯე-

რობით საშიში არ არიან, მაგრამ უბედურება მაშინ დატრიალდება, თუ მათ ოდესმე მოახერხეს და ასე თუ ისე მაღალი სამსახურებრივი თანამდებობები დაიჭირეს...

ვერაფერს იზამ, უნდა მოვითმინოთ მანამდე, ვიდრე უმაღლესი გამგეობა შეიტყობს, თუ რას ესწრაფვიან სინამდვილეში ასეთი ცილისმწამებელნი. მანამდე კი ყველაზე წმინდა სურვილებიც შეიძლება ინტრიგად მოინათლოს...

იმერეთის ეპარქიის დეპუტატთა ყრილობის თავმჯდომარე,
ბლაღოჩინი მღვდელი დ. ღამბაშიძე".

75. აღმოსავლეთის საქმეები

თბილისი, 1880 წ. 9 იკლისი

ბერლინის კონგრესის პირველმა დამატებითმა სხდომამ საკმაო წარმატებით დაამთავრა თავის მუშაობა: ტექნიკური კომისიის დახმარებით შემუშავდა საზღვარი თურქეთსა და საბერძნეთს შორის, რომელიც ერთდროულად უნდა აკმაყოფილებდეს ორივე სახელმწიფოს სტრატეგიულ მოთხოვნილებებს. თავიანთი სამეცნიერო ნაშრომი ბატონმა დიპლომატებმა წარუდგინეს თურქეთისა და საბერძნეთის მთავრობებს; პორტამ პროტესტი განაცხადა, რადგან თავისთვის საკალდებულოდ არ ჩათვალა ის მოთხოვნები, რაც ბერლინის კონგრესზე არ შემუშავებულა. რაც შეეხება საბერძნეთს, მან სიამოვნებით გამოთქვა მზადყოფნა დაეკავებინა თესალია და ეფირი ევროპული აეროპაგის სურვილისამებრ. ამგვარად, დიპლომატიამ გააკეთა ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იყო, მაგრამ ისტორიული ცხოვრების მსვლელობა ამით არც შეჩერებულა და არც მიმართულება შეუცვლია.

მეცნიერულად შემუშავებული საზღვარი, რომელიც ლორდმა ბიკონსფილდმა გაავლო ავღანეთსა და ბრიტანეთის ინდოეთს შორის, მიუხედავად ინგლისელთა ჯარების მხარდაჭერისა, უტოპია აღმოჩნდა, ხოლო, როგორც უკანასკნელი დეპეშებიდან ჩანს, ინგლისელები მეტად კმაყოფილი იქნებიან, თუ შეძლებენ აბდურახმან-ხანთან შერიგებასა და იქიდან უვნებლად წასვლას. ვილას ახსოვს ის ღრმა მეცნიერული მოსაზრებები, რომელთაც განაპირობეს ავღანეთთან ახალი საზღვრის გავლება?! რაც შეეხება ბერლინში დიპლომატების მიერ მეცნიერულად შემუშავებულ ახალ საზღვარს, მას ჯერჯერობით არაფერი უჭერს მხარს, ევროპის სახელმწიფოთა კოლექტიური განცხადების გარდა, რომლის მიხედვითაც ეს საზღვარი თურქეთისათვის მომგებიანად არის მიჩნეული. მაგრამ ჯერჯერობით არც ერთ თურქს არ სჯერა დიპლომატთა გადაწყვეტილების სამართლიანობისა და, შესაბამისად, არც აპირებს მის აღსრულებას. მაშასადამე, ევროპას თავისი გადაწყვეტილების განხორციელება შეუძლია მხოლოდ ძალით, თურქთთან ომის საშუალებით, რაც სრულიად არაა სასურველი ევროპის არც ერთი სახელმწიფოსათვის, თუმცა, ყველასათვის სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ეს ვითარება არის ლოგიკური შედე-

გი საერთო ევროპული მსჯელობისა თურქეთის მომავალზე. რა ზომებს მიმართავენ ევროპის სახელმწიფოები, რათა აიძულონ თურქები დათანხმდნენ დიპლომატთა გადაწყვეტილებას? უცხოურმა პრესამ დიდი ხანია განსაჯა ყველა შესაძლო ვარიანტი პორტას დაშინებისა—იქნება ეს კოლექტიური ნოტის წარდგენა, ანგლო-ფრანგული ფლოტის თურქეთისაკენ გაგზავნა, თუ ეგზეკუციური რაზმების შეყვანა იმ ტერიტორიებზე, რომლებიც თურქეთს უნდა ჩამოეჭრას საბერძნეთის სასარგებლოდ და ა.შ.

მაგრამ ყველა ეს შესაძლებელი საშიშროება, ბოლო დროის განსჯის თანახმად, მეტად ძნელი შესასრულებელია და ამიტომ სრულიად უხიფათო თურქეთისათვის. ევროპაში არავის სურს ახალი ნავარინი. ეგზეკუციური რაზმების გაგზავნა კიდევ უფრო ძნელია: თურქეთში უკვე დგას მთელი არმია, გაგზავნილი ავსტრია-უნგრეთის მთავრობის მიერ ევროპის სახელმწიფოთა შუამდგომლობითა და ბერლინის ტრაქტატის ძალით. ამიტომ იქ კიდევ ახალი ჯარის (საფრანგეთის, იტალიის და რუსეთისა) შეყვანა იმას ნიშნავს, რომ პირდაპირ შეუდგე „ავადმყოფი კაცის" მემკვიდრეობის გაყოფას, რომელსაც ავსტრია-უნგრეთი, დაღვარა რა სისხლი ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, თავის საკუთრებად თვლის. ცხადია, ამის გამო ავსტრია-უნგრეთი არავის მისცემს უფლებას, დაეხმაროს საბერძნეთს... ერთი სიტყვით, გონივრული მსჯელობის შედეგად ირკვევა, რომ ძალის გამოყენება არავითარ შემთხვევაში ხელს არ აძლევს ევროპის სახელმწიფოებს და ამიტომ იძულებული არიან თურქეთი საკუთარ ბედს მიანდონ...

თურქეთის მთავრობასა და დიპლომატიას კარგად ესმის ევროპის კონგრესზე ჰარმონიის თუნდაც გარეგნულად შენარჩუნების მთელი სიძნელე. მართალია, ტელეგრაფით გადმოცემული ცნობა, თითქოსდა მუსლიმანთა დაფიცებისა ხალიფას ტახტის დასაცავად, ოფიციალურად არ დადასტურებულა, წინასწრამეტყველის მწვანე დროშა ჯერ არ აფრიალებულა, მუსლიმანური ფანატიზმი ჯერ არ გადმონთხეულა სულთნის ოფიციალურ მოწოდებაზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პრესასა და მეჩეთებში წარმოებული ქადაგებების დახმარებით ეს ფანატიზმი ნელ-ნელა და სისტემატურად ღვივდება თურქეთის მთავრობის მიერ. როგორც ჩანს, სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო: ესაა პორტას უკანასკნელი არგუმენტი. თურქეთს სურს შეინარჩუნოს თავისი

ადგილი ევროპის სახელმწიფოთა საკრებულოში. ძნელი სათქმელია, ნამდვილია თუ არა ტელეგრაფით გადმოცემული გუშინდელი ცნობა ქრისტიანების ცემის თაობაზე ადუნში, მაგრამ უეჭველია, რომ აგზნებული ფანატიზმის ასეთი გამოვლინებანი ან არ დააყოვნებენ, ანდა კვლავ გამეორდებიან და შემდეგ სწორედ ისეთ მხეცურ მკვლელობებში გადაიზრდებიან, რომელთაც თურქეთის უკანასკნელი ომი გამოიწვიეს. შეუძლებელია ამის შემდეგ კაცმა არ იკითხოს: რით გამოიხატება ბერლინის კონგრესის მნიშვნელობა და მთელი ევროპის წარმომადგენელთა ზრუნვა მშვიდობისათვის? თუ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ყველა იმ დიპლომატის სანუკვარ მიზანზე მითითებით მოგვიხდება, რომელთაც სინამდვილეში მშვიდობა კი არ სურდათ, არამედ უნდოდათ ჩამოეშორებინათ რუსეთი თურქეთის შემდგომი ცხოვრების საკითხის გადაწყვეტაში განსაკუთრებული და უშუალო მონაწილეობისაგან, მაშინ იბადება კიდევ ერთი კითხვა, რომელზე პასუხის გაცემაც განსაკუთრებით რთულია ჩვენთვის: რამდენად შეიცვალა რუსეთის დამოკიდებულება თურქეთში მიმდინარე ამბებისადმი ბრწყინვალე ომის შემდეგ?

76. „კავკაზი“ თვითმმართველობის თაობაზე

თბილისი, 1890 წ. 16 ივლისი

ამ ბოლო დროს გაზეთი „კავკაზი“[3] ძალიან ცდილობს დაამტკიცოს, რომ მისი მოიჯარე ამაოდ არ სარგებლობს სახელმწიფო ხაზინიდან, რომელიც ასეთი უხვი სუბსიდიებით ინახავს გადანაბეჭდი გაზეთის უბადრუკ არსებობას. რაც უნდა მოულოდნელი ჩანდეს არენდატორის მხრიდან, რომელიც ოდესღაც ასე აოცებდა თბილისელებს თავისი ლიბერალიზმით, მაინც შევნიშნავთ, რომ ამჟამად მისი გაზეთის საქმიანობა მიმართულია თვითმმართველობის უფლებებისა და მდგომარეობის წინააღმდეგ.

„ობზორის“[4] მკითხველთათვის ცნობილია, რომ ჩვენ არ ვეკუთვნით თვითმმართველობის წარმომადგენელთა პანეგირისტებს. ჩვენ არასოდეს მოვრიდებივართ მათი აპათიის ან ანგარების მხილებას, როცა ამას ჭეშმარიტების ინტერესები მოითხოვდნენ. მაშასადამე, ჩვენ არასოდეს გვიფიქრია, რომ პრესის თავდასხმა თვითმმართველობის წარმომადგენლებზე დანაშაულია. თუ მათ საქმიანობაში მართლა არის მცდარი და ამდენად, უარსაყოფი მხარეები, პრესამ შეუბრალებლად უნდა გაამათრახოს ისინი, რათა საზოგადოება უფრო დაკვირვებულად და გონივრულად მიუდგეს არჩევნებს. რაც შეეხება გაზეთ „კავკაზს“, იგი არასოდეს არ იზიარებდა ამ აზრს. პირიქით, „კავკაზი“ ყოველთვის ებრძოდა არა თვითმმართველობის უღირს წარმომადგენლებსა და მათ საქმიანობას, არამედ თვითონ თვითმმართველობის პრინციპს. ერთი სიტყვით, „კავკაზის“ მიზანი არ არის ნაკლოვანებათა მხილებით ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი თვითმმართველობის განმტკიცებასა და სრულყოფას. რუსეთის რეაქციული პრესის მსგავსად, „კავკაზმა“ მიზნად დაისახა გახდეს ჩინოვნიკთა იმ დრომოჭმული მისწრაფების გამომხატველი, რომელთაც არაფრად ეპიტნავებათ თვითმმართველობა და ვერ შელევიან მთავრობის მიერ მათთვის ჩამორთმეულ უფლებას საზოგადოებრივი თანხების უკონტროლო ხარჯვისა... ცდა სამუდამოდ დასამარებული ძველი დროების დაბრუნებისა, როცა ბიუროკრატები თვითნებურად აგროვებდნენ და უკონტროლოდ ფლანგავდნენ საზოგადოებრივ, საქალაქო თუ ერობის თანხებს—აი, იდეალი, რომლისკენაც ასე მიისწრაფვიან „კავკაზის“ თანამშრომლები. მათ

ავიწყდებათ, რომ უმაღლესმა მმართველობამ ერთხელ და სამუდამოდ დაუდო ზღვარი ბიუროკრატიის მსგავს მისწრაფებებს, როდესაც საზოგადოებას მიანიჭა თვითმმართველობის გარკვეული უფლება.

საჭირო არაა ძველი აღთქმის თხზულებათა ჭაღარა სიძველეებში ქექვა, რათა თვალნათლივ დავინახოთ შედეგები ორივე სისტემის მიერ საზოგადოებრივ სახსართა გამგებლობისა. დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც ძველი დროის მოხელეები, თვით მეტისმეტად პატარა თანამდებობისაც კი ეთქვათ, პრისტავიც კი, რამდენიმე წლის, ზოგჯერ რამდენიმე თვის უკონტროლო პარპაშის შემდეგ მთელ სასახლეებს წამოჭიმავდნენ ხოლმე ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ქალაქებში. ყველანი არამარტო მოწმენი ვართ ამ მოვლენებისა, არამედ უამრავი მაგალითის მოტანაც შეგვიძლია, როცა რომელიმე ბიუროკრატი, რომლის ჯამაგირიც წელიწადში 2000 მანთეს არ აღემატებოდა, როგორ ხარჯავდა ამ თანხაზე გაცილებით მეტს თავისი ოჯახის შესანახად, ხოლო სამსახურის მეოთხე წელს კი ვერცხლით რამდენიმე ათიათასად ღირებულ მთელ ქარვასლას აგებდა რომელიმე საგუბერნიო ქალაქებში. თვითმმართველობის ასეთი მოწინააღმდეგეებისა და მოძულეთა სახელი ყველა ჩვენგანს ენაზე ადგას და, თუ „კავკაზი" მოისურვებს, შეგვიძლია მივართვათ მთელი სია ამგვარი ადამიანებისა. აშკარაა, მაგრამ დაუჯერებელი! მაგრამ ჩვენ შეგვიძლია „კავკაზს" სხვაგვარი ფაქტებიც დავუსახელოთ. ჩვენ ბევრი ბანკი ვიცით თბილისში, რომელთა სალაროებშიც სწორედ იმ ბიუროკრატებს, რომლებიც გააფთრებით ებრძოდნენ თვითმმართველობას, შეტანილი აქვთ ათიათასობით მანეთი ვერცხლით უმნიშვნელო თანამდებობაზე მუშაობიდან რამდენიმე თვის შემდეგ. თუ უმდაბლეს აგენტებს შეუძლიათ თავი მოუყარონ ასეთ დანაზოგს, მიუხედავად იმისა, რომ იზღუდებიან თვითმმართველობის კანონებით, საკითხავია, რამდენს მოაგროვებენ ისინი, ხელახლა რომ ძველებურად პარპაშის უფლება მისცენ?

თუ გაზეთი „კავკაზის" გამოსვლები გულახდილია, ჩვენ მოვუწოდებთ მას: დაასახელოს თვითმმართველობის თანამშრომელი ან წარმომადგენელი, რომელმაც თბილისსა თუ ამიერკავკასიის სხვა რომელიმე ქალაქში ერთხელ მაინც შეიტანა ასეთი დანაზოგი? რომელი მათგანი გამდიდრდა ან რომელმა ისარგებლა ამომრჩეველთა ნდობით და მათსავე ხარჯზე შეიძინა სიმდიდრე?

თავს დავდებთ, რომ ასეთ მაგალითებზე „კავკაზი“ საერთოდ ვერ მიგვითითებს. ახლა ისმის კითხვა: მართალი ვიქნებოდით თუ არა, რომ ზოგიერთი ბიუროკრატის მცდარი და ანგარებიანი საქციელის ცალკეულ და კერძო, თუმცა არც ისე ცოტა, ფაქტების საფუძველზე განგვეზრახა თვით ადმინისტრაციის პრინციპზე თავდასხმა? მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენის მხრივ უცნაური იქნებოდა „კავკაზის“ მაგალითის მიხედვით გვემტკიცებინა, რომ ზოგიერთი ადმინისტრატორის არასწორი საქციელის გამო უნდა გაუქმდეს მთელი ადმინისტრაცია. თუმცა სწორედ ასეთ აბდაუბდა დასკვნამდე მიდის „კავკაზი“, როდესაც მსჯელობს თვითმმართველობაზე და თანაც არა აშკარა ფაქტების, არამედ სიცრუისა და ეჭვის საფუძველზე, რომელთა უსაფუძვლობა ყველასათვის ნათელია. ვფიქრობთ, ცხადია, რომ მსგავსი დასკვნების გამოტანისას „კავკაზი“ ნამდვილ უაზრობაში ვარდება.

„კავკაზს“ არ ეპატიება ასეთი შეცდომები, მით უმეტეს, რომ მას ამით თვით საზოგადოება შეჰყავს შეცდომაში, ეფარება რა ისეთ „ოფიციალურ ცნობებს“, ამას წინათ რომ იყო დაბეჭდილი გაზეთში. ამ „ცნობას“ დღეს არ შევეხებით. მაგრამ როგორიც უნდა იყოს ამ „ცნობის“ საფუძვლიანობა ან უსაფუძვლობა, იგი ვერ გაამართლებს „კავკაზის“ სარედაქციო სტატიებს, რადგან მხოლოდ ფაქტების გადმოცემითა და მმართველობის მხილებით იფარგლება. ამ ნიადაგზე შეიძლება იდავო... მაგრამ „კავკაზის“ სარედაქციო სტატიების ავტორთა საქციელი, ანუ თავდასხმა თვითმმართველობის პრინციპზე და ქება გამგებლობის ძველი სისტემისა–რეგრესის შემოთავაზებას ნიშნავს.

პირადად ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ასეთ ადამიანთა მისწრაფებები სავსებით უვნებელია ნამდვილი თვითმმართველობისათვის. უფრო სრული და სერიოზული თვითმმართველობისათვის შეიძლება ვისურვოთ ისიც, რომ მისი მისწრაფებები წარმატებით დაგვირგვინდეს. დაე, ამ დრომოჭმული ადამიანების საამებლად ახალი ცდა ჩავატაროთ; დაე, ჩვენს ქალაქს ჩამოერთვას თვითმმართველობის უფლება და ყველაფერი ძველებურად ბიუროკრატიის განკარგულებაში გადავიდეს. მაშინ უმაღლესი მმართველობაც და მთელი საზოგადოებაც თვალნათლივ დარწმუნდება, თუ რამდენად მოუმზადებელი არიან ძველი სკოლის ბიუროკრატიული ელემენტები თანამედროვე ქალაქის რთული მეურნეობის სამართავად. ისინი, ალბათ, ფიქრობენ, რომ ჩვენს თანამედროვე

საზოგადოებას შეიძლება მოექცე ისე, როგორც 40-50-იან წწ. ადამიანებს, მაგრამ ეს საზოგადოება თვითონვე მიახვედრებს მათ, რომ ის დრო და წესები დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა. ამიტომ სამი წელიც არ გაივლის, რომ ისევ გარდაუვალი გახდება უვარგისი სისტემის კვლავ შეცვლა და თვითმმართველობის უფრო სრულყოფილი ფორმის შემოღება. ადამიანებისათვის, რომელთაც გონება უმუშავებთ, ასეთი გამოცდა სულაც არაა აუცილებელი. მათთვის უამისოდაც ნათელია, რომ ასეთი ბოლო გარდაუვალია. მაგრამ იმათთვის, რომლებიც აზროვნებას არ არიან მიჩვეულნი და მათთვისაც, რომელთაც გამოცდის პერიოდში სიმდიდრის მოხვეჭის იმედი აქვთ, გამოცდა უთუოდ შესაფერისი აღმოჩნდება...

თუმცა შეიძლება ახლავე ვკითხოთ „კავკაზის" პუბლიცისტებს (!), საჭიროა თუ არა ასეთი ექსპერიმენტები ასიათასიან მოსახლეობაზე მაშინ, როცა მრავლისმეტყველი ფაქტები ხელთა გაქვს? ადამიანებს, რომლებიც თვითმმართველობის გაუქმებას ცდილობენ, მაგრამ აქამდე თავი ვერ გაურთმევიათ ხანძარსაწინააღმდეგო მეურნეობის და სხვა ელემენტარული საკითხებისათვის, განა შესწევთ უნარი თავი გაართვან ქ. თბილისის ნახევარმილიონიან ბიუჯეტს, ასე მადისაღმძვრელად რომ უღიტინებს მათ წარმოდგენას? დე, თვით „კავკაზმა" გულზე ხელი დაიდოს და ისე უპასუხროს ამ შეკითხვას...

ჩვენ ვურჩევთ „კავკაზს", განზე გადადოს არსებული კანონებისა და წესების მსხვრევის მისწრაფება. უკეთესი იქნება, თუ იგი გვერწმუნება, რომ დადგენილებათა ავტორებმა თუ კანონმდებლებმა შესანიშნავად იცოდნენ შეუძლებლობა ქალაქის შემოსავლით სარგებლობის ძველი სისტემისაკენ დაბრუნებისა. და თუ მათ ერთგვარად ამოსდეს კიდეც ლაგამი ძველი დროის ბიუროკრატებს, ამისათვის საკმაო საფუძველი ჰქონდათ. „კავკაზს" არ შეჰფერის მისწრაფება იმის აღდგენისაკენ, რამაც თავისი დრო მოჭამა და საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს ყველა სახელმწიფოში, რომელიც სწორი პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობს. „კავკაზს" არ შეჰფერის დავიწყება დიდი რუსი პოეტის იმ გამოთქმისა, რომლის სამართლიანობაც ჩვენში პრაქტიკულად არის დადასტურებული. სახელდობრ:

Того, что с жизни взято раз,
Не в силах рок отнять у нас![56]

77. „ობზორის“ რედაქციისაგან

„ობზორის“[6] ამ ნომერს მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნით ვბეჭდავთ—შევინარჩუნოთ გაზეთის გამოცემის უფლება პროვინციული პრესისათვის უკეთესი ჟამის დადგომამდე, ანუ იმ დრომდე, როდესაც შესაძლებელი გახდება ამ უფლებით ისარგებლო საზოგადოების გასაჭირისა და მოთხოვნილებათა გასარკვევად. რასაკვირველია, წინასწარ არავის ძალუძს დაახლოებით მაინც განსაზღვროს ბოლოს და ბოლოს მალე დადგება თუ არა ეს „უკეთესი დროება“, დიდი ხანია ასე დამქანცველი მოუთმენლობით რომ ელის ყველა. შეიძლება მხოლოდ იმედი ვიქონიოთ, რომ შორს აღარაა ის ბედნიერი დღე, როდესაც პრესის თავისუფლების მონინააღმდეგეები დარწმუნდებიან თავიანთი საქმიანობის სრულ უნაყოფობაში და გზას დაუთმობენ სხვა, უფრო გონივრულ მიმართულებას... „ობზორს“ იმედი აქვს, რომ მოესწრება ამ დროს და სურს სწორედ ამისათვის შემოინახოს თავისი ძალებიცა და თავისი უფლებებიც.

78. ადგილობრივი ცხოვრების მიმოხილვა (ცვლილებები მხარის უმაღლეს ადმინისტრაციაში)

თბილისი, 1881 წ. 18 ივლისი

განგების ნებით მდიდარი ბუნებრივი რესურსების მქონე ჩვენი შესანიშნავი ქვეყანა მდებარეობს უდიდეს სავაჭრო გზაზე, რომელიც ევროპიდან შორეული აზიური აღმოსავლეთისაკენ მიემართება. კავკასიას დასავლეთითა და აღმოსავლეთით ორი ზღვა აკრავს, რომელიც კი არ აცალკევებს მას დანარჩენი სამყაროსაგან, არამედ ტოვებს გზას ევროპისა და აზიასთან სახმელეთო ურთიერთობისათვის. მალე დამთავრდება ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობა, რომელიც თავიდან ბოლომდე გადაკვეთს ამიერკავკასიას და შეაერთებს ორი ზღვის მიმდებარე ქვეყნებსა და მათი ვაჭრობის საქმეს. მილიონობით ფუთ ნავთს დაემატება მილიონობით ფუთი მარგანეცი, ქვანახშირი, პური, მატყლი და სხვა. საერთოდ, მიწათმოქმედება და სამთო საქმე საქმიანობის ისეთ სფეროებს წარმოადგენენ, რომლებშიც შეიძლება ათობით მილიონი ადამიანი დასაქმდეს და ყველამ ბედნიერად იცხოვროს. რაღა უნდა ითქვას თანამედროვე კავკასიის ხუთ მილიონ მკვიდრზე, რომელნიც გონებრივი გამჭრიახობითა თუ ზნეობრივი სიმაღლით უხვად მომადლებულ ტომებს მიეკუთვნებიან! ყოველივე ამას ემატება კიდევ ერთი, თითქმის დაუჯერებელი რამ. ჩვენს მშრომელებს უფრო მეტი დრო აქვთ, ვიდრე რუსეთში. დიახ, ჩვენთან, კავკასიის უმეტეს ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ მუშაობა შეიძლება წელიწადში არა მხოლოდ 6 თვე, არამედ მთელი 12 თვის მანძილზე. ამდენად ყოველ წელს ჩვენ შეგვიძლია ორჯერ მეტი გავაკეთოთ სამიწათმოქმედო-სამრეწველო დარგებში, ვიდრე ეს რუსეთში კეთდება. აქედან გამომდინარე, დღიდან რუსეთის კავკასიაში შემოსვლისა მთელი იმპერიის წინსვლა ორჯერ უნდა დაჩქარებულიყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რომ ჩვენ ბევრ რამეს, ხშირად იქნებ წარმოუდგენელსაც კი ვხედავთ ხოლმე, ქვეყნის სწრაფი სვლა პროგრესისაკენ მაინც ვერ დავინახეთ. პირიქით, ჩვენთან მოახლოვებისთანავე თითქმის ყველა რეფორმა სვლას ანელებდა, ჩერდებოდა, დაუსაბუთებელი მსჯელობის საგნად იქცეოდა, ესადაგებოდა ქვეყნის ადგილობრივ თავისებურებებს, საბოლოოდ კი მისი ცნობა თითქმის შეუძლებელი ხდებოდა.

ჩვენი ოფიციალური გაზეთი „კავკაზი“[3] იმ გულახდილ აღტაცებას, რომელიც თან სდევდა კავკასიის ყოფილი მეფისნაცვლის გაცილებას, იმით ხსნის*, რომ, მართალია, მის უმაღლესობას მეტისმეტად კეთილი და მასშტაბური ზრახვები ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი განხორციელება ვერ შეძლო, რადგან არ ჰყავდა ისეთი ენერგიული ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ დახმარება გაეწიათ მისი უმაღლესობისათვის ამ ვრცელი და მრავალეროვანი მხარის განვითარების რთული ამოცანის დაძლევაშიო. მიუხედავად დიდი პატივისცემისა ჩვენი ოფიციოზის რედაქციისადმი, იძულებული ვართ შევახსენოთ მას, რომ მისი აზრი არ ემთხვევა დედაქალაქის პრესის პოზიციას, რომელიც ლაკონურად გამოხატა „გოლოსის“ რედაქციამ: „სინათლე ჩვენში აღმოსავლეთიდან მოდის...“ დიახ, ეს ისტორიული ფაქტია. თ-დი ციციანოვისა და გენერალ ერმოლოვის დროიდან კავკასია მართლაც მუდმივად ამარაგებდა რუსეთს შესანიშნავი მოღვაწეებით. რატომ ხდებოდა ასე? ცხადია, იმიტომ, რომ კავკასიის ბედის ისეთმა გამგებლებმა, როგორებიც იყვნენ თ-დი ციციანოვი, გენერალი ერმოლოვი, გრაფი ვორონცოვი და სხვ. ახერხებდნენ უნიჭოთა ჩამოშორებას, დაუღალავად დევნიდნენ ბოროტმოქმედებს და შეეძლოთ ირგვლივ შემოეკრიბათ ნიჭიერი ადამიანები. კავკასიაში სამსახური არ აძლევდა მათ დესპოტიზმის უფლებას, ხოლო დაბრკოლებებით აღსავსე ძნელი, საბრძოლო, შრომითი ცხოვრება ვერ დააკმაყოფილებდა სხვადასხვა ჯურის კარიერისტებს, ჩვენი ლექსიკონით რომ ვთქვათ, „უცხო ჩიტებს“, რომლებიც აქ, ჩვენს კავკასიურ პალესტინაში, მოფრინდებოდნენ ჯილდოებისათვის. დიუსოსა და ბორელის ეს აღზრდილები დიდხანს ვერ ძლებდნენ ჩვენში, რადგან აქ აუცილებლად უნდა ეშრომათ; ისინი ვერ შოულობდნენ ისეთ თანამდებობებს, სადაც შეიძლებოდა მთელი დღე უქმად ყოფნაში სამი ხელფასი აეღოთ. ძველად ყველა მოსამსახურე ადამიანი მშრომელი იყო. ყველა პასუხისმგებელი იყო თავის საქციელზე, რეაგირების გარეშე არ რჩებოდა არც ერთი შეცდომა თუ წინდაუხედაობა. ასეთ პირობებში ყოველი ადამიანი ფასდებოდა თავისი საქმიანობით და არა სამსახურებრივი ფორმულიარული სიით, საიდანაც შიგ ჩაწიკწიკებული მადლობებისა და ჯილდოების

* იხ. „კავკაზ“, 1881 წ., №145.

ჩამონათვალით ყოველმა უქნარამ და ცრუპენტელამ შეიძლება ამოქაჩოს სარგებელი, ამიტომაა, რომ გამოჩენილ მოღვაწეთი ნეკროლოგებში (თურქეთის უკანასკნელ ომამდე) თითქმის ყოველთვის წერია, რომ ისინი კავკასიაში მსახურობდნენ. გრაფ ლორის-მელიქოვისა და გრაფ მილიუტინის გარდა, ჩვენს დროში ოთხი გენერალ-გუბერნატორიდან სამი, სახელდობრ: თ-დი დუნდუკოვ-კორსაკოვი, თ-დი სვიატოპოლკ-მირსკი და გრაფი ტოტლებენი კავკასიაში მსახურობდნენ. ამდენად, როგორც ისტორია, ისე კონკრეტული ფაქტები ერთნაირად აბათილებენ ჩვენი პატივცემული ოფიციალური გაზეთის აზრს. სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო.

თვით გაზეთი „კავკაზი“ ჩამოთვლის, რამდენი რამაა გაკეთებული კავკასიაში განათლების გასავრცელებლად მისი უმაღლესობის მეფისნაცვლობის დროს. განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ განათლებამ შეამცირა ნიჭიერი და ენერგიული ადამიანების რიცხვი, ხოლო შემდეგ თითქოს ეს ნაკლი არავის შეუმჩნევია და შესაბამისად არავის მოუწვევია რუსეთიდან ინტელიგენტები და ტალანტები? განა ცოტა მოსამსახურე ჩამოვიდა ჩვენთან ამ ხნის მანძილზე? და მაინც, შეუძლებელია არ დაეთანხმო პატივცემული ოფიციალური გაზეთის აზრს: მართლაც შეუძლებელია უცებ გაიხსენო ყველა ის პიროვნება, რომელმაც თავი გამოიჩინა ადმინისტრაციულ, მეცნიერულ თუ მხატვრულ საქმიანობაში უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე.

ცხადია, ჯერ არ დამდგარა დრო, კავკასიის მმართველობის თითქმის 20-წლიანი განვლილი ეპოქის ობიექტური შეფასებისა. საამისოდ, გარდა ოფიციალური გაზეთისა, ჯერ სხვა წყაროები არა გვაქვს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ჩვენ გამოვიარეთ ის დრო და ძალიან კარგად გვახსოვს ის დიდი იმედები და ნათელი მოლოდინი, რომელმაც მთელი კავკასია მოიცვა 1862 წლის 6 დეკემბრიდან.

ჩვენ უკვე ვიცით, რამდენად აღსრულდა ეს იმედები და მოლოდინი, გვახსოვს ბევრი ისეთი მოვლენაც, რომელთაც ხელი შეუშალეს მათ განხორციელებას. გონებაში გაცილებით უკეთესად ხდება რესტავრაცია წარსულისა, როცა „კავკაზსა“ და „გოლოსში“[42] აღწერილ საზეიმო და აღფრთოვანებულ ოვაციებს კითხულობ...

ამიტომ უკეთესი იქნება, თუ მოვეშვებით ჩვენი ახლობელი წარსულის ისტორიაზე ლაპარაკს და გადავალთ მომავალზე.

რა მოგველის მომავალში?

ეს კითხვა ამოუცნობი სფინქსივით მუდმივად დგას არა მარტო მათ წინაშე, ვისაც მხოლოდ საერთო ინტერესები და ქვეყნის კეთილდღეობა აინტერესებს, არამედ სამხედრო და, განსაკუთრებით, სამოქალაქო უწყების მოსამსახურეთა წინაშე, რომელთაც შტატების შემცირება და ხელფასის მოკლება ემუქრებათ.

ერთ დროს საკმად დაბეჯითებით დადიოდა ხმები მეფისნაცვლის თანამდებობის გაუქმებისა და ერთი ან ორი გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის შემოღების თაობაზე. მაგრამ ეს ხმები არ გამართლდა და მეფისნაცვლის თანამდებობა უცვლელად დარჩა. სწორედ ამ დღეებში ჩვენი ოფიციალური გაზეთი ცდილობს სასწრაფოდ გამოხატოს თავისი უდიდესი აღფრთოვანება იმის გამო, რომ ყველა ადრინდელ მოღვაწეს კვლავ მიეცემა საშუალება გაგვაბედნიეროს ჩვენთვის უკვე ცნობილი თავისი მოღვაწეობით.

რას ამბობს ამაზე საზოგადოებრივი აზრი?

ამ საგანზე, როგორც მოსალოდნელი იყო, არსებობს სხვადასხვაგვარი მოსაზრება.

ზოგნი ფიქრობენ, რომ, თუ კავკასიაში მეფისნაცვლობა იმ მიზნით დააწესეს, რათა მოეწყოთ ეს მხარე, შემოეტანათ მასში მოქალაქეობრივი ცხოვრება, აემაღლებინათ კეთილდღეობა, ანუ მოემზადებინათ ქვეყანა ცივილიზებული ევროპული ცხოვრებისათვის, მაშინ, ნათელია, რომ დღეს ეს მიზანი ჯერ კიდევ სრულად არაა მიღწეული. პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ყველა სფეროში ჯერ ბევრი არაფრით გავცილებივართ გრაფ ვორონცოვის ეპოქას, ამიტომ, თუ მაშინ აუცილებელი იყო მეფისნაცვლობა, იგი კიდევ უფრო აუცილებელია ახლა, როცა კავკასია ასე ძლიერად ჩამორჩა თავისი განვითარებით რუსეთის დანარჩენ ნაწილებს, აქედან გამომდინარე, ფიქრიც კი ზედმეტია მეფისნაცვლობის გაუქმებაზე.

არსებობს საპირისპირო აზრიც: მეფისნაცვლობა საერთო წესებიდან გამონაკლისი რამაა და წარმოადგენს გადახრას ყველასათვის სავალდებულო საერთო კანონებიდან; ამიტომ იგია მთავარი მიზეზი იმისა, რომ კავკასია პოლიტიკურად და ეკონომიკუ-

რად ისე სწრაფად არ ვითარდება, როგორც უნდა ვითარ-დებოდეს... ყოველგვარი საყვედური უადგილო იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კავკასიაში იმოქმედებდნენ საერთო კანონები მთელი მოცულობითა და ძალით, ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე, რაც თითქოსდა აუცილებელი იყო მხარის „თავი-სებურებების" გამო. მაგრამ ეს გამონაკლისები კანცელარიისა და ჩინოვნიკთა ხელში სრულიადაც არ ემსახურებოდნენ საერთო კეთილდღეობისაკენ სვლას. სწორედ ამიტომ, ფიქრობენ ამ პო-ზიციის მიმდევარნი, მეფისნაცვლობის გაუქმება არის აუცი-ლებელი საშუალება, რომელიც თავისი მნიშვნელობით უტოლ-დება ძველი მეფობის ნაყოფიერი რეფორმების განხორციელებას კავკასიაში. ამასთანავე, მნიშვნელოვნად შემცირდებოდა კავკა-სიის მხარის მმართველობისათვის განკუთვნილი ხარჯები.

ჩვენი პირადი აზრი კი ასეთია: ცხადია, მეფისნაცვლობას თა-ვისთავად არ შეუძლია განაპირობოს ქვეყნის კეთილდღეობა. ეს არის ჩვეულებრივი სიტყვა, რომელიც განსაზღვრავს ძალაუფ-ლების მოცულობას იმ პირისას, ვისაც კავკასიის მმართველობის სათავეში დააყენებენ. იქნება ეს პიროვნება მეფისნაცვალი, გე-ნერალ-გუბერნატორი თუ მთავარმართებელი, ანუ მასზე მინი-ჭებული ძალაუფლების მოცულობის განსაზღვრა მნიშვნელოვა-ნია მხოლოდ მისთვის, ხოლო ჩვენთვის, ხალხისათვის, იგი მუდამ ერთნაირია და მნიშვნელობა არა აქვს, ეს მოცულობა განპი-რობებულია ქვეყნის ახლანდელი მდგომარეობით, სადაც არამ-ცთუ შეუძლებელია ყველგან ერთნაირი სამოქალაქო მმართვე-ლობის შეტანა, არამედ, თურმე, საკმარისი არაა თვით სამხედრო მმართველობაც და ამიტომ შექმნილია არა სამხედრო, არა მოქა-ლაქეობრივი, არამედ ე. წ. „სამხედრო-სახალხო მმართველობა". მაშასადამე, ადმინისტრაციის ის სხვადასხვაობა, რომელიც არ-სებობს სამი სხვადასხვა ადმინისტრაციული სისტემის სახით (აქე-დან ორი ცნობილია, ხოლო ერთი—უცნობია ევროპაში), ჯერჯე-რობით უთუოდ დარჩება და უთუოდ მოითხოვს იმ ნორმას ქვეყ-ნის მთავარი მმართველის ძალაუფლებისათვის, რომელიც ახლა არსებობს, რადგან ყველა სხვა ნორმა არასაკმარისი იქნება.

79. ამაო შიში

თბილისი, 1881 წ. 18 ივლისი

საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზიდან ნებსით თუ უნებლიეთ წასვლას და მოშორებით მასზე მშვიდ დაკვირვებას ბევრი სასარგებლო მხარე აქვს. როცა დაპირისპირებულთაგან ერთ-ერთ მხარეზე იმყოფები და ასე თუ ისე იღებ ცოტაოდენ მონაწილეობას ბრძოლასა თუ მოძრაობაში, ძნელია მთლიანობაში აღიქვა მისი საერთო მსვლელობა ან გეგმა, ხშირად კი შეუძლებელია გაიგო, ვის მხარეზეა გამარჯვების შესაძლებლობა. მაგრამ სცადეთ, მცირე ხნით გადექით განზე და იქიდან შეხედეთ ბრძოლის ველს. მთელი სიცხადით გადაგეშლებათ თვალწინ ურთიერთდაპირისპირებული ძალები, ყოველი მათგანის მიზანი, მოსალოდნელი სიძნელეები, მათი ყოველი მოძრაობა, ყოველი დამარცხება და გამარჯვება. უმნიშვნელო პიროვნებიდან, რომელსაც ნაფოტივით აქეთ-იქით მიაქანებს ცხოვრების მდინარება, უცებ იქცევით მოაზროვნე არსებად, რომელსაც უნარი შესწევს დაინახოს, საით მიემართება ცხოვრება და რისკენ მიჰყავს ადამიანთა მასები... მოწინაამდეგე, რომელიც რამდენიმე საათის წინ ასეთი შეუვალი, მრისხანე და დაუძლეველი გეგონათ, ახლა სრულიად გაშიშვლებული წარმოსდგება თქვენ თვალწინ—თვალნათლივ დაინახავთ ყველა მის ნაკლსა და სისუსტეს, მის უაზრო ფუსფუსსა და თვით მის ზურგსაც კი, რომელსაც ადრე სრულიად ვერ სნვდებოდა თქვენი მზერა... ხოლო იმის თაობაზე, თუ რა რელიეფურად დაიხატება თქვენ წინაშე საკუთარი რიგების მდგომარეობისა და მოძრაობის სურათი, ლაპარაკიც კი არ ღირს. სხვა საკითხია, როგორ გამოიყენებთ ამ დაკვირვებებს იმ საქმის ინტერესებისათვის, რომლისთვისაც იბრძოდით. მაგრამ ხომ უეჭველია, რომ ეს დაკვირვებები ათმაგად უფრო სასარგებლოს გაგხდიან საქმისთვის, ვიდრე იყავით!

ჩვენ გვქონდა ბედნიერება უნებლიეთ დაახლოებით ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩენილიყავით სწორედ გახურებული ბრძოლის დროს, რომელიც ახლდა მიმდინარეობას იმ საკითხის გადასაჭრელად, თუ რა უნდა იყოს რუსეთში პროგრესი თუ რეაქცია? ამჟამად არც ადგილი გვაქვს, არც საშუალება და არც სურვილი,

რათა დაწვრილებით გადმოგცეთ ჩვენი დაკვირვებანი, მაგრამ საჭიროდ მივიჩნევთ გავუზიაროთ მკითხველს ზოგიერთი იდეა თუ მოსაზრება, რომლებიც სავსებით დინჯმა და მიუკერძოებელმა დაკვირვებამ აღძრა ჩვენში.

ამ სტრიქონების ავტორს არაერთხელ ჰქონია შემთხვევა ყოფილიყო ბრძოლის მოწმე[57] და იმ ერთგვარი მდუმარე-ირონიული სიმშვიდის ყოვლისმომცველი შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფება, რომლითაც შეხლა-შემოხლის მიმართ გამსჭვალულია ყოველგვარი გარესამყარო. ორი უზარმაზარი არმია, რომლებიც კბილებამდე შეიარაღებულ ასობით ათას მებრძოლს ითვლიდა, ძალ-ღონესა და საკუთარ სიცოცხლეს არ ზოგავდა, რათა „მტერზე ძლევა" ეზეიმა. ადამიანები ბუზებივით იხოცებოდნენ. ოხვრა და კვნესა ცასა სწვდებოდა. ამ ბრძოლისა და თავგანწირვის შემხედვარეს შეიძლება გეფიქრა, რომ დადგა ქვეყნიერების აღსასრულის დღე, რომ ცოცხლებს კუბოში ჩაჭედავენ, ხოლო მიცვალებულები მკვდრეთით აღდგებიანო. მაგრამ შოკიდან გამოსასვლელად საკმარისი იყო ირგვლივ მიმოგვეხედა. ყველაფერი ძველებურად იყო, კვლავ გაუნძრევლად იდგნენ მთები, მწვანედ ელვარებდა შორეულ ტყეში, მხიარულად ჭიკჭიკებდნენ ჩიტები და თავიანთ ტკბილ ჰანგს აღიღინებდნენ ნაკადულები... მაგრამ მთელს ამ ორომტრიალში იყო ერთი მომენტი, რომელიც არავის დაავიწყდება. ჩვენი ჯარი ყარსს მიადგა და მის დაბომბვას შეუდგა. ივნისის გვალვიანი დღე იდგა. ასობით მსხვილი ყალიბის ზარბაზანი და ქვემეხი თავისი საშინელი და განუწყვეტელი გრუხუნით ქვეყანას აყრუებდა. მოულოდნელად ცა ღრუბლებმა შეგრაგნეს და იჭექა. ძნელად თუ წარმოიდგენთ, რა უმნიშვნელო არარაობად მოგვეჩვენა მაშინ ჩვენი და მტრის არტილერიის გრუხუნი; რომელიც რამდენიმე წუთის წინ უდიდეს საშინელებად გვესახებოდა! ქუხილის ხმამ ყველა ჩვენგანში ჯოჯოხეთური, მეფისტოფელური ხარხარის ასოციაცია წარმოქმნა. ბუნება დაგვცინოდა ჩვენი ბავშვური, უაზრო თამაშის გამო. ტანზე ყველას ეკლებმა დააყარა. ის, რაც ვერ შეძლო ორი უპირველესი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა თავგადაკლულმა მონდომებამ, ერთ წამში აღსრულდა ჭექა-ქუხილისა და მისი თანმხლები კოკისპირული წვიმის მეშვეობით. გამოცოცხლდა და ახმაურდა ტყე, გაიწმინდა და თითქოს განახლდა ჰაერი, წყლის ნაკადულებმა ველური ცეკვა იწყეს; ერთი სიტყვით, მთელი ბუნება გამოიცვალა, თითქოს ყალყზე შედგაო...

ჰკითხეთ ნებისმიერს, რომელიც რამდენიმე თვეს მაინც იმყოფებოდა რომელიმე არმიაში და ის დაგიდასტურებთ, რომ ბუნების ასეთი მოვლენები ყველა ადამიანში უნებლიეთ აღძრავს უცნაურ გაურკვევლობას: საიდან მოდის და ვინ იტევს ისეთ გრანდიოზულ ენერგიას, რომელიც უდიდეს არმიათა ძალ-ღონესაც კი აღემატება და რომელიც მათი მეთაურების კომპეტენციის გარეთ რჩება?

ყოველივე ეს ჩვენ იმიტომ გავიხსენეთ, რათა მიგვენიშნებინა, რომ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც მოიპოვება ისეთი ძალები, რომელთა წინაშე ბავშვის სათამაშოსავით გამოიყურება ჩვენი თანამედროვე საჟურნალო თუ საზოგადოებრივი ბრძოლის საშუალებები. ჩაიხედეთ ხალხის ყოფაში, დააკვირდით მათ ისტორიულ ბედსა და გავლილ გზას, შეძელით მისი ნამდვილი მოთხოვნილებების ამოცნობა, ნამდვილი მისწრაფებისა და ტანჯვის გაგება და თქვენ ყოველივე ამაში დაინახავთ ისეთ გრანდიოზულ, დაუძლეველ სტიქიურ ძალას, რომელიც გასაოცარია თვით პასიურობის დროსაც კი... რას ნიშნავს ასეთ ძალასთან შედარებით კვნესა, ოხვრა, შთაგონება, ძალადობა და თვით ძალადობის მცდელობაც კი იმ ცალკეულ პირთაგან, რომლებიც თავსაც და სხვებსაც ატყუებენ იმ იმედით, რომ თავის ნებაზე შეატრიალებენ ასეთი ორგანიზმის ბუნებრივ განვითარებას! ათიათასობითაც რომ იყვნენ ასეთი ადამიანები, და ყოველ მათგანს დიდი ტალანტი და ენერგიაც რომ ჰქონდეს, თავიანთი შეერთებული ძალით იოტისოდენადაც კი ვერ შეცვლიან ხალხის ბუნებრივი ზრდის მიმართულებას ისევე, როგორც ვერ შეაჩერებენ მის ფიზიკურ ზრდას. ე. ი. შეუძლებელია იმის მიღწევა, რომ ძველი არ ძველდებოდეს და არ კვდებოდეს, ხოლო ახალგაზრდა არ იზრდებოდეს.

დიახ, ხალხის მასა რომ ის რბილი ცომი იყოს, რომელსაც შეგიძლია ნებისმიერი ფორმა მისცე და ადვილად გამოაცხო მისგან რაც გსურს, მაშინ ყველა საზოგადო მოღვაწე ჭეშმარიტად რეალური ძალა იქნებოდა, სასარგებლო ან მავნებელი, იმისდა მიხედვით, სასარგებლო ფორმას მისცემდა ამ ცომს თუ მავნებელს... მაგრამ, როცა საქმე ვერცხლისწყალს ეხება, მასთან ნებისმიერი „მზარეული" დამარცხდება, ვინც უნდა იყოს იგი. რამდენი ხნითაც გინდა ჩადე ვერცხლისწყალი საძაგელ და უვარგის ფორმა-

შიც კი, საკმარისია გადმოაბრუნო ეს ფორმა და ვერცხლისწყალი კვლავ ძველებურად ცოცხალი, თავისუფალი შეიქნება. დაიკარგება და გაქრება მხოლოდ ის წვეთები, რომლებიც უშუალოდ ეხებოდნენ ფორმის კედლებს თვით ვერცხლისწყლის დაუდგრომელობის გამო...

ჩვენს თანამედროვე მოღვაწეებზე გაცილებით დიდი და ძლიერი იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც თავის დროზე შეეცადნენ გარკვეული მიმართულებით შეეცვალათ ხალხის ცხოვრების განვითარება და მსვლელობა. მაგრამ რა გამოვიდა მათი მცდელობიდან? განა დამორჩილდა მათ ნებას მასა? შეცვალა მათ სასარგებლოდ თავისი ადათები და მსოფლმხედველობა? უარი თქვა თავის მისწრაფებებსა და მომავალზე? ხალხმა არამცთუ არ გააკეთა მსგავსი რამ, არამედ არც შეეძლო გაეკეთებინა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უარი შეიძლება თქვა ნებისმიერ მოქმედებებსა და მისწრაფებებზე, ოღონდ არა ინსტინქტურ, თვით ბუნების მიერ დადგენილ კანონებზე. რაც უნდა მძაფრი იყოს ადამიანის სურვილი, რაოდენ ზებუნებრივ ძალასაც უნდა ფლობდეს იგი, არავის ძალუძს ნამდვილად უარი თქვას თავის ფიზიკურ თუ ზნეობრივ ზრდასა და განვითარებაზე. რა დამაჯერებლადაც უნდა გვარწმუნებდნენ, რომ ფრიად შესანიშნავი, ხელსაყრელი და სასარგებლო იქნება, თუ შევინარჩუნებთ ჩვენი ბავშვობის პირველი დღეების აუმღვრეველ გულუბრყვილობას, არავის ძალუძს ამ სასწაულის აღსრულება, თუნდაც მთელი გულითა და სულით სურდეს იგი. ამ საქმეში თანაბრად უძლურია ყოველგვარი დარწმუნება, რჩევის მიცემა, შთაგონება და თვით ძალდატანებაც კი. სწორედ ასეა მასაც. რაც უნდა დიდი იყოს მისი სურვილი, იგი ვერაფრით ვერ შეძლებს თავი დააღწიოს ინსტინქტურ შთაბეჭდილებებსა და მისწრაფებებს, ვერც ვინმეს მითითებით მოახერხებს იგი ამას. ხალხი სტიქიურად მიიწევს წინ ისე, რომ თვითონაც არ იცის, საით მიდის, არ იცის ისიც კი, რა ნაბიჯები გადადგა ან უნდა გადადგას. ისტორიული პროგრესის უხილავი ძალა მიაქანებს მას სულ წინ და წინ, ოღონდ ისე, რომ თვით მასა ვერ ამჩნევს ამ მოძრაობას, როგორც ვერ ამჩნევენ ამას დიდი ხომალდის მგზავრები, რომლებიც თვალნათლივ მხოლოდ მაშინ რწმუნდებიან ხომალდის მოძრაობაში, როცა მიადგებიან ხოლმე ახალ, უცნობ ნაპირს...

და მართლაც, რა იქნებოდა ხალხის ცხოვრება, თუ იგი დაემორჩილებოდა ყოველგვარ გავლენას და ქედს მოუხრიდა მერყევ ადამიანთა ნაირ-ნაირ ახირებებს? დაფიქრდით, რამდენჯერ უნდა გამოცვლილიყო თუნდაც მხოლოდ ამ საუკუნის განმავლობაში ცხოვრების წესი და მსოფლხედვა რუსი ხალხისა? რას არ შთააგონებდნენ მას! ჯერ იყო და ჰუმანისტებს სურდათ მისი განახლება, ჩვენს ნიადაგზე ევროპული ცხოვრების ლიბერალურ-ოლიგარქიული საფუძვლების გადმონერგვით: შემდეგ მოისურვეს მისი გარდაქმნა ერთ დიდ საბრძოლო კოლონიად და ხალხის შეყრა სამხედრო ყაზარმებში; მავანნი ცდილობდნენ მასში ბერმონაზვნური სათნოებანი გაეღვიძებინათ, რათა ღვთის შიშით ემოქმედათ მასზე. შემდეგ გადაწყდა ამჯერად უკვე ადამიანური შიშით ემოქმედათ მასზე, ისე, რომ არც განძრეულიყო და არც ეფიქრა... მოგვიანებით შეუდგნენ მისი „სულის აღორძინებას“ თავისუფლების გზით... კიდევ უფრო მოგვიანებით კი ურჩევდნენ, და პრაქტიკაშიც შემოიტანეს, წარსულისაკენ დაბრუნება... მაგრამ რა დარჩა საბოლოოდ ყველა ამ შთაგონებისა და მისწრაფებისაგან? მოახდინეს თუ არა მათ გავლენა ხალხის ყოფიერებაზე, ადათსა და მსოფლმხედველობაზე? გადით ხალხში, დააკვირდით მის ცხოვრებას, გაეცანით მის ფიქრებს და დარწმუნდებით, რომ არც ერთი ამ „თეორიათაგანი“ ოდნავადაც კი არ შეხებია მას. ხალხი ისევ იმ წესზე დარჩა, როგორსაც აღწერენ მეტად სერიოზული ძველი დამკვირვებელნი. ხალხს დარჩა ძველი მსოფლმხედველობა, თავის ჩვეული სამართალი, სამართლებრივი ურთიერთობანი, ძველი ბუნებრივი მისწრაფებები უფლება-თავისუფლებისა და მარჩენალი მიწისაკენ. ცვლილება მარტო იმით გამოიხატა, რომ ყოველი ახალი „თეორიიდან“ ხალხის ცხოვრება იღებდა და ითვისებდა მხოლოდ იმას, რაც შეესაბამებოდა მის ინსტინქტურ მისწრაფებას და რასაც პრაქტიკულად გამოიყენებდა იგი. შეიძლება ითქვას, რომ ასეთ დეტალებს ხალხი ელვის სისწრაფით იტაცებს და ისე ითავისებს, რომ არავითარ ახალ „თეორიებს“ აღარ ძალუძთ მათი ამოძირკვა. ყოველივე დანარჩენი მხოლოდ ცხოვრების ზედაპირზე ცურავს. თვით ისეთ მოვლენებსაც კი, რომელთაც ძალით ამკვიდრებდნენ ხალხის ყოფაში, არავითარი კვალი არ დაუტოვებია...

შეიძლება გვითხრან,—თქვენ ქადაგებთ ფეტიშიზმს, მოუწოდებთ ხალხს უმოქმედობისა და აპათიისაკენ... თქვენ უარყოფთ ინტელიგენციის როლსა და გავლენას ხალხის მასებზე. თქვენის აზრით, თვით დიდი ადამიანებიც კი უძლურნი არიან მასებზე ზემოქმედებისა და მათი წარმართვის საქმეში.

სრულიადაც არა. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ არაფერს არ ვქადაგებთ, უბრალოდ ვცდილობთ ჩავიხედოთ ნამდვილ ცხოვრებაში და, მეორეც; რასაკვირველია, საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთზემოქმედების გამოკვლევა სრულიადაც არ ნიშნავს უმოქმედობის ქადაგებას... ინტელიგენციისა და დიდ ადამიანთა დანიშნულება კი სწორედ ისაა, რომ მათ, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოარკვიონ, თუ რას მიესწრაფვის ხალხი, საით მიჰყავს იგი ბუნების კანონებსა და ინსტინქტებს და შემდეგ მოძებნონ გონივრული გზა მის დასაკმაყოფილებლად. ნამდვილი ინტელიგენცია და დიდი ადამიანები გაიგებენ ყოველივე ამას და მოძებნიან კიდეც ასეთ გზას. ხოლო ისინი, რომელნიც ვერც ამ ვითარებას იაზრებენ და ვერც მისასვლელ გზებს ძებნიან ხალხთან, განნირული არიან ხელმოცარულთა წოდებისათვის. ეს არის და ეს!

ეს სტრიქონები ინერება იმ მდინარის პირას, რომელშიაც უამრავი ტივი დასრიალებს, მათ ორი-სამი მუშა მიაცურებს. ამ მუშებს შორის არიან თავიანთი საქმის ნამდვილი ოსტატები, რომელნიც გასაოცარი სიმამაცითა და სიმარჯვით უვლიან გვერდს მტკვრის უამრავ ჭორომსა თუ მეჩეჩს. როგორ ამინდშიაც გნებავთ, მიანდეთ მათ ტივი, შესანიშნავად გაართმევენ თავს და ზუსტად დანიშნულ დროს მიიყვანენ საჭირო პუნქტამდე. მაგრამ, ვთქვათ, შეერთდნენ თავიანთი საქმის ამგვარი ოსტატები და იკისრეს მთელი ტივისა კი არა, არამედ ერთადერთი მორის აცურება დინების საწინააღმდეგოდ, თბილისიდან ბორჯომამდე. მაშინ თვალნათლივ დავინახავთ, რა უმნიშვნელო შედეგს გამოიღებს მათი საარაკო გარჯა, რა ამაოდ ჩაივლის იმ ადამიანთა არაჩვეულებრივი სიმარჯვე, ძალა და სიმამაცე... პეტრე პირველისათვის დიდი მხოლოდ იმიტომ არ უწოდებიათ, რომ იგი დაბეჯითებით და ბევრს მუშაობდა, არ ერიდებოდა არავითარ მსხვერპლს, უკან არ იხევდა დაბრკოლებათა წინაშე, არამედ უფრო იმიტომ, რომ შეძლო დაენახა რუსეთის განვითარების ის მთავარი გზა, რომელ-

ზედაც ჯერ კუს ნაბიჯით, შემდეგ კი უკვე მთელი ძალით თავისთავად, უკანმოუხედავად წარიმართა ხალხის ცხოვრება, დაუტოვეთ პეტრეს მთელი მისი ენერგია და ნიჭიერება, მატერიალური ძალმოსილება და შეცვალეთ მხოლოდ მისი მორალური მიზანი, შედეგად რუსული პროგრესის ინიციატორის ნაცვლად მივიღებთ რუსეთის ჩამორჩენილობის ბურჯს. ამ შემთხვევაში პეტრესთვის შეიძლება ეწოდებინათ მრისხანე, ნეტარხსენებული, საკვირველთმოქმედი, ერთი სიტყვით, რაც გნებავთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში—დიდი. მთელი მისი ენერგია, მისი მცდელობა, მისი გენიალობა ამაოდ ჩაივლიდა, მას რომ ხალხის ცხოვრების საწინააღმდეგოდ წარემართა თავისი საქმიანობა. პეტრეს მოღვაწეობის წარმატების საიდუმლოება სწორედ ის გახლავთ, რომ მან შეძლო ქვეყნის განვითარების სწორი კალაპოტის დანახვა და მთელი თავისი მცდელობა იქითკენ მიმართა.

სამარცხვინოა, რომ ისეთი ანბანური ჭეშმარიტებების გამეორება გვიხდება, რომელნიც ყველასათვისაა ცნობილი, ვისაც ოდესმე ზედაპირულად მაინც გადაუხედავს ფილოსოფიის ისტორიისათვის. მაგრამ რა ვქნათ, როცა პრესასა და ცხოვრებაში ყოველ წამს გვხვდება მოვლენები, რომლებიც მხოლოდ იმით აიხსნება, რომ მათი ავტორები სრულიად არ იცნობენ ამ ანბანურ ჭეშმარიტებებს. მართლაცდა, ჩვენს საუკუნეში ვისთვისღაა საიდუმლო ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ვერც ჩაგონებითა და ვერც მუქარით ვერ შეცვლი საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობას, რომ ეს ცხოვრება იქმნება და ვითარდება ბუნებრივი კანონებით, რომელთა მიმართაც სავსებით უძლურია როგორც ჟურნალისტთა მოწინავე სტატიები, ისე ბიუროკრატთა ცირკულარები? ვინ არ იცის დღეს, რომ საზოგადოებრივ სამყაროში არ არის და არც შეიძლება იყოს არავითარი რეგრესი, როგორც არ არის და არც შეიძლება იყოს რეგრესი ცალკეულ ინდივიდთა ფიზიკურ ან მორალურ განვითარებაში, განა შეიძლება მოხუცის გარდაქმნა ახალგაზრდა კაცად, შემდეგ—ჭაბუკად და ბოლოს ბავშვად?! მართალია, შესაძლებელია შეჩერება, დასაშვებია ჩინური ხერხებით მისი საბურველში შეხვევა და არტახების შემოჭერა, რასაც შეიძლება სიკვდილიც კი მოჰყვეს, როგორც ასეთი არაბუნებრივი ცდების შედეგი, მაგრამ რეგრესი, ე. ი. ძველი ფორ-

მებისაკენ დაბრუნება, ძველი ასაკის გამეორება, შეუძლებელია. სწორი, ბუნებრივი პირობების დროს ქვეყანა მოძრაობს თანაზომიერი, დინჯი ნაბიჯებით ცხოვრების თანდათანობითი გაუმჯობესებისაკენ, რისი საბოლოო მიზანიცაა მთელი ხალხის ბედნიერების მიღწევა. ამ გზაზე მრავალი დაბრკოლებაა შესაძლებელი, მაგრამ ეს გადაულახავი უბედურება არ არის. შეიძლება ზოგიერთნი დაზარალდნენ კიდეც, შესაძლებელია რამდენიმე წლით შეჩერდეს კიდეც სვლა პროგრესისაკენ, მაგრამ ეს დანაკარგი მომავალში აუცილებლად აღდგება და აღდგება სწრაფად, რადგან წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ ცხოვრება აჩქარებულად, გარკვეულ დრომდე თითქმის ნახტომებით იწყებს განვითარებას. როგორი ჩინური კედლითაც უნდა დავაგუბოთ მდინარის წყნარი დინება, იგი მხოლოდ დროებით შეჩერდება, მაგრამ აღმა მაინც არ იწყებს სვლას. იგი კვლავ დაუბრუნდება თავის კალაპოტს. რაც უფრო მაღალი და მკვიდრი იქნება კედელი, რაც უფრო მაღლა აიწევს დაგუბებული წყლის დონე, მით უფრო წყალუხვი და მძლავრი შეიქმნება მდინარე, ხოლო, როცა ბოლოს და ბოლოს იგი შეძლებს ჯებირის თავზე გადავლებას ან მის გაგლეჯას, იგი შეიძენს უსაშინლეს ძალასა და ენერგიას და მისი ტალღები მძვინვარედ გაექანებიან იმავე ზღვისაკენ, რომლისკენაც იგი მანამდე მიემართებოდა, ოღონდ დინჯად და აუმღვრევლად.

ყოველივე ამის გამო სრულიად ამაოდ გვგონია ის შიში, რომელსაც ჩვენი პროგრესისტები განიცდიან მოწინააღმდეგე ბანაკის მოქმედებათა გამო. თმები ყალყზე დაგიდგებათ, თუ მათ ყურს დაუგდებთ: ყველა რეფორმა კომპრომეტირებულია, თავისუფლება არ არსებობს, ყველგან ჩაგვრაა, სიბნელეა, ერთი სიტყვით, საცაა მეორედ მოსვლა კარზე მოგვიკაკუნებს. ხოლო ყოველივე ეს, თურმე, იმიტომ ხდება, რომ იქ, სადღაც, მოსკოვსა თუ პეტერბურგში, ვიღაც ჟურნალისტები და ბიუროკრატები წერენ და იგონებენ რეაქციულ სტატიებსა და განკარგულებებს! დე, წერონ და ბეჭდონ რამდენიც სურთ! სწორედ ისაა ჩვენი სიმშვიდის საფუძველი, რომ ისინი ასეთი არაბუნებრივი და, მაშასადამე, მიუღწეველი საქმით არიან დაკავებული. რაც შეგვეხება ჩვენ, ვერ წარმოგვიდგენია იმაზე დიდი ნეტარება, ვიდრე შეგნება იმისა, რომ ჩვენმა მტერმა და მოწინააღმდეგემ აბსურდული და, ამდე-

ნად, განუხორციელებელი მიზანი დაისახა. რაც უფრო სულელური და უაზროა ეს მიზანი, მით უფრო მეტი ძალ-ღონეა საჭირო მის საკეთებლად, მით უფრო მეტი ძალა და ენერგია იხარჯება ამაოდ და საბოლოოდ მით უფრო გრანდიოზული იქნება მოწინააღმდეგის კრახი და, შესაბამისად, ჩვენი გამარჯვება! ამიტომ წუწუნისა და ვაი-ვიშის ნაცვლად მთელი სულითა და გულით უნდა ვუსურვოთ ჩვენს რეაქციონერებსა და კონსერვატორებს რაც შეიძლება დიდხანს იყვნენ დაკავებული ამგვარი სიზიფეს შრომით, რომელიც დღითი დღე სულ უფრო და უფრო ფიტავს მათს ორგანიზმს და სულ მალე უთუოდ მიიყვანს მათ სრულ და მუდმივ უძლურებამდე.

80. გაფლანგვა საქალებო ინსტიტუტში

ამ თვენახევრის წინ, სწორედ არდადეგებამდე, თბილისში გავრცელდა ხმა რაღაც დიდი თანხის გაფლანგვის თაობაზე. ეს თანხა ეკუთვნოდა ქალთა დახურულ სასწავლებლებს—ამიერკავკასიის საქალებო ინსტიტუტსა და თბილისის წმ. ნინოს სასწავლებელს. ადგილობრივმა გაზეთებმა დაადასტურეს ამ ჭორის საფუძვლიანობა მოკლე, ოღონდ გაურკვეველი განცხადებით, რომ გაფლანგულია 150.000 მანეთი ვერცხლით. არაფერს იტყობინებიან იმის შესახებ, თუ როდისაა გაფლანგული ან როგორ და ვის მიერ; არაფერი ვიცით არც იმის შესახებ, რა ზომებია მიღებული გაფლანგული თანხის მოძებნისა და შევსებისათვის. საერთოდ, ადგილობრივ პრესას თითქმის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ამ ფაქტისათვის, თითქოს ეს საქმე არავითარ საზოგადოებრივ ინტერესს არ იწვევდეს.

ამბავს იმის შესახებ, რომ ბოლო ლატარიის მთავარი მოგება წილად ხვდა მნათე ალექსეი შჩერბაკოვს, ბევრად უფრო დიდი ადგილი დაეთმო და უფრო დიდი მნიშვნელობა მიენიჭა, ვიდრე საკითხს—დაიკეტება თუ კვლავ იარსებებს ქალთა ორი საშუალო სასწავლო დაწესებულება.

სხვათა შორის, თავიც რომ დავანებოთ ამ სასწავლებელთა ყოფნა-არყოფნას, გაფლანგვის საქმე მაინც საჭირბოროტო საზოგადოებრივ საკითხს წარმოადგენს ამ დახურულ სასწავლებელთა ორგანიზაციისა და განაწესის თვალსაზრისით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენ არაერთხელ შეგვეძლო გვემხილებინა გუბერნატორები, სხვადასხვა სამმართველოს უფროსები, შევხებოდით მთავარ სამმართველოსაც. მართალია, ამის უფლება ყოველთვის არ გვქონია, მაგრამ ხანდახან და არცთუ იშვიათად ჩვენი მხარის უზენაესი ხელისუფლება ამის უფლებას მაინც იძლეოდა. სამაგიეროდ ვერასოდეს მოვახერხეთ ოდნავ მაინც აგვეწია საქალებო სასწავლებელთა ის პირბადე, რომელიც მათ განაწესს ასე წარმატებით ბურავს გარეშე თვალთაგან.

ახლა როგორც პრესა, ისე საზოგადოებრივი აზრი თავს დაიცხრა საბრალო თ-დ სიდამონ-ერისთავს, რომელიც განტევების ვაცის როლისთვის აღმოჩნდა განწირული. მაგრამ საკმარისია ზედაპირული წარმოდგენა მაინც გვქონდეს ჩვენი დახურული სას-

წავლებლების განანესზე, რათა დავრწმუნდეთ, რომ ბ-ნი სიდამონ-ერისთავი სრულიადაც არაა დამნაშავე, რომ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი ხელისშემწყობი ფაქტორები გაფლანგვისა და უწესრიგობისათვის. ორივე სასწავლებელს თავისი „საბჭოები" ჰყავდა და მათი თანხიდანაც არც ერთი კაპიკი არ შეიძლებოდა დახარჯულიყო ამ საბჭოების გარეშე, თ-დი სიდამონ-ერისთავი ამ საბჭოებში სრულიადაც არ ასრულებდა უპირველეს და განსაკუთრებულ როლს; ამ როლის აღმასრულებელი გახლდათ საიდუმლო მრჩეველი პაპარიგოპულო, რომელიც ამ საბჭოების წევრად დანიშნული იყო კავკასიის მეფისნაცვლისაგან. ამდენად, თავისი მდგომარეობა ბ-ნ პაპარიგოპულოს აძლევდა უფლებასაც და საშუალებასაც ნებისმიერ მომენტში გაეცამტვერებინა ბ-ნი სიდამონ-ერისთავის წინააღმდეგობაცა და კარიერაც. ეს ვითარება კი სრულიად ახალი კუთხით წარმოგვიჩენს ამ საქმეს. ყველასათვის ცნობილია, ბ-ნი პაპარიგოპულო სრულიადაც არაა ისე გულუბრყვილო, რომ თვალდახუჭული უყუროს საქმეს. საქმითაც და უფლებითაც ის და მხოლოდ ის იყო სრულუფლებიანი მეპატრონე და განმგებელი ორივე დაწესებულების საქმისა თუ ხარჯებისა. მასთან ერთად სრულუფლებიანი პირები იყვნენ ორივე დაწესებულების უფროსები, მაგრამ არა სამეურნეო თვალსაზრისით. ყველა მოხსენება უმაღლესი მმართველობისადმი დგებოდა უშუალოდ ბ-ნი პაპარიგოპულოს მიერ, ყველა ნებართვასა და რეზოლუციას ის აღწერდა ხელს და არც ერთი კაპიკი არ შეიძლებოდა დახარჯულიყო, და არც დახარჯულა მისი გვერდის ავლით.

ყოველივე ამის და აგრეთვე იმის გამოც, რომ ყოველგვარი ხარჯი უნდა გაღებულიყო მხოლოდ საბჭოს დავთარში აღრიცხვითა და ბ-ნი პაპარიგოპულოს თანხმობითა და ხელმოწერით. აშკარაა, რომ ბ-ნი სიდამონ-ერისთავი ფულს მხოლოდ ლეგალურად თუ დახარჯავდა. ასეთ შემთხვევაში კი სასამართლოს წინაშე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ბ-ნ პაპარიგოპულოს საბჭოს სხვა წევრებთან ერთად; წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ ბ-ნი სიდამონ-ერისთავი წინასწარი ბოროტი განზრახვით სჩადიოდა სიყალბეს—დავთარში ხელს აწერდა ბ-ნი პაპარიგოპულოსა და საბჭოს სხვა წევრების ნაცვლად, მაგრამ, რადგან ეს ვარაუდი სრული აბსურდია, ისევ პირველს უნდა დავუბრუნდეთ.

ეს გარემოება საგრძნობლად ცვლის საქმის ვითარებას. თუ სასამართლო პასუხისგებაში მიეცემა საქალებო სასწავლებელთა უფროსობა ბ-ნი პაპარიგოპულოს მეთაურობით, მაშინ ეჭვგარეშეა, რომ შესაძლებელი გახდება დახარჯული ფულის უკან დაბრუნება, რადგან მარტო ბ-ნი პაპარიგოპულოს ქონებაც კი საკმარისია სამჯერ მეტი დანახარჯის ასანაზღაურებლად. საქმის ასეთი შემობრუნება მით უფრო სასარგებლო იქნება საქალებო სასწავლებლებისათვის, რომ სასამართლოზე რელიეფურად შეიძლება წარმოვაჩინოთ ამ დაწესებულებათა ახლანდელი ორგანიზაციის ყველა უარყოფითი და მავნე მხარე.

ჩვენ სრულიადაც არ ვიცავთ ბ-ნ სიდამონ-ერისთავს, რომლის საქმე უკვე სასამართლოს გადაეცა, მაგრამ ვიმეორებთ, რომ სამართლიანობა მოითხოვს მასთან ერთად პასუხისგებაში მიეცნენ საქალებო სასწავლებელთა საბჭოს სხვა წევრებიც. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ ან როგორ შემოიფარგლა ჩვენი პროკურატურა მარტო ბ-ნ სიდამონ-ერისთავის სასამართლოში მიცემით.

მეორე უცნაურობა: ჩვენამდე მოღწეულ ცნობათა თანახმად, თ-დი სიდამონ-ერისთავი სასამართლოს გადაეცა მხოლოდ კავკასიის საქალებო სასწავლებლის ხაზინის დანაკლისის გამო, სადაც რამდენიმე ათეული ათასი მანეთია გაფლანგული.

წმ. ნინოს სასწავლებლის თანხის გაფლანგვა მას არ ბრალდება თითქოსდა იმის გამო, რომ ეს დაწესებულება ეკუთვნის კერძო საქველმოქმედო საზოგადოებას, მაგრამ, სხვათა შორის, ამ სასწავლებელში 100.000 მანეთის დანაკლისია. რატომ არ ცდილობს წმ. ნინოს სასწავლებლის საბჭო საქმის აღძვრას, თუ თვითონვე არ არის დამნაშავე ბ-ნი სიდამონ-ერისთავის ცოდვებში?

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ გვსურს, რომ „საზოგადოება ეხმარებოდეს მთავრობას" მოზარდი თაობის განათლების საქმეში?! ვინღა გაიღებს ფულს სასწავლო დაწესებულების, საქველმოქმედო მეჯლისების, ლატარიებისათვის და ა. შ. როცა ყველა ადრინდელი შემოწირულება უკვალოდ გაქრა დამნაშავეთა ჯიბეში და თანაც ისე, რომ მოახერხეს ხელიდან დასხლტომოდნენ არა მარტო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, არამედ საზოგადოებრივი აზრის სამსჯავროსაც?

ჩვენ ყველაფრისაგან ვახერხებთ ბიუროკრატიული საიდუმლოების შექმნას. ვნახოთ, სადამდე მიგვიყვანს ეს.

81. საფრანგეთის რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელები

საფრანგეთის რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელებმა უთუოდ მტკიცედ გადაწყვიტეს რესპუბლიკისაკენ მიიზიდონ თანამედროვე საფრანგეთის ყველა უნიჭიერესი და დიდი ადამიანი. ამ მიზნით პოლიტიკურ სარბიელზე წამოსწიეს თითქმის ყველა ის პირი, რომელთაც თავი გამოიჩინეს და დიდი სახელი მოიხვეჭეს მეცნიერებასა და ხელოვნებაში. ამ დღეებში მათ წამოაყენეს და სენატში გაიყვანეს კანდიდატურა ორი ყველაზე უფრო გამოჩენილი ქიმიკოსისა—ვიურცისა და ბერტელოსი. ორივე ეს პირი სენატის რესპუბლიკური ნაწილის კომენდანტი იყო და ორთავე არჩეულია უცვლელ სენატორად. ჩვენმა მკითხველებმა, ცხადია, იციან, რომ ვიურცი ცნობილია მეცნიერებაში თავისი უამრავი შრომით, რომლებიც მიეკუთვნება გამოყენებითი ქიმიის დარგს; ხოლო, რაც შეეხება ბერტელოს, მას, ეჭვს გარეშეა, შეიძლება ჩვენი დროის შესანიშნავი ქიმიკოსი ვუწოდოთ. მისმა აღმოჩენებმა ქიმიური სინთეზის სფეროში დიდი ხანია ჩააყენეს იგი თავისი ერის მოღვაწეთა სათავეში. მან შეძლო ახალი ჰორიზონტი გადაეხსნა მეცნიერების ამ დარგისათვის, დაესახა მისთვის სრულიად ახალი გზები. მანამდე ქიმია წმინდად ანალიტიკური მეცნიერება იყო; ბერტელომ პირველმა შეძლო აღმოეჩინა და დაემტკიცებინა ორგანული სინთეზის შესაძლებლობა, ე. ი. ორგანულ სხეულთა წარმოქმნა არაორგანული ნივთიერებებისაგან. თავისი აღმოჩენებით ბერტელომ არა მარტო გარდაქმნა მეცნიერება, არამედ საერთოდ ახალი სხივი შეიტანა ფილოსოფიაში.

ცნობილია რომ, მანამდე ფილოსოფიის ერთ-ერთი ბნელით მოცული და მეტად სადავო საკითხი იყო არაორგანულის ორგანულში გადასვლის შესაძლებლობის საკითხი. ამ პრობლემის გადაჭრა იმდენად რთული გახლდათ, რომ თვით ისეთი მეცნიერებიც კი, როგორებიც იყვნენ ჰუმბოლდტი და დარვინი, სრულიად ამოუხსნელსა და გაუგებარს უწოდებდნენ მას. ის უფსკრული, რომელსაც სპირიტუალისტური ფილოსოფიური სისტემები გადაულახავ ბარიერად თვლიდნენ, პირთამდე ამოივსო და, მაშასადამე, მოისპო სწორედ ბერტელოს უდიდესი აღმოჩენებით. აი, რატომ აქვს ამ მეცნიერს ფილოსოფიის ისტორიაში უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე, შესაძლებელია, მას ჰქონდეს ქიმიის ისტორიაში.

ამ გამოჩენილი მეცნიერის არჩევამ ულაპარაკოდ ჩააწყნარა თვით პარტიული მტრებიც კი. როიალისტებმა ვერ გაბედეს და არც მოინდომეს შეერცხვინათ თავი ბერტელოს კანდიდატურისათვის წინაამღდეგობის გაწევით, რის შედეგადაც მან მიიღო საამომრჩევლო ხმების დიდი რაოდენობა.

ამ არჩევნებში ერთხელ კიდევ გამოჩნდა გამბეტას დიდი ორგანიზატორული ნიჭი: პარტიას, რომელსაც შეუძლია დაფასება, თავისკენ მიზიდვა და წარმოჩენა ქვეყნის საუკეთესო ადამიანებისა, თავისუფლად შეუძლია დაუმარცხებლობის იმედი ჰქონდეს მომავალშიც.

სამწუხაროდ, იმისათვის, რათა შეძლო ასეთი ადამიანების დაფასება, თავად უნდა იყო ნიჭიერი, რათა დაინახო მათი ღირსება და არ გეშინოდეს მათი მეტოქეობისა.

82. ადგილობრივი ლიტერატურის მიმოხილვა

კავკასიის დამოუკიდებელი რუსული პრესა—პრესა ხუთ მილიონიანი მოსახლეობისა—მიყუჩდა. „ტიფლისსკი ვესტნიკისა“[10] და „ობზორის“[6] გამოცემათა შეწყვეტის შემდეგ მის სამსახურში დარჩა, ერთის მხრივ, იუმორისტული ჟურნალი „ფალანგა“[58], ხოლო, მეორეს მხრივ კი, სრულიად არალიტერატურული გამოცემები „ტიფლისსკიე ობიავლენია“ და „კავკაზსკი კურიერი“ („კავკაზსსკიე ობიავლენია“-ს ყოფილი დამატება). წელიწადზე მეტია ადგილობრივი მკითხველი მოკლებულია საშუალებას ნაიკითხოს ისეთი რუსული გამოცემა, რომელიც ადგილობრივ საზოგადოებრივ საკითხებს, ყოველდღიურ გასაჭირს გააცნობს მას. წელიწადზე მეტია, ადამიანები, რომლებიც ბოროტებად თვლიდნენ ჩვენში დამოუკიდებელი პრესის განვითარებას, ტახტზე ნებივრად მიწოლილან პრესისაგან ყოველნაიარდ ხელშეუხებელნი.

ერთი დღით მაინც რომ დავბრუნებლიყავით ჩვენს ადრინდელ საქმიანობას, აუცილებლად შევეცდებოდით გაგვერკვია, მაინც ვის მოუტანა სარგებლობა ადგილობრივი დამოუკიდებელი პრესის აკრძალვამ? განა მოისპო „უხერხულობანი და სიძნელეები“, რომლებიც ადრე ხელს უშლიდნენ ჩვენს საზოგადოებრივ საქმიანობას და, რომლებიც ხშირად განისჯებოდა ჩვენს ადგილობრივ პრესაში? განა ახლა ნაკლებია შავი ლაქები ჩვენს საზოგადოებრივ ჰორიზონტზე, ვიდრე იმ დღეებში, როცა ჩვენი გაზეთები იბეჭდებოდა? განა უკეთ მიდის ახლა საზოგადოებრივი საქმეები? დე, მკითხველმა თვითონ უპასუხოს ყველა ამ შეკითხვას, რომლებიც საკმარისია წამოაყენო და შემდეგ „გვერდი აუარო“.

რას წარმოაღგენდა გასული წლის მანძილზე ჩვენი ადგილობრივი ლიტერატურა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერ რუსულ პრესას მივამართოთ და მერე—ქართულს.

ჩვენს ოფიციალურ გაზეთ „კავკაზზე“[3] ლაპარაკიც ზედმეტია. მისი დამოუკიდებლობის მოთხოვნა იმას ნიშნავს, რომ არ გესმოდეს მისი მდგომარეობის ელემენტალური პირობები... შევნიშნავთ მხოლოდ, როგორც მიუკერძოებელი მემატიანე, რომ მთელი ამ წლის განმავლობაში მისი რედაქტორ-არენდატორის ნ. ი. ვორონოვის ავადმყოფობის გამო მისი დროებითი რედაქტორი დ. ა. კობიაკოვი შეეცადა შეძლებისდაგვარად გამოეცოცხლებინა ეს

მშრალი გამოცემა. საამისოდ მან გააძლიერა ადგილობრივი ინ-ფორმაციის, შენიშვნათა და კორესპონდენციათა განყოფილება. მის ხელში გაზეთი გაცილებით საინტერესო და ცოცხალი გახდა, ვიდრე ადრე იყო. მართალია, ზოგ სტატიაში (განსაკუთრებით თბილისის საბჭოს სხდომათა ანგარიშებში) შესამჩნევი იყო ტენ-დენციური მიკერძოება, რაც თავის დროზე აღინიშნა კიდეც „იუ-რიდიჩესკოე ობოზრენიაში"[59] (№15), მაგრამ ეს შედარებით უმ-ნიშვნელო წვრილმანია, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მი-ვიღებთ იმ სარგებლობას, რომელიც საზოგადოებრივი თვითმმარ-თველობის საქმისათვის მოაქვს ადგილობრივ პრესას მისდამი მი-კერძოებული ყურადღებითაც კი.

რაც შეეხება სხვა ორ პერიოდულ რუსულ გამოცემას, „კავკა-ზსკი კურიერსა" და „ტიფლისსკიე ობიავლენიას", მათზე მსჯე-ლობა საერთოდ ზედმეტია. სინამდვილეში ეს სააფიშო გამოცე-მებია, განკუთვნილი ადგილობრივ განცხადებათა გამოსაქვეყნე-ბლად პატარა სტატიები და შენიშვნები, რომლებიც მათში შემთ-ხვევით იბეჭდება, დაუმთავრებელ და, რაც მთავარია, მოუფიქ-რებლობის შთაბეჭდილებას ქმნიან. გასაგებია, რომ ამ გამოცე-მის ხელმძღვანელი პირები ვერ ისარგებლებენ ოდნავი გავლენი-თაც კი ადგილობრივ მკითხველ საზოგადოებაზე. ოღონდ ჩვენ არამცთუ არ უარვყოფთ ასეთ გამოცემათა სარგებლიანობას, არა-მედ, პირიქით, მთელი სულითა და გულით ვისურვებთ მის ფარ-თოდ გაშლას, ვინაიდან სწორედ ასეთი გაზეთებია საუკეთესო სა-შუალება ქალაქის მოსახლეობაში სერიოზული პრესის პოპულა-რიზაციისათვის. სამწუხაროდ, ამ საქმის მეთაურები ჯერ კიდევ სრულიად არ არიან მომზადებული ე.წ. „მცირე პრესის" წარმა-ტებით მართვისათვის, ესოდენ აუცილებელი რომ არის ყველგან. მაგრამ დასახელებული ორი გაზეთის მატერიალური წარმატება გვიჩვენებს, რომ, თუ ამ საქმეს ხელს მოჰკიდებენ უფრო მომზა-დებული ადამიანები, მალე დადგება დრო, როცა „მცირე პრესა" ჩვენშიც საბოლოოდ დაფუძნდება.

რუსული პრესიდან კიდევ უნდა აღინიშნოს წმინდად სპეცია-ლური გამოცემები—იუმორისტული „ფალანგა" და იურიდიული „სუდებნიე პორიადკი" და „იურიდიჩესკოე ობოზრენია". „სუ-დებნიე პორიადკი" არის არა მარტო სპეციალური, არამედ—უაღ-რესად სპეციალური გამოცემა. ეს არის ცდა იმისა, რომ პრესა

ჩარიონ ჩვენი ადვოკატების მუშაობაში, გამოააშკარაონ ის მოსამართლეები და მსაჯულები, რომელთაც „ჩაშალეს“ ადვოკატ ჟურნალისტთა გულთან ახლოს მდგომი პროცესები. მიკერძოება, ღაღადისი ჭეშმარიტების მოჩვენებითი დაცვის შესახებ, საზოგადოების წინასწარ განზრახვით შეცდომაში შეყვანა—აი, ამ გამოცემისათვის დამახასიათებელი თვისებები. აქ ებრძვიან არა წესებს, არა სისტემას, არა დაწესებულებებს, არამედ მხოლოდ პიროვნებებს, ხშირად ფრიად პატივსაცემებსაც კი. ერთი სიტყვით, ეს ვიწრო, პირადული საქმეა. ჩვენს მკითხველ საზოგადოებას უდიდეს ღირსებას მატებს ის გარემოება, რომ, მიუხედავად „სუდებნიე პორიადკის“ გესლიანი და სკანდალური ცდებისა—გამოააშკარაოს სასამართლოს გამოჩენილი მოღვაწენი, ამ გამოცემამ მაინც ვერ შეძლო ეპოვა გზა ადამიანთა გულებისაკენ და ამაოდ იხარჯება „საზოგადოების სრულ გულგრილობასთან ბრძოლაში“.

სულ სხვა საქმეა ა.ს. ფერნეკელის გამოცემა, რომელსაც ა.ვ. სტეპანოვი რედაქტორობს. როგორც ვიმედოვნებდით, „იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“ შეუძლია ღირსეული კონკურენცია გაუწიოს თვით დედაქალაქის საუკეთესო გამოცემებსაც კი. მასში გონივრულად და ოსტატურადა წარმოჩენილი ჩვენი სამართალწარმოებისა და სასამართლოს აგებულების მართლაც რომ არსებითი მხარეები. არავითარი „პიროვნება“, არავითარი მიკერძოება, მხოლოდ და მხოლოდ პირუთვნელი და უთუოდ თავისუფალი სამსახური საქმისა და არა პიროვნებისადმი... გულდასაწყვეტი მხოლოდ ისაა, რომ ეს საყოველთაოდ საინტერესო გამოცემა იძულებულია იურიდიული ამბებით შემოიფარგლოს. ჩვენ სულითა და გულით ვუსურვებდით ამ გაზეთს უფრო ფართოდ გავრცელებას და, ამასთანავე, მის ინტერესთა სფეროში შემავალი მოვლენების არეალის გაფართოებას.

გასულ წელს ქართული პერიოდული პრესა კვლავ ისეთსავე უსიცოცხლო მდგომარეობაში იყო, როგორც საერთოდ ამ უკანასკნელი წლების მანძილზე. „დროება“ [21] და „ივერია“[22] უწინდელივით ზანტად და ძილმორეული უყურებენ ამ ცხოვრებას და ყოველგვარ ხალისსა და ინტერესს უკარგავდენ ქართველ საზოგადოებას, რომელსაც, გარდა ამ ძნელად მოსანელებელი გამოცემებისა, სრულიად არაფერი აქვს წასაკითხი. გამოცემების სერი-

ოზული გაკრიტიკება არცა ღირს, ვინაიდან მათ არსებითად არავინ კითხულობს და მხოლოდ ჩვეულების თანახმად და pointol' hooneur -ის გამო თუ იწერენ. საჭიროა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ვინაიდან ამ გამოცემებს გასულ წელს ერთხელაც არ უგრძვნიათ შოლტის სუსხი, რომელიც ცოტა ხნით მაინც გამოაფხიზლებდა მათ, ისინი უფრო მოეშვნენ და ისეთი გამოხდომების უფლება მისცეს თავს, რომელთაც შეეძლოთ საბოლოოდ მოეკლათ და ტალახში ამოეთხვარათ ყველა გამოცემა, რომელიც კი იკითხება. მაგრამ ცნობილია, რამდენის უფლება შეიძლება მისცენ თავს დაუსჯელად იმ გამოცემებმა, რომელთაც არავინ არ კითხულობს. ოთხ კედელს შუა, მოწმეებისა და მაყურებელთა გარეშე ჩადენილი ცოდვები თუ ბოროტმოქმედებანი თითქმის მუდამ დაუსჯელი რჩება...

ქართველი საზოგადოება საკმაოდ დიდ იმედებს ამყარებდა ახალ გამოცემაზე, ეს იყო ყოველთვიური ჟურნალი „იმედი"Თ, რომელიც ბ-ნი უთურგაულის ხელმძღვანელობით დააარსა ახალგაზრდობის ჯგუფმა. ეს ჟურნალი გამოდის მიმდინარე წლის დასაწყისიდან, მაგრამ რატომღაც ბ-ნი უთურგაულის ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე. სამწუხაროდ, ეს მოლოდინი არ გაგვიმართლდა. ჟურნალს განაგებენ მოდუნებულად, უცოდინრად, ყურადღებას არ აქცევენ ადგილობრივი ცხოვრების მიმდინარე, არსებით საკითხებს. ჩვენდა სავალალოდ, ჟურნალში არცთუ იშვიათად გვხვდება მშრალი, აბსტრაქტული და უცოდინრობით დამძიმებული მასალები. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ცოცხალ სიმს და მწველ ბოროტებას აქამდე არავინ შეხებია, მიუხედავად ასეთი ფაქტების სიუხვისა. რატომღაც უნდა გვიკვირდეს, რომ ქართველმა საზოგადოებამ, რომელიც ჯერ არც ერთხელ არ გამოუფხიზლებია და აუღელვებია „იმედს", თითქმის არც კი უწყის მისი არსებობის შესახებ. გამოგიტყდებით, ჩვენ გაცილებით მეტის იმედი გვქონდა იმ თაობისა, რომელიც უშუალოდ მოჰყვა ჩვენს თაობას. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ეს მხოლოდ დროებითი წარუმატებლობაა და უფრო კეთილსაიმედო მატერიალურ გარემოში გამომცემლობის საქმე შეუდარებლად უკეთ წავა. ჩვენის მხრივ, მათ ვუსურვებდით, გადააკეთონ ყოველთვიური გამოცემა პოლიტიკურ გაზეთად. ასეთ ორგანოს გაცილებით უფრო საჭიროებს ქართველი საზოგადოება, ვიდრე სქელტანიან ჟურნალს.

ახლა არცთუ ისე მცირე იმედები უკავშირდება ქ. ქუთაისში ნებარდართულ გამოცემას,—ყოველკვირეულ პოლიტიკურ გაზეთ „შრომას“, რომელსაც ხელმძღვანელობენ ბატონები დ. დადიანი და დ. ნაზაროვი, ამ პიროვნებათა ირგვლივაა დაჯგუფებული ქუთაისის გუბერნიის თითქმის მთელი ინტელიგენცია და ჩვენ გვჯერა, რომ ეს გაზეთი შეძლებს ზეასწიოს ხალხის კეთილდღეობისათვის პატიოსანი ლიტერატურული სამსახურის დროშა. ჩვენს სიმპათიასა და თანადგომას სამართლიანად იმსაუხრებენ არა მარტო ამ გაზეთის მიმართულება და მიზნები, არამედ მისი მრავალრიცხოვანი თანამშრომლებიც.

ახლა „ფალანგას“ შესახებ. დედაქალაქის პრესამ უკვე გულთბილი ყურადღება მიაპყრო ამ პირველ და უაღრესად რთულ ცდას—პროვინციაში მხატვრულ-იუმორისტული ჟურნალის დაარსებას და მის დამსახურებაზე საუბრისას ცოტა გადააჭარბა კიდეც. ამის გამო არ შეიძლება არ ითქვას, რომ ეს ახალი გამოცემა მართლაც იმსახურებს საზოგადოების მთელ ყურადღებას, ოღონდ, ჩვენი აზრით, იგი მთლიანად მაინც ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც ჩვენ ვუყენებთ ამგვარ გამოცემებს. პირველ ყოვლისა, უნდა ვთქვათ, რომ „ფალანგა“ თავისი შინაარსით გაცილებით უფრო მაღლა დგას დედაქალაქის მსგავს გამოცემებზე, რომლებიც, უმეტესად, მკითხველი საზოგადოების გართობას ემსახურებიან. მაგრამ ეს, ჩვენის აზრით, ცოტაა. არსებითად თუ ვიტყვით, ლიტერატურული და საზოგადოებრივი თვალსაზრისით „ფალანგამ“ დღემდე მხოლოდ ნ.ვ. სიმბორსკისა და ი.ვ. თხორჟევსკის რამდენიმე შესანიშნავი ლექსი გამოაქვეყნა (ივან და მარია) დანარჩენთა უმეტესობა სუსტი იყო, არა ახალი და, რაც მთავარია, არა ძლიერი, არადამახასიათებელი. შევნიშნეთ აგრეთვე ერთი მიდრეკილება—ეს არის ცდა იმისა, რომ გავიცინოთ მხოლოდ სიცილისათვის. ამგვარ უმიზნო ხუმრობაზე მავნეა ისეთი საგნებისა ან მოვლენების დაცინვა, რომლებზედაც სრულიად ზედმეტია დროის კარგვა მათი არარაობის გამო. მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ დროთა განმავლობაში „ფალანგის“ ეს სიმი ჩაჩუმდება და გასაქანს მისცემს სიცილს, როგორც ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მიზანთა მისაღწევ იარაღს, ცხადია, საუკეთესოსა და უპატიოსნესს. ასევე ვიმედოვნებთ, რომ „ფალანგა“ შეძლებს თავი დააღწიოს გამეორებასა და

გრძელ თხზულებებს, რომლებითაც ის აქამდე ღარიბი არ ყოფილა და მეტ ადგილს დაუთმობს ადგილობრივ უარყოფით მოვლენათა დაცინვას; რამდენადაც შეძლებს, თავს დაესხმის არ მარტო წვრილმანს, არამედ—ცხოვრების სერიოზულ მოვლენებსაც. ჩვენ გვმართებს დავსძინოთ ისიც, რომ „ფალანგის" ზოგ გალაშქრებას ფრიად საჭირო სასიკეთო მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივი საზოგადოებისათვის.

თუ დავუბრუნდებით ლექსებს, უნდა დავუმატოთ, რომ „ფალანგაში" წარმოდგენილ ლექსთა უმეტესობა ეკუთვნის რუსული პოეზიის საუკეთესო მარგალიტებს. ბ-ნი თხორჟევსკის სახით, რომლის ნიჭიერებაც სულ უფრო და უფრო იფურჩქნება, „ფალანგას" ჰყავს ისეთი ლიტერატურული ძალა, რომლის მსგავსიც არ აბადია არც ერთ მსგავს გამოცემას. სასურველი იქნებოდა, თუ მისი სხვა განყოფილებებიც ასეთივე სიმაღლისა იქნებოდა ან, ყოველ შემთხვევაში, ლიტერატურულ ანსამბლს მაინც არ გააფუჭებდნენ.

რაც შეეხება სამხატვრო განყოფილებას, ის ყველაზე მეტად მოიკოჭლებდა „ფალანგაში". მხოლოდ ახლახან, კარიკატურისტ მ.მ. ჩემოდანოვის მოწვევის შემდეგ, ამ განყოფილებამ საგრძნობლად წამოიწია; ამ მხატვრის ბევრ ნახატს შეიძლება სამაგალითო ეწოდოს. ისევ ადგილობრივი საზოგადოების სასარგებლოდ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ იგი „ფალანგას" თავიდანვე ეკიდებოდა სრული თანაგრძნობით, ისე რომ, ჟურნალის მატერიალური მდგომარეობა შეიძლება ჩაითვალოს სავსებით უზრუნველყოფილად.

სამედიცინო, ტექნიკურ, სასოფლო-სამეურნეო და სხვა მშრალ სპეციალურ გამოცემებზე ლაპარაკს საჭიროდ არ მივიჩნევთ. ამ გამოცემებს ჰყავთ თავიანთი არცთუ ისე მრავალრიცხოვანი წრე მკითხველებისა. ვერც ერთმა მათგანმა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოპოვება აქამდე ვერ შეძლო.

დავამთავრეთ რა ადგილობრივი რუსული პრესის მიმოხილვა, ახლა ადგილობრივ მკვიდრთა სხვა გამოცემებზე გადავიდეთ.

სომხეთის პრესამ მძიმე დანაკლისი განიცადა, რადგან ამ დღეებში ყოველთვიური ჟურნალი „პორძი" („ცდა") დაასაფლავა, რომელიც ბ-ნი აბგ. იოანესიანის რედაქტორობით გამოდიოდა და ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო პერიოდულ გამოცემად სომხურ

ლიტერატურაში. მისმა გამომცემელმა განაცხადა, რომ საგრძნობი ზარალი ნახა, რადგან 14.000 მანეთზე მეტი დახარჯა საკუთარი სახსრებიდან ამ ჟურნალის საარსებოდ ოთხნახევარი წლის მანძილზე, ანუ დღიდან მისი არსებობისა. ჩვენ გვაკვირვებს ამ დანახარჯის სიდიდე, მაგრამ კიდევ უფრო მეტად გვაოცებს ის, რომ სომხეთის მდიდარმა და ინტელიგენტურმა საზოგადოებამ საჭიროდ არ ცნო მხარი დაეჭირა ბ-ნი აბგ. იოანესიანისათვის ამ ღონისძიებაში. ნუთუ ასე გაუძნელდა შეძლებულ პირთა ერთ ათეულს მაინც სომეხი საზოგადოებისათვის საკმაოდ ვარგისი ჟურნალის მიწოდება?

ჩვენი ახლანდელი და მომავალი ჟურნალების გამომცემელთა ჭკუის სასწავლებლად ვიტყვით, რომ „პორძის" წარუმატებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო ამ ჟურნალის განდგომა მიმდინარე საკითხებისა და ცხოვრების მოვლენებისაგან, აგრეთვე მისი სტატიების დიდი სიმშრალე თუ არქეოლოგიურობა. მათში ცოტა რამ გახლდათ პოპულარული. კომპეტენტურ მსაჯულთა აზრით, მასში ცოტა იყო მიმზიდველი და საინტერესო. იმედი გვაქვს, მომავალში ჩვენი გამომცემლები შეძლებენ გაიგონ, რომ საქმის ამგვარი წარმოება შეუძლებელია.

სომხური გაზეთების „მშაკის" („მუშა") და „მეგუს" („ფუტკარი") შესახებ არაფრის თქმა არ შეგვიძლია, გარდა იმისა, რომ ეს უკანასკნელი ყოველდღიურ გამოცემად გადაკეთდა.

83. სისხლის სამართლის სასამართლოს საფუძვლების შესახებ

ფორმალური მტკიცების თეორია, რაც ჩვენს სისხლის სამართლის პროცესში 1864 წლამდე იყო გაბატონებული, ამჟამად მოქმედმა სასამართლო წარმოების წესდებამ უარყო. მის ნაცვლად, 1864 წლის კანონის მიხედვით, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას საფუძვლად დაედო სხვა, სრულიად საწინააღმდეგო საწყისი—თავისუფალი, ყოველგვარ წინასწარდასახულ გარემოებათაგან შეუზღუდავი—სინდისის ხმა. სისხლის სამართლის პროცესის ისტორიული განვითარების მიხედვით ფორმალური მტკიცების საწყისი ყოველთვის წინ უსწრებდა თავისუფალი განხილვის საწყისს და ეს გასაგებიცაა: მხოლოდ იურიდიული მეცნიერების თანამედროვე განვითარების წყალობით შეძლეს იურისტებმა მისულიყვნენ იმ კეთილსინდისიერ დასკვნამდე, რომ კანონი უძლურია მოაწესრიგოს ცხოვრების ათასგვარი წვრილმანები; რა იდეალურიც უნდა იყოს კანონთა კოდექსი, ცხოვრება მაინც გაუსწრებს მას წინ, რადგან შეუძლებელია ყოველდღიურად ვცვალოთ კანონები მაშინ, როცა ცხოვრება მუდმივად ცვალებადია და სულ ახალ და ახალ მოთხოვნებს გვიყენებს. ადამიანის სულის თავისუფლება ისევე უსაზღვროა, როგორც ის სამყარო, რომელშიც ვლინდება ადამიანის გენია. კანონს არა აქვს უტოპიური მიზანი—შეზღუდოს ის, რაც თავისი არსით შეუზღუდავია. ასეთი მიზნის დასახვა უბრალოდ განუხორციელებელი და უაზრო იქნებოდა—განა შეიძლება ქარს აღვირი ამოსდო ან მდინარის დინება აღმა შეატრიალო? კანონის წარმოშობის საფუძველი იმავე ადამიანის სულის მისწრაფებაა, მოაწყოს და მოაწესრიგოს ადამიანების ერთობლივი ცხოვრება, რათა მიაღწიოს ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების უმაღლეს მიზნებს. კანონი იქმნება პიროვნების თავისუფლების შესაზღუდავად, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს სჭირდება ერთობლივი ცხოვრების საარსებო ინტერესებს. კანონი კი არ ქმნის ცხოვრებას, არამედ თვით ცხოვრება ქმნის კანონს. შესაბამისად, ცხოვრება კი არ არის დამოკიდებული კანონზე, არამედ კანონი—ცხოვრებაზე. ამ უბრალო და მარტივი პრინციპის გაუგებრობამ მთელ კაცობრიობას დიდი დანაკარგები მოუტანა და მრავალი ქარიშხალი დაატეხა

თავს. მისი შეცნობისაკენ სწრაფვა და ცხოვრებაში გატარება მომავალშიც ბევრს შეიწირავს. რამდენ უბედურებას ავიცდენდით თავიდან ჩვენ მიერ აღნიშნული საწყისი თანაბრად რომ გვქონდეს შეგნებული ყველას და არა მარტო შეგნებული, ისე გვქონდეს ძვალსა და რბილში გამჯდარი, რომ ჩვენი შინაგანი განვითარების და საზოგადოებრივი ცხოვრების სტიმულის როლი შეასრულოს.

ტყუილად უყურებს საზოგადოება უნდობლად იუსრიტებს და ეჭვით აქნევს თავს, როცა ლაპარაკი მართლმსაჯულების მეცნიერულ შესწავლაზე ჩამოვარდება. მართალია, თავად პროფესიის თავისებურებათა გამო, ყოველი იურისტი ცოტათი კაზუისტია, ხოლო მართლმსაჯულების მეცნიერება მეტისმეტად დიდ ყურადღებას უთმობს ისეთ საგნებს, რომელთაც უშუალო და ახლო კავშირი არა აქვს ცხოვრებასთან, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც მოჩვენებითია. იურისტის კაზუისტობაში არაფერი ცუდი არ არის და უფრო იმას მოწმობს, რომ მისი დაწვრილმანებული ყურადღება მიქცეულია ცხოვრებისეულ-მართლმსაჯულებრივი ურთიერთობის პირობებისა და დეტალებისაკენ. ზოგიერთი საგანი, რომელსაც ზოგჯერ მართლმსაჯულების მეცნიერება სწავლობს და რომლებიც უსიცოცხლონი გვეჩვენება, ასეთებად მხოლოდ ერთი შეხედვით წარმოგვიდგება, ხოლო მეტი ყურადღებით თუ დავაკვირდებით, მათი ნამდვილი, რეალური კავშირი ცხოვრებასთან უდავოა და ეჭვს არ იწვევს. მხოლოდ იურისტებს მოაქვთ მკაცრად და თანამიმდევრულად ცხოვრებაში და სწორედ იმ სფეროებში, რომლებიც ხელმისაწვდომია მათი მოღვაწეობისათვის ის საწყისი, ზემოთ რომ გვქონდა საუბარი და რაც სასურველია, ჩვენი შინაგანი განვითარების სტიმული იყოს. მათ საბოლოოდ დაგმეს სისხლის სამართლის პროცესში ფორმალური მტკიცების თეორია და მის მაგივრად წამოაყენეს თავისუფალი სინდისის პრინციპი. ეს კი დიდი რეფორმაა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში. ფორმალური მტკიცების თეორიის ბატონობის დროს სასამართლო ყრუ იყო ცხოვრებისა და მისი მოთხოვნილებების მიმართ. მოსამართლეები მოქმედებდნენ როგორც ავტომატები, ან უკეთ რომ ვთქვათ, როგორც უბრალო არითმეტიკული გამომთვლელი მანქანები, რომლებიც აწარმოებენ მიმატებისა და გამოკლების სხვადასხვაგვარ მარტივ მოქ-

მედებებს. ასეთ პირობებში სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარება შეუძლებელი გახდა. ცხოვრება ცალკე იდგა, სისხლის სამართლის კანონმდებლობა კი—ცალკე, რადგან ისინი მხოლოდ გარეგნულად, ფორმალურად ეხებოდნენ ერთმანეთს. მათ ერთმანეთთან აკავშირებდა მხოლოდ კანონის მკვდარი მუხლი, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ უცვლელი რჩებოდა.

1864 წლის ცვლილებამ შეცვალა თვით შეხების წერტილი სისხლის სამართლის კანონმდებლობისა ცხოვრებასთან. დაწერილი კანონის მკვდარი მუხლის ნაცვლად კანონი დაუკავშირდა იმ „თავის ეპოქის ფიქრებს", რომლებიც მართლა უნდა იქნან შეტანილი კანონში, როგორც მისი ძირითადი და არსებითი ელემენტები. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შესაძლოა გარკვეული ქმედებანი დანაშაულად ითვლებოდეს, მაგრამ გარკვეული ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაზრისით ისინი არავითარ დანაშაულებრივ ელემენტებს არ შეიცავენ. ფორმალური მტკიცების თეორიის არსებობის დროს ამა თუ იმ მოქმედებაში ბრალდებულ კაცს, ცხადია გარკვეულ ვითარებაში, უთუოდ გაასამართლებდნენ, მაგრამ მეორე საწყისის, თავისუფალი სინდისის პრინციპის ბატონობის დროს, შეუძლებელია ამგვარი რამ მოხდეს. კანონი და გამოცხადებული სიმართლე—vere dictum,_ სასამართლოს განაჩენი ამ უკანასკნელ შემთხვევაში ცხოვრების წინააღმდეგ არ წავა, რა დაუპირისპირდება საზოგადოების თვალსაზრისს ამა თუ იმ საქმეზე, არ გახდება საყოველთაო გაკიცხვისა და უკმაყოფილების საგანი. საპასპორტო სისტემა დიდი ხანია დაგმობილია საზოგადოებრივი აზრის მიერ და ჩვენ არ ვიცით არც ერთი შემთხვევა სხვისი ან თუნდაც ყალბად შედგენილი პასპორტით გაწერის გამო მსაჯულებს სისხლის სამართლის კანონი გამოეყენებინოთ, თუ, რა თქმა უნდა, ამგვარ მოქმედებასთან არ არის დაკავშირებული სხვა დანაშაულობანი. იგივე შეიძლება ითქვას დანაშაულზე, რომელსაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის 997 მუხლი, რადგან იმ მოქმედებაში, რომელზედაც ამ მუხლშია ლაპარაკი, საზოგადოება დიდი ხანია არ ხედავს სისხლის სამართლის დანაშაულის არავითარ ელემენტს. ამგვარად, თავისუფალი სინდისის პრინციპი, რომელიც საფუძვლად დაედო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მოღვაწეობას, წარმოადგენს ცოცხლად მამოძრავებელ ძალას მისი სრულყოფის გზა-

ზე და მისწრაფებას, რაც შეიძლება მეტად შეესაბამებოდეს მართლმსაჯულება ეპოქის პირობებსა და შეხედულებებს. ამ საწყისის ბატონობის დროს ძველი, დრომოჭმული კანონები თავისთავად ქრებიან პრაქტიკიდან, შემდეგ კი კანონმდებლობიდან.

მაგრამ სამართლებრივი პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიხედვით, ყოველგვარი საწყისის—რაც უნდა ბრწყინვალე იყოს იგი—პრაქტიკულად განხორციელებას ისეთი პირობები უნდა შეექმნას და იმგვარი ფორმით უნდა გამოვლინდეს ცხოვრებაში, რაც მთლიანად შესაბამისი იქნება მისი არსისა. ყველაზე მშვენიერი და მაღალი თეორიული პრინციპიც კი შეიძლება ისე დამახინჯდეს ცხოვრებაში, რომ ვეღარც კი ვიცნოთ. აქედან ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პირობების განსაზღვრას, რომლებიც არსებითი და აუცილებელია თავისუფალი სინდისის პრინციპის საწყისის სასამართლოში პრაქტიკულად დანერგვისას.

უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ ფორმალური მტკიცების თეორიის გაუქმების შემდეგ ბრალდებულის ბედი მთლიანად მოსამართლის ხელში აღმოჩნდა. ასე რომ, მოსამართლეს თუ უნდა, შეგვიწყალებს, უნდა—დაგსჯის. ასეთი განწყობილება, არცთუ იშვიათად, ჩვენშიც რომ არის გავრცელებული, ჭეშმარიტად დამღუპველია მართლმსაჯულებისათვის. დასავლეთ ევროპაში ლეგალური მტკიცების თეორიის შესუსტება ხელჩაკიდებული მიჰყვებოდა პროცესის წარმართვისა და მხილების მეცნიერული თეორიის განვითარებას, მკაცრი ფორმალური მოთხოვნილებები იქ იმდენად იხევდა უკან, რამდენადაც იურისტების მეცნიერულ შეგნებაში მუშავდებოდა და მწიფდებოდა სახელმძღვანელო საწყისი მხილებისა და მტკიცების მნიშვნელობაზე. პროცესის თეორიის განვითარების თანამედროვე დონეზე ფორმალური მტკიცების თეორია მთლიანად უარყოფილია და მოსამართლეები ბრალდებულს ასამართლებენ სინდისის შინაგანი მრწამსით, რაც დაფუძნებულია საქმის ყველა გარემოების ერთობლივ განხილვაზე. ამავე დროს, სასამართლოს განაჩენს საფუძვლად ედება არა პირადი აზრი ან სიმპათია-ანტიპათია, არამედ მეცნიერული ცოდნა, რომელიც განპირობებულია პროცესის მეცნიერების მიერ გამომუშავებული და მზრუნველობით დაცული იმ საწყისების პრაქტიკით, რის მიხედვითაც ისაზღვრება აზრი სასამართლოს მტკიცების ძლიერებაზე. ჩვენს

კანონმდებლობას, რომელმაც ფორმალური მტკიცების თეორიის ნაცვლად შემოიღო შინაგანი მრწამსის საწყისი, არ უფიქრია გაეთანაბრებინა ეს მრწამსი მოსამართლის თვითნებობასთან. ეს ნათლად ჩანს სისხლის სამართლის კოდექსის 801 მუხლიდან, რომლის ძალითაც, როცა სასამართლოს თავმჯდომარე მსაჯულებს კითხვების ფურცლებს ურიგებს, ვალდებულია აუხსნას მათ მტკიცებისა და მხილების მსჯელობის სახელმძღვანელო საფუძვლებიც.

ამჟამად მოქმედი სასამართლო წესდების შედგენის დროს კომისიის წევრთა ერთმა ნაწილმა საჭიროდ ცნო იმის აუცილებლობაც კი, რომ შეეტანათ კანონის ტექსტში პროცესის მეცნიერების მიერ ზოგი უფრო კარგად გამომუშავებული წესი. მაგრამ ამ საკითხის საბოლოოდ განხილვის დროს მხედველობაში მიიღეს ის, რომ ეს წესები ვერ გასწვდებიან სინამდვილის მრავალგვარ შემთხვევებს და მათი შეტანა კანონების ტექსტში ანდა მათ განსაკუთრებულ დამატებაში მხოლოდ შეზღუდავდა მოსამართლეთა თავისუფლებას. წესდების შემდგენლები მსჯელობდნენ იმაზე, რომ დასავლეთ ევროპის სასამართლოებში მოსამართლეების შინაგანი მრწამსი დაფუძნებულია არა მოსამართლის პირად აზრზე ამა თუ იმ მტკიცების შესახებ, არამედ საკითხის მკაცრად განხილვაზე სამართალმცოდნეობის მითითებების მიხედვით, რომელმაც გამოიმუშავა თვით მტკიცების თეორია. 1864 წლის კანონის თვალსაზრისით ზუსტად ასე იქნება ჩვენშიც, რადგან იურიდიული განათლება ფართოდ ვრცელდება, ხოლო სასამართლო პრაქტიკა უკვე იწყებს მკვიდრ საფუძველზე დამკვიდრებას, რის შედეგადაც, ფორმალური მტკიცების თეორიის გაუქმების შემდეგ, სასამართლოს დაეხმარება „იურისპრუდენციის მეცნიერება". და ბოლოს, თუ ასეთ ოპტიმალურ თვალსაზრისს მთლიანად არ გაამართლებს პრაქტიკა, ნავარაუდევია, რომ მტკიცების ძალაზე მსჯელობის სახელმძღვანელო წესების შედგენა შეიძლება აუცილებელი გახდეს, ასეთ როლს შეასრულებდა იუსტიციის მინისტრის მიერ შედგენილი განსაკუთრებული ინსტრუქცია სასამართლოს თავმჯდომარეებისათვის.

ზემონათქვამიდან ცხადია, რომ სისხლის სამართლის განაჩენს მოსამართლის პირადი შეხედულებები და მისი თვითნებობა კი არ უნდა დაედოს საფუძვლად, არამედ—მკაცრი და ცხადი შეგ-

ნება, რომელიც დაფუძნებული იქნება იმ მონაცემებზე, მეცნიერებამ რომ გამოიმუშავა და შემოწმდა სასამართლო პრაქტიკით. ამიტომ ისიც ცხადია, რომ სასამართლოს, რომელიც ადამიანს სინდისის მიხედვით ასამართლებს, სათავეში უნდა ედგეს განათლებული და გამოცდილი იურისტი, მაგრამ აქედან სრულებით არ გამომდინარეობს ის, რომ თვით სასამართლო იურისტების ხელში უნდა იყოს. იურისტებს ყველაზე ნაკლებად შესწევთ უნარი სისხლის სამართლის მოსამართლენი იყვნენ და ყოველ შესაბამის ვითარებაში თავიანთი თავი წარმოადგინონ ცხოვრების ჭეშმარიტი მოთხოვნილებებისა და ჭეშმარიტი საზოგადოებრივი სინდისის გამომხატველებად. მაგრამ ამის შესახებ შემდეგ მოგახსენებთ.

★

ჩვენ ვამბობდით, რომ იურისტები არ გამოდგებიან სისხლის სამართლის სასამართლოს მოსამართლეებად, რომ მათ არ შესწევთ უნარი იყვნენ რეალური საჭიროებისა და ნამდვილი საზოგადოებრივი აზრის გამომხატველნი. ეს აზრი ახალი არაა. მაგრამ უბედურებაც სწორედ ის არის, რომ ასეთია ყველა დიდი ჭეშმარიტების ბედი: ნათელი გონების ადამიანები დიდი ხანია მიხვდნენ, რომ დიდი ჭეშმარიტებების ცხოვრებაში დამკვიდრება ძალზე ხანგრძლივი და მძიმე პროცესია, საბოლოოდ კი, ერთ დროს ერეტიკული აზრები მოარულ, ბანალურ ჭეშმარიტებებად გადაიქცევიან ხოლმე. ჯერ კიდევ ეკატერინე II-ის „ნაკაზში" (170 ILX მუხლში) ნათქვამია: დანაშაულის მტკიცებათა მოპოვებას სჭირდება სიმკვირცხლე და ნიჭი. მტკიცებებიდან დასკვნის გამოტანას სჭირდება ზუსტი და ნათელი აზრები, ხოლო საბოლოო დასკვნის გამოსატანად უბრალოდ და საღად უნდა აზროვნებდე. ეს უნარი უმჯობესია ამა თუ იმ მოსამართლის მთელ გამოცდილებაზე, რომელიც მიჩვეულია ყველგან დამნაშავე დაინახოს. ამის გამო (180 მუხლი) ეს კანონი ძალზე სასარგებლოა იმ საზოგადოებისათვის, სადაც მიღებულია ყოველი ადამიანის მისივე ტოლი კაცისაგან გასამართლება, რადგან, როცა ლაპარაკია მოქალაქის მდგომარეობაზე, ადგილი არ უნდა ჰქონდეს არავითარ ტვინის ჭყლეტას, რასაც ჩვენში თანამდებობა, სიმდიდრე და ბედნიერება იწვევს. მათ არ უნდა ჰქონდეთ ადგილი მოსამართლესა და

ბრალდებულს შორის. „ნაკაზიდან“ მოყვანილი მუხლი სხვა არაფერია, თუ არა პერიფრაზი ბეკარის ცნობილი თხზულებებიდან „დანაშაულისა და სასჯელის შესახებ“, რომელიც ჯერ კიდევ 1764 წელს გამოიცა: „მტკიცების ზნეობრივი უტყუარობა,—ამბობს ადამიანის გულის ეს დიდი მესაიდუმლე,—უფრო ადვილია იგრძნო, ვიდრე ზუსტად განსაზღვრო. აი, ამიტომ ვფიქრობ, რომ ყველაზე უკეთესი იქნება მთავარ-მოსამართლეს დავუნიშნოთ თანაშემწეები, რომელთაც კი არ დანიშნავდნენ, არამედ კენჭის ყრით აირჩევდნენ, რადგან ამ შემთხვევაში უმეცრება, რომელიც გრძნობის მიხედვით სჯის, იმ სნავლულებზე უფრო საიმედოა, რომლებიც თავიანთი შეხედულებების მიხედვით ასამართლებენ“. სადაც კი კანონი ცხადი და ზუსტია, იქ მოსამართლის მოვალეობა მხოლოდ ისაა, რომ დარწმუნდეს მტკიცებათა სისწორეში. თუ დანაშაულის მტკიცებათა მოპოვების დროს საჭიროა ნიჭი და სიჩქარე, თუ გამოძიების მიერ მოპოვებული მოვლენების გადმოცემის დროს საჭიროა სიცხადე და სიზუსტე, განაჩენის გამოსატანად სხვა არაფერია საჭირო, გარდა ჩვეულებრივი აზრისა, რომელიც მოსამართლის ცოდნაზე ნაკლებ მაცდუნებელია. ეს უკანასკნელი ხომ ძირითადად იმ სურვილს ემყარება, რომ იპოვოს დამნაშავე და საამისოდ იგი ყველა თავის დასკვნას აფუძნებს იმ ცრუ ცოდნაზე (sistema), პირადად მან რომ მოიგონა. „ბედნიერია სახელმწიფო, სადაც კანონები მეცნიერება არაა“. მეორეს მხრივ, როგორც ინგლისელი იურისტი ბესტი შენიშნავს, ხალხის წიაღიდან არჩეული სასამართლო შეიძლება შეცდეს, მაგრამ, მისი სიტყვები რომ ვიხმაროთ, ამგვარი დროებითი ტრიბუნალის შესაძლებელი შეცდომა ნაკლებად მავნებელია, ვიდრე იურისტი მოსამართლეების. პირველ შემთხვევაში შეცდომას დროებითი ხასიათი, შემთხვევითი, მარტივი იმპულსის მნიშვნელობა აქვს, მეორე შემთხვევაში კი ხდება მისი სისტემატიზაცია, შეცდომა გვევლინება პრეცედენტად და უთუოდ განმეორდება მრავალი ამგვარი საქმის განხილვის დროს. იუსტუს მეზერი თავის „პატრიოტულ ფანტაზიებში“ (მუხლი XVIII) სვამს შემდეგ საკითხს—იქნება კი სამართლიანი, რომ სისხლის სამართლის განაჩენი გამოტანილი იქნეს სნავლული იურისტების მიერ? და ამ კითხვაზე მტკიცე პასუხს თვითონვე იძლევა—„არა“. რა შეიძლება იყოს,—ამბობს იგი,—იმაზე უსამართლო და სასტიკი, ისე გავასამართლოთ ადა-

მიანი, რომ წინასწარ არ ვიყოთ დარწმუნებული, იცნობდა კი ეს ადამიანი იმ კანონს, რის დარღვევაშიც ბრალი ედება, ანდა იქნებ საერთოდ არც შეეძლო სცოდნოდა კანონი? იმის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი, რომ ბრალდებული იცნობდა და ესმოდა კანონი, შეიძლება იყოს მხოლოდ არა სწავლულთა, არამედ იმ უბრალო ადამიანების მიერ გამოტანილი განაჩენი, რომლებიც თავიანთი გადაწყვეტილებით დაგვიდასტურებენ, რომ ყველას შეუძლია იცოდეს ეს კანონი, რადგან მის გასაგებად მხოლოდ საღი აზრია საჭირო.

ეს არის ერთადერთი გზა იმისა, რომ ყველა ჩასწვდეს კანონის არსს, გზა, რის მოცემაც სწავლულს არ შეუძლია, რადგან მისი გონება მეტისმეტად განვითარებული, მეტისმეტად დახვეწილია და მეტისმეტად მაღლა დგას ჩვეულებრივი გონებრივი განვითარების დონეზე. კაროლინაში მიღებული ფიცი მოითხოვს ადამიანის ბედის გადამწყვეტი განაჩენისადმი უკიდურესი სიფრთხილით მიდგომას... მაგრამ სწავლულის უკიდურესი სიფრთხილეც კი დიდად განსხვავდება დამნაშავის უკიდურესი სიფრთხილისაგან. სწავლული ბუნებისმეტყველია, რომელიც ერთსა და იმავე საგანში გამადიდებელი შუშის მეშვეობით ათასგვარ ისეთ რამეს ხედავს, რაც სრულიად უყურადღებოდ რჩება უბრალო თვალს. გარდა ამისა, იგი არის დახვეწილი მორალისტი, რომელიც დიდი ხანია სწავლობს ადამიანის გულს და ისეთ დეტალებშიაც პოულობს ხინჯს, რომელნიც ჩვეულებრივ ცხოვრებაში შეუმჩნეველი რჩება. აი, რატომაა, რომ, როცა სწავლული იწყებს სისხლის სამართლის საქმის გარჩევას, იგი, თავისი მაღალი გონებრივი განვითარების გამო, შემდეგი საშიშროების წინაშე დგება; ან უკიდურესად მკაცრია, ან უკიდურესად შემწყნარებელი და ამიტომ ამგვარმა სწავლულმა არ უნდა აიღოს თავის თავზე სისხლის სამართლის საქმეების გადაწყვეტა. მაგალითად, ინგლისის კანონმდებლობის მიხედვით, აკრძალულია ყასბის მსაჯულად არჩევა, რაც სრულიად გასაგებია: კაცი, რომელიც ყოველდღე ტკბება ცხოველების სიკვდილისწინა ტანჯვის ყურებით, მისი დანით რომ იკვლებიან, შეიძლება მეტისმეტად სასტიკი იყოს რომელიმე საბრალო ცოდვილის მიმართ. გარდა ამისა, ეჭვგარეშეა, რომ სწავლულს კარგი აღზრდის შედეგად გარკვეულ სიტუაციაში შეიძლება მოეძალოს სულ სხვა გრძნობები, ვიდრე გაუზრდელ კაცს. რომელიმე უხეში

სკანდალი ან ჩხუბი, ბუნებრივია, კარგად აღზრდილ კაცს უფრო საძაგელი მოეჩვენება, ვიდრე რომელიმე უბრალო, უხეშ ადამიანს, ვინც შეიძლება პირუტყვთან ერთადაც კი გაზრდილა. საეჭვო არც ისაა, რომ ასეთი გრძნობები აუცილებლად მოახდენენ ზეგავლენას განაჩენზე. საეჭვო ისაა, შეძლებს კი სნავლული ასეთ შემთხვევაში შეინარჩუნოს საჭირო მიუკერძოებლობა?

ჩვენ ვერასოდეს დავამთავრებდით ამ წერილს, ყველა იმ ძველი თუ ახალი ავტორების ციტატები რომ მოგვეყვანა, რომლებიც მტკიცედ აღუდგნენ წინ სისხლის სამართლის განაჩენის გამოტანის უფლების მინიჭებას სნავლული იურისტებისათვის. ჩვენი შენიშვნებისათვის სავსებით საკმარისი იქნება, თუ მოკლედ მაინც ჩამოვაყალიბებთ იმ საერთო მიზეზებს, რატომ არ შეუძლიათ და არც უნდა იყვნენ იურისტები სისხლის სამართლის სასამართლოს მოსამართლენი.

ვფიქრობ, უდავოა დებულება, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ის სასამართლოა ნამდვილი და სამართლიანი სასამართლო, რომელიც ხელჩაკიდებული მიჰყვება ხალხის ცხოვრებას, მაგრამ ცხოვრების გვერდით სიარულს იგი სხვაგვარად ვერ შეძლებს, თუ მთლიანად არ გაიზიარა მისი შეხედულებანი, იდეალები და ეპოქის მთავარი მიმართულება. შეურაცხმყოფელია ისეთი სასამართლოს არსებობა, რომლის ზნეობრივი და გონებრივი დონე თავისი ეპოქის მოთხოვნილებებზე უფრო დაბლა დგას, მაგრამ უდიდესი უსამართლობაა ისეთი სასამართლოს არსებობაც, რომლის იდეალები საზოგადოებრივ იდეალებზე უსასრულოდ მაღლა დგას. არავის არ შეუძლია მოიმიზეზოს კანონის უცოდინრობა. ეს სიმართლეა და ეს წესი შეიცავს იმ არსებით პირობას, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნებოდა სისხლის სამართლის გონებრივი რეპრესიების არსებობა. მაგრამ ნათელია ისიც, რომ ამ საწყისის თანამიმდევრულ, რიგორისტულ გამოყენებას ცხოვრებაში მივყავართ ისეთ მკაცრ შედეგებამდე, ისეთ დრაკონულ წესებამდე, რომელთაგანაც ყველაზე შეურიგებელი კანონმდებელიც კი იბრუნებდა პირს. იმ ადამიანის სულს, რომელიც აღიზარდა საერთო საცხოვრებელში, ახასიათებს ზნეობისა და მორალის ერთგვარი თანდაყოლილი გაგება: არ შეიძლება ადამიანის მოკვლა, არ შეიძლება ცეცხლის წაკიდება, არ შეიძლება ქურდობა და ა.შ. მაგრამ

ყოველი კანონი განა ცოტას შეიცავს ისეთ განსაზღვრებას ან აკრძალვას, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო თითოეული ადამიანის სულში ჩაბუდებულ სიმართლის თანდაყოლილ გრძნობასთან, რაც მხოლოდ სხვადასხვა მიმართულებისა და ხასიათის საკანონმდებლო მოსაზრებების ძალით არსებობს? ამგვარი განსაზღვრებები და აკრძალვები ჩვეულებრივი ადამიანისათვის მიუწვდომელია და კანონმა რაც არ უნდა უჩიჩინოს მას, რომ არ შეიძლება კანონების უცოდინრობის მომიზეზება, მას მაინც არ ეცოდინება ის, რაც სპეციალური იურიდიული მომზადების გარეშე არასოდეს აზრადაც არ მოუვა.

ცხოვრება მრავალფეროვანია, მის ფართო დინებას მრავალი პატარა მდინარე და ნაკადული ერთვის, ამიტომ ამ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ, ურიცხვ მოვლენაში მხოლოდ ერთგვარი გამოცდილების, ცხოვრების ფერხულში ჩაბმული კაცი თუ გაერკვევა. სამართლიანი და არა „მითქმა-მოთქმას“ აყოლილი მოსამართლის მიზანი არ უნდა იყოს ნებისმიერი ადამიანის გასამართლება მის მიერ ჩადენილი რაიმე მოქმედებისათვის და თან ისე, რომ მასზე განზოგადებული თვალსაზრისით იმსჯელოს. არა, მოსამართლეს უნდა შეეძლოს დადგეს ბრალდებულის თვალსაზრისზე, განიხილოს მისი მოქმედება, არ უნდა უყუროს ბრალდებულს ზემოდან ქვევით უსასრულოდ მაღლა მდგომი არსების ზიზღიანი მზერით. ამისათვის კი საჭიროა, რომ იგი ისეთივე ადამიანი იყოს, რომელსაც კარგად ესმის იმ წრისა, სადაც დანაშაული ჩაიდინეს. მოსამართლე უნდა დაიბადოს, გაიზარდოს და აღიზარდოს ამ წრეში. მაშინ და მხოლოდ მაშინ დასდებს იგი მსჯავრს არა მოქმედებას, რაც სისხლის სამართლის იუსტიციის თვალსაზრისით უმნიშვნელოა, არამედ კაცს, რომელმაც ეს მოქმედება ჩაიდინა. ასეთ შემთხვევაში შეძლებს იგი სამართლიანად და გონივრულად გამოიყენოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ის საერთო საწყისი, რომლის მიხედვითაც არავის შეუძლია მოიმიზეზოს კანონის უცოდინარობა. მაშინ იგი დასჯის მხოლოდ იმას, ვინც მართლა იმსახურებს სასჯელს და არა იმას, ვინც უნებლიეთ ჩაიდინა დანაშაული ან „უკიდურესმა აუცილებლობამ“ ჩააგდენინა იგი, ანდა ასე მოქმედება და არა სხვაგვარად თავისი ღირსების საქმედ მიაჩნდა.

თუ საზოგადოებრივ წესრიგს არღვევს შეშლილი, მას სასამართლო კი არა, საავადმყოფო სჭირდება; თუ დამნაშავის შეხედულებები განსხვავდება საზოგადოებრივისაგან მისი განუვითარებლობის გამო, საჭიროა სკოლა ანდა ცხოვრების სხვაგვარი პირობები, რაც მისცემდა მას შესაძლებლობას თავისი მისწრაფებები სხვა მხრივ წარემართა. შეძლებს კი სწავლული იურისტი ამგვარ მოსამართლეობას? პასუხი ნათელია—ვერასოდეს! მართალია, უბრალო ხალხის შვილებიც არიან იურისტები, მაგრამ ყველა იურისტს ცხოვრებაში ერთი ამოცანა აქვს—იცოდეს კანონები და გამოიყენოს ისინი. მრავალი წლის მანძილზე კანონების შესწავლა, მათი ხშირად გამოყენება ბოლოს აჩენს ილუზიას, რომ კანონმდებლობით გამოხატული ცნებები ჩვეულებრივი ცნებებია. იურისტს ვერ წარმოუდგენია, ვინმემ არ იცოდეს ან არ ახსოვდეს ამა და ამ ტომის ამა და ამ კარის ამა და ამ თავში რომ რაღაც მითითება წერია. რაც უფრო სოლიდური ხდება იგი თავის სპეციალობაში, სულ უფრო მეტად და მეტად სცილდება სინამდვილეს და ბოლოს სრულიად სწყდება მას, ბრმავდება, აღარ ესმის ცხოვრების მოთხოვნილებანი, ვეღარ ხედავს მის მოუწესრიგებლობას. ამიტომაც არ შეუძლია ცხოვრებაში გონივრულად და საჭირო სამართლიანობით გაატაროს ის საწყისი, რომელზედაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და რომელიც სხვა არაფერია, თუ არა რესპრესიების არსებობის ერთ-ერთი არსებითი საწყისი, რომლის მიხედვითაც „არავის არ შეუძლია მოიმიზეზოს კანონის უცოდინარობა". მხოლოდ ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსულ ადამიანს, რომელიც შერწყმულია ხალხთან და მისი გულითა და სულით ცხოვრობს, შეუძლია იცოდეს, რომელი კანონი იყო ცნობილი ამ ბრალდებულისათვის და რომელი არა. იურისტი უნებლიეთ წინასწარ უშვებს, რომ კანონები ყველამ თანაბრად იცის. ეს არის პირველი, თუმცა არა მთავარი მიზეზი იმისა, რატომ არ შეუძლიათ სწავლულ იურისტებს და არც უნდა იყვნენ სისხლის სამართლის მოსამართლეები.

მოსამართლის სწორი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია, რომ მის თვალში ყოველ სისხლის სამართლის საქმეს ჰქონდეს თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რათა ეს საქმე რომელიღაც დიდი ხნის მივიწყებულ ისტორიად არ მოეჩვენოს და, გამომდინარე წმინდა გარეგნული ნიუანსების მსგავსებიდან,

მხედველობიდან არ გამორჩეს ყოველი ახალი საქმის სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხასიათი. ყოველ ადამიანს აქვს ისეთივე ცხვირი და ყურები, როგორიც სხვა ადამიანს, მაგრამ ყოველ ადამიანს აქვს თავისი საკუთარი სული, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის, თავისი ხასიათითა და შეხედულებებით, ერთი სიტყვით, აუცილებელია, რომ ყოველ საქმეში სისხლის სამართლის მოსამართლეს შეჰქონდეს ახალი თვალსაზრისი, რომელიც არ იქნება განპირობებული წინასწარ გამომუშავებული თეორიების ამოჩემებით. შეძლებს კი ამას იურისტი? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვერა. ჰკიდებს რა ხელს სისხლის სამართლის საქმის გარჩევას, იურისტი, როგორც პროფესიონალი, კარგავს მის თვალწინ ჩავლილი უამრავი მოვლენების ინდივიდუალიზების ყოველგვარ უნარს, იგი მისდაუნებურად ყოველ საქმეს ერთ საერთო ტიპს, საერთო ნორმას უთანაბრებს. შედეგად კი თავისსავე ბარიერს მიღმა აღარ ძალუძს ცოცხალი ადამიანისა და მისი ბედის დანახვა. ამგვარად, იგი რომელიმე კონკრეტულ ივანესა და პეტრეს კი არ ასამართლებს, არამედ ზოგადად ქურდს, მკვლელს, მძარცველს და ა.შ. ამის გამო ბრალდებულს ისეთი ზნეობრივი თვისებები და ხასიათი მიეწერება, როგორიც პირადად მას არ ახასიათებს, მაგრამ მოსამართლე უკვე მიჩვეულია მიანეროს ამგვარი თვისებები საერთოდ ქურდებს, მკვლელებსა და მძარცველებს. მოსამართლე ახალი თვალით უნდა უყურებდეს ყოველ საქმეს, განზე გაუხედავად, იმ თვალით, რომელიც წინასწარ განპირობებული არაა არავითარი ტიპებით, თეორიებითა თუ ჩარჩოებით. ასეთი მოსამართლე კი შეიძლება იყოს მხოლოდ ის კაცი, ვისთვისაც სასამართლო არ არის მუდმივი სამუშაო ადგილი. ასეთი მოსამართლისათვის მოსამართლეობა პროფესია კი არ არის, არამედ დროებითი სამოქალაქო ვალის მოხდა. მხოლოდ ასეთ მოსამართლეს შეუძლია შეიტანოს სისხლის სამართლის პროცესში ცხოვრებისეული ელემენტები, ურომლისოდაც ადამიანის ყოველი ნამოქმედარი ბრმა და დამანგრეველი ძალაა, რასაც არსებობის არავითარი უფლება არა აქვს.

სასამართლო ადმინისტრაცია
და პრაქტიკა ამიერკავკასიაში

ყველასათვის ცნობილია, რომ ამიერკავკასია განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება. ყოველი კანონი, რომელიც რუსეთისათვის გამოიცემა უმაღლესი ხელისუფლების მიერ, ამიერკავკასიაში მოქმედებას იწყებს მხოლოდ იმის ძირფესვიანი შესწავლის შემდეგ—უნდა დადგინდეს, რამდენად მოხერხებულია მისი გამოყენება ჩვენს მხარეში. მართალია, ზოგიერთი კანონი უცვლელად რჩება, მაგრამ კანონების უდიდესი უმრავლესობა და, ამასთანავე, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, იცვლება განსაკუთრებული დებულებებით და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს მოქმედებას ეს ცვლილებანი, ჩამოყალიბებულნი დებულებებში, თავდაპირველად მოქმედებენ, მაგრამ შემდეგ ან დავიწყებას ეძლევიან, ანდა მათ თვით ადმინისტრაცია აუქმებს. დაუსაბუთებლად ლაპარაკი რომ არ გამოგვივიდეს, მოვიტანთ რამდენიმე ფაქტს, ჩვენ თვალწინ რომ მოხდა. ყველასათვის ცნობილია ის გამმიჯნავი დებულება, ამიერკავკასიისათვის რომ გამოიცა: თავის არსით იგი მართლაც მეტად პრაქტიკულია, რადგან სწორადაა შეთანხმებული სასამართლო წესდებასთან და ამიტომ ჩვენი მხარისათვის დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო. მაგრამ იგი სასამართლო წარმოების ჯერ კიდევ ძველი წესის არსებობის დროს გამოიცა. ამიტომ მას ამჟამად ბევრი ნაკლი აქვს, რაც ადვილად შეიძლება გამოსწორდეს სასამართლო წარმოების 20 ნოემბრის წესდების მეშვეობით, მაგრამ საქმე ისაა, რომ, როცა ჩვენში სასამართლო წესდებები შემოიღეს, სამიჯნე დებულებების არც ერთი თავისებურებისათვის რატომღაც ხელი არ უხლიათ, თუმცა სამოქალაქო პროცესის ახალი მოთხოვნები თავისთავად მოითხოვდა ამას. პრაქტიკაში სამიჯნე დებულებების გარეგნული თავისებურებების შეუცვლელობა არაფრით არ შეიძლებოდა და ამიტომ იგი როგორღაც ყველამ მიივიწყა და, ბუნებრივია, აღარც საქმეში იყენებენ. კავკასიის სასამართლო ადმინისტრაციამ, რომელიც სასამართლოსაგან განზე დგას, არც კი იცოდა, რომ ადრე ჩვენში

სამიჯნე დებულებას პრაქტიკულად იყენებდნენ. მხოლოდ რაიმე განსაკუთრებული შემთხვევის წყალობით, როცა სამიჯნე დებულების ზოგიერთი თავისებურების შეუთანხმებლობა პრაქტიკასთან თვალსაჩინო ხდებოდა, სასამართლო ადმინისტრაცია სწრაფად, სასამართლოს დაუკითხავად ასწორებდა გაუგებრობას და კავკასიის კომიტეტის მეშვეობით აუქმებდა სამიჯნე დებულების ცალკეულ მუხლებს (როგორც ახლა წერენ, გააუქმეს 213, 144 და 203 მუხლები). მოსამართლენი მოულოდნელად ღებულობდნენ ცნობებს ამა თუ იმ მუხლის გაუქმების შესახებ, რომელთაც უამისოდაც უკვე დიდი ხანია, აღარავინ იყენებდა.

სისხლის სამართლის სასამართლოს საფუძვლების შესახებ

ყველაფერ ზემოთქმულს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ სწავლული იურისტი მოსამართლეები, მართლმსაჯულების ობიექტურობის თვალსაზრისით, არ შეიძლება გვერდით ამოუდგნენ იმ მოსამართლეებს, რომლებიც უბრალო ხალხიდან გამოვიდნენ. სწავლულის რიგორიზმსა და სპეკულატურ უსულგულობას ამ შემთხვევაში ცვლის ხალხის ცხოვრებისა და ჭირ-ვარამის ცოცხალი განცდა, რაც საზოგადოების თვალში დანაშაული არაა, იმას არც სასამართლო თვლის დანაშაულად. რა ჩამორჩენილი კანონებითაც არ უნდა ცდილობდნენ საზოგადოების ცხოვრების რეგულირებას, საზოგადოებრივი შეგნების თვალსაზრისით ისეთი მოქმედებანი, როგორიცაა თავქარიანობა, ცდომილება, უვარგისი იდეებით გატაცება, არ დაისჯება სისხლის სამართლის კანონმდებლობით არც პრინციპული თვალსაზრისით და არც თავისი უახლოესი შედეგების გამო, რადგან ეს ყოველივე ჩვეულებრივ არ შეესაბამება იმ ვიწრო და ეგოისტურ მიზნებს, რომელთაც ასეთ შემთხვევაში ისახავენ.

მოსამართლე იურისტი რიგორისტია როგორც თავისი განათლების, ისე თავისი პროფესიის გამოც. რაც უფრო ღრმად იცნობს იურისტი კანონებს, მით უფრო ძლიერია მასში მისწრაფება, გაამრუდოს სინამდვილის ცოცხალი მოვლენები და ძალდატანებით შერეკოს ისინი ერთხელ შექმნილი ნორმის ჩარჩოებში, რაც დამახასიათებელია კანონმდებლობის ყველა ფილოსოფიური თეორიისათვის, ამიტომ იგი კიდევ უფრო სცილდება აზროვნების სხვაგვარ, ანალიტიკურ სისტემას, რომლის დროსაც საერთო ცნებები გამომდინარეობენ ცალკეული შემთხვევების ტიპიური თვისებებისა და მოვლენების შესწავლიდან. გერმანელი იურისტის ჰეინცის მოძღვრების მიხედვით, იურისტს, მსაჯულებთან შედარებით, დიდი უპირატესობა იმ შემთხვევაში აქვს, როცა საქმე ეხება საერთო საწყისის პრინციპის კონსტატირებას, ცალკეულ შემთხვევაში იგი ხედავს მხოლოდ საერთო პრინციპის გამოვლენას, მაგრამ, ამავე დროს, მხედველობიდან რჩება ამ შემთხვევის კონკრეტული თავისებურებანი. ერთი სიტყვით, იურისტი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, ეძებს დანაშა-

ულის ზოგად, კანონიერ ნიშნებს. მსაჯული კი, პირიქით, უფრო აინდივიდუალურებს, უფრო მეტ ყურადღებას აქცევს მის ზნეობრივ მხარეს და ამიტომაც არ უწევს ანგარიშს კანონს, როცა ეს უკანასკნელი შეიძლება გადაიქცეს მხოლოდ და მხოლოდ ფორმალობად, აი, მსაჯულთა ამგვარი სასამართლო ხდება ხოლმე საზოგადოებრივი განწყობილების ბარომეტრად, კანონმდებლების ცოცხალ მითითებად, თუ რომელი კანონები უნდა მივიჩნიოთ ცოცხლად და უფლებამოსილად და რომლებმა მოჭამეს თავისი დრო. ცხადია, ამგვარი როლის შესრულება არ შეუძლიათ იურისტ მოსამართლეებს, რომლებიც გულგრილად, ხელოსანივით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ისინი კანონს იმიტომ კი არ იყენებენ, რომ იგი მეტად ცხოვრებისეულია, ეხმაურება მის მოთხოვნებსა და აკმაყოფილებს მის საჭიროებასო, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არსებობს.

სახალხო, ანუ მსაჯულთა სასამართლოს, სხვა ღირსებაც, უპირატესობანიც აქვს იურისტთა სასამართლოსთან შედარებით. სასამართლო ცუდადაა ორგანიზებული იქ, სადაც ხალხი არ იჩენს საკმარის ნდობას მისადმი და მისი განაჩენისადმი. ნდობა არც არის და არც შეიძლება იყოს იქ, სადაც სასამართლო ხელისუფლება იმ პირთა ხელშია, რომელთაც ნდობას უცხადებენ მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფალნი. უფლება, გაგასამართლონ შენივე წრის ადამიანებმა,—ამბობს ტოკვილი, ე.ი. შენმა თანამოქალაქეებმა, რომელთაც ირჩევენ ხალხიდან და რომლებიც არც მტრული და არც კეთილმოყვრული გრძნობებით არ ხელმძღვანელობენ, არავისზე არ არიან დამოკიდებულნი და არც ანგარებიანი მისწრაფებები ამოძრავებთ პატივისა და წარჩინებისკენ, არამედ გასამართლებენ უბრალოდ, ისე, როგორც სინდისი უკარნახებთ, ასეთი სასამართლო ყოველ მოქალაქეს არწმუნებს, რომ მას ასამართლებენ მიუკერძოებლად. შედეგად მასაც უჩნდება სურვილი, სხვებსაც ისე მოექცეს, რასაც თავისთვის ისურვებდა ან როგორიც საკუთარ თავზე გამოსცადა. ამ პრინციპითაა ორგანიზებული სასამართლო პროცესი ინგლისში და არსად სხვაგან, როგორც ინგლისში, სასამართლო არ დგას ასეთ მიუწვდომელ სიმაღლეზე. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ინგლისელთა პოლიტიკურ ცხოვრებაში არ არსებობს სხვა ხელისუფლება, რომელსაც საზოგადოების თვალში ისეთი დიდი ავტორი-

ტეტი ჰქონდეს და ხალხის მხრიდან ისეთი უსაზღვრო ნდობით სარგებლობდეს, როგორიცაა სასამართლო. ეს სრულიად სამართლიანია და მთლიანად ეთანხმება იმ პოლიტიკურ საფუძვლებს, რომელთაც უნდა ეყრდნობოდეს ყველა ნორმალური პოლიტიკური წყობილება. სახელმწიფო არ არის სხვა ხელისუფლება, რომელსაც იმდენი უფლება ჰქონდეს ცალკეული ადამიანის ბედის განსაზღვრისა, რამდენიც სასამართლოს. ყოველი ადამიანის ცხოვრებას, მის თავისუფლებას, ღირსებასა და ქონებას ყოველ წუთს შეიძლება შეექმნას საფრთხე იქ, სადაც მართლმსაჯულება უხეიროდაა ორგანიზებული და სადაც მოსამართლენი არ იცნობენ ცხოვრებას, არაკეთილსინდისიერი ან მექრთამენი არიან. იქ, სადაც საზოგადოებას არა აქვს საკმარისი ნდობა თავისი სასამართლოსადმი, თვით საზოგადოების ცხოვრება გაუფასურებული და უაზროა. რატომ იბორკავს ყოველი ცალკეული პირი თავს საზოგადოებრივი ბორკილით, კისრულობს გარკვეულ, ზოგჯერ საკმაოდ მძიმე მოვალეობას, თუ არა იმისათვის, რომ უზრუნველყოს როგორც თავისთვის, ისე სხვებისთვისაც არსებობის უმაღლესი კეთილდღეობით მშვიდად სარგებლობა?! ამგვარად, სასამართლოსადმი ნდობა, ე.ი. თითოეული მოქალაქის რწმენა, რომ იგი თვითნებურად და უსამართლოდ არ დაისჯება სისხლის სამართლის კანონით, რომ შესაბამის შემთხვევაში გარდუვალი საზოგადოებრივ ცხოვრების აუცილებლობის გამო კანონს მის მიმართაც გამოიყენებენ სამართლიანობის ზუსტი დაცვით და სასჯელის გარკვეული ზომით—აი, ეს წარმოადგენს სამართლიანი და მშვიდი ცხოვრების ერთ-ერთ არსებით საფუძველს.

მაგრამ იქ, სადაც სასამართლო დაწესებულებებში თავმოყრილი არიან სპეკულატური (რა თქმა უნდა, ფილოსიფიური გაგებით) რიგორისტები, მოწყვეტილნი ხალხის, მისი ფიქრებისა და სურვილებისაგან, არ შეიძლება სასამართლოსადმი ასეთი რწმენა არსებობდეს. არც ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთის საზოგადოება მოსამართლის ცნებაში დებდა უფრო ცუდ აზრს, ვიდრე ჩვენ გვაქვს საზოგადოების ყველაზე უკანასკნელ ნაძირალებზე, ხალხის თვალში მოსამართლე გამოიყურებოდა როგორც რომელიღაც მტაცებელი ფრინველი, რომლის მთელი მცდელობა მიმართულია იქეთკენ, რათა გამონახოს გამოსარჩენი და ხელში

მოიგდოს ნადავლი. „ნუ გეშინია სასამართლოსი, გეშინოდეს მოსამართლისა“—ამბობს ხალხური სიბრძნე. „მძვინვარე მეუწყებე“, „უწყების მწერლუკა“, „მდივნუკა“—აი, ის სახელწოდებები, რასაც ჩვენი საზოგადოება უწოდებდა მოსამართლეებს არც ისე დიდი ხნის წინათ, „კეთილ ძველ დროში“. როგორი მუქი საღებავებით შეიძლება დაიხატოს საკმაოდ რელიეფურად იმ საზოგადოების უსიხარულო ზნეობრივი მდგომარეობა, სადაც ბატონობს ასეთი წარმოდგენა მოსამართლეებზე, მისი ქონებისა და სიმშვიდის ამ უმაღლეს და ერთადერთ დამცველებზე? მართალია, ჩვენი ძველი მოსამართლეები არ იყვნენ ისეთები, როგორებსაც ახლა „სწავლულ იურისტებს“ უწოდებენ, მაგრამ აქ ის კი არ არის მთავარი, სწავლული იურისტი აწარმოებს მართლმსაჯულებას თუ იურისტი პრაქტიკოსი, რომელმაც ზეპირად იცის კანონთა კრებულის მთელი XV ტომი და საკასაციო გადაწყვეტილებების ყველა ნომერი, არამედ ის, რომ, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში სასამართლო საზოგადოებისათვის იმ უცხო პირთა ხელშია, რომელთაც არა აქვთ მისი უშუალო ნდობა, არ იცნობენ მას და არც იმაზე ზრუნავენ, რომ იდგნენ თავიანთი უმთავრესი ამოცანის სიმაღლეზე—ემსახურონ გარკვეული ეპოქის საზოგადოებრივი კავშირის ჭეშმარიტ ინტერესებს.

მსაჯულთა სასამართლოს მეორე ძვირფასი ღირსებაა—საზოგადოებისათვის მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. არ არსებობს ხალხისათვის მსაჯულთა სასამართლოზე უკეთესი იურიდიული სკოლა. არაფერი არ უწყობს ხელს საზოგადოებაში იურიდიული ჭეშმარიტების, კანონიერების დანერგვასა და გამტკიცებას უკეთ, ვიდრე საზოგადოების პირადი მონაწილეობა სასამართლო წარმოებაში გამოცდილი და განათლებული იურისტის ხელმძღვანელობით. ის ასი თუ ათასი მოქალაქე, რომლებიც ყოველწლიურად ესწრებიან სასამართლო სესიას მსაჯულთა მოვალეობის აღსასრულებლად, სახლში ჯანსაღი იურიდიული ცნებების მარაგითა და ცოდნით ბრუნდებიან და ამ ცოდნას უნებლიეთ გადასცემენ თავიანთ შვილებსა და თანამოქალაქეებს, რომლებიც მოუთმენლად ელიან თავიანთ რიგს, რათა საკუთარი წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივ საქმეში. სამი-ოთხი თაობის შემდეგ იურისპრუდენცია, არა როგორც სქოლასტიკური სიბრძნე, არამედ

როგორც საზოგადოების მაღალი ინტერესების ცოდნა, შეაღწევს საზოგადოების ზნე-ჩვეულებებში და სწავლულთა კაბინეტებზე გავლით, უფრო სწორად და უკეთესად, ვიდრე რომელიმე სხვა გზით, ხალხში გადავა და მისი მონაპოვარი გახდება.

ცალმხრივი რომ არ ვიყოთ, უნდა მივუთითო იმაზეც, რომ თეორიულად ყველა როდი აღიარებს მსაჯულთა სასამართლოს უპირატესობას პროფესიულ სასამართლოსთან შედარებით. მსაჯულთა სასამართლოს მოწინააღმდეგენი (რომელთა რიცხვი ყოველწლიურად კლებულობს) თავს იყრიან უპირატესად გერმანელი მეცნიერების ბანაკში და ამოდიან იმ არასწორი დებულებიდან, თითქოს ჟიურის არჩევის ინსტიტუტი პოლიტიკურ მიზნებს უფრო ემსახურება, ვიდრე—სასამართლო წარმოებისას. ჩვენ ვამბობთ, რომ ამგვარი თვალსაზრისი სწორი არაა. რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მსაჯულთა ინსტიტუტს აქვს და თავისი დანიშნულების მიხედვით უნდა ჰქონდეს კიდეც პოლიტიკური შეფერილობა. ქვეყანაში, სადაც არ შეიძლება უდანაშაულო ადამიანი დაისაჯოს, ხოლო დამნაშავემ თავი დააღწიოს სასჯელს, თავისთავად იგულისხმება, რომ შესანიშნავადაა უზრუნველყოფილი საზოგადოების წევრთა სამოქალაქო თავისუფლება. მსაჯულთა ინსტიტუტი მართლაც ყველაზე კარგი საშუალებაა უზრუნველყოს იმ საზოგადოებრივ საქმეთა მშვიდი და ნორმალური მსვლელობა, რომლებიც ემყარება სისტემებს, დასავლეთი (ევროპის საზოგადოების დიდმა ნაწილმა რომ შეიძინა უკვე და იმ სახელმწიფოებრივ იდეალებს წარმოადგენენ, რომლებშიც ეს სისტემები ჯერ კიდევ მთლიანად არ დანერგილა. დანიელი იურისტის რაპპის სიტყვებით: „ევროპისა და ამერიკის ყველა ხალხი, მიუხედავად მათი პოლიტიკური მრწამსის სხვაობისა, ერთნაირად უყურებს მსაჯულთა სასამართლო წარმოებას, უყურებს როგორ punetum saliens, რის დაკარგვაც გამოიწვევს პიროვნების მიერ თავისუფლების დაკარგვას, მრავალ კონსტიტუციაში, რომლებიც ძალაში იყვნენ ან შევიდნენ XIX საუკუნეში, რა განსხვავებულიც არ უნდა იყვნენ ისინი ერთმანეთისაგან, მსაჯულთა სასამართლო ყველა მათგანში ის მნიშვნელოვანი პუნქტია, რომელზედაც დაფუძნებულია ლიბერალური კონსტიტუციის მთელი შენობა". გამოჩენილი ინგლისელი კანონთმცოდნე იულიამ ფორსაიტი თავის თხზულებაში „History of trial by lury",

ლაპარაკობს პრესის თავისუფლებაზე, რითაც სამართლიანად ამაყობენ ინგლისელები, როგორც ერთ-ერთ ყველაზე დიდ სიკეთეზე, რაც ხალხს სწორედ მსაჯულთა სასამართლომ მოუტანა. „ინგლისში,—ამბობს იგი,—ყოველი პოლიტიკური პროცესი, ეს არის მთავრობის აპელაცია ხალხისადმი. მსაჯულებად არჩეული ხალხის წარმომადგენლები მოსამართლის ხელმძღვანელობით ყველა შემთხვევაში განსაზღვრავენ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების ფარგლებს, რაც საზოგადოებრივი საკითხების განხილვის დროსაა დასაშვები. ამგვარად, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება უშუალოდ მსაჯულთა ხელშია. ქვეყანაში, რომელიც მხოლოდ ფორმალურადაა კონსტიტუციური, შეიძლება არსებობდეს ყოველგვარი ადმინისტრაციული თვითნებობა მორჩილი ან მექრთამე მოსამართლეების წყალობით, ამისათვის საკმარისია მათი მოქმედება კანონიერი ფორმით იქნეს გამოხატული, მაგრამ როგორ უნდა იმოქმედო, როცა იმ მოსამართლეების ნაცვლად, რომელთაც თვითნებურად ცვლიან, საქმე გექნება საზოგადოებიდან არჩეულ შემთხვევით მოქალაქეებთან? ისინი არასოდეს არ წაართმევენ საკუთარ თავს ისეთ მნიშვნელოვან რამეს, როგორიცაა სიტყვის თავისუფლება. ისინი არ ჩათვლიან ნაწარმოებს მკრეხელურად მხოლოდ იმიტომ, რომ მასში განხილულია ხელისუფლების მოქმედება, რადგან შეგნებული აქვთ, რომ უფლებამოსილი არიან განიხილონ და გააკრიტიკონ ხელისუფლების მოქმედება. ამიტომ პრესა, აზრისა და სიტყვის ეს ახალი დროის უძლიერესი მოღვაწე, განსაკუთრებითაა დაინტერესებული ისეთი სასამართლოს არსებობით, რომელიც აძლევს მას უფლებას ზედამხედველობა გაუწიოს აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედებას“. ერთი ფრანგი იურისტი (თავის თხზულებაში „manucl du jury“) სამართლიანად ამბობს, რომ ხელისუფლება, რომლითაც მსაჯულები არიან აღჭურვილი, არ შეიძლება გამოიყენო და გადააქციო ჩაგვრისა და თვითნებობის საერთო სისტემად, რადგან მსაჯულთა მოსყიდვა ნიშნავს პატიოსანი მოქალაქის გარყვნას და მათ იძულებას საკუთარ ინტერესებს ამჯობინონ მჩაგვრელთა ინტერესები“.

როგორც ცნობილია, გერმანიაში მსაჯულთა სასამართლოების დაარსება შესაძლებელი გახდა 1848 და 1849 წლების მოძრაობის შემდეგ. ამასთანავე, ბევრ გერმანულ სახელმწიფოში მსაჯულთა სასამართლოები შეიქმნა მხოლოდ და მხოლოდ პრესისა და პოლიტიკური საქმეების გასარჩევად. გასაგებია, რომ იმ მშფოთვარე დროს მსაჯულთა გადაწყვეტილებანი არ გამოირჩეოდნენ სიდინჯით და ამა თუ იმ საქმის მიმართ მიუკერძოებლობით. სწორედ ამ ვითარებამ შეუწყო ხელი გერმანიაში სწავლულთა შორის მსაჯულთა სასამართლოს დაარსების მოწინააღმდეგეთა რიცხვის ზრდას, მაგრამ გმობენ რა მსაჯულთა მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს, რაც მეტყველებს მათ გატაცებაზე თავისი დროის პოლიტიკური იდეებით, პროფესიონალი მოსამართლეების დამცველებს ავიწყდებათ, რომ არაფრით უკეთესი არაა ის წესი, როცა მოსამართლის როლს პროცესის მიმდინარეობის დროს ერთი რომელიმე მხარე ასრულებს და როცა ასევე ნაკლებად შეიძლება გქონდეს იმის იმედი, რომ ახლა უფრო სწორი იქნება განაჩენი, ვიდრე პოლიტიკური ვნების გავლენის შემთხვევაში იყო.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ მსაჯულთა სასამართლო თავისი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ერევა, იგი მაინც არ არის პოლიტიკური დაწესებულება: იგი არ სცემს კანონებს, არ შეაქვს არავითარი ცვლილებები სახელმწიფო დაწესებულებების სისტემაში. იგი მხოლოდ და მხოლოდ პიროვნების იურიდიულ და ზნეობრივ ინტერესებს იცავს, რაც ცხადია, წარმოადგენს ყოველი სასამართლოს წმიდათაწმიდა მოვალეობას, მსაჯულთა სასამართლოს სამშობლოში, ინგლისში,—ამბობს მიტერმაიერი,—„მსაჯულთა სასამართლოში ხედავენ სამოქალაქო უფლებების დამცველ იარაღს, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება პოლიტიკურ დანაშაულს, რადგან მართლაც არსებობს იმის საშიშროება, რომ მოსამართლენი, რომელნიც ზემო ინსტანციაზე არიან დამოკიდებული, მიუკერძოებელი ვერ იქნებიან. მაგრამ ინგლისელები ამით ისე არ ამაყობენ, როგორც მსაჯულთა სასამართლოს წმინდა სამართლებრივი ღირსებებით, რაც იმით გამოიხატება, რომ ხალხი ენდობა კანონებს, შესაბამისად, იზრდება საერთო ნდობა იუსტიციისადმი: ინგლისელთა თვალსაზრისით, ჟიური მხოლოდ სასამართლო დაწესებულებაა".

სისხლის სამართლის სასამართლოს საფუძვლების შესახებ

სანამ შევუდგებოდეთ თავისუფლების, საჯაროობის, თანასწორუფლებიანობისა და სხვა ისეთი საწყისების განხილვას, რომლებზედაც დაფუძნებული უნდა იყოს ყოველგვარი სისხლის სამართლის სასამართლო, გვსურს მოკლედ გავაცნოთ მკითხველს ის მოსაზრებები და შეხედულებები, რომლებიც ძველი სასამართლოს მიმდევართა ბანაკიდან ისმის და რომელთა მეშვეობითაც სურთ დააკნინონ იმ ერთადერთი სასამართლო ფორმის ღირსება და სიდიადე, მართლაც რომ იმსახურებს ნამდვილი ხალხური სასამართლოს სახელწოდებას და საზოგადოების პატიოსნებისა და შეგნების გამომხატველია. ჩვენ ამ საკითხებს განვიხილავთ ავსტრიელი სწავლულის გუე-გლუნეკის თხზულების მიხედვით, რომელიც 1863 წელს, ავსტრიაში მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების წინ, ვენაში საჯაროდ წაკითხული მისი 7 ლექციისაგან შედგება. არის რა მსაჯულთა სასამართლოს დაუძინებელი მოწინააღმდეგე, განსაკუთრებით ამ სასამართლოს ფრანგული და გერმანული ტიპისა, გუე-გლუნეკმა თავის ლექციებში შეკრიბა და დააჯგუფა ყველა ის საწინააღმდეგო მოსაზრებები, რომლებიც კი შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო მსაჯულთა სასამართლოს ფორმის შემოღების წინააღმდეგ ავსტრიაში.

ავტორი მსაჯულთა სასამართლოს წინააღმდეგ იურიდიული, პოლიტიკური და სოციალური თვალსაზრისით ილაშქრებს. მოაქვს რა სტატისტიკური მონაცემები, იგი ამტკიცებს, რომ დანაშაულთა დიდ ნაწილს სჩადიან ღარიბი ადამიანები, რომელთაც არა აქვთ მუდმივი ხელფასი და ცხოვრების მუდმივი სახსარი. ერთი სიტყვით, დანაშაულს სჩადიან „მდაბიონი". მსაჯულებად კი ირჩევენ ან ნიშნავენ ასე თუ ისე შეძლებულ ადამიანებს, ყოველ შემთხვევაში, პატივცემულ, შეულახავი რეპუტაციის მქონე ადამიანებს. ამგვარად შედგენილი მსაჯულთა სასამართლო, ცხადია, შორსაა დამნაშავეთა უმრავლესობის ცხოვრებისეულ გარემოებათაგან და ცოტა რამ იცის მათი დაწყეველილი ცხოვრების, მათი ველური ინსტინქტების (ავტორი, ეტყობა, არ ცნობს ამ ფენის ადამიანების მოთხოვნილებებს და საჭიროებებს) შესახებ, ისევე, როგორც პროფესიონალებისაგან შემდგარმა სასამართლომ.

ამ უკანასკნელთ უპირატესობაც კი აქვთ მსაჯულთა წინაშე იმ თვალსაზრისით, რომ თავიანთი პროფესიის წყალობით ხშირად ხვდებიან მდაბიო წრიდან გამოსულ სუბიექტებს ან დამნაშავეებს და ძალაუნებურად აკვირდებიან მათ სახესა და ტიპს. მერედა განა მსაჯულთა სიები იმის მიხედვით დგება, რამდენადაა ესა თუ ის მსაჯული მომზადებული ამა თუ იმ საქმის გასარჩევად, განა კანონს ან პრაქტიკას გამომუშავებული აქვს რაიმე წესი, თავიდან აიცილოს ისეთი მოვლენების შესაძლებლობა, როდესაც მსაჯულს ცხოვრებაში პირველად უხდება ისეთი საკითხების გადაწყვეტა, ამ საქმეში ყველაზე არსებითი რომაა? დანაშაულს პრესის მიმართ არჩევენ არა ლიტერატორები და ჟურნალისტები, არამედ იგივე ვაჭრები და გლეხები, ქურდების, მოძალადეების და ა.შ. საქმეებს რომ არჩევენ. თუ სასამართლოში ცხოვრებისეული ელემენტების შეტანაზე ვზრუნავთ, მაშინ საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, ბრალდებულთა უმეტესობის, ანუ „მდაბიოთა“ დანაშაული გაარჩიოს „მდაბიოთა“ ნაღებმა, პრესის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული__ჟურნალისტებმა, გაფლანგვისა—ვაჭრებმა და ასე შემდეგ.

რა ვიწრო თვალთახედვა, გაგების რა სიღატაკეა! მსაჯულთა სასამართლოს დამცველები ამტკიცებენ, დანაშაული ან საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწყობლობის პროდუქტია, ანდა იმ ვნებებისა, ადამიანის სულს თან რომ ახლავს და მთელ მის არსებასთან განუყოფლადაა დაკავშირებული. იდეალურ საზოგადოებაში, სადაც სწორედ აღზრდიან ადამიანებს, სადაც ყოველგვარი სიმდიდრე და სხვა ცხოვრებისეული სიკეთეები თანაბრად განაწილდება, სადაც წარმოების არსებითი ფაქტორი, შრომა და კაპიტალი ერთმანეთთან გონივრულად დაკავშირდება, როცა თითოეული ადამიანი დაიკავებს მხოლოდ მისთვის შესაფერისსა და სამართლიან ადგილს, მაშინ გაცილებით ნაკლებ დანაშაულს ჩაიდენენ, რადგან საზოგადოებას არ ექნება ის მიაზმატიკური ნიადაგი, რომელზედაც იზრდება ისეთი უკეთური და მახინჯი მცენარე, როგორიც დანაშაულია. ის, რომ მსაჯულთა სასამართლო არის საზოგადოებრივი, ანუ სახალხო სასამართლო, უნდა დავაფუძნოთ ურყევ საწყისებზე. თუ სახელმწიფო მმართველობის ძველი ფორმები უშვებდნენ სახალხო მმართველობის ისეთ ტიპს, როგორიცაა სახალხო კრება, ჩვენ ხომ იმ პირობებს, ხალხის სახელმწ-

იფო მმართველობაში მონაწილეობის ამგვარი ფორმა რომ იყო შესაძლებელი, დიდად დავშორდით, ჩვენს დროში საზოგადოების სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობა ხდება სახალხო წარმომადგენლობის ფორმით, რაც ამა თუ იმ ხერხითაა ორგანიზებული. მაგრამ, ამავე დროს, წარმომადგენლობით კრებებს ხელში აქვთ აღებული საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელიც ერთია მთელი სახელმწიფოსათვის, რა ზომისაც არ უნდა იყოს იგი ტერიტორიულად. რაც უფრო ფართოა არჩევნების უფლებები, მით უფრო მრავალრიცხოვანია კრების შემადგენლობა და, ცხადია, უკეთესიც, რადგან მით მეტი პირისაგანაა წარმოდგენილი ხალხი, რომელსაც სინამდვილეში მართლაც აქვს იმის უფლება, რომ კანონები გამოსცეს.

სულ სხვაგვარია სასამართლო ხელისუფლების ფუნქციები. სასამართლო მოქმედებს გარკვეული ადგილის ფარგლებში, ყოველთვის საკმაოდ შეზღუდულ ტერიტორიაზე, იგი არც ქმნის და არც ადგენს ცხოვრების საერთო ნორმებსა და წესებს, იგი მხოლოდ იხილავს ნადვილი ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენებს და უფარდებს მათ არსებულ კანონებს. ამიტომ ხალხის სასამართლოში მონაწილეობა არ შეიძლება ფიზიკურად გამოიხატოს იმავე ფორმით, როგორითაც გამოიხატება კანონმდებლობის მიმართ, ამ შემთხვევაში ეს ფორმაა მსაჯულთა სასამართლო იმ 12 კაცის სახით, რომლებიც შემთხვევით ან რომელიმე წინასწარ შემუშავებული ხერხით აირჩევიან ამა თუ იმ ადგილის მცხოვრებლებისაგან და აკმაყოფილებენ ცნობილ, წინასწარ განსაზღვრულ საიმედობის პირობებს. ამგვარად, მსაჯულთა სასამართლო ხალხის სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობის ისეთივე ფორმაა, როგორც წარმომადგენლობითი კრების მონაწილეობა საკანონმდებლო ხელისუფლებაში. თანამედროვე სახელმწიფოს სამი ხელისუფლებიდან__საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი__მხოლოდ უკანასკნელი ეთმობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს და მხოლოდ მის მოქმედებაში არ ღებულობს საზოგადოება უშუალო მონაწილეობას.

თუ ვაღიარებთ, რომ დანაშაული არის საზოგადოებრივი ცხოვრების არაბუნებრივი პირობების პროდუქტი, მაშინ უნდა ვიკითხოთ, ვინ შეიძლება იყოს მისი საუკეთესო მოსამართლე, თუ არა იგივე საზოგადოება, იმავე პირობებში რომ ცხოვრობს, რო-

მელმაც დანაშაული წარმოშვა. მსაჯულთა ინსტიტუტის დამცველნი არასოდეს არ იყვნენ წოდებრივი ან პროფესიონალებისაგან შემდგარი სასამართლოს თაყვანისმცემლები. იმ პრინციპების მიხედვით, მათ მოძღვრებას რომ უდევს საფუძვლად, ამგვარი სასამართლოს არსებობა საერთოდ შეუძლებელიც კია, განა აუცილებელია იყო „მდაბიოთა ნაღები" იმისათვის, რომ იცნობდე და გესმოდეს იმათი, ვისაც სახელმწიფო მართლმსაჯულების სწავლული პროფესორი „მდაბიოებს" უნოდებს, განა აუცილებელია იყო ვაჭარი იმისათვის, რომ იცოდე, გესმოდეს და გონივრულად განიხილო გაკოტრების ან გაფლანგვის საქმე? მაშ, როგორი სახის მომზადებას თხოულობს ავტორი მოსამართლე მსაჯულთაგან? ყოველი დანაშაული ხომ რეალური ცხოვრების უბრალო ფაქტია, რისი გაგება და გაანალიზებაც ყველა ადამიანს შეუძლია. ვისაც უნდა ფორმალური მტკიცების თეორიას მიემხროს (რასაც თითქმის აკეთებს კიდეც გუე-გლუნეკი, რომელიც მსაჯულთაგან თავიანთი განაჩენის მოტივირებასაც კი მოითხოვს), ასეთებისათვის, რა თქმა უნდა, მსაჯულთა სასამართლო სასურველი არაა; მაგრამ ვინც ღრმადაა დარწმუნებული, რომ სისხლის სამართლის სასამართლოს საფუძვლად უნდა დაედოს თავისუფალი სინდისის საწყისი, უარს იტყვის პროფესიონალი მოსამართლეების სასამართლოს შექმნაზე.

გუე-გლუნეკის მთელ თხზულებას წითელი ხაზივით გასდევს განსაკუთრებით პრესის თავისუფლების საქმეში მსაჯულთა სასამართლოსადმი ღრმა სიძულვილი. ეს სიძულვილი აიხსნება უამრავი გამამართლებელი განაჩენით, რაც მსაჯულებმა ამგვარი საქმეების გარჩევისას გამოიტანეს, მაგრამ, თუ ამგვარი განაჩენების გამოტანის ფაქტი მართალია, მაშინ აქვს კი რაიმე გონივრული საფუძველი იმ სიძულვილს?

ჩვენს ეპოქაში როგორც პოლიტიკური, ასევე საზოგადოებრივი პრესა იმდენად ძლიერ ძალად მოგვევლინა, რომ არც სახელმწიფოს და არც საზოგადოებას აღარ შეუძლია მისი იგნორირება. პრესის თავისუფლების საკითხი ჩვენი დროის პუბლიცისტებს ორ ბანაკად ყოფს: ერთ ბანაკს მიაჩნია, რომ საჭიროა აღვირი ამოსდონ პრესას სხვადასხვა საშუალებით, იქნება ეს კანონმდებლური, ადმინისტრაციული თუ სასამართლოს არხებით. მეორენი ფიქრობენ, რომ პრესას უნდა მიენიჭოს იმგვარივე თავისუფლება, რო-

გორითაც სარგებლობს თავის სამშობლოში ყოველი მოქალაქე, რომელსაც არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული არავითარი დანაშაული. ამ უკანასკნელი აზრის დამცველნი ამბობენ, რომ პრესა ვერასოდეს ვერ დაუპირისპირდება საზოგადოების სიმშვიდესა და უსაფრთხოებას, მათი აზრით, ყველაფერი ეს პირიქით ხდება: თავისუფალი პრესა თვითონვე ატარებს თავის თავში საზოგადოებრივი სიმშვიდის ყველა ელემენტს. პრესა მხოლოდ აირეკლავს საზოგადოებრივ აზრს, რის ცოდნაც ყველგან და ყოველთვის სასარგებლოა. თავისთავად პრესას არა აქვს ის ძალა, რომ გამოინვიოს ან წარმოშვას ისეთი მოვლენები, ცხოვრებასა ან საზოგადოებაში რომ არ ჰქონდეს საკმარისი საფუძველი.

საწინააღმდეგო აზრი იმავე შეცდომას ჩადის, როგორიც ჩაიდინა იმ სოფლელმა ბიჭმა, როცა კითხვაზე, თუ საიდან უბერავს ქარი, უპასუხა ქარის წისქვილიდანო. ცხადია, მას არ ესმის, რომ, თუ ქარი არ იქროლებს, არც წისქვილი იმუშავებს. საზოგადოებაში, რომელიც მშვიდად ვითარდება, სადაც ყველა ან უკიდურეს შემთხვევაში სოციალური ელემენტების დიდი ნაწილი, ერთმანეთს შორის საჭირო აუცილებლობითაა განონასწორებული, პრესაც ზომიერი და მშვიდია. ყველაზე მგზნებარე წერილიც კი ასეთ საზოგადოებაში სრულიად უკვალოდ ჩაივლის, არავითარ შთაბეჭდილებას არ მოახდენს არავისზე და ხელმოცარული მწერალი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს აიგდებს მასხრად. ამგვარად, თუ პრესას მშფოთვარე და მოუსვენარი მისწრაფებები ამოძრავებს, ეს ამბავი სწორედ იმაზე მიგვითითებს, რომ ასეთი მისწრაფებები არსებობს საზოგადოებაშიც და საკმაოდ მომწიფდა იმისათვის, პრესის საშუალებით რომ გამოითქვას, თუ ამგვარ მისწრაფებებს შეუძლია რაიმე სიკეთემდე მიგვიყვანოს, ღმერთს მადლობა უნდა ვუთხრათ, მაგრამ, თუ ეს მისწრაფებები თავისი არსით დესტრუქციულია, განა უკეთესი იქნება ჭრილობიდან თავისუფლად გამომდინარე ჩირქის წყაროები დავახშოთ და ამით ანთებითი პროცესით მთელი ორგანიზმი მოვნამლოთ? საზოგადოებამ, რომლის ინტერესები გულთან ახლოს მიაქვს პრესას, კარგად შეითვისა ყველა ეს მარტივი ცნება და სწორედ ეს არის პრესის საქმეებზე უამრავი გამამართლებელი განაჩენის გამოტანის მიზეზი ყველგან, სადაც კი ისინი მსაჯულთა სასამართლოს ექ-

ვემდებარებოდნენ. ნათქვამიდან ჩანს, რამდენად სამართლიანი და საფუძვლიანია სწავლული პროფესორის აღშფოთება იმის გამო, რომ პრესის საქმეებზე მსაჯულებს გამამართლებელი განაჩენები გამოაქვთ. საფრანგეთის ახალი კანონი პრესის შესახებ, ახლახან რომ მიიღო სენატმა, პრესის საქმეებს უქვემდებარებს მსაჯულთა სასამართლოს და ყველა გონიერი ადამიანი ამ კანონს თვლის უდიდეს მონაპოვრად. ამ კანონის ძალით ავტორებს ბრალი დაედებათ არა საკუთარი აზრების გამოთქმის გამო (არავის უნდა ეკრძალებოდეს პატიოსნად გამოთქვას თავისი აზრი, თუნდაც ყველაზე მცდარი), არამედ იმ შესაძლო შედეგების გამო, რომელიც, შესაძლოა, მოჰყვეს მათ აზრებს. არ მოინახება არც ერთი გონიერი ადამიანი, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებზე ფიქრობს და რომელიც არ დაეთანხმება იმ პრინციპების სისწორეს, რომლებზედაც ეს კანონია დაფუძნებული.

გუე-გლუნეკი ფაქტიურად მსაჯულთა სასამართლოს დამცველთა ვერც იმ სწორ მითითებას უარყოფს, რომლის მიხედვითაც მსაჯულთა სასამართლო თავისუფალია ხელისუფლების ყოველგვარი ზეგავლენისაგან. იგი თავაზიანად გვეთანხმება, სწორედ მოწყობილი სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს, მაგრამ ამავე დროს ფიქრობს, რომ ძალზე ადვილია ასეთი დამოუკიდებლობა პროფესიონალ მოსამართლეებისათვისაც იყოს მოპოვებულიო. საამისოდ თითქოს საკმარისია დაუნიშნონ მათ სოლიდური ხელფასები და გაანთავისუფლონ მათი სამსახურებრივი კარიერა ადმინისტრაციული ხელისუფლების ზეგავლენისაგან. მაშინ, ავტორის აზრით, აღმოიფხვრება ყოველგვარი დამოკიდებულება, ანუ პატივის, ჯილდოებისა და წარჩინების ძიება, ანუ აღმოიფხვრება ის, რასაც მონტესკიე გარკვეული წესწყობილების სახელმწიფოების მიმართ ასეთი დამახასიათებელი სიტყვით განსაზღვრავს „cooruption". ასე რომ, კაბინეტის მეცნიერის აზრით, საკმარისია გამოიცეს კანონის ათი პარაგრაფი და თავდაყირა დადგება ადამიანის ბუნებაც და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიულად ჩამოყალიბებული პირობებიც. ყოველ ადამიანს, რომელიც ცოტათი მაინც იცნობს ცხოვრებას, კარგად ესმის ცნობილი ანდაზის „quel maitre? tel valet" ღრმა კრიტიკული სიბრძნე.

გუე-გლუნეკი უნდა ჩამოსულიყო რუსეთში, რათა გაემდიდრებინა ის ცხოვრებისეული გამოცდილება, რაც უდავოდ აკლია.

ჩვენ ახლა ყველას პირზე გვაკერია იგნატიევის ცირკულიარის ის კლასიკად ქცეული ადგილი, რომლის მიხედვითაც დაწესებულებები, რომლებიც რუსეთს წარსულმა დაუტოვა, თავისი კანონმდებლური პოტენციით მშვენიერია და უნარი შესწევთ შექმნან მართლაც სწორი და მშვიდი საზოგადოებრივი ცხოვრება, მაგრამ ცხოვრებამ ამ დაწესებულებებში შეიტანა „უსამართლობის და მტაცებლობის" ელემენტები, რის შედეგადაც მივიღეთ რაღაც ისეთი, რომელთა მსგავსის შექმნა არც განუზრახავს და არც მხედველობაში ჰქონია კანონმდებელს. ეს აზრი, ალბათ, არსად არ პოულობს ისეთ ცხად და სწორ დადასტურებას, როგორც ჩვენს ახალ სასამართლო დაწესებულებათა ბედში. ჩვენს ქვეყანაში სასამართლო რეფორმის დროს, მოსამართლეებს ისეთი ხელფასები დაუნიშნეს, რომ მაშინ ყველა გაკვირვებული იყო ასეთი ხელგაშლილობით. მოსამართლეები გამოაცხადეს შეუცვლელ მოხელეებად, არ შეიძლებოდა ისინი გადაყვანილი ყოფილიყვნენ ერთი ადგილიდან მეორეზე მათივე თანხმობის გარეშე, სამსახურიდან მათი დათხოვნა შეიძლებოდა ან პირადი სურვილით, ან სასამართლოს გადაწყვეტილებით. თანამდებობის პირთა შეცვლა თვით სასამართლოს კოლეგების წარდგენით უნდა მომხდარიყო. უკეთესი რაღა უნდა ყოფილიყო? როგორც საარსებო სახსრები, ისე პრესტიჟული სამსახურებრივი მდგომარეობა და კარიერა მთლიანად უზრუნველყოფილი ჰქონდათ, მაგრამ გავიდა მხოლოდ და მხოლოდ 15 წელი და ვის შეუძლია ახლა ღიმილის გარეშე ილაპარაკოს მოსამართლეთა შეუცვლელობასა და მათ მატერიალურ უზრუნველყოფაზე? ვის შეუძლია კარიერის გაკეთების იმედი ჰქონდეს, ზოგიერთი ქუდბედიანის გამოკლებით? ჩვენში ვინ არ იცნობს იმ უნივერსალურ სენს, რომლითაც შეპყრობილია ჩვენი სასამართლო წოდების ორგანიზმი და რაც ცნობილია „паломничества"-ს სახელწოდებით? სასამართლოს ნებისმიერ მოხელეს თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნია, წელიწადში ერთხელ მაინც გამოჩნდეს სამინისტროში. ერთნი ამას აკეთებენ იმიტომ, რათა არ დაივიწყონ, მეორენი რაღაცის სათხოვნელად, მაგრამ, ცხადია, ყოველგვარი წყალობა მხოლოდ იმ მოსამართლეებს ეყრებათ თავზე უხვი ხელით, ვინც მართლა დაუვიწყარი და ამის ღირსია.

თუმცა გუე-გლუნეკი არც მსაჯულთა სასამართლოს თვლის დამოუკიდებელ სასამართლოდ. აღმოჩნდება მსაჯულთა შორის

ნოქარი? იგი თავის პატრონზეა დამოკიდებული და, ცხადია, საქმეს ისე გადაწყვეტს, როგორც მის პატრონს სურს. აღმოჩნდება ვაჭარი ან ნოტარიუსი? ისინი თავიანთ კლიენტებზე არიან დამოკიდებული. ეს აზრები იმდენად გულუბრყვილოა, რომ მათი უარყოფა მარგალიტის ფანტვას ემგვანებოდა. საერთოდ კი, გუე-გლუნეკის აზრით, მსაჯულთა სასამართლო ყოველთვის დამოკიდებულია საზოგადოებრივ აზრზე, რასაც ავტორი უწოდებს „vox popul", მაგრამ განა ეს ცუდია? რატომ გვავიწყდება, რომ„vox populi-vox dei".

გაცხარებით ესხმის რა თავს მსაჯულთა სასამართლოს, პროფესორი მიგვითითებს იმაზე, რომ არსებობს თურმე, ე.წ. „იურიდიული მკვლელობის" მრავალი მაგალითი, მსაჯულებს რომ ჩაუდენიათ, მაგრამ ამის მაგალითები მას არ მოაქვს. ასეთი მკვლელობის ცნობილი და დამტკიცებული შემთხვევები მართლაც იშვიათია (გარდა, რა თქმა უნდა, რევოლუციის დროინდელი შემთხვევებისა, როცა საერთოდ ყოველგვარი საზოგადოებრივი ხელისუფლების აღსრულება, ასევე სასამართლო ხელისუფლებისაც, საზოგადოებრივ აგიტაციის ფორმას ღებულობს), შეიძლება ათიც კი არ იყოს. სხვანაირად არც შეიძლება, რომ ყოფილიყო, რადგან არასოდეს არსებულა, იდეალური ადამიანური დანესებულება. უკეთესი იქნებოდა ამ შემთხვევების გვერდით პროფესორს დაესახელებინა ის იურიდიული მკვლელობანი, სწავლული იურისტი მოხელეები რომ სჩადიან, რასაც იგი არ აკეთებს. ასეთი შემთხვევები კი, როგორც ამას ჩვენი საკუთარი გამოცდილება გვიჩვენებს, მართლაც მრავალია. მაგრამ პროფესორის განრისხების საიდუმლოება არც ამაშია. გუე-გლუნეკს მსაჯულთა სასამართლო უპირატესად იმიტომ არ მოსწონს, რომ იგი ხშირად ამართლებს ისეთ ბრალდებულებს, რომლებიც თვითონაც აღიარებენ დანაშაულს და ფაქტებიც ამაზე მეტყველებენ. ამგვარი მაგალითების ძებნით პროფესორი არ იღლება და ისინი მართლაც უხვად მოჰყავს. ჩვენ მათ შორის გამოვარჩევთ რამდენიმე ისეთ შემთხვევას, რომელთა დახმარებითაც გავარკვევთ მსაჯულთა სასამართლოს ყველა მოწინააღმდეგის ძირითად თვალსაზრისს.

სტრასბურგის გახმაურებული თავდასხმის შემდეგ გულმოწყალე ლუი ფილიპემ ნაპოლეონ III საფრანგეთის ფულით ამერი-

კაში გაისტუმრა მშვიდი ცხოვრებისათვის, მისი თანამონაწილენი კი მსაჯულთა სასამართლოს წინაშე წარდგნენ სახელმწიფო ღალატისა და ამბოხების მოწყობის ბრალდებით. მსაჯულებმა ისინი შემდეგი მოსაზრებით გაამართლეს: რატომ უნდა დაისაჯონ დანაშაულის იარაღად გამოყენებული ადამიანები, როცა მთავარი დამნაშავე თავისუფლად დანავარდობს თავის ნებაზე და ეს თავისუფლება მას შემთხვევით კი არ ერგო წილად, არამედ__ხელისუფლების შემწყნარებლობით. ამ განაჩენს გუე თვლის არაიურიდიულ განაჩენად, რომელიც ეწინააღმდეგება ლოგიკის ყოველგვარ წესსა და ერთობლივი საზოგადოებრივი ცხოვრების საწყისებს. ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, ვიკითხავთ: ვინ, თუ არა კანონის ყველაზე თავგამოდებული დამცველი ადამიანი, რომლისთვისაც იურიდიული სიბრძნის მთელი კოდექსი დაწერილია ცნობილი გამოთქმის „fiat justitia-pereat mundus" მიხედვით, ვინ თუ არა მასავით უიმედო ვაუბატონი, არ განეწყობოდა მსაჯულთა ზემომოყვანილი მსჯელობისადმი თანაგრძნობით?

მსაჯულთა სასამართლომ გაამართლა ერთ-ერთი ციხის ზედამხვედველი, რომელსაც ორცოლიანობა ედებოდა ბრალად.

იგი თვითონ გამოტყდა, რომ სხვა თანამდებობაზე გადაიყვანეს, მან მიატოვა ცოლი, როგორც აუტანელი ქალი და ახალ საცხოვრებელ ადგილას, სადაც მას არავინ იცნობდა, მეორედ დაქორწინდა.

თავის გასამართლებად მას არ ჰქონდა სხვა საბუთი, გარდა იმისა, რომ ერთმა ბატონმა, იმ ადგილიდან რომ იყო ჩამოსული, სადაც ზედამხედველი პირველად მსახურობდა, შეატყობინა მას პირველი ცოლის გარდაცვალების ამბავი. მაგრამ ბრალდებული არც იმ კაცს იცნობდა და არც მისი სახელი და გვარი იცოდა. როცა მსაჯულებს ჰკითხეს, რატომ მიიღეს ასეთი მოულოდნელი გადაწყვეტილება, მათი პასუხი ასეთი იყო: ნაწილობრივ იმიტომ, რომ მართლა შეეცოდათ კაცი, რომელიც სხვამხრივ ყველაფერში პატიოსანი იყო, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ დანამდვილებით იცოდნენ, რა აუტანელი ხასიათი ჰქონდა მის პირველ ცოლს.

გაუთხოვარი ქალიშვილი, მოსამსახურე გოგო, ამხილეს, რომ ვიღაცას ბავშვი მიუგდო, რაც თვითონაც სინანულით აღიარა. სასამართლოში თავშეყრილი ხალხისა და თვით ბრალდებულის გაკვირვება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ სასამართლომ თანაგრძნობა გაუწია ქალიშვილს და არავითარი განაჩენი არ გამოუტანა.

მდიდარი მემამულე, რომელიც თავის მამულში მეურნეობას ეწეოდა, ხელმძღვანელობდა მიწების დამუშავებას, მხილებულ იქნა ცილისწამებაში. მიუხედავად ბრალდების სიცხადისა, მსაჯულებმა მაინც გაამართლეს იგი. იმათ წინაშე, რომლებიც გაკვირვებულნი დარჩნენ განაჩენით, მსაჯულებმა თავი შემდეგნაირად გაიმართლეს: ბრალდებულს თავისი ცრუმორწმუნეობით არავისთვის მიუყენებია უშუალო ზიანი. ამიტომ მისთვის ბრალდება კი არ უნდა წაეყენებინათ კანონის დარღვევისათვის, არამედ, პირიქით, ხალხის ინტერესების გამო უნდა გაემართლებინათ, რადგან მისი თავისუფალი მოღვაწეობა, რაც გამოიხატება მიწის დამუშავებაში, მისთვისაც ისევე სასარგებლოა, როგორც დანარჩენი საზოგადოებისათვის. მისი დასჯა დიდ ზიანს მიაყენებდა მეურნეობას და ა. შ.

ერთ ბნელ ღამეს, შუა ქუჩაში, ერთმა გლეხმა ლუდით სავსე კათხა საფეთქელში სთხლიშა მეორე გლეხს და მოკლა. მსაჯულებმა იგი არათუ მკვლელობაში დამნაშავედ ცნეს, არამედ მძიმე ჭრილობებსა და ზიანის მიყენებისთვისაც კი არ დასაჯეს. როცა მსაჯულებს ჰკითხეს, რითი ხელმძღვანელობდნენ ასეთი საკვირველი გადაწყვეტილების გამოტანისას, მათ (უმრავლესობა სოფლელები იყვნენ) გულახდილად განაცხადეს, რომ ეს უბედურება შემთხვევით მოხდა და არაფერ დანაშაულებრივს არ ხედავენ მასში, რომ შეურაცხმყოფელი სიტყვის გამო თითოეული მათგანი, ბრალდებულის ადგილას რომ ყოფილიყო, იმავეს ჩაიდენდა.

მსაჯულთა სასამართლოს წინაშე წარსდგა კაცი, რომელსაც გაუპატიურებაში ედებოდა ბრალი. ყველა დამამტკიცებელი და მამხილებელი საბუთი არსებობდა და მსაჯულებს შეგნებული ჰქონდათ მათი მნიშვნელობა, მაგრამ მაინც არ უნდოდათ ბრალდებული გაუპატიურებისათვის დაესაჯათ. ამიტომ მოსამართლეებმა სთხოვეს პრეზიდენტს, ნება დაერთო ბრალდებულისათვის მიეცათ რამდენიმე დამატებითი კითხვა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ახალი გარემოება შესაძლებლობას მისცემდათ, შეემსუბუქებინათ სასჯელი. როცა პრეზიდენტი ამაზე არ დათანხმდა, მოსამართლეებმა მთლიანად გაამართლეს ბრალდებული 8 ხმის უმრავლესობით 4-ის წინააღმდეგ.

მსაჯულებმა გაამართლეს ქალი, რომელმაც წინასწარ იცოდა, რომ მოპარულ ნივთებს ყიდულობდა. ამგვარი განაჩენის გამოტანა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ბრალდებულის დამცველმა ილაპარაკა იმ უბედურებაზე, რაც ქალის შვიდ შვილს დაატყდებოდა თავს. საქმე ისაა, რომ ბავშვების მამაც ამ საქმეში ცოლის თანამონაწილე იყო და სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო. რა დაემართებოდა ბავშვებს, თუ მათ ორივე მშობელს ნაართმევდნენ? მეორე შემთხვევაში მსაჯულთა სასამართლომ გაამართლა კაცი, რომელსაც მკვლელობაში ედებოდა ბრალი, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების ყველა მამხილებელი საბუთი პროკურორს შეკრებილი ჰქონდა. ბრალდებული ძალზე მოხერხებულად და გონებამახვილურად მიუდგა სასამართლოს და შეძლო მოსამართლეებზე სასიამოვნო შთაბეჭდილების მოხდენა. სხდომის დამთავრების შემდეგ ერთმა მსაჯულთაგანმა სასამართლო დარბაზში საკმაოდ გულუბრყვილოდ განაცხადა: საცოდაობა იქნებოდა ასეთი კაცი დიდი ხნით გამოგვეკეტა ციხეში. მას ჯერ კიდევ შეუძლია მშვენიერი ცოლი შეირთოს და წესიერი კაცი იყოს. ხომ არიან სხვები, მასზე უფრო დამნაშავენი, რომლებიც, სხვათა შორის, თავისუფლად დადიან.

გეკითხებით, მოწყალეო ბატონებო, მოგვმართავს ხმამაღლა გუე-გლუნეკი, განა მსაჯულთა მიერ ამგვარი განაჩენის გამოტანა მართლმსაჯულების წმინდა წყლის დაცინვა არაა? ამგვარ მაგალითებს, ალბათ, არ დაუშვებდნენ ის მოსამართლეები, რომელთაც იურისპრუდენცია იციან.

ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით ავტორს, რომ ამგვარ მაგალითებს ვერ შეხვდები იმ მოსამართლეთა პრაქტიკაში, რომელთაც იურისპრუდენცია იციან, რადგან ისინი არ ცხოვრობენ საზოგადოების ცხოვრებით, არ უხარიათ მისი სიხარული და არ წუხან მისი მწუხარებით. ისინი ცოცხალი ადამიანები კი არ არიან, არამედ მოარული ტომები, თავები და მუხლები.

„ბოჰემიაში, მორავიაში, სილეზიაში, შტირიასა და კრაინეში, —განაგრძობს ავტორი,—უამრავი შემთხვევა იყო (1863 წლამდე, ავსტრიაში მსაჯულთა სასამართლო ერთ წელზე ცოტა მეტი ხანი იყო შემოღებული) გამამართლებელი განაჩენის გამოტანისა იმათთვის, ვისაც ბრალად ედებოდა ძალადობა და წინააღმდეგობის

გაწევა, რასაც იჩენდნენ ჟანდარმებისა და ფინანსთა იმ მებაჟეების წინააღმდეგ, რომლებიც მათ ხელს უშლიდნენ მნიშვნელოვანი კონტრაბანდის შემოტანაში. როცა მსაჯულებს ეკითხებოდნენ, როგორ ამართლებდნენ ისინი ბრალდებულებს, როცა არსებობდა მათი დანაშაულის ყველა მამხილებელი საბუთიო, ისინი იძლეოდნენ შემდეგ განმარტებებს: მებაჟეები და ჟანდარმები საერთოდ არაპოპულარული არიან და მათი ორგანოები ხალხს არ უყვარს. მათ მიითვისეს სხვადასხვა უფლება და უთანხმოება აქვთ ხალხთან. ადამიანები მათგან თვითონ იცავენ თავიანთ თავს. ამიტომ მსაჯულებს, რომლებიც ხალხის უფლებების დაცვის თვალსაზრისით მოქმედებენ, არ მიაჩნიათ სწორად, დასაჯონ ბრალდებულნი ჟანდარმებისათვის წინააღმდეგობის გაწევისათვის.

ამგვარ და მსგავს შემთხვევებს ავტორი შემდეგ მოსაზრებებამდე მიჰყავს:

„თუ ჩვენ სერიოზულად განვიხილავთ საბრალდებო საქმეებს პფალცში, ორივე ჰესენში, ბადენში, პრუსიასა და ტიურინგიაშიც კი და თუ გვინდა მიუკერძოებელი ვიყოთ, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ბევრი იყო ისეთი პოლიტიკური შემთხვევა და საერთოდ პროცესი, რომლის დროსაც, მიუხედავად ყველა მამხილებელი საბუთისა, მსაჯულები ამბობდნენ „უდანაშაულოა“. ჩვენ, მაგალითად, ვკითხულობთ, რომ ტიურინგიაში მსაჯულებმა უტიფრად განუცხადეს სახელმწიფო დამცველს, რომელმაც მათ შესთავაზა საბრალდებო პუნქტების ახსნა: ამაოდ ნუ დაშვრებით, გადაწყვეტილება „უდანაშაულოა“ წინასწარაა განსაზღვრულიო. ბოლოს და ბოლოს, გეკითხებით მე, რა შედეგი მოჰყვება ამგვარ სკანდალურ ფაქტებს? მთავრობების რეაქცია სხვადასხვანაირია. ერთნი იძულებული შეიქნენ შეეზღუდათ სასამართლო პოლიტიკური და პრესის საქმეების განხილვასა და გადაწყვეტაში, სხვებმა მიმართეს უფრო მკაცრ რაციონალურ ზომებს—შემოიღეს საგანგებო სასამართლოები. მაგრამ საგანგებო სასამართლოები და სასამართლო კომისიები, რომელთაც ვხვდებით ევროპის ქვეყნებში, სამხედრო და წოდებრივი სასამართლოები, მსაჯულთა სასამართლოს ნაცვლად რომ გაჩნდნენ, საგანგებო სპეციალური სასამართლოები და სასამართლოს საგამომძიებლო კომისიები, ცენტრალური კომისია ფრანკფურტში და სხვა მრავალი, წარმოად-

გენენ კი სამართლიანობის უფრო მეტ გარანტს? ნუთუ დიდ სიკეთეს მოიტანს ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის მისი ბუნებრივი და კანონიერი მოსამართლის წართმევა? ნუთუ სახელმწიფო იმის გამო, რომ მსაჯულთა სასამართლოები ბოროტად იყენებენ თავიანთ მდგომარეობას, იძულებული უნდა გავხადოთ, დაანგრიოს ის, რაც ყველაზე ძვირფასია მისი მოქალაქეებისათვის, რაც აძლევს მათ მათივე უფლებების სასამართლო თავდებობას, დიახ, დაანგრიოს იმით, რომ დაუმორჩილოს ისინი კანონიერ სასამართლოებს?"

ამჯერად ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით პატივცემულ ავტორს და ვფიქრობთ, რომ, რა უვარგისიც არ უნდა იყოს მოხელეთაგან შემდგარი ჩვეულებრივი სასამართლო, იგი განსაკუთრებულ სასამართლოს მაინც აჯობებს. მაგრამ უკეთესი ხომ არ იქნება ამ შემთხვევაში რამდენადმე კითხვა შევაბრუნოთ?

84. მოხსენებითი ბარათი მის იმპერატორობით უდიდებულესობას დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს

გასული წლის მაისში თქვენმა იმპერატორობითმა უდიდებულესობამ ინება გაებედნიერებინა ამიერკავკასიის მოსახლეობის ყველა ფენა მოწყალე დაპირებით, რომ სახელმწიფო მოღვაწეობის ახალ ასპარეზზე, მოშორებით თქვენი საყვარელი მხრისაგან, არ დაივიწყებდით კავკასიას და ყოველთვის გაუწევდით მას ისეთ დიდსა და ძლიერ მფარველობას, რომელსაც ყველა გრძნობდა თქვენი მეფისნაცვლობის დროს. თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობისათვის უკვე ცნობილია ხალხის წარმომადგენლების უეშმაკო საპასუხო განცხადებიდან, რომ თქვენი დაპირება იყო მოსახლეობის ერთადერთი თანაგრძნობა იმ ღრმა და გულწრფელი მწუხარებისას, თქვენმა გამგზავრებამ რომ გამოიწვია. იგი წარუშლელად აღიბეჭდა ხალხის მეხსიერებაში და უმთავრესი საფუძველია მისი იმედებისა და სასოებისა. ამიტომაც ვბედავ და იმედი მაქვს იმისა, რომ თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობა ნებას დამრთავს მივართვა განსახილველად შუამდგომლობა საქმეზე, რომელზედაც დიდადაა დამოკიდებული არა მარტო ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობის დიდი ნაწილის ინტერესები, არამედ გავბედავ და მთელი ამიერკავკასიის მრეწველობის ინტერესებიც.

გაბედულება, რომელთაც თავს ნებას ვაძლევ გავსარჯო თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის ყურადღება, იმითაც აიხსნება და გამართლება, რომ საქმე ეხება ჩვენი მხარის ერთ-ერთ უკეთილშობილეს წამოწყებას, რაც თქვენი უდიდებულესობის ინიციატივით წარმოიშვა და, თუ ეს საქმე დაკარგავს თქვენი უდიდებულესობის მფარველობას, საბოლოოდ ჩაინავლება.

ჯერ კიდევ 1874 წელს, ამიერკავკასიის მხარის აუცილებელი უზრუნველყოფისა და საწვავის ფასის უზომოდ გაზრდის გამო, თქვენმა უდიდებულესობამ ინება წამოეჭრა საკითხი—ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ფოთი-თბილისის რკინიგზასთან რკინიგზით შეერთების შესახებ.

თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის მიერ წამოჭრილი საკითხის შემდგომი განვითარება უნდა ვუმადლოთ მხოლოდ

და მხოლოდ თქვენს მოთხოვნებსა და შეხსენებებს. მხოლოდ მათი წყალობით დაიწყეს საძიებო სამუშაოები, რაც სამჯერ განმეორდა; შედგა ნაგებობათა პროექტი, დამზადდა ხარჯთაღრიცხვა, უწყისები და გამომუშავდა ძირითადი შეთანხმებანი გზათა მიმოსვლის სამინისტროსა და ამიერკავკასიის სამმართველოს შორის, რომელსაც შეუძლია ამ გზის გაყვანა. მაგრამ, ეტყობა, რა სასიკეთოდაც არ უნდა იყოს დღეს ამ საქმის მდგომარეობა, ერთი შეხედვით ასე ახლოს რომაა საბოლოო გადაწყვეტილებასთან, სინამდვილეში შეიძლება გადაიდოს მრავალი წლით იმის გამო, რომ ტყიბულის რკინიგზის ტოტი აქამდე არაა შეტანილი, პირველ რიგში, გასაყვანი რკინიგზის სიაში.

ამავე დროს, თუ არსებობს გზა, რომლის გაყვანა გადაუდებლად აუცილებელია მის მიერ გადამკვეთი რაიონისათვის, არ შეიძლება ასეთად არ მივიჩნიოთ ტყიბულის რკინიგზის ტოტი. თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობისათვის პირადადაა ცნობილი, რომ ერთი კუბომეტრი საჟენი შეშა თბილისში 1868 წელს 10-12 მანეთი ღირდა, 1875 წელს 18-20, ხოლო ახლა ღირს არანაკლებ 45-50 მანეთისა. ცნობილია, რომ ასეთივე პროპორციით გაიზარდა შეშის ფასი მთელ ამიერკავკასიაში, რაც გამოიწვია რკინიგზისა და მთელი რიგი ახლად დაარსებული სამრეწველო საწარმოებებისა და სახელოსნოების მიერ საწვავის გაზრდილმა გამოყენებამ. ეს ფაქტი ოფიციალურადაა დადასტურებული გზათა მიმოსვლის სამინისტროში. ფასების ისეთი ზრდის დროს, როცა მისი შეუჩერებელი ზრდის საფრთხე იქმნება, შეუძლებლია არა მარტო აუცილებელი განვითარება ადგილობრივი ნედლეულის სამრეწველო გადამუშავების თვალსაზრისით, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობისათვის პირადი საცხოვრებელი შენობის გათბობაც. ის პირები, რომლებიც არასოდეს არ ყოფილან ამიერკავკასიაში და არ იცნობენ ადგილობრივ პირობებს, ფიქრობენ, თითქოს ამიერკავკასიის რკინიგზის ბაქოს მონაკვეთის გაყვანის შემდეგ საწვავი გაიაფდება ნავთობის ნარჩენების გადაზიდვის ხარჯზე, მაგრამ ზუსტი და მრავალგზის შემოწმებული ციფრების მიხედვით ამგვარი ნარჩენების ერთი ფუთი თბილისში ეღირება არა ნაკლებ 15 კაპიკისა იმ დროს, როცა ერთი ფუთი ტყიბულის ქვანახშირი იმავე თბილისში—მხოლოდ 12 კაპიკი. ასე იაფი იქნება იგი, მიუხედავად იმისა, რომ სიმხურვალის ძალით

ერთი ფუთი ქვანახშირი უდრის თითქმის ფუთ-ნახევარ ნავთს. ამიერკავკასიის მრეწველობის თვალსაზრისით, რომლის მთავარი რაიონი შეიძლება იყოს მხოლოდ დასავლეთი ამიერკავკასია და არა აღმოსავლეთი, რომელიც მნირად დასახლებული და ბუნებრივი რესურსებით ღარიბია, ფასების სხვაობა ქვანახშირსა და ნავთს შორის კიდევ უფრო მკვეთრი იქნება. ქუთაისის გუბერნიაში ბაქოს ერთი ფუთი ნავთი და ნავთობის ნარჩენები 17-18 კაპიკზე ნაკლები არ დაჯდება, ტყიბულის ქვანახშირი კი 7 კაპიკზე მეტი არ ეღირება. ახალჩასახულ მრეწველობაში, რომელიც წაქეზებასა და დახმარებას საჭიროებს, ტყიბულის ქვანახშირისა და არა ბაქოს ნავთობის ნარჩენების გამოყენება წარმოებას სამჯერ და უფრო მეტადაც გააიაფებს.

მაგრამ, გარდა ამ მოსაზრებებისა, არსებობს, აგრეთვე, სხვა საფუძვლებიც, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით. თუ გავიყვანთ რკინიგზას ტყიბულის საბადოებამდე, ჩვენი ქვანახშირი შეიძლება გავიტანოთ კონსტანტინოპოლში, სადაც ყოველწლიურად იხარჯება 25 მილიონ ფუთზე მეტი ქვანახშირი და ერთი ტონა 27 ფრანკსა და 05 სანტიმზე უფრო ძვირი არ ღირს მაშინ, როცა ინგლისის ერთი ტონა ქვანახშირი იმავე კონსტანტინოპოლში მის გადმომზიდველებს 45 და მეტი ფრანკი უჯდებათ და იყიდება არა ნაკლებ 48, 50 და 55 ფრანკისა. თურქეთის ირაგის ერთი ტონა ქვანახშირის კონსტანტინოპოლამდე გადაზიდვა გადამზიდველებს უჯდებათ 30, 32 ფრანკი, ამჟამად კი იყიდება არა ნაკლებ 35-37 ფრანკისა. ამგვარად, ტყიბულის რკინიგზის ტოტის გაყვანა ტყიბულის ქვანახშირს საშუალებას მისცემს ამ მნიშვნელოვანი ბაზრიდან განდევნოს ინგლისის და თვით თურქეთის ქვანახშირის დიდი ნაწილი. კონსტანტინოპოლში ტყიბულის ქვანახშირი 30 ფრანკადაც რომ გაიყიდოს, ე. ი. ინგლისის ქვანახშირზე ოცი ფრანკით და თურქეთის ქვანახშირზე 5 ფრანკით უფრო იაფად, კავკასიის ქვანახშირის მფლობელებს ადვილად შეუძლიათ მიაღწიონ 10 მილიონი ფუთი ქვანახშირის გატანას, რაც დიდ შემოსავალს მისცემს ადგილობრივ მოსახლეობასაც, ამიერკავკასიის რკინიგზასაც, რუსეთის შავი ზღვის სანაოსნოსაც და, ამავე დროს, ჩვენს მხარეში მოიზიდავდა უცხოელ კაპიტალს არა ჩვეულებრივი გაცვლის გზით, არამედ აქამდე უქმად მდებარე მინერალურ სიმდიდრეზე გაცვლით.

ამავე დროს, თავისთავად ცხადია, რომ კონსტანტინოპოლის ტყიბულის ქვანახშირით მომარაგება ხელს არ შეუშლის ბაქოს ნავთის მრეწველობის განვითარებას, ასობით და ათასობით სხვადასხვა ქვეყნის გემები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან კონსტანტინოპოლში რომ შედიან, არასოდეს დათანხმდებიან თავიანთი აპარატების ნავთით გათბობისათვის გადაკეთებას მხოლოდ იმიტომ, რომ ხანდახან, კონსტანტინოპოლში შემთხვევით დგომის დროს, მოიმარაგონ ბაქოს ნავთი, რომელიც კონსტანტინოპოლში ჰერაკლიის ქვანახშირზე იაფი არაა.

ეს გაანგარიშებები ამიერკავკასიის ფარგლებში ინსტინქტურად აქვს შეგნებული ყველას, რითაც აიხსნება მოლოდინი და შუამდგომლობა ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობისა, რომელიც აგერ უკვე რამდენი წელია ელის ამ საქმისაგან თავის სავალალო ეკონომიური მდგომარეობის გამოსწორების საშუალებას. მაგრამ იმ მოსახლეობის მოლოდინისაგან დამოუკიდებლად, შემოსავალი რომ სწყურია, არსებობენ პირები, რომელთაც ამ საქმეში მთელი თავიანთი ქონება დააბანდეს. მათ შორის ბევრმა ისეთმა, როგორებიც არიან ბატონები ნოვოსელსკი, კლეინი, შაბუროვი და, მათ შორის, მეც. 12 წლის მანძილზე თითოეულმა რამდენიმე ასი ათასი ჩვენი და სხვისი ფული დავხარჯეთ, მთელმა რიგმა პირებმა კი—რამდენიმე ათი ათასი მანეთი. ეს ადამიანები სიბრმავითა და უსაფუძვლო მისწრაფებებით კი არ ხელმძღვანელობდნენ, არამედ იმ სწორი, გონივრული გაანგარიშებით, რომ ამგვარი სახის მინერალური სიმდიდრე არ შეიძლება და არც უნდა იდოს უქმად, იმ იმედით, რომ მთავრობა, იმდენადვე თავისი საკუთარი ინტერესებისათვის, რამდენადაც ქვანახშირის მფლობელებისათვის, არ დააყოვნებს რკინიგზის პატარა ტოტის გაყვანას, რომელიც სულ სამი მილიონი მანეთი დაჯდება და რაც ძალზე სწრაფად ამოიგება ადგილობრივი მოსახლეობის საგადამხდელო შესაძლებლობის ზრდით, ამიერკავკასიის რკინიგზის ექსპლოატაციის ღირებულების შემცირებით, სახელმწიფო შენობებისა და სახელოსნოების გათბობის გაიაფებით და ჩვენს მხარეში მრეწველობის ახალი დარგების განვითარებით, რომ აღარაფერი ვთქვათ ქვანახშირის საბადოების ექსპლოატაციის უფრო უშუალო შედეგებზე ამიერკავკასიისა და რუსეთის საერთო ინტერესებისათვის.

საუბედუროდ, ქვანახშირის მფლობელების ეს გაანგარიშებანი და იმედები აქამდე არ გამართლდა, მაგრამ თითოეული მათგანი უსიტყვოდ ეწეოდა თავის მძიმე ჯვარს (მათ მიერ დახარჯული კაპიტალის ყოველწლიური პროცენტი 100 ათას მანეთს შეადგენს), რადგან მათ გულს უმაგრებდა იმედი, ისინი ხედავდნენ თქვენს სულგრძელ მეცადინეობას, ჩაგეყენებინათ ამიერკავკასიის ქვანახშირის საქმე მისთვის შესაფერის მდგომარეობაში...

ამჟამად იმ საკითხის მომავალ გადაწყვეტასთან დაკავშირებით, თუ რომელი რკინიგზის ხაზები იქნება შეტანილი უახლოეს ხანებში იმათ რიცხვში, რომელთა გაყვანაც ნებადართული იქნება, მაქვს ბედნიერება დიდი მოწიწებით ვთხოვო თქვენს იმპერატორობით უდიდებულესობას დაიცვას ჩვენი ინტერესები, რათა ნებადართულ მშენებლობათა რიცხვში შეიტანონ ტყიბულის რკინიგზის ტოტიც. ამჟამად, ამ რკინიგზისათვის კრიტიკულ მომენტში, მას გზათა მიმოსვლის სამინისტროში ჯერ კიდევ ხვდება სიძნელეები. მისი შემდგომი ბედი დამოკიდებულია როგორც ამ, ასევე ფინანსთა სამინისტროზე და მისი უდიდებულესობის მიერ შედგენილ კომისიაზე, რომელმაც უნდა შეისწავლოს რკინიგზების საქმე რუსეთში. ვბედავ გავსარჯო თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობა, ინებოს და გვიშუამდგომლოს ამ დაწესებულებების წინაშე ტყიბულის ქვანახშირის რკინიგზის ტოტის გაყვანის შესახებ იმავე კეთილგანწყობილი მფარველობით, როგორითაც აქამდე აბედნიერებდით ჩვენს მხარეს...

85. სახელმწიფო მოხელის რომანი
(გრაფ პ.ა. ვალუევის რომანი „ლორინი“, ორ ნაწილად, სპბ, 1882 წ.)

რუსეთის საზოგადოება დიდი წყურვილით ეწაფება თითოეულ სტრიქონს, რომელიც კი ჩვენი სახელმწიფო მოხელეთა ხელიდან გამოსულა, და—ასევე უსმენს მათ ბაგეთაგან მოწყვეტილ ყოველ სიტყვას. ეს გასაგებიცაა. იმისდა მიხედვით, თუ რა რელიეფურად გამოიხატება თანამედროვე მდგომარეობის სიძნელენი, არ შეიძლება საზოგადოებაში არ იზრდებოდეს მოთხოვნილება მათ აზრში, ხასიათსა და მისწრაფებებში ჩახედვისა, ვისაც ჯერ კიდევ გუშინ ჰქონდა ჩაბარებული ან შეიძლება ხვალაც ებაროს ჩვენი ბედი. სამწუხაროდ, ჩვენი თვითარსებობა აქამდე ძლიერ მცირე საშუალებას იძლეოდა ასეთი კანონიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ევროპული საზოგადოებისათვის მისი პოლიტიკური ბელადები ახლო ნაცნობი არიან ჯერ კიდევ ბევრად ადრე მათ განდიდებაზე. ისინი იძულებულნი არიან სახელი და ნდობა ნაბიჯ-ნაბიჯ მოიპოვონ და მხოლოდ მათი ნიჭის, იდეალებისა და ხასიათების საერთოდ აღიარებული უპირატესობა უქმნით შესაძლებლობას ხელი მოჰკიდონ მმართველობის საჭეს. სახელის მოხვეჭისაკენ რომ გზა გაიკაფონ და თანამოქალაქეთა ნდობა დაიმსახურონ, ეს ბელადები აუცილებლად უნდა ეხმაურებოდნენ თითქმის ყველა იმ საკითხს, რაც მათს თანამედროვეებს აღელვებთ; მათთვის აუცილებელია შთაბეჭდილება მოახდინო ხალხის გონებასა და გრძნობაზე თავიანთი შეხედულებების ორიგინალობითა და სიღრმით, თავიანთ გადაწყვეტილებათა სისწორითა და აზრიანობით. ასეთი ამოცანა ადვილი გადასაწყვეტი არაა იმ ქვეყნებში, სადაც ყველასათვის ერთნაირადაა გაღებული კრიტიკისა და მოღვაწეობის სარბიელის კარი და სადაც საჯარო, საზოგადოებრივი მსჯელობა დღის წესრიგში მდგომი საკითხების ირგვლივ სახელმწიფოს ყველა უნარის მქონე და მოხერხებული ძალების თავისუფალ და შეუზღუდველ მეტოქეობას ქმნის. ადამიანს სრულიად განსაკუთრებული ნიჭი და ნებისყოფა უნდა გააჩნდეს, რომ ასეთი ბრძოლა გადაიტანოს და ზედაპირზე ამოცურდეს, იყოს უკეთესი უკეთესთა შორის. ეს ბრძოლა მიმდინარეობს საზოგადოების თვალწინ, რომელსაც შეუძლია დააკვირდეს მებ-

რძოლთა გულისწადილს, ხერხებსა და ხასიათებს. საზოგადოებას, —მის დასახმარებლად გამოშვებული აუარებელი საცნობარო გამოცემისა და ბიოგრაფიული ლექსიკონის წყალობით,—ყოველთვის აქვს შესაძლებლობა მონახოს ისეთი მონაცემები, რომელნიც საჭიროა იმ მოღვაწეთა ძალისა და მსოფლმხედველობის გასარკვევად, რომელნიც მოვლენათა მიმდინარეობის ძალით წინა რიგებში არიან წამოწეული და გაიგოს, თუ საით, რა მხარეს და რა მიზნით შეიძლება ამ მოვლენებმა წარმართონ საზოგადოება. თუმცა ამგვარი გამოძიების გარეშეც, იმ მოსაზრებითაც კი, რომ დიდებისა და მეთაურობისაკენ იმ ქვეყნებში „ტალღები მხოლოდ სულით ძლიერთ გამოიტანენ", საზოგადოებას შეუძლია ნდობით უყუროს თავის მომავალს.

ჩვენი საზოგადოება სხვა მდგომარეობაშია. ისეთი შემთხვევა, რომ სახელმოხვეჭილობას ვინმესთვის ხელისუფლება მოეპოვებინოს, ჩვენში თითებზე ჩამოსათვლელია. უმრავლეს შემთხვევაში პირიქით ხდება: ხელისუფლების ხანგრძლივი და სრულიად წარმატებული ჭერა ჩვენში ქმნის სახელს. უნდა შევნიშნოთ, ეს მდგომარეობა თითქმის უფრო სამძიმოა ძალაუფლების მქონეთათვის, ვიდრე თვით საზოგადოებისათვის. ამ უკანასკნელს უმეტეს შემთხვევაში არა აქვს შესაძლებლობა წინასწარ გაეცნოს თავის მნიშვნელოვან მოღვაწეთა ზნეობრივ სახეს. ამიტომ ასპარეზზე გამოჩენისას საზოგადოება მათ ხვდება არა აუცილებელი თანაგრძნობით, არა მომწიფებული სიმპათიებით, არა თანამშრომლობის სურვილით, რაც დამყარებულია მათი ძალისა და მიზნების ნდობაზე, არამედ უბრალო ცნობისმოყვარეობით და გულგრილი სურვილით,—შეხედოს ახალ ფიზიონომიას და ნახოს, როგორ გაუძღვება იგი მძიმე საქმეს. ამის შედეგად არაა საკვირველი და სრულიად ბუნებრივიცაა, რომ ჩვენი მოღვაწეების მცდელობისა და დროის სამი მეოთხედი იხარჯება „ნიადაგის მომზადებაში", საერთო ნდობის მოპოვებაში, თანამგრძნობთა წრის შექმნაში, პროგრამის შემუშავებაში, რომელსაც შეეძლება გამრჯე თანამშრომლების მიზიდვა... იმისათვის კი არა, რომ სურვილი გვქონდეს პოლიტიკური მოღვაწის როლი დავამციროთ, არამედ უბრალოდ, საერთოდ ცნობილ მდგომარეობასთან შედარებით ჩვენი აზრის ნათელსაყოფად აქ შეიძლება გავიხსენოთ შეუდარებლად

უფრო ნაკლებად ამაღლებული ასპარეზის დებიუტები. აბა, შეეკითხეთ მსახიობს—რა განსხვავებაა ნაცნობი და უცნობი საზოგადოების წინაშე გამოსვლაში და აქვს თუ არა მნიშვნელობა პირველ მიღებას თამაშის მთელ მიმდინარეობაზე? იგი გიპასუხებთ, რომ საზოგადოების სამარისებური სიჩუმე, მისი განურჩეველი და უნდო გამოხედვა მსახიობის ნიჭსა და შთაგონებას ყინვის ბორკილს ადებს, სპობს მასში არა მხოლოდ შემოქმედებით აღტკინებას, არამედ—საკუთარი ძალებისადმი უბრალო ნდობასაც კი. მცირეოდენი შეგრძნებაც კი იმისა, რომ ის აუარებელ ხალხში, რომლის წინაშეც მან თავი უნდა გამოიჩინოს, ერთი არსებაც კი არაა, რომელსაც გულწრფელად ენდომება მისი წარმატება, მსახიობს აფიქრებინებს, რომ მისი ერთი უხერხული ნაბიჯი,—ხშირად კი ერთი უაზრო დასტვენა საზოგადოების მხრიდან,—საკმარისი იქნება, რომ იგი სამუდამოდ ჩავარდეს. მაშინ მას ნიადაგიც შეერყევა, მუხლებიც აუკანკალდება და ხელებიც ჩამოუვარდება. აი, ამიტომაა, რომ „პასუხსაგებ როლებში" იშვიათად გამოდიან ისეთი მსახიობები, რომელნიც არ არიან გამხნევებული იმავე საზოგადოების ნდობით, რაც მოპოვებული აქვთ უმნიშვნელო და მეორეხარისხოვანი როლების შესრულებით ან მყვირალა პროვინციული სახელით... განა ასეთია იმ მსახიობის ნაბიჯები, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ მასა და მაყურებელს შორის დიდი ხანია დამყარდა მტკიცე, ნდობით აღსავსე კავშირი, რომ საზოგადოება თავის ნებიერს აპატიებს არა ერთ, არამედ თუნდაც ნახევარ დუჟინ უხერხულ ნაბიჯს, რომ მძიმე წუთებში ხელს შეუწყობს და, თუ საჭირო იქნება, გადაარჩენს კიდეც,—თავისი სიმპათიით გაუღვიძებს მიყუჩებული ნიჭის ძალას? ასეთ სვებედნიერს ერთხელაც არ მოუვა თავში გადაუხვიოს ხელოვნების უშუალო ამოცანებს, რომ დასაყრდენი მოიპოვოს ქანდარაზე მსხდომთადმი უღირს გათამაშებაში, პოპულარობის ძიებაში, ერთი სიტყვით, მთელ იმ სიყალბეში, რაც გულს ურევს და ზურგს შეაქცევინებს ყველა შეუბღალავ არსებას, მაგრამ რის მეოხებითაც სუსტი მსახიობები ჩვეულებრივ ოცნებობენ მოიპოვონ წლობით მოსაპოვებელი საზოგადოების სიყვარული და ნდობა თხუთმეტ წუთში.

საზოგადოებრივ და, მით უმეტეს, სახელმწიფოებრივ მოღვაწეებს ასეთი სიყვარული და ნდობა უფრო მეტად ესაჭიროებათ, ვიდრე სცენის მოღვაწეებს. განსახილველი რომანის ერთ ადგილას (ტ. II, გვ. 213) გრაფი ვალუევი სრულიად საფუძვლიანად შენიშნავს:

„მარტოობისას ხშირად ვეკითხები ჩემს თავს: რით არის ჩვენში უზრუნველყოფილი საზოგადოებრივი სიმშვიდე? არა შეიარაღებული ძალით, რომელიც არ არის, არც პოლიციით, რადგან ბოქაული აქედან ათ ვერსზეა, ხოლო სამაზრო პოლიციის უფროსი—ოცდაათზე; არც თვით ეგრეთ წოდებული საზოგადოებით, რადგან მასში არ მოიპოვება არავითარი ორგანიზებული ძალა. მაშ, რაღა აიძულებს მასებს დაემორჩილონ ზოგიერთებს, ხოლო ცალკეულ ბოროტმოქმედებს—მორიდებული იყვნენ?—მთავრობის ხელისუფლების ბუნდოვანი თაყვანისცემა და ამ ხელისუფლების მიმზიდველობა“.

აქ თვით ჭეშმარიტება ღაღადებს გრაფი ვალუევის ბაგეებით. თაყვანისცემის გარეშე,—ე. ი. ხელისუფლების პატივისცემის გარეშე, უიმისოდ, რასაც ავტორი შემდეგ „პრესტიჟს“ უწოდებს, შეუძლებელია „უზრუნველყოფა ჩვენში და,—საერთოდ მთელს ქვეყანაზე საზოგადოებრივი მშვიდობიანობისა“. გასაგებია, რომ, რაც უფრო ნაკლებ „ბუნდოვანია“ ხალხში ასეთი თაყვანისცემა, რაც უფრო მეტადაა იგი დამყარებული შეგნებაზე, მით უფრო ძლიერია და ურყევი,—და, შეიძლება, მით უფრო საქმიანი და სასარგებლო,—მასზე დამყარებული ხელისუფლება. ხოლო მომხიბვლელობა ან თუ გნებავთ პრესტიჟი, მუქთად არავის არ ეძლევა და ყოველთვის ბრძოლით, არაჩვეულებრივი ძალთა დაჭიმვით მოიპოვება. ეს შეიძლება ითქვას საერთოდ ყოველგვარ მომხიბვლელობაზე—არტისტულზე, ფინანსურზე, ლიტერატურულზე და ა. შ., მაგრამ ეს აზრი ყველაზე უკეთ პოლიტიკურ მომხიბვლელობას, მოღვაწეთა პრესტიჟს უხდება, იმ მოღვაწეთა, რომელთა მიზანი და დანიშნულებაა მის მსგავსთა მართვა. თითოეულ ჩვენგანს არაფრად არ უღირს ინამოს ღირსება და უპირატესობა რომელიმე მსახიობისა, მუსიკოსისა, მხატვრისა, მწერლისა, რადგან ასეთი ცნობით მას ჯერ კიდევ არ ვაძლევთ რაიმე უფლებას პირადად ჩვენზე. ჩვენ უფრო გვეძნელება ვიცნოთ უპირატესობა და ზნეობრივი უფლება პოლიტიკური მოღვაწისა, რომელიც ჩვენს

საკუთარ ნებას, ჩვენს ბედს მართავს ან სურს უხელმძღვანელოს მას. თითქოს ინსტინქტურად ვგრძნობთ, რომ, თუ ასეთ მოღვაწეს პრესტიჟს შევუქმნით, ჩვენ მას ხელისუფლებას ვუმტკიცებთ ან ამისკენ მიგვყავს, თუნდაც შორეულ მომავალში. აი, საფუძველი ყველას მიერ შემჩნეული მოვლენისა, რომ ადამიანებს, რომელთაც სურთ თავიანთ მსგავსთა მართვა, უფრო ძნელად უხდებათ აუცილებელი პრესტიჟის მოხვეჭა, ვიდრე სხვა ცოტად თუ ბევრად პლატონური „მომხიბვლელობისა“ და „თაყვანისცემის“ მაძიებელს.

საუბედუროდ, ჩვენს საზოგადოებაში „თაყვანისცემაცა“ და „მომხიბვლელობაც“, როგორც ეს ვალუევმაც შენიშნა, უაღრესად ბუნდოვანია იმიტომ, რომ საზოგადოებისათვის ნათელი არაა ხელისუფლების წარმომადგენელთა დამსახურება, ხარისხი და ზნეობრივი შესაძლებლობანი, ამიტომ თვით ამ ხელისუფლების ინტერესებისთვისაც სასარგებლოა ის მოვლენა, რომ ჩვენს საზოგადოებაში ჩანს მისწრაფება, შესაძლებლობის ფარგლებში, „ბუნდოვანი თაყვანისცემა და მომხიბვლელობა“ უფლებამოსილ პიროვნებებზე შეიცვალოს უფრო ნათელი და გარკვეული წარმოდგენით. სწორედ ამიტომ არ შეიძლება სრული მადლიერებით არ მოვეკიდოთ გრაფ ვალუევს, რადგან მან პირველმა მისცა ჩვენს საზოგადოებას შესაძლებლობა ნანილობრივ მაინც დაეკმაყოფილებინა მისი მისწრაფება. რა მიზნითაც არ უნდა აეხადა მას ის ფარდა, რომელიც ასე დიდხანს ფარავდა საქმეში ჩაუხედავთაგან რუსი სახელმწიფო მოხელის მსოფლმხედველობასა და იდეებს, საჭიროა პატივი ვცეთ ამ თითქმის პირველ და, ყოველ შემთხვევაში, გამორჩეულ ნაბიჯს. იმის შეგნება, რომ გონების მბრძანებლობა უმაღლესი ხვედრია, რომლისკენაც უნდა მიისწრაფოდნენ ადამიანები, რომელთაც ყველა სხვაგვარი მბრძანებლობის ამაოება და პირუმტკიცობა გამოუცდიათ, იმის შეგნება, რომ ეს აუცილებელი და სავალდებულო ატრიბუტია ჭეშმარიტი სახელმწიფო მოღვაწისა, და მიხვედრა იმისა, რომ იგი არ შეიძლება არც გამოწერილი იყოს და არც თავზე მოხვეული, არამედ მოიპოვება მხოლოდ უშუალო, თანასწორუფლებიანი ურთიერთობის გზით ბეჭდვით სიტყვასა და საზოგადოებასთან—ყველაფერი ეს ჩვენში ახალი ამბავიცაა და უდავოდ მნიშვნელოვანიც. რაც არ უნდა წარუმატებელი იყოს ამგვარი ცდა თავისი შედეგებით, უკვე მის

კონცეფციაშია რაღაც თანაგრძნობის ღირსი, რისი გამოისობითაც ხშირად სიდიადის ბრწყინვალებით იმოსება თვით გამოუსწორებელი მარცხიც კი.

ზემოთ შენიშნული იყო, რომ საზოგადოების ყურადღებისა და ცნობისმოყვარეობის ახსნა გრაფი ვალუევის ლიტერატურული შრომისადმი უნდა მოიძებნოს ამ საზოგადოების სურვილში, გაარკვიოს, ბოლოს და ბოლოს რას წარმოადგენენ მისი ხელისუფალნი. ჩვენი აზრით, არც ამგვარი ნაშრომის კრიტიკა უნდა დაშორდეს საზოგადოებრივი აზრის ასეთ სერიოზულ მიმართულებას. ბანალური გამოვიდოდა ჩავვარდნილიყავით ცდუნებაში და წინ წამოგვეწია ავტორის მოუხერხებლობა და ტექნიკური მოუმზადებლობა ლიტერატურული ტიპებისა და ხასიათების დახატვაში მეასეჯერ იმის თვალნათლივ დასადასტურებლად, რომ des letrres-ის ყბადაღებულ რესპუბლიკაში წარჩინებულიცა და უბრალო მომაკვდავნიც თანაბარი არიან კრიტიკის შეუბრალებელი სამსჯავროს წინაშე. შეიძლება კაცი საქმიანი იყოს და არ გააჩნდეს მხატვრული ნიჭი, არ იცოდეს არც ხასიათების გამოკვეთა, არც სიყვარულის ახსნის აღწერა და არც, მეტი რომ არა ვთქვათ, მშობლიურ ენაზე წესიერად წერა. კრიტიკის ამოცანაა გამოარკვიოს არა ამ ფორმის ხარისხი, არამედ ნაშრომის შინაგანი არსი, რომელშიც, სხვათა შორის, არავინ ელოდება აღმოაჩინოს არც „მკვდარი სულების“ მხატვრული სილამაზე, არც „ქობლომოვის“ რაფინირებული დახვეწილობა, არც „რუდინის“ სტილისტური მშვენიერება. პირიქით, ყველა წინდაწინ იმედოვნებს დაინახოს უზაკველ ლიტერატურულ ქარგაზე ცოტად თუ ბევრად მოხერხებული აცმა საერთო დაკვირვებებისა და შედეგები იმ გონების მუშაობისა, რომელსაც გააჩნია აუარებელი საშუალება ადამიანის გულისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესასწავლად. თუკი შედარებანი და პარალელები აუცილებელია, მაშინ „ლორინის“ მსგავსი ნაწარმოების შესაფასებლად უნდა იგივე საზომი გვეჭიროს, რომელიც გარდასულ დღეთა კრიტიკის მიერ იყო მოხმობილი ისეთი ბელეტრისტული ნაწარმოებების შესაფასებლად, როგორიცაა „ვინ არის დამნაშავე?!“ ასეთ შემთხვევაში დასაშვებია დაისვას კითხვა არა იმის შესახებ, თუ რამდენად გამოავლინა თავი მხატვარმა და როგორია იგი მთხრობლის როლში, არამედ უფრო მეტად უნდა დავინტერესდეთ იმით, თუ რა დასკვნებამდე მივიდა

მისი აზრი. სახელმწიფო მოხელის ნაწარმოებისადმი ამ უკანასკნელი მოთხოვნის დაყენება მით უფრო სამართლიანია და მართებული, რომ ავტორი სრულიადაც არაა მოვალე ჰქონდეს მხატვრული ნიჭი, მაგრამ გონებამახვილი და გამოჩენილი მოაზროვნე კი აუცილებლად უნდა იყოს.

ამის გამო ჩვენ არ შევეხებით „ლორინის", როგორც მხატვრული ნაშრომის, ნაკლოვანებებს, არც მასში გამოყვანილ პიროვნებათა სიმკრთალეზე ვიმსჯელებთ, არც ავტორის უფერულ სტილს შევეხებით. სჯობია ვცადოთ დაჯგუფება ყველა იმ შეხედულებისა, რასაც სინამდვილეში გვაძლევს მხცოვანი მოხელე მისთვის უფრო ნაცნობი პოლიტიკური შეხედულებებისა და განზოგადებების დარგში. ამ დარგში, და მხოლოდ ამ დარგში, გვაქვს უფლება მოველოდეთ მისგან უეჭველად ძვირფას შენამატს მიმდინარე ლიტერატურული პროცესისათვის. ავტორი ბედმა ისეთ ხელსაყრელ პირობებში ჩააყენა მის წინაშე ადამიანთა საქციელისა და ზრახვების დაფარული ხვეულების ხელისგულზე გადაშლით, რომ, რაც არ უნდა ცუდად ახერხებდეს აზრის გამოკვეთასა, მასში ღრმა ფიქრები და დაკვირვებანი მაინც საკმაოდ უნდა იყოს. შეიძლება მისი მონათხრობი უხერხული, ხშირად მიამიტური და გამოჩორკნილიც კი იყოს, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ უნდა მოველოდეთ მომწიფებულ და მტკიცე აზრთა უსასრულო რიგს, რომელსაც შეიძლება არ დაეთანხმო, რომლის საწინააღმდეგოდაც შეიძლება იკამათო, მაგრამ რომელსაც არ შეიძლება პატივი არა სცე, როგორც განსაკუთრებული ნიჭის უეჭველ ნაყოფს. ავტორმა, ცხადია, გამოიცნო, რომ სწორედ ასეთი იქნება იმ მკითხველი საზოგადოების უმრავლესობის მოლოდინი და მოთხოვნილებები, რომელსაც მან მიმართა. ეს ჩანს თუნდაც იქედან, რომ იგი შეჩერდა რომანის ძველებურ, უკიდურესად გაცვეთილ ფაბულაზე. თავისი მოზრდილი ნაწარმოებების ფურცლებზე მან გულუხვად გააბნია „მარტოობით" მოგვრილი ფიქრები მრავალფეროვან დღიურ საჭირბოროტო საკითხებზე, არ გამოუტოვებია თითქმის არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი, რაც რუსეთს აინტერესებდა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში. გრაფი ვალუევი ყველაფერს გამოეხმაურა, მართალია, არცთუ მკვეთრად, მაგრამ, ამასთან, არც ზედმეტად რბილად, სამაგიეროდ გამოეხმაურა რამდენადაც შეეძლო სრულად, ისე, რომ ვისაც ყურ-

ნი აქვს სმენად, შეუძლია მოისმინოს და გაიგოს ყველაფერი, რაც სულში სდებია ავტორს. თუ ასეთ „ჩამატებებსა“ და „მწერლის შენიშვნებს“ ბეჯითად შევკრებთ და დავაჯგუფებთ, მივიღებთ გასაღებს იმ ადამიანის მსოფლმხედველობის გასაგებად, რომელიც ასე დიდხანს ბატონობდა ჩვენს მაღალ წრეებში. შევუდგეთ ასეთ დახასიათებას.

„ლორინის“ ზერელე გადაკითხვაც კი გვიჩვენებს მისი ავტორის ნაკითხობას. იგი საკმაოდ იცნობს მეცნიერებისა და ხელოვნების მრავალ დარგს. ავტორის აღმზრდელ მშობლიურ წრეში თითზე ჩამოსათვლელები არიან ადამიანები, ამ ცოდნის მეასედი მაინც რომ გააჩნიათ. სწორედ ამ ნაკითხობით, რითაც ასე ხალისიანად თავს იწონებს „ლორინის“ ავტორი, აიხსნება ის უპირატესობა, რაც მას წილად ხვდა დასახელებულ წრეში.

რამდენად უხვია და მრავალფეროვანი გრაფ ვალუევის ცოდნის მარაგი, შეიძლება ვიმსჯელოთ იმითაც, რომ თითქმის ყველა დარგსა თუ სპეციალობაში იგი სიამოვნებით გამოთქვამს თავის შეხედულებებს ისეთი მოწყალე-დოქრინული ფორმით, რომელიც ძალაუნებურად გამოუმუშავდებათ ხოლმე იმ ადამიანებს, მიჩვეულნი რომ არიან აზიარონ დილეტანტები მეცნიერებისა და აზროვნების სიღრმეებს. მაგრამ იგი არაა მშრალი დოქტრინით. გრაფი ვალუევი სალონის ენაწყლიანი მოსაუბრეა, რომელსაც შეუძლია მსმენელის წარმოსახვაზე იმოქმედოს არა იმდენად სიღრმით, რამდენადაც თავისი გულახდილობის მრავალფეროვნებით. მას ემარჯვება აფორიზმის მოხერებულად მომარჯვება, გაბედული ლექსის გახსენება, ხალხური თქმულების ჩართვა, საუბრის ციტატებით აჭრელება თითქმის ყველა ევროპული ენიდან აღებული ფრაზებით, ანეკდოტების გამოყენება. მარტო მისი ეპიგრაფების კოლექცია,—რითაც, ჩვეულებრივ, ახალგაზრდა მწერლებს უყვართ თავის მოწონება,—აღძრავს შურს ყოველ დებიუტანტში. აქ ყველაფერია: რუსული ხალხური ანდაზაც „В кремне огонь“, ტაციტისეული „memorium eolunt“[62], იტალიური „O bella Napoli“ [63], (რომელიც იმღერება როგორც odolie Napoli“)[64], ფრანგული „jemourraiseul“[65], გერმანული „Scheidenthut Nih“[66], ინგლისური „there are more things“[67] და სხვ. ავტორს თავისუფლად მოჰყავს ადგილები არა მხოლოდ პუშკინის, ლერმონტოვის, გრიბოედოვის, გრაფ ტოლსტოის, არამედ გოეთეს, შილერის, ბაირონის,

შექსპირის, ტასოსა და დანტეს თხზულებებიდან. სამხედრო პიროვნების მოხერხებულობით შეუძლია მას ილაპარაკოს, როგორ მოეწყო ესა და ეს პოლკი საბატალიონო კოლონებად პირველ ხაზზე და ფლანგებზე ადგილი დატოვა ამა და ამ ნაწილებისათვის: რომ მეორე პოლკი ქუჩის ვიწროებიდან გამოვიდა, ხოლო მესამე მოეწყო შენობისაკენ. არანაკლებ თავისუფლად შეუძლია მას იმსჯელოს მხატვრობაზეც და ამ დარგშიაც იგი ხელოვნების ისტორიის მცოდნედ მოგვევლინება. მან იცის, რომელ ეპოქასა და რომელ მხატვრებს ეკუთვნით ვლადიმერის ეკლესიის კანკელის ხატები და მხატვრობა, რომ „ერთ-ერთი მათგანი მიეწერება თუ თვით რუბენსს არა, მის სკოლას მაინც და მისი ხელმძღვანელობის დახატულად ითვლება. „მხატვრობიდან ხუროთმოძღვრებაზე გადასვლისას ავტორს შეუძლია ავტორიტეტულად თქვას, რომ მხატვრის გონება არ უნდა შეიბორკოს რომელიმე ცალკეული სტილის ვიწრო ჩარჩოებით, რაც განსაკუთრებით ახასიათებს ამა თუ იმ ცნობილ პერიოდს ან ცნობილ ქვეყანას". სხვა ადგილას ავტორი ხუროთმოძღვრული ხელოვნების ისტორიაშიც გამოავლენს დეტალების ცოდნას; მან იცის, რომ ეგრეთ წოდებული ძველ-რუსული საეკლესიო სტილი ხუროთმოძღვრებაში შექმნილია უცხოელების მიერ. თუ საუბარი ხუროთმოძღვრებიდან პოლიტიკურ ეკონომიკაზე გადაინაცვლებს, ავტორს შეუძლია შენიშნოს, რომ „მემკვიდრეობის განაწილებას დამლუპველი შედეგები მოაქვს" და შეუძლია ეს შენიშვნა დაადასტუროს რაიმე ფიზიოლოგიური აფორიზმით. არანაკლებ გათვითცნობიერებულია ავტორი ფილოსოფიის საკითხებში. როგორც ჩანს, იგი უარს არ იტყოდა მიეღო უკანასკნელი დებულებები ფიზიკური და ზნეობრივი სამყაროების ერთიანობის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, იგი ამბობს, რომ „მოგერიების კანონი__საყოველთაო კანონია, იგი ზნეობრივ სამყაროშიც ისევე მოქმედებს, როგორც ფიზიკურში და უცნაური იქნებოდა უარი გვეთქვა და მხარი არ დაგვეჭირა სწორედ იმ შთაბეჭდილებებისათვის, რომელნიც ჩვენი იდეების უმაღლეს რიგს ეკუთვნიან". მან იცის, აგრეთვე, მედიცინის საიდუმლოებანიც. დახედავს რეცეპტს, წაიკითხავს „Hydrargyri muriat. corrosivi gr. I ტ, allu mini ovi"... და უცბად შეუძლია განსაზღვროს

—„მწვავე სუბლიმატია, დიდია საშიშროება“. ავტორის უნივერსალურ გონებას ან გამორჩენია არც ისტორია და გეოგრაფია: „დასავლეთშიო,—ამბობს იგი,—ისტორია უპირატესად ვულკანური გზით ვითარდებოდა... ჩვენში კი გაბატონებული იყო ნეპტუნური პროცესები (წყლის მოვარდნა და წყალდიდობანი): თავადთა ქიშპის მოვარდნა, თათართა წყალდიდობა, ივანე მრისხანეს უფლების მოვარდნა. ვულკანურ ძალებს შემოქმედებითი უნარი აქვს, ყოველ შემთხვევაში, ისინი აჩენენ მთებსა და ქმნიან ველებს. წყლის მოქმედება უმეტეს ნაწილად მხოლოდ ანგრევს, ამსხვრევს და ჩამორეცხავს“. რაც შეეხება ლიტერატურულ კრიტიკას, ავტორი აქ ისე გრძნობს თავს, როგორც საკუთარ სახლში. „წიგნები რუსულ ენაზე,—მსჯელობს იგი,—თითქმის არ არის, რჩება ჟურნალები და გაზეთები... მაგრამ გაზეთების მთავარი ინტერესი მდგომარეობს ოფიციალურ და არაოფიციალურ ქრონიკაში... მონინავე ელუკუბრაციები მეტად სტერეოტიპური არიან... როცა ასე თუ ისე იცი, რა ხდება ჩვენში ნამდვილად და ხედავ განსხვავებას ნამდვილსა და წარმოსახულს შორის, მაშინ ჩვენი ყოველდღიური პრესა „გულისამრევია“. მუსიკის, ბიოლოგიის, არქეოლოგიის, ბალეტის სფეროში, სოფლის მეურნეობისა და, საერთოდ, ყველაფერში ჩვენი ავტორი ასევე კომპეტენტური თუ არა, თავის ძალებში ღრმად დარწმუნებულ შემფასებლად მაინც გვევლინება.

პატივცემული ავტორის ამ ენციკლოპედიური განათლებისადმი ჯეროვანის მიზღვის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ საკმარისი არ არის ცალკეული აზრებისა და ზოგადი ადგილების ჩამოთვლით შემოფარგვლა, საჭიროა ღრმად შევისწავლოთ ის საწყისები, რომლებიც პოლიტიკური მოღვაწის მსოფლმხედველობის საფუძველია. აქ გამოჩნდება აზროვნების სისტემა, აზრის გაქანება, სინთეზირების შემოქმედებითი უნარი, რაც სახელმწიფო მოღვაწის აუცილებელ კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს. ამ მიზნით რომანიდან ავიღოთ რამდენიმე სხვადასხვანაირი დებულება და ვცადოთ მოვნახოთ მათ შორის ის ერთიანი და უწყვეტი ძაფი, რომელსაც შეუძლია ავტორის შეხედულებათა სისტემების დახასიათება. ამისათვის, ცხადია, ყველაზე იოლია, ავიღოთ ეგრეთ წოდებული მძიმე სიტუაციები და ვნახოთ, როგორ უჭირავთ თავი და როგორ იქცევიან ამ დროს ავტორის საყვარელი გმირები.

გრაფ ვალუევის მთავარ გმირს ლორინს,—რომელიც, როგორც წესი, უშიშარი და უმწიკვლო რაინდია, უყვარს ერთი მანდილოსანი, მაგრამ, ამავე დროს, გულგრილი არაა მეორის მიმართაც. საკმაოდ მძიმე და პიკანტური ვითარებაა. რომანის პირველსავე ფურცლებზე ერთ-ერთი ამ ქალბატონთაგანი ჩვენი გმირისაგან მოითხოვს სამსახურის, მშობლების, სამშობლოს მიტოვებას და მასთან ერთად იქითკენ გაქცევას, „სადაც ფორთოხალი ჰყვავის". მეორე არაფერს ითხოვს, პირიქით, თვით სთავაზობს, ილოცოს დატყვევებული გმირისთვის. ლორინი მორჩილად თანხმდება, გაასეირნოს ევროპაში ის მოწყენილი ქალი და მასთან ერთად გაიქარვოს მომაკვდინებელი ნაღველი, ნაღველი პოლკის დატოვების გამო... ჩუმად ყლაპავს იგი ნაღვლიან ცრემლს, არ დრტვინავს, არ ნუხს, არ ითხოვს შეწყალებას და არ ეძებს გამოსავალს. მას სჯერა, რომ ბედი ადრე თუ გვიან, მაგრამ, ცხადია, უფრო ადრე, ვიდრე გვიან, ან, ყოველ შემთხვევაში, არც ისე გვიან, აუცილებლად გაუღიმებს, იზრუნებს, რათა შესაფერისად აეწყოს მისი სასიყვარულო საქმეები. მართლაც, ბედი უმწიკვლო მეგობარ-რეზონიორის ბარონ რინგშტელის მეშვეობით, რომელიც ლორინის უნებართვოდ და მისგან ფარულად მოქმედებს, იმ მოწყენილ ქალბატონს შთააგონებს აზრს—გაათავისუფლოს საბრალო ლორინი. ქალი დიდსულოვნად ტოვებს ლორინს და მიდის იმის მტკიცე რწმენით, რომ აიტანოს საყვარელთან განშორება. მას აქვს იმედიც, რომ მომავალში კვლავ შეხვდება აქ, მიწაზე, ან იქ—ზეცაში. მაგრამ ჩვენი გმირისთვის ეს მსხვერპლი საკმარისი არაა. მას ეუხერხულება სხვა შეირთოს ცოლად იმ დროს, როცა მისგან შორს მყოფი, მაგრამ მაინც საყვარელი ქალი, ცოცხალია. მაგრამ განა ეს გადაუჭრელი პრობლემაა? განგება ამ ქალს მოახვედრებს წვიმაში, გააცივებს, დამართებს ფილტვების ანთებას და სწრაფ ჭლექს. ქალი უდრტვინველად და მშვიდად კვდება იტალიის ლაჟვარდოვანი ცის ქვეშ იმ იმედით აღსავსე, რომ თავის საყვარელ ლორინს, რომელსაც სიცოცხლეში ვეღარ შეხვდა, მოთმინების საზღვაურად ზეცაში მაინც ჩაიკრავს მკერდში, სადაც საჭიროა ითქვას, ჩვენი გმირი წარსდგება მეორე შეყვარებულ ქალიშვილთან—ოლღა სობოლინასთან ერთად, რადგან იგი რომანის დასასრულს მის კანონიერ მეუღლედ იქცევა.

რომანის მეორე გმირ ქალს, ოლღა სობოლინას, თავდავიწყებით უყვარს პირველი გმირი ქალის, გრაფინია ისკრიცკაიას მიერ გატაცებული ლორინი. მაგრამ იგი არც შფოთავს, არც წუხს, არც გამოსავალს ეძებს. ოლღა სობოლინა უდრტვინველად ყლაპავს უბედური სიყვარულის ცრემლებს, ჩუმად იმედოვნებს და ითმენს ღრმად დარწმუნებული, რომ ყოვლად კეთილი განგება მისი მოთმინების შედეგად მოლბება და ლორინს მასთან მიიყვანს.

სახელოვან ლორინს ჰყავს ბიძა, უმდიდრესი მემამულე, უშვილო; იგი ჩვენს გმირს თავის მემკვიდრედ ამზადებს. უიმისოდ ჩვენი გმირი სრული არარაობაა; მხოლოდ ბიძის სუბსიდიების მეშვეობით მსახურობს იგი ცხენოსან გვარდიაში. როცა ლორინი ისკრიცკაიას აედევნა ევროპაში, ბიძა განრისხდა და ჯერ სუბსიდიების მიცემა შეუწყვიტა, ხოლო შემდეგ შორეული ნათესავების ძებნა დაიწყო, რათა მათ დაუტოვოს თავისი ქონება. ბიძის რისხვამ ლორინი აიძულა გადაკარგულიყო მიყრუებულ პროვინციაში და ბრწყინვალე მუნდირის მაგიერ, რაც მის საუკეთესო მორთულებას შეადგენდა, ჩაეცვა ადმინისტრატორის მუნდირი. ასეთ საშინელ მდგომარეობაში ჩაყენებული გმირი ოდნავადაც არ იწუხებს თავს, ამ მდგომარეობას თავი დააღწიოს. იგი ყველაფერს ითმენს და იმედი აქვს განგებისა, რომ ბოლოს და ბოლოს მიიღებს ბიძის ქონებას.

რომანში გამოყვანილია სათნო მღვდელი, იდეალი გულადი, უანგარო სოფლის მღვდლისა. იგი ბედისაგან მივიწყებული და ადამიანთაგან დამცირებულია, მაგრამ თვითონ ხალხის მოყვარული და ბედით მეტად კმაყოფილია. რამდენს ითმენს ლორინი, მაგრამ ისიც კი აღშფოთებულია მამა პლატონის ბედით.

„—ეს რა ცხოვრებაა,—ეუბნება იგი თავის თავს,—შრომა, გაჭირვება, ნაღველი, მარტოობა, დაუმსახურებელი დამცირება წარსულში და, რაც მთავარია, მომავალშიც. ამას ემატება მოხუცებულობის უძლურობა. რა მომივიდოდა მე მის ადგილზე?“

მაგრამ ეს ბედისაგან „დაუმსახურებლად დამცირებული“ მამა პლატონიც უდრტვინველად ემორჩილება განგების ძალას: იტანს და, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც იმედი აქვს, ოღონდ არავინ უწყის, ვისი ან რისი იმედი აქვს. სამწუხაროდ, რომანიდან არ ჩანს, გამართლდა თუ არა ეს იმედები, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვა, უკეთეს სამყაროში „დაუმსახურებლად დამცირებული“ ღირსეულად იქნება ამაღლებული.

შეიძლება ათეულობით ამისთანა მაგალითისა და ამონაწერის მოხმობა იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ რომანის გმირები, არა მხოლოდ ლორინი, ოლღა და მამა პლატონი, არამედ ყველა „სიმპათიური" გმირი, ყველასა და ყველაფერს უყურებენ, როგორც „ბედის მითითებას, რამაც უნდა შეწყვიტოს მათი შინაგანი მერყეობა. ცხოვრების მსხვილმან თუ წვრილმან შემთხვევებში, ბედნიერება იქნება ეს თუ განსაცდელი, ეს „ბედის მითითებანი", ანუ განგების ბრძანებანი, ყველგან და ყოველთვის ჩნდებიან როგორც გარდაუვალი deus exmachina[68], რომელსაც ავტორიცა და მისი გმირებიც ანდობენ პრობლემების გადაწყვეტას და განსაკუთრებით ავტორისათვის ყველაზე მეტად საძულველი „შინაგანი მერყეობის" შეწყვეტას. მთელს რომანში გატარებულია რეზონიორრინგშტალის დამრიგებლური, სიტყვაშეუბრუნებელი ფორმულა —უნდა მოითმინოთ! თქვენც! ე. ი. ყველამ... ლორინმა, ისკრიცკაიამ, ოლღამ, მამა პლატონმა, სობოლინმა, უფროსთაგან ტყუილუბრალოდ შეურაცხყოფილმა, სოფლიდან გამორეკილმა გლეხებმა, ეკონომიკური ქაოსის გამო გაღატაკებულმა მემამულემ, მოხელემ, რომლის უფროსიც აცხადებს, რომ მან თვითონ არ იცის ის საქმე, რისი გაკეთებაც ევალება და ა. შ. და ა. შ. უნდა მოითმინონ. განდგომა საკუთარი ნებისა და აზრისაგან, ცხოვრების მოვლენებისადმი პასიური დამოკიდებულება, უდრტვინველად მიღება თვით „დაუმსახურებელი დამცირებისაც კი", მოთმინება, მოთმინება, მოთმინება და მხოლოდ მოთმინება—აი, არსებითად, საფუძველთა საფუძველი ავტორის მსოფლმხედველობისა. იქნებ თქვან, რომ ამ მსოფლმხედველობაში სრულიად არა არის რა ახალი და ორიგინალური, რომ მისგან აღმოსავლელი წინასწარმეტყველების მართლმორწმუნე მიმდევრების ფანატიზმის სიო ქრის. მაგრამ ახალი აქ სულ სხვა რამაა, კერძოდ კი ის, რომ ჩვენი დროის სერიოზულ მწერალს განუზრახავს პროპაგანდა გაუწიოს ამგვარ შეხედულებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, დააკანონოს მისი აუცილებლობა, როგორც ყოველგვარი „შინაგანი მერყეობის" საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალება. სწორედ ეს სიახლე იმსახურებს კრიტიკის განსაკუთრებულ ყურადღებას, მით უმეტეს, რომ ამ შეხედულების ცხოვრებაზე უკეთ მოსარგებად გრაფი ვალუევი შეეცადა საგრძნობლად გაესიმპათიურებინა იგი. სწორედ ამაზე ლირს ორიოდე სიტყვის თქმა.

უეჭველმა შორსმჭვრეტელობამ და წინდახედულებამ ავტორს უკარნახა: არ შეიძლება, უხერხულია პირდაპირ აიღო ეს შეხედულება და მთლიანად, შეულამაზებლად შეუფარდო იგი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებას. ამგვარი რამე-რუმეები კაცს შეიძლება ეპატიოს იმ შემთხვევაში, თუ საქმე პირად ცხოვრებას ეხება, მაგრამ პოლიტიკური ცხოვრების მოვლენებისადმი ამგვარი ბუნდოვანი ჩურჩულით მიდგომა ძალიან ჭირს. ყველას თვალში ეცემა, რომ მოთმინებით უნდა მივიღოთ არა მარტო ე. წ. „დაუმსახურებელი დამცირებანი", არამედ ყოველგვარი „შინაგანი მერყეობანიც", რომელნიც დასაბამს უეჭველად, როგორც სხვა დანარჩენი, ბედის ტრიალში იღებენ, მაგრამ რომელნიც, სამწუხაროდ, მოთმინებით ვერ აილაგმებიან. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ, რასაკვირველია, ყველას—დიდსა თუ პატარას—აუცილებლად უნდა მოეთმინა და ხსნის იმედიც ექნებოდა ამ ქვეყანას თუ არა, საიქიოს მაინც. იოლი და სრულიადაც არაჩვეულებრივი როდია პიროვნების თვითმოქმედების უარყოფის ქადაგება, მაგრამ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამგვარ უარყოფამდე მისვლა მკითხველს, უბრალოდ, ველურობად მოეჩვენებოდა. ეს იქნებოდა ანარქიის დაკანონება. ასეთი უკიდურესობის თავიდან ასაცილებლად ავტორი იძულებულია ერთგვარი დუალიზმი დაუშვას: ადამიანის პირად მორალურ ცხოვრებას განგება მართავს, ხოლო საზოგადოებრივს—პოლიცია. სწორედ პოლიციასა და, არა მთავრობას საერთოდ, არა ხელისუფლების ამა თუ იმ დარგის წარმომადგენლებს, არა რომელიმე დაწესებულებასა და, ცხადია, არა სამართლის ამა თუ იმ შეურყეველ საფუძველს. ვაღიარებთ: გვეძნელება ასეთი მიწიერი განგების სპეციალიზაციის საფუძვლების მოძებნა, მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ ავტორის პოზიცია მართებულად გავიგოთ და მის კონცეფციას არ გავსცილდეთ, მაგრამ სხვაგვარად როგორ უნდა ავხსნათ და გავიგოთ აზრი ავტორისა, რომელიც თავისი ნაშრომის ყველა გვერდზე მოითხოვს „ხელისუფლების პატივისცემას", თვითონ კი ხელისუფლების ყოველგვარ დაწესებულებას უარყოფს, გარდა პოლიციისა? სჯობია თვითონ განსაჯოთ. იმ დებულებიდან გამომდინარე, რომ „ჩვენში გონების დისციპლინა შეირყა" და, რომ „ხელისუფლებისათვის აუცილებელია პრესტიჟი", ავტორი დაჟინებით უსვამს ხაზს საერთოდ ყველა უწყების პირადი შემად-

გენლობისა თუ დანესებულებების არარაობას, გარდა პოლიციურისა და მოითხოვს, რომ ყველამ იზრუნოს ერთი მთავარი ამოცანის გადასაჭრელად—ულაპარაკოდ დაეხმარონ პოლიციას, რათა, მიუხედევად ყველაფრისა, აღდგეს მისი პრესტიჟი. გასაგებია, რომ ჩვენს დასკვნაში ადვილად შეიძლება ეჭვი შეიტანონ, თითქოს ავტორის აზრს ვამახინჯებდეთ, ამიტომ აუცილებლად ვთვლით ჩვენი დასკვნის დასასაბუთებლად სოლიდური მტკიცებანი მოვიტანოთ. გრაფ ვალუევის რუსულ საზოგადოებასთან დამოკიდებულებაზე ბევრი ლაპარაკი არაა საჭირო. იგი პირდაპირ უარყოფს მას, რადგან მასში ძალისა და ორგანიზაციის ნიშანწყალსაც ვერ ხედავს. საზოგადოება, მისი აზრით, შეიძლება და უნდა იყოს მხოლოდ „ხელშემწყობი", თანაც იგი უნდა დაეწყოს როგორც ესკადრონი ისე, რომ პირველ რიგს შეადგენდეს აზნაურობა (ნაწ. I, გვ. 119). რჩება ერობა, მაგრამ გრაფი ვალუევი ერობას აცამტვერებს და ამტკიცებს, რომ მან ვერავინ შეაკავშირა და არც შეეძლო ვისიმე შეკავშირება. „მას არ შეუძლია შეაკავშიროს არც ნოდებანი, არც ხალხი: იგი მტკიცე და მოსახერხებელი დასაყრდენი არაა" (ნაწ. II, გვ. 341). და გრაფი ერობას ფელეტორნის ყაიდის არგუმენტით აცამტვერებს:

„მდინარეში ფონით გავედით და არა ხიდით,—ხიდი ერობისაა, მითხრა მეეტლემ".

ვინც კი იცის, რომ ერობა და მისი „მყარი და სასარგებლო საფუძვლები" ჩამოყალიბებული და დაფუძნებულია სწორედ გრაფ ვალუევის მიერ, არ შეიძლება ქუდი არ მოიდრიკოს მისი ასეთი თვითგვემისა და ავტორისეული თავმოყვარეობის უქონლობის წინაშე, სადამდეც ამ შემთხვევაში ამაღლდა ჩვენ მიერ განხილული რომანის ავტორი, თუმცაღა ეს საქმეს უშუალოდ არ ეხება. განვაგრძოთ. უარყო რა არაორგანიზებული საზოგადოება, უარყო რა ასევე მტკიცე და სასარგებლო საფუძველს მოკლებული, მაგრამ ორგანიზებული საზოგადოებაც, ავტორს შეეძლო ნდობით მოქცეოდა ხალხის ხელუხლებელ, მდიდარ ძალებს. ამ ადამიანების შესახებ გრაფ ვალუევისაგან ვიგებთ მხოლოდ იმას, რომ ისინი ხელიდან არიან წასული, აღარაფერს აღარ ეპუებიან, რომ შეუძლებელია მათი დაკავება, ისინი ცეცხლს აძლევენ ყველაფერს ან ამართლებენ ცეცხლის წაკიდებასა და მკვლელობას. თუ თანამედროვე საზოგადოებაში არიან კიდევ კარგი ადამიანები, ვთქვათ,

„განსაკუთრებული თავად ილარიონ ვასილის ძე ვასილჩიკოვის“ (ცნობილი მწერლის მამა) მსგავსნი, რომელსაც „ხელმწიფემ უბოძა თავადობა“ და რომელმაც თავის დეკიზში შეიტანა სიტყვა „პატიოსნება“, ასეთ ადამიანებს ვერ ვხედავთ ხალხში: „მათ ადგილი არა აქვთ თემის ყრილობაში, ღვინის კასრთან და იქ, სადაც ასეთ ყრილობებს თვითმმართველობას უწოდებენ (ნაწ. I, გვ. 121). ჩვენ ვნახეთ, თუ რა მკვახე და შეუბრალებელი ტონით უარყოფს და ამხელს ავტორი არაოფიციალურ რუსეთს. ყველაფერი ეს ჯერ კიდევ პირდაპირ არ ეწინააღმდეგება მის თხოვნას აღადგინოს ხელისუფლების პრესტიჟი, რადგან ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იმ შეგნებამდე, რომ საზოგადოებრივი ძალები, სოფლების, თემის მმართველობის, საერობო თუ საქალაქო გამგეობის მსგავსად ორგანიზებული—ხელისუფლებად მივიღოთ, თუმცა მოქმედების სხვა წესითა და სხვა ამოცანებით. ოღონდ შემდეგ ვხედავთ, რომ არანაკლები სიმკვეთრითა და გაღიზიანებით ეკიდება ჩვენი ავტორი უკვე არა არჩევით, არამედ ოფიციალურად დანიშნულთ და თანაც, არა საზოგადოებრივი, არამედ მთავრობის ხელისუფლების წარმომადგენლებს, უპირველეს ყოვლისა, კი სასამართლოს. უბედური იუსტიციის წარმომადგენლები „ლორინში“ საცოდავ მკვეხარებად არიან გამოყვანილი. ბაგრამ აქ საჭიროა სიტყვა-სიტყვითი ციტირება:

„—მგონი არც თქვენ გიყვართ ახალი იუსტიცია,—შენიშნა ლორინმა.

„—არც მძულებია, ოღონდ ხშირად დავფიქრებულვარ მის ხერხებზე და საერთო იერზე. მე მგონია, რომ იგი საკუთარი თავით მეტად კმაყოფილია. ეს კი ცუდი ნიშანია.

„—უფალი ჟუტინი (დაფიქრდი, მკითხველო, არა არჩევითი მომრიგებელი მოსამართლე, არა სასამართლოს მუდმივი წევრი, არამედ პროკურორი) მართლაც თავისი თავით მეტად კმაყოფილია.

„—და არა მარტო უფალი ჟუტინი. ეს ვაუბატონები რაღაც უცნაურად არიან შერჩეული. ამას წინათ ტერპიგორევების მამულში ერთ მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეზე იყო სასამართლოს გამომძიებელი, ერთი იმათგანი, რომელთაც სასამართლო თანამდებობის კანდიდატებს უწოდებენ. ვერ წარმოიდგენთ,

რა პიროვნებაა იგი თავისი გარეგნობითა და მანერებით. არ ვისურვებდი მას სადმე ბინდში შევხვედროდი პირისპირ“ (ნაწ. II, გვ. 211-212).

ასეთნი არიან პიროვნებანი. მაგრამ თვითონ დაწესებულება როგორიღაა? ავტორი ამგვარ კითხვასაც სვამს და იქვე იძლევა პასუხს:

„რას აკეთებენ ჩვენი სასამართლოები? ისინი, თითქოს იმისთვის არიან ამ ქვეყანაზე, რომ ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში დაამცირონ ხელისუფლების მნიშვნელობა და შეარყიონ მისი ავტორიტეტი“.

პირადი შემადგენლობისა და დაწესებულებების ასეთი შეუბრალებელი კრიტიკით დაუკმაყოფილებელი ავტორი გადადის კანონმდებლობაზე და აი, რას ამბობს მასზე:

„სისხლის სამართლის საქმეების მსვლელობაზე დაკვირვებისას მიჩნდება აზრი, რომ კანონები დაწერილია არა კეთილგონიერი ადამიანების ბოროტთაგან დასაცავად, არამედ—ამ ხალხის სახელმწიფოსაგან იზოლაციის მიზნით“ (ნაწ. II. გვ. 215).

რაღა დარჩა სასამართლოსაგან? აჰ, დიახ: რჩებიან ნაფიცი მსაჯულნი, რჩება „საზოგადოებრივი სინდისის სასამართლო“, როგორც მას უნოდა კანონმდებელმა. მაგრამ გრაფი ვალუევი ამ სასამართლოს მუჯლუგუნის ღირსადაც კი არ თვლის, ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ მხრების შემწყალებლური აჩეჩვით კმაყოფილდება.

„ეს საზოგადოებრივი სინდისი,—ამბობს იგი,—ცუდი არაა, როგორც ფრაზა, მაგრამ საქმეში შეიძლება უვარგისი აღმოჩნდეს“ (ნაწ._ II, გვ. 72). არა მხოლოდ შეიძლება უვარგისი აღმოჩნდეს, არამედ ასეცაა, რადგან „ლორინის“ იმავე გვერდიდან ჩანს, რომ ეს სასამართლო, თურმე, ცეცხლის წამკიდებლებს ამართლებს.

სასამართლოს გარდა სხვა უწყებებიც არსებობს: სააქციზო, საკონტროლო, საფინანსო, სამხედრო. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელს გრაფი ვალუევი სრული პატივისცემით ეპყრობა და, ხშირად მის სახელმოხვეჭილ დისციპლინას ყველა დანარჩენს ნიმუშად უსახავს. ხელისუფალთა ურთიერთმოქმედების საკითხის გარკვევისას იგი ყოველთვის ფრთხილად უვლის გვერდს ამ უწყებას. სამაგიეროდ, დანარჩენებს ბევრი მწარე სიტყვის მოსმენა უხდებათ ავტორისაგან.

„—თქვენ თუ მეხმარებით (მელანქოლიურად ლაპარაკობს გრაფი ვალუევის ნაწარმოებში გუბერნატორი თავ. პრონსკი, რომელიც ავტორის ყველანაირი სიმპათიით სარგებლობს), სხვები ხელს მიშლიან, ამ სხვებმა კი იციან, რომ მე არ შემიძლია იმედი მქონდეს ზოგიერთი უწყებისა, რომელთაც აქ (გუბერნიაში) თავისი წარმომადგენლები ჰყავთ.

—„მთავარი პრობლემაც ესაა,—თქვა კარინმა,—ეს ვაუბატონები აქაურებს ხშირად აქეზებენ.

„—ისინი თითქოს ყოველგვარი შემთხვევით სარგებლობენ, რათა ხაზგასმულად არ დაემორჩილონ თქვენს მაღალკეთილშობილებას“ (ნაწ. II, გვ. 245).

რითი გამოიხატება გუბერნატორის უფლების წინააღმდეგ „ზოგიერთი უწყების შეცოდებანი? ავტორი ამაზეც იძლევა პასუხს. ჯერ ერთი, ისინი, როგორც ითქვა, „აქეზებენ აქაურებს“ და ცდილობენ გამოხატონ თავიანთი ურჩობა. მეორეც, ზოგიერთი მათგანი, კუჩილინის მსგავსად, შეკედლებულია“ ერთ-ერთ აქაურ პალატაში“, იმაში, რომელსაც მოეპოვება „სრული ცნობები სხვადასხვა სახელმწიფო უწყების სამეურნეო საქმეებზე“ და ნებას აძლევენ თავიანთ „მახვილს, მოურიდებელ კალამს“, აგრეთვე ენას და უპატივცემულოდ ლაპარაკობენ გუბერნატორზე არა მხოლოდ კერძო საუბარში, არამედ—სატახტო ქალაქების გაზეთთა ანონიმურ კორესპონდენციებშიც. კალმის პატრონზე თავდასხმა კი არ შეიძლება, „რადგან იგი ცნობილ (წაიკითხე „საკონტროლო“) პალატასთანაა დაკავშირებული“ (ნაწ. II, გვ. 113). საერთოდ, ამგვარ მოხელეებს ავტორი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს:

„თითქოს განათლებულთა და ნასწავლთა ახალი სამოხელეო ელემენტი შეუფერებელია ჩვენი შეხედულებისა და ჩვეულებების მქონე ადამიანთათვის*. ეს ელემენტი კი ახლა საგუბერნიო ქალაქებში უმეტესობა ხდება... ეს ვაუბატონები იმდენად თვითკმაყოფილი, ამპარტავანი არიან იმის წინაშე, რაც იყო, და აგრეთვე იმის წინაშეც, რაც მათ გვერდითაა, რომ დიდი ნებისყოფაა საჭი-

* ამ შეხედულებებისა და ჩვეულებათა ხასიათი შემდეგი ფრაზიდან ხდება გასაგები: „ჩვენში ავიწყდებათ, რომ ჯანსაღი ყლორტი მხოლოდ ასეთივე ჯანსაღი ძველი ფესვებიდან იღებს სიცოცხლეს“ (ნაწ. I, გვ. 120).

რო, რათა ყოველ ნაბიჯზე უსიამოვნებას არ გადაეყარო. ნამდვილად კი მათში სხვა არა ყრია-რა, გარდა ახალი ყაიდის ლიბერალური ფრაზებისა" (ნაწ. II, გვ. 295-296).

რასაკვირველია, ასეთი ელემენტების წინააღმდეგ საბრძოლველად გუბერნატორს ძლიერი მხარდაჭერა ესაჭიროება ზევიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი იშვიათად თუ იღებს ასეთ მხარდაჭერას.

„ეს იქიდან ჩანს, თუ რა მცირე ყურადღებას აქცევს სამინისტრო მის წარდგინებებს. ხოლო, რადგან ეს მცირე ყურადღება ყველასთვის შესამჩნევია და მათ შორის აქაური (საგუბერნიო) ოფიციალური პირებისთვისაც, ამიტომ არა მხოლოდ საჭირო გავლენის მოპოვება, არამედ საკუთარი ღირსების დაცვაც კი მეტად ძნელდება. უფრო მეტიც, საერთოდ შეუძლებელიც კი იქნებოდა, ამ თანამდებობაზე თავადი პრონსკი რომ არ იყოს. ამას ემატება ჩვენი ქონებაც, რომელიც საშუალებას გვაძლევს მაღლა ვიდგეთ აქაურ ოპოზიციურ ელემენტებზე, ყოველ შემთხვევაში ოჯახის, სამზარეულოსა და საჯინიბოს მხრივ მაინც" (ნაწ. II, გვ. 294).

ერთი სიტყვით, რაღა სიტყვა გავაგრძელოთ, გრაფი ვალუევი საკმაოდ უცერემონიოდ და გაბედულად აცხადებს:

„—ახლა გუბერნატორებს ხშირად ხელი შეკრული აქვთ. შეიძლება ეს რამდენადმე ხელს უშლის კიდეც მათ ბოროტების ჩადენაში, მაგრამ ასევე ხელი ეშლებათ სიკეთის ქმნაშიც.

„—განა მათ არა ჰყავთ სამაზრო პოლიციის უფროსები, რომელთაც სულაც არა აქვთ ხელი შეკრული?—იკითხა გამგეობის წევრმა.

„—ხელი იმათაც შეკრული აქვთ" (ნაწ. I, გვ. 117).

ხედავთ, თურმე, გუბერნატორებს ხელი შეკრული აქვთ, ხოლო ყველა დანარჩენს—გახსნილი. ვითარება უნდა შეტრიალდეს. ან ზემომოტანილ ამონაწერებს ანდა სხვა მსგავს შენიშვნებს არა აქვთ არავითარი მნიშვნელობა, ანდა უსიტყვოდ სწორია ჩვენი დასკვნა. დაუშვებელია პირველი დებულება: გრაფ ვალუევის მსგავს ავტორებს არ შეუძლიათ სისტემატურად ორმოცჯერ დაუბრუნდნენ ერთსა და იმავე საგანს და ორმოცჯერ გამოთქვან ერთი და იგივე აზრი, თუ მათ უპირველეს მნიშვნელობას არ აძლევენ. ისინი, ვინც მიჩვეული არიან აწონ-დაწონონ თითოეული სიტყვა, ზედმეტი ლაპარაკისათვის დროს არ კარგავენ. მაშასადამე,

ძალაში რჩება მეორე დებულება. ამ შემთხვევაში კი უდავოა, რომ „ლორინის“ ავტორი თავის ძირითად შეხედულებათა ერთგული დარჩა. და, მართლაც, ხელისუფლების პრესტიჟის დაცვისას მან ლაფში ამოსვარა მისი თითქმის ყველა წარმომადგენელი, თითქმის ყველა უწყება, გარდა პოლიციისა. მხოლოდ მის შესახებ არ იგესლება, მხოლოდ მას იხსენიებს კეთილად, მხოლოდ მის წარმოდგენას ცდილობს „მიმზიდველად“. მხოლოდ მისთვის მოითხოვს იგი ყველასაგან „პატივისცემასა“ და მორჩილებას. სამინისტრო? ისიც მოვალეა უსიტყვოდ და დაუყოვნებლივ დაამტკიცოს თავისი აგენტის ყველა წარდგინება, თორემ სხვაგვარად არა თუ ძნელი, არამედ შეუძლებელია საჭირო გავლენის მოპოვება. სახელმწიფოს ყველა დანარჩენი სფერო თუ უწყება, იქნება ეს დამოუკიდებელი (ბეჭდვითი სიტყვა), საზოგადოებრივი (ერობა და თავადაზნაურობა) თუ სახელმწიფოებრივი (საკონტროლო, სახელმწიფო, სასამართლო პალატა და ა. შ.), დასაშვები და ასატანია ავტორისათვის იმდენად, რამდენადაც ისინი ხელს უწყობენ პოლიციას და პოლიციის სიძულვილს არ იმსახურებენ.

ერთი სიტყვით, ყველასა და ყველაფერს აქვს სიცოცხლისა და არსებობის უფლება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს მოსახერხებელია ადმინისტრაციის წარმომადგენლისა და მისი მეულლისათვის, ყველა და ყველაფერი შექმნილია მათთვის. ასეთია „ლორინის“ ავტორის დასკვნა, ასეთია მისი საზოგადოებრივი კეთილმოწყობის იდეალი. შევადარებთ თუ არა ამ შეხედულებას იმასთან, რაც გამოუმუშავებია გრაფ ვალუევს პირადი ზნეობრივი ცხოვრების მიმართ, იმწამსვე დავრწმუნდებით: მათ შორის სრული იგივეობაა. როგორც პირადი ყოფის სამყაროში ავტორი არ ცნობს არაფერს, გარდა აღმოსავლური „ბედისწერისა“, ისე აქაც, საზოგადო კეთილმოწყობის სამყაროშიც, იგი დიდად არ სცილდება აღმოსავლურ სატრაპულ წესრიგს. ორივე სფეროში იგი ყველასაგან ერთსა და იმავეს მოითხოვს: უდრტვინველ მოთმინებასა და პასიურ დამორჩილებას. პიროვნება ბედს უნდა დაემორჩილოს, საზოგადოება კი—სატრაპის მითითებებს. „უნდა ითმინოთ“—ისმის აქაც და იქაც. ნუ ეძებთ გამოსავალს, ნუ დრტვინავთ, ნუ ეძლევით „შინაგან მერყეობას“, შეურყევლად მიენდეთ ორმხრივი ბედის სიბრძნესა და „კეთილსურვილიანობას“. აი, ავტორის საერთო დასკვნა, აი, მის მიერ აღმოჩენილი საშუალება

დედამიწაზე სიმართლისა და ბედნიერების სამეფოს დამყარებისა. ავტორი იმდენადაა გამსჭვალული ამ შეხედულებით, რომ უთუო აქსიომად ასაღებს ბომარშეს სარკასტულ ნათქვამს ყოჩების ნეტარებაზე და ბედუკულმართი მწყემსების შურს მათ მიმართ: „il faut avoir e'te berger, pour apprecier le bonheur des moutons.“[69]

ამრიგად, ერთი მხრივ, „ჩვენი გონების დისციპლინაა შერყეული“, ხოლო, მეორე მხრივ—ერთადერთი ძალა, რომელსაც შეეძლო ავეცდინეთ ყოველგვარ „შინაგან მერყეობას“, „წელშეკრული“ აღმოჩნდა და პრომეთეს მსგავსად განწირულია საზოგადოების, ბეჭდვითი სიტყვის, ერობის, სასამართლოს, ზოგიერთი სხვა უწყებისა და სამოხელეო ელემენტის საჯიჯგნელად... ჭეშმარიტად ტრაგიკული მდგომარეობაა! ოღონდ ავტორმა არაფერი იღონა, რათა გამოერკვია, მაინც როგორ მივედით ამ მდგომარეობამდე, როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ყველამ ასე შეუბრალებლად დაამხო გონების დისციპლინა და უმოწყალოდ მიჰყო ხელი იმ გულის ჯიჯგნას, რომელიც თვით შეიბორკა ადმინისტრაციის ჯაჭვით. ასეთი საერთო, საყოველთაო, ყველგან ერთსა და იმავე ფორმაში ჩამოქნილი სინამდვილე, სერიოზული გონების თვალსაზრისით, არ შეიძლება არ ვიცნოთ ღრმა და ყოველმხრივი ანალიზის ღირსად. ნუთუ მართლა ყველა სფერო, ყველა უწყება სულით ხორცამდე წაბილწულია და მხოლოდ პოლიციაა მართალი? იქნებ თვით საზოგადოების წიაღშივეა ჩაბუდებული მისი უბედური ყოფის მიზეზები? გრაფ ვალუევის რომანში პირდაპირი პასუხი ამაზე არ მოიპოვება. იგი საქმესთან მიხვეულ-მოხვეული გზით მიდის. მართალია, მისი ადმინისტრატორი აღიარებს, რომ სრულიად მოუმზადებელია თავისი თანამდებობისათვის, არ იცის არც საქმეები, რომელნიც მის უაპელაციო გადაწყვეტილებას ექვემდებარებიან, არც მოსახლეობის მდგომარეობა და მოთხოვნილებანი (ნაწ. II, გვ. 244), მაგრამ ამგვარი მონაცემებიდან მაინც არ შეიძლება ჩვენს კითხვაზე გარკვეული პასუხის მიღება.

მართლაც, განა საშინელება არაა ასეთი ვითარება? როგორც ავტორის სიტყვებიდან ჩანს, მდგომარეობა ისეთია, რომ თვით ადმინისტრაციის უმაღლეს წარმომადგენელთაც კი სიცოცხლე აქვთ გამწარებული თანამედროვე არევ-დარეულობისაგან.

გუბერნატორი თავის ცხოვრებას თვითონ ადარებს „ნამდვილ კატორღას“ (ნაწ. II, გვ. 231). „დიდი (ე. ი. მსხვილი) მიწის მფლობელნი“ ასეთსავე მდგომარეობაში არიან და ხედავენ, რომ „დაცვა და მფარველობა არსაიდანაა“. რაც შეეხებათ მემამულეებს, მღვდლებსა და მოხელეებს, ცხადია, მათაც ემძიმებათ მთელი ეს არეულ-დარეულობა. მაშ, მკითხველმა წარმოადგინოს, როგორიღა უნდა იყოს მდგომარეობა იმ უბრალო მოკვდავებისა, რომელნიც სრულიად არ არიან არც სახელმწიფო ხაზინის, არც სამთავრობო ხელისუფლების, არც სახელმწიფოებრივი პრივილეგიების თანაზიარი? მაშ, როგორ ცხოვრობენ ცხოვრების გერები, პროლეტარიატი, აზრისა და საქმის მუშაკები? რა მოსდის ხალხს, მუშებს? თუ გუბერნატორ თავად პრონსკის მდგომარეობა კატორღელის მდგომარეობას უნდა შევადაროთ, მაშინ რომელიღა სიტყვებით აღიწეროს ამ უბრალო მოკვდავთა ყოფა?

გრ. ვალუევი არც ამ კითხვებზე იძლევა რაიმე პასუხს, მაგრამ დაფიქრებულა კი მათზე? რადგან არ შეიძლება ამგვარ მდგომარეობას არ ჩაუფიქრდეს ცოტად თუ ბევრად სერიოზული კაცი. ავტორი აღუშფოთებია მის მიერვე დახატულ სურათებს, თვალნათლივ დაუნახავს მის მიერ აღწერილი მდგომარეობის მთელი საშინელება, გამოუვალი მდგომარეობა და მიხვედრილა: მის მიერვე დახატული ბოროტების წინააღმდეგ შემოთავაზებული წამალი უძლურია. მართლაც, მას არ შეეძლო არ შეეგნო, რომ ადამიანურ შესაძლებლობას აღემატება თანამედროვე ადამიანთა გარდაქმნა მორჩილ და ყველაფრის ამტან ბატკნებად, მის მიერ განდიდებული ლორინების, საბოლინებისა და მამა პლატონების დაგვარად. დრო ისეთი აღარაა და ძალებიც სხვაგვარია... და, აი, რას გვთავაზობს რომანის დასასრულს ადამიანი, რომელიც ნიადაგ უდრტვინველ და უსასრულო მოთმინებას ქადაგებდა:

„მე გულისყურით ვკითხულობ გაზეთებს, ყურს ვუგდებ აზრებს, ვაკვირდები ხელისუფლების მოქმედებას და ვხედავ, რომ თქვენ და თქვენნაირებს არსად არ გაქვთ დასაყრდენი. თქვენზე არავინ ზრუნავს, გარდა ყველასგან შეგინებული პოლიციისა; ნურაფრის იმედი ნუ გექნებათ... თუ გაქვთ ზედმეტი ფული, ჩემი რჩევა მოკლე იქნება: გადარიცხეთ საზღვარგარეთ“ (ნაწ. II, გვ. 369-370).

ეს სულის სიღრმიდან ამოხეთქილი აღშფოთებული ღაღადისი—„თავს უშველეთ, ვისაც შეგიძლიათ!“—შეადგენს ჩვენი საბელმწიფო მოღვაწის რომანის კვინტესენციას*. ყოველივე ამას ჩვენ ვერაფერს დავუმატებთ, გარდა შენიშვნისა, რომ იგი აუცილებლად და ლოგიკურად გამომდინარეობს ავტორის მსოფლმხედველობიდან. ბრმა რწმენიდან სრულ განწირულობამდე—ერთი ნაბიჯია, ხშირად უნებურად გადადგმული. ვინც ცხოვრებაში თვით არ ცდილა და არც სხვისთვის უსწავლებია, საკუთარ თავში მოენახა საყრდენი და იმედი არ ჰქონოდა ბრმა ბედის მითითებისა“, მას აუცილებლად სასოწარკვეთილება დაეუფლება არა მარტო ნამდვილი სიძნელეების, არამედ მათი აჩრდილის დანახვისთანავეც კი. ვინც ხელოვნურად იქმნიდა სიბნელის, დუმილისა და სიცარიელის პირობებს, იგი უნებურად ექცევა შიშის გავლენაში, უკუნი ღამის უტყვობით რომაა მოგვრილი...

დროა ჩვენი მსჯელობა დავასრულოთ ავტორის ლიტერატურული ნაშრომის საერთო შეფასებით.

გრაფ ვალუევს სანაქებო მიზანი დაუსახავს—მშობლიური ლიტერატურის საგანძურში შეეტანა თავისი წვლილიც, ამასთან, საზოგადოებისათვის გაეწია კეთილი სამსახური „გონების დისციპლინის“ და „დაცვისა და მოვლის“ აუცილებლობის ქადაგებით, მაგრამ თვით ყველაზე გამოცდილთა გონებაც უძლურია დროის, ეპოქის ტენდენციათა წინააღმდეგ, თუ ეს გონებანი უმცირესობას წარმოადგენენ. ამას გრაფ ვალუევის ნაშრომის ბედიც ადასტურებს. გასაგებია, რომ იგი ვერავითარ კვალს ვერ დატოვებს. მოვლენათა ლოგიკის ძალით ავტორი მისულა დასკვნებამდე, რომლებიც დიამეტრალურად საწინააღმდეგოა მისი გამოსავალი წერტილისა და მიზნებისა. საუკუნის ნიჰილისტური მოძრაობის წინააღმდეგ აღმდგარმა ამ მოძრაობას ნება-უნებლიეთ თვითონაც ისევ და ისევ უარყოფითი ძალები შეჰმატა. მან არაერთი მძლავრი დარტყმა აგემა თანამედროვეობას მრავალი ასპექტით. ეს დარ-

* თუმცაღა ავტორს არ ეყო სიმკაცრე, რომანი დაემთავრებინა ასეთი დონოზურ-კორტოსული ღაღადისით. მასში გული გონების წინააღმდეგ ალაპარაკდა: პატრიოტულმა სიმშმა და ჩვეულებამ გადაანყვეტინა ფული სამშობლოში დაეტოვებინა... იმიტომ, რომ ფულით ან ამ ფულით შეძენილი მამულით შესაძლებელი იქნება, საჭიროების შემთხვევაში, დაზღვევა ან თავის გამოსყიდვა (იხ. ნაწ. II, გვ. 371).

ტყმები დარჩება, ოღონდ ყოველი მისი ცდა—საზოგადოების შეგნებაში შეეტანა თუნდ მცირე დადებითი შემოქმედებითი, განმაახლებელი აზრი, სრულიად უნაყოფო აღმოჩნდა. მან არა თუ ვერ შეადგინა, ვერცკი გამოარკვია პროგრამა, ლოზუნგი, რომლის ირგვლივაც დაჯგუფდებოდნენ ადამიანები, ისეთებიც კი, რომელნიც მის მსგავსად დარწმუნებული არიან, რომ „გონების დისციპლინა შერყეულია" და რომ საჭიროა მისი „დაცვა და მოვლა". თუ გრაფმა თავისი უკვე მოქცეული, უკვე რწმენით სავსე გონებით ვერ შეძლო წარმოედგინა მის წინაშე მდგომ ამოცანათა სინთეზი, მაშ, როგორღა შეძლებდა იგი მოექცია დაბნეული ცხვარი დამცველ-გადამრჩენელი გზისკენ? შერყეული „გონების დისციპლინის" აღსადგენად არაა საკმარისი ტირილი იმაზე, რომ იგი შერყეულია. ამისათვის საჭიროა ისეთი გონება, რომელსაც შეეძლება სხვათა მოზიდვა და გატაცება. დაეკითხეთ იმ პიროვნებებს, რომელთაც ცოდნა გამოიჩინეს რკინის დისციპლინის შექმნაში, —მაგალითად, თუნდაც მოლტკეს—თუ რით მყარდება იგი და რით ერყევა? იგი გიპასუხებთ, რომ, „როცა სალდათი თავის უნტეროფიცერს მთვრალს დაინახავს, დისციპლინა უკვე მოშლილია", მაგრამ საეჭვოა იმავე მოლტკეს დისციპლინის დაცვის თვალსაზრისით მოსწონებოდა პროექტი ყველა სალდათისათვის თვალების დათხრისა... გრაფი ვალუევი რაღაც ამის მსგავსს გვთავაზობს. იგი ძალას ატანს თავს, დიდების ბრწყინვალებით გააშუქოს პარადული დისციპლინის სანახაობა (ნაწ. I, გვ. 163) და მას სანიმუშოდ მიიჩნევს ყველა უწყებისა, ყველა დაწესებულებისათვის (ნაწ. I, გვ. 119), მაგრამ ასე შეუძლია ილაპარაკოს მხოლოდ იმ ადამიანმა, რომელიც დისციპლინას თვალ-ყურს ადევნებს მხოლოდ სამაისო აღლუმზე. რაღა დარჩებოდა ამ დისციპლინისაგან ბრძოლის ველზე, როცა რომელიმე ოცეულს ან ბატალიონს მეთაურობს არცთუ მაინცდამაინც ღირსეული მეთაური? მაშინ ბრძანება ან სრულიად არ ისმის, ან მას ყურს არავინ უგდებს: ყველა იმას აკეთებს, რაც შეუძლია, რასაც მისი მოვალეობა და შეგნება უკარნახებს. ამგვარ მდგომარეობაში მყოფი ხალხის გონებასა და სურვილზე რომ იმოქმედო, იმაზე მეტი უნდა გქონდეს რაიმე, რაც აღაფრთოვანებს აღლუმებისა და საცერემონიო მარშის კეკლუცც

მაყურებლებს. ამისთვის საკმარისი არაა კოხტად იყო ჩაცმული, არც სალონის გმირის პენი კმარა, რომელიც უზრუნველად დაფარფატებს მაღალი საზოგადოების „პრობლემების“, ბუდუარების ინტრიგებისა და შტაბის სიძნელეთა მწვერვალებზე. საჭიროა ქონა არა მხოლოდ გონების, ცოდნის, ხასიათის ბრწყინვალებისა, არამედ დარბაისელი ხარისხისაც. მაშინ თავისთავად და ყოველგვარი მოთხოვნილების გარეშე დამყარდება ის პრესტიჟი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია რაიმე დისციპლინა...

სამწუხაროდ, სწორედ ამისთანა თვისებები არ მოიძებნება გრაფ ვალუევის არც გმირებში, არც მთლიანად „ლორინში“. ამიტომ არაა საკვირველი, რომ გრაფი ვალუევი „გონებათა დისციპლინას“ თავისი რომანით ვერ აღადგენს.

86. ერთი სიკვდილის გამო

ამ ცოტა ხნის წინ (15 აგვისტო, 1882 წ.) „ნედელიამ“[70] დაბეჭდა რამდენიმე მშვენიერი ნაწყვეტი თხზულებისა „სიკვდილისწინა მიმოწერიდან“, რომელიც ეკუთვნის ოცდაოთხი წლის ახალგაზრდას, გადამდგარ ოფიცერ შულცს. მან ამა წლის 27 ივნისს მოიკლა თავი კოვენის გუბერნიაში, სულ მალე მას შემდეგ, რაც სმოლენსკის გუბერნიაში ასევე თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე მისმა მეგობარმა და თანამშრომელმა, გადამდგარმა ოფიცერმა ხრჟანოვსკიმ. რედაქციის აზრით, ამ თვითმკვლელთა ცხოვრებაში არცთუ ისე ცოტა რამ იყო საერთო:

„შულცი და ხრჟანოვსკი ერთსა და იმავე პოლკში მსახურობდნენ და მეგობრები იყვნენ. 1880 წელს ვიღაცის დასმენის საფუძველზე, ეჭვი შეეპარათ მათ არაკეთილსაიმედოობაში და დააპატიმრეს. ვიდრე მათი საქმე გაირჩეოდა, მეგობრებმა ჰაუპტვახტში ცხრა თვე გაატარეს. მათ საქმეს იძიებდა ამ სფეროში ფრიად გამოცდილი მოხელე დ.ს. ნეელოვი, რომელმაც ვერავითარ დანაშაულს ვერ მიაკვლია შულცისა და ხრჟანოვსკის საქციელში, რის შედეგადაც ბრალდებულები პატიმრობიდან გაათავისუფლეს. ამასთანავე, მათ გამოუცხადეს, რომ აწ განსვენებული ხელმწიფე-იმპერატორის სურვილის თანახმად ისინი კვლავ იმავე პოლკში იმსახურებენ. მაგრამ რადგანაც, როგორც ჩანს, ეს ადგილობრივ უფროსობას არ მოეწონა, შულცმაც და ხრჟანოვსკიმაც გადადგომა ამჯობინეს“.

ამ მეგობარ თვითმკვლელებზე სხვა არავითარ ცნობას არ გვაწვდიან არც შულცის სიკვდილისწინა წერილები და არც სარედაქციო შენიშვნა, რომელიც თან ახალავს მას. თვით განსვენებული შულცის „სიკვდილისწინა წერილები“ მხოლოდ რამდენიმე შტრიხს შეიცავს ახალგაზრდათა პიროვნების დასახასიათებლად და მათი სამწუხარო ხვედრის გასაანალიზებლად. სამაგიეროდ ეს შტრიხები მეტად დამახასიათებელია და საყოველთაო ყურადღებას იმსახურებს.

წაიკითხეთ, როგორც ჩანს, ეს სრულიადაც არაა დასაბეჭდად გამიზნული რამდენიმე ჩანაწერი, და თქვენ მაშინვე დარწმუნდებით, რომ საქმე გაქვთ დიდ ტალანტთან, რომელსაც თვით ლიტერატურული თვალსაზრისითაც კი ბადალი არა ჰყავს.

ჩვენს მემუარისტ ბელეტრისტთაგან არცთუ ბევრს შეუძლია ისე წერა, როგორც შულცი წერს. მის ყოველ სტრიქონში იგრძნობა სიცოცხლე, ძალა და თვითმყოფადობა ტალანტისა. მაგრამ რა არის სტილის ღირსება იმ გულახდილ ტონთან და განსაკუთრებით იმ ზნეობრივ სიწმინდესთან შედარებით, რომლებიც გვაოცებენ „სიკვდილისწინა ჩანაწერებში"!.. უმჯობესია ეს ყველაფერი თქვენ თვითონ განსაჯოთ არასაგანგებოდ მოყვანილი შემდეგი ნაწყვეტებიდან.

აი, პირველი შთაბეჭდილება, რომელიც, როგორც ჩანს, მეგობრის თვითმკვლელობის შესახებ დაგვიანებულ ცნობას მოუხდენია შულცზე:

„1882 წლის ივლისი.

თითქოს მეხი დამეცაო, ისე გამიარა გულში საზარელმა ამბავმა. ჩემმა მეგობარმა, ჩემმა ყველაზე მახლობელმა ამხანაგმა ხრუანოვსკიმ თავი მოიკლა 27 აპრილს. ჯერ კიდევ გონს ვერ მოვსულვარ ამ დარტყმისაგან. ახლა არავითარი უბედურება, არავითარი მწუხარება აღარ ამაღელვებს. გაშტერებული დავდივარ. ზნეობრივად მეტად ნატიფმა და სიმართლისადმი ესოდენ მგრძნობიარე ადამიანმა ვეღარ აიტანა სიბინძურე და სიცარიელე ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც თითქმის ცხოველური ყოფით ცხოვრობს. გულმხურვალე და მგზნებარე, არაჩვეულებრივი მოძულე ყოველგვარი უწმინდურებისა, მუდამ იტანჯებოდა, მუდამ უბედურად გრძნობდა თავს. წყევლა და კრულვა იმ საზოგადოებას, რომლის საუკეთესო შვილებმაც თვითმკვლელობით უნდა დაასრულონ სიცოცხლე!

საშინლად დამიმძიმდა გული, სურვილი მიპყრობს გამოვეთხოვო ამ უაზრობას, რომელსაც ასე უფრთხილდებიან მილიონები და რომელსაც სიცოცხლე ჰქვია. სხვადასხვა ვალდებულება და მოვალეობის გრძნობა რომ არა, დიდი ხანია თავს მოვიკლავდი. მაგრამ რატომ არ იკლავენ თავს ათასი ჯურის ვიგინდარები, რომელთა სახელი ლეგიონია? ყველაზე დიდი სარგებლობა, რისი მოტანაც მათ შეეძლოთ, იქნებოდა მათი სიკვდილი".

მეორე წერილში—თავისი „ძვირფასი ლილიასადმი"—შულცი ამავე თემაზე ლაპარაკობს:

„ჯერ კიდევ ვცოცხლობ, მაგრამ როგორ, ნუღა იკითხავ. დამძიმდა გული, მძულს ეს ცხოვრება. ადამიანთა შორის შესანიშ-

ნავმა ჩემმა საუკეთესო მეგობარმა და მოკეთემ ხრჟანოვსკიმ თოფით მოიკლა თავი. მომბეზრდა ამაო სიცოცხლე. მომბეზრდა ირგვლივ გამეფებული შეუწყნარებელი ტყუილი და ამაზრზენი უმეცრება, ადამიანურ მისწრაფებათა ძირეული განჭვრეტა თვით წესიერ კაცთა შორისაც კი არამზადებსა და სულელებს დაგანახებს. ცუდია მარტო ცხოველური ცხოვრებით სიცოცხლე, მაგრამ ზოგჯერ კიდევ უფრო ძნელია იცხოვრო გონებით, მაგარი ძარღვებია საჭირო იმისთვის, რათა, ჩვენს განათლებულ საზოგადოებას რომ გაიცნობ, იცხოვრო მის წრეში უკიდურესი ზიზღის გარეშე და ყველაფერს ექიმის ცივი და დაკვირვებული თვალით უცქირო. ხრჟანოვსკი მეტისმეტად მგზნებარე იყო სიყვარულში და არ შეეძლო ღრმა და ცივი მძულვარება, ეს კი დიდი ნაკლია. მებრალება იგი. ერთი მებრძოლით შემცირდა მარადიული სიმართლისა და ნათლისათვის მებრძოლთა რიგები. შენც შეიცოდე იგი, ჩემო გვრიტო! ეს იყო წმინდა, მაღალი ზნეობის ადამიანი, ნამდვილი ღირსი სიყვარულისა. შენ მას თითქმის არ იცნობდი. ბევრი მისი ნაცნობიც კი არსებითად სრულიად არ იცნობდა მას. მასთან ნაცნობობას შეიძლება შენთვის დიდი სარგებლობა მოეტანა, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა, საუკუნო იყოს მისი ხსოვნა!"

შულცი კიდევ ერთხელ უბრუნდება ხრჟანოვსკის ხსოვნას და მეორე ნაცნობს წერს:

„ერთი შესანიშნავი და პატიოსანი ადამიანით ნაკლები დარჩა ამქვეყნად, მაშასადამე, სხვებს, დარჩენილებს, ჰმართებთ აღასრულონ მისი საქმე. არ დაივიწყო ეს. მეც დიდი ხანია მსურს ისე მოვიქცე, როგორც ხრჟანოვსკი, მაგრამ ახლა ამას აღარ ჩავიდენ. უკანასკნელ შესაძლებლობამდე ავიტან ყველაფერს და არ დავიძინებ".

დაბოლოს, აი, უკანასკნელი სტრიქონებიც „სიკვდილისწინა წერილებისა":

„ძნელია მახლობელ და ძვირფას ადამიანთა, საუკეთესო ადამიანთა (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე. უფრო ადვილია შენ თვითონ მოკვდე. მაგრამ ვიდრე შევძლებ, ვიდრე ჯერ კიდევ მაქვს მცირეოდენი ძალა, ამას არ ჩავიდენ. მერე? მერე მომავლის საქმეა. მაგრამ ახლა არა მსურს, ვერ ვბედავ.

არა მარტო ტკბილ ხმათა და ლოცვათათვის გავჩნდით ამ ქვეყანაზე, დაე, თვით ბედისწერამ მომკლას, ხოლო თვით მე ჯერ არ მოვიკლავ თავს. მაგრამ საკმარისია. ნახვამდის (არა საიქიომდე). იყავით ძლიერნი და ბედნიერნი. დაუღალავად ემსახურეთ ღმერთსა და სიმართლეს".

ეს სტრიქონები ივნისშია დაწერილი, ხოლო იმავე თვის 12-ში მან თავი მოიკლა. როგორც ხედავთ, დიდხანს არ ეყო ძალა და შესაძლებლობა!

მე მგონია, ამ ნაწყვეტთა შემდეგ ძნელი უნდა იყოს პოლიციის ოქმების სტერეოტიპული ფრაზის გამეორება: „ჩატარებული გამოძიების შემდეგ თვითმკვლელობის მიზეზები ვერ გამოირკვა". კიდევ უფრო აუტანელი იქნებოდა იმავე ოქმების მეორე ფორმულის გამოყენება: „გამოძიებით გამოირკვა, რომ თვითმკვლელი მელანქოლიით იყო შეპყრობილი". არა, აქ არაფერი ყოფილა გამოსარკვევი და აღმოსაჩენი, უამისოდაც ყველაფერი საკმაოდ ნათელი და გამორკვეულია. თვით შულცმა მიაკვლია ამ მიზეზებს და იმ თითით გვიჩვენა იგი, რომელსაც უკვე ვეღარ ააგლეჯ ამ მიზეზებს, რამეთუ გაშეშებულია"... „ასეთ მგრძნობიარე და მგზნებარე ადამიანებს,—წერს შულცი ხრჟანოვსკიზე,—შეუძლიათ იცხოვრონ მხოლოდ თავიანთ მშობლიურ წრეში. უმისოდ ისინი იტანჯებიან, თავს უსუსურად გრძნობენ, აზვიადებენ თავიანთ ნამდვილ უძლურებასაც და დაბრკოლებათა ძალასაც, ხოლო ყოველივე ამის შედეგი არის სიკვდილი".

„ყოველივე ამის შედეგი არის სიკვდილი",—სწორედ ის სიკვდილი, რომელიც ასე გეჩოთირებათ თქვენ, მკითხველო, სიკვდილი—გაგლეჯილი თავის ქალით, სისხლიანი ლაქებითა და კედელზე მისხმული ტვინით... და ეს სიკვდილი გამოიწვია არა რაიმე უაზრო, გარდუვალმა შემთხვევამ; მოულოდნელად გატეხილ ლიანდაგს არ აუცდენია მატარებელი გზიდან... არც სტიქიასა და ბედისწერას უმოქმედია აქ, არამედ ადამიანის მიერ გამომუშავებულმა საზოგადოებრივ ძალაუფლებას დაქვემდებარებულმა კანონებმა გაჭრეს... და თქვენ წინაშე განრთხმულა დასახიჩრებული გვამი არა ძველი აღთქმის მოხუცი ქალისა, თავისი დრო რომ მოუჭამია უკვე, არა დეპარტამენტის მსახურისა, უამრავი რომაა ამქვეყნად, არამედ ახალგაზრდა ტალანტისა, ნაადრევად მოცელილი თავისი ძალ-ღონის გაფურჩქვნის დროს, სამშობ-

ლოსათვის მცირეოდენი სარგებლობის მოტანაც რომ ვერ მოასწრო, რასაც ყველა სამართლიანად მოელოდა მისგან... აი ასე, ამგვარად, ხელოვნურად შექმნილ ბრძოლაში ერთიმეორის მიყოლებით იფანტებიან, იცელებიან და უნაყოფოდ იღუპებიან საუკეთესო, „მგრძნობიარე და მგზნებარე" ადამიანები, რუსეთის მინის მადლი და მარილი. ჩვენ აღშფოთებული ვართ სამართლიანად, შევძრწუნდით გულმართლად, როდესაც შევიტყვეთ, რომ კუკუის კატასტროფა ორმოცდაორი ადამიანის სიცოცხლის ფასად დაჯდა. მაგრამ იმ ახალგაზრდა თვითმკვლელთა, ნაადრევად დაღუპულ ჭაბუკთა დათვლა ხომ შეუძლებელიც კია, რომელთა ასევე დამსხვრეული ძვლები მთელი მინის პირზეა მიმოფანტული! ჩვენ ისიც კი არ ვიცით, რომ მარტო ეს ხალხი არ იღუპება. ერთი წუთით რომ ავცახცახდეთ, ავქვითინდეთ, აღვშფოთდეთ და შევძრწუნდეთ, გასროლის ბათქი და ახალი გვამი გვჭირდება, შუბლზე პირდაღებული ჭრილობითა და დაღვრილი სისხლით, რადგან მხოლოდ დასახიჩრებულ გვამებს ვითვლით. მართალია, არც ასეთი გვამებია ცოტა, პირიქით ბევრიცაა იმ ქვეყნისათვის, რომელიც ჩივის, რომ არა ჰყავს საკმაო რაოდენობა არც პატიოსანი, არც საქმიანი და არც ძლიერი პიროვნებებისა... მაგრამ რა არის ამ გვამთა რიცხვი უხმაუროდ და უკვალოდ გამქრალ არსებებთან შედარებით? რამდენი უაღრესად პატიოსანი, მდიდარი გონების პიროვნება იღუპება ყოველწლიურად რუსეთის ყოველ კუთხეში, რომელთაც ადვილად შეეძლოთ, სხვა პირობებში თავიანთი სამშობლოსათვის მოეტანათ დიდება, სიამაყე და ბედნიერება! ვინ და როგორ დათვალა ისინი?

მე ვამბობ, რომ ჩვენ ვითვლით მხოლოდ თოფისა და რევოლვერის გასროლას, მხოლოდ აღიარებულ ადამიანებს, მხოლოდ, ასე ვთქვათ, მებრძოლ თვითმკვლელებს, მაგრამ განა მარტო თოფი და რევოლვერი ცელავენ ჩვენი სახალხო ჯეჯილის საუკეთესო ყვავილებს? ახალგაზრდა, რომელიც ბედთან ბრძოლაში იმ შეგნებამდე მივიდა, რომ ძალა აღმართსა ხნავს, სიმართლის დამყარება დედამიწაზე მისი თაობის საქმე არ არის და, ამიტომ, აპატიურად დაიკრიფა გულზე ხელი, განა დაკარგული არ არის სამშობლოსათვის ისევე, როგორც ცივ მიწაში დასამარებული შულცი? განა ასეთივე თვითმკვლელი არ არის და ასევე არ დაიკარგა „სიმართლის ღმერთისათვის" მეორე, რომელიც მთლად გალოთდა და ყველაფერზე ჩაიქნია თავისი დაუძლურებული ხელი?

ხოლო ყველა ის ვინც ბედის უშუალო დარტყმით დაეცა?.. ჩვენ ისინი არც კი გვახსოვს, რამეთუ ეს ხალხი ჩუმად, ნელ-ნელა იღუპება და კვდება, თავის ირგვლივ სისხლის გუბეს არ ტოვებს... და მარხავენ მათ არა საერთო სამარეში, როგორც კუკუის მსხვერპლთ, მათ ტანჯულ აღსასრულში დამნაშავეთა საყურებლად და შესარცხვენად, არამედ აქაც და იქაც, ცალ-ცალკე, ყველასათვის მიყრუებულ ადგილებში. მოვა თოვლი. დედამიწას გაუთანასწორდებიან ფანტელების ქვეშ მათი საფლავები და მომავალ ზაფხულს ველარავინ შეამჩნევს და არც აღარავის ეხსომება, რომ აქ ჩალპნენ საუკეთესო გულისა და გონების ადამიანები, რომელნიც ოდესმე წარმოუშვია რუსეთს...

ყველგან დუმდება და კვდება ყოველივე ის, რაც კი საუკეთესოა ადამიანის გულში და ასევე ყველგან ზეიმობს მათ ქელეხზე ყოველგვარი სიბილწე და უნიჭობა, „ვიგინდარობა", როგორც შულცი ამბობდა. ჩვენ კი არხეინად ვცხოვრობთ და ყურსაც არ ვიბერტყავთ. ო, ჩვენ ვიცით და ვგრძნობთ, რომ ყველა ეს თვითმკვლელობა სავალალოა, უაღრესად სავალალოა, სამწუხარო საქმეა. მაგრამ ეს საქმე, ჩვენის გაგებით, მაინც დაშორებულია ჩვენგან, ჩვენ არ გვეხება, ჩვენს პირად ხვედრზე გავლენას არ ახდენს. სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო,—ახლაც ისე ვფიქრობთ, როგორც ყოველთვის. ბედი, შეუბრალებელი, ბრმა, უაზრო ბედი ჩვენ კი არ გვცელავს, არამედ სხვებს. მერე რა მოხდა, რომ ჩვენი სულის, მისწრაფების, რწმენისა და, ბოლოს და ბოლოს, სარწმუნოების ადამიანები კვდებიან. ხორცით ხომ ისინი უცხონი არიან ჩვენთვის... არაფერს არა ვგრძნობთ, როცა ჩვენი თანამოაზრე იცელება, როცა იფიტებიან და იღუპებიან ჩვენი თანამოძმენი.

ჩვენ რომ მართლა მხურვალედ გვიყვარდეს ის „სიმართლე", რომელსაც ვემსახურებით, განა რომელიმე მისი მსახურთაგანის, ჩვენი თანაამხანაგის დაღუპვა მწვავე სულიერი ტკივილით არ აგვავსებდა? ბრძოლაში, ომის დროს, როცა მებრძოლი ხედავს, რომ მისი ამხანაგი „ღირსეული სიკვდილით" მოკვდა, საერთო მტრის ტყვიით მოცელილი, იგი უფრო მეტად ძაბავს თავის ძალას მართალი საქმის გამარჯვებისათვის. ის ძმა, ერთგული ამხანაგი და შურისმაძიებელია მისთვის, ვინც სიმართლეს მასთან ერთად ემსახურება. ჩვენ კი, ჩვენ თითქმის გვიხარია, რომ საწამლავიანმა თასმა, რომელმაც შეინირა ჩვენი მახლობელი, გვერდით ჩაგვია-

რა... ჩვენ არ გვესმის, რომ ჩვენს გვერდით ჩავლილი ეს საწამლავიანი თასი ადრე თუ გვიან ბოლოს და ბოლოს ჩვენც მოგვწვდება. არ გვესმის, რომ დღეს „სხვის“ დამღუპველი და დამთრგუნველი „ვიგინდარა“, რომელმაც იგი ნაადრევად ჩაიყვანა საფლავში, ხვალ ჩვენამდე მოაღწევს თავისი ქედმაღლური მოთხოვნებით; ან მას, „ვიგინდარას“ დავემსგავსოთ, ან აღვიგავოთ პირისაგან მიწისა.

ყოველი ახალი თვითმკვლელობა, ყოველი „მგრძნობიარე და მგზნებარე“ ადამიანის დაღუპვა თანაბარი და საბედისწერო ნაბიჯით აახლოვებს ამ „ვიგინდარათა“ ზეიმს და, მასთან ერთად, ჩვენს გაქრობას ან იმავე „ვიგინდარად“ გადაქცევას. ჩვენი პირადი ღირსების, ჩვენი პირადი ტყავის გადარჩენაზე უნდა გვეზრუნა, რათა ვიგინდარებისათვის არ მიგვეცა გამარჯვების საშუალება. ეს კი მხოლოდ მათ სასტიკ მოძულეთა მხარდაჭერით მოხდებოდა, ახლა რომ ცალ-ცალკე კვდებიან, რადგან ჩვენი მხარდაჭერა და თანაგრძნობა არა აქვთ. ნუთუ ჩვენი პირადი სარგებლიანობის, ჩვენი პირადი კეთილდღეობისათვისაც კი არ შეგვწევს ძალა რწმენისა და სიმართლის სამსახურისა? ბოლოს და ბოლოს, უთუოდ უნდა მივხვდეთ, რომ თვითონ ჩვენ ჩვენი უმოქმედობით, ჩვენი აპათიით ზნეობრივ თანამშრომლობას ვუწევთ ამ „ვიგინდარებს“, ხელს ვუმართავთ და სრულიად სოლიდარული ვართ მათთან. ხოლო რასაც ნიშნავს ეს სოლიდარობა, ბოლომდე მხოლოდ მაშინ ვგებულობთ, როცა ერთ საბედისწერო დილით შვილების ცხედართან აღმოვჩნდებით, ჩვენი მოხუცებულობის დღეების სიხარულნი და საყრდენნი რომ არიან, შვილებისა, რომლებიც ჩვენგან შეუმჩნევლად შეიქნენ გამარჯვებული „ვიგინდარების“ მსხვერპლნი!

საზოგადოების ცალკეული წევრისათვის, რა დიდიც არ უნდა იყოს პირადი, ასე ვთქვათ, კერძო მნიშვნელობა ყველა ამ თვითმკვლელობებისა, მაინც უფრო დიდია მათი საზოგადოებრივი და თვით წმინდად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ასობით მწერალი და ადმინისტრატორი დილიდან საღამომდე თავს იმტვრევს ციმბირის წყლულის ან რკინიგზის კატასტროფათა თავიდან ასაცილებლად ზომების მოსაფიქრებლად. მაგრამ განა ვინმეს უკითხავს,—უფრო საშიში და სახიფათო ხომ არ არის ხალხისა და

სახელმწიფოსათვის სწორედ ეს მორალური წყლული,—თანდათანობითი და განუწყვეტელი დაღუპვა ქვეყნის უდავოდ საუკეთესო ძალებისა? გაიხსენეთ, ბატონებო, რომ, როცა გამძვინვარებული ღვთაება ყოველნაირ სასჯელს იგონებდა, რათა დაემორჩილებინა ცოდვილიანი ეგვიპტელი ხალხი, ბოლოს და ბოლოს ყველა სასჯელის გადასინჯვის შემდეგ მან ე.წ. „ეგვიპტურ სასჯელზე" უფრო საშინელი ვერა მოიგონა რა, ეს იყო ჩვილთა ცემა, ანუ ცემა ყველაზე უფრო მგრძნობიარე და მგზნებარე საუკეთესო შვილებისა. ასეთი ტალანტების თანდათანობითი განადგურება უბრალოდ საშიში საქმეა, გამოუსწორებლად მავნებელი ჩვენი სამშობლოს მომავალი ბედისათვის. „ასობით ლაქიისაგან, —უთქვამს ერთხელ ჰენრიხ VIII-ს, ერთ წამში ადვილად შევქმნი ასობით ლორდს, მაგრამ ათასი ლორდისაგანაც კი ვერ შევძლებ ერთი ჰოლბაინის შექმნასო". ჩვენ ეს არ გვესმის, ვინაიდან არ ვიცით, თუ რას ნიშნავს ტალანტი და რა ძალაა მგზნებარებაში.

იმ აზრს მიჩვეულებს, რომ არაფერია იმაზე ადვილი, ვიდრე პრისტავების, ინტენდანტების, პროკურორებისა და სხვადასხვა ჯურის გენერლების განუსაზღვრელი რაოდენობით შექმნა, გვგონია, თითქოს ისევე დაუსჯელად შეგვიძლია ვფანტოთ ტალანტები და მგზნებარე ადამიანები, როგორც „უკვალოდ" გადადგებიან ხოლმე ხალხისაგან დაწუნებული მოხელეები. არასოდეს გაღატაკდება რუსეთის მიწა ამ მოხელეთა გამო, რამდენიც არ უნდა გაუშვა პენსიაზე. მაგრამ უბედურებაა ის, რომ ტალანტებით, ხასიათებით, მგზნებარე და კეთილშობილი ადამიანებით, „სიმართლის თაყვანისმცემლებით" არა ვართ მდიდრები და მათი უყურადღებობით დაღუპვა ჩვენგან დაუშვებელი!... არ გვაწყენს, თუ კარგად ჩავიბეჭდავთ ტვინში დიოგენის კანონს: „ნუ ნაართმევ იმას, რასაც ვერ მისცემ". შეიგნეთ, ჩვენს ცხოვრებას საზოგადოებრივსაც და სახალხოსაც ხავსი მოედება და საბოლოოდ დალპება, თუ უაზროდ გავფანტავთ და გავანიავებთ ჩვენი მიწის მთელ მადლს, საუკეთესო ჯეჯილსა და კვირტს ჩვენი ხალხისას...

ეს ტალანტები ზედიზედ იღუპებიან, არაფრით ასაჩუქრებენ თავიანთ ქვეყანას, არაფერში ავლენენ თავიანთ შესაძლებლობასა და სულიერ ძალას, ხოლო იმ პოსტებზე, სადაც მათ ეკუთვნო-

დათ ჯდომა და მუშაობა, საიდანაც მათ შეეძლოთ თავიანთ ხალხში გადმოეფრქვიათ კეთილმოქმედებისა და სიმართლის, ტალანტისა და ცოდნის შუქი, მათ მაგიერ რჩებიან... ვინ?.. მიმოიხედეთ ირგვლივ და დაინახავთ, რომ ახლა უფრო, ვიდრე სხვა დროს ჩვენზედ ზედგამოჭრილია სავალალო შეძახილი:

„Сколькіх славныx жизнь поблекла,
Сколько низкіх рок щадит!“

„ვიგინდარა თავს არ იკლავს“,—წერდა სიკვდილის წინ უბედური შულცი. დიახ, რისთვის უნდა მოიკლას თავი? ის ხომ ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში... „ვცხოვრობ მეტისმეტად მძიმე გარემოში,—ჩივის შულცი შემდეგ,—ნამდვილი საქმის გარეშე, გარკვეული სამუშაოს გარეშე“. ხოლო „ვიგინდარას“, რომელიც „თავს არ იკლავს“, აქვს „ნამდვილი საქმეც“ და „გარკვეული სამუშაოც“. ერთი ეს მიბრძანეთ, თუ შეიძლება, რატომ აძლევს ჩვენი ცხოვრება საქმესა და სამუშაოს ამ ვიგინდარებს და არა ტალანტებს, უსაქმოდ რომ იხრჩობიან და შრომა კი ასე სწყურიათ და ეხარბებათ? როგორ ფიქრობთ, ასე ცუდად და საძაგლად წავიდოდა „ნამდვილი საქმე“ ჩვენი ცხოვრებისა, როგორც ახლა, „ვიგინდარათა“ ხელში, უსაქმოდ დაღუპულ პატიოსან ადამიანებს რომ წარემართათ იგი?

განა კარგია, რომ ჩვენი ცხოვრების ყოველ სფეროში, საითაც არ გაიხედავ, სადაც უნდა ეჩქეფა „ნამდვილ საქმეს“, სწორედ ეს „ნამდვილი საქმე“ ვიღაც ვიგინდარას უპყრია ხელთ, ხოლო პატიოსანი, ძლიერი, მცოდნე, უანგარო და მართალი ადამიანები იღუპებიან გარკვეული საქმის უქონლობის გამო? განა ჩვენ ხალხს თავის განუწყვეტელ ბრძოლაში სასტიკ ბუნებასთან, უთანაბრო მეტოქეობაში უფრო განვითარებულ და უხვად დაჯილდოებულ ერებთან, ყოველ ნაბიჯზე, ყოველდღიურად არ სჭირდება ნიჭიერი მშრომელები, რომლებიც მზად არიან თავი შესწირონ იმ საქმეს, თვით რომ ემსახურებიან? სჭირდება, ცხადია, სჭირდება, მაგრამ ისინი ვერ პოულობენ, ხოლო ამ საქმეს განაგებენ უსულგულო და უბადრუკი ექსპლოატატორები საყოველთაო სახალხო უმეცრებისა, „არამზადები და სულელები“, „ცხოველური ცხოვრებით მცხოვრებნი“, როგორც ამბობს შულცი ამ ხალხზე...

ასეა ყველგან: ვნახოთ თუნდაც ერობა, ქალაქის თვითმმართველობა, კერძო საზოგადოებები, ცალკეული მეურნეობანი. შეხედეთ, დააკვირდით, ვის ხელშია იქ საქმეები"? რატომ აეწყო ჩვენი საზოგადოებრივი საქმიანი ცხოვრება ისე უხეიროდ, რომ მასში სრულიად არ რჩებათ ადგილი და სამუშაო ქვეყნის საუკეთესო ძალებს? რატომ, რომელი საბედისწერო წყევლის ძალით უგულვებელყოფენ სისტემატურად და ყველგან უფრო სუფთა პიროვნებებს და იზიდავენ მხოლოდ უსულგულო ეგოისტებს?

განა შორს წავა ხალხი ასეთ უბადრუკ პირობებში? მას ხომ მხოლოდ რიცხობრიობა და კარგი თვისებები არ ანიჭებს ხოლმე ძლიერებას, არამედ უმეტესად თავისი მრჩევლებისა და მოღვაწეების გონივრული შერჩევაც, რომელთა ამოცანაა აზრიანად და პატიოსნად წარმართოს მისი ძალები ქვეყნის და არა საკუთარი კეთილდღეობისათვის. ანგარება და უნიჭობა წინ ვერ წასწევს ამ ხალხს და ვერ მიუახლოვებს სინათლესა და ბედნიერებას... „როგორიც მღვდელიაო, ისეთი მრევლიაო",—ამბობს ხალხური სიბრძნე.

როგორ უნდა მიაღწიოს განვითარებასა და წარმატებას ხალხმა, რომლის საუკეთესო შვილებიც უსაქმურობაში არიან ჩაფლული და რომელსაც მოღვაწეთა როლი არარაობათა და მდაბალთათვის დაუკისრებია? განა მარტო ჩვენთან, არამედ ყველგან, ხალხისა და საზოგადოებრივი ცხოვრების საუკეთესო და უბრწყინვალესი პერიოდები იყო ის დრო, როცა საზოგადოებრივ საქმიანობას ფართოდ ჰქონდა გაღებული კარი მგზნებარე და ტალანტიანი პირებისათვის. და დიდი ადამიანებიც, მხოლოდ თავიანთი გენიის გამო კი არ იყვნენ დიდები, არამედ მათი თანამედროვე ყველაზე ნიჭიერი და გამოჩენილი ადამიანების გარშემო შემოკრეფის გამოც. სრულიად ამაოდ უგზავნის საბრალო შულცი მგზნებარე წყევლას „იმ საზოგადოებას, რომლის საუკეთესო შვილებმაც თვითმკვლელობით უნდა დაასრულონ სიცოცხლე". საჭირო არაა ამ საზოგადოების წყევლა. ის უკვე დანყევლილია. განა შეიძლება მოიგონო ამაზე უფრო საშინელი ბედი საზოგადოებისათვის, რომელიც თავიდან იცილებს თავის საუკეთესო შვილებს?

და თუ დავუფიქრდებით რა მშვენიერი იქნებოდა, რა შესანიშნავად წარიმართებოდა საზოგადოებრივი ცხოვრება და რა სიმდიდრე გვექნებოდა, მთელი რუსეთის მიწიდან რომ შეგვეკრიბა ყველა ეს უცნობი და ჩუმი ტალანტი, აღვედგინა სიმართლის ძალით მათი შერყეული ნდობა და ჩაგვეყენებინა ისინი სამშობლოსათვის ქმედით სამსახურში... რა, ეს მანილოვის ოცნებაა. ჩანს, ჯერ კიდევ არ დაბადებულა ის ყოვლისა და ყველას ზეშთამაგონებელი გენიოსი, რომელიც შეძლებდა ასეთი სასწაულის მოხდენას. ამასობაში ვიგინდარებმა კი ძალიან იბარტყეს, თანაც მეტად გათამამდნენ... და ისინი ამას არ დაუშვებენ, რადგან მათ „ხეთქვა" სურთ, მადა საკმაოდ გაეზარდათ, „ხეთქვა" კი სხვაგვარად არ შეუძლიათ, თუ სხვისი ქონება არ მიითვისეს, ვინაიდან შემოქმედებითი ძალა მათთთვის ღმერთს არ მიუცია.

აი, რისთვის უნდათ მათ სიბნელე, რომელიც ასე უყვართ ავაზაკებსა და მტაცებლებს. მათ უნდათ უმეცრება, უნდათ გაუქმება და განადგურება სიმართლისა და სამართლიანობის მტკიცე მსახურებისა.

აი, რატომ გამოდის იგი, სწორედ ეს ვიგინდარა ასე თავაშვებულად და უტიფრად თვით პრესაშიც კი და ქადაგებს, რომ ხალხს შეუძლია იარსებოს, სახელმწიფოს შეუძლია არსებობდეს იმ შემთხვევაშიც, თუ გამანადგურებელ ბრძოლას გამოუცხადებს მთელ თავის ინტელიგენციას.

მან, ვიგინდარამ, იცის, საით მიდის, რისთვის იღვწის და თავის საქმეს აკეთებს.

ჩვენ კი ვუსმენთ მას ყურებჩამოყრილნი და გულგრილად ვასამარებთ ჩვენს „მგზნებარე და მგრძნობიარე" ადამიანებს. განა ეს სირცხვილი არ არის?

87. ვ. ბ. აბრამოვიჩის ინფორმაციის გამო

(ნ. ნიკოლაძის მოხსენება რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების წევრთა ყრილობის მეოთხე განყოფილების 1882 წლის 28 აგვისტოს სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ვ. ე. შნაიდერი; ესწრებოდა 38 კაცი).

მოწყალეო ხელმწიფენო! ჩვენი კამათის საერთო მიმართულებას და ჩვენს წინაშე წარმოდგენილი თითქმის ყველა მოხსენების შინაარსს რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების წევრთა ყრილობის IV განყოფილების მუშაობა უნებლიეთ მიჰყავს სპეციალიზაციისაკენ, რადგან მთელი ეს მუშაობა მხოლოდ და მხოლოდ ნავთობის საკითხს ეხება. მარტო ეს ფაქტიც კი აშკარად ადასტურებს, რომ რუსეთის ქიმიურ წარმოებაში ამჟამად ნავთობის საქმეს მეტად დიდი და არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ ამ დარგში არ მოიძებნება იმაზე უფრო გადაუდებელი საკითხი, ვიდრე ნავთობის საკითხია. მისი პრაქტიკული მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ამ საკითხის რაციონალურ წამოწყებას თუნდაც ერთხელ, რომ აღარაფერი ვთქვათ მის სრულ განხორციელებაზე, შეეძლო ფასდაუდებელი სამსახური გაეწია ჩვენი განყოფილებისათვის... მაგრამ საკითხის წამოყენება უაზრობა იქნებოდა, თუ მხოლოდ და მხოლოდ საქმის ტექნიკურ წვრილმანს ჩავეჭიდებით.

რასაკვირველია, არავინ უარყოფს სპეციალური საკითხების ყოველმხრივი გამორკვევის აუცილებლობასა და სასარგებლო მხარეს,—გაუმჯობესებული იარაღების, ანთებადობის ნორმების, ნავთის სხვადასხვა დერივატების მნიშვნელობის, ხელმისაწვდომი ბაზრებისა და სხვათა შესახებ მსჯელობას, მაგრამ, ამასთანავე, რაოდენ დიდი გულმოდგინებითა და უეჭველი კომპეტენტურობითაც არ უნდა განიხილავდეთ ამ საკითხებს, მაინც გამოგეპარებათ ის პირობები, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ თქვენს გამოკვლევათა ცხოვრებაში გამოყენების შესაძლებლობაზე. და მე ზოგჯერ მეჩვენება, რომ ჩვენ იმ შენობის არქიტექტურულ არაბესკებზე ვმუშაობთ, რომლის საძირკველიც, ყოველ შემთხვევაში, უკვე სამი მეოთხედით მაინცაა გამოთხრილი. რაში გამოგვადგება ეს მხატვრული დეტალები, როცა შენობა დაინგრევა? ამიტომ, ნება მომეცით, თქვენი ყურადღება მივაპყრო, თუ

შეიძლება ასე ითქვას, ნავთობის საქმის პოლიტიკას, მის პოლიტიკურ-ეკონომიურ მხარეს, რომელიც უძლიერესად მოქმედებს მის წმინდა ტექნიკურ მხარეზე.

მე თავიდანვე უდიდესი ყურადღებით ვადევნებ თვალყურს ნავთობის წარმოებას და დიდი ხანია შევამჩნიე, რომ მის გადასარჩენად და თვით წარმატებისათვისაც სხვადასხვა სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების მიერ შემოთავაზებული საშუალებანი პანაცეა არ არის. ჩვენ გვეუბნებიან: „საჭიროა ცოდნა, საჭიროა შრომა, საჭიროა კაპიტალი და ამ სამი ფაქტორის მეშვეობით, ბუნებრივი სიმდიდრის ზღაპრულ სიჭარბესთან ერთად, წარმატება უზრუნველყოფილი გექნებათ". სხვათა შორის, ბაქოში არც ისე ცოტა შრომა, ენერგია, ცოდნა და ფულია ჩაყრილი. აგერ უკვე ათი წელია, რაც იქ ნავთობის საქმეს აწარმოებენ თითქმის ყველაზე უფრო გამოცდილი და ენერგიული პირები, ვინც კი გაგვაჩნდა; აწარმოებენ ისე, რომ არც ძალას ზოგავენ და არც სახსრებს, აწარმოებენ არა მარტო ჩვენი საუკეთესო ტექნიკოსების დახმარების იმედით, არამედ ჩვენი მეცნიერების პირველხარისხოვან ვარსკვლავთა რჩევათა იმედითაც. ესენი ბნელი ადამიანები არ არიან, რომელთაც არ იციან რას აკეთებენ, არამედ—ადამიანები ცხოვრების მწარე გამოცდილებით, რომელთაც უსწავლიათ ქიმიაც და ტექნიკაც. თქვენ თვითონ ნახეთ აქ ბ-ნი ჯაყელი, ნახეთ, თუ რამდენად გათვითცნობიერებულია იგი მეცნიერების წვრილმანებში და მისი პაექრობიდან პროფესორ ვ. ვ. მარკოვნიკოვთან დარწმუნდით, რომ ნავთობის საქმე მის მწარმოებელთა ცოდნის უკმარისობის გამო არ დაქვეითებულა. ხოლო რამდენი მილიონია დახარჯული ამ საქმისათვის, ეს მხოლოდ ამერკავკასიამ იცის, რომელიც დღემდე წელში ვერ გამართულა ჯერ არნახული ფულადი კრიზისის გამო, რაც გამოიწვია იმან, რომ მთელი ამ მხარის დანაზოგი თუ არსებული რესურსები ბაქოსაკენ იყო მიმართული. მიუხედავად ამისა, წარმატება არავის უხილავს. ეს წარუმატებლობა ჯერ ნავთობზე არსებულ აქციზს მიანერეს. მაგრამ რუსეთის საიმპერატორო ტექნიკური საზოგადოების შუამდგომლობით და პროფ. დ. ი. მენდელეევის საქმეში ჩარევის შედეგად ეს მუხრუჭი მალე მოიხსნა და ნავთობის წარმოებას მიენიჭა თავისუფლება, რაც ესოდენ საჭიროა ყოველი საქმის განვითარებისათვის. ერთი შეხედვით, ყველა პირობა გაერ-

თიანდა შეუფერხებელი წინსვლისათვის. მაგრამ მწარმოებლები, მექარხნეები, ადგილობრივი მცხოვრებნი მაინც წარუმატებლობას უჩივიან, განუწყვეტლივ მოითხოვენ დახმარებას, რასაც საუკეთესოდ ადასტურებს რუსეთის ტექნიკური საზოგადოების ბაქოს განყოფილების მიერ თქვენ წინაშე გუშინ მოხსენებული გრძელი სია შუამდგომლობებისა. ნავთობისა და მის დერივატთა გატანა დღითი დღე კი არა, საათობით იზრდება, ბაქოს ნავთმა დატბორა რუსეთი და ახლა მისი ნაპირებიდან გადასვლას ლამობს. თითქოსდა ამაზე უკეთესი რაღა უნდა იყოს? მაგრამ ქვეყნის ასეთი სიმდიდრით გიგანტური სარგებლობა სრულიად არ იგრძნობა ადგილობრივი მოსახლეობის, მშრომელი ხალხისა და თვით მეწარმეთა ცხოვრებაში. საკითხავია, სად მიდის ამ ნაქები წარმოების სიმდიდრის რეზულტატი, მოგება? ჩვენ თვალწინ განვითარდა ამერიკის ნავთობის საქმე. შეხედეთ, რამდენი მსხვილი და კოლოსალური კონკურენცია წარმოიშვა იქ, ნავთობის რამდენი ლორდი გაჩნდა, რომელთაც ნამდვილი სიმდიდრე დააგროვეს?! სად არიან ჩვენი ნავთობის ლორდები? სად იმალება მათი სიმდიდრე? სად არის მათი კეთილდღეობა? აიღეთ ურთიერთკრედიტის ბაქოს საზოგადოებისა და სახელმწიფო ბანკის განყოფილების ბალანსები, ჩაიხედეთ თბილისის ბანკების პორტფელებში და დარწმუნდებით: ჩვენმა ლორდებმა ჯერ მხოლოდ ვალები მოაგროვეს და ოფლში გაქაფულნი, ძლივს ახერხებენ ამ ვალების პროცენტთა გადახდას. თვით ლორდის სახელიც მხოლოდ ფორმის გამო შეიძლება ვუწოდოთ ამ ხალხს ისევე, როგორც ზრდილობის თანახმად „ლორდს" უწოდებენ უმემკვიდრეო ძმებს იმ ერთადერთი ლორდისა, რომელსაც მემკვიდრის ხვედრმა არგუნა მთელი მაიორატი თავისი სარგებლიანობითა და კეთილდღეობით მაშინ, როცა დანარჩენმა ძმებმა მხოლოდ ცარიელი ტიტული მიიღეს, რომლის შენარჩუნებაც უამრავ ხარჯს მოითხოვს. სწორედ ასეთი მაიორატი აღმოცენდა ჩვენი ნავთობის მრეწველობის ნიადაგზე.

როგორ მოხდა, რომ ჩვენთან, სახელმწიფოში, სადაც მაიორატი მხოლოდ იშვიათ და ხელოვნურ გამონაკლისს წარმოადგენს, ასე უცბად შეიქმნა იგი და თანაც ისეთ საქმეში, რომელიც, როგორც ჩანს, ნაკლებადაა განწყობილი მის შესაქმნელად? ეს გარემოება სრულიად უბრალოდ, ჩვენი საერთო პოლიტიკურ-ეკო-

ნომიური პირობების გავლენით უნდა აიხსნას, რომელთა გამოც ჩვენში ყველაფერი, რაც არ უნდა აიღოთ, მაიორატსა და მონოპოლიაში გადაიზრდება. გამოჩდა ახალი საქმე, რომელიც დიდ ცოდნას და სოლიდურ კაპიტალს მოითხოვს. მას ხელი მოჰკიდეს ადამიანებმა, რომელთაც მცირე საშუალება და მცირე ცოდნა აქვთ. ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობით მიღებული შუღლისა და საერთო საქმის შეერთებული ძალით წარმოების მიუჩვევლობის გამო, ამ მოკრძალებულმა მოღვაწეებმა ცალ-ცალკე და დაქუცმაცებულად მოჰკიდეს ხელი საქმეს და მალე დარწმუნდნენ, რომ თითოეულმა მათგანმა მთელი თავისი სახსრები დახარჯა ისე, რომ განზრახული შენობა სახურავამდეც კი არ მიუყვანია. მოინვიეს ნასწავლი სპეციალისტები, რომელთაც განაცხადეს, რომ საქმე მოითხოვს ბევრად უფრო მეტ სახსრებს. მენარმეებმა დაიწყეს ამხანაგობების, მეპაიეების, კაპიტალის ძებნა. ბევრმა იშოვა იმდენი, რამდენიც საჭირო იყო და რამდენსაც ითხოვდნენ სპეციალისტები. საუკეთესო აპარატებით გაწყობილი ქარხნების მშენებლობა დამთავრდა, მას შესანიშნავი ტექნიკოსები ხელმძღვანელობდნენ და საუკეთესო პროდუქციაც მიიღეს, რომელიც ტოლს არ უდებდა ამერიკულს. განა ეს წარმატება არ არის? საუბედუროდ, გამოდის, რომ ეს ცოტაა: ისინი იძულებული არიან შესანიშნავი პროდუქცია, რაც ქარხნებს მეტისმეტად ძვირი დაუჯდა, ნახევარ ფასად გაასაღონ, ვინაიდან მისი ადგილიდან დასაძვრელად ყველა გზა გადაკეტილი აღმოჩნდა, ხოლო მისი გასაღები „ერთ ფირმას" ჩაუვარდა ხელში, როგორც მორიდებით აღნიშნავს რუსეთის ტექნიკური საზოგადოების ბაქოს განყოფილების ერთ-ერთი მოხსენება. მე არა მაქვს უფლება, რომ ეს საიდუმლო არ გავამჟღავნო, ამიტომ დავუმატებ, რომ ეს ფირმა ძმები ნობელების ამხანაგობაა. დამრჩენია მხოლოდ იმის გარკვევა, თუ როგორ მოხვდა ამ ამხანაგობის ხელში ნავთობის საქმის გასაღები.

იმ მომენტში, როცა გამოირკვა, რომ ნავთობის საქმე უზარმაზარ კაპიტალს მოითხოვს, არა მარტო ძირითადს,—წარმოების მოწყობისათვის, არამედ უმთავრესად საბრუნავს,—პროდუქციის გადასატანად და გასავრცელებლად, ჩვენში არავის მოჰგონებია, არავინ გარჯილა დაედგინა ამ საქმის ორი სრულიად დამოუკიდებელი მხარის გამიჯვნა. საკითხავია—რომელი წარმოება

შეიძლება განვითარდეს და გაძლიერდეს, თუ მას თავს მოვახვევთ მიმოსვლის საშუალებათა მოწყობასა და შენახვასაც? განა ჩვენი მინათმოქმედება, მესაქონლეობა ან მეღვინეობა გამტკიცდებოდა, სოფლის მეურნეობა რომ თვითონვე ყოფილიყო ვალდებული გაეკაფა თავისთვის გზა მთავარი სამომხმარებლო ბაზრებისაკენ? ამ გზების გაყვანა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს საქმეა. ამ შემთხვევაში (ნავთობის საქმეში) იგი მით უფრო ადვილი შესასრულებელი იყო, რომ სახელმწიფოს უკვე გაყვანილი ჰქონდა არც ისე ცოტა გზები სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გადასატანად. მაშასადამე, საჭირო იყო უკვე გაყვანილი გზები მიგვესადაგებინა ნავთობის წარმოების მოთხოვნილებისათვის, ხოლო იშვიათ შემთხვევაში, თუ დაგვჭირდებოდა, აქა-იქ მისი ნაკლი შეგვევსო. ამაზე არავის უფიქრია იმიტომ, რომ ფიქრის დრო არ იყო: ომმა და მისმა ეკონომიურმა შედეგებმა ბევრი სხვა საზრუნავი გაგვიჩინეს... ამ სახელმწიფო რეგალიაში__სახლმწიფო-მეთქი, რადგან კერძო პირის ხელში ის აუცილებლად ქმნის მონოპოლიას, რაც ყოველგვარ წარმოებას კლავს__ჩვენ საშუალება მივეცით ჩვენსავე თავს კერძო საზოგადოებას ჩავვარდნოდით ხელში, რომელმაც ისარგებლა იმით, რომ სახელმწიფომ მაშინვე არ შეასრულა იმ ამოცანათა ნაწილიც კი, რომლებიც უშუალოდ მის კომპეტენციაში შედიოდა. როდესაც საჭირო იყო თანხა ჩვენი რკინიგზის მოძრავი შემადგნელობის ჩამოსასხმელი ვაგონებით გასაზრდელად, ხოლო ვოლგასა და კასპიის ზღვაზე__ასევე ჩამოსასხმელი გემები, ყველა მექარხნეს, ვისაც კი მისწვდა, ნობელმა თავისი სამსახური შესთავაზა. რა საჭიროაო, ამბობდა ის, ახალი ხარჯები, რისთვის უნდა გაზარდოთ რკინიგზისა და გემთა საზოგადოების საობლიგაციო კაპიტალი? ეს ხომ ტვირთად აწვება სახელმწიფო სახსრებს, გარანტიის დანამატს. მე ვიკისრებ ყველა ამ ხარჯს, მე თქვენ შემოგიყვანთ შესანიშნავ გემებს, ბრწყინვალე ვაგონცისტერნებს და ეს სახელმწიფოს კაპიკი არ დაუჯდება... ჩვენ მოგვეწონა ასეთი კეთილისმყოფელი და პირდაპირ წინ დავუდგით ტაბლა. ამიტომ შეძლო მან ასე ადვილად მილიონების მოხვეჭა; მაგრამ ცნობილია, თუ ვინმეს ჯიბეში მილიონს დავინახავთ, თუნდაც სიზმრად, მაშინვე ფარ-ხმალს ვყრით მის წინაშე. ხედავთ?__ეს ძალაა! ყოველგვარი ძალის წინაშე ქედის მოხრის თანდაყოლილი თვისების გამო ჩვენ მალე ვიქეცით ყურ-

მოჭრილ მონებად. „ბ-ნმა ნობელმა ჩვენში ნავთობის საქმე განავითარა. ნავთის პროდუქტები საზღვარგარეთ გააქვს; მან შეავიწროვა ამერიკული ნავთი და სწორედ ასეთი ხალხი გვჭირდება!“ ბატონებო, მძიმე გრძნობა ეუფლება ადამიანს, როდესაც იგი აშკარად ხედავს ასეთ ბრმა მორჩილებას მთელი საზოგადოებისას მის მიერვე თიხისაგან შექმნილი კერპისადმი! მაგრამ კიდევ უფრო უსიხარულოა ეს გრძნობა, როდესაც ხედავ, რომ ამ კერპს ემორჩილება და თაყვანს სცემს არა მხოლოდ ბნელი მასა, არამედ მეცნიერებისა და მრეწველობის წარმომადგენელთა საუკეთესო ნაწილიც; როცა საქმის მუხრუჭი მის საყრდენადაა გამოცხადებული... საჭიროა გამოიცეს რაიმე დადგენილება, პირდაპირ ან არაპირდაპირ რომ ეხება ნავთობის საქმეს, მაგრამ არა, არ შეიძლება, ვინაიდან ჯერ ხომ არ უკითხავთ თავისი აზრი ისეთი კომპეტენტური მოღვაწისათვის, როგორიც ბ-ნი ნობელია? ბაჟი რომ დავადოთ—უნდა შევეკითხოთ ბ-ნ ნობელს. ერთი სიტყვით, ბ-ნი ნობელის გარეშე უკვე ნაბიჯსაც ვერ გადადგამ. საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით ყველაზე სპეციალურ საკითხზე, ბათუმის პორტის მოწყობის საკითხზე მსჯელობის დროსაც კი, საგანგებოდ ამ საკითხის განსჯისათვის მოწვეულ კომისიაშიც, მას ეკუთვნის პირველი ადგილი. მართალია, მასთან ერთად ორ-სამ მექარხნესაც იწვევენ, მაგრამ თქვენ თვითონ იცით, თუ რა წონა აქვს თუნდაც ასი მექარხნის თხოვნასა და განცხადებას ასეთი „ავტორიტეტის“ ნება-სურვილთან შედარებით, „დაე, იჯდეს თავისთვის და მართოს სპეციალური კომისია“,—გაიფიქრებთ თქვენ,—მაგრამ დახეთ, როგორ გავლენას ახდენს მისი მსჯელობა ნავთობის საქმეზე; მან კომისიაში განაცხადა, რომ ბათუმის პორტო-ფრანკო ძალიან პატარაა თავისი ფართობით, ხოლო მისი გაფართოება საშიშიც კია ხანძრის გაჩენის საშიშროების გამო, თუ დავუშვებთ მის ნაკვეთში ქარხნების მოწყობასა და ჩამოსასხმელ მოწყობილობათა დადგმას. დადგენილია: შესწავლილ იქნეს საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია პორტო-ფრანკოს საზღვართა გაფართოება, ხოლო მანამდე კი აიკრძალოს მის საზღვრებში ქარხნებისა და ჩამოსასხმელ მოწყობილობათა აგება სხვაგვარად რომ ვთქვათ, პორტო-ფრანკოს გაფართოების საკითხზე კიდევ ათ და ოც წელს იმსჯელებენ; მანამდე კი ბ-ნი ნობელი თავისუფალია იმ მექარხნეთა კონკურენციისაგან, რომელთაც შეეძლოთ

ენარმოებინათ პორტო-ფრანკოს ნაკვეთში იაფი, უბაჟო ჭურჭელი ნავთის გადასაზიდად საზღვარგარეთ და შავი ზღვის სამხრეთ ნავსადგურებში. რუსეთის საიმპერატორო ტექნიკური საზოგადოების ბაქოს განყოფილების წარმომადგენლის მოხსენებამ და ამ განყოფილების შუამდგომლობამ საკმაოდ დაგანახათ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფენო, თუ რაოდენ მომაკვდინებელია ასეთი შეზღუდვა ნავთობის წარმოების განვითარებისათვის.

მსხვილი კაპიტალი, დაუშრეტელი ენერგია, საქმის ცოდნა, ყველაფერი ეს შესანიშნავია, ბატონებო, და ღმერთმა სულ უფრო და უფრო მეტი ასეთი სიკეთე მოგცეთ, მაგრამ იმ პირობით, რომ მხედველობაში მიიღოთ კიდევ ერთი გარემოება — მიზანი, საითკენაც უნდა იყოს მიმართული ყველა ეს უდიდესი ძალა. საკითხავია, დღეს საით და რა მიზნისაკენაა მიმართული ეს მილიონები, საქმიანობა და ცოდნა ძმები ნობელების ამხანაგობისა? მე პირველი მოვიდრეკდი მუხლს მათ წინაშე, ყველა ეს იშვიათი თვისება და ძალა რომ პროდუქციის გაუმჯობესებას, მათი ღირებულების გაიაფებას, მათთვის ახალ-ახალი ბაზრების გახსნას ხმარდებოდეს. მაგრამ თქვენ უთუოდ დარწმუნდებოდით ბ-ნი ლეტნის ცნობიდან, რომ ამ ამხანაგობის ქარხნები სრულიადაც არ არის ბაქოს ქარხნებზე უფრო უკეთესი და უფრო რაციონალური მილიონები იხარჯება არა წარმოებაში, არამედ სულ სხვა საქმეებზე, კერძოდ, დანარჩენ მეწარმეებთან ბრძოლაში. მწარმოებლის და ჩვენი სიმდიდრის გამამრავლებელის ნაცვლად ნობელის ამხანაგობა მოგვევლინა სპეკულიანტად და მთელი თავისი სახსრები მიმართა სხვა მეწარმეთა გასანადგურებლად. ჩვენი კანონებით აკრძალულია ერთი პროდუქტის შესყიდვის მონოპოლიზება. ძმები ნობელების ამხანაგობა კი შეისყიდის ნავთსა და მის პროდუქტებს, რათა სხვა გემის მფლობელები აიძულოს გააუქმონ ჩამოსხმით გადატანა, რომელიც კონკურენციას უწევს მათი ამხანაგობის გემებს. არსებობს საგანგებო კანონი, რომელიც მხოლოდ რუსეთის ქვეშევრდომებს აძლევს კაბოტაჟური ცურვის უფლებას ჩვენს შიდა წყლებში და დაბეჯითებით უკრძალავს უცხოელებს ამ საქმის წარმოებას. მაგრამ ამ კანონს სრულიადაც არ შეუშლია ხელი უცხოელი ნობელისათვის გაენადგურებინა მთელი სანავთობო კაბოტაჟი, ძმებმა არტემიევებმა რომ დააარსეს, და დაეპყროთ მთელი ჩამოსხმით გადაზიდვა თავიანთი გე-

მებისათვის, რომლებიც ფსევდორუსული ამხანაგობის ბაირაღით დაცურავენ. ხოლო იმისათვის, რომ არავის შემოეყვანა ჩამოსასხმელი გემები, ფრიად დროულად დაწესდა 40%-იანი დამამძიმებელი ბაჟი შიდა წყლებში მოცურავე ყველა იმ გემზე, რომელიც საზღვარგარეთიდან შემოდის, რადგან მხოლოდ იქ შენდება ჩამოსასხმელი გემები. ყველაზე საყურადღებო კი ისაა, რომ ამ ბაჟის დაწესების დროს სადაც ჯერ არს ბ-ნმა ნობელმა განაცხადა, თითქოს მოტალას ქარხანას უკვე შეუკვეთა 8 ჩამოსასხმელი გემი, გარდა იმ ხუთისა, რომლებიც უკვე დაცურავენ მისი ბაირაღით და ეს 8 გემი ჩვენში უბაჟოდ შემოვა მაშინ, როცა ბ-ნი ნობელის კონკურენტებმა უნდა გადაიხადონ 40% ბაჟი. ამას დავუმატებთ იმასაც, რომ მოტალას ქარხანა ბაჟის დადგენამდე რატომღაც არ იღებდა შეკვეთებს სხვა მექარხნეებისაგან და იმიზეზებდა—ბ-ნი ნობელის სამუშაოთი ვარ გადატვირთულიო.

სხვათა შორის, მაინც რა საჭიროა ეს ჩამოსასხმელი გემები, როდესაც ნავთი და ნავთობი აღარ ვიცით, სად წავიღოთ, თუკი იგი მივიტანეთ ცარიცინამდე? გუშინაც და სამი დღის წინაც ბ-ნი ლეტნისა და ბ-ნი აბრამოვიჩის მოხსენებებში გაანგარიშებული იყო, რომ გადაზიდვის ჩამოსასხმელი საშუალება ფუთზე 40 კაპიკით იაფი ჯდება, ვიდრე კასრითა და თუნუქის ჭურჭლით გადატანა და ამიტომ ამ უკანასკნელი საშუალებით ჩამოსხმით გადაზიდვასთან გაჯიბრება შეუძლებელია. ხოლო ჩამოსხმით გადაზიდვა მთლიანად ნობელის ხელშია, მის განკარგულებაშია 1.400 ვაგონი-ცისტერნა და თანაც ყველა სარკინიგზო საზოგადოებასთან დადო განსაკუთრებული ხელშეკრულება ტარიფის დაკლების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გზათა მიმოსვლის სამინისტროს ცირკულიარი, რომელიც უკრძალავს რკინიგზის მმართველობას ცალკეულ პირებთან ხელშეკრლების დადებას, —ტვირთის გადასაზიდი გადასახადის მათ სასარგებლოდ დაკლებას. მე სიამოვნებით ვიკისრებდი გამეთავისუფლებინა მთავრობა ყოველგვარი საფოსტო ვაგონების აშენების, შეკეთებისა და გაზეთვისაგან, ვიკისრებდი მათ გაშვებას გზებზე არა 1/60-ით ფუტვერსიდან, როგორც ბატონი ნობელი იხდის თავის ცისტერნებზე, არამედ 1/24-დაც კი, თუკი, მის მსგავსად, მომენიჭებოდა ფაქტიური მონოპოლია რუსეთის ყველა კუთხეში წერი-

ლებისა და ამანათების გაგზავნისა და უკონტროლო გამგებლობა გზავნილობისა, ჩემი სურვილის თანახმად. შესაძლებელია, ზოგი გზავნილი შემეტანა არა მარტო რიგაში, არამედ გრენლანდიაშიც. მაგრამ ძნელი მისახვედრი არაა, თუ რამდენად მოსახერხებელი იქნებოდა სხვა მოქალაქეებისათვის ჩემი მონოპოლია. აი, რატომ მოხდა, რომ თვით მათაც კი, ვინც პირველად შემოიღო ჩამოსასხმელი კაბოტაჟი, ფარ-ხმალი დაყარეს ბ-ნი ნობელის წინაშე; აი, რატომ მოხდა, რომ ახლა მას დაემორჩილა თვით ბაქოს ნავთობის საზოგადოებაც რუსეთში ყველაზე საუკეთესო ნავთის ქარხნიანად, ცნობილმა ლიბიხმა რომ დააპროექტა. ამის შემდეგ განა გასაკვირია, რომ სხვა დანარჩენი უფრო წვრილი კერძო მექარხნეებისა და მეწარმეებისათვის თვით ღმერთს შთაეგონებინა მუხლის მოყრა ბ-ნი ნობელის წინაშე?

ახლა გეკითხებით: რატომ და რისთვის უნდა დახარჯოს ნავთობის საბადოს რომელიმე მფლობელმა 50.000 მანეთით მეტი რიგიანი ქარხნის ასაგებად? რად უნდა იხარჯებოდეს მექარხნე წარმოების გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის, ცდებისა და გამოკვლევებისათვის? და ბოლოს, რა საჭიროა გემებისა და ცისტერნების აგება, როდესაც ყელასათვის ნათელია, რომ ბ-ნი ნობელის მიერ წარმოქმნილ ამ ყველასაგან აღიარებულ და სახელმოხვეჭილ ძალას,—მონოპოლიას—ვერ დავძლევთ, რაკიღა იგი არ მოგვცემს საქმის განვითარების საშუალებას, ხოლო დაუმორჩილებლობის შემთხვევაში საერთოდ გაგვანადგურებს? სულ ერთია, ხომ მაინც მოგვიხდება ქედის მოდრეკა იმ უღლის ქვეშ, რომელსაც ხელს უწყობს ყველა ჩვენი პოლიტიკურ-ეკონომიკური პირობა? რატომ უნდა ვფანტოთ ფული ისეთ საქმეზე, რომელიც წინდაწინვე დასაღუპავადაა განწირული? აი, ბატონებო, სად იმალება ბოროტება, წარმოებისაგან განუყრელი მთავარი ბოროტება. ძმები ნობელების ამხანაგობა სრულიადაც არ არის დაინტერესებული წარმოების შემდგომი წარმატებითა და გაუმჯობესებით, რადგან ნავთობის ტრანსპორტირების მონოპოლია უზრუნველყოფს მათ წარმატებას, როგორიც არ უნდა იყოს მათი პროდუქციის ხარისხი და ფასი; დანარჩენი მექარხნეები კი ბოლოს და ბოლოს სულელები ხომ არ არიან, რომ შევარდნენ ცეცხლში და გამოამზეურონ თავიანთი საუკეთესო კაპიტალი ყოვლისმშთანთქმელი ამხანაგობისათვის! ამას მოგახსენებთ წარმოების შესახებ. მო-

ნოპოლიის შედეგები მოხმარების საქმეში ძალიან მალე გამოაშკარავდება—როგორც კი ამხანაგობა შეძლებს გატეხოს უკანასკნელ მოჰიკანთა დამოუკიდებლობა ბაქოს ნავთობის წარმოებაში. იგი ძლივს გაუმკლავდება ჯერ კიდევ გაუნადგურებელ და ამდენად მასზე დამოუკიდებელ მექარხნეებს და მაშინ ნახავთ, თუ რა ფასი დაედება ნავთს ჩვენს სამომხმარებლო ბაზრებში, ჩვენი მონოპოლიის სამსხვერპლოდ რომ არიან განწირულნი. სწორედ მაშინ გამოჩნდება, იაფი დაუჯდება თუ არა „ჩვენი რუსული ნავთი" „ჩვენს რუს ხალხს". იმაზე, თუ რამდენად დაზოგავს ამ ხალხის ინტერესებს მონოპოლისტური ამხანაგობა, ახლაც შეიძლება ვიმსჯელოთ. აბა, ნახეთ, რითი სჯობს ამ მილიონერი ამხანაგობის ყოფა, მათი საკვები ან მშრომელთა მდგომარეობა ვოლგელი ბურლაკის ან გაპარტახებული ქოხის ულარიბესი ბატრაკის მდგომარეობას? თქვენ დარწმუნდებით, რომ მონოპოლისტური სანარმოს ბრწყინვალე წარმატებას ერთი ბენოთიც არ გაუუმჯობესებია მუშათა ხვედრი...

აი, ვის და რა ძალას ენირება მსხვერპლად, ბატონებო, ასობით მექარხნე და მეწარმე, რომელთაც ბაქოში 350 ჭაბურღილი გათხარეს, სულ საშუალოდ 50.000 მანეთის ღირებულებისა; ასევე 50.000 მანეთი ღირებულებისაა ყოველი აგებული ქარხანა 110 ქარხნიდან; მათ რამდენიმე მილიონი აქვთ დახარჯული, აგრეთვე, ნავთობის საბადოებით მდიდარ მიწის ნაკვეთებში. ამ ხალხის ბედსა და მათი საქმის უკეთ წარმართვაზე არავინ ზრუნავს; დიდია მხოლოდ და მხოლოდ ბ-ნი ნობელი, რადგან მას ხელთ უპყრია ცოდნაც, მეუფებაც, დიდებაც და ყველა სურვილის აღსრულებაც. აი, როგორ გვესმის „სამამულო წარმოების მფარველობა", აი, რაში ვხედავთ „საქმის წარმატებას". ხეირი არ დაეყრება, ბატონებო, სამამულო მრეწველობას ამგვარი მფარველობითა და ასეთი მიღწევებით, ვერც იმით, ვიტყოდით ჩვენ, რომ გამოვითხოვოთ ბაჟის დაწესება ყველა მრეწველის სწრაფად გასაკოტრებლად ერთის სასარგებლოდ.

მოწყალეო ხელმწიფენო! ჩემი ნათქვამიდან ძნელი არაა განვსაზღვროთ ყველა ის საშუალება, რომლითაც უნდა შევეცადოთ უკვე აღმოცენებული მომავალი ბოროტების თავიდან აცილებას. ამისათვის აუცილებელია ყურადღება მიექცეს ნავთობის პროდუქტების გადასაზიდი გზების მოწყობასა და განთავისუფლებას,

სრულიად შემთხვევით და წინასწარი განზრახვის გარეშე იგემა პირველი დარტყმა ბ-ნი ნობელის მონოპოლიამ, როცა ამიერკავკასიის რკინიგზა გავიყვანეთ, რომელიც ვალდებულია ნავთის მრეწველის განკარგულებაში იქონიოს ჩამოსასხმელი ვაგონები. მაგრამ ეს თავდასაცავი სარქველი, როგორც ბ-ნმა ბახმეტიევმა და აბრამოვიჩმა აშკარად დაამტკიცეს, ძალიან მცირეა და ადრე თუ გვიან ძმები ნობელების ამხანაგობა შეეცდება, ასე თუ ისე, დავიწყებას მისცეს იგი. პირველი საცდელი საცავები მან უკვე ჩადგა ბათუმის პორტო-ფრანკოში; ახალ, კიდევ უფრო მტკიცე საცავთა ჩადგმასაც უნდა ველოდოთ, მაგრამ კიდევაც რომ დავუშვათ, რომ აქ ამხანაგობის მცდელობა შეიძლება უნაყოფო გამოდგეს, განა ეს გზა საკმარისია იმისათვის, რომ ის თანასწორუფლებიანობა და თავისუფლება მიანიჭოს ნავთობის წარმოებას, ურომლისოდაც მას არამცთუ წინსვლა, არამედ არსებობაც კი არ შეუძლია? აი, რატომ მგონია, რომ რუსეთის საიმპერატორო ტექნიკური საზოგადოების ბაქოს განყოფილების შუამდგომლობა ამ საქმის თაობაზე არასრულყოფილია. რასაკვირველია, აუცილებელია ვაიძულოთ ყველა რკინიგზა, რომელიც ვოლგასა და შავ ზღვას აკრავს და დაკავშირებულია მის აუზებთან, ჰქონდეს ჩამოსასხმელ ვაგონთა საჭირო რაოდენობა, ხოლო მთავარ სადგურებზე კი—საკმაო მოცულობის რეზერვუარებიც. ასევე აუცილებელია ყველა მექარხნეს, მეწარმესა და ვაჭარს მივცეთ ისეთივე შეღავათიანი პირობები ნავთის ჩამოსხმის სახით გადატანისა, ბ-ნ ნობელს რომ აქვს მინიჭებული რკინიგზის სამმართველოსაგან, რომელმაც გულუხვად დაუკლო მას ნავთის გადატანის ფასი სახელმწიფო გარანტიის წყალობით—1 / 100 კაპ. ფუთ-ვერსიდან (ცარიელი ვაგონ-ცისტერნების უკანდასაბრუნებელი გზის უფასოობის ჩათვლით) მაშინ, როცა დანესებულების ბარგის გადაზიდვას შეუძლებელია კაპიკის ერთ მეასედზე დაბალი ფასი დაედოს, თუ თვით გზაშივე ამ ღირებულებაზე იაფი არ ჯდება. მაგრამ ამ ღონისძიებისას, თუ ზედმეტი არა, რაღაც გარკვეული მზრუნველობა მაინც უნდა გამოვიჩინოთ ჩამოსასხმელი ორთქლის კარჭაპების მიმართ, რომელთაც სუბსიდიას აძლევენ ვოლგის, შავი და კასპიის ზღვების სახომალდო კომპანიები. თქვენს გადაწყვეტილებაზე—ნავთობის პროდუქტთა ტარის უბაჟოდ გადატანის შესახებ—აღარაფერს ვამბობ. საერთოდ კი პრინციპუ-

ლად უნდა დადგინდეს, პირველ ყოვლისა ის, რომ მთავრობის მიერ ზურგის შექცევას ნავთობისა და მისი პროდუქტების გადაზიდვის საქმისაგან, სამიმოსვლო გზების გაუმჯობესებისაგან, და ამ საქმეების მთლიანად გადაბარებას ნავთობის მეწარმეებზე, მონოპოლიის შექმნისაკენ მივყევართ; მეორეც ის, რომ ნავთობისა და მისი პროდუქტების გადაზიდვის ყველა საშუალება ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს თანაბარი პირობებით. ნავთობის მრეწველობის მხოლოდ ასეთი სპეციფიკაციით, მხოლოდ მისი წარმოებისა და გადაზიდვის განცალკევებით შეიძლება შევუქმნათ მას არსებობისა და შემდგომი განვითარების პირობები. მხოლოდ ამ სისტემის განხორციელებისა და მისგან გამომდინარე ზომების მიღების შემდეგ, რომლებიც ნავთობის მრეწველობის მონოპოლიისაგან განთავისულებისაკენ იქნება მიმართული, თქვენ, მოწყალეო ხელმწიფენო, გექნებათ უფლება იფიქროთ: თქვენი თავდადებული შრომა ნავთობის საქმის განვითარებისათვის სიმდიდრესა და კეთილდღეობას მოუტანს კიდევ უფრო მეტ ჩვენს თანამოქალაქეს. მხოლოდ ასეთი სისტემით შეიძლება აღვკვეთოთ ჩვენი მინის წიაღიდან საუკეთესო წვენისა და სიმდიდრის მძაფრი გამოწოვა და ჩვენი ხალხის ჯიბიდან ამოღება სიმდიდრისა, რომელიც ახლა მხოლოდ და მხოლოდ იმ მონოპოლისტის სასარგებლოდ მიდის, რომელიც ჩვენი თანამოქალაქის სახელსაც კი არ ატარებს.

თავმჯდომარე: მოწყალეო ხელმწიფენო! ხომ არავის სურს ბ-ნი ნიკოლაძის მოხსენებაზე გააკეთოს რაიმე შენიშვნა ან ახსნა-განმარტება?

ვ. ვ. მარკოვნიკოვი: ბ-ნი ნიკოლაძის შენიშვნებზე ბ-ნი ნობელის საწარმოს მუშათა მდგომარეობის შესახებ შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ეს მართლაც ასეა. მე თვითონ ვნახე ცარიცინში, თუ რანაირ მიწურებში ცხოვრობენ ბ-ნ ნობელის მუშები იმ დროს, როდესაც ბ-ნ რაგოზინის მუშებს აქვთ მშვენიერი სახლები, ხოლო სამ მუშას თავისი საკუთარი ოთახებიც კი აქვს.

მაგრამ, სამაგიეროდ, მეჩვენება, რომ ბ-ნი ნიკოლაძე რამდენადმე ცდება, როდესაც ამბობს: ბ-ნი ნობელი ყოვლისმშთანმთქმელ მონოპოლისტად იქცაო. ჯერ ეს არ იგრძნობა, მაგრამ შეიძლება მონოპოლია მომავალში აღმოცენდეს და ამიტომაც სრულიად ვეთანხმები იმ აზრს, რომ აუცილებელია რაიმე ზო-

მების მიღება, რათა ეს არ მოხდეს. თუ ჩვენ ნავთის ახლანდელ ფასს შუა რუსეთის ბაზრებზე არსებულ შარშანდელ ფასს შევადარებთ, დავინახავთ; ფასმა იკლო. ფასების ამ დაკლებას ზოგი იმით ხსნის, რომ ბ-ნმა ნობელმა მოახერხა რკინიგზაზე ნავთის გადაზიდვის გაიაფება, მაგრამ მათ მხედველობიდან რჩებათ, რომ რუსეთში განმათებელი ზეთის წლიური წარმოების მასშტაბი გაფართოვდა. ჩემის მხრივ, მე სწორედ ამ გარემოებას მივაწერ ნავთის გაიაფებას.

ნ. ი. ნიკოლაძე: რაც შეეხება ნავთის ფასს, ვამტკიცებ, რომ, თუ მონოპოლია განმტკიცდება, ნავთის ფასიც სწრაფად აიწევს. მაგრამ საქმე ეს როდია. ვფიქრობ, ჩვენმა განყოფილებამ, პირველ ყოვლისა, უნდა დაადგინოს საერთო პრინციპი, სახელდობრ, გადაზიდვის წარმოებისაგან გამოყოფის აუცილებლობა. ბაქოში არის საკმაო საშუალება წარმოების დამოუკიდებელი განვითარებისათვის, მაგრამ გადაზიდვაზე მთავრობამ უნდა იზრუნოს ისევე, როგორც ზრუნავს მრეწველობის ყველა სხვა სახეზე. მთავრობის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებებისათვის—გადატანის ორგანიზაციისათვის—ზურგის შექცევა უთუოდ იწვევს მრეწველობის შეჩერებას, რაც მომდინარეობს მისგანვე გამოწვეული მონოპოლიზაციის აღმოცენებისა და განვითარებისაგან. ჩვენმა ყრილობამ უნდა გამოიკვლიოს ამ პრინციპის უდიდესი მნიშვნელობა და შეეცადოს, რომ შავ და აზოვის ზღვებზე შეძლებისდაგვარად იმოძრაონ ჩამოსასხმელმა გემებმა და რომ მათი ამშენებელი კომპანიები სუბსიდირებული იქნენ მთავრობისაგან.

ვ. ბ. ამბრამოვიჩი: „კავკასიისა და მერკურის“ საზოგადოებას კასპიის ზღვაზე ოთხი ჩამოსასხმელი გემი აქვს, ხოლო ბატონმა ნობელმა თვრამეტი ასეთი გემი შემოიყვანა, რომელთაგან თითოეული 35 ათას ფუთ ტვირთს ეზიდება.

ვ. ვ. მარკოვნიკოვი: მსურს მიგითითოთ რამდენიმე მონაცემზე, რომლებიც მივიღე ამ საქმეში გათვითცნობიერებული ადამიანებისაგან. როგორც გავიგე, იმ გემების რიცხვი კასპიის ზღვაში, რომლებიც მოწყობილია ნავთის გადასაზიდად, იზრდება იმ უბრალო მიზეზით, რომ ეს გემები იძლევიან კარგ შემოსავალს, რომელიც ზოგჯერ ნავიგაციაზე დახარჯული კაპიტალის 50%-ს შეადგენს. გარდა ამისა, გავიგე, რომ ის პირობები, რომლებსაც ბ-ნი ნობელი უყენებს რკინიგზის სხვადასხვა მმართველობას მისი ვა-

გონ-ცისტერნების მიმოსვლის თაობაზე, არ შეადგენს, ასე ვთქვათ, მის უშუალო მონაპოვარს, არამედ ვრცელდება ყველა იმ მექარხნეზე, მეწარმესა და ნავთის მრეწველზე, რომლებიც კი მივლენ თავიანთი საკუთარი ვაგონებით.

ნ. ი. ნიკოლაძე: ჩემს მოხსენებაში მე ვეყრდნობოდი სწორედ გზათა მიმოსვლის სამინისტროს ცირკულარს, რომელიც სავალდებულოა ყველა რკინიგზისათვის და რომელიც ეყრდნობა კანონს, რომლის თანახმადაც სამინისტროს ეკრძალება დადოს ხელშეკრულება ცალკეულ კერძო პირებთან სპეციალური ტვირთის გადატანის თაობაზე, მაშინ რკინიგზის მმართველობამ, რათა გვერდი აევლო ამ ცირკულარისათვის, განაცხადა, რომ მან შეამცირა ტარიფი არა მარტო ბ-ნი ნობელის, არამედ ყველასათვის, ვისაც კი საკუთარი ვაგონ-ცისტერნები ექნება. მაგრამ მე უფლებას ვაძლევ თავს შეგეკითხოთ: რომელ ნავთის მრეწველსა და მექარხნეს აქვს საშუალება, ახლანდელ მძიმე დროში, იქონიოს ასობით ვაგონ-ცისტერნა, მით უმეტეს, რომ შენელებული მოძრაობის დროს, რომელიც შეინიშნება, მაგალითად, მოსკოვიდან რიგამდე, სადაც მატარებელი 24 დღე მიდის, იგი არახელსაყრელია. თუ თქვენ იტყვით, მოწყალეო ხელმწიფენო, რომ ჩვენი ნავთობის მექარხნეებმა უნდა შექმნან ასოციაციები და საერთო ძალით განახორციელონ ის, რაც ერთს არ შეუძლია, გიპასუხებთ: ეს იქნება საფუძველი იმ ურთიერთმოლაპარაკებისა, როგორც ეს ამერიკაშია, სადაც მათ ეწოდებათ რგოლები და მიმართულნი არიან მაზრებისა და, მასთან ერთად, მომხმარებლის ჯიბის ექსპლუატაციისაკენ. არ ვიცი, სასარგებლო იქნება თუ არა ეს ხალხისათვის და ხელს შეუწყობს თუ არა ნავთობის მრეწველობის განვითარებას. მე, ჩემის მხრივ, ვისურვებდი, რომ მსგავსი რამ ჩვენში, რუსეთში, არასოდეს ყოფილიყოს.

ვ. ვ. მარკოვნიკოვი: მე კი, ჩემის მხრივ, უფლებას მივცემ ჩემს თავს გამოვთქვა რწმენა, რომ ჩვენი ნავთის მრეწველნი არამც თუ წინააღმდეგნი არიან მსგავსი მონაპოვრისა, არამედ მუდმივად მიისწრაფიან მისკენ.

ა. პ. ბახმეტიევი: ჩვენი ნავთის მრეწველნი თავიანთ საქონელს ბ-ნ ნობელზე ჰყიდიან და რადგან, საერთოდ, მიწოდება მოთხოვნილებას აღემატება, მოგების მიღება შეუძლებელია.

ვ. ვ. მარკოვნიკოვი: მგონია, ეს სწორედ ასეა. ბ-ნმა ნობელმა თვითვე განაცხადა, რომ ამ წელიწადში 6 მილიონი ფუთი ნავთი ჩამოასხა. შარშან მისი წარმოება 2 მილიონ ფუთს უდრიდა. წარმოების 4 მილიონი ფუთით გაზრდა ერთ წელიწადში, ჩემის აზრით, შეუძლებელია. ამიტომ ვფიქრობ, ციფრი 6 მილიონი ბ-ნმა ნობელმა შეადგინა ისე, რომ საკუთარი წარმოების ნავთს ნაყიდი ნავთიც მიუმატა.

ვ. ბ. აბრამოვიჩი: დაბეჯითებით ვამტკიცებ, რომ ბ-ნ ნობელს სხვა მექარხნეებისაგან ერთი გირვანქა ნავთი არ უყიდია. ბ-ნი ნობელის ნავთის წარმოება და, მაშასადამე, საქონლის გატანაც ბაქოდან იმიტომ გაიზარდა ასე სწრაფად, რომ მისი ქარხანა ბრწყინვალედაა მოწყობილი.

ვ. ვ. მარკოვნიკოვი: ამ შემთხვევაში ბ-ნ ნობელს უნდა ვუყუროთ, როგორც ისეთ მრეწველს, რომელსაც ბაზარზე გააქვს თავის საქონელი და არა როგორც გადამზიდველს, რომელიც მხოლოდ ეზიდება თავის ნავთს.

თავმჯდომარე: მაშასადამე, ბ-ნ ნობელს მხოლოდ თავისი საკუთარი ნავთი გადააქვს?

ვ. ბ. ბახმეტიევი: დიახ.

ვ. ვ. მარკოვნიკოვი: ამიტომ ბ-ნი ნობელის მონოპოლია ჯერ არ შექმნილა, თუმცა იგი უთუოდ შეიქმნება, როცა ბ-ნი ნობელის მოლვაწეობა ისე გაფართოვდება, რომ გასრესს წვრილ მექარხნეთა წარმოებას.

ვ. ბ. აბრამოვიჩი: დიახ, ამ მოლოდინს თავისი საფუძველი აქვს. რაც შეეხება მექარხნეთა ურთიერთკავშირს ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათ ურთიერთშეთანხმებას, ამის მიღწევა შეუძლებელია.

ნ. ი. ნიკოლაძე: ჩვენს ერთ-ერთ წინა სხდომაზე გავიგონე, რომ მიუთითებდნენ გაზეთ „ბაკინსკიე იზვესტიაზე". ეს გაზეთი საერთოდ კარგია, მაგრამ არსებობს არა მარტო ნავთობის ექსპლუატაცია, არამედ საზოგადოებრივი აზრის ექსპლუატაციაც და ამ უკანასკნელს „ბაკინსკიე იზვესტია" არცთუ ისე იშვიათად მიმართავს. ყოველ შემთხვევაში, მე ხშირად მინახავს ამ გაზეთში წმინდა ამერიკული ხასიათის რეკლამები.

ვ. ბ. აბრამოვიჩი: „ბაკინსკიე იზვესტიას" გამოსცემს რუსეთის სამინისტროს ტექნიკური საზოგადოების ბაქოს განყოფილება,

რომელიც არასოდეს დაუშვებს, რომ მისი ორგანო სარეკლამო დონემდე დავიდეს, და ვის სასარგებლოც არ უნდა იყოს მიმართული იგი; ბ-ნი ნ. ნიკოლაძე, ალბათ, ლაპარაკობს რომელიმე განცხადებაზე, რომელიც უკანასკნელ გვერდზეა დაბეჭდილი და მასზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ვ. ვ. მარკოვნიკოვი: ბ-ნი ნიკოლაძის მოხსენების მთავარი პუნქტი ისაა, რომ ნავთისა და ნავთობის სხვა ფაბრიკატების წარმოება უნდა განცალკევებულ იქნეს მათი გადაზიდვისაგან და რომ ჯერ არს ვიშუამდგომლოთ მთავრობის ჩარევაზე ამ საკითხში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რათა მთავრობამ აუკრძალოს კერძო პირებს, რომლებიც ნავთის ფაბრიკაციას ეწევიან, მათი საქონლის გატანა, თუ მათ არ სურთ თვითონვე აწარმოონ ეს საქმე. აქედან გამომდინარე, საქმე იქამდე მიდის, რომ რკინიგზებმა უნდა იქონიონ თავიანთ ხაზებზე ვაგონ-ცისტერნები.

ნ. ი. ნიკოლაძე: დიახ, მათი გარკვეული რაოდენობა.

თავმჯდომარე: ბ-ნი ნიკოლაძის მოხსენებიდან მე ის დასკვნა გამოვიტანე, რომ ნავთობის საქმეში უკვე არსებობს მონოპოლია, მაგრამ ვლადიმერ ვასილის ძე მარკოვნიკოვს მიაჩნია, რომ ის ჯერ კიდევ არ შექმნილა. ამ აზრს მხარს უჭერს ბ-ნი აბრამოვიჩიც. თუმცა ყველა ერთხმად აღიარებს, რომ მომავალში იგი შესაძლებელია. ამიტომ ვუცხადებ ბ-ნ ნიკოლაძეს, რომ რკინიგზების მიერ ვაგონ-ცისტერნების აუცილებლად შეძენას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ საკითხთან მჭიდროდაა დაკავშირებული მეორე პრობლემა, ესაა ტარიფის საკითხი, რომელსაც ჩვენ უკვე შევეხეთ ბ-ნი ლესენკოს მოხსენების განხილვის დროს, მაგრამ ჯერ არ გადაგვიწყვეტია. ტარიფის საკითხი ძალიან რთული პრობლემაა, რადგან რამდენიმე მხარის ინტერესებს ეხება. ამიტომ განა არ შეიძლება ვთხოვოთ ბ-ნ აბრამოვიჩს განგვიცხადოს—დაკმაყოფილებულად სცნობს თუ არა თავის თავს, თუ ჩვენ ტარიფის ნორმად მივიღებთ 1 / 45 კაპიკს ფუთ-ვერსზე, მიუხედავად იმისა, რომ რკინიგზებმა ბ-ნი ნობელისათვის უფრო დაბალი ტარიფი დააწესოს?

ვ. ბ. აბრამოვიჩი: სასურველი იყო უფრო დაბალი ტარიფი გვქონოდა, მაგრამ, რადგან ჩვენ უკვე გამოგვიცხადეს, რომ ყრილობას უამისოდაც ბევრი საშუამდგომლო საქმე აქვს, ამიტომ მეტი გზა არ არის და ამ ტარიფს უნდა შევურიგდეთ.

ნ. ი. ნიკოლაძე: რკინიგზებს ბ-ნი ნობელის ნავთობის ფაბრიკატები გადააქვს 1/55 და 1/50 კაპიკად ფუთ-ვერსზე.

გ. ი. გლიუკი: თქვენ გავიწყდებათ, რომ ბ-ნ ნობელს აქვს თავისი საკუთარი მოძრავი შემადგენლობა. ამიტომ სწორედ რკინიგზებმა შეამცირეს მისთვის ტარიფი. სხვისთვის, ვისაც თავისი ვაგონები არა აქვს, ასეთ რამეს არ ჩაიდენენ.

ნ. ი. ნიკოლაძე: არსებითად, ბ-ნი ნობელი იხდის არა 1/55 კაპიკს ფუთ-ვერსზე, არამედ 1.100, ვინაიდან ვაგონების უკან დაბრუნება მას არაფერი უჯდება.

ე. დ. პრესნიკოვი: მე სათანადოდ არა ვარ მომზადებული დღევანდელი კამათისათვის, მაგრამ, რადგან ძალიან ბევრჯერ მიანგარიშია ტვირთის გადაზიდვა რკინიგზით სხვადასხვა პირობებში, გავბედავ და მოგახსენებთ ჩემს მოსაზრებას. ბ-ნი ნობელის მიერ რკინიგზებთან დადებული პირობები ტვირთის გადასაზიდად იმით გამოიხატება, რომ ის უზურნველყოფს თავის მოძრავ შემადგენლობას სარემონტო სამსახურითაც (მცირე შეკეთება რკინიგზების საქმეა). შემდეგ იგი ვალდებულია მატარებლებს თავისი გამყოლები დაუნიშნოს. თუ გამოვიანგარიშებთ ამ საქმის ხარჯებს, გამოვა, რომ ბ-ნ ნობელს გადააქვს თავისი ნავთი არა 1/55 კაპიკად ფუთ-ვერსზე, არამედ—1/30 კაპიკად. გარდა ამისა, ჩვენ უკვე ვთქვით, რომ საჭიროა რკინიგზებმა, რომლებიც შავი ზღვისაკენ მიდიან და ვოლგას ეკვრიან, იზრუნონ სპეციალურ მოძრავ შემადგენლობაზე ნავთობისა და მისი პროდუქტების გადასატანად. მაგრამ, ამასთანავე, მხედველობაში არ მიგვიღია, რომ ამ რკინიგზათა ექსპულატაციის პირობები სრულიად სხვადასხვაა. ამიტომ ამ გზებზე არ შეიძლება ერთნაირი ტარიფის დაწესება. სამხრეთის გზებმა უკვე შეამცირეს თავიანთი ტარიფი ტვირთზე, რომელიც ზღვიდან სახელმწიფოს შიგნით იგზავნება. ასე, მაგალითად, ხარკოვ-ნიკოლაევის გზას გადააქვს ყოველნაირი ტვირთი 1/60 კაპიკად ფუთ-ვერსზე ნიკოლაევიდან. გასაგებია, რომ, როცა ჩვენი ნავთის გადატანას დაიწყებენ შავი ზღვის პორტიდან, ეს უთუოდ უფრო ზამთარში მოხდება, ე.ი. როცა ვოლგის გზა დაიკეტება (სხვათა შორის, ზამთრობით შავი ზღვის სანაპირო გზებზე თავს იყრის პურის ტვირთის დიდი რაოდენობაც, რომელიც ოდესაში და სხვა პორტებისაკენ გაგზავნას ელოდება (სწორედ ამ გაცხოველებულ დროს ნავთობიანი სპეციალური შემადგენლობა

ცარიელი დაბრუნდება, რადგან არ შეიძლება ნავთის ცისტერნით პურის მარცვლის გადატანა. მაშასადამე, ზამთრობით რკინიგზა იძულებული იქნება გაგზავნოს ზედმეტი მატარებლები ცარიელი ვაგონ-ცისტერნების უკან დასაბრუნებლად, რაც, იგულისხმება, შეაფერხებს პურის ტვირთს, ხელს შეუწყობს ამ ტვირთის თავმოყრას სადგურებზე და გამოიწვევს გამგზავნთა სამართლიან გულისწყრომას.

თავმჯდომარე: მაგრამ ტარიფი ხომ აქ არაფერ შუაშია და, თუ თქვენ გაადიდებთ გადაზიდვის ტარიფს, ამით ვერ შეცვლით საქმის ვითარებას.

ე. დ. პრესნიკოვი: მე შემოგთავაზებდით ზამთრისა და ზაფხულისათვის სხვადასხვა ტარიფის დაწესებას და, აგრეთვე, წესად მიღებას იმისა, რომ პურის ტვირთის გაგზავნას მიეცეს უპირატესობა ცარიელი ვაგონ-ცისტერნების უკან დაბრუნებასთან შედარებით.

ა. ა. ლეტნი: მე თავს უფლებას მივცემ შენიშვნა გავაკეთო ბ-ნი პრესნიკოვის აზრის საწინააღმდეგოდ. რა საჭიროა ვაგონ-ცისტერნებზე ზრუნვა, როცა შეიძლება ნავთის კასრებით გადაზიდვა? ვაგონ-ცისტერნები კარგი და პრაქტიკულია ვოლგისპირა და არა სამხრეთ რუსეთის გზებზე. თუ შავი ზღვის პორტებში მოვაწყობთ რეზერვუარებს, რომლებიდანაც ნავთს ჩამოვასხამთ კასრებში, მაშინ შესაძლებელი იქნება მათი სავსებით მოხერხებულად გადაზიდვა, ოღონდაც ეს კასრები უკან უნდა დაბრუნდნენ. ვინაიდან სამხრეთ რუსეთის რკინიგზებზე ტვირთის მთავარი მიმართულება ზღვისკენაა, გასაგებია, რომ ვაგონ-ცისტერნებმა უნდა შეზღუდონ მოძრაობა, რადგან ისინი მოდიან ცარიელნი სწორედ გზის უმთავრესი სამოქმედო არისაკენ. კასრების შემთხვევაში კი ეს არ შეიძლება მოხდეს, მით უმეტეს, რომ კასრები დაბრუნდება მოსახერხებელ შემთხვევაში ისე, რომ მოძრაობას არ შეაფერხებს.

ა. ვ. ბარი: მე, ჩემის მხრივ, თავს უფლებას მივცემ მოგაგონოთ ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც რკინიგზებზე მოძრაობს 6.000 ვაგონ-ცისტერნა, რომლებიც რკინიგზის საზოგადოებას კი არ ეკუთვნის, არამედ კერძო კომპანიებსა და ცალკეულ პირებს. ამერიკელები პრაქტიკამ დაარწმუნა, რომ სპეციალური ტვირთი უმჯობესია განსაკუთრებული გადასაზიდი საშუალებით იყოს გა-

დატანილი, რომლებიც ეკუთვნიან რკინიგზის საზოგადოებისაგან დამოუკიდებელ კერძო პირებს. რუსეთში ჩვენ ვხედავთ ამ პრაქტიკული შედეგის გამეორებას. ბ-ნ ნობელის ძალა, ჩემის აზრით, ისაა, რომ ის არის თავისი ვაგონების ბატონ-პატრონი და არ ექვემდებარება რკინიგზებს. მას არაფრით არა აქვს შეკრული ხელ-ფეხი, მოქმედებს დამოუკიდებლად და თავისუფლად. შემდეგ, აქ ლაპარაკობდნენ სარკინიგზო ტარიფების ღირებულებაზე ნავთობისა და მისი ფაბრიკატების გადაზიდვის საქმეში. ეს რთული საკითხია და მისი გადაწყვეტა დიდ ყურადღებას მოითხოვს, რადგან იგი დამოკიდებელია სხვადასხვა პირობაზე და მათ შორის პირდაპირი და უკანდასაბრუნებელი ტვირთის რაოდენობაზე. მე ყურადღებით გადავათვალიერე ვოლგის სანაპირო რკინიგზის ოცზე მეტი ანგარიში და იმ დასკვნამდე მივედი, რომ მათი უკანდასაბრუნებელი ტვირთის რაოდენობა პირდაპირი ტვირთის რაოდენობის 22%-მდე მიდის. მაშასადამე, შეფარდება არც ისე ცუდია, როგორც ეს ზოგიერთს მიაჩნია. ამიტომ წარმოდგენილი საბუთი ტარიფის დაკლების შეუძლებლობის თაობაზე საესებით არ არის სამართლიანი. ამგვარად, მიმაჩნია, რომ განაკვეთად დანიშნული 1/55 კაპიკი ფუთ-ვერსზე ნავთობის ტვირთის ვაგონებით გადატანისათვის ძალიან დიდია, რადგან იგი არსებითად უდრის 1/40 კაპიკს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფულის გადახდის აუცილებლობას, რომელიც ვაგონებზე დაიხარჯა, მათი დიდი რემონტის, მათზე მეთვალყურეობისა, დაბოლოს, ნელი მოძრაობის შედეგად ტვირთბრუნვის ხარჯის ზრდის გამო. როდესაც მე ბ-ნი ნობელისათვის სარკინიგზო კონვენციის შედგენაზე ვმუშაობდი, ვერაფრით ვერ მოვახერხე დამერწმუნებინა მისი სამმართველოს წევრები, რომ აუცილებელია ტვირთის გადატანის ხანგრძლივობის მხედველობაში მიღებაც. მაგალითად, ამერიკაში ტვირთი მოძრაობს საათში 30 ვერსს, რუსეთში კი დღეღამეში 125 ვერსს მიჩანჩალებს. ამიტომ მგონია, რომ 1/60 კაპიკი ფუთ-ვერსზე სამართლიანია და არაა გადაჭარბებული.

ჩვენ აქ ასევე ბევრი რამ მოვისმინეთ მონოპოლიაზე, რომელიც რუსეთის ნავთობის საქმეში დამკვიდრდა. თავს უფლებას მივცემ ვიფიქრო, რომ მონოპოლიის საშიშროება უსაფუძვლოა და რომ იგი არც არის და არც იქნება, მაგრამ, მეორეს მხრივ, თუ რკინიგზები შეიძენენ საკუთარ ვაგონ-ცისტერნებს, მაშინ ნავთს

დაემართება იგივე, რაც ახლა პურს სჭირს... ე.ი. ვაგონები მთელი 12 საათი დადგებიან ყოველ სადგურზე გამგზავრების მოლოდინში და მაშინ სრულიად სხვაგვარი ხასიათის საჩივრებს მოვისმენთ.

ამჟამად, გარდა ბ-ნი ნობელისა, ვაგონ-ცისტერნები აქვთ ბ-ნ უშაკოვს—125 ვაგონი, ბ-ნ კლენოვს—10 ვაგონი და, გარდა ამისა, საკუთარი რეზერვუარები ნიჟნი-ნოვგოროდსა და მოსკოვში, სადაც ისინი ყიდიან ნავთობის იმ ნარჩენებს, რომლებიც საკუთარი ვაგონებით გადააქვთ; ამასთანავე, სამმა-ოთხმა მრეწველმა შეუკვეთა, აგრეთვე, რამდენიმე ვაგონი. ამგვარად, ვაგონ-კასრების რაოდენობა თანდათან იზრდება ბ-ნი ნობელის ვაგონების გვერდით და გჯეროდეთ, მოწყალეო ხელმწიფენო, რომ ნავთობის გადასაზიდი საკუთარი ჭურჭლის მფლობელობა არავითარ შემთხვევაში არ ქმნის მონოპოლიას, პირიქით, იგი ხელს შეუწყობს საქონლის ყველგან გავრცელებას და გამოიწვევს ნავთზე მოთხოვნილებას ისეთ ადგილებშიც, სადაც შუქს დღესაც კი კვარის ან სანთლის ძლიერი წვით ღებულობენ.

თავმჯდომარე: ნება მიბოძეთ, ამ უკანასკნელ პუნქტში არ დაგეთანხმოთ. დასამტკიცებლად მე მოვიტან სრულიად უბრალო, ჩვეულებრივ შედარებას, დავუშვათ, რომ თქვენ გაქვთ სახსრები, რათა გყავდეთ ეკიპაჟი და წყვილი ცხენი, მე კი არა მაქვს; ამასთანავე, არც მე მინდა ვიარო ფეხით და ვქირაობ მეეტლეს, მაგრამ, თუ მეეტლე არ არის ან მე მას ვერ ვიპოვი, მაშინ სად შევჩერდები თქვენთან შედარებით? მაშინ მე განწირული ვიქნები გრძელი და დამქანცავი ფეხით მგზავრობისათვის, თანაც დავიღლები და შეიძლება ავადაც გავხდე იმ დროს, როცა თქვენ ამ გზას თქვენი ულაყებით რამდენიმე წუთში გაირბენთ. ბ-ნი ნიკოლაძე ამტკიცებს, რომ ბ-ნი ნობელი უკვე ახლაა მონოპოლისტი, თუმცა სხვა პირები მიიჩნევენ, რომ ჯერჯერობით ეს ასე არაა, მაგრამ მომავალში მონოპოლია გარდაუვალია. არ შეიძლება არ გამოგიტყდეთ, რომ ეს საფრთხე ისევე ნამდვილია, როგორც სწორია ის, რომ ფეხით სიარული არაქათს ართმევს იმ ადამიანს, რომელიც შეუჩერებლივ გადის ოც ვერსს მაშინ, როცა ეტლით მოსიარულე სრულიადაც არ გრძნობს დაღლილობას. დავუშვათ, რომ ახლა გვხვდებიან მექარხნეები, რომელთაც რამდენიმე ვაგონ-ცისტერნა შეიძინეს. მაგრამ, ვინაიდან ყოველი ვაგონი ღირს 1.500

მანეთი, 125 ვაგონის შეძენისათვის მათ 18.000 მანეთი უნდა დახარჯონ, ანუ საკმაოდ დიდი კაპიტალი. რამდენადაც ვიცი, არცთუ ისე ბევრ მექარხნეს აქვს შესაძლებლობა, შეიძინოს ვაგონ-კასრების საკმაო რაოდენობა. აქედან გამომდინარე, მათი ერთადერთი იმედია ის, რომ რკინიგზებს ექნებათ თავიანთი საკუთარი ვაგონ-ცისტერნები და დაიწყებენ მათი ტვირთის გადაზიდვას, შეიძლება ნელა, მაგრამ უთუოდ. უმჯობესია გქონდეს საშუალება ნელი გადაზიდვისა, ვიდრე სულ არ გქონდეს იგი. ამიტომ მე, ჩემის მხრივ, უფრო ბ-ნი ნიკოლაძისა და ბაქოს ჩვენი განყოფილების განცხადებას დავუჭერდი მხარს, რადგან მიმაჩნია, რომ სწორედ ისინი გამოხატავენ სამართლიან სურვილს რუსეთის ნავთისმრეწველთა უმეტესობისას.

ა. ვ. ბარი. ჩვენ, რუსეთში, დიდ შეცდომას ვუშვებთ, ნავთი რომ ძვირფას სითხედ მიგვაჩნია იმ დროს, როცა ის სხვა არაფერია, თუ არა თხევადი ქვანახშირი. ამიტომ იგი ქვეანახშირის კატეგორიაში უნდა ჩავაყენოთ და მისი გადატანა კი მოგებით შეიძლება, თუ მას დიდი რაოდენობით გადავზიდავთ.

თავმჯდომარე: მე მგონია, საქმე ეხება არა ნავთის სპეციფიკურ თვისებებს, არამედ იმას, რომ ყველას, თუნდაც პატარა ნავთისმრეწველსაც კი, ჰქონდეს საშუალება თავისი საქონლის გადაზიდვისა.

ნ. ი. ნიკოლაძე: სავსებით სწორია. და თუ ბაქოს განყოფილების ეს შემადგენლობა არ იქნება მიღებული ყრილობის მიერ და შემდეგ შეწყნარებული მთავრობისაგან, საქმე დამთავრდება დაუძლეველი მონოპოლიის გაბატონებით, ბ-ნი ბარი ეყრდნობა ამერიკას, მე კი ვეყრდნობი ბაქოს ნავთის მრეწველთა ერთსულოვან თხოვნას, ნავთობის საქმეში აგიტაცია მონოპოლიის წინააღდმეგ უკვე აღძრულია და უნდა ვიფიქროთ, რომ მალე არ შეჩერდება. თუ იგი დაიწყო, უეჭველია, ის დაიწყო ორგანული მიზეზების გამო, რაც იწვევს გულისტკივილს და აღძრავს მღელვარებას. შეუძლებელია, მხედველობაში მივიღოთ მხოლოდ დღევანდელი ფაქტები, აუცილებელია ვიხედებოდეთ შორს, განვჭვრიტოთ, თუ რა მოხდება დროთა განმავლობაში. ჩვენ მივეჩვიეთ ქედის მოხრას დღევანდელობის წინაშე ისე, რომ სრულიადაც არ ვფიქრობთ მომავალზე.

ვ. ბ. აბრამოვიჩი: მსურს დავუმატო, რომ, გარდა ბ-ნი ნობელისა, მართლაც არიან მექარხნეები, რომელთაც აქვთ საკუთარი ვაგონ-ცისტერნები. ასე, მაგალითად, ბაქოს ნავთის მრეწველთა საზოგადოებას, რომელიც ფლობს 100 დესეტინა მიწას და ყოველწლიურად აწარმოებს 1 მილიონ ფუთ ნავთს, 28 იალქნიანი გემი და 2 ხომალდი ჰყავს თავისი ფაბრიკატების გადასაზიდად. გარდა ამისა, მირზოევის ფირმასაც აქვს თავისი საკუთარი ვაგონები.

ა. ვ. ბარი: მოწყალეო ხელმწიფენო, თქვენთვის უთუოდ ცნობილია პრაქტიკიდან, რომ ყველაზე იაფი საშუალება ტვირთის გადასაზიდად არის მეიჯარადრესთან მორიგება. ვინც იცნობს ტვირთის ტრანსპორტირების საქმეს, მან იცის, რომ ტვირთი პირდაპირ არ ბარდება რკინიგზას. იგი ჩვეულებისამებრ გადაეცემა სპეციალურ კონტრაგენტს, რომელიც დაწესებული თანხით გადაზიდავს ტვირთს, საითაც გინდათ. ამას ემატება მოიჯარადრის ხარჯი, რაც არცთუ ისე დიდია იმასთან შედარებით, რაც ჯდება პირდაპირ რკინიგზიდან გადაზიდვა. სამაგიეროდ მოიჯარადრეს აქვს ყველა საჭირო საშუალება დატვირთვის, გადატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის, საერთოდ კი, შეიძლება ითქვას, რომ მექარხნე და გადამტვირთავი სხვადასხვა ხალხია და ერთნაირ მიზნებს არ ემსახურებიან. რაც შეეხება რკინიგზებს, ერთხელ თუ დაავალებთ მათ, გქონდეთ თქვენი საკუთარი მოძრავი შემადგენლობა, და თანაც უფლებას მისცემთ კერძო პირებს შეიძინონ იგი, საბოლოოდ გამოვა ძალიან დიდი ხარჯი საჭირო შედეგის მიუღწევლად. თუ თქვენ გამოყოფთ ნარმოებას გადატვირთვისაგან, მაშინ ნავთობის საქმის სწრაფ განვითარებას მიაღწევთ.

ვინაიდან ვაგონიდან ნავთის ჩამოსასხმელი მოწყობილობა ღირს არა უმეტეს 80 მანეთისა,—რაც უმცირესი ხარჯია,—აქედან გამომდინარე, მონოპოლიის აღსაკვეთად არსებობს უბრალო საშუალება: დე, რკინიგზებმა მიიღონ ნავთობის ტვირთი განურჩევლად სხვა ტვირთისაგან და ერთნაირი ტარიფით ისე, რომ არ გაითვალისწინონ გადასაზიდი საქონლის რაოდენობა.

თავმჯდომარე: თქვენი სიტყვები ადასტურებენ, რომ თქვენ თანახმა ხართ ყველას მისცეთ უფლება რკინიგზით ნავთობის გადატანისა, მაგრამ არ ეთანხმებით შუამდგომლობას ჩამოსასხმელი ვაგონების აუცილებლად შემოტანისას თვით რკინიგზების მიერ მათი მოძრავი შემადგენლობის რიცხვში.

ნ. ი. ნიკოლაძე: ბოლოს და ბოლოს, თურმე, ბ-ნი ბარი თანახმაა, რომ ნავთობისა და მისი ნავთობპროდუქტების წარმოება გამოეყოს მათი გადაზიდვის საქმეს. მაშასადამე, განსხვავება ჩვენს მოსაზრებებს შორის ისაა, რომ მე მივისწრაფვი რკინიგზებმა შეიძინონ საკუთარი ვაგონ-ცისტერნები, დაუშვან კერძო პირთა კუთვნილი ვაგონები განუსაზღვრელი რაოდენობით, ხოლო ბატონი ბარი იმ აზრისაა, რომ არ შეიძლება ვაიძულოთ რკინიგზებს ჰქონდეთ საკუთარი ჩამოსასხმელი ვაგონები. ერთადერთი მოსაზრება თავისი აზრის დასაცავად, მოტანილი ბ-ნი ბარისაგან, ისაა, რომ რკინიგზების მიერ საკუთარი ვაგონ-კასრების შეძენამ შეიძლება მიგვიყვანოს სადგურებზე ტვირთის გაჩერებამდე. მაგრამ ბ-ნ ბარს მხედველობიდან რჩება, რომ დღეს დაწესებულია გარკვეული სიჩქარე ზოგიერთი ტვირთის გადასაზიდად, ასე რომ, ვერ გამიგია, თუ რატომ არ შეუძლიათ რკინიგზებს ჩამოსასხმელი ვაგონების შეძენა იმ მექარხნეებისათვის, რომლებიც ნავთობის ფაბრიკატებს აწარმოებენ განსაზღვრული რაოდენობით, რაც შეეხება ტვირთის შეჩერებას, უთუოდ იგი იმდენად ხანგრძლივი არ იქნება, რომ მისი გულისათვის რუსეთის ნავთობის მრეწველობას მოაკლდეს შესაძლებლობა თავისი საქონლის გადაზიდვისა. ამგვარად, ამ საკითხზე ორი თვალსაზრისია: ერთი იმ აზრისაა, რომ ნავთობის გადაზიდვა უნდა იყოს სარკინიგზო მეურნეობის ერთ-ერთი დარგი, ხოლო მეორე—რომ იგი კერძო პირებს უნდა ეკუთვნოდეთ. ჩემის აზრით, მეორე თვალსაზრისი ვერ უძლებს კრიტიკას და პირველს უნდა დაუთმოს გზა, რამეთუ საკმარისი არაა გადაზიდვის უფლება მიეცეს ერთ ან ორ პიროვნებას ან თუნდაც ათ ფირმას; გადაზიდვის საშუალებებით უნდა ისარგებლოს ყველამ, თვით ყველაზე წვრილმა ნავთობის მრეწველმა და ნავთობის გადამგზავნმაც კი.

ა. ვ. ბარი: მე არ შემიძლია დავეთანხმო ბ-ნ ნიკოლაძეს იმის თაობაზე, რომ საფუძვლიანია რუსეთის საიმპერატორო ტექნიკური საზოგადოების ბაქოს განყოფილების შუამდგომლობა ჩამოსასხმელი ვაგონების შეძენის შესახებ რკინიგზის მიერ. რაც შეეხება ვაგონების ექსპლუატაციას რუსეთში, სხვათა შორის, არსებობს შემდეგი კანონი: ყველა გზა, რომელსაც გადააქვს ტვირთი, ვალდებულია სანაცვლოდ მიიღოს ვაგონთა გარკვეული რაოდენობა მეზობელი გზებისაგან. ამ შემთხვევაში ვლაპარაკობ არა

როგორც რკინიგზელი, არამედ როგორც პიროვნება, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება, და თუ გნებავთ, უბედურებაც, გაგზავნოს დიდი ტვირთი და მუდმივად ჰქონდეს საქმე იმ პატარა და ღარიბი რკინიგზების ვაგონთა გაცვლის სისტემასთან, რომელთაც საკმარისი რაოდენობით არა აქვთ მოძრავი შემადგენლობა და ამიტომ ძალიან აფერხებენ მოძრაობას, თქვენ, მოწყალეო ხელმწიფენო, ალბათ, ხშირად გსმენიათ გამოთქმული სურვილი იმისა, რომ პატარა რკინიგზები სხვა დიდმა ხაზებმა უნდა შეიძინონო. ასეთი სურვილის საფუძველი სავსებით გასაგებია, იგი გამომდინარეობს ტვირთმზიდავთა პირადი პრაქტიკიდან, რომლებიც ფერხდებიან პატარა გზებზე, რის გამოც ეკარგებათ დრო, რასაც შემდგომში უზარმაზარი ზედმეტი ხარჯვები მოაქვს. ახლა, მოწყალეო ხელმწიფენო, წარმოიდგინეთ, რომ გამოვიდეს აუცილებელი დადგენილება, რათა ყოველმა რკინიგზამ იქონიოს ჩამოსასხმელ ვაგონთა გარკვეული რაოდენობა ნავთობის გადასაზიდად. ცარიცინიდან მოსკოვამდე ერთი პატარა რკინიგზაა, სიგრძით 98 ვერსი და, მაშასადამე, განფენილია ცარიცინის მთელ გზაზე, როგორც ერთი შეფარდებული ხუთთან. გრაფიკულად რომ გამოვხატოთ მოძრაობა (როგორც ეს არაერთხელ გამიკეთებია ბ-ნი ნობელისათვის) იმ მიზნით, რომ განვსაზღვროთ ვაგონთა რიცხვი, რაც საჭიროა ცნობილი ტვირთის გადასატანად დანიშნულ ადგილამდე დანიშნული დროის განმავლობაში, და „ხუთწილად" რომ გავყოთ გრაფიკი, რაც აუცილებელია, რადგან გზა ხუთ რკინიგზაზე ძევს, მაშინ ამ გრაფიკზე წარმოჩნდება უქმი სივრცე, სწორედ იმ ადგილას, სადაც გადის პატარა და, მაშასადამე, სუსტი რკინიგზა. ამგვარად, ვაგონების გარკვეული რაოდენობა, რომელიც ხუთ რკინიგზას ეკუთვნის, ვერასოდეს იმოძრავებს ისეთი სიჩქარითა და სიზუსტით, როგორც ერთი პირის კუთვნილი ვაგონები, რომელსაც შეუძლია და აქვს უფლება თავის სურვილით დააყენოს ვაგონთა გარკვეული რაოდენობა ა წერტილში, ხოლო მეორე ბ წერტილში და განაგოს ისინი გარემოსთან შეფარდებით და სავაჭროს დაკვეთით.

დიდი ტვირთის გადამზიდნი ერთხმად აღიარებენ, რომ ჩვენში არსებული ვაგონების გაცვლის სისტემა შეზღუდულია, როგორც მათთვის, ისე თვით რკინიგზებისათვის. არც ისე იშვიათად ხდება, როცა პურის მარცვალი დევს და ლპება ერთი რკინიგზის სად-

გურზე ვაგონების უქონლობის გამო. მაშინ, როცა მეზობელმა გზამ არ იცის, საით წაიყვანოს თავისი მოძრავი შემადგენლობა. მეზობელ ხაზს რომ მისცეს თავისი ვაგონები, არ შეუძლია, რადგან არ მიუღია ვაგონების შესაბამისი რაოდენობა გასაცვლელად. რაც შეეხებათ ტვირთის გადამზიდავებს, მათთაც არ შეუძლიათ მისგან ვაგონების დაქირავება და მათში დიდი თანხის გადახდა, რადგან უამისოდაც ბევრი ხარჯი აქვს. მე არა მგონია, რომ რკინიგზების მიერ ნავთობის ვაგონების შეძენა უკეთესისაკენ წარმართავდეს ახლანდელი საქმის ვითარებას. ყოველი ნავიგაციის ბოლოს საჭირო იქნება გვქონდეს რაც შეიძლება მეტი ჩამოსასხმელი ვაგონები, ოღონდ კი გემებმა მოასწრონ თავიანთი ტვირთის ჩაბარება და მერე გამოზამთრებაზე დადგომა. სხვათა შორის, ეს ძნელი შესასრულებელი იქნება, რადგან ვაგონ-ცისტერნები შეჩერდებიან გაცვლის მოლოდინში; მაგალითად, ნიჟეგოროდის ხაზზე, რომელიც დაელოდება, ვიდრე რიაზანის ხაზი გადასცემს მას ასეთსავე ვაგონ-კასრების შესაბამის რაოდენობას. მერწმუნეთ, მოწყალე ხელმწიფენო, რომ იმ წესის თანახმად, რომელიც ჩვენთანაა დაკანონებული, რკინიგზების მიერ ჩამოსასხმელი ვაგონების შეძენა მხოლოდ ნახევარი ზომა იქნება, დიდ ხარჯებს მოითხოვს და ვერ მოგვიტანს განსაკუთრებულ სარგებლობას. გარდა ამისა, დახმარებას, რომელსაც გვთხოვს ბაქოს განყოფილება, აღმოვუჩენთ არა ნავთის მრეწველებს, არამედ ნავთის ვაჭრებს, ვინაიდან ვოლგისპირა ნავსადგურებს არ შეიძლება უყურო სხვაგვარად, თუ არა როგორც გადამტვირთავ და სანყობ პუნქტებს; ასეთი იყო უწინ ნიჟნი-ნოვგოროდი და ახლა გახდა ცარიცინი. ეს ნავსადგურები მიჯნაა, სადაც ნავთის მრეწველი ხვდება ვაჭარს; ერთს მოაქვს აქ თავისი ფაბრიკატი, მეორე კი ეზიდება აქედან საქონელს ბაზარზე გასაყიდად. მრეწველობისათვის აღმოჩენილი დახმარება დიდი დაკვირვებითა და საკითხის ღრმად შესწავლის შედეგად უნდა აღსრულდეს; სხვაგვარად შედეგი მოლოდინს ვერ გაამართლებს და მით უმეტეს—ფულის დანახარჯს, ზოგჯერ რომ ძალიან დიდია. ასე, მაგალითად, მოწყობილი იყო ნავთის ნაკვეთი ამიერკავკასიის ახლანდელი რკინიგზის მიერ ბაქოს ნავსადგურიდან ნავთობის საბადოებამდე, მას გვთხოვდნენ, მასზე გაჰყვიროდნენ, მისგან ელოდნენ უამრავ მოგებას; და როცა მოეწყო, აღმოჩნდა, რომ მისმა მომწყობმა მთავრობამ ამაოდ

დახარჯა დიდი თანხა, რამეთუ ნავთზე მოთხოვნილება არ გაიზარდა, მრეწველობა ძველსავე მდგომარეობაში დარჩა, გზას კი არ შეუძლია გადაიხადოს პროცენტები დახარჯულ კაპიტალზე. მთავრობას ჰქონდა კეთილშობილური მიზანი—დახმარებოდა ნავთის მრეწველებს, მაგრამ ვერ მიაღწია ამას, რადგან ძირითადი ჩანაფიქრი ზუსტი არ იყო. ასევეა ახლაც: არაა საჭირო იზრუნო იმაზე, რომ ბაქოში მყოფმა ჩვენმა ნავთის, ზეთისა და სხვ. ფაბრიკანტებმა შეძლონ თვითონვე გაყიდონ თავიანთი პროდუქტები, მაგალითად, მოსკოვში, ვარშავაში, კიევსა ან რიგაში, მაგრამ მათ უნდა მისცე საშუალება ამოიღონ თავიანთი ფაბრიკატების დიდძალი მასა ბაქოს ბუდიდან, რათა გაგზავნონ ის საშინაო და საზღვარგარეთის ბაზრებზე. რაც შეეხება საქონლის განაწილებას მომხმარებლებს შორის, ეს ვაჭრების საქმეა. გარდა ამისა, საჭიროა თანამიმდევრულობა, თუ ჩვენ ვფიქრობთ ნავთობის გადაზიდვას რკინიგზით, უნდა ვიზრუნოთ გადამზიდი საშუალებების განვითარებაზე და წყლის სამიმოსვლო გზებზე, რომლებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია ვიდრე სახმელეთო. თუ ვიშუამდგომლებთ მთავრობის წინაშე რკინიგზებზე ჩამოსასხმელი ვაგონების შეძენის თაობაზე, მაშინ საჭიროა ვთხოვოთ ასევე სახომალდო საზოგადოებისადმი დახმარებაც ჩამოსასხმელი გემების აშენებისათვის, რადგან ამ კომპანიებს შეუძლიათ გადაზიდონ ნავთის დიდი რაოდენობა გარკვეული, არცთუ ისე დიდი, ტარიფით. ჩვენმა ნავთის მრეწველებმა ახლა მთელი თავიანთი ყურადღება მიმართეს ჩამოსასხმელი ვაგონებისაკენ და სრულიად დაავიწყდათ, რომ რუსეთში აქვთ დიდი ქსელი შიდა სამდინარო მიმოსვლისა, რომლის საშუალებითაც ნავთობისა და მისი ფაბრიკატების გავრცელება მთელ სახელმწიფოში უფრო მეტადაა მოსახერხებელი, ვიდრე ხმელეთის გზით. დასამტკიცებლად შემიძლია მიგითითოთ ძმები ფედოროვებისა და პავლოვის ფირმებზე, რომელთაც სწორედ ამ მიმართულებით დაიწყეს მუშაობა მცირე მასშტაბით და უეჭველად დიდ შედეგს მიაღწევენ. ისინი აშენებენ ხის კარჭაპებს, შიგნით აპირკეთებენ რკინით ნავთის გადასაზიდად, მიაქვთ ისინი თავიანთ საკუთარ რეზერვუარებში, საიდანაც ყიდიან დიდ და მცირე პარტიებად. საქმე კარგად წავიდა და მათ აუცილებლად ეყოლებათ მიმბაძველებიც.

ნავთის ვაჭრები საქონლის ყიდვას ამჯობინებენ არა ხის კასრებით, არამედ მთელი ვაგონებით, რადგან ამ შემთხვევაში მათ შეუძლიათ გაგზავნონ ნავთი საკუთარი სურვილისამებრ: დღეს ვარშავაში, ხვალ კი—ოდესასა ან კიევში. თუ ჩვენ ვიშუამდგომლებთ, რომ ჩამოსასხმელი ვაგონები ხელმისაწვდომი იყოს რკინიგზებისათვის, ნავთის გადაზიდვა დაკარგავს თავის ადგილგადასატანობას და ვაჭრებისათვის მოუხერხებელი იქნება საქონლის ვაგონებით შესყიდვა. მოძრაობის გარდაუვალი შენელება არც რკინიგზას მოუტანს სარგებლობას, თუ კერძო პირის საკუთრება—ჩამოსასხმელი ვაგონი, ვთქვათ, ერთ წელიწადში შეისყიდება; რკინიგზის საკუთრება ვაგონი კი მხოლოდ ექვს წელიწადში თუ დაფარავს თავის ღირებულებას, მაშასადამე, რკინიგზებისათვისაც არაა ხელსაყრელი საგანგებო მოძრავი შემადგენლობის ქონა, ვაგონ-კასრები ცოტათი რომ მაინც ხელსაყრელი იყოს რკინიგზებისათვის, დამიჯერეთ, ისინი დიდი ხანია თვითონვე იზრუნებდნენ მათ შეძენაზე.

ახლა მე უნდა დავუბრუნდე იმას, რასაც ლაპარაკობდნენ ჩემს წინ გამოსული ორატორები შეცდომების თაობაზე, რაც გამომდინარეობს არასწორი შეხედულებიდან ნავთის მრეწველობის სხვადასხვა დარგზე. ასეთივე არასწორი შეხედულების გამო ამ მრეწველობაზე ამერიკამ 80.000 000 დოლარი ზარალი ნახა, ვიდრე არ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქმე დაეყრდნოს ორ ჰორიზონტს, ვიდრე არ გამოყო ნავთის მოპოვება მისი გადაზიდვისა და გამოხდისაგან. და მართლაც, როცა ნავთის მოპოვება მრეწველობის ცალკე დარგი გახდა, ხოლო მისი გამოხდა—სხვა, საქმე წინ წავიდა და იმ საზღვარს მიაღწია, რაც ევროპელებს აცვიფრებთ. სულ სამიოდე წლის წინ მე ხელი მოვკიდე გადაზიდვის ამერიკული სისტემის გადმოტანის საქმეს რუსეთში და აღმოვაჩინე, რომ ტვირთის ტრანსპორტირება, თუ კერძო საშუალებებით ისარგებლებ, უფრო სარფიანია, ვიდრე რკინიგზის მოძრავი შემადგენლობით სარგებლობა. იმავეს ვხედავთ საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში, სადაც ნავთის კერძო პირების ვაგონებით გადაზიდვა დაბრკოლება არ არის. მაგალითად, ნიუ-იორკში თქვენ მუდმივად ნახავთ ვაგონებს წარწერით: „კალიფორნია". კერძო ვაგონებს გარკვეული ტვირთი მიაქვთ აფრიკაში და წლის განმავლობაში თითქმის მთელ ქვეყანას მოივლიან, მიდიან ჩრდილოეთისა-

კენ, თუ იქ ბევრი სამუშაოა და სამხრეთისაკენ—თუ ამ მხარეში მოძრავი შემადგენლობის გადაზიდვაა საჭირო. და რადგან ვაგონები 48 სარკინიგზო საზოგადოებას ეკუთვნის, ე.ი. 48 მეპატრონეს, ასეთი სარფიანი მოხმარება მოძრავი შემადგენლობისა უკვე უაზრო ხდება. აქედან გამომდინარე, ვერაფრით ვერ დავეთანხმები იმ აზრს, რომ მთავრობა ვალდებულია დახარჯოს დიდი, სხვა საქმეებისათვის უაღრესად საჭირო თანხა საგანგებო მოძრავი შემადგენლობის მოწყობაზე იმისათვის, რომ წვრილმა ვაჭრებმა და მექარხნეებმა ხაზინის ხარჯზე გაგზავნონ ბაზრებზე თავიანთი საქონელი. უცნაურია მოითხოვო ის, რომ მთავრობამ უნაყოფოდ დახარჯოს ფული მხოლოდ იმისათვის, რათა დააშოშმინოს პატარა ადამიანები, რომლებიც, არსებითად, არავითარ გავლენას არ ახდენენ მრენველობის განვითარებაზე. იმისათვის, რათა შევძლოთ კონკურენცია გავუწიოთ ამერიკას, გვჭირდება მხოლოდ მფარველობითი ტარიფი. მაგრამ ჩვენთვის სრულიადაც არაა საჭირო ის მფარველობა, რომელსაც გვთავაზობენ, ე.ი. მთავრობა რომ ხარჯავდეს მანეთს და მხოლოდ 5 კაპიკ მოგებას იღებდეს, რაც უთუოდ ასე იქნება, თუ ნავთის ვაგონებით გადატანა 48 მეპატრონის საკუთრებად იქცევა, და გარდა ამისა, ბაქოს განყოფილების მიერ შემოთავაზებული საშუალება, სახელმწიფო ხაზინის უნაყოფო დატვირთვის გარდა, ავნებს თვით ნავთობის საქმეს, ვინაიდან, ვიმეორებ, არ შეიძლება ერთ წარმოებაში გაერთიანდეს ნავთის მოპოვება და მისი გადაზიდვა-გამოხდა. თუ ეს ახლა მაინც ხდება ჩვენში, უნდა შევიბრალოთ ის პირები, რომლებიც გარემოების გამო იძულებულნი არიან ასე მოიქცნენ. ისინი მუდმივად განწირული არიან მძიმე ვითარებაში მოსახვედრად და ვერ იღებენ თავიანთი წარმოებიდან ყველა იმ სარგებლობას, რომელიც შეეძლოთ მიეღოთ, სხვაგვარად რომ მოქცეულიყვნენ.

ნ.ი. ნიკოლაძე: ჩემის აზრით, ბ-ნ ბარის სრულიად თვითნებური წარმოდგენა აქვს სარკინიგზო პრაქტიკაში არსებულ წესებზე. მისი ოსტატური ხელით დახატულ სურათს მიზნად ჰქონდა დაემტკიცებინა ჩვენთვის, რომ, მაგალითად, კერძო მეწარმის 100 ვაგონი, რომელსაც თავისი არსებობით სარგებლობა მოაქვს, უდრის ასეთსავე 600 ვაგონს, მაგრამ, სამწუხაროდ, რკინიგზის საკუთრებას. ასეთი საოცარი განსხვავების მიზეზს სარგებლობის მხრივ ბ-ნი ბარი ხედავს ვაგონების გაცვლის სისტემაში, რომე-

ლიც, მისი აზრით, ამუხრუჭებს რუსეთის რკინიგზების ორთქმავალთა მიმოსვლას, მაგრამ ამ შემთხვევაში მე შევნიშნავ და მოვიშველიებ ყველას, ვინც იცნობს რკინიგზის პრაქტიკას, რომ, დამოუკიდებლად გაცვლის სისტემისაგან, რკინიგზაზე არსებობს, აგრეთვე, ვაგონთა სწრაფად დაბრუნების სისტემაც. იგი იმით გამოიხატება, რომ, მაგალითად, ნიკოლაევის გზას, რომელიც მოსკოვიდან პეტერბურგში გზავნის თავის ვაგონს, შეუძლია მის მაგივრად მიიღოს სხვა ვაგონი ან მოითხოვოს, რომ გაგზავნილი ვაგონი უკანვე დააბრუნონ მოსკოვში გარკვეულ დროს ისე, რომ მის მაგიერ სხვა ვაგონი არ მოითხოვოს. რუსეთის საიმპერატორო ტექნიკური საზოგადოების ბაქოს განყოფილება სრულიად არ ცდილობს, ყველა რკინიგზამ შეიძინოს ვაგონ-ცისტერნები, არამედ მხოლოდ მოითხოვს, რომ ჩამოსასხმელი ვაგონები შეიძინონ იმ გზებმა, ვოლგას რომ ეკვრიან. თუ მათი რაოდენობა საკმარისი იქნება და შემდეგ თანდათან გაიზრდება, მაშინ, ჩემის აზრით, მათ შეეძლებათ თავიანთი დანიშნულების გზაზე მსვლელობა და სწრაფი დაბრუნება ყოველგვარი გაცვლის გარეშე. ამ შემთხვევაში ბ-ნი ბარის მტკიცება ტვირთის ნელა გადაზიდვის თაობაზე, რომელიც თითქოს ექვსჯერ მეტი რაოდენობის ვაგონებს მოითხოვს, ვიდრე სინამდვილეშია საჭირო, სავსებით მცდარი გამოდგება.

ბ-ნი ბარის მეორე განცხადება ისაა, რომ მოუხერხებლობის მიზეზია წვრილ მეწარმეთა არსებობა, რადგან, მისი აზრით, ნავთობის საქმე უთუოდ უნდა იყოს კომპანიის ან საზოგადოების ხელში, რომელთაც დიდი სახსრები აქვთ. გამოგიტყდებით, მე ეს არ მესმის, ვთხოვდი ბ-ნ ბარის დაემტკიცებინა, თუ რატომ უნდა გამოუშვას ისეთმა მეწარმემ, რომელსაც, დავუშვათ, მილიონი მანეთი აქვს საქმეში ჩადებული, ბევრად უფრო კარგი და იაფი ნავთი, ვიდრე წვრილი ნავთობმრეწველის ქარხანამ, რომელსაც, მაგალითად, 50000-ზე მეტი არ დაუხარჯავს? თუ იგი შეძლებს ამის დამტკიცებას და წარმოგვიდგენს საკითხის ყველა წვრილმანს როგორც ტექნიკური, ისე კომერციული თვალსაზრისით, ჩვენ, ალბათ, დავეთანხმებით მის დასკვნებს და დაველოდებით, ვიდრე არ დადგება ჩვენთვის გამოუვალი და რუსეთის ნავთობმრეწველთათვის გამანადგურებელი მონოპოლია. ამერიკაში, რომლის მოხსენიებაც ასე ძალიან უყვარს ბ-ნ ბარის, ნავთის მრეწველობა

წვრილ მეწარმეთა ხელშია და ჩამოსხმა ხდება პატარა ქარხნებში. მონოპოლიის პრინციპების დაცვა, რომელსაც ასეთი მგზნებარე და ნიჭიერი პროპაგანდისტი ჰყავს, როგორც ბ-ნი ბარია, კიდევ ერთ მოსაზრებას იწვევს. ბ-ნი ბარი ცოტა ხნის წინ ამტკიცებდა, რომ ნიჟნი-ნოვგოროდში ვაგონცისტერნების მშენებლობა უნდა ღირდეს ძალიან იაფი, არა უმეტეს 1.000 მანეთისა ცალი, ისე რომ, ყოველი ვაგონი, რომელიც კერძო პირის ხელშია, შეიძლება შეისყიდო ერთი წლის განმავლობაში. დღეს მან თითქმის იგივე გაიმეორა და სულ მონოპოლიისა და მისი სარგებლობის პრინციპების ქება-დიდებით. მაგრამ ჩვენ ვთხოვდით მას დაემტკიცებინა, თუ ნავთის მოძრავი შემადგენლობის ასეთი სიიაფის დროს რატომ უნდა იმუშაონ რკინიგზებმა წაგებით და მთავრობა, რომელიც მათ ეხმარება, რატომაა განნირული დაკარგოს საერთო-სახალხო საქმეზე დახარჯული ფული? თუ კერძო პირს შესწევს ძალა დააბრუნოს დახარჯული კაპიტალი შედარებით მცირე დროში, რატომ არ შეუძლია იგივე სარკინიგზო საზოგადოებას? მთავარია, ბ-ნმა ბარიმ დაგვიმტკიცოს, რომ მთავრობა მართლა დაუშვებს შეცდომას, თუ დასაწყისშივე დაუჭერს მხარს ნავთობის საქმეს, რომელიც სახელმწიფოს აურაცხელ მოგებას პირდება.

ვ. ბ. **აბრამოვიჩი:** ბ-ნი ბარი ამტკიცებს, რომ ნავთის მრეწველობას მართებს ორ დამოუკიდებელ ნაწილად გაყოს დარგები: ნავთობის მოპოვება და მისი ჩამოსხმა, რომელსაც მოჰყვება ფაბრიკატების გაყიდვა ბაზარზე. ეს იდეა ახალი არ არის და მისი სიმართლე შეიძლება დავინახოთ, მაგალითად, ჩვენს მექანიკურ ქარხნებში, რომელთაც არ სურთ სპეციალიზირება, მაგრამ ყველაფერს აკეთებენ და ამიტომ ცუდად მუშაობენ. შემდეგ, მე არ მესმის ბ-ნი ბარის მიერ ამერიკის მუდმივი მოხსენიების აზრი. ბევრი რამ, რაც ბრწყინვალე შედეგს იძლევა შეერთებულ შტატებში, სრულიად მიუღებელია რუსეთისათვის, ვინაიდან ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო პირობების განსხვავება ამ ორ სახელმწიფოს შორის საკმაოდ დიდია. შემდეგ, მე თავს ნებას მივცემ შევნიშნო ბ-ნ ბარის, რომ მისი მტკიცება ამიერკავკასიის ნაკვეთის რკინიგზის თაობაზე არასწორია. მე ვიყავი სანარმოში ამ თვენახევრის წინ, ივლისის შუა რიცხვებში, და ვნახე, თუ როგორაა ჩახერგილი ტვირთით რკინიგზა. მას უნდა გადაეტანა ჩამოსასხმელი ვაგონებით დღეში 750000 ფუთი ნავთი; ის კი დღეში

მხოლოდ 13 და 14 ნავთის მატარებელს უშვებდა. საერთოდ, მას მოპოვებული ნავთის მხოლოდ მეხუთედი გადააქვს. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება მასზე ითქვას, რომ იგი არ იხდის პროცენტებს ან არ ფარავს იმ ხარჯს, რასაც მთავრობა აძლევს. მაშასადამე, არ შეიძლება იგი დავასახელოთ როგორც მაგალითი მცდარი ანგარიშისა და გაუმართლებელი იმედებისა, როგორც სახელმწიფო თანხების უაზროდ მფლანგველი.

გ. ი. გლიუკი: იმისათვის, რომ ნავთის მრეწველობა ფართოდ განვითარდეს, აუცილებელია ხელი შევუწყოთ რუსეთის შიგნით ნავთით გათბობის საქმის გავრცელებას, ეს განხორციელდება, თუ ნავთობი თავისი გადაზიდვით დაჯდება არა უმეტეს 30-40 კაპიკისა. მაშინ იგი საჭირო იქნება დიდი რაოდენობით, რომ აღარაფერი ვთქვათ ნავთზე, რომელზედაც მოთხოვნილება ყოველწლიურად გაიზრდება. რაც შეეხება ბ-ნი ბარის აზრს, ნავთობის დიდ საწარმოთა უპირატესობას პატარებთან შედარებით, მე მას არ ვეთანხმები და ვფიქრობ, რომ სახელმწიფოს რაციონალური ეკონომიური პოლიტიკა მოითხოვს, გადასაზიდი საშუალებებით თანაბრად სარგებლობდნენ მსხვილი და წვრილი საწარმოები, რადგან როგორც ერთი, ისე მეორე, ერთნაირად თხოულობენ მთავრობის ყურადღებას გასაჭირში, ვინაიდან ისინი ცდილობენ სარგებლობა მოუტანონ თავიანთ ქვეყანას.

ს. ი. ჯაყელი: უეჭველია, რომ რკინიგზების მიერ ვაგონ-ცისტერნების შეძენამ დიდი სარგებლობა უნდა მოუტანოს ნავთის მრეწველობას, მაგრამ, თუ იკითხავთ, მაინც რომელ გზაზე უნდა შევიტანოთ ისინი, პასუხი არც ისე ადვილია. ერთი რამ ცხადია: ამგვარი ღონისძიების დროს ნავთის ჭების ბურღვა ბაქოში კვლავ გრძელდება, თუმცა არავის შეუძლია თქვას, გაიზრდება თუ არა ამასთან ერთად ნავთობის მოპოვება. იმისი მტკიცება, რომ აფშერონის ნახევარკუნძული მის დაუშრეტელ მარაგს შეიცავს, შეუძლებელია. დღეს, როგორც ადრე ითქვა, წელიწადში 4 000 000 ფუთი ნავთობი მოიპოვება; მაგრამ, თუ ჩვენი რკინიგზების ქსელი უფრო გაფართოვდება, გაიხსნება ახალი ბაზრები, რომლებიც კიდევ მილიონობით ფუთ ნავთს მოითხოვენ და, შესაბამისად, გაფართოვდება ნავთობის ამოღებაც. შეიძლება ასევე იმედი გვქონდეს, რომ, ნავთის მოხმარებასთან ერთად, გაფართოვდება საცხები ზეთის მოხმარებაც, რაც გზას მისცემს ნავთობის ნარჩენთა

დიდ რაოდენობას, რომელთაც ახლა მხოლოდ სათბობის დანიშ-ნულება აქვთ. თუ ნავთობისა და მის ფაბრიკატებზე მოთხოვნი-ლება გაიზრდება, მე მგონია, რომ ახალი ქარხნების ასაშენებელი სახსრებიც მოიძებნება. თუ იგი არ ეყოფა ადგილობრივ მოსახ-ლეობას, მაშინ მას რუსეთიდან შემოიტანენ. ჩვენ აქ მოვისმინეთ, რომ არსებობს საფრთხე უცხოელების მიერ ჩვენი ნავთობის გა-დამუშავებისა საზღვარგარეთ, მაგრამ ეს აზრი სრულიადაც არაა სწორი. უცხოელები ვერ გაბედავენ საკუთარი ქარხნების მშე-ნებლობას, რადგან იციან, რომ ჩვენს მთავრობას შეუძლია ნების-მიერ დროს ისეთი ბაჟი დაადოს რუსეთიდან გატანილ ნედლე-ულს, რომ ნავთობის გადამამუშავებელი საზღვარგარეთული ქარხნების არსებობა უაზრობა შეიქნეს. საერთოდ კი მე მინდა ვთქვა, რომ ნავთისა და მისი დერივატების რაოდენობა ამჟამად იმდენად გაურკვეველია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ რამ-დენი ჩამოსასხმელი ვაგონია საჭირო სინამდვილეში რუსეთის ნავ-თის მრეწველობისათვის.

ვ. ბ. აბრამოვიჩი: მე კარგად არ მესმის ბ-ნი ჯაყელის სიტყვები, როდესაც ის ეჭვს გამოთქვამს ნავთობის სიმდიდრის თაობაზე აფშერონის ნახევარკუნძულზე. მან ძალიან კარგად იცის, რომ იქ ყველა ჭაბურღილი ნავთითაა სავსე და სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ არ ხდება მისი ექსპლუატაცია. მარტო ერთმა ბოლო ხანძარ-მა გაანადგურა ორ მილიონ ფუთზე მეტი ნავთობი. ბევრად უფ-რო სწორია, თუ ვიტყვით, რომ ბაქოს შეუძლია უპასუხოს ყველა მოთხოვნილებას, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს იგი.

ა. ვ. ბარი: მე არ შევეკამათები ბ-ნ ნიკოლაძეს იმის თაობაზე, რა უფრო სარფიანია: დიდი თუ პატარა საწარმო. შემოვიფარგ-ლები მხოლოდ ჩამოსასხმელი ვაგონების საკითხით. კვლავ ვიმე-ორებ, რომ, თუ ვაგონები კერძო პირთა საკუთრება იქნება, იაფი იქნება ნავთიც, რადგან მას ჩამოსცილდება ყველაზე უფრო მნიშ-ვნელოვანი და მძიმე ზედნადები ხარჯი, სწორედ დროის უნაყო-ფოდ ფლანგვის ხარჯი. დასამტკიცებლად მოვიყვან მაგალითს: ნიჟნი-ნოვგოროდიდან მოსკოვში მოვიდა ნავთის დიდი ტრან-სპორტი ჩამოსასხმელი ვაგონებით. მან ეს მანძილი 31 საათში გა-იარა, ხოლო მოსვლიდან ორი საათის შემდეგ ცარიელი ვაგონები უკვე უკან გაიგზავნა. ასეთი სისწრაფე შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ვაგონები ეკუთვნის არა რკინიგზას, არამედ

კერძო პირს. ნინააღმდეგ შემთხვევაში ის დაემორჩილება კონ-ვენციის წესს, ე. ი. ტვირთი გაიცემა მხოლოდ მეორე დღეს და უქმად შეჩერდება სადგურზე 24 საათი. საერთოდ კი შეიძლება ითქვას, რომ ვაგონი, რომელიც რკინიგზის საზოგადოებას ეკუთ-ვნის, შეასრულებს იმ სამუშაოს მხოლოდ ერთ მესამედს, რომელ-საც ასრულებს კერძო პირის ჩამოსასხმელი ვაგონი.

ბ-ნი ჯაყელის შენიშვნას მე დავუმატებ, რომ კერძო ვაგონ-ცის-ტერნები ხელს შეუწყობენ ნავთობის მრეწველობას, რადგან მე-საკუთრეებს შეუძლიათ დაუკლონ გადაზიდვის ტარიფი გარემო-ებასთან შეფარდებით და მისცენ ტარიფიან ტვირთს მათთვის ესოდენ აუცილებელი მოძრაობა.

ბ-ნ აბრამოვიჩს ვუპასუხებ: ამიერკავკასიის რკინიგზის ნავ-თობის ნაკვეთი, მიუხედავად ყველაფრისა, არის კაპიტალის უხეი-როდ ხარჯვა, რადგან ის 18-ჯერ უფრო მეტი ღირს, ვიდრე ელი-რებოდა ნავთობგაყვანილობა ამავე რაოდენობის ნავთის გადასა-ზიდად. იგი დაუჯდებოდა სახელმწიფოს 1. 400. 000 მანეთი იმ დროს, როცა ნავთობგაყვანილობა ღირს მხოლოდ 80.000 მანეთი.

დასასრულ, მე გავიმეორებ ჩემს აზრს, რომ ვაგონ-ცისტერ-ნები უნდა ეკუთვნოდეს კერძო პირებს და რომ მათი რაოდენობა შეძლებისდაგვარად დიდი უნდა იყოს. თუ რკინიგზებს არ ეყო-ფათ ორთქმავლები დამატებითი მოძრავი შემადგენლობისათვის, მაშინ უნდა ვთხოვოთ მთავრობას დახმარება საჭირო რაოდენობის ლოკომოტივების შემოსატანად. ხაზინის ეს დახმარება არ იქნება დიდი ხარჯი და, მაშასადამე, მძიმე ტვირთად არ დააწვება სახელ-მწიფო ხაზინას, მით უმეტეს, რომ ორთქმავლები საჭიროა არა მარტო ნავთის, არამედ სხვა ტვირთებისათვისაც.

თავმჯდომარე: მოწყალეო ხელმწიფენო, ჩვენი კამათი ამტკიცებს აზრთა სხვადასხვაობას. ყოველ აზრს ჰყავს მჭევრმეტყველი დამ-ცველი. შესაძლებელია, ბ-ნი ბარის დასკვნები უფრო მეტად გვი-ზიდავდნენ, ვიდრე ბ-ნი ნიკოლაძის მტკიცებანი. ამიტომ მე მი-მაჩნია, რომ საკითხი სხვაგვარად არ გადაწყდება, თუ კენჭს არ ვუყრით. გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფენო, უბრალოდ ვუყაროთ კენჭი: ჰო თუ არა, ანუ იღებთ თუ არა ბაქოს განყოფილების თხოვ-ნას.

ამის შემდეგ, კენჭის ყრის შედეგად, ვ. ბ. აბრამოვიჩის მეხუთე პუნქტი მიღებულ იქნა 29 ხმით 9-ის წინააღმდეგ.

თავმჯდომარე: ვინაიდან თქვენ ინებეთ და შეიწყნარეთ ბაქოს განყოფილების სურვილი, ნება მომეცით, მოწყალეო ხელმწიფენო, ჩამოვაყალიბოთ ჩვენი რეზოლუცია შემდეგნაირად:

„აღიძრას შუამავლობა მთავრობის წინაშე შავი ზღვის სანაპიროს და ვოლგისპირეთის რკინიგზებისათვის ვალდებულებათა შესახებ, რათა თავიანთ ხაზებზე შეიყვანონ ვაგონ-ცისტერნები ჩამოსასხმელი ნავთის გადასაზიდად ფუთ-ვერსზე არა უმეტეს 1/45 კაპიკის გადასახადით, აგრეთვე, საერთო ტარიფის დაწესების თაობაზე ნავთისა და მისი ნარჩენების გადასაზიდად ყველა რკინიგზაზე ამიერკავკასიის რკინიგზის ჩათვლით, ფუთ-ვერსზე 1/65 კაპიკამდე ტარიფით“.

გსურთ თუ არა, მოწყალეო ხელმწიფენო, მიიღოთ ჩვენი დადგენილების ეს რედაქცია?

უმეტესობა: დიახ!

88. დიდი შეცოდმა „დიდ საქმეში“

(წერილი რედაქციას)

„ნოვეოა ვრემიას“* (№2385) სტატია რუსეთის ტექნიკური საზოგადოების უკანასკნელი სხდომის თაობაზე მაიძულებს პრესის საშუალებით ერთხელ კიდევ დავუბრუნდე საკითხს, რომელიც საერთო ყურადღებას იმსახურებს. თუ სწავლულთა საზოგადოებას, რომლის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილიც, როგორც ჩანს, ბ-ნი ნობელის სასარგებლოდ იყო წინასწარ განწყობილი, ჩემთვის უარი არ უთქვამს მიუკერძოებელი ყურადღების გამო, მაშინ უფლება მაქვს იმით ვინუგეშო თავი, რომ არც პრესაში შემხვდება წინასწარ განზრახული უყურადღებობა და ფაქტების სისტემატური დამახინჯება. ამ იმედის საფუძველზე, პირველ ყოვლისა, შევნიშნავ, რომ, სამწუხაროდ, „ნოვოე ვრემიას“ სტატიიდან სრულიადაც არ ჩანს, თუ საკუთრივ რაში მდგომარეობს საზოგადო, უფრო მნიშვნელოვანი მხარე დიდი საკითხისა, რომელიც მოსკოვის ყრილობაზე იქნა წამოყენებული. ნავთობის მრეწველობის მონოპოლიზაცია თავისი არსითა და საკითხის პირველადი დასმის ფორმით სერიოზულ განხილვას იმსახურებს. სამწუხაროდ, ამ საკითხის განხილვად და გადაწყვეტად საღდება ისეთი მითქმა-მოთქმა ბ-ნი ნობელის საქმეების, წარმატების, დამსახურებისა და განზრახვების შესახებ, რომელიც საქმეს სულ არ ეხება. შეიძლება წარმოვიდგინოთ თქვენი განცვიფრება, რომ მომეპრიანოს და თქვენი სტატიის—„დიდი საქმის“ გასაბიაბრუებლად მოვიწვიო ტექნიკური საზოგადოების კრება, დავამტკიცო, რომ შემიძლია გავაჭენო გაოფთრებული ულაყი და ჭენების დროს მოვარტყა გასროლილ საცობს. ადვილი დასაშვებია, რომ ჩემმა ვარჯიშმა საყოველთაო აღტაცება გამოიწვიოს, თვით თქვენც გაოცდეთ ჩემის ოსტატობით, ოღონდ ეს არ გიკრძალავთ ამტკიცოთ—მან ჩვენი სტატიები არამცთუ გააბიაბრუა, არამედ სრულიადაც არ შეხებიაო. სწორედ ასეთი ტურნირი მომიწყვეს ბ-ნმა ნობელმა და პოლეტიკამ. თვით მეც ჭეშმარიტად გავუოცებივარ მათი ძლიერებისა და ოსტატობის ბრწყინვალე მონაცემებს და სამართლიანადაც. ერთი, რომელმაც თავისი მიღწევების ჯადოსნური სურათები გადაგვიშალა, დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ მიაღწევს თავის მიზანს, რომ მას, ნაფოტებად რომ აქცია მეეტ-

ლეთა, მექარხნეთა და მოშურნეთა მთელი არმია, სრულიად არაფ-
რად უღირს მოერიოს „მარტო ერთ“ ნიკოლაძეს. მეორემ უფრო
რთული ამოცანა გადაჭრა, სწორედ მთელი ძალით ჭენების დროს
გაიძრო პროტექციონიზმის სამოსი, რომელიც მრავალი წელია
ზღუდავს ხალხს სამამულო მრეწველობის მფარველობისათვის
და, წარმოსდგა რა ბრწყინვალე ცისფერი კამზოლით, როგორი-
თაც ორმოციოდე წლის წინათ ჟან-ბატისტ სეის თანამედროვე
დენდები კოპწიაობდნენ, მომხიბვლელად დაამღერა გულისამა-
ჩუყებელი რაფსოდია თავისუფალი კონკურენციის მშვენიე-
რებაზე. ყოველივე ეს მომხიბვლელიც იყო და საინტერესოც. მაგ-
რამ გაქნილობა გაქნილობაა და საკითხი მაინც საკითხად რჩება.
ლაპარაკია მონოპოლიასა და სხვა არაფერზე, ხოლო, ვისაც ნებავს
იკამათოს ამ საკითხის თაობაზე, დე ილაპარკოს ან ნეროს მასზე
და არა რაღაც სისულელეებზე, რომლებიც ამ საკითხს სრულია-
დაც არ ეხებიან. მხოლოდ ამ გზით შეუძლია ჭეშმარიტებამდე მის-
ვლა ყველას, ვისაც არ ესაჭიროება საქმის არევ-დარევა.

გადასაწყვეტია ქვემორე საკითხთა მსგავსი კონკრეტული სა-
კითხები: მივდივართ თუ არა მონოპოლიისაკენ ნავთობის სა-
კითხში — ჰო თუ არა? საჭიროებს თუ არა თვით ეს საქმე მონო-
პოლიის დანერგვას? მოჰყვება თუ არა მონოპოლიას ნავთობის
პროდუქტთა ხარისხის დაქვეითება და მათი საბაზრო ფასის აწე-
ვა? საფუძვლიანია თუ ფუჭი ჩემი რწმენა, რომ ნავთობის მრეწ-
ველებს სრულიადაც არ ეშინიათ კონკურენციისა, რომ წვრილი
მეწარმე მსხვილ მეწარმესთან სულაც არ არის ისეთ დამოკიდე-
ბულებაში, როგორც ფაბრიკანტი და კუსტარი? შეიძლება თუ არა
თავიდან ავიცილოთ მონოპოლია, როცა მეწარმეთა უმეტესობას
დახშული აქვს გზა პროდუქტების გასატანად? შეიძლება თუ არა
არამონოპოლიზებულად ჩაითვალოს ჩამოსასხმელი კაბოტაჟი,
როცა გემებით მოზიდულ ნავთს სხვა ვერაფრით გაგზავნი სახმე-
ლეთო გზით, თუ არა ნობელის ფირმის ვაგონებით? სასარგებლოა
თუ საზიანო რკინიგზისა და ხაზინის სამრეწველო ინტერე-
სებისათვის რუსეთის ტექნიკური საზოგადოების ბაქოს განყო-
ფილების შუამდგომლობა, რათა შავი და კასპიის ზღვის პირას
ვოლგის აუზებთან მდებარე რკინიგზებზე ვფლობდეთ ყველასათ-
ვის თანაბრად ხელმისაწვდომ ჩამოსასხმელ ვაგონებს იმ რაოდე-
ნობით, რამდენიც საჭირო იქნება ტვირთისათვის და, აქედან გა-

მომდინარე, არც დანაკარგი გვქონდეს მათი შეძენის დროს? თავიდან აგვაცილებს თუ არა ეს ზომები მონოპოლიის ყველა მთავარ უხერხულობას? ზიანს მიაყენებს თუ არა ეს ამა თუ იმ პირის კანონიერ ინტერესებს და შეავიწროვებს თუ არა ვინმეს წამოწყებას? საიდან გაჩნდა აზრი, რომ ეს მშვიდობიანი შუამდგომლობა თითქოს მოითხოვს ძმები ნობელების ფირმას აუკრძალოს საკუთარ ვაგონთა აგება? რა ინტერესებისა და რის გამო სურთ ადამიანებს, რომ ბაქოს ნავთი ისე არ გავიდეს რუსეთში, თუ ამ ფირმის ხელში არ გაივლის? ყველა ეს კითხვა მოითხოვს პასუხს, ხოლო, სანამ ეს არ მომხდარა, მონოპოლიის შესახებ დასმული საკითხი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით კვლავ დგას ჩვენს წინაშე.

არც მოსკოვში, ტექნიკური საზოგადოების წევრთა საერთო ყრილობაზე, არც აქ, 15 ოქტომბრის სხდომაზე, არაფის უცდია ჩემი ამ დებულების გაბათილება. ამიტომ მე კვლავ ვამტკიცებ, რომ ნავთობის დიდ საქმეში დაშვებულია დიდი პოლიტიკური შეცდომა: დიდ მრეწველობას რომ ვნერგავდით, ჩვენ არ გვიზრუნია გზა გაგვეხსნა მისი პროდუქტების გატანისათვის. ამის შედეგად მრეწველობას დააწვა გარეშე ვალდებულება—სამიმოსვლო გზების მოწყობა. ასეთი ტვირთი უმეტესობის ძალას აღემატებოდ ვისაც შეუძლია გზის გაყვანა, ცხადია, ის თავისთვის გაიყვანს და არა ყველასათვის: ასეთ ვითარებაში შეუძლებელი იყო არ აღმოცენებულიყო მონოპოლია და აღმოცენდა კიდეც. კერძო წამოწყებისათვის ახლა მისი თავიდან აცილება ადვილია ყოველგვარი დანაკარგის გარეშე: ამისათვის საჭიროა ნავთობის წარმოება, გადატანის მხრივ, ისეთსავე პირობებში ჩავაყენოთ, როგორშიცაა სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგი. თუ ასე არ მოვიქცევით, მონოპოლია ბოლოს და ბოლოს დაკარგავს ნავთობის მთელ მრეწველობას, რომლისგანაც ჩვენი ქვეყანა ელის და ვერაფრით ვერ ეღირსა მდიდარ და გულუხვ წყალობას.

რაოდენ საზიანოც არ უნდა იყოს ამ „დიდი საქმის“ მომავალი ბედისათვის ახლანდელი მონოპოლია, იგი მაინც არაფერია იმ ჭეშმარიტად მონუმენტურ მონოპოლიასთან შედარებით, რომლისკენაც შეიძლება ირიბი გზით მიგვიყვანოს მან. თქვენ წერთ ბაქოდან ნავთის უშუალოდ გადასხმის თაობაზე მომხმარებელთა ლამპებში. თუ ნავთობის საქმეში გზები და მიმოსვლის საშუალებები

ყველა მეწარმისათვის თანაბრად არ იქნება ხელმისაწვდომი, შორს არაა ის დრო, როცა გამოჩნდება ვიღაც მეწარმე, რომელიც ბაქოში გაჭრის ჭაბურღილს და იქიდან ნავთს გადაასხამს სადღაც სიცილიაში, სადაც ნავთის გადამუშავების საშუალებები—გოგირდის სიმჟავე და მძაფრი ნატრიუმი—გაცილებით უფრო იაფია, ვიდრე ბაქოში და ვოლგაზე. მაშინ ბ-ნი ნობელიც კი ვეღარ დაეწევა ამ წარმატებებს თავისი ვაგონ-ცისტერნებით. იგი იძულებული შეიქმნება გაიყინოს ცხრა-ათი მილიონ ფუთი ნავთის შინმომარაგების წერტილზე რუსეთში, და ისიც შემოტანილ ნავთზე დიდი ბაჟის წყალობით. თუ გინდათ დაადეთ ნავთს გადასატანი ბაჟი, გამოხადეთ ნახევრად დამუშავებული დისტილატი, ამისათვის საჭირო იქნება სულ 7 1/2 მილიონი მანეთი, რათა გაიყვანოთ ნავთობის ან ნავთის გადასაქაჩი მილები. მაშინაც კი ბაქოს ნავთობის საბადოების მთელი ამ „ამოუწურავი სიმდიდრიდან" ჩვენს ქვეყანას ის მიკროსკოპული სარგებელიც კი აღარ შეხვდება, რომელსაც ახლა უწილადებს ხოლმე ბ-ნი ნობელი გადასაზიდი გადასახადის სახით: ჩვენი ანგარიშით, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ამ ოპერაციიდან რუსეთს ძლივს დარჩება 1/4 კაპ. ფუთ ამოღებულ და გადატანილ ნავთობზე. აი, ყველაფერი ის, რაც გადარჩება ჩვენი სასიხარულო ოცნებისაგან „ქიმიური მრეწველობის განვითარების თაობაზე" და ქვეყნის „ბუნებრივი სიმდიდრით სარგებლობის იდეიდან". ამგვარად, თვით ნავთის გაყვანილობის შესანიშნავი საქმე უეჭველად დაილუპება ნავთობის წარმოებაში ურჩხული მონოპოლიის გაჩენის გამო, რომელსაც უკვე ვერაფრით ვერ დაძლევ, თუ ამ საქმის განხორციელების დროს გაყვანილობა ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იქნება. ასეა ყოველთვის: ყოველი სასარგებლო ნივთი შეიძლება ბოროტ იარაღად აქციო; ისეთ დანად, ურომლისოდაც ვერ შეჭამ საჭმელს და ისეთ დანადაც, რომლითაც შეიძლება დაიჭრა თავი ან დაჭრა სხვა.

რადგან მეშინია წინ არ აღვუდგე თქვენი სტატიის წვრილმან უზუსტობას მონოპოლიის საკითხის საერთო მხარეების მიჩქმალვის თაობაზე, აღარ შევეხები თქვენ მიერ მოტანილ დასკვნებს, მაგრამ არ შემიძლია არ დავუშვა გამონაკლისი ორი კერძო შემთხვევის მიმართ. ბაქოს მექარხნეები არ თხოულობენ და არ გვეხვეწებიან არავითარ სუბსიდიას ან სახელმწიფო დახმარებას.

მათ მხოლოდ ის სურთ, რომ მათი პროდუქტების გატანის საქმეში იმ სხვა მრეწველთა თანასწორი უფლება ჰქონდეთ, რომლის ძალით ნება აქვთ მოსთხოვონ რკინიგზას შესაბამისი ვაგონებით მომარაგება. ამიტომ უთუოდ დავეთანხმებით, რომ მათი, და მით უმეტეს ჩვენი, მიჩნევა სახელმწიფო ქონებისა და ხაზინის ხელმყოფლად, ნაკლებ სამართლიანია. არანაკლები უსამართლობაა, აგრეთვე, თქვენი გამოხმაურება ჩემს „სახელმწიფო სოციალიზმზე". მე კი არა ბ-ნმა პოლეტიკამ პირველად გამოიტანა არენაზე ეს სოციალიზმი, რომელშიც მან პირდაპირ და ფორმალურად მე დამდო ბრალი. სხვა არაფერი დამრჩენია, გარდა ამ დანაშაულის აღიარებისა. შემდგომ, თქვენ ამბობთ, რომ ჩემმა განცხადებამ ამ სოციალიზმის თაობაზე ბევრი აიძულა, ეცინა. სამწუხაროა, რომ ეს მე არ შემიმჩნევია: მაშინ იქნებ როგორმე დამემტკიცებინა ამ მოცინართათვის, რომ ვეფლესა და ლასალის თეორიის გახსენება გაცილებით ნაკლებ სასაცილოა, ვიდრე ბ-ნი პოლეტიკისა და ბ-ნი ნობელის გამოხდომათა მხარდაჭერა.

89. მის აღმატებულებას ბატონ ფინანსთა მინისტრს*

ამიერკავკასიის რკინიგზის ბაქოს მონაკვეთის მოსალოდნელი გახსნა კვლავ აყენებს მისი სწორი ექსპლუატაციის, ანუ ამიერკავკასიის გავლით უცხოური საქონლის უგადასახადო ტრანზიტის საკითხს. ჯერ კიდევ 1870 წელს, როცა იხილავდნენ საქონლის ტრანზიტის საკითხს ბაქოზე გავლით, მიიღეს გადაწყვეტილება, გადაესინჯათ ეს საკითხი იმ შემთხვევაში, თუ გაყვანილი იქნებოდა რკინიგზა თბილისიდან ბაქომდე, ხოლო მისი გაყვანის მოლოდინში შეეცვალათ კასპიის ზღვის ნავსადგურში უცხოური და რუსული საქონლის შემოტანის პირობები, ახლა რომ მეორეს ხარჯზეა პირველის სასარგებლოდ. ამიტომ ამიერკავკასიის რკინიგზის მმართველი საზოგადოება თავის მოვალეობად თვლის თქვენს აღმატებულებას გადასაწყვეტად წარმოუდგინოს თავისი ზოგიერთი მოსაზრება ამ საკითხის თაობაზე.

ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთების შემდეგ ჩვენი მთავრობის თვალსაზრისი ამიერკავკასიის ტრანზიტის შესახებ არაერთხელ შეიცვალა იმისდა მიხედვით, თუ როგორ იცვლებოდა უცხო სახელმწიფოების თვალსაზრისი საერთოდ ტრანზიტით სარგებლობისა და მისი მნიშვნელობის ირგვლივ. ამიტომ, იმისდა მიხედვით, ამიერკავკასიის ტრანზიტი ზარალიანად ითვლებოდა თუ არა, იცვლებოდა იმ ღონისძიებათა ხასიათიც, ამ ტრანზიტის მიმართ რომ იყენებდნენ. ჩვენი ჯარების მიერ ამიერკავკასიის დაკავების შემდეგ ამ მხარეში ჩვენამდე არსებული ტრანზიტი საერთოდ აიკრძალა იმის გამო, რომ გაადვილებულიყო რუსეთის საქონლის სპარსეთში შეტანა.

1821 წელს აღიარეს, რომ ტრანზიტს არ შეუძლია ზიანი მიაყენოს რუსეთის საგარეო ვაჭრობას და ამიტომ ისევ დართეს ნება.

ათი წლის შემდეგ გამოითქვა ეჭვი, ხომ არ უშლიდა ხელს ეს ტრანზიტი ამიერკავკასიასა და სპარსეთში რუსეთის ვაჭრობის სუსტ განვითარებას. ამ ეჭვმა გამოიწვია ტრანზიტის სრული აკრძალვა.

---

* ამ მოხსენებამ ფურორი მოახდინა სახელმწიფო საბჭოში და დიდი გამოხმაურება პოვა რუსეთის პრესაშიც („მოსკ. იზდ. „რუს", „ნოვოე ობოზრენიე" და სხვ). ჩვენი დასკვნები ხმათა უმრავლესობით მიიღო სახელმწიფო საბჭომ.

მომდევნო ათწლეულში გამოირკვა: ამ აკრძალვამ ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა სპარსეთში უცხოური საქონლის შეტანის შემცირებაზე და რუსეთის ნაწარმის გაზრდაზე.

ამის გამო 1848 წელს კვლავ ნებადართული გახდა ტრანზიტი, მაგრამ მხოლოდ ხმელეთის გზით, ჯულფის გავლით თავრიზამდე და არა კასპიის ზღვისა და ბაქოს გავლით. 1864 წელს მიზაშეწონილად მიიჩნიეს ტრანზიტის მხოლოდ ბაქოს გავლით აკრძალვა. მას შემდეგ ამიერკავკასიის ტრანზიტის მდგომარეობა დღემდე უცვლელია.

ამ საკითხის სირთულეზე მთავრობის თვალსაზრისის მრავალგზისი და ძირეული ცვლილებებიც მეტყველებს, ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებს ღრმად აქვს ფესვები გადგმული და ამიტომ არა ცალმხრივ, არამედ ყველასათვის დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტას მოითხოვს. არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ ამიერკავკასიისათვის სატრანზიტო გადაზიდვებს მოაქვს პირდაპირი თუ არაპირდაპირი სარგებლიანობა და, თუ ამიერკავკასიაში რკინიგზას გავიყვანთ, ეს ხაზინასაც მოუტანს სარგებელს. მეორეს მხრივ, ცხადია, არ შეიძლება იმ საშიშროების უარყოფა, რასაც ტრანზიტი იწვევს საგარეო ვაჭრობის მიმართ. ამიტომ საჭიროა სატრანზიტო გადაზიდვის იმ დონეზე შენარჩუნება, რათა საფრთხე არ შეექმნას ჩვენი საკუთარი საქონლის გატანას.

ქვემომოყვანილი მოსაზრებების მიზანია, ზუსტად გამოიკვლიოს, რა საამისო მეთოდებია საჭირო.

ვუდგებით რა ამ მეთოდებს ზუსტი მონაცემებით, ამიერკავკასიის გავლით სატრანზიტო ვაჭრობის მიმდინარეობას გასული ათწლეულის მანძილზე, როცა ნებადართული იყო უგადასახადო ტრანზიტი და, ვადარებთ რა ამ მონაცემებს ჩვენი საქონლის სპარსეთში გატანის მონაცემებს „რუსეთის თანამედროვე ვაჭრობის მიმოხილვის“ ჯერ კიდევ ვარგისი მონაცემების მიხედვით, დავინახავთ, რომ ვაჭრობა შემდეგნაირად მიმდინარეობდა:

ამ ციფრებმა დაგვანახვეს, რომ სპარსეთში გატანილი საქონლის რაოდენობა თანდათან და განუწყვეტლივ იზრდებოდა, ამავე დროს, უცხოური საქონლის სატრანზიტო გადაზიდვა სრულიად არ მცირდებოდა ჩვენი საქონლის გასაღებასთან შედარებით, ტრანზიტის პარალელურად რომ მატულობდა. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ: სპარსეთში როგორც ჩვენი, ასევე უცხოური საქონლის შეტანის ზრდა გამოწვეული იყო სპარსეთის სამომხმარებლო

წლები	საქონლის ფასი მანეთებში		
	ევროპიდან სპარსეთში	სპარსეთიდან ევროპაში	ჩვენს მიერ სპარსეთში გატანილი საქონელი
1871	1. 348. 452	441. 506	1. 429. 868
1872	1. 977. 866	539. 871	1. 693. 379
1873	2. 643. 164	522. 673	1. 819. 516
1874	3. 692. 053	703. 760	1. 845. 762
1875	3. 486. 247	815. 516	1. 873. 530
1876	3. 898. 456	772. 418	1. 676. 563
1877	1. 651. 515	159. 190	3. 164. 351
1878	2. 073. 643	172. 833	2. 649. 598
1879	4. 664. 074	325. 444	3. 422. 233
1880	4. 574. 599	936. 371	3. 936. 914

ბაზრების მოთხოვნილების ზრდით. რაც შეეხება ტრანზიტის უეცარ შემცირებას 1877 წელს და ამავე პერიოდში სპარსეთში საქონლის გატანის ზრდას, ქვემომოყვანილი ცხრილი ბევრ რამეზე გვიხელს თვალს. 1877 წელს საომარმა ვითარებამ გამოიწვია სავაჭრო გადაზიდვებისათვის შავი ზღვის დახურვა და მისი სანაპიროების დროებით ჩვენი ჯარების ხელში გადაცემა, სატრანზიტო გზამ ტრაპიზონისა და არზრუმის გავლით თავრიზამდე სპარსეთში რუსულ საქონელზე მოთხოვნილება მხოლოდ 1.5 მილიონი მანეთის რაოდენობით გაზარდა, რაც ამ ქვეყანაში ჩვენი საქონლის ჩვეულებრივ შეტანას აღემატებოდა მაშინ, როდესაც ევროპის საქონლის სპარსეთში შეტანა მხოლოდ ამიერკავკასიის ტრანზიტით ორ მილიონ მანეთზე მეტით შემცირდა, აღარ ვანგარიშობ ანატოლიის ტრანზიტის მთლიანად შეწყვეტას ტრაპიზონისა და არზრუმის გავლით. ამგვარად, შემდეგ, როცა მთლიანად შეწყდა არა მარტო ამიერკავკასიის ტრანზიტი, რაც ჩვენს ნებაზე იყო დამოკიდებული, არამედ ანატოლიისაც, რომელიც ჩვენი გავლენის სფეროში არ შემოდიოდა, რუსეთის შიდა წარმოების პირობებმა ჩვენს ვაჭრობას არ მისცა შესაძლებლობა, დაეკმაყოფილებინა სპარსეთის ბაზრების მოთხოვნილებანი და საჭიროებანი. მარტო ამიერკავკასიის ტრანზიტის დახურვამ სპარსეთში ევროპულ საქონელზე ბუნებრივი მოთხოვნილების დროს ჩვენი საკუთარი საქონლის გატანა კი არ გაზარდა, არამედ ამიერკავკასიის ტრანზიტის ხარჯზე გაიზარდა ანატოლიის ტრანზიტის მნიშვნელობა.

სატრანზიტო მოძრაობის უკანასკნელი მონაცემები მთლიანად ადასტურებენ ჩვენს მიერ აღწერილ ვითარებას. მართლაცდა, თუ განვიხილავთ, თუ რა საქონელი მიდიოდა ტრანზიტით სპარსეთში ამიერკავკასიისა და ნახჩევანის საბაჟოების მონაცემებით, დავინახავთ, რომ უკანასკნელ წლებში ტრანზიტით გადაზიდული იყო შემდეგი საქონელი (ფუთობით);

საქონელი	1879	1880	1881
შაქარი	423. 236	336. 820	462. 506
ჩაი	85. 333	56. 850	16. 678
მანუფაქტურა	27. 726	46. 244	102. 882
სხვა საქონელი	37. 237	43. 139	68. 260
ჯამი	496. 732	432. 888	650. 326

აქედან ცხადია, რომ ევროპიდან სპარსეთში უმთავრესად შაქარი და მანუფაქტურა შეჰქონდათ. ამჟამად რუსეთში შაქრისა და მანუფაქტურის წარმოების მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენს ამ საქონელს არ შეუძლია შეაღწიოს სპარსეთის ბაზრებზე იმ ვითარებაშიც კი, თუ მთლიანად ავკრძალავთ ამიერკავკასიის ტრანზიტს, რადგან ევროპის მანუფაქტურულ წარმოებასა და ფრანგულ შაქარს იმ სიძნელეების შემთხვევაშიც კი ექნება უპირატესობა ჩვენს პროდუქტებთან შედარებით, როცა მათთვის ტრაპიზონისა და არზრუმის გზა, ამჟამად რომ ღიაა, ძვირი დაჯდება. ცნობილია: თბილისში ერთი ფუთი რუსეთის შაქრის ფასი 10 მანეთს აღემატება, რაც ფრანგული შაქრის ფასზე იმავე თბილისში ორჯერ მეტია. ცხადია, რომ ფასებში ამგვარი განსხვავების დროს ჩვენი შაქარი ჩრდილოეთ სპარსეთში უფასოდაც რომ გაიტანო, მაშინაც კი ტრანზიტით შეტანილ ფრანგულ შაქარზე ძვირი დაჯდება. ჩვენს ბაზრებზე შაქრის ფასის უზომოდ ზრდა ამტკიცებს, რომ ამ პროდუქტს რუსეთი თვით შინა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაც კი ვერ აწარმოებს, ხოლო ასეთ ვითარებაში მისი სპარსეთში გატანაზე ფიქრიც კი ნაადრევია მანამდე, სანამ მისი წარმოების პირობები არ გამოიმუშავებს ამ პროდუქტის წარმოების შესაბამის გაიაფებას. ამ შემთხვევაში ყურადღების ღირსია თავრიზში საფრანგეთის კონსულის ემერის სიტყვები საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგზავნი-

ლი მოხსენებითი ბარათიდან („Bulletin consulare Francas", 1880 წ. წიგ. 4), სადაც, ლაპარაკობს რა შაქრის მოხმარებაზე სპარსეთში, კონსული წერს: „კონკურენცია, რის შექმნაც რუსეთს სურდა ომის დროს ჩვენი ამ პროდუქტისათვის (შაქარი), გაქრა მის წარმომშობ პრინციპებთან ერთად და ეს, მიუხედავად იმ სიიაფისა, რაც გამოიწვია რუსეთის მთავრობის მიერ შაქრის გამტანთათვის პრემიების დარიგებამ (აქციზის დაბრუნება). რუსეთის შაქარზე იმ მომენტიდან შეწყდა მოთხოვნილება, რაც დაიწყო ფრანგული შაქრის იმ რაოდენობით შემოზიდვა, ადგილობრივ მოთხოვნილებას რომ შეესაბამება. ყველა იმ ზომამ, რუსეთის შაქრის გამტანებმა რომ გამოიყენეს მისი ფასის დასაცემად, ვერ გააწონასწორა ყველა ის უპირატესი თვისებები, რითაც სამართლიანადაა სახელმოხვეჭილი ეს ფრანგული პროდუქტი". და მართლაც, რუსეთის შაქარი გააქვთ აღმოსავლეთ სპარსეთის იმ ნაწილში, სადაც ფრანგული შაქრის მიტანა ამიერკავკასიის ან ანატოლიის სატრანზიტო გზით მეტისმეტად ძვირი ჯდება, რაც შეეხება ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთს, ამიერკავკასიის შაქრის ტრანზიტი იქ იბრძვის არა რუსეთის შაქრის შეტანისათვის, არამედ ანატოლიის გზით მომავალი ტვირთბრუნვის წინააღმდეგ. აღმოსავლეთ სპარსეთში კი ამიერკავკასიის რკინიგზა (ერთი ფუთის გადაზიდვა 1 მან. და 35 კაპ. ღირს) დიდად ეხმარება რუსეთის იმ შაქრის გატანას, ვოლგიდან კასპიის ზღვით რომ მოაქვთ, რადგან აქედან რუსეთის შაქარი თავრიზსა და ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთში ვერ მოხვდება სახმელეთო გადაზიდვის სიშორის გამო. რაც შეეხება მანუფაქტურას, რასაც სპარსეთში განსაკუთრებით დაეძებენ, თავრიზში ერთი ფუთი დაახლოებით 60 მანეთი ღირს. ინგლისის ფაბრიკები ერთ ფუთ ბამბის ქსოვილს 10 მანეთად (ანდა 17%-ით) უფრო იაფად აწარმოებენ, ვიდრე ჩვენი ფაბრიკები და ეს, მიუხედავად ბამბაზე ერთნაირი ფასისა, რაც სინამდვილეში ჩვენში მნიშვნელოვნად უფრო ძვირია, ვიდრე ინგლისში. მხოლოდ ნანარმის მნიშვნელოვანი გაიაფება და ჩვენი ფაბრიკანტების მიერ სპარსეთის მომხმარებელთა გემოვნებისა და მოთხოვნილებისადმი ყურადღებიანი დამოკიდებულება მოახდენს გავლენას ჩვენი მანუფაქტურული საქონლის სპარსეთში გატანის პირობებზე. მაგრამ ჩვენი ფირმები საქმის ამ მხარეს არ აქცევენ სათანადო ყურადღებას.

საქონლის სპარსეთში გატანის ამ უმთავრესი პუნქტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამიერკავკასიის ტრანზიტის აკრძალვა ვერავითარ ისეთ სარგებლობას ვერ მოუტანს რუსეთის ვაჭრობასა და მრეწველობას, ტრანზიტთან დაკავშირებული წაგება და მოგება ცოტათი მაინც რომ გააწონასწოროს, თუ ამიერკავკასიის ტრანზიტი ჩვენს ვაჭრობასა და მრეწველობას ვერ გაუწევს სამსახურს, მისი აკრძალვა ვერც ევროპელ ფაბრიკანტებსა და ვაჭრებს მიაყენებს დიდ ზარალს. ეს მხოლოდ აიძულებს მათ თავიანთი პროდუქტების გადასაზიდად ახალი გზა გამონახონ სპარსეთისაკენ, ანუ გადაზიდონ საქონელი ტრაპიზონიდან. ეს გზა ისტორიულად უწევს მეტოქეობას ამიერკავკასიის გზას. მისი გეოგრაფიული მდებარეობა იმდენად ხელსაყრელია, რომ ამიერკავკასიაში მიმოსვლის გაუმჯობესებული საშუალებებიც რომ დავნერგოთ—რკინიგზები და გზატკეცილები—ამ გზის მნიშვნელობას მაშინაც ვერ გავაუქმებდით.

ანატოლიის სატრანზიტო გზა, მიუხედავად იმისა, რომ ეს გზა საშიშროებისაგან სრულიად არაა დაცული, არ არის მტკიცე და კეთილმოწყობილი, მიუხედავად იმისა, რომ ეს გზა ბორბლით მოძრაობისათვისაც კი გამოუსადეგარია და ვარგა მხოლოდ სასაპალნე გადაზიდვისათვის, ჩვენს დრომდეც წარმატებით უძლებს ამიერკავკასიის რკინიგზის მეტოქეობას. ამიერკავკასიის მმართველთა შორის უფრო შორსმჭვრეტელნი—ა.პ. ერმოლოვი, თავადი მ.ს. ვორონცოვი, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე—1821, 1848 და 1864 წელს მოითხოვდნენ ამიერკავკასიის ტრანზიტის დაშვებას სწორედ იმ საფუძველზე, რომ ბოლომდე რწმუნდებოდნენ: ამ ტრანზიტის აკრძალვა სრულიადაც ვერ დააჩქარებს რუსეთის მრეწველობის ზრდას და ჩვენი სპარსეთთან ვაჭრობა ამიერკავკასიის ხარჯზე გაზრდიდა ანატოლიის სარგებლიანობასა და კეთილდღეობას.

ისინი ამტკიცებდნენ, რომ სარგებლიანობა, რასაც ნახულობს ადგილობრივი მოსახლეობა უცხოური საქონლის გადაზიდვით, არა მხოლოდ ამიერკავკასიისათვისაა ხელსაყრელი, არამედ ხაზინისათვისაც. გადამზიდველთა მიერ გადაზიდვაში აღებული ფული და შუამავალთა საკომისიო შემოსავალი აძლიერებს ამიერკავკასიის მოსახლეობის საგადამხდელო უნარს და ურთიერთობა, რომელიც სპარსეთთან გვაქვს დამყარებული, ევროპის საქონლის

სატრანზიტო გადაზიდვასთან ერთად თანდათან იწვევს და აფართოებს ჩვენი საკუთარი ნაწარმის გატანასაც. ხოლო, როცა ამიერკავკასიის ტრანზიტი აკრძალულია, ევროპის სპარსეთთან ვაჭრობას, რომელსაც გააჩნია ხელმისაწვდომი გზა ტრაპიზონიდან, ძვირფას საქონელთან ერთად სპარსეთში შეაქვს ისეთი საქონელიც, რომელიც შეიძლება რუსეთიდან და ამიერკავკასიიდან წარმატებით იქნეს შეტანილი.

კავკასიის მმართველთა მითითება იმის შესახებ, რომ ანატოლიის გზა ევროპასა და იმპერიას შორის მოქმედი და მნიშვნელოვანია, მტკიცდება ყველა არსებული მონაცემებით ამ გზაზე ტრანზიტის მოძრაობის შესახებ. ჯერ კიდევ 1859 წელს საპალნეთა რაოდენობა, ტრაპიზონიდან სპარსეთში რომ იგზავნებოდა, უდრიდა 85.000 ცალს, მთელი ამ საქონლის ღირებულება კი 59, 500, 000 ფრანკს შეადგენდა. ამავე გზით სპარსეთიდან ევროპაში ტრანზიტის მოძრაობა აღწევდა 38.000.000 ფრანკს („Dictionarie universal du commerce la navigation", გილომენის გამომცემლობა, 1873, ტ. 11 გვ. 1701). წიგნში, საიდანაც აღებულია ეს ციფრები, ამავე დროს, აღნიშნულია: „ზუსტად რომ ვთქვათ, სპარსეთის ტრანზიტი თურქეთში საერთოდ არ არსებობს, ანუ ყველა უცხოური ნაწარმი, სპარსეთისათვის რომ არის გამიზნული, სხვაგვარად ვერ გადაიზიდა ტრანზიტით თურქეთის ტერიტორიიდან, თუ წინასწარ არ გადაიხადე ბაჟი. ეს ბაჟი, საითაც არ უნდა იგზავნებოდეს გადასაზიდი საქონელი—არზრუმში, თურქეთის რომელიმე სხვა ქალაქში თუ პირდაპირ სპარსეთში, ყველასათვის ერთნაირია. ამიტომ ბევრი საქონელი ჯერ იგზავნება ტრაპიზონში, აქედან კი გადააქვთ სპარსეთში". ეს მდგომარეობა ართულებს ზუსტი მონაცემების შეგროვებას ანატოლიის ტრანზიტის ამჟამინდელ მოძრაობაზე, მაგრამ, ამასთან ერთად, იგი მიგვითითებს, რომ საქონლის მნიშვნელოვანი ნაწილი სპარსეთში გადასაზიდადაა გამიზნული. „dnmiare le l' Economie pditigue et de la statistigue"-ის 1881 წლის მონაცემებით კი ტრაპიზონში 1879 წელს შეტანილია 35. 669. 400 ფრანკის ღირებულების საქონელი, ხოლო 1878 წელს—30. 720. 710 ფრანკის ღირებულებისა. ეს წლები 1877 წლის ომთან ახლოსაა და ყველაზე არახელსაყრელი იყო როგორც ადგილობრივი, ასევე სატრანზიტო ვაჭრობისათვის და მაინც ისეთი შედეგები მოგვცა, მნიშვნელოვნად რომ აღემატება ამიერკავ-

კასიის ტრანზიტის შედეგებს. დავუშვათ, ტრაპიზონში შეტანილი მთელი საქონლის რაოდენობიდან მხოლოდ ნახევარი მიდიოდა სპარსეთში ტრანზიტით, ამ შემთხვევაშიც კი ანატოლიის ტრანზიტმა 1878-1879 წლებში სპარსეთში შეზიდა შეუდარებლად მეტი უცხოური საქონელი, ვიდრე ამიერკავკასიის ტრანზიტმა. თუ ასეთი მომგებიანი შედეგები მიიღეს ანატოლიის გზით, სადაც არ არის კეთილმოწყობილი გზები და ვაჭრობისათვის ხელსაყრელი პირობები, ხოლო თურქეთში საქონლის შეტანისათვის ბაჟი უნდა გადაიხადო, მაშინ უდავოა, ამიერკავკასიის ტრანზიტის აკრძალვას უახლოეს შედეგად ის მოჰყვება, რომ ევროპის სპარსეთთან ვაჭრობის მთელი მოძრაობა ტრაპიზონისაკენ გადაინაცვლებს. შემდეგი ნაბიჯი კი ის იქნება, რომ ტრაპიზონიდან არზრუმამდე გაიყვანენ რკინიგზას, რაც დიდი ხანია დაგეგმილი აქვთ ინგლისელებს, რომელთა თვალშიც ამიერკავკასიის ტრანზიტის აკრძალვა იმას ნიშნავს, რომ რუსეთის მთავრობა მათ გარანტიას აძლევს ისარგებლონ ანატოლიის რკინიგზის შემოსავლით.

ვფიქრობ, ბაქოს მეშვეობით არა მარტო სპარსეთი შეგვიძლია ავავსოთ საქონლით, არამედ იქიდან ხივასა და ბუხარაშიც შევაღწიოთ. გაუმართლებელია იმის შიში, რომ უცხოური საქონელი იქაც შეაღწევს, რადგან გზა სპარსეთიდან შუა აზიამდე არც ისე მოხერხებულია. თურქმენეთის ველები კი ჩვენს საქონელს საბაჟოებზე ნაკლებად არ იცავენ. რომც მოხდეს და სპარსეთის გზით ხივასა და ბუხარაში უცხოური საქონელი შეიტანონ, ეს ამიერკავკასიის ტრანზიტის ბრალი კი არ იქნება, არამედ ჩვენგან დამოუკიდებელი ტრაპიზონის გზის არსებობისა, რადგან, თუ უცხოურმა საქონელმა სპარსეთში შეაღწია, ჩვენ ვეღარ შევუშლით ხელს მის შემდგომ გავრცელებას.

არსებობს აზრი, თითქოსდა ტრანზიტი მანამდეა ხელსაყრელი ქვეყნისათვის, სანამ ამ ქვეყანაში რკინიგზები არაა გაყვანილი. ტრანზიტი ინახავს ჩალვადრებს, მეეტლეებს, კომისიონერებს, მედუქნეებს, მაგრამ, როცა რკინიგზა იქნება გაყვანილი, ისინი კარგავენ ტრანზიტის შემოსავლით სარგებლობის საშუალებას და ამიტომ აუცილებელი იქნება ტრანზიტის გაუქმებაც, რადგან ქვეყნისათვის მას შემოსავალი აღარ მოაქვს. მაგრამ უცხო ქვეყნების მაგალითი მოწმობს, რომ ამ ქვეყნებში რკინიგზის გაყვანის შემდეგაც ტრანზიტი არა თუ არ გაუქმებულა, არამედ დიდად განვი-

თარდა და მნიშვნელოვნად განთავისუფლდა საბაჟოს ხელისუფლებისაგან, რადგან ყველგან აღიარეს, რომ ტრანზიტი არა მარტო რკინიგზას, არამედ საერთოდ ვაჭრობასა და ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას უდავო სარგებლობას მოუტანს. ტრანზიტის მოძრაობაში კი რკინიგზის მონაწილეობა, ერთის მხრივ, გამოიხატება საბაჟოს ზედამხედველის მიერ დაპლომბილი ვაგონების შემოწმების გაადვილებითა და გაძლიერებით, რაც საბაჟოებს იმის გარანტიას აძლევს, რომ ტრანზიტი კონტრაბანდად არ გადაიქცეს, მეორე მხრივ კი, ხაზინა უშუალოდ ღებულობს ტრანზიტით გადაზიდვისაგან მიღებულ შემოსავალს რკინიგზაზე გადასახადების გადიდების ფორმით და, ამავე დროს, რკინიგზის შემოსავლიანობის გარანტიისათვის ფულადი დანამატის შესაბამისი შემცირებით. სწორედ ამით აიხსნება ის მფარველობა, რასაც უწევს ტრანზიტის რკინიგზით მოძრაობას ყველა ქვეყანა, რომელთა გეოგრაფიული მდგომარეობაც ხელს უწყობს ტრანზიტს. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიმტკიცებს, რომ ეს საერთო წესი ამიერკავკასიის რკინიგზის მიმართაც შეიძლება იქნეს გამოყენებული: სარგებლიანობა, რაც ამ გზას სპარსეთის ტრანზიტმა მოუტანა, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ არ შეიძლება მისი დაუნახაობა. იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც ინახება ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში, უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ამ რკინიგზით გადაზიდული იყო შემდეგი სატრანზიტო ტვირთი და მისი გადაზიდვის შედეგად მივიღეთ ასეთი შემოსავალი:

წლები	ფოთიდან თბილისში		თბილისიდან ფოთში		სულ	
	ფუთი	მანეთი	ფუთი	მანეთი	ფუთი	მანეთი
1879	495. 510	161. 678	25. 467	8.596	520. 977	170. 284
1880	477.200	145. 792	3. 530	1.070	450. 730	146. 862
1881	660.750	215. 592	5. 420	1. 585	672. 170	217. 177

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, საქონელი, რომელიც ტრანზიტით სპარსეთში იგზავნება, თავისი არსით მხოლოდ და მხოლოდ იმგვარია, რომელსაც ძვირფასს უწოდებენ და რკინიგზის ტარიფით I კლასს განეკუთვნება. მათი ფოთიდან თბილისში გადაზიდვისათვის იხდიან ფუთში 33 მან. და 14 კაპ. (1,8 კაპიკს ერთ ფუთ-

სა და ერთ ვერსზე), რასაც ზემომოყვანილი ციფრებიც ადასტურებენ. ვივარაუდოთ, რომ რკინიგზის ბაქოს მონაკვეთის გახსნის შემდეგ ბაქოში გასაგზავნი სატრანზიტო საქონლის რაოდენობა არ გაიზრდება, მაშინ, თუ დავიანგარიშებთ მხოლოდ იმ ტვირთს, რომელმაც ბაქოზე გაიარა 1881 წელს და ბაქოს საბაჟოს ცნობით შემოსავალმა 320, 978 მანეთი შეადგინა, როცა ტარიფი ერთ ფუთსა და ერთ ვერსზე 1,8 მან იყო, ხოლო მანძილი თბილისიდან ბაქომდე 515 ვერსი, რკინიგზის ამ მონაკვეთს ტრანზიტით გადაზიდვა მოუტანს დაახლოებით 250 ათას მანეთს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაშინ მისი შემოსავალი იქნება: 217 ათასი მანეთი + 205 ათასი მანეთი = 422 ათას მანეთს.

რადგან ამიერკავკასიის ტრანზიტის განვითარების მონაცემები მოწმობენ მის თანდათანობით ზრდას, ცხადია, რომ გადაზიდვისაგან მიღებული ზემოთ განსაზღვრული ციფრი მომავლის თვალსაზრისით უნდა მივიჩნიოთ ყველაზე მცირე რიცხვად. გადაზიდვის ხარჯები სატრანსპორტო ტვირთის განსაკუთრებული წონის დროს საერთო ხარჯების ისეთ უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს, რომ მისი დაფარვა ადვილად შეიძლება სატრანზიტო გადაზიდვის სრულიად უმნიშვნელო მოძრაობით და ამიტომ შეგვიძლია 420 ათასი მანეთი რკინიგზის სუფთა შემოსავლად ჩავთვალოთ.

იმის გამო, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის შემოსავალი როგორც აქციებით, ასევე ობლიგაციებით უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ, ამიერკავკასიის ტრანზიტის დახურვა რკინიგზას დააკარგვინებს სულ ცოტა 420 ათას მანეთს, ამავე დროს, მისი არსებობა ამავე თანხით გაზრდიდა მთავრობის იმ შემოსავალს, გარანტიისათვის რომ უნდა გადაიხადოს, რადგან რკინიგზის შემოსავალი დღემდეც კი იმდენად უმნიშვნელოა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ყოველწლიურ დანამატს თხოულობს.

მხედველობიდან არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ ამიერკავკასიის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც არ მონაწილეობს სატრანზიტო გადაზიდვაში ჯულფიდან თავრიზამდე, ამიერკავკასიის რკინიგზაზე ნაკლებად არ დაზარალდება ტრანზიტის გაუქმებით და ამ ზარალს მას ვერაფრით ვერ ავუნაზღაურებთ მაშინ, როცა ბაქოში საქონლის გადამზიდველები თავის შემოსავალს იმ ადგილებში გამოიმუშავებენ, რომლებიც დაკავშირებულია რკინიგზის ექსპლუატაციის ყოველგვარ განვითარებასთან. იმ ზარა-

ლის რაოდენობა, თბილისსა და ჯულფას შორის ტრანზიტის დახურვას რომ მოჰყვება, ადგილზე შეგროვილი ცნობების მიხედვით, დაანგარიშების შემდეგ ამდაგვარ ციფრებს გვაძლევს: ფრახტი თბილისსა და თავრიზს შორის ერთ გადასაზიდ ფუთზე 1 მანეთიდან 1.5 მანეთამდე მერყეობს, თუ ჯულფის (ნახჩევანის საბაჟოს მონაცემებით) გავლით ყოველწლიურად 300 ათას ფუთზე მეტ ტვირთს გადავგზავნით, ამ გადაგზავნისაგან შემოგვივა 300 ათასი მანეთიდან 450 ათას მანეთამდე. ვთვლით რა, რომ ტვირთის გადამზიდველების სუფთა მოგება ამ თანხის ნახევარია, მაშინ ადგილობრივ მოსახლეობას ამ გზით შემოუვა 200 ათასი მანეთი. საერთო ჯამში ამიერკავკასიაში ტრანზიტის აკრძალვა ყოველწლიურად დაგვაკარგვინებს, უკიდურეს შემთხვევაში 600 ათას მანეთს. აღარ ვანგარიშობ ტრანზიტის არაპირდაპირ სარგებლიანობას, რაც მას მოაქვს, მაგრამ რისი ციფრებით გამოხატვაც არ ხერხდება. სხვათა შორის, ასეთ არაპირდაპირ სარგებელთა რიცხვს ეკუთვნის ჩვენი ტრანზიტის მომსახურე კომისიონერების მიერ სპარსეთის ბაზრის მდგომარეობისათვის მუდმივი თვალ-ყურის დევნება. იმისდა მიხედვით, როგორც კი კომისიონერები დარწმუნდებიან, რომ რუსეთსა და ამიერკავკასიაში იმდენად გაუმჯობესდა წარმოების პირობები და სამიმოსვლო გზები, რომ რუსულ პროდუქტებს შეუძლია სპარსეთის ბაზრებზე მეტოქეობა გაუწიოს უცხოურ საქონელს, ისინი მაშინვე ცვლიან უცხოელების შეკვეთას ჩვენი საქონლის გადაზიდვის შეკვეთით, რადგან რუსი ფაბრიკანტები მათ საკომისიო პროცენტსაც მეტს აძლევენ და უფრო მნიშვნელოვან სესხსაც, ვიდრე უცხოელები. ჩვენი საქონლის ასეთ ბუნებრივ და მზარდ გატანას სპარსეთში ამიერკავკასიის ტრანზიტის გაუქმებით შეექმნება გადაულახავი დაბრკოლებები, მაშინ ჩვენი საქონელი სპარსეთში გაიგზავნება ალალბედზე, მნიშვნელოვანი რისკის ხარჯზე.

ყოველივე ზემოთქმულს უდავოდ მივყავართ დასკვნამდე, რომ ამიერკავკასიის ტრანზიტის აკრძალვა აზარალებს ხაზინასაც და ადგილობრივ მოსახლეობასაც და, ამავე დროს, არ მოაქვს შესაბამისი სარგებლობა არც ჩვენი მრეწველობის და არც სპარსეთთან ჩვენი ვაჭრობისათვის. ამგვარ უსარგებლო და არახელსაყრელ ღონისძიებას შედეგად ის მოჰყვება, რომ დიდად გაიზრდება ანატოლიის ტრანზიტის მნიშვნელობა, გაუარესდება ჩვენი მე-

გობრული პოლიტიკური ურთიერთობა სპარსეთთან და დასავლეთი ევროპის იმ სახელმწიფოებთან, რომელთა მრეწველობა ამ ღონისძიებაში დაინახავს მისი ინტერესების ერთგვარ შეზღუდვას, რადგან გართულდება მათი საქონლის სპარსეთში გადაზიდვის შესაძლებლობა. საყვედურები, რომელთაც უეჭველად გამოიწვევს საზღვარგარეთ ასეთი დიდი ღონისძიებების გატარება, განსაკუთრებით ინგლისში, არა მგონია სასურველი იყოს რუსეთის ინტერესებისათვის აღმოსავლეთში თავისუფლად სამოქმედო სივრცის მოპოვების თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, შეიძლება ყურადღება არ მიგვექცია უცხო სახელმწიფოების მთავრობების ეჭვებისა და საყვედურებისათვის, რომ ღონისძიება, რომელსაც ვიხილავთ, ერთადერთი და არაჩვეულებრივი საშუალება იყოს რუსეთის ვაჭრობის სარგებლიანობის დასაცავად. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენს მთავრობას შეუძლია განახორციელოს იმგვარივე ღონისძიება, როგორც ტრანზიტის გაუქმება ჩვენი შინამრეწველობის გასავითარებლად, რაც, ამავე დროს, ხაზინისათვისაც შემოსავლიანი იქნება და ადგილობრივი მოსახლეობისათვისაც. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს თავის მოვალეობად მიაჩნია, რომ თქვენმა აღმატებულებამ ყურადღება მიაქციოს შემდეგ ღონისძიებებს.

ამიერკავკასიის რკინიგზის ტარიფი მთავრობის ხელში შეიძლება გახდეს რუსეთის სპარსეთთან ვაჭრობის ინტერესების დაცვის საიმედო საშუალება, რადგან მას შეიძლება მივანიჭოთ ბაჟის დასადებად აკრძალული გადასახადების თანაბარი მნიშვნელობა, რაც არავითარ რეპრესიებსა და საყვედურებს არ გამოიწვევს, რასაც ჩვეულებრივ იწვევს გადასახადის გაზრდის ანდა ტრანზიტის აკრძალვა. ამიერკავკასიის რკინიგზაზე მაღალი ტარიფის შემოღება იმ უცხოური საქონლისათვის, რომელიც ხელს უშლის სპარსეთის ბაზრებზე ჩვენი საქონლის გასაღებას, ისეთივე მფარველობა იქნებოდა ჩვენი მრეწველობისათვის როგორიც ტრანზიტის გადასახადით დაბეგვრა ან მისი მთლიანად აკრძალვა. ტარიფს ამ შემთხვევაში გადასახადთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ ამ უკანასკნელზე უკეთ ახერხებს ვაჭრობის მოძრაობის რეგულირებას და შეიძლება მისი დღიდან დღემდე შეცვლა იმისდა მიხედვით, თუ საით მიემართება ჩვენი და უცხოური საქონელი. როგორც ზემოთ გავარკვიეთ, ტარიფის გაზრდით არ შეიძ-

ლება ამჟამად სპარსეთის ბაზრების დახურვა განსაკუთრებით ძვირფასი უცხოური ტვირთისათვის, ისეთისათვის, როგორიცაა აბრეშუმის ნაწარმი, მანუფაქტურა და შაქარი. იმგვარი ტვირთის ღირებულება, ერთი ფუთი 200,60 და 6 მანეთი რომ ღირს, ანატოლიის გზით ერთი ფუთის გადაზიდვა შეიძლება გაიზარდოს 60-90 კაპიკით და, როგორც ზემოთ განვაცხადეთ, ამას არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს: სპარსეთის ბაზრებზე ისინი მაინც შეუდარებლად იაფი დაჯდება, ვიდრე იმავე სახის რუსული ნაწარმი. მაგრამ, რაც შეეხება ნაკლებად ძვირფას საქონელს, რაც ჩვენი საქონლის სპარსეთში გატანის უმნიშვნელოვანესი პუნქტია, აქ კი უნდა შევძლოთ და გავატაროთ კიდეც ჩვენი ინტერესების დამცველი ღონისძიებები, მით უმეტეს, რომ ამ მხრივ ანატოლიის გზა ჩვენთვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს. ეს იაფფასიანი საქონელი, რომელიც მსგავსად რკინისა, ერთი ფუთი 2-დან 3 მანეთამდე ღირს, ვერ გაუძლებს მათი გადაზიდვისათვის 20-30 კაპიკის მომატებასაც კი, რადგან ამგვარი მომატების შემდეგ საქონლის ღირებულება სამომხმარებლო ბაზარზე უკვე 10 %-ით გაიზრდება, ასეთი საქონლისათვის ანატოლიის ტრანზიტი მეტისმეტად ძვირია და სპარსეთში მხოლოდ ამიერკავკასიის რკინიგზის გაიაფებული გადაზიდვის წყალობით თუ შეაღწევს. ამ თვალსაზრისით და მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეიძლება ზემოდასახელებული რკინიგზის გაყვანა არახელსაყრელიც კი იყოს ჩვენი საგარეო ვაჭრობისათვის, რადგან უცხოურ საქონელს, კონკურენციას რომ გვინევს, შესაძლებლობას მისცემს იაფად შეაღწიოს სპარსეთის ბაზრებზე. ეს კი ჩვენს საგარეო ვაჭრობას დააზარალებს. ასეთი ტვირთის გადაზიდვის გაზრდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე იმ დონემდე, თბილისსა და ბაქოს შორის საქონლის ახლანდელი გადაზიდვის ღირებულების შესაბამისი რომ იქნება, ჩვენს საგარეო ვაჭრობას ისეთსავე ხელსაყრელ მდგომარეობას შეუქმნიდა ტრანზიტის თვალსაზრისით, როგორიც მას აქამდე ჰქონდა და როგორც ზემო მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, სრულიად არ შეუშლიდა ხელს მის სწორად და სწრაფად ზრდას. ამ მხრივ საკმარისი იქნება გამოუკლებლივ ყველა სატრანზიტო ტვირთის გადასაზიდად შემოვიღოთ I კლასის ტარიფი—1.8 მანეთი ერთ ფუთსა და ერთ ვერსზე ფოთიდან ან ბათუმიდან თბილისამდე და დაახლოებით ფუთზე I მანეთი მთელი გზის მანძილზე თბილისიდან ბაქომდე.

ფინანსური და სავაჭრო თვალსაზრისით ასეთი ღონისძიებების გატარება ტრანზიტის დიდი მფარველობითი გადასახადით დაბეგვრის ტოლფასოვანი იქნება და ამ გზით თითქმის ყველა იაფფასიანი უცხოური ტვირთის გადაზიდვის გაუქმებას უდრის. ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით ამ ღონისძიებების მოხერხებულობა და უპირატესობა დამტკიცებასაც კი არ საჭიროებს.

ტრანზიტის საკითხის ამგვარი გადაწყვეტის შემთხვევაში ჩვენი სპარსეთთან ვაჭრობის ინტერესები იმდენად იქნება უზრუნველყოფილი, რამდენადაც ეს შესაძლებელი და მისაღწევია, ყოველ შემთხვევაში, უცვლელი დარჩება ის ხელსაყრელი მდგომარეობა, ამჟამად რომ გვაქვს. ამავე დროს, ადგილობრივი მოსახლეობისა და მთავრობის არსებითი ინტერესები ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გარანტირებული იქნება ამიერკავკასიის რკინიგზის მიერ და არ მივუტანთ მათ მსხვერპლად რუსეთის ვაჭრობის საეჭვო ინტერესებს, რომელიც სინამდვილეში ვერაფერს ვერ მოიგებს ტრანზიტის მთლიანად აკრძალვით.

ზემოთქმული მიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საფუძველს აძლევს მივიდეს შემდეგ დასკვნამდე:

1. ტრანზიტი იმ სახით, როგორითაც ამჟამად არსებობს, არავითარ ზიანს არ მიაყენებს რუსეთის ვაჭრობას.

2. ამიერკავკასიის ტრანზიტის აკრძალვა და მისი დიდი მფარველობითი გადასახადით დაბეგვრა სპარსეთთან ჩვენს საგარეო ვაჭრობას კი არ გააძლიერებს, არამედ გაზრდის სატრანსპორტო მოძრაობას ტრაპიზონიდან არზრუმისა და თავრიზისაკენ.

3. რკინიგზის ბაქოს მონაკვეთის გახსნის შემდეგ ამიერკავკასიის რკინიგზის ყოველნლიური შემოსავალი იქნება 400 ათას მანეთზე მეტი.

ამავე თანხითვე შემცირდება ამ რკინიგზის აქციებისა და ობლიგაციებისათვის ფულადი დანამატი.

4. ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებიც ეწევიან სატრანზიტო ტვირთის გადაზიდვას თბილისიდან თავრიზში, გამოიმუშავებენ 200 ათას მანეთს.

5. რუსეთის ინტერესების დასაცავად, რკინიგზის ბაქოს მონაკვეთის გახსნის შემდეგ, თუ ეს საჭირო აღმოჩნდება, გადაზიდვის ხარჯები ყველა სატრანზიტო საქონლისათვის ფოთიდან თბილისამდე უნდა იყოს 1.8 მან. ერთ ფუთსა და ერთ ვერსზე, ხოლო თბილისიდან ბაქომდე—1 მანეთი გზის მთელს მონაკვეთზე.

90. უნებლიე მებრძოლები

(ვსევოლოდ გარშინი. მოთხრობები. სპბ., 1882 წ.)

როგორც მთელი რუსეთის სინამდვილე, ისე ჩვენი ბელეტრისტიკაც მძიმე პერიოდს განიცდის. გარდასულ დღეთა დიდმა მხატვრულმა ტალანტმა უმეტეს წილად თქვეს თავიანთი სათქმელი. მხოლოდ ორ ან სამ კაცს არ დაშრეტია ჯერ კიდევ ცოცხალი შთაგონების წყარო. დანარჩენების ხმა კი, ყველასათვის ცხადია, ვეღარ იქუხებს მშობლიური მიწის ერთი კუთხიდან მეორემდე. მომდევნო ეპოქების მხატვრებმა კი თავიანთი ჩანგი პუბლიცისტის მახვილში გაცვალეს, დამწყებები მხოლოდ ახლა იყენებენ ხმებს. მკითხველი საზოგადოება, რომელმაც თითქმის ყველა ძველი ღმერთი დაკარგა და ვერ მოასწრო მათი ახლით შეცვლა, გაურკვეველ მდგომარეობაშია და ხშირად არ იცის, რას მიაპყროს ყური და ვისი ისმინოს. ყველა ბუნდოვნად გრძნობს, რომ დროა ბოლოს და ბოლოს გამოჩნდეს ახალი შემოქმედებითი ძალა, გოგოლის თანაბარი, რომელიც ლიტერატურის წინაშე გადაშლის ახალ ჰორიზონტებს, უჩვენებს მას ახალ გზებს, შექმნის ნათელ სურათებს, ტიპებსა და საღებავებს ჩვენი საზოგადოებისა და ხალხის ახლანდელი, უახლესი ბედის, ტკივილისა და მისწრაფების მაღალმხატვრული ხორცშესხმისათვის. ასეთი განმაახლებლის მოლოდინში საზოგადოება ცნობისმოყვარეობით აკვირდება ლიტერატურის ასპარეზზე გამოსულ ცოტად თუ ბევრად თვითმყოფი ნიჭისა ან თუნდაც ჯერ გაუხუნებელი შთაბეჭდილების ზომიერი მარაგის მქონე ყოველ ჭაბუკურ სახეს იმ იმედით, რომ მასში დაინახავს ლიტერატურულ მესიას, „ჩვენი დღეების გოგოლს“, მაგრამ რადგან გოგოლები ხშირად არ იბადებიან, ამიტომ ბევრი ახალგაზრდა ბელეტრისტისაგან თითქმის გულისწყრომით, მაშინვე პირს მიიბრუნებენ ხოლმე და საქვეყნოდ გაიძახიან, რომ მან „ვერ გაამართლა მასზე დაკისრებული იმედები და სასოება“. არც კი ღირს სათქმელად, რომ თავდაპირველად ასეთი აღტაცება, ხოლო შემდეგ გაბიაბრუება—ორივე ერთგვარად დაუმსახურებელი—ხელს უწყობს უაზრობას, რაც ღმერთმანი, უამისოდაც ძლიერაა მომძლავრებული ჩვენს ლიტერატურაში.

როგორც დამწყები ბელეტრისტი, უფ. ვსევოლოდ გარშინი, ცხადია, ვერ გაექცეოდა ამგვარ საერთო ხვედრს. მკვეთრსა და

თავისებურ შთაბეჭდილებას, რომელიც მან დატოვა თავისი პირველი ნარკვევით „ოთხი დღე“, მით უფრო ძლიერ უნდა ემოქმედა მისდამი საზოგადოების დამოკიდებულებებზე, რადგან ეს შთაბეჭდილება მის შემდგომ მოთხრობებს სრულიადაც არ დაუჩრდილავთ. მიუხედავად ამისა, უფ. გარშინი თავის ტოლთა შორის უბედნიერესი აღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში იმითი მაინც, რომ მართალია, მან საზოგადოების მოლოდინი ვერ გაამართლა, მაგრამ მის მიმართ აღძრული სიმპათია მაინც არ გამქრალა. მართალია, გარშინში მომავალი გოგოლის ჩანასახს აღარა ხედავენ, მაგრამ მაინც უყვართ და კითხულობენ, კითხულობენ ყურადღებითა და ხელმეორედაც კი უბრუნდებიან. ეს კი ჩვენი დროის ბელეტრისტისათვის არცთუ ისე უბრალო და არცთუ ისე უმნიშვნელო საქმე გახლავთ...

მკითხველი საზოგადოების სიმპათიები უფ. გარშინის თხზულებებისადმი ადვილად აიხსნება ამ მწერლის ჭეშმარიტი ნიჭით. როცა მის მოთხრობებს კითხულობთ, უნებურად იმსჭვალებით სწორედ იმ ნერვული განწყობილებებით, რომლის გავლენითაც არიან ისინი შეთხზულნი. ხასიათის ამგვარი შესაბამისობა შეიძლება გამოწვეული იყოს მხოლოდ მართალი და უეშმაკო, ნამდვილი შთაბეჭდილებებით. წერის ნიჭი აქ სრულიად არაფერ შუაშია. რა ოსტატობითაც არ უნდა აგვიწეროს მან გამოგონილი შეგრძნებები, რა მოხდენილადაც არ უნდა გამოიყენოს სხვების, თუნდაც გენიალური მწერლების, ხერხები, მაინც ვერ შეძლებს მკითხველში გამოიწვიოს არა მხოლოდ ცხოველი ანარეკლი, არამედ —უბრალო თანაგრძნობაც კი ამ შეგრძნებისადმი. მხოლოდ ავტორის მიერ ნამდვილად გააზრებული ფიქრები აღძრავენ მკითხველთა გონებას და მხოლოდ ნამდვილად განცდილი სულის მოძრაობა გაათბობს მათ გულებს. სწორედ ამგვარი საზოგადოების ნერვებზე მოქმედებს ის შთაბეჭდილებანი, რომელნიც მწერალს ნამდვილად განუცდია. ეს იმდენად მართალია, რომ ნამდვილი შეგრძნება, სრულიად უგერგილოდ აღწერილიც კი, ყოველთვის შეუდარებლად უფრო დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს, ვიდრე გამოგონილი ვნებების, ბრჭყვიალა, თითქოსდა ეფექტური გამოხატვა. სწორედ ეგ არის მართალი ესკიზების წარმატებისა და უკვდავების საიდუმლოება და, პირიქით, სულის უილაჯობით ოსტატურად შეფერადებული ძლიერ ბევრი თხზულების ეფემერუ-

ლობა. ამ თვალსაზრისით უფ. გარშინს ვერაფერს დასწამებთ. იგი წერს მხოლოდ ისეთ შეგრძნებებზე, რომელნიც მის მიერ სათუთად არის ნაგრძნობი და განცდილი, რომელთაც იგი კარგად და საფუძვლიანად იცნობს.

ამ მხრივ უფ. გარშინს ახასიათებს კიდევ ერთი ღირსება. მხედველობაში გვაქვს მისი თვისება გრძნობების ხატვისა: იგი მხოლოდ ერთხელ შეეხება მის მიერ ნამდვილად განცდილ სულის რაიმე მოძრაობას, არ ცდილობს კიდევ და კიდევ დაუბრუნდეს მას და დაქანცოს მკითხველი ერთი და იმავე შეგრძნების დაუსრულებელი ვარიაციებით. ერთი სიტყვით, არ ცდილობს მისგან ყოველი ეფექტის გამოწურვას, როგორც ამას ხშირად აკეთებდა განსვენებული ფ.მ. დოსტოევსკი ვ. გარშინი მხოლოდ რამდენიმე მკვეთრი ხაზით მოხაზავს მთავარ კონტურებს და განაგრძობს გზას... „გრძნობათა ანალიზი", ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, სანაქებო რომ არის. მაგრამ ამით მწერლები, სამწუხაროდ, ხშირად დანაშაულს სჩადიან, დაუსრულებლად რომ იქექებიან არაფრისმთქმელ წვრილმანებში. მოსათმენია და შეიძლება კიდეც მოინელო ასეთი ქექვა, როცა საქმე ეხება ბუნებით ტკბობას და ამ ტკბობის სხვადასხვაგვარ დელიკატესებს: თუმცა საბოლოოდ ესეც გულისამრევია. სხვა საქმეა, როცა მწერალი არ კმაყოფილდება გულის ამა თუ იმ სატკივარის ფხიზელი და მართალი აღწერით და ცდილობს მთლიანად გადმოგიშალოთ პერსონაჟის სული. აქ იგი, უბრალოდ, მკითხველის ნერვებზე მოქმედებს. ცხადია, არც ერთი მოხერხებული და გონიერი ექიმი თავს უფლებას არ მისცემს ასე დატანჯოს ავადმყოფი. რაც უფრო ნიჭიერი და მცოდნეა იგი, მით უფრო სწრაფად ადგენს თავის დიაგნოზს, ეხება რა მხოლოდ სიმპათიებსა და დამახასიათებელ წვრილმანებს. დაუსრულებელი ქექვა მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო წვრილმანში, ერთსა და იმავე ავადმყოფობაზე სხვადასხვა ყაიდაზე დაუსრულებელი ლაპარაკი არც ექიმის საქმეა და არც მწერლისა, ასე შეიძლება მოიქცეს დასუსტებული პაციენტი, რომელსაც აზრიანად ვერ ჩამოუყალიბებია თავისი მტკივნეული შეგრძნებებიც კი. ალბათ, ზედმეტია დავძინოთ, თუ რამდენად ეწამება ამ ნაკლით ჩვენი „ანალისტების" უდიდესი ნაწილი, რომელიც გულმოდგინედ სწავლობს ფსიქოლოგიურ, უფრო ზუსტად ფსიქიატრიულ ეტიუდებს. მათ შორის უფ. გარშინი უაღრესად სასიამოვნო გამონაკლისია. რასაკვირველია,

რამდენადმე ამითაც აიხსნება წარმატება მისი ნარკვევებისა, რომლებიც მეტად ძუნწობენ გამეორებებისა და წვრილმანების ხმარებაში.

მაგრამ მხოლოდ ეს თვისება როდი განასხვავებს ჩვენს ავტორს ლიტერატურულ თანამოძმეთაგან. მას შეუდარებლად უკეთ ემარჯვება თავისი აზრების კაშკაშა ფორმაში მოქცევა, რაც ადვილად იჭრება მეხსიერებაში და დიდხანს რჩება მასში. იგი უშურველად ფლანგავს თავისი მოთხრობების თითქმის ყოველ გვერდზე ნამდვილ მხატვრულ სილამაზეს, რაც მის ლიტერატურულ ტალანტზე მეტყველებს. გამოსახულებათა ორიგინალურობა, სიმჭიდროვე, მკაფიოობა და რელიეფურობა, მის მოთხრობებს სრული თვითმყოფობის ბეჭედს ასვამს. ეტყობა, რომ აქ უმუშავია არა გრავიორის სუსტ, მთრთოლვარე საჭრეთელს, არამედ მძლავრ წნეხს, რომლის თითოეული დაწოლა თითო მედალიონს ტვიფრავს. უფ. გარშინის მოთხრობებიდან ქვემომოყვანილ ამონაწერებში მკითხველები ცოტას როდი ნახავენ ისეთს, რომელნიც თავიანთ თავზე თვითონ მეტყველებენ და სულაც არ ესაჭიროებათ ქებადიდება. ამიტომ აღარ გავაგრძელებთ საუბარს უფ. გარშინის ლიტერატურული ნიჭის ამ მხარეზე. გადავიდეთ მისი ჩანგის სხვა სიმებზე, რომელნიც, აგრეთვე, იშვიათია ჩვენს თანამედროვე ლიტერატურაში.

შეიძლებოდა ბლომად მოგვეტანა უფ. გარშინის ლირიზმის ძალის, მისი ლირიკულ გულისთქმათა შესანიშნავი ნიმუშები, თავისი გულწრფელობით რომ იტაცებენ თანამედროვე მკითხველსაც კი, ვისაც დიდი ხანია ყოველგვარი გატაცების უნარი გაჰქრობია და დაბეჩავებია ჩვენი პრესის ფრთაშეკვეცილობის გამო. ასეთ ლირიკულ გულისთქმაზე, საკმაოდ კარგად მეტყველებს ალალბედზე აღებული შემდეგი ნაწყვეტიც, მხატვარი მიმართავს მის მიერვე შექმნილ მუშის სახეს:

„მე შენ გამოგიწვიე არა რომელიმე „სფეროდან", არამედ შეხუთული, ბნელი გამოქვაბულიდან, რომ შენი საშინელი შესახედაობით შეაძრწუნო ეს წმინდა, გადასლექილი, საზიზღარი ბრბო. მოდი, ტილოზე მიჯაჭვულო, გადმოხედე ამ ფრაკებსა და ტრენებს და შესძახე მათ: მე მზარდი იარა ვარ! შიგ გულში დაუმიზნე, დაუკარგე მოსვენება, დადექ მათ თვალთა წინ აჩრდილად! მოჰკალ მათი სიმშვიდე, როგორც მოჰკალი ჩემი"... (გვ. 145).

ეჭვს გარეშეა, ჩვენი პრესის პირობები სრულიადაც არაა ხელის შემწყობი ასეთი ლირიზმის გამოსამჟღავნებლად. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ასეთი ძალის მქონე მწერალი ხშირად იძულებულია შემოქმედების პირველყოფილ ფორმებს მიმართოს და თავისი ძალა შედარებებისა და ალეგორიების თავისუფალ თამაშში გამოამჟღავნოს. თუ რამდენად მოხდენილია აქაც მისი მცდელობა, შეიძლება ვიმსჯელოთ შემდეგი ნაწყვეტის მიხედვით უფ. გარშინის ალეგორიული ნაწარმოებიდან „attlata princeps".

„სქელი, გამჭვირვალე მინის მიღმა დატყვევებული მცენარეები მოჩანდნენ. მიუხედავად სათბურის სიდიდისა, ისინი ვიწროობაში იყვნენ. ფესვები ერთმანეთში გადახლართოდათ და ერთურთს ნესტსა და საკვებს ართმევდნენ. ხეების ტოტები შერთული იყვნენ პალმების უზარმაზარ ფოთლებში, ღუნავდნენ და ამტვრევდნენ მათ, თვითონ რკინის ჩარჩოზე დაყრდნობილი იღუნებოდნენ და იმტვრეოდნენ. მებაღეები განუწყვეტლივ ჭრიდნენ ტოტებს, ფოთლებს მავთულებით აბამდნენ, რათა ისე არ გაზრდილიყვნენ, როგორც მათ სურდათ, მაგრამ ეს ვერას შველოდა. მცენარეებს სურდათ ფართო არე, მშობლიური კუთხე და თავისუფლება. ისინი ცხელი ქვეყნების ნაშიერნი იყვნენ, ნაზნი, მშვენიერი ქმნილებანი, მათ ახსოვდათ თავიანთი სამშობლო და ნაღვლობდნენ მასზე. რაც არ უნდა გამჭვირვალე იყოს მინის სახურავი, იგი მაინც ცა არ არის. ზოგჯერ ზამთარში მინებს ჭირხლი მოედებოდა: მაშინ სათბურში უკუნი ჩამოწვებოდა. გრიალებდა ქარი, ეხლებოდა ჩარჩოებს და აიძულებდა ხეებს ეკანკალათ. სახურავი ნამქერით იფარებოდა. მცენარეები იდგნენ და უსმენდნენ ქარის ღმუილს, და აგონდებოდათ სხვაგვარი ქარი, თბილი, ნოტიო, მათთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მომცემი... და მათ სურდათ კვლავ ეგრძნოთ მისი ქროლვა, უნდოდათ, რომ მას დაერხია ტოტები, ეცელქა მათ ფოთლებთან. მაგრამ სათბურში ჰაერი უძრავად იდგა: მხოლოდ ზოგჯერ ზამთრის ქარიშხალი მინას ჩაამსხვრევდა და მძაფრი, ჭირხლიანი, გაყინული ნაკადი შემოიჭრებოდა თაღებქვეშ".

თავისთავად იგულისხმება, რომ ჩამოთვლილი ნიშნებით ხასიათდება მწერლის მხოლოდ მხატვრული ნიჭის გარეგნული მხარე. მაგრამ მწერალს მხოლოდ ხატოვანება, ფერთა სიმრავლე და ლირიზმის ძალა ხომ არ ქმნის. ჩვენი ლიტერატურა, როგორც

ცნობილია, ისეთი მწერლების ნაკლოვანებას არ განიცდის, რომელნიც თამამად და მხატვრულად აღწერენ ბუნების საოცრებებს, ხასიათთა უცნაურობას ან ვნებათა ღელვას, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს მხატვრულ ნიჭს. უბედურება ისაა, რომ ეს მწერლები უმეტესად სურათოვნად და ოსტატურად გამოხატავენ ანეკდოტურ შემთხვევებს და არ შეუძლიათ ხელი მოჰკიდონ ტიპურ მოვლენებს, რომელნიც თანამედროვე ცხოვრების სახეს აჯამებენ. მხოლოდ იმით კი არ არის ძვირფასი და მნიშვნელოვანი მხატვრული სახე, რომ იგი მკვეთრი და ნათელია, არამედ—უმთავრესად იმით, რომ მას რეალურ პირთა და მდგომარეობათა სიმრავლე მოერგება, რომ იგი გამოიყენება ტიპად, ერთგვაროვან ხასიათთა ან მოვლენათა უდიდესი უმრავლესობისათვის. საერთოდ ძველის გამეორება რომ არ გამოგვივიდეს, დავსძენთ, რომ რეალურ პირთა და მოვლენათა რაც უფრო უდიდესი რაოდენობა მოერგება მხატვრულ სახეს ან ტიპს, მით უფრო ძლიერია მხატვრის შემოქმედებითი შესაძლებლობა და მხოლოდ ეს შემოქმედებითი უნარია მწერლის ლიტერატურული მნიშვნელობის საწინდარი. თუ უფ. გარშინის ნაწარმოებებს ამ მხრით მიუდგებით, შევამჩნევთ: იგი გვიხატავს არა ზებუნებრივ კურიოზებს, არა საოცარ თავგადასავლებს, არამედ მთელ რიგ ისეთ მოვლენებს, რომელიც უკანასკნელ წლებში, საუბედუროდ, გახშირდა და ამით უეჭველად საზოგადო ხასიათი მიიღო. უფ. გარშინმა შეძლო ლიტერატურის საკუთრებად ექცია ტიპი, რომელიც ნამდვილად წარმომადგენელია სხვადასხვაგვარ ადამიანთა მასისა, რომელიც ყველა ფენასა და რუსეთის თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება—ესაა ტიპი ადამიანთა, რომელნიც აღსავსენი არიან „შინაგანი განხეთქილებებით“ და საკუთარ თავთან ბრძოლისას წელში წყდებიან.

რასაკვირველია, არახალია ამ „განხეთქილების“ ხასიათისა და გამოვლინების დახატვის ცდა. ჩვენს ლიტერატურას უფ. გარშინამდეც არაერთხელ დაუყენებია ასეთი ამოცანა საკუთარი თავის წინაშე; ჯერ კიდევ ორმოციანი წლებიდან გამოჩნდა ნარკვევები, მოთხრობები, რომანები, რომელთა სიუჟეტი ეპოქის საუკეთესო ადამიანების „გარემოსაგან შეჭმის“ აღწერაში, ამ ხალხის ილაჯის განყვეტასა და ბრძოლის გამოსახვაში და ა.შ. მდგომარეობდა. მაგრამ ჩვენი თანამედროვე ეპოქის ადამიანები ამ განხეთქილებას სხვაგვარად ხედავენ, ვიდრე ორმოციანი ან სა-

მოციანი წლების ადამიანები. განხეთქილების გარეგანი გამოვლინებანი უკვე ისეთი არაა, რაც ადრე იყო, და გამოსავალიც არცთუ ისე უფერულია. ორმოციანი წლების ადამიანებმა იცოდნენ და შეეძლოთ წასვლა უსიამო სინამდვილიდან წმინდა აზროვნებისა და იდეალის სფეროში,—თუ რატომ, ამას ქვემოთ ვნახავთ, შეეძლოთ და იცოდნენ ამ გზით „ცხოვრებასა და საკუთარ თავთანაც მორიგება". სამოციანი წლების ადამიანები უმეტესწილად სცენიდან აღგვილი იქნენ მათი ეპოქის ქარიშხლის მიერ; გადარჩენილებს კი მოუხდათ ან წინამავალი ოცწლეულის გმირთა გზით წასულიყვნენ ან ჩამოსცილებოდნენ იდეალებს და მამაპაპური ჩვეულებით ეცხოვრათ. ახლანდელ ადამიანებს კი მცირე შესაძლებლობაც არ გააჩნიათ, რათა თავის იდეალში ლოკოკონასავით შეძვრნენ, არ შეუძლიათ არც სულმოკლედ მასზე ხელის აღება. თვით სინამდვილე არ აძლევთ მათ ნებას არა მარტო მისგან განცალკავებისა, არამედ მასთან შერიგებისაც. გინდა თუ არა, უნდა ებრძოლო მას, რა მძიმეც არ უნდა იყოს ეს ბრძოლა. განხეთქილება გამწვავდა და მან ჩაითრია არა მხოლოდ „ეპოქის საუკეთესო ადამიანები", არამედ თითქმის მთელი თაობა. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ უმრავლეს შემთხვევაში იგი მიდის წელის მოწყვეტამდე, რითაც ადრე იშვიათად ან სულაც არ ბოლოვდებოდა საქმე. თავის ნარკვევში უფ. გარშინი არ ეხება საქმის იმ მხარეს, რასაც ადრინდელი ლიტერატურის მოღვაწენი აღწერდნენ. იგი იწყებს იმ ადგილიდან, სადაც დამთავრდა წინამავალი პერიოდის თხრობა. მის მოთხრობებში ჩვენ ვხედავთ განხეთქილების განვითარების მხოლოდ უკანასკნელ ფაზას, როცა „ყველაფერი უკვე დამთავრებულია", წელში განყვეტა აუცილებელია და გმირს ისღა დარჩენია—რევოლვერს მოჰკიდოს ხელი და თავი მოიკლას. ამიტომაც ჩვენ ვხედავთ უკვე წელში განყვეტილ პიროვნებას, სამი მეოთხედით პარალიზებულს. სამაგიეროდ, ამ უკანასკნელ ფაზას, ამ განადგურებულ პიროვნებას, მის გრძნობებსა და მღელვარებას ვეცნობით სრულად, ღრმად, ყოველმხრივ. ნაკლული სიტყვა, გაურკვევლობა, ცალმხრივობა ერთი მოთხრობისა შევსებულია დანარჩენთა სახელებით, საბოლოოდ კი გამოდის მთლიანი, დასრულებული სურათი თანამედროვე საზოგადოების სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი საყურადღებო მოვლენისა.

მხოლოდ ამ ერთი ტიპის გამოხატვაში გამოჩნდა ჯერჯერობით უფ. გარშინის მხატვრული ნიჭიერების შემოქმედებითი მხარე. მისი მთავარი გმირები, თითქმის ყველა გამოუკლებლად, მიდიან მის ერთადერთ ტიპთან, რომლის გვერდით ჩვენ ამაოდ დავუწყებდით ძებნას სხვა, განსვენებულ ტიპს. მხოლოდ მოთხრობა „შეხვედრაში" ცდილობს ავტორი გააკეთოს მონახაზი მოწინააღმდეგე ტიპისა, ადამიანისა, რომელსაც დაუძლევია შინაგანი განხეთქილება. მაგრამ ნახატი არ გამოვიდა. იგი კარიკატურას დაემსგავსა. საერთოდ კი ავტორის მთელი ცდა მიმართულია გმირის სულიერი განწყობილების რაც შეიძლება ნათლად გამოსახვისაკენ, ამიტომ მის გვერდით დაყენებული ყოველი ადამიანი მხოლოდ ამ ამოცანას ემსახურება. მაგრამ ეს ადამიანები არა მხოლოდ ტიპური არ არიან, არამედ ფიქციის მთლიანობაც კი აკლიათ. ეს სხვა არა არის რა, თუ არა განსახიერებული კონტრასტი, არგუმენტი „საწინააღმდეგოსი", რომელსაც გააჩნია მხოლოდ დიალექტიკური და სრულიადაც არა სასიცოცხლო მნიშვნელობა. უფ. გარშინის თხზულებებში ასეთი კონტრასტების გამეფება მოთხრობათა სიუჟეტებისა და სარჩულის მონოტონურობასთან ერთად უნებურად ბადებს კითხვებს, რომლებიც ავტორის ნიჭის შეფასებისას სულაც არაა უმნიშვნელო. განა ამდენადაა გატაცებული უფ. გარშინი თავისი მთავარი ტიპით, რომ სხვას ვეღარაფერს აკვირდება და თანამედროვე ცხოვრების სხვა არცერთ წარმომადგენელს აღარ უცქერის? ან იქნებ მთელი მისი შემოქმედებითი ძალა ამოიწურა ერთი ტიპით და გზის განგრძნობის ძალა აღარ გააჩნია? ამის შესახებ ლაპარაკი ნაადრევიცაა და ძნელიც. მხოლოდ უფ. გარშინის მომავალი მოღვაწეობა გასცემს შეუმცდარ პასუხს ამგვარ კითხვებს...

როგორც არ უნდა იყოს, უფ. გარშინის მიერ მრავალმხრივ გამოხატული ტიპი თავისთავად იმსახურებს კრიტიკის სერიოზულ ყურადღებას. ამიტომაც შევეხოთ პირობებს, რომელნიც მოქმედებენ მის განვითარებასა და ბედზე. ამ ტიპის ხასიათის ღირებულებისა და ნაკლოვანებათა დაწვრილებით განხილვა, წინმავალი ეპოქათა გმირების თეორიებთან შედარებით, მით უფრო დროულია, რომ შესაძლებლობას გვიქმნის ჩავიხედოთ ჩვენი ცხოვრების თავისებურებებში და გავიგოთ ჩვენთვის საინტერესო მოვლენები. ორმოცი წლის წინ ჯერ კიდევ შეეძლო ერთმანე-

თის გვერდით ყოფილიყვნენ—თუმცა არც ავად და არც კარგად თანასწორუფლებიანობის თეორია და ბატონყმობის პრაქტიკა. განხეთქილება ამ „წინააღმდეგობათა“ შორის შეიძლებოდა განვითარებულიყო მხოლოდ საზოგადოების ზრდის პარალელურად. რაც უფრო მტკიცდება ცხოვრების ანომალიების აცილების შესაძლებლობის შეგნება, რაც უფრო იდეალური ბუნების მქონეთა დიდი რაოდენობა ჩაებმება მასთან ბრძოლაში, მით უფრო ძლიერ მოქმედებს დანარჩენ მასაზე ყოველი ახალი ანომალიის დანახვა და მით უფრო მძიმე ხდება ყველასათვის მისადმი გულგრილი დამოკიდებულება. სრულიადაც ერთგვარ შთაბეჭდილებას არ ტოვებდა, მაგალითად, მეხის დაცემით ცეცხლმოკიდებული ადამიანის ნახვა ასი წლის წინათ და გუშინ. მაშინ ყველაფერი ღვთის ნებას მიეწერებოდა, ახლა კი, მგონია, რაც უფრო მეტი გვექნება მეხამრიდი, მით უფრო ნაკლები იქნება სიკვდილიანობა. მათრახის ქვეშ მოკლული გლეხის გვამი ათასჯერ უფრო ძლიერ აღგვაშფოთებდა, ვიდრე აღაშფოთებდა ოცდაათიოდე წლის წინ ჩვენს მამებს. ამიტომ გასაგებია, რომ განხეთქილებას „ჭეშმარიტებასა“ და „სინამდვილეს“ შორის შეუდარებლად ნაკლებ ცხარე ხასიათი ჰქონია ორმოციან წლებში, ვიდრე ახლა აქვს. თავისუფლებისა და თანასწორობის ნათელ იდეალებსა და ჩვენს ირგვლივ არსებული სინამდვილის უმსგავსობას შორის, რაც თავისთავად მწყობრ, მიუკარებელ მთლიანობას წარმოადგენს, არსებობდა ნაპრალი, რომელზეც წარმოსახვითაც კი ძნელი იყო ხიდის გადება, არამცთუ სინამდვილეში. ამიტომ ორმოციანი წლების ადამიანები ოცნებასაც ვერ ბედავდნენ იდეალებისა და სინამდვილის შეთანხმებაზე, რაკიღა ეს სინამდვილე მათ არ აწვებოდა, ამიტომ ადვილად შეეძლოთ მისგან შებრუნებულიყვნენ და თავიანთი იდეალების სახელით იგი პლატონურად უარეყოთ. ამასთან, გავიხსენოთ იმ ხალხის პრივილეგიური მდგომარეობა, რომელიც მას ათავისუფლებდა სინამდვილესთან მწვავე შეტაკებებისაგან. გავიხსენოთ აგრეთვე, რომ იმავე ეპოქის ადამიანები, ბ.გ. ბელინსკის მსგავსად საარსებო გაჭირვებისაგან დაუხსნელნი, არ იფარგლებოდნენ იდეალების პლატონური გაღმერთებით, არამედ სინამდვილესთან გაცხარებულ „სამკვდრო-სასიცოცხლო“ ბრძოლას აჩაღებდნენ. რამდენადაც დასაჯერებელი და შესაძლებელი ხდებოდა იმდროინდელი ინტელიგენციის უმრავლესობის თვალში

ბატონყმობის გაუქმება, რაც უფრო ჩნდებოდნენ ისეთი მებატონეები, რომელნიც პოულობდნენ საშუალებას ჭეშმარიტება მოერიგებინათ სინამდვილესთან გლეხების მიწიანად განთავისუფლებით, მით უფრო გულის გამაწვრილებელი, გამწარებული და აუტანელი ხდებოდა ორმოციანი წლების ადამიანების მდგომარეობა და ღმერთმა იცის, რა უკიდურესობამდე მივიდოდა მათში „შინაგანი განხეთქილება", თვით ხელისუფლებას რომ არ გამოეხსნა უბედურებისაგან სარედაქციო კომისიის მოწვევის აქტით. ჩვენი ეპოქის ადამიანები კი ორმაგად უბედურნი არიან: ისინი არ ხედავენ დახმარებას გარედან და არ გააჩნიათ სულ მცირე შესაძლებლობაც კი. სინამდვილიდან იდეალების ეთეროვან სამყაროში გადაბარგდნენ. მათ არ შესწევთ უნარი არც ამ სინამდვილის ყველა საზიზღარ მხარეში ჩახედვისა, არ შეუძლიათ არც მასთან დაახლოვება იმიტომ, რომ იგი მათ ხშირად აწუხებს. ისინი სიამოვნებით გაეცლებოდნენ მას, ცხრა მთას იქით ჩაიკეტებოდნენ თავიანთ თავში, სადღაც კუნჭულში შეიქმნიდნენ საარსებო სივრცეს თავიანთი იდეალების მიხედვით, ოღონდ კი მათ სინამდვილეში არ შეეხებოდა, არ მოეხვია მათთვის თავზე თავისი სიმწარე და თავისი სიცრუით, თავისი უმსგავსოებით არ ენამებინა. მაგრამ გასაცლელი გზა არაა, თავშესაფარი არაა, მისი ყოვლად ძლიერი ხელისაგან მხსნელი არაა. აი, რას ამბობენ ამის შესახებ უფ. გარშინის გმირები:

„მე თვინიერმა, გულკეთილმა ახალგაზრდა კაცმა, აქამდე ვიცოდი მხოლოდ ჩემი წიგნები, აუდიტორია, ოთახი და კიდევ რამდენიმე მახლობელი ადამიანი. ორი წლის წინათ განვიზრახე სხვაგვარი სამუშაოს დაწყება, შრომა სიყვარულისა და სიმართლისა, მე ბოლოს და ბოლოს მიჩვეული ქვეყნის ობიექტურ ჭვრეტას, მიჩვეული მის გათვალისწინებას, დარწმუნებული, რომ ყველგან ვხედავ მის ბოროტებას და ამიტომ გავურბივარ ამ ბოროტებას, მე ვხედავ დარღვეულს ჩემი მთელი სიმშვიდის შენობას, ხოლო საკუთარ თავს კი ვთვლი ჩემს მხრებზევე ჩამოჩაჩულ იმ ძონძად, რომლის ნახევებსა და ლაქებს მხოლოდ ახლახან განვსჯიდი. და, ვერავითარი განვითარება, ვერავითარი თვითცნობა და ცნობა სამყაროსი, ვერავითარი სულიერი თავისუფლება ვერ მომცა მე საცოდავმა ფიზიკურმა თავისუფლებამ—თავისუფლებამ, ვფლობდე ჩემს სხეულს" (გვ. 57-58)

„უკანასკნელად გაიყარა ოჯახი, უკანასკნელად მოვედი ამ პატარა ოჯახში და დავჯექ პატარა, დაბალი სანათით გაშუქებულ, წიგნებითა და ქაღალდებით გავსებულ მაგიდასთან. ერთი თვეა, არ გავკარებივარ მათ. მეღიმება და ვათვალიერებ სამუშაოს. იგი შეწყვეტილია და დევს მკვდარი, უდღეური, უაზრო. იმის მაგიერ, რომ დაამთავრო, ათას შენს მსგავსთან ერთად, მიდიხარ ქვეყნის მიჯნამდე, რადგან ისტორიას დასჭირდა ჩვენი ფიზიკური ძალები. გონებრივი ძალები დავივიწყე, იგი არავის არ ესაჭიროება. მერე რა, რომ მრავალი წლის განმავლობაში აყალიბებდი მათ, აპირებდი მათ სადღაც გამოყენებას? შენთვის უცნობ, უზარმაზარ ორგანიზმს, რომლის უმნიშვნელო ნაწილაკს წარმოადგენ შენ, მოუნდა შენი მოკვეთა და გადაგდება. რა შეგიძლია მოიმოქმედო ასეთი სურვილის წინააღმდეგ შენ...შენ—ფეხის თითო?“ (გვ. 86-87).

„მე მივდივარ,—უმატებს გარშინის გმირი,—მე მომთხოვეს და მივდივარ. მაგრამ, დეე, ნუ მიშლიან, ამაზე გამაჩნდეს საკუთარი შეხედულება“. როგორც ხედავთ, ეს „თვინიერი, გულკეთილა ახალგაზრდა კაცი „მომთხოვნი არაა. სად მოითხოვენ, სად მიჰყავთ —ჩვენთვის სულ ერთია. მნიშვნელოვანია ის, რომ სინამდვილე, რომელთანაც მას სურვილი არა აქვს რაიმე საერთო ჰქონდეს, წყვეტს მას ოჯახისაგან, შრომისაგან და ერეკება არა იქით, საითაც მას მოესურვებოდა წასვლა. და სადაც არ უნდა გადააგდონ იგი, ომში, ჰოსპიტალსა თუ ქარიშხალში. ყველგანა, „თვინიერი და გულკეთილი“ მისი ბუნება ეჩეხება მისთვის აუტანელ წინააღმდეგობასა და სიძნელეებს. ნაცნობ, დაბალი სანათით გაშუქებულ თავის მაგიდასთან, თავის პატარა ოჯახში იგი არაფერზე ფიქრობდა, გარდა თავისი სამუშაოსი. გარეშე ქვეყანა. მისი მსგავსი მორიდებული და გულკეთილი ახალგაზრდა და მოხუცი მილიონობით ადამიანები მისთვის თითქოს არ არსებობდა. და აი, იგი ომში გააგდეს. იგი ბრძოლაში მოხვდა და მტრის ჯარისკაცი მოკლა, რომელმაც ეს-ეს არის დაჭრა იგი.

„ჩემს წინაა ჩემ მიერ მოკლული ადამიანი. რისთვის მოვკალ იგი?

„აქ წევს იგი, მკვდარი, გასისხლიანებული. რად მოიყვანა იგი აქ ბედმა? ვინ არის?! იქნებ ჩემსავით იმასაც ჰყავს მოხუცი დედა! დიდხანს იჯდება იგი საღამოობით თავისი საცოდავი ქოხის კართან და გახედავს შორეული ჩრდილოეთის გზას: ხომ არ მოდის მისი თვალისჩინი ვაჟი, მისი მშრომელი და მარჩენალი.

„მე? მეც ასე...მე შევენაცვლებოდი კიდეც მას. რა ბედნიერია: არაფერი არ ესმის, არა გრძნობს არც ჭრილობის ტკივილს, არც მომაკვდინებელ ნაღველს, არც წყურვილს. შიგ გულში გაერჭო მახვილი... აი, მუნდირზე დიდი შავი ნახევი, მის ირგვლივ სისხლი. ეს ჩავიდინე მე.

„არ მინდოდა ეს. არ მინდოდა არავისთვის ბოროტი, როცა საომრად მივდიოდი. აზრი, რომ მეც მომიხდებოდა ვისიმე მოკვლა, როგორღაც შორს იყო ჩემგან. მე წარმომედგინა, თუ როგორ შევუშვერდი მკერდს ტყვიას და მეც წავედი და მივუშვირე.

„მერე და რა? სულელო, სულელო! ეს უბედური ფელახი (მას ეგვიპტური მუნდირი აცვია)—კიდევ უფრო ნაკლებაა დამნაშავე. ვიდრე მათ გემში ჩაყრიდნენ, როგორც თევზს კასრში და წაიყვანდნენ კონსტანტინოპოლში, მას არა გაეგონა რა არც რუსეთზე, არც ბულგარეთზე. მას უბრძანეს წასვლა, ისიც წავიდა. რომ არ წასულიყო, ჯოხით სცემდნენ ან, შეიძლება ფაშას რევოლვერიც კი ესროლა მისთვის. იგი მიდიოდა გრძელი, სალაშქრო გზით სტამბოლიდან ჩუშჩუკამდე. ჩვენ შევუტიეთ, იგი თავს იცავდა, მაგრამ, რა დაინახა, რომ ჩვენ, საშინელი ადამიანები, რომელთაც არ გვაშინებს მისი ინგლისური პატენტიანი პიბოდისა და მარტინის შაშხანა, სულ მივიწევთ და მივიწევთ წინ, შეეშინდა. როცა წასვლა მოინდომა, ვიღაც პატარა ადამიანი, რომელსაც მუშტის ერთი ჩარტყმით სულს გააცხებინებდა, მივარდა და მუცელში მახვილი გაუყარა.

„რაშია იგი დამნაშავე?

„და, რაში ვარ დამნაშავე, თუმცა მე მოვკალი იგი? რა დავაშავე? რად მაწუხებს წყურვილი? წყურვილი! ვინ იცის, რას ნიშნავს ეს სიტყვა? მაშინაც კი, როცა რუმინეთზე მივდიოდით, როცა საშინელ, ორმოცგრადუსიან სიცხეში ორმოცდაათ ვერსს გავდიოდით, მაშინ არ მიგრძვნია ის, რასაც ახლა ვგრძნობ. აჰ, ნეტავ ვინმე მოვიდოდეს!“

თქვენ ხედავთ „თვინიერი, გულკეთილი ახალგაზრდა კაცის“ აზროვნების მთელ პროცესს. თქვენ ხედავთ, რომ თვით სინამდვილე უკარნახებს მას გონების იმ მოძრაობისაკენ, რომლისკენაც თავისთავად მიდრეკილება არ ჰქონდა. სინამდვილე აღვიძებს მასში თანაგრძნობას მოყვასის უბედურებისადმი. აიძულებს შევიდეს სხვის მდგომარეობაში, ყოველ შემთხვევაში მაშინ, როცა

მასაც რაღაც მსგავსი ანუხებს. უფ. გარშინის ერთ-ერთი გმირი პირდაპირ მიუთითებს ამაზე. „მე დიდი ხანია, ვიცნობდი კუზმას,—ამბობს იგი,—და მისი მეგობარი ვიყავ (თუმცა, განსაკუთრებული ამხანაგობა ჩვენში არ არსებობდა), მაგრამ არასოდეს არ დამჭირვებია მის მდგომარეობაში შესვლა ისე, როგორც ახლა“...შემდეგ: „მისი ავადმყოფობითა და წამებით მე ვცდილობ გავზომო ბოროტება“. სამაგიეროდ, დატკბით, რა მგრძნობიარობა მჟღავნდება ასეთ ბუნებაში და, ხშირად რა შორს მიდის შესაძლებლობა მოყვასის მდგომარეობაში შესვლისა:

„ახლახანს გამოვიდნენ ჯარები კიშინიოვიდან, აპრილში, ომის გამოცხადებისთანავე. განუწყვეტლივ წვიმდა. გზები წაიშალა; დარჩა ტალახი ისეთი, რომ ქვემეხები და საზიდრები ღერძებამდე იფლობოდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ცხენები ველარ ძრავდნენ მათ. თოკები ჩააბეს, ხალხმა გასწია, მეორე გადასავალზე გზა საშინელია: ჩვიდმეტ ვერსზე თორმეტი მთაა, მათ შორის კი ჭანჭყობი. გამოვედით და გავჩერდით. თქვენ სცემს, ერთი ძაფიც აღარ გადარჩა მშრალი, გვშია, დავიტანჯეთ, თრევა კი აუცილებელია. ეწევა, ეწევა ადამიანი და პირქვე ჩავარდება ტალახში უგონოდ. ბოლოს ისეთ ლიამპალს მივადექით, რომ წაწევა შეუძლებელი გახდა, მაგრამ მაინც განვაგრძობთ წელის წყვეტას! საშინელია მოსაგონებლად, ახალგაზრდა ექიმი ჰყავთ მათ. უკანასკნელი გამოშვებისა, ნერვული ადამიანი! ტიროდა: „არ შემიძლიაო, ამბობდა, ამ სანახობის ყურება, წინ წავალო!“ წავიდა. ჯარისკაცებმა ტოტები დაჩეხეს, ვეება საგუბარი გააკეთეს და ბოლოს დავიძარით ადგილიდან. ავიტანეთ ბატარეა მთაზე და რას ვხედავთ, ხეზე ექიმი ჰკიდია... აი, თქვენი მაგალითი. ველარ შეძლო კაცმა წამების ყურება, როგორლა შეგიძლია ეს წამება დაძლიოთ“...

მარტო ეს ერთი, საოცრად ნაზი მგრძნობიარობა აჩვენებს, რა ჯურის ადამიანებთან გვაქვს საქმე. განა ამის შემდეგ საკვირველია, რომ ასეთ ადამიანში ყოველი წინააღმდეგობა, ცხოვრების ყოველგვარი ანომალია მთელ რიგ დაუსრულებელ მწვავე ფიქრებსა და რეფლექსებს წარმოშობს?

მის მიერ მოკლული თურქის ცქერისას უფ. გარშინის გმირი უნებურად შეეკითხება თავს:

...„ნუთუ ყველაფერი საყვარელი, ძვირფასი იმიტომ დავტოვე, იმიტომ გამოვიარე ათასი ვერსი, მშიერმა, გაყინულმა თუ დასიცხულმა, რომ ამ უბედურს სიცოცხლე შეეწყვიტა? განა რაიმე გავაკეთე სასარგებლო სამხედრო მიზნებისათვის, გარდა ამ მკვლელობისა?

„მკვლელობა, მკვლელი...და, ვინ? მე!

„როცა ომში წასვლა განვიზრახე, დედამ და მამამ ხელი არ შემიშალეს, თუმცა დამტიროდნენ. იდეით დაბრმავებული ვერ ვხედავდი ამ ცრემლებს. არ მესმოდა (ახლა მესმის), რას ვუშვრებოდი ჩემს მახლობელ არსებებს.

„გავიხსენო? წარსულს ვერ შემოატრიალებ.

„რა უცნაური დამოკიდებულება გამოიჩინა ჩემი საქციელის მიმართ ბევრმა ჩემმა ნაცნობმა. „ეს ღვთის გლახა?" მიძვრება და არ კი იცის, სად?" როგორ შეძლო ასეთი რამის თქმა? როგორ უკავშირდება ეს სიტყვები მათს წარმოდგენას გმირობაზე, სამშობლოს სიყვარულსა და სხვა ამგვარებზე? მათ თვალში ხომ მე ვახორციელებდი ყველა ამ თვისებას. და, მაინც „ღვთის გლახა" ვარ.

ხედავთ, რა წინააღმდეგობებსა და უსიხარულო ფიქრებს ეჩეხება ჩვენი „თვინიერი, გულკეთილი ახალგაზრდა კაცი" არა მხოლოდ მაშინ, როცა მას ძალით დევნის სიღარიბე და მოვალეობა, არამედ იმ შემთხვევებშიც, როცა იგი თვითონ მიდის „იდეით დაბრმავებული", და, რამდენადაც იგი ახლოს მიდის სინამდვილესთან, რამდენადაც უშუალოდ ხვდება მის ძალებს, მით უფრო ილაჯის გამწყვეტია მისი შთაბეჭდილებანი და შეგრძნებანი, მით უფრო ძლიერ იზრდება მასში შინაგანი განხეთქილება საკუთარ თავსა და რწმენასთან.

„არაფრის გაკეთება არ შემიძლია და არაფერზე ფიქრის თავი არა მაქვს. წავიკითხე პლევნის მესამე ბრძოლის შესახებ. მწყობრიდან გამოვიდა თორმეტი ათასი მარტო რუსი და რუმინელი, თურქების ჩაუთვლელად... თორმეტი ათასი... ეს რიცხვი ხან რიცხვების სახით დაქრის ჩემს წინ, ხან ერთმანეთზე მილაგებული მკვდრების დაუსრულებელ ბაფთასავით იჭიმება. მხარდამხარ რომ დააწვინონ, რვა ვერსიანი გზა გაკეთდება...

რა არის ეს?

„რაღაც მითხრეს სკობელევის შესახებ. რომ იგი საითკენაც გაჭრიდა; რაღაცაზე იერიში მიუტანია, რომელიღაც რედუტი აუღია თუ მისთვის წაურთმევიათ...არ მახსოვს. ამ საშინელებაში მახსოვს და ვხედავ მხოლოდ ერთ რამეს—გვამების მთას, რომელიც კვარცხლბეკი უნდა გახდეს გრანდიოზული საქმეებისა, ისტორიის ფურცლებს რომ დაამშვენებენ, შეიძლება ეს აუცილებელია, მე არ განვსჯი და არც შემიძლია, მე არ ვმსჯელობ ომზე და მას, აურაცხელი დაღვრილი სისხლით აღშფოთებული, უშუალო გრძნობით ვეპყრობი. ხარი, რომლის თვალთა წინ მის მსგავსს ხარებს ხოცავენ, ნამდვილად რაღაც ამის მსგავსსა გრძნობს...მას არ ესმის რისთვისაა საჭირო მისი სიკვდილი და მხოლოდ საშინელების თვალებგადმოკარკლული უცქერის სისხლს და ღრიალებს განწირული, სულის მომწყვლელი ხმით".

ამ გმირის შემთხვევა საშუალებას გვაძლევს დაახლოებით გავზომოთ ძალა და სიღრმე ასეთ საშინელებათა და ტანჯვათა. მისი მეგობარი, სტუდენტი კუზმა, ავად გახდება და იტანჯება სასიკვდილო აგონიაში, რასაც შეესწრება ჩვენი გმირიც, აი, რა აზრები მოსდის მას თავში.

„ზოგჯერ იგი (კუზმა) ძლიერ წვალობს. იარა უხურს, ციებცხელება აძაგძაგებს—...ამ დროს თავში უცნაური ფიქრები მომდის. კუზმა მეჩვენება ერთ-ერთ იმათგანად, ვისგანაც შედგება რელაციებში ჩაწერილი ათეული ათასები. მისი ტანჯვა-წამებით ვცდილობ გავზომო ომით მოყენებული ბოროტება. რამდენი წამება და ნაღველია აქ, ერთ ოთახში, ერთ საწოლზე, ერთ გულში, და ეს ყველაფერი მხოლოდ წვეთია ვაების იმ ზღვაში, რომელსაც აუარებელი ხალხი განიცდის.

თავისი მეგობრის შემთხვევითი ჭრილობის გაბანისა და მკურნალობისას ჩვენი გმირი ფიქრებით უნებურად ზოგად წამებაზე გადადის: „ვფიქრობდი,—წერს იგი,—სხვა ჭრილობებზე, გაციებით უფრო საშინელთა შესახებ, ამასთან, არა ბრმა, უაზრო შემთხვევით მიყენებულებზე, არამედ ადამიანთა შეგნებული მოქმედებით ჩადენილზე". სწორედ ამგვარივე განცდები გააჩნია უფ. გარშინის მეორე გმირს ფაბრიკის მუშის წამების ცქერისას, რომელიც თავის საკუთარ მკერდზე იღებს მძიმე ურის დარტყმას მანქანის ქვაბების გამოყვანისას. და აქაც, ფაბრიკაში, როგორც იქ, ომში, ცხოვრების საოცარ ანომალიათა დანახვა არ აძლევს

მას საშუალებას „არაფერი აკეთოს, არაფერზე იფიქროს“. მასში წარმოსახვა იძაბება, რაც მის წინ ყოველგვარი ანომალიის მძიმე შედეგების სურათებს აყენებს. ეს მუშაობა იმდენად დაძაბულია, რომ ხშირად ხურვებიან ბოდვაში გადადიას:

„მეჩვენება, რომ ისევ ქარხანაში ვარ, მაგრამ იქ კი არა, სადაც დედოვთან ერთად ვიყავი. ეს უფრო დიდია და პირქუში. ყოველ მხარეს უზარმაზარი ღუმელებია, საოცარი მოყვანილობისა. კონებად გამოდის ცეცხლის ენები მათგან და დიდი ხნის გამურულ, ნახშირივით შავი შენობის სახურავსა და კედლებს ჭვარტლავს. მანქანები ბორგავენ და წივიან, ძლივს ვმოძრაობ მბრუნავ ბორბლებსა და ასწრაფებულ, მოძიგძიგე ღვედებს შორის. არსად სულიერი არ ჩანს, სადღაც კაკუნი და გრიალი: იქ მუშაობენ. იქ განწირული ყვირილი და განწირული დარტყმებია; მეშინია იქით წასვლა, მაგრამ უცბად რაღაც მიტაცებს და მივყავარ, დარტყმები უფრო ხმაურიანია და ყვირილიც უსაშინლესი. და, აი, ყველაფერი ღრიალში ირევა და ვხედავ...ვხედავ...უცნაური, საზიზღარი არსება იკლაკნება მიწაზე დარტყმებისაგან, რომელიც ყოველი მხრიდან მოდის. მთელი ბრბო სცემს, რითაც კი მოხვდება. აქ ყველა ჩემი ნაცნობი გაშმაგებული სახით სცემს ჩაქუჩით, რკინის კეტით, ჯოხით, მუშტით ამ არსებას, რომელსაც სახელი ვერ შევარქვი. ვიცი, რაც არის—ეს იგივე...მე გავრბივარ წინ, მინდა ვიყვირო: „შეჩერდით! რისთვის! და უცებ ვხედავ ფერწასულ, არაჩვეულებრივად საშინელ სახელს, საშინელს იმიტომ, რომ ეს ჩემი საკუთარი სახეა. ვხედავ თვითონ, ჩემი მეორე მე როგორ იღებს ჩაქუჩს, რომ მძვინვარედ დაარტყას“...

ამ გზით ახლობელთა მდგომარეობაში შესვლა, მათ კანში გამოხვევით და თავზე იმ დარტყმის მიღებით, რომელნიც სხვებს ხვდებათ, ჩვენი გმირი უნებურად იწყებს თავისი თავის ანალიზს და გადადის თვითგვემაზე.

„მან გაიხსენა საზიზღარ და პირქუშ სურათთა მთელი წყება, რომელთა მოქმედ პირად თვითონ იყო; გაიხსენა თავისი ცხოვრების ყველა ნვრილმანი, ამოატრიალა თავისი სული, მაგრამ ვერ ნახა მასში ვერც ერთი ნათელი წერტილი და დარწმუნდა, რომ მის სულში ჭუჭყის მეტი არაფერი დარჩენილა.

„—არა თუ არ დარჩა, არამედ არც არაფერი ყოფილა,—შეასნორა მან.“

„სუსტმა, მოკრძალებულმა ხმამ საიდანღაც მისი სულის შორეული კუთხიდან უთხრა მას:

„მართლა არ ყოფილა?

„მან ვერ გაიგონა ეს ხმა, ანდა ისე დაიჭირა თავი, რომ ვერ გაიგონა იგი და თვითგვემა განაგრძო.

„ყველაფერი გავიხსენე და მგონია, მართალი ვარ, არაფერზე არ შეიძლება შეჩერება, არ არის ფეხის დასადგმელი ადგილი, წინ რომ პირველი ნაბიჯის გადადგმა შეიძლებოდეს. სად წინ? არ ვიცი, მაგრამ შორს ამ მოჯადოებული წრიდან. წარსულში არ არის დასაყრდენი იმიტომ, რომ ყველაფერი სიცრუეა, თავის მოტყუებაა“.

სხვა ადგილზე იგივე გმირი კიდევ უფრო სასტიკად ექცევა საკუთარ თავს. აი, როგორ აჯამებს უფ. გარშინი მის სიკვდილის წინ დაწერილ წერილს:

„იგი წერდა, რომ მშვიდად კვდება, რადგანაც დასანანი არაფერი აქვს: ცხოვრება გაბმული სიცრუეა, ადამიანები, რომელნიც მას უყვარდა__თუკი ნამდვილად უყვარდა ვინმე და არ ინიღბებოდა საკუთარი თავის წინაშე,—უძლური არიან შეუნარჩუნონ მას სიცოცხლე იმიტომ, რომ „ღონე მიეხადათ“, მაგრამ მათ ღონე არ მიხდიათ, „არა იყო რა მისახდელი“, არამედ უბრალოდ, ყოველგვარი ინტერესი დაკარგეს მის თვალში, რადგან კარგად გაიცნო ისინი. მან შეიცნო საკუთარი თავი, შეიგნო, რომ თავად მასშიაც, გარდა სიცრუისა, არა ყოფილა რა და არც არის; თუ რამე გაუკეთებია თავის სიცოცხლეში, არა სიკეთის დასათესად, არამედ თავმომწონებისათვის; იგი ბოროტ და უპატიოსნო საქციელს არ სჩადიოდა არა იმისათვის, რომ არ გააჩნდა ბოროტი თვისებანი, არამედ ხალხის წინაშე სულმოკლე შიშის გამო“.

გასაგებია, რომ ასეთი განწყობილება, ამგვარი დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი საბოლოოდ აუცილებლად მიიყვანს ადამიანს თვითმოსპობამდე. უფ. გარშინის გმირები ამ საბედისწერო გამოსავალს ისე ეპყრობიან, როგორც წყნარ ნავსაყუდელს, რომელსაც მათი ბუნება მოითხოვდა, მაგრამ რაც ცხოვრებას მათთვის არ მიუცია:

„მთელი ქვეყანა გაქრება: არ იქნება არც შებრალება, არც შელახული თავმოყვარეობა, არც საყვედური საკუთარი თავისად-

მი, არც მძულვარებით აღსავსე ხალხი, გარეგნულად თითქოსდა კეთილი და უბრალო, ხალხი, რომელსაც გამჭოლად ხედავ და გეზიზღება და რომლის წინაშე მაინც მოსიყვარულედ და სიკეთის მოსურნედ ჩანხარ, არ იქნება საკუთარი თავისა და სხვების მოტყუება, იქნება სიმართლე, არ არსებობს მუდმივი სიმართლე".

ამ სიკვდილის ამბავში უფ. გარშინმა მოათავსა ღრმად დრამატული ეპიზოდი უეცარი „გამოცხადებისა". გმირმა ალექსი პეტრეს ძემ გადაწყვიტა თავის მოკვლა. რევოლვერი გატენა; გამოსათხოვარი წერილი დაწერა, მაგრამ უცბად იგრძნო, რომ დაცხა. „დაავინყდა რევოლვერიცა და ისიც, რომ, თუ სიცოცხლეს მოიცილებდა, მოიცილებდა სიცრუესაც. ადგა, მივარდა ფანჯარასთან და სარკმელი გამოაღო". ამ დროს მახლობელი სამრეკლოდან ზარის ხმა გაისმა. ეს ხმა გმირის სულში წარსულის მოგონებათა მთელ სამყაროს აცოცხლებს.

„ხომ არის სამყარო! ზარმა გამახსენა იგი. როცა მისი ხმა გაისმა, გამახსენდა ეკლესია, გამახსენდა ბრბო, გამახსენდა ადამიანთა უზარმაზარი სიმრავლე, გამახსენდა ნამდვილი სიცოცხლე. აი, სად უნდა მოსცილდე საკუთარ თავს და, აი, სად არის საჭირო სიყვარული. ისე უნდა გიყვარდეს, როგორც უყვართ ბავშვებს, როგორც ბავშვებს"...

როგორც ჩანს, ამ მოგონებამ სულ სხვაგვარი მიმართულება მისცა მისი სულის განწირულ განწყობილებას:

„ახლა იგრძნო, რომ იგი მთლად არ მოუსრავს კერპს, რომელსაც ამდენი წლის განმავლობაში ეთაყვანებოდა, რომ დარჩა სიყვარული და თვითგანწირვაც კი, სიცოცხლე კი ღირს ამად, რომ ეს ნარჩენიც დაიხარჯოს. საით, რა საქმისათვის—მან არ იცოდა და ამ წუთში მას არც უნდოდა სცოდნოდა, რისთვის მიეყრდნო დამნაშავე თავი... გაახსენდა ნაღველი და წამება, რაც სიცოცხლეში ენახა, ნამდვილი მინიერი ნაღველი, რომლის წინაშე, მისი წამება ცალ-ცალკე, არაფერი არ ღირდა და მიხვდა, რომ იგი უნდა წავიდეს იქით, ამ ნაღველში, თავის წილად აიღოს მისი ნაწილი და მხოლოდ მაშინ ჩადგება მის გულში მშვიდობა.

„—საშინელია; აღარ შემიძლია ასე ცხოვრება; საჭიროა, აუცილებლად საჭიროა, დავუკავშირდე საერთო ცხოვრებას, ვეწამო და ვიხარო, მძულდეს და მიყვარდეს არა ყველაფრის მომსპობი და სამაგიეროდ არარას მომცემი საკუთარი მე-ს გულისთვის, არა-

მედ საერთო, სახალხო სიმართლისათვის, რომელიც, რაც არ უნდა ვიყვირო, არსებობს ქვეყანაზე, რომელიც სულს ესაუბრება. დიახ, დიახ!—ამბობდა საშინლად აღელვებული ალექსი პეტრეს ძე:—ყველაფერი ეს წერია მწვანე წიგნში და ნათქვამია სამუდამოდ და ჭეშმარიტად. საჭიროა „თავის უარყოფა", საკუთარი მე-ს მოკვლა, მისი გზიდან გადაგდება...

„—რა სარგებლობა გაქვს იმით, უსუსურო?—ეჩურჩულებოდა ხმა.

„მაგრამ მეორემ, ოდესღაც მხდალმა და უხმომ, საპასუხოდ დაიგრგვინა:

„—გაჩუმდი! რა სარგებლობას მოუტანს მაგას, თუ საკუთარ თავს გააწამებს?

ალექსი პეტრეს ძე წამოხტა და მთელი ტანით აღიმართა. ამ საბუთმა მას აღტაცება მოჰგვარა. ასეთი აღტაცება მას არ უგრძვნია არასოდეს, არც ცხოვრების წარმატებისაგან, არც ქალის სიყვარულისგან. აღტაცება ისე ჩაისახა გულში, გამოვიდა გარეთ, გადმოხეთქა მდუღარე, ვრცელ ტალღად, მთელ სხეულს მოედო, ერთი თვალის დახამხამებაში გაათბო და გააცოცხლა უბედური გაყინული არსება. ათასმა ზარმა საზეიმოდ ჩამოჰკრა... მზე დამაბრმავებლად აბრჭყვიალდა, გაანათა მთელი ქვეყანა და გაჰქრა"...

მაგრამ ამ მიმართვამ, ამ გამოცხადებამ ვერ გადაარჩინა გმირი. იდეებისა და გრძნობების ახალმა სამყარომ მხოლოდ „ერთი თვალის დახამხამებაში გაათბო და გააცოცხლა უბედური, გაყინული არსება". დილის მშვიდი ნაცრისფერი შუქი „წყნარად ილვრებოდა ოთახში და მკრთალად ანათებდა გატენილ იარაღს და მაგიდაზე მდებარე გიჟური წყევლით აღსავსე წერილს, ხოლო ოთახის შუაგულს კი—ადამიანის გვამს, მშვიდი და ბედნიერი გამომეტყველებით სახეზე". ეს გასაგებიცაა. მეტისმეტად მძლავრია და წელის მომწყვეტი ეს ნახტომი ახალი ქვეყნისაკენ. განსაკუთრებით ასეთი ბუნების ადამიანისათვის, რომელსაც გულის სიღრმიდან ეს-ეს არის აღმოხდა თავისი გულწრფელობით ეს უსაშინლესი ღაღადისი: „ღმერთო! ნეტავი მომცა რამე ნამდვილი, უზადო გრძნობა, ჩემს მე-ში უკვდავი!"

დროებით შევჩერდეთ ამ ღაღადისზე, რომელიც უფ. გარშინის გმირების ხასიათსა და ბუნებას ნათელ შუქსა ჰფენს.

ჩვენ მიერ ახლა ამოკრეფილი ამონაწერებიდან დავინახეთ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს უფ. გარშინის გმირებისათვის, თუ შეიძლება ასე ითქვას, შთაბეჭდილების აღქმას გონებით, ჭვრეტით. ამ ანომალიის არა მხოლოდ სრული სურათის წარმოდგენის გზით, არამედ ყველა მისი შედეგისათვისაც. წარმოსახვის უნარის სიჭარბე გარშინის გმირების თავისებურებაა. ახალგაზრდა, ვნებიანი ბუნების მქონე ადამიანზე ცხოვრების ყოველგვარი არანორმალური მოვლენა მთლიანად უარყოფით რეაქციას იწვევს. მკვდარ ადამიანთან რომ დაგაყენონ, არ იქნება საჭირო წარმოსახვაში ქექვა იმის მოსაფიქრებლად, რომ სულ მალე დაიწყება გახრწნა, გაჩნდება ჭია-ღუა, დადგება სიმყრალე, გავრცელდება თქვენი ჯანმრთელობისათვის საშიში მიკრობები და, ყოველივე ეს რომ აიცილო თავიდან, საჭიროა მოსცილდე მას. შენი ბუნება თავად განიმსჭვალება სრულიად ინსტინქტური ზიზღით, თვით მოსცილდება გვამს, რაც არ უნდა ძვირფასი იყოს იგი შენთვის. ეს მოხდება მანამდე, ვიდრე შენში აზრი და წარმოსახვა ამუშავდებოდეს. როცა შენ თვალწინ უმწეო ადამიანს სცემენ ან კლავენ, არ შეეცდები ცხოვლად წარმოიდგინო ამ უმწეო მსხვერპლის აღშფოთება და მისი ტკივილის შეგრძნება ან მისი ოჯახის მდგომარეობა. შენი ნერვები თავისთავად დაიჭიმება, ყოველგვარი აზრის გაუელვებლად გრძნობების უშუალოდ მოქმედ აღმაშფოთებელ მოვლენათა არსებობისას წარმოსახვას გასაკეთებელი აღარა რჩება რა.

რამდენადაც ღრმაა და მგრძნობიარე ადამიანის ბუნება, რაც უფრო მეტად იჩენს იგი გულშემატკივრობას, მით უფრო სწრაფად და ძლიერ გამომჟღავნდება მასში ტკივილის, ნაღველის, ზიზღის, აღშფოთებისა და თანაგრძნობის გრძნობები, მით უფრო დაუძლეველია მასში სურვილი მოიცილოს ანომალია, ხელი შეუშალოს მის გულისგამწვრილებელ გამოვლინებას... როცა ასეთი მთლიანი შეგრძნების მაგიერ ცხოვრების ანომალიები რომელიმე ნატურაში იწვევენ მხოლოდ ბუნდოვან, წარმოსახვის გაურკვეველ მუშაობას, მაშინ ეს იმის მაჩვენებელია, რომ საქმე გვაქვს მოდუნებულ, უსისხლო პიროვნებასთან, რომელიც ერთგვარად არ ექვემდებარება არც სიყვარულის გრძნობას, არც სიძულვილს... ასეთი ჯურის პიროვნება შეიძლება უსაზღვროდ ნაზი იყოს, მგრძნობიარე, შთაბეჭდილებიანი, სიმპათიური, ერთი სიტყვით,

ყოველნაირი, როგორიც გსურთ, მაგრამ მასში არ არის ძალა, არ არის ვნება და არ არის სწორედ ის „უშუალო გრძნობა“, რომლის შესახებაც ღაღადებს უფ. გარშინის გმირი. უკეთესნი ამ პიროვნებათაგან თითქმის ყოველგვარ შეგრძნებას—მწუხარებასაც და სიხარულსაც—რაღაც მტკივნეულად აღიქვამენ, ხოლო მძაფრი შთაბეჭდილების მიღებისას ეს ტკივილი ადვილად იქცევა აუტანელ წამებად, რისგან თავის დაღწევასაც ბევრი ყოველგვარ წამებათა მკურნავ სიკვდილში პოულობს. საერთოდ კი ასეთი ლიმფატიკური პიროვნებები ორ კატეგორიად იყოფიან. ზოგიერთებს, რომელთაც ჰუმანური განათლება არ მიჰკარებიათ, არაფრად ულირთ არანაირი ანომალიები, განსაკუთრებით, თუ ეს ანომალიები მათ პირდაპირ არ ეხებათ. ისინი გულგრილად აუვლიან მათ გვერდს სხვისი უბედურების შეუმჩნევლად. მეორენი გაკეთილშობილებული და განსწავლულნი არიან მოყვასის სიყვარულში, მისი მდგომარეობის გათვალისწინებაში, მისთვის თანაგრძნობის გამოცხადებაში... აი, ეს პიროვნებები ხშირად იძულებული არიან უშუალო შეგრძნებათა უქონლობა შეავსონ მათს წინაშე გადაშლილი უმსგავსობის შედეგების სურათის წარმოდგენით. ასეთი პიროვნებისათვის განვითარება არის ის „სინდისის ხმა“, რომელიც ამოძრავებს მას, ათბობს, დეზსა ჰკრავს, უკარნახებს მას —„გიყვარდეს“, „აღშფოთდი“, „შური იძიე“, „დაეხმარე“, მაშინ, როცა ვნებიან და გულისხმიერ ადამიანებს უყვართ და შფოთავენ, შურს იძიებენ და დახმარებას აღმოუჩენენ მარტივად, ყოველგვარი ბრძანების გარეშე, რომელიც სრულიად არ ესაჭიროებათ და არც კი ეეჭვებათ, რომ შესაძლებელია გაეკეთებინათ ან ეგრძნოთ სხვა რამე ისევე, როგორც მე და თქვენ, მკითხველო, როცა ვსუნთქავთ; არ ვიცით, შეიძლება ვინმეს ერჩია ან ებრძანებინა ჩვენთვის „ისუნთქეთო“. ის შინაგანი განხეთქილება, რომლის შესახებაც ასე ხშირად გვსმენია, მათთან შესაძლებელია მხოლოდ უშუალო, „უზადო“ გრძნობათა მოძრაობის შეუთანხმებლობაში. აქედან ცხადია, რომ ვნებიან პიროვნებებს, თანაგრძნობის უნარის მქონეთ, „სიყვარულისა და სიძულვილის“ შემძლებელთ, საკუთრივ შინაგანი განხეთქილებით წამება სრულიადაც არ შეუძლიათ. მათ წინაშე აღიმართება წმინდად გარეგანი განხეთქილება—განხეთქილება სინამდვილესთან, ცხოვრებისეულ პრობლემებთან. ესაა განხეთქილება, რომელიც ყოველთვის ბრძოლით მთავრდება.

მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს პირობები ამ გარეგანი ბრძოლისა, გახსოვდეთ, ასეთი ბუნების ადამიანები საკუთარ თავთან შეთანხმებული არიან, რადგან არც თავიანთ გრძნობებში, არც სულისა და ვნების ღელვაში ისინი მცირე წინააღმდეგობასაც არ აწყდებიან. შესაძლებელია მათი ძალები მეტად მცირე იყოს ბრძოლის პირობებთან შეფარდებით, რომ მიზანს ვერ აღწევდნენ და ბრძოლა მათი დამარცხებითა და დაცემით მთავრდებოდეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათში ოდნავადაც არ შეინიშნება კვალიც კი „შინაგანი განხეთქილებისა". ამგვარი ადამიანები ეცემიან არა წყევლა-კრულვით, არა ზიზღით საკუთარი თავისადმი, არა ღაღადისით სულიერ სიცარიელეზე, არამედ საკუთარი თავის პატივისცემის შეგნებით.

ასეთ პირობებში უღონობა არასოდეს არ მიიყვანს ადამიანს ისეთ თვითდამცირებამდე, როგორამდეც უფ. გარშინის თხზულებებში მიდის მისი გმირი ალექსი პეტრეს ძე, არამედ აღძრავს ფიქრს თავისი ძალების უფრო დიდი ყალიბის ძალებთან გადაჯაჭვის აუცილებლობისას... ასეთ ხასიათებსა და ტემპერამენტებს უფ. გარშინი სულაც არ ეხება, მათი გამოსახვა არ უნდა. მას სხვაგვარად ბუნების მქონენი აინტერესებს, რომელნიც შემთხვევათა გამო უნებურად დაყენებული არიან ვნებიანი ნატურების მდგომარეობაში, ბრძოლისათვის რომ შექმნილან და ბრძოლაში გამობრძმედილან. ესენი გრძნობენ ერთს და ფიქრობენ მეორეს. ასეთი ბუნების მქონეებში, „გულკეთილებსა და წესიერებში," რომელნიც შექმნილნი არიან ბრძოლის ვაი-ვაგლახისაგან, შორს, მინიერი ცხოვრებისაგან განაპირებით, წყნარი მუშაობისათვის, ჰუმანურობის გაკვეთილები, აზრის მითითებანი და აღმაშფოთებელ უხამსობათა სურათები ეჩეხებიან გრძნობათა თანდაყოლილ მოდუნებას.

ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი არ შეიძლება თავისთავთან შინაგან წინააღმდეგობაში არ მოვიდეს. იგი ყოველ წუთს ხედავს, რომ მასში ორდებიან, მოწინააღმდეგე მხარეებად იშლებიან მისი ბუნების ინსტინქტური მიდრეკილებანი და გონების შეგნებული დასკვნები; მას ძალა არ ჰყოფნის, დაიმორჩილოს ეს ორი ძალა, მისცეს მათ საერთო მიმართულება. მას უნდა შეეცვალა თავის აზრთა და დასკვნათა მთელი წყობა და შეეთანხმებინა თავისი ბუნების აპათიურობასთან, მის მეშჩანურ ეგოიზმთან ან გა-

დაეკეთებინა თავისი ნატურა გონებისა და ცხოვრების მღელვარებათა მითითებების შესაფერისად. ერთიცა და მეორეც, სამწუხაროდ, სრულიად შეუძლებელია, რადგან, ვაი, რომ ადამიანის ბუნება ჩვენს ნებაზე არ გადაკეთდება. უფ. გარშინმა ალექსი პეტრეს ძის სახით გვიჩვენა იმის მაგალითი, რომ აუცილებლობის აშკარა შეგნებამაც კი—ემსახურეთ არა საკუთარ მეს, არამედ—ირგვლივ არსებულ ქვეყანას,—ვერ უშველა და ვერ გარდაქმნა „უზადო გრძნობას“ მოშორებული ნატურა. იგივე გმირი თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, თუ რა ცხარედ უნდოდა თავისი ტვინიდან ამოეშანთა ყოველგვარი ეჭვები და ფიქრები. რა სიამოვნებით გადავიდოდა იგი ზნეობრივ სამყაროში, რომელშიც გაიზარდა, როცა ყრმა იდგა სოფლის ეკლესიაში, გლეხებსა და დედაკაცებს შორის, მიწამდე რომ ხრიდნენ თავს თაყვანისცემით...

„რამდენი ხნის წინ იყო ეს!... ისე დიდი ხანია, რომ არ მჯერა, თუ ეს სინამდვილე იყო, რომ მე თვითონ მინახავს და არ ნამიკითხავს სადმე, ან გამიგონია ვისგანმე. არა, არა, იყო ეს ყველაფერი და უკეთესი იყო მაშინ. არა მხოლოდ უკეთესი, არამედ კარგი იყო. ახლა რომ ასე ყოფილიყო, არ იქნებოდა საჭირო რევოლვერისათვის გამგზავრება.

„შემდეგ ამან განვლო,—უმატებს გმირი,—მოისპო. და არაფრისაგან არ მიგრძვნია შვება“.

„—დიახ, მაშინ ყველაფერს ისე ვხედავდი, როგორადაც ჩანდა. ნითელი ნითელი იყო და არა წითელი სხივების არეკვლა. მაშინ შთაბეჭდილებისათვის არ იყო მზა ფორმები და იდეები, რომლებშიც ადამიანი გადაიტანს ყველა შეგრძნებას იმაზე დაუფიქრებლად, ვარგა კი ფორმა, ხომ არსადაა იგი გაბზარული. და, თუ უყვარდა ვინმე, იცოდა, რომ უყვარდა; ამაში საეჭვო არა იყო რა“.

და შემდეგ:

„იცოდა მხოლოდ ერთი რამ: რომ თორმეტ წლამდე, როცა მამამ გიმნაზიაში გაგზავნა, იგი სრულიად სხვაგვარი შინაგანი ცხოვრებით ცხოვრობდა და ახსოვდა, რომ მაშინ უკეთესი იყო.

„—რაღა გეწევა იქით, ნახევრად შეგნებულ ცხოვრებაში? რა უნდა ყოფილიყო კარგი ამ ბავშვობის წლებში?“

ბევრი რამ იყო კარგი, რაც შემდეგ აღარ უგრძვნია. ამიტომ გასაგებია, რომ გმირი თავისი ბავშვობისაკენ მიიწევს:

„მას ახლა უნდოდა, თუნდაც ერთი წუთით, გადაშვებულიყო თავის ბავშვობაში, სოფელში, პატარა სახლში და მიალერსებოდა ამ დავიწყებულ ადამიანს, უბრალოდ, ბავშვურად მიალერსებოდა. მოუნდა ის წმინდა და უბრალო სიყვარული, როგორიც მხოლოდ ბავშვებმა იციან, ან კიდევ მეტად ფაქიზმა, ხელუხლები ბუნების მქონეებმა მოზრდილთა შორის".

„—ნუთუ არ შეიძლება ამ ბედნიერების დაბრუნება,—იმ უნარისა, რომ ამბობ და ფიქრობ მართალს? რამდენი ხანია ეს აღარ განმიცდია!"

უკან დაბრუნება შეუძლებელია ისევე, როგორც არ შეიძლება დიდი ადამიანი ექვსი წლის ყრმად იქცეს...

ზემო მოყვანილმა ამონაწერებმა, ვფიქრობ, გაგვაცნო გარშინის გმირების ზნეობრივი თვისებები, ამიტომ თამამად შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ უფრო ნორმალურ და წყნარ ცხოვრებაში ეს ადამიანები იქნებოდნენ კეთილგონიერი და დიდსულოვანი მოქალაქეები, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობა და მსოფლჭვრეტა შეუფარდებიათ თავიანთი უზრუნველი ბუნების მოთხოვნილებებისათვის და რომელთაც თავისთვისაც და მახლობლებისთვისაც შესაძლებელი სარგებლობა მოაქვთ. იქნებოდნენ ისინი თავისთვის, მეშჩანურ-ბედნიერებაში, ექნებოდათ სხვადასხვანაირი უვნებელი და სასარგებლო აღმოჩენები და იცხოვრებდნენ ისე, როგორც ცხოვრობდნენ ასეთი მშვენიერი და აუცილებლად სასარგებლო ბუნების ადამიანები ინგლისსა და საფრანგეთში, გერმანიასა და შვეიცარიაში და, უმეტესობა, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, იქნებოდა თავისი მოკრძალებული სფეროს შესანიშნავი მოღვაწე, ცხოვრებამ კი სხვა გზა მისცა მათ. რამდენადაც ლამაზია და სასარგებლო ასეთი ბუნების მქონეთა ხვედრი წყნარ და მშვიდობიან ეპოქებში, იმდენად საშინელი და აუტანელია იგი აღელვებულ, გარდამავალ დროში. არაფერი რომ არ ითქვას სიმშვიდის უქონლობაზე, რაც აუცილებელია ასეთ ადამიანთა სრული გაფურჩქვნისათვის, გარდამავალ ეპოქათა ანომალიური ცხოვრება ამგვარი ბუნების ადამიანებს წამდაუწუმ თავზარსა სცემს იმ სურათების ჩვენებით, რომელთაც შეუდარებლად უფრო მაგარი ნერვების მოშლაც შეუძლიათ. სმენა, მიჩვეული მხოლოდ „წმინდა ხმათა და ლოცვათა მოსმენას", ჩლუნგდება ბრძოლის განუწყვეტელ ყიჟინში. მიუხედავად დიდი სურვილისა, მიუხედა-

ვად აუცილებლობის შეგნებისა—მიიღო მონაწილეობა ამ ბრძოლაში, შეუძლებელია მასში აქტიურად ჩაბმა, ან მისგან გაქცევა. მონაწილეობისათვის საჭიროა გიგანტური ხელები, გაქცევისათვის კი—ფეხები.

უფ. გარშინის გმირები კი არც გიგანტები არიან, არც ბუმბერაზები, არამედ—უბრალო მოკვდავები, მშვენიერი სულის პატრონები, უპატიოსნესი, „მორიდებული და გულკეთილი" ახალგაზრდა ადამიანები... მათი უბედურების, შინაგანი განხეთქილების, საკუთარი თავით დაუკმაყოფილებლობის, თვით სიძულვილისა და თვითდამცირების წყარო, რაც პირველი ნაბიჯია თვითმოსპობისაკენ—მდგომარეობს სწორედ იმ გარემოებაში, რომ ბედმა მათ თავზე მოახვია ბრძოლა, რაც შეუდარებლად უფრო ცეცხლოვან გრძნობებსა და ათასჯერ უფრო მეტ ძალას მოითხოვს, ვიდრე გააჩნიათ ამგვარი ბუნების ადამიანებს. წარმოიდგინეთ ქალაქი, დასახლებული ნიჭიერი მსახიობებით, შესანიშნავი მომღერალი ქალებით, პირველხარისხოვანი მხატვრებით, მეცნიერებით, ტექნიკოსებით, ლიტერატორებით, ნეგოციანტებითა და გამოცდილი მუშებით, დამშვენებული სასახლეებით და ქარხნებით, სკოლებითა და თეატრებით და, თქვენი წარმოდგენით, დასძარით ასეთი ქალაქისაკენ ორი გამძვინვარებული არმია, ერთმანეთს დაპირისპირებული, რომლებიც ერთურთს ქალაქის მოედნებზე შეებმება. ქალაქის მშვიდობიან მცხოვრებთა სულიერი განწყობილება, როგორც ორი წვეთი წყალი, ისე დაემსგავსება გარშინის გმირების შეგრძნებებს...

შეცდომა იქნებოდა ეს უკანასკნელი განცდები მიგვეჩნია საკუთრივ რუსულ ხასიათად. განსაკუთრებით ჩვენთვის დამახასიათებელი ამ მოვლენაში სრულად არ არის რა. ყველა სხვა ეროვნებას თავისი ისტორიის გარდამავალ ეპოქებში ჰქონდა ცოტად თუ ბევრად მსგავსი სულიერი განწყობილება. საფრანგეთის, გერმანიისა და ინგლისის ლიტერატურულ ძეგლებში ადვილად შეიძლება მოიძებნოს ანალოგიური სიმპტომები, თუ თავს შეიწუხებდით და გადახედავდით როლის და ვერთერის ავტორთა ნაწარმოებებს და შოტლანდიელი ლაკისტების ლექსების მთელ ციკლს.

დარწმუნებულნი გარშინის გმირების ტიპის სიცოცხლისუნარიანობაში, ასეთ პირობებში მათი აღმოცენების აუცილებლობაში,

მხოლოდ გაკვირვებას უნდა მივეცეთ იმ საყვედურების გამო, რაც ყოველი მხრიდან ისმის უფ. გარშინზე. ის განწირულებისა და თვითმკვლელობის ფილოსოფიას ქადაგებსო. იგი ძირს უთხრის ბრძოლის სარგებლიანობასა და გამარჯვების შესაძლებლობის რწმენასო... უფ. გარშინი, როგორც ყოველი მხატვარი, სრულიად არაფერს არ ქადაგებს, არ არღვევს, არც ნერგავს. თავის თხზულებებში ნამდვილი ცხოვრების წარმოსახვისას იგი იფარგლება იმით, რაც საერთო და ერთგვარია მასში. ცხადია, იგი არაა დამნაშავე, თუ ქვეყანაზე ჩნდებიან მოდუნებული ბუნების ადამიანები, თუ ისინი შეუდარებლად მრავალრიცხოვანი არიან მგზნებარეებთან შედარებით. თუ ცხოვრების ბრძოლის პირობები მათ ასეთ და არა ისეთ დაღს ასვამს. მისი გმირები ჩვენი ეპოქის წარმომადგენლები არიან, ამ ეპოქის მიერ არიან შექმნილი და მასთან ერთადვე დაიხოცებიან. კრიტიკოსს მოუხდება შეაფასოს ჭეშმარიტი შეფარდება ამ სურათებისა ცხოვრების საერთო პანორამასთან და მაშინ არავის, რასაკვირველია, თავში არ მოუვა ფიქრი,__უფ. გარშინის გმირები თანამედროვეობის ბუმბერაზთა კვარცხლბეკზე დააყენოს. მაშინ თავისთავად მოისპობა მოთხოვნილება და ბრალდებანი, რომლითაც ჩვენი კრიტიკა ხშირად მიმართავს უფ. გარშინს. ჩვენი ცხოვრება აღმოაცენებს არა მხოლოდ გარშინისებურ გმირებს. მათში ხშირად გამოერევიან სხვაგვარი, უფრო ღრმა გრძნობის წარმომადგენელნი, მცხოვრებნი უზადო გზნების ძალით, რომელთაც შეუძლიათ სიყვარული და სიძულვილი მთელი სულის სიღრმითა და რომელნიც გრძნობის სრულ დაკმაყოფილებას ნახულობენ თავიანთ ვნებათა უშედეგო გულისთქმაშიაც კი! ასეთი ბუნების მქონე ადამიანთა წინაშე გაოცებული ჩერდება თვით მათი მომრევი ძალაც... სრულიად უსარგებლოა მიუთითო უფ. გარშინს ასეთი ბუნების ადამიანების არსებობაზე: მან, ეტყობა, თვითონაც იცის, რომ ასეთები არსებობენ, მაგრამ არ ეხება მათ. შეიძლება იმისათვის, რომ ისინი ჯერ ცოტანი არიან განსაკუთრებით ასეთი ტიპის ადამიანებთან შედარებით. მაგრამ ჩვენთვის ამ ტიპის შეფასებისას, არცთუ განურჩეველი იქნებოდა პარალელი გაგვეტარებინა გარშინის გმირებისადმი გარემოს დამოკიდებულებასა და იმ ბუნების მქონე ადამიანებისადმი დამოკიდებულებას შორის, რომელნიც ამ ავტორს არ დაუხატავს. ვცადოთ, რასაკვირველია ძირითადად, ასეთი პარალელის მთავარი ხაზების გავლება.

უფ. გარშინის ერთ-ერთი გმირი, მორიდებული და გულკეთილი ახალგაზრდა, რომელსაც მიუტოვებია „ოცნებანი პროფესორობაზე, პუბლიცისტობაზე, დიდ სახელზე“,—თქვენ თვით ხედავთ, რომ გარშინი თავის გმირს არავითარ კვარცხლბეკზე არ აყენებს,—შესდგომია მასწავლებლობის „უბრალო ასპარეზს“ იმ იმედით, რომ ექვს თვეში დააგროვებდა ათას მანეთს და დაქორწინდებოდა საყვარელ ქალიშვილზე; იგი შეხვდება ბავშვობის ამხანაგს, რომელიც ინჟინრად წასულა და ხაზინას ჰქურდავს. ინჟინრის სახლის მოწყობილობის ბრწყინვალება გმირს პირდაპირ ეუბნება, რომ აქ წყალი წმინდა არ არის. თუმცა მისი ამხანაგი სრულიადაც არ ფარავს თავის მდგომარეობას: იგი პირდაპირ ამბობს, რომ პორტს აშენებს და ფულს იპარავს. ჩვენი გმირი ზნეობის ყველა წესის მიხედვით აღშფოთებულია. იგი უსაყვედურებს მეგობარს, ურჩევს გამოსწორდეს, აშენებს ციმბირით და წარმოთქვამს ბევრ მშვენიერ „სიტყვასა და დარიგებას“. რა პასუხს აძლევს მას გარყვნილი მეგობარი? თქვენ დასტკბით; ასეთი რამეები სიტყვა-სიტყვით უნდა ამოიწეროს:

„—რა ვქნა, ძამიკო, ვერ გავამართლე იმედები. ცხოვრება სკოლა არ არის და, არ ვიცი, შენც დიდხანს გაძლებ შენს გზაზე?

„—თუ შეიძლება, მე თავი დამანებე,—თქვა ვასილ პეტრეს ძემ.

„—გეწყინა?.. რასაკვირველია, ვერ შერჩები. რა მოგცა შენმა უანგარობამ? განა ახლა დამშვიდებული ხარ? განა ყოველდღე არ ფიქრობ იმაზე, არის თუ არა შეთანხმებული შენი საქციელი შენს იდეალებთან და განა ყოველდღე არა რწმუნდები იმაში, რომ არ არის შეთანხმებული? ხომ მართალია? დალიე ღვინო, კარგია.—თვითონაც დაისხა, ჭიქას გახედა, გემო გაუსინჯა, ტუჩები გააწკლაპუნა და დალია.

„—აი, ჩემო საყვარელო მეგობარო, ხომ ფიქრობ, რომ მე არ ვიცი, რა აზრი გიზის თავში? დანამდვილებით ვიცი: „რად ვზივარ ამ კაცთანო, ფიქრობ! რაში მჭირდებაო! განა არ შემიძლია მაგის ღვინისა და სიგარის გარეშე გადავიარო?“ მოიცა, მოიცა, მათქმევინე! მე სრულიადაც არ ვფიქრობ, რომ შენ ჩემთან ზიხარ ღვინისა და სიგარისათვის. სრულებითაც არა. ძლიერაც რომ მოგინდეს, მსუნაგობას არ დაიწყებ. მსუნაგობა მძიმე რამ არის. ზიხარ ჩემთან და უბრალოდ მესაუბრები იმიტომ, რომ არ შეგიძლია გადაწყვიტო, მართლა ბოროტმოქმედი ვარ თუ არა. ჩემი

პიროვნება არ გაშფოთებს და ეგაა. რასაკვირველია, შენ ეს ძლიერ გწყინს, ამიტომ შენს თავში სხვადასხვა რუბრიკად არის დალაგებული მრწამსი და მე, შენი ყოფილი მეგობარი, რომელიც გამოვდივარ არამზადად, ამასობაში კი ჩემდამი არავითარი მტრობის გრძნობა არა გაქვს. მრწამსი მრწამსად და მე კი თავისთავად ამხანაგი ვარ, კარგი ბიჭი და, შეიძლება ითქვას, კეთილი ადამიანიც. ხომ კარგად იცი, რომ ვერავის ვაწყენინებ"...

„ჩემი პიროვნება არ გაშფოთებს და ეგაა". „ჩემდამი არავითარი მტრობის გრძნობა არ გაქვს",—ამ სიტყვებით ინჟინერმა გააშიშვლა გულკეთილი გმირის აქილევსის ქუსლი. ამ სიტყვებით აიხსნება ასეთი გმირების მთელი უძლურება და მათი ბრძოლის სამწუხარო შედეგი, თვით ანგარებიან მოღვაწეებთან შეჭიდებაც. „ჩვენ მარტო პატიოსნების დაცვაც გვეყოფა"—აი, არსებითად ჩვენი დროის პატიოსან ადამიანთა სახარება. თუ მიწიერი ბრძოლის ასპარეზზე ჩვენი ინტელიგენცია თითქმის ყოველთვის მარცხდება ხალხისაგან, რომელიც თავდადებით მიისწრაფვის იოლი და სწრაფი გამდიდრებისაკენ, ეს უმეტესად ხდება იმის გამო, რომ იგი გამსჭვალულია თავისი იდეალური მრწამსის პლატონური „გაღმერთებით", მაგრამ მძლავრი ვნებით არაა აღფრთოვანებული, შეურიგებელ მტრობას არაფრისადმი არ გრძნობს და არც აღშფოთება არ შეუძლია მაშინ, როცა ანგარებიანი მოღვაწენი სულ ერთიანად გაჟღენთილი არიან ერთი სურვილით—გამდიდრების დაუოკებელი წყურვილით. ცხადია, აქ ბრძოლა უთანასწორობა. არაფერს არ შეუძლია გააცხოველოს და გაათკეცოს ძალა პატიოსანი ინტელიგენტისა იმიტომ, რომ პირადი წარმატების, გამდიდრების შმაგი სურვილით იგი არასოდეს არ იმსჭვალება, ხოლო უფრო ღრმა ვნებას, მტრობას, აღშფოთებას, შურისგებას იგი არ განიცდის. ვნებების წინააღმდეგ ბრძოლაში კი, თვით ისეთი უმცირესი ვნებისაც, როგორიცაა გამდიდრების სურვილი, მრწამსი უღონოა. ვნება მხოლოდ ვნებით შეიძლება დამარცხდეს, თანაც უფრო ძლიერი და ღრმა ვნებით. აი, რატომაა, რომ ჩვენ მუდამ ვხედავთ ჩვენს კერძო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, კერძო ყოფაში და ყოველგვარ საერობო, საქალაქო, საზოგადოებრივ დაწესებულებებში პირად ინტერესთა ზეიმს, პირად ზრახვებს, გამარჯვებულთ თავის პლატონიურ პროტესტში

გამოხვეულ უანგარო ინტელიგენციაზე. გამარჯვებული ანგარება კი აღშფოთებულ მრწამსს მზაკვრულად მიაწედის „ერთ ჭიქა კარგ ღვინოს“ და თან ჭკუის სნავლებით დაატანს—„ჩემი პიროვნება არ გაშფოთებს და ეგაა“. იგი მართლაც არ აშფოთებს მას.

აღშფოთება ინტელიგენციაში გამოიწვევდა „მტრობას“, ანუ უფრო ძლიერ ვნებას, ვიდრე გამდიდრებისა და მოხვეჭისაკენ სწრაფვაა. იგი მას ბრძოლის ინტერესს მისცემდა და არ მოასვენებდა სრული გამარჯვების მიღწევამდე. გამარჯვებულმა გამორჩენამ კარგად იცის ასეთი ვნების ძალა, იმდენად კარგად, რომ უცბად შეუძლია გაარჩიოს და შენიშნოს მისი არარსებობა მოწინააღმდეგეში. ან როგორ არ უნდა იცოდეს იგი მან, რომელსაც არაერთხელ მორჩილად მოუხრია თავი ღრმა ვნების წინაშე, იმ ვნებისა, რომელიც არაფრის წინ არ ჩერდება, არ კრთის, რომელსაც ბრძოლის გულისათვის შეუძლია კიდეც, რომ ის ინტერესები, რომელნიც ყველაზე ძვირფასია გამორჩენისათვის, რომელთათვისაც იგი იღვწის და რომლებითაც არსებობს—გაწიროს... სწორედ ისე, როგორც ომში წარმატება ხვდება მხოლოდ იმ სახელმწიფოს, რომელიც შეძლებს ბევრი ძლიერი ბატალიონის გამოყვანას, ასევე ცხოვრებისეულ ბრძოლაში წარმატება არის ხვედრი იმ მხარისა, რომელსაც წამოაყენებენ უძლიერესი ვნებანი და ინტერესები. როგორც ბანქოს ვერ ითამაშებს მხოლოდ ერთი გროშის მქონე ადამიანი, რომელიც ოცნებობს ათთუმნიანის მოგებაზე, იმ ადამიანთან, რომელიც ყოველთვის მხოლოდ ათთუმნიანებს ჩამოდის, სწორედ ასევე უთანასწორო და ხანმოკლეა ბრძოლა პირად ინტერესებსა და ნამდვილ ვნებას შორის, რომელსაც მსხვერპლად შეეწირება პიროვნება, როგორც თავისი ინტერესებით, ისე კომფორტის ყოველგვარი სიკეთით. ამ კატეგორიის მებრძოლთ ბრძოლაში შეაქვთ ქვემეხები, მოწინააღმდეგეებისათვის უცნობი და მიუწვდომელი ქვემეხები. განაღა საკითხავია, ვინ გაიმარჯვებს.

უფ. გარშინის გმირებს არ გააჩნიათ ასეთი ვნებანი. ამიტომ საოცარი არაა, რომ მათ თანამედროვე საზოგადოების ცხოვრება მთლიანად არ ითრევს. „მე არა მინდა რა, მომცილდით, დამტოვეთ“,—ეუბნებიან ისინი ყველას, ვინც მათ თანაუგრძნობს. „ასეა ყოველდღე, მოსაწყენია არა? მე თვითონაც დიდი ხანია დავრწმუნდი, რომ ყველაფერი ეს მოსაწყენია“. „მოსაწყენია“—ნიშნავს, რომ

ადამიანის ტვინიც, ნერვებიცა და გულიც ჭკნებიან სულ მცირე აღგზნებისა და მოძრაობის უქონლად, უმოძრაობაში მჟღავდებიან... წინააღმდეგ მოქმედებისა და შეტევის მოგერიების ფიქრისა ისინი მრწამსის გულისთვის გამოთქმული პლატონიური სიყვარულის შემდეგ ექვემდებარებიან ყოველგვარ ანომალიას, რა საზიზღარიც არ უნდა იყოს იგი. რა საჭიროა მოგერიება?

„—ჰო და, ეს სულ ერთია. ყველაფერი გათავდა: ახლა მე ჩემს თავს არ ვეკუთვნი, მე მდინარებას მივყვები; ახლა ყველაზე უკეთესია არა ვიფიქრო, არა ვიმსჯელო, არამედ უკრიტიკოდ მივიღო ცხოვრების ყოველგვარი შემთხვევითობა და მხოლოდ ვიღმუვლო, როცა მეტკინება“...

„დეე, ხელს ნუ შემიშლიან, მქონდეს ჩემი მოსაზრება“. ამაში, რასაკვირველია, მას ხელს არავინ შეუშლის, ვის აინტერესებს, რას ფიქრობს ის, ვინც უდრტვინველად მინებებია მდინარებას? ერთი სიტყვით, ეს სურვილიც წმინდა პლატონურია, რადგან ჩქარა უფ. გარშინის გმირები, უფლებაწართმეულნი, საკუთარი შეხედულება რომ გააჩნდეთ, თავიანთ შენიშვნებში არ ჩაწერდნენ ფრაზას:

„რად ვიფიქრო ჩემს მომავალზე, როცა მე მას კარგად ვიცნობ? რად ვიფიქრო წარსულზე, როცა იქ არაფერია, რასაც ჩემი ახლანდელი ცხოვრების შეცვლა შეეძლოს? დიახ, ეს მართალია“.

ეს იმდენად „მართალია“, რომ მეორე გმირი დაურთავს: „მე სრულიადაც არა ვარ დაკავებული უნაყოფო აზრებით ომის საშინელებაზე, რადგანაც, რამდენიც არ უნდა ვიფიქრო მის მოსპობაზე, ვერაფერს გავაწყობ. სჯობია, არც ვიფიქრო...“

ასეთია, ჩვეულებრივ, ბედი სურავანდიანი ქალიშვილებისა, რომელნიც ცოტათ თუ ბევრად ძალად მიუთხოვებიათ „ბებერ, საძულველ ქმართათვის“ და ახალ გარემოებაში ცრემლით ჭკნებიან, რადგან მათთვის უცნობია და ხელმიუწვდომი უფრო ძლიერი სურვილი, სურვილი, რომელსაც შეეძლებოდა მათთვის ღონე მიეცა დაეცვათ თავიანთი უფლებები და ღირსეული გამოსავალი მოენახათ. თუ ასეთი ბუნების ადამიანები ხშირადაც გაურბიან ამისმაგვარ აუტანელ მდგომარეობას, ამას აკეთებენ მდგომარეობის დანოლისაგან, რაც სრულიადაც არაა შეფარდებული მათს უფლებებს, ზნეობას, გემოვნებას და სურვილებს და რასაც არ სურს სულ მცირედითაც დააკმაყოფილოს ისინი. მოთხრობაში „At-

talea nrinceps“ უფ. გარშინი ჩვენ გვგონია თვით მიუთითებს საქმის ამ მხარისაკენ სწორედ სათბურის მცენარის ამორჩევით, რომელიც სათბურიდან თავისუფლებისაკენ მიისწრაფვის. კაცმა რომ თქვას, ეს მცენარე თავისუფლებისაკენ მიისწრაფვის ძირითადად იმიტომ, რომ სათბურის სახურავი უშლის მის ბუნებრივ ზრდას, რომ შეხუთული ჰაერი ყოველმხრივ დაჩურთული საპყრობილისა მეტად შმორიანია... ამის შედეგია წამოზრდილი შტოების დაწოლა სათბურის შუშებსა და რკინის ბადეზე, რომელნიც ასეთ დაწოლას ვერ უძლებენ და ნამსხვრევებად ცვივიან ირგვლივ. უფ. გარშინს რომ თავისი მოთხრობების გმირებად არა „საშუალო ადამიანთა“, „მორიდებულთა და გულკეთილთა“ წარმომადგენელნი ამოერჩია, არამედ ვნებიანი ბუნების მქონენი, ბრძოლისათვის გამობრძმედილნი, ეჭვი არაა, თავის სათბურში იგი მოათავსებდა არა სათბურების მცენარეს, რომელიც გრილი ჰაერის მოძრაობით იხრჩობა, არამედ მშობლიურ მუხას, რომელსაც აქვს უნარი გაუძლოს მშობლიურ ველთა ქარიშხალსა და ყინვას. უფ. გარშინმა, ვიმეორებთ, აირჩია დაჩიავებული მცენარე, რომელიც თავისუფლებაში იყინება და მაინც მიესწრაფვის სათბურიდან გამოსვლას. მას არ შეუძლია არ იზრდებოდეს და იზრდება, იზრდება სათბურშიაც კი. მაგრამ, რადგან თვით ეს სათბური არ შეეფერება მის ზრდას, ამიტომ პალმა ანგრევს სახურავს, შემდეგ კი იღუპება იმ შეგრძნებით აღსავსე, რომ ამისათვის არ ღირდა ამდენი დარდი და წამება. უფ. გარშინის მისამართით გამოთქმული საყვედურები პალმის სიკვდილის წინ ამ გულის გატეხაზე, ჩვენის აზრით, სრულიად დაუმსახურებელია. სათბურის უძლური მცენარისათვის მართლაც უკეთესი იქნებოდა, რომ სათბურიც გაზრდილიყო და განახლებულიყო მასში ჩამწყვდეულ მცენარეთა ზრდასთან ერთად. ღია ცის ქარიშხალი და უამინდობა მართლაც ყველასთვის არაა ასატანი და სასარგებლო. მხოლოდ ის ერთი უნდა გვაკვირვებდეს, რომ პირობები თვით სათბურის მცენარეებსაც კი ამოძრავებს რკინის ჩარჩოებთან შესატაკებლად და უნდა შევიგრძნოთ, რომ თვით ჩია არსებათა ბუნებრივი ზრდის წინააღმდეგ ულონო არიან ხელოვნური დაბრკოლებანი, თუნდაც რკინისა იყვნენ ისინი. უფ. გარშინს, რაკი თავისი ტიპის ერთგულად რჩება, უნდა შე-

ექმნა სწორედ ასეთი და არა სხვაგვარი სახე. ეს სახე სწორედ იმითაა მნიშვნელოვანი, რომ აღებულია მორიდებულ და ჩია არსებათა სამყაროდან. თუკი ასე უწამებიან და ღონდებიან ისინი, რომელნიც თვით ღვთის ნებით უნდა იზრდებოდნენ სათბურში და, თუ ისინი იძულებული არიან შეებრძოლონ რკინასა და ოსტატებს, და თუ ისინიც კი ძლევენ მაშინ, როცა თავისუფლებას არ საჭიროებენ და არც სიკეთეს ეძიებენ, მაშინ, თვითონ განსაჯეთ —რას უნდა გრძნობდნენ მძლავრი მუხები, სათბურებში გამომხრჩვალნი და შემძლებელნი მშობლიური ბუნების უბედურებათა ატანისა?

91. ლუი ბლანი და გამბეტა

ევროპაზე სრულიადაც არ მოუხდენია ერთნაირი შთაბეჭდილება საფრანგეთის რესპუბლიკური პარტიის ორი უდავოდ უმნიშვნელოვანესი მოღვაწის__ლუი ბლანისა და გამბეტას თითქმის ერთდროულ სიკვდილს. პირველი მათგანი ყოველგვარი ხმაურისა და აურზაურის გარეშე ჩაიფერფლა. საზოგადოების უმეტეს ნაწილს მხოლოდ მისი გარდაცვალების ამბის შეტყობისას გააახსენდა, რომ ეს კაცი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მის დაკრძალვაზე არავის დანანებია სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ, ამასთანავე, არსად ჩანდა მწარე სინანულის ის მცირეოდენი კვალიც კი, რომლითაც ჩვეულებრივ აცილებენ ყველაზე უფრო დიდი მოღვაწის ცხედარს. თვით მის მტრებსაც კი არ გამოუხატავთ ის ველური სიხარული, რომელსაც ამგვარ შემთხვევაში განიცდის ხოლმე ადამიანი. ალბათ, ბევრს გვინახავს ბრწყინვალე გარეკანში ჩასმული და ბიბლიოთეკაში თვალსაჩინოდ დადებული წიგნი, რომელსაც უწინ აღტაცებაში მოვყავდით, გვიხსნიდა აზროვნების ნათელ ჰორიზონტებს და იწვევდა ვნებიან დისპუტებს, მაგრამ უკვე დიდი ხანია „პატივცემულთა" შორის ჩაირიცხა. მას ყოველთვის დაააფასებენ, მაგრამ აღარასოდეს წაიკითხავენ... არაფერი უთქმელი, იდუმალი, უხილავი, არავითარი საიდუმლო არ ჩაუტანია საფლავში ამ უდიდეს მოაზროვნეს, რომელმაც სიცოცხლეშივე გულუხვად მიმოაბნია თავისი დაკვირვებები და დასკვნები. მისი აზრები საყოველთაო საკუთრებად იქცა, ხოლო სხვა სიკეთე, სხვაგვარი მემკვიდრეობა მას არ დაუტოვია.

გამბეტას „უდროო" სიკვდილის ცნობა კი სულაც არ ყოფილა ასე ცივად მიღებული. ყველამ დაინახა, რომ სიკვდილმა პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოაშორა უდიდესი ძალა, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა არა მარტო საფრანგეთის ბედზე, არამედ მსოფლიო მოვლენათა მსვლელობაზე. „უდიდესი ტრიბუნის" მგზნებარე არსებაში, მის მკვირცხლ გონებაში ყველა, მეგობარი თუ მტერი, სწორედ იმ პრაქტიკულ ძალას ხედავდა, რომელიც თითქოს მარტოდმარტო მართავს და განაგებს ხალხებისა და სახელმწიფოების ცხოვრებას. თანახმად საზოგადოებრივი აზრისა, მოაზროვნეები შეიძლება დაიშრიტონ და გაღატაკდნენ, მაგრამ პრაქტიკული მოღვაწენი მუდამ ახალგაზრდები და დაუშ-

რეტელნი არიან. ღრმა მოხუცებულობამდე შეუძლიათ მათ სარგებლობა მოუტანონ საზოგადო საქმეს იმ საშუალებათა ერთობლიობით, რომლებიც მათ განკარგულებაშია. ამიტომ, როდესაც ასეთი მოღვაწენი კვდებიან, ყველას ეჩვენება, რომ მათთან ერთად იმარხება უამრავი ნაყოფიერი საქმეც. ხომ ფიქრობდნენ და წერდნენ ადამიანები, რომ ტიერის სიკვდილთან ერთად საუკუნოდ დასამარდაო საფრანგეთის აღორძინების საქმე, რომ, მის გარდა, ვერავინ განამტკიცებდა რესპუბლიკას, რომ მხოლოდ მას, ერთადერთს, შეეძლო საფრანგეთის გაყვანა რეაქციის სცილასა და უტოპიის ქარიბდას შორის... იმედის ამგვარივე გაცრუება გამოიწვია გამბეტას სიკვდილმაც. მისი მეგობრები ჯავრისაგან განადგურდნენ, მტრები კი ზეიმობენ იმ მტკიცე რწმენით, რომ გამბეტას ძალა თვით მასში იყო და მასთან ერთად ჩავიდა საფლავში. თითქოს იმედი, მისწრაფება და ინტერესი, რომელთა მჭერმეტყველურ განხორციელებასაც ემსახურებოდა გამბეტა, მისი ბაგეებით იყო შექმნილი და მის უკანასკნელ ამოსუნთქვასთან ერთად გაქრა. თითქოს ხალხის მასები ბრმად და მორჩილად მიჰყვებოდნენ მას, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შეეძლო მას ჩასწვდომოდა და განეზოგადებინა მათივე საკუთარი მისწრაფებები და სურვილები. კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, ვიდრე ხალხი ისწავლის დაინახოს ისტორიულ მოვლენათა მსვლელობაში რაღაც სხვა, გარდა გარეგანი ვითარებისა და წვრილმანებისა. კიდევ დიდხანს იქნებიან აღტაცებულნი სახელმწიფო მოღვაწენი და პუბლიცისტები ტიერისა და ბოკლის პლატონური იდეებით; მაგრამ კაიდანისა და ლორიკეს მაგალითი, დედის რძესთან ერთად შეთვისებული, უთუოდ სამუდამოდ დარჩება ერთადერთ საფუძვლად მათი პოლიტიკური განზრახვებისა, მხოლოდ ამ მაგალითით შეიძლება აიხსნას ის მსჯელობები და განცხადებები, რაც გამბეტას სიკვდილმა გამოიწვია. საქმე იქამდე მივიდა, რომ თურქეთის სულთანმა, როგორც ამბობენ, საფრანგეთის ელჩს განუცხადა—გამბეტას სიკვდილი ბოლოს და ბოლოს შესაძლებლობას მისცემს თურქეთს შეუდგეს „საშინაო რეფორმების“ განხორციელებასო. ხომ ხედავთ, თურქეთს გამბეტა უშლიდა ხელს!.. მოდით და ნუ გაგიკვირდებათ ამის შემდეგ გაზეთების აზრი იმის თაობაზე, თუ რაოდენ წარმოუდგენელი მოვლენები შეიძლება მოჰყვეს გამბეტას სიკვდილს, რომელმაც „ევროპის წონასწორობა“ დაარღვია.

საბედნიეროდ, კვლავ ვიმეორებთ, არავითარი ამგვარი გაუგებრობა და შიში არ აღუძრავს ლუი ბლანის სიკვდილს. მართლაც და, რაზე უნდა ემსჯელათ და ეკამათათ? გარდაიცვალა მოაზროვნე, „უტოპისტი", და აკი ცნობილია, რომ უტოპისტები უნაყოფო და დაღუპული ხალხია. სადღაც სხვენზე, შიმშილისაგან დაოსებულნი, მოიფიქრებენ რაღაც „ახალ აზრს", ცხადია, უტოპიურს, და გვიჩიჩინებენ მთელი ათეული წლები; ყოველნაირად გვიმტკიცებენ, რომ უამისოდ არ არის ჩვენი საშველი და ხსნა, გვიჩიჩინებენ მანამ, სანამ ციხე ან სიკვდილი არ გვიხსნის მათგან. შესაფერ ადათებს, გემოვნებასა და კაპრიზს მაინც შეესაბამებოდეს ის, რასაც ჩვენ „დროის სულს" ვეძახით. ნურას უკაცრავად. კერპებივით დგანან „თავიანთ აზრზე" და კვდებიან ისე, რომ არ ინანიებენ შეცდომებს, თითქოს მხოლოდ ისინი არიან ჭკვიანები და მთელი ქვეყანა კი—შეშლილი. ამაოდ როდი ანადგურებდა გამბეტა ასეთ ადამიანებს მთელი თავისი ჩვეული მოხერხებულობით და ააშკარავებდა მათ პატივმოყვარეობას. მთელი ქვეყანა, უკანასკნელ ადამიანამდე,—ამბობდა ის,—მხოლოდ ერთს ფიქრობს და ისინი კი ბედავენ საწინააღმდეგოს მტკიცებას მხოლოდ იმიტომ, რომ თავიანთი თავი უყვართ, პირადი ეგოიზმი მათთან უფრო მაღლა დგას, ვიდრე საზოგადო კეთილდღეობა. უტოპისტების სიამაყე ყველაფერს უშლის ხელს, მაგრამ, თუ ოქროში ამოავლებ, მოხერხებულად შეაჩეჩებ ქვეყნიერებას, საქმე ბრწყინვალედ წავა და სარგებელსაც გამოადნობ. მაგრამ ამაში არ არის საქმე. უტოპისტებს ეს შარლატანობად მიაჩნიათ,—გენიოსის შემოქმედებითი ძალის შეუფერებელ საქმედ; მათ ჰგონიათ, რომ, როცა მათი იდეა მომწიფდება და ადამიანთა გონებას დაიპყრობს, თვითონვე გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც სავსებით ვარგისი იქნებიან იდეების დასაშაქრავად და მოსაოქროვებლად. დაე, თვით მათ მოიმკონ ნაყოფი და დატკბნენ წარმატების კუდში მადევართა ტაშისცემით. სანამდე შეიძლება მივიდეს ასეთი ამაყი შეშლილობა, შეიძლება დაგვანახოს შემდეგმა ამონაწერმა თუნდაც იმავე ლუი ბლანის თხზულებიდან:

„მინისტრებს,—ბრძანებებს რომ აწერენ ხელს, დიპლომატებს,—მწვანე მაგიდასთან რომ აბამენ ინტრიგებს, მხედართმთავრებს,—სისხლის ნაკადულებს რომ ღვრიან, თავიანთი თავი დეკორამიწის მპყრობელებად წარმოუდგენიათ. სასაცილო სიამაყეა!

მათ არ იციან, რომ ქვეყნიერებას ინტელექტი განაგებს, მხოლოდ და მხოლოდ აზროვნება! მათ არ იციან, ცოცხალი ადამიანები, თავიანთ თავს ყოვლისშემძლედ რომ თვლიან, ხშირად მხოლოდ დიდებულ მიცვალებულთა უხმო სურვილს ასრულებენ. დედამინის ჭეშმარიტი გამგებელია ის, ვისი აზროვნებაც მომავალ წარმატებებს ქმნის, ვისი სულიც დიდი ხნით ადრე აგებს მომავალ თაობათა ცხოვრებას, ვისი სიტყვები და მაგალითიც ამაღლებს ადამიანის სულიერ დონეს".[1]

როგორი თვითცდუნებაა! მართალია, უტოპისტთა იდეების გარეშე არ იქნებოდა ქვეყნად არც პრაქტიკულ მოღვაწეთა უდიდესი გმირობა, რომელთაგანაც ყოველი მათგანი უნებლიედ მიდის წინაპარ უტოპისტთა გზით და წარმატებას აღწევს მხოლოდ მათი ნააზრევის წყალობით, მაგრამ იგულისხმება, რომ იდეების გამარჯვების საქმეში, რომელიც თან სდევს უტოპიის განხორციელებას, მსოფლიო დავალებულია არა უტოპისტების, არა მათი გენიის შემოქმედებითი ძლიერების, არა მათი პრინციპულობისა და მათ მიერ ხალხის მომავალი ბედის განჭვრეტის, არამედ იმ ადამიანთა გამჭრიახობისა და საქმიანობისაგან, რომლებმაც მიხვდნენ რა, რომ ეს აზრი უკვე გაიგო და შეითვისა უმრავლესობამ, თავს იდეს შრომა, მისცეს მას კანონის ძალა და ფორმა. ვის რა ესაქმება, რომ უტოპისტებმა მთელი თავიანთი სული შიგ ჩააქსოვეს, მას შეალიეს მთელი თავიანთი ძალა, მის გამო აიტანეს მრავალი შეურაცხყოფა, სასჯელი და განძევება და ახლა თვით სიცოცხლეც კი შესწირეს მას! გაბატონებული ეკონომიური კანონით, რომლის თანახმადაც ანაზღაურება უკუპროპორციულია შრომისა, აქაც, როგორც წარმოების სხვა დანარჩენ დარგებში, შემოქმედს წილად უნდა ხვდეს მხოლოდ ეკალი, ხოლო ყვავილები მათი ხვედრია, ვინც შეძლებს ისარგებლოს იდეითა და შრომით, ვინც „დროულად" გაუშვებს მათ მიმოქცევაში. ასეა მოწყობილი ქვეყანა.

ამ ორი მოღვაწის სიკვდილი გვაფიქრებინებს ამ უნაყოფო სინანულზე უფრო მნიშვნელოვან რაიმეს—თანამედროვეთა უსამართლობას და მათი ქებისა და ძაგების უაზრობას. ლუი ბლანისა და გამბეტას მოღვაწეობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული საფრან-

1. Jois Blane, Questions d'aujourd' hui et de demain, Broisieme serie, Paris, 1880.

გეთის თანამედროვე ისტორია, ის, რაც მასში ყველაზე საინტერესო და ნაყოფიერია. საფრანგეთის ცხოვრების სხვადასხვა ყველაზე უფრო კრიტიკულ მომენტებში ლუი ბლანიცა და გამბეტაც თვალსაჩინო ისტორიულ როლს ასრულებდნენ. ისინი იყვნენ ნარმომადგენელნი გაბატონებული განწყობისა, იყვნენ მთელი ხალხის მეთაურნი თუ არა, მისი საუკეთესო ნაწილისა მაინც, მათ ჰქონდათ საათები და თვეები ყველაზე უფრო სახარბიელო დიქტატურისა—გონების, ტალანტის და ენერგიის დიქტატურისა. გარკვეული ორგანიზაციის, სიმდიდრის, პირადი პატივისმცემლებისა და, ცხადია, ყოველგვარ მაჩანჩალათა გარეშე, ამ ადამიანებმა, თავიანთი სამშობლოს ცხოვრების ყველაზე უფრო შფოთიან დროს მიაღწიეს ხალხის საყოველთაო მორჩილებას, თუმცა ფრანგები არცთუ ისე ადვილად დასამორჩილებელი ხალხია. ორივესთვის მით უფრო ძნელი იყო ხალხის ასეთი ნდობის მოპოვება, რომ მათ, ყველაფერთან ერთად, არ შეეძლოთ დაყრდნობოდნენ ტრადიციულ დაწესებულებათა საფუძვლებს, არც საზოგადოების ბრმა ნდობას, არც შეიარაღებულ ძალებს, არც იერარქიულ, დამჯერ ადმინისტრაციას. მათი ერთადერთი იარაღი იყო თანამოქალაქეთა რწმენასა და გონებაზე ზემოქმედება. გონებრივ და ზნეობრივ წარმატებათა მომენტებს ორივეს ცხოვრებაში თან სდევდა დაცემისა და დავიწყების, თვით პოლიტიკური უძლურების პერიოდი. შემდეგ კი ისინი კვლავ ამოტივტივდებოდნენ ხოლმე საზოგადოების ზედაპირზე, კვლავ ხდებოდნენ მისი ბელადები. მაგრამ განდიდებისა და დაცემის დროსაც ისინი თავისთავადნი რჩებოდნენ, გონებაც, ტალანტიც და ცოდნაც მათთანვე რჩებოდა. მაშ, რა განაპირობებდა დროდადრო მათში ძალის ან უძლურების მოზღვავებას, მათი პოლიტიკური მნიშვნელობის მერყეობას, მათ გავლენას თანამედროვეთა გონებასა და ბედზე? საერთოდ, რაში მდგომარეობს ამ დიდი „ბრბოს მამოძრავებელთა“ საიდუმლოება, რა ქმნის მათ ძალას, რას მიყავს ისინი დაცემამდე? ეს კითხვები მეტად საინტერესოა, რადგან ამ ადამიანებს მოღვაწეობა უხდებოდათ ქვეყანაში, სადაც მხოლოდ უხეში ძალით უკვე აღარ შეიძლება საქმის წარმართვა, ქვეყანაში, რომელმაც გონებით ცხოვრება დაიწყო.

ამ ორი მოღვაწის სიკვდილის გამო დაბეჭდილი საგაზეთო სტატიებისა და დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვათა ტრაფარეტული ხასიათი ძნელად თუ აკმაყოფილებს საზოგადოების სავსებით სამართლიან სურვილს—გაარკვიონ განსვენებულ გმირთა ჭეშმარიტი როლი. სიკვდილის შემდგომი ნეკროლოგები და ბიოგრაფიები უმეტესად გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან კაიდანოვსკის „ისტორიის სახელმძღვანელოს“ დახასიათებებს: ესა და ეს მეფე ტახტზე რომ ავიდა, ქვეყანა წარმოუდგენლად არეულ-დარეული დახვდა. იქ ყველაფერი საშინლად მოუგვარებელი იყო. მან ყველაფერი ეს გამოასწორა, გარდაქმნა, გააუმჯობესა. მან მიმოფანტა და გაანადგურა ქვეყნის ყველა მტერი და სიკვდილის შემდეგ აყვავებული დატოვა თავისი ხალხი, რომელიც თავის კეთილისმყოფელს ლოცავდა. შემდეგ, მეორე გვერდზე: მის მემკვიდრეს, ტახტზე რომ ავიდა, ქვეყანა საშინლად არეული დახვდა. ყველაფერი მოუგვარებელი იყო. მან ეს ყველაფერი გამოასწორა, გარდაქმნა, გააუმჯობესა. მან გაფანტა და გაანადგურა ქვეყნის ყველა მტერი და სიკვდილის წინ აყვავებული დატოვა თავისი ხალხი, რომელიც ახლა თავისი კეთილისმყოფლის ხსოვნას ლოცავს და ა.შ. წიგნის ბოლომდე. ასეთივე შთაბეჭდილებას ახდენენ, ჩვეულებრივ, სიკვდილის შემდგომი ნეკროლოგებიც. მათ რომ დავუჯეროთ, თითქმის ყველა მიცვალებული უდიდესი გენიოსი გამოდის, ყოველგვარი სათნოების მაგალითი და სიბრძნის დაუშრეტელი წყარო. ყველა მიცვალებული ან მხსნელია, ან „ერთადერთი გმირი“, ქვეყნის იმედი. ნეკროლოგის ავტორებს დიუფორიც კი დიდ სახელმწიფო პიროვნებად და შეუდარებელ ორატორად ჰყავთ გამოყვანილი, ლედრიუ-როლენიც, ჟიულ ფავრიც, ტიერიც, გამბეტაც; ყველა მათგანს სამშობლოს ხსნა უნდოდა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოახერხა ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დანარჩენმა ხალხმა შეუშალა ხელი. არც ერთი მათგანის შეცდომებზე, ჩავარდნებზე, ნაკლზე, სუსტ მხარეებზე ნეკროლოგებში არაფერია ნათქვამი. აბა, სცადეთ და გაარკვიეთ, ვინ რითი იყო დიდი ან სუსტი. თანამედროვე მკითხველებისათვის თითქმის სულ ასეთი ნეკროლოგებითაა დაწერილი ჩვენი დღეების ისტორია. აი, რატომაა საჭირო ინტერესის გამო მაინც დაგვედგინა ისტორიული სიმართლე საფრანგეთის ახლანდელი ვითარებისა და მიგვემატებინა იმ ნეკროლოგებისათვის (ცალმხრივი ხოტბისათვის),

რომელთა მიხედვითაც ან განსვენებულთა ყოველი ნაბიჯი გენიალური და განსაცვიფრებელი იყო, განსაცვიფრებელი იყო ყველაფერი, თვით მათი ცხოვრების წვრილმანებიც. საქმისადმი სწორედ ასეთი დამოკიდებულება საშუალებას მოგვცემს ცოტათი მაინც გავარკვიოთ თანამედროვე ისტორიის ნაკლებად ცნობილი მხარეები იმ ქვეყნისა, რომელიც საკაცობრიო მოძრაობის სათავეში დგას.

საჭიროება არ მოითხოვს დაწვრილებით გადმოვცეთ განსვენებულთა ბიოგრაფია, ჩვენ მხოლოდ მათი ტალანტისა და დამსახურების ამბები გვაინტერესებს. ვფიქრობთ, მათი ცხოვრების ქრონიკა სავსებით ამომწურავადაა გაშუქებული საგაზეთო სტატიებში, რომლებიც უხვად იბეჭდებოდა და ნაწილობრივ მაინც არის ცნობილი მკითხველისათვის. ჩვენი შეფასების სრულყოფისათვის ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენ პანეგირისტებზე არანაკლებ ვაფასებთ ორთავე მოღვაწის არცთუ ჩვეულებრივ ნიჭსა და ტალანტს. ისეთ ქვეყანაში პირველობის მოსაპოვებლად, როგორიცაა საფრანგეთი, საჭიროა ასჯერ უფრო მეტი ნიჭი და ძალა, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში. განსაკუთრებით გამოირჩეოდა გამბეტა თავისი მრავალმხრივი ნიჭით. როგორც ჩანს, განგებამ უხვად უწყალობა მას ყველა ღირსება. რაც სახელმწიფოს მეთაურისთვისაა აუცილებელი: მჭევრმეტყველის მომხიბლავი ტალანტი, რომელიც მასებს ატყვევებდა და, მასთან შეზავებული მოქნილი გონება, ადვილად რომ შეუძლია შეითვისოს ყოველი ახალი აზრი და ადვილადვე გახადოს საზოგადოების საკუთრება; ის გახლდათ გამოცდილი და მარჯვე პოლემისტი, მოწინააღმდეგეს რომ დაუვიწყარ და მომაჯადოებელ დარტყმებს აგემებდა, ამავე დროს, იყო სასიამოვნო მოსაუბრე, მხიარული, რითაც იმსახურებდა ყველას სიმპათიას, ვისაც კი შეხვდებოდა და დაელაპარაკებოდა. მისი გამბედაობა, რაც კადნიერებამდე და თავხედობამდეც კი მიდიოდა, მის არსებაში მეტისმეტი ფრთხილი ანგარიშიანობის გვერდით იდგა. მას შეეძლო გულგრილად გაჩუმებულიყო და წარბიც არ შეერხია და იმ დროს, როცა შეიძლება ქვაც კი ატირებულიყო, მაგრამ, ამასთან, შეეძლო გზნებით შეხვედროდა ყველა იმ მოვლენას, რომელიც საყოველთაო ყურადღებას იმსახურებდა. უკიდურესად ენერგიულსა და მტკიცეს შეეძლო მოთმინებით ეცადა წლების მანძილზე, ვიდრე მისი ჩანა-

ფიქრი განხორციელდებოდა. მასზე მეტად არავის შესწევდა ძალა რთული პოლიტიკური აზრის ორსიტყვიან ფორმულაში ჩამოსხმისა, რაც თვით გულცივთა გონებაშიც კი იბეჭდებოდა. ერთი სიტყვით, პოლიტიკური ბელადისათვის საჭირო ყოველგვარმა ნიჭმა თითქოს განგებ მოიყარა თავი ამ კაცის არსებაში. ქვეყნად არავის სწამდა თავისი ძალა, არავის სჯეროდა თავისი ვარსკვლავისა და თავისი მოწოდებისა ისე, როგორც ამ კაცს ჯერ კიდევ ბევრად უფრო ადრე, ვიდრე მის სახელს ასიოდე მისი თანამოქალაქე მაინც გაიგონებდა. ხელახლა წაიკითხეთ მისი პირველი სიტყვა ბოდენის ძეგლზე, სიტყვა ადვოკატისა, რომელსაც სრულიად არავინ იცნობს; საკუთარი ძლიერებისა და ავტორიტეტის რა სულითაა იგი განმსჭვალული! ბერიესა და ჟიულ ფავრის არ ჰქონიათ ასეთი მბრძანებლური ტონი თავიანთი კარიერის ბოლოსაც კი, როცა მთელი ქვეყნიერება სულგანაბული უსმენდა მათ სიტყვას. ბედმა, რომელმაც ასე უხვად დააჯილდოვა გამბეტა ნაირგვარი ნიჭით, რომელთაგანაც ცალ-ცალკე აღებული ყოველი მათგანი საკმარისი იქნებოდა ადამიანის რეპუტაციის შესაქმნელად, არ დაიშურა მისთვის არც პირობები, არც შემთხვევები, არც გარემოება, მისი ტალანტის ასე რელიეფურად წარმოჩენა რომ შეძლეს.

დიახ, ბედმა თავის რჩეულს ეფექტური სცენების უსასრულო წყება და ბენგალის ცეცხლი არგუნა. როშფორის მიერ სახელგატეხილი და გამასხარავებული მეორე იმპერიის სანგრები მის ომახიან სიტყვაზე ისე ინგრეოდნენ, როგორც იერიქონის კედლები. იმ ხალხს, რომელიც სედანის შემდეგ ნაპოლეონის არმიის განადგურებასთან ერთად შიშსა და ძრწოლას მოეცვა, იგი ციდან მოევლინა ჰაეროვანი ბუშტით, გამამხნევებელი სიტყვით და მისი ხელის ერთი აქნევით რომ მიწიდან ამოიზარდა ხუთი არმია. ომის შეწყვეტის მაუწყებელი იყო პარიზის დაცემა, რომელიც არავის შეეძლო მიენერა მისთვის. მაგრამ ნაციონალური საბჭოს ჩამოყალიბებისა და კომუნის დაცემის შემდეგ იგი რესპუბლიკის გამარჯვების მაუწყებლად მოგვევლინა. მისი მცდელობით გაცუდდა ყველა ზრახვა, ყველა ჩანაფიქრი და ინტრიგა მონარქისტებისა. რესპუბლიკა ზეიმობს, მან გაიმარჯვა და ეს კი სულ რაღაც ათ-თორმეტ წელში მოხდა. ამ ფაქტში არის ისეთი რამ, საიდანაც შეიძლება შექმნა ლეგენდები, არის რაღაც, რაც ამ კაცის სახელს პოლიტიკურ თილისმად აქცევს, რომელიც აჯილდოებს

და გაიტაცებს მასებს. და თუ ასეთი ბრწყინვალე მონაცემების, ასეთი წარმოუდგენელი მომხიბლაობის ადამიანმა მაინც ვერ შეძლო, რომ მასში უგონოდ შეყვარებული მასა გადაეყვანა გზიდან და თავის რჩეულ გზაზე დაეყენებინა, განა შეუძლიათ ჩვეულებრივ მინისტრებსა და პუბლიცისტებს იოცნებონ „ხალხის ხელმძღვანელობაზე", „მათში თავიანთი რჩეული თეორიებისა და იდეების გავრცელებაზე?"

არის ქვეყნად ისეთი რამ, რომელსაც ისტორიული პროგრესი ეწოდება, რომლის კანონებიც ისე მტკიცეა, რომ კანცელარიისა და დაწესებულებების კომისიებში მათი ხელახლა გამოჭრა შეუძლებელია. ამ კანონების ძებნა ამაოა მოქმედ კანონთა გროვაში, მაგრამ ფილოსოფიის ისტორიას შეუძლია გვიჩვენოს მათი უმტკიცესი ძალა. სამწუხაროდ, გამბეტასათვის ეს ფილოსოფიის ისტორია უცნობი იყო: სახელმწიფო მოღვაწეებსა და მის კანდიდატებს მისი ძალა არა სწამთ. როდესაც თავისი წარმატებით თავბრუდახვეულმა, თავის ავტორიტეტს ბრმად მინდობილმა გამბეტამ მონინააღმდეგეს სძლია, მან წარმოიდგინა, რომ მისთვის ყველაფერი დასაშვებია, მას შეუძლია გაბედოს და შეცვალოს ისტორიის ბორბლის ტრიალი, შეუძლია მოატყუოს ისტორიის პროგრესი ისევე, როგორც გააცურა ვერსალელი მონარქები. სწორედ ესაა მისი მოღვაწეობის უკანასკნელი ნლების უნაყოფობის, მისი ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო აღმავალი პოლიტიკური უძლურების, დაბოლოს, მისი დაცემის საიდუმლოება.

საქმე ისაა, რომ ბრწყინვალე ნიჭიერებამ გამბეტას მხოლოდ იმიტომ შეუქმნა ავტორიტეტი, რომ მან თავისი ეს ნიჭი მართალ საქმეს უძღვნა, საქმეს, რომელიც მოიტანა ისტორიულმა პროგრესმა. ვიდრე ის ამ საქმის ერთგული იყო, ძალაც მის მხარეზე გახლდათ, რადგან ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალა მას მიეკედლა. იგი არც ისე შეუცდომელი, ყოვლისმცოდნე და ყოვლისამომცნობი გენია გახლდათ, როგორც ნეკროლოგისტები ხატავენ. ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის საუკეთესო პერიოდში დაუშვა მან უამრავი შეცდომა და ჩავარდნა, რაც თანამედროვეთა ყურადღებას არ გამორჩენია. მაგრამ თვით ეს შეცდომები და ჩავარდნები არ ამცირებდნენ მის მნიშვნელობას: მისი რეპუტაცია და სახელი იზრდებოდა, მიუხედავად ამ შეცდომებისა. ვიმეორებთ, ისევე, რო-

ვორც ყველა გამოჩენილი მოღვაწე, გამბეტაც გამოჩენილი იყო მხოლოდ იმით, რომ პროგრესის დიდ საქმეს ემსახურებოდა და მხოლოდ მანამდე, ვიდრე მას ემსახურებოდა. მაგრამ გამბეტა რომ ასჯერ უფრო გენიალურიც ყოფილიყო, ალბათ, ისეთივე პოლიტიკური არარაობა იქნებოდა, როგორც მასზე არანაკლებ ტალანტიანი ნუმა ბარანიონი, თუ თავის ძალ-ღონეს რეგრესის სამსახურს შეალევდა.

გამბეტას საქმიანობაში რელიეფურად ორი მთავარი მხარე იკვეთება, რომელსაც უდავოდ თვალსაჩინო ადგილი უკავია მის დამსახურებათა რიგში. მან შეძლო რესპუბლიკისაკენ მოეზიდა საშუალო ფენის—არმიისა და ბურჟუაზიის—სიმპათიები და დაინტერესა მის აღმავლობაში დახელოვნებულ, საქმიან და ძლიერ პიროვნებათა მასები, რომლებიც მანამდე მონარქიული პარტიის თაყვანისმცემელი იყვნენ. დაბეჯითებული პროპაგანდის გზით, გონების უცილობელი დასკვნით, რასაც მეტყველ და მგზნებარე სიტყვებში აქსოვდა, მშიშარებს, პატივმოყვარეებს, აპათიურ და ყოველი ჯურის წვრილ მესაკუთრეებს დაუმტკიცა, რომ მხოლოდ და მხოლოდ რესპუბლიკას შეუძლია მისცეს საფრანგეთს ჭეშმარიტი ნესრიგი, არა ის, რომელიც ხიშტების ძალასა და საზოგადოების ყველა ცოცხალი არსის ექსპლოატაციას ეყრდნობა, არამედ გონივრული, ქმედითი წესრიგი, შექმნილი ქვეყნის სამართლიანი, კანონიერი მისწრაფებებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად. უნდა გვახსოვდეს; საფრანგეთის ადრინდელმა მთავრობებმა ბნელი ხალხის მასებს ჩაუნერგეს ცრურწმენა და ცილისწამება რესპუბლიკისა და რესპუბლიკელთა წინააღმდეგ. სისხლის ნაკადულებზე, ძარცვა-გლეჯასა და სხვა ამბებზე შექმნილი ეს ზღაპრები სწორედ გამბეტამ დაამსხვრია თავისი ტალანტის არაჩვეულებრივი ბრწყინვალებით. მეორე მნიშვნელოვანი დამსახურება, რაც მან პროგრესის საქმეს გაუწია, არის დისციპლინის გამტკიცება რესპუბლიკელთა შორის, იმ ორგანიზაციის შექმნა, რომელიც დაეხმარა რესპუბლიკურ პარტიას, გამარჯვებული გამოსულიყო ყველა ბრძოლიდან. მან ეს ოპოზიციური პარტია თანდათანობით გარდაქმნა ისეთ პარტიად, რომელსაც შეუძლია მართოს სახელმწიფო.

ჯერ კიდევ გამბეტამდე რესპუბლიკელები თავიანთი რაოდენობის მხრივ საკმაოდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ პარტიას წარ-

მოადგენდენ, მაგრამ მათი არსებობა არა თუ გავლენას ვერ ახდენდა თანამოქალაქეთა გონებასა და მოვლენათა მსვლელობაზე, არამედ ეს პარტია თავად იყო პარალიზებული პარტიის ცალკეულ დაჯგუფებათა გაუთავებელი შინაბრძოლებით. პარტიაში თეორიულადაც არ ჰქონიათ დასახული რაიმე საერთო ან რამდენადმე გარკვეული მიზანი, არც სისტემატურად გამოსაყენებელი საშუალებანი, არ კეთდებოდა არც ეკონომია ძალთა და სახსართა ხარჯვაში. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკური პარტია მაინც სერიოზულ პოლიტიკურ ძალად იყო აღიარებული, რომელსაც ნებსით თუ უნებლიეთ ანგარიშს უწევდა მმართველობა, მისი რიგები განუწყვეტლივ იზრდებოდა და მრავლდებოდა, ხოლო უმოქმედობა მაინც არ ადუნებდა. ყოველივე ეს, ერთის მხრივ, აიხსნება ისტორიული პროგრესის სტიქიური ძალით, ქვეყნის ახალ-ახალი ძალების მოზღვავებით პარტიაში და, მეორეს მხრივ, პარტიის უმთავრესი ნევრების მოღვაწეობის გმირული, უდავოდ თავგანწირული ხასიათით. არმან კარელის, გოდფრუა კავენიაკის, გარნიე-პაჟე უფროსის, ლედრიუ-როლენისა და სხვათა მსგავსმა ადამიანებმა მიიპყრეს საყოველთაო ყურადღება და მოიხვეჭეს საოცარი სიმპათია ხალხისა არა მარტო ტალანტის ბრწყინვალებით და მისწრაფებათა კეთილშობილებით, არამედ—ფანტასტიკურად მგზნებარე ენთუზიაზმით და თავიანთი პირადი თავისუფლებისა და სიცოცხლის იმ მიზნისათვის შეწირვის მზაობის გამო, რომელიც მაშინ ყველას ქიმერული ეგონა. მათმა მაგალითმა მრავალი ადამიანი მიიზიდა. ჩვეულებრივ ასეთია ყველა იმ ცოცხალი პარტიისა და ყველა იმ მოძღვრების დაწყებითი ნაბიჯები, რომელსაც მომავალი აქვს, მაგრამ, როცა პირველი ფალანგის საგმირო საქმეები პარტიისაკენ მიიზიდავს მომხრეთა მასებს, შემდეგ საჭირო ხდება გონიერი და შორსმჭვრეტელი ორგანიზაციის ჩამოყალიბება, რომლის ახლანდელი მიზანია წინსვლა არა ნახტომებით, არა ალალბედზე და თავპირისმტვრევით, არამედ მტკიცე და ბუნებრივი ნაბიჯით, რომლის სიმწყობრეც იმატებს პარტიის ძლიერების თანდათანობითი განმტკიცების ხარჯზე.

დგება საკითხი, რომ ძალთა და სახსართა ხარჯვა უნდა შეეფარდოს მოსალოდნელ შედეგთა ნამდვილ მნიშვნელობას, რაც წინასწარ უნდა აიწონ-დაიწონოს, გამოითვალოს ყოველი ნაბიჯი, ყოველი გადასვლა, რათა არ მოგვიხდეს უკან დაბრუნება ან ერ-

თი და იმავე ადგილის ტკეპნა. რისკი რომ გასწიოს, თავი საფრთხეში ჩაიგდოს, უკანასკნელი კაპიკი დახარჯოს ისე, რომ მომავლისაკენ არც კი გაიხედოს, შეუძლია და ვალდებულიცაა მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც მტკიცე გარემო არა აქვს. მაგრამ, თუ გაქვს საშუალება, თუნდ მოგვიანებით მაინც რისკის გაუწევლად უთუოდ მიაღწიო რაიმე ხელშესახებსა და მუდმივს, უკვე უჭკუობაა სახიფათო ცდებისათვის საკუთარი სახსრების მცირეოდენი ნაწილის გამეტებაც კი. ყოველივე ამასთან ერთად, არაფერი არაა ისე ძნელი, როგორც ჯგუფური სახიფათო პოლიტიკიდან მკაცრად დაკანონებულ პარტიულ პოლიტიკაზე გადასვლა. ეს ბუნებრივიცაა. პოლიტიკაში მთავარია ენერგია, როგორც მოქმედების გეგმის შესადგენად, ისე მისი განხორციელებისათვის. ენერგია კი, ცნობილია, ძნელად შესანახია, მაგრამ ადვილად გასანიავებელი. შეიძლება მოაგროვო პიროვნებათა მასა, რომელთაც ძალა შესწევთ გამოავლინონ ენერგია გარკვეული საათებისა და დღეების მანძილზე, ძალუძთ ძრწოლის გარეშე შეხვდნენ სიკვდილს, გაბედულად მიუშვირონ მკერდი ტყვიას, მაგრამ ბევრ მათგანს, სავსებით ენერგიულ პიროვნებას, მაინც არ ეყოფა ამტანობა, შეინარჩუნოს ენერგიის იგივე ვადა რამდენიმე წლის მანძილზე არა მხოლოდ სიკვდილის, არამედ წვრილი, ოდნავ შესამჩნევი ყოველდღიური დაბრკოლების წინაშეც. სიკვდილის მუქარის წინ ქედუხრელი ადამიანები წამდაუწუმ იდრიკებიან და ქედს უხრიან წვრილ ინტრიგებს, პროზაულ დაბრკოლებებს. ამის გამო პოლიტიკური მოღვაწე შეუდარებლად მტკიცე და თანამიმდევრული უნდა იყოს პარტიული პროგრამის განხორციელებაში, ვიდრე დროდადრო გაელვებულ აფეთქებებსა და მანიფესტაციებში, რაოდენ სახიფათო და ეფექტურიც არ უნდა იყოს ისინი.

მეორეს მხრივ, განსახორციელებლად რამდენადმე დამაკმაყოფილებელი პარტიული პროგრამა მოითხოვს მრავალმხრივ ტალანტებს, ცოდნასა და ძალას მაშინ, როცა წრეობრივ პროგრამას, რომელიც საჭიროა ცალმხრივი იყოს, შეუძლია დაკმაყოფილდეს გაცილებით მცირე საშუალებებით. აი, რატომ რჩებოდნენ ფრანგი რესპუბლიკელები ძალიან დიდხანს პარტიული ორგანიზაციის გარეშე, ინარჩუნებდნენ რა განცალკევებული წრეების სახეს ან, უკეთ, რამდენადმე ბოშათა მცირე ბანაკის იერს, სადაც თითოეული მათგანი მინდობილი იყო იმ სტიქიის ყოველგვარ გა-

მოხდომასა და შემთხვევითობაზე... წრეები კი ყოველდღიურად ბარტყობდნენ. ადეპტების რიცხობრივ ზრდასთან ერთად, ცხადია, უნდა გართულებულიყო პარტიის ამოცანებიც და მისი მოქმედების გეგმაც, ხოლო თვით მის როლსა და ბრძოლას უფრო მნიშვნელოვანი ხასიათი უნდა მიეღო. მაგრამ ასე არ მომხდარა. არმან კარელისა და გოდფრუა კავენიაკის გარდაცვალებიდან ორმოცი წლის შემდეგ მათი პარტია უმთავრესად ისეთსავე მდგომარეობაში დარჩა, როგორიც იყო მათ დროს, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროის მანძილზე პარტიამ ერთხელ ხელთ იგდო ძალაუფლება და თითქმის მთელი წელი ვარჯიშობდა ამ საქმეში. ამ ორმოცი წლის განმავლობაში გამოყენებული იქნა ყველა საშუალება, რაც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ პარტიის დასასუსტებლად და გასანადგურებლად არა მარტო მისი მტრებისაგან, რაც ბუნებრივია, არამედ თვით პარტიის წევრებისა და ადეპტებისაგანაც.

როცა ნაპოლეონ III-ის მეფობის ბოლო წლებში გამბეტა ამ პარტიას მიეკედლა, იგი იყო ქაოტური მასა ურთიერთმტრულად განწყობილი წრეებისა, რომლებიც ცალ-ცალკე მოქმედებდნენ, ხშირად ერთიმეორის წინააღმდეგაც. უნდა ამ წრეებში გეტრიალა, ხელით შეხებოდი აქ გამეფებულ პოლიტიკურ აზრთა და კონცეფციათა მთელ სპექტრს, რათა წარმოიდგინო სირთულე იმ მიზნისა, რომელიც გამბეტამ დაისახა გათიშული და დაპირისპირებული ჯგუფებისა და წრეების გასაერთიანებლად, რომ აღარაფერი ვთქვათ პირად თავმოყვარეობასა და მის მსგავს დაბრკოლებებზე, რაც არსებითად უმნიშვნელოა; რაოდენ დიდი ენერგია, სიმტკიცე, შრომა უნდა დაეხარჯა გამბეტას, რომ გამკლავებოდა ცრურწმენას, ილუზიებსა და ცალკეულ ჯგუფთა ტრადიციებს, განეწყო ეს ჯგუფები იმისათვის, რათა თავიანთი წვრილმანი, მაგრამ სათაყვანო ამოცანები გაეცვალათ საზოგადო და, ამასთანავე, უკიდურესად შორეულ მიზნებზე!

გამბეტამ თავის პოლიტიკურ თანამოაზრეებს ისეთი ორგანიზაციის გეგმა შესთავაზა, რომელმაც მოიცვა მთელი საფრანგეთი, ერთ ქსელში გააერთიანა ყველა წრე და კომიტეტი, ერთად, საერთო ცენტრით შეაკავშირა ისინი. ეს გაკეთდა არა მათი ცენტრისთვის დაქვემდებარების მიზნით, არამედ გამბეტას სურდა ყველას ჰქონოდა საშუალება ადგილობრივი ფრაქციების მოსაზ-

რებებისა და სურვილების გაგებისა. დანესდა რა აზრთა მუდმივი გაცვლა-გამოცვლა ყველა ამ კომიტეტსა და მის ირგვლივ შემოკრებილ მოსახლეობას შორის, გამბეტას მიერ შემოთავაზებულ ორგანიზაციას საშუალება მიეცა, კომიტეტებს შორის არსებული კავშირის მეშვეობით შეევსო საშუალებათა და ძალთა უკმარისობა სხვა კომიტეტების გამოყენებით. დამყარდა მტკიცე, რეალური კავშირი... ნიჭი და ცოდნა უმოქმედოდ აღარ იღუპებოდა წრეების ვიწრო სფეროში. ტალანტები ვერც კი ასწრებდნენ გამოვლენას, რომ უკვე ანინაურებდნენ, უძებნიდნენ შესაბამის როლს იმ წრეებსა და დარგებში, სადაც იგრძნობოდა მათი უკმარისობა. ამით აღწევდნენ პოლიტიკაში ყველაზე უფრო ძნელად განსახორციელებელ შედეგს—ამოექაჩათ, რაც შეიძლება მეტი სარგებელი, ქვეყანაში არსებული ძალებიდან სათანადო სფეროში ყოველგვარი ნიჭის ჩაყენების გზით.

ძალთა ასეთი ეკონომიის წყალობით რესპუბლიკური პარტია, რომელიც მანამდე მოუმზადებელი და პრაქტიკულად უძლური ჩანდა, უცებ გამობრწყინდა, გამოავლინა მცოდნე პრაქტიკული და ნიჭიერი ადამიანების ისეთი რაოდენობა, რომელზედაც არც ერთ პარტიას არ შეეძლო ოცნება საფრანგეთში. სწორედ ამგვარ ორგანიზაციაშია საჭირო ის „დისციპლინა", ურომლისოდაც არ შეიძლება პარტიის არსებობა და არა მისი ყველა წევრის ბრმა მორჩილებაში რომელიმე პიროვნებისადმი, რაოდენ გენიალურიც არ უნდა იყოს იგი.

ასევე დანვრილებით აღარ შევეხებით გამბეტას სხვა დამსახურებას, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ იგი უჩვენოდაც გაშუქებულია და შემდეგ—ჩვენ ამ დამსახურებაზე საყოველთაოდ აღიარებულისაგან განსხვავებული მოსაზრება გვაქვს. მხოლოდ გაკვრით შევნიშნავთ ამ განსხვავებას. ჩვეულებრივ გამბეტა ითვლება სედანის კატასტროფის შემდეგ საფრანგეთის მიერ გამოჩენილი სამხედრო წინააღმდეგობის შესანიშნავ ორგანიზატორად და რესპუბლიკის არქიტექტორად, მისი ახლანდელი კონსტიტუციის მოხერხებულ შემქმნელად. გამბეტას ამგვარი როლი ორივე შემთხვევაში ჩვენ მეტად გაზვიადებულად მიგვაჩნია და იგი არ შეესაბამება ამ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის რეალურ საქმიანობას. ადამიანებს, რომლებიც არ იცნობენ დიდი რევოლუციის მოვლენებს და წარმოდგენა არა აქვთ, როგორ მომზადდა

და განხორციელდა 1793 წლის სასწაულები, რასაკვირველია, გამბეტას ცდა, მისი პროკლამაციები მართლაც ზებუნებრივად უნდა მოეჩვენოთ, მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ რას და ვის ბაძავდა იგი და ვიცით ისიც, თუ რაოდენ ჩამორჩა იგი ორიგინალს. საკმარისია შევადაროთ მისი ჩვენება პარლამენტის კომისიის წინაშე, რომელიც მის საქმიანობას ამოწმებდა,* კარნოს და დიდი რესპუბლიკის** კომისრების მოხსენებებს თუ პატაკებს, საკმარისია შევისწავლოთ კარნოს ორგანიზატორული საქმიანობა, კომისრების ენა ან მოქმედება, რომ მიეხვდეთ, თუ რაოდენ სუსტი, ძირშივე უძლური იყო გამბეტას უსისტემო, წყვეტილი და წინააღმდეგობრივი საქმიანობა. 1793 წლის ადამიანები შემოქმედებითი ბეჭდით იყვნენ დადაღულნი. ახალი დაბრკოლებებისა და ახალი ვითარების წინააღმდეგ მათ ომის ახალი ხერხები შექმნეს, გააუმჯობესეს ჯარების ორგანიზაციაც, მათი მოხმარების ხერხებიც, სტრატეგიაც, ტრაქტიკაც, მომარაგებაც და არმიის შეიარაღებაც. მხოლოდ ამით ძლიეს მათ საფრთხეს, რომლის მსგავსიც არც მანამდე და არც მის შემდეგ არ ახსოვს საფრანგეთს. გამბეტას არ ჰქონდა ამგვარი შემოქმედებითი გენია. ის არასოდეს გამოსულა რუტინიდან რაიმე არსებითით. იგი მხოლოდ ბაძავდა 1793 წლის ადამიანთა ენას, გარეგნულ ენერგიას; ფიქრობდა, რომ მათ გაიმარჯვეს მგზნებარე მოწოდებებით და ავინყდებოდა, რომ მაშინ ეფექტურ მოწოდებებს პატრიოტიზმისა და თავდადებისაკენ თან სდევდა სისტემატური რეორგანიზაცია სამხედრო სისტემისა, მაგრამ ჩვენთვის საჭირო არა განსაკუთრებით ჩავეძიოთ საკითხის ამ მხარეს. რაც არ უნდა იყოს, გამბეტა ყველაფრის წინააღმდეგ „აგზნებდა გულებს“ და არც წარუმატებლობამ, არც შეცდომებმა, არც აქეთ-იქით უაზრო სირბილმა არ უნდა დაჩრდილოს მისი დამსახურება, იგი სულით არ დაეცა, სწამდა გამარჯვებისა მაშინ, როცა უკვე აღარავის სწამდა მისი. ასეა თუ ისე, მან „იხსნა სამშობლოს პატიოსნება“, რომელიც დაეცა, მაგრამ დაეცა არცთუ წინააღმდეგობის გარეშე.

ჩვენის აზრით, ახლანდელი რესპუბლიკის დაფუძნებაში გამბეტას როლი კიდევ უფრო გაბერილი და გაზვიადებულია. ჩვენ ზემოთ მივუთითეთ გამბეტას ნაყოფიერ მოღვაწეობაზე საფრან-

* Engruete our actes du gouvernement de la Defense Nationale, t. v. Paris, 1873.

** Reimpression de vancien "Moniteur", T. xvi и след Paris, 1854.

გეთის მშიშარა საზოგადოების სიმპათიის რესპუბლიკისაკენ მიზიდვისა და პარტიაში შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეში. თუ სიტყვებში „დაფუძნება“ ან „რესპუბლიკის განმტკიცება“ ვიგულისხმებთ ამ მხარეს, უეჭველია, გამბეტამ მათ დიდი სამსახური გაუწია. მაგრამ მისი პანეგირისტები ხომ გამბეტას ამ ნაყოფიერ საქმიანობას არ გულისხმობენ,—გამბეტასი, რომელიც ისტორიულ პროგრესს ხელჩაჭიდებული მიყვებოდა,—არამედ სრულიად სხვა, სავსებით უმნიშვნელო საქმეს. ისინი ამტკიცებენ, რომ გამბეტას დამსახურებაა მისი ბრძოლა ინტრიგან მონარქისტებთან, პარლამენტის საქმიანობასთან, რომელიც 1875 წლის 25 თებერვლის კონსტიტუციის დამტკიცებით დაგვირგვინდა. აქ უნდა შევიტანოთ შესწორება, რათა არ მოვტყუვდეთ გამბეტას როლისა და დამსახურებების შეფასებაში.

ჩვენ არ ვეკუთვნით იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმ „მონარქიულ მოძრაობას“, 1871-1875 წლებში რომ გამომჟღავნდა ეროვნულ კრებაზე. ქვემოთ, როდესაც ჩამოვთვლით გამბეტას დიდ შეცდომებს, მივუთითებთ, რა სამწუხარო გაუგებრობიდან წარმოდგა მათი უმეტესობა, რომელნიც მოკლებული იყვნენ ყოველგვარ რეალურ ძალას და მექანიკურად შეკონწიწებული, შეუთავსებელი ელემენტებისაგან შედგებოდნენ. ასეთი აჩრდილებისაგან შემდგარ პარტიას არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო დაემხო რესპუბლიკა, რომელსაც მხარს უჭერდნენ უფრო მოქმედი და ენერგიული ძალები ერისა. ამას ხვდებოდა და აცხადებდა ყველა: ტიერიც და რემიუზაც, დიუფორიც და სხვა მათი მსგავსი მონარქისტები, ასევე თვით გამბეტაც. ადამიანებს, რომლებიც პოლიტიკურ მოვლენებზე მსჯელობენ ოფიციალური ცერემონიებისა და პარლამენტის რეზოლუციების მიხედვით, ცხადია, შეუძლიათ იფიქრონ და ამტკიცონ, რომ გამბეტამ განამტკიცა მერყევი რესპუბლიკა და მის გამარჯვებას მიაღწია პარლამენტის ფრთხილი და მოხერხებული ტაქტიკით, მაგრამ ვინც ეძებს საქმის რეალურ საფუძველს, მან იცის: პარლამენტის ინტრიგებსა და მჭევრმეტყველებას რომ შეეძლოს ასეთი სასწაულების მოხდენა, მაშინ რუერა და ბერიე, ბროლი და ბარანიონი, ტიერი და კასანიაკი აღარ დამარცხდებოდნენ და განახორციელებდნენ თავიანთ სურვილებს. რესპუბლიკამ გაძლო 1871 წელს, იგი არ დაემხო არც 1873 და არც 1877 წლებში. თანამედ-

როვე ისტორიის ყველა მცოდნე ამ გარემოებას ხსნის მონარქისტთა ფატალური უძლურებით, მათ ქვეყანაში არც საყრდენი ჰქონდა და არც მიზანთა ერთიანობა.—საფრანგეთის უმთავრეს ქალაქთა მოსახლეობის ენერგიული და უანგარო ერთგულება რესპუბლიკის მხარეზე იყო, ეს კი ყველაზე არსებითია სახელმწიფოს ძლიერებისათვის. მართალია, ეროვნულ კრებაში ანტირესპუბლიკელთა უმეტესობა იყო და, რა თქმა უნდა, ეს უმეტესობა თავისი მდგომარეობით ისარგებლებდა კიდეც, ორი დაბრკოლება რომ არ გადალობებოდა წინ. იგი ხვდებოდა, რომ საბჭოში შემთხვევით იყო შეპარული,—ომისა და გამბეტას შეცდომების წყალობით,—და რომ ხალხის მასები მას მხარს არ დაუჭერდნენ; ხოლო მოქალაქენი და განსაკუთრებით პარიზელები უმალ ხანჯალზე აეგებოდნენ, ვიდრე ძველი რეჟიმის აღდგენას დაუშვებდნენ. მეორეს მხრივ, სამი სხვადასხვა დინასტიის მომხრეთა გარდაუვალი შინაგანი ურთიერთბრძოლა ამ უმეტესობასაც სამ სხვადასხვა ჯგუფად ყოფდა, რომელთაგანაც რომელიმე ცალკე ვერ გახდებოდა უმეტესობის პარლამენტის წევრი, ე. ი. არც ერთ ნაწილს არ ექნებოდა საბჭოს ნახევარზე მეტი ხმა. ლეგიტიმისტებს, ორლეანისტებს ბონაპარტისტებს შეეძლოთ გაერთიანებულიყვნენ რესპუბლიკისადმი საერთო სიძულვილით, რათა ყოველგვარი რეაქციული კანონები და ზომები გაეტარებინათ, და მაშინ ჭარბი უმრავლესობა გამოვიდოდა, მაგრამ, რადგან ამა თუ იმ დინასტიის რომელიმე წევრის კანდიდატურა უნდა წამოეყენებინათ, ან კანდიდატურა სახელმწიფოს მეთაურისა, რომელიც ამა თუ იმ პარტიის აშკარა მომხრე იქნებოდა, დანარჩენი ორი პარტია რესპუბლიკელებს შეუერთდა და პატივმოყვარე უმრავლესობა უსუსურ უმცირესობად იქცა. აი, რა იყო საფუძველი რესპუბლიკის არსებობისა და განმტკიცებისა.

ეს საფუძვლები აშკარა იყო ყველასათვის, ხოლო გამბეტას სხვებზე ადრე და უფრო აშკარად არ შეუმჩნევია მათი ძალა და მნიშვნელობა.

Lepacle de Bordeaux, იძულებით შერიგება ოთხი პარტიისა, რომელთაგანაც ვერც ერთმა ვერ ჩაიგდო ხელში მმართველობა, მოგონილი ტიერისა და გრევის მიერ, ვითარებიდან გამომდინარეობდა. თუ აქ გამბეტას რაიმე დამსახურება მიუძღვის, მხოლოდ ის, რომ თვით ეს გარემოებანი, როგორც შემდეგ დავინახავთ, თავიანთი წარმომავლობით ბევრად არიან დავალებულნი მისი შეცდომებისაგან.

როგორც ჩანს, პარლამენტში „პარტიის წონასწორობა“ დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, განსაკუთრებით ქვეყანაში რესპუბლიკური პარტიის სულ უფრო და უფრო გაზრდილი მნიშვნელობის გამო. გამბეტა რომ პარლამენტში ისეთივე ნიჭიერი და სასარგებლო ყოფილიყო, როგორც პარლამენტის გარეთ იყო, როცა მოსახლეობაში აგიტაციას ეწეოდა, დაკმაყოფილდებოდა მონარქიული პარტიების ინტრიგათა და ჩანაფიქრთა ჩაშლით, რომელთა უძლურებამაც აიძულა კრება დაქსაქსულიყო ისე, რომ არავითარი კონსტრუქცია არ მიეღო. მაგრამ გამბეტამ მოინდომა კონსტიტუცია შეექმნა იმ უმრავლესობის ხელით, რომელმაც გამოავლინა თავისი უნაყოფობა__ წარმოშვა მონარქია. და მან მთელი თავისი ტალანტი მოანდომა იმას, რომ დაერწმუნებინა რესპუბლიკელები მორიგებოდნენ მონარქიას, ერთად შეემუშავებინათ ისეთი კონსტიტუცია, რომელშიც ნაუცბათევად მორიგდებოდნენ მონარქიული და რესპუბლიკური იდეები, მისწრაფებები და დაწესებულებები მონარქისტების მოთხოვნილებებთან შეფარდებით. ისტორიას გაუჭირდება ახსნას, თუ რაში სჭირდებოდა გამბეტას ასეთ დათმობაზე წასულიყო იმ ხალხთან, რომელიც განწირული იყო პოლიტიკური სარბიელიდან უკვალოდ გასაქრობად, ან რად დასჭირდა წლების მანძილზე ყოველგვარ ხლართში გაეხვია რესპუბლიკა მათ სასარგებლოდ. და მხოლოდ იგივე ისტორია__მაგრამ უკვე ისტორია მომავლისა__შეძლებს გაარკვიოს, თუ რა დაბრკოლებებითა და სიძნელეებით, რა უსარგებლო ბრძოლით დააჯილდოვა რესპუბლიკა გამბეტამ, როცა თავს მოახვია დაუძლურებული პარტიების ნამსხვრევებთან დაკავშირებული 1875 წლის 25 თებერვლის კონსტიტუცია, თუ იგი არ იქნება დროულად გადაკეთებული რესპუბლიკური წყობის შესაბამისად.

ლუი ბლანის ამ დღეებში დაბეჭდილ სიკვდილისწინა თხზულებაში „Histore de la Constitution du 25 fevrier 1875“ ჩართულია მთელი საბრალდებო აქტი ამ მახინჯი კონსტიტუციის წინააღმდეგ. ლუი ბლანი აშკარად ამტკიცებს, რომ სრულიად არ იყო საჭირო მისი მიღება და დაწვრილებით ჩამოთვლის იმ საფრთხეებს, რომელთაც იგი უმზადებს რესპუბლიკას, დასახელებულია ყველა ხაფანგი, რომელიც მასშია დაგებული ამჟამად არსებული წეს-

წყობილების დასამხობად. რასაკვირველია, თეორიულად ლუი ბლანი მართალია ამ კონსტიტუციის ღირსებებისა და საფრთხის შეფასებაში. მაგრამ იგი საუკეთესოდ ასაბუთებს ჩვენს აზრს იმის თაობაზე, რომ ცალკეულ პირთა ნება-სურვილი, შეცდომა თუ მოქმედება, რა გავლენიანნიც არ უნდა იყვნენ ისინი, უძლურია ისტორიულ განვითარებასთან, მის მოწინააღმდეგეთ არ შესწევთ ძალა ყველაზე უფრო ეშმაკური ხერხებითაც კი შეუშალონ ხელი მის გამარჯვებას. ეს თვით 25 თებერვლის კონსტიტუციის მიღების მსვლელობიდან ჩანს; თითქოს ყველაფერი გაანგარიშებული იყო, რათა ხელი შეეშალათ რესპუბლიკის განვითარებისა და განმტკიცებისათვის; თითქოს მოსახლეობის პროგრესულ ფენებს არ უნდა ჰქონოდათ წარმატების იმედი, რადგან სახელმწიფოს მმართველს ყოველ წუთს შეეძლო გაეუქმებინა რესპუბლიკა სრულიად კანონიერი საშუალებებით, რომლის უფლებასაც აძლევდა კონსტიტუცია. ეს საშუალებები გახლდათ: დეპუტატთა პალატის დათხოვნა და კონსერვატული სენატის გავლენა.

მაგრამ ისტორიულმა პროცესმა განავითარა მხოლოდ ის მხარეები ახალი კონსტიტუციისა, რომლებიც ხელს უწყობდნენ პროგრესს და ახშობდნენ ყველა დანარჩენს. 1876 და 1877 წწ. არჩევნებმა საფრანგეთს მისცა დეპუტატთა პალატა, რომელშიც რესპუბლიკელები სჭარბობდნენ და ამ სიჭარბეში რადიკალურმა ელემენტებმა მოიპოვეს არნახული ძალა. მონარქიის საყრდენად მოგონილი სენატი ახლა რესპუბლიკურ სენატად შეიცვალა. რესპუბლიკა რესპუბლიკელთა ხელში გადავიდა. რეაქცია ვითარების ძალამ ჩაკლა. ლუი ბლანი არ იყო მართალი, როცა ეს ძალა ავიწყდებოდა და თეორიულ შიშს ეძლეოდა. რასაკვირველია, დასანანია მოძრაობის მეგობართა ზედმეტი შრომა და საქმიანობა, დასანანია დრო, რაც ამ ბრძოლაზე დაიხარჯა, რომლისთვისაც შეიძლებოდა გვერდი აგვეარა და ისე მიგვეღო სწორედ ის შედეგები, რაც დღეს გვაქვს.

ახლა გადავიდეთ გამბეტას მოღვაწეობის იმ მხარეზე, რომელზედაც სრულიად არ წერენ მისი პანეგირისტები და თვით მოწინააღმდეგენიც კი. მას ჰქონდა რამდენიმე ისეთი შეცდომა, რომელიც არ ეპატიება ასე თუ ისე ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს.

განსაკუთრებული ვითარების დროს, როცა პარტიის ყველა გამოჩენილი მოაზროვნე ჩაკეტილი იყო ალყაშემორტყმულ პარიზში და არ შეეძლო ურთიერთობა ხალხთან, გავლენის მოხდენა პარტიის პოლიტიკაზე 1871 წლის თებერვლის არჩევნებისას, საფრანგეთს რომ გამარჯვება მოუპოვა, შეეძლო გამბეტას. იგი იყო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის და დიქტატორის მსგავსი პერსონა, რესპუბლიკელთა ნამდვილი მეთაური პროვინციაში. სწორედ იმ მომენტში გახლდათ ის ძალიან პოპულარული და, მაშასადამე, თავისი პარტიის გავლენიანი წევრიც. პარტიის ტაქტიკა და საარჩევნო ლოზუნგი მხოლოდ გამბეტაზე იყო დამოკიდებული. მის წინააღმდეგ ისევე, როგორც რესპუბლიკური პარტიის წინააღმდეგ, იდგა ადამიანი, რომელიც მეთაურობდა საზოგადოების კონსერვატულ ელემენტებს თავისი პრესტიჟითა და სახელით, თავისი ნიჭითა და მოხერხებით, ბევრად უფრო მაღლა მდგომი და ზურგმაგარი თავისი მრავალწლიანი სახელმწიფო მოღვაწეობისა და მაქინაციების წყალობით. ეს იყო ტიერი. როდესაც ასეთი ძალა გიპირისპირდება, სახელმწიფო მოღვაწემ არ უნდა მიანდოს რაიმე საქმე ან მოვლენა შემთხვევითობას. უნდა ეცადო ჩაშალო მისი გეგმები და არ უნდა მისცე საშუალება ხელსაყრელი მდგომარეობის შექმნისა. ამ დროს თვით უბრალო შეცდომაც კი მოწინააღმდეგის სასარგებლოდ მოქმედებას ნიშნავს. საერთო არჩევნების საქმეში, რომლის ხასიათზეც დამოკიდებულია რესპუბლიკის ბედი, ცხადია, უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება საკითხს, თუ როგორი ლოზუნგითა და ყველასათვის გასაგები პროგრამით წარდგება ამა თუ იმ პარტიის კანდიდატი ამომრჩევლების წინაშე.

როგორც ჩანს, გერმანიასთან ომით დაუძლურებული და ყველგან მშვიდობის აშკარად მაძიებელი საფრანგეთის შესახედაობამ მიახვედრა ტიერი, ხოლო გამბეტა კი ვერა, რომ არჩევნებზე უპირატესობას მიიღებს ის პარტია, რომლის წევრებიც არაქათგამოცლილ ხალხს დაპირდებიან__ომის შეწყვეტასა და მშვიდობიან მოლაპარაკებას მივცემთ ხმასო. აშკარა იყო: ამ წუთში ამომრჩევლებს სხვა არაფერზე შეეძლოთ ეფიქრათ, გარდა ომისა და მშვიდობისა, მათ არ აინტერესებდათ მმართველობის რომელ ფორმასა და პოლიტიკურ პარტიას მიემხრობოდა პარლამენტში ესა თუ ის კანდიდატი. ისინი აირჩევდნენ მხოლოდ მათ, ვინც დაჰპირ-

დებოდა ხალხს მტრის ცეცხლისა და მახვილისაგან განთავისუფლებას. ამ გადამწყვეტ წუთში გამბეტამ რესპუბლიკური პარტიის ლოზუნგად წამოაყენა ფრაზა: „ომი, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს!“ და რესპუბლიკელი კანდიდატები ასეთი შეუწყნარებელი დროშის ქვეშ უნდა წარმომდგარიყვნენ ამომრჩევლების წინაშე. საბოლოოდ ამას მოჰყვა უშესანიშნავესი საამომრჩევლო დამარცხება: თვით უძველესმა რესპუბლიკურმა დეპარტამენტებმაც კი მონარქისტების კანდიდატებს მისცეს ხმა, რომელნიც ტიერის დროშის ქვეშ იდგნენ. ამომრჩევლები არაფერს ამბობდნენ თავიანთ როიალისტურ სიმპათიებზე, მაგრამ დაბეჯითებით და გარკვევით გაიძახოდნენ: „მშვიდობა, მშვიდობა, მშვიდობა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს!“ ცხადია, ჩვენ რომ საქმე გვქონოდა ლუი ბლანის ან კინეს, ბარბესის ან პეირის მსგავს ადამიანებთან, უფლება აღარ გვექნებოდა ასეთი შენიშვნისა. ისინი დევიზად იმას წამოაყენებდნენ, რასაც თვლიდნენ სამართლიანად; მაგრამ გამბეტას დოქტრინა, თანამიმდევრობის, „ოპორტუნიზმის“ დოქტრინა, სრულიად სხვაგვარ მოქმედებას მოითხოვდა.

ომის ან მშვიდობის საკითხი არსებითად მეორეხარისხოვანი იყო საფრანგეთის საზოგადოებრივი წყობილების საბოლოო ბედის საკითხთან შედარებით. აქედან გამომდინარე, თუ გამბეტა შორსმჭვრეტელი და თავისი დოქტრინის ერთგული იყო 1871 წ., არჩევნებზე რესპუბლიკური პარტიის დევიზად უნდა წამოეყენებინა მშვიდობა და არა ომი. გამბეტას ამ უხეშმა შეცდომამ ხელოვნურად შექმნა ყველა ის გაუგებრობა, რომლის გარკვევასაც უკანასკნელი ხუთი წელი მოუნდა. გამბეტამ მართლაც დიდი ოსტატობა გამოიჩინა მის მიერვე შექმნილ ფანტომებთან. ყალბი მონინააღმდეგეების ეს ლაშქარი, ერთმანეთზე რომ პირადი ანგარების დამპალი ძაფით იყვნენ გადაბმული და ინტრიგის მუყაოს ხმლებს იქნევდნენ, მართლაც ფრიად მოხერხებულად და ეფექტურად დაამარცხა, ინტრიგა ინტრიგით გაანადგურა, მოსყიდვა—მოსყიდვით და ცდუნება—ცდუნებით. რასაკვირველია, მის სასარგებლოდ ლაპარაკობს ისიც, რომ მან შეიგნო, ჩიტი ბრდღვნად არა ღირს და „ფრთხილი პოლიტიკის ნატიფი ქსელით“ უნდა დაიჭიროო ისინი. მაგრამ საჭირო იყო კი ამ ჩიტების გარეკვა ან მათ წინაშე ასეთ არსებით დათმობაზე წასვლა, როგორც გამბეტა მოიქცა 1875 წლის თებერვალში, ეს სხვა საკითხია, რაც სრულიადაც არ გადაწყვეტილა გამბეტას პოლიტიკის სასარგებლოდ.

მთელი ეს ისტორია, რომელსაც ჩვეულებრივ გამბეტას უმთავრეს დამსახურებად მიიჩნევენ, არცთუ ისე კარგ შთაბეჭდილებას გვიქმნის მისი, როგორც სახელმწიფო მოღვაწის, ძლიერებაზე, ე. ი. როგორც თავისი პარტიისა და ქვეყნის გამგებელზე. მაგრამ კიდევ უფრო გარკვევით დავინახავთ მის სისუსტეს ამ მხრივ, თუ მის სხვა შეცდომებსაც შევეხებით.

გამბეტას ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი და თანამშრომელი შალმელაკური რამდენიმე წლის წინ, ახასიათებდა რა გამბეტას მჭევრმეტყველურ ნიჭს და, ცხადია, ცამდე აჰყავდა იგი, გაკვრით შენიშნავდა, რომ გამბეტა ყოველთვის არ უფიქრდებოდა სიტყვის წარმოთქმის დროს იმას, თუ რა სირთულეებს წარმოშობდა მომავალში მისი დღევანდელი სიტყვა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მეგობრულ, უაღრესად შერბილებულ საყვედურში იმალება გამბეტას პოლიტიკის ჭეშმარიტი ხასიათი. მისი ხასიათისა და სახელმწიფო მოღვაწეობისათვის უმეტესად დამახასიათებელი თვისება იყო ბოშური უზრუნველობა ხვალინდელ დღეზე. ის ცხოვრობდა, ფიქრობდა და მოქმედებდა მხოლოდ სადღეისოდ და მომავლისაკენ არ იყურებოდა, არ სჯეროდა მოვლენათა გარდაუვალი ცვალებადობა და ულმობლობა. დღევანდელი პოლიტიკის წვრილმანი მიზანი მას მუდმივად ავიწყებდა მომავლის არსებით ინტერესებს. მას არამცთუ მარტო დღევანდელი კვერცხი ერჩივნა ხვალინდელ ქათამს,—ეს შედარება კარგად ვერ გამოხატავს მის უზრუნველობას,—არამედ მუდმივად მზად იყო ცხვირწინ მოტანილ ოსპის შეჭამანდზე გაეცვალა პირმშოს ყველა უცილობელი უფლებები. გარდა ამისა, ის მზად იყო მომავლისათვის სიკეთისა და ოქროს მთებს დაჰპირებოდა ვინმეს, რათა დღეს ერთი კაპიკი მიეღო, ხოლო, როცა ჰპირდებოდა, არასოდეს ახსოვდა, რომ სიტყვას შესრულება უნდა. ყველაფერ ამას კი მზაკვრობისა და ეშმაკობის გამო კი არ აკეთებდა, ვინმეს მოტყუების მიზნით კი არ სჩადიოდა, არამედ ბოშური უზრუნველობის გამო, იმის გამო, რომ არ იყო მიჩვეული სერიოზულად ეფიქრა მომავალზე და მტკიცედ ხსომებოდა როგორც თავისი, ისე სხვისი დაპირება. ალფონს დოდემ საუცხოოდ გამოხატა ეს თვისება თავის „ნუმა რუმესტანში“, სადაც საზოგადოება გამბეტას სრულიად მცდარ პორტრეტს ხედავს, რადგან იქ ის კი არა, ნუმა ბარანიონია გამოხატული, საფრანგეთის კლერიკალ-ლეგიტიმისტების ერთ-ერთი გამოჩენილი მეთაური და მაკ-მაჰონის ყოფილი მინისტრი.

ამ თვისებებზე იმიტომ მოგახსენეთ, რომ განვმარტოთ გამბეტას როლი რესპუბლიკის გამარჯვების შემდეგ. შვიდი წელი ქადაგებდა იგი რესპუბლიკური პარტიის გარდაქმნის აუცილებლობას ოპოზიციურიდან სახელმწიფოებრივი ხასიათის პარტიად. შვიდი წელი ამტკიცებდა, რომ ყველა პოლიტიკა და დისკუსია მორიგი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობის საკითხებზე სავსებით ზედმეტია, რომ ყველა ეს საკითხი გადაწყდება ყველაზე უპირველესი საკითხის__ძალაუფლების ხელში ჩაგდების საკითხის გადაწყვეტასთან ერთად. ჩვენ უნდა ლეგალურად ავიღოთ ხელში ძალაუფლება,__ამბობდა ის,__სხვა დანარჩენი თავისთავად მოვა. ათობით და ასობით მისი სიტყვა, რომლებიც ფართოდ გავრცელდა, ამ ძირითად თემას ეხებოდა. მოგაგონებთ ყველაზე უმთავრესს, 1872 წ. 18 აპრილს ჰავრში წარმოთქმულ სიტყვას, სადაც ის იქამდეც კი მივიდა, რომ სრულიად უარყო „სოციალური საკითხის" არსებობა, ამტკიცებდა, თითქოს ეს საკითხი უამრავი წვრილმანი საკითხისაგან შედგება და გადაწყდება „პატიოსანი ხალხისაგან შემდგარი მთავრობის განუწყვეტელი და მუდმივი მცდელობით. თუ ხაზს გავუსვამთ ამ მცდარ აზრს, შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ „მმართველობის ხელში ჩაგდება" სავსებით საფუძვლიანი იყო და ამ საფუძველზე გამბეტა იმეორებდა მხოლოდ ყველას საყოველთაო თვალსაზრისს თვით მისივე პარტიის წევრების ჩათვლით. ყველა აღიარებდა გეზის გონივრულობას, ყველა მოთმინებით უცდიდა გამარჯვების სასურველ დღეს. მაგრამ, ამასთანავე, ყველა ფიქრობდა, რომ ადამიანს, რომელიც ასეთ იდეებს ქადაგებს, ადამიანს, რომელიც აშკარად ხედავს ძალაუფლების მისი პარტიის ხელში გადასვლის დროის სწრაფ მოახლოებას, უთუოდ წარმოდგენა აქვს იმაზე, როგორ უნდა ისარგებლო ძალაუფლებით, რადგან ადამიანები, რომელთაც ხელთ უპყრიათ ძალაუფლება და არ იციან, როგორ მოუტანონ თავიანთ ხალხს კეთილდღეობა, ღირსი არ არიან ძალაუფლებისა და ვერც შეინარჩუნებენ მას.

შეიძლება გამბეტა არც ჩაგვეთვალა უპირველეს გენიოსად, მაგრამ არავისა აქვს უფლება იფიქროს, რომ მას შეიძლება ვერ გაეგო ან არ სცოდნოდა, ძალაუფლების მიღებასა და დაპყრობაზე მეოცნებე პარტიამ როგორ უნდა მოჰკიდოს ხელი მმართველობას რეფორმებისა და გაუმჯობესებების მზა პროგრამით, რადგან, როცა ძალაუფლებას მიაღწევ, მერე უკვე გვიანღაა ფიქრი, მხო-

ლოდ მოქმედებაა საჭირო. ყოველგვარი მერყეობა დასაშვებია ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე და არა მაშინ, როცა ყოველი წუთი საქმეს უნდა მოხმარდეს... ადამიანს, რომელიც საფუძვლიანად ამტკიცებს, რომ მმართველობის ერთი წელიც კი უფრო ნაყოფიერია, ვიდრე ოპოზიციის ათეული წლები, უნდა შეეგნო, რომ ამ ერთი წლიდან ერთი დღე და ერთი საათიც კი არ შეიძლება დაუთმო ნაგვიანებ ფიქრებს. ამიტომ ყველა დარწმუნებული იყო: საჭიროების დროს გამბეტა შეიქნება ღირსი თავისივე მიზნისა, იგი წარმოსდგება რეფორმების დამუშავებული პროგრამით, მოქმედების მოფიქრებული სისტემით და თანამშრომელთა ორგანიზებული გუნდით, ამ იმედით, ამ რწმენით აიხსნება რესპუბლიკელთა მოთმინება, მათი ხანგრძლივი მორჩილება გამბეტას მომხიბლაობისადმი. მაგრამ საყოველთაო მოლოდინი სავსებით გაცრუვდა. როცა გამბეტა ხალხს ჰპირდებოდა „შემოქმედებითი მუშაობის“ და რეფორმების პერიოდს, როგორც კი პარტია ძალაუფლებას მოიპოვებდა, მას, თურმე, ავიწყდებოდა, რომ საჭირო იყო მომზადება მომავალი როლისათვის. ისევე, როგორც 1870-1871 წ.წ. ომის დროს, როცა იგი ახალგაზრდებს აგროვებდა არმიისათვის და დაავიწყდა, ან ვერ შეძლო, უზრუნველეყო ისინი ნიჭიერი მეთაურებით, სამხედრო მოქმედების გონივრული გეგმით, თვით ნათელი მითითებებითაც კი მათი ოპერაციის უახლოეს ამოცანებზე, ახლაც ვერ მიაწოდა ხალხს ვერც რეფორმათა პროგრამა, ვერც პოლიტიკური სისტემა.

წლების მანძილზე იგი ერთ ადგილს ტკეპნიდა. როშფორმა გააშიშვლა მისი აქილევსის ქუსლი, როცა იხუმრა: გამბეტა ისე შეუდგება ხვალიდან რეფორმებს, როგორც ზარმაცი მოსწავლეები იფიცებიან ხოლმე: მომავალი ორშაბათიდან დავიწყებ მეცადინეობასო. ძლივს შეადგინა გამბეტამ თავისი ყბადაღებული „დიდებული სამინისტროც“ კი, თანაც პორთფელების უმეტესი ნაწილი ისეთ ხალხს დაურიგა, რომელთაც არა თუ მარტო ქვეყანა არ ენდობოდა, არამედ პარლამენტის ვიწრო წრეებშიც ავტორიტეტი არ ჰქონდათ. მთლად ხელცარიელი ჩაუდგა ის სათავეში ხელისუფლებას, ჯერ ნაბიჯ-ნაბიჯ ეფარებოდა ფრეისინესა და ფერის ზურგებს, შემდეგ კი აშკარად დაიწყო მოქმედება თავისი ნამდვილი გვარით. მან ვერ შეძლო წამოეყენებინა ვერავითარი რეფორმა, ვერავითარი ახალი პოლიტიკური სისტემა და ეს მაშინ,

როცა საჭირო იყო ადრინდელის შეცვლა. იგი ხომ მუდამ ჰპირდებოდა ხალხს—ჩემს სახელმწიფოებრივ იდეებს ხელისუფლების მიღების შემდეგ გამოვაცხადებო. ფერი წარსდგა ქვეყნის წინაშე ყველა დეტალებით შევსებული სრული და მოფიქრებული გეგმით სახალხო განათლების ისეთი ძლიერი გარდაქმნისა, რომელიც შესაფერისი იქნებოდა საყოველთაო კენჭისყრაზე დაფუძნებული რესპუბლიკის საჭიროებისათვის. ფრეისინემ დაამუშავა საზოგადოებრივ სამუშაოთა გარდაქმნისა და წარმოების შესაბამისი გეგმა. კლემანსომ წარმოადგინა რესპუბლიკის საზოგადოებრივი მართვის ძირითადი რგოლების შეცვლის პროექტი. მხოლოდ გამბეტას არ შეეძლო რაიმეს წარმოდგენა, გარდა წვრილმანი, სავსებით არაფრისმაქნისი ან, ყოველ შემთხვევაში, არცთუ ისე საფუძვლიანი გარდაქმნებისა, როგორიცაა სენატის სისტემის შევსება და არჩევნები სიის მიხედვით. ლომი დაწვა და კატა შობაო. პარლამენტი თვალებს არ უჯერებდა, როდესაც ხედავდა, რომ ხელისუფლების სათავეში მდგარი გამბეტა ხელცარიელი წარსდგა მის წინაშე. „დიდებული სამინისტროს“ ჩამოყალიბების შემდეგ (1881 წ. ნოემბერში) პარლამენტმა თავისი შეხვედრები ორი თვით გადასდო იმ ერთადერთი მიზნით, რათა გამბეტასათვის საშუალება მიეცა ამ წარმოუდგენელი შეცდომის გამოსასწორებლად. 1882 წლის იანვარში გამბეტა გამოვიდა რეფორმის პროექტით... სენატისა და დეპუტატების არჩევის თაობაზე და ისეთი „ძირეული“ კანონპროექტის დაპირებით, როგორიცაა კანონი რეციდივისტების შესახებ. ამაზე დაბლა არც ერთი სამინისტრო არ დაცემულა. დაცემის ძალა და სიღრმე შეესაბამებოდა გამბეტაზე დაკისრებული იმედებისა და სასოების სიმაღლეს. დარტყმა, რომელიც მაშინ გამბეტას, როგორც სახელმწიფო მოღვაწის, კანონმდებლის, რეფორმატორისა და პოლიტიკოსის (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) გონებრივმა და მორალურმა ავტორიტეტმა განიცადა, იმდენად ძლიერი და გამოუსწორებელი იყო, რომ მისი გავლენა დაეტყო მთელ საფრანგეთში იმ გრძნობასაც, რომელიც მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა გამოიწვია, დაეტყო თვით „დიდებულ დაკრძალვასაც“, რომლითაც მადლიერმა ქვეყანამ დააფასა თავისი ყოფილი რჩეულის დამსახურება და ნიჭი. მისი სიკვდილით გამოწვეული ყველა ადრესი და დეპეშა, ყველა სტატია და საფლავზე ნათქვამი სიტყვა, აურაცხელი დელეგაცი-

ის ყველა განცხადება, მის კუბოს რომ აცილებდა, ეხებოდა გამბეტას პატრიოტიზმს, 1870 წ. ამბებში მის როლს, მის ბრძოლას მაკ-მაჰონის მთავრობასთან და მხოლოდ და მხოლოდ მის ორგანიზატორულ მოღვაწეობას. მის დაკარგვას ყველა მხოლოდ გარეშე მტერთან მოსალოდნელი შეტაკების გამო ტიროდა. მაგრამ, ამასთან ერთად, არავის, თვით მის მახლობელ მეგობრებსაც კი, აზრადაც არ მოსვლიათ ეთქვათ, რომ გამბეტას სახით საფრანგეთმა დაკარგა დიდი კანონმდებელი ძალა, განმაახლებელი, ნოვატორი. ყველამ იცოდა და ხედავდა, რომ ამ მხრივ გამბეტა საოცრად უნაყოფო იყო.

მაგრამ თვით გამბეტაც ინსტინქტურად გრძნობდა თავის ამ ნაკლს. ეს, სხვათა შორის, კარგად ჩანს მის იმ გულმოდგინებაში, რომლითაც მას მუდმივად დღის წესრიგში შეჰქონდა საკითხები, ყოველნაირად რომ უკან სწევდნენ ქვეყნის კანონმდებლობაში რეფორმების ეპოქის მოახლოვებას. უნდა გვახსოვდეს, რომ 1871 წ. ივნისში, კომუნის დაცემის შემდეგ, გამბეტა, რომელმაც ოთხი თვით ადრე იქადაგა „ომი, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს", პროგრამით გამოვიდა რესპუბლიკური პარტიის წინაშე. ეს პროგრამა შეიცავდა სავსებით შესაბამის აზრს: მხოლოდ რესპუბლიკას შეუძლია უზრუნველყოს საფრანგეთის შინა მშვიდობაც და გარე მშვიდობაც, ყოველგვარი მონარქია უეჭველად გამოიწვევს ქვეყნის შიგნით რევოლუციურ აფეთქებათა წყებას და თვით სისხლიან ომებსაც. გამბეტას მიერ ბორდოში წარმოთქმული სიტყვა*, რომელმაც წამოაყენა ფორმულა: მხოლოდ რესპუბლიკა უზრუნველყოფს შინაგან წესრიგსა და გარეგან მშვიდობასო,__რესპუბლიკელებს სთავაზობდა საარჩევნო არენაზე მხოლოდ და მხოლოდ ლეგალური ბრძოლის პოლიტიკას და ჰპირდებოდა პარლამენტის მონარქიულ უძლურ უმეტესობაზე გამარჯვებას. როგორც ვიცით, ამ სიტყვამ დიდი გავლენა მოახდინა ქვეყანაზე. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. იმ დროს საფრანგეთი ორმაგად იყო დაუძლურებული და გადაღლილი, გარე წარუმატებელი ომისა და ასევე დამარცხებული შინააჯანყებისაგან. ხალხს დასვენება და სიმშვიდე სჭირდებოდა, ხოლო ხალხის ყველაზე უფრო მოწინავე ფენების მგზნებარე და ენერგიულმა ელემენტებმა სამეულ ათასობით დაკარგეს მგზნებარე ადამიანები, რომლებიც დახვრიტეს ან გადაასახლეს კომუნის დამარცხების შემდეგ.

---

* Discours et plaidoyeri politigues de M. Gambetta, T. II. p. 15. Paris.

გასაგებია, რომ ერთნაირად დაუძლურებულ და შეშინებულ ქვეყანასა და პარტიაში, რომელთაც მხოლოდ „ფრთხილად და მორიდებული“ ელემენტები შერჩათ, გავლენა და უპირატესობა შეიძლებოდა მოეპოვებინათ მხოლოდ იმ ადამიანებსა და პროგრამებს, რომლებიც სიცოცხლეს, მოხერხებულობასა და ყოველგვარი ენერგიული გამოსვლებისაგან თავშეკავებას ქადაგებდნენ. ამ ეპოქაში ადამიანებს თავსამტვრევი და მუდამ ძალით მისაღწევი რეფორმებისა და გარდაქმნებისათვის არ სცალიათ; ამ დროს ხალხს მხოლოდ ის ადამიანები უყვარს, ვინც ძალთა მსუბუქ დაძაბვას შესთავაზებს. ესაა საიდუმლოება გამბეტას უპირატესობისა 1875-1878 წ. ლ. პარტიის უფრო გაბედულ და შორსმჭვრეტელ მეთაურებთან შედარებით, საიდუმლოება მისი ძალისა და მისი უძლურებისა ამ პერიოდში. მაშინ ისტორიის მსვლელობა მნიშვნელობასა და მეთაურობას ანიჭებდა მხოლოდ ფრთხილ, გაუბედავ, დამთმობ, მეთაურს, რომელიც შორს იდგა იმ რადიკალური ხერხებისაგან, რასაც ვერ გადაიტანდა მაშინ ქვეყნის დასუსტებული ორგანიზმი. ამ კანონის ძალით დამარცხდა გამბეტა თავისი პარტიით 1871 წ. თებერვლის არჩევნებზე, ამ კანონის ძალით შეექმნა მაშინ ტიერს გავლენა და ამავე კანონის ძალით ამოტივტივდა გამბეტა 1872 წელს, როცა შეიგნო, რომ შეცდა, რადგან ომის ენერგიული პოლიტიკის გზას დაადგა.

გავიდა თითქმის ათი წელი. დაისვენა ქვეყანამ, მომაგრდა ხალხი. 1871 წ. თეთრი ტერორი წარსულს ჩაბარდა. გაიზარდნენ და პოლიტიკური ცხოვრების არენაზე გამოვიდნენ ახალი ამომრჩევლები, ახალი თაობები, რომელთაც არ განუცდიათ არც ნაპოლეონის რეჟიმისაგან ჩაგვრა და არც ვერსალის რესპუბლიკის საშინელებანი. საფრანგეთის პოლიტიკურ ორგანიზმს გაუარა იმ ციებ-ცხელების ცახცახმა, რომელიც მონმობს, რომ „ხან სისხლი ჩქეფს და ხან სჭარბობს ძალა“. ყველგან გაზაფხულის სუნი იგრძნობოდა. მონარქიული რეაქციის მეტისმეტად ამპარტავანი ბებიები და ბაბუები 1876 და 1878 წლების არჩევნებმა დავიწყებას მისცეს, არქივებს ჩააბარეს; ბონაპარტიზმის საფრთხობელებს ვიღაც ზულუსკებმა შეაკვეცეს ფრთები და თავები, ხოლო ქვეყნის ახალგაზრდობამ თავი აიწყვიტა და წინ მიექანებოდა. ჩანს, ვითარება გამოიცვალა და მდგომარეობა უკვე ის აღარ იყო, რაც 1871 წელს. საფრანგეთისათვის დამახასიათებელი გატაცებით დაიწ-

ყეს ამომრჩევლებმა ფრთხილი პოლიტიკიდან თავის დაღწევა, გამბეტამ რომ შესთავაზა მათ თავიანთი გულგატეხილობისა და სისუსტის ჟამს და, რომელშიაც ისინი დღემდე მშვენივრად გრძნობდნენ თავს, რადგან მეტისმეტად შეუყვარდათ იგი. ახლა ისინი მოითხოვდნენ არა კუს ნაბიჯით მიმავალ პროგრესს, არამედ გაბედულ წინსვლას, დაპირებული რეფორმების განხორციელებას. გამბეტას არ შეეძლო ღირსეულად არ შეეფასებინა ენერგიისა და საბრძოლო ჟინის ამ ბუნებრივი მოწოლის მთელი ძალა, ეს მოწოლა ყველასათვის აშკარა იყო, მაგრამ, რადგან თავის თავში გრძნობდა ცოდნისა და განმაახლებლის ტალანტის საფუძვლიან ნაკლებობას, მან კვლავ ვერ ამოიცნო ქვეყნის მოთხოვნილებათა სული და კვლავ დიდი პოლიტიკური შეცდომა დაუშვა.

იგულისხმება, რომ საფრანგეთის მოწინავე ელემენტებს მსგავს ვითარებაში იმედის ფრთები უნდა შესხდომოდათ, წინ გაწეულიყვნენ და, ნებსით თუ უნებლიეთ, თან უნდა გაეყოლიებინათ მოსახლეობის თვით ყველაზე აპათიური ფენებიც კი. ასეთი აღმავალი მოძრაობისათვის ხელის შეშლა, მისი შეჩერება, გასაგებია, თვით არქიგენიოსის ძალასაც კი აღემატებოდა. ჭეშმარიტად სახელმწიფო მოაზროვნეს შეეძლო ამ ვითარებიდან ქვეყნისათვის უდიდესი სარგებლობა ამოეკრიფა, თვითონ ჩასდგომოდა სათავეში მოძრაობას და გონიერი გზა გაეხსნა მისთვის. ამიტომ ყველას ეჩვენებოდა, რომ გამბეტა ისარგებლებდა თავისი სახელით, თავისი მომხიბვლელი ტალანტის ძლიერებით და მშვიდობიანი გზით შეძლებდა დიდი საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც დამოკლეს მახვილივით ეკიდა სახელმწიფოს თავზე, ამშვიდებდა და აზომიერებდა მგზნებარე ელემენტების მოთხოვნილებასა და გატაცებას, ანუგეშებდა და ამხნევებდა მშიშრებს. 1880 წ., რესპუბლიკის საბოლოო გამარჯვების შემდეგ, შერბურგში წარმოთქმულ თავის სიტყვაში, რომელშიც საფრანგეთი იმედოვნებდა სახელმწიფოს მომავალი პოლიტიკის ახალი საფუძვლებისაკენ მითითება ეხილა, გამბეტამ წამოაყენა გარე ომის პროგრამა იმ მიზნით, რათა აღედგინა საფრანგეთის დაკარგული ადგილი „დიდ თვითმპყრობელთა საბჭოში“. აი, საითკენ მიმართავდა გამბეტა თავისი სამშობლოს ძალთა სიჭარბეს, აი, რაში ცდილობდა ეპოვა დამცველი სარქველი მასში დაგროვილი ენერგიის საწინააღმდე-

გოდ. მან მხოლოდ ნაპოლეონ მესამის ხერხები და შეცდომები გაიმეორა; მას იმედი ჰქონდა, რომ ქვეყნის შიგნით პროგრესულ მოძრაობას დაძლევდა საფრანგეთის ძალთა ყურადღების შემობრუნებით საგარეო საქმეებისადმი, სამხედრო საქმეზე საზრუნავისადმი...

ამაოდ არ ვუპირისპირებთ ერთმანეთს შერბურგსა და ბორდოში ნათქვამ გამბეტას სიტყვებს. ორთავე ეს პროგრამა ვერსის ბოძების მნიშვნელობას ასრულებს იმ გზაზე, რომელზედაც გამბეტა ცდილობდა გაეტარებინა და ნაწილობრივ კიდეც გაატარა საფრანგეთი. მაგრამ 1871 წელს, ბორდოში, უფრო აშკარად მიხვდა გამბეტა თავისი ხალხის განწყობილებას, ვიდრე შერბურგში 1880 წელს. გამბეტას როლი 1871 წ. შეესაბამებოდა ისტორიულ პროგრესს, ხოლო 1880 წ. მისი საწინააღმდეგო იყო. ამიტომ გამოეხმაურა მთელი საფრანგეთი, როგორც ერთი კაცი, 1871 წლის მოწოდებას. ყველა გამბეტას გაჰყვა. ხოლო 1880 წლის მოწოდებას ქვეყანა დუმილით შეხვდა, ხალხმა მტკიცე უარით უპასუხა შემოთავაზებულ წინადადებას.

იქნებ ბევრს უცნაურადაც მოეჩვენოს ჩვენი ასეთი განცხადება. „მოგვიტევეთო, გვეტყვიან, განა შეიძლება ეჭვი შეიტანოთ საფრანგეთის ერთსულოვან პატრიოტულ განწყობილებაში იმ დიდებული დაკრძალვის შემდეგ, რომელსაც თქვენ თვითონ ანიჭებთ სამხედრო-დემონსტრაციულ მნიშვნელობას?“ მით უმეტეს, რომ ამგვარი ხასიათის მშვიდობიანი მანიფესტაციებიდან ომისადმი ნამდვილ მისწრაფებამდე მეტისმეტად დიდი მანძილია. რომ საფრანგეთის დემოკრატიის მოწინავე ელემენტებს ჭეშმარიტად არ უნდათ ომი და ისინი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებენ წყალი შეუყენონ თავიანთ ახლანდელ სახარბიელო მდგომარეობას ომის გაჩაღებით, რომელსაც შეუძლია, დამარცხების შემთხვევაში, ძველი რეჟიმის დაბრუნებამდე მიიყვანოს ქვეყანა, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში კი__სამხედრო დიქტატურის დამყარებამდე,—ეს, ვფიქრობთ, ყოველგვარ ეჭვს გარეშე დგას. სრულიად არ უნდა იცოდე კლემანსოს სიტყვები, როშფორისა და მარეს სტატიები, კლოვის, ჰიუგისა და სხვა დანარჩენ აგიტატორთა განცხადებები, რომ საწინააღმდეგო იფიქრო. თუ როგორ იზიარებს მოსახლეობა მათ გრძნობებსა და შეხედულებებს, ჩანს იმ წარმატებიდან, რომელიც ყველა დიდი მიტინგის ხვედრი იყო,

ყოველგვარი სამხედრო ექსპედიციის საწინააღმდგოდ რომ ჩატარდა და რომლის შედეგიც გახლდათ დულიცინოდან სამხედრო ფლოტის სასწრაფო გაყვანა, ფრანგი ინსტრუქტორების საბერძნეთში გაგზავნის შეწყვეტა და ფრანგული პოლიტიკის მშვიდობიანი შემოტრიალება ეგვიპტის საკითხთან დაკავშირებით. სრულიად არ უნდა იცოდე საფრანგეთის სოფლის მოსახლეობის ხასიათი და ადათები, რომ იფიქრო, თითქოს ის საომარ პოლიტიკას თანაუგრძნობს. არა მარტო 1876 და 1878 წლების არჩევნებზე, არამედ თვით 1881 წელსაც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ გაბედა წამომდგარიყო ამომრჩევლების წინაშე ისე, რომ ფორმალურად არ დაჰპირდებოდა საგარეო მშვიდობის შენარჩუნებას. ბაროდეს წინადადების საფუძველზე კამილ პელტანის მოხსენება პარლამენტისადმი—საარჩევნო პროგრამებისა და დეპუტატობის კანდიდატების დაპირებათა შედარების შესახებ პირდაპირ ადასტურებს ამ ცნობილ ფაქტს. საფრანგეთის ბურჟუაზიის ფენებში ომისადმი თანდაყოლილ სიძულვილზე ლაპარაკიც არ ღირს. მხოლოდ არისტოკრატიას უნდა გულწრფელად ომი, მაგრამ არ მიიწევს, არ მიიჩქარის მისკენ, რადგან არ არის დარწმუნებული წარმატებაში და შეიძლება დამარცხებისაც ეშინია. ასეთია საფრანგეთის რეალური განწყობილება. იგულისხმება: იგი სრულიადაც არ უშლის ხელს მშვიდობიანი სიფიცხის აღტკინებას, დიდებულ დათვალიერებებს, სამხედრო მზადებისათვის კოლოსალურ ხარჯებს. შესაძლებელია, რომ იგი ხელს არ შეუშლის საფრანგეთის მგზნებარე დამოკიდებულებასაც ომისადმი, ძალით რომ მოახვიეს თავზე. მაგრამ განა ცოტაა ქვეყანაზე ხალხი, რომელიც ძვირფას იარაღზე და სროლაში ვარჯიშზე იხარჯება ყოველგვარი სურვილის გარეშე, რათა სხვის ტყვიას მიუშვიროს მკერდი? საჭიროა სრულიად საგანგებო გარემოება, რომ საფრანგეთი ჩაებას რამდენადმე სერიოზულ ომში: ამისათვის ის უნდა გამოინვიონ და კედელს ააკრან, ამისათვის გერმანიაც აშკარად უნდა იყოს დასუსტებული სხვა რომელიმე ძლიერ მოწინააღმდეგესთან შეჯახებისაგან და ა.შ. ასეთი პერსპექტივა ჯერ კიდევ ნაკლებ დამაჯერებელია. არსებითად ფრანგების ყველა სამზადისს, მანიფესტაციასა და ხარჯებს მხოლოდ თავდაცვითი მნიშვნელობა აქვს. ამასთანავე, გამბეტა ფრანგების თვალში სწორედ ის დატენილი

რევოლვერი იყო, რომელსაც მშვიდობიანი მოქალაქენი ყოველ შემთხვევაში იძენენ თავდასხმის მოლოდინში მტრების შესაშინებლად, მაგრამ რომელსაც თვითონვე სიფრთხილითა და ფარული შიშით უყურებენ, რა არის, პატრონს რაიმე უბედურება არ შეამთხვიოს.

საფრანგეთის რეალური განწყობილების ჩვენეული შეფასების სისწორეს საუკეთესოდ ამტკიცებს ის გარემოება, რომ ქვეყანამ უმტკიცესი წინააღმდეგობა გაუწია გამბეტას დაჟინებას—გაცილებით უფრო უხიფათო ომებში ჩაეთრია იგი, ვიდრე გერმანიასთან ბრძოლა იყო. გავიხსენოთ რა ერთსულოვნად გაცხარდნენ პრესაც, ამომრჩევლებიც და პარლამენტიც ყველა ამ ტუნისის, ეგვიპტისა და ტონკინის განზრახვის წინააღმდეგ, რომელშიც არ ცდილობდნენ გაეწაფათ და გამოეცადათ საფრანგეთის ახალი არმია. ვიმეორებთ, ქვეყანა მორჩილად არ გაჰყვა გამბეტას მიერ შერბურში წარმოთქმული სიტყვით დასახულ გზას, მაგრამ ჩვენ მიერ მოყვანილი ეს მაგალითები მოწმობენ არა მარტო გამბეტას მარცხს პოლიტიკის ძირითადი მიმართულების არჩევაში, არამედ, აგრეთვე, წარმოუდგენელ შეცდომებსაც, რომლებმაც გამოავლინეს მისი უძლურება—გაჰყოლოდა მის მიერ 31 არჩეულ გზას, თვითვე შეესრულებინა მის მიერ 31 არჩეული როლი. შინაურ ამოცანათა სიჭარბე, საფრანგეთის სამხედრო და საერთაშორისო მნიშვნელობის აღდგენისაკენ სწრაფვა აუცილებელს ხდიდა გერმანიასთან საომრად მზადებას.

ჩანს, ამისათვის საჭირო იყო ისეთი საგარეო პოლიტიკის არჩევა, რომელიც უზრუნველყოფდა საფრანგეთისათვის რომელიმე დიდი სახელმწიფოს კავშირსა და დახმარებას ომის შემთხვევაში, ხოლო ქვეყნის შიგნით—სამხედრო ორგანიზაციის ძირფესვიანი რეფორმის თანდათანობით მომზადებას, ომს რომ ანაზდეულად არ მოესწრო.

ვინც ყურადღებით ადევნებდა თვალს გამბეტას საგარეო პოლიტიკას, მის პერიოდულ ორგანოებსა და განცხადებებს, უნდა ახსოვდეს რა დაუჯერებელი ცვალებადობით, მერყეობითა და მოულოდნელი ხვეულებით გამოირჩეოდა იგი მუდამ. ის ხან რუსეთზე ფიქრობდა დაყრდნობას და მასთან კავშირში გერმანიის შებოჭვას, ხან ავსტრიის მხარდაჭერას ეძებდა, ხან ქიმერასავით ელოლიავებოდა ლათინელ ხალხთან—იტალიასა და ესპანეთთან კავშირს, ხან უხეში ხელისკვრით იშორებდა და კარგავდა იტალიას,

რათა ინგლისს დაახლოვებოდა, ხან ცდილობდა საფრანგეთისაკენ მიეზიდა დანიის, საბერძნეთის, რუმინეთის, სერბიის, ჩერნოგორიის პატარა ხალხების ძალა და მხარდაჭერა.

სახელმწიფო მოღვაწენი, რომელთაც შეძლეს ბისმარკზე გამარჯვება, არ ეხვევიან ასეთი კომბინაციებისა და კავშირების ლაბირინთებში, კარგად ითვალისწინებენ, თუ რომელი სახელმწიფოს ინტერესები და რომელი მთავრობის ტრადიციები ჰპირდება საფრანგეთს უეჭველ კავშირს ან გარდუვალ წინააღმდეგობას. ღირს კი გასახსენებლად გამბეტას ჩავარდნებისა და მერყეობის ამბავი წმინდად სამხედრო ორგანიზაციის საქმეში? ყველას ახსოვს, რომ მან ვერ შეძლო წარმოედგინა რაიმე საერთო გეგმა ქვეყნის საბრძოლო ძალების რეორგანიზაციისა, არ გამოუთქვამს არავითარი შეხედულება სამხედრო საქმის არსებით საკითხებზე, ხომ გახსოვთ, რომ გენერალი ფალლი, რომელსაც მან გაუწია რეკომენდაცია და მხარსაც უჭერდა როგორც არმიის განმაახლებელს, უნიჭობის განსახიერება გამოდგა, ყველა საქმე არია, და როცა ტუნისის დასაპყრობად პატარა საექსპედიციო რაზმი ჩამოაყალიბა, საჭირო შეიქნა საფრანგეთის არმიის ყველა ნაწილის დეზორგანიზაცია. ინტენდანტობა, სანიტარული უწყება, გენერალური შტაბი, იარაღის თითქმის ყველა სახეობა ისეთივე უსისტემო, ქაოტური მდგომარეობა აღმოჩნდა, როგორც დატოვა იგი იმპერიამ თავისი დაცემის დროს. დეპუტატ ამედე ლეფორის ანგარიშებმა, დეპეშებმა და განცხადებებმა აშკარად გამოავლინეს მაშინდელი არმიის მთელი სამხედრო უძლურება. თვით გამბეტას მოუხდა უარი ეთქვა გენერალ ფალლსა და რეორგანიზიციის ძველ სისტემაზე. ის იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ მთელი საორგანიზაციო მუშაობა უნაყოფო იყო და საქმე თავიდან უნდა დაწყებულიყო... ყოველივე ამას დაუმატეთ ის, რომ შორეული ექსპედიციებით, რომელთაც მხოლოდ არმიის შემონმების მნიშვნელობა ჰქონდა, გამბეტა საფრანგეთის ძალებს ერეკებოდა გერმანიის საზღვრებიდან და ამით ასუსტებდა სამშობლოს სამხედრო მზადყოფნას, ხოლო, ამასთანავე, ეხებოდა რა ხან იტალიის, ხან თურქეთის, ხან ინგლისის ინტერესებს, ამით ამრავლებდა საფრანგეთის მტრებს. ვფიქრობ, ნათელია: გამბეტა არ იდგა თავისი როლისა და ამოცანის სიმაღლეზე—დაემარცხებინა ბისმარკი; თავისი მოუხერხებლობით ის მონინააღმდეგეს უმართავდა ხელს.

ჩვენს ვფიქრობთ: საკმარისია გამბეტას ამ დიდი, ასე ვთქვათ, პირველხარისხოვანი კაპიტალური შეცდომების ჩამოთვლა, რომ აღარაფერი ვთქვათ უფრო ნვრილი და უმნიშვნელო ხასიათის აურაცხელ ჩავარდნებზე, რომელთა ერთობლიობამ გამოიწვია მისი პრესტიჟისა და პოლიტიკური გავლენის შესამჩნევი შესუსტება. სხვათა შორის, ეს „ძალთა უკუქცევა" თავისთავად იქცევს ყურადღებას. სრული დახასიათებისათვის უფრო დაწვრილებით შევეხებით მას.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გამბეტას როლისა და მნიშვნელობის შესუსტების მთავარი მიზეზი იყო საფრანგეთის მოსახლეობაში ცოცხალი, პროგრესული ელემენტების ბუნებრივი ზრდა და გამბეტას უუნარობა, გონივრულად წარემართა ქვეყანაში დაგროვილი ენერგია. როცა მრავლდება ძალები, როცა გროვდება და მტკიცდება მისწრაფებები, მათი გამომხატველნი ძნელი საპოვნი არაა. თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვა. პირველი ასეთი ბუზი ის ადამიანია, შეუდარებელი ტალანტით დაჯილდოებული ადამიანი, რომელსაც ჯერ კიდევ ნაპოლეონ III, ვიდრე მის მომაკვდინებელ დარტყმებს იგემებდა, მიიჩნევდა ძალად, რომელსაც შეეძლო ყოველი სახელმწიფოს აფეთქება,—ეს გახლდათ როშფორი. უნდა გავიხსენოთ, თუ რა მხრების ჩეჩვით შეხვდა მთელი ევროპის პრესა როშფორის მიერ გამბეტასათვის ნასროლ ხელთათმანს. საჭიროა აღინიშნოს, რომ ხელთათმანს ისროდა არა პირველშემხვედრი, არა გულფიცხი ჭაბუკი, არამედ მწერალი, რომელიც, ყველას აზრით, თავისი დიდების ზენიტში იმყოფებოდა, მეორე იმპერიის დამამხობელი და პარიზის მოსახლეობაში ისეთი ჭეშმარიტი ტრიუმფით მიღებული, როგორიც ჯერ არავის ახსოვს.

მაგრამ პრესის დამცინავი უნდობლობა როშფორის „უტიფარი თავდასხმისადმი" მაინც გასაგები იყო. გამბეტა მაშინ თავისი დიდების აპოგეაში იმყოფებოდა, მის წინაშე მორჩილად იხრიდა ქედს პარლამენტი; საკმარისი იყო მისი ერთი სიტყვა, რომ შეედგინა, აერია და გადაეტრიალებინა სამინისტროები; მას უკვე მოპოვებული ჰქონდა ეფექტური პოლიტიკური გამარჯვების ბრწყინვალება და მისი პოლიტიკური სიბრძნე პირუთვნელად სწამდა მთელ პრესას, მთელ ქვეყანას. „დამოუკიდებელი" რესპუბლიკის გაუბედავი ხმოსნები—ლუი ბლანის, კლემანსოსა და სხვათა მსგავ-

სნი სხვაგვარად ვერ გაბედავდნენ გამოეხატათ თავიანთი „განსაკუთრებული აზრი“, თუ არა რესპუბლიკის თვითმმართველის აზრის მოკრძალებულ დამატებად. და ასეთ ადამიანს უცხადებდა ომს როშფორი, რომელსაც არ ჰყავდა არც ერთი დეპუტატი, არ ჰქონდა არც ერთი გაზეთი. ამ ბრძოლის „თვალსაჩინო უგუნურობა“ ყველას თვალში ეცა, ყველას, გარდა ერთისა, თავად გამბეტას გარდა. ღირსეულად აფასებდა რა მოწინააღმდეგის „ჯოჯოხეთურ ძალას“ გამბეტას არ შეეძლო არ მიეღო გამოწვევა. ვინც თვალყურს ადევნებდა გამბეტას აზრსა და პოლიტიკას. არა მარტო მისი სიტყვების, არამედ მისი უმთავრესი გაზეთების —„Republique francaise“ და „VOLTAIRE“-ის მეშვეობით, მან იცის, რა გადამწყვეტი გავლენა ჰქონდა როშფორის „უაზრო თავდასხმებს“ ოპორტუნისტების მეთაურის ტაქტიკისა და შეხედულებების მოულოდნელ ცვლილებებზე.

თანამედროვე ბეჭდვითი სიტყვის ისტორიაში იმათზე მეტად სამაგალითო, გრანდიოზული და უფრო ბრწყინვალე ფურცლები არ გვეგულება, ვიდრე ის მგზნებარე პოლემიკა, რომელიც სამი წლის მანძილზე იყო გაშლილი როშფორსა და გამბეტას შორის, რომელსაც მხარში ედგნენ ემილ ჟირარდენის, რანკის, ალენ ტარჟესა და სპიულერის მსგავსი ბრწყინვალე პოლემისტები. ამ მხრივ, და სხვა მხრივაც, ყოველდღიურად უხვი იყო დარტყმები, რომელთაც სპილოს ნაქცევაც კი შეეძლო, არამცთუ ადამიანისა, როგორც ჩანს, თანაბარი გენიალობის მოწინააღმდეგეთა სიმარჯვეზე, მოხერხებულობაზე, ოსტატობაზე, გონებამახვილობასა და ძალაზე დაახლოებითაც კი ვერაფერს ვაუწყებთ მკითხველს. ყოველი ახალი დარტყმის შემდეგ, იფიქრებდით, რომ მეტოქე საბოლოოდ გასრესილი იყო და ახლა კი ვეღარასოდეს აღსდგებოდა. ამის შემდეგ იგივე მოწინააღმდეგე, გასისხლიანებულ ხელს რომ მალავდა, თავის მხრივ არანაკლებ მომაკვდინებელ დარტყმას აყენებს მეტოქეს, ვიდრე თვით ახლახან იგემა. გამბეტა არ დაკმაყოფილდა საბუთებითა და მახვილსიტყვაობით და გადმოისროლა თავისი ცნობილი ხაფანგი „საიდუმლო წერილები“, რომლებიც, იტალიელის მსგავსად, შეძლო ასე მოხერხებულად დაემალა უბეში და დაეტრიალებინა მამაცი კაცივით, რომელიც ფარული სტილეტით სარგებლობს, მაგრამ, როდესაც დარწმუნდა, რომ ბელეს, ფურტუს და ბროლის მსგავს ინტრიგანთა

მომცელავი ხერხები ვერ იხსნის მას მოწინააღმდეგეებისაგან, რომლებიც ცხოვრებისეულ იდეას ეყრდნობიან, მან შეცვალა თავისი პოზიციის ფრონტი და დათმობაზე წავიდა, რაც მას გარდუვლად ეჩვენებოდა... სინამდვილეში რაში მდგომარეობდა როშფორის ძალა და მისი თავდასხმის შეუდარებლობა? ხომ ხედავთ,— ეჩიჩინებოდა ის მასებს,—გამბეტა არ გაძლევთ და არც შეუძლია მოგცეთ დემოკრატიული რეფორმები, რაც ხალხის კეთილდღეობისათვისაა აუცილებელი და რასაც თვითვე დაგპირდათ. ის, რომელიც ამტკიცებდა, რომ ქვეყანას ყოველივე უმსგავსობას ჩამოაშორებს რესპუბლიკის გამარჯვება, დღეს მხარს უჭერს თანამედროვე სოციალ-ეკონომიური უწესრიგობის ხელშეუხებლობას. და იქვე, როდესაც მიმართავს ბურჟუაზიასა და ყველა ფენას, რომლებიც დაინტერესებული არიან ახლანდელი საზოგადოებრივი წყობილების შენარჩუნებით, როშფორი წერს: „რამეთუ ძალა არ შესწევს შინაგან სიძნელეთა გამკლავებისა, გამბეტა ომისაკენ, ანუ ქვეყნის დაცემისა და განადგურებისაკენ გიბიძგებთ“. არგუმენტები, ილუსტრაციები, მაგალითები, ცხადია, მას უამრავი ჰქონდა. ყოველივე ეს მან ჩაურთო თავის ყოველდღიურ, გამომეტყველ, შხამიან, „გულისგამგმირავ“სიტყვებში, რომლებიც თავისთავად დაუვიწყარ კვალს ტოვებენ საზოგადოების გონებაში. რა უნდა გექნა, როგორ უნდა შებრძოლებოდი ამ გამომეტყველ და ყველასათვის გასაგები „ჭეშმარიტების მთქმელ სიტყვებს?“ როშფორი, ერთსა და იმავე დროს, გამბეტას აშორებდა საფრანგეთის როგორც თვით პოგრესულ, ასევე ზომიერ ელემენტებსაც. გამბეტა მიხვდა მდგომარეობის საშიშროებას და დარწმუნდა, რომ „შინაგან რეფორმებს“ გვერდს ვეღარ აუვლიდა. მაშინ მან წამოაყენა რკინიგზების შესყიდვისა და გასახელმწიფოებრიობის საკითხი. ეს საშუალება ჯერ კიდევ 1841 წელს იყო რეკომენდირებული ლუი ბლანის მიერ ბროშურაში „ L Eta et les cheminis de ber“, იმ დროს, როცა „დიდი პრაქტიკული მოღვაწენი, მსგავსნი ტიერისა, რომელთა სიბრძნესაც მუდამ მაგალითად უსახავდნენ უტოპისტებს, უარყოფდნენ რკინიგზების მომავალსა და სარგებლიანობასაც კი. მას შემდეგ რკინიგზების გამოსყიდვის საკითხი არამცთუ მარტო ბეჭდვით ორგანოებში მუშავდებოდა და არა მარტო მთელი სპეციალური ლიტერატურა შეიქმნა, არამედ ევროპული პარლამენტის განხილვის საგანი იყო და

გადაწყდა ბელგიაში, ბადენსა და გერმანიაში. აქედან გამომდინარე, თავისი ქვეყნის საქმეთა წარმოებისათვის სულ ოდნავ მაინც მომზადებულ კაცს, თუ საბოლოოდ ვერ გადაწყვეტდა, უნდა შეძლებოდა მაინც გონივრულად დაესვა ეს საკითხი საკანონმდებლო მმართველობის წინაშე. გამბეტამ ესეც ვერ შეძლო. ის დაკმაყოფილდა „საკითხის რიგში დაყენებით" და მისი შემსწავლელი საგანგებო კომისიის შეთავაზებით.

მკითხველს მივანდობთ ამოიცნოს, თუ რა კომიკურად წარმოაჩენდა როშფორი გამბეტას უძლურებას. ცდა ვერ განხორციელდა. მას მოჰყვა ქვეყნის ის კოლოსალური სასოწარკვეთა „დიდებული სამინისტროს" შექმნის დროს, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ. გამბეტა შეეცადა წარუმატებლობისათვის ზურგი შექცია ახალი მანევრით. მან ხელი ჩასჭიდა ერთ ყველაზე უფრო უსუსურ საშუალებას, რომელთან შეხებაც კი წარმოაჩენს, რომ სახელმწიფო მოღვაწეს არ გააჩნია არავითარი შემოქმედებითი ძალა, არავითარი სოლიდური პროგრამა. ჩვეულებრივ ასეთ საშუალებას მიაშურებენ ხოლმე მხოლოდ დასახრჩობად განწირულნი, რომელთაც საბოლოოდ დაკარგეს იმედი, რომ იმოქმედებენ ხალხის ინტელიგენტური ნაწილის გონებაზე და ამიტომ მიმართავენ გაუთლელი ბრბოს მდაბიო ინსტინქტებს. მეორე იმპერიის შმორიანი არსენალიდან ამოქექა მან ასევე გვარიანად დაჟანგებული „წითელი აჩრდილი" და თავის გაზეთებში დაიწყო ფრანგი ხალხის კონსერვატული ნაწილის დაშინება. გამბეტა ისე დაბეჯითებით ენდობოდა ამ საშუალებას, რომ მისმა ორგანოებმა ნაჩქარევად გამოაქვეყნეს მისი გამარჯვების ცნობა. თვით „ჰავასის სააგენტომაც" კი აცნობა მთელს ევროპას, რომ ანარქისტების უტიფრობის მოზღვავების გამო საფრანგეთის ყველა ფენა აღიძრა გამბეტას სასარგებლოდ თანაგრძნობის გამოსახატავად და უკვე იგრძნობოდა „მოულოდნელი შემობრუნება" „დიდებული სამინისტროს" ჩამოგდებული მეთაურისადმიო. მხოლოდ მას შეუძლია საფრანგეთის ხსნა სოციალური რევოლუციის საშინელებისა და საფრთხისაგანო. მაგრამ მონსოლემინის პროცესის დასასრულმა, რომელმაც გამოავლინა ჭეშმარიტი და, ცხადია, სრულიადაც უმნიშვნელო მასშტაბები მომავალი საფრთხისა, ეს ცდაც საბოლოოდ ჩაშალა. „საზოგადოების მხსნელი" საჭირო აღარ იყო.

გაიმარჯვა როშფორმა. როშფორის მოწოდებასა და დასკვნებს თანდათან მიემხრნენ ახალგაზრდა ტალანტთა ფალანგების არა მარტო ხმები და ძალები, არამედ დემოკრატიის ყველაზე გავლენიანი ბეჭდვითი ორგანოები, მნიშვნელოვანი ორატორები და თვით დემოკრატიის ბელადები. თავისთავად იგულისხმება: ამ საოცარ შემობრუნებას არ ვხსნით როშფორის გენიალობითა და ზებუნებრივი ძალით ისევე, როგორც გენიალობითა და ზებუნებრივი ძალებით არ აგვიხსნია გამბეტას ადრინდელი გამარჯვებები. როშფორმა იმიტომ გაიმარჯვა, რომ მართალი იყო და შეგნებულად თუ შეუგნებლად, ეს სულ ერთია, ქმნიდა ისტორიული პროგრესის თავისუფლებას, ხოლო გამბეტა დამარცხდა იმიტომ, რომ ამ პროგრესის წინააღმდეგ მიდიოდა, ანდა მისი მსვლელობის შემაფერხებელი გახლდათ. პამფლეტისტის როლი ამ შემთხვევაში მხოლოდ ჩართული მოვლენა გამოდგა, იგი მარტო ხალხთა მასების მოძრაობისა და მიმართულების მიმანიშნებლის როლს ასრულებდა.

გამბეტას რადიკალურ მოწინააღმდეგეთა მოხსენებებსა და სტატიებში, ასე გააფთრებით რომ ესხმოდნენ მას თავს ბოლო სამი წლის მანძილზე, გამუდმებით მოისმის ერთი და იგივე ნოტი, რაც ჩვენ უაღრესად მართებულად გვეჩვენება. ეს მოწინააღმდეგენი კი არ უარყოფდნენ გამბეტას ტალანტს, დამსახურებასა და ძალას,—ასეთ შეუწყნარებელ უსამართლობაში, ასეთ აშკარა დაბრმავებაში ვერ დავადანაშაულებთ მათ,— მაგრამ მათ ნათლად იწინასწარმეტყველეს, რომ მისი ნიჭის საოცარი ძალა და მისი სახელის არაჩვეულებრივი გავლენა ფატალურადაა განწირული, რადგან ახლო მომავალში იგი ქვეყნის წმინდად რეაქციულ ელემენტთა სამსახურში ჩადგება. ისინი გამბეტაში ხედავდნენ ძლიერ მუხრუჭს საფრანგეთის შემდგომი მშვიდობიანი განვითარებისათვის და იცოდნენ, რომ ყველა მოწინავე ელემენტს მოუხდება დაბრკოლების სახით იხილოს თავის გზაზე ეს დიდი ძალა, მით უფრო სახიფათო, რამდენადაც რეალური. სამართლიანობა და სინამდვილე მოითხოვს გავიხსენოთ, რომ არ არსებობს ისეთი პრინციპული დათმობა, ისეთი მსხვერპლი, რომელიც მოწინავე დემოკრატიული წარმომადგენლებს არ გაეღოთ, ოღონდ თავის მხარეზე ჰყოლოდათ გამბეტა, შეენარჩუნებინათ თავიანთი პარტიისათვის მისი ავტორიტეტისა და ტალანტის მთელი ძალა. გავიხსე-

ნოთ, რა მორჩილად აძლევდნენ ისინი ხმას თავიანთი რწმენის საწინააღმდეგოდ მის უსასრულო ღონისძიებებს, რომლებიც არ ეთანხმებოდა რესპუბლიკელთა არც ტრადიციას, არც იდეებს, არც პრინციპებს. უბრალო გაუგებრობისათვის არ ჩამოშორებია დემოკრატია ადამიანს, რომელსაც არ სურდა და არც შეეძლო მასთან სიარული. ჩანს, „პრაქტიკულად მოღვაწენიც" ბუნების სწორედ იმ კანონებს ემორჩილებიან, რომლებიც ბატონობენ უტოპისტებზე, მოაზროვნეებსა და ყველა მოკვდავზე. ჩანს, ისინიც „იფიტებიან", ამოინურებიან, არ შეუძლიათ მუდმივად შეინარჩუნონ გონების მოქნილობა და გრძნობათა სიცხოველე. დგება დრო, როცა მათ „კომბინაციის" ნიჭი ღალატობთ, როცა მათ გონებას რუტინა ეუფლება, რაც სახელმწიფო მოღვაწის ძალ-ღონეს ისე კლავს, როგორც ჟანგი იარაღს... აშკარა შეიქმნა, რომ მომავალში გამბეტა უთუოდ უნდა გამხდარიყო რეგრესის ბურჯი, განვითარების მუხრუჭი და ომის რისხვა, ცხადია, რესპუბლიკელებს სხვა არა დარჩენოდათ რა, გარდა იმისა, რომ გაენადგურებინათ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, გამბეტას ძალა და გავლენა მოსახლეობის იმ ფენაში მაინც, რომელიც ეხმაურება ხოლმე ახალ იდეებსა და მიმართულებებს. ამ საქმეში მათ გამბეტას შეცდომები და ნაკლი დაეხმარათ.

გამბეტა დროულად მოკვდა, დაასწრო, ვიდრე ქვეყანა მისი შემოქმედებითი სიბერწის მოწმე გახდებოდა. ჩვენ ამით იმის თქმა სრულიადაც არ გვსურს, რომ მას უკვე აღარაფრის გაკეთება არ შეეძლო თავისი სამშობლოსათვის. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ იგი თვით საკუთარი ძალის მასშტაბმა განირა შეუფერებელი აღმოჩენილიყო თავისი როლისათვის, რომელსაც ისტორიული ვითარების მსვლელობა ახლო მომავალში საფრანგეთის რესპუბლიკის ბედის ხელმძღვანელობას დააკისრებდა.

ლუი ბლანს არ ჰქონია გამბეტას ნიჭის ბრწყინვალე მხარეები, არ გააჩნდა მისნაირი ცხოველი, მგზნებარე ტემპერამენტი, თუმცა მასზე უფრო შეუდარებლად ღრმა და პრინციპული იყო. ავადმყოფურად მორიდებულს მთელი არსებით სძულდა სცენური გარემო და განზრახ გაურბოდა ყოველგვარ ეფექტს. მას სწამდა, რომ ჰქონდა სავსებით პოპულარული მწერლის ღრმა შემოქმედებითი გონება, ნიჭი და რცხვენოდა დამდაბლებულიყო იმ ილეთებამდე, რომლებიც ბრბოს განვითარების დონეს ახასიათებდა.

1848 წ. ლუქსემბურგის ცნობილ კომისიაში მასთან ერთად სხდომაზე მყოფ მუშებს, მასებს, რომლებიც მის ფურცლებსა და ბროშურებს კითხულობდნენ, იგი ისეთივე ენით ელაპარაკებოდა, როგორც ჯონ სტიუარტ მილს ესაუბრებოდა ხოლმე. მაგრამ ამაში არ უნდა ვეძებოთ მიზეზი მისი არცთუ ისე ძლიერი გავლენისა მასებზე. ლუი ბლანს ჰქონდა ტალანტი თავისსავე დონემდე აემაღლებინა თავისი მკითხველები და მსმენელები, იცოდა, როგორ გამხდარიყო პოპულარული და გასაგები თვით ყველაზე დაბალი წრისათვის. მისი ყოველი სიტყვა, ყოველი სტატია წარუშლელ კვალს ტოვებდა საზოგადოების გონებაზე. მისი უფრო გამოკვეთილი პოლიტიკური როლი მარტივად შეიძლება ავხსნათ იმ ფენათა არასაკმაო მომზადებით, რომელთაც ლუი ბლანი მიმართავდა. ლუი ბლანმა რესპუბლიკას უფრო მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია, ვიდრე გამბეტამ. მან თავისაკენ მიიზიდა მასზე უფრო მეტი სერიოზული სიმპათია და ძალა ხალხისა, რომელთა მიზიდვასაც თვითონ ჩვენ მივიჩნევთ ოპორტუნისტთა მეთაურის დამსახურებად. თუ ბურჟუაზიული ფენების სიმპათიისა და მხარდაჭერის გამო რესპუბლიკა დავალებულია ტიერისა და გამბეტასაგან, მუშათა კლასის მტკიცე და მგზნებარე ადამიანთან მხარდაჭერას იგი უმთავრესად ლუი ბლანს უნდა უმადლოდეს. ახლა ბევრმა არ იცის, რომ ადამიანი, რომელმაც სახელი გაითქვა როგორც III რესპუბლიკის დამაარსებელმა, 1870 წლის 4 სექტემბერს მთელი დღე ებრძოდა მუშათა ბრბოს, რომელიც საკანონმდებლო კორპუსში შეიჭრა. რათა რესპუბლიკა გამოეცხადებინა. იგი ევედრებოდა და არწმუნებდა მათ, ნება მიეცათ მისთვის მორიგებოდა ნაპოლეონის დეპუტატებს და მათთან ერთად შეედგინა რაიმე დროებითი მთავრობა. თვით გამბეტა იმოწმებს ამას თავის ჩვენებაში, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ და, თუ მისი დაჟინების მიუხედავად რესპუბლიკა მაინც გამოცხადდა, თუ მან გაუძლო 1873 და 1877 წ.წ., ეს მოხდა უმთავრესად მუშათა კლასის წყალობით. კომუნასთან ვერსალის ბრძოლის დროს საფრანგეთის ყველა უმთავრესი ქალაქის წარმომადგენელმა აშკარად განუცხადა ტიერს, რომ აღმართავენ თუ არა ხელს მონარქისტები რესპუბლიკაზე, ყველა ქალაქი აჯანყდება, როგორც ერთი კაცი.

ცნობილია, რომ მაშინ რესპუბლიკის შენარჩუნების ფორმალური ვალდებულებით იყიდა ტიერმა პარიზის იზოლირებისა და მას-

ზე გამარჯვების შესაძლებლობა. ორწელინადნახევრის შემდეგ, როდესაც მონარქისტებმა ტიერი დაამარცხეს, მისი დაპირებების დარღვევის უფლება რომ ჰქონდათ და მიეღწიათ ორლეანელთა დინასტიის პრინციპთა შერიგებისათვის ბურბონების უფროს შტოსთან, ოცნებობდნენ მეფედ გამოეცხადებინათ გრაფი შამბორი, რაც მაკ-მაჰონმა ჩაშალა თავისი განცხადებით: ვერ დაგპირდებით წესრიგს და პასუხს ვერ ვაგებ თვით არმიაზე, „შასპოები თვითონვე დაიწყებენ სროლას". საკამათო არაა, რომ ძვირფასი და მნიშვნელოვანი იყო რესპუბლიკის მომხრე ბურჟუაზიის შეძენა, მაგრამ რესპუბლიკის რეალური ძალა მისი სიმტკიცის ბირთვი, ვიმეორებთ, მუდამ მუშათა კლასი გახლდათ, უმეტესად ქალაქის მშრომელები. მათი სიმპათიის მოპოვება კი არც ისე ადვილი იყო. ჯერ კიდევ პირველი რესპუბლიკის დროს მოაზროვნე ადამიანთა და პუბლიცისტთა უმეტესობა, რომლებიც მუშათა კლასს თანაუგრძნობდნენ, სრულიად გულგრილად უყურებდნენ პოლიტიკურ ფორმებს და არავითარ სიმპათიას არ გრძნობდნენ რესპუბლიკისადმი. პირველ სოციალისტთა წრეში ორივე მნიშვნელოვანი სკოლა—ფურიერისტებისა და სენ-სიმონისტებისა—აშკარად ქადაგებდა, რომ სოციალიზმი რესპუბლიკას არ საჭიროებს, ოღონდაც ამ მონარქიამ თავს იდოს იმ რეფორმათა განხორციელება, რომლებიც აუცილებელია „რაც შეიძლება ხალხის ფართო მასების სრული კეთილდღეობის მისაღწევად". დაბოლოს, გამოიძებნა ასეთი მთავრობაც, მთავრობა იმ ნაპოლეონ III, რომელიც მრავალი სოციალისტური თხზულების ავტორი იყო.

ამ მოძრაობის ხასიათსა და თავისებურებებზე საზოგადოებამ ბევრი რამ იცის. მან არ იცის, მაგალითად, რომ მეორე იმპერიის ბურჯები, რომელთაც ხალხის სიმპათია მოიპოვეს და გადაიტანეს თვით სედანის კატასტროფის სირცხვილიც, სრულიადაც არ ყოფილან ავანტურისტები, არამედ არცთუ ჩვეულებრივი რწმენით, დოქტრინით, სახელითა და ტალანტით დაჯილდოებული ადამიანები იყვნენ. ანფანტენის, პერეირას, მიშელ შევალიეს, ტალაბოს, ბარონის, ოსმანის მსგავსმა სენ-სიმონისტებმა და ბილიოს ან თვით რუერის მაგვარმა ნოვატორებმა ნაპოლეონ III მეთაურობით საფრანგეთის ცხოვრებაში შემოიტანეს მატერიალური პროგრესის მთელი სისტემა, რაც ცხადს ხდის ბონაპარტისტთა პარტიის მარადიულ სიცოცხლისუნარიანობას. ასეთ ძალებზე დაყრდნო-

ბილი იმპერია რომ მტკიცედ დამდგარიყო მხოლოდ პოლიტიკური პროგრესის პლატფორმაზე და არ ჩაედინა უამრავი შეცდომა თავისი შოვინისტური ტრადიციების გამო, მაშინ გაურკვეველი იქნებოდა, თუ რამდენი ათეული წლით გადაიდებოდა რესპუბლიკის გამარჯვება საფრანგეთში. აქედან ჩანს, რომ ლუი ბლანს ადვილი საქმისათვის არ მოუკიდია ხელი 1832 წელს და არც აჩრდილთან უბრძოლია 1832 წლიდან 1870 წლამდე. მისი მიზანი იყო რესპუბლიკისათვის მოეპოვებინა მუშათა კლასის სიმპათია და მხარდაჭერა. მთელი თავისი უდიდესი ტალანტი მან უმეტესად ამ მიზნის განხორციელებას მოანდომა. მან გადაწყვიტა დაერწმუნებინა მუშები, რომ მხოლოდ რესპუბლიკაა საკმაოდ ძლიერი, რათა მიაღწიოს „ეკონომიკურ სიმართლეს" ხალხის ცხოვრებაში. ამ აზრის განმტკიცებისათვის მას უხდებოდა ბრძოლა არა მარტო თავისი პირადი და ნათესაური კავშირების წინააღმდეგ,—ცნობილია, რომ იგი ნათესავად ერგებოდა ნაპოლეონ III, რომელიც დიდად აფასებდა მის ტალანტსა და ხასიათს და ბევრჯერ შეეცადა კიდეც დაახლოვებოდა მას,—არამედ თავისი თანამოაზრეების წინააღმდეგაც სოციალიზმის საკითხში. უნდა გავიხსენოთ მისი პოლემიკა მიშელ შევალიეს, კონსიდერანისა და პრუდონის წინააღმდეგ, რომელთაგანაც, როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელი უარს არ ამბობს იმპერიას მორიგებოდა თვით დეკემბრის გადატრიალების შემდეგაც. იმ პოლიტიკოსებისა და სოციალისტების წინააღმდეგ, რომლებიც ქადაგებდნენ მხოლოდ თანამიმდევრულ გარდაქმნათა საკმარისობას ცალკეული რეფორმების გზით თანამედროვე ეკონომიურ ურთიერთობაში, ლუი ბლანმა შექმნა და წამოაყენა სახელმწიფო სოციალიზმის დოქტრინა, რომელიც ეფუძნებოდა მთელი სახელმწიფოს სოციალურ ყაიდაზე ძირფესვიან გარდაქმნას, დოქტრინა, რომელმაც გაიჩინა ისეთი მიმდევრები და ქომაგები, როგორებიც იყვნენ ლასალი და კარლ მარქსი. საჭირო არაა კვლავ განვაგრძოთ სიტყვა ლუი ბლანისა და მისი მონინააღმდეგეების დოქტრინების თვალსაზრისისა და დავის შესახებ. ჩვენ მის ბიოგრაფიას არა ვწერთ, არც ლიტერატურის ისტორიას ვთხზავთ და არავითარი საჟურნალო სტატია არ ეყოფოდა ამ ამოცანის რამდენადმე დამაკმაყოფილებლად განხორციელებას.

ჩვენ დავინახეთ, თუ რა ადვილად ახერხებდა გამბეტა წარმატებების მიღწევას, როდესაც იგი პროგრესის ერთგული იყო და ვიცით, რომ ამავე პროგრესის კიდევ უფრო მეტად ერთგული ლუი ბლანისათვის გაცილებით უფრო დიდ სიძნელეს წარმოადგენდა მიეღწია დამაკმაყოფილებელი შედეგისათვის. რით უნდა აიხსნას ეს აშკარა წინააღმდეგობა? ნუთუ ამ ორი მოღვაწის ტალანტის ძალის განსხვავებით? ასეთი ახსნა ზედაპირული იქნებოდა. წარმატება სხვადასხვაგვარი იყო, რადგან არსებობდა განსხვავება მათ მიზნებში, მოქმედების ასპარეზში, მასების ხასიათსა და მომზადებაში, რომელთაც მიმართავდნენ ეს მოღვაწენი. გამბეტას, რომელიც საკმაოდ განვითარებულ და პრაქტიკულად მომზადებულ, თავისუფლებითა და სახსრებით მდიდარ გარემოში მოქმედებდა, ცხადია, ლუი ბლანზე უფრო ადვილად და მოხერხებულად შეეძლო გავლენა მოეხდინა მოვლენათა საერთო მსვლელობაზე, მით უმეტეს, რომ თვით წრეზე უშუალო გავლენის ინტერესებისათვის მას უთუოდ სჭირდებოდა უფრო ნაკლებ რთული და ადვილად განსახორციელებელი მიზნები, ვიდრე ლუი ბლანი აყენებდა და ანხორციელებდა, რათა გზა გაეკვლია მუშათა გონებისა და გულისაკენ. რომ დაეკმაყოფილებინა ბურჟუაზიის ინტერესები, პატივმოყვარეობა და მისწრაფებები, გამბეტასათვის საკმარისი იყო აეღო თავის წინაპართაგან, ადრინდელი ფორმაციის რესპუბლიკელთაგან დამუშავებული მზა დოქტრინები. არც თეორიასა და არც პრაქტიკაში მას არ სჭირდებოდა პოლიტიკური მოძღვრებისა და თეორიის,—რომელთაც მისი დროის ოფიციალურ მეცნიერებაშიც კი მოქალაქეობის უფლება მოიპოვეს,—გავრცობა, დახვეწა ან გადაკეთება. სრულიად სხვა სიძნელეები ხვდა წილად ლუი ბლანს, რომელსაც მუშათა ინტერესებისა და მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად უხდებოდა მთელი დოქტრინების შექმნა, მისი პრაქტიკული მოხმარების დამუშავება, იმ მოსაზრებებისა და ცრურწმენის გაბათილება, რომელიც მუდამ ხვდება ყველა მეცნიერს, და აგრეთვე თავის მტვრევა აურაცხელ შეკითხვებსა და დაბრკოლებებზე, ცხოვრების საჭიროება რომ უყენებდა წინ.

იოლია გაითამაშო სათნო და მოხერხებული მეპატრონის როლი სავსე სახლში, რომელიც მემკვიდრეობით გერგო. მაგრამ, აბა სცადეთ, და ღირსეულად დააღწიეთ თავი ამოცანას—მიხედეთ და

დააკმაყოფილეთ მშიერ-მწყურვალი მოგზაურები უდაბნოში, დაუნთეთ ცეცხლი, მოუხერხეთ ჭურჭელი და მოუმზადეთ საჭმელი. იმ მასის მისწრაფებათა განხორციელებისაგან, რომელთანაც გამბეტას ჰქონდათ საქმე, არავის არც დასცხებოდა და არც შესცივდებოდა იმ აზრით, მაინც, რომ არავის რეალურ, მატერიალურ ან ზნეობრივ ინტერესებს ისინი არ ეხებოდნენ და არ ანგრევდნენ. მიუხედავად ამისა, მაინც რამდენი ბოროტება და გააფთრება, რამდენი წინააღმდეგობა და სიძნელე შეხვდა გამბეტას თვით ამ თითქოსდა იოლად სავალ გზაზე! მაშასადამე, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ათიათასჯერ უფრო მძაფრი და დაუძლეველი უნდა ყოფილიყო ის დაბრკოლებები, ლუი ბლანს რომ ელოდა. მუშათა ფენების დასაკმაყოფილებლად, რომლებზედაც ის ახდენდა ზემოქმედებას, იგი უნდა შეხებოდა და დაერღვია არა მარტო ასობით პატივმოყვარის ინტერესები, არამედ მთელი საფრანგეთის მილიონობით უფრო მოხერხებულ, მდიდარ და მცოდნე ადამიანთა მიერ მოპოვებული უფლებები.

არსებობდა კიდევ მეორე, არანაკლებ არსებითი განსხვავება. ლუი ბლანი და გამბეტა ერთნაირი აზრის იყვნენ, თანაც საკმაოდ საფუძვლიანისა, რომ თავისუფლებისა და საყოველთაო არჩევნების ქვეყანაში ადგილი და აზრი არა აქვს იძულებით მოქმედებას, რანაირიც არ უნდა იყოს იგი; რომ ყველა გაუმჯობესება და რეფორმა აქ შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ თანამოქალაქეთა გონებაზე ზემოქმედების გზით. მაგრამ ამ აზრის გატარება ბურჟუაზიულ წრეში უფრო იოლად შეიძლებოდა, ვიდრე მუშებში. და ბურჟუაზიასაც სწორედ ამიტომ უფრო დანდობილად შეეძლო გაჰყოლოდა გამბეტას, ერთსულოვნად მიეახლოვებინა ის ხელისუფლებისათვის, ვიდრე მუშებს—ლუი ბლანი. ამ უკანასკნელთ არ შეეძლოთ, ზოგჯერ მაინც არ ჩამორჩენოდნენ ლუი ბლანს, არ დაენახათ, რომ იგი „მოდუნებული და გაუბედავი“ იყო. ცხადია, ვერც მუდმივი შრომა და გაჭირვება მისცემდა მათ გონებრივ სიდინჯესა და სინათლეს, რაც ასე საჭიროა, რათა ჩასწვდე ლუი ბლანის ტაქტიკას და განიმსჭვალო იმ რწმენით, რომ მისი რჩევები, დაახლოებით ასი წლის შემდეგ მაინც, უთუოდ მიიყვანს ხალხს სამართლიან საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წყობილებამდე. განა გასაკვირია ამის შემდეგ, რომ ასეთი დაუძლეველი სიძნელეები შეუძლებელს გახდიდნენ ლუი ბლანის გამარჯვებას?

ივლისის მონარქიის დროს ლუი ბლანმა ისეთივე როლი შეასრულა, როგორც წილად ხვდა როშფორს მეორე იმპერიის პერიოდში. თავისი გენიალური პამფლეტით „Histoire de dix ans“ მან მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა ბურჟუაზიულ მონარქიას. მისი წიგნის „Organisation du travail“ დაუღალავმა პროპაგანდამ და საარაკო წარმატებამ პოპულარობა მოუტანა მას და წამოაყენა მეორე რესპუბლიკის მთავრობის წევრის პოსტზე 1848 წელს. ცნობილია: ამ რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ პარიზის მშრომელებმა, ამ ეპოქაში რომ განუყოფლად ბატონობდნენ, მსხვერპლად მიუტანეს ახალ მთავრობას „მოთმინებისა და შიმშილის სამი თვე“. მოსახლეობის კერპი ლუი ბლანი მაშინ პოლიტიკის ყოვლისშემძლე მესვეური იყო. საკმარისი გახლდათ მისი ერთი სიტყვა, რომ დროებითი მთავრობის ტკბილადმოუბარ, მაგრამ უმწეო წევრებისაგან ბუნდღაც აღარ დარჩენილიყო. მაშინ მან ვერ გაბედა ისეთი თამამი, მაგრამ მეტისმეტად სარისკო ნაბიჯის გადადგმა, მან არ მოისურვა თავი დიქტატორად გამოეცხადებინა, ვერ მოახერხა ან ვერ შეძლო, ესარგებლა ბურჟუაზიის პანიკით, რათა დროებით მაინც გაეტარებინა ცხოვრებაში ისეთი რეფორმები, რომელთა კვალსაც შემდგომში ვერავითარი რეაქცია ვერ მოსპობდა. ძნელია იმის თქმა, თუ რატომ მოიქცა იგი ასე: თანდაყოლილი გაუბედაობის, პრაქტიკული როლისათვის მოუმზადებლობისა თუ თავისი იმ რწმენის გამო, რომ მასა, რომელიც მას მხარს უჭერს და წინ აყენებს, ჯერ კიდევ არ მომწიფებულა ასეთი თამამი და სახიფათო ჩანაფიქრის განსახორციელებლად. სახელმწიფოს სათავეში მდგომმა, სხვების მსგავსად, დაიწყო „საკითხის შესწავლა“. მუშათა დელეგატებისაგან ლუქსემბურგის სასახლეში ჩამოყალიბდა კომისია და ლუი ბლანი თავმჯდომარეობდა ამ აკადემიურ კამათს იმის თაობაზე, თუ რა ექნათ, როგორ მოქცეულიყვნენ. გავიდა სამი თვე. ბურჟუაზიის შიში გაქრა. შედგა დამფუძნებელი კრება, სადაც პროვინციამ გამოგზავნა მონარქისტთა უმეტესობა.

პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც მოვლენათა მსვლელობა წამოსწევს ხელისუფლებაში, ის კი ხელიდან გაუშვებს შესაძლებლობას ამოქაჩოს იქიდან თავისი დოქტრინისა და პარტიისათვის რაც შეიძლება მეტი სარგებელი, თითქმის ყოველთვის კარგავს ნდობას თავის მიმდევრებში, ხოლო მოწინააღმდეგეთა თვალში

კი—ყოველგვარ ავტორიტეტს. „მას ძალაუფლება ჰქონდა და ვერაფრის გაკეთება ვერ შეძლო, ესე იგი, არაფრის მაქნისი კაცია, იგი ლაზღანდარაა და არა საქმის კაცი“. საჭირო იყო ახალი თაობის მოსვლა, საჭირო იყო 1848 წლის შეცდომებისა და გულგატეხილობის დავიწყება, რომ ლუი ბლანის დოქტრინის არსებით მხარეებსა და მის უდიდეს ტალანტს კვლავ შეექმნა მისთვის მნიშვნელობა და ავტორიტეტი რესპუბლიკელთა მასებში. მართალია, ლუი ბლანი იძულებული გახდა უკვე 1848 წელს ინგლისში გადახვეწილიყო, მაგრამ მას ამაოდ არ დაუკარგავს დრო გაძევების წლებში. იგი გატაცებით შეუდგა იმ ქვეყნის ადათების, წესებისა და წარსულის შესწავლას, რომელმაც შეიფარა და ამ შესწავლიდან დასკვნებისა და ფაქტების ბრწყინვალე არსენალი შექმნა, რომლითაც სარგებლობდა ხოლმე მეორე იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი „წერილები ინგლისზე“, რომელიც დაიწერა არსებითად არა მარტო საფრანგეთისათვის, არამედ—თვით საფრანგეთზე, ეხმარებოდა საზოგადოებას იმპერიის მაცდურობისა და ცდუნებებისადმი წინააღმდეგობაში, მაგრამ თვით ოცდაორი წლით გაძევების შემდეგ მოპოვებულმა დევნილის პრესტიჟმაც კი, რომელიც ლუი ბლანმა შრომასა და ბრძოლაში გაატარა, ვერ შეძლო განემტკიცებინა მისთვის გარკვეული პოლიტიკური როლი მესამე რესპუბლიკის მთავრობაში. მისი მმართველობასთან მიახლოვების ჟამი ჯერ კიდევ არ დამდგარიყო ისტორიული პროგრესის ციფერბლატზე...

1870 წლის შემდეგ ლუი ბლანის საზოგადოებრივი მოღვაწეობა არ შეესაბამებოდა მის მნიშვნელობას 1848 წელს. როგორც თვითონ განმარტავს, იგი სრულიად შეგნებულად გაუჩინარდა, დარწმუნებული, რომ მისი პარტიისა და სამშობლოს საარსებო ინტერესები ამას მოითხოვდნენ. მონარქისტების გამო, რომლებიც სამშობლოს ემუქრებოდნენ, პარტიის ამოცანებისა და ორგანიზაციის, მასში დამყარებული მთლიანობისა და დისციპლინის გამო ლუი ბლანს უდროოდ მოეჩვენა, უწინარეს ყოვლისა, თავისი პროგრამით გამოსვლა. ამ მიმართულების წყალობით რესპუბლიკური პარტიის ის ფრაქცია, რომელსაც მტკიცედ ეჭირა ლუი ბლანის მხარე, ჩრდილში მოექცეა, თითქმის უმოქმედოდ იყო, იმ დროს, როცა მტკიცდებოდა და ხშირად წინაურდებოდა პარტიის რესპუბლიკური ფრაქცია.

ზემოთ აღვნიშნეთ, თუ რით იყო გამოწვეული და რაზე იყო დაფუძნებული რესპუბლიკისადმი სიმპათიები მუშათა ფენებში. ლუი ბლანის რწმენა, რომ მხოლოდ რესპუბლიკას შეუძლია გადაჭრას „სოციალური საკითხი", რომ უიმისოდ შეუძლებელია მივაღწიოთ ეკონომიურ განთავისუფლებას, დიდი ხანია საყოველთაოდ მიღებულ აქსიომად იქცა. უნდა გვახსოვდეს, რომ არა მარტო ლუი ბლანი და სოციალისტები პირდებოდნენ ასეთ რაიმეს მშრომელებს. წმინდად პოლიტიკური რესპუბლიკელები, ისეთები, როგორებიც იყვნენ ბარმესი, კავენიაკი და თვით გამბეტა, მუდმივად და არაერთხელ იმეორებდნენ ამ დაპირებებს. მრავალი თაობის მუშათა ფენების გონებაში ყველა სკოლის რესპუბლიკელთა ქადაგების გავლენით დაიბადა იმედი და მომწიფდა მისწრაფებები. ეს იმედი იყო მთავარი საფუძველი მუშების ბრმა, მგზნებარე, თავგანწირული ერთგულებისა მმართველობის რესპუბლიკური ფორმისადმი. ვიდრე რესპუბლიკა ჯერ კიდევ ჩანასახის ფორმაში იყო, ვიდრე ის ჯერ კიდევ იბრძოდა არსებობისათვის, მშრომელთა მასები მოთმინებით უცდიდნენ „ნამდვილ რესპუბლიკას", ჩამოყალიბდა რესპუბლიკა, განმტკიცდა, გადავიდა უცილობლად ნამდვილ რესპუბლიკელთა ხელში და აი, დღითი დღე სულ უფრო და უფრო მტანჯველად დაფარფატებს კითხვა: „სად გაქრა კეთილდღეობის დაპირებები, სად არის ის ეკონომიური განთავისუფლება, რის გამოც სიცოცხლის ფასად ვიბრძოდით რესპუბლიკისათვის?"

92. კავკასიის სურათები

(პაულე ზალესოვის „სამგზავრო მოგონებები და შენიშვნები“, მოსკოვი, 1882)

„კავკასიის ნახვა ჩემი დიდი ხნის საყვარელი და მოუცილებელი ოცნება იყო“. „დავტოვე რა ბელოპოლიე, სადაც ჩვეულებრივ ვატარებ ხოლმე ზაფხულის თვეებს, მხიარულად გავეშურე სამხრეთისაკენ, სასურველ მხარეში, რომელიც მე მხოლოდ და მხოლოდ პოეტურ ფერებში მაქვს წარმოდგენილი“. (გვ. 3). ასე იწყებს უფ. ზალესოვი თავის შენიშვნებს. რადგან კავკასიის ხილვა მრავალთა ოცნებას წარმოადგენს, ამიტომ ვეცდებით ბედნიერი მოგზაურის წიგნიდან ამოვკრიბოთ რაც შეიძლება მნიშვნელოვანი შენიშვნები კავკასიის პოეტურ ბუნებაზე.

ჯერ კიდევ გზაში ყოფნისას გვაძლევს უფ. ზალესოვი წარმოდგენას თავის დაკვირვებულობაზე. ხარკოვშიო,—ამბობს იგი,— „მოვინახულე დროის გასატარებელი ბაღი „ტივოლი“, მაგრამ არ მომეწონა“ (გვ.5). შემდეგ იგი მგზავრობს სამხრეთ რუსეთის ველებზე და აღწერს მათ: „საშინელი ერთფეროვნება—აი, ამ ველების დამახასიათებელი თვისება“ (გვ.6). ტაგანროგში იგი არანაკლებ მნიშვნელოვან აღმოჩენას ახდენს, რომ „ყველა ფანჯარას აქვს ჩარჩოიანი დარაბა ანუ ჟალუზები“ (გვ.9), რომ აქ „მთავარი ქუჩაა პეტრეს სახელობისა, რომ მასზე არის ერთადერთი საოლქო სასამართლოს ლამაზი შენობა, ხოლო იერუსალიმის ქუჩაზე —ქალაქის უფროსის სახლი“ (გვ.9). ტაგანროგიდან უფ. ზალესოვი როსტოვამდე ზღვით მიემგზავრება. გემზე ყოფნისას ამჩნევს, რომ „ზღვა ციმციმებდა და არა ღელავდა“ (გვ. 11). სხვანაირად რომ ყოფილიყო, მაშინ უფ. ზალესოვი იტყოდა, რომ „ზღვა ღელავდა და არა ციმციმებდა“. აწარმოა რა რამდენიმე ამგვარი დაკვირვება, მოგზაური ბოლოს ჩაჯდა როსტოვ–ვლადიკავკაზის რკინიგზის ვაგონში და გაუხარდა, რომ ვაგონში გატარებული ღამის შემდეგ გათენდა (გვ. 15). ჟელეზნოვოდსკში შევლისას აღმოჩნდა, რომ ადგილობრივი რესტორნის ფარულ დარბაზში „არის როიალი“ (გვ.19), ბაღში კი, სადაც წაწყდა მდუმარე წყვილს და გაიგონა ხმა შეწყვეტილი კოცნისა, „მიხვდა, რომ აქ სრულდება რომანის რომელიღაც პერიპეტია“ (გვ.20). ჟელეზნოვოდსკიდან

ჩვენი მოგზაური, თავის მეორე ნახევართან ერთად, ავიდა ბეშთაუზე. „მაგრამ არა მის საამებლად, არამედ საკუთარი ცნობისმოყვარეობის გამო“ (21) და, წარმოიდგინეთ, ამბობს იგი: „მთავარი მწვერვალის ყველაზე მაღალ წერტილზე პირველი ავიდა ჩემი მეუღლე“ (23). ბეშთაუს მწვერვალიდან გამოჩნდა „ჰორიზონტი, რომელიც სადღაც შორს უერთდებოდა ცას“, მეორე მხარეს კი—იალბუზი, „კავკასიის გიგანტებით“. თუმცა ეს სანახაობა უფ. ზალესოვს უფრო ნაკლებ მოეწონა, ვიდრე ყირიმის ხედები, სადაც ბუნება არა მხოლოდ უფრო მომაჯადოებელია, არამედ, კავკასიურთან შედარებით, უფრო მჭევრმეტყველიც. „წვეტიანი მწვერვალები (აი, პეტრას კლდეები ალუპკის თავზე) ქვის ნემსებივით ამოწვდილან მთიდან, თითქოს ამბობდნენ, რომ „არ ექნებათ შებრალება მათ, ვინც გაბედავს ჩამოვარდეს“ ამ წვეტიანი მწვერვალებიდან (25). არ შეიძლება მადლი არ ვუძღვნათ ავტორს ამ გაფრთხილებისათვის, თორემ ვინმე ღრუბლებში სეირნობისას ადვილად ჩამოვარდებოდა პეტრას მახვილ მწვერვალებზე. მოგზაურმა მოინახულა მინერალური წყლების სხვა ადგილებიც, ამასთან, შთაბეჭდილება მისი ასეთივე დარჩა.

„ვლადიკავკაზზე—არცთუ დიდ ქალაქზე გავლისას, რომელიც იმედს იძლევა, რომ თავის დროზე საკმაოდ გალამაზდება, ნახა, რომ „სანახავი იქ არაფერია“. უფ. ზალესოვი შედის დარიალის ხეობაში, უზარმაზარი მთების ძირში, „რომელთა მიუწვდომელ სიმაღლეზე მუდმივი თოვლი ზღაპრულ არშიებსა ქსოვს“ (48). საქართველოს სამხედრო გზაზე ჩვენი მოგზაური სრულიად შეიპყრო შიშმა, რომ ეტლიდან არ გადავარდნილიყო და ხრამში არ ჩაჩეხილიყო, ამის გამო იგი ინჟინრებს წინადადებას აძლევს, რომ პარაპეტი, რომელიც გზას მიჰყვება, არშინნახევარზე აამაღლონ (გვ.63). ამის გამო თვით თბილისამდე ავტორი მეტად უგუნებოდ იმყოფებოდა, მხოლოდ არაგვის ნახვისას მას გამომცდელი თვალი მიაპყრო, არაგვმა კი პასუხად მორცხვად ჩაილუღლუღა: „მივეჩქარები დედაჩემ (?) მტკვრისკენო (75).

თბილისში ავტორი აღმოაჩენს აღმოსავლელ კაცებს „რუმბის ღვინის სმისას“ (88), ათვალიერებს აბრებს და უკვირს ვირების ნახვა, რომელნიც „მოწყენით თავჩაქინდრული“ მიათრევენ უზარმაზარ ბარდანებს.

თბილისიდან უფ. ზალესოვი გზას იღებს ბორჯომის, აბასთუმნისა და დასავლეთი საქართველოსაკენ, ე.ი. იმერეთის, გურიისა და სამეგრელოსაკენ. ამ ნაწილში მისი თვალსაჩინო აღმოჩენები ასეთია: ძველი კოშკები და სიმაგრენი „მოწმენი... გადასახლებათა" (113). ბორჯომში მდ. მტკვარმა მისალმებაზე ასე უპასუხა: „გამარჯობათ, გამარჯობათ, მაგრამ არა მცალია, უნდა ვიჩქარო" (113), ალბათ, ისიც მიეჩქარება თავისი დედის_კასპიის ზღვისაკენ. სურამთან მას აღმოუჩენია აქამდე ყველასაგან უნახავი ვახტანგის მთები (119). შემდეგ შეუმჩნევია, რომ „მეგრელები პერანგისამარანი დადიან, დოლბანდი მოუხვევიათ არა ყელზე, არამედ მუცელზე (125) და ფეხშიშველნი ბატებივით ცალ ფეხზე დგანან, მეორე კი აწეული აქვთ, ამასთან, პირველ ფეხს დგამენ თივაზე, რაც ყოველთვის თან დააქვთ (126). თუ ამგვარ დაკვირვებებსა და აღმოჩენებს მიეუმატებთ საუბრებს მეეტლეებთან, ძველი „მეგზურებიდან" ამოღებულ შენიშვნებსა და საზღვარგადაცილებულ მაღალფარდოვან გაცვეთილ აზრებს, სრულიად ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება უფ. ზალესოვის სამგზავრო მოგონებებზე, რაც 136 გვერდზეა გადმოცემული.

93. კვლავ ნავთობის მრეწველობაზე

(წერილი „ნოვოე ვრემიას“ რედაქციას)

ჯერ კიდევ გადაუჭრელი საკითხი—„ბაქოს ნავთის მრეწველობის საარსებო საჭიროებაზე“, რომელიც არაერთხელ წამოჭრილა ჩვენს პრესაში, ამასწინათ ხელახლა დააყენა „ნოვოე ობოზრენიემ“ და სავსებით საფუძვლიანად მისცა მას უდიდესი მნიშვნელობა რუსეთის ეკონომიური განვითარების მთელ რიგ ამოცანათა შორის.

სამწუხაროდ, თითქმის ყოველთვის, როცა ჩვენს პრესაში გვიხდება მსჯელობა მრეწველობის საკითხებზე, რომელიც პრესისათვის არცთუ საკმაოდაა ცნობილი და მხოლოდ ნაწილობრივ თუ გამოავლენს ხოლმე დაინტერესებული პირი, ეს საკამათო საკითხი კიდევ უფრო რთულდება. ამ შემთხვევაში, ცხადია, ადგილობრივი დეპეშებისა და კორესპონდენციების ავტორთა მიერ ფაქტების არასწორად გაშუქების წყალობით „ნოვოე ვრემია“ ბოროტების საფუძველს ეძებს სრულიადაც არა იქ, სადაც იგია ჩამარხული და გვთავაზობს ზომებს, რომლებიც სრულიადაც არ ამსუბუქებენ ნავთის მრეწველობის მდგომარეობას. ცოტაოდენი ცოდნა ნავთობის საქმის ვითარებისა უფლებას მაძლევს, თქვენის ნებართვით, გავაშუქო თქვენთვის საინტერესო საკითხი.

არსებითად ბაქოს ნავთის მრეწველობის გასაჭირი, ინტერესი და მოთხოვნილება არცთუ ისე ძნელად მისახვედრია, რომ რთული იყოს მათი გაგება. აღარაფერი ითქმის იმაზე, რომ მათ გამოსააშკარავებლად საკმარისია იოტისოდენა საღი აზრი და პოლიტიკურ-ეკონომიური მონაცემები, თვით ბ-ნ ნავთის მრეწველებსაც არაერთხელ გამოუთქვამთ სრულიად ნათლად, რაში მდგომარეობს მათი გასაჭირი და სათხოვარი, აშკარად რომ არის ფორმულირებული მათსავე ყრილობებზე მოსკოვსა და თბილისში. მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ხმა პრესამდე ვერ აღწევს და სრულიადაც არ ისმის გაზეთის ფურცლებიდან. მათ მაგიერ და მათი სახელით წერენ, მჭერმეტყველებენ და აგიტაციას ეწევიან სხვები და, რაც ყველაზე უცნაურია, თავიანთი აგიტაციით მხარს კი არ უჭერენ მას, არამედ ოფიციალური განცხადებების საწინააღმდეგოდ ამტკიცებენ მთელ მათ უაზრობას. ჩვენს პრესას კი უნებლი-

ეთ უხდება განსჯა-გამგებლობა მხოლოდ აგიტატორთა სიტ-ყვების საფუძველზე: მსგავსი ანომალიის ყურადსაღები ნიმუშია პრესის დამოკიდებულება რეზოლუციებისადმი, რომლებიც რუ-სეთში მიიღო რუსული ტექნიკური საზოგადოების საერთო ყრი-ლობამ ამ საზოგადოების ბაქოს განყოფილების მოხსენების თა-ნახმად ნავთის მრეწველობის გასაჭირზე. სიტყვამ მოიტანა და, ეს რეზოლუციები უკვე მთელი წელია დევს ცხრაკლიტულში, სად-ღაც, ტექნიკური საზოგადოების არქივში...

საქმე ისაა, რომ ბაქოს ნავთის მრეწველობაზე დახარჯულია მრავალი მილიონი მანეთი უთუოდ ენერგიული ადამიანების მი-ერ და დახარჯულია არა ამაოდ, არა ალალბედზე, არამედ ჩვენი საუკეთესო ტექნიკოსებისა და სპეციალისტების მითითებით.

მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების საფუძველზე აღჭურ-ვილი ბაქოს ასობით ქარხანა წარმოუდგენლად იაფად ამუშავებს ნავთობის ბრწყინვალე ხარისხის პროდუქტებს. მიუხედავად ამი-სა, ნავთობის მრეწველობა წვალობს და იღუპება: მისი პროდუქ-ტები ვერ საღდება, იმისდა მიუხედავადაც კი, რომ მისი მოხმა-რების ბაზრად შეიძლება ყოფილიყო არა მარტო მთელი რუსეთი, არამედ ევროპისა და აზიის საკმაოდ დიდი ნაწილიც. რად შეჩერ-და საქმე? რატომ არ ვითარდება? რა ამუხრუჭებს? აი, არსებითი კითხვები. მაგრამ ამ კითხვათა ნამოჭრაც კი გვიჩვენებს, რომ მა-თი გადაწყვეტა იმალება ყველასათვის ხელმისაწვდომ ურთიერ-თობაში მეწარმესა და მომხმარებელს შორის, წარმოების ცენტრსა და მოხმარების ბაზარს შორის.

სწორედ ასეთი ურთიერთობის დამყარებას ცდილობდნენ ნავ-თის მრეწველნი მოსკოვისა და თბილისის ყრილობებზე. თუმცა პრესაში სრულიად სხვაგვარად აშუქებენ საქმეს.

სიძნელეები ამ საქმეში მიეწერება უთუოდ არაფრისმთქმელ მიზეზებს, რომელთაც არ შეეძლოთ არავითარი როლის შესრუ-ლება ნავთის მრეწველობის განვითარებაში. მაგალითად, მითი-თებულია ამიერკავკასიის დიდი ტარიფი, ის, რომ მას არ გააჩნია ჩამოსასხმელი მოწყობილობა, მითითებულია ბ-ნი პალაშკოვსკის მონოპოლია და სხვა მსგავსი წვრილმანი, მთავარი მიზეზი კი სრუ-ლიად უყურადღებოდაა დატოვებული.

ამ მიზეზის უფრო უკეთ გაგებისათვის ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ არავითარი ბ-ნი პალაშკოვსკი არ არსებობს ამიერკავკასიის რკინიგზაზე, რომ ამ გზის ყოველ ვერსზე დგას ჩამოსასხმელი ონკანები და ტუმბოები და რომ გზას სრულიად უფასოდ გადააქვს ნავთობის პროდუქტები. ნება მომეცით გკითხოთ, შეიცვლება თუ არა იოტისოდენად მაინც ბაქოს ნავთობის მრეწველობა ამის გამო? გავბედავ და მოგახსენებთ, რომ არა! და აი, რატომ: ამიერკავკასიის რკინიგზაზე ნავთობის პროდუქტები შეიძლება გადავიტანოთ მხოლოდ ბათუმამდე: ბაქოსა და ბათუმს შორის ამიერკავკასიის მოსახლეობას შეუძლია დახარჯოს მხოლოდ ერთი-ორი ფუთი ასეთი ნავთი, ხოლო ბათუმს იქით ნავთს ველარსად გაიტან, რადგან იქით არა გვაქვს მოხმარების ბაზრები...

აი, სიძნელეთა უმთავრესი მიზეზი. ამისთვის ტირიან ნავთის მრეწველნი, რომლებიც სრულიად საფუძვლიანად უჩივიან იმას, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის ბაქოს უბნის გახსნამ ვერ გაზარდა მათი პროდუქტების გასაღების საქმე. მაგრამ ამ საჩივრებიდან მომდინარე რაღაც უმნიშვნელო საყვედური ტარიფისა და ონკანების უქონლობის თაობაზე იმას ნიშნავს, რომ გაუგონიათ, აღარ მოკვდაო და ის კი აღარ იციან, თავი საითა აქვს.

მე აზრადაც არ მქონია გეკამათოთ ამიერკავკასიის რკინიგზის წესრიგსა და მოუწყობილობაზე. მხოლოდ ვამტკიცებ, რომ ბაქოს ნავთის მრეწველობის კრიზისის საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის აუცილებელია შევეხოთ საქმის სხვა, შეუდარებლად უფრო მთავარ მხარეებს. თუ ნავთობის პროდუქტები ვერ საღდება, თუ იგი გროვდება ბაქოში, ეცემა მათი ფასი და აკოტრებს მრეწველს, ეს იმიტომ ხდება, რომ მათი გადაგზავნა ჭურჭლით უსარგებლოა, ჩამოსხმა კი არ შეიძლება. ბაქოდან ნავთობის პროდუქტების გადასაზიდად ჯერჯერობით ორი გზაა: ვოლგისა და ამიერკავკასიისა.

პირველ გზაზე მექარხნეებს შეუძლიათ თავიანთი პროდუქტის ჩამოსხმული სახით გაგზავნა მხოლოდ ცარიცინამდე, მეორე გზაზე—მხოლოდ ბათუმამდე, მაგრამ, რადგანაც როგორც ცარიცინში, ისევე ბათუმში მათ მოუხდებოდათ თავიანთი პროდუქტების გადაღვრა ვოლგასა ან შავ ზღვაში, გასაკვირველი არაა, რომ მათ ვერ გადაწყვიტეს ვერც ერთი და ვერც მეორე გზით სარგებლობა.

ცარიცინს იქით ნავთობის პროდუქტთა გაგზავნა შეუძლიათ მხოლოდ იმ მექარხნეებს, რომლებსაც აქვთ თავიანთი ჩამოსასხმელი ვაგონები რუსეთის რკინიგზაზე, ხოლო ბათუმს იქით მათ, ვისაც ან გემები ჰყავთ შავ ზღვაზე, ანდა აქვთ რკინა-კავეულის ქარხანა.

მექარხნე მრეწველებმა თავიანთი საქმე გააკეთეს: მათ მიაღწიეს იმას, რომ იაფად იღებენ შესანიშნავ ნავთს. მაგრამ განა დამნაშავენი არიან, რომ მიმოსვლის გზები მათთვის დაკეტილია? რომელი მრეწველობა აყვავდებოდა და განვითარდებოდა, რომ მრეწველს, გარდა თავისი საზრუნავისა ნაწარმის გაუმჯობესებისა და გაიაფების თაობაზე, კიდევ დავაკისროთ ხიდებისა და გადასაზიდი საშუალებების შეძენა და თანაც მათი წესრიგში ქონა? თვით „laisser faire, laisser passer" [7]-ის სკოლის მიმდევრების თანახმად კი ეს აღემატება მეწარმის კომპეტენციას და მთლიანად სახელმწიფოს ანვება კისრად.

დავუბრუნდები საკამათო საკითხს და გაკვრით აღვნიშნავ მის იმ მხარეებს, რომლებიც აქამდე რატომღაც მხედველობიდან რჩებოდა პრესას.

იმისათვის, რომ ჩვენი სამიმოსვლო გზები სავსებით მორგებული იყოს ბაქოს ნავთობის მრეწველთა საჭიროებასა და მოთხოვნილებასთან, აუცილებელია შემდეგი ზომების მიღება:

1. უნდა მოეწყოს და გაიზარდოს ბაქოს ნავსადგური ისე, რომ გადატვირთვა-გადმოტვირთვის ზედნადები მინიმუმამდე დავიდეს.

2. შავ ზღვაზე უნდა მოეწყოს ბათუმის დამაკავშირებელი პირდაპირი, ყველასათვის ხელმისაწვდომი ჩამოსასხმელი სამიმოსვლო საშუალება სამხრეთ რუსეთის პორტებთან.

3. შავი ზღვისა და ვოლგის მიმდებარე რკინიგზებზე უნდა შემოვზიდოთ ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი ერთი და იგივე ტარიფიანი ჩამოსასხმელი ვაგონები.

4. თვით ბაქოში უნდა მივაღწიოთ ნავთის გამოხდის ერთნაირ წარმოებას, ვინაიდან ასეთი ერთგვარობის გარეშე უაზრო იქნება ყველასათვის ხელმისაწვდომი ჩამოსასხმელი ხელსაწყოების, რეზერვუარების, გემებისა და სხვათა მოწყობა.

ვიდრე ყველა ეს ზომა უკლებლივ არ განხორციელდება, ბაქოს ნავთის მრეწველობა თავის ახლანდელ სავალალო მდგომარეო-

ბაში დარჩება. სცადეთ, მაგალითად, და შემოიყვანეთ მისთვის ჩამოსასხმელი გემები შავ ზღვაზე: დაინახავთ, რომ ბათუმის პორტის გარეშე ეს ჩამოსასხმელი გემები უტვირთოდ იდგებიან, როგორც უტვირთოდ დგანან ახლა ამიერკავკასიის რკინიგზის ჩამოსასხმელი ვაგონები. ალბათ, მაშინაც გამოჩნდებიან კორესპონდენტები, რომლებიც მზად იქნებიან ეს წარუმატებლობა ახსნან კაპიტნების ან გემის მფლობელების სიხარბით ანდა გემებზე რაღაც ონკანების უქონლობით. მაგრამ დამეთანხმებით, რომ ასეთი ახსნა საქმეს ოდნავადაც არ უშველის.

რასაკვირველია, თქვენ იტყვით, რომ ეს ზომები შეიძლება განხორციელდეს კერძო თაოსნობის სახსრებით და არ დააყოვნებთ მიიპატიჟოთ ბაქოს ნავთის მრეწველები თავიანთი ხარჯით ააგონ ნავსადგურებიც, გემებიცა და ვაგონებიც. ცხადია, შეიძლება გამოჩნდნენ ამ საქმის განმახორციელებელი ნავთისმრეწველნი, მაგრამ, რადგან ყველაფერი ეს კერძო სახსრებითაა აგებული, ამით შეიქმნება მონოპოლია, რომელსაც თქვენ თვითონ ასე საფუძვლიანად რისკავთ. ნავთობის საქმისადმი მიძღვნილ მოსკოვის ტექნიკურ ყრილობაზე შარშან მომიხდა დამედგინა, გავბედავ ვიფიქრო, წმინდა მეცნიერული პრინციპები, რომლებიც სავსებით გამოდგება მონოპოლიის შეცნობისა და ჩამოშორებისათვის. ამ პრინციპებს არავითარი კერძო ხასიათი არა აქვთ და სრულიად ერთნაირად გამოიყენებს ყველა ყველგან და ყოველთვის. თუ თქვენ ნამდვილად არ გსურთ დაუშვათ მონოპოლია ნავთობის საქმეში, სხვა გამოსავალი არა გაქვთ, გარდა ამ პრინციპების მიღებისა და თანამიმდევრულად გამოყენებისა. ისინი რომ უარყოთ და, ამასთანავე, წახვიდეთ ვისიმე მონოპოლიის წინააღმდეგ, ეს ნიშნავს, რომ არ მოიშოროთ ძირითადი მიზეზები და, თანაც, იბრძოლოთ მისი კერძო გამოვლინების წინააღმდეგ; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს წყლის ნაყვას უდრის. რითი გამოიხატება ეს პრინციპები? იმით, რომ კეთილი ინებოთ და დაინახოთ: ნავთობის საქმის წარმოებაში აღარავითარი მონოპოლია აღარ არის. ქარხნების მშენებლობის შედარებითმა სიიაფემ, მათმა სიჭარბემ, იმან, რომ აუცილებელი აღარაა წარმოებისათვის დიდი ბრუნვადი კაპიტალის ქონა, ამ წარმოების მონოპოლიზაცია გადაჭრით შეუძლებელი გახდა. წარმოებაში მილიონერი, საშუალო

შეძლებისა და კუსტარი მექარხნე ერთნაირ პირობებში არიან: ყველა მათგანი ერთნაირად კარგ ნავთს ამუშავებს და ყველა მათგანს მისი წარმოება ერთნაირად იაფი უჯდება.

შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ წვრილი მექარხნე მსხვილზე უფრო კარგადაა მოწყობილი, რადგან მას არ აწუხებს პროცენტები დახარჯულ მილიონზე... მონოპოლია წარმოებაში კი არ აღმოცენდება ხოლმე, არამედ—გადატანის დროს. როდესაც გადატანის გზები და მოწყობილობა ერთი ადამიანის სარგებლობაშია, ნავთის მრეწველობა ამით უკვე მონოპოლიზირებულია და მწარმოებელი მიჯაჭვულია თავის იმ თანამოსაქმეზე, რომელმაც შეძლო ხელთ ეგდო გადასაზიდი საშუალებები. მონოპოლიის თავიდან ასაცილებლად საკმარისია ისე მოვაწყოთ სამიმოსვლო გზები, რომ ყოველ მწარმოებელს შეეძლოს მისით სარგებლობა სხვა დანარჩენ მწარმოებლებთან თანაბარი პირობების ვითარებაში.

სადაც ასეა მოწყობილი საქმე, იქ მონოპოლია არ შეიძლება იყოს. მართლაც, რა მონოპოლია შეიძლება იყოს იმ რკინიგზაზე, რომელსაც თავისი საკუთარი ჩამოსასხმელი ვაგონები აქვს და ვალდებულია ტვირთის ყველა გამგზავნს უვნებლივ მიაწოდოს საქონელი ტარიფისა და მკაცრი რიგის დაცვით, რომლის მიუკერძოებელი განხორციელებაც სახელმწიფო გზების ინსპექტორს ევალება? თუ ვინმეს იაფად ან ძვირად ემსახურებიან, ვიდრე დაწესებულია ტარიფით, თუ ვაგონების მიწოდების რიგი არ არის დაცული, თუ ვინმეს ინტერესი ილახება, ეს უკვე სისხლის სამართლის დანაშაულია, კანონის დარღვევაა, რომელიც სასამართლოთი და კანონით ისჯება. რასაკვირველია, აქ მიკერძოება შეიძლება, მაგრამ უკვე არაა დაუსჯელი; ყველა დაზარალებული და განაწყენებული იპოვის აქ მფარველსა და დამცველს, ხოლო ყველა პროკურორსა და სახალხო მსაჯულს შეუძლია აღადგინოს დარღვეული კანონი. სულ სხვა საქმეა, როცა ჩამოსასხმელი ვაგონები და გემები ეკუთვნის არა რკინიგზას, არამედ საზოგადოებას, რომელიც ვალდებულია მიიღოს ტვირთი ყველა გამგზავნისაგან და გადაიტანოს ის ყველასათვის ერთნაირი ფასით, ყველასათვის საერთო რიგით, ხოლო კერძო პირს ან ამხანაგობას შეუძლია მიიღოს ან არ მიიღოს ტვირთი, რადგან იღებს მათი გადატანისათ-

ვის გადასახადს „ურთიერთშეთანხმების თანახმად“, ე.ი. საკუთარი ნებასურვილის მიხედვით. ამ შემთხვევაში მიკერძოება, კაპრიზი, სუსტის გაყვლეფა უკვე გამონაკლისი აღარ არის და არც სისხლის სამართლის დანაშაულია, არამედ გადასაზიდი მოწყობილობის მესაკუთრის კანონიერი უფლებაა. უსამართლო ტვირთის გადამზიდის ინტერესი აქ მთლიანად ეწირება ვაგონის ან გემთა მფლობელის სარგებელსა და თვითნებობას. აი, მოწყალეო ხელმწიფენო, მონოპოლია ნავთობის საქმეში და, ამასთანავე, აი, საითკენ მივყევართ ქადაგებას ნავთობის პროდუქტთა გადაზიდვის საქმეში „კერძო თაოსნობის“ შესახებ.

ეჭვს გარეშეა, რომ ადრე თუ გვიან ეს ყბადაღებული „კერძო თაოსნობა“ შავ ზღვაზეც ისე გამოჩნდება, როგორც ვოლგაზე გამოჩნდა. მაგრამ განა რას მისცემს ეს ბაქოს ნავთის მრეწველობას? თავს უფლებას ვაძლევ, დავაყენო მეორე საკითხიც: მომგებიანი იქნება თუ არა ეს ხაზინისათვის?

ასეა თუ ისე, პოლიტიკური ეკონომიის კანონებს ძალა არ დაუკარგავს, აქედან გამომდინარე კი გზებისა და გადასაზიდი მოწყობილობის შენახვა მუდამ სახელმწიფოს ევალება. შემეძლო მიმეთითებინა საკმაოდ მჭევრმეტყველურ მაგალითებზე, თუ როგორ პოულობენ გზას სახელმწიფო სალაროსაკენ კერძო გადამზიდი ამხანაგობები, ხაპავენ იქიდან ფრიად დიდ სუბსიდიებს, სამაგიეროდ არავითარ ვალდებულებას არ კისრულობენ არც ხალხისა და არც სახელმწიფოს წინაშე...

ნავთის მრეწველები არც ბავშვები არიან, არც თეორეტიკოსები, ეს რომ არ ესმოდეთ. აი, რატომ ხდება, რომ ყველა თავის შუამდგომლობაში, განცხადებებსა და რეზოლუციებში ისინი გამუდმებით თხოულობენ არა სუბსიდიას და არა შეზღუდვას, ვისთვისაც არ უნდა იყოს იგი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ გზების განთავისუფლებას თავიანთი პროდუქტების გადასაზიდად და ამ გზების ყველასათვის თანაბარ მოხმარებას. თქვენ კი გაბნევთ ბაქოს უამრავი დეპეშა და კორესპონდენციები, რომლებსაც სრულიად ტყუილად მიაწერთ ნავთის მრეწველებს. თქვენ გავიწყდებათ, რომ ბაქოში მარტო ნავთის მრეწველობის ინტერესები კი არ არსებობს, არამედ თუნდაც გემთმფლობლური, სავაგონო, საკასრო და ა.შ. ინტერესებიცაა.

ხშირად ხდება ხოლმე, რომ ამ ამ უკანასკნელ, ცხადია, საპატიო და კანონიერ, მაგრამ მაინც კერძო და მხოლოდ ვიწრო ინტერესთა გამო ადამიანები პრესაში თავიანთ სურვილს მთელი ნავთობის მრეწველთა სურვილად აცხადებენ. დროა, დავადგინოთ პრესაში განსხვავება ყველა ამ ინტერესებს შორის, რომლებიც ზოგჯერ სრულიად საწინააღმდეგონი არიან ერთიმეორისა. ერთ რელიეფურ მაგალითს დაგისახელებთ:

დიდი ხანია აღძრულია ბაქოდან ნავთობის პროდუქტების გადაზიდვისათვის ბაქოს ვლადიკავკაზთან სალიანდაგო გზით შეერთების, ანუ რუსეთის რკინიგზის საერთო ხაზთან მიერთების საკითხი. ამიერკავკასიის ტრანსპორტის საკითხის განხილვისას თქვენ დაინახეთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ამ შეერთებას საერთოდ რუსეთის ვაჭრობისათვის სპარსეთსა და ამიერკავკასიასთანაც. წარმოიდგინეთ, რომ სწორედ „ბაქოს ნავთის მრეწველთა საარსებო მოთხოვნილების“ მომხრეებმა მოახერხეს და ბაქოში იშოვეს ადგილობრივ მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება იმის თაობაზე, რომ არც მათ და არც ბაქოს ნავთის მრეწველობას სრულიად არ ჭირდება რკინიგზა ბაქოსა და ვლადიკავკაზს შორის. ბაქოდან ყოველი მხრით წამოვიდა დეპეშები. როგორ გგონიათ, ვის შეეძლო ასეთი განცხადების გამოქვეყნება: ნავთის მრეწველთა მეგობრებსა თუ მტრებს?

ვიმეორებ, აი, რატომ შეიძლება ხშირად ცდებოდეთ, როცა ყოველ დეპეშას და კორესპონდენციას, რომელიც ბაქოდან მოდის, ნავთის-მრეწველთა გასაჭირისა და გრძნობების გამომხატველად იღებთ.

შემოვიფარგლები ამით, რათა ბოროტად არ ვისარგებლო თქვენი გაზეთის სტუმართმოყვარეობით, მაგრამ, თუ ჩემი მითითებები საყურადღებოდ მოგეჩვენებათ, მე მზად ვარ განვამტკიცო ისინი მთელი რიგი ფაქტებით, ციფრებითა და საბუთებით. საერთოდ, მგონია, ეს საკითხი ისეთ პრობლემათა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც შეიძლება სრულიად მშვიდი კამათით გადაწყდეს. წმინდა მეცნიერული მონაცემების საფუძველზე, ყოველგვარი პირადი მიკერძოებისა და რიტორიკული შელამაზების თვინიერ, ხოლო საქმე, რომელზეც მოგახსენებთ, ჭეშმარიტად მოითხოვს სერიოზულ და ყოველმხრივ შესწავლას, თუ ჩვენთვის ძვირფასია ჩვენი სამშობლოს მრეწველობის განვითარების ინტერესები და თანაც ისეთი განვითარებისა, რომელიც არა ერთი და ორი კაცის, არამედ მთელი მოსახლეობის სასარგებლოდ წარიმართება.

94. ნავთის საკითხის შესახებ

კომისიამ, ბაქოს ნავთის მრეწველობის კრებამ რომ აირჩია, როგორც უკვე გაცნობეთ, გრაფ ბარანოვს წარუდგინა წერილი იმ ღონისძიებათა ჩამოთვლით, რომელთა გატარებაც აუცილებელია ნავთის წარმოების გასაუმჯობესებლად. სამწუხაროდ, ამ ღონისძიებათა შორის დასახელებული არაა ერთი, რომელსაც, სხვათა შორის, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. აუცილებელია კანონმდებლობის წესით დავადგინოთ ის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ მრეწველთა მიერ გასაყიდად გამოტანილი ნავთის ხარისხს. არ შეიძლება იმის დაუნახაობა, რომ ეს ღონისძიება ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც მომხმარებლის, ასევე თვით მრეწველთათვისაც. პირველთ ეს მისცემს იმის გარანტიას, რომ მათ მიერ ნაყიდი ნავთი სახიფათო არაა, მეორეთ კი გაუადვილებს მათი სავაჭრო ოპერაციების გაფართოებას. მხოლოდ გამოშვებული ნავთის ხარისხთა რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა მისცემს მათ საშუალებას გააფართოონ თხიერი ნავთის გადაზიდვის საქმე, რის მიღწევასაც ასე მგზნებარედ ცდილობენ ნავთის მრეწველები.

ამჟამად ბაქოში მრავალი ხარისხის ნავთს ამზადებენ, ამასთანავე, მრეწველები, რომელთა მთავარი მიზანი პროდუქტის გაიაფებაა, მცირე ყურადღებას უთმობენ ნავთში მსუბუქი ნახშირწყლების შემცველობას. ამავე დროს, მათს რაოდენობაზეა დამოკიდებული ნავთის სახლის პირობებში მოხმარების უსაფრთხოების დონე. რაც უფრო მეტია მასში მსუბუქი ნახშირწყლები, მით უფრო სწრაფად იწყებს აალებას და მით უფრო ადვილად შეიძლება წაეკიდოს ცეცხლი ლამპას, რომელშიც ასეთი ნავთი ასხია. დასავლეთ ევროპაში ნავთის ამ უაღრესად მნიშვნელოვან და სახიფათო თვისებას დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება და იმ ნავთის ხარისხს, გასაყიდიდ რომ გამოაქვთ, განსაზღვრავენ კანონით. განსაზღვრავენ იმ ყველაზე დაბალ ტემპერატურას, რომლის დროსაც უნდა იფეთქოს გარკვეულ პირობებში გახურებულმა ნავთის ორთქლმა. რადგან ეს ტემპერატურა გაცილებით მაღალია იმაზე, სადამდეც შეიძლება გახურდეს ანთებული ლამპის რეზერვუარი, ცხადი ხდება, რომ გარკვეული ნორმების დადგენით

ბაზრიდან იდევნება იმ ხარისხის ნავთი, ხმარების დროს ოდნავ მაინც რომაა სახიფათო. ნავთის სახიფათოობის განსასაზღვრავად შექმნილია ბევრი მარტივი და პრაქტიკული ხელსაწყო. საუკეთესოდ მათ შორის შეიძლება ვცნოთ აბელის ხელსაწყო, რომლის გამოყენება ინგლისში ოფიციალურად 1880 წლიდან დაიწყო, ხოლო შემდეგ, ამა წლის იანვარში, ცოტაოდენი ცვლილებებით—გერმანიაშიც. ამ ხელსაწყოში ნავთის ორთქლის აფეთქების ყველაზე დაბალ ტემპერატურად მიღებულია 22,8 გრადუსი (ანდა ფარენგეიტით 73 გრადუსი), გერმანიაში კი 21 გრადუსი ცელსიუსით 760 მმ. წნევის დროს. საფრანგეთში ისე არ გაიყიდება ნავთი, თუ მისი სერტიფიკაცია არ მოახდინა მთავრობის ამერიკელმა ინსპექტორმა, მისი აფეთქების ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 110 გრადუსს ფარენგეიტით (ღია ხელსაწყოში), ხოლო, თუ, რამდენად მნიშვნელოვანი და მიზანშეწონილია ამგვარი ზომების მიღება, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

არანაკლებ მნიშვნელოვანია კონტროლი თვით მრეწველთა ინტერესებისათვისაც, რადგან იგი ბუნებრივად აერთსახოვნებს სხვადასხვა ხარისხის ნავთს. ეს კი იმდენადაა აუცილებელი, რომ საკვირველია, მრეწველები აქამდე თვითონ რატომ არ მივიდნენ ურთიერთშეთანხმებამდე, დაამზადონ ერთნაირი ხარისხის ნავთი, რომელიც სრულიად უხიფათო იქნება წვის დროს. სხვათა შორის, გარკვეული ნორმების უქონლობა ხელს უშლის რუსეთის ნავთის გავრცელებას საზღვარგარეთ, სადაც, ცხადია, შეიძლება მხოლოდ გარკვეული ხარისხის ნავთის გატანა. გარდა ამისა, იგივე მდგომარეობა აბრკოლებს ნავთის იაფად გადაზიდვას და მის ფართოდ გავრცელბას რუსეთის შიდა რაიონებში. ნავთის მრეწველების მოთხოვნა, რომ რკინიგზებმა ააშენონ რეზერვუარები, შექმნან ვაგონების გასავსები და ვაგონებიდან რეზერვუარებში გადასაქაჩი მოწყობილობანი, ამჟამად განუხორციელებელია, რადგან ნავთის ხარისხი მრავალგვარია და შესაბამისი რეზერვუარები და მოწყობილობანი იმდენი უნდა შეიქმნას, რამდენი პატრონიც ჰყავს საქონელს, რადგან ერთი და იგივე მოწყობილობა სხვადასხვა ხარისხის საქონლისათვის გამოუსადეგარია. ხოლო ერთი სახის საუკეთესო პროდუქტის არევა მეორე ცუდი ხარისხის

პროდუქტში, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ნავთის ხარისხზე ნორმების შემოღება, ცხადია, მას მოხმარების დროს უხიფათოს გახდის და, ამავე დროს, ხარისხთა სხვადასხვაგვარ რაოდენობასაც შეამცირებს, რაც შესაძლებლობას მოგვცემს გადავწყვიტოთ ამჟამად გადაუწყვეტელი საკითხი ნავთისა და, საერთოდ, ნავთობის პროდუქტების გადაზიდვისა. მაშინ, უდავოა, არც ერთი რკინიგზა არ იტყვის უარს შექმნან რეზერვუარები და ძვირად ღირებული მოწყობილობანი, რის მეოხებითაც ყველა მოიგებს.

95. ნ. გ. ჩერნიშევსკის განთავისუფლება

20 დეკემბერი, 1883 წ.

უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, მკითხველო, რომ თქვენთან საუბარი შემიძლია დავიწყო ჩვენს უსიხარულო ცხოვრებაში მომხდარი ერთი სასიხარულო ამბით—ნ. გ. ჩერნიშევსკის განთავისუფლებით. სურვილი მაქვს, ჩემი მუზისათვის უჩვეულო ქებათა ქების ტონით ვწერო ამ მიზეზის გამო, მაგრამ სჯობს მოვეშვა ამ სურვილს. ქებათა ქებას რომ არ მივმართავ, ისედაც რამდენი რამის თქმა შეიძლება, და საჭიროცაა, ამ ამბავთან დაკავშირებით! მარტო ამის გაფიქრებაც კი სუნთქვას მიკრავს, მაგრამ კალამი უნებლიეთ წერს წმინდა ჩრდილოურ გამონათქვამს:

„Ни время. ни место не позволяют нам браться
за столь широкие и непосильные задачи".

შემოვიფარგლები რამდენიმე სრულიად უმნიშვნელო შენიშვნით, რომელთაც მხოლოდ შედარებითი ხასიათი აქვთ, ამასთან, უფრო მეტად—ისტორიულ-ლიტერატურული, და არა სხვა რაიმე...

თქვენ, რა თქმა უნდა, გაზეთებიდან იცით, რომ ნ. გ. ჩერნიშევსკი ციმბირიდან დააბრუნეს და ამჟამად ასტრახანში ცხოვრობს. დააბრუნეს იგი ორი წლის (1862-1864 წ.წ.) პატიმრობისა და ცხრამეტი წლის კატორღისა და გადასახლების შემდეგ. ამ ცოტა ხნის წინ „ნოვოე ვრემიაში"[20] დაიბეჭდა მონათხრობი „Daili Neus"-ი კორესპონდენტისა, რომელმაც გამოჩენილი პუბლიცისტი ასტრახანში ინახულა.

ინგლისელი კორესპონდენტის გადმოცემით, „საიდუმლოება, რომლითაც დიდი ხანია მოცული იყო ჩერნიშევსკის ბედი, ახლა შეიძლება სავსებით გარკვეულად ჩაითვალოს" („ნოვოე ვრემია", 1883 წ. 17. XII. №2805, სტატია ჩერნიშევსკიზე).

თუ რაში მდგომარეობს ეს საიდუმლოება, ყველაზე უკეთ გამოჩნდა თ. მ. დოსტოევსკის შემდეგ სიტყვებში: „ამას მოჰყვა ჩერნიშევსკის დაპატიმრება და გადასახლება. ვერასოდეს ვერაფერი შევიტყვე მის საქმეზე და ახლაც არაფერი ვიცი" (თ. მ. დოსტოევსკი, თხზულებათა სრული კრებული, 1873, ტ.X „მწერლის დღიური", გვ. 27).

„საქმე“, რომელსაც ამაოდ იკვლევდა დოსტოევსკი, ე. ი. სასამართლოს საქმე ჩერნიშევსკის თაობაზე, წარსული ეპოქის მეტისმეტად საინტერესო ძეგლებს განეკუთვნება. ქვემოთ, როცა მის არსს გადმოგცემთ, შევეცდები დავახასიათო მისი მნიშვნელობა. მაგრამ, მანამდე, უწინარეს ყოვლისა, აუცილებლად უნდა გავაკეთო რამდენიმე შენიშვნა.

იოლი იქნებოდა გულისწყრომით მოჰკიდებოდი ამ საქმის განსაკუთრებულობაში დამნაშავე პირებს, მაგრამ დღეს არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს ასეთ დამოკიდებულებას. განაჩენი უკვე გააუქმა უმაღლესმა მმართველობამ და თვით ამ განაჩენის გამომტანი დანესებულებაც, განკუთვნილი ამგვარ საქმეთა განსჯისათვის, აღარ არსებობს. უფრო მეტიც, განაჩენის გამოტანაში მონაწილე ყველა პიროვნება ამ ქვეყნიდან მარადისობაში გადავიდა, მიუხედავად ასეთი და მრავალი სხვა ვითარებისა, რომელიც მწერალს ავალდებულებს საქმისადმი დინჯად მიდგომას, პირადად მე დარწმუნებული ვარ: ჩერნიშევსკი მსხვერპლი შეიქმნა სასამართლოს არა რაღაც განსაკუთრებული შემადგენლობისა, არა რომელიმე ცალკე პირისა და არა თვით მაშინდელი მთავრობისა, არამედ უფრო ძლიერი და ულმობელი ფაქტორისა—საზოგადო და საყოველთაო გაუგებრობისა; უფრო ზუსტად რომ ვთქვათ,—იმდროინდელი საზოგადოების სიბრიყვისა. ეს საკითხი მეტისმეტად საინტერსოა და ამაზე ღირს შევჩერდეთ. ჩემი აზრის ნათელსაყოფად ვისარგებლებ თ. მ. დოსტოევსკის ამ დღეებში დაბეჭდილი ბიოგრაფიით. ამ ბიოგრაფიაში პროფესორ ო. თ. მილერს მოაქვს შემდეგი შინაარსის უაღრესად საინტერესო ამონაწერი „მწერლის დღიურიდან“:

„ერთხელ დილით (ჩანს, საქმე ეხება 1861 წ. შემოდგომას) მე (ანუ თ. მ. დოსტოევსკიმ) ჩემი ბინის კარის სახელურზე ვიპოვე იმ შესანიშნავ პროკლამაციათაგანი, რომლებიც მაშინ ვრცელდებოდნენ და თანაც საკმაოდ მრავლად. მათ ეწოდებოდათ „ახალ თაობას“ („К молодому поколению“). წარმოსადგენადაც კი ძნელია ამაზე მეტი სისულელე და უაზრობა... საშინლად მეწყინა და მთელი დღე დაღონებული ვიყავი... საღამო ხანს უცებ მომინდა ჩერნიშევსკისთან წასვლა: მანამდე არასოდეს მიფიქრია მასთან მისვლა ისევე, როგორც მას ჩემთან.

—ნიკოლოზ გაბრიელის ძევ, ეს რა არის?—ამოვიღე პროკლამაცია.

მან ისე გამომართვა იგი, როგორც მისთვის სრულიად უცნობი საგანი და წაიკითხა, სულ ათიოდე სტრიქონი იქნებოდა.

—„მერე რა?“—მითხრა ოდნავი ღიმილით.

—„ნუთუ ისინი ასე სულელები და სასაცილონი არიან? ნუთუ არ შეიძლება, რომ თავი შეიკავონ და მოეშვან ამ სისაძაგლეს?

მან მეტად დარბაისლურად და დამაჯერებლად მიპასუხა:

—„ნუთუ თქვენ გგონიათ, რომ მათ მხარს ვუჭერ და ამ ქაღალდის შედგენაში რაიმე მონაწილეობა მივიღე?“

—სწორედ რომ არ მგონია,—ვუპასუხე, და საჭიროდ არ ვთვლი ამაში დაგარწმუნოთ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ისინი უნდა შევაჩეროთ. თქვენი სიტყვა მათთვის მნიშვნელოვანია და, რასაკვირველია, თქვენი აზრისა მათ ეშინიათ.

—არცერთ მათგანს არ ვიცნობ.

—ამაშიც დარწმუნებული ვარ, მაგრამ სრულიადაც არაა საჭირო იცნობდეთ და პირადად ელაპარაკოთ. საკმარისია მხოლოდ სადმე ხმამაღლა განაცხადოთ თქვენი გულისწყრომა და ეს ხმა მაშინვე მისწვდებათ.

—შეიძლება ამან არ იქონიოს გავლენა. ეს მოვლენები კი, როგორც გარეშე ფაქტები, გარდაუვალია“...

მიხვდით?! ასე ფიქრობდა და ხსნიდა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს თ. მ. დოსტოევსკი, თითქმის ერთხმად რომ იყო აღიარებული რუსეთის ცხოვრების ღრმად მცოდნედ და დიდ გულთამხილავ ფსიქოლოგად. ამის შემდეგ რაღა უნდა ეფიქრა და გაეგო მაშინდელი საზოგადოების სხვა წევრს თავისი ველური უმეცრების გამო. თქვენ გგონიათ თ. მ. დოსტოევსკი მაშინვე ვერ მიხვდა, რომ ეს მოძრაობა არც ისე „უაზრო და სულელური“ იყო, როგორც პირველი პროკლამაცია მოეჩვენა? არა, იგი იქვე წერს, რომ სულელური და უაზრო იყო პროკლამაცია, მაგრამ, „რაც შეეხება მოძრაობას, ეს იყო მძიმე ავადმყოფური და საბედისწერო მოვლენა თავისი ისტორიული თანამიმდევრობით“. ხედავთ? „საბედისწერო“ და ამბობს, აღიარებს ამას და მაინც გარბის ჩერნიშევსკისთან, ევედრება მას შეაჩეროს ეს „ისტორიული თანამიმდევრობის საბედისწერო“ მოძრაობა. რატომ გარბის პირდა-

პირ ჩერნიშევსკისთან, სწორედ ჩერნიშევსკისთან და არა სხვასთან? მას ხომ ძალაუფლება არ ეჭირა ხელში, რომ ამით გავლენა მოეხდინა ისტორიული მოვლენის მსვლელობის შეცვლაზე? მგონი, ასეთ მოვლენაზე ზემოქმედებისათვის ყველაზე უპრიანია მიმართო სწორედ ძალაუფლების მესვეურებს დარწმუნების ან რჩევის სიტყვით, ხვეწნით ან ისტორიის ფილოსოფიური აზრის სიცხადით. რა შეეძლო ამ შემთხვევაში მწერალს, თუ არა ის, რომ ქარაგმულად ან მიხვეულ-მოხვეული ფორმით შეხებოდა თავისი სამშობლოს პოლიტიკური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს? როგორც ჩანს, არაფერი და თ. მ. დოსტოევსკი კი მაინც მივიდა ჩერნიშევსკისთან და გულახდილად, უბრალოდ არწმუნებდა მას, ეკისრა რამდენადმე კომიკური და უაზრო როლი სტიქიური ძალის თილისმისა, მე მინახავს ჩვენში, კავკასიის დამღუპველ ველურ ტევრებში, როგორ ცდილობენ ხოლმე მოხუცი მორწმუნე დედაბერი რაღაც სიტყვების ბუტბუტით შეაჩერონ ეპიდემია მომაკვდავის საწოლთან, მაგრამ, როდესაც ცივილიზებული საზოგადოების გამოჩენილი „აზრთა მპყრობელი" სერიოზულად მოითხოვს სწორედ ასეთ საშუალებებს საზოგადოებრივი მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელთა დამღუპველი ძალაც, ამასთანავე, შესანიშნავად ესმის, უნებლიეთ ჩიხში ემწყვდევი.

მაგრამ საქმე მარტო თ. მ. დოსტოევსკის არ ეხება. ის თავისი დროის შვილი იყო და გულწრფელად შეცდა, როგორც უკლებლივ ყველა ცდებოდა მაშინ. ისიც საკითხავია, რამდენად ნაკლებ ცდებოდა მაშინ თ. მ. დოსტოევსკი სხვებთან შედარებით. ის იმას მაინც მიხვდა, რომ მოძრაობა იყო საბედისწერო, ისტორიულად თანამიმდევრული... კარგად მახსოვს ის შესანიშნავი დრო, 1861-1863 წ.წ. მაშინ არა მარტო მთელ საზოგადოებას, არამედ თვით პროკლამაციების შემდგენლებსაც, და თითქმის ყველა მის გამავრცელებელსაც, გულუბრყვილოდ სწამდათ, რომ ხალხის ან სახელმწიფოს ისტორიული ცხოვრება ცეკვავს, ან შეუძლია იცეკვოს ცალკეული პიროვნების დუდუკზე. აქედან გამომდინარე, დრომოჭმული თაობის ადამიანებს თვით ღმერთმა შთააგონა—რაც შეიძლება მტკიცედ ჩაეჭიდონ იმ რწმენას, რომ საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც თანამიმდევრულად იპყრობს მომდევნო თაობათა წყებას, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს და ჩაქრეს რომელიმე პიროვნების ხელის ერთი აქნევით, ჯერ ფიქ-

რობდნენ, რომ დაწყებული მოძრაობის შეჩერება შეუძლია ა. ი. გერცენს. „კოლოკოლის“[72] მგზნებარე პუბლიცისტმა, დიდი გატაცებისა და მგზნებარების ძაფებით რომ იყო მოქსოვილი, იგულისხმება, რომ სასწრაფოდ წარმოაჩინა პრესაში თავისი წინააღმდეგობა გაურკვეველი მოძრაობისადმი. ყველას გასახარად ეს მოძრაობა არც ჩაშლილა და იოტისოდენადაც კი არ შენელებულა. პროკლამაციაში „ახალგაზრდა რუსეთი“[73] თვით ა. ი. გერცენი თავისი „კოლოკოლიანად“ ჩამორჩენილად იქნა გამოცხადებული და საქმე მაინც თავისი გზით წავიდა. მაშინ რატომღაც ყველა დარწმუნდა, რომ მოძრაობა, რომელიც ვერ შეაჩერა გერცენმა, შეიძლება შეაჩერონ ჩერნიშევსკიმ და მისმა „სოვრემენნიკმა“.[27] თ. მ. დოსტოევსკის სიტყვებში ჩვენ ვერ ვხვდებით ამ რწმენის გამოხატულებას. შეუდარებლად ძლიერად გამოჩნდა ეს რწმენა იმ დროის კერძო საუბრებში, და თვით 1862 წლის „სევერნაია პჩელაც“[7], რომელსაც მაშინ უკვე გერცენი და ბულგარინი კი არა, არამედ ლიბერალური მწერლები პ. უსოვი და ნ. ს. ლესკოვი ხელმძღვანელობდნენ, ამის შესახებ არც ისე ცოტა მინიშნებებსა და ქარაგმებს ბეჭდავდა...

ჯერ არს გვახსოვდეს, რომ იმ ეპოქაში ხელისუფლებას მეთაურობდნენ ახალი, ანუ ახალგაზრდა და „ლიბერალური“ მოღვაწეები: ბ-ნი ვალუევი, ბ-ნი გოლოვინი, ბ-ნი მიმოტინი, ბ-ნი პოტაპოვი და სხვ. და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თვით ეს ხელისუფლება გარემოცული იყო წამოწყებული რეფორმების მომხიბვლელობით რუსეთის განვითარების წარმატებაზე. გულშემატკივართა შორის არავის მოსვლია აზრად, რომ ჩერნიშევსკისაკენ კი არ უნდა ეცქირათ, არამედ უფრო ხელისუფლების წარმომადგენელთაკენ, რადგან მხოლოდ და მხოლოდ მათ ჰქონდათ საშუალება და ევალებოდათ კიდეც, არსებითად ემოქმედათ იმ პირობებზე, რომელთა ზემოქმედებითაც ყალიბდება და სახეს იცვლის საზოგადოებრივი აზროვნებისა და ცხოვრების სხვადასხვა მიმდინარეობა. მათთვის არავის მიუქცევია ყურადღება, რადგან არავის უფიქრია რაიმეზე ზემოქმედების აუცილებლობა, გარდა ცალკეული პიროვნებებისა, რომელთაც პროკლამაციების შედგენა და გავრცელება ეხებოდათ. აი, არსებითი მიზეზი. ყველას ეგონა, რომ ჩერნიშევსკის შეუძლია გონს მოიყვანოს ეს პიროვნებები, რომ,

მაშასადამე, მან უნდა გააკეთოს ეს, ოღონდ, როგორც თ.მ. დოსტოევსკის სიტყვიდან ჩანს, თვით ჩერნიშევსკის შესანიშნავად ჰქონდა შეგნებული როგორც მოძრაობის გარდაუვალობა, ისე თავისი უძლურებაც. ამიტომ სდუმდა. აქედან კი მის მონაწილეობაში დაეჭვებისა და, მაშასადამე, მის განუსჯელად გაკიცხვამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია.

და მართლაც, ჩერნიშევსკი გაკიცხული იქნა, თანაც განუსჯელად, ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ფორმალურად გაკიცხავდა სასამართლო, დაპატიმრებამდე კიდევ უფრო ადრე. მთელი მაშინდელი საზოგადოება და პრესის ნაწილი მიუთითებდა მასზე, როგორც გაურკვეველი მოძრაობის მეთაურზე. მე ვიცნობ სრულიად არამაბეზღარა ისეთ ადამიანს, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ, თუ არა ჩერნიშევსკი, რუსეთის ცხოვრების მსვლელობა შესანიშნავად გაიჩარხებოდა რეფორმიდან—რეფორმამდე. წაუბორძიკებლად და შეხლა-შემოხლის გარეშე, ხოტბა-შესხმითა და ტაშის გრიალით; ამასთან, პრესისა და ადმინისტრაციის ლიბერალური მოღვაწენი „სოვრემენნიკის“ სტვენისაგან რომ განთავისუფლდებოდნენ, საზეიმოდ გამოკოპწიავდებოდნენ პროგრესის ძვირფას ლივრეაში. ყველას ეგონა, რომ ამ დაფნის გვირგვინოსან პროგრესს სამაგალითო და წარმატებითი მოძრაობისათვის გზას უღობავდნენ არა ჩვენი ძველი ცხოვრების პირობები, არა დაგეგმილი რეფორმების უსუსური სახე, არამედ ჩერნიშევსკის მუხანათური შეძახილები; დავამხოთ იგი და მაშინვე დადგება საყოველთაო მშვიდობიანობა!—ასეთი იყო თვით ლიტერატორებშიც კი გაბატონებული საზოგადოებრივი რწმენა. და ამის შემდეგ განა რა გასაკვირია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებსაც იგივე ეფიქრათ...

თქვენ ხედავთ, რომ მე არავის ვადანაშაულებ, მხოლოდ კეთილსინდისიერად ვაანალიზებ საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის უაღრესად საინტერესო მოვლენას. ამ გზით რომ ვადგენთ საბედისწერო და, ამასთანავე, ტრაგიკულ გარდუვალობას ჩერნიშევსკის მწარე ხვედრისას, რითაც შემოვფარგლეთ ცალკეულ პიროვნებათა მონაწილეობა მასში, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, არ შემიძლია ჩემს თავს არ დავუსვა კითხვა: რაში გამოგვადგა ეს გარდაუვალი მსხვერპლი? რა შეაჩერა მან? დაწვრილებით არ დავიწყებ მსჯელობას ამ საკითხებზე, ისინი განეკუთვნებიან იმ შეკითხვათა რიცხვს, რომელთა შესახებაც ამბობენ: მათზე საკმარისია მიუთითო და გვერდით ჩაუარო.

მადლობა ღმერთს! გაუგებრობა ახლა აშკარა გახდა, თვალსაჩინოდაა დამტკიცებული, რომ ჩერნიშევსკი სრულიად არაფერ შუაშია მოძრაობის დაწყებასა და შეჩერებაში. ეს მოძრაობა მაშინ დაიწყო, როცა ჩერნიშევსკი ჯერ კიდევ არ იყო ქვეყნად; სწორედ მაშინ, როცა ჩვენი ოკუპაციური არმია, 1813-1814 წ. წ., პარიზის აღების დროს გაეცნო ფრანგების საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმათა ხასიათს... თვით ხვედრი თ. მ. დოსტოევსკისა, რომელსაც სიკვდილი მიუსაჯეს და კატორღაში ჩასვეს 1849 წელს პეტრაშევსკის საქმეში მონაწილეობის გამო, ე. ი. იმ დროს, როცა ჩერნიშევსკი ჯერ კიდევ არ გამოსულიყო სალიტერატურო ასპარეზზე, ყველაზე უკეთ ამტკიცებს ამას. შემდეგ ჩერნიშევსკი გაქრა და, მიუხედავად ამისა, მოძრაობა მაინც გაგრძელდა, თანაც არანაკლები სიძლიერით, ვიდრე მის დროს. აქედან მორალი: ცალკეულ პიროვნებებზე ზემოქმედებას, რაოდენ უპირველეს როლსაც არ უნდა ასრულებდნენ ისინი თავიანთი ეპოქის გონებრივ ცხოვრებაში, მცირეოდენი მნიშვნელობაც კი არა აქვს საზოგადოებრივი აზრის განვითარების მსვლელობაში. მომიტევეთ თუ შეიძლება, რომ ამდენი ქაღალდი ავაჭრელე, რათა ისეთი ანბანური ჭეშმარიტების მორალამდე მივსულიყავი, რომელიც დიდი ხანია ნათელია მოაზროვნე ადამიანისათვის, მაგრამ, გარდა მოაზროვნე ადამიანებისა, არიან კიდევ საქმიანი ადამიანებიც, რომელთაც აზროვნებისათვის არ სცალიათ.

ნება მიბოძეთ, ამ მორალის მეტისმეტი ბანალურობის გამო ჩერნიშევსკის საქმიდან გამოვიტანო კიდევ ერთი, თუმცა მხოლოდ ღმერთმა თუ უწყის, რაოდენ ახალი, მაგრამ მაინც ყურადსაღები მორალი.

ზემოთ, მგონი, ძალიან ვრცლად მივუთითე, რომ მაშინდელი საზოგადოების განაჩენი ჩერნიშევსკის მიმართ მის დაჭერამდე დიდი ხნით ადრე იყო შედგენილი. თქვენ იცით, რაოდენ ძნელია ამ შემთხვევაში სასამართლოს როლი და რამდენად მნიშვნელოვანი უმაღლესი მმართველობის ინტერესებისათვის, რომ მართლმსაჯულებისა და სამართალწარმოების საფუძვლები იყოს დამოუკიდებელი მოსამართლის პიროვნებისაგან, რაც საიმედო გარანტიაა ბრალდებულისა და მოსამართლის დასაცავად საზოგადოების წინასწარშეგნებისა და ცრურწმენისაგან. არანაკლებ კარ-

გად იცით, რომ 1864 წ. 20 ნოემბერს სასამართლოს რეფორმამ განახორციელა ეს აუცილებელი პირობა მართლმსაჯულების სწორად წარმართვისა. საჯარო სასამართლოებზე მუდმივი საყვედურებისა და პრესის ახლანდელი განცხადების გამო 1864 წლის 20 ნოემბრის დადგენილების აუცილებელი შეცვლის თაობაზე მე მსურს რელიეფური მაგალითი გიჩვენოთ, თუ რამდენად უვიცნი და უსამართლონი არიან სასამართლო რეფორმის განმაქიქებელნი და რაოდენ გულუბრყვილოა მათი მისწრაფება ძველის დაბრუნებისაკენ. ჩემს ქალალდებში შემონახულია საინტერესო მოგონება ჩერნიშევსკის სამსჯავროზე, რომელიც სენატმა არასაჯარო სასამართლოს ადრინდელი წესების თანახმად წარმართა ფორმალური მტკიცების საფუძველზე. საჯარო სასამართლოს მონინააღმდეგეებმა, დაე, წაიკითხონ ეს მოგონებები, „წაიკითხონ და შერცხვეთ", როცა თავიანთი იდეალების მთელ მშვენიერებას გაეცნობიან.

ჩერნიშევსკი დააპატიმრეს 1862 წ. ივნისში. გაიარა რამდენიმე თვემ და ძალიან ბევრმა თვემ, ვიდრე პირველ დაკითხვაზე გაიყვანდნენ მას. დიდხანს რომ არ დაკითხეს, ეს სულ უბრალო მიზეზით აიხსნება: არ არსებობდა არამც თუ მარტო დამამტკიცებელი საბუთები, არამედ ბრალდებაც კი. ეს დაპატიმრების შემდეგ გამოირკვა, გაცილებით უფრო გვიან და აი, როგორ:

დრაგუნის ოფიცერი, ვინმე ვსევოლოდ კოსტომაროვი, რომელმაც ჟურნალებში რამდენიმე ლექსი დაბეჭდა, 1861 წ. გაასამართლეს იმისათვის, რომ საიდუმლო სტამბა ჰქონდა მოსკოვში. მას რიგით ჯარისკაცამდე ჩამოქვეითება და კავკასიაში გადასახლება მიუსაჯეს. 1863 წ. დასაწყისში იგი უკვე გზაში იყო, ტულამდეც მიაღწია და უცებ პეტერბურგში დაბრუნების ნებართვა მიიღო, რათა ჩვენება მიეცა ჩერნიშევსკის წინააღმდეგ. არ ვიცი ამ ორი წლის (1861-1862 წ.წ.) განმავლობაში, ვიდრე მისი სასამართლო გრძელდებოდა, რატომ ერთხელ მაინც არ მოუვიდა აზრად ამ ჩვენების მიცემა... სარწმუნოა მხოლოდ ის, რომ კოსტომაროვი პეტერბურგში დარჩა და აქვე გარდაიცვალა ჩერნიშევსკის გადასახლებიდან მრავალი წლის შემდეგ.

კოსტომაროვის ჩვენება იმაში მდგომარეობდა, რომ თითქოს ჩერნიშევსკი აქეზებდა მას საიდუმლო სტამბაში დაებეჭდა „მოწოდება თავადაზნაურობისადმი", რომელთა უვიცობა და, მაშა-

სადამე, მათდამი პროკლამაციით მიმართვის უაზრობაც შესანიშნავად იცოდა ჩერნიშევსკიმ. კოსტომაროვის ეს პირველი ცილისწამება ვერაფრით ვერ დამტკიცდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ კოსტომაროვმა თითქოს მოძებნა საშუალება თავისი ცილისწამების საფუძვლიანობის დასამტკიცებლად. სასამართლოში გამოცხადდა ოდესღაც კოსტომაროვთან მომუშავე ფილისტერი იაკოვლევი და განაცხადა, რომ მან თითქოს მოისმინა ჩერნიშევსკისა და კოსტომაროვის საუბარი, რომელიც ეხებოდა მოწოდებას. ჩერნიშევსკის მისცეს იაკოვლევთან პირისპირ შეხვედრის უფლება, სადაც იაკოვლევი დაიბნა. ამ იაკოვლევის შესახებ ადრეც, ვიდრე ის სენატში გამოჩნდებოდა თავისი ჩვენებით, III განყოფილებას მოსკოვის უნივერსიტეტიდან მოუვიდა ხუთი სტუდენტის (მათ შორის ბ-ნი სულინისა და ბ-ნი გოლც-მილერის) წერილი, რომელშიც ისინი აცხადებდნენ, რომ ციხეში, სადაც სხედან უნივერსიტეტის არეულობაში მონაწილეობის გამო შეხვდნენ ფილისტერ იაკოვლევს, რომელიც ჯანყისათვის ჩასვეს აქ. მან უთხრა სტუდენტებს, რომ იგი დააბრუნეს პეტერბურგის გზიდან, სადაც მიემგზავრებოდა კოსტომაროვის რჩევისა და დაბეზღების მიზეზით, რათა ყალბი ჩვენება მიეცა ჩერნიშევსკის საქმესთან დაკავშირებით. სტუდენტები გამოთქვამდნენ მზადყოფნას, რომ თავიანთ განცხადებას დაადასტურებენ ფიცით. ამ განცხადებისა და პირისპირ შეხვედრის წარუმატებლობის შედეგად იაკოვლევი არხანგელსკის გუბერნიაში გადაასახლეს.

ამასობაში კოსტომაროვი, რომელიც თავისუფლად ცხოვრობდა, მიუხედავად გამოტანილი განაჩენისა, განაგრძობდა თავის საქმიანობას. როცა III განყოფილებიდან საქმე სენატში გადავიდა, კოსტომაროვმა წარადგინა დოკუმენტი, რომელიც მთავარი ბრალდება შეიქნა ჩერნიშევსკის წინააღმდეგ. ეს გახლდათ ვითომდა ჩერნიშევსკისაგან მინაწერი წერილი ჩვენი ცნობილი და სიმპათიური პოეტისა ა. ნ. პლეშჩეევისადმი. კოსტომაროვის სიტყვით, ეს წერილი მას ჩერნიშევსკიმ მისცა—(ცხადია, მის საკუთარ პროცესამდე, ე.ი. 1860 წ. ბოლოს თუ 1861 წ. დასაწყისამდე), რათა მოსკოვში გადაეცა ა.ნ. პლეშჩეევისათვის. თითქოს კოსტომაროვს ეს წერილი თავის ხელჩანთაში ჩარჩა, ხოლო მერე სულ დაავიწყდა მისი დანიშნულებისამებრ გადაცემა, ახლა კი მოაგონ-

და და მოძებნა. როგორ გადარჩა მისი ხელჩანთა გაუჩხრიკავი, როცა 1861 წ. მასთან ჩხრეკა ჩატარდა ან როგორ არ მოაგონდა ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, როცა ჩერნიშევსკის დაბეზღებას მიჰყო ხელი–გაურკვეველი დარჩა. სენატში დოკუმენტს ისეთი დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს, რომ თავმჯდომარემ, სენატორმა კარნიოლინ-პინსკიმ, როცა ჩერნიშევსკის ამ წერილზე მიუთითა, მრავალმნიშვნელოვნად უთხრა ლათინურად: „Ocubis, non manibus" (თვალით უყურეთ, ოღონდ ხელით არ შეეხოთ). ჩერნიშევსკიმ განაცხადა, რომ ეს წერილი სულელური და უტიფარი სიყალბეა. ექსპერტებს სენატის ჩინოსანთაგან არ გამოუთქვამთ გარკვეული აზრი ხელწერის მსგავსებაზე...

მოწმის სახით დაკითხულმა ა.ნ. პლეშჩევმა განაცხადა, რომ ხელწერა დასაწყისში თითქოს ჰგავს ჩერნიშევსკისას, მაგრამ შემდეგ სრულიად სხვაა, იგი უეჭველად შეთითხნილია და სიყალბე ბოლომდე არაა დაცული. შემდეგ ა.ნ. პლეშჩევმა მიუთითა წერილის შინაარსზე: შინაარსი ისეთია, რომ არც ჩერნიშევსკის შეეძლო ასეთი წერილის დაწერა და არც პლეშჩეევს შეეძლო მისგან ასეთი რაიმეს მიღება. იგი მოწმობს ამ ორი ადამიანის ისეთ ურთიერთობას, რომლის მსგავსიც სინამდვილეში არ არსებობდა მათ შორის. წერილში, სხვათა შორის, იყო ფრაზა: „მე და თქვენ კი არ წავალთ კატორღაშიო". ეს ფრაზა წარმოუდგენლად უაზროა ჩერნიშევსკისათვის და ყალბისმქნელის აზროვნების არსენალს ააშკარავებს. წერილი ისეთი ხასიათისაა, რომ უთუოდ იფიქრებთ თითქოს ჩერნიშევსკისა და პლეშჩევს შორის არსებობდა ნაადრევი კანონსაწინააღმდეგო შეთანხმება. წერილი რომ მართლა ნამდვილი ყოფილიყო, მაშინ პლეშჩევის საქმეც უნდა გამოეძიათ და უნდა გაესამართლებინათ იგი. მიუხედავად ამისა, ამ დოკუმენტის საფუძველზე მხოლოდ ჩერნიშევსკის დასდეს მსჯავრი. საბედნიეროდ, ა.ნ. პლეშჩევი ამ საქმის გამო არ შეუწუხებიათ.

ესაა მთელი საქმე. ახლა ვეკითხებით საჯარო სასამართლოს განმაქიაქებლებს: ნუთუ რეფორმამდელ ასეთ სამართალწარმოებისაკენ მიისწრაფვიან და სურთ საჯარო სასამართლოს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გაუქმება? საჯარო სასამართლოზე, რა შემადგენლობისაც არ უნდა იყოს იგი, თუნდაც თვით ნა-

ფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშეც კი, შესაძლოა კოსტომაროვის მსგავს ადამიანთა გამარჯვება? ჩვენ ყველანი გულმავიწყები ვართ. ძალიან მალე დაგვავიწყდა, თუ რა ხდებოდა კანცელარიის საიდუმლო საფარს მიღმა, რა საღდებოდა მართლმსაჯულების საქმეებად; დაგვავიწყდა, რომ ძველი სასამართლო წესები, ფორმალურ მტკიცებათა თეორიასთან ერთად, ამრავლებდნენ და კვებავდნენ ყველა ჯურის კოსტომაროვებსა და იაკოვლევებს...

ჩერნიშევსკის ხვედრი ჯოჯოხეთურად ტანჯავდა ყველას სინდისს, ვინც კი იცოდა მისი „საქმე", ვინც იცოდა, თუ რა ტრაგიკული აუცილებლობისა და ამაზრზენი ინტრიგების მსხვერპლი შეიქმნა რუსული ლიტერატურის ერთ-ერთი უკეთილშობილესი და უძლიერესი მოღვაწე... მან მტკიცედ აიტანა ჭეშმარიტად საშინელი ტანჯვა. მე მითხრეს, რომ აღმოსავლეთი ციმბირის ერთ-ერთმა გენერალ-გუბერნატორმა, რომელსაც ჰკითხეს, თუ რამდენად იმსახურებს ჩერნიშევსკი განთავისუფლებასო, უპასუხა, რომ ის უსიტყვო მოთმინება, რომლითაც ჩერნიშევსკი ციმბირში ჩამოსვლის დღიდან იტანს მისთვის მისჯილ უმძიმეს ხვედრს, სრულიად უმაგალითოა. ოცი წელი იყო ჩუმად და ერთი საჩივარი ან თხოვნაც კი არ დაგცდეს თვით ნათესავების მისამართითაც კი—დამეთანხმებით, ესეც შესაბამისია იმ ტრაგიზმის სიდიადის, იგი რომ დალუპა... წაიკითხეთ „ნოვოე ვრემიაში"[74] მისი პასუხი მისდამი ხელისუფალთა მოპყრობის გამო: ვერც საყვედურს და ვერც საჩივარს ვერ ნახავთ მასში...

მე ვთქვი, რომ ჩერნიშევსკის ბედი ჯოჯოხეთურად ანვა ყველას სინდისს, ვინც იცოდა მისი ხვედრი-თქო. ახლა ეს ტვირთი შემსუბუქებულია და მწამს, რომ რუსეთის განვითარებასა და რუსული ლიტერატურის მეგობრებთან ერთად, რომელ სკოლასა და მიმდინარეობასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, უდიდესი და ალალი სიხარულით აღივსო ყველას გული ამ ამბის გამო. როგორც ცნობილია, თ. მ. დოსტოევსკი სრულიადაც არ იზიარებდა ჩერნიშევსკის იდეებსა და მიმართულებას, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია ათი წლის წინ „გრაჟდანინში"[75] დაებეჭდა:

„დარწმუნებული ვარ, რომ თვით ჩერნიშევსკიც დაადასტურებს ჩემი მონათხრობის სიმართლეს ჩვენი შეხვედრის თაობაზე, თუ ოდესმე წაიკითხავს მას და, ღმერთმა ქნას, მიეცეს ამის საშუა-

ლება, ეს მე ისევე გულმხურვალედ და ჭეშმარიტად მსურს, როგორც ჭეშმარიტად ვწუხდი და ვწუხვარ მისი „უბედურების“ გამო. (თ. მ. დოსტოევსკი, „მწერლის დღიური“, ტ. X, 1973 წ., გვ. 31).

მსურს შევეხო იმ საკითხს, თუ რა დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს რუსული ლიტერატურისა და რუსეთის განვითარებისათვის ნ.გ. ჩერნიშევსკის განთავისუფლებას. Daili News-ის კორესპონდენტთან საუბარში ჩერნიშევსკიმ განაცხადა, რომ სიცოცხლის დარჩენილი დღეები მას სურს გაატაროს „სიმშვიდესა და სიწყნარეში“. ეს სურვილი სავსებით გასაგებია იმ ადამიანისაგან, რომელმაც ამდენი რამ გადაიტანა. ძვირად დაუჯდა მას უფლება ამ სიმშვიდისა და სიწყნარისა. ამ ახალი წლის წინ ვისურვოთ, რომ ძალიან, ძალიან დიდხანს გაგრძელდეს სიმშვიდე და სიწყნარე როგორც მისთვის, ასევე ყველა ჩვენი თანამოქალაქისა და მთელი რუსეთისთვისაც...

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები
კომენტარები
პირთა საძიებელი

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

1. პოლიტიკური მიმოხილვა (Политический обзор)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 2 თებერვალს (№408).
2. ფოთის ნავსადგურის ისტორია (История Потинского порта)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორის“ 1880 წლის 2,5,6, და 7 თებერვლის ნომრებში (№№409, 411, 412, 413).
3. ისევ ფოთის ნავსადგურის შესახებ—(Еще о Потинском порте)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 24 თებერვალს (№429).
4. ჰერათი (Герат)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 9 თებერვალს (№415).
5. ქართული თეატრი (Грузинский театр)—დაიბეჭდა ფსევდონიმით „გრუზინ“ გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 13 თებერვალს (№419).
6. ჩვენი ურთიერთობა სპარსეთთან (Наши отношения а Персии)— ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 15 თებერვალს (№421).
7. აჯამეთის ტყე (Аджаметский лес)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორის“ 1880 წლის 17 თებერვალს (№423).
8. აჯამეთის საკითხი (Аджаметский вопрос)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 23 და 24 თებერვლის ნომრებში (№№ 428, 429).
9. 1855-1880 წლებში (1855-1880 г.г)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 19 თებერვალს (№425).
10. პოლიტიკური მიმოხილვა (Политический обзор)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 21 თებერვალს (№426).
11. კავკასიის უნივერსიტეტი (Кавказский университет)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 22 თებერვალს (№427).
12. ჩვენი დამოუკიდებლობა (Наша самостоятельность)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 23 თებერვალს (№428).
13. სადღეისო საკითხები (Вопросы дня)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 25 თებერვალს (№430).
14. „ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალი“ ("С больной головы на здоровую")—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 26 თებერვალს (№431).
15. საქართველოს სათეატრო კომიტეტი (Грузинский театральный комитет)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორის“ 1880 წლის 26, 27 და 28 თებერვლის ნომრებში (№№431, 432, 433).
16. გაზეთ „დროების“ მდგომარეობა (Положение газеты "Дроэба")—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 27 თებერვალს (№432).
17. ჰარტმანის საქმე (Дело Гартмана)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 28 თებერვალს (№433).

18. მეგობრებზე უკეთესი მტერი (Враги лучше друзей)__ ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 29 თებერვალს (№434).
19. ცრუპენტელები პრესაში (Лжецы в печати)__ ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 1 მარტს (№435).
20. პირველი ნაბიჯი (Первый шаг)__ ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 5 მარტს (№437).
21. უკანასკნელი ქართული სპექტაკლი (Последний грузинский спектакль)__ ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 5 მარტს (№ 437)
22. „ტიფლისსკი ვესტნიკი ("Тифлисский вестник") ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 7 და 12 მარტის ნომრებში (№№439, 444).
23. საკრედიტო საქმეები (Кредитные дела)__ ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 8 მარტს (№440).
24. ჩვენი კავშირები ევროპაში (Наши союзы в Европе)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 16 მარტს (№448).
25 საკვირაო საუბრები (Воскресные беседы)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 16 მარტს (№488).
26. განა სასიმღეროდ გვცალია? (До песни ли?)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 21 მარტს (№453).
27. საკვირაო საუბრები (Воскресные беседы)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 23 მარტს (№455).
28. „კავკასიაში მართლმადიდებლობის აღდგენის საზოგადოების“ სკოლები (Школы "Общества восстановления православия на Кавказе")—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 24 მარტს (№456).
29. „ობზორის“ მეორე პროცესი (Второй процесс "Обзора")—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 29 მარტს (№460).
30. გაზეთი „კავკაზი“ და კავკასიის გვირაბი (Газета "Кавказ" и кавказский тоннель)— ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 30 მარტს (№461).
31. დოქტორ არწრუნის ახალი გმირობა (Новый подвиг доктора Арцруни) —ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 30 მარტს (№461).
32. ინგლისის ახალი სამინისტრო (Новое английское министерство)— ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 31 მარტს (№462).
33. პირველი ქართული ლექცია (Первая грузинская лекция)— ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 2 აპრილს (№464).

34. ჩვენი სამიწათმოქმედო ბანკების შეხლა-შემოხლა (Столкновение наших земельных банков)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წლის 3 და 5 აპრილს (№№ 465, 467).
35. ბატონ წერეთლის წერილის გამო (По поводу письма г. Церетели)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წლის 5 აპრილს (№467).
36. ხიზნების საკითხი (Хизанский вопрос)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წლის 8 აპრილს (№470).
37. ჩვენი დამოკიდებულება ინგლისისადმი (Наши отношения к Англии)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წლის 10 აპრილს (№472).
38. წკიპურტები (Щелчки)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წლის 10 აპრილს (№472).
39. ჩვენი დამოკიდებულება ავსტრია-უნგრეთისადმი (Наши отношения к Австро-Венгрии)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წლის 11 აპრილს (№473).
40. საღღეისო საკითხები (Вопросы дня)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წლის 12 აპრილს (№474).
41. ბ-ნი ბახმეტიევი მაცდუნებლის თანამდებობაზე (г. Бахметьев в должности искусителя)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წლის 13 აპრილს (№475).
42. ბ-ნი გრიგორიევის შეცვლის გამო (По поводу смены г. Григорьева)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წლის 18 აპრილს (№479).
43. ჩვენი დამოკიდებულება საფრანგეთისადმი (Наши отношения к Франции)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წლის 24 აპრილს (№482).
44. ერევნისმოედნელი კატკოვი (Катков с Ереванской площади)— ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წლის 26 აპრილს (№484).
45. ცვლილება სამინისტროში (Перемена в министерстве)— ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წლის 28 აპრილს (№486).
46. ომი ჩინეთთან (Война с Китаем)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წლის 30 აპრილს (№488).
47. ნავსადგომთან და „ბერეგის" გასწვრივ (У пристани и по "Берегу")—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წლის 2 მაისს (№490).
48. თვით პანაცეაც კი არა!... (Даже не Панацея!..)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წლის 3 მაისს (№491).
49. „დროება" თავადაზნაურობის შესახებ ("Дроэба" о дворянстве)— ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში" 1880 წლის 8 მაისს (№496).

50. სადღეისო საკითხები (Вопросы дня)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 15 მაისს (№502).
51. გუსტავ ფლობერი (Густав Флобер)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 15 მაისს (№502).
52. ისევ კავკასიის უნივერსიტეტის თაობაზე (Снова о Кавказском университете)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 17 მაისს (№504).
53. თბილისის საბჭოს სისუსტენი (Слабости Тифлиской думы)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 19 მაისს (№506).
54. აფხაზთა ეკონომიკური მდგომარეობა (Экономические положение абхазцев)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 20 მაისს (№507).
55. შუადღის ძებნა მე-14 საათზე (Искание полудня в 14-м часу)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 20 მაისს (№509).
56. სადღეისო საკითხები (Вопросы дня)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 23 მაისს (№510).
57. სადღეისო საკითხები (Вопросы дня)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 26 მაისს (№513).
58. როშფორის წერილი და დუელი (Письмо и дуэль Рошфора)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 2 ივნისს (№517).
59. პუშკინის როლი და ადგილი (Роль и положение Пушкина)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 6 ივნისს (№520).
60. საკვირაო საუბრები (Воскресеные беседы)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 8 ივნისს (№522).
61. მუშების გაქცეა (Бегство рабочих)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 11 ივნისს (№523).
62. სახალხო სკოლის არსებითი საჭიროება (Существенная потребность народной школы)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 12 ივნისს (№524).
63. ბერლინის პირველი დამატებითი კონფერენცია (Первая дополнительная Берлинская конференция)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 13 ივნისს (№527).
64. საკვირაო საუბრები (Воскресные беседы)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 15 ივნისს (№525).
65. „თვითვე ჰგვემს თავსა თვისსა“ (Сама себе раба бьет)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 18 ივნისს (№530).
66. სადღეისო საკითხები (Вопросы дня)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 20 ივნისს (№532).

67. საკვირაო საუბრები (Воскресные беседы)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 22 ივნისს (№534).
68. ახალი საშიშროებანი (Новые опасности)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 25 ივნისს (№537).
69. ლოგიკა სემინარიაში (Логика в семинарии)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 26 ივნისს (№538).
70. საკვირაო საუბრები (Воскресные беседы)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 29 ივნისს (№541).
71. სემინარიის კურსელები (Курсовники семинарии)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 1 ივლისს (№542).
72. გამოუსწორებელნი (Неисправимые)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 1 ივლისს (№542).
73. კვლავ ვ.ი. ჟელიხოვსკის თაობაზე (Еще по поводу В. И. Желиховского)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 2 ივლისს (№543).
74. სადღეისო საკითხები (Вопросы дня)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 5 ივლისს (№545).
75. აღმოსავლეთის საქმეები (Восточные дела) —ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 10 ივლისს (№551).
76. „კავკაზი“ თვითმმართველობის თაობაზე (Кавказ о самоуправлении)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 17 ივლისს (№558).
77. „ობზორის“ რედაქციისაგან (От редакции Обзора)—დაიბეჭდა გაზეთ „ობზორის“ 1881 წლის 19 ივლისის ნომერში (№1), ამ წელს ერთადერთი ნომერი გამოვიდა გამოცემის უფლების შენარჩუნების მიზნით.
78. ადგილობრივი მიმოხილვა. ცვლილებები მხარის უმაღლეს ადმინისტრაციაში (Местный обзор. Перемены в высшей администрации края) —დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1881 წლის 19 ივლისს (№1).
79. ამაო შიში (Напрасные опасения)—დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1881 წლის 19 ივლისს (№1).
80. გაფლანგვა საქალებო ინსტიტუტში (Растрата в девичьем институте)—დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1881 წლის 19 ივლისს (№1).
81. საფრანგეთის რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელები (Руководители французской республиканской партии)—დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1880 წლის 19 ივლისს (№1).
82. ადგილობრივი ლიტერატურის მიმოხილვა (Обзор местной литературы)—დაიბეჭდა გაზეთ „ობზორში“ 1881 წლის 19 ივლისს (№1).

83. სისხლის სამართლის სასამართლოს საფუძვლების შესახებ (Об основах уголовного суда)—დაიბეჭდა 1881 წელს თბილისურ ყოველკვირეულ ჟურნალ „იურიდიჩესკოე ობოზრენიეში“ (№№2, 5, 18,19).

84. მოხსენებითი ბარათი მის იმპერატორობით უდიდებულესობას დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს (Докладная записка Кутаисского жителя Николая Яковлевича Николадзе Его Императорскому Высочеству Государю Великому князю Михаилу Николаевичу)—დაწერილია 1881 წლის 28 დეკემბერს პეტერბურგში. იგი არ გამოქვეყნებულა, დაცულია ნ. ნიკოლაძის არქივში №IX 28-18.

85. სახელმწიფო მოხელის რომანი (Роман государственного человека)—დაიბეჭდა მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ 1882 წლის მე-4 ნომერში.

86. ერთი სიკვდილის გამო (По поводу одной смерти)—დაიბეჭდა ს.ა. ვენგეროვის ჟურნალ „უსტოის“ 1882 წლის VII-VIII ნომრებში.

87. ვ. ბ. აბრამოვიჩის ინფორმაციის გამო (Замечаня по поводу сообщения В.Б. Абрамовича)—დაიბეჭდა 1882 წელს რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების „შრომებში“ (Труды съезда членов Имп. Русского технического общества).

—ამონაბეჭდი. დაცულია ნ. ნიკოლაძის არქივში (№X-25-1; 26-14)

88. დიდი შეცდომა „დიდ საქმეში“ (Большая ошибка в Большом деле) დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ვრემიაში“ 1882 წლის 25 ოქტომბერს (№2392) ხელწერით „ნ. ნიკოლაძე“.

89. მის აღმატებულებას ბატონ ფინანსთა მინისტრს (Его превосходительству господину министру финансов)—დაწერილია 1882 წელს პეტერბურგში. ხელნაწერი დაცულია ნ. ნიკოლაძის არქივში (№ IX-4'4-7). ნ. ნიკოლაძის ხელით გაკეთებული აქვს შენიშვნა: "Первая моя работа для правления Закавказской жел. Дороги" "Доклад этот произвел фурор в государственном совете и вызвал громадный шум в русской печати ("Моск. Вед", "Русь", "Н.В.)" и пр.) Заключения мой были приняты большенством всех голосов гос. Совета против четырех. Но Александр III утвердил мнение меньшинства по настояниям Каткова, "дабы что-нибудь сделать для московского купечества перед коронацией".

90. უნებლიე მებრძოლები (Борцы поневоле)—დაიბეჭდა მ.ე. სალტიკოვ-შჩედრინის ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ 1882 წლის მე-11 ნომერში.

91. ლუი ბლანი და გამბეტა (Луи Блан и Гамбета)—დაიბეჭდა მ.ე. სალტიკოვ-შჩედრინის ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ 1883 წლის პირველ ნომერში.

92. კავკასიის სურათები (Картинки Кавказа)—დაიბეჭდა მ.ე. სალტიკოვ შჩედრინის ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ 1883 წლის მე-2 ნომერში.

93. კვლავ ნავთობის მრეწველობაზე (Еще нефтопромышленности)__ დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ვრემიაში“ 1883 წლის 16 აგვისტოს (№2669), ხელმოწერით „ნ. ნიკოლაძე“.

94. ნავთის საკითხის შესახებ (К вопросу о керосине)—ხელმოუწერლად დაიბეჭდა გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ 1883 წლის 2696-ე ნომერში.

95. ნ.გ. ჩერნიშევსკის განთავისუფლება (Освобождение Н.Г. Чернишевского)__დაწერილია 1883 წლის 20 დეკემბერს და გათვალისწინებული იყო გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ პირველი ნომერში დასაბეჭდად (ეს გაზეთი გამოსვლას იწყებდა 1884 წლის 1 იანვარს), მაგრამ სტატია ცენზურამ არ გაუშვა. იგი პირველად გამოაქვეყნა მკვლევარმა ა. იოვიძემ 1945 წელს „საისტორიო მოამბის“ პირველ ნომერში (გვ. 115-123). მეორედ (ქართულად თარგმნილი) დაიბეჭდა 1984 წელს (იხ. ნ. ნიკოლაძე. მოგონებები, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით.) ამჯერადაც სწორედ აღნიშნული ტექსტი იბეჭდება (მთარგმნელი—დოც. ქ. ბურჯანაძე).

1. **ყირიმის ომი**—1853-1856 წლების ომი რუსეთსა და ინგლის-საფრანგეთ-თურქეთ-სარდინიის კოალიციას შორის, რაც გამოწვეული იყო ახლო აღმოსავლეთში მათი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების შეჯახებით. ომი უმთავრესად ყირიმსა და შავ ზღვაზე მიმდინარეობდა. პირველივე შეჯახებაში აშკარა გახდა თურქეთის სამხედრო პოტენციალის სისუსტე; 30 ნოემბერს რუსეთის ექსპედიციამ ადმირალ პ.ს. ნახიმოვის მეთაურობით გაანადგურა თურქეთის ფლოტის მთავარი ძალები, ოღონდ რუსეთს ბრძოლა მოუხდა არა მხოლოდ თურქეთთან; 1854 წლის მარტში ინგლისმა და საფრანგეთმა რუსეთს ოფიციალურად გამოუცხადა ომი.

   ყირიმის ომი დამთავრდა 1856 წლის 30 მარტს პარიზის საზავო ხელშეკრულებით, რომლის ძალითაც რუსეთს აუკრძალეს შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლა. ამასთან ერთად ყარსი დაუბრუნდა თურქეთს.

2. **Le mienx est L'ennemi du bien** (ფრ.)—საუკეთესო კარგის მტერია.

3. **„კავკაზ“ ("Кавказ")**—რუსული გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1846-1916 წლებში, პირველად—როგორც კერძო გამოცემა, ხოლო შემდეგ—როგორც ოფიციალური. გაზეთის პირველი რედაქტორ-გამომცემელი იყო ო. კონსტანტინოვი (1846-1851 წწ.), შემდეგ—ნ. სლივიცკი (1852-1853 წწ.), ვერდეროვსკი (1855-1856 წწ.), 1856 წლის ბოლოს—ნ. ბერძენოვი, ბობილევი (1857-1863 წწ.), ე. შვარცი (1864-1867 წწ.), პ. სლივიცკი (1868-1871 წწ.), ე. სტალინსკი (1872-1876 წწ.), ნ. ვორონოვი და დ. კოშიაკოვი (1877-1881 წწ.), დ. ერისთავი (1882-1884 წწ.) და სხვ.

4. **Raison d'être** (ფრ.)—არსებობის აზრი.

5. **Concordia res parva crescunt, discordia maxima di Labantur** (ლათ.)—თანხმობით პატარა საქმენი იზრდებიან, უთანხმოებით დიდი საქმენიც იშლებიან.

6. **„ობზორ“ ("Обзор")**—პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, რომელიც გამოდიოდა თბილისში ნ. ნიკოლაძის რედაქტორობით. „ობზორის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1878 წლის პირველ იანვარს. მართალია, გაზეთმა ოფიციალურად 1883 წლამდე იარსება, მაგრამ ამ ხნის მანძილზე მისი გამოსვლა, ცენზურის მიზეზით, არაერთხელ ყოფილა შეჩერებული. მაგალითად, „ობზორი“ არ გამოდიოდა 1879 წლის თებერვლიდან 1880 წლამდე, 1880 წელს კი მხოლოდ აგვისტომდე გამოდიოდა. 1881, 1882 და 1883 წლებში „ობზორის“ თითო ნომერი გამოვიდა (№№ 560, 561, 562), რათა გამოცემის უფლება შეენარჩუნებინათ (დაწვრილებით ამის შესახებ იხილეთ ნ. ნიკოლაძის თხზულებათა მეხუთე ტომზე დართულ ჩვენს კომენტარებში, გვ. 637-645).

7. **ხლესტაკოვი ნ.ვ.**—გოგოლის ცნობილი კომედიის „რევიზორის“ მთავარი პერსონაჟი,—ქარაფშუტა, ტრაბახა, მოლაყბე და მექრთამე.

8. **უკანასკნელი ომი სპარსეთთან** ჩვენ 1827 წელს გვქონდა—ლაპარაკია რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომზე, რომელიც დაიწყო ირანმა აღმოსავლეთი ამიერკავკასიის დასაბრუნებლად. რუსეთის ჯარებმა აიღეს ნახიჭევანი, ერევანი, თავრიზი. ომი დასრულდა თურქმანჩაის ზავით 1828 წელს.

9. 1878 წლის სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება რუსეთსა და თურქეთს შორის, რომლითაც დასრულდა 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომი. ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა 3 მარტს სან-სტეფანოში (კონსტანტინოპოლის მახლობლად). ხელშეკრულების ძალით, ჩერნოგორიამ, რუმინეთმა და სერბიამ მიიღეს დამოუკიდებლობა; თურქეთის ჯარები გაყვანილ იქნა ბულგარეთიდან. ბულგარეთის ტერიტორიაზე რჩებოდა მხოლოდ რუსეთის ჯარი (ორი წლით). თურქეთს დაეკისრა რუსეთის სასარგებლოდ გადაეხადა 310 მილიონი მან. სან-სტეფანოს ხელშეკრულება ქმნიდა შესაძლებლობას სლავური სახელმწიფოების დამოუკიდებელი განვითარებისათვის და ზრდიდა რუსეთის ავტორიტეტს საერთაშორისო არენაზე. ინგლისმა და ავსტრია-უნგრეთმა ომის მუქარით აიძულეს რუსეთი დათანხმებულიყო სან-სტეფანოს ხელშეკრულების გადასინჯვას, ეს განხორციელდა კიდეც ბერლინის კონგრესზე (1878 წ).

10. **„ტიფლისსკი ვესტნიკ“** (**"Тифлисский Вестник"**)—პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა 1873-1882 წლებში. გაზეთის დამაარსებელი და რედაქტორი იყო კ.ა. ბებუთოვი: „ტიფლისსკი ვესტნიკის“ დაარსებასა და მის შემდგომ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ნ. ნიკოლაძე, რომელმაც მხოლოდ 1877 წლიდან გაწყვიტა მასთან კავშირი.

11. **„დროება“**—პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა 1866-1885 წლებში; 1866-1874 წლებში—კვირაში ერთხელ; 1875-1876 წლებში—კვირაში სამჯერ. 1877-1885 წლებში—ყოველდღიურად.

   გაზეთს რედაქტორობდნენ: გ. წერეთელი (1866-1869 წწ. 10 აპრ.), ს. მესხი (IV,1869-X,1873), კ. ლორთქიფანიძე (X,1873-X,1874), ს. მესხი (X,1874-1880 წწ.), ი. ჭავჭავაძე და ს. მესხი (1880-1881 წწ.), ს. მესხი (1882 წ.), ივ. მაჩაბელი (1883-1885 წწ.).

12. **ერობა**—(**"Земство"**)—ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც შეიქმნა რუსეთში 1864 წლის საერობო რეფორმებით. მიუხედავად იმისა, რომ მთავარ როლს მასში მაინც მემამულეები და ბურჟუაზიის წარმომადგენლები ასრულებდნენ, ერობას დიდი სიკეთე მოჰქონდა ხალხისათვის, განსაკუთრებით პირველ ათეულ წლებში. ამიტომაც მე-19 საუკუნის პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მოღვაწეები ცდილობდნენ ერობის

შემოღებას საქართველოში, ოღონდა მიზანს ვერ მიაღწიეს; ცარიზმს ხელს არ აძლევდა ამგვარი ორგანოების შექმნა განაპირა გუბერნიებში. ერობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ ბევრს წერდა და ბეჭდავდა ნ. ნიკოლაძე.

13. მხედველობაში აქვს რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე II-ის (1855-1881) მიერ გატარებული ბურჟუაზიული რეფორმები (ბატონყმობის გაუქმება, საერობო, სასამართლო, საქალაქო და სხვა რეფორმები) 60-70-იან წლებში, რომლებიც ობიექტურად გაპირობებული იყო ყირიმის ომში (1853-1856) დამარცხების შემდეგ შექმნილი საშინაო ვითარებით, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობითა და რევოლუციური სიტუაციით.
14. „ПРАВИТЕЛЬСТВЕННО ВѢСТНИКЪ" ("Правительственный Вестник")—ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1869-1917 წლებში და გამოხატავდა მთავრობის ოფიციალურ თვალსაზრისს.
15. „СОВРЕМЕННІЯ ИЗВѢСТІЯ" („Современные известия")—პოლიტიკური, საზოგადოებრივი, საეკლესიო, სამეცნიერო და ლიტერატურული ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა მოსკოვში 1867 წლის 1 დეკემბრიდან 1887 წლის 21 ოქტომბრამდე, რედაქტორობდა ნ. პ. გილიაროვა-პლატონოვა, რომელიც გაზეთის ორ განყოფილებას (შინაურ და საზღვარგარეთის ამბებს) მხოლოდ თვითონ ადგენდა.
16. „СМОЛЕНСКІЙ ВѢСТНИКЪ" („Смоленский Вестник")—საზოგადოებრივ-ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდა სმოლენსკში 1878 წლიდან.
17. „РУССКІЙ КУРЬЕРЪ" („Русский курьер")—ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა მოსკოვში 1879-1889 და 1895 წლებში. გაზეთის პირველი რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ ე.მ. და ვ.ი. სელეზნიოვები. 1880 წლიდან იგი გადადის ნ.პ. ლაპინის ხელში. შემდეგ მას რედაქტორობდნენ ვ. ა. გოლცევი, ა. ა. პოპოვი და სხვ.
18. **De mortiu s aut bene, aut nihil** (ლათ.)—გარდაცვლილებზე ან კარგი, ან არაფერი.
19. „НОВОЕ ВРЕМЯ" („Новое время")—ყოველდღიური რეაქციული გაზეთი, გამოდიოდა 1868-1917 წლებში; თავდაპირველად წარმოადგენდა ზომიერ ლიბერალურ გამოცემას, ხოლო 1876 წლიდან, როცა იგი ა. სუვორინის ხელში გადავიდა, გახდა რეაქციული ორგანო, დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ანტისემიტიზმის მქადაგებელი. დაიხურა 1917 წლის 26 ოქტომბერს.
20. ლაპარაკია ნიკო ნიკოლაძის მიერ შედგენილი თეატრალური საზოგადოების წესდებაზე, რომელიც ავტორმა წარადგინა 1879 წლის ზაფხულში, დამტკიცდა ერთი წლის შემდეგ („დროება", 1881, №66-67)
21. **Utilite** (ფრ.)—სარგებლობა.

22. „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“—ლიტერატურული და პოლიტიკური ორგანო, გამოდიოდა 1877-1906 წლებში; 1877-1878 წწ.—კვირაში ერთხელ როგორც გაზეთი, 1879 წელს—როგორც ყოველთვიური ჟურნალი, 1880 წელს—როგორც კვარტალური ჟურნალი, 1881-1885 წწ.—როგორც ყოველთვიური ჟურნალი, 1886-1906 წწ.—როგორც ყოველდღიური გაზეთი.

„ივერიის“ დამაარსებელი და რედაქტორი 1902 წლამდე იყო ილია ჭავჭავაძე, რომელთან ერთად 1881 წელს ჟურნალს რედაქტორობდა ს. მესხი, ხოლო 1882-1884 წ.წ.—ივ. მაჩაბელი. 1902 წლიდან (№153)—1905 წლამდე (№24) გაზეთს რედაქტორობდა ალ. სარაჯიშვილი, 1905-1906 წლებში—ფ. გოგიჩაიშვილი. დროებითი რედაქტორები იყვნენ: გრ. ყიფშიძე (№168-208, 1891 წ. №144, 1903 წ.—№23, 1905 წ.) ვ. ა. სულხანიშვილი (№136-248, 1900 წ.), ალ. სარაჯიშვილი (264, 1901 წ.–152, 1902 წ.).

23. „ᲢᲠᲣᲓᲘ“ („Труд“)—პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა თბილისში რუსულ და სომხურ ენებზე, გამომცემელი და რედაქტორი იყო ტერ-მემექსეტოვი. გამოვიდა სულ რამდენიმე ნომერი; 1879-1880 წლებში №1-7, 1881 წელს №№1-3 და 1882 წელს №1.

24. „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔ“—პროგრესული ლიტერატურულ-ისტორიული ჟურნალი, გამოდიოდა 1863 წელს, ჟურნალის გამომცემელი და რედაქტორი გახლდათ ილია ჭავჭავაძე. „საქართველოს მოამბემ“ უდიდესი როლი შეასრულა ქართული კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებაში.

25. „ᲘᲡᲙᲠᲐ“ („Искра“)—კარიკატურებიანი სატირული ჟურნალი, რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების ორგანო, გამოდიოდა პეტერბურგში 1859-1873 წლებში პოეტ ვ. ს. კუროჩკინის რედაქტორობით.

26. „ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲡᲚᲝᲕᲝ“ („Русское слово“)—ყოველთვიური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი. გამოდიოდა პეტერბურგში (1859-1866 წლებში). დაიხურა მთავრობის განკარგულებით, კარაკოზოვის თავდასხმის შემდეგ.

27. „ᲡᲝᲕᲠᲔᲛᲔᲜᲜᲘᲙᲘ“ („Современник“)—ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1836-1866 წლებში. მისი დამაარსებელი და პირველი რედაქტორი იყო ა. ს. პუშკინი; 1838-1846 წლებში მას რედაქტორობდა ვ. ა. პლეტნევი, 1847 წლიდან გადავიდა ნ. ა. ნეკრასოვისა და ი. ი. პანაევის ხელში. 1854 წელს მასში თანამშრომლობა დაიწყო ნ. გ. ჩერნიშევსკიმ, ხოლო 1856 წელს—ნ. ა. დობროლიუბოვმა; რევოლუციური სიტუაციის წლებში (1859-1861 წწ.) ჟურნალი გახადა რევოლუციური დემოკრატიის მებრძოლ ორგანოდ. „სოვრემენნიკი“ იბრძოდა მატერიალისტური ფილოსოფიისა და ესთეტიკის დასამკვიდრებლად, ილაშქრებდა იდეალისტური თეორიებისა და „წმინდა ხელოვნების“ მომხრეთა წინააღმდეგ.

„სოვრემენნიკის“ რედაქციასა და მის თანამშრომლებთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებს, მათ შორის ნ. ნიკოლაძეს, რომელიც კიდევაც თანამშრომლობდა ჟურნალში.

28. მხედველობაში ჰყავს დავით ერისთავი, რომელიც ბებუთოვის შემდეგ რედაქტორობდა „ტიფლისსკი ვესტნიკს“ (1879-1880 წ.წ.).

29. კუზმა პრუტკოვი—კოზმა პრუტკოვი—მე-19 საუკუნის 50-60-იანი წლების რუსი მწერლების ა. კ. ტოლსტოისა და ძმების ა. მ. და ვ. მ. ჟემჩუჟნიკოვების კოლექტიური ფსევდონიმი. ამ ფსევდონომით აქვეყნებდნენ ისინი ლექსებს, იგავებს, აფორიზმებს, კომედიებს, ლიტერატურულ პაროდიებს. შექმნეს კოზმა პრუტკოვის გამონაგონი პორტრეტიც.

30. პლიუშკინი—ნ.ვ. გოგოლის „მკვდარი სულების“ პერსონაჟი—ავადმყოფურად ძუნწი მებატონე.

31. „მშაკ“—(„МШРМОЛЕП“)—სომხური ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი, გამოდიოდა თბილისში 1872-1920 წლებში, დამაარსებელი და პირველი რედაქტორი (1872-1892 წ.წ.)—გრ. არწრუნი.

32. ლაპარაკია სუზდალის ღვთისმშობლის ტაძარში (1222-1225) დაცულ ფრესკაზე, რომელიც მიეკუთვნება მე-13 საუკუნის კედლის მხატვრობას; გადაწერილია მე-15 საუკუნეში.

„საშინელი სამსჯავრო“—როგორც ქრისტიანულ, ისე სხვა რელიგიებში უკანასკნელი განკითხვის დღე, რომელიც გამოავლენს „ცოდვილსა“ და „უცოდველს“.

33. „პეტერბურგსკაია გაზეტა“ („Петербургская газета“)—ყოველდღიური გაზეთი, გამოსვლა დაიწყო 1867 წელს (დამაარსებელი ი.ა. არსენიევი); მეტი პოპულარობა შეიძინა 1871 წლიდან, როცა იგი შეისყიდა ს.ნ. სუდეკოვმა და ჩამოაყალიბა პოლიტიკური განყოფილება. 1879 წლიდან 1893 წლამდე გაზეთს რედაქტორობდა ი. ა. ბატალინი, პ. ა. მონტეევრდე, ა. კ. გერმონიუსი.

34. Ex oriente Lux (ლათ.).—სინათლე აღმოსავლეთიდან.

35. „ნოვოსტი“ („Новости“)—ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1872 წლიდან, დამაარსებელი—ი. შრეიერომი. სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ პ. ვ. ნოვიცკი, ა. ს. აფანასევ-ჩუჟბინსკი, ო. კ. ნოტოვიჩევი და სხვ. 1892 წლიდან გაზეთი გამოდიოდა ილუსტრირებული დამატებით „პეტერბურგული ცხოვრება“. საშინაო საქმეებში გაზეთი ალექსანდრე II რეფორმის მომხრე იყო, ეკონომიკაში იცავდა მსხვილი მწარმოებლების ინტერესებს, ნაციონალურ საკითხში მცირე ერთა მხარეზე იდგა.

36. „ბერეგ“ („Берег“)—ყოველდღიური ოფიციალური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1880 წელს. გამომცემელი და რედაქტორი იყო პ. ციტოვიჩი.
37. „მოლვა“ („Молва“)—ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1879-1881 წლებში, რედაქტორ-გამომცემელი—ვ. ა. პოლეტიკა, მან ამ სახელწოდებით გამოსცა 1874 წელს მის მიერ შეძენილი „ბირჟევია ვედომოსტი“.
38. „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“ („Отечественные записки“)—ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1818 წლიდან, დააარსა პ. პ. სვინინმა; 1830 წელს დაიხურა, 1839 წელს მისი გამოცემა განაახლა ა. ა. კრაევსკიმ; კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა ბ. გ. ბელინსკი. ჟურნალში თანამშრომლობდნენ: ა. ი. გერცენი, ნ. პ. ოგარიოვი, ტ. ნ. გრანოვსკი, ა. ვ. კოლცოვი, ნ. ა. ნეკრასოვი, ი. ს. ტურგენევი და სხვ. 1856-1861 წლებში ჟურნალს ზომიერი ლიბერალური პოზიცია ეჭირა და ებრძოდა „სოვრემენნიკსა“ და მის მესვეურებს. 1867 წელს ა. ა. კრაევსკიმ ჟურნალი გადასცა ნ. ა. ნეკრასოვს, რის შემდეგ იგი ხდება რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულებისა. ნ. ა. ნეკრასოვის შემდეგ ჟურნალს რედაქტორობდა მ.ე. სალტიკოვ-შჩედრინი, რომელმაც ნ. კ. მიხაილოვსკის გადასახლების შემდეგ კრიტიკის განყოფილება ჩააბარა ნ. ნიკოლაძეს. 1884 წელს ჟურნალი დაიხურა.
39. პავლე ივანეს ძე ჩიჩიკოვი—ნ. ვ. გოგოლის „მკვდარი სულების“ პერსონაჟი, გაქნილი საქმოსანი, ენერგიული „მაძიებელი“.
40. რეპეტილოვი—ა. ს. გრიბოედოვის კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ პერსონაჟი.
41. „რუსსკაია პრავდა“ („Русская Правда“)—პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1878 წლის ოქტომბრიდან 1880 წლის მარტამდე; გამომცემელ-რედაქტორი დ. გირსი. მკაცრი გაფრთხილების შემდეგ რედაქცია იძულებული გახდა შეეწყვიტა გაზეთის გამოცემა.
42. „გოლოს“ („Голос“)—პოლიტიკური და ლიტერატურული ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1863-1884 წლებში, გამომცემელი და რედაქტორი—ა. კრაევსკი, პირველ ხანებში გაზეთი დაკავშირებული იყო ბურჟუაზიულ-ლიბერალურ წრეებთან და მთავრობის მხარდაჭერით სარგებლობდა; შემდეგში იგი ზომიერი ლიბერალური მიმართულების ორგანო გახდა, მასში თანამშრომლობდნენ ცნობილი ქართველი პუბლიცისტები, მათ შორის—ნ. ნიკოლაძე და დ. გ. ერისთავი.
43. 1812 წელთან დაკავშირებით—იგულისხმება 1812 წლის სამამულო ომი ნაპოლეონის წინააღმდეგ; ფრანგების ჯარების შემოსვლა რუსეთის ტერიტორიაზე გაპირობებული იყო საფრანგეთის ბურჟუაზიის მისწრაფებით, ებატონა მსოფლიოში. ეს ომი დამთავრდა რუსეთის მხედრობის გამარჯვებით და ბიძგი მისცა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას.

44. **Articlesde Paris** (ფრ.)—ფართო მოხმარების საგნები პარიზიდან.

45. **Modus vivendi** (ლათ.)—ცხოვრების წესი.

46. **„МОСКОВСКІЕ ВѢДОМОСТИ“** („МОСКОВСКИЕ ВЕДОМОСТИ“)—გამოდიოდა 1756-1917 წლებში. მე-19 ს. ორმოცდაათიან წლებში გაზეთს უშვებდა მოსკოვის უნივერსიტეტი, მაგრამ 60-იანი წლებიდან იგი გადადის რეაქციონერი გამომცემლების ხელში (მ. კატკოვი—1863-1877 წწ.) და ხდება მონარქისტულ-ნაციონალისტურ ორგანოდ, რომელიც ქადაგებდა დიდმპყრობელურ შოვინიზმს.

47. **„ДѢЛО“** („Дѣло“)—ყოველთვიური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1866-1888 წლებში; წარმოადგენდა 1866 წელს მთავრობის მიერ დახურული ჟურნალის „Русское слово“ გაგრძელებას და 1884 წლამდე შეინარჩუნა დემოკრატიული მიმართულება. ჟურნალში იბეჭდებოდა დ. ი. პისარევის, ნ. ვ. შელგუნოვის, პ. ნ. ტკაჩოვის, დ. დ. მინაევისა და სხვათა პუბლიცისტური წერილები, გ. ი. უსპენსკის, ფ. მ. რეშეტნიკოვის, დ. ნ. მამინ-სიბირიაკისა და სხვათა ბელეტრისტული ნაწარმოებები.

ჟურნალის რედაქტორებად სხვადასხვა დროს იყვნენ: ი. შულიგინი, (1866-1879 წწ.); პ. ვ. ბიკოვი (1880 წ.), ნ. ვ. შელგუნოვი (1881-1882 წწ.), კ. მ. სტანიუკოვიჩი (1883 წ.) და სხვ.

48. ციტატა მოტანილია ა. ს. პუშკინის ლექსიდან „Клеветникам Россий“ (1831 წ.).

49. ციტატა მოტანილია ა. ს. პუშკინის ლექსიდან „Друзьям“ (1828 წ.).

50. **„ШАРАНЪ“** (ფრ. **La Lanterne**)—ყოველკვირეული, მეტად პოპულარული ფრანგული ჟურნალი, რომლის გამომცემელი იყო ანრი როშფორი, (1830-1913), ფრანგი ბურჟუაზიული პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე. ჟურნალი არ ერიდებოდა არც გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეების, არც ფრანგული პოლიტიკური სისტემის კრიტიკას საერთოდ. ამის გამო მის რედაქტორს რამდენიმე დუელის გადახდაც მოუხდა (მათ შორის პრინც მიურატთან). ჟურნალი გამოდიოდა 1868-1869 წლებში. 1874 წელს განაახლა როშფორმა.

51. **Dolce far niente** (იტ.)—უსაქმურობა ტკბილია.

52. ციტატა მოტანილია ნ. ნეკრასოვის პოემიდან „Несчастные“ (1856 წ).

53. ლაპარაკია ა. ი. გერცენის სტატიაზე „Исполин просыпается“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „კოლოკოლში“ 1861 წლის 1 ნოემბერს U-P-ის (Искандер) ფსევდონიმით.

წერილში გერცენი ლაპარაკობს რუსეთში გლეხთა განთავისუფლების თაობაზე და რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან უპირისპირდება ლიბერალიზმს.

54. „ᲛᲔᲡᲢᲜᲘ ᲝᲑᲖᲝᲠ“—გაზეთ „ობზორის“ რუბრიკა.

55. „ᲪᲔᲠᲙᲝᲕᲜᲝ-ᲝᲑᲨᲘᲡᲢᲔᲕᲜᲘ ᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙ“—(„Церковно-Общественный Вестник“)—გამოდიოდა პეტერბურგში, 1874-1886 წლებში, კვირაში სამჯერ, რედაქტორ-გამომცემელი გახლდათ ა. ი. პოპოვიცკი.

56. ციტატა მოტანილია ნეკრასოვის პოემიდან „Несчастные“ (1856 წ.).

57. მხედველობაში აქვს რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წ.წ. ომი, რომელიც დაიწყო რუსეთმა ბალკანეთში მისი გავლენის გაძლიერების მიზნით, 1878 წელს სან-სტეფანოში დაიდო ზავი, რომლის თანახმადაც ბალკანეთის ნახევარკუნძული განთავისუფლდა ოსმალეთის უღლისაგან, 1877 წლიდან ნ. ნიკოლაძე ჰავასის სააგენტოსა და „ტიფლისსკი ვესტნიკის“ კორესპონდენტია ამ ომში; მოგვიანებით კი გაზეთ „გოლოსის“ სამხედრო კორესპონდენტია.

58. „ᲤᲐᲚᲐᲜᲒᲐ“ („ФАЛАНГА“)—ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი, გამოდიოდა თბილისში (1880-1881 წლები), რედაქტორ-გამომცემელი იყო. ი. პიტოევი, რომელიც ჟურნალში დაბეჭდილი მასალის „უწყინარი მოთხრობების გამო“ პასუხისგებაში მისცეს.

59. „ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲩᲔᲡᲙᲘᲗ ᲝᲑᲝᲖᲠᲕᲔᲜᲘᲗ“ („ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРЕНИЕ“)—ყოველკვირეული ჟურნალი, გამოდიოდა თბილისში 1881 წლის აპრილიდან 1886 წლის ბოლომდე. გამომცემელი იყო ა. ს, ფრენკელი, რედაქტორი—ა. ვ. სტეპანოვი.

60. „ᲘᲛᲔᲓᲘ“—ხალხოსნური მიმართულების ყოველთვიური „საპოლიტიკო და სალიტერატურო“ ჟურნალი, რედაქტორ-გამომცემელი—მ. გურგენიძე, გამოდიოდა თბილისში 1881-1883 წ.წ. (1883 წელს გამოვიდა მხოლოდ სამი ნომერი).

61. „ᲨᲠᲝᲛᲐ“—პროგრესული ყოველკვირეული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა 1881-1883 წლებში, ეს იყო ქუთაისში გამომავალი პირველი ქართული პერიოდული ორგანო.

გაზეთის რედაქტორი—დ. დადიანი, გამომცემლები—დ. დადიანი და დ. ნაზაროვი.

62. Memorium eolunt (ლათ.)

63. „Obella Napoli“ (იტ.)—ო, მშვენიერო ნეაპოლო.

64. „Odolce Napoli“ (იტ.)—ო, ტკბილო ნეაპოლო.

65. „Je mourrai seul“ (ფრ.)—მოვკვდები მარტოობაში.

66. „Scheiden thut weh“ (გერმ.)—განქორწინება სამწუხაროა.

67. „There are more things“ (ინგ.)—აქ რაღაც უფრო მეტია.

68. Deus ex machina (ლათ.)—ღმერთი მანქანიდან.

69. Il faut avoir ete berger, pour appecier Le bonheur des moutans (ფრ.)—მწყემსი უნდა იყო, რომ შეაფასო ცხვრების ბედნიერება.

70. „ნედელია“ („НЕДЕЛЯ“)—ლიბერალურ-ხალხოსნური მიმართულების ყოველკვირეული პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში, 1866-1901 წლებში. 1876 წელს გადავიდა ლიბერალი ხალხოსნის ჰაიდებუროვის ხელში. გაზეთი უარყოფდა რევოლუციური ბრძოლების აუცილებლობას.

71. Laisser faire, Laisser passer (ფრ.)—ყველაფერი დასაშვებია.

72. „კოლოკოლ“ („КОЛОКОЛ“)—რუსული გაზეთი, გამოდიოდა 1857-1865 წლებში ლონდონში, 1865-1867 წლებში—ჟენევაში. გამომცემლები იყვნენ ა. ი. გერცენი და ნ. პ. ოგარიოვი, თავდაპირველად გამოდიოდა როგორც „პოლიარნაია ზვეზდას“ დამატება. ეს იყო პირველი რუსული რევოლუციური გაზეთი. იგი მთლიანად რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე იდგა. „კოლოკოლის“ ფურცლებზე იბეჭდებოდნენ პ. ვ. ანენკოვი, მ. ა. ბაკუნინი, ნ. ა. დობროლიუბოვი, ი. ს. ტურგენევი, მ. მიხაილოვი და სხვ. აგრეთვე ჯ. გარიბალდი, ვ. ჰიუგო, ჯ. მაძინი, პ. პრუდონი.

1864 წელს ა. ი. გერცენმა პარიზში საგანგებოდ ინახულა ნ. ნიკოლაძე და შესთავაზა „კოლოკოლში“ თანამშრომლობა. 1865 წლის 15 ივნისისა და 1 ივლისის ნომრებში გამოქვეყნდა ნ. ნიკოლაძის სტატია—„გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“. ამას მოჰყა „ჩვენი მომავალი ვექილები“, „მოსკოვსკიე ვედომოსტის“, „სამსჯავროს წინაშე“, „ივლისის დღეები თბილისში“, „თბილისიდან“ და „საქართველოდან.“ მალე ნ. ნიკოლაძეს და ა. გერცენს შორის თავი იჩინა სერიოზულმა აზრთა სხვადასხვაობამ, რომლის საბაბი გახდა ა. გერცენის სტატია—„წერილი იმპერატორ ალექსანდრე II“-ს, რომელიც გამოქვეყნდა „კოლოკოლში“ 1865 წლის 25 მაისს. 1865 წლის სექტემბრიდან ნ. ნიკოლაძემ შეწყვიტა „კოლოკოლში“ თანამშრომლობა.

73. პროკლამაცია „ახალგაზრდა რუსეთი“ („Молодая россия“)—XIX საუკუნის 60-იანი წლების რევოლუციური პროკლამაცია, ავტორი ზ. ზაიჩნევსი. დაიბეჭდა 1862 წლის მაისში. მოუწოდებდა მონარქიის დამხობისა და რომანოვთა ოჯახის განადგურებისაკენ, მოითხოვდა ოლქებისაგან შემდგარი ფედერაციული რესპუბლიკის შექმნას. პროკლამაცია აკრიტიკებდა ჟურნალებს „კოლოკოლსა“ და „ველიკორუსს“.

74. „სევერნაია ჩელა“ („СЕВЕРНАЯ ПЧЕЛА“)—რეაქციული პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში, 1825-1864 წლებში. რედაქტორები: ფ. ბულგარინი (1825-1831 წ. წ.), ფ. ბულგარინი და ნ. გრეჩი (1831-1860 წწ.), პ. უსოვი (1860-1864 წწ.), დაიხურა ხელისმომწერთა სიმცირის გამო, 1869 წელს გაზეთი აღადგინა ა. ვ. სტარჩევსკიმ, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ კვლავ დაიხურა.

75. „გრაჟდანინ“ („ГРАЖДАНИН“)—ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი—ჟურნალი, რუს მემამულეთა უკიდურესი რეაქციული წრეების ორგანო. გამოდიოდა პეტერბურგში, 1872-1878 წლებში. 1873 წელს მას რედაქტორობდა თ. მ. დოსტოევსკი.

სახელთა საძიებელი

ა

აბაზი,—რუსი სახელმწიფო მოხელე, XIX საუკუნის 80-იან წლებში რიაზანის გუბერნატორი, შემდეგ ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოს უფროსი და სენატორი.—231.

აბაშიძე ვასილ (ვასო) ალექსის ძე (1854-1926),—მსახიობი, ქართული რეალისტური აქტიორული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს პირველი სახალხო არტისტი.—91,93.

აბდულ-აზიზი (1830-1876),—თურქეთის სულთანი—362.

აბდურახმან-ხანი (1844-1901),—ავღანეთის ამირა 1880 წლიდან. მონანილეობდა თავისი პაპის დოსტ მუჰამედ-ხანის გარდაცვალების შემდეგ ტახტისათვის გამართულ შინაფეოდალურ ომებში, მაგრამ დამარცხდა და 1869 წელს შუა აზიას შეაფარა თავი. 1879 წელს დაბრუნდა სამშობლოში და გაბატონდა ჩრდილოეთ ავღანეთში. 1880 წელს აბდურახმან-ხანი ინგლისმა მთელი ავღანეთის ამირად ცნო. სამაგიეროდ ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა თავის კონტროლს დაუქვემდებარა.—254.

აბრამოვიჩი ვ. ბ.,—მომხსენებელი რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ყრილობაზე.—504, 511, 514, 516, 518, 519, 525, 533, 535, 536, 537.

აბუ ედმონდ ფრანსუა ვალენტინ (1828-1885),—ფრანგი მნერალი, იგი ბევრს წერდა ნაპოლეონისტური იდეების გასავრცელებლად, სარგებლობდა ნაპოლეონ მესამის პატივისცემით, იმდროინდელ საფრანგეთში საკმაოდ პოპულარული იყო მისი რომანები და მოთხრობები, მსახურობდა მაკმაჰონთან.—313.

ავალოვი (ავალიშვილი) ნიკოლოზ იაკობის ძე (1844-1929),—ჟურნალისტი, მთარგმნელი და თეატრალური მოღვაწე, განახლებული ქართული თეატრის ერთ-ერთი მესვეური და ხელმძღვანელი .—46, 84, 87, 88, 92.

ალადატოვი ს.პ.,—თბილისის საბჭოს ხმოსანი XIX საუკუნის 70-იან, 80-იან წლებში.—258.

ალექსანდრე მაკედონელი (356-323 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე),—მაკედონიის მეფე 336 წლიდან, ძველი სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე.—187.

ალექსანდრე მეორე (1818-1881),—რუსეთის იმპერატორი 1855-1881 წწ.—62, 63, 64.

ალექსანდრე პირველი (1777-1825),—რუსეთის იმპერატორი 1801-1825 წწ .—62, 63, 64.

ანანოვი,—მდიდარი სომეხი მემამულე და კაპიტალისტი საქართველოში.—59,61.

ანაფას I,—კაპადოკიელთა მეფე.—187.

ანდრეი,—პარიზის პოლიციის პრეფექტი XIX საუკუნის 80-იან წლებში.—297, 298, 299.

ანენკოვი პავლე ვასილის ძე (1812-1887),—რუსი კრიტიკოსი, ლიბერალი, ა.ს. პუშკინის თხზულებათა კრებულის გამომცემელი.—305.

ანტონოვიჩი მაქსიმ ალექსის ძე (1835-1918),—ცნობილი რუსი დემოკრატი განმანათლებელი და ლიტერატურის კრიტიკოსი.—208.

ანფანტენი,—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე.—628.

არტემიევები (ძმები),—ნავთის მრეწველები.—510.

არწრუნი გრიგოლ (1845-1892),—სომეხი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი, გაზეთ „მშაკის" დამაარსებელი და რედაქტორი.—160, 161, 162, 203, 212, 213, 214.

არწრუნი სენაქერიმ,—ნაფიცი ვექილი XIX საუკუნის 80-იანი წლების თბილისში.—138,139,140,141,142.

ასათიანი მ.,—ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი, რომელიც მოკლეს 1879 წელს.—76, 77,113.

აქემენესი,—პონტოს მეფის მითრიდატეს (402-363 ჩვ.წ. აღ-მდე) დინასტიის დამაარსებელი.—187.

ბადალიანცი,—არქიმანდრიტი.—138.

ბაირონი ჯორჯ გორდონ (1788-1824),— ცნობილი ინგლისელი პოეტი, რომანტიკოსი.—475.

ბარანიონი ნუმა,—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ლეგიტიმისტი.—598, 604, 610.

ბარანოვი,—გრაფი.—646.

ბარი ა.ვ.,—რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ყრილობის მონაწილე.—521, 524, 525, 526, 531, 532, 533, 534, 535, 536.

ბარმესი,—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ბურჟუაზიული რესპუბლიკელი. —634.

ბაროდე,—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე.—618.

ბასტამოვი,—ცენზორი XIX საუკუნის 80-იანი წლების თბილისში.—161.

ბაქრაძე იოსებ **ზოსიმეს ძე** (1850-1904), —პოეტი, პუბლიცისტი და მთარგმნელი .—84,87,88.

ბახმეტიევი,—ფალკენპაგენის—ფოთის პორტის მშენებლობის მოიჯარადრის, რწმუნებული, საქმოსანი.—9,1 0,1 5, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 78, 80, 222, 223, 224, 225, 226, 227, 228, 229, 230, 514, 517, 518.

ბებუთოვი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე,—გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკის" დამაარსებელი და რედაქტორი.—121, 122, 208, 364, 368.

ბებუთოვი მიხეილ,—თავადი, კრილოვის იგავ-არაკების ქართულად მთარგმნელი...—84, 86, 87, 88, 90, 92, 95.

ბელე,—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე.—622.

ბელინსკი ბესარიონ გრიგოლის **ძე** (1811-1848),—რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, კრიტიკოსი და ფილოსოფოსი.—565.

ბერიე,—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე .—596, 604.

ბეხიროვი,—რუსი თარჯიმანი, რუსეთის მთავრობისაგან შიხოში თარჯიმნად მივლინებული ურიადნიკი.—253.

ბიკონსფილდი ბენჯამინ დიზრაელი (1804-1881),—ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, კონსერვატორების ლიდერი, პრემიერ-მინისტრი 1868 და 1874-1880 წლებში.—8, 42, 50, 137, 163, 164, 165, 221, 237, 254, 255, 256, 288, 289, 290, 328.

ბილიო,— ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე.—628.

ბისმარკი ოტო ედუარდ ლეოპოლდ,— თავადი ფონ ბისმარკ-შენჰაუზენი (1815-1898),—გერმანიის იმპერიის დამაარსებელი და პირველი რაიხსკანცლერი, —51, 66, 215, 216, 238, 289, 290, 620.

ბუსლაევი თედორე ივანეს ძე (1818-1897), —რუსი ფილოლოგი და ხელოვნებათმცოდნე.—176, 191, 192.

ბლანი ლუი (1811-1882),—ფრანგი უტოპისტ-სოციალისტი, ისტორიკოსი, ჟურნალისტი, 1848 წლის რევოლუციის მოღვაწე.—312, 589, 591, 592, 593, 606, 607, 609, 621, 623, 626, 627, 629, 630, 631, 632, 633, 634.

ბლანკი ლუი ოგუსტ (1805-1881),— ფრანგი რევოლუციონერი, უტოპისტი, 1830 წლის ივლისის და 1840 წლის თებერვლის რევოლუციების აქტიური მონაწილე, 1871 წელს ბლანკი ციხეში იყო და დაუსწრებელად აირჩიეს პარიზის კომუნის წევრად.—207.

ბლარემბერგი,—რუსეთის გენერალური შტაბის კაპიტანი XIX საუკუნის 80-იან წლებში.—39.

ბლიუმი,—ფოთის ნავსადგურის პროექტის ერთ-ერთი ავტორი.—222.

ბლოკელი,—ფრანგი, სპარსეთის არმიის ოფიცერი.—50.

ბოგდანოვსკი,—რუსი გენერალი, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამშენებლო ნაწილის მმართველი XIX საუკუნის 80-იან წლებში.—17.

ბოგდი-ხანი,—ჩინეთის მმართველი.— 251.

ბოგოიავლენსკი ალ.,—თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი. — 370, 372, 373.

ბოგუშევიჩი,—ინჟინერი.—11.

ბოდენი ჟან (1530-1596),—ფრანგი პოლიტიკური მოაზროვნე, მეცნიერი იურისტი, ბუნებითი სამართლის თეორეტიკოსი. —596.

ბოკლი ჰანრი თომას (1821-1862),—ინგლისელი ლიბერალურ-ბურჟუაზიული ისტორიკოსი და სოციოლოგ-პოზიტივისტი, „ინგლისის ცივილიზაციის“ ავტორი.— 590.

ბომარშე პიერ ოგიუსტენ კარონ დე (1732-1799),—ფრანგი დრამატურგი.—488.

ბოპი ფრანც (1791-1867),—გერმანელი ენათმეცნიერი, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი.—171, 186.

ბროლი ჟან-ვიქტორ (დაიბადა 1821 წელს),—ფრანგი პუბლიცისტი, ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე, 1873 წელს ხელს უწყობდა მონარქისტული პარტიების გაერთიანებას, რომელმაც ტიერის გადადგომა დააჩქარა.—312, 604, 622.

ბულგარინი ფადეი ბენედიქტეს ძე (1789-1859),—რუსი ჟურნალისტი, მწერალი, თვითმპყრობელობის ერთგული მსახური. —374, 653.

ბურგმეისტერი,—პოლკოვნიკი, ფოთის ნავსადგურის მშენებლობის უფროსი XIX საუკ. 80-იან წლებში.—14, 24, 25, 35, 78, 81, 82, 222, 223, 225, 226, 228, 229, 230.

ბუტაკოვი,—რუსი ადმირალი.—250.

გ

გაბუნია ნატო (1859-1910),—მსახიობი, ქართული რეალისტური სამსახიობო სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი.—91.

გამბა ჟაკ ფრანსუა (1765-1833),—ფრანგი მოგზაური და ვაჭარი.—53.

გამბეტა ლეონ მიშელ (1838-1882), —ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ბურჟუაზიულ-რესპუბლიკელთა ერთ-ერთი ლიდერი.—271, 312, 352, 353, 589, 590, 591, 592, 593, 594, 595, 596, 597, 598, 601, 602, 603, 604, 605, 606, 607, 608, 609, 610, 611, 612, 613, 614, 615, 616, 617, 618, 619, 620, 621, 622, 623, 624, 625, 626, 627, 630,631,634.

გარნიე-პაჟესი ეტენ-ჟოზეფ-ლუი (1801-1841),—ცნობილი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე და ორატორი.—599.

გარშინი ვსევოლოდ,—რუსი მწერალი —557, 558, 559, 560, 561, 562, 563, 564, 566, 567, 569, 571, 573,574, 575, 576, 577, 578, 579, 580, 581, 582, 583, 585, 586, 587

გერსევანოვი მიხეილ ნიკოლოზის ძე (1830-1907),—ინჟინერ-მშენებელი და მეცნიერი ჰიდროტექნიკის დარგში.—36.

გერცენი ალექსანდრე ივანეს ძე (ნამდვ. გვარი იაკოვლევი, ფსევდ. ისკანდერი) (1812-1870),—რუსი მწერალი, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი და რევოლუციური მოღვაწე.—62, 653.

გლადსტონი უილიამ იჯარტი (1809-1898 წწ.),—ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, ლიბერალური პარტიის ლიდერი, ინგლისის პრემიერ-მინისტრი 1864-1874, 1880-1885, 1886 და 1892-1894 წლებში.—163, 164, 165, 256, 297.

გლუკი გ.ი.,—რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ყრილობის მონაწილე.—534.

გოგოლი ნიკოლოზ ვასილის ძე (1809-1852),—დიდი რუსი მწერალი, „ნატურალური სკოლის“ მეთაური.—10, 269, 305, 557, 558.

გოეთე იოჰან ვოლფგანგ (1749-1832), —დიდი გერმანელი მწერალი და მოაზროვნე.—475.

გოლდსმიტი,—ინგლისელი გენერალი, ინგლისის მიერ 1870 წელს აეღანეთის სპარსეთისაგან გასამიჯნად გაგზავნილი ექსპედიციის უფროსი.—42.

გოლოვაჩევი,—ინჟინერი, ოდესის ნავსადგურის მშენებლობის მონაწილე.—36.

გოლოვინი ევგენი ალექსანდრეს ძე (1782-1858),—რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი.—10, 653.

გოლც-მილერი,—მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი.—657.

გორძიევსკი,—თბილისელი ცენზორი— 161.

გრევი (ფრანსუა პოლ-ჟიულ გრევი) (1807-1891),—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე.—354, 605.

გრენვილი,— ლორდი, ინგლისის პოლიტიკური მოღვაწე.—286.

გრიბოედოვი ალექსანდრე სერგეის ძე (1795-1829),—რუსი მწერალი და დიპლომატი.—475.

გრიგორიევი აპოლონ ალექსანდრეს ძე (1822-1864),—რუსი კრიტიკოსი.—362.

გრიგორიევი,—რუსი სახელმწიფო მოხელე, ერთხანს ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველოს უფროსი.—231, 232, 233, 234.

გრიმები (იაკობი 1785-1863), ვილჰელმი (1786-1859),—გერმანელი ფილოლოგები, ენათმეცნიერები და მეზღაპრეები.—171, 186, 189.

გრუზინსკი,—ანანოვის ტყის მეპატრონე XIX საუკუნის 80-იან წლებში.—5.3.

გუე-გლუნეკი,—ავსტრიელი სწავლული იურისტი, პროფესორი,—450, 453, 455, 456, 457, 458, 460.

დ

დადაროვი,—XIX საუკუნის 80-იან წლებში ყალბი ასიგნაციების მომრჭელ ვართანოვების, კარაევებისა და ჯანიბეკოვების დამბეზღებელი.—143.

დანილოვი მიხეილ ვასილის ძე (1722-1790),—რუსი გამომგონებელი არტილერიისა და პიროტექნიკის დარგში.—222.

დანტე ალიგიერი (1265-1321),—დიდი იტალიელი მწერალი.—476.

დე ლეველე ემილ,—ფრანგი ეკონომისტი.—195.

დერბი ედუარდ ჯეფრი სმით,—ლორდი სტენლი (1799-1869),—ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე, მსხვილი მიწათმფლობელი.—163.

დიაკონოვ-ნეზლობინი,—გაზეთ „ბერეგის“ თანამშრომელი.—206, 207.

დისტერვეგი ფრიდრიხ ადოლფ ვილჰ-ელმ (1790-1866),—გერმანელი პედაგოგი, დემოკრატი.—324.

დიოგენი, დიოგენე სინოპელი (დაახლ. 404-323 წწ. ჩვ.წ. აღ-მდე) ძველი ბერძენი ფილოსოფოსი.—500.

დიუბრიუჟო ალბერტ,—ფრანგი უნტერ-ოფიცერი.—299,300,303.

დიუფორი ჟიულ-არმან-სტანისლავ (1798-1881),—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ტიერის დროს ეჭირა იუსტიციის მინისტრის თანამდებობა.—594, 604.

დობროლიუბოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1836-1861),—რუსი კრიტიკოსი, პუბლიცისტი, პოეტი, რევოლუციური მოღვაწე.—206.

დოდე ალფონს (1840-1897),—ფრანგი მწერალი.—610.

დომატევიჩი,—ინჟინერ-კაპიტანი.—11.

დოსტ-მუჰამედ-ხანი,—ავღანეთის მმართველი XIX საუკუნის 60-იან წლებში.—40, 41.

დოსტოევსკი თედორე მიხეილის ძე (1821-1881),—დიდი რუსი მწერალი.—559, 649, 650, 651, 652, 653, 654, 655, 659, 660.

ე

ევანგულოვი გ.გ.,—თბილისის ქალაქის საბჭოს წევრი XIX საუკუნის 70-იან, 80-იან წლებში.—277.

ებერსი გეორგ,—მწერალი, „ფარაონის ქალიშვილის“ ავტორი.—270.

ეკატერინე მეორე (1729-1796),—რუსეთის იმპერატორი ქალი 1762-1796 წლებში.—63,64.

ემერი,—საფრანგეთის კონსული თავრიზში.—546.

ენგელჰარდტი,—რუსი ლიტერატორი.—208, 209.

ერისთავი დავით გიორგის ძე (1847-1890),—ცნობილი ქართველი დრამატურგი და ჟურნალისტი.—46, 84, 87.

ერისთავი ვანო,—გორის უეზდის I განყოფილების მიროვოი პოსრედნიკი XIX საუკუნის 80-იან წლებში.—105,106.

ერისთავი რაფიელ დავითის ძე (1824-1901),—ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე.—92.

ერისთავი ნ.,—ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის გამგეობის წევრი XIX საუკუნის 80-იან წლებში.—180.

ერმოლოვი ალექსი პეტრეს ძე (1772-1861),—რუსი გენერალი და მხედართმთავარი, მთავარმმართებელი კავკასიაში 1817-1827 წლებში.—548.

ვ

ვალუევი პეტრე ალექსანდრეს ძე (1814-1890),—გრაფი, რუსი სახელმწიფო მოღვაწე, შინაგან საქმეთა მინისტრი 1861-1868 წლებში.—468, 471, 472, 473, 474, 475, 478, 480, 482, 484, 485, 486, 487, 488, 489, 490, 491, 492, 653.

ვართანოვი (ძმები ვართანოვები), —ყალბი ასიგნაციების მომჭრელი თაღლითები XIX საუკუნის 80-იან წლებში. —140.

ვასილჩიკოვი ილარიონ ვასილის ძე,— რუსი თავადი.—483.

ვეზიროვი,—თავადი, გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნებული სტატიის ავტორი. —195, 197, 198, 210, 211.

ვერი,—რუსი ლიტერატორი.—311.

ვერმორელი (ვერმორელები) ოგუსტ-ჟან-მარი (1841-1871),—ფრანგი პუბლიცისტი და ჟურნალისტი, მეორე იმპერიის მოწინააღმდეგე.—278.

ვერნე ემილ ჟან ორასი (1789-1863),—ფრანგი ფერმწერი, კარლ ვერნეს შვილი.—193.

ვერსკი,—თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი.—377.

ვეფლე,—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე.—542.

ვილიამსი ფენვიკ (1800-1883),-ინგლისელი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი.—51.

ვოლოხოვი,—ფოთის პორტის მოიჯარადრე.—9.

ვოლტერი ფრანსუა-მარი-არუე (1694-1778),—დიდი ფრანგი განმანათლებელი, ფილოსოფოსი და მწერალი.—362.

ვოლფი ალბერტ (1835-1891),—ფრანგი მწერალი, იუმორისტი.—312, 316, 317, 318, 319.

ვორონცოვი მიხეილ სიმონის ძე (1782-1856),—რუსი სახელმწიფო მოღვაწე, მეფისნაცვალი კავკასიაში 1845-1854 წლებში.—53, 548.

ზ

ზალესოვი პავლე,—რუსი მწერალი, მოსკოვში გამოცემული წიგნის „სამგზავრო ჩანაწერები და შენიშვნები"-ს ავტორი.—635, 636, 637.

ზელენეცკი კონსტანტინე პეტრეს ძე (1812-1858),—რუსული ლიტერატურის ისტორიკოსი.—304.

ზიგერ-კორნი,—ინჟინერ-კაპიტანი.—12.

თ

თაიროვი ა.ლ.,—თბილისის საბჭოს ხმოსანი.—265, 266, 267.

თუმანოვი (თუმანიშვილი) გიორგი მიხეილის ძე (1854-1920),—ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.—46, 87, 88, 90, 92, 93, 112, 113.

ი

იაკოვლევი,—სასამართლოში ჩერნიშევსკის დამბეზღებელი პირი.—657, 659

იაკუბ-ხანი,—აღლანეთის ემირის შირალის შვილი და თანამებრძოლი, ავღანეთის ემირი 1878-1879 წლებში.—41.

იანიცკი,—ინჟინერი.—15.

იარ-მუჰამედ-ხანი,—ავღანეთის მმართველი.—39,40.

იერიხონსკი,—თბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი.—378.

ივანე მრისხანე, ივანე მეოთხე ვასილის ძე (1530-1584),—მოსკოვის დიდი მთავარი, რუსეთის პირველი მეფე.—(1547-1584).—477.

ივანოვი მ.ნ.,—შტაბს-კაპიტანი.—100, 101.

იგნატიევი ნიკოლოზ პავლეს ძე (1832-1908),—გრაფი, რუსი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთის ელჩი თურქეთში, 1881 წლის მაისიდან რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი.—456.

კ

კავენიაკი გოდფრუა ელეონორ ლუი (1801-1845),—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ბურჟუაზიული რესპუბლიკელი. —599, 601, 634.

კაიდანი,—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე.—590.

კაიდანოვსკი,—ისტორიის სახელმძღვანელოს ავტორი.—594.

კალიგულა გაიუს იულიუს ცეზარ (1241), — რომის იმპერატორი.—362.

კანო-გალილეისკი,—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, რესპუბლიკის პრეზიდენტი.—378.

კარაევი,—ყალბი ასიგნაციების მომჭრელი XIX საუკუნის 80-იან წლებში—140

კარაკოზოვი დიმიტრი ვლადიმერის ძე (1840-1866),—მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი, რევოლუციონერი ტერორისტი.—247.

კარელი არმან (1800-1836),—გამოჩენილი ფრანგი პუბლიცისტი.—599, 601.

კარნიოლინ-პინსკი,—რუსეთის სენატის თავმჯდომარე.—658.

კარნო მარ ფრანსუა სადი (1837-1894), —ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, რესპუბლიკის პრეზიდენტი.—603.

კასანიაკი (გრანიე დე კასანიაკ) ადოლფ (1808-1880),—ფრანგი პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე, ბონაპარტისტი.—604.

კასანიაკი პოლ,—ორლეიან შოლთან დუელში ჩაბმული პიროვნება, დუელიანტი—318.

კატკოვი მიხეილ ნიკიფორეს ძე (1818-1887),—რუსი რეაქციონერი პუბლიცისტი და ჟურნალისტი.—205, 240, 241, 242, 243, 244, 246, 247, 249, 366, 367.

კემპბელი (1792-1863),—ინგლისელი ფელდმარშალი.—346.

კესლერი,—გენერალი, რუსეთის სამხედრო ინჟინრების უფროსი XIX საუკუნის 60-იან წლებიდან 1865 წლამდე.—11, 12, 18.

კეხლინი ჟორჟ,—ფრანგი მეწარმე, ფაბრიკის მფლობელი ქ. ტრუაში.—297, 298, 299, 300, 301, 302, 354.

კიროს უმცროსი,—სპარსეთის მეფე. —187.

კლეინი,—ტყიბულის ქვანახშირის წარმოების მეპაიე.—466.

კლემანსო ჟორჟ ბენჟამენ (1841-1923), —ფრანგი რეაქციონერი პოლიტიკური მოღვაწე—296, 613, 617, 621.

კლემანსო,—როშფორის სეკუნდანტი. —300, 302.

კლოვი,—ფრანგი ჟურნალისტი—617.

კომაროვი,—რუსი გენერალი, კავკასიის მთიელთა სამმართველოს უფროსი XIX საუკუნის 80-იან წლებში.—282.

კონსიდერანი ვიქტორ (1805-1893), —ფრანგი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე, ფურიერისტთა წარმომადგენელი.—629.

კორინთელი,—ქართველი მსახიობი.— 93.

კოსტომაროვი ვსევოლოდ დიმიტრის ძე (გარდაიცვალა XIX საუკუნის 60-იან წლებში),—რუსი ოფიცერი—656, 657, 659.

კოტარი,—ინჟინერი, ლესეპსის კომპანიის (საფრანგეთი) წარმომადგენელი.—15.

კრილოვი ივანე ანდრიას ძე (1769-1844), —რუსი პოეტი და მეიგავე—250, 260.

კუკშინსკი,—თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი.—377.

ლ

ლავროვი პეტრე (1823-1890),—რუსი სოციოლოგი და პუბლიცისტი, ხალხოსნური მოძრაობის იდეოლოგი—310.

ლაიბნიცი გოტფრიდ ვილჰელმ (1646-1716),—გერმანელი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ისტორიკოსი—189.

ლამანსკი ვ.,—რუსი ისტორიკოსი.—174, 192.

ლაჟენ-ვილარი,—გაზეთის "Caulis"-ის კორესპონდენტი.—303.

ლასალი ფერდინანდ (1825-1864),—ცნობილი გერმანელი წერილბურჟუაზიული სოციალისტი—542, 629.

ლასი,—სამხედრო პირი.—217.

ლედრიუ-როლენი ალექსანდრ-ოგიუსტ (1808-1874),—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, წერილბურჟუაზიული რესპუბლიკელი, დეპუტატთა პალატის ნევრი, 1849 წელს გაიქცა ინგლისში, საიდანაც დაბრუნდა 1870 წელს, 1871 წელს აირჩიეს ნაციონალური კრების ნევრად. —355, 594, 599.

ლევაშოვი ვლადიმერ ვასილის ძე,—გენერალ-მაიორი, გრაფი, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი (1867-1874 წწ.). —12.

ლენორმანი,—ძველი აღმოსავლეთის ისტორიის მკვლევარი—189.

ლეპელტე,—როშფორის ვაჟის სეკუნდანტი.—303.
ლერმონტოვი მიხეილ იურის ძე (1814-1841),—ცნობილი რუსი პოეტი.—310, 475.
ლესენკო,—მომხსენებელი რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ყრილობაზე.—519.
ლესკოვი ნიკოლოზ სიმონის ძე (1831-1895),—რუსი მწერალი.—653.
ლეტნი ა.ა.,—მომხსენებელი რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ყრილობაზე.—511, 521.
ლეფონი ამადე,—ფრანგი დეპუტატი.—620.
ლი,—ჩინეთის პრინცი.—250.
ლიბენბერგი,—კეხლინის დუელიანტი.—298.
ლიბიხი,—ბაქოში ნავთის ქარხნის დამპროექტებელი.—512.
ლიზიმაქე,—კაპადოკიის მეფე.—187.
ლიმეირაკი,—ფრანგი ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე.—361.
ლოკრუა სიჟიზმონ,—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე და ჟურნალისტი, როშფორის სეკუნდანტი.—300.
ლომოური ნიკო (1852-1915),—ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.—377, 378.
ლორკე,—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე.—590.
ლორის-მელიქოვი მიხიელ ტარიელის ძე (1825-1888),—გრაფი, გენერალი, რუსეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე.—116, 117, 118, 243.
ლუზინიანი,—კვიპროსის მეფე.—330.
ლუი ფილიპე (1773-1850),—საფრანგეთის მეფე 1830-1848 წლებში.—457.

მ

მაკიაველი ნიკოლო (1469-1527),—იტალიელი პოლიტიკური მოაზროვნე, სამხედრო თეორეტიკოსი, დიპლომატი და მწერალი.— 134, 135, 137.
მაკიევსკი-ზუბოვი,—გაზეთ „ობზორში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორი.—130
მაკ-მაჰონი მარი-პატრიკ-მორის (1808-1893),—ფრანგი რეაქციონერი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, საფრანგეთის პრეზიდენტი 1873-1879 წლებში.—353, 610, 614, 628.
მაკ-ნეილი,—ინგლისელთა წარმომადგენელი თეირანში (სპარსეთში) XIX საუკუნის 80-იან წლებში.—39.
მარე,—ფრანგი ჟურნალისტი.—617.
მარკოვნიკოვი ვ.ვ.,—რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ყრილობის მონაწილე.—505, 515, 516, 517, 518, 519.
მარქსი კარლ (1818-1883),—ცნობილი ეკონომისტი და მეცნიერული კომუნიზმის თეორიის შემქმნელი.—629.
მატინოვი ა.ს.,—თბილისის საბჭოს გამგეობის წევრი, ქალაქის თავი 1879 წლიდან.—260.
მაქსიმოვიჩი ალექსანდრე პეტრეს ძე, — საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე.—160,161
მაჩაბელი ზ.,—ქართველი მსახიობი.—93.
მაჩაბელი ივანე გიორგის ძე (1854-1898),—ცნობილი ქართველი მწერალი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე.—46, 84, 87, 88, 92, 112,113, 340, 341, 342.
მახვილაძე გიორგი,—თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლე.—371.
მეიერი,—გაზეთ Caulois-ის მთავარი რედაქტორი XIX საუკუნის 80-იან წლებში .—35, 303
მელეგი,— ვექილი.—141.
მელიქ-მელრაბოვი,—ცენზორი XIX საუკუნის 80-იანი წლების თბილისში.—160.
მელნიკოვი,—რუსი ინჟინერი, რომელსაც რუსეთის მთავრობამ ფოთის ნავსადგურის პროექტის შედგენა დააკავალა.—10.
მენდელეევი დიმიტრი ივანეს ძე (1834-1907),—რუსი ქიმიკოსი, ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემის შემქმნელი. —505.
მერაბოვი,—თბილისელი ვაჭარი.—258.
მესხი სერგი სიმონის ძე (1844-1883),—ცნობილი ქართველი ჟურნალისტი, გაზეთ „დროების“ რედაქტორი.—96, 110, 112, 244, 340, 341, 342, 343.

მითრიდატე I, მითრიდატე II (გარდაიცვალა 302 წელს), მითრიდატე III (302-266), მითრიდატე IV (გარდაიც. 222 წელს)—პონტოს მეფეები.—187.
მითრიდატე V (გარდაიც. 124 ნ.) მითრიდატე VI (157-123), მითრიდატე VII დიდი ევპატორი—პონტოს მეფეები. — 188.
მითრიდატე პონტოელი (მითრიდატე VI ევპატორი დიონისე (132-63 ნნ. ჩვ. ნ. აღმდე),—პონტოს მეფე.—171, 172, 187
მილერები—მილერი ორესტ თედორეს ძე (1833-1889), —რუსი ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი. მილერი ვსევოლოდ თედორეს ძე (1848-1913),—რუსი ფილოლოგ-ორიენტალისტი, ფოლკლორისტი და ეთნოგრაფი.—278, 650.
მილი ჯონ-სტიუარტი (1836-1873),—ინგლისელი ბურჟუაზიული ფილოსოფოსი და ეკონომისტი, პოზიტივიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი—627.
მიმოტინი,—რუსი სახელმწიფო მოღვაწე.—653.
მინიხი ბურხარდ კრისტოფ (1683-1767), —გრაფი, რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე—217.
მირზოევი,—ნაუთის მრენველი.—525.
მირსკი იხ. სვიატოპოლკ-მირსკი.
მიულერი მაქს (1823-1900),—ინგლისელი ენათმეცნიერი და რელიგიის ისტორიკოსი.—171.
მიქელანჯელო ბუონაროტი (მიქელანჯელო დი ლოდოვიკო დი ლეონარდო დი ბუონაროტო სიმონი (1475-1564), —ცნობილი იტალიელი მოქანდაკე და ფერმწერი, არქიტექტორი და პოეტი.—123, 124.
მიხაილოვი მიხეილ ლარიონის ძე (1829-1861),—რუსი პოეტი და პუბლიცისტი, რევოლუციონერ-დემოკრატი, ჩერნიშევსკის თანამოაზრე.—206.
მიხეილ ნიკოლოზის ძე იხ. რომანოვი მიხეილ ნიკოლოზის ძე.
მოლტკე უფროსი,—პელმუთ კარლ ბერნჰარდ (1800-1891),—პრუსიისა და გერმანიის სამხედრო მოღვაწე, გრაფი.—491.
მონტალამბერი,—გრაფი, ფრანგი მოაზროვნე.—247.
მონტესკიე შარლ ლუი (1683-1755),— ცნობილი ფრანგი ენციკლოპედისტი.—455.
მორნი,—ფრანგი პერეგრინ.—313.
მუჰამედ-შაჰი,—სპარსეთის შაჰი,—38, 39, 40.

ნ

ნადირ-შაჰ ავშარი (1688-1747),—ირანის შაჰი 1736-1747 წლებში.—38.
ნაპოლეონ I (1769-1821),—გამოჩენილი ფრანგი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე, იმპერატორი.—136, 187, 199, 218, 219, 221, 255, 287, 288.
ნაპოლეონ III (ლუი ნაპოლეონ ბონაპარტი 1808-1873),—საფრანგეთის იმპერატორი 1852-1870 წლებში.—11, 220, 235, 271, 278, 289, 312, 313, 314, 362, 368, 457, 596, 601, 615, 617, 621, 627, 628, 629.
ნეელოვი დ.ს.,—რუსი გამომძიებელი.—493.
ნერონი კლაუდიუს,—რომის იმპერატორი 54-68 წლებში.—362.
ნეჩაევი სერგეი გენადის ძე (1847-1882), —რუსეთის რევოლუციური მოღვაწე.—100, 101, 103.
ნიკოლაძე ნიკო იაკობის ძე (1843-1928), —ცნობილი ქართველი მოაზროვნე, მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, დიდი ნიკო თავის წერილებში ხშირად თავის თავსაც იხსენიებს.—105, 111, 112, 114, 205, 206, 212, 240, 241, 340, 515, 516, 517, 519, 520, 523, 524, 526, 531, 535, 536, 539.
ნობელი ლუდვიგ ემანუილის ძე (1831-1888),—განთქმული ნაუთის მრენველი, მისი ძმაც ამ საქმეში იყო ჩართული.—507, 508, 509, 510, 511, 512, 513, 514, 515, 516, 517, 518, 519, 520, 522, 523, 525, 527, 538, 539, 540, 541, 542.

ნოვოსელსკი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1823-1901),—„ზღვაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების“ დამაარსებელი, კავკასიის წიაღისეული სიმდიდრით დაინტერესებული საქმოსანი, ტყიბულის ქვანახშირის წარმოებაში ფულის დამბანდებელი, ოდესის ქალაქის თავი.—466.
ნუარ ვიქტორ,—ფრანგი ჟურნალისტი, მოკლული იქნა პრინც ბონაპარტის მიერ 1870 წლის 10 იანვარს.—317.

ო

ოლივიე პენი,—როშფორის ვაჟის სეკუნდანტი.—303.
ორბინსკი,—რუსი ეკონომისტი და საქმოსანი.—71, 72, 75.
ოსმანი,—ბარონი, ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე.—628.
ოჩაკოვი,—რუსი სახელმწიფო მოღვაწე.—375.

პ

პავლოვი,—ნავთის ტრანსპორტირებით მომუშავე ფირმის მეპატრონე.—529.
პალაბანი,—ფოთის ნავსადგურის მშენებლობის კომისიის თავმჯდომარე.—37.
პალაშკოვსკი,—ნავთის მრეწველი.—639, 640.
პალმერსტონი ჰენრი-ჯონ-ტემპლი (1784-1865),—ლორდი, ცნობილი ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, 1853-1856 წლების ყირიმის ომის ერთ-ერთი ორგანიზატორი. —220, 289, 290.
პანაევი ივანე ივანეს ძე (1812-1862),— რუსი ჟურნალისტი და ბელეტრისტი, ნეკრასოვთან ერთად ხელმძღვანელობდა ჟურნალ „სოვრემენნიკის“ გამოცემას .—204.
პანდორი,—შვეიცარიელი ჟანდარმი .—301.
პანოვი,—XIX საუკუნის 80-იან წლებში ყალბი ასიგნაციების მოჭრაში ბრალდებულ ვართანოვების, კარაევებისა და ჯანიბეკოვების დამბეზღებელი.—143.
პასკევიჩი ივანე თევდორეს ძე (1782-1856),—გენერალ-ფერდმარშალი, რუსი მხედართმთავარი, მთავარმმართველი კავკასიაში 1827-1831 წლებში.—295.
პაშინო,—რუსი პუბლიცისტი, მოგონებების ავტორი.—203.
პელტანი კამილ,—ფრანგი ჟურნალისტი.—618.
პერეირა ემილ (1806-1880),—ცნობილი ფრანგი ბანკირი (წარმოშობით პორტუგალიელი ებრაელი).—628.
პეტერსენი,—ფოთის ნავსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებული პიროვნება, ელოკვენციისა და ჰიდრავლიკის პროფესორი, გაზეთ „ნოოვე ვრემიაში“ გამოქვეყნებული ფელეტონის ავტორი.—35, 78, 80, 81, 222, 223, 224, 225, 226, 227, 228.
პეტრაშევსკი (ბუტაშევიჩ-პეტრაშევსკი) მიხეილ ვასილის ძე (1821-1866),—რუსი რევოლუციური მოღვაწე.—655.
პეტრე პირველი (1672-1725),—რუსეთის სახელგანთქმული მეფე და პირველი იმპერატორი 1682-1725 წლებში.—63, 227.
პისარევი დიმიტრი ივანეს ძე (1840-1868), —რუსი კრიტიკოსი და პუბლიცისტი.—303,304,305.
პიტოევი,—გაზეთ „ტიფლისსკი ვესტნიკის“ ადმინისტრატორი.—120.
პლეშჩეევი ალექსი ნიკოლოზის ძე (1825-1893),—რუსი პოეტი.—657, 658.
პობედონოსცევი კონსტანტინე პეტრეს ძე (1827-1907),—რუსი სახელმწიფო მოღვაწე, იურისტი, სინოდის ობერ-პროკურორი 1880-1905 წლებში.—249.
პოგოდინი,—რუსი ისტორიკოსი.— 171,192.
პოლენ-ლიმეირაკი,—ფრანგი ჟურნალისტი.—368
პოლეტიკა ვასილ აპოლონის ძე,—რუსი ჟურნალისტი.—538, 542.
პოლიაკოვი ს.ს. (1837-1888),—სარკინიგზო საქმის ცნობილი მცოდნე, სახელმწიფო მრჩეველი, გენერალი.—10.

პომპეუსი (პომპეუს გნეუს მაგნუს) (106-48 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე) რომაელი სარდალი და პოლიტიკური მოღვაწე.—172.
პოპოვიცკი ა.ი.,—ჟურნალ „ცერკოვნო ობშესტვენნი ვესტნიკის" გამომცემელი .—374
პოტაპოვი,—რუსი სახელმწიფო მოღვაწე.—653.
პოტიე,—ინჟინერი, რომელსაც რუსეთის მთავრობამ ფოთის ნავსადგურის პროექტის შედგენა დაავალა.—10.
პოტინჯერი,—ინგლისელი ოფიცერი —39.
პრევო დ' ეგზილი ანტუან ფრანსუა (1697-1763),—ფრანგი მწერალი, განმანათლებლური რომანების ავტორი.—269.
პრევო-პარადოლი ლუსიენ-ანატოლ (1829-1870),—ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი, საფრანგეთის აკადემიის წევრი.—278.
პრესნიკოვი გ. დ.,—რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ყრილობის მონაწილე.—520, 521.
პრომეთე,—ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ტიტანი, იაფეტის ძე ატლანტის ძმა, დევკალიონის მამა, ადამიანთა მფარველი და მათთვის ნამებული გმირი.—224, 488.
პრუდონი პიერ-ჟოზეფ (1809-1865),—ცნობილი ფრანგი ეკონომისტი და სოციალ-უტოპისტი.—629.
პუშკინი ალექსანდრე სერგის ძე (1799-1837),—ცნობილი რუსი პოეტი.—303, 304, 305, 306, 307, 308, 309, 310, 348, 352, 475.

ჭ

ჭელიხოვსკი ვ.ი.,—თბილისის ქალთა გიმნაზიის ინსპექტორი, შემდეგ თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი.—361, 363, 364, 365, 366, 367, 369.
ჭირარდენი ემილ (1806-1881).,—ფრანგი პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე.—622.
ჭორჭ-სანდი, ავრორა ლუპენდე-დევანი (1804-1876),—ცნობილი ფრანგი მწერალი.—269.
ჭუკოვი,—რუსი კრიტიკოსი.—204, 205, 206.
ჭუკოვსკი ვასილ ანდრიას ძე (1783-1852),—რუსი პოეტი.—62.
ჭულიარი,—შეეიცარიელი ექიმი.—302.
ჭარინცევი,—ფოთის ნავსადგურის პროექტის ერთ-ერთი ავტორი და სამუშაოთა მწარმოებელი XIX საუკუნის 80-იან წლებში.—9, 10, 14, 15, 17, 19, 21, 23, 25, 29, 31, 33, 34, 35, 36, 37, 78, 79, 80, 81, 82, 83, 222, 229.

რ

რაგოზინი,—ნავთის მრეწველი.—515.
რაკინტი,—ფოთის ნავსადგურის მშენებლობის უფროსი XIX საუკუნის 80-იან წლებში.—35.
რანკი არტურ (1831-1908),—ფრანგი პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე, 1873 წელს დაუსწრებლად მიესაჯა სიკვდილით დასჯა პარიზის კომუნაში მონაწილეობისათვის.—622.
რაულინსონი,—ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის მკვლევარი.—189.
რემბრანდტი ვან რეინი (1606-1669),—ცნობილი ჰოლანდიელი მხატვარი .—140.
რემიუზა ფრანსუა მარი (1797-1875),—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, შინაგან საქმეთა მინისტრი ტიერის მეორე კაბინეტში.—604.
რერბერგი,—გენერალი, რუსეთის სამხედრო ინჟინრების უფროსი 1866 წლიდან.—12.
რობერტსი—ავღანეთში მეომარი ინგლისელი გენერალი.—164.
რომანოვი მიხეილ ნიკოლოზის ძე (1832-1909),—დიდი მთავარი, მეფისნაცვალი კავკასიაში 1863-1881 წლებში.—463, 548.
როშფორი ანრი (1830-1913),—ფრანგი ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე. სახელი გაითქვა ბონაპარტისტების წინააღმდეგ ბრძოლით, რამაც ავტორიტეტი მოუხვეჭა მის ჟურნალს „ლა ლატერნ". 1870 წელს დაპატიმრეს, მაგრამ მეორე იმპერიის დაცემის შემდეგ (1870 წლის 4 სექტემბერი) გან-

თავისუფლდა. პარიზის კომუნის დროს თავს ესხმოდა კონტრრევოლუციონერებს, მაგრამ არ იზიარებდა კომუნართა რევოლუციონურ მოღვაწეობასაც. კომუნის დაცემის შემდეგ დააპატიმრეს და გადაასახლეს ახალ კალედონიაში. 1874 წელს გაიქცა გადასახლებიდან ინგლისში და პარიზში დაბრუნდა მხოლოდ 1880 წელს. უკანასკნელად მიეკედლა რეაქციონერთა და რესპუბლიკის მტერთა ბანაკს. —207, 278, 296, 297, 298, 299, 300, 301, 302, 303, 312, 313, 314, 315, 316, 317, 318, 319, 320, 354, 361, 368, 596, 612, 617, 621, 622, 623, 624, 625, 632.

როშფორი ვილი,—ეკონომისტი.—197.

რუბენსი პეტერ პაულ (1577-1640წწ.) ცნობილი ფლამანდელი ფერმწერი.—476.

რუერა,—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე.—604,628.

ს

საბუროვი ა.ა.,—ერთხანს დერპტის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, შემდეგ გრაფი დ. ტოლსტოი შეცვალა განათლების მინისტრის პოსტზე.—249.

სალისბიური რობერტ არტურ,—მესამე მარკიზი, ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე.—286, 288.

სარაჯევი (სარაჯიშვილი) დავით ზაქარიას ძე (1848-1911),—ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელი, მეცენატი და საზოგადო მოღვაწე.—46, 87, 88.

სარსი ფრანცისკო,—ფრანგი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.—314.

საფაროვა-აბაშიძე მაკო (მარიამ) 1860-1940,—მსახიობი.—99.

სეი ჟან ბატისტ (1767-1832),—ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტი, ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელი.—539.

სერნო-სოლოვიევი,—რუსი მწერალი.—206.

სვიატოპოლკ-მირსკი (მირსკი) დიმიტრი ივანეს ძე,—თავადი, გენერალ-ადიუტანტი, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი 1864-1867 წლებში, აჯამეთის ტყის მეპატრონე, მასთან ერთად აჯამეთის ტყის ნაწილს ფლობდა მისი ძმაც.—53, 54, 61.

სიმონიანცი,—სომეხი ლიტერატორი და ჟურნალისტი.—212.

სიმონიჩი,—გრაფი.—39.

სინიავსკი,—თბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი.—373, 378.

სკობელევი,—ახალტეკინის ექსპედიციის უფროსი XIX საუკუნის 80-იან წლებში.—8.

სპენსერი ჰერბერტ (1820-1903),—ინგლისელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და სოციოლოგი.—350.

სპიულერი,—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე .—622.

სტახოვსკი,—თბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი.—379.

სტეპანოვი ა.ვ.,—ვექილი.—138.

სტოდარტი,—ინდოეთში მოღვაწე ინგლისელი სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი.—39.

სუვოროვი ალექსანდრე ვასილის ძე (1730-1800),—ცნობილი რუსი მხედართმთავარი.—217.

სულინი.—მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი.—657.

ტ

ტააფე ედუარდ (1833-1895),—გრაფი, ავსტრიის სახელმწიფო მოღვაწე.—215, 217.

ტალაბო,—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, უტოპისტი.—628.

ტარიე ალენ,—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე.—622.

ტასო ტორკვატო (1544-1595),—იტალიელი პოეტი.—476.

ტაციტი (ტაციტუსი პუბლიუს კორნელიუს (დაახლ. 55-116 წწ.)—ცნობილი რომაელი მწერალი და ისტორიკოსი.—475.

ტერ-მელიქსედეკიანი,—გაზეთ „ტრუდის“ რედაქტორი XIX საუკუნის 90-იან წლებში.—110.

ტიერი ლუი ადოლფ (1797-1877),—ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი, პროფესიით ადვოკატი.—590, 594, 604, 605, 608, 609, 615, 623, 627, 628.
ტიზენჰაუზენი,—რუსეთის საზღვაო-სამშენებლო ნაწილის უფროსი XIX საუკუნის 80-იან წლებში, გენერალი, ბარონი.—13.
ტილო,—გენერალი, რუსეთის საზღვაო-სამშენებლო ნაწილის მმართველი XIX საუკუნის 80-იან წლებში,—17.
ტიციანი (ნამდვილი სახელი და გვარი ტიციანო ვეჩელიო), (1488-1576),—აღორძინების ხანის დიდი იტალიელი მხატვარი.—140.
ტოდლი,—ინგლისელი სამხედრო პირი.—40.
ტოლსტოი დიმიტრი ალექსანდრეს ძე, —რუსეთის განათლების მინისტრი.—247,248,249.
ტოლსტოი ლევ ნიკოლოზის ძე (1828-1910),—ცნობილი რუსი მწერალი.—362, 475.
ტოტლებენი ედუარდ ივანეს ძე (1818-1884),—გრაფი, ცნობილი რუსი სამხედრო ინჟინერი.—21.
ტურგენევი ივანე სერგის ძე (1818-1883), —ცნობილი რუსი მწერალი.—271, 348.

უ

უთურგაული გ.,—ერთხანს „ობზორის“, შემდეგ „დროების“ თანამშრომელი.—111, 113, 114.
უსოვი პავლე სტეფანეს ძე (1828-1888), —რუსი პუბლიცისტი, გაზეთ „ბირჟის“ რედაქტორი 1872-1877 წლებში.—653.
უსპენსკი გლებ,—რუსი ლიტერატორი. —208.
უშაკოვი,—ნავთის მრეწველი.—523.
უშინსკი კონსტანტინე დიმიტრის ძე (1834-1870),—ცნობილი რუსი პედაგოგი. —325.

ფ

ფავრი ჟიულ (1809-1880),—ცნობილი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, პროფესიით ადვოკატი, საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში ხელი მოაწერა საფრანგეთ-გერმანიის საზავო ხელშეკრულებას 1871 წელს. აქტიურად მონაწილეობდა პარიზის კომუნის დაცემასა და კომუნართა განადგურებაში.—314, 594, 596.
ფალკენჰაგენი,—ფოთის პორტის მშენებლობის მოიჯარადრე, ფინანსისტი, საქმოსანი.—9, 10, 13, 14, 15, 16, 17, 18, 20, 22, 25, 26, 27, 28, 29, 30, 33, 34, 36, 78, 79, 80, 82, 222, 225, 228, 229, 230.
ფალლი პიერ ლუი-შარლ-ასილ (1810-1892),—ფრანგი მწერალი, საფრანგეთ-პრუსიის ომში ტყვედ ჩაიგდეს გერმანელებმა.—620.
ფალუ,—გრაფი, ფრანგი მოღვაწე.—247.
ფარნასი,—პონტოს მეფე ანაფას I-ის ვაჟი. —187, 188.
ფაღავა მელქისედეკ,—თავადი, ვექილი, ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის სამეთვალყურეო კომიტეტის წევრი. —180.
ფედოროვები (ძმები),—ნავთის მრეწველები და მისი ტრანსპორტირებით მომუშავე ფირმის მეპატრონეები.—529.
ფერი ჟიულ (1832-1893),—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, ბურჟუაზიული რეს-პუბლიკელი, პუბლიცისტი და ადვოკატი, 70-იან წლებში ეწეოდა ცხარე ბრძოლას რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. ფერები (ტექსტში ერთგან ასეა) მათ მომხრეებს უნდა გულისხმობდეს.—314, 612, 613.
ფლობერი გუსტავ (1821-1880),—ცნობილი ფრანგი მწერალი.—268, 269, 270, 271.
ფონ-მილერი,—გენერალი, რუსეთის სამხედრო ინჟინრების უფროსი კესლერის შემდეგ, 1865-1866 წწ.—12, 19, 81.
ფოცხვეროვი,—ბუღალტერიის წრის დამაარსებელი XIX საუკუნის 80-იანი წლების თბილისში.—152.
ფრეისინე შარლ-ლუი,—ცნობილი ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე.—237, 353, 612, 613.

ფრიდრიხ დიდი (ფრიდრიხ ვილჰელმ) იგივე ფრიდრიხ III (1831-1888),—პრუსიის მეფე და გერმანიის იმპერატორი, შვილი იმპერატორ ვილჰელმ I-ის, 1870-1871 წწ. საფრანგეთ-პრუსიის ომში სარდლობდა მესამე არმიას.—187.
ფურტუ,—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე.—622.
ფურცელაძე,—ცენზორი.—160.

ღ

ღამბაროვი პ. ს.,—ეკონომისტი, ფინანსისტი, მეცნიერებათა დოქტორი.—258, 259.
ღოლობერიძე ნიკო ბესარიონის ძე (1838-1911),—საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, შავი ქვის მრეწველი.—58, 60, 99, 180.

ყ

ყიფიანი დიმიტრი ივანეს ძე (1814-1887), —საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი .—46, 84, 86, 87, 88, 90, 93, 95.
ყიფიანი მარიამი,—მსახიობი.—93.
ყიფშიძე,—სუფლიორი.—93.
ყომრან-მირზა,—ჰერათის მმართველი.—40.
ყორღანოვი ა.ს.,—თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი.—266, 267.

შ

შაბუროვი,—ტყიბულის ქვანახშირის წარმოებაში ფულის დამბანდებელი, მეპაიე.—466.
შავროვი,—ფოთის ნავსადგურის მშენებელი.—12, 14, 21, 34, 35, 37, 78, 79, 82, 224, 225, 226, 227, 228, 229.
შალმელაკური,—ფრანგი ჟურნალისტი, გამბეტას მეგობარი და თანამშრომელი.—610.
შამბორი, ანრი შარლ ფერლან მარი დოდორე ტრუა (1820-1883),—გრაფი, ბორდოს ჰერცოგი, ბურბონთა ძველი შტოს უკანასკნელი წარმომადგენელი და საფრანგეთის ტახტის პრეტენდენტი.—628.
შევალიე,—ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, უტოპისტი.—628, 629.
შელგუნოვი ნიკოლოზ ვასილის ძე (1824-1891),—რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი და პუბლიცისტი.—206.
შექსპირი უილიამ (1564-1616),—ცნობილი ინგლისელი დრამატურგი და პოეტი. —476.
შილერი იოჰან კრისტოფ ფრიდრიხ (1759-1805),—გერმანელი დრამატურგი, პოეტი და ხელოვნების თეორეტიკოსი. —475.
შირ-ალი,—ავღანეთის მმართველი.—41, 42.
შიუკოვი,—თბილისის გუბერნიის „ღარიბ თავადაზნაურთა შვილების შესაწევნელად" დაარსებული საზოგადოების თავმჯდომარე.—341.
შიშნიევი,—მსახიობი.—93.
შნაიდერი ვ. ვ.,—რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ყრილობის თავმჯდომარე.—504.
შოლი ორელიან,—პიროვნება, რომლის სეკუნდანტიც იყო როშფორი.—318.
შოპენჰაუერი არტურ (1788-1860), —ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი. —310.
შოფური,—ფრანგი ოფიცერი.—300, 303.
შუვალოვი პეტრე ანდრიას ძე (1827-1889),—გრაფი, რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, გენერალ-ადიუტანტი.—215.
შულიაჩენკო,—ინჟინერ-კაპიტანი.—21.
შულცი,—გადამდგარი ოფიცერი,—494, 495, 496, 497, 498, 501, 502.
შჩედრინი (შჩედრინები), სემიონ თედორეს ძე (1745-1804); ფედოსი თედორეს ძე (1751-1825); სილვესტერ ფეოდოსის ძე (1751-1825),—რუსი მხატვრები.—229.
შიშმარიოვი,—რუსეთის ყოფილი კონსული ურგაში, ჩინელებისათვის კულჯას გადაცემის საკითხზე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან შიხოში გაგზავნილი დიპლომატი.—252,253.

ჩ

ჩადაევი,—ინჟინერი.—10.
ჩერნიშევსკი ნიკოლოზ გაბრიელის ძე (1828-1889,—რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, მწერალი და ფილოსოფოსი.—191, 192, 206, 649, 650, 651, 652, 653, 654, 655, 656, 657, 658, 659, 660.

ჩუნ-ხაუ,—ჩინელი დიპლომატი, ერთხანს ჩინეთის ელჩი რუსეთში.—253.

ც

ცაგარელი აქვსენტი ანტონის ძე (1857-1902),—ქართველი დრამატურგი და მსახიობი.—119.

ცაგარელი,—მსახიობი.—93.

ციმსენი,—რუსეთის ფინანსთა მინისტრის საკრედიტო კანცელარიის დირექტორი.—185.

ციპინი,—რუსი პროფესორი.—192.

წ

წერეთელი აკაკი როსტომის ძე (1840-1915),—ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.—92.

წერეთელი გიორგი ექვთიმეს ძე (1840-1900),—ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.—168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 186, 187, 188, 189, 190, 191, 192, 193.

ჭ

ჭავჭავაძე ილია გრიგოლის ძე (1840-1907),—ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.—46, 57, 60, 61, 84, 87, 89, 96, 109, 110, 112, 113, 114, 115, 246, 336, 337, 338, 339, 340, 342, 343.

ჭიჭინაძე ალექსი ბესარიონის ძე (1851-1917),—ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.—341.

ხ

ხაჯი-მირზა-ჯაბანი,—სპარსულ ენაზე გამოცემული გაზეთის „შემთხვევითი ამბების დღიურის“ რედაქტორი.—40.

ხებეი-ამბან-ში,—კულჯის მმართველი.—251.

ხლებნიკოვი,—ვექილი.—141.

ხოდოროვიჩი,—მხატვარი.—213.

ხრჟანოვსკი,—გადამდგარი ოფიცერი.—493, 494, 495, 496.

ჯ

ჯანგულაზოვები,—საქმოსანი ძმები.—36.

ჯანიბეკოვი,—ყალბი ასიგნაციების მომქრელი XIX საუკუნის 80-იან წლებში.—140.

ჯაყელი,—რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ყრილობის მონაწილე.—505, 534, 535, 536.

ჰ

ჰაბსბურგები,—ჰაბსბურგების დინასტია, რომელიც მართავდა ავსტრიას 1282-1918 წლებში; ჩეხიასა და უნგრეთს 1526-1918 წლებში. ესპანეთსა და მის სამფლობელოებს 1516-1700 წლებში.—134.

ჰამზა-მირზა,—პრინცი, სპარსეთში ლაშქრობის მეთაური.—50.

ჰარინგტონი ჯეიმზ (1611-1677),—ინგლისელი პუბლიცისტი, ახალი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის იდეოლოგი.—163, 165.

ჰარტმანი ედუარდ (1842-1906),—გერმანელი ფილოსოფოსი, იდეალისტი, ირაციონალისტი.—100, 101, 102, 103.

ჰენრიხ მერეე,—ინგლისის მეფე.—500.

ჰიუგო ვიქტორ მარი (1802-1885),—ცნობილი ფრანგი მწერალი.—306, 307.

ჰიუგი,—ფრანგი ჟურნალისტი.—617.

ჰოლბაინი,—(ჰოლბაინები), გერმანელ ფერმწერთა და გრაფიკოსთა ოჯახი XV-XVI საუკუნეებში, მამა-ჰანს ჰოლბაინ უფროსი (1465-1525), შვილი—ჰანს ჰოლბაინ-უმცროსი (1497-1543).—500.

სარჩევი

1. პოლიტიკური მიმოხილვა 7
2. ფოთის ნავსადგურის ისტორია 9
3. ისევ ფოთის ნავსადგურის შესახებ 33
4. ჰერათი 38
5. ქართული თეატრი 43
6. ჩვენი ურთიერთობა სპარსეთთან 50
7. აჯამეთის ტყე 53
8. აჯამეთის საკითხი 56
9. 1855_1880 წლებში 62
10. პოლიტიკური მიმოხილვა 66
11. კავკასიის უნივერსიტეტი 68
12. ჩვენი დამოუკიდებლობა 71
13. სადღეისო საკითხები 76
14. „ჩემი შენ გვითხარი, გული მოგიკალი“ 78
15. საქართველოს თეატრალური კომიტეტი 84
16. გაზეთ „დროების“ მდგომარეობა 95
17. ჰარტმანის საქმე 100
18. მეგობრებზე უკეთესი მტრები 104
19. ცრუპენტელები პრესაში 108
20. პირველი ნაბიჯი 116
21. უკანასკნელი ქართული სპექტაკლი 119
22. „ტიფლისსკი ვესტნიკი“ 120
23. საკრედიტო საქმეები 130
24. ჩვენი კავშირები ევროპაში 134
25. საკვირაო საუბრები 138
26. რა გვამღერებს? განა სასიმღეროდ გვცალია? 145
27. საკვირაო საუბრები 147
28. „კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების“ სკოლები 153
29. „ობზორის“ მეორე პროცესი 155
30. გაზეთი „კავკაზი“ და კავკასიის გვირაბი 157
31. დოქტორ არნრუნის ახალი გმირობა 160
32. ინგლისის ახალი სამინისტრო 163
33. პირველი ქართული ლექცია 166

34. ჩვენი სამინათმოქმედო ბანკების შეხლა-შემოხლა 175
35. ბატონ წერეთლის წერილის გამო 186
36. ხიზნების საკითხი 194
37. ჩვენი დამოკიდებულება ინგლისისადმი 199
38. ნკიპურტები 203
39. ჩვენი დამოკიდებულება ავსტრია-უნგრეთისადმი 215
40. სადღეისო საკითხები 218
41. ბ-ნი ბახმეტიევი მაცდუნებლის თანამდებობაზე 222
42. ბ-ნი გრიგორიევის შეცვლის გამო 231
43. ჩვენი დამოკიდებულება საფრანგეთისადმი 235
44. ერევნისმოედნელი კატკოვი 240
45. ცვლილება სამინისტროში 247
46. ომი ჩინეთთან 250
47. ნავსადგომთან და „ბერეგის" გასწვრივ 254
48. თვით პანაცეაც კი არა! 258
49. „დროება" თავადაზნაურობის შესახებ 261
50. სადღეისო საკითხები 265
51. გუსტავ ფლობერი 268
52. ისევ კავკასიის უნივერსიტეტის თაობაზე 273
53. თბილისის საბჭოს სისუსტენი 277
54. აფხაზთა ეკონომიკური მდგომარეობა 281
55. შუადღის ძებნა მე-14 საათზე 286
56. სადღეისო საკითხები 289
57. სადღეისო საკითხები 292
58. როშფელის წერილი და დუელი 296
59. პუშკინის როლი და ადგილი 304
60. საკვირაო საუბრები 312
61. მუშების გაქცევა 322
62. სახალხო სკოლის არსებითი საჭიროება 324
63. ბერლინის პირველი დამატებითი კონფერენცია 328
64. საკვირაო საუბარი 331
65. „თვითვე იგვემს თავსა თვისსა" 339
66. სადღეისო საკითხი 344
67. საკვირაო საუბრები 348
68. ახალი საშიშროებანი 355
69. ლოგიკა სემინარიაში 358
70. საკვირაო საუბარი 361
71. სემინარიის კურსელები 370

72. გამოუსნორებელნი 374
73. კვლავ ვ.ი. ულიხოვსკის თაობაზე 383
74. სადღეისო საკითხები 391
75. აღმოსავლეთის საქმეები 395
76. „კავკაზი“ თვითმმართველობის თაობაზე 398
77. „ობზორის“ რედაქციისაგან 402
78. ადგილობრივი ცხოვრების მიმოხილვა
(ცვლილებები მხარის უმაღლეს ადმინისტრაციაში 403
79. ამაო შიში 408
80. გაფლანგვა საქალებო ინსტიტუტში 417
81. საფრანგეთის რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელები 420
82. ადგილობრივი ლიტერატურის მიმოხილვა 422
83. სისხლის სამართლის სასამართლოს საფუძვლების შესახებ 429
სასამართლო ადმინისტრაცია და პრაქტიკა ამიერკავკასიაში 441
სისხლის სამართლის სასამართლოს საფუძვლები შესახებ 443
სისხლის სამართლის სასამართლოს საფუძვლები შესახებ 450
84. მოხსენებითი ბარათი მის იმპერატორობით
უდიდებულესობას დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს 463
85. სახელმწიფო მოხელის რომანი
(გრაფ პ.ა. ვალუევის რომანი „ლორინი“, ორ ნაწილად, სპბ, 1882 წ.) 468
86. ერთი სიკვდილის გამო 493
87. ვ. ბ. აბრამოვიჩის ინფორმაციის გამო 504
88. დიდი შეცოდმა „დიდ საქმეში“ 538
89. მის აღმატებულებას ბატონ ფინანსთა მინისტრს 543
90. უნებლიე მებრძოლები 557
91. ლუი ბლანი და გამბეტა 589
92. კავკასიის სურათები 635
93. კვლავ ნავთობის მრეწველობაზე 638
94. ნავთის საკითხის შესახებ 646
95. ნ. გ. ჩერნიშევსკის განთავისუფლება 649
ბიბლიოგრაფიული შენიშვნები კომენტარები სახელთა საძიებელი 661
ბიბლიოგრაფიული შენიშვნები 662
კომენტარები 670
სახელთა საძიებელი 678

ტექნიკური რედაქტორი
დიზაინერი ლევან ჩიხლაძე
დამკაბადონებელი თეა კაკაბაძე
კორექტორი ლია შერგელაშვილი

გადაეცა წარმოებას 1.06.2001, ხელმოწერილია დასაბეჭდად
11.03.2002, პირობითი ნაბეჭდი თაბახი 43,5; ტირაჟი 500;
შეკვეთის №585

ფასი — სახელშეკრულებო

ქუთაისის ს/ს „მანდარიას სტამბა"
ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №33